ლევ ტოლსტოი
ანა კარენინა (ტომი I)

ლარისა ტიტვინიძისა და თამარ საყვარელიძის თარგმანი

. . .

. . .

ჩემი არს შურისგება, და მე მივაგო.

ნაწილი პირველი

I

ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველ უბედურ ოჯახს კი თავისი უბედურება სჭირს.

ყველაფერი აირია ობლონსკების სახლში. ცოლმა შეიტყო, რომ მეუღლე მათთან ოჯახში გუვერნანტად ნამყოფ ფრანგ ქალთან მრუშობდა და გამოუცხადა ქმარს, შენთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება აღარ შემიძლიაო. აგერ უკვე მესამე დღე იყო, გრძელდებოდა ეს ამბავი, რის გამოც ასე იტანჯებოდა ცოლი, ქმარი, ოჯახის ყველა წევრი და მთელი სახლეული. ოჯახის თითოეული წევრი თუ შინამოსამსახურე გრძნობდა, რომ მათი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რომ სადმე, რომელიმე ფუნდუკში შემთხვევით თავშეყრილი ადამიანები უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე ისინი – ობლონსკების ოჯახის წევრნი და შინამოსამსახურენი. ცოლი თავის ოთახებში ჩაიკეტა, ქმარი მესამე დღე იყო, შინ აღარ ჩანდა; თავგზააბნეული ბავშვები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ინგლისელმა ქალმა ჩხუბი აუტეხა ეკონომ ქალს და წერილი მისწერა მეგობარს: ახალი ადგილის მოძებნას სთხოვდა. მზარეულმა ჯერ კიდევ გუშინ, სადილობის ხანს მიატოვა

სახლი; მზარეულის დამხმარე ქალიც და მეეტლეც ანგარიშის გასწორებას ითხოვდნენ.

თავადმა სტეპან არკადის ძე ობლონსკიმ – სტივამ, როგორც მაღალ საზოგადოებაში ეძახდნენ, – ჩხუბის მესამე დღეს, ჩვეულ დროზე, ესე იგი დილის რვა საათზე გამოიღვიძა, ოღონდ ცოლის საწოლ ოთახში კი არა, თავის კაბინეტში, ტარსიკონის დივანზე. მსუქანი, ნებიერი სხეულით ისე იცვალა გვერდი ზამბარიან დივანზე, თითქოს უნდოდა კიდევ დიდხანს განეგრძო ძილი, ბალიში ხელებში მოიქცია და ლოყით ზედ მიეხუტა; მაგრამ უეცრად წამოხტა, დივანზე წამოჯდა და თვალები გაახილა.

„მოიცა, მოიცა, როგორ იყო? – დაფიქრდა იგი და სიზმრის გახსენებას შეეცადა, – ჰო, როგორ იყო? აჰა! ალაბინს სადილი გაემართა დარმშტადტში. არა, დარმშტადტი კი არა, რაღაც ამერიკულს ჰგავდა. ჰო, თუმცა სიზმარში დარმშტადტი ამერიკაში იყო. ჰო, ალაბინს სადილი გაემართა შუშის მაგიდებზე და მაგიდებიც მღეროდნენ: Il mio tesoro,[1] არა, ამას კი არა, რაღაც უფრო უკეთესს. მღეროდნენ რაღაცნაირი პატარა სურებიც და ვითომ ეს სურებიც ქალები იყვნენ“, – იხსენებდა იგი.

სტეპან არკადიჩი ფიქრებმა აიყოლია, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, პირზე ღიმილი გადაეფინა. „ეჰ, კარგი იყო, ძალიან კარგი! კიდევ რამდენი რამ იყო იქ ჩინებული, რასაც ცხადში ვერც ენა იტყვის და ვერც გონებით წარმოიდგენ!“ მერე, ოდნავ გადაწეული მაუდის ფარდიდან შემოჭრილი სინათლის სხივი რომ დაინახა, მხიარულად ჩამოუშვა დივნიდან ფეხები, ფეხით მოძებნა ოქროსფერი ტარსიკონის ქოშები (შარშან დაბადების დღისთვის რომ შეუკერა და აჩუქა ცოლმა) და ძველი, ცხრა წლის ჩვეულებისამებრ, წამოუდგომლად წაიღო ხელი იქით, სადაც საწოლ ოთახში მისი ხალათი ეკიდა ხოლმე და უცებ გაახსენდა, რატომ გამოეღვიძა თავის კაბინეტში და არა ცოლის საწოლ ოთახში. ღიმილი იმწამსვე გაუქრა სახიდან, შუბლი შეეჭმუხნა.

„უჰ! უჰ! უჰ! ოჰ!..“ – ამოიხვნეშა და გაიხსენა ყველაფერი, რაც მოხდა. კვლავ თვალწინ წარმოუდგა ცოლთან ატეხილი უსიამოვნების ყოველი წვრილმანი, თავისი გამოუვალი მდგომარეობა და საკუთარი დანაშაული, რაც ყველაზე მეტად ტანჯავდა.

„ჰო, არ მაპატიებს, ან როგორ უნდა მაპატიოს! ყველაზე საშინელი ის არის, რომ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, დამნაშავე ვარ და დანაშაული კი არ მიმიძღვის. აი, ეს გახლავთ მიზეზი მთელი ამ დრამისა, – განაგრძობდა ფიქრს სტეპან არკადიჩი, – ოჰ, ოჰ, ოჰ!“ – იმეორებდა სასოწარკვეთილი და ამ ჩხუბიდან მისთვის ყველაზე მძიმე წუთებს იხსენებდა.

ყველაზე უსიამო ის პირველი წუთი იყო, როცა მხიარული, გულშეჯერებული ობლონსკი თეატრიდან შინ დაბრუნდა; ხელში ცოლისათვის წამოღებული უშველებელი მსხალი ეჭირა, მაგრამ ცოლი სასტუმროში ვერ ნახა; გასაოცარი ის იყო, რომ კაბინეტშიც არ დაუხვდა, ბოლოს კი საწოლ ოთახში იპოვა იმ საბედისწერო, ყველაფრის მამხილებელი წერილით ხელში.

ცოლი – მუდამ ზრუნვაში გართული, მუდამ მოუსვენარი და, როგორც ქმარს მიაჩნდა, არცთუ დიდი გონიერებით დაჯილდოებული ქალი, გაშეშებული იჯდა, ხელში წერილი ეჭირა და შეძრწუნებული, სასოწარკვეთილი, განრისხებული შეჰყურებდა ქმარს.

– რა არის ეს, რა? – ეკითხებოდა და წერილს უჩვენებდა.

ამის გახსენებაზე სტეპან არკადიჩს, როგორც ხშირად ხდება, ეს ამბავი ისე არ ტანჯავდა, როგორც ის, თუ რა პასუხი გასცა ცოლს ამ სიტყვებზე.

ასე ემართებათ მეტისმეტად სამარცხვინო დანაშაულში ანაზდეულად მხილებულ ადამიანებს. ასე დაემართა იმ წუთში სტეპან არკადიჩსაც. ვერ მოახერხა ისეთი გამომეტყველება მიეღო, როგორიც შესაფერისი იქნებოდა მისთვის ამგვარი დანაშაულის გამჟღავნების შემდეგ. იმის მაგივრად, გამწყრალიყო, ეუარა, თავი ემართლებინა, პატიება ეთხოვა, ანდა სრულიად გულგრილად შეხვედროდა – ყველაფერი სჯობდა იმას, რაც ჩაიდინა! – სრულიად უნებლიეთ („თავის ტვინის რეფლექსები!“ – გაიფიქრა ფიზიოლოგიის მოყვარულმა სტეპან არკადიჩმა), სრულიად უნებლიეთ სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მისთვის ჩვეულმა, კეთილმა და ამიტომაც სულელურმა ღიმილმა.

აი, ეს სულელური ღიმილი ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისათვის. ამ სულელური ღიმილის დანახვაზე დოლი ისე შეკრთა, თითქოს ფიზიკური ტკივილი მიაყენესო, თავისებურად გაცხარდა, ულმობელი სიტყვების კორიანტელი

დააყენა და ოთახიდან გავარდა. ამის შემდეგ დოლის ქმრის დანახვაც აღარ უნდოდა.

„ყველაფერი ამ სულელური ღიმილის ბრალია, – ფიქრობდა სტეპან არკადიჩი, – მაგრამ რა ვქნა! რა ვიღონო?“ – იმედდაკარგული ეკითხებოდა თავს და პასუხს ვერ პოულობდა.

II

სტეპან არკადიჩი პირუთვნელი იყო საკუთარ თავთან. არ შეეძლო, მოეტყუებინა და დაერწმუნებინა თავი, რომ კიცხავდა და ინანიებდა თავის საქციელს. აბა, როგორ შეეძლო სინანული ეგრძნო იმის გამო, რომ მას – ოცდათოთხმეტი წლის ლამაზ, ქალების მოტრფიალე მამაკაცს – გატაცებით აღარ უყვარდა ცოლი, მასზე მხოლოდ ერთი წლით უმცროსი, ხუთი ცოცხალი და ორი გარდაცვლილი შვილის დედა. იგი მხოლოდ იმას ნანობდა, რომ უკეთ ვერ დაუმალა ცოლს ყოველივე, მაგრამ გრძნობდა, რარიგ მძიმე მდგომარეობაშიც ჩავარდა და ებრალებოდა ცოლი, ბავშვები, საკუთარი თავი. შეიძლება კიდეც მოეხერხებინა და უკეთ დაემალა თავისი ცოდვები, მაგრამ არ ეგონა, რომ ცოლზე ასე იმოქმედებდა ეს ამბავი. კარგად არასოდეს ჩაჰკვირვებია ამ საკითხს, ისე კი ბუნდოვნად წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ცოლი დიდი ხანია მიხვედრილია ქმრის ღალატს, მაგრამ არ იმჩნევს. იმასაც კი ფიქრობდა, რომ დოლი, ეს ჩამომდნარი, უკვე ჭკნობაშეპარული, პირვანდელი სილამაზისაგან გაძარცული, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, უბრალო ქალი, მხოლოდღა კეთილი დედა ოჯახისა, სამართლიანად თუ განვსჯით, დათმობაზეც უნდა წავიდესო. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა.

„უჰ, საშინელებაა! ვაი, ვაი, რა საშინელებაა! – ისევ იმეორებდა სტეპან არკადიჩი და ვერაფერი ეღონა, – მერე რა კარგად იყო მანამდე ყველაფერი, რა ტკბილად ვცხოვრობდით! დოლი კმაყოფილი იყო, ხარობდა ბავშვებით. მეც არაფერში ხელს არ ვუშლიდი, ნებას ვაძლევდი, როგორც თვითონ მოისურვებდა,

ისე გასძღოლოდა ოჯახსაც, შვილებსაც. მართლაც ცუდია, რომ ის ქალი გუვერნანტად იყო ჩვენს სახლში. რაღაც მეტისმეტად უხამსი და ტრივიალურია არშიყობა საკუთარ გუვერნანტთან. მაგრამ რა გუვერნანტი იყო!“ (ობლონსკის ცოცხლად დაუდგა თვალწინ M-lle Roland-ის შავი, მაცდური თვალები, მისი ღიმილი). თუმცა, სანამ ჩვენს სახლში იყო, არაფრის უფლება არ მიმიცია ჩემი თავისთვის. ყველაზე საშინელი ის არის, რომ იგი უკვე... თითქოს განზრახ აეწყო ყველაფერი! ვაი, ვაი, ვაი! რა ვქნა, როგორ მოვიქცე!“

პასუხი ვერ ეპოვა, გარდა იმ საყოველთაო პასუხისა, რომელსაც ცხოვრება იძლევა ყველა ფრიად რთულსა და გადაუჭრელ საკითხზე. პასუხი ასეთი გახლდათ: უნდა მიჰყვე ყოველდღიური ცხოვრების დენას, ესე იგი მიეცე თავდავიწყებას. ძილში ვეღარ პოვებდა თავდავიწყებას, ყოველ შემთხვევაში, დაღამებამდე მაინც. ვეღარ დაუბრუნდებოდა იმ მუსიკას, პატარა სურა-ქალები რომ მღეროდნენ. ასე რომ, ისევ ცხოვრების ძილში უნდა ეძიოს თავდავიწყება.

„ვნახოთ, რა იქნება“, – თქვა თავისთვის სტეპან არკადიჩმა და წამოდგა, ცისფერი აბრეშუმისსარჩულიანი რუხი ხალათი გადაიცვა, ფუნჯებიანი სარტყელი შეიკრა, განიერი მკერდით ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თავისებური მხნე ნაბიჯით ფანჯრისკენ გაემართა: სიარულის დროს ოდნავ გაღუნული ფეხები საოცარი სიმსუბუქით ატარებდნენ მის სავსე სხეულს. ფანჯარასთან რომ მივიდა, ფარდა ასწია და ღონივრად ჩამოჰკრა ზარი. ზარის ხმაზე მაშინვე ოთახში გაჩნდა ძველი მეგობარი, კამერდინერი მატვეი, თან ბატონის ტანისამოსი, ფეხსაცმელი და დეპეშა შემოიტანა. მატვეის ფეხდაფეხ შემოჰყვა დალაქი საპარსი ხელსაწყოებით.

– საკრებულოდან გამოგზავნეს ქაღალდები? – იკითხა სტეპან არკადიჩმა, დეპეშა გამოართვა და სარკის წინ ჩამოჯდა.

– მაგიდაზე გახლავთ, – უპასუხა მატვეიმ, ჯერ გამომცდელად, თანაგრძნობით მიაჩერდა ბატონს, ცოტა ხანს შეიცადა და მერე ეშმაკური ღიმილით დაუმატა, – მეეტლის პატრონმა კაცი გამოგზავნა!

სტეპან არკადიჩს პასუხი არ გაუცია, მხოლოდ სარკეში შეხედა მატვეის. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ამ შეხედვამ ცხადყო, როგორ ესმოდათ ერთმანეთისა, სტეპან არკადიჩი

თითქოს ეკითხებოდა: „ამას რატომ მეუბნები, განა შენ თვითონ არ იცი?“

მატვეიმ ხელები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაიწყო, ფეხი მოინაცვლა და უხმოდ, კეთილად, ოდნავ ღიმმორეული მიაჩერდა ბატონს.

– იქით კვირას მოდი-მეთქი, ვუბრძანე. მანამდე ნურც შენ გაირჯები და ნურც ბატონს შეაწუხებ-მეთქი ტყუილუბრალოდ, – ეტყობა, წინასწარ მომზადებული ფრაზა მოახსენა მატვეიმ.

სტეპან არკადიჩი მიხვდა, რომ მატვეის უნდოდა გაეხუმრა და ამით ბატონის ყურადღება მიეპყრო. დეპეშა გახსნა, წაიკითხა, გუმანით შეასწორა დამახინჯებული სიტყვები, როგორც ყოველთვის არის ხოლმე დეპეშაში, და სახე გაებადრა.

– მატვეი, ჩემი და, ანა არკადიევნა, ხვალ აქ იქნება, – უთხრა და წუთით შეაჩერა დალაქის ფუნჩულა, პრიალა ხელი, ვარდისფერ კვალს რომ ავლებდა მის გრძელ, ხუჭუჭა ბაკენბარდებს შუა.

– მადლობა ღმერთს! – უთხრა მატვეიმ და ამ პასუხით აგრძნობინა, რომ მასაც ისევე ესმის ამ ჩამოსვლის მნიშვნელობა, როგორც მის ბატონს, რომ სტეპან არკადიჩის საყვარელი და, ანა არკადიევნა, ხელს შეუწყობს ცოლ-ქმრის შერიგებას.

– მარტო მობრძანდება თუ მეუღლითურთ? – იკითხა მატვეიმ.

სტეპან არკადიჩს არ შეეძლო პასუხის გაცემა, რადგან დალაქი ახლა მის ზემო ტუჩს ჩასცეცინებდა და ცალი თითი ასწია. მატვეიმ სარკეში დაუქნია თავი.

– მარტო მობრძანდება. ზევით მოვუმზადოთ?

– დარია ალექსანდროვნას მოახსენე. სადაც გიბრძანოს.

– დარია ალექსანდროვნას? – როგორღაც დაეჭვებით გაიმეორა მატვეიმ.

– ჰო, მოახსენე. აჰა, დეპეშაც წაუღე, აჩვენე, ვნახოთ, რას იტყვის.

„გინდათ სცადოთ“, – მიუხვდა მატვეი, თქმით კი მხოლოდ ეს უთხრა: – ბატონი ბრძანდებით!

პირდაბანილი და თმადავარცხნილი სტეპან არკადიჩი უკვე ჩასაცმელად ემზადებოდა, როცა მატვეი ოთახში შემობრუნდა. ნელა, ნაუცბადევად ადგამდა ჭრაჭუნა ჩექმებს და უკანვე მოჰქონდა დეპეშა, დალაქი უკვე წასულიყო.

– დარია ალექსანდროვნამ მიბრძანა მოგახსენოთ, რომ სახლიდან მიბრძანდება. დე, ისე მოიქცნენ, როგორც მათ ნებავთო, ესე იგი თქვენ, – ამბობდა მატვეი, თვალები უცინოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თავი გვერდზე გადაეხარა და ასე მისჩერებოდა ბატონს.

სტეპან არკადიჩს ერთხანს ხმა არ ამოუღია; მერე ლამაზ სახეზე კეთილი, თითქოს უმწეო ღიმილი გამოესახა.

– ჰა, რას იტყვი, მატვეი? – თქვა და თავი გადააქნია.

– არაფერია, ბატონო, მოგვარდება, – უპასუხა მატვეიმ.

– მოგვარდება?

– სწორედ ეგრე იქნება!

– შენ ასე გგონია? ვინ არის მანდ? – იკითხა სტეპან არკადიჩმა, როცა კარს უკან ქალის კაბის შრიალი გაიგონა.

– მე გეახელით, – გაისმა ქალის დინჯი, სასიამოვნო ხმა და კარში გადიის, მატრიონა ფილიმონოვნას, კუშტი, ნაყვავილარი სახე გამოჩნდა.

– რაო, მატრიოშა? – შეეკითხა სტეპან არკადიჩი და კარში გაეგება.

მიუხედავად იმისა, რომ სტეპან არკადიჩი ყოველმხრივ დამნაშავე იყო ცოლის წინაშე და ამას თვითონაც გრძნობდა, სახლში მაინც ყველა, თვით დარია ალექსანდროვნას უპირველესი მეგობარი გადიაც კი, მის მხარეზე იყო.

– როგორ არის საქმე? – ნაღვლიანად ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– უნდა მიბრძანდეთ, ბატონო, კიდევ ითხოვოთ პატიება. იქნებ შეგეწიოთ უფალი. მეტისმეტად იტანჯება ქალბატონი, საცოდაობაა მისი ყურება. სახლშიც ყველაფერი აირია. ბავშვები მაინც უნდა შეიბრალოთ, ბატონო. რა გაეწყობა, უნდა ითხოვოთ პატიება. ხომ მოგეხსენებათ, ვისაც თევზი უნდა...

– რომ არ მიმიღოს...

– თქვენ თქვენი სცადეთ. ღმერთია მოწყალე. ღმერთს უნდა ევედროთ, ბატონო, ღმერთს!..

– ჰო, კარგი, წადი! – უთხრა სტეპან არკადიჩმა და სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, – აბა, მომეცი ტანსაცმელი, – მიუბრუნდა მატვეის და სასწრაფოდ გაიხადა ხალათი.

მატვეის უკვე მოწიწებით ეჭირა ხელში ბატონისათვის გამზადებული პერანგი, თან სულს უბერავდა რაღაც თვალით უხილავი მტვრის მოსაშორებლად და აშკარად სიამოვნებდა, როცა ბატონის აზიზ სხეულს პერანგით მოსავდა.

III

ტანისამოსის ჩაცმას რომ მორჩა, სტეპან არკადიჩმა ნელსაცხებელი დაიპკურა, პერანგის სახელოები შეისწორა, ნაჩვევი ხელით დაინაწილა ჯიბეებში პაპიროსი, საფულე, ასანთი, ორმაგძეწკვიანი, შანებიანი საათი, მერე ცხვირსახოცი დაფერთხა და სასადილოსკენ გასწია, თან ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ოდნავ ირხეოდა მთელი სხეულით. სიამოვნებდა, რომ მიუხედავად თავს დატეხილი უსიამოვნებისა, კვლავინდებურად მხნე და ხალისიანი იყო, სურნელოვანი და ფაქიზი; სასადილოში უკვე ელოდებოდა ყავა, მის გვერდით კი წერილები და საკრებულოდან გამოგზავნილი ქაღალდები ელაგა.

უმალ წერილები გადაიკითხა. მეტისმეტად არ ესიამოვნა იმ ვაჭრის წერილი, რომელსაც ტყე უნდა ეყიდა ცოლის მამულში. ტყის გაყიდვა აუცილებელი იყო, მაგრამ ახლა, ცოლთან შერიგებამდე, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ამაზე. ძალიან საწყენი იყო, რომ ცოლთან მომავალ შერიგებას ფულადი ანგარიში უკავშირდებოდა. და ის აზრი, რომ შესაძლოა ტყის გაყიდვის სურვილმა აიყოლიოს და ამის გამო შეეცადოს ცოლთან შერიგებას, თავმოყვარეობას ულახავდა სტეპან

არკადიჩს.

წერილების კითხვა რომ გაათავა, საკრებულოდან გამოგზავნილი ქაღალდების გადათვალიერებას შეუდგა. სწრაფად გადაფურცლა ორი საქმე, მსხვილი ფანქრით რამდენიმე შენიშვნაც ჩაიწერა, მერე ეს ქაღალდებიც გვერდზე გადადო და ყავის სმას შეუდგა, თან ჯერ ისევ სველი დილის გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო.

სტეპან არკადიჩი იღებდა და კითხულობდა ლიბერალურ გაზეთს, უკიდურესად ლიბერალურს კი არა, იმ მიმართულებისას, რომელსაც უმრავლესობა ემხრობოდა. მართალია, განსაკუთრებით არც მეცნიერება იტაცებდა, არც ხელოვნება და არც პოლიტიკა, მაინც მტკიცედ ადგა საზოგადოების უმრავლესობისა და თავისი გაზეთის შეხედულებებს ამ საგნებზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში ღალატობდა, თუ საზოგადოების უმრავლესობა შეიცვლიდა აზრს; უკეთ რომ ვთქვათ, კი არ ღალატობდა, ეს შეხედულებები თავისთავად, შეუმჩნევლად იცვლებოდნენ.

სტეპან არკადიჩს არ აურჩევია არც მიმართულება და არც შეხედულებები. ისინი თავისით მოდიოდნენ მასთან, ისევე როგორც არ ირჩევდა ქუდს ან სერთუკს და ყიდულობდა იმას, რასაც სხვები იცვამდნენ. მისთვის კი, როგორც გარკვეულ საზოგადოებაში მცხოვრები პირისათვის, ისევე საჭირო იყო საკუთარი შეხედულებები და ქმედითი აზრები, რომელნიც, ჩვეულებრივ, მოწიფულობის ასაკში უვითარდება ადამიანს, როგორც ქუდი. და თუ მაინც არსებობდა მიზეზი იმისა, რომ ლიბერალური მიმართულება ამჯობინა კონსერვატიულს, რომელსაც აგრეთვე მრავალი ემხრობოდა მისი წრიდან, ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ ლიბერალური მიმართულება უფრო გონივრულად ცნო, არამედ იმიტომ, რომ ეს უფრო ესადაგებოდა მისი ცხოვრების ნირს. ლიბერალური პარტია ამბობდა, რომ რუსეთში ყველაფერი ცუდად არის მოწყობილი; მართლაც, სტეპან არკადიჩს ვალი ბლომად ჰქონდა, ფული კი არ ჰყოფნიდა. ლიბერალური პარტია ქადაგებდა, რომ ქორწინება დრომოჭმული ადათია და აუცილებელია მისი გარდაქმნა; მართლაც, ოჯახური ცხოვრება დიდ სიამოვნებას ვერ ანიჭებდა სტეპან არკადიჩს. აიძულებდა, ეცრუა, ეთვალთმაქცა, რასაც ვერ ეგუებოდა მისი ბუნება. ლიბერალური პარტია ამბობდა, უკეთ ვთქვათ, გულისხმობდა,

რომ რელიგია მხოლოდ ლაგამია მოსახლეობის ბარბაროსული ნაწილისათვის; მართლაც, სტეპან არკადიჩს ხანმოკლე წირვის მოსმენაც არ შეეძლო ისე, რომ ფეხები არ სტკენოდა. ვერ გაეგო, რისთვის იყო საჭირო ეს შემზარავი, მაღალფარდოვანი სიტყვები საიქიოზე, როცა სააქაოშიც ძალიან მხიარულად შეიძლებოდა ცხოვრება. გარდა ამისა, სტეპან არკადიჩს ოხუნჯობა უყვარდა და სიამოვნებდა ხანდახან საგონებელში ჩაეგდო უწყინარი ადამიანი – თუკი თავს მოიწონებ შთამომავლობით, რატომ მაინცდამაინც რიურიკი უნდა აირჩიო და უარი თქვა შენს პირველ წინაპარზე – მაიმუნზე? ასე ექცა ჩვეულებად სტეპან არკადიჩს ლიბერალური მიმართულება და უყვარდა თავისი გაზეთი როგორც ნასადილევს მოწეული სიგარა, რომელიც მსუბუქ ბურანში ხვევდა მის გონებას. წაიკითხა მოწინავე სტატია, სადაც ახსნილი იყო, რომ „ჩვენს დროში ტყუილუბრალოდ იქმნება აურზაური, თითქოს რადიკალიზმი შთანთქმით ემუქრება ყველა კონსერვატიულ ელემენტს და თითქოს ხელისუფლება ვალდებულია ღონე იხმაროს რევოლუციური ჰიდრის მოსაშთობად. პირიქით: ჩვენი აზრით, საშიშროებას წარმოადგენს არა მოჩვენებითი რევოლუციური ჰიდრა, არამედ ტრადიციის სიმტკიცე, რაც აფერხებს პროგრესს“ და ა. შ. ჩაიკითხა მეორე ფინანსური სტატიაც, სადაც მოხსენიებული იყვნენ ბენტამი და მილი და სამინისტროც იყო გამათრახებული. თავისი მკვირცხლი გონების წყალობით სტეპან არკადიჩი კარგად ხვდებოდა თითოეული ამ მათრახის მნიშვნელობას: ვისგან და ვისკენ იყო მიმართული და რა მიზეზის გამო. და ეს, როგორც ყოველთვის, ერთგვარ სიამოვნებას ანიჭებდა. დღეს კი ამ სიამოვნებას უწამლავდა მატრიონა ფილიმონოვნას რჩევა-დარიგებისა და სახლში მომხდარი უსიამოვნების გახსენება. წაიკითხა ისიც, რომ გრაფი ბეისტი, როგორც ხმები დადიოდა, ვისბადენს გაემგზავრა, რომ ამიერიდან აღარ იქნება ჭაღარა თმა, რომ იყიდება მსუბუქი კარეტა; აქვე ეწერა ვიღაც ახალგაზრდა ქალის წინადადებაც. მაგრამ ამ ცნობებმა წინანდელივით წყნარი, ირონიული სიამოვნება ვეღარ მოჰგვარა.

სტეპან არკადიჩმა ბოლომდე ჩაიკითხა გაზეთი, მეორე ფინჯანი ყავაც მიირთვა, თან კარაქწასმული კალაჩიც მიაყოლა, ფეხზე წამოდგა, კალაჩის ნამცეცები ჩამოიბერტყა, წელში გაიმართა და მხიარულად ჩაიღიმა, იმიტომ კი არა, რომ გულში რაღაც განსაკუთრებით სიამოვნებდა – მხიარული ღიმილი კარგად

მირთმეულმა საუზმემ გამოიწვია.

მაგრამ ამ მხიარულმა ღიმილმა მაშინვე გაახსენა ყველაფერი და კვლავ ჩააფიქრა.

კარს იქიდან ბავშვების ხმა შემოესმა (ხმაზე მაშინვე იცნო უმცროსი ბიჭი – გრიშა და უფროსი გოგონა – ტანია). ბავშვებს რაღაც მოჰქონდათ და დაუვარდათ.

– გეუბნებოდი, არ შეიძლება-მეთქი მგზავრების სახურავზე დასმა! – ინგლისურად გაჰყვიროდა გოგონა, – ახლა მიდი და აკრიფე!

„ყველაფერი აირია, – გაიფიქრა სტეპან არკადიჩმა, – ბავშვებიც მარტონი დარბიან“. მერე კართან მივიდა და ბავშვებს დაუძახა. ბავშვებმაც მიატოვეს ყუთი, მატარებლის მაგივრობას რომ ეწეოდა, და მამასთან შევიდნენ.

გოგონამ, გამორჩევით რომ უყვარდა მამას, თამამად მიირბინა, გადაეხვია და სიცილით ჩამოეკიდა კისერზე. როგორც ყოველთვის, ახლაც ახარებდა მამის ბაკენბარდების ნაცნობი სურნელება. ბოლოს აკოცა მამას დაბლა დახრისაგან გაწითლებულ, სიყვარულით გაბრწყინებულ სახეზე და ხელები გაუშვა, უკანვე უნდოდა გაქცევა, მაგრამ მამამ არ დაანება.

– დედა როგორ არის? – შეეკითხა სტეპან არკადიჩი და ნაზ, სათუთ კისერზე მიეფერა, – გამარჯობა! – ღიმილით უპასუხა ბიჭს მისალმებაზე.

იგი გრძნობდა, რომ ნაკლებად უყვარდა ბიჭი და ყოველთვის ცდილობდა, ერთნაირად მოქცეოდა ბავშვებს, მაგრამ ბიჭმა იგრძნო ეს და ღიმილით არ უპასუხა მამის უგულო გაღიმებას.

– დედა? ადგა! – უპასუხა გოგონამ.

სტეპან არკადიჩმა ამოიოხრა. „მაშასადამე, ისევ თეთრად გაათენა ღამე“, – გაიფიქრა მან.

– კარგ ხასიათზეა?

გოგონამ იცოდა, რომ დედა და მამა წაჩხუბებული იყვნენ და ამიტომ დედა კარგ ხასიათზე ვერ იქნებოდა. მამასაც უნდა სცოდნოდა ეს და ახლა თვალთმაქცობდა, როცა ასე იოლად კითხულობდა დედის ამბავს. გოგონა გაწითლდა მამის

მაგივრად. სტეპან არკადიჩმაც მაშინვე იგრძნო ეს და ისიც ბავშვივით გაწითლდა.

– არ ვიცი, – უპასუხა ტანიამ, – მეცადინეობა არ უბრძანებია. მის გულთან ერთად დიდედასთან გაისეირნეთო.

– მაშ, წადი, ჩემო ტანჩუროჩკა, არა, მოიცა! – და მაინც არ უშვებდა გოგონას, ახლა მის პაწია ხელს ეფერებოდა.

მერე ბუხრიდან წინადღით შენახული კანფეტების კოლოფი გადმოიღო, ამოარჩია ორი ცალი ხილისა და შოკოლადის კანფეტი, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა ტანიას, და გაუწოდა.

– ეს გრიშას? – შეეკითხა გოგონა და შოკოლადის კანფეტზე მიუთითა.

– ჰო, ჰო, მიეცი! – მერე ისევ მიეფერა მხრებზე, თმის ძირები და კისერი დაუკოცნა და გაისტუმრა.

– კარეტა მზად გახლავთ! – მოახსენა მატვეიმ, – ჰო, ვიღაც მანდილოსანი გეახლათ სათხოვნელად, – დაუმატა შემდეგ.

– დიდი ხანია მელოდება? – იკითხა სტეპან არკადიჩმა.

– ასე ნახევარი საათი იქნება!

– რამდენჯერ გიბრძანე, მაშინვე მომახსენე-მეთქი.

– ყავის მირთმევა ხომ მაინც უნდა გაცალონ, – ისეთი მეგობრული, უხეში ტონით შეეპასუხა მატვეი, გაწყრომა რომ ვერ მოუხერხდებოდა.

– მაშ, შემოიყვანე ახლავე! – უთხრა სტეპან არკადიჩმა და განაწყენებულმა შუბლი შეიკრა.

შტაბსკაპიტან კალინინის მეუღლე რაღაც გაუგებარსა და შეუძლებელს სთხოვდა, მაგრამ სტეპან არკადიჩმა, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, მაინც დასვა, გულდასმით მოუსმინა, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია სიტყვა. მერე საჭირო რჩევა-დარიგება მისცა, ვისთვის ან როგორ მიემართა, მსხვილი, გაბმული, ლამაზი, მკაფიო ხელით ბარათიც დაუწერა სათანადო პირთან, ვისაც შეეძლო შეწევნოდა ამ საქმეში. მანდილოსანი გაისტუმრა, შლაპა აიღო და წამით შეიცადა, ხომ არაფერი მავიწყდებაო... აღმოჩნდა, რომ არაფერი ავიწყდებოდა

გარდა იმისა, რისი დავიწყებაც თვითონვე უნდოდა – ცოლთან შესვლა.

„ჰო, მართლა! – სტეპან არკადიჩმა თავი ჩაღუნა, ლამაზ სახეზე სევდა აღებეჭდა, – შევიდე თუ არა!“ – ეკითხებოდა თავის თავს. შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ არ ღირდა შესვლა, რომ ეს სიყალბე იქნებოდა და მეტი არაფერი, მათი დამოკიდებულება მაინც ვერ შეიცვლებოდა, ვერ გამოსწორდებოდა, რადგან შეუძლებელი იყო, დოლი კვლავ მომხიბვლელ, ვნების აღმძვრელ არსებად ქცეულიყო ან თვით სტეპან არკადიჩი გარდაქმნილიყო ტრფიალების უნარმოკლებულ მოხუცად. ახლა სიყალბისა და სიცრუის მეტი არაფერი გამოვიდოდა აქედან, ამას კი ვერ ეგუებოდა მისი ბუნება.

„მაგრამ ოდესმე ხომ უნდა შევიდე, ასე ხომ არ შეიძლება ამ საქმის მიტოვება?“ – თქვა და შეეცადა გამბედაობა მოეკრიბა, წელში გასწორდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, ორჯერ გამოაბოლა, მერე პაპიროსი სადაფის ნიჟარაში ჩააგდო, აჩქარებული ნაბიჯით გაიარა მოწყენილი სასტუმრო და ცოლის საწოლი ოთახის კარი შეაღო.

IV

დარია ალექსანდროვნას სარჭებით კეფაზე აეკრიფა ოდესღაც ხშირი და მშვენიერი, ახლა კი შეთხელებული ნაწნავები; მისი დიდი, შიშჩამდგარი თვალები კიდევ უფრო დიდად მოჩანდნენ გამხდარ, მოქანცულ სახეზე; იგი კოფთის ამარა იდგა ღია შიფონიერის წინ, ოთახში მიმობნეულ ნივთებს შორის და რაღაცას ეძებდა. ქმრის ფეხის ხმა რომ გაიგონა, შეჩერდა, კარისკენ გაიხედა, ყოველნაირად შეეცადა ზიზღი და მრისხანება აღებეჭდა, მაგრამ ამაოდ. იგრძნო, რომ აშინებდა ქმარი, აშინებდა მასთან მომავალი შეხვედრა. ახლაც იმის გაკეთებას შეეცადა, რაც ამ სამი დღის განმავლობაში ათჯერ მაინც განიზრახა: დედასთან წასაღებად არჩევდა ბავშვებისა და თავის ნივთებს, მაგრამ საბოლოო ნაბიჯის გადადგმა მაინც ვერ გადაეწყვიტა. ახლაც, როგორც ამას წინათ, არწმუნებდა თავს, რომ ასე გაჩერება არ შეიძლება, რაღაც უნდა ეღონა, შეერცხვინა,

დაესაჯა ქმარი, მცირედით მაინც მიეზღო სამაგიერო იმ ტკივილისათვის, რაც მან განაცდევინა. კვლავ იმეორებდა, რომ მიატოვებდა ქმარს, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს შეუძლებელი იყო; შეუძლებელი იყო, რადგან ვერ გადაეჩვეოდა იმ აზრს, რომ იგი მისი ქმარი იყო, ვერ გადაეჩვეოდა მის სიყვარულს. გარდა ამისა, ისიც იცოდა, რომ თუ აქ, თავის სახლში, ძლივს აუდიოდა ხუთ შვილს, კიდევ უფრო გაუჭირდებოდა მათი მოვლა იქ, სადაც მათ წაყვანას აპირებდა. ახლაც, ამ სამი დღის განმავლობაში, უმცროსი ავად გაუხდა იმის გამო, რომ ცუდი ბულიონი აჭამეს. დანარჩენებიც გუშინ თითქმის უსადილონი დარჩნენ. დოლი გრძნობდა, რომ წასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც იტყუებდა თავს, ნივთებს არჩევდა და ვითომ წასასვლელად ემზადებოდა.

ქმრის დანახვაზე ხელები შიფონიერის უჯრაში ჩაყო, ვითომ რაღაცას ეძებდა და მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა თავს წამოადგა ქმარი. ამაოდ ჩაიარა მისმა ცდამ, მისი სახე სიმტკიცესა და შეუბრალებლობას კი არა, მხოლოდ დაბნეულობასა და მწუხარებას გამოხატავდა.

– დოლი! – ჩუმი, გაუბედავი ხმით დაიწყო სტეპან არკადიჩმა და თავი მხრებში ჩარგო; უნდოდა საცოდავი, მორჩილი შეხედულება ჰქონოდა, მაგრამ მაინც სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ჩანდა.

დოლიმ სწრაფად, თავით ფეხამდე ჩაათვალიერა სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე ქმარი. „დიახ, ბედნიერია და კმაყოფილი, – გაიფიქრა მან, – მე კი... ოჰ, როგორ მძულს მისი გულკეთილობა, რისთვისაც ასე უყვარს ყველას, რისთვისაც ყველანი აქებენ. მე კი სწორედ ეს გულკეთილობა მგვრის ზიზღს!“ – გაიფიქრა ეს და ტუჩები დაემანჭა, გაფითრებული, ნერვიული სახის მარჯვენა ლოყაზე კუნთი აუცახცახდა.

– რა გნებავთ? – სწრაფად, მკერდიდან ამოსული უცხო ხმით იკითხა დოლიმ.

– დოლი! – ხმის კანკალით გაიმეორა სტეპან არკადიჩმა, – ანა დღეს ჩამოვა.

– მერე, მე რა ვქნა! მე არ შემიძლია მისი მიღება! – წამოიყვირა დოლიმ.

– მაინც ხომ საჭიროა, დოლი!..

– მომშორდით, მომშორდით, მომშორდით! – ისე დაიკივლა დოლიმ, თითქოს ეს კივილი რაღაც ფიზიკურმა ტკივილმა გამოიწვიაო და კვლავ არ შეუხედავს ქმრისთვის.

სტეპან არკადიჩს შეეძლო დამშვიდებით ეფიქრა ცოლზე, შეეძლო დაეიმედებინა თავი, რომ, როგორც მატვეი ამბობდა, ყველაფერი მოგვარდებოდა, შეეძლო მშვიდად ეკითხა გაზეთი, დაელია ყავა, მაგრამ ახლა, დოლის ნაწამები, ტანჯული სახე რომ დაინახა, გაიგონა მისი ბედის მორჩილი, განწირული ხმა, სუნთქვა შეეკრა, ყელში რაღაც მოაწვა და თვალები ცრემლებით აევსო.

– ღმერთო, ეს რა ჩავიდინე! დოლი! ღვთის გულისათვის!.. მე ხომ... – და მეტის თქმა ვეღარ შეძლო, ცრემლები მოაწვა ყელში.

დოლიმ შიფონიერის კარი მიაჯახუნა და შეხედა ქმარს.

– დოლი! რა შემიძლია გითხრა. მხოლოდ ერთს გეტყვი: მაპატიე, მაპატიე... გაიხსენე, ნუთუ ცხრა წლის ერთად ცხოვრებას არ შეუძლია გამოისყიდოს წუთები... წუთები...

დოლიმ თვალები დახარა, ყური მიუგდო ქმარს, ელოდა, რას ეტყოდა; თითქოს ემუდარებოდა, ისეთი რამ ეთქვა, რომ გაექარწყლებინა მისი ეჭვი.

– წუთები გატაცებისა... – ძლივს ამოთქვა სტეპან არკადიჩმა და უნდოდა გაეგრძელებინა, მაგრამ ამ სიტყვებზე დოლის, თითქოს კვლავ რაღაც ფიზიკურმა შეაძრწუნაო, ისევ დაემანჭა ტუჩები, ისევ აუცახცახდა კუნთი მარჯვენა ლოყაზე.

– მომშორდით, მომშორდით თავიდან! – კიდევ უფრო ხმამაღლა დაიკივლა დოლიმ, – ნუღარ მელაპარაკებით თქვენს გატაცებებზე, ამ საძაგლობაზე...

დოლიმ წასვლა დააპირა, მაგრამ წაბარბაცდა და სკამის ზურგს შეაშველა ხელი. სტეპან არკადიჩს სახე გაუფართოვდა, ტუჩები აუთრთოლდა და თვალები ცრემლით აევსო.

– დოლი! – უკვე ქვითინებდა სტეპან არკადიჩი, – ღვთის გულისათვის, ბავშვებზე იფიქრე. ბავშვები უდანაშაულონი არიან. დამნაშავე მე ვარ და დამსაჯე. მიბრძანე, გამოვისყიდო ჩემი დანაშაული. ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია. დამნაშავე ვარ, სიტყვები არ მყოფნის იმის სათქმელად, თუ რაოდენ დამნაშავე ვარ! მაგრამ მაინც მაპატიე, დოლი!

დოლი დაჯდა. სტეპან არკადიჩს ესმოდა მისი მძიმე, ხმამაღალი სუნთქვა და გამოუთქმელად ებრალებოდა. დოლიმ რამდენჯერმე სცადა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ვერ შეძლო. სტეპან არკადიჩი ელოდა.

– შენ მხოლოდ სათამაშოდ გახსოვს ბავშვები, მე კი მახსოვს და ვიცი, რომ ახლა ისინი დაიღუპნენ, – თქვა ერთი იმ ფრაზათაგანი, რომელიც ამ სამი დღის განმავლობაში, ალბათ, რამდენჯერმე გაემეორებინა გულში.

დოლიმ „შენობით“ მიმართა ქმარს და სტეპან არკადიჩმა მადლიერებით გადახედა, წამოიწია, უნდოდა ხელზე ხელი მოეკიდა, მაგრამ დოლი ზიზღით განერიდა.

– მე მახსოვს ბავშვები და ქვეყანაზე რაღას არ ჩავიდენდი მათი ხსნისათვის. მაგრამ ახლა მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ვიხსნა: მოვაცილო ისინი მამას თუ დავტოვო გარყვნილ მამასთან. დიახ, გარყვნილ მამასთან... აბა, მითხარით, შესაძლებელია? – იმეორებდა დოლი და თანდათან ხმას უწევდა, – მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი უმიჯნურდება თავისი შვილების გუვერნანტს...

– რა ვქნა, როგორ მოვიქცე? – საცოდავად იმეორებდა სტეპან არკადიჩი და თვითონაც აღარ ესმოდა, რას ამბობდა, თან სულ უფრო დაბლა ხრიდა თავს.

– მე თქვენ მძულხართ, მეზიზღებით! – გაჰკიოდა დოლი და უფრო და უფრო ერეოდა სიბრაზე, – თქვენი ცრემლები წყალია, თქვენ არასოდეს გყვარებივართ! თქვენ არა გაქვთ არც გული, არც კეთილშობილება! თქვენ მე მძულხართ, მეზიზღებით, უცხო, დიახ, სრულიად უცხო ხართ ჩემთვის! – და მან გაბოროტებით, გულისტკივილით წარმოთქვა ეს მისთვის საზარელი სიტყვა – „უცხო“.

ობლონსკიმ შეხედა ცოლს და მის სახეზე გამოხატულმა გაბოროტებამ შეაშინა, გააოცა. ვერ მიმხვდარიყო, რომ მისი სიბრალული მოთმინებას აკარგვინებდა დოლის. ქალი მასში მარტოოდენ სიბრალულს ხედავდა და არა სიყვარულს. „არა, არა, ვძულვარ, არ მაპატიებს“, – გაიფიქრა სტეპან არკადიჩმა.

– ეს საშინელებაა, საშინელება! – თქვა მან.

ამ დროს მეორე ოთახში ბავშვი ატირდა. ეტყობოდა, წაიქცა. დარია ალექსანდროვნამ ყური მიუგდო ამ ხმას და სახეზე უცებ

ლმობიერება გამოეხატა.

რამდენიმე წამს, ეტყობა, გონს მოდიოდა, თითქოს ვერ მიმხვდარიყო, სად იყო ან რა უნდა გაეკეთებინა, მერე საჩქაროდ წამოდგა და კარისკენ გაემართა.

„ჩემი შვილი ხომ უყვარს, – გაიფიქრა სტეპან არკადიჩმა, როცა დაინახა, როგორ შეეცვალა დოლის სახე ბავშვის ტირილზე, – ჩემი შვილი. მაშ, როგორ შეიძლება მე ვძულდე?“.

– დოლი, ერთი სიტყვა კიდევ მათქმევინე, – უთხრა და უკან გაჰყვა.

– თუ უკან გამომყვებით, მე თავს შევუყრი მსახურებს, ბავშვებს. დაე, ყველამ გაიგოს, რა არამზადაც ბრძანდებით!.. მე დღესვე მივდივარ აქედან, თქვენ კი იცხოვრეთ აქ თქვენს საყვარელთან ერთად!..

დოლი ოთახიდან გავიდა, კარი გაიჯახუნა.

სტეპან არკადიჩმა ამოიოხრა, სახე მოიწმინდა და ნელი ნაბიჯით გასწია კარისკენ. „მატვეი ამბობს, მოგვარდებაო. როგორ უნდა მოგვარდეს? მე ამის შესაძლებლობასაც ვერ ვხედავ. უჰ, უჰ, უჰ, რა საშინელებაა! მერე როგორ უტიფრად გაჰკიოდა, – ამბობდა სტეპან არკადიჩი და ახსენდებოდა დოლის ყვირილი და სიტყვები: არამზადა, საყვარელი... – შეიძლება მოახლეებმა კიდეც გაიგონეს. საშინლად ტრივიალურია, საშინლად!.. – სტეპან არკადიჩმა რამდენიმე წამს კიდევ შეიცადა, თვალები მოიწმინდა, ამოიოხრა, მერე წელში გაიმართა და ოთახიდან გავიდა.

პარასკევი იყო და იმ დღეს გერმანელი მესაათე სასადილო ოთახში საათს მართავდა. სტეპან არკადიჩს გაახსენდა, როგორ იხუმრა ამ წესრიგის მოყვარულ მელოტ მესაათეზე: „ეს გერმანელი თვითონ არის დაქოქილი საიმისოდ, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება საათები ქოქოს“ და გაეღიმა. სტეპან არკადიჩს მოსწრებული ხუმრობა უყვარდა. „შეიძლება კიდეც მოგვარდეს! კარგი სიტყვაა „მოგვარდეს“, – გაიფიქრა მან, – სხვებსაც უნდა ვუთხრა!“

– მატვეი, – გასძახა მან, – მაშ, შენ მარიასთან ერთად ყველაფერი მოამზადე ზევით, დივანებიან ოთახში, ანა არკადიევნასთვის, – უთხრა მატვეის, რომელიც უკვე მის წინ

იდგა.

– ბატონი ბრძანდებით!

სტეპან არკადიჩმა ქურქი ჩაიცვა და პარმაღზე გავიდა.

– სადილად შინ მობრძანდებით? – შეეკითხა მატვეი და პარმაღზე გაჰყვა გასაცილებლად.

– ვნახოთ, როგორ მომიხერხდება. აჰა, სახარჯოდ გქონდეს! – უთხრა და საფულიდან ათი მანეთი ამოიღო, – გეყოფა?

– მეყოფა თუ არ მეყოფა, ჩანს, უნდა ვიმყოფინო! – უპასუხა მატვეიმ, კარეტის კარი მიუხურა და პარმაღზე ამობრუნდა.

ამასობაში დარია ალექსანდროვნამ ატირებული ბავშვი დააშოშმინა, კარეტის ხმაურზე მიხვდა, რომ ქმარი წავიდა და ისევ საწოლ ოთახში შეტრიალდა. ეს მისი ერთადერთი თავშესაფარი იყო, მხოლოდ აქ შეეძლო თავი დაეღწია ოჯახური საზრუნავებისაგან, გასვლისთანავე რომ შემოეჯარებოდა ხოლმე. ახლაც, ამ ცოტა ხნის განმავლობაში, ბავშვების ოთახში რომ გავიდა, ინგლისელმა ქალმა და მატრიონა ფილიმონოვნამ უკვე მოასწრეს რამდენიმე გადაუდებელი კითხვის მიცემა, რაზედაც მხოლოდ მას შეეძლო პასუხის გაცემა: რა ჩააცვან ბავშვებს სეირნობის დროს, დაალევინონ თუ არა რძე, გაგზავნონ თუ არა კაცი სხვა მზარეულის მოსაყვანად.

– ოჰ, დამანებეთ თავი, თავი დამანებეთ! – წამოიძახა დოლიმ და ისევ საწოლ ოთახს მიაშურა, იმავე ადგილას დაჯდა, სადაც ქმარს ელაპარაკებოდა, მუშტებად მოკუმშა გამხდარი ხელები, ბეჭდები რომ სძვრებოდა გალეული თითებიდან, და მთელი წეღანდელი ლაპარაკის გახსენებას შეეცადა; „წავიდა! ნეტავ რითი გაათავა საქმე იმ ქალთან, – ფიქრობდა იგი, – ნუთუ კიდევ ხვდება? რატომ არ შევეკითხე. არა, არა, ჩვენი შერიგება შეუძლებელია! ერთ სახლშიც რომ დავრჩეთ, მაინც უცხონი ვიქნებით ერთმანეთისათვის, სამუდამოდ უცხონი! – და ახლაც განსაკუთრებული გულისტკივილით გაიმეორა ეს მისთვის საზარელი სიტყვა, – მერე როგორ მიყვარდა! ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდა! როგორ მიყვარდა! და განა ახლაც არ მიყვარს? განა წინანდელზე მეტადაც არ მიყვარს? და, რაც მთავარია, საშინელებაა, რომ...“ – მაგრამ ფიქრი ვეღარ დაასრულა, კარში მატრიონა ფილიმონოვნამ შემოყო თავი.

– ხომ არ მიბრძანებთ, კაცი გავგზავნო ჩემი ძმის მოსაყვანად? – შეეკითხა იგი, – ყველაფერს მოამზადებდა სადილისათვის, თორემ გუშინდელივით ექვს საათამდე უჭმელნი დარჩებიან ბავშვები.

– ჰო, კარგი, ახლავე გამოვალ და ყველაფრის თადარიგს დავიჭერ. გაგზავნეთ ვინმე ახალი რძის მოსატანად?

და დარია ალექსანდროვნა ყოველდღიურ საზრუნავში ჩაეფლო, რომ დროებით ისევ ამაში ჩაეხშო თავისი მწუხარება.

V

სტეპან არკადიჩი თავისი ნიჭის წყალობით სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ ზარმაცი და ცელქი იყო და ამიტომაც დიდი ვაი-ვაგლახით დაამთავრა სასწავლებელი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, არც წარჩინება ჰქონდა და წლოვანებითაც ახალგაზრდა იყო, მაინც მოსკოვის ერთ-ერთი საკრებულოს უფროსის ეს ადგილი ობლონსკიმ თავისი დის, ანას ქმრის, ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინის წყალობით მიიღო. მას ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა იმ სამინისტროში, რომელსაც ეს საკრებულო ექვემდებარებოდა. მაგრამ კარენინიც რომ არ ყოფილიყო და თავისი ცოლისძმა იმ ადგილზე არ დაენიშნა, სტივა ობლონსკი მაინც მიიღებდა ამ ადგილს ან სხვა ამდაგვარს, უამრავი ახლობლის – ძმების, დების, ნათესავების, ბიძაშვილების, ბიძებისა და მამიდების წყალობით, ექნებოდა ექვსი ათასი მანეთი ჯამაგირი, რომელიც აუცილებელი იყო მისთვის, რადგან, მიუხედავად ცოლის კარგი ქონებისა, საქმეები მაინც აწეწილი ჰქონდა.

ნახევარი მოსკოვი და პეტერბურგი სტეპან არკადიჩის მეგობარი ან ნათესავი იყო. იგი დაიბადა იმ ადამიანთა შორის, რომელნიც იყვნენ ან შემდეგში გახდნენ ძლიერნი ამა სოფლისანი. სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი მესამედი, უკვე

ხანში შესული პირნი, მამამისის მეგობრები იყვნენ და ბავშვობიდანვე იცნობდნენ ობლონსკის; მეორე მესამედი „შენობით“ ელაპარაკებოდა, მესამენი კი მისი კარგი ნაცნობები იყვნენ. ასე რომ, ამქვეყნიურ სიკეთეთა – ადგილების, იჯარების, კონცესიებისა და სხვათა გამანაწილებელნი ყველანი მისი მეგობრები იყვნენ და თავისიანს გვერდს ვერ აუვლიდნენ; და ობლონსკისთვის დიდი ცდაც არ იყო საჭირო კარგი ადგილის მისაღებად. მხოლოდ ეს იყო, უარი არ უნდა ეთქვა, არ უნდა შეშურებოდა სხვისი, არ უნდა ეჩხუბა, არ უნდა სწყენოდა რამე, ამას კი მისთვის ჩვეული გულკეთილობის წყალობით არასოდეს სჩადიოდა. ობლონსკის სიცილადაც კი არ ეყოფოდა, ვინმეს რომ ეთქვა, შენ რომ გჭირდება, ისეთ ჯამაგირიან ადგილს ვერ მიიღებო. მით უმეტეს, რომ განსაკუთრებულს არაფერს მოითხოვდა; მხოლოდ იმდენი უნდოდა, რამდენსაც მისი თანატოლები იღებდნენ. ამგვარი თანამდებობის შესრულება კი ობლონსკის სხვაზე ნაკლებად როდი შეეძლო.

სტეპან არკადიჩი მარტო იმათ როდი უყვარდათ, ვინც იცნობდა ან ვინც მისი კეთილი გულის, მხიარული ხასიათისა და ჭეშმარიტი პატიოსნების ამბავი იცოდა; მისი ლამაზი, ბრწყინვალე გარეგნობა, მოციმციმე თვალები, შავი წარბები და თმა, თეთრი, ღაჟღაჟა სახე ერთგვარ მხიარულ, მეგობრულ გრძნობას უღვიძებდა ყველას, ვინც კი მას შეხვდებოდა. „ოჰო! სტივა! ობლონსკი! აი, ისიც!“ – თითქმის ყოველთვის მხიარული ღიმილით იმეორებდნენ მის დანახვაზე. ხშირად ისეც მომხდარა, რომ მასთან შეხვედრას განსაკუთრებით სასიხარულო არაფერი გამოუწვევია, მაგრამ მეორე-მესამე დღეს მაინც ყველა ისევ ისეთივე სიხარულით ხვდებოდა ობლონსკის.

მესამე წელი იყო, რაც სტეპან არკადიჩი მოსკოვის ერთ-ერთი საკრებულოს უფროსად მსახურობდა და გარდა სიყვარულისა, პატივისცემაც დაიმსახურა თავისი თანამშრომლების, ხელქვეითების, უფროსებისა და ყველა იმ პირთაგან, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა მასთან. მთავარი თვისება სტეპან არკადიჩისა, რამაც საყოველთაო პატივისცემა მოუხვეჭა სამსახურში, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი განსაკუთრებით შემწყნარებელი იყო ადამიანების მიმართ, რადგანაც კარგად ჰქონდა შეცნობილი საკუთარი ნაკლოვანებები; მეორე მისი თვისება გახლდათ ნამდვილი

ლიბერალობა და არა ის, რაც გაზეთებიდან ამოეკითხა, ლიბერალობა, რომელიც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი და რომლის წყალობითაც ერთნაირად, თანაბრად ექცეოდა ყველა ადამიანს, რა შეძლებისა და წოდებისაც უნდა ყოფილიყო იგი; მესამე და უმთავრესი თვისება იყო სრული გულგრილობა იმ საქმისადმი, რასაც აკეთებდა, რასაც არასოდეს გაუტაცია და არც შეცდომები ჰქონია.

სამსახურში რომ მივიდა, სტეპან არკადიჩმა, რომელსაც მოკრძალებით მიჰყვებოდა მეკარე პორტფელით ხელში, თავის პატარა კაბინეტში შეიარა, მუნდირი გადაიცვა და საკრებულოში შევიდა. გადამწერები და თანამშრომლები ყველანი ფეხზე წამოდგნენ და მხიარულად, მოკრძალებით მიესალმნენ. სტეპან არკადიჩი, როგორც ყოველთვის, ახლაც სწრაფი ნაბიჯით გაემართა თავისი ადგილისაკენ, წევრებს ხელი ჩამოართვა და დაჯდა. ცოტა გაიხუმრა, ისაუბრა კიდეც, სწორედ იმდენი, რამდენსაც თავაზიანობა მოითხოვდა, და თავის საქმიანობას შეუდგა. სტეპან არკადიჩზე უკეთ არავის შეეძლო დაედო ის ზღვარი თავისუფლებას, უბრალოებასა და ოფიციალურობას შორის, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა საქმის კეთება სიამოვნებად იქცეს. როგორც ყველა იქ მყოფნი, მდივანიც მხიარულად და მოკრძალებით ეახლა, ქაღალდები წარუდგინა და სტეპან არკადიჩის მიერ შემოღებული ფამილარულ-ლიბერალური ტონით უთხრა: – როგორც იქნა, მივიღეთ ცნობები პენზის საგუბერნიო სამმართველოდან. ხომ არ ინებებთ...

– ბოლოს და ბოლოს მივიღეთ, არა? – თქვა სტეპან არკადიჩმა და სათითაოდ ჩააწყო ქაღალდები, – აბა, ბატონებო... – და სხდომა დაიწყო.

„რომ იცოდნენ, რა დამნაშავე ბიჭის მდგომარეობაში იყო მათი თავმჯდომარე ამ ნახევარი საათის წინ“, – ფიქრობდა სტეპან არკადიჩი, როცა თავდახრილი, სახის მნიშვნელოვანი გამომეტყველებით ისმენდა მოხსენებას და თვალები უცინოდა მოხსენების კითხვის დროს. ორ საათამდე სხდომა შეუწყვეტლივ უნდა გაგრძელებულიყო, ორ საათზე კი დანიშნული იყო შესვენება და საუზმე.

ორი საათი ჯერ არ შესრულებულიყო, როცა საკრებულოს დარბაზის დიდი მინის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა. მართლმსაჯულების მსახურთ გაუხარდათ, რომ რაღაც

გასართობი გაუჩნდათ, ყველამ კარისკენ მიიხედა. მაგრამ კართან მდგარმა დარაჯმა მაშინვე გააძევა შემოსული და დიდი მინის კარი მიხურა.

საქმის კითხვას რომ მორჩნენ, სტეპან არკადიჩი ზმორებით წამოდგა და, თითქოს ამით ხარკს უხდისო ლიბერალურ დროს, საკრებულოშივე ამოიღო პაპიროსი და თავისი კაბინეტისაკენ გასწია. მისი ორი ამხანაგი, ძველი მოხელე ნიკიტინი და კამერ-იუნკერი გრინევიჩი უკან გაჰყვნენ.

– საუზმის შემდეგ მოვასწრებთ დამთავრებას, – დასძინა სტეპან არკადიჩმა.

– მოსასწრები რაღა გვაქვს! – თქვა ნიკიტინმა.

– დიდი გაიძვერა კი უნდა იყოს ეს ფომინი, – შენიშნა გრინევიჩმა ერთ-ერთი პირის შესახებ, რომელიც მათ გასარჩევ საქმეში ერია.

გრინევიჩის ამ სიტყვებზე სტეპან არკადიჩმა შუბლი შეიკრა, ამით აგრძნობინა, წინასწარ აზრის გამოტანა წესი არ არისო, თქმით კი არაფერი უპასუხა.

– ვინ იყო, დარბაზში რომ შემოვიდა? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა დარაჯს.

– ვიღაც უცხო გახლდათ, თქვენო აღმატებულებავ, დაუკითხავად შემოიჭრა, სწორედ ის იყო, მოვცილდი კარს. თქვენ გკითხულობდნენ. მე ვუთხარი, წევრები რომ გამოვლენ, მაშინ...

– ახლა სად წავიდა?

– წინკარში თუ გავიდა, სულ აქ ტრიალებდა. აი, ეს იყო, – თქვა დარაჯმა და მიუთითა მაგარი აგებულების, მხარბეჭიან, ხუჭუჭწვერიან მამაკაცზე, რომელსაც თავზე ცხვრის ტყავის ქუდი ეხურა და მკვირცხლად, მსუბუქად ამორბოდა ქვის გაცვეთილ კიბეზე. ვიღაც გამხდარი, პორტფელიანი მოხელე, რომელიც ქვევით აპირებდა ჩასვლას, კიბესთან შეჩერდა, ათვალწუნებით დახედა უცნობს ფეხებზე და თან ისე გახედა სტეპან არკადიჩს, თითქოს რაღაცის კითხვა სწადიაო.

სტეპან არკადიჩი კიბის თავში იდგა. კეთილი სახე, რომელსაც სხივს მატებდა მუნდირის ამოქარგული საყელო, კიდევ უფრო

გაუბრწყინდა, როცა ზევით მომავალი შეიცნო.

– სწორედ ის არის, ლევინი! ძლივს არ ჩამოხვედი! – თქვა მან და მეგობრულად, ოდნავ დამცინავი ღიმილით შეათვალიერა მისკენ მომავალი ლევინი, – როგორ არ შეგეზარა ამ ბუნაგში ჩემი მოძებნა? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ხელის ჩამორთმევა აღარ აკმარა, გადაკოცნა მეგობარი, – დიდი ხანია ჩამოხვედი?

– ახლა ჩამოვედი და ძალიან მინდოდა შენი ნახვა, – უპასუხა ლევინმა, თან მორცხვად და ამავე დროს მწყრალად, შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ.

– აბა, წავიდეთ კაბინეტში, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელმაც იცოდა თავისი მეგობრის თავმოყვარეობისა და გაგულისებული მორცხვობის ამბავი, ხელი წაავლო ლევინს და ისე გაიყოლა უკან, თითქოს რაიმე განსაცდელი აქვს გასავლელიო.

სტეპან არკადიჩი „შენობით“ ელაპარაკებოდა თითქმის ყველა ნაცნობს: სამოცი წლის მოხუცებს, ოცი წლის ჭაბუკებს, მსახიობებს, მინისტრებს, ვაჭრებს, გენერალ-ადიუტანტებს, ასე რომ, ბევრი მათგანი, რომლებთანაც „შენობით“ ლაპარაკობდა სტეპან არკადიჩი, საზოგადოებრივი კიბის ორ უკიდურეს საფეხურზე იდგა და მათ, ალბათ, ძალიან გაუკვირდებოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ ობლონსკის საშუალებით რაღაც საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან. იგი „შენობით“ ელაპარაკებოდა ყველას, ვისთანაც შამპანური დაელია, შამპანურს კი ყველასთან სვამდა, ამიტომაც როცა ხელქვეითების თანდასწრებით შეხვდებოდა რომელიმე სამარცხვინო „შენ“, როგორც ხუმრობით ეძახდა ბევრ თავის ნაცნობს, ჩვეული ტაქტიკით ახერხებდა ამ უსიამოვნო შთაბეჭდილების გაქარწყლებას ხელქვეითების წინაშე: ლევინი არ იყო მისი „სამარცხვინო შენ“, მაგრამ ობლონსკიმ თავისი ტაქტის წყალობით იგრძნო, ლევინმა შეიძლება იფიქროს, რომ მე, ჩემი ხელქვეითების თანდასწრებით, არ მსურს მასთან ახლო ურთიერთობის გამჟღავნებაო და ამიტომაც საჩქაროდ შეუძღვა კაბინეტში.

ლევინი თითქმის ობლონსკის ხნისა იყო და ობლონსკი მარტო შამპანურის გამო როდი ელაპარაკებოდა „შენობით“. ლევინი მისი ამხანაგი და სიყრმის მეგობარი გახლდათ, მიუხედავად

იმისა, რომ სხვადასხვა ხასიათი და გემოვნება ჰქონდათ, უყვარდათ ერთმანეთი, როგორც შეეფერებათ სიყვარული სიყრმიდანვე თანშეზრდილ მეგობრებს. მაგრამ მაინც, როგორც ეს ხშირად ემართებათ ადამიანებს, რომელთაც სხვადასხვა ასპარეზი აირჩიეს სამოღვაწეოდ, თითოეული გულში დასცინოდა მეორის საქმიანობას, თუმცა, როცა ჩაუფიქრდებოდნენ, გონებაში კიდეც ამართლებდნენ ერთმანეთს. თითოეულ მათგანს ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ მისი არჩეული ცხოვრება არის ერთადერთი ნამდვილი ცხოვრება, ხოლო მეგობრის მიერ არჩეული გზა მხოლოდ აჩრდილია სინამდვილისა. ლევინის დანახვაზე ობლონსკიმ ვეღარ შეიკავა ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილი. უკვე მერამდენეჯერ ხედავდა მოსკოვში სოფლიდან ჩამოსულ ლევინს, რომელიც რაღაც საქმიანობას ეწეოდა სოფლად, მაგრამ სახელდობრ რას აკეთებდა, ეს კარგად ვერასოდეს გაეგო და არც აინტერესებდა. ლევინი ყოველთვის აღელვებული ჩამოდიოდა მოსკოვში, მუდამ ჩქარობდა, სულ რაღაც აწუხებდა და თვითონვე აბრაზებდა ეს წუხილი, თან უმთავრესად სულ ახალ-ახალი და მოულოდნელი შეხედულებები ჩამოჰქონდა. სტეპან არკადიჩი დასცინოდა ამის გამო და თან მოსწონდა ყოველივე ეს. სწორედ ასევე ლევინიც გულში დასცინოდა თავისი მეგობრის ქალაქურ ცხოვრებასა და მის სამსახურს, რომელიც სისულელედ მიაჩნდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ობლონსკი აკეთებდა იმას, რასაც ყველა აკეთებს, და თავდაჯერებით, გულკეთილად იცინოდა, ლევინს კი არ ჰქონდა ეს თავდაჯერება და ზოგჯერ მის სიცილში გაგულისებაც იგრძნობოდა.

– ჩვენ დიდი ხანია გელოდით, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, როცა კაბინეტში შევიდნენ, თან ისე გაუშვა ხელი, თითქოს ეუბნებოდა, ახლა კი საფრთხე აღარ არის მოსალოდნელიო, – ძალიან, ძალიან მიხარია შენი ნახვა, – განაგრძო მან, – რას შვრები? როგორა ხარ? როდის ჩამოხვედი?

ლევინი ხმას არ იღებდა, ათვალიერებდა მისთვის უცხო პირებს, ობლონსკის ორ ამხანაგს, განსაკუთრებით კი კოხტად გამოწყობილ გრინევიჩს, რომელსაც ისეთი თეთრი, გრძელი თითები და გრძელი, გაყვითლებული, ბოლოში მოკაუჭებული ფრჩხილები ჰქონდა, პერანგზედაც ისეთი დიდი, ბრჭყვიალა საკინძეები ეკეთა, რომ ამ ხელებმა მთლიანად შთანთქა ლევინის ყურადღება და თავისუფალი აზროვნების საშუალება

წაართვა. ობლონსკიმ მაშინვე შენიშნა ეს და გაეღიმა.

– ჰო, მართლა, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ, – თქვა ობლონსკიმ, – ჩემი ამხანაგები: ფილიპ ივანიჩ ნიკიტინი და მიხაილ სტანისლავიჩ გრინევიჩი, – მერე ლევინისაკენ მიბრუნდა, – ერობის მოღვაწე, ახალი ერობის ადამიანი, გიმნასტი, რომელიც ცალი ხელით ხუთ ფუთს სწევს, მესაქონლე, მონადირე და ჩემი მეგობარი, კონსტანტინ დმიტრიჩ ლევინი, სერგეი ივანიჩ კოზნიშევის ძმა.

– ფრიად სასიამოვნოა, – თქვა ნიკიტინმა.

– მაქვს პატივი ვიცნობდე თქვენს ძმას, სერგეი ივანიჩს, – უთხრა გრინევიჩმა და თავისი გამხდარი, გრძელფრჩხილებიანი ხელი გაუწოდა.

ლევინი მოიღუშა, უგულოდ ჩამოართვა ხელი და მაშინვე ობლონსკის მიუბრუნდა. მართალია, დიდ პატივს სცემდა თავის ნახევარძმას, მთელ რუსეთში ცნობილ მწერალს, მაგრამ საშინლად სძულდა, როცა მას მიმართავდნენ როგორც ცნობილი კოზნიშევის ძმას და არა როგორც კონსტანტინ ლევინს.

– არა, მე უკვე აღარა ვარ ერობის მოღვაწე. იქ უკვე წავეჩხუბე ყველას და აღარც კრებებზე დავდივარ, – უთხრა ობლონსკის.

– ასე მალე! – ღიმილით შენიშნა ობლონსკიმ, – რატომ, რისთვის?

– გრძელი ამბავია. მოგიყვები ოდესმე, – უთხრა ლევინმა, მაგრამ მაშინვე დაიწყო მოყოლა, – მოკლედ რომ ვთქვათ, დავრწმუნდი, რომ არავითარი საერობო მოღვაწეობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს! – ამას ისე ამბობდა, თითქოს ახლა აწყენინაო ვინმემ, – ერთი მხრივ, ეს თამაშობაა, პარლამენტობანას თამაშობენ, მე კი არც ისე ახალგაზრდა ვარ და არც ისე მოხუცი, რომ სათამაშოებით გავერთო; მეორე მხრივ (ლევინს ენა დაება), ეს არის ფულის მოგების საშუალება სამაზრო coterie-ისთვის[2]. წინათ იყო მეურვეობა, სასამართლო, ახლა კი ერობაა, მაგრამ ახლა ქრთამად კი არ იღებენ ფულს, დაუმსახურებელ ჯამაგირებს იღებენ! – ლევინი ისე გაცხარებით ლაპარაკობდა, თითქოს ვინმე დამსწრეთაგანი ედავებოდა.

– ოჰო! – როგორც ვხედავ, შენთვის უკვე დაიწყო ახალი ფაზა, – კონსერვატიული ფაზა, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – თუმცა ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

– დიახ, შემდეგ ვილაპარაკოთ. ჩემთვის ძალიან საჭირო იყო შენი ნახვა, – უთხრა ლევინმა და სიძულვილით დააჩერდა გრინევიჩის ხელს.

სტეპან არკადიჩმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

– შენ არ ამბობდი, აღარასოდეს ჩავიცვამო ევროპულ ტანსაცმელს? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და შეათვალიერა მისი ახალი ტანისამოსი, რომელიც, ეტყობა, ფრანგი მკერავის ნახელავი უნდა ყოფილიყო, – მაშ, ასე! როგორც ვხედავ, უკვე დაიწყო ახალი ფაზა.

ლევინი უცებ წამოწითლდა, ისე კი არა, როგორც წითლდებიან მოზრდილები, ოდნავ, თვითონაც რომ ვერ ამჩნევენ თავიანთ სიწითლეს – ასეთი გაწითლება სჩვევიათ მხოლოდ ბავშვებს, რომლებიც გრძნობენ, რომ სასაცილოა მათი მორცხვობა და ამის გამო კიდევ უფრო მეტად რცხვენიათ, წითლდებიან, ისე, რომ ატირებას აღარაფერი უკლიათ. და იმდენად უცნაური იყო ამ ჭკვიანური, ვაჟკაცური სახის ასე ბავშვურად გაწითლება, რომ ობლონსკიმ თვალი აარიდა.

– ჰო, სად შევხვდეთ ერთმანეთს? ჩემთვის ძალიან, ძალიან საჭიროა შენთან ლაპარაკი, – უთხრა ლევინმა.

ობლონსკი თითქოს ჩაფიქრდა.

– იცი, რას გეტყვი! გურინთან წავიდეთ სასაუზმოდ და იქ მითხარი. სამ საათამდე თავისუფალი ვარ.

– არა, – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა ლევინმა, – სხვაგანაც ვარ მისასვლელი.

– მაშ, ერთად ვისადილოთ.

– ერთად ვისადილოთ? მე ისეთი არაფერი მაქვს სათქმელი, ორიოდე სიტყვა მინდა გითხრა, უნდა გკითხო რაღაც, მერე კი ვიმუსაიფოთ.

– მაშ, ახლავე მითხარი ეგ ორიოდე სიტყვა, მუსაიფით კი სადილზე ვიმუსაიფოთ.

– აი, რა მინდოდა მეთქვა, – დაიწყო ლევინმა, – თუმცა განსაკუთრებული არაფერია.

ამ წუთში ლევინს რაღაც გაბოროტება გამოეხატა სახეზე, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ძალას ატანდა თავს, როგორმე დაეძლია მორცხვობა.

– როგორ არიან შჩერბაცკები? ისევ ძველებურად ცხოვრობენ? – იკითხა მან.

სტეპან არკადიჩმა უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ ლევინს მისი ცოლისდა კიტი უყვარდა, და ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

– შენ მითხარი, ორიოდე სიტყვაო, მე კი ორიოდე სიტყვით არ შემიძლია პასუხი მოგცე, რადგან... ბოდიში, ერთი წუთით მოითმინე...

კაბინეტში შემოვიდა მდივანი ქაღალდებით ხელში, ობლონსკისთან მივიდა და ერთგვარი ფამილარული პატივისცემით, თავმდაბლად დაუწყო რაღაც ძნელად გასარკვევი საქმის განმარტება, თან ამას რომ ეუბნებოდა, ისეთი ტონი ჰქონდა, როგორც საერთოდ სჩვევიათ ხოლმე მდივნებს, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ მათ უფროსზე უკეთ გაეგებათ საქმის ვითარება. სტეპან არკადიჩმა ბოლომდე არ მოუსმინა მდივანს, ალერსით დაადო ხელი სახელოზე და უთხრა: – არა, თქვენ ისე გააკეთეთ, როგორც გითხარით, – თან ღიმილით შეარბილა თავისი შენიშვნა და მოკლედ განუმარტა, როგორ ესმოდა ეს საქმე, მერე ქაღალდები იქით გასწია და უთხრა, – ასე გააკეთეთ, გეთაყვა, ზახარ ნიკიტიჩ, ასე გააკეთეთ.

დარცხვენილი მდივანი ოთახიდან გავიდა. ამასობაში სანამ ობლონსკი მდივანს ელაპარაკებოდა, ლევინმა სავსებით დასძლია მორცხვობა, ორივე ხელით სკამზე დაყრდნობილი იდგა და სახეზე დამცინავი ყურადღება ეხატებოდა.

– ჩემთვის გაუგებარია, გაუგებარი, – თქვა მან.

– რა არის გაუგებარი? – მხიარული ღიმილით შეეკითხა ობლონსკი და პაპიროსი ამოიღო. ელოდა, რომ ლევინი ისევ რაღაც უცნაურს იტყოდა.

– ვერ გამიგია, რას აკეთებთ, – თქვა ლევინმა და მხრება აიჩეჩა,

– როგორ შეგიძლია ამ საქმის სერიოზულად კეთება?

– რატომ?

– იმიტომ, რომ არაფერია გასაკეთებელი.

– შენ ეგრე გგონია, ჩვენ კი ყელამდე ვართ ჩაფლული საქმეებში.

– ქაღალდის საქმეებში. ამაში კი ყოჩაღი ხარ, – დაუმატა ლევინმა.

– ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ მე რაღაც ნაკლი მაქვს?

– შეიძლება გაქვს კიდეც, – უთხრა ლევინმა, – მაგრამ მე მაინც ვტკბები შენი სიდიადით და ვამაყობ, რომ ჩემი მეგობარი ასეთი დიდი კაცია. თუმცა ჩემს შეკითხვაზე პასუხი არ გაგიცია, – დაუმატა მან და თავს ძალა დაატანა, პირდაპირ სახეში შეეხედა ობლონსკისთვის.

– ჰო, კარგი, კარგი! ცოტა ხანს მოიცადე, შენც მოხვალ აქამდე. კარგია, რომ კარაზინის მაზრაში გაქვს სამი ათასი დესეტინა, თან ასეთი კუნთები და თორმეტი წლის გოგოს სინორჩე, მაგრამ მაინც მოხვალ ჩვენთან. შენ რომ მკითხე, იმაზე კი გეტყვი: ცვლილება არაფერია, მაგრამ სამწუხაროა, ამდენ ხანს რომ არ ჩამოხვედი.

– მერე რა, რომ არ ჩამოვედი? – შიშით იკითხა ლევინმა.

– არაფერი, – უპასუხა ობლონსკიმ, – ამაზე მერე ვილაპარაკოთ. მაინც რისთვის ჩამოხვედი?

– ჰო, ამაზედაც შემდეგ მოვილაპარაკოთ, – თქვა ლევინმა და ისევ ყურის ძირებამდე გაწითლდა.

– კეთილი, გასაგებია, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – იცი, რას გეტყვი, სახლში მიგიწვევდი, მაგრამ ცოლი შეუძლოდ არის, ხოლო შჩერბაცკების ნახვა თუ გინდა, ისინი დღეს, ალბათ, ოთხიდან ხუთამდე ზოოლოგიურ პარკში იქნებიან. კიტი ციგურაობას სწავლობს. შენ წადი იქ, მეც გამოვივლი და მერე ერთად ვისადილოთ სადმე.

– ძალიან კარგი, ნახვამდის.

– მხოლოდ, შენი ამბავი რომ ვიცი, არ დაგავიწყდეს ან უეცრად

სოფლისკენ არ მოკურცხლო! – სიცილით მიაძახა სტეპან არკადიჩმა.

– არა, ნამდვილად მოვალ.

კარში რომ გადიოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, ობლონსკის მეგობრებთან გამომშვიდობება დამავიწყდაო, მაგრამ მაინც გავიდა კაბინეტიდან.

– მეტად ენერგიული კაცი ჩანს, – თქვა გრინევიჩმა, როცა ლევინი გავიდა.

– დიახ, ბატონო ჩემო, – თავის ქნევით უთხრა ობლონსკიმ, – აი, ბედნიერი კაცი! სამი ათასი დესეტინა აქვს კარაზინის მაზრაში, მომავალი წინა აქვს და თანაც ასე ყოჩაღად არის. ჩვენ კი არა გვგავს!

– თქვენ რაღა გაქვთ სასაყვედურო, სტეპან არკადიჩ?

– ცუდად არის საქმე, ცუდად, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა და ღრმად ამოიოხრა.

VI

როდესაც სტეპან არკადიჩმა ჰკითხა ლევინს, მაინც რისთვის ჩამოხვედიო, ლევინი გაწითლდა და გაჯავრდა საკუთარ თავზე, გაჯავრდა იმიტომ, რომ გაწითლდა და ვერ შეძლო პირდაპირ ეთქვა ობლონსკისათვის: იმიტომ ჩამოვედი, რომ შენს ცოლისდას ხელი ვთხოვოო, თუმცა მხოლოდ ამისათვის კი იყო ჩამოსული.

ლევინებისა და შჩერბაცკების ოჯახი ძველი, მოსკოველ თავადთა ოჯახები იყო და ყოველთვის ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა ლევინის სტუდენტობის დროს. ლევინი კიტისა და დოლის ძმასთან, ახალგაზრდა თავად შჩერბაცკისთან ერთად ემზადებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად და ერთადაც შევიდნენ უნივერსიტეტში. ამ ხანებში ლევინი ხშირი სტუმარი იყო შჩერბაცკებისა და

შეუყვარდა კიდეც მათი სახლი. შეიძლება ეს უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ კონსტანტინ ლევინს სწორედ მათი სახლი, მათი ოჯახი შეუყვარდა და განსაკუთრებით კი ამ ოჯახის ქალები. თვით ლევინს არ ახსოვდა დედა, ერთადერთი და კი უფროსი იყო მასზე, ასე რომ, შჩერბაცკების სახლში პირველად ნახა სწორედ ის ძველი თავადაზნაურული, განათლებული და პატიოსანი ოჯახური წრე, რასაც მშობლების გარდაცვალების გამო მოკლებული იყო ლევინი. ამ ოჯახის ყველა წევრი და განსაკუთრებით კი ქალები ლევინს რაღაც იდუმალი, პოეტური საბურვლით მოსილნი ეჩვენებოდნენ. ამ პოეტურ საბურველს იქით კი იგი ვერ ამჩნევდა არათუ რაიმე ნაკლს, არამედ ყველანი უაღრესად ზეამაღლებული გრძნობების მქონე, ყოველმხრივ სრულქმნილ ადამიანებად ეჩვენებოდნენ. რად სჭირდებოდათ ამ ქალიშვილებს დღეგამოშვებით ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკი; განსაზღვრულ საათებში რიგრიგობით რატომ უკრავდნენ ფორტეპიანოს, რომლის ხმაც ზევით ძმის ოთახამდე აღწევდა, სადაც მეცადინეობდნენ ხოლმე სტუდენტები; რისთვის დადიოდნენ ფრანგული ლიტერატურის, მუსიკის, ხატვისა და ცეკვის მასწავლებლები; რატომ იყო, რომ განსაზღვრულ საათებში სამივე ქალიშვილი m-lle Linon-ის თანხლებით ეტლით მიადგებოდა ტვერის ბულვარს, ატლასის ქათიბებში გამოწყობილნი: დოლის გრძელი ქათიბი ეცვა, ნატალის – ნახევრად გრძელი, კიტის – სულ მოკლე, ისე, რომ მთლიანად მოუჩანდა წითელ, მაღალ წინდებში გამოკვართული მოყვანილი, პატარა ფეხები; რატომ უნდა ესეირნათ ტვერის ბულვარზე, რატომ უნდა ხლებოდათ ლაქია, რომელსაც ქუდს ოქროს კოკარდა უმშვენებდა, ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ, რაც მათ იდუმალებით მოცულ სამყაროში ხდებოდა, გაუგებარი იყო ლევინისთვის, მაგრამ იცოდა, რომ ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, მშვენიერი იყო და სწორედ ეს იდუმალება ხიბლავდა და იზიდავდა ყველაზე მეტად.

სტუდენტობის დროს ლევინს კინაღამ შეუყვარდა უფროსი და – დოლი, მაგრამ იგი მალე მიათხოვეს ობლონსკის. შემდეგ მეორე დის შეყვარება სცადა, თითქოს გრძნობდა, რომ რომელიმე მათგანი უნდა შეჰყვარებოდა, მაგრამ სახელდობრ რომელი, ვერ გარკვეულიყო, მაგრამ როგორც კი ნატალი საზოგადოებაში გამოჩნდა, მაშინვე გააყოლეს დიპლომატ ლვოვს. კიტი ჯერ ისევ ბავშვი იყო, ლევინი რომ

უნივერსიტეტიდან გამოვიდა. ახალგაზრდა შჩერბაცკიმ ფლოტში დაიწყო სამსახური, ბალტიის ზღვაში დაიხრჩო და ლევინიც იშვიათად დადიოდა შჩერბაცკების ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ ობლონსკი მისი მეგობარი იყო. წელს კი, ზამთრის დამდეგს, როცა ლევინი ერთი წლით სოფელში ყოფნის შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა და ინახულა შჩერბაცკები, მიხვდა, იმ სამ დაში ნამდვილად რომლის სიყვარული ეწერა.

თითქოს არაფერი იყო იმაზე იოლი, რომ მას, ოცდათორმეტი წლის კაცს, კარგ ოჯახიშვილს, უფრო მდიდარს, ვიდრე ღარიბს, თავადის ასულ შჩერბაცკაიას ხელი ეთხოვა. ეჭვი არ იყო, მაშინვე კარგ სასიძოდ მიიჩნევდნენ. მაგრამ ლევინი შეყვარებული გახლდათ და ამიტომაც ეჩვენებოდა, რომ კიტი იმდენად სრულქმნილი იყო ყოველმხრივ, იმდენად ზეამაღლებული, თვითონ კი იმდენად მიწიერი და მდაბალი, რომ ფიქრიც არ შეიძლებოდა, თუ თვით კიტი ან ვინმე სხვა მას კიტის ღირსად მიიჩნევდა.

ლევინმა თითქოს ბურანში გაატარა ორი თვე მოსკოვში, თითქმის ყოველდღე ხვდებოდა კიტის მაღალ საზოგადოებაში, სადაც მასთან შესახვედრად დადიოდა, მერე უეცრად გადაწყვიტა, რომ ეს შეუძლებელი იყო და სოფელში წავიდა.

ლევინის რწმენა – ეს ქორწინება შეუძლებელიაო, იმ აზრს ემყარებოდა, რომ კიტის მშობლებსა და ახლობლებს იგი შეუფერებელ, არახელსაყრელ საქმროდ უნდა მოსჩვენებოდათ მშვენიერი კიტისთვის. თვით კიტის კი არ შეეძლო მისი შეყვარება. მშობლების თვალში ლევინს არ ჰქონდა რაიმე ჩვეულებრივი, გარკვეული საქმიანობა და მდგომარეობა საზოგადოებაში, მაშინ როცა უკვე ოცდათორმეტი წლისა იყო და მისი ამხანაგები, ვინ პოლკოვნიკი ან ფლიგელ-ადიუტანტი იყო, ვინ პროფესორი, ვინ ბანკის ან რკინიგზის დირექტორი, ვინ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც, მაგალითად, ობლონსკი; ლევინი კი (მან ძალიან კარგად იცოდა, რა აზრისა უნდა ყოფილიყვნენ მის შესახებ) იყო მემამულე, გატაცებული ძროხების მოშენებით, ლაინებზე ნადირობით და რაღაც მშენებლობებით, ერთი სიტყვით, უნიჭო ახალგაზრდაა, რომლისგანაც არაფერი გამოვიდა და ახლა, საზოგადოების აზრით, იმას აკეთებდა, რასაც არაფრის მაქნისი ადამიანები აკეთებენ.

თვით იდუმალებით მოსილ მშვენიერ კიტის კი არ შეეძლო

შეჰყვარებოდა ისეთი ულამაზო ადამიანი, როგორადაც ლევინი თავის თავს მიიჩნევდა და, რაც მთავარია, ვერ შეიყვარებდა ასეთ უბრალო, არაფრით გამოჩინებულ ადამიანს. გარდა ამისა, ლევინი, ძმასთან მეგობრული ურთიერთობის გამო, წინათ ისე ექცეოდა კიტის, როგორც ექცევიან უფროსები ბავშვებს და ეს ახალ დაბრკოლებად ეღობებოდა მის სიყვარულს. ჩემისთანა ულამაზო და კეთილი ადამიანი, ასე მიიჩნევდა ლევინი თავის თავს, შეიძლება შეიყვარო როგორც მეგობარი, მაგრამ რომ შეიყვარო იმგვარი სიყვარულით, როგორითაც მე მიყვარს კიტი, უნდა იყო ძალიან ლამაზი და რაც მთავარია, რაღაცით განსაკუთრებული.

გაგონილი ჰქონდა, ქალებს ხშირად ულამაზო, უბრალო მამაკაცები უყვართო, მაგრამ არ სჯეროდა, რადგან თვითონ მხოლოდ ლამაზი, იდუმალებით მოცული და განსაკუთრებული ქალის სიყვარული შეეძლო.

მაგრამ ორი თვით სოფელში განმარტოებული ცხოვრების შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს არ ჰგავდა იმ სიყვარულს, რომელიც ხშირად განუცდია ადრეულ სიჭაბუკეში; რომ ეს სიყვარული ერთი წუთითაც მოსვენებას არ აძლევდა; რომ არ შეეძლო ცხოვრება ისე, თუ გადაწყვეტით არ ეცოდინებოდა, იქნებოდა თუ არა კიტი მისი მეუღლე; და რომ მისი სასოწარკვეთილება ნაყოფი იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიისა, თორემ ისე არავითარი საბუთი არა ჰქონდა იმისა, რომ უარს ეტყოდნენ. და ახლა ლევინი ჩამოვიდა მოსკოვში მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ წინადადება მიეცა კიტისათვის და ექორწინა, თუ თანხმობას განუცხადებდნენ, თუ არა და... ლევინს აღარ შეეძლო ეფიქრა იმაზე, რა დაემართებოდა, უარს თუ მიიღებდა.

VII

დილის მატარებლით მოსკოვს ჩამოსული ლევინი თავის უფროს ძმასთან, კოზნიშევთან დაბინავდა; ისინი დედით იყვნენ ერთნი; ტანისამოსი გამოიცვალა და ძმის კაბინეტისაკენ გასწია იმ განზრახვით, რომ მაშინვე ეთქვა, რისთვისაც იყო

ჩამოსული და რჩევაც ეკითხა; მაგრამ ძმა მარტო არ დახვდა. მასთან იყო ფილოსოფიის ცნობილი პროფესორი, რომელიც ხარკოვიდან სწორედ იმიტომ ჩამოსულიყო, რომ გაერკვია რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური საკითხი, რომელიც სადავო გამხდარიყო მათ შორის. პროფესორს გაცხარებული პოლემიკა ჰქონდა გამართული მატერიალისტებთან, კოზნიშევიც ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ პოლემიკას და როცა პროფესორის უკანასკნელი სტატია წაიკითხა, წერილი მისწერა, სადაც საყვედურობდა, მეტად ბევრს უთმობ მატერიალისტებსო. და პროფესორიც მაშინვე ჩამოსულიყო საკითხის გასარკვევად. კამათი ეხებოდა მოდურ საკითხს: ადამიანის მოქმედებაში არის თუ არა ზღვარი ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენებს შორის და სად არის ეს ზღვარი?

სერგეი ივანოვიჩი თავისებური, თითქოს ყველასადმი ალერსიანი, მაგრამ უგულო ღიმილით შეეგება ძმას, და გააცნო იგი პროფესორს.

ჩია ტანის, ვიწროშუბლიანმა, სახეგაყვითლებულმა, სათვალიანმა კაცმა ერთი წუთით შეწყვიტა საუბარი, მიესალმა ლევინს და ისევ განაგრძო ლაპარაკი, ისე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის. პროფესორის წასვლის მოლოდინში ლევინი სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ მალე გაიტაცა საუბრის საგანმა.

ლევინი ჟურნალებში ხვდებოდა ამ სტატიებს, რომელზედაც იყო ახლა ლაპარაკი, კითხულობდა კიდეც და, როგორც განათლებით ბუნებისმეტყველს, აინტერესებდა მისთვის ნაცნობი საგნის – ბუნებისმეტყველების საფუძვლების – განვითარება, მაგრამ ეს მეცნიერული დასკვნები ადამიანის, როგორც ცხოველის, წარმოშობისა, რეფლექსებისა, ბიოლოგიისა და სოციოლოგიის შესახებ არასოდეს დაუკავშირებია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებთან, რომლებსაც ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩაუფიქრებია იგი.

ლევინი ყურს უგდებდა ძმისა და პროფესორის საუბარს და ამჩნევდა, რომ ისინი მეცნიერულ საკითხებს მეტად საგულისხმო საკითხებთან აკავშირებდნენ. რამდენჯერმე კიდეც მიუახლოვდნენ ამ საკითხებს, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი მიუახლოვდებოდნენ მთავარ საკითხს, როგორც ლევინს ეჩვენებოდა, მაშინვე გადაუხვევდნენ და კვლავ

ეფლობოდნენ წვრილმანებში, იშველიებდნენ ციტატებს, ანდაზებს, ნართაულ თქმებს, ავტორიტეტებს, და ლევინი ძლივსღა ხვდებოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

– მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებ, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა მისთვის ჩვეული, ნათელი, მკაფიო გამოთქმით და მშვენიერი დიქციით, – ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები კეისს, თითქოს მთელი ჩემი წარმოდგენა გარე სამყაროზე შთაბეჭდილებებიდან გამომდინარეობდეს. შეუძლებელია, რომ ყოფიერების ძირითადი ცნება მიღებული მქონდეს შეგრძნების მეოხებით, რამეთუ არ არსებობს სპეციალური ორგანო ამ ცნების გადმოსაცემად.

– დიახ, მაგრამ ისინი, ვურსტი, კნაუსტიც, პრიპასოვიც, ამაზე გიპასუხებენ, რომ ყოფიერების თქვენმიერი შემეცნება გამომდინარეობს ყველა შეგრძნების ერთობლიობიდან, რომ ყოფიერების შემეცნება შეგრძნების შედეგია. ვურსტი თითქმის პირდაპირ ამბობს, თუ არ არსებობს შეგრძნება, არ შეიძლება არსებობდეს ყოფიერების ცნებაო.

– მე კი პირიქით ვიტყოდი, – დაიწყო სერგეი ივანოვიჩმა...

და ლევინს ისევ მოეჩვენა, რომ ისინი მიუახლოვდნენ უმთავრეს საკითხს, მაგრამ კვლავ გვერდი აუხვიეს, და გადაწყვიტა შეკითხვა მიეცა პროფესორისათვის.

– ასე რომ, თუ აღარ მექნება გრძნობები, თუკი ჩემი სხეული მოკვდება, უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი რაიმეს არსებობაზე? – შეეკითხა ლევინი.

პროფესორმა წყენით გადმოხედა ამ უცნაურ შემკითხველს, რომელიც ბურლაკს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფილოსოფოსს, თითქოს რაღაც გონებრივი ტკივილი იგრძნოო იმის გამო, რომ სიტყვა შეაწყვეტინეს, და ისე გადახედა სერგეი ივანოვიჩს, თითქოს ეკითხებოდა; აბა, რა უნდა ვუთხრაო? მაგრამ სერგეი ივანოვიჩმა, რომელიც სულაც არ ლაპარაკობდა პროფესორივით ცალმხრივად და ჩაკირკიტებით და რომლის გონებასაც კიდევ ჰქონდა იმდენი გასაქანი, რომ პროფესორისთვისაც მიეცა პასუხი და ეს ბუნებრივი, მიამიტი კითხვაც გაეგო, გაიღიმა და თქვა: – ჩვენ ჯერ არა გვაქვს უფლება, გადავჭრათ ეს საკითხი...

– არა გვაქვს სათანადო მონაცემები, – დაუდასტურა პროფესორმაც და ისევ განაგრძო თავისი აზრის დასაბუთება, –

არა, – ამბობდა იგი, – მე იმას ვამბობ, რომ თუ, როგორც ამას პირდაპირ ლაპარაკობს პრიპასოვი, შეგრძნებას საფუძვლად უდევს შთაბეჭდილება, მაშინ ეს ორი ცნება მკვეთრად უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან.

ლევინი უკვე ყურს აღარ უგდებდა და ელოდა, როდის წავიდოდა პროფესორი.

VIII

პროფესორის წასვლის შემდეგ სერგეი ივანოვიჩმა ძმას მიმართა: – ძალიან მიხარია შენი ჩამოსვლა. დიდი ხნით ჩამოხვედი? როგორ გაქვს მეურნეობის საქმე?

ლევინმა იცოდა, რომ უფროს ძმას ნაკლებად აინტერესებდა მეურნეობა, რომ მხოლოდ თავაზიანობის გამო ეკითხებოდა, და ამიტომ მხოლოდ ხორბლის გაყიდვისა და ფულის თაობაზე გასცა პასუხი.

ლევინს უნდოდა გაენდო ძმისათვის თავისი განზრახვა ცოლის თხოვნის შესახებ და რჩევაც ეკითხა, გულში ეს მტკიცედაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ როცა ინახულა ძმა, ყური დაუგდო მის საუბარს პროფესორთან, მოისმინა, თავისდა უნებურად როგორი მფარველობითი ტონით გამოჰკითხა მეურნეობის ამბები (ძმებს დედისეული მამული გაყოფილი არ ჰქონდათ და ორივე ნაწილს ლევინი განაგებდა), ლევინმა იგრძნო, რომ რატომღაც არ შეუძლია ლაპარაკი ძმასთან ცოლის თხოვაზე. გრძნობდა, რომ ძმა ისე ვერ განსჯიდა ამ საკითხს, როგორც ლევინს უნდოდა.

– აბა, როგორ მიდის თქვენთან ერობის საქმეები? – ჰკითხა სერგეი ივანოვიჩმა, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო ერობის საქმიანობით და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

– მართალი გითხრა, არ ვიცი...

– როგორ თუ არ იცი? შენ ხომ გამგეობის წევრად ითვლები?

– არა, წევრად აღარ ვითვლები, გამოვედი, – უპასუხა

კონსტანტინ ლევინმა, – კრებებზედაც აღარ დავდივარ.

– სამწუხაროა! – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და შუბლი შეიკრა.

ლევინმა თავის გასამართლებლად დაიწყო იმის მოყოლა, თუ რა ამბები ხდებოდა მის მაზრაში კრებებზე.

– ეს ყოველთვის ასეა! – შეაწყვეტინა სერგეი ივანოვიჩმა, – ჩვენ, რუსები, სულ ასე ვართ. შეიძლება ეს ჩვენი კარგი თვისებაც იყოს – საკუთარი ნაკლის დანახვა, მაგრამ ვამლაშებთ, თავს ვინუგეშებთ ხოლმე ირონიით, რომელიც სულ ენაზე გვაკერია. მხოლოდ ერთს ვიტყვი, მიეცი ეს ჩვენი საერობო დაწესებულებების უფლებები ევროპის რომელიმე ხალხს, – გერმანელები ან ინგლისელები ამ უფლებებით თავისუფლებას მოიპოვებდნენ, ჩვენ კი ეს სასაცილოდაც არ გვყოფნის.

– რას იზამ! – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ლევინმა, – ეს ჩემი უკანასკნელი ცდა იყო. სულითა და გულით ვცდილობდი. ვერ შევძელი. ვერ გამოვიჩინე ამის უნარი.

– უნარი კი გაქვს, მაგრამ ისე არ უყურებ ამ საქმეს, როგორც საჭიროა, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– შესაძლოა, – უხალისოდ უპასუხა ლევინმა.

– შენ იცი, რომ ჩვენი ძმა ნიკოლაი ისევ აქ არის?

ნიკოლაი, კონსტანტინ ლევინის უფროსი ღვიძლი ძმა, სერგეი ივანოვიჩის კი ნახევარძმა, ერთი დაღუპული ადამიანი იყო, რომელმაც დიდი ნაწილი თავისი ქონებისა გაანიავა, ახლაც მეტად უცნაურ, ცუდ წრეში ჰქონდა საქმე და ძმებთანაც წაჩხუბებული იყო.

– რას მეუბნები? – წამოიძახა შეძრწუნებულმა ლევინმა, – საიდან გაიგე?

– პროკოფიმ ნახა ქუჩაში.

– აქ, მოსკოვში? მერე, სად არის? არ იცი? – და ლევინი ისე წამოხტა სკამიდან, თითქოს ახლავე აპირებდა ძმასთან წასვლას.

– ვნანობ, რომ გითხარი, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა და თავი გადააქნია, როცა დაინახა, როგორ აღელდა ამის გაგონებაზე უმცროსი ძმა, – კაცი გავგზავნე ამბის გასაგებად, გავიგე, სადაც

ცხოვრობს, ის თამასუქიც გავუგზავნე, ტრუბინს რომ მისცა და მე რომ გავუნაღდე, იმან კი აი, რა მიპასუხა.

სერგეი ივანოვიჩმა პრეს-პაპიეს ქვეშიდან პატარა ბარათი გამოიღო და ძმას გაუწოდა.

ლევინმა გადაიკითხა ძმის უცნაური, მაგრამ მისთვის ნაცნობი და საყვარელი ხელით ნაწერი ბარათი.

„უმორჩილესად გთხოვთ, თავი დამანებოთ. აი, ერთადერთი რამ, რასაც ჩემს საყვარელ ძმებს ვთხოვ. ნიკოლაი ლევინი“.

ლევინმა წერილი წაიკითხა და ბარათით ხელში თავჩაქინდრული იდგა სერგეი ივანოვიჩის წინ.

მის გულში ახლა ერთმანეთს ებრძოდა სურვილი იმისა, რომ დაევიწყებინა უბედური ძმა, და შეგნება იმისა, რომ ეს კარგი არ იქნებოდა.

– ეტყობა, ჩემი შეურაცხყოფა განუზრახავს, – განაგრძო სერგეი ივანოვიჩმა, – ჩემი შეურაცხყოფა კი მას არ შეუძლია, და მე სულითა და გულით მინდა დავეხმარო, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლებელია.

– დიახ, დიახ, – გაიმეორა ლევინმა, – მე მესმის და ვაფასებ შენს დამოკიდებულებას მისდამი. მაგრამ მე მაინც წავალ მასთან.

– შენ თუ გინდა, წადი, მაგრამ მე კი არ გირჩევდი, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – რა თქმა უნდა, ჩემი და შენი ურთიერთობის საკითხი მე არ მაშინებს, ის ჩვენ ვერ წაგვაჩხუბებს, მაგრამ შენთვის კი, ჩემი რჩევით, უმჯობესი იყო, არ წასულიყავი. დახმარებით ვერაფერს დაეხმარები. თუმცა როგორც შენ გინდოდეს.

– შესაძლოა, მართლაც ვერაფრით დავეხმარო, მაგრამ მე ვგრძნობ, განსაკუთრებით ახლა, ამ წუთს – ეს სულ სხვა რაღაც არის – რომ არ შემიძლია დამშვიდებული ვიყო.

– ეს გაუგებარია ჩემთვის, – შენიშნა სერგეი ივანოვიჩმა, – მაგრამ ერთი რამ კი გასაგებია, – დაუმატა მან, – ეს გაკვეთილია თავმდაბლობისათვის. ახლა, მას შემდეგ, რაც ნიკოლაი გახდა ის, რაც დღეს არის, მე უფრო მოწყალე თვალით ვუყურებ იმას, რასაც არამზადობას ეძახიან... შენ იცი, რა ჩაიდინა...

– ოჰ, ეს საშინელებაა, საშინელება! – გაიმეორა ლევინმა.

ლევინმა სერგეი ივანოვიჩის ლაქიას ძმის მისამართი გამოართვა და მაშინვე დააპირა წასვლა, მაგრამ დაფიქრდა და ეს საქმე საღამომდე გადადო. პირველ ყოვლისა, სიმშვიდის მოსაპოვებლად, საჭირო იყო იმ საქმის გადაწყვეტა, რისთვისაც ჩამოვიდა მოსკოვში. ამიტომაც ჯერ ობლონსკისთან წავიდა საკრებულოში, გაიგო შჩერბაცკების ამბავი და გასწია იქით, სადაც უთხრეს, რომ შესაძლო იყო კიტის ნახვა.

IX

ოთხ საათზე ლევინი ზოოლოგიურ ბაღთან ჩამოვიდა და საციგურაოსა და გორაკებისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვა. გრძნობდა, როგორ ძლიერად უცემდა გული. ახლა უკვე დაბეჯითებით იცოდა, რომ იქ ნახავდა კიტის, რადგან ბაღის შესასვლელთან შჩერბაცკების კარეტა დაინახა.

ნათელი, სუსხიანი დღე იყო. ბაღის შესასვლელთან მწკრივად იდგნენ კარეტები, მარხილები, ეტლები, ჟანდარმები. გაწმენდილ ბილიკებზე და ჩუქურთმებიანი რუსული სახლების წინ კარგად ჩაცმული ხალხი ირეოდა, კაშკაშა მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა მათ ქუდებს. თოვლისაგან ტოტებჩამოზნექილი, ბებერი, ხუჭუჭა არყის ხეებიც თითქოს ახალი, სადღესასწაულო სამოსით მორთულიყვნენ.

ლევინი საციგურაოსაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდა და თავის თავს ეუბნებოდა: „არ უნდა ვიღელვო, უნდა დავმშვიდდე. შენ რაო? შენ რაღა დაგემართა?.. დაწყნარდი, სულელო!“ – ჩასძახოდა ლევინი თავის გულს, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა დაწყნარებას, მით მეტად ეკვროდა სუნთქვა. გზაზე ვიღაც ნაცნობი შემოხვდა, რაღაც დაუძახა, მაგრამ ლევინმა ვერც კი იცნო, ვინ იყო. იგი მიუახლოვდა გორაკს, სადაც გრიალებდნენ ციგების ამწევი ჯაჭვები, სრიალით მიქროდნენ დაქანებული ციგები და გაისმოდა მხიარული შეძახილები. კიდევ რამდენიმე ნაბიჯიც და მის წინ მთლიანად გადაიშალა სასრიალო მოედანი და იქ თავმოყრილ მოციგურავეთა შორის ლევინმა მაშინვე იცნო კიტი.

ლევინს ისეთი სიხარული შემოენთო, თანაც ისეთი შიში იგრძნო, რომ გულმა მაშინვე უთხრა, კიტი აქ უნდა იყოსო. კიტი სწორედ მის პირდაპირ, მოედნის ბოლოს იდგა და ვიღაც მანდილოსანს ელაპარაკებოდა. იგი თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვებისაგან, ჩვეულებრივად იდგა მათ შორის, ტანისამოსიც ისეთივე ეცვა, როგორიც სხვებს, მაგრამ ლევინისთვის ისე იოლი იყო მისი გამორჩევა ამ ბრბოსაგან, როგორც ჭინჭარში ვარდის გამოცნობა. ირგვლივ ყველაფერი მისით იყო გაბრწყინებული. იგი მთლად ღიმილად ქცეულიყო და ამ ღიმილისაგან ირგვლივ ყოველივე გაცისკროვნებულიყო. „ნუთუ შემიძლია მასთან ყინულზე მისვლა, ნუთუ შემიძლია მასთან მიახლოება?“ – გაიფიქრა ლევინმა. ის ადგილი, სადაც კიტი იდგა, მისთვის მიუწვდომელ, წმიდათაწმიდა ადგილად ქცეულიყო. იყო ისეთი წუთი, როცა ლევინის გულს ისეთი შიში დაეუფლა, რომ უკან გამობრუნება განიზრახა. საჭირო გახდა, ძალა დაეტანებინა საკუთარი თავისთვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ კიტის ირგვლივ ყოველნაირი ხალხი ტრიალებდა, რომ მასაც შეეძლო იქ მისვლა და კიტისთან ერთად ციგურაობა. ლევინი ქვევით ჩავიდა. ძალა არ შესწევდა დიდხანს ეცქირა კიტისთვის, ისევე როგორც მზისათვის, მაგრამ როგორც მზეს, კიტისაც ყველგან ხედავდა, თუნდაც არ ეცქირა მისთვის.

ყოველ კვირას, ამ დღესა და საათს, ყინულზე თავს იყრიდა ერთი წრის ხალხი. ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს, აქ იყვნენ დაოსტატებული მოციგურავენიც, რომლებიც თავს იწონებდნენ თავისი ხელოვნებით, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ახლა სწავლობდნენ ციგურაობას და გაუბედავად, უხერხულად დასრიალებდნენ სავარძლებს უკან, იყვნენ ჭაბუკებიც, მოხუცებიც, რომლებიც ჰიგიენური მიზნით ციგურაობდნენ; ყველა ისინი განსაკუთრებით ბედნიერ ადამიანებად მიაჩნდა ლევინს, რადგან იქ კიტის მახლობლად, ტრიალებდნენ. მოციგურავენი თითქოს სრულიად გულგრილად წამოეწეოდნენ ხოლმე კიტის, გაუსწრებდნენ, ელაპარაკებოდნენ კიდეც და მისგან სრულიად დამოუკიდებლად ხარობდნენ და სარგებლობდნენ საუცხოო ყინულითა და შესანიშნავი დარით.

იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო კიტის ბიძაშვილი ნიკოლაი შჩერბაცკი, ფეხზე ციგურები ეკეთა, ტანთ კი მოკლე ჟაკეტი და ვიწრო შარვალი ეცვა, მან როგორც კი თვალი მოჰკრა ლევინს,

მაშინვე შესძახა: – ო, აი, პირველი რუსი მოციგურავე! დიდი ხანია ჩამოხვედით? მშვენიერი ყინულია, გაიკეთეთ ციგურები!

– მე ჯერ ციგურებიც არა მაქვს, – უპასუხა ლევინმა, თან თვითონვე უკვირდა, როგორ შეეძლო ასეთი სითამამე და გამბედაობა კიტის თანდასწრებით, მართალია, იგი არ უყურებდა კიტის, მაგრამ ყოველ წუთს თვალწინ ედგა იგი და გრძნობდა, რომ მზე უახლოვდებოდა. კიტი მოსახვევიდან გამოდიოდა, გვერდულად ადგამდა მაღალყელიან ფეხსაცმელში გამოკვართულ პატარა ფეხებს და ისე მისრიალებდა ლევინისაკენ, ეტყობოდა, ეშინოდა. გვერდით ჩამოუქროლა ვიღაც რუსულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბიჭმა, რომელიც გაშმაგებით იქნევდა ხელებს და თან მიწისკენ იხრებოდა. კიტი ჯერ კიდევ ვერ ციგურაობდა გაბედულად; თასმით ჩამოკიდებული პატარა მუფთიდან ხელები გამოიღო, რათა მზად ჰქონოდა ყოველი შემთხვევისათვის, თან ლევინს შეჰყურებდა, რომელიც იცნო და უღიმოდა მასა და თავის შიშს. მოსახვევი რომ გათავდა, კიტიმ გაბედულად დაჰკრა პატარა ფეხი ყინულს და პირდაპირ შჩერბაცკისთან მისრიალდა; ცალი ხელი შჩერბაცკის მოჰკიდა და ღიმილით მიესალმა ლევინს. იგი უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ლევინს ჰყავდა წარმოდგენილი.

როცა ლევინი კიტიზე ფიქრობდა, მას შეეძლო ცოცხლად წარმოედგინა ამ ბავშვურად ნათელი და კეთილი გამომეტყველების განსაკუთრებული მომხიბვლელობა, წარმოედგინა პატარა, ქერა თავი, ასე ნარნარად რომ აღმართულიყო მის ქალწულებრივ, ჩამოქნილ მხრებზე. სახის ეს ბავშვური გამომეტყველება შეერთებული ტანის სინარნარესთან განსაკუთრებულ მშვენიერებას მატებდა კიტის და ლევინსაც კარგად ახსოვდა ეს; მაგრამ მისთვის მოულოდნელი იყო და ყოველთვის აოცებდა მისი თვალების გამომეტყველება, წყნარი, მშვიდი, ალალ-მართალი გამოხედვა და განსაკუთრებით მისი ღიმილი, რომელსაც გადაჰყავდა ლევინი რაღაც ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ისეთ გულაჩუყებასა და ნეტარებას გრძნობდა, როგორც ადრე ბავშვობაში და ისიც იშვიათად თუ განეცადა.

– დიდი ხანია აქა ხართ? – ჰკითხა კიტიმ და ხელი გაუწოდა, – მადლობას გწირავთ, – დაუმატა მან, როცა ლევინმა მუფთიდან გადმოვარდნილი ცხვირსახოცი მიაწოდა.

– მე? დიდი ხანი არ არის, მე გუშინ... თუმცა არა, დღეს...

ჩამოვედი, – უპასუხა ლევინმა, რომელიც მღელვარებისაგან მაშინვე ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა კიტი, – თვითონვე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, – თქვა მან და მაშინვე გაახსენდა, რა მიზნითაც აპირებდა მისვლას, და დაიბნა, გაწითლდა, – მე არ ვიცოდი, თუ თქვენ ციგურაობდით. მშვენივრადაც ციგურაობთ.

კიტი ყურადღებით შეაჩერდა ლევინს, თითქოს უნდოდა გაეგო მისი აღელვების მიზეზი.

– თქვენი ქება დასაფასებელია. აქ კიდევ ცოცხლობს გადმოცემა, რომ თქვენ საუკეთესო მოციგურავე ხართ, – თქვა კიტიმ და შავხელთათმნიანი პატარა ხელით მუფთაზე დაცემული ფიფქები მოიცილა.

– დიახ, ოდესღაც გატაცებით ვციგურაობდი. სრულყოფილებისათვის მინდოდა მიმეღწია.

– როგორც ჩანს, თქვენ ყველაფერს გატაცებით ეძლევით, – ღიმილით უთხრა კიტიმ, – მე ძალიან მინდა ვნახო, როგორ ციგურაობთ. გაიკეთეთ ციგურები და მოდი, ერთად ვიციგურაოთ.

„ერთად ვიციგურაოთო! ნუთუ ეს შესაძლებელია?“ – ფიქრობდა ლევინი, როცა კიტის უყურებდა.

– ახლავე გავიკეთებ, – უთხრა ლევინმა და ციგურების გასაკეთებლად წავიდა.

– დიდი ხანია, ბატონო, ჩვენთან აღარ ბრძანებულხართ, – ეუბნებოდა ლევინს მსახური, რომელსაც მისი ფეხი ეჭირა ხელში და ქუსლზე ციგურას უმაგრებდა, – თქვენ შემდეგ ბატონებს შორის აღარავინ გამოჩენილა ამ საქმის ოსტატი. ასე კარგად იქნება? – ჰკითხა და თასმა გადაუჭირა.

– კარგი, კარგი, გეთაყვა, ოღონდ ჩქარა გამიკეთე, – უპასუხა ლევინმა, რომელიც ძლივსღა იკავებდა ბედნიერების ღიმილს, მისდა უნებურად რომ ეფინებოდა სახეზე. „დიახ, – ფიქრობდა ლევინი, – აი, ეს არის ბედნიერება, ეს არის ცხოვრება. ერთადო, მითხრა კიტიმ, მოდი, ერთად ვიციგურაოთო. ვუთხრა ახლა თუ არა? მე სწორედ იმიტომაც მეშინია თქმა, რომ ახლა ბედნიერი ვარ, იმედით მაინც ვარ ბედნიერი... მერე კი? მაგრამ ოდესმე ხომ უნდა ვუთხრა, უნდა ვუთხრა! შორს, სისუსტევ!“

ლევინი ფეხზე წამოდგა, პალტო გაიხადა, სახლის წინ ხორკლიან ყინულზე გაირბინა, მოსრიალებულ სწორ ყინულზე გავიდა და ისე თავისუფლად გასრიალდა, თითქოს მის ნებაზე იყო დამოკიდებული, საით წავიდოდა, ან ჩქარა წავიდოდა თუ ნელა. ლევინი კრძალვით მიუახლოვდა კიტის, მაგრამ მისმა ღიმილმა კვლავ დაამშვიდა.

– თქვენთან ბევრად მალე ვისწავლიდი ციგურაობას, მე რატომღაც მჯერა თქვენი.

– მეც მჯერა საკუთარი თავისა, როცა თქვენ მეყრდნობით, – უპასუხა ლევინმა და მაშინვე შეაშინა თავისმა ნათქვამმა, გაწითლდა. და მართლაც, როგორც კი ლევინმა ეს სიტყვა თქვა, თითქოს მზე ღრუბლებს ამოეფარაო, კიტის სახეს უმალ ჩამოსცილდა მთელი ალერსიანობა და ლევინიც მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა კიტის სახის ეს ნაცნობი თამაში. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ იგი რაღაცის გამოცნობას ლამობდა: გაშლილ შუბლზე ნაოჭი აუთამაშდა.

– ხომ არაფერი გწყენიათ? თუმცა მე უფლება არა მაქვს ამის კითხვისა, – სწრაფად ჩაილაპარაკა ლევინმა.

– რატომაც არა?.. არა, საწყენი რა უნდა მქონდეს, – ცივად უპასუხა კიტიმ და მაშინვე დაუმატა, – m-lle Linon ხომ არ გინახავთ?

– არა, ჯერ არ მინახავს.

– მიდით მასთან, თქვენ მას ძალიან უყვარხართ.

„რა მოხდა? რაღაც ვაწყენინე. ღმერთო, შენ მიშველე!“ – გაიფიქრა ლევინმა და გასრიალდა ჭაღარაკულულებიანი ფრანგი ქალისაკენ, რომელიც იქვე მერხზე იჯდა. ქალმა გაუღიმა ლევინს, ხელოვნური კბილები გამოაჩინა და ისე შეხვდა, თითქოს ლევინი მისი ძველი მეგობარი ყოფილიყო.

– ხომ ხედავთ, ვიზრდებით, – უთხრა და თვალით ანიშნა კიტიზე, – და ვბერდებით. Tiny bear[3] უკვე დიდი გახდა, – სიცილით განაგრძო მან და გაახსენა, როგორ ხუმრობდა ხოლმე ლევინი სამ ქალიშვილზე, რომელთაც ინგლისური ზღაპრის სამ დათვს ადარებდა, – გახსოვთ, ასე ამბობდით ხოლმე.

ლევინს სულ აღარ ახსოვდა ეს, ქალს კი უკვე ათი წელი იყო, ეცინებოდა ამ ხუმრობაზე და მოსწონდა.

– აბა, წადით, წადით საციგურაოდ. ჩვენმა კიტიმ მშვენიერი ციგურაობა ისწავლა, ხომ მართალია?

როცა ლევინი ხელმეორედ მისრიალდა კიტისთან, მას უკვე აღარ ეტყობოდა წეღანდელი სიმკაცრე, თვალებშიც იგივე ალერსი და გულწრფელობა ეხატებოდა, მაგრამ ლევინს მოეჩვენა, რომ ამ ალერსში რაღაც განსაკუთრებული, წინასწარ მოფიქრებული სიმშვიდე იმალებოდა. და ლევინმა მოიწყინა. კიტი ელაპარაკა თავის მოხუც გუვერნანტზე, მის უცნაურ საქციელზე და ბოლოს ლევინს თავისი ცხოვრების ამბავიც გამოჰკითხა.

– ნუთუ არ გწყინდებათ ზამთრობით სოფელში? – ჰკითხა მან.

– არა, არ მწყინდება, ბევრი საქმე მაქვს, – უპასუხა ლევინმა და იგრძნო, რომ კიტი კვლავ ცდილობდა, დაემორჩილებინა იგი თავისი მშვიდი საუბრის ტონისათვის, რომელსაც ისე იოლად ვეღარ დააღწევდა თავს, როგორც ეს ამ ზამთრის დამდეგს მოხდა.

– დიდი ხნით ჩამოხვედით? – ჰკითხა კიტიმ.

– არ ვიცი, – უპასუხა ლევინმა, რომელიც უკვე აღარ უფიქრდებოდა, რას ამბობდა. თუ ამ მშვიდ, მეგობრულ ტონს დავემორჩილე, ახლაც ისე წავალ სოფელში, რომ ვერაფერს გამოვარკვევო, გაიფიქრა და გადაწყვიტა, შეტევაზე გადასულიყო.

– როგორ თუ არ იცით?

– არ ვიცი. ეს თქვენზეა დამოკიდებული, – უპასუხა ლევინმა და იმავე წამს შეაძრწუნა საკუთარმა სიტყვებმა.

კიტიმ თითქოს ვერ გაიგონა ლევინის სიტყვები, ან შეიძლება არ უნდოდა ამის გაგონება, თითქოს წაბორძიკდა, ორჯერ დაჰკრა ფეხი ყინულს და გასრიალდა, რაღაც უთხრა და სრიალითვე გასწია ქოხისაკენ, სადაც ქალები ციგურებს იხსნიდნენ.

„ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე! ღმერთო მაღალო, შენ შემეწიე, შთამაგონე“, – ვედრებით იმეორებდა ლევინი და ამავე დროს დაუოკებელ სურვილს გრძნობდა, მთელი ძალ-ღონით გაქანებულიყო, სწრაფად მისრიალდა და თან შიდა და გარე წრეებს აკეთებდა.

ამ დროს ყავახანიდან გამოვიდა ერთი ყმაწვილი, ერთ-ერთი საუკეთესო ახალი მოციგურავე, პაპიროსით პირში, იქიდანვე გაქანებული წამოვიდა, ხტუნვა-ხტუნვით და ხმაურით ჩამოქანდა კიბეზე და გასრიალდა ყინულზე, ისე რომ ხელების წინანდელი მდგომარეობაც კი არ შეუცვლია.

– ოჰ, ესეც ახალი ფანდი! – წამოიძახა ლევინმა და მყისვე გაქანდა ზევით, რომ თვითონაც გაემეორებინა ეს ახალი ფანდი.

– არ დაიმტვრეთ, ამას შეჩვევა უნდა! – მიაძახა ნიკოლაი შჩერბაცკიმ.

ლევინი კიბეზე ავიდა, ზევიდან მთელი ძალ-ღონით გამოქანდა და დაეშვა ქვევით, თან უჩვეულო მოძრაობისას წონასწორობის დასაცავად ხელებს იშველიებდა. უკანასკნელ საფეხურზე რაღაცას წამოედო, მაგრამ მხოლოდ ოდნავ შეეხო ყინულს, ძლიერად შემოტრიალდა, წელში გაიმართა და სიცილით გასრიალდა.

„კარგო, საყვარელო“, – გაიფიქრა კიტიმ, რომელიც სწორედ ამ დროს გამოდიოდა ქოხიდან m-lle Linon-ის თანხლებით, თან ისეთი ნაზი, ალერსიანი ღიმილით შეჰყურებდა, თითქოს ლევინი მისი საყვარელი ძმა ყოფილიყო. „და განა დამნაშავე ვარ, განა მე რამე ცუდი ჩავიდინე მათ წინაშე? ამბობენ, კეკლუცობის ბრალიაო. ვიცი, რომ ლევინი არ მიყვარს, მაგრამ მასთან მაინც მხიარულად ვგრძნობ თავს, მერე ისეთი მშვენიერი ყმაწვილია. ოღონდ რატომ მითხრა ეს?..“ – ფიქრობდა კიტი.

ლევინმა თვალი მოჰკრა მიმავალ კიტისა და დედამისს, რომელიც კიბეზე შეეგება ქალიშვილს, ძლიერი მოძრაობისაგან გაწითლებული, წუთით შეჩერდა და ჩაფიქრდა. შემდეგ ციგურები შეიხსნა და ბაღის გასასვლელში დაეწია დედა-შვილს.

– დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, – უთხრა თავადის მეუღლემ, – ჩვენ, როგორც ყოველთვის, ხუთშაბათობით ვიღებთ სტუმრებს.

– მაშასადამე, დღეს, არა?

– ძალიან გაგვახარებთ თქვენი სტუმრობით, – უგულოდ უთხრა თავადის მეუღლემ.

კიტის გული ატკინა დედის ამ გულგრილობამ და სურვილი აღეძრა, როგორმე გაექარწყლებინა დედის უგულოდ ნათქვამი სიტყვები. მან თავი მოაბრუნა ლევინისაკენ და ღიმილით ჩაილაპარაკა: – ნახვამდის.

ამ დროს ბაღში გამარჯვებულის ღიმილით შემოვიდა სტეპან არკადიჩი, რომელსაც ქუდი გვერდზე ჰქონდა მოგდებული და სიხარულისაგან ერთიანად გაბრწყინებოდა სახე და თვალები. მაგრამ სიდედრთან რომ მივიდა, სევდიანი, დამნაშავე კაცის იერი მიიღო და ისე გასცა პასუხი სიდედრის კითხვას, დოლი როგორ არის. სიდედრთან ჩუმი და მოწყენილი საუბრის შემდეგ სტეპან არკადიჩი წელში გაიმართა და ხელი გამოსდო ლევინს.

– რას იტყვი, წავიდეთ? – ჰკითხა მან, – მე სულ შენზე ვფიქრობდი და ძალიანაც მოხარული ვარ შენი ჩამოსვლისა, – უთხრა და თან მნიშვნელოვნად ჩააცქერდა თვალებში.

– წავიდეთ, წავიდეთ, – უპასუხა ბედნიერმა ლევინმა, რომელსაც ყურში სულ კიტის ნათქვამი „ნახვამდის“ ჩაესმოდა და თვალწინ ედგა კიტის ღიმილი, როცა იგი ამ სიტყვას ამბობდა.

– „ინგლისში“ წავიდეთ თუ „ერმიტაჟში“?

– ჩემთვის სულერთია.

– მაშ, „ინგლისში“ წავიდეთ, – თქვა სტეპან არკადიჩმა, რომელმაც იმიტომ აირჩია „ინგლისი“, რომ იქ უფრო მეტად იყო დავალიანებული, ვიდრე „ერმიტაჟში“. ამიტომაც ულამაზოდ მიიჩნია ამ სასტუმროსათვის გვერდის ავლა, – მეეტლე გელოდება? ჰოდა, ძალიან კარგი, თორემ მე უკვე გავისტუმრე ჩემი კარეტა.

მთელი გზა მეგობრები დუმდნენ. ლევინი სულ იმაზე ფიქრობდა, რას ნიშნავდა კიტის სახის ეს ცვლილება, ხან არწმუნებდა თავს, რომ შეიძლება იმედი ვიქონიოო, ხან კი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და ნათლად ხედავდა, რომ მისი იმედი სისულელეა, ამავე დროს კი გრძნობდა, რომ სულ სხვა ადამიანი იყო, რომ სულ აღარ ჰგავდა იმას, რაც წინათ იყო, სანამ კიტი გაუღიმებდა და ეტყოდა: „ნახვამდის“.

სტეპან არკადიჩი გზაში სადილის მენიუს ადგენდა.

– ტიურბო ხომ გიყვარს? – ჰკითხა ლევინს, როცა სასტუმროს მიუახლოვდნენ.

– რა? – ხელმეორედ შეეკითხა ლევინი, – ტიურბო? დიახ, მე საშინლად მიყვარს ტიურბო.

X

ლევინს შეუმჩნეველი არ დარჩენია, როგორი განსაკუთრებული გამომეტყველება, თითქოს ერთგვარი თავშეკავებული სიამოვნება იხატებოდა ობლონსკის სახესა და მთელ მის გარეგნობაში, როცა ისინი სასტუმროში შედიოდნენ. სტეპან არკადიჩმა პალტო გაიხადა, შლაპა კი ისევ გვერდზე ჰქონდა მოგდებული, და ასე გასწია სასადილოსაკენ, თან განკარგულებებს აძლევდა გარს შემოხვეულ, ფრაკებში გამოწყობილ, მკლავებზე ხელსახოცგადაგდებულ თათარ ლაქიებს. აქაც, როგორც ყველგან, აღმოჩნდნენ ნაცნობები, რომელნიც მოხარულნი იყვნენ მისი ნახვისა და ობლონსკიც მარჯვნივ და მარცხნივ თავს უკრავდა ნაცნობებს. ასე გაიარა სასადილო და მიაღწია ბუფეტამდე, არაყი და თევზი მიირთვა, თან რაღაც ისეთი უთხრა დახლთან მჯდომ ფერ-უმარილით გათხუპნილ, ბაფთებითა და მაქმანებით მორთულ კულულებიან ფრანგ ქალს, რომ ამ ქალმაც კი გულიანად გადაიხარხარა. ლევინმა კი მხოლოდ იმიტომ არ დალია არაყი, რომ მისთვის შეურაცხმყოფელი იყო ეს ფრანგი ქალი, რომელიც მთლიანად სხვისი თმისა, poudre de riz და vinaigre de toilette[4]-სგან შედგებოდა. მან ისე საჩქაროდ ჩაუარა ამ ქალს, თითქოს უწმინდური ადგილი ყოფილიყოს. გული სავსე ჰქონდა კიტიზე მოგონებებით და თვალებიც გამარჯვებისა და ბედნიერების ღიმილით უბრწყინავდა.

– აქეთ მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალებავ, აქეთ, აქ არაფერი შეაწუხებს თქვენს ბრწყინვალებას, – განსაკუთრებით ეპატიჟებოდა მოხუცი თათარი, რომელსაც რაღაცნაირი მოთეთრო ფერი დაჰკრავდა და განიერ მენჯზე ფრთებივით ეშლებოდა ფრაკის კალთები, – მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალებავ, – ეუბნებოდა იგი ლევინს და სტეპან

არკადიჩის წინ გაჩერდა ბრძანებათა მოლოდინში.

– ცალკე კაბინეტს თუ გვიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ახლავე გათავისუფლდება: თავადი გოლიცინი ბრძანდება ვიღაც მანდილოსნითურთ. ახალი ხამანწკა გახლავთ მიღებული.

– ჰოო... ხამანწკა!

სტეპან არკადიჩი ჩაფიქრდა.

– გეგმა ხომ არ შევცვალოთ, ლევინ? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და მენიუზე თითი შეაჩერა. მისი სახე სერიოზულ შეფიქრიანებას გამოხატავდა, – მხოლოდ ეს მითხარი, ხომ კარგი ხამანწკაა?

– ფლენსბურგული გახლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ოსტენდური აღარა გვაქვს.

– ფლენსბურგული იყოს, მხოლოდ ახალი ხომ არის?

– გუშინდელი მიღებული გახლავთ.

– რას იტყვი, დავიწყოთ ხამანწკით და მერე მთელი გეგმა შევცვალოთ? ჰა?

– ჩემთვის სულერთია. მე ყველაფერს მირჩევნია შჩი და ფაფა, მაგრამ აქ ხომ ესენი არ ექნებათ.

– ფაფა „ა ლა რუსს“ ხომ არ ინებებთ? – უთხრა თათარმა, თან ისე დაიხარა ლევინისაკენ, როგორც ძიძა დაიხრება ხოლმე ბავშვისაკენ.

– არა, ხუმრობის გარეშე, რასაც შენ ამოირჩევ, ჩემთვისაც ის იქნება კარგი. ციგურაობის შემდეგ მომშივდა. არ იფიქრო, რომ არ დავაფასო შენი არჩევანი, – დაუმატა მან, როცა ობლონსკის სახეზე უკმაყოფილება შენიშნა, – მე სიამოვნებით გეახლებით.

– რატომ არა, შენ როგორც გინდა თქვი და ჭამა ერთ-ერთი სიამოვნებაა ცხოვრებაში, – თქვა სტეპან არკადიჩმა, – მაშ, მოგვიტანე, ძმობილო, ოცი ცალი ხამანწკა, თუმცა ეს ცოტაა, ოცდაათი იყოს, და სუპი ძირხვენებით.

– პრენტანიერ, – სიტყვა ჩამოართვა თათარმა. ეტყობოდა, სტეპან არკადიჩს არ სურდა სიამოვნება მიენიჭებინა

ლაქიისათვის და ფრანგულად დაესახელებინა საჭმელები.

– ძირხვენებით, გასაგებია? შემდეგ მოგვიტანე ტიურბო, სქელი საწებლით, შემდეგ... როსტბიფი, მხოლოდ იცოდე, კარგი იყოს. მერე ყვერულიც მოაყოლე, კონსერვებიც მოიტანე.

თათარს გაახსენდა, რომ სტეპან არკადიჩს არ უყვარდა საჭმელების ფრანგულად დასახელება და ისიც აღარ იმეორებდა, მაგრამ შემდეგ იმით იჯერა გული, რომ მთელი შეკვეთა მენიუს მიხედვით გაიმეორა: „სუპ პრენტანიერ, ტიურბო სოუს ბომარშე, პულარდ ა ლესტრაგონ, მასედუან დე ფრიული...“ და ასე შემდეგ, თითქოს ზამბარებისაგან არის გაკეთებულიო, სწრაფად დადო ერთი აკინძული ბარათი, შემდეგ მეორე ღვინოების ბარათს დასტაცა ხელი და სტეპან არკადიჩს მიმართა.

– რა დავლიოთ?

– რაც გინდოდეს, ოღონდ ცოტა შამპანური მოვატანინოთ, – უთხრა ლევინმა.

– როგორ? შამპანურით დავიწყოთ? თუმცა მართალი ხარ. შენ თეთრბეჭდიანი გიყვარს?

– კაშე ბლან, – სიტყვა ჩამოართვა ლაქიამ.

– მაშ, ხამანწკასთან ამ მარკის შამპანური მოგვართვი, მერე კი ვნახოთ.

– ბატონი ბრძანდებით. სუფრაზე რომელი ღვინო მოგართვათ?

– ნიული მოგვიტანე. თუმცა არა, კლასიკური შაბლი აჯობებს.

– ბატონი ბრძანდებით. თქვენი ყველი არ მოგართვათ?

– ჰო, აბა, პარმეზანი მოიტანე. იქნებ შენ სხვა გიყვარს?

– არა, ჩემთვის სულერთია, – მიუგო ლევინმა, რომელიც ძლივს იკავებდა ღიმილს.

თათარი ფრაკის კალთების ფრიალით გაიქცა და ხუთი წუთის შემდეგ ისევ შემოიჭრა ოთახში ლანგრით, რომელზეც სადაფის გახსნილი ნიჟარები ელაგა ხამანწკით, თითებს შუა კი ბოთლი ეჭირა.

სტეპან არკადიჩმა გახამებული ხელსახოცი დაჭმუჭნა,

ჟილეტზე აიფარა და ხამანწკის ჭამას შეუდგა.

– კარგი ხამანწკაა, – ამბობდა იგი, ვერცხლის ჩანგლით აძრობდა სრიალა ხამანწკას სადაფის ნიჟარიდან და ზედიზედ ყლაპავდა, – კარგია, – იმეორებდა და გაბრწყინებული, წყლიანი თვალებით ხან ლევინს გადახედავდა, ხან თათარს.

ლევინიც შეექცეოდა ხამანწკას, თუმცა თეთრი პური და ყველი უფრო სასიამოვნო იქნებოდა მისთვის, მაგრამ ობლონსკის ყურება ნამდვილად ატკბობდა. თვით თათარიც კი, რომელმაც თავი მოხადა ბოთლს და შუშხუნა ღვინო გადაშლილ, გამჭვირვალე სასმისში დაასხა, აშკარა სიამოვნებით შეჰყურებდა სტეპან არკადიჩს და თან თავის თეთრ ჰალსტუხს ისწორებდა.

– შენ, გეტყობა, არც ისე ძალიან გიყვარს ხამანწკა? – უთხრა სტეპან არკადიჩმა, როცა სასმისი გამოცალა, – თუ ფიქრებში ხარ გართული, ჰა?

მას უნდოდა ლევინიც მხიარული ყოფილიყო, მაგრამ ლევინი მხიარულად კი არა, უხერხულადაც კი გრძნობდა თავს. მის სულში ისეთი რამ ხდებოდა, რომ მისთვის უხერხული და აუტანელი გამხდარიყო ამ ტრაქტირში ჯდომა, სადაც კაბინეტებში ვიღაც ქალებთან ერთად სადილობდნენ და ასეთი სირბილი და ფაციფუცი იყო; მთელი ეს გარემო – ბრინჯაო, სარკეები, კაშკაშა სინათლე, თათარი ლაქიები – ყოველივე შეურაცხმყოფელი იყო მისთვის. თითქოს შიშობდა, არ შეებილწა ის, რითაც სავსე იყო მისი სული.

– მე? ჰო, რაღაც ფიქრებში გავერთე. გარდა ამისა, სულს მიხუთავს ყოველივე ეს, – უპასუხა ლევინმა, – შენ ვერ წარმოიდგენ, მე, სოფლის მცხოვრებს, როგორ უცნაურად მეჩვენება ყველაფერი, იმ ვაჟბატონის ფრჩხილებისა არ იყოს, შენთან რომ ვნახე...

– ჰო, მე შევნიშნე, რომ ძალიან დაგაინტერესა იმ საწყალი გრინევიჩის ფრჩხილებმა, – სიცილით უთხრა სტეპან არკადიჩმა.

– არ შემიძლია, – თქვა ლევინმა, – იქნებ როგორმე მიმიხვდე, რას გეუბნები და სოფელში მცხოვრები კაცის თვალით შეხედო ყოველივე ამას. ჩვენ სოფელში ვცდილობთ, როგორმე ისე მოვიმარჯვოთ ხელები, რომ უკეთ შეგვეძლოს მუშაობა;

ამისათვის ფრჩხილებს ვიჭრით, ხანდახან სახელოებსაც დავიკაპიწებთ. აქ კი ხალხი განზრახ იზრდის ფრჩხილს იქამდე, სადამდისაც კი შეუძლია ფრჩხილის გაზრდა, სამაჯურებზეც ლამბაქისხელა საკინძეს ჩამოიკონწიალებს, რათა ხელებით აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდეს.

სტეპან არკადიჩი მხიარულად იღიმებოდა.

– ჰო, ეს ნიშანია იმისა, რომ მისთვის ტლანქი შრომა საჭირო აღარ არის, რომ ის გონებით მუშაობს...

– შესაძლოა, მაგრამ ჩემთვის მაინც საოცარია ეს, ისევე როგორც საოცარია, რომ ჩვენ, სოფლელები, ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე დავნაყრდეთ და მალე მოვკიდოთ ხელი ჩვენს საქმეს, მე და შენ კი აქ ვსხედვართ და ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ჭამა და ამისათვის ხამანწკებს მივირთმევთ...

– დიახ, რასაკვირველია, – სიტყვა ჩამოართვა სტეპან არკადიჩმა, – სწორედ ეს არის კიდეც განათლების მიზანი: სიამოვნებად ვაქციოთ ყოველივე.

– ჰოდა, თუ ეს არის მიზანი, მაშინ მე ვირჩევდი ველური ვყოფილიყავი.

– შენ ისედაც ველური ხარ. თქვენ, ლევინები, ყველანი ველურები ხართ.

ლევინმა ამოიოხრა, თავისი ძმა, ნიკოლაი გაახსენდა, სირცხვილი იგრძნო, გული ეტკინა და მოიღუშა; მაგრამ ობლონსკიმ ისეთ საგანზე წამოიწყო საუბარი, რომ მაშინვე მიიზიდა ლევინის ყურადღება.

– შენ რას იზამ? წახვალ ამ საღამოს ჩვენებთან, ესე იგი შჩერბაცკებთან? – შეეკითხა და ცარიელი, ხორკლიანი ნიჟარები გვერდზე გადადგა, ყველი მიიწია და თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა.

– ჰო, აუცილებლად წავალ, – უპასუხა ლევინმა, – თუმცა მომეჩვენა, თითქოს თავადის მეუღლე არცთუ ისე ხალისით მეპატიჟებოდა.

– რას ამბობ? სისულელეა! ეს მისი მანერაა... აბა, ძმობილო, ერთი სუპი მოგვიტანე! ეს მისი მანერაა, grande dame,[5] – უთხრა

სტეპან არკადიჩმა, – მეც მოვიდოდი, მაგრამ გრაფინია ბანინასთან ვარ წასასვლელი. აბა, როგორ არა ხარ ველური? მაშ, რითი უნდა ავხსნათ ის, რომ ასე უეცრად გადაიკარგე მოსკოვიდან? შჩერბაცკები სულ მეკითხებოდნენ შენს ამბავს, თითქოს ვალდებული ვიყავი, მცოდნოდა შენი ამბავი. მე კი მხოლოდ ერთი რამ ვიცი: შენ ყოველთვის იმას აკეთებ, რასაც არავინ აკეთებს.

– ჰო, – ნელა, აღელვებით თქვა ლევინმა, – შენ მართალი ხარ, ველური ვარ. მაგრამ ჩემი ველურობა იმით კი არ გამოიხატება, რომ წავედი, არამედ იმით, რომ აქ ჩამოვედი. მე ახლა ჩამოვედი...

– ოჰ, რა ბედნიერი ხარ! – სიტყვა აღარ დაამთავრებინა ობლონსკიმ, რომელიც თვალებში შესჩერებოდა ლევინს.

– რითი ვარ ბედნიერი?

– ფიცხი ცხენი დაღით იცნობა, შეყვარებული ჭაბუკი კი თვალებით! – თქვა სტეპან არკადიჩმა, – შენ ახლა ყველაფერი წინა გაქვს.

– განა შენ კი განვლე ყველაფერი?

– არა, არ განვვლე, მაგრამ შენ მომავალი გაქვს, მე კი მხოლოდ აწმყო და ისიც არასახარბიელო.

– რა მოგივიდა?

– ვერა ვარ კარგად, მაგრამ არ ღირს ჩემზე ლაპარაკი, ყველაფრის ახსნაც შეუძლებელია, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მაშ, რისთვის ჩამოხვედი მოსკოვს?

– ჰეი, მიიღე! – გასძახა მან თათარს.

– განა ვერ ხვდები? – უპასუხა ლევინმა, თან თავის უცნაურად მოელვარე თვალებს არ აშორებდა ობლონსკის.

– ვხვდები, მაგრამ არ შემიძლია ამ საგანზე საუბრის დაწყება. ამითაც შეგიძლია მიმიხვდე, სწორად გავიგე თუ არა, – უთხრა ობლონსკიმ, რომელიც ოდნავ გაღიმებული შეჰყურებდა ლევინს.

– ჰოდა, რას მეტყვი? – აკანკალებული ხმით შეეკითხა ლევინი და იგრძნო, როგორ აუთრთოლდა სახის კუნთები, – შენ რა

აზრისა ხარ ამაზე?

სტეპან არკადიჩმა ნელ-ნელა შესვა ერთი ჭიქა შაბლი, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ლევინისათვის.

– მე? – თქვა სტეპან არკადიჩმა, – მე არაფერს, არაფერს ისე არ ვისურვებდი, როგორც ამას. ეს უმჯობესია ყველაფერზე, რაც კი შეიძლება მოხდეს.

– ხომ არ გეშლება? ხომ იცი, რაზედაც ვლაპარაკობთ? – თქვა ლევინმა, რომელიც თვალს აღარ აცილებდა თანამოსაუბრეს, – შენ ფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია?

– ვფიქრობ, რომ შესაძლებელია. რატომაც არ უნდა იყოს შესაძლებელი?

– არა, შენ მართლა გგონია, რომ ეს შესაძლებელია? არა, ყველაფერი მითხარი, რასაც ფიქრობ! მაგრამ თუ უარი მელოდება?.. მე დარწმუნებულიც კი ვარ...

– რატომ ფიქრობ ამას? – ჰკითხა ობლონსკიმ, რომელსაც ეღიმებოდა მის მღელვარებაზე.

– ასე მგონია ხოლმე ხანდახან. ეს ხომ საშინელება იქნება ჩემთვის და მისთვისაც.

– ყოველ შემთხვევაში, ქალიშვილისთვის აქ არაფერია საშინელი. ყველა ქალიშვილისთვის საამაყოა, როცა ხელს სთხოვენ.

– დიახ, ყველა ქალიშვილისთვის, მაგრამ მისთვის არა.

სტეპან არკადიჩმა გაიღიმა. კარგად იცოდა, რასაც გრძნობდა ლევინი, იცოდა, რომ ლევინისთვის ახლა მთელი ქვეყნის ქალიშვილები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთ ჯგუფში იყვნენ მთელი ქვეყნის ქალიშვილები კიტის გარდა, ქალიშვილები, რომელთათვისაც უცხო არ იყო ყოველგვარი ამქვეყნიური სისუსტე და რომელნიც სრულიად ჩვეულებრივი ქალიშვილები იყვნენ; მეორე ჯგუფში კი იყო მხოლოდ კიტი, ვისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი ადამიანური სისუსტე და ვინც ყოველგვარ ამქვეყნიურზე მაღლა იდგა.

– მოითმინე, გადაიღე საწებელი, – უთხრა ობლონსკიმ და ხელი დაუჭირა ლევინს, რომელიც თავიდან იცილებდა საწებელს. ლევინმა მორჩილად გადაიღო საწებელი, მაგრამ სტეპან

არკადიჩს მაინც არ დააცალა ჭამა.

– არა, მოითმინე, მოითმინე, – უთხრა ლევინმა, – შენ იცი, რომ ეს ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მე არასოდეს არავისთან მილაპარაკია ამაზე და სხვასთან არც შემიძლია ამ საგანზე ლაპარაკი, როგორც შენთან. ჩვენ ხომ ყველაფრით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან: გემოვნება – სხვადასხვანაირი, შეხედულებებიც სხვადასხვა; მაგრამ მე ვიცი, რომ შენ გიყვარვარ და გაიგებ ჩემსას და ამიტომაც უსაზღვროდ მიყვარხარ. მაგრამ, ღვთის გულისათვის, ნურაფერს დამიმალავ.

– მე იმას გეუბნები, რასაც ვფიქრობ, – ღიმილითვე უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მე მეტსაც გეტყვი: ჩემი მეუღლე საოცარზე საოცარი ქალია... – სტეპან არკადიჩმა ამოიოხრა, როცა ცოლისა და თავისი ურთიერთობის ამბავი გაიხსენა, წუთით შეჩერდა და შემდეგ ისევ განაგრძო, – მას შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველაფერი. კარგად იცნობს ადამიანებს, ეს კიდევ ცოტაა. მან ისიც იცის, რა მოხდება, მით უმეტეს, თუ საქმე ქორწინებას შეეხება. მაგალითად, იწინასწარმეტყველა, შახოვსკაია ბრენტელნს გაჰყვებაო. არავის უნდოდა ამის დაჯერება, მაგრამ ბოლოს ასე გამოვიდა. ჰოდა, ახლა ჩემი მეუღლე შენს მხარეზეა.

– ესე იგი, რაო?

– რაო და, გარდა იმისა, რომ შენ ძალიან უყვარხარ, იმასაც ირწმუნება, რომ კიტი აუცილებლად შენი მეუღლე გახდება.

ამ სიტყვებზე ლევინს ისეთმა ღიმილმა გაუბრწყინა სახე, რის შემდეგაც ატირებას ბევრი აღარაფერი აკლდა.

– შენი მეუღლე ამბობს ამას! – წამოიძახა ლევინმა, – მე ყოველთვის ვამბობდი, შენი მეუღლე შესანიშნავი ადამიანია-მეთქი. ჰო, კარგი, საკმარისია ამაზე ლაპარაკი, საკმარისია, – თქვა ლევინმა და სკამიდან წამოდგა.

– კარგი, ჰო, დაჯექი.

მაგრამ ლევინს აღარ შეეძლო ჯდომა. მან რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა თავისი მტკიცე ნაბიჯით გალიასავით პატარა ოთახში, თან ხშირ-ხშირად ახამხამებდა თვალებს, რომ არავის შეენიშნა ცრემლები. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ისევ

მისჯდომოდა მაგიდას.

– სტივა, გამიგე, – უთხრა ლევინმა, – ეს სიყვარული როდია. ადრეც ვყოფილვარ შეყვარებული, მაგრამ ეს იმას არა ჰგავს. ეს ჩემი შინაგანი გრძნობა კი არ არის, თითქოს რაღაც გარეშე ძალა დამეუფლა. მე ხომ იმიტომაც წავედი, რომ გადავწყვიტე, ეს არ შეიძლება მოხდეს-მეთქი, გესმის, როგორც ისეთი ბედნიერება, რომელიც ამქვეყნად არასოდეს აცხადდება. ბევრი ვებრძოლე ჩემს თავს და დავრწმუნდი, რომ ასე სიცოცხლე არ შემიძლია. ახლა კი უნდა გადავწყვიტო...

– რისთვის წახვედი სოფელში?

– ოჰ, დამაცადე! ათასნაირი აზრი მიტრიალებს თავში! რამდენი რამ არის საკითხავი! ყური დამიდგე: შენ ხომ არ შეგიძლია წარმოიდგინო, რა გააკეთე ჩემთვის იმით, რაც მითხარი. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ საძაგელიც კი გავხდი; ყველაფერი გადამავიწყდა. დღეს გავიგე, რომ ჩემი ძმა, ნიკოლაი, აქ ყოფილა... ისიც გადამავიწყდა. ასე მგონია, ისიც ბედნიერია-მეთქი. ეს რაღაც სიგიჟეს ჰგავს... მაგრამ ერთი რამ კი საშინელებაა... აი, შენ უკვე გყავს ცოლი და იცნობ ამ გრძნობას... საშინელებაა, რომ ჩვენ უკვე ბევრი რამ განვიცადეთ. გვაქვს ჩვენი ძველი... სიყვარული კი არა, ცოდვები... და უეცრად ვუკავშირდებით წმინდა, უმანკო არსებას; ეს საძაგლობაა და ამიტომაც შეუძლებელია უღირსად არ ჩათვალო საკუთარი თავი.

– შენ ხომ ბევრი ცოდვა არ გექნება!

– ჰო, მაგრამ მაინც... – უპასუხა ლევინმა, – „ზიზღით ვკითხულობ განვლილ ცხოვრებას, ვთრთი, ბედსა ვწყევლი და მწარედ ვნანობ“.დიახ!

– რას იზამ, ასეა ქვეყანა მოწყობილი, – თქვა სტეპან არკადიჩმა.

– მხოლოდ ერთი რამ არის სანუგეშო, იმ ლოცვისა არ იყოს, რომელიც ყოველთვის მიყვარდა: მომიტევე არა იმიტომ, რომ ღირს ვიყო, არამედ შენი მოწყალებისა გამო. და მასაც მხოლოდ ამგვარად შეუძლია მომიტევოს.

XI

ლევინმა სასმისი გამოცალა და ორივენი დადუმდნენ.

– ერთი რამ უნდა გითხრა კიდევ. იცნობ თუ არა ვრონსკის? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– არა, არ ვიცნობ. რატომ მეკითხები?

– მოიტა მეორე, – მიუბრუნდა სტეპან არკადიჩი თათარს, რომელიც სასმისებს ავსებდა ხოლმე და სწორედ მაშინ ტრიალებდა მათ ახლოს, როცა მისი ყოფნა საჭირო არ იყო.

– რატომ უნდა ვიცნობდე ვრონსკის?

– იმიტომ, რომ ვრონსკი ერთ-ერთი შენი მეტოქეა.

– რას წარმოადგენს ეს ვრონსკი? – ჰკითხა ლევინმა და მისი ბავშვურად აღტაცებული გამოხედვა, რომლითაც სწორედ ის-ის იყო ტკბებოდა ობლონსკი, მყისვე შეცვალა ბოროტმა, უსიამო გამომეტყველებამ.

– ვრონსკი გრაფ კირილ ივანოვიჩ ვრონსკის შვილია და ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი პეტერბურგის წარჩინებული ახალგაზრდობისა. მე იგი ტვერში გავიცანი, როცა იქ ვმსახურობდი, ახალწვეულთა შესაკრებად ჩამოდიოდა ხოლმე. ძალიან მდიდარია, ლამაზი, დიდად გავლენიანი, ამჟამად ფლიგელ-ადიუტანტია და ამასთან ერთად ძალიან სასიამოვნო და კარგი ყმაწვილია, მაგრამ უფრო მეტიც, ვიდრე მარტოოდენ კარგი ყმაწვილი; როგორც აქ გავიგე, განათლებული და ძალიან ჭკვიანიც ყოფილა; ეს ისეთი კაცია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს.

ლევინი იღუშებოდა და ხმას არ იღებდა.

– ჰოდა, შენ რომ წახვედი აქედან, მალე ისიც ჩამოვიდა და, როგორც ვხვდები, თავდავიწყებით შეუყვარდა კიტი; დედაც, ხომ იცი...

– მაპატიე, მაგრამ აღარაფერი გამეგება, – უთხრა ლევინმა და მოიღუშა; მაშინვე გაახსენდა თავისი ძმა ნიკოლაი და ისიც, თუ რამდენად საძაგელია თვითონ, რომ ასე დაივიწყა ძმა.

– დაიცა, დაიცა, – ღიმილით განაგრძო სტეპან არკადიჩმა და ხელზე ხელი მოჰკიდა, – მე ის გითხარი, რაც ვიცოდი და

გიმეორებ: ამ ნაზსა და სათუთ საქმეში, რამდენადაც კი შეიძლება მიხვედრა, მგონია, უპირატესობა შენს მხარეზეა.

ლევინი სკამის ზურგს მიეყრდნო, სახე გაუფითრდა.

– მაგრამ გირჩევდი, საქმე რაც შეიძლება ჩქარა გადაგეწყვიტა, – უთხრა ობლონსკიმ და სასმისი შეუვსო.

– არა, მადლობელი ვარ, მეტს ვეღარ დავლევ, – ლევინმა სასმისი გვერდზე გასწია, – დავთვრები... შენ როგორღა ხარ? – განაგრძო მან, ეტყობა, უნდოდა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

– ერთს კიდევ გეტყვი: ყოველ შემთხვევისათვის გირჩევ, მალე გადაწყვიტო საქმე. დღეს ნურაფერს ეტყვი, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – ხვალ დილით მიდი, კლასიკურად, წინადადება მიეცი და დაე, ღმერთი იყოს შენი შემწე...

– სულ მპირდებოდი, სანადიროდ ჩამოვალო შენთანო. ამ გაზაფხულზე მაინც ჩამოდი, – უთხრა ლევინმა.

ახლა იგი სულითა და გულით ნანობდა, ასეთი საუბარი რომ გაბა სტეპან არკადიჩთან. მისი განსაკუთრებული გრძნობა წაბილწული იყო ვიღაც პეტერბურგელი ოფიცრის მეტოქეობით, სტეპან არკადიჩის ვარაუდებითა და რჩევა-დარიგებებით.

სტეპან არკადიჩმა გაიღიმა. მან იცოდა, რა ხდებოდა ახლა ლევინის სულში.

– ჩამოვალ ოდესმე, – უთხრა მან, – ასეა, ძმაო, ქალი ის ხრახნია, რომელზედაც ტრიალებს ყველაფერი. აი, ჩემი საქმეც ცუდად არის, ძალიან ცუდად. და სულ ამ ქალების წყალობით. გულახდილად მითხარი, – განაგრძო ობლონსკიმ, სიგარა ამოიღო და ცალი ხელი სასმისს წაავლო, – რჩევა მომეცი.

– რა უნდა გირჩიო?

– აი, რა: დავუშვათ, ცოლიანი ხარ, გიყვარს ცოლი, მაგრამ გაგიტაცა სხვა ქალმა...

– მაპატიე, მაგრამ ეს სრულიად გაუგებარია ჩემთვის, ისევე როგორც... გაუგებარი იქნებოდა, რომ ახლა მე, მაძღარმა ადამიანმა, გვერდით ჩავუარო საფუნთუშეს და ფუნთუშა მოვიპარო.

სტეპან არკადიჩს ჩვეულებრივზე მეტად უბრწყინავდა თვალები.

– რატომაც არა! ფუნთუშას ზოგჯერ ისეთი სუნი უდის, რომ თავს ვეღარ შეიკავებ.

Himmlisch ist’s, wenn ich bez wungen Meine irdische Begier; Aber noch wenn’s nicht gelungen, Hatt’ ich auch recht hübsch Plaisirt.[6]

ამას რომ ამბობდა, სტეპან არკადიჩი ნაზად იღიმებოდა. ლევინმაც ვეღარ შეძლო ღიმილის შეკავება.

– ჰო, ხუმრობის გარეშე, – განაგრძო ობლონსკიმ, – შენ გესმის, ქალმა, ტურფა, სათნო, მოსიყვარულე არსებამ, საბრალომ და ობლად შთენილმა ყველაფერი შენ შემოგწირა. და ახლა, როცა საქმე გათავებულია, გამიგე, განა შეგიძლია ხელი ჰკრა მას? დავუშვათ, გავშორდით ერთმანეთს, იმისთვის, რომ ოჯახური ცხოვრება არ დაირღვეს; მაგრამ განა შეიძლება არ შეგებრალოს, განა შეიძლება ხელი არ შეუწყო ცხოვრებაში და არ შეუმსუბუქო დარდი?

– მაპატიე, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ჩემთვის ყველა ქალი ორ ჯგუფად იყოფა... თუმცა არა... უფრო სწორად რომ ვთქვათ, არიან ქალები და არიან... მშვენიერი ზნედაცემული არსებანი, მე არასოდეს მინახავს და ვერც ვნახავ, ისეთები კი, როგორიც ეს დახლთან მჯდომი კულულებიანი, გათითხნილი ფრანგის ქალია, ჩემთვის საზიზღრობას წარმოადგენენ, და ყველა ზნედაცემული ქალიც ამგვარია.

– სახარების ქალზე რაღას იტყვი?

– კარგი ერთი! ქრისტეს რომ სცოდნოდა, ასე ბოროტად გამოიყენებდნენ მის სიტყვებს, არასოდეს იტყოდა ამას. მთელი სახარებიდან მხოლოდ ეს სიტყვებიღა ახსოვთ. თუმცა მე იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ და არა იმას, რასაც ვფიქრობ. მე მეზიზღებიან ეს ზნედაცემული ქალები. შენ ობობებისა გეშინია, მე კი ამ საძაგელი ქალებისა. შენ ხომ, ალბათ, არც შეგისწავლია ობობები და არც მათ თვისებებს იცნობ. ასე ვარ მეც.

– შენთვის კარგია ასე ლაპარაკი; ეს იმ დიკენსის ვაჟბატონსა ჰგავს, რომელიც ყველა ძნელ საკითხს მარცხენა ხელით მარჯვენა მხარეს გადაისროდა ხოლმე. მაგრამ ფაქტის უარყოფა

პასუხი როდია. რა უნდა ქნა, მითხარი, რა უნდა ქნა? ცოლი გიბერდება, შენ კი სიცოცხლით სავსე ხარ. უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე იგრძნობ, რა პატივსაც უნდა სცემდე ცოლს, მაინც აღარ შეგიძლია გიყვარდეს ისეთი სიყვარულით. ამ დროს კი უცებ გამოგიტყვრება სიყვარული და დაიღუპები, სულ დაიღუპები! – ნაღვლიანად, სასოწარკვეთილებით თქვა ობლონსკიმ.

ლევინმა ჩაიცინა.

– ჰოდა, დავიღუპე კიდეც, – განაგრძო ობლონსკიმ, – რა უნდა ვქნა?

– ნუღარ მოიპარავ ფუნთუშებს.

სტეპან არკადიჩს გაეცინა.

– აი, მორალისტი! მაგრამ უნდა იცოდე, რომ არსებობენ ორგვარი ქალები: ერთნი მოითხოვენ მხოლოდ თავიანთ უფლებებს და ეს უფლება შენი სიყვარულია, რომელიც შენ არ შეგიძლია მიანიჭო; მეორენი კი შემოგწირავენ ყველაფერს და სამაგიეროდ არაფერს თხოულობენ. რა უნდა ქნა? როგორ უნდა მოიქცე? ეს არის საშინელი დრამა.

– შენ თუ გინდა, მოისმინო ჩემი აღსარება ამის თაობაზე, გეტყვი: მე არა მჯერა, რომ აქ რაიმე დრამა არსებობდეს და აი, რატომ: ჩემი აზრით, სიყვარული, რომელსაც, გახსოვს, პლატონი განმარტავს თავის „ლხინში“, ეს ორივენაირი სიყვარული სასინჯი ქვაა ადამიანებისათვის. ზოგი მხოლოდ ერთს გაიგებს, სხვა კი – მეორეს. ისინი, რომელთაც არ სწამთ პლატონური სიყვარული, ტყუილუბრალოდ ლაპარაკობენ დრამაზე. ამგვარ სიყვარულს არ შეიძლება ახლდეს რაიმე დრამა: „უმორჩილესად გმადლობთ სიამოვნებისათვის, მიიღეთ ჩემი თაყვანისცემა!“ – აი, მთელი მათი დრამა. პლატონური სიყვარულის დროს კი არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დრამას, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი ნათელია და წმინდა, იმიტომ, რომ... – ამ წუთში ლევინს გაახსენდა თავისი ცოდვები, გაახსენდა, როგორი შინაგანი ბრძოლა გადაიტანა და მოულოდნელად დასძინა, – თუმცა შეიძლება შენ მართალიც იყო. სრულიად ადვილი შესაძლებელია... მაგრამ მე არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი.

– აი, ხომ ხედავ, – შენიშნა სტეპან არკადიჩმა, – შენ

მეტისმეტად მტკიცედ ნაჭედი ადამიანი ხარ, ეს არის შენი ნაკლიცა და ღირსებაც. შენში ყველაფერი ჩამოყალიბებულია და გინდა ცხოვრებაშიც ყველაფერი ნათელი და გარკვეული იყოს, ეს კი ასე არ ხდება. აი, შენ გძულს საზოგადოებრივი, სამსახურებრივი საქმიანობა, რადგან გინდა, რომ საქმე ყოველთვის მიზანს შეესაბამებოდეს, ეს კი ასე არ არის. შენ ისიც გინდა, თითოეული ადამიანის საქმიანობას ჰქონდეს მიზანი, რომ სიყვარული და ოჯახური ცხოვრება ერთი იყოს, ეს კი ასე არ ხდება ხოლმე. ცხოვრების მრავალფეროვნება, მთელი სილამაზე და მშვენიერება ჩრდილებისა და სინათლისაგან შედგება.

ლევინმა ამოიოხრა და არაფერი უპასუხა. ის უკვე თავისთვის ფიქრობდა და ყურს აღარ უგდებდა ობლონსკის.

და უეცრად ორივემ იგრძნო, რომ მართალია, მეგობრები არიან, ისადილეს კიდეც ერთად, ღვინოც დალიეს, რასაც კიდევ უფრო მეტად უნდა დაეახლოებინა, მაგრამ თითოეული თავის საფიქრალს ფიქრობს და არაფერი ესაქმება მეორესთან. ობლონსკის არაერთხელ განუცდია ნაცვლად დაახლოებისა, ასეთი უკიდურესი გათიშვა და იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში.

– ანგარიში! – გასძახა მან და მეზობელ დარბაზში გავიდა, სადაც მაშინვე შეხვდა ნაცნობ ადიუტანტს და ვიღაც მსახიობ ქალსა და მის კეთილისმყოფელზე გაუბა საუბარი. ადიუტანტთან ლაპარაკით მაშინვე გულზე მოეშვა, შვება იგრძნო ლევინთან საუბრის შემდეგ, რაც ყოველთვის უდიდეს გონებრივ და სულიერ დაძაბვას იწვევდა მასში.

როცა გამოცხადდა ლაქია და წარმოადგინა ანგარიში ოცდაექვსი მანეთისა და კიდევ რაღაც კაპიკების ოდენობით, თანაც ზედ დაუმატა არყის ფული, ლევინს, რომელსაც, როგორც სოფლის მცხოვრებს, წინათ თავზარს დასცემდა ეს ანგარიში, ახლა ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე გადაიხადა თავის წილი თოთხმეტი მანეთი და შინისკენ გასწია, რათა ტანისამოსი გამოეცვალა და წასულიყო შჩერბაცკებთან, სადაც მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

XII

თავადის ქალი კიტი შჩერბაცკაია თვრამეტი წლისა იყო. იგი პირველად ამ ზამთარს გამოჩნდა საზოგადოებაში და მისი წარმატება უფრო დიდი იყო, ვიდრე ორივე უფროსი დისა. ასე რომ, გადააჭარბა კიდეც დედამისის მოლოდინს. ისიც აღარ იკმარა, მოსკოვის ბალებზე მოცეკვავე თითქმის ყველა ახალგაზრდა კიტის მიჯნურობის ცეცხლით რომ იწვოდა, და იმავე ზამთარს ორი სერიოზული საქმროც გამოუჩნდა: ლევინი და შემდეგ მისი წასვლისთანავე – გრაფი ვრონსკი.

ლევინის გამოჩენა ამ ზამთრის დასაწყისში, მისი ხშირი სტუმრობა და აშკარა სიყვარული კიტისადმი საბაბი შეიქნა მშობლების პირველი სერიოზული ლაპარაკისა კიტის მომავალზე, იგივე გახდა მიზეზი თავადისა და ქალბატონ შჩერბაცკაიას უთანხმოებისა. თავადი ლევინის მხარეზე იყო და ამბობდა, ამაზე უკეთესს ვერაფერს ვისურვებ კიტისთვისო. ქალბატონი შჩერბაცკაია კი, როგორც საერთოდ სჩვევიათ ქალებს, გვერდს უვლიდა საკითხს და ამბობდა, რომ კიტი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, რომ ლევინი არაფრით ამჟღავნებს, თუ მას სერიოზული განზრახვა აქვს, რომ კიტის მაინცდამაინც არ მოსწონს ლევინი და ვერც ვერაფერი გაეგო მისი. როცა ლევინი მოულოდნელად წავიდა, ქალბატონი შჩერბაცკაია გაახარა ამ ამბავმა და გამარჯვებულის კილოთი უთხრა ქმარს, ხედავ, მე მართალი ვიყავიო. ვრონსკის გამოჩენამ კიდევ უფრო მეტი სიხარული მოჰგვარა ქალბატონს, კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა, რომ კიტი არამცთუ კარგად, ბრწყინვალედ უნდა გათხოვდეს.

დედის აზრით, ვრონსკისა და ლევინის შედარებაც კი არ შეიძლებოდა. მას არ მოსწონდა ლევინი, მისი უცნაური, უხეში მსჯელობანი, არ მოსწონდა მისი უგერგილო ქცევა საზოგადოებაში, რის მიზეზადაც მიიჩნევდა ლევინის სიამაყესა და მის უცნაურ ცხოვრებას სოფლად, მესაქონლეობით გატაცებასა და გლეხებთან ურთიერთობას. არც ის მოსწონდა, რომ ლევინი, რომელსაც უყვარდა მისი ქალიშვილი, თვე-ნახევრის განმავლობაში დადიოდა მათთან, ოჯახში, თითქოს რაღაცას ელოდა, აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოს შიშობდა კიდეც, დიდი პატივი ხომ არ იქნება, ხელი რომ ვთხოვოო, იმას კი ვერ მიმხვდარიყო, რომ, როცა დადიოდა იმ ოჯახში, სადაც გასათხოვარი ქალი ეგულებოდა, უნდა განეცხადებინა კიდეც ამის მიზეზი. და უცებ, მოულოდნელად წავიდა სოფელში, ისე,

რომ არაფერი უთქვამს. „კიდევ კარგი, იმდენად მიმზიდველი არ არის, თორემ ხომ შეიძლებოდა შეჰყვარებოდა კიტის“, – ფიქრობდა დედა.

ვრონსკი კი ქალბატონ შჩერბაცკაიას ყოველ სურვილს აკმაყოფილებდა. ძალიან მდიდარი იყო, ჭკვიანი, სამეფო კარზე გზა ხსნილი ჰქონდა ბრწყინვალე სამხედრო კარიერისათვის და ისედაც მომხიბვლელი ადამიანი იყო. ამაზე უკეთესს ვერც ინატრებდა.

ბალებზე ვრონსკი აშკარად ეტრფოდა კიტის, მასთან ცეკვავდა, ოჯახშიც დადიოდა და ეჭვი არ იყო, სერიოზული განზრახვა ამოძრავებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალბატონმა შჩერბაცკაიამ მაინც ღელვასა და მოუსვენრობაში გაატარა მთელი ეს ზამთარი.

თვითონ ქალბატონი ამ ოცდაათი წლის წინ გათხოვდა მამიდის მაჭანკლობით. ჩამოვიდა საქმრო, რომლის შესახებაც უკვე წინასწარ იცოდნენ ყველაფერი, გასინჯა საცოლე, გასინჯეს თვით ისიც; მამიდამ, მაჭანკალმა, გაიგო და აუწყა ორივე მხარეს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ურთიერთზე. შთაბეჭდილება კარგი იყო. შემდეგ დანიშნულ დღეს მშობლებს წინადადება მისცეს, მშობლებმაც მიიღეს წინადადება. ყველაფერი ძალიან უბრალოდ და იოლად მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ქალბატონ შჩერბაცკაიას. შემდეგ კი თავის შვილებზე გამოცადა, რომ ქალიშვილის გათხოვება არც ისეთი იოლი და უბრალო საქმე ყოფილა, როგორიც ჰგონიათ ხოლმე. რამდენი შიში გადაიტანა, რამდენი რამ იფიქრა, რამდენი ფული დაეხარჯა, რამდენი უსიამოვნება ჰქონდა ქმართან ორი უფროსი ქალის – დარიასა და ნატალიას გათხოვებაზე! ახლა კი, როცა უმცროსი ქალიშვილი გამოჰყავდა საზოგადოებაში, იმავე შიშს განიცდიდა, ისევ ისე აფიქრებდა ყველაფერი და ქმართანაც კიდევ უფრო მეტი უსიამოვნება ჰქონდა. მოხუცი თავადი, როგორც საზოგადოდ ყველა მამა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალიშვილების პატიოსნებასა და ზნეობრივ სისპეტაკეს, იგი მეტისმეტად ეჭვიანობდა თავის ქალიშვილებსა და განსაკუთრებით კიტიზე, რომელიც გამორჩევით უყვარდა, ყოველ ნაბიჯზე ეჩხუბებოდა ცოლს, შენ თვითონვე უტეხ სახელს შენს შვილსო. ქალბატონი შჩერბაცკაია ჯერ კიდევ უფროსი ქალიშვილების გათხოვების დროს შეეჩვია ამას, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ თავადის

ეჭვიანობას უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა. თავადის მეუღლე ამჩნევდა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ შეიცვალა საზოგადოებაში, რომ დედის მოვალეობა კიდევ უფრო სამძიმო შეიქნა. ხედავდა, რომ კიტის ტოლები რაღაც საზოგადოებებს ადგენდნენ, რაღაც კურსებზე დადიოდნენ, თავისუფლად ეჭირათ თავი მამაკაცებთან, მარტონი დასეირნობდნენ ქუჩაში, ბევრი რევერანსსაც აღარ აკეთებდა და, რაც მთავარია, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საქმროს არჩევა მათი საქმეა და არა მშობლებისა. „ახლა ისე აღარ ათხოვებენ, როგორც წინათ“, – ფიქრობდნენ და ამბობდნენ ეს ქალიშვილები და თითქმის მოხუცებიც კი. მაგრამ ახლა როგორ ათხოვებდნენ ქალიშვილებს, ეს ქალბატონმა შჩერბაცკაიამ ვერავისგან გაიგო. ფრანგული ჩვეულება – მშობლებს გადაეწყვიტათ შვილის ბედ-იღბალი, მიღებული არ იყო და ამას გმობდნენ კიდეც. ინგლისური ჩვეულება, – ქალიშვილისათვის სრული თავისუფლების მიცემა, აგრეთვე არ იყო მიღებული და შეუძლებელიც კი რუსი საზოგადოებისათვის. რუსული ჩვეულება – მაჭანკლობა, უმსგავსობად იყო მიჩნეული და ამას დასცინოდა ყველა, და თვით ქალბატონი შჩერბაცკაია. მაგრამ როგორ უნდა გათხოვილიყვნენ ან როგორ უნდა გაეთხოვებინათ, ეს არავინ იცოდა. ყველა, ვისთანაც კი ქალბატონს მოუხდა ლაპარაკი ამ საკითხზე, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „გეთაყვა, ჩვენს დროში უკვე დროა დავიწყებას მივცეთ ეს ძველი ჩვეულება. ახალგაზრდები ქორწინდებიან და არა მშობლები; ასე რომ, ახალგაზრდებს უნდა მივცეთ საშუალება, ისე მოეწყონ, როგორც მათ უნდათ“. კარგი იყო ასეთი ლაპარაკი იმისათვის, ვისაც თვითონ არ ჰყავდა ქალიშვილები. მაგრამ ქალბატონმა შჩერბაცკაიამ იცოდა, რომ დაახლოების დროს ქალიშვილს შეეძლო შეჰყვარებოდა ვინმე და შეჰყვარებოდა ის, ვინც არ აპირებდა ცოლის შერთვას, ან ისეთი, ვინც ღირსი არ იყო ქმრობისა. და რამდენიც უნდა დაერწმუნებინათ ქალბატონი შჩერბაცკაია, ჩვენს დროში ახალგაზრდებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ბედიო, მაინც ვერ დაგიჯერებდათ ამას, ისევე როგორც ვერ გერწმუნებოდათ, რომ ოდესმე შესაძლოა ხუთი წლის ბავშვებისთვის ყველაზე კარგ გასართობად გატენილი დამბაჩები მიიჩნიონ. ამიტომაც ქალბატონ შჩერბაცკაიას ახლა კიტის ბედი უფრო აწუხებდა, ვიდრე ადრე ორი უფროსი ქალიშვილისა.

ახლა თავადის მეუღლეს იმის ეშინოდა, ვაითუ ვრონსკი მხოლოდ კიტის ტრფიალით დაკმაყოფილდესო. დედა ამჩნევდა, რომ კიტის უკვე უყვარდა ვრონსკი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, ვრონსკი პატიოსანი ადამიანია და ამას არ ჩაიდენსო, მაგრამ ამავე დროს იცოდა, თუ ახლანდელი თავისუფალი ურთიერთობის დროს რა ადვილი იყო ქალიშვილისათვის თავბრუს დახვევა და, საერთოდ, როგორ იოლად უყურებდნენ მამაკაცები ამგვარ დანაშაულს. გასულ კვირას კიტიმ უამბო დედას, რას ელაპარაკებოდა ვრონსკი მაზურკის დროს. ამ საუბარმა ნაწილობრივ დაამშვიდა ქალბატონი შჩერბაცკაია, მაგრამ სავსებით დამშვიდებით მაინც არ შეეძლო ყოფილიყო. ვრონსკიმ უთხრა კიტის, რომ ისინი, ორივე ძმა, ისე არიან ყველაფერში დედის მორჩილებას მიჩვეულნი, რომ მისი რჩევის გარეშე ვერასოდეს გადაწყვეტენ რაიმე მნიშვნელოვან საკითხს. და ახლა დედის პეტერბურგიდან ჩამოსვლას ისე მოველი, როგორც რაიმე განსაკუთრებულ ბედნიერებასო, უთქვამს მას.

კიტიმ ისე უამბო ეს დედას, რომ ამ სიტყვებისთვის არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია. დედამ კი ეს სულ სხვანაირად გაიგო. მან იცოდა, რომ მოხუცს დღე-დღეზე ელოდნენ, ისიც იცოდა, რომ მოხუცს გაახარებდა შვილის არჩევანი, მაგრამ ის კი უცნაურად ეჩვენებოდა, თუ რატომ უნდა შინებოდა ვრონსკის დედის შეურაცხყოფისა და რატომ არ უნდა მიეცა წინადადება კიტისათვის; მაგრამ დედას ისე უნდოდა ეს ქორწინება, ყველაზე მეტად კი ისე უნდოდა ბოლო მოღებოდა მის შიშს, რომ ყველაფერი სჯეროდა. მართალია, ქალბატონ შჩერბაცკაიას გულს უკლავდა უბედურება უფროსი ქალიშვილის – დოლისა, რომელიც ქმრის მიტოვებას აპირებდა, მაგრამ ახლა უმცროსი ქალის ბედზე შიშმა მთლიანად შთანთქა მისი გრძნობა-გონება. დღევანდელ დღეს ლევინის გამოჩენამ კიდევ ახალი დარდი შემატა ქალბატონს. ეშინოდა, რომ მის ქალს, რომელიც, მისი ფიქრით, ერთ დროს გატაცებული იყო ლევინით, მომეტებული პატიოსნების გამო უარი არ ეთქვა ვრონსკისათვის და საერთოდ, ლევინის ჩამოსვლას არ აეწეწა, არ შეეჩერებინა საქმე, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

– რაო, დიდი ხანია ჩამოსულა? – იკითხა ქალბატონმა ლევინის ამბავი, როცა შინ დაბრუნდნენ.

– დღეს ჩამოსულა, maman.

– ერთი რამ მინდა გითხრა... – დაიწყო ქალბატონმა შჩერბაცკაიამ და კიტი დედის სერიოზულ, შეშფოთებულ სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რაც უნდა ეთქვა.

– დედა, – თქვა უეცრად აწითლებულმა კიტიმ და სწრაფად შეტრიალდა დედისკენ, – გეთაყვა, ნურაფერს მეტყვით ამაზე, მე ვიცი, მე ყველაფერი ვიცი.

კიტისაც იგივე სურდა, რაც დედამისს, მაგრამ დედის სურვილის მოტივები შეურაცხყოფდა.

– მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ როცა იმედს აძლევ ერთს...

– დედა, ჩემო კარგო, ღვთის გულისათვის, ნურაფერს მეტყვით. საშინელებაა ამაზე ლაპარაკი.

– აღარაფერს გეტყვი, აღარაფერს, – უთხრა დედამ, როცა ქალიშვილის თვალებში ცრემლები შენიშნა, – მხოლოდ ერთი რამ არის, ჩემო სულისდგმავ: ხომ შემპირდი, რომ არაფერი გექნება ჩემგან დაფარული? ხომ არაფერს დამიმალავ?

– არასოდეს, დედა, არასოდეს არაფერს დაგიმალავთ, – უპასუხა კიტიმ, გაწითლდა და პირდაპირ თვალებში შეხედა დედას, – ახლა კი არაფერი მაქვს სათქმელი. მე... მე... რომ მინდოდეს კიდეც, არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა ან როგორ უნდა ვუთხრა... მე არ ვიცი...

„არა, ასეთი თვალების პატრონი ტყუილს ვერ იტყვის“, – გაიფიქრა დედამ და გაეღიმა კიტის მღელვარებასა და ბედნიერებაზე. თავადის მეუღლეს იმაზე ეღიმებოდა, რომ კიტის, ამ საბრალო გოგონას, რა დიდად და მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა ის, რაც ახლა მის გულში ხდებოდა.

XIII

სადილის შემდეგ, საღამომდე, კიტი იმავე გრძნობას

განიცდიდა, რასაც განიცდის ჭაბუკი ბრძოლის წინ; გული ძალუმად უცემდა, ფიქრი ვერაფერზე შეეჩერებინა.

კიტი გრძნობდა, რომ დღევანდელი საღამო, როცა ვრონსკი და ლევინი პირველად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო მისი ბედისა და კიტის გამუდმებით თვალწინ ედგა ისინი, ხან ორივე ერთად, ხან თითოეული ცალ-ცალკე. როცა წარსულზე ფიქრობდა, კიტი სიამოვნებითა და სიყვარულით იგონებდა თავის ურთიერთობას ლევინთან. ბავშვობის მოგონებები და ლევინის მეგობრობა მის გარდაცვლილ ძმასთან განსაკუთრებულ პოეტურ მშვენიერებას სძენდა მათ ურთიერთობას. ლევინის სიყვარული, რაშიც დარწმუნებული იყო, სიამოვნებდა და სიხარულს ჰგვრიდა. ამიტომაც ლევინის გახსენება იოლი იყო მისთვის, ვრონსკის გახსენებაზე კი კიტი ერთგვარ უხერხულობას გრძნობდა, თუმცა ვრონსკი უაღრესად ზრდილი და მშვიდი ადამიანი იყო; თითქოს რაღაც სიყალბე ეტყობოდა არა ვრონსკის, – ის ძალიან სადა და სასიამოვნო პიროვნება იყო, – არამედ თვით კიტის, მაშინ როცა ლევინთან ყველაფერი უბრალოდ, გარკვევით ეჩვენებოდა. მაგრამ სამაგიეროდ, როცა თავის მომავალს წარმოიდგენდა ვრონსკისთან ერთად, ყოველთვის ბრწყინვალე ბედნიერების პერსპექტივა ეშლებოდა, მაშინ როცა ლევინთან მომავალი ცხოვრება ბურუსით მოცული ესახებოდა.

როდესაც კიტი ზევით ავიდა საღამოსათვის ტანისამოსის ჩასაცმელად და სარკეში ჩაიხედა, სიამოვნებით შენიშნა, რომ ეს დღე მისთვის ერთ-ერთი ბედნიერ დღეთაგანი იყო, რომ იგი მთლიანად ფლობდა თავის ძალ-ღონეს, რაც ესოდენ საჭირო იყო მისთვის დღევანდელ დღეს; რაღაც გარეგნულ სიმშვიდესაც გრძნობდა და მიხრა-მოხრაც ლაღი და ნარნარი ჰქონდა.

რვის ნახევარზე, როგორც კი კიტი სასტუმრო ოთახში შევიდა, ლაქიამ მოახსენა, კონსტანტინ დმიტრიჩ ლევინი მობრძანდაო. ქალბატონი შჩერბაცკაია ჯერ ისევ თავის ოთახში იყო, თავადიც არ იყო გამოსული. „სწორედ ასეა“, – გაიფიქრა კიტიმ, სისხლი გულზე მოაწვა და სარკეში რომ ჩაიხედა, თვითონვე შეაძრწუნა თავისმა სიფერმკრთალემ.

კიტიმ ახლა დანამდვილებით იცოდა, ლევინი იმიტომ გამოცხადდა ადრე, რომ განმარტოებით ენახა კიტი და ხელი

ეთხოვა მისთვის. პირველად მხოლოდ ახლა წარმოუდგა კიტის ყველაფერი და სულ სხვა, ახლებური თვალით შეხედა ამ საქმეს. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ საკითხი მარტო მას არ ეხება, – ვისთან იქნება ბედნიერი ან ვინ უყვარს, – ახლა, ამ წუთში მან შეურაცხყოფა უნდა მიაყენოს საყვარელ ადამიანს და მერე როგორი საშინელი შეურაცხყოფა. მერედა რისი გულისთვის? იმისათვის, რომ მას, ამ საყვარელ ადამიანს, უყვარს კიტი, მაგრამ რას იზამ, ასეა საჭირო და ასეც უნდა მოხდეს.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ მე თვითონ უნდა ვუთხრა ეს? – გაიფიქრა კიტიმ, – რა უნდა ვუთხრა? ნუთუ იმას ვეტყვი, რომ არ მიყვარს? ეს ხომ მართალი არ იქნება. მაშ, რა უნდა ვუთხრა? ვუთხრა, რომ სხვა მიყვარს? არა, ეს შეუძლებელია! მე წავალ, წავალ, – კიტი მიუახლოვდა კიდეც კარს და ლევინის ფეხის ხმაც გაისმა, – არა! ეს უპატიოსნობაა. რისი უნდა მეშინოდეს? ცუდი ხომ არაფერი ჩამიდენია. რაც იქნება, იქნეს! სიმართლეს ვეტყვი. მასთან არ შეიძლება უხერხულობა იგრძნო. აი, ისიც“, – გაიფიქრა კიტიმ, როცა ოთახში შემოსული ძალ-ღონით სავსე, დარცხვენილი ლევინი და მისკენ მიპყრობილი ანთებული თვალები დაინახა. კიტიმ პირდაპირ სახეში შეხედა ლევინს, თითქოს უნდა შებრალება სთხოვოსო, და ხელი გაუწოდა.

– მგონი, უდროოდ მოვედი, ძალიან ადრე მომივიდა მოსვლა, – თქვა ლევინმა და ცარიელ სასტუმროს მოავლო თვალი. და როცა დაინახა, რომ მოლოდინი გაუმართლდა და აღარაფერი უშლიდა ხელს ეთქვა თავისი სათქმელი, სახეზე მწუხარება გამოეხატა.

– ოჰ, არა, – უთხრა კიტიმ და მაგიდას მიუჯდა.

– ჰოდა, სწორედ მეც ის მინდოდა, რომ მარტო მენახეთ, – დაიწყო ლევინმა, თან არც ჯდებოდა და არც სახეში უყურებდა კიტის, რათა გამბედაობას არ ეღალატა.

– დედა ახლავე გამოვა. გუშინ მეტისმეტად მოიქანცა. გუშინ...

კიტი ლაპარაკობდა და თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდნენ მისი ბაგენი, თან მოალერსე, ვედრებით სავსე თვალს არ აშორებდა ლევინს.

ლევინმა შეხედა კიტის. კიტი გაწითლდა და დადუმდა.

– მე თქვენ გითხარით, არ ვიცი, დიდი ხნით ჩამოვედი თუ არა-მეთქი... ეს თქვენზეა-მეთქი დამოკიდებული.

კიტი სულ უფრო და უფრო დაბლა ხრიდა თავს და თვითონაც არ იცოდა, რა პასუხს გასცემდა მოახლოებულ შეკითხვას.

– რომ ეს თქვენზეა დამოკიდებული, – გაიმეორა მან, – მე მინდოდა, მეთქვა... მინდოდა, მეთქვა... იმიტომაც ჩამოვედი... რომ... თქვენ ჩემი მეუღლე გახდეთ! – თქვა ლევინმა, რომელსაც თვითონაც აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა, მაგრამ იგრძნო, რომ ყველაზე საშინელი რამ უკვე ნათქვამი იყო, შეჩერდა და კიტის შეხედა.

კიტი მძიმედ სუნთქავდა და არ უყურებდა ლევინს. იგი აღტაცებას განიცდიდა. გული სავსე ჰქონდა სიხარულით. არ ეგონა, რომ ლევინისაგან სიყვარულის გამოცხადება ასე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. კიტის ვრონსკი გაახსენდა. მან ახედა ლევინს თავისი ნათელი, ალალ-მართალი თვალებით და მისი სასოწარკვეთილი სახე რომ დაინახა, საჩქაროდ უპასუხა: – ეს არ შეიძლება მოხდეს... მაპატიეთ.

ამ ერთი წუთის წინ რა ახლობელი იყო იგი ლევინისათვის, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ლევინის ცხოვრებაში! და უეცრად როგორი უცხო და შორეული შეიქნა!

– სხვანაირად არც შეიძლებოდა, მომხდარიყო, – თქვა ლევინმა ისე, რომ არც შეუხედავს კიტისთვის.

ლევინი გამოემშვიდობა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

XIV

მაგრამ სწორედ ამ დროს ქალბატონი შჩერბაცკაია შემოვიდა. მას საშინელება აღებეჭდა სახეზე, როცა განმარტოებით მყოფი ლევინი და კიტი დაინახა, დაინახა მათი აღელვებული სახეები. ლევინი უსიტყვოდ მიესალმა. კიტი თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა. „მადლობა ღმერთს, უარი უთქვამს“, – გაიფიქრა

დედამ და სახე ჩვეულმა ღიმილმა გაუბრწყინა, როგორც ხუთშაბათობით ეგებებოდა ხოლმე სტუმრებს. თავადის მეუღლე დაჯდა და გამოჰკითხა ლევინს, როგორ ცხოვრობდა სოფლად. ლევინიც ისევე დაჯდა, რათა სტუმრების მოსვლას დალოდებოდა და შემდეგ შეუმჩნევლად წასულიყო.

ხუთი წუთის შემდეგ სასტუმროში შემოვიდა კიტის მეგობარი, გრაფინია ნორდსტონი, რომელიც გასულ ზამთარს გათხოვილიყო.

ეს იყო გამხდარი, სახეგაყვითლებული, ავადმყოფი და ნერვიული ქალი. მას უყვარდა კიტი და მისი სიყვარული, როგორც ყოველთვის სჩვევიათ გათხოვილ ქალებს გასათხოვრებისადმი, იმით გამოიხატებოდა, რომ კიტი მისი იდეალის მიხედვით ბედნიერად გაეთხოვებინა და ამიტომაც უნდოდა, ვრონსკის გაჰყოლოდა. ლევინი, რომელსაც ამ ზამთრის დამდეგს ხშირად ხვდებოდა შჩერბაცკებთან, არ მოსწონდა, ყოველი შეხვედრისას დასცინოდა, თავს ირთობდა ამ დაცინვით და სიამოვნებდა.

– მიყვარს, როცა თავისი დიდების მწვერვალიდან დამცქერის, ან შეწყვეტს ჩემთან ჭკვიანურ საუბარს, იმიტომ, რომ მე სულელი ვარ, ან დაეშვება ჩემამდე. ეს ძალიან მიყვარს: „ჩემამდე დაეშვება!“ დიდად მიხარია, რომ თვალის დასანახად ვძულვარ, – იტყოდა ხოლმე იგი ლევინზე.

გრაფინია ნორდსტონი არ ტყუოდა, რადგან ლევინს მართლაც თვალის დასანახავად სძულდა. სძულდა სწორედ იმის გამო, რითაც ქალი ამაყობდა და თავის ღირსებად მიიჩნევდა – იმ საშინელი ზიზღისა, ნერვიულობისა და გულარძნილობის გამო, რასაც გრაფინია ყოველივე უხეშისა და ამქვეყნიურისადმი ამჟღავნებდა.

ნორდსტონსა და ლევინს შორის დამყარდა იმდაგვარი ურთიერთობა, რომელსაც ხშირად შეხვდებით მაღალ საზოგადოებაში, როცა ორ ადამიანს, რომელნიც გარეგნულად თითქოს მეგობრებიც არიან, ისე სძულთ ერთმანეთი, რომ არ შეუძლიათ სერიოზულად მოეპყრან ურთიერთს და აღარც სწყინთ არაფერი ერთიმეორისაგან.

გრაფინია ნორდსტონი მაშინვე თავს დაესხა ლევინს.

– აჰ, კონსტანტინ დმიტრიჩ! ისევ ჩამოხვედით ჩვენს გარყვნილ

ბაბილონში, – უთხრა მან და პატარა გაყვითლებული ხელი გაუწოდა. ამ სიტყვებით გაახსენა ლევინს მისი ნათქვამი, ამ ზამთრის დამდეგს როგორღაც რომ თქვა, მოსკოვი იგივე ბაბილონიაო, – რაო, ბაბილონმა იცვალა ფერი თუ თქვენ გაფუჭდით? – დასძინა და ღიმილით გადახედა კიტის.

– ჩემთვის დიდად საამაყოა, რომ თქვენ, გრაფინია, ასე კარგად დაგიმახსოვრებიათ ჩემი სიტყვები, – მიუგო ლევინმა, რომელსაც უკვე მოესწრო დამშვიდება, და ჩვეული მტერმოყვრული საუბარი გაუბა გრაფინია ნორდსტონს, – ალბათ, ჩემი სიტყვები მეტისმეტად ძლიერად მოქმედებს თქვენზე.

– ოჰ, აბა, რა გგონიათ! მე ყველაფერს ვიწერ. შენ ისევ იციგურავე, კიტი? – და მან საუბარი გაუბა კიტის. მართალია, ლევინისთვის ახლა მეტად უხერხული იყო წასვლა, მაგრამ ეს უხერხულობა უჯობდა მთელ საღამოს აქ დარჩენას და კიტის ყურებას, რომელიც დროდადრო გადახედავდა ხოლმე ლევინს, მაგრამ გაურბოდა მის მზერას. დააპირა კიდეც წამოდგომა, მაგრამ შჩერბაცკაიამ შენიშნა, ლევინი გაჩუმებული რომ იჯდა და საუბარი გაუბა.

– დიდი ხნით ჩამოხვედით მოსკოვში? თუმცა თქვენ მომრიგებელ ერობაში ხართ და დიდხანს დარჩენა არ შეგიძლიათ.

– არა, ქალბატონო, მე უკვე აღარა ვარ ერობაში, – უპასუხა ლევინმა, – რამდენიმე დღით გეახელით.

„რაღაც ამბავია მის თავს, – გაიფიქრა გრაფინია ნორდსტონმა, როცა ლევინის კუშტ, სერიოზულ სახეს მოჰკრა თვალი, – რაღაც თავს ვერ აბამს საუბარს. მე მოვიყვან მაგას ჭკუაზე. საშინლად მიყვარს მისი გაბიაბრუება კიტის თვალში და გავაკეთებ კიდეც ამას“.

– კონსტანტინ დმიტრიჩ, – მიმართა მან ლევინს, – გეთაყვა, ამიხსენით, რაშია საქმე, თქვენ ხომ ყველაფერი იცით. ჩვენში, კალუგის გუბერნიის სოფლებში, გლეხებმა, ქალებმაც და კაცებმაც, ყველაფერი ლოთობაში შეჭამეს, რაც კი რამ ებადათ, და ახლა აღარაფერს გვიხდიან. რას ნიშნავს ეს? თქვენ ყოველთვის ისე აქებთ ხოლმე გლეხებს.

ამ დროს ოთახში კიდევ ვიღაც მანდილოსანი შემოვიდა და

ლევინი წამოდგა.

– მაპატიეთ, გრაფინია, მაგრამ მე მართლაც არაფერი ვიცი მაგის შესახებ და ვერც ვერაფერს გეტყვით, – უპასუხა ლევინმა და თვალი შეავლო სამხედრო პირს, რომელიც მანდილოსანს შემოჰყვა.

„ალბათ, ეს უნდა იყოს ვრონსკი“, – გაიფიქრა და კიტის გადახედა, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო ამაში. კიტის უკვე მოესწრო ვრონსკის დანახვა და ახლა ლევინისაკენ იყურებოდა. და მარტო ამ გამოხედვამაც, ამ უნებლიე თვალთა ელვარებამაც დაარწმუნა ლევინი, რომ კიტის ეს კაცი უყვარდა, ისე დაბეჯითებით დარწმუნდა ამაში, თითქოს კიტის თვითონვე ეთქვას ყველაფერი. მაგრამ ნეტავ რას წარმოადგენს ეს ვრონსკი?

ახლა – კარგი იყო ეს თუ ცუდი – ლევინს უკვე აღარ შეეძლო წასვლა: მას უნდა გაეგო, ვინ იყო ის კაცი, რომელიც კიტიმ შეიყვარა.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ბედნიერ მეტოქეს რომ შეხვდებიან, რასაც უნდა შეეხებოდეს ეს მეტოქეობა, მზად არიან, თვალი აარიდონ ყოველივე კარგს, რაც კი მას აქვს, და მხოლოდ ცუდი დაინახონ; არიან ისეთებიც, რომლებიც პირიქით, ცდილობენ აღმოაჩინონ თავიანთ ბედნიერ მეტოქეში ის თვისებები, რითაც მან გამარჯვებას მიაღწია, და გულისტკივილით ეძებენ მასში მხოლოდ კარგს. ლევინიც ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა. მისთვის ძნელი არ იყო იმის აღმოჩენა, თუ რა ჰქონდა ვრონსკის კარგი და მიმზიდველი. ეს კარგი მაშინვე თვალში ეცა. ვრონსკი იყო საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი, შავგვრემანი ახალგაზრდა. მის სახესა და გარეგნობაში, დაწყებული მოკლედ შეკრეჭილი თმითა და ახალგაპარსული ნიკაპით და დამთავრებული ახალთახალი მუნდირით, ყველაფერი სადა და ამავე დროს მოხდენილი იყო. ვრონსკიმ გზა დაუთმო მანდილოსანს და ჯერ თავადის მეუღლეს ეახლა, შემდეგ კი კიტის.

კიტის რომ უახლოვდებოდა, ლამაზი თვალები განსაკუთრებული სინაზით უბრწყინავდა და სახეზეც ოდნავ შესამჩნევი, ბედნიერი, მოკრძალებული და გამარჯვებული ღიმილი დასთამაშებდა (ასე მოეჩვენა ლევინს). მან ფრთხილად, მოწიწებით დახარა თავი კიტის წინაშე და

გაუწოდა თავისი არცთუ ისე დიდი, მაგრამ ფართო ხელი.

ვრონსკი მიესალმა ყველას, რამდენიმე სიტყვა თქვა და დაჯდა ისე, რომ ერთხელაც არ შეუხედავს ლევინისათვის, რომელიც თვალს არ აშორებდა.

– ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ, – თქვა თავადის მეუღლემ და ლევინზე მიუთითა, – კონსტანტინ დმიტრიჩ ლევინი. გრაფი ალექსეი კირილიჩ ვრონსკი.

ვრონსკი წამოდგა, მეგობრულად შეაჩერდა თვალებში ლევინს და ხელი გაუწოდა.

– მგონი, ამ ზამთარს ერთ სადილზე უნდა შეხვედროდით ერთმანეთს, – უთხრა მან უბრალოდ, გულღიად გაუღიმა, – მაგრამ თქვენ მოულოდნელად სოფელში წახვედით.

– კონსტანტინ დმიტრიჩს სძულს, ეზიზღება ქალაქი და ჩვენც, ქალაქის მცხოვრებნი, – შენიშნა გრაფინია ნორდსტონმა.

– ეტყობა, ძლიერად მოქმედებს თქვენზე ჩემი სიტყვები, ასე რომ იმახსოვრებთ, – თქვა ლევინმა, მაგრამ გაახსენდა, რომ ერთხელ უკვე უთხრა ეს და გაწითლდა.

ვრონსკიმ გადახედა ლევინსა და გრაფინია ნორდსტონს და გაიღიმა.

– თქვენ სულ სოფელში ხართ? – ჰკითხა ვრონსკიმ, – ზამთარში, მგონი, მოსაწყენი იქნება.

– საქმე თუ გაქვს, არ მოგწყინდება, და არც საკუთარ თავთან მოსწყინდება კაცს, – მკვახედ მიუგო ლევინმა.

– მე მიყვარს სოფელი, – თქვა ვრონსკიმ, რომელსაც შეუნიშნავი არ დარჩენია ლევინის კილო, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი შეუმჩნევიაო.

– მაგრამ ვიმედოვნებ, გრაფ, რომ მუდმივად სოფლად ცხოვრებაზე ვერ დასთანხმდებოდით, – უთხრა გრაფინია ნორდსტონმა.

– არ ვიცი, დიდი ხნით სოფლად ცხოვრება არ მისინჯავს. უცნაური გრძნობა განვიცადე, – განაგრძო მან, – არსად ისე არ მომნატრებია სოფელი, ნამდვილი რუსული სოფელი თავისი ქალამნებითა და გლეხებით, როგორც ნიცაში, სადაც დედასთან

ერთად გავატარე ერთი ზამთარი. ნიცა, ხომ იცით, თავისთავად მოსაწყენი ქალაქია. ნეაპოლიც, სორენტოც მხოლოდ მოკლე ხნით არის კარგი, ამიტომაც არის, რომ იქ ასე ცოცხლად გაგონდება რუსეთი, განსაკუთრებით კი სოფელი, ეს ქალაქები თითქოს...

ამ საუბრის დროს ვრონსკი ლევინსა და კიტის მიმართავდა, ხან ერთს მიაპყრობდა თავის მშვიდსა და გულითად მზერას, ხან მეორეს, – ეტყობოდა, იმას ამბობდა, რაც ენაზე ადგებოდა.

როცა შენიშნა, რომ გრაფინია ნორდსტონს რაღაცის თქმა უნდოდა, შეჩერდა, სათქმელი აღარ დაამთავრა და ყურადღებით მოუსმინა მას.

საუბარი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა, ასე რომ, მოხუც შჩერბაცკაიას, რომელსაც საუბრის თემის შემოლევისას ყოველთვის ჰქონდა შემონახული ორი მძიმე იარაღი – კლასიკური და რეალური განათლება და საყოველთაო სამხედრო ბეგარა – არც ერთის გამოყენება აღარ დასჭირვებია; გრაფინია ნორდსტონსაც აღარ მიეცა ლევინის გაბრაზების საშუალება.

ლევინს უნდოდა ჩარეულიყო საერთო საუბარში, მაგრამ ვერ ახერხებდა. ყოველ წუთს ეუბნებოდა თავის თავს, ახლა უნდა წავიდეო, მაგრამ არ მიდიოდა, რაღაცას ელოდა.

საუბარი ჩამოვარდა მიცვალებულთა სულებსა და მაგიდების ტრიალზე და გრაფინია ნორდსტონმა, რომელსაც სპირიტიზმი სწამდა, ლაპარაკი დაიწყო საკუთარი თვალით ნანახ რაღაც სასწაულზე.

– ოჰ, გრაფინია, ღვთის გულისათვის, აუცილებლად წამიყვანეთ მათთან! თუმცა ყველგან ვეძებ, მაგრამ არასოდეს არაფერი მინახავს არაჩვეულებრივი, – ღიმილით უთხრა ვრონსკიმ.

– კარგი, მომავალ შაბათს წაგიყვანთ, – უპასუხა გრაფინია ნორდსტონმა, – თქვენ გწამთ, კონსტანტინ დმიტრიჩ? – ჰკითხა მან ლევინს.

– რატომ მეკითხებით? ხომ იცით, რასაც გიპასუხებთ.

– მსურს მოვისმინო თქვენი აზრი.

– ჩემი აზრი ასეთია, – უპასუხა ლევინმა, – ეს მაგიდების ტრიალი ადასტურებს, რომ ეგრეთ წოდებული განათლებული საზოგადოება გლეხებზე მაღლა როდი დგას. მათ სწამთ ავი თვალი, ჯადო, თილისმა, ჩვენ კი...

– როგორ, თქვენ არა გწამთ?

– არ შემიძლია ვირწმუნო, გრაფინია.

– მაგრამ, როცა მე ჩემი თვალით ვნახე?

– გლეხის დედაკაცებიც ამბობენ, ჩვენი თვალით ვნახეთ კუდიანებიო.

– მაშ, თქვენ ფიქრობთ, მე ტყუილს ვამბობ? – და გრაფინიამ ნაძალადევად ჩაიცინა.

– არა, მაშა, კონსტანტინ დმიტრიჩი ამბობს, რომ არ შეუძლია სწამდეს, – უთხრა კიტიმ და გაწითლდა ლევინის მაგივრად. ლევინიც მიხვდა ამას და კიდევ უფრო გაგულისდა, უნდოდა პასუხი გაეცა გრაფინიასათვის, მაგრამ ვრონსკი თავისი გულღია, მხიარული სიცილით მაშინვე წამოეშველა საუბარს, რომელიც საშიში იყო, უსიამოვნებად არ ქცეულიყო.

– თქვენ არავითარი შესაძლებლობა არ გინდათ დაუშვათ? – იკითხა ვრონსკიმ, – რატომ? ჩვენ ხომ შესაძლებლად მიგვაჩნია ელექტრობის არსებობა, რომელსაც არ ვიცნობთ; რატომ არ შეიძლება არსებობდეს ჩვენთვის ჯერ უცნობი, ახალი ძალა, რომელიც...

– როდესაც აღმოჩენილ იქნა ელექტრობა, – სწრაფად შეაწყვეტინა ლევინმა, – ამით აღმოჩენილ იქნა მხოლოდ მოვლენა, ის კი არ იცოდნენ, თუ რისგან წარმოდგებოდა იგი ან რას წარმოშობდა, და საუკუნეებმა განვლეს მას შემდეგ, სანამ მის გამოყენებას იფიქრებდნენ. სპირიტებმა კი, პირიქით, იმით დაიწყეს, რომ მაგიდები რაღაცას უწერენ და სულები ეცხადებიან, შემდეგ კი თქვეს, რომ არსებობს რაღაც უცნობი ძალა.

ვრონსკი, როგორც ყოველთვის, ახლაც ყურადღებით უსმენდა ლევინს, ეტყობოდა, აინტერესებდა მისი ლაპარაკი.

– ჰო, მაგრამ სპირიტები ხომ ამბობენ, ამჟამად ჩვენთვის უცნობია ეს ძალა, მაგრამ ის არსებობს და ამგვარ პირობებში

მოქმედებსო. ხოლო სწავლულებმა, დაე, აგვიხსნან, რაში მდგომარეობს ეს ძალა. არა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლება არსებობდეს ეს ახალი ძალა, თუ იგი...

– იმიტომ არ შეიძლება, – შეაწყვეტინა ლევინმა, – რომ ელექტრობის დროს ყოველთვის, როცა კი ფისს შალზე გავუსვამთ, წარმოიშობა გარკვეული მოვლენა, აქ კი ყოველთვის არ ხდება ასე. მაშასადამე, ჩანს, რომ ეს არ უნდა იყოს ბუნებრივი მოვლენა.

ვრონსკიმ, ეტყობა, იგრძნო, რომ საუბარი მეტისმეტად სერიოზულ, სასტუმროსთვის შეუფერებელ სახეს იღებდა და აღარაფერი უპასუხა ლევინს, პირიქით, შეეცადა როგორმე შეეცვალა საუბრის თემა და მხიარული ღიმილით მიუბრუნდა მანდილოსნებს.

– მოდი, ახლავე ვცადოთ, გრაფინია, – დაიწყო მან, მაგრამ ლევინს უნდოდა ბოლომდე ეთქვა, რასაც ფიქრობდა.

– მე ვფიქრობ, – განაგრძო მან, – რომ სპირიტების ეს ცდა, რაღაც ახალი ძალით ახსნან საკუთარი უცნაურობა, მეტად ფუჭი ცდა არის. ისინი აშკარად ლაპარაკობენ სულის ძალაზე და უნდათ, ეს მატერიალური ცდებით დაამტკიცონ.

ყველანი ელოდებოდნენ, როდის გაათავებდა ლევინი ლაპარაკს და თვით ლევინიც გრძნობდა ამას.

– ჩემი აზრით, თქვენ საუცხოო მედიუმი იქნებოდით, – უთხრა გრაფინიამ, – თქვენში არის რაღაც ზეაღმტაცი.

ლევინმა პირი დააღო, უნდოდა რაღაც ეთქვა გრაფინიასთვის, მაგრამ გაწითლდა და აღარაფერი თქვა.

– თავადის ასულო, გეთაყვა, მოდი, ახლავე გამოვცადოთ მაგიდები, – მიმართა ვრონსკიმ კიტის, – ქალბატონო, თქვენ ხომ დაგვრთავთ ნებას?

ვრონსკი წამოდგა და თვალებით დაუწყო ძებნა პატარა მაგიდას.

კიტი პატარა მაგიდის მოსატანად წამოდგა და გვერდით რომ ჩაუარა ლევინს, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. კიტის სულით და გულით ებრალებოდა ლევინი. მით უმეტეს, რომ თვითონ იყო მიზეზი მისი ამ უბედურებისა: „თუკი შეგიძლიათ

პატიება, მაპატიეთ, – ეუბნებოდა კიტის თვალები, – მე ისეთი ბედნიერი ვარ“.

„ყველა მძულს, თქვენც და საკუთარი თავიც“, – უპასუხებდა ლევინის თვალები, და მან ხელი წაიღო ქუდისაკენ, მაგრამ დღეს ლევინს წასვლა არ ეწერა. ის იყო, ეწყობოდნენ პატარა მაგიდის ირგვლივ, ლევინი კი წასასვლელად ემზადებოდა, რომ სასტუმროში მოხუცი თავადი შემოვიდა, მანდილოსნებს მიესალმა და შემდეგ ლევინისკენ მიტრიალდა.

– აა! – მხიარულად შესძახა მან, – დიდი ხანია ჩამოხვედი? არ ვიცოდი, რომ აქ იყავი. ძალიან მიხარია თქვენი ნახვა.

მოხუცი თავადი ხან თქვენობით ელაპარაკებოდა ლევინს, ხან შენობით. იგი გადაეხვია ლევინს და მასთან საუბარში ვეღარ შენიშნა ვრონსკი, რომელიც ფეხზე წამომდგარი მოთმინებით ელოდა, როდის მოიცლიდა თავადი მისთვის.

კიტი გრძნობდა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, რა ძნელი ასატანი იქნებოდა ლევინისთვის მამის თავაზიანობა. კიტიმ ისიც დაინახა, თუ, როგორც იქნა, რა უგულოდ უპასუხა თავადმა ვრონსკის სალამს და როგორი მეგობრული გულდაწყვეტით შეხედა ვრონსკიმ მოხუცს. ცდილობდა, მიმხვდარიყო და ვერ გაეგო, რა უნდა ყოფილიყო მისდამი ასეთი არამეგობრული განწყობის მიზეზი, და კიტის სიწითლემ გადაჰკრა სახეზე.

– თავადო, გამოუშვით ჩვენთან კონსტანტინ დმიტრიჩი, – უთხრა გრაფინია ნორდსტონმა, – ჩვენ გვინდა ცდა ჩავატაროთ.

– რა ცდა? მაგიდების ტრიალი? მაპატიეთ, ბატონებო და ქალბატონებო, მაგრამ ამას, ჩემი აზრით, ისევ ბეჭდობანას თამაში ჯობს, – თქვა მოხუცმა თავადმა და ვრონსკის გადახედა, რაკი მიხვდა, რომ ის უნდა ყოფილიყო ამის წამომწყები, – იქ კიდევ არის რაღაც აზრი.

ვრონსკი გაოცებით შეაჩერდა თავადს, ჩაიღიმა და მაშინვე მიუბრუნდა გრაფინია ნორდსტონს, საუბარი გაუბა დიდი ბალის შესახებ, მომავალ კვირას რომ უნდა გამართულიყო.

– იმედი მაქვს, თქვენ იქნებით, – მიმართა მან კიტის.

როგორც კი მოხუცი თავადი მიტრიალდა, ლევინი მაშინვე შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან. უკანასკნელი

შთაბეჭდილება, რაც ამ საღამოდან გამოჰყვა, იყო მოღიმარი, ბედნიერი სახე კიტისა, როცა პასუხობდა ვრონსკის შეკითხვაზე, იქნებით თუ არა ბალზეო.

XV

საღამო რომ დასრულდა, კიტი მოუყვა დედას, რა უთხრა ლევინმა და, მიუხედავად სიბრალულისა ლევინისადმი, მაინც ახარებდა ის აზრი, რომ ხელი სთხოვეს. კიტის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ლოგინში რომ ჩაწვა, მაინც დიდხანს ვერ შეძლო დაძინება. ერთი შთაბეჭდილება ვერაფრით მოეცილებინა თავიდან. ეს იყო ლევინის სახე, მისი მოღუშული წარბები და ნაღვლიანი, კეთილი თვალები, როცა იგი მამასთან იჯდა, ყურს უგდებდა მას და თან კიტისა და ვრონსკის უყურებდა. და კიტის ისე შეებრალა ლევინი, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა. მაგრამ მაშინვე გაახსენდა იგი, ვისზეც გაცვალა ლევინი. ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ მისი ვაჟკაცური, მტკიცე სახე, მისი კეთილშობილური სიმშვიდე და გულკეთილობა ყველას მიმართ. გაახსენდა მისი სიყვარული, ვინც თავადაც უყვარდა, და გული კვლავ სიხარულით აევსო, ბედნიერი ღიმილით მიდო თავი ბალიშზე. „სამწუხაროა, სამწუხარო, მაგრამ რას იზამ? მე არა ვარ დამნაშავე!“ – ეუბნებოდა კიტი თავის თავს, მაგრამ შინაგანი ხმა სულ სხვას ეუბნებოდა. არ იცოდა, რას ნანობდა: იმას, რომ თავი შეაყვარა ლევინს, თუ იმას, უარი რომ უთხრა. მაგრამ ბედნიერება კი უკვე მოუწამლა ეჭვმა. „უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე!“ – იმეორებდა კიტი, სანამ არ ჩაეძინა.

ამ დროს კი ქვევით, თავადის პატარა კაბინეტში, იმართებოდა სწორედ ის საუბარი, რომელიც ხშირად მეორდებოდა მშობლებს შორის საყვარელი ქალიშვილის გამო.

– რაო? აი, რა! – ხელების შლით გაჰყვიროდა თავადი და თან ციყვის ტყავის ხალათში ეხვეოდა, – ის, რომ თქვენ არ გაგაჩნიათ სიამაყე, ღირსება, რომ არცხვენთ, ღუპავთ საკუთარ შვილს ამ საზიზღარი, სულელური მაჭანკლობით!

– ღვთის გულისათვის, განა ისეთი რა ჩავიდინე, თავადო? – თითქმის ტირილით ეუბნებოდა ქმარს.

ქალიშვილთან საუბრით ბედნიერი და კმაყოფილი ქალბატონი შჩერბაცკაია თავადთან შევიდა, რათა ჩვეულებისამებრ გამომშვიდობებოდა. მართალია, განზრახული არ ჰქონდა ეთქვა მისთვის, ლევინმა უკვე ხელი სთხოვა კიტის და კიტიმ უარი უთხრაო, მაგრამ იმაზე კი გადაუკრა სიტყვა, ვრონსკისთან საქმე თითქმის გათავებულად მიმაჩნია და, როგორც კი დედა ჩამოუვა, მაშინვე გადაწყდება საქმეო. სწორედ ამ სიტყვების გაგონებაზე უცბად აენთო თავადი და მოჰყვა უკადრის სიტყვებს.

– რა ჩაიდინე? აი, რა: ჯერ ერთი, მოიტყუეთ სასიძო, ამაზე მთელი მოსკოვი ალაპარაკდება და მართებულიც იქნება. თუ თქვენ საღამოებს მართავთ, მაშინ მოიწვიეთ ყველა და მხოლოდ რჩეულ სასიძოებს ნუ შეუყრით თავს. მოიწვიეთ ყველა ის კოკობზიკა (ასე ეძახდა თავადი მოსკოველ ახალგაზრდებს), მოიწვიეთ დამკვრელები და, დაე, იცეკვონ, ისე კი არა, როგორც დღევანდელ დღეს – შეგიყრიათ სასიძოები და მაჭანკლობთ. მე ეს მძაგს, თქვენ კი მაინც მიაღწიეთ თქვენსას – უკვე თავბრუ დაახვიეთ საწყალ გოგონას. ლევინი ათასჯერ უკეთესი ადამიანია. მაგისთანა პეტერბურგელ ფრანტებს კი მანქანაზე აკეთებენ, ყველა ეგენი ერთი ყალიბის ხალხია და ყველანი საძაგლები არიან. დაე, მის ძარღვებში თუნდაც უფლისწულის სისხლი ჩქეფდეს, ჩემს ქალიშვილს ეს არ სჭირდება.

– და მერე მე რა ჩავიდინე?

– ის ჩაიდინე, რომ... – მრისხანედ დაიყვირა თავადმა.

– მე ვიცი, შენ თუ დაგიგდე ყური, – სიტყვა გააწყვეტინა ცოლმა, – ვერასოდეს გავათხოვებთ ქალიშვილს. თუ ასეა, მაშინ სოფელში უნდა გადავსახლდეთ.

– ჯობია, გადავსახლდეთ კიდეც.

– არა, მოიცა, განა მე ველაქუცები? სულაც არა. ის ახალგაზრდა კაცია, ძალიან კარგი ახალგაზრდაც და შეუყვარდა კიტი, კიტისაც, მგონი...

– ჰო, თქვენ გგონიათ! მერე კიტის რომ მართლაც შეუყვარდეს?

ის კი ისე ფიქრობს ცოლის შერთვას, როგორც მე!.. არ დაენახა მაინც ჩემს თვალებს!.. „ოჰ, სპირიტიზმი, ოჰ, ნიცა! ოჰ, ბალებზე სიარული“... – და თავადი, რომელიც ცოლს აჯავრებდა ლაპარაკს, ყოველ სიტყვაზე რევერანსს აკეთებდა, – ჰოდა, როცა გავაუბედურებთ კატენკას, როცა ის მართლაც გულში ჩაიდებს, რომ...

– მერე რატომ გგონია ასე?

– მე კი არ მგონია ასე, მე ვიცი; ამის დანახვა მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია და არა დედაკაცებს. მე კი ვხედავ ადამიანს, რომელსაც მართლაც სერიოზული განზრახვა აქვს, ეს გახლავთ ლევინი; ვხედავ ისეთ მწყერსაც, როგორიც ეს ცანცარაა, რომელსაც დროს გატარების მეტი არაფერი აგონდება.

– ოჰ, შენ თუ დაიჩემე რამე...

– გაიხსენებ ამას, მაგრამ გვიანღა იქნება, დაშენკასი არ იყოს.

– ჰო, კარგი, კარგი, ნუღარაფერს ვიტყვით, – შეაწყვეტინა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, როცა უბედური დოლი გაახსენდა.

– უმჯობესი იქნება. მაშ, ნახვამდის!

ცოლ-ქმარმა პირჯვარი გადაწერა ერთმანეთს, გადაკოცნა ერთმანეთი და დაშორდა, მაგრამ თითოეული მათგანი გრძნობდა, რომ ორივე ისევ თავის აზრს ადგა.

ქალბატონი შჩერბაცკაია მტკიცედ იყო დარწმუნებული, დღევანდელმა საღამომ გადაწყვიტა კიტის ბედი და ვრონსკის განზრახვაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებაო, მაგრამ ქმრის სიტყვებმა თავგზა აუბნია. თავის ოთახში რომ დაბრუნდა, მანაც კიტივით შეუცნობელი შიში იგრძნო მომავლისა და გულში რამდენჯერმე გაიმეორა: „უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე!“

XVI

ვრონსკის არასოდეს განუცდია ოჯახური ცხოვრება. დედამისი

ახალგაზრდობაში მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ბანოვანი იყო და ქმრის სიცოცხლეშიც და განსაკუთრებით ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ბევრი რომანი ჰქონდა, რომლის შესახებაც მთელმა საზოგადოებამ იცოდა. მამა კი თითქმის არ ახსოვდა და პაჟთა კორპუსში აღიზარდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა, ბრწყინვალე ოფიცერი მაშინვე მოხვდა პეტერბურგის მდიდარ სამხედრო პირთა წრეში. თუმცა ხანდახან პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაშიც დადიოდა, მაგრამ მისი სამიჯნურო ინტერესები არასოდეს დაკავშირებული არ ყოფილა ამ წრესთან.

პეტერბურგის ტლანქი და განცხრომით აღსავსე ცხოვრების შემდეგ მოსკოვში მან პირველად განიცადა მთელი მშვენიერება მაღალი საზოგადოების უმანკო ქალიშვილთან დაახლოებისა, რომელმაც შეიყვარა იგი. ვრონსკის აზრადაც არასოდეს მოსვლია, რომ კიტისა და მის ურთიერთობაში შესაძლოა ყოფილიყო რაიმე ცუდი. ბალებზე ვრონსკი თითქმის ყოველთვის კიტისთან ცეკვავდა; ოჯახშიც დადიოდა მასთან. ვრონსკი იმას ელაპარაკებოდა კიტის, რასაც ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ხოლმე მაღალ საზოგადოებაში, ესე იგი ელაპარაკებოდა ყოველგვარ სისულელეს, მაგრამ ამ სისულელეს, მისდა უნებურად კიტისათვის განსაკუთრებულ აზრს აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკის კიტისთვის არაფერი უთქვამს ისეთი, რასაც ყველას წინაშე არ ეტყოდა, გრძნობდა, რომ კიტი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა მასზე და ვრონსკისაც, რაც უფრო გრძნობდა ამას, მით მეტად სიამოვნებდა ეს და მისი გრძნობაც კიტისადმი უფრო და უფრო სათუთდებოდა. მან არ იცოდა, რომ მის დამოკიდებულებას კიტისადმი თავისი სახელი ჰქონდა, რომ ცოლის თხოვის განზრახვის გარეშე ამას ქალიშვილის ცდუნება ეწოდებოდა, და ეს ცდუნება, რომელიც ხშირი იყო მის მსგავს წარჩინებულ ახალგაზრდებს შორის, მეტისმეტად ცუდ საქციელად ითვლებოდა. ვრონსკის ეგონა, მან პირველმა აღმოაჩინა ეს სიამოვნება და ტკბებოდა საკუთარი აღმოჩენით.

მას რომ მოესმინა, რას ამბობდნენ ამ საღამოს კიტის მშობლები, რომ შესძლებოდა ოჯახური თვალსაზრისით შეეხედა ამ საქმისათვის და გაეგო, რომ კიტი უბედური იქნებოდა, თუ ცოლად არ შეირთავდა, ვრონსკის მეტისმეტად

გაუკვირდებოდა და არც დაიჯერებდა. ვრონსკი ვერ დაგიჯერებდათ, რომ ცუდი იყო ის, რაც ასეთ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და, რაც მთავარია, კიტისაც. კიდევ უფრო ნაკლებად დაიჯერებდა, რომ მას ცოლი უნდა ეთხოვა.

ცოლის თხოვა ვრონსკის ყოველთვის შეუძლებლად მიაჩნდა. მას არათუ არ უყვარდა ოჯახური ცხოვრება, არამედ ოჯახი და განსაკუთრებით კი ქმარი, როგორც ეს მიღებული იყო მისი წრის უცოლო ახალგაზრდებში, მისთვის უცხო და საძულველი იყო და უფრო მეტად კი სასაცილო. მართალია, ვრონსკის ეჭვიც კი არ მიუტანია იმაზე, რასაც კიტის მშობლები ამბობდნენ, მაგრამ იმ საღამოს, შჩერბაცკებიდან რომ გამოვიდა, იგრძნო, რომ ის იდუმალი სულიერი კავშირი, რომელიც მასა და კიტის შორის არსებობდა, დღევანდელ საღამოს იმდენად განმტკიცდა, რომ აუცილებლად რაღაც უნდა ეღონა. მაგრამ რა უნდა ეღონა ან რა უნდა გაეკეთებინა, ამის მოსაზრება კი აღარ შეეძლო.

„სწორედ ის არის მშვენიერი, – ფიქრობდა ვრონსკი, რომელსაც ახლაც როგორც ყოველთვის, სიფაქიზისა და სინორჩის სასიამოვნო გრძნობა გამოჰყვა შჩერბაცკებიდან, რაც ნაწილობრივ იმის ბრალი იყო, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ერთხელაც არ მოუწევია თუთუნი და ნაწილობრივ კი იმისი, რომ კიტის მისდამი სიყვარულში რაღაც ახალი გულის ამაჩუყებელი რამ იგრძნო, – სწორედ ის არის მშვენიერი, რომ არც მე და არც მას არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის, მაგრამ ამ გამოხედვათა და ინტონაციათა იდუმალ საუბარში ჩვენ ისე გვესმოდა ერთმანეთისა, რომ დღევანდელ საღამოს მან კიდევ უფრო ცხადად, ვიდრე ოდესმე, მითხრა, რომ ვუყვარვარ. მერე რა მომხიბლავად, რა უბრალოდ და, რაც მთავარია, როგორი ნდობით მითხრა ეს! და მეც ვგრძნობ, რომ უფრო უკეთესი, უფრო ფაქიზი შევიქენი. ვიგრძენი, რომ მაქვს გული, რომ ჩემში ბევრი რამ არის კარგი. რა მშვენიერი, სიყვარულით სავსე თვალები ჰქონდა, როცა მითხრა, და ძალიანაცო...

მერე რა მოხდა? არაფერი. მეც კარგად ვგრძნობ თავს და ისიც“, – და ვრონსკი ახლა იმაზე ჩაფიქრდა, თუ სად დაესრულებინა დღევანდელი საღამო.

იფიქრა, სად შეეძლო წასვლა. „კლუბში? ბეზიკის პარტია და შამპანური იგნატოვთან ერთად? არა, არ წავალ. Château des

fleurs, იქ შევხვდები ობლონსკისაც, იქნება კუპლეტები, cancan. არა, მომწყინდა. აი, სწორედ ამიტომ მიყვარს შჩერბაცკებთან ყოფნა, რომ მეც უკეთესი ვხდები. შინ წავალ“, – და პირდაპირ შევიდა თავის ნომერში, დიუსოსთან, ვახშმის მოტანა უბრძანა, ტანისამოსი გაიხადა და რაწამსაც დადო თავი ბალიშზე, როგორც ყოველთვის, მაშინვე ღრმა და მშვიდ ძილს მიეცა.

XVII

მეორე დღეს, დილის თერთმეტ საათზე, ვრონსკი პეტერბურგის რკინიგზის სადგურზე გავიდა დედის დასახვედრად, და პირველი, ვინც მას სადგურის ფართო კიბეზე შემოეყარა, გახლდათ ობლონსკი, რომელიც იმავე მატარებლით მომავალ დას ელოდებოდა.

– ა, თქვენო ბრწყინვალებავ! – შესძახა ობლონსკიმ, – შენ ვიღას შესახვედრად გამოსულხარ?

– დედას ველოდები, – ისეთი ღიმილით უპასუხა ვრონსკიმ, როგორც ყველა იღიმებოდა ობლონსკის შეხვედრისას, ხელი გაუწოდა და მასთან ერთად აიარა კიბე, – დღეს უნდა ჩამოვიდეს პეტერბურგიდან.

– მე კი შენ ორ საათამდე გელოდებოდი. სად წახვედი შჩერბაცკების შემდეგ?

– შინ, – უპასუხა ვრონსკიმ, – მართალი გითხრა, გუშინ საღამოს შჩერბაცკებთან ყოფნით ისე ნასიამოვნები ვიყავი, რომ არსად წასვლა აღარ მინდოდა.

– ფიცხ ცხენს დაღით იცნობენ, შეყვარებულ ჭაბუკს კი თვალებით! – ისეთნაირადვე თქვა ობლონსკიმ, როგორც ამას წინათ ლევინს უთხრა.

ვრონსკიმ გაიღიმა, თითქოს არც უარყოფდა ამას, მაგრამ საუბრის თემა კი მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა.

– შენ ვიღას ელოდები?

– მე? მშვენიერ მანდილოსანს, – უპასუხა ობლონსკიმ.

– აი, თურმე რა ყოფილა!

– Honni soit qui mal y pense![7] ჩემს დას, ანას ველოდები.

– აჰ, კარენინას? – უთხრა ვრონსკიმ.

– შენ უთუოდ იცნობ მას?

– მგონი, უნდა ვიცნობდე. თუ არა... მართალი გითხრა, არ მახსოვს, – დაბნეულად უპასუხა ვრონსკიმ, რომელმაც კარენინას ხსენებაზე ვინმე გულზვიადი, მოსაწყენი პიროვნება წარმოიდგინა.

– ალექსეი ალექსანდროვიჩი კი, ჩემი სახელგანთქმული სიძე, უთუოდ გეცოდინება. მას მთელი ქვეყანა იცნობს.

– მე მას მხოლოდ რეპუტაციითა და შესახედაობით ვიცნობ. ვიცი, რომ ძალიან ჭკვიანი, განსწავლული და ღვთისნიერი ადამიანია. მაგრამ, მოგეხსენება, ის ჩემს... not in my line,[8] – უთხრა ვრონსკიმ.

– დიახ, მეტად შესანიშნავი ადამიანია: ცოტა კონსერვატორია, მაგრამ კარგი კაცია, – შენიშნა სტეპან არკადიჩმა, – მშვენიერი ადამიანია.

– ჰოდა, მით უკეთესი მისთვის, – ღიმილით უთხრა ვრონსკიმ, – აა, შენც აქა ხარ? – მიუბრუნდა იგი დედამისის ლაქიას, წარმოსადეგ მოხუცს, იქვე კართან რომ გაჩერებულიყო, – მოდი აქ!

გარდა იმისა, რომ ობლონსკი სასიამოვნო ადამიანი იყო ყველასთვის, ვრონსკის ამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო იმიტომაც სიამოვნებდა მასთან დაახლოება, რომ იგი მის წარმოდგენაში დაკავშირებული იყო კიტისთან.

– რას იტყვი, მომავალ კვირას ვაწყობთ ვახშამს იმ ქალის პატივსაცემად? – ჰკითხა ვრონსკიმ და ღიმილით გამოსდო ხელი.

– აუცილებლად. მე ხელმოწერას შევაგროვებ. ჰო, მართლა, გუშინ საღამოს თუ გაიცანი ჩემი მეგობარი ლევინი? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– როგორ არა, მაგრამ რატომღაც მალე წავიდა.

– მშვენიერი ახალგაზრდაა, – განაგრძო ობლონსკიმ, – ხომ მართალია?

– არ ვიცი, – უპასუხა ვრონსკიმ, – რატომაა, რომ ყველა მოსკოველს, რა თქმა უნდა, ეს არ შეეხება ჩემს თანამოსაუბრეს, – ხუმრობით ჩაურთო მან, – რაღაცნაირი უკმეხობა ახლავს. თითქოს ყველა ყალყზე დგება, ბრაზობს, ალბათ, უნდა ამით რაღაც გაგრძნობინოს...

– ეს მართალია, აქვთ ასეთი ხასიათი, – მხიარული სიცილით უპასუხა ობლონსკიმ.

– რაო, მალე მოვა მატარებელი? – ჰკითხა ვრონსკიმ სადგურის მოხელეს.

– მატარებელი გამოსულია, – უპასუხა მან.

მატარებლის მოახლოებას სულ უფრო და უფრო ცხადყოფდა სადგურზე ატეხილი გაცხოველებული სამზადისი, მტვირთავების აქეთ-იქით სირბილი, ჟანდარმებისა და სადგურის მოხელეების გამოჩენა და დამხვდურთა მომატება. ყინვიან ბურუსში მოჩანდნენ მოკლე ქურქებსა და თექის რბილ ჩექმებში გამოწყობილი მუშები, რომლებიც დაკლაკნილ ლიანდაგებზე გადადიოდნენ. შორიდან ისმოდა ორთქლმავლის სტვენა და რაღაც მძიმე საგნის მოახლოების ხმა.

– არა, – თქვა სტეპან არკადიჩმა, რომელსაც ძალიან უნდოდა ეთქვა ვრონსკისათვის, თუ რა განზრახვა ჰქონდა ლევინს კიტის მიმართ, – არა, შენ სწორად ვერ შეაფასე ჩემი ლევინი. ძალიან ნერვიული ადამიანია და ხანდახან მართლაც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სამაგიეროდ ზოგჯერ მეტისმეტად საყვარელია ხოლმე. ისეთი პატიოსანი, ალალ-მართალი კაცია, გულიც ისეთი კეთილი აქვს. მაგრამ გუშინ ჰქონდა განსაკუთრებული მიზეზი, – მნიშვნელოვანი ღიმილით განაგრძო სტეპან არკადიჩმა, რომელსაც სულ გადაავიწყდა, როგორ გულწრფელ თანაგრძნობას განიცდიდა გუშინ თავისი მეგობრის მიმართ. ახლაც იმავეს განიცდიდა, მხოლოდ ეს თანაგრძნობა ვრონსკის ეკუთვნოდა, – დიახ, ჰქონდა იმის მიზეზი, რომ ან ძალიან ბედნიერად ეგრძნო თავი, ან ძალიან უბედურად.

ვრონსკი შეჩერდა და პირდაპირ ჰკითხა: – ესე იგი რა? იქნებ გუშინ ხელი სთხოვა შენს belle soeur[9]-ს?..

– შესაძლებელია, – თქვა სტეპან არკადიჩმა, – გუშინ რაღაც ისე მომეჩვენა, ჰო, თუ ადრე წავიდა და თანაც გუნებაზე არ იყო, მაშინ ასე ყოფილა... მას დიდი ხანია უყვარს კიტი და ძალიანაც მებრალება.

– აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. სხვათა შორის, ჩემი აზრით, კიტის უკეთესი საქმრო შეეფერება, – შენიშნა ვრონსკიმ, წელში გაიმართა და ისევ განაგრძო გზა, – თუმცა მე მას არ ვიცნობ, – დაუმატა შემდეგ, – ჰო, ეს მართლა მძიმე მდგომარეობაა! ამიტომაცაა, რომ უმეტესობა ისევ უზნეო ქალებს ამჯობინებს. იქ მარცხი იმის ნიშანია, რომ ჯიბეში ფული შემოგელია, აქ კი სასწორზეა შენი ღირსება. მაგრამ აი, მატარებელიც მოვიდა.

მართლაც, შორიდან უკვე მოჰკიოდა მატარებელი. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაქანი შეზანზარდა და სრიალით შემოიჭრა ორთქლმავალი, ორივე მხარეს ბოლქვებად გამოუშვა ყინვისაგან ძირს დახრილი ორთქლი. ნელა, თანაბრად ირხეოდნენ და იშლებოდნენ თვლების ბერკეტები, სალამს იძლეოდა შეფუთნილი, ყინვისაგან გათოშილი მემანქანე. ტენდერის შემდეგ მძიმედ მოდიოდნენ და კიდევ უფრო აზანზარებდნენ ბაქანს საბარგო ვაგონები, საიდანაც ძაღლის წკმუტუნი ისმოდა. ბოლოს გამოჩნდნენ სამგზავრო ვაგონებიც, რომლებიც გაჩერების მოლოდინში ნელა ირხეოდნენ.

ვაგონიდან გადმოხტა რომელიღაც ყოჩაღი კონდუქტორი, გზადაგზა რომ სტვენით იძლეოდა სიგნალს, და მას სათითაოდ გადმოჰყვნენ მოუთმენელი მგზავრები: გაჭიმული, კუშტი სახის გვარდიის ოფიცერი, მხიარულად მოღიმარი, მოუსვენარი მეწვრილმანე, კალათით ხელში, და მხარზე ტომარაგადაკიდებული გლეხი.

ვრონსკი ობლონსკის გვერდით იდგა, შეჰყურებდა ვაგონებს, იქიდან ჩამოსულ ხალხს და სულ გადავიწყებოდა დედა. ის, რაც ახლახან კიტის შესახებ შეიტყო, ხალისით ავსებდა და ახარებდა, თავისდა უნებურად წელში იმართებოდა და თვალებშიც სხივი ემატებოდა. იგი გამარჯვებულად გრძნობდა თავს.

– გრაფინია ვრონსკაია ამ განყოფილებაში ბრძანდება! – მოახსენა ვრონსკის იმ ყოჩაღმა კონდუქტორმა და მის წინ

გაჩერდა.

კონდუქტორის სიტყვებმა გამოაფხიზლა და იძულებული გახადა, გაეხსენებინა დედა, მასთან მოსალოდნელი შეხვედრა. იგი გულში პატივს არ სცემდა დედას და არც ანგარიშს სთხოვდა თავის თავს იმის გამო, რომ არ უყვარდა. მაგრამ იმ წრეში, რომელშიც იგი ტრიალებდა, და თავისი აღზრდითაც, წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი დამოკიდებულება დედისადმი, თუ არა უაღრესად მორჩილი და მოკრძალებული. და რაც უფრო გარეგნულად მორჩილი და მოკრძალებული იყო მათი ურთიერთობა, იმდენად გულში ნაკლებ პატივს სცემდა და ნაკლებად უყვარდა.

XVIII

ვრონსკი ვაგონში შეჰყვა კონდუქტორს და სანამ განყოფილებაში შევიდოდა, კართან შეჩერდა, რათა გზა დაეთმო იქიდან გამოსული მანდილოსნისათვის. როგორც კი შეხედა ქალს, მაღალი საზოგადოების ადამიანისათვის ჩვეული ტაქტით მაშინვე მიხვდა, რომ იგი წარჩინებული ბანოვანი უნდა ყოფილიყო. ვრონსკიმ ბოდიში მოიხადა და ის იყო განყოფილებაში შესვლა დააპირა, რომ დაუძლეველი სურვილი იგრძნო, ერთხელ კიდევ შეეხედა მისთვის – იმიტომ კი არა, რომ ძალიან ლამაზი იყო, არც იმიტომ, რომ ასეთი სინატიფე და კდემამოსილი სინარნარე იხატებოდა მთელ მის გარეგნობაში, არამედ იმიტომ, რომ ქალის მშვენიერ სახეზე, როცა მან გვერდით ჩაუარა, რაღაც განსაკუთრებული ალერსი და სინაზე ამოიკითხა. ვრონსკიმ რომ უკან მოიხედა, ქალმაც მისკენ მოაბრუნა თავი. მისი მოელვარე, ნაცრისფერი თვალები, წამწამთა სიხშირის გამო შავად რომ მოჩანდა, სიყვარულითა და ყურადღებით მიაჩერდნენ ვრონსკის, თითქოს საიდანღაც ეცნობაო, მაგრამ იმავე წამს ქალმა მატარებლისაკენ მომავალ ხალხზე გადაიტანა მზერა, თითქოს ვიღაცას ეძებდა მათ შორის. ამ წუთიერ გამოხედვაში ვრონსკის შეუმჩნეველი არ დარჩენია ის თავშეკავებული სიხარული, ქალის სახეს რომ დასთამაშებდა, მის მოელვარე თვალებსა და ღიმილით ოდნავ

გაპობილ ბროწეულისფერ ტუჩებს შორის რომ დაფარფატებდა. თითქოს რაღაცას ისე ჭარბად აევსო მთელი მისი არსება, რომ უნებლიეთ ხან თვალთა ელვარებაში ირეკლებოდა, ხან ღიმილში იღვრებოდა. მან თითქოს განზრახ ჩაიქრო შუქი თვალებში, მაგრამ ეს სხივი, წინააღმდეგ სურვილისა, მაინც ანათებდა მისი ოდნავ შესამჩნევი ღიმილიდან.

ვრონსკი ვაგონში შევიდა. დედა – შავთვალა, კულულებიანი, გამხდარი მოხუცი, თვალებმოწკურვით შეჰყურებდა შვილს და ოდნავ იღიმებოდა თხელი ტუჩებით. მოხუცი დივნიდან წამოდგა, ხელჩანთა მოახლეს გადასცა, გამხდარი, პატარა ხელი შვილს გაუწოდა, ხელისკენ დახრილი თავი ზევით აუწია და სახეზე აკოცა.

– დეპეშა მიიღე? კარგად ხარ? მადლობა ღმერთს!

– კარგად იმგზავრეთ? – ჰკითხა შვილმა, მის გვერდით ჩამოჯდა და უნებლიეთ ყური მიუგდო ქალის ხმას, კარს იქით რომ ისმოდა. იცოდა, ეს იმ მანდილოსნის ხმა იყო, შესასვლელში რომ შემოხვდა.

– მე მაინც ვერ დაგეთანხმებით! – ამბობდა მანდილოსანი.

– ეს პეტერბურგული შეხედულება გახლავთ, ქალბატონო!

– პეტერბურგული კი არა, უბრალოდ ქალური, – პასუხობდა ქალი.

– მაშ, ნება მიბოძეთ, გეამბოროთ ხელზე.

– ნახვამდის, ივან პეტროვიჩ. აბა, მოათვალიერეთ, აქ ხომ არ არის ჩემი ძმა და თუ ნახოთ, აქეთ გამოგზავნეთ! – თითქმის კართან გაისმა ქალის ხმა და იგი კვლავ განყოფილებაში შებრუნდა.

– რაო, ვერ იპოვეთ ძმა? – ჰკითხა გრაფინიამ მანდილოსანს.

ვრონსკის მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ეს ქალი კარენინა იყო.

– თქვენი ძმა აქ გახლავთ! – უთხრა მან და წამოდგა, – მაპატიეთ, ვეღარ გიცანით. თუმცა ჩვენი ნაცნობობა იმდენად ხანმოკლე იყო, რომ თქვენ, ალბათ, აღარც გახსოვართ, – უთხრა ვრონსკიმ და თავი დახარა მის წინ.

– ოჰ, არა, მე მაინც გიცნობდით, – უპასუხა ქალმა, – რადგან მე და დედათქვენი თითქმის მთელი გზა მხოლოდ თქვენზე ვლაპარაკობდით, – უთხრა და, როგორც იქნა, ნება მისცა მოძალებულ სიხარულს ღიმილში გამჟღავნებულიყო, – ჩემი ძმა მაინც არა ჩანს.

– დაუძახე, ალიოშა, – უთხრა მოხუცმა გრაფინიამ შვილს.

ვრონსკი ბაქანზე გავიდა და გასძახა: – ობლონსკი! აქეთ წამოდი!

მაგრამ კარენინა ძმის მოსვლას აღარ დაელოდა და როგორც კი თვალი მოჰკრა, მაშინვე მტკიცე, მსუბუქი ნაბიჯით გამოვიდა ვაგონიდან. მიუახლოვდა თუ არა ძმას, მარცხენა ხელი კისერზე შემოხვია, სწრაფად მიიზიდა თავისკენ და მაგრად აკოცა. ვრონსკი გააოცა ქალის მოძრაობის სიმტკიცემ და სინარნარემ. თვალი ვეღარ მოსწყვიტა ქალს. უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეღიმებოდა. მაგრამ გაახსენდა, დედა რომ ელოდებოდა და ისევ ვაგონში შეტრიალდა.

– მეტისმეტად მომხიბლავია, ხომ მართალია? – შენიშნა გრაფინიამ კარენინას შესახებ, – მისმა ქმარმა ჩემ გვერდით დასვა და დიდად მასიამოვნა ამით. მთელი გზა მუსაიფში გავატარეთ. შენზე კი ამბობენ, რომ... vous filez le partait amour. Fant mieux, mon cher, taut miux.[10]

– არ ვიცი, maman, რისი თქმა გინდათ ამით? – ცივად უპასუხა ვრონსკიმ, – წავიდეთ, maman, რაღას ველოდებით?

კარენინა ისევ შემობრუნდა ვაგონში, რათა გრაფინიას გამომშვიდობებოდა.

– მაშ ასე, გრაფინია, თქვენ შეხვდით თქვენს ვაჟს, მე კი ჩემს ძმას, – მხიარულად უთხრა მან, – მთელი ჩემი ამბებიც ამოიწურა, საამბობი აღარა დამრჩა რა!

– ოჰ, არა! – უთხრა გრაფინიამ და ხელზე ხელი მოჰკიდა, – მე თქვენთან ერთად მთელ ქვეყანას შემოვივლიდი და არ მომწყინდებოდა. თქვენ ერთი იმ მშვენიერ ქალთაგანი ხართ, რომელთან ლაპარაკიც სასიამოვნოა და დუმილიც. თქვენს ვაჟიშვილზე კი, გეთაყვა, ნუღარ იდარდებთ, ხომ არ შეიძლება განუშორებლად მასთან იყოთ?

კარენინა უძრავად იდგა, წელში მეტისმეტად გამართული იყო,

თვალები კი უღიმოდა.

– ანა არკადიევნას, – განუმარტა გრაფინიამ შვილს, – რვა წლის ვაჟიშვილი ჰყოლია და თურმე არასოდეს მოსცილებია, ახლა კი სულ იმაზე წუხს, მარტო რომ დატოვა.

– დიახ, მე და გრაფინია სულ ვლაპარაკობდით: მე – ჩემს ბიჭუნაზე, ის კი თავის ვაჟიშვილზე, – თქვა კარენინამ და სახე კვლავ ღიმილმა გაუშუქა, ალერსიანმა ღიმილმა, რომელიც ვრონსკის ეკუთვნოდა.

– ალბათ, მეტისმეტად შეგაწყინათ თავი, – უპასუხა ვრონსკიმ და ჰაერშივე აიტაცა ქალისაგან ნატყორცნი კეკლუცობის ისარი. მაგრამ ქალს, ეტყობა, არ უნდოდა საუბარი ასეთი ტონით წარემართა და ისევ მოხუც გრაფინიას მიუბრუნდა: – დიდი მადლობელი ვარ თქვენი. ვერც კი გავიგე, როგორ გაიარა გუშინდელმა დღემ, ნახვამდის, გრაფინია!

– მშვიდობით იყავით, ჩემო პატარა მეგობარო, – მიუგო გრაფინიამ, – ნება მომეცით, დაგიკოცნოთ ეგ მშვენიერი სახე. მე უბრალოდ, ბებრულად, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად შემიყვარდით!

რაც უნდა ყალბი ყოფილიყო ეს ფრაზა, კარენინამ, ეტყობა, გულწრფელად მიიღო და გაიხარა ამით. იგი გაწითლდა, ოდნავ დაიხარა, სახე გრაფინიას ტუჩებთან მიიტანა, შემდეგ ისევ წელში გაიმართა და იმავე ღიმილით, მათ ტუჩებსა და თვალებს შორის რომ დაფარფატებდა, ხელი გაუწოდა ვრონსკის, ჩამოართვა გამოწვდილი ხელი და ისე გაახარა ამ მტკიცე, გაბედულმა და ენერგიულმა ხელის ჩამორთმევამ, თითქოს რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყოს. მერე ანა თავისებური ჩქარი ნაბიჯით, ასე საოცარი სიმსუბუქით რომ ატარებდა მის საკმაოდ სავსე სხეულს, ვაგონიდან გარეთ გავიდა.

– მეტისმეტად მომხიბლავი ქალია! – თქვა მოხუცმა.

ამასვე ფიქრობდა მისი ვაჟიშვილიც. მან მზერა გააყოლა ქალს და აღარც მოუშორებია თვალი, სანამ მისი ნარნარი ტანი სულ არ მიეფარა თვალს; ღიმილი კი ისევე შერჩა სახეზე. ფანჯრიდან ხედავდა, როგორ მიუახლოვდა ძმას, ხელზე ხელი მოჰკიდა და გაცხოველებული საუბარი გაუბა, რომელიც, ეტყობა, სულ არ შეეხებოდა მას, ვრონსკის, და ეს თითქოს ეწყინა კიდეც.

– ჰო, maman, თქვენ ხომ სრულიად ჯანმრთელად გრძნობთ თავს? – გაიმეორა მან და დედას მიუბრუნდა.

– ყველაფერი კარგად, ჩინებულად მოეწყო. Alexandre მეტად თავაზიანი იყო. Marie ძალიან კარგი გამხდარა, გალამაზებულა.

და მოხუცმა კვლავ დაიწყო იმის მოყოლა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა: როგორ მონათლეს შვილიშვილი, რისი გულისთვისაც იყო წასული პეტერბურგს, და რა განსაკუთრებული წყალობა მოიღო ხელმწიფემ მისი უფროსი ვაჟიშვილის მიმართ.

– აი, ლავრენტიც მოვიდა, – თქვა ვრონსკიმ, რომელიც ისევ ფანჯარაში იხედებოდა, – ახლა, თუ გნებავთ, წავიდეთ.

მოხუცი მსახური, რომელიც მგზავრობის დროს თან ახლდა გრაფინიას, იმის მოსახსენებლად მოვიდა, ყველაფერი მზად გახლავთო, და გრაფინიაც წასასვლელად წამოდგა.

– წავიდეთ, უკვე შეცოტავდა ხალხი, – თქვა ვრონსკიმ.

მოახლე გოგომ ხელჩანთასა და პატარა ძაღლს დაავლო ხელი, ბარგის მზიდავმა და მსახურმა სხვა ფუთები აიღეს, ვრონსკიმ ხელკავი გამოსდო დედას; მაგრამ ვაგონიდან რომ გადმოდიოდნენ, უცებ რამდენიმე კაცმა ჩაირბინა მათ წინ, შეშინებული სახით მირბოდა სადგურის უფროსიც, უცნაური ფერის ქუდი რომ ეხურა. ეტყობოდა, რაღაც უჩვეულო ამბავი მოხდა. ხალხი უკან გამორბოდა მატარებლიდან.

– რა მოხდა?.. რა მოხდა?.. სად?.. ჩავარდა!.. გასრისა!.. – ისმოდა გამვლელთა შორის.

სტეპან არკადიჩს ხელკავით მიჰყავდა და, უკანვე მობრუნდნენ, ხალხს მოარიდეს თავი და ვაგონის შესასვლელთან გაჩერდნენ. მათაც იგივე შიში ეწერათ სახეზე.

მანდილოსნები ვაგონში შევიდნენ, სტეპან არკადიჩი და ვრონსკი კი უკან გაჰყვნენ ხალხს, რათა დაწვრილებით შეეტყოთ ამ უბედურების ამბავი.

დარაჯი, ეტყობოდა, ნასვამი იყო ან ძლიერი ყინვის გამო ისე შეფუთნილი, რომ ვერ გაუგია უკან დახეული მატარებლის მოახლოება და გაუტანია მატარებელს.

სანამ ვრონსკი და ობლონსკი დაბრუნდებოდნენ,

მანდილოსნებმა უკვე შეიტყვეს ეს ამბავი მსახურისაგან.

ობლონსკისა და ვრონსკის – ორივეს ენახა დასახიჩრებული გვამი. ობლონსკი ეტყობოდა, იტანჯებოდა, სახე ეღრიჯებოდა და ატირებას აღარაფერი უკლდა.

– ოჰ, რა საშინელებაა! ოჰ, ანა, რომ გენახა! ოჰ, რა საშინელება იყო! – ამბობდა იგი.

ვრონსკი ხმას არ იღებდა, მისი ლამაზი სახე სერიოზული, მაგრამ სრულიად დამშვიდებული იყო.

– ოჰ, თქვენ რომ გენახათ, გრაფინია! – ამბობდა სტეპან არკადიჩი, – ცოლიც იქ იყო... საშინელი სანახავი იყო ეს ქალი... ზედ დაემხო გვამს. ამბობენ, ერთადერთი მარჩენალი იყო უზარმაზარი ოჯახისო. რა საშინელებაა!

– ნუთუ არ შეიძლება რაიმე ვიღონოთ იმ ქალისათვის? – აღელვებით წაიჩურჩულა კარენინამ.

ვრონსკიმ ანას გადახედა და მაშინვე ვაგონიდან გავიდა.

– ახლავე მოვალ, maman, – დასძინა უკვე კართან მისულმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ვრონსკი რომ მობრუნდა, ობლონსკი უკვე ვიღაც ახალ მომღერალ ქალზე ელაპარაკებოდა გრაფინიას, გრაფინია კი შვილის მოლოდინში მოუთმენლად იყურებოდა კარისაკენ.

– ახლა კი წავიდეთ, – თქვა ვაგონში შემოსულმა ვრონსკიმ.

ყველანი ერთად გამოვიდნენ. წინ ვრონსკი მიდიოდა დედითურთ, უკან კი – კარენინა ძმასთან ერთად. გასასვლელში ვრონსკის სადგურის უფროსი წამოეწია.

– თქვენ ჩემი თანაშემწესთვის ორასი მანეთი გადაგიციათ. ნება მომეცით, გკითხოთ, ვისთვის არის ეს ფული განკუთვნილი?

– ქვრივისათვის, – მხრების აწევით მიუგო ვრონსკიმ, – არ მესმის, რა არის აქ გაუგებარი!

– თქვენ გადაეცით? – მიაძახა უკანიდან ობლონსკიმ, მერე ხელზე ხელი მოუჭირა დას და დაუმატა, – ჩინებულია, ჩინებული! მართლაც კარგი ახალგაზრდაა, არა? მშვიდობით ბრძანდებოდეთ, გრაფინია!

ობლონსკი და ანა შეჩერდნენ, მოახლეს დაუწყეს ძებნა.

ისინი რომ სადგურიდან გამოვიდნენ, ვრონსკების კარეტაც დაიძრა. ვაგონებიდან გამოსული მგზავრები ისევ მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

– ოჰ, საშინელი სიკვდილია! – ამბობდა ვიღაც ბატონი, რომელმაც მათ გვერდით ჩაიარა.

– მე კი პირიქით მგონია, ეს ყველაზე იოლი, წუთიერი სიკვდილია! – შენიშნა მეორემ.

– რატომ ზომებს არ მიიღებენ! – დაუმატა მესამემ.

კარენინა კარეტაში ჩაჯდა და გაოცებულმა სტეპან არკადიჩმა შენიშნა, რომ ანას ტუჩები უცახცახებდა, ცრემლებს ძლივსღა იკავებდა.

– რა დაგემართა, ანა? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა, როცა ისინი რამდენიმე ასეული საჟენით გასცდნენ სადგურს.

– ცუდად მენიშნა ეს ამბავი, – უპასუხა ანამ.

– რა სისულელეა! – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მთავარია, შენ ჩამოხვედი. ვერ წარმოიდგენ, როგორი იმედი მაქვს შენი!

– დიდი ხანია, რაც ვრონსკის იცნობ? – ჰკითხა ანამ.

– დიახ. იცი, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვრონსკი კიტის შეირთავს.

– მართლა? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ანამ, – აბა, ახლა კი შენზე ვილაპარაკოთ, – უთხრა და ისე გააქნია თავი, თითქოს უნდოდა ფიზიკურად განედევნა რაღაც ზედმეტი, რომელიც ხელს უშლიდა, – საქმეებზე ვილაპარაკოთ. მივიღე შენი წერილი და აი, ჩამოვედი კიდეც!

– ჰო, მთელ იმედს ახლა შენზე ვამყარებ, – თქვა სტეპან არკადიჩმა.

– აბა, მომიყევი ყველაფერი!

და სტეპან არკადიჩმა თავისი ამბის მოყოლა დაიწყო.

სახლთან რომ მივიდნენ, ობლონსკიმ კარეტიდან გადმოიყვანა ანა, ამოიოხრა, ხელზე ხელი მოუჭირა დას და ისევ საკრებულოში წავიდა.

XIX

როცა ანა ოთახში შევიდა, დოლი პატარა სასტუმროში იჯდა ქერათმიან, მსუქან ბიჭუნასთან ერთად, ახლავე რომ ასე ჰგავდა მამას, და ფრანგული კითხვის გაკვეთილს უსმენდა. ბიჭი კითხულობდა და თან ხელით აწვალებდა ქურთუკის ღილს, რომელიც საცაა აწყდებოდა. დედამ რამდენჯერმე გააშვებინა ხელი, მაგრამ ფუნჩულა ხელი ისევ ღილისკენ მიიწევდა. დედამ ააწყვიტა ღილი და ჯიბეში შეინახა.

– გააჩერე ხელები, გრიშა, – უთხრა ბავშვს და თვითონ ისევ დაუბრუნდა საქსოვს, რომელიც კარგა ხნის წინ დაეწყო და ყოველთვის ასეთ მძიმე წუთებში ახსენდებოდა. ახლაც ნერვიულად ქსოვდა, ძაფს თითზე იხვევდა და თვლებს ითვლიდა. მართალია, გუშინ უბრძანა, მოეხსენებინათ ქმრისთვის, ჩემი საქმე არ არის, ჩამოვა თუ არაო თქვენი და, მაგრამ მაინც ყველაფერი მოამზადა მის დასახვედრად და ახლა მღელვარებით ელოდა მულს.

დოლი გულმოკლული იყო თავისი მწუხარებით. იგი მთლიანად შთანთქა ამ ამბავმა, მაგრამ მაინც არ დავიწყებია, რომ ანა, მისი მული, პეტერბურგის ერთ-ერთი წარჩინებული პირის მეუღლე იყო და პეტერბურგელი grande dame. მხოლოდ ამის გამო არ შეასრულა ქმრისთვის მიცემული პირობა, ესე იგი არ დაივიწყა, რომ მული უნდა ჩამოსვლოდა. „მართლაც, ანა არაფერში დამნაშავე არ არის, – ფიქრობდა დოლი, – მე მისგან კარგის მეტი არაფერი მომაგონდება, ყოველთვის მეგობრული და ალერსიანი იყო“. თუმცა, როგორც ახსოვდა პეტერბურგში, კარენინების ოჯახში მიღებული შთაბეჭდილება, არ მოსწონდა მათი სახლი, რაღაც სიყალბე იგრძნობოდა მათ ოჯახურ ცხოვრებაში. „მაგრამ ანა რატომ არ უნდა მივიღო? ოღონდ ნეტავ ნუგეშისცემა არ დამიწყოს. ყოველნაირი ნუგეშისცემა, ჩაგონება თუ ქრისტიანული მიტევება მრავალგზის ნაცადი მაქვს, მაგრამ არც ერთი არ ვარგა“.

მთელი ეს დღეები დოლი მარტოდმარტო იყო ბავშვებთან. თავის მწუხარებაზე ხმის ამოღება არ უნდოდა და გული ისეთი დარდით ჰქონდა სავსე, რომ ასე იქნებოდა თუ ისე, ანას მაინც ეტყოდა ყველაფერს და ხან ახარებდა ის, რომ გაუზიარებდა ანას თავის მწუხარებას, ხან კი ბრაზობდა იმის გამო, რომ იძულებული იყო ელაპარაკა მასთან, სტეპან არკადიჩის დასთან, თავის დამცირებაზე და მოესმინა მისგან წინასწარ

მომზადებული სანუგეშო, დამამშვიდებელი ფრაზები.

დოლი, როგორც ეს ხშირად ხდება, სულ საათს შეჰყურებდა, ყოველ წუთს ელოდა მულს და სწორედ სტუმრის მოსვლის წუთი კი გამოეპარა, ასე რომ, ზარის ხმაც არ გაუგონია.

კაბის შრიალი და უკვე კართან მოსული სტუმრის მსუბუქი ფეხის ხმა რომ გაიგონა, მხოლოდ მაშინ მიიხედა და მის ტანჯულ სახეზე უნებლიეთ სიხარული კი არა, მხოლოდ გაოცება გამოიხატა. დოლი წამოდგა და გადაეხვია მულს.

– როგორ, უკვე ჩამოხვედი? – უთხრა მან და აკოცა ანას.

– დოლი, როგორ მიხარია შენი ნახვა!

– მეც მიხარია, – ოდნავი გაღიმებით უთხრა დოლიმ, თან ცდილობდა ანას სახეზე წაეკითხა, იცოდა თუ არა მისი მწუხარება. „ეტყობა, იცის“, – გაიფიქრა მან, როცა ანას სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა, – აბა, წავიდეთ, მიგაცილებ შენს ოთახამდე, – განაგრძო დოლიმ, რომელსაც უნდოდა, როგორმე გადაედო ახსნა-განმარტების წუთები.

– ეს გრიშაა? ღმერთო ჩემო, როგორ გაზრდილა! – თქვა ანამ და აკოცა ბავშვს, თან თვალს არ აშორებდა დოლის, მერე შეჩერდა და გაწითლდა, – არა, ნება მომეცი, აქ დავრჩე!

ანამ შალი მოიხსნა, ქუდი მოიხადა, მაგრამ ქუდი შავი, ხუჭუჭა თმის კულულებზე წამოედო, თავი გაიქნია და თმა გაითავისუფლა.

– შენ კვლავ სიცოცხლითა და ბედნიერებით აღსავსე ხარ! – თითქმის შურით უთხრა დოლიმ.

– მე? ჰო... – თქვა ანამ, – ღმერთო ჩემო, ტანია! ეს ხომ ჩემი სერიოჟას ხნისაა, – მიუბრუნდა გოგონას, რომელმაც ის იყო შემოირბინა ოთახში. ანამ ხელში აიყვანა გოგონა და აკოცა, – მშვენიერი გოგონაა, მშვენიერი! მაჩვენე ყველანი.

ანამ სათითაოდ ჩამოთვალა ბავშვები, გაიხსენა მათი სახელები. ისიც კი ახსოვდა, ვინ რომელ წელსა და თვეს დაიბადა, ვის როგორი ხასიათი და ზნე სჭირდა ან რა ავადმყოფობა გამოიარა. შეუძლებელი იყო, დოლის არ დაეფასებინა ეს.

– მაშ, წავიდეთ ბავშვებთან, – უთხრა დოლიმ, – მხოლოდ სამწუხაროა, რომ ვასიას სძინავს.

ბავშვები რომ მოინახულეს, ისევ სასტუმროში დაბრუნდნენ და მარტოდ დარჩენილნი, ყავას მიუსხდნენ. ანამ ხელი მოჰკიდა ლანგარს, მაგრამ ისევ განზე გადადგა.

– დოლი, – უთხრა მან, – სტივა მელაპარაკა.

დოლიმ ცივად გადახედა ანას. ახლა იგი ელოდა ყალბ, თანაგრძნობის გამომხატველ ფრაზებს, მაგრამ ანას ამის მსგავსი არაფერი უთქვამს.

– დოლი, ჩემო კარგო! – უთხრა მან, – მე არ მინდა ან მის მაგივრად გელაპარაკო, ან განუგეშო; ეს შეუძლებელია, მაგრამ შენ მებრალები, ჩემო კარგო, სულითა და გულით მებრალები.

და ხშირ წამწამთა იქით, ანას მოელვარე თვალებში ცრემლი აკიაფდა. იგი ახლოს გადაჯდა რძალთან და თავისი პატარა, ენერგიული ხელი დოლის ხელზე მოჰკიდა. დოლი არ განრიდებია, მაგრამ სახეზე იგივე სიცივე ეწერა.

– ჩემი ნუგეშისცემა შეუძლებელია! – უთხრა მან, – ყველაფერი დაიკარგა, ყველაფერი დაიღუპა მას შემდეგ, რაც მოხდა.

და როგორც კი ეს თქვა, მაშინვე მოულბა სახე. ანამ აიღო დოლის სუსტი, გამხდარი ხელი, აკოცა და უთხრა: – მაგრამ რა ვქნათ, დოლი, რა ვქნათ? როგორ ჯობს მოქცევა ასეთი საშინელი მდგომარეობის დროს? აი, რაზე გვმართებს ფიქრი.

– ყველაფერს ბოლო მოეღო და მეტი არაფერი, – უთხრა დოლიმ, – მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, შენ გესმის, რომ არ შემიძლია მისი მიტოვება. ბავშვები მაკავშირებენ მასთან. მასთან ცხოვრება კი აღარ შემიძლია, ჩემთვის ტანჯვაა მისი დანახვა.

– დოლი, ჩემო კარგო, სტივა მელაპარაკა, მაგრამ მე შენგან მინდა მოვისმინო, მომიყევი ყველაფერი.

დოლიმ კითხვის გამომხატველი თვალებით გადახედა ანას.

ანას სახეზე გულწრფელი თანაგრძნობა და სიყვარული იხატებოდა.

– კარგი, – დაიწყო უცებ დოლიმ, – ოღონდ თავიდან მოგიყვები ყველაფერს. შენ ხომ იცი როგორ გავთხოვდი. მე დედის აღზრდის წყალობით არა მარტო გულუბრყვილო, სულელიც კი ვიყავი. არაფერი გამეგებოდა. მე ვიცი, ამბობენ, ქმრები

უყვებიან ცოლებს თავიანთ განვლილ ცხოვრებასო, მაგრამ სტივას... სტეპან არკადიჩს, – სიტყვა გაასწორა დოლიმ, – არაფერი უთქვამს ჩემთვის. არ დამიჯერებ, მაგრამ დღემდე მეგონა, რომ მე ვიყავი ერთადერთი ქალი, რომელთანაც მას კავშირი ჰქონდა. ასე ვცხოვრობდით რვა წლის განმავლობაში. გესმის, არათუ ეჭვი არ მეპარებოდა მის ერთგულებაში, შეუძლებლადაც მიმაჩნდა ეს და ამ დროს კი, შენ წარმოგიდგენია, ასეთი შეხედულების შემდეგ უცებ შეიტყო მთელი ეს საშინელება, მთელი ეს სისაძაგლე... შენ წარმოდგენილი გაქვს, სავსებით დარწმუნებული იყო შენს ბედნიერებაში და უცებ... – განაგრძობდა დოლი და ცრემლებს ძლივს იკავებდა, – მიიღო წერილი... მისი წერილი საყვარლისადმი, ჩემი ბავშვების გუვერნანტისადმი. არა, ეს მეტისმეტი საშინელებაა! – დოლიმ სწრაფად ამოიღო ცხვირსახოცი და სახეზე აიფარა, – მესმის კიდევ, გატაცებით რომ მოსვლოდა, – განაგრძო დოლიმ ცოტა ხნის შემდეგ, – მაგრამ წინასწარ განზრახვით, ეშმაკობით მომატყუო?.. მერედა ვისზე გამცვალა?.. ამასთან ერთად ჩემი ქმარიც იყო... ეს საშინელებაა! შენ არ შეგიძლია ამის გაგება...

– ო, არა, ჩემთვის გასაგებია! გასაგებია, ძვირფასო დოლი, გასაგებია, – ეუბნებოდა ანა და ხელზე ხელს უჭერდა.

– და შენ გგონია, მას ესმის ჩემი მდგომარეობის მთელი საშინელება? – განაგრძო დოლიმ, – სულაც არა! ბედნიერია და კმაყოფილი.

– ოჰ, არა, – სწრაფად შეაწყვეტინა ანამ, – საცოდავია, სინანული კლავს...

– განა მას შეუძლია სინანული? – შეაწყვეტინა დოლიმ და ყურადღებით შეაჩერდა მულს სახეში.

– დიახ, მე ვიცნობ მას. და მე სიბრალულის გარეშე არ შემეძლო მისი ყურება. ჩვენ ორივენი ვიცნობთ მას. სტივა კეთილია, მაგრამ ამაყი, ახლა კი ისეა დამცირებული... ყველაზე ძალიან კი იმან მატკინა გული (და ანა მიხვდა, ყველაზე ძლიერ რა მოულბობდა გულს დოლის)... – მას ორი რამ ტანჯავს: ერთი, რომ ბავშვებისა რცხვენია, და მეორე ის, რომ შენ, რომელიც უყვარხარ... დიახ, დიახ, უყვარხარ, ყველაზე მეტად მთელ ქვეყანაზე... – საჩქაროდ შეაწყვეტინა მან დოლის, რომელსაც რაღაცის თქმა უნდოდა, – რომ ასე გატკინა, ასე მოგიკლა გული.

არა, არ მაპატიებსო, სულ ამას იმეორებს.

დოლი ყურს უგდებდა მულის სიტყვებს და ჩაფიქრებული, სადღაც შორს იყურებოდა.

– ჰო, მე მესმის, რომ მისი მდგომარეობა საშინელია. დამნაშავე უფრო მეტად იტანჯება, ვიდრე უდანაშაულო, – თქვა ბოლოს დოლიმ, – თუ გრძნობს, რომ მისი დანაშაულისაგან მოდის მთელი ეს უბედურება. მაგრამ როგორ უნდა ვაპატიო, როგორღა უნდა ვიკისრო მისი ცოლობა იმ ქალის შემდეგ? მასთან ჩემი ცხოვრება ახლა ტანჯვა იქნება, სწორედ იმიტომ, რომ მე მიყვარს ჩემი ძველი სიყვარული მისდამი... – დოლის ქვითინმა შეაწყვეტინა სიტყვები.

და თითქოს განზრახ, ყოველთვის, როგორც კი ოდნავ მოულბებოდა გული, კვლავ იმ საკითხზე იწყებდა ლაპარაკს, რაც ასე უკლავდა გულს.

– ის ქალი ხომ ახალგაზრდაა, ხომ ლამაზია, – განაგრძობდა დოლი, – შენ ხომ იცი, ანა, ვის შევალიე ჩემი ყმაწვილქალობა, ჩემი სილამაზე? მასა და მის შვილებს. მე მათ მოვემსახურე და ამ სამსახურს შევწირე ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა, ახლა კი რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა, ზნედაცემული ქალი უფრო სასიამოვნოა მისთვის, ისინი, ალბათ, კიდეც ლაპარაკობენ ჩემზე. ან კიდევ უარესი, განზრახ არაფერს ამბობენ. წარმოგიდგენია? – და დოლის კვლავ სიძულვილით აენთო თვალები, – და ამის შემდეგ ის მეტყვის, რომ... და განა მე დავუჯერებ? არასოდეს. არა, უკვე გათავდა ყველაფერი, ყველაფერი, რაც მანუგეშებდა, რაც ჩემი შრომისა და ტანჯვის საზღაურს წარმოადგენდა... დამიჯერებ თუ არა? წეღან გრიშას ვასწავლიდი. წინათ ეს სიხარული იყო ჩემთვის, ახლა კი ტანჯვაა. რა მინდა, რისთვის ვწვალობ? რად მინდა ბავშვები? საშინელება ის არის, რომ ჩემს სულში უცებ ყველაფერი გადატრიალდა და იმ სიყვარულისა და სინაზის ნაცვლად, მხოლოდ გაბოროტებას ვგრძნობ მისდამი, დიახ, გაბოროტებას! მე მას მოვკლავდი და...

– დოლი, ჩემო კარგო, ჩემთვის გასაგებია ყველაფერი, თავს ნუღარ იტანჯავ. შენ იმდენად შეურაცხყოფილი, იმდენად აღელვებული ხარ, რომ ბევრ რამეს ისე არ უყურებ, როგორც საჭიროა.

დოლი დაწყნარდა. ორიოდე წუთს ორივენი დუმდნენ.

– რა ვქნა, ანა, იფიქრე, დამეხმარე, მე ბევრი ვიფიქრე და გამოსავალი ვერ ვნახე.

ანას ვერაფერი მოეფიქრებინა, მაგრამ გულს უკლავდა რძლის ყოველი სიტყვა, ყოველი მისი გამოხედვა.

– მხოლოდ ერთს გეტყვი, – დაიწყო ანამ, – მე მისი და ვარ და ვიცნობ მის ხასიათს. მას უნარი აქვს, ყველაფერი დაივიწყოს, ყველაფერი (და მან შუბლთან მიიტანა ხელი), გულწრფელად გაიტაცოს ყველაფერმა და მერე გულწრფელადვე ინანოს ყოველივე. ახლა არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, როგორ შეძლო იმის ჩადენა, რაც ჩაიდინა.

– არა, მან ყველაფერი იცის. ყველაფერი იცოდა, – შეაწყვეტინა დოლიმ, – მერე მე... მე რატომღა მივიწყებ? განა ჩემთვის იოლია!

– მოიცა, დამამთავრებინე. გამოგიტყდები და გეტყვი, როცა ის მელაპარაკებოდა, მე ჯერ კიდევ წარმოდგენილი არ მქონდა შენი მდგომარეობის მთელი საშინელება. მე მხოლოდ ძმას ვხედავდი, ვხედავდი, რომ ოჯახი აწეწილი იყო და მებრალებოდა სტივა. მაგრამ ახლა, შენთან ლაპარაკის შემდეგ, მე, როგორც ქალი, სულ სხვა რამეს ვხედავ: ვხედავ შენს ტანჯვას და გამოუთქმელად მებრალები! დოლი, ჩემო კარგო, მე ახლა სავსებით მესმის შენი მწუხარება, მაგრამ ერთი რამ არ ვიცი... არ ვიცი, რაღა დარჩა შენს გულში მისი სიყვარულისგან. ეს შენ გეცოდინება – დაგრჩენია თუ არა იმდენი სიყვარული, რომ შეძლო პატიება? და თუ დაგრჩენია, აპატიე!

– არა, – დაიწყო დოლიმ, მაგრამ ანამ არ დააცალა ლაპარაკი, ერთხელ კიდევ აკოცა ხელზე.

– მე შენზე უკეთ ვიცნობ საზოგადოებას, – უთხრა ანამ, – ვიცნობ ისეთ ადამიანებს, როგორიც სტივაა, ვიცი, როგორ უყურებენ ისინი ამას. შენ ამბობ, სტივა იმ ქალს ჩემზე ელაპარაკებოდაო. ეს არ მომხდარა. ასეთი ადამიანები მართალია, ღალატობენ, მაგრამ ოჯახური კერა და ცოლი მათთვის წმიდათაწმიდაა. ეს ქალები თითქმის ეზიზღებათ კიდეც და ისინი ოჯახს ხელს ვერ უშლიან. მამაკაცები რაღაც გაუვალ ზღვარს სდებენ ოჯახსა და ამგვარ ქალებს შორის. ეს ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ ასეა.

– კი, მაგრამ ის ხომ კოცნიდა იმ ქალს...

– დოლი, გეთაყვა, დამაცადე. მე მინახავს სტივა, როცა შენ უყვარდი. მახსოვს, როგორ მოდიოდა ჩემთან და ტიროდა, როცა შენზე ლაპარაკობდა. რა პოეზია, რა მწვერვალი იყავი შენ მისთვის და მე ისიც ვიცი, რაც უფრო მეტხანს ცხოვრობდა შენთან, მით უფრო მაღლდებოდი მის თვალში. ჩვენ ხომ კიდეც დავცინოდით სტივას, რადგან ყოველ სიტყვას თან ატანდა: „დოლი გასაოცარი ქალიაო“. შენ ყოველთვის ღვთაება იყავი მისთვის და ასევე დარჩი, რაც შეეხება ამ გატაცებას, ეს მისი სულიდან როდი მოდის...

– მერე, ეს გატაცება რომ კიდევ განმეორდეს?

– მე რამდენადაც მესმის, ამის გამეორება შეუძლებელია!

– კი, მაგრამ შენ აპატიებდი?

– არ ვიცი, არაფრის თქმა არ შემიძლია... არა, შემიძლია, – თქვა ანამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ. გონებაში გაითვალისწინა ყველაფერი, შინაგან სასწორზე აწონ-დაწონა და დასძინა, – არა, შემიძლია, შემიძლია, შემიძლია. დიახ, ვაპატიებდი. მართალია, მე ის აღარ ვიქნებოდი, მაგრამ მაინც ვაპატიებდი, და ისე ვაპატიებდი, რომ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, სრულიად არაფერი.

– ამას რაღა თქმა უნდა, – საჩქაროდ გააწყვეტინა დოლიმ, თითქოს იმას ამბობდა, რაც მრავალჯერ უფიქრიაო, – თორემ ეს ხომ პატიებაც არ იქნებოდა. თუ აპატიებ, მაშინ სულ უნდა აპატიო. აბა, წავიდეთ, შენს ოთახში მიგაცილებ, – თქვა დოლიმ და ფეხზე წამოდგა. ოთახისკენ რომ მიდიოდნენ, დოლიმ ხელი გადახვია მულს, – ჩემო კარგო, როგორ მიხარია, რომ ჩამოხვედი. მე ბევრად, ბევრად უფრო შემიმსუბუქდა მწუხარება.

XX

მთელი ეს დღე ანამ შინ, ესე იგი ობლონსკებისას გაატარა, არც სტუმრები მიუღია, თუმცა ზოგიერთ ნაცნობს უკვე შეეტყო მისი ჩამოსვლის ამბავი და იმ დღესვე მოსულიყო სანახავად,

მთელი დილა დოლისთან და ბავშვებთან ერთად იყო. მხოლოდ ბარათი გაუგზავნა ძმას, რომ იმ დღეს უცილობლად შინ ესადილა, „მოდი, ღმერთია მოწყალეო“, სწერდა.

ობლონსკიმ შინ ისადილა: სადილზე საერთო საუბარი იყო და ცოლი შენობით ელაპარაკებოდა ქმარს, რაც წინათ არ ყოფილა. ცოლისა და ქმრის ურთიერთობაში იგრძნობოდა, რომ მათ შორის მაინც არ იყო ერთობა, მაგრამ განშორებაზე ლაპარაკიც აღარ ყოფილა და სტეპან არკადიჩსაც ახლა უკვე საშუალება ეძლეოდა ახსნა-განმარტებისა და შერიგებისა.

ისადილეს თუ არა, კიტიც მოვიდა. იგი ახლოს არ იცნობდა ანა არკადიევნას და ახლა, დასთან რომ მოდიოდა, ცოტა არ იყოს, შიშს გრძნობდა გულში, არ იცოდა, როგორ მიიღებდა ეს ყველასაგან ნაქები, პეტერბურგის მაღალი საზოგადოების მანდილოსანი, მაგრამ ანა არკადიევნას მოეწონა კიტი – ეს კიტიმ მაშინვე შენიშნა. ანა, ეტყობოდა, მისი სილამაზითა და სინორჩით ტკბებოდა და კიტისაც დიდი ხანი არ დასჭირვებია იმისათვის, რომ არათუ მოქცეულიყო მის გავლენაში, შეჰყვარებოდა კიდეც იმგვარი სიყვარულით, როგორც შეუძლია შეიყვაროს ყმაწვილმა ქალმა გათხოვილი, მასზე უფროსი მანდილოსანი. ანა არ ჰგავდა მაღალი საზოგადოების ბანოვანს ან რვა წლის ვაჟის დედას. პირიქით, ისეთი მოქნილი, ისეთი ნორჩი იყო, სახეზეც ისეთი ცხოველი სხივი დასთამაშებდა, რომელიც ხან მის ღიმილში იხატებოდა, ხან კი მის გამოხედვაში, რომ ოცი წლის ქალიშვილი უფრო გეგონებოდათ, მისი გამომეტყველება რომ არ ყოფილიყო ესოდენ სერიოზული და ზოგჯერ სევდიანიც კი, რაც ასე აოცებდა და იზიდავდა კიტის. იგი გრძნობდა, რომ ანა სრულიად სადა ადამიანი იყო და არაფერს მალავდა, მაგრამ მასში იყო რაღაც სხვა, ზეამაღლებული სამყარო, რომელიც თავისი სირთულითა და პოეტურობით მიუწვდომელი იყო კიტისთვის.

სადილის შემდეგ, როცა დოლი თავის ოთახში გავიდა, ანა საჩქაროდ წამოდგა და მივიდა ძმასთან, რომელიც სიგარას ეწეოდა.

– სტივა, – უთხარა მან, თან მხიარულად ჩაუკრა თვალი, პირჯვარი გადაწერა და თვალით კარზე ანიშნა, – წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე!

ძმაც მაშინვე მიუხვდა, სიგარა გადააგდო და კარს მიეფარა.

სტეპან არკადიჩი რომ გავიდა, ანა ისევ დივანს დაუბრუნდა, სადაც ბავშვებით გარშემოხვეული იჯდა. ბავშვებმა, ალბათ, შენიშნეს, რომ დედას უყვარდა ეს მამიდა, ან შეიძლება თვითონვე იგრძნეს მისი განსაკუთრებული მომხიბვლელობა, ეს კი იყო, რომ ჯერ კიდევ სადილობამდე, ორი უფროსი და დანარჩენი მომდევნოებიც, როგორც ხშირად ემართებათ პატარებს, განუშორებლივ თან სდევდნენ ახალ მამიდას და აღარ სცილდებოდნენ. ეს მათთვის თითქოს თავშესაქცევ თამაშობად იქცა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ რაც შეიძლება ახლოს დამსხდარიყვნენ მამიდასთან, ხელით შეხებოდნენ, როგორმე ხელი მოეკიდათ მისი ხელისთვის, ხელზე ეკოცნათ, ეთამაშათ მისი ბეჭდებით ან მისი კაბის მაქმანისთვის მაინც ჩაევლოთ ხელი.

– აბა, აბა, ისევ ძველებურად დავსხდეთ! – თქვა ანა არკადიევნამ და დივანზე დაჯდა.

და ბედნიერებითა და სიამაყით სახეგაბრწყინებულმა გრიშამ თავი კვლავ მამიდის ხელქვეშ შეყო, თავით მიეხუტა მის კაბას.

– მაშ, როდის იქნება ბალი? – მიუბრუნდა ანა კიტის.

– მომავალ კვირას მშვენიერი ბალი იქნება, ისეთი ბალი, სადაც სულ მხიარულებაა!

– განა არსებობს ასეთი ბალი? – ოდნავი დაცინვით შენიშნა ანამ.

– უცნაურია, მაგრამ არსებობს. ბობრიშჩევებთან ყოველთვის მხიარულებაა, ნიკიტინებთანაც, მეჟკოვებთან კი ყოველთვის მოწყენილობა. განა თქვენ არ შეგინიშნავთ?

– არა, ჩემო კარგო, ჩემთვის აღარ არსებობს ისეთი ბალები, სადაც ასეთ სიხარულს გრძნობ, – თქვა ანამ და კიტიმ კვლავ შენიშნა მის თვალებში ის განსაკუთრებული სამყარო, რომელიც შეუცნობელი იყო მისთვის, – ჩემთვის მხოლოდ ისეთი ბალები არსებობს, სადაც ასატანია ყოფნა და არცთუ ისეთ მოწყენილობას გრძნობ...

– როგორ შეიძლება, თქვენ მოწყენილი იყოთ ბალზე?

– რატომ არ შეიძლება? – ჰკითხა ანამ.

კიტიმ შენიშნა, რომ ანამ წინასწარ იცოდა, რა პასუხიც იყო

მოსალოდნელი.

– იმიტომ, რომ თქვენ ყოველთვის ყველაზე მშვენიერი ხართ.

ანას გაწითლება სჩვეოდა. ახლაც წამოწითლდა და უთხრა კიტის: – ჯერ ერთი, ეს არასოდეს ასე არ არის. და მეორე, ასეც რომ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის?

– თქვენ წამოხვალთ ამ ბალზე? – ჰკითხა კიტიმ.

– ვფიქრობ, წამოუსვლელობა არ იქნება. აი, ეს აიღე, – უთხრა მან ტანიას, რომელიც მის თეთრ, ჩამოქნილ თითზე ადვილად წასაძრობ ბეჭედს ეძებდა.

– ჩემთვის ძალიან სასიხარულო იქნება, თუ წამოხვალთ. მე ისე მინდა თქვენი ნახვა ბალზე.

– ყოველ შემთხვევაში, თუ წამოსვლა მომიხდა, ის აზრი მანუგეშებს, რომ თქვენ ამით სიამოვნებას მოგანიჭებთ... გრიშა, გენაცვალე, ნუ მიწეწავ, ისედაც გაწეწილია, – თქვა ანამ და გაისწორა ჩამოვარდნილი თმის კულული, რომელსაც გრიშა ათამაშებდა.

– ბალზე მე თქვენ წარმომიდგენიხართ სოსანისფერი კაბით.

– რატომ მაინცდამაინც სოსანისფრით? – ღიმილით ჰკითხა ანამ, – აბა, ბავშვებო, წადით, წადით, არ გესმით? მის გული ჩაიზე გეძახით, – ამბობდა ანა, ძლივძლივობით იცილებდა ბავშვებს და სასადილოსკენ გზავნიდა.

– მე კი ვიცი, რატომაც მეპატიჟებით ამ ბალზე. თქვენ ამ ბალისაგან ბევრ კარგს მოელით და გინდათ, ყველანი იქ იყვნენ, ყველანი მონაწილეობდნენ.

– თქვენ საიდან იცით? დიახ, ასეა.

– ოჰ! რა კარგია თქვენი დრო, – განაგრძო ანამ, – მახსოვს, მეც ვიცნობ ამ ცისფერ ბურუსს, იმის მსგავსს, შვეიცარიის მთებს რომ ბურავს ხოლმე. ეს ბურუსი ფარავს ყოველივეს იმ ნეტარ დროს, როცა ეს-ეს არის თავდება ბავშვობა და ამ ვრცელ, ბედნიერ და სიხარულით სავსე სამყაროს შემდეგ გზა თანდათან ვიწროვდება, გიხარია და გაშინებს კიდეც ამ ანფილადაში შესვლა, თუმცა კი ნათელი და მშვენიერი გეჩვენება... ვის არ გაუვლია ეს?

კიტი მდუმარედ იღიმებოდა. „ნეტავ თვითონ როგორღა გაიარა ეს? ნეტავ მაცოდინა მთელი მისი რომანი!“ – გაიფიქრა კიტიმ და თვალწინ წარმოუდგა ალექსეი ალექსანდროვიჩის, ანას ქმრის, არაპოეტური გარეგნობა.

– მე ვიცი, ზოგიერთი რამ, სტივამ მითხრა... გილოცავთ, მე იგი ძალიან მომწონს, – განაგრძო ანამ, – ვრონსკის რკინიგზის სადგურზე შევხვდი.

– აჰ, ის იქ იყო? – იკითხა გაწითლებულმა კიტიმ, – სტივამ რაღა გითხრათ?

– სტივამ ყველაფერი გადმომიშალა. მე დიდად მოხარული ვიქნებოდი ამ ამბისა. გუშინ ვრონსკის დედასთან ერთად ვიმგზავრე, – განაგრძო ანამ, – სულ ვრონსკიზე მელაპარაკებოდა. ეტყობა, მისი საყვარელი შვილია. ვიცი, დედები როგორი მიმკერძოებელნიც არიან, მაგრამ...

– მაინც რა გიამბოთ დედამ?

– ბევრი რამ! გავიგე, რომ გამორჩევით ჰყვარებია, მაგრამ მაინც ჩანს, რაინდი ყოფილა... მაგალითად, მიამბო, რომ განზრახული ჰქონია მთელი თავისი ქონება გადაეცა ძმისათვის; ბავშვობაშიც რაღაც არაჩვეულებრივი რამ ჩაუდენია, დახრჩობას გადაურჩენია ვიღაც ქალი. ერთი სიტყვით, გმირია, – ღიმილით დასძინა ანამ და ის ორასი მანეთიც გაიხსენა, სადგურზე რომ მისცა ქალს, მაგრამ ეს არ უხსენებია. რატომღაც არ სიამოვნებდა ამის გახსენება; გრძნობდა, რომ ვრონსკის ამ საქციელში იყო რაღაც ისეთი, რაც უშუალოდ მას ეხებოდა და რაც არ უნდა მომხდარიყო.

– დედამისმა ძალიან მთხოვა, მივიდე მასთან, – განაგრძო ანამ, – მეც მოხარული ვიქნები მოხუცის ნახვისა. ხვალ წავალ, მადლობა ღმერთს, სტივას დოლის კაბინეტში შეაგვიანდა, – საუბრის თემა შეცვალა ანამ და, როგორც კიტის მოეჩვენა, რაღაცით უკმაყოფილო წამოდგა.

– არა, ჯერ მე, ჯერ მე! – ყვიროდნენ ბავშვები, რომელთაც ჩაი გაეთავებინათ და ახლა მამიდა ანასთან გამორბოდნენ.

– ყველა ერთად! – თქვა ანამ, სიცილით გაიქცა მათ შესაგებებლად, ხელი მოხვია და იატაკზე წამოაკოტრიალა სიხარულისაგან აფართქალებული, აჟივჟივებული ბავშვები.

XXI

უფროსების ჩაიზე დოლიც გამოვიდა თავისი ოთახიდან. სტეპან არკადიჩი არ ჩანდა. ეტყობოდა, უკანა კარით გასულიყო ცოლის ოთახიდან.

– მეშინია, ზევით არ გაცივდე, – უთხრა დოლიმ ანას, – ქვევით მინდა გადმოგიყვანო, უფრო ახლოც ვიქნებით ერთმანეთთან.

– ჩემზე ნუ შეწუხდები, გენაცვალე, – უპასუხა ანამ და სახეში ჩააცქერდა დოლის, უნდოდა გაეგო, შერიგდნენ თუ არა.

– სინათლეც მეტი იქნება, – ეუბნებოდა რძალი.

– ხომ გითხარი, ყველგან და ყოველთვის მკვდარივით მძინავს-მეთქი.

– რაზე ლაპარაკობთ? – იკითხა კაბინეტიდან გამოსულმა სტეპან არკადიჩმა და ცოლს მიუბრუნდა.

კიტიმაც და ანამაც ლაპარაკის კილოზე მაშინვე შეატყვეს სტეპან არკადიჩს, რომ ცოლ-ქმარი უკვე შერიგებულიყო.

– ანა მინდა გადმოვიყვანო ქვევით, მაგრამ ფარდებია ხელახლა ჩამოსაკიდი. ვერავინ გააკეთებს ამას, ისევ მე უნდა გავაკეთო, – უპასუხა დოლიმ ქმარს.

„ღმერთმა იცის, ნამდვილად შერიგდნენ თუ არა“, – გაიფიქრა ანამ, დოლის ცივი და მშვიდი ხმა რომ გაიგონა.

– კარგი, დოლი, გეყოფა, ყველაფერს საქმედ ნუ აქცევ ხოლმე, – უთხრა ქმარმა, – თუ გინდა, მე გავაკეთებ ყველაფერს.

„ჰო, ალბათ, შერიგდნენ“, – გაიფიქრა ანამ.

– ვიცი, როგორც გააკეთებ, – უპასუხა დოლიმ, – ეტყვი მატვეის, ის გააკეთეო, რის გაკეთებაც არ შეიძლება, და წახვალ, ის კი ყველაფერს აურ-დაურევს, – და ამას რომ ამბობდა, დოლის ჩვეულმა დამცინავმა ღიმილმა შეუთამაშა ტუჩის კილოები.

„სულ, სულ შერიგებულან, – გაიფიქრა ანამ, – მადლობა ღმერთს!“ – და იმით გახარებული, რომ თვითონ იყო ამის მიზეზი, დოლისთან მივიდა და აკოცა.

– სულაც არა, ასე აბუჩად რატომ გვიგდებ მე და მატვეის?.. – უთხრა სტეპან არკადიჩმა ცოლს და ოდნავ შესამჩნევად

გაიღიმა.

მთელი საღამო, როგორც ყოველთვის, დოლი ოდნავი დაცინვით ექცეოდა ქმარს. სტეპან არკადიჩი კი მხიარული და კმაყოფილი იყო, მხოლოდ იმდენად, რომ ეჩვენებინა, მართალია, მაპატიეს, მაგრამ არ დამვიწყებია ჩემი დანაშაულიო.

ათის ნახევარზე ობლონსკების ჩაის მაგიდასთან გამართული, განსაკუთრებით მხიარული, სასიამოვნო ოჯახური საუბარი ერთმა სრულიად უბრალო შემთხვევამ დაარღვია, მაგრამ ეს უბრალო შემთხვევა რატომღაც ყველას ეუცნაურა. როცა საუბარი პეტერბურგელ საერთო ნაცნობებზე ჩამოვარდა, ანა საჩქაროდ წამოდგა.

– ალბომში მაქვს მისი სურათი, – თქვა მან, – ამ გახსენებაზე ჩემს სერიოჟას სურათსაც გაჩვენებთ, – დედობრივი სიამაყის ღიმილით დაუმატა მან.

ათი საათისთვის, როცა ანა ჩვეულებრივ ემშვიდობებოდა ხოლმე შვილს და ხშირად ბალზე წასვლის წინ თვითონვე აძინებდა, ანამ მოწყენილობა იგრძნო, რომ ასე შორს იყო შვილისაგან. რაზედაც უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, მას სულ თავის თმახუჭუჭა სერიოჟასკენ გაურბოდა ფიქრი. ანას მოენატრა, დაეხედა შვილის სურათისათვის, რამე ეთქვა შვილზე. და როგორც კი ამის საშუალება მიეცა, მაშინვე წამოდგა და მსუბუქი, მტკიცე ნაბიჯით გასწია ალბომის ჩამოსატანად. ზევით, მის ოთახში ასასვლელი კიბე დიდი შემოსასვლელი დახურული კიბის ბაქანზე გამოდიოდა.

სწორედ იმ დროს, როცა ანა სასტუმროდან გამოვიდა, დერეფანში ზარის ხმაც გაისმა.

– ვინ უნდა იყოს? – თქვა დოლიმ.

– ჩემს წასაყვანად მოსვლა ჯერ ადრეა, უცხოსთვის კი გვიანაა, – შენიშნა კიტიმ.

– ალბათ, საქმეები მოიტანეს, – დაუმატა სტეპან არკადიჩმა და, როცა ანამ გვერდით ჩაუარა კიბეს, მსახური უკვე ზევით მორბოდა, რათა სტუმრის მოსვლა მოეხსენებინა, თვით სტუმარი კი ქვევით, ლამპასთან იდგა. ანამ ქვევით ჩაიხედა. მაშინვე იცნო ვრონსკი და უცნაური სიამოვნებისა და ამასთან, რაღაც შიშის გრძნობამ გაჰკრა გულში. ვრონსკი

პალტოგაუხდელად იდგა და რაღაცას იღებდა ჯიბიდან. იმ წუთს, როცა ანა შუაგულ კიბეს გაუსწორდა, ვრონსკიმ ზევით აიხედა, დაინახა ანა და სახეზე რაღაც დარცხვენა და შიში გამოეხატა. ანამ ოდნავ დახარა თავი და გაიარა. ამ დროს სტეპან არკადიჩის რიხიანი ხმაც გაისმა, რომელიც ზევით ეპატიჟებოდა სტუმარს, ამას მოჰყვა დაბალი, სასიამოვნო, მშვიდი ხმა ვრონსკისა, რომელიც უარობდა მიპატიჟებას.

ანა რომ დაბრუნდა ალბომით ხელში, ვრონსკი უკვე იქ აღარ იყო და სტეპან არკადიჩი ჰყვებოდა, ვრონსკიმ იმისთვის შემოიარა, რათა გაეგო ხვალინდელი სადილის ამბავი, ცნობილი მომღერალი ქალის პატივსაცემად რომ ვმართავთო.

– არასგზით არ ამოვიდა ზევით, უცნაური კაცია სწორედ, – დასძინა სტეპან არკადიჩმა.

კიტი გაწითლდა, ეგონა, მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რატომ მოვიდა ვრონსკი ან რატომ არ ამოვიდა ზევით. „ჩვენთან იყო, – გაიფიქრა კიტიმ, – და იქ რომ არ დავუხვდი, იფიქრა, აქ ვიქნებოდი. ამოსვლით კი იმიტომ არ ამოვიდა, რომ გაიფიქრა, გვიან არისო, თან ანაც აქ ეგულებოდა“.

იქ მყოფთ უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს და ანას ალბომის თვალიერებას შეუდგნენ.

არაფერი არაჩვეულებრივი და უცნაური არ ყოფილა იმაში, რომ ახალგაზრდა კაცმა ათის ნახევარზე შეიარა თავის მეგობართან, რათა დაწვრილებით შეეტყო ხვალინდელი სადილის ამბავი, შემოსვლით კი არ შემოვიდა; მაგრამ ყველას უცნაურად ეჩვენა ეს, ყველაზე მეტად კი ანას ეუცნაურა და არ მოეწონა.

XXII

ბალი ახალი დაწყებული იყო, როცა კიტი დედასთან ერთად ყვავილებითა და წითელ ხიფთანებში გამოწყობილი, შეპუდრული ლაქიებით შემკულ, გაჩირაღდნებულ ფართო კიბეზე ავიდა. დარბაზებში ისეთი მოძრაობა იყო, ისეთი თანაზომიერი შრიალის ხმა გამოდიოდა, რომ საფუტკრე

გეგონებოდათ, და სანამ კიტი და დედამისი ხეებს შუა ჩადგმული სარკის წინ თმასა და კაბას ისწორებდნენ, დარბაზიდან ორკესტრის ვიოლინოების მკაფიო და გაუბედავი ხმაც გაისმა; ორკესტრი პირველ ვალსს იწყებდა. სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი, იქვე მეორე სარკესთან საფეთქლებთან შეჭაღარავებულ თმას რომ ისწორებდა და ირგვლივ ნელსაცხებლის სუნს აფრქვევდა, კიბეზე შეეჩეხა მათ და გზა რომ დაუთმო, ეტყობა, თვალი დარჩა მისთვის უცნობ კიტიზე. ერთმა პირტიტველა ახალგაზრდამ, რომელსაც მეტისმეტად მოღეღილი ჟილეტი ეცვა და გზადაგზა თეთრ ჰალსტუხს ისწორებდა, მაღალი საზოგადოების ერთმა იმ ყმაწვილთაგანმა, რომელთაც მოხუცი თავადი შჩერბაცკი კოკობზიკებს ეძახდა, სალამი მისცა დედა-შვილს, გვერდით ჩაურბინა მათ და უეცრად უკანვე მობრუნდა, რათა კიტი კადრილზე გაეწვია. პირველ კადრილს კიტი უკვე ვრონსკის შეჰპირდა, ამ ყმაწვილისათვის კი მეორე კადრილი უნდა დაეთმო. სამხედრო პირი, რომელიც კარში იდგა და ხელთათმნის ღილს იკრავდა, ჩამოეცალა მათ და ავარდისფრებული კიტი რომ დაინახა, სიამოვნებით გადაისვა ხელი ულვაშზე.

მიუხედავად იმისა, რომ კიტის ეს მორთულობა, თმის წყობა და მთელი საბალო სამზადისი ბევრ შრომად და ფიქრად უღირდა, ახლა ვარდისფერსარჩულიან ტიულის კაბაში გამოწყობილი, ისე თავისუფლად, ისე უბრალოდ შედიოდა ბალზე, თითქოს ყოველივე ეს – როზეტები, მაქმანები და მორთულობის ყოველი წვრილმანი – არც მასა და არც მის შინაურთ არც ერთ წუთადაც არ უღირდა, თითქოს ასე იყო დაბადებული, ამ ტიულის კაბითა და მაქმანებით, ამ ზემოთ აწეული თმით, რომელსაც ვარდი და ორი ფოთოლი ამშვენებდა.

როცა დარბაზში შესვლის წინ დედამ ქამრის გადმობრუნებული ბაფთის გასწორება დაუპირა, კიტი ოდნავ განზე გაიწია. იგი გრძნობდა, რომ ყველაფერი თავისთავად კარგი და ნარნარი უნდა ყოფილიყო, რომ არაფრის გასწორება საჭირო არ იყო.

ეს დღე კიტისათვის ერთ-ერთი ბედნიერ დღეთაგანი იყო. კაბა არსად უჭერდა, მაქმანის არშიები არსად დაშვებული არ ჰქონდა. არც როზეტები დასჭმუჭნოდა, ან მოსწყვეტოდა; მაღალი, ქუსლშეზნექილი ვარდისფერი ტუფლები კი არ

უჭერდა, უფრო ახალისებდა ფეხს, ქერა თმის სქელი ხვეული ისე ადგა პატარა თავზე, თითქოს საკუთარი ყოფილიყო. გრძელყელიანი ხელთათმნის სამივე ღილი შეკრული ჰქონდა, არსად ეხსნებოდა და ხელსაც ისე შემოკვართოდა, სრულებით არ უცვლიდა მოყვანილობას. მედალიონის შავი ხავერდის ყაითანი განსაკუთრებული სინაზით შემოხვეოდა მის ყელს. მშვენიერი რამ იყო ეს ხავერდი და შინ როცა სარკეში უყურებდა თავის ყელს, გრძნობდა, რომ ეს ხავერდი ნამდვილად მეტყველებდა. სხვა ყველაფერში კიდევ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა, მაგრამ ხავერდი კი მშვენიერი იყო. აქაც, ბალზე, კიტის გაეღიმა, როცა სარკეში თვალი მოჰკრა ამ ხავერდს. გაშიშვლებულ მხრებსა და ხელებზე მარმარილოსებურ სიცივეს გრძნობდა. ეს გრძნობა განსაკუთრებით უყვარდა კიტის. თვალები გაბრწყინებული ჰქონდა და მარჯნის ბაგეთ არ შეეძლოთ ღიმილის შეკავება, რაკი თავის მომხიბვლელობას გრძნობდნენ. ვერც კი მოასწრო დარბაზში შესვლა, ვეღარც მიაღწია ტიულით, ბაფთებით, მაქმანებითა და არშიებით აფერადებულ ქალთა გუნდამდე, რომელნიც საცეკვაოდ გაწვევას ელოდნენ (კიტი არასოდეს მდგარა მათ შორის), რომ უკვე ვალსზე გაიწვიეს და გაიწვია რჩეულმა კავალერმა, ბალების იერარქიის მთავარმა კავალერმა, ბალების ცნობილმა დირიჟორმა და ცერემონმაისტერმა, ლამაზმა და წარმოსადეგმა ცოლიანმა მამაკაცმა, ეგორუშკა კორსუნსკიმ. მან ის იყო გაათავა ცეკვა გრაფინია ბანინასთან, რომელთანაც იცეკვა ვალსის პირველი ტური და როცა თავის მეურნეობას, ესე იგი საცეკვაოდ გასულ რამდენიმე წყვილს მოავლო თვალი, დარბაზში შემოსული კიტიც დაინახა და მაშინვე მხოლოდ ბალების დირიჟორისათვის ჩვეული, განსაკუთრებული მოურიდებლობით მიიჭრა მასთან, სალამი მისცა და ხელი კიტის წერწეტა წელისაკენ წაიღო, ისე, რომ არც უკითხავს, სურდა თუ არა მასთან ცეკვა. კიტიმ უკან მოიხედა, არ იცოდა, ვისთვის გადაეცა მარაო და დიასახლისმა, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა, ჩამოართვა იგი.

– რა კარგია, რომ დროზე მოხვედით, – უთხრა კორსუნსკიმ და წელზე ხელი მოხვია, – თორემ დაგვიანება, აბა, რა წესია!

კიტიმ მოხრილი მარცხენა ხელი მხარზე დაადო კორსუნსკის და ვარდისფერ ტუფლებში გამოწყობილი პატარა ფეხები სწრაფად, მსუბუქად გასრიალდნენ გაკრიალებულ პარკეტზე მუსიკის ტაქტის აყოლებით.

– თქვენთან ცეკვა დასვენებაა, – უთხრა კორსუნსკიმ ვალსის პირველი, რამდენიმე ნელი ნაბიჯის გადადგმისთანავე, – რა საოცარი სიმსუბუქეა, რა საოცარი précision,[11] – იგი იმასვე უმეორებდა კიტის, რასაც თითქმის ყველა კარგ ნაცნობს ეუბნებოდა ხოლმე.

კიტის გაეღიმა მის ქებაზე და მის მხარს ზემოდან დარბაზის თვალიერება განაგრძო. კიტი არ იყო საზოგადოებაში ახალგამოსული, როცა ბალზე ნანახი ყველა სახე ერთ ჯადოსნურ შთაბეჭდილებად ირწყმება, არცთუ ბალებს გადაყოლილი ქალიშვილი, რომლისთვისაც იმდენად ნაცნობია ყველა, რომ მობეზრებულიც აქვს; კიტი ამ ორს შუა იყო და თავის თავსაც იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო ეთვალიერებინა დარბაზი. კიტიმ შენიშნა, რომ დარბაზის მარცხენა კუთხეში საზოგადოების თაიგული შეკრებილიყო. აქ იყო მეტისმეტად გაშიშვლებული, მშვენიერი ლიდი, კორსუნსკის მეუღლე; აქვე იყო დიასახლისიც, აქვე ლაპლაპებდა მელოტი თავი კრივინისა, რომელიც ყოველთვის იქ იყო, სადაც საზოგადოების თაიგული შეიკრიბებოდა; იქით იცქირებოდნენ ყმაწვილკაცებიც, მაგრამ ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ; იქვე შენიშნა სტივაც, შემდეგ კი თვალი მოჰკრა შავ ხავერდის კაბაში გამოწყობილ ანას მშვენიერ თავსა და შესანიშნავ ტანადობას. ისიც აქ იყო. კიტის ან ენახა იგი იმ საღამოს შემდეგ, რაც უარი უთხრა ლევინს. კიტის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია ვრონსკი და ისიც შენიშნა, რომ იგი მისკენ იცქირებოდა.

– ხომ არ ინებებთ კიდევ ერთ ტურს? ხომ არ დაიღალეთ? – ოდნავ შესამჩნევი ქოშინით ჰკითხა კორსუნსკიმ.

– არა, გმადლობთ.

– საით მიბრძანებთ?

– მგონი, აქ კარენინა უნდა იყოს... მასთან მიმიყვანეთ.

– ნება თქვენია.

და კორსუნსკიმ ვალსის ცეკვით წაიყვანა კიტი დარბაზის მარცხენა კუთხისაკენ, გზადაგზა ანელებდა ნაბიჯს და იმეორებდა: „pardon, mesdames, pardon, pardon, mesdames, თან ისე მიჰყავდა კიტი ამ ტიულის, მაქმანებისა და ბაფთების ზღვაში, რომ ოდნავადაც არ შეხებია არავის, შემდეგ სწრაფად შემოატრიალა თავისი ბანოვანი, ისე რომ მთლად გამოჩნდა

გამჭვირვალე წინდებში გამოკვართული კიტის ნატიფი ფეხები, შლეიფი კი მარაოსავით გაიშალა და მუხლებზე გადაეფინა კრივინს. კორსუნსკიმ საერთო სალამი მისცა, წელში გასწორდა და ხელი მიაშველა კიტის, რათა იგი ანა არკადიევნასთვის წარედგინა. აწითლებულმა კიტიმ შლეიფი კრივინის მუხლებს მოაცილა და ოდნავ თავბრუდახვეულმა აქეთ-იქით მიმოიხედა ანას მოსაძებნად. ანას სოსანისფერი კაბა კი არა, როგორც ეს აუცილებლად ეწადა კიტის, ღრმად გულამოღებული შავი ხავერდის კაბა ეცვა, რომელიც თვალსაჩინოს ხდიდა მის ნატიფ, ძველი სპილოსძვლისფერ სავსე მხრებსა და მკერდს, სავსე მკლავებსა და საოცრად პატარა ჩამოქნილ ხელებს. მთელი კაბა ვენეციური გიპიურით იყო გაწყობილი. თავზე საკუთარ შავ თმაში იასამფერას პატარა ყვავილწნული ჰქონდა გაკეთებული; ასეთივე ყვავილწნული ეკეთა ქამრის შავ ბაფთაზეც თეთრ მაქმანებს შუა, თმის ვარცხნილობას ვერც კი შეამჩნევდით. შესამჩნევი იყო მხოლოდ მისი ხვეული თმის პატარა, თავნება კულულები, რომლებიც წამდაუწუმ ჩამოეშლებოდნენ კეფასა და საფეთქლებთან და საოცრად შვენოდნენ. ჩამოქნილ, მკვრივ ყელზე მარგალიტების წვრილი მძივები ჰქონდა შემოხვეული.

კიტი ყოველდღე ხედავდა ანას, გატაცებითაც უყვარდა და აუცილებლად სოსანისფერი კაბით ჰყავდა წარმოდგენილი. ახლა კი შავი კაბით რომ იხილა, მიხვდა, მას არ ესმოდა ანას მთელი მშვენიერება. ახლა სრულიად სხვა სახით იხილა ანა და ეს მოულოდნელი იყო მისთვის. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ანას არ შეიძლებოდა სცმოდა სოსანისფერი კაბა, რომ ანას მთელი მშვენიერება სწორედ ის იყო, რომ ყოველთვის ჩრდილავდა თავის მორთულობას და მისი მორთულობა ვერასოდეს გამოჩნდებოდა. ამ შავ, მაქმანებით მორთულ კაბასაც ვერ შენიშნავდით მის ტანზე. ეს მხოლოდ ჩარჩო იყო და ჩანდა მხოლოდ იგი – სადა, ბუნებრივი, მოხდენილი და ამავე დროს მხიარული და ხალისიანი.

ანა, როგორც ყოველთვის, მეტისმეტად გამართული იდგა, და როცა კიტი მათ ჯგუფს მიუახლოვდა, მასპინძელს ემუსაიფებოდა, ოდნავ მისკენ თავდახრილი.

– არა, მე არ ვკიცხავ, – ეუბნებოდა ის რაღაცაზე, – თუმცა ჩემთვის გაუგებარია, – მხრების აწევით განაგრძო მან და მაშინვე ნაზი, მფარველობის გამომხატველი ღიმილით

გადახედა კიტის. მან ქალური სისწრაფით შეავლო თვალი მის მორთულობას და ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ კიტისათვის გასაგები თავის დაქნევით ანიშნა, რომ იწონებდა მის მორთულობასა და სილამაზეს, – თქვენ დარბაზშიც ცეკვით შემოდიხართ? – უთხრა ანამ.

– ეს ჩემი უერთგულესი თანაშემწეა, – თქვა კორსუნსკიმ და მიესალმა ანას, რომელიც ჯერ არ ენახა, – თავადის ასული მეხმარება, რათა ბალი უფრო მხიარული და მომხიბლავი იყოს. ანა არკადიევნა, ვალსის ერთი ტური! – უთხრა და თავი დახარა მის წინ.

– თქვენ განა იცნობთ ერთმანეთს? – ჰკითხა მასპინძელმა.

– ჩვენ ვიღას არ ვიცნობთ! მეცა და ჩემს ცოლსაც, თეთრი მგლებისა არ იყოს, ყველა გვიცნობს, – უპასუხა კორსუნსკიმ, – ვალსის ერთი ტური, ანა არკადიევნა!

– მე არ ვცეკვავ, როცა შეიძლება არ ვიცეკვო, – უთხრა ანამ.

– დღეს კი ეს შეუძლებელია! – მიუგო კორსუნსკიმ.

– მაშ, თუ დღეს შეუძლებელია, ვიცეკვოთ! – უთხრა ანამ და შეუმჩნეველი დატოვა ვრონსკის სალამი, სწრაფად დაადო მხარზე ხელი კორსუნსკის.

„რატომ არის მისით უკმაყოფილო?“ – გაიფიქრა კიტიმ, რაკი შენიშნა, რომ ანამ განზრახ აარიდა თვალი ვრონსკის სალამს. ვრონსკი კიტისთან მივიდა, პირველი კადრილი გაახსენა და სინანული გამოთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სიამოვნება მისი ნახვისა. კიტი ნეტარებით შეჰყურებდა ანას, ტკბებოდა მისი ცეკვით და თან ყურს უგდებდა ვრონსკის. კიტი ელოდა, რომ იგი ვალსზე გაიწვევდა, ვრონსკი კი გაწვევას აგვიანებდა და კიტიმ გაოცებით გადახედა. ვრონსკი გაწითლდა და საჩქაროდ გაიწვია, მაგრამ როგორც კი ხელი მოჰკიდა კიტის კენარ წელს და პირველი ნაბიჯი გადადგა, მუსიკაც ჩაჩუმდა. კიტი შეაჩერდა ვრონსკის სახეს, რომელიც ასე ახლოს იყო მასთან, და შემდეგ დიდხანს, წლების მანძილზე, მტანჯველი სირცხვილი უსერავდა გულს, როცა გაახსენდებოდა ეს სიყვარულით სავსე შეხედვა, რომელიც ვრონსკიმ უპასუხოდ დატოვა.

– Pardon, pardon! ვალსი, ვალსი – დაიძახა კორსუნსკიმ დარბაზის

მეორე მხრიდან, ხელი სტაცა ვიღაც ქალიშვილს, რომელიც პირველი მოხვდა ხელში, და ცეკვა დაიწყო.

XXIII

ვრონსკიმ კიტისთან ერთად ვალსის რამდენიმე ტური იცეკვა. ვალსის შემდეგ კიტი დედასთან მივიდა და ძლივს მოასწრო ნორდსტონისათვის რამდენიმე სიტყვის თქმა, რომ ვრონსკიც გამოცხადდა პირველი კადრილისათვის. კადრილის დროს მნიშვნელოვანი არაფერი თქმულა, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი ჰქონდათ ხან კორსუნსკების, ცოლისა და ქმრის შესახებ, რომელთაც ვრონსკი მეტად სასაცილოდ აღწერდა, როგორც ორმოცი წლის საყვარელ ბავშვებს, ხან კი მომავალ საზოგადო თეატრზე. მხოლოდ ერთხელ მოხვდა გულში კიტის ვრონსკის ნათქვამი, როცა ლევინზე ჰკითხა, აქ არის თუ არაო და თან დასძინა, ძალიან მომეწონაო. მაგრამ კადრილისგან მეტს არც მოელოდა კიტი. იგი გულისფანცქალით ელოდა მაზურკას. ასე ეგონა, მაზურკის დროს ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო. კიტის სულაც არ აფიქრებდა, რომ კადრილის დროს ვრონსკიმ არ გაიწვია მაზურკაზე. დარწმუნებული იყო, რომ ახლაც, როგორც წინა ბალებზე, მასთან იცეკვებდა მაზურკას და ხუთი ახალგაზრდა უარით გაისტუმრა, სხვასთან ვცეკვავო. მთელი ის საღამო უკანასკნელ კადრილამდე კიტისთვის მხიარული ფერების, ხმებისა და მოძრაობათა ჯადოსნური სიზმარი იყო. მხოლოდ მაშინ არ ცეკვავდა, როცა მეტისმეტად დაღლილობას გრძნობდა და დასვენებას თხოულობდა. მაგრამ, როცა უკანასკნელ კადრილს ცეკვავდა ვიღაც მეტად მოსაწყენ ახალგაზრდასთან, რომლისთვისაც არ შეიძლებოდა უარის თქმა, კიტის ვრონსკისა და ანასთან vis-a-vis[12] მოუხდა ყოფნა. ჩამოსვლის შემდეგ კიტი ასე ახლოს არ შეხვედრია ანას და ანა კვლავ ახალი, მოულოდნელი სახით წარმოუდგა. კიტიმ დაინახა ანას აღტაცება საკუთარი წარმატებით, რაც ესოდენ ნაცნობი იყო მისთვის. კიტი ხედავდა, რომ ანა მთვრალი იყო მისგანვე გამოწვეული აღტაცებით. კიტისთვისაც უცხო არ იყო ეს გრძნობა და იცნობდა ამის ნიშნებს, ამჩნევდა კიდევაც ამ

ნიშნებს ანას – ხედავდა მოცახცახე აფეთქებულ ცეცხლს მის თვალებში, ხედავდა მის აღტაცებულ, ბედნიერ ღიმილს, რომელიც უნებურად უპობდა ბაგეს. ხედავდა, თუ როგორ საჩინოდ ნარნარი, უზადო და ჰაეროვანი იყო ყოველი მისი მოძრაობა.

„ვინ გამოიწვია ეს? – ეკითხებოდა კიტი თავის თავს, – ყველამ თუ ერთმა?“ – და კიტი საუბარში ვეღარ ეხმარებოდა მასთან მოცეკვავე ახალგაზრდას, რომელიც იტანჯებოდა იმის გამო, რომ ვეღარ გაბა გაწყვეტილი საუბრის ძაფი. გარეგნულად კი ემორჩილებოდა კორსუნსკის მხიარულ, ხმამაღალ შეძახილებს, რომელიც ხან grand rond-ს[13] მოუწოდებდა ყველას, ხან კი chaîne-ს[14], თან ანასა და ვრონსკის შეჰყურებდა და სულ უფრო და უფრო ეწურებოდა გული. „არა, იგი ამ ხალხის ტრფიალით როდია მთვრალი, არამედ მხოლოდ ერთის აღტაცებით. და ვინ არის ის ერთი? ნუთუ ის?“ ყოველთვის, როცა კი ვრონსკი რამეს ეტყოდა ანას, ქალის თვალებში სიხარულის ცეცხლი ინთებოდა და მარჯნის ბაგეთ ბედნიერების ღიმილი უპობდა. იგი თითქოს ძალას ატანდა თავის თავს, როგორმე დაეფარა სიხარულის ნიშნები, მაგრამ ისინი თავისთავად აღიბეჭდებოდა მის სახეზე. „მაგრამ ის რაღას განიცდის?“ – კიტიმ შეხედა ვრონსკის და თავზარი დაეცა. ის, რაც ასე ნათლად იხატებოდა ანას სახეზე, იგივე ეწერა ვრონსკისაც. სად გაქრა მისი დინჯი გამომეტყველება? არა, ის ახლა, ყოველთვის, როცა კი ანას ეუბნებოდა რამეს, თავს ოდნავ დაბლა ხრიდა, თითქოს უნდოდა ფეხქვეშ გართხმოდა მას და მის გამოხედვაშიც მარტოოდენ მორჩილება და შიში იხატებოდა. „მე თქვენი შეურაცხყოფა კი არ მსურს, – თითქოს ყოველ შეხედვაზე ამბობდნენ მისი თვალები, – მხოლოდ მინდა, თავს ვუშველო, მაგრამ არ ვიცი კი როგორ“. ვრონსკის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც წინათ არასოდეს უნახავს კიტის.

ისინი საერთო ნაცნობებზე ლაპარაკობდნენ, სრულიად უმნიშვნელო საუბარი ჰქონდათ, მაგრამ კიტის ეჩვენებოდა, რომ ყოველი მათ მიერ ნათქვამი სიტყვა წყვეტდა მათ ბედსაც და კიტის ბედსაც. და საოცარი ის იყო, რომ თუმცა ისინი მართლაც იმას ამბობდნენ, თუ რა სასაცილოა ივან ივანოვიჩი თავისი ფრანგული ენით და რომ ელეცკაიას უკეთესი საქმროს შოვნა შეეძლო, მაგრამ იმავე დროს ამ სიტყვებს მნიშვნელობა ენიჭებოდა მათთვის და ამას ისინიც ისევე გრძნობდნენ,

როგორც კიტი. მთელი ეს ბალი, მთელი ქვეყნიერება, ყველაფერი ნისლმა დაბურა კიტის სულში. მხოლოდ მკაცრმა აღზრდამ უშველა და აიძულა, ეკეთებინა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ესე იგი, ეცეკვა, კითხვებზე პასუხი გაეცა, ელაპარაკა და გაეღიმა კიდეც. მაგრამ მაზურკის დაწყების წინ, როცა უკვე სკამების მილაგება დაიწყეს და რამდენიმე წყვილი მცირე დარბაზებიდან დიდ დარბაზში გამოვიდა, საშინელი სასოწარკვეთის წუთი დაუდგა კიტის. მან უარი უთხრა ხუთ ახალგაზრდას და ახლა კი არ ცეკვავდა მაზურკას. იმედიც აღარ იყო, რომ ვინმე გაიწვევდა, სწორედ იმიტომ, რომ კიტის მეტად დიდი წარმატება ჰქონდა საზოგადოებაში და ახლა ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ აქამდე გაწვეული არ ყოფილა. უნდოდა დედისთვის ეთქვა, შეუძლოდ ვარ და შინ წავიდეთო, მაგრამ საამისოდ ძალაც აღარ შესწევდა. იგი მკვდარივით იყო.

კიტი მცირე სასტუმროში გავიდა და კუთხეში სავარძელში ჩაეშვა. ჰაეროვანი კაბა ღრუბელივით შემოეხვია ირგვლივ მის წერწეტა წელს; უღონოდ დაეშვა კაბაზე შიშველი, გამხდარი, ქალწულებრივი ნაზი ხელი და ტუნიკის ვარდისფერ ნაოჭებში ჩაიმალა, მეორე ხელით კი მარაო ეჭირა და გახურებულ სახეს იგრილებდა. და თუმცა გარეგნულად პეპელას ჰგავდა, რომელიც ეს-ეს არის დააფრინდა ბალახს, საცაა ისევ შეიფრთხიალებს და გაშლის მოხატულ ფრთებსო, მაგრამ გულს კი საშინელი სევდა უღრღნიდა.

„იქნებ მე ვცდები, იქნება არ ყოფილა ეს?“

და კიტიმ კვლავ გაიხსენა ყველაფერი, რაც დაინახა.

– კიტი, ეს რა ამბავია? – უთხრა მას გრაფინია ნორდსტონმა, რომელიც ხალიჩაზე უხმაუროდ მიუახლოვდა კიტის, – არ მესმის, რაშია საქმე?

კიტის ქვედა ბაგე აუკანკალდა და საჩქაროდ წამოდგა.

– კიტი, შენ მაზურკას არ ცეკვავ?

– არა, არა, – ცრემლისაგან აკანკალებული ხმით უპასუხა კიტიმ.

– მან ჩემ თვალწინ გაიწვია ის მაზურკაზე, – უთხრა გრაფინია ნორდსტონმა, იცოდა, რომ კიტი მიუხვდებოდა, ვისზედაც ეუბნებოდა, – განა თქვენ თავადის ასულ შჩერბაცკაიასთან არ ცეკვავთო? – ჰკითხა მან.

– ოჰ, ჩემთვის სულერთია! – უპასუხა კიტიმ.

არავის, გარდა თვით კიტისა, არ ესმოდა მისი მდგომარეობა, არავინ იცოდა, რომ გუშინ უარი უთხრა კაცს, რომელიც შეიძლება უყვარდა კიდეც და უარი უთხრა იმიტომ, რომ მეორის იმედი ჰქონდა.

გრაფინია ნორდსტონმა მოძებნა კორსუნსკი, რომელთანაც უნდა ეცეკვა მაზურკა, და უბრძანა, კიტი გაეწვია საცეკვაოდ.

კიტი პირველ წყვილში ცეკვავდა და მისდა საბედნიეროდ, საუბარი არ სჭირდებოდა, რადგან კორსუნსკი სულ აქეთ-იქით დარბოდა და განკარგულებებს იძლეოდა. ვრონსკი და ანა თითქმის მის პირდაპირ ისხდნენ. იგი ხედავდა მათ თავისი შორსმხედველი თვალით. რამდენჯერმე ახლოსაც დაინახა ისინი, როცა წყვილში მოხვდნენ ერთად და რაც უფრო მეტს უყურებდა, მით რწმუნდებოდა, რომ მისი უბედურება აღსრულდა. კიტი ამჩნევდა, რომ ისინი განმარტოებით გრძნობდნენ თავს ამ სავსე დარბაზში. და ვრონსკის სახეზე, რომელიც წინათ ყოველთვის სიმტკიცესა და თავისი თავის რწმენას გამოხატავდა, კიტიმ თავისდა განსაცვიფრებლად ისეთი დაბნეულობა და მორჩილება შენიშნა, როგორიც სჩვევია გონიერ ძაღლს, როცა თავის დანაშაულს გრძნობს.

ანა გაიღიმებდა და ეს ღიმილი ვრონსკისაც ედებოდა. ანა ჩაფიქრდებოდა და ვრონსკიც სერიოზული ხდებოდა. რაღაც ზებუნებრივი ძალა იტაცებდა კიტის თვალებს ანასკენ. მშვენიერი იყო ანა თავისი სადა შავი კაბით; მშვენიერი იყო მისი სამაჯურით შემკული სავსე მკლავები, მარგალიტის მძივებით დამშვენებული მკვრივი ყელი, ჩამოშლილი კულულები; მშვენიერი იყო მისი ნარნარი, ჰაეროვანი მოძრაობა, მისი ლამაზი, ხალისიანი სახე, მაგრამ რაღაც ბოროტი, რაღაც საშინელი იგრძნობოდა ანას მშვენიერებაში.

კიტის ახლა წინანდელზე მეტად მოსწონდა ანა და უფრო მეტად იტანჯებოდა. იგი განადგურებული იყო და ეს მის სახეზე იხატებოდა. როცა ვრონსკი მაზურკის დროს უნებურად შეეჩეხა კიტის, ვეღარც კი იცნო, იმდენად გამოცვლილიყო.

– მშვენიერი ბალია! – უთხრა ვრონსკიმ, მხოლოდ იმიტომ, რომ რამე ეთქვა.

– დიახ, – მიუგო კიტიმ.

შუა მაზურკის დროს, როცა კორსუნსკის მოგონილ რაღაც რთულ ფიგურას იმეორებდნენ, ანა შუა წრეში გავიდა, თან გაიყოლია ორი კავალერი და თავისთან გაიხმო ერთი მანდილოსანი და კიტი. კიტი შეშინებული სახით უახლოვდებოდა ანას. ანა თვალებმოწკურული შეჰყურებდა, შემდეგ ღიმილით მოჰკიდა ხელზე ხელი, მაგრამ, როცა შენიშნა, რომ კიტიმ მის ღიმილს მხოლოდ გაოცებითა და სასოწარკვეთით უპასუხა, პირი იბრუნა მისგან და მხიარული საუბარი გაუბა მეორე მანდილოსანს.

„დიახ, არის მასში რაღაც უცნაური, ჯადოსნური და ამავე დროს მშვენიერი“, – გაიფიქრა კიტიმ.

ანას ვახშმად დარჩენა არ უნდოდა, მასპინძელი კი ეპატიჟებოდა.

– დარჩით, ანა არკადიევნა, – უთხრა კორსუნსკიმ და მისი შიშველი ხელი ფრაკის სახელოს ქვეშ ამოიდო, – რომ იცოდეთ, კოტილიონის რა იდეა მაქვს: Un bijou![15]

თან ნელ-ნელა მიჰყვებოდა ანას და ცდილობდა, დაეინტერესებინა. მასპინძელი მოწონებით უღიმოდა კორსუნსკის.

– არა, ვერ დავრჩები, – ღიმილით უპასუხა ანამ, მაგრამ, მიუხედავად ღიმილისა, ეს ისეთი მტკიცე ტონით თქვა, რომ კორსუნსკიც და მასპინძელიც მიხვდნენ, რომ ანა არ დარჩებოდა.

– არა, მე ისედაც მოსკოვში ამ ერთ თქვენს ბალზე უფრო მეტი ვიცეკვე, ვიდრე პეტერბურგში მთელი ზამთრის განმავლობაში, – თქვა ანამ და იქვე მდგარ ვრონსკის გადახედა, – მინდა დავისვენო მგზავრობის წინ.

– თქვენ ნამდვილად მიდიხართ ხვალ? – ჰკითხა ვრონსკიმ.

– დიახ, ვფიქრობ, – უპასუხა ანამ და თითქოს გააოცა მისმა თამამმა შეკითხვამ; მაგრამ ამას რომ ამბობდა, მისი თვალებისა და ღიმილის დაუოკებელმა, მოგიზგიზე ნაპერწკლებმა ცეცხლი წაუკიდა ვრონსკის.

ანა არკადიევნა ვახშმად აღარ დარჩა და წავიდა.

XXIV

„დიახ, ჩემში არის რაღაც საძაგელი, უსიამო, – ფიქრობდა შჩერბაცკებიდან გამოსული ლევინი, როცა ფეხით მოდიოდა ძმასთან, – დიახ, მე უმაქნისი ადამიანი ვარ სხვებისათვის. სიამაყის ბრალიაო, ამბობენ. არა, მე სიამაყეც არ გამაჩნია. სიამაყე რომ მქონოდა, ასეთ დღეში არ ჩავიგდებდი თავს, – და ლევინს თვალწინ წარმოუდგა ბედნიერი, კეთილი, ჭკვიანი და დინჯი ვრონსკი, რომელიც, ალბათ, არასოდეს ჩავარდნილა ისეთ საშინელ მდგომარეობაში, რაც ლევინმა დღევანდელ საღამოს განიცადა, – დიახ, კიტის ვრონსკი უნდა აერჩია. ასე უნდა მომხდარიყო და სასაყვედუროც არაფერი მაქვს არც არავისა და არც არაფრის მიმართ. რა უფლება მქონდა მეფიქრა, რომ კიტი მოისურვებდა, დაეკავშირებინა თავისი ცხოვრება ჩემთან? ვინა ვარ მე? რა ვარ? ერთი უმნიშვნელო ადამიანი, არავის გამოსადეგი და არაფრის მაქნისი“. ლევინს თავისი ძმა ნიკოლაი გაახსენდა და სიამოვნებით გაჰყვა ამ მოგონებას. „განა ის მართალი არ არის, როცა ამბობს, ამქვეყნად ყველაფერი ცუდი და უსარგებლოაო? და განა ჩვენ სამართლიანად ვმსჯელობთ მასზე, ან წინათ სამართლიანი ვიყავით? რაღა თქმა უნდა, პროკოფის აზრით, რაკი მთვრალი და ქურქჩამოგლეჯილი ნახა, ნიკოლაი საძაგელი ადამიანია. მე კი სხვანაირად ვიცნობ მას. მე ვიცნობ მის სულს და ვიცი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგავართ... მე კი, იმის მაგივრად, რომ მის საძებნელად წავსულიყავი, ჯერ სასადილოდ წავედი, მერე კი აქ წამოვედი“.

ლევინი ფარანთან მივიდა, ამოიკითხა ძმის მისამართი, რომელიც საფულეში ჰქონდა შენახული და მეეტლეს დაუძახა. მთელი ეს გრძელი გზა, სანამ ძმამდე მიაღწევდა, ლევინი ნათლად იხსენებდა ყოველ შემთხვევას ძმის ცხოვრებიდან, რასაც კი მის ყურამდე მიეღწია. გაიხსენა, რომ უნივერსიტეტში ყოფნისას და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც მთელი ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად ამხანაგების დაცინვისა, ბერივით ცხოვრობდა, ზუსტად ასრულებდა რელიგიისა და საეკლესიო მსახურებათა ყველა წესს, მარხულობდა და გაურბოდა ყოველგვარ სიამოვნებას, განსაკუთრებით ქალებს. შემდეგ კი მოულოდნელად აიწყვიტა, ყოვლად საძაგელ ადამიანებს დაუახლოვდა და ხელი მიჰყო აღვირახსნილ ცხოვრებას. შემდეგ გაიხსენა ის პატარა ბიჭიც, ნიკოლაიმ სოფლიდან რომ წამოიყვანა აღსაზრდელად და

ერთხელ განრისხების დროს ისე სცემა, რომ დასახიჩრების ბრალდება წაუყენეს და საქმეც აღძრეს მის წინააღმდეგ. გაიხსენა კიდევ ერთი შულერის ამბავი, რომელთანაც ფული წააგო, თამასუქი მისცა და შემდეგ თვითონვე აღძრა სარჩელი მის წინააღმდეგ, ამტკიცებდა, მომატყუაო (ეს ის ფული იყო, რომელიც სერგეი ივანოვიჩმა გადაიხადა). ისიც მოიგონა, როგორ გაათია ნიკოლაიმ ღამე საპოლიციო ნაწილში აყალმაყალის ატეხის გამო, გაიხსენა სამარცხვინო პროცესი ძმასთან, სერგეი ივანოვიჩთან, რომელსაც უჩიოდა, თითქოს არ გადაუხადა თავისი წილი ფული დედის მამულიდან. გაახსენდა უკანასკნელი ამბავიც, როცა დასავლეთში წავიდა სამუშაოდ და მამასახლისის ცემისათვის სამართალში მისცეს... ყოველივე ეს მეტად საძაგელი იყო, მაგრამ ლევინს სულ არ ეჩვენებოდა ისე საძაგლად, როგორც მოეჩვენებოდა სხვას, ვინც არ იცნობდა ნიკოლაი ლევინს, არ იცოდა მთელი მისი ამბავი, არ იცნობდა მის გულს.

ლევინს ახსოვდა ის დრო, როცა ნიკოლაის იტაცებდა ღვთისმოსაობა, მარხულობა, ბერები და საეკლესიო მსახურება, როცა იგი რელიგიაში ეძიებდა ხსნას, ეძიებდა ლაგამს თავისი ვნებიანი ბუნების დასაოკებლად, მაგრამ არათუ ხელი შეუწყო ვინმემ, პირიქით, ყველა დასცინოდა და დასცინოდა თვით ლევინიც. მას აბრაზებდნენ და ნოესა და ბერს ეძახდნენ. ხოლო მაშინ კი, როცა აიწყვიტა, არავინ დახმარებია, ყველამ ძრწოლითა და ზიზღით იბრუნა მისგან პირი.

ლევინი გრძნობდა, რომ მიუხედავად იმ საძაგელი ცხოვრებისა, ნიკოლაი თავის გულში, სულის სიღრმეში მაინც იმ ადამიანებზე უფრო შემცოდე არ იყო, რომელთაც იგი ეზიზღებოდათ. იგი დამნაშავე არ იყო, რომ ასეთი დაუოკებელი ბუნებისა და რაღაცით გონებაშეზღუდული დაიბადა. თვითონ ყოველთვის უნდოდა კარგი ყოფილიყო. „ყველაფერს ვეტყვი, მასაც ვაიძულებ მითხრას ყველაფერი; დავანახვებ, რომ მიყვარს და ამიტომაც მესმის მისი“, – გადაწყვიტა ლევინმა, როცა ღამის თერთმეტ საათზე მისამართში აღნიშნულ სასტუმრომდე მიაღწია.

– ზევით მე-12 და მე-13 ნომრებში, – უპასუხა კარისკაცმა ლევინს შეკითხვაზე.

– შინ არის?

– შინ უნდა იყოს.

მეთორმეტე ნომრის კარი ნახევრად ღია იყო და იქიდან სინათლის შუქთან ერთად ცუდი და რბილი თამბაქოს სქელი ბოლი და ლევინისთვის უცნობი ხმა გამოდიოდა; მაგრამ ლევინი მაშინვე მიხვდა, რომ ძმა აქ იყო; მისი ჩახველება გაიგონა.

ლევინი რომ კართან მივიდა, ის უცნობი ხმა ამბობდა: – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გონივრულად და საზრიანად წარიმართება საქმე.

კონსტანტინ ლევინმა კარში შეიხედა და დაინახა, რომ ამას ვიღაც თმაგაჩეჩილი, ტყაპუჭიანი კაცი ლაპარაკობდა, დივანზე კი იჯდა ახალგაზრდა, ნაყვავილარი ქალი, ტანთ შალის კაბა ეცვა, რომელსაც არც სახელოები ჰქონდა და არც საყელო. ძმა არ ჩანდა. ლევინს გული ეტკინა, როცა დაინახა, რა ადამიანებში ჰქონდა მის ძმას საქმე. ლევინის მისვლა არავის გაუგია და კართან კალოშების გახდისას, ყურს უგდებდა, რას ლაპარაკობდა ტყაპუჭიანი ვაჟბატონი. იგი რაღაც საწარმოზე ლაპარაკობდა.

– ეშმაკმა დალახვროს, ეს პრივილეგირებული კლასები, – ჩახრინწული ხმით ამბობდა ძმა, – მაშა, იქნებ როგორმე ვახშამი გვიშოვო. ღვინოც მოიტანე, თუ დარჩა, თუ არა და გაგზავნე ვინმე მოსატანად.

ქალი წამოდგა, ტიხარს გამოსცდა და ლევინი დაინახა.

– ვიღაც ბატონი გახლავთ, ნიკოლაი დმიტრიჩ, – თქვა მან.

– ვინ უნდა იყოს? – გაბრაზებით იკითხა ნიკოლაი ლევინმა.

– მე ვარ, – უპასუხა კონსტანტინ ლევინმა და სინათლეზე გამოვიდა.

– ვინ მე? – კიდევ უფრო გაბრაზებით გაიმეორა ნიკოლაიმ.

ლევინმა გაიგონა, როგორ საჩქაროდ წამოდგა ძმა, რაღაცას წამოედო და შემდეგ კარში გამოჩნდა ლევინისთვის ესოდენ ნაცნობი, მაგრამ თავისი ველური და ავადმყოფური გამომეტყველებით განმაცვიფრებელი, უზარმაზარი, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი ძმა, დაინახა მისი დიდი, შეშინებული თვალები.

იგი უფრო გამხდარიყო, ვიდრე ამ სამი წლის წინ, როცა უკანასკნელად ნახა ლევინმა. ტანთ მოკლე სერთუკი ეცვა. ხელები და მსხვილი ძვლები კიდევ უფრო დიდად მოუჩანდნენ. თმა უფრო შესთხელებოდა, ტუჩებზე ისეთივე სწორი ულვაში ჰქონდა ჩამოშვებული და იგივე თვალები უცნაურად, გულუბრყვილოდ შეჰყურებდნენ შემოსულს.

– ა, კოსტია! – წამოიძახა მან, რაკი იცნო ძმა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, მაგრამ იმავე წამს ახალგაზრდა კაცს გადახედა და ლევინისთვის ესოდენ ნაცნობი, ნერვიული მოძრაობით გაიქნია თავი და კისერი, თითქოს ჰალსტუხმა მოუჭირაო. მისმა გაძვალტყავებულმა სახემ ახლა სულ სხვაგვარი, ველური, გატანჯული და მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

– მე ხომ გწერდით თქვენცა და სერგეი ივანიჩსაც, რომ არ გიცნობთ და არც მინდა გიცნობდეთ. რა გინდა, რა გნებავთ?

ნიკოლაი სულაც არ იყო ისეთი, როგორიც ლევინს ჰყავდა წარმოდგენილი. ძმაზე ფიქრის დროს დაივიწყა მისი ყველაზე უფრო ცუდი, ძნელად ასატანი თვისება, რომელიც მეტად სამძიმოს ხდიდა მასთან ურთიერთობას; ახლა კი, როცა დაინახა მისი სახე და განსაკუთრებით ეს ნერვიული გაქნევა თავისა, ყველაფერი გაახსენდა.

– მე საქმეზე არ მოვსულვარ, – გაუბედავად მიუგო მან, – ისე შემოვიარე, სანახავად.

ძმის გაუბედაობამ, ეტყობა, გული მოულბო ნიკოლაის. მან ტუჩები ააცმაცუნა.

– აჰა, ისე შემოიარე? – უთხრა მან, – მაშ, შემოდი, დაჯექი. ვახშამი გინდა? მაშა, სამი კერძი მოიტანე. არა, მოიცადე. შენ იცი, ვინ არის ეს? – მიუბრუნდა იგი ძმას და ტყაპუჭიან ვაჟბატონზე მიუთითა, – ეს გახლავთ ბატონი კრიცკი, ჩემი მეგობარი, რომელსაც ჯერ კიდევ კიევიდან ვიცნობ. მეტად შესანიშნავი ადამიანია. მას, რა თქმა უნდა, პოლიცია დევნის იმიტომ, რომ არამზადა არ არის.

და, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, ყველა იქ მყოფი ჩამოათვალიერა და როცა შენიშნა, რომ კარში გაჩერებულმა ქალმა წასვლა დააპირა, დაუძახა: „ხომ გითხარი, დაიცა-მეთქი“, და ჩვეული მოუხერხებლობით, აბნეულ-დაბნეულად, რასაც

კარგად იცნობდა ლევინი, დაიწყო კრიცკის ამბის მოყოლა, თან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქ მყოფთ. მოჰყვა, როგორ გამოაგდეს კრიცკი უნივერსიტეტიდან იმის გამო, რომ დააარსა ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება და საკვირაო სკოლები; შემდეგ როგორ მოეწყო მასწავლებლად სახალხო სკოლაში, როგორ გამოაძევეს იქიდანაც და მერე როგორ გაასამართლეს რაღაც საქმის გამო.

– თქვენ კიევის უნივერსიტეტიდან ხართ? – ჰკითხა კრიცკის კონსტანტინ ლევინმა, რათა როგორმე დაერღვია უხერხული დუმილი.

– დიახ, ვიყავი, – გაგულისებით უპასუხა კრიცკიმ და წარბი შეიკრა.

– ეს ქალი კი, – გააწყვეტინა ნიკოლაი ლევინმა და ქალზე მიუთითა, – ჩემი ცხოვრების მეგობარი გახლავთ, მარია ნიკოლაევნა. მე იგი საროსკიპოდან გამოვიყვანე, – ეს რომ თქვა, ნერვიულად გააქნია კისერი, – მაგრამ მიყვარს და პატივსა ვცემ. და ყველას, ვისაც უნდა, რომ მიცნობდეს, – ხმის აწევით დაუმატა მან და მოიღუშა, – ვთხოვ, პატივი სცეს და შეიყვაროს იგი. ის ჩემთვის იგივეა, რაც ცოლი. მაშ, ხომ ხედავ, ვისთან გაქვს საქმე და თუ ფიქრობ, რომ ეს გამცირებს, მიბრძანდი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

და მან კვლავ კითხვის თვალი მოავლო ოთახში მყოფთ.

– არ მესმის, რატომ უნდა ვიყო დამცირებული?

– მაშ, უბრძანე, მაშა, ვახშამი მოგვიტანონ. სამი კერძი, არაყი და ღვინო... არა, დაიცა... არა, არ გინდა!.. წადი.

XXV

– აი, ხომ ხედავ, – განაგრძობდა ნიკოლაი ლევინი, თან იღრიჯებოდა, შუბლს იჭმუხნიდა, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, არ იცოდა, რა ეთქვა ან რა გაეკეთებინა, – ხედავ თუ არა... – და კუთხეში კანაფით შეკრულ რკინის ძელაკებზე

მიუთითა, – ხედავ ამას? ეს არის დასაწყისი ახალი საქმისა, რომელსაც ჩვენ ხელს ვკიდებთ. ეს საქმე გახლავთ საწარმოო არტელი...

კონსტანტინ ლევინი თითქმის არ უგდებდა ყურს. იგი შეჰყურებდა მის ავადმყოფურ, ჭლექიან სახეს, სულ უფრო და უფრო ძლიერ ებრალებოდა და არ შეეძლო ყური დაეგდო იმისათვის, თუ რას ელაპარაკებოდა ძმა არტელის შესახებ. იგი ხედავდა, რომ ეს არტელი მხოლოდ ხავსი იყო წყალწაღებულისათვის, რათა საკუთარი თავი არ შესძულებოდა. ნიკოლაი ლევინი ისევ ლაპარაკს განაგრძობდა.

– შენ იცი, რომ კაპიტალი ანადგურებს მუშახელს, ჩვენში შრომის მთელი სიმძიმე კისერზე აწევს ჩვენს მუშახელს – გლეხობას და საქმე ისეა მოწყობილი, რომ რაც უნდა იშრომონ, მაინც ვერ დააღწევენ თავს ამ პირუტყვულ მდგომარეობას. მათი ნამუშევრის მთელ მოგებას, რითაც შეეძლოთ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა, მოეპოვებინათ დასვენების საშუალება და შემდეგ ამისა, განათლებაც მიეღოთ – მთელ მოგებას კაპიტალისტები ართმევენ. საზოგადოებაც ისეა მოწყობილი, რომ, რაც უფრო მეტს იმუშავებენ გლეხები, მით მეტი მოგება ექნებათ ვაჭრებს, მემამულეებს, ისინი კი მუდამ მუშა-პირუტყვებად დარჩებიან. საჭიროა შეიცვალოს ეს წყობილება, – დასძინა მან და კითხვის თვალით გადახედა ძმას.

– დიახ, რა თქმა უნდა, – უპასუხა ლევინმა და თვალი შეავლო მის წინ წამოწეულ ყვრიმალებზე დამჩნეულ წითელ ლაქებს.

– და აი, ჩვენ ვაწყობთ საზეინკლო არტელს, სადაც მთელი წარმოება, მოგება და მთავარი საწარმოო იარაღები საერთო იქნება.

– არტელი სადღა გექნებათ? – ჰკითხა კონსტანტინ ლევინმა.

– სოფელ ვოზდრემში, ყაზანის გუბერნიაში.

– რატომ სოფელში? მე მგონი, სოფლებში ისედაც ბევრი სამუშაოა. რა საჭიროა სოფლად საზეინკლო არტელი?

– იმიტომ, რომ გლეხები ახლა ისეთივე მონები არიან, როგორიც წინათ, და ამიტომ არ გსიამოვნებთ შენ და სერგეი ივანიჩს, რომ სურთ მათი გათავისუფლება მონობისგან, – უთხრა მისი

შეპასუხებით გაგულისებულმა ნიკოლაი ლევინმა.

კონსტანტინ ლევინმა ამოიოხრა და თვალი მოავლო ჩაბნელებულ, ჭუჭყიან ოთახს. ამ ოხვრამ, ეტყობა, უფრო გააბრაზა ნიკოლაი.

– ვიცნობ თქვენსა და სერგეი ივანიჩის არისტოკრატიულ შეხედულებებს. ვიცი, რომ იგი მთელი თავისი გონების ძალას იმას ახმარს, რათა გაამართლოს არსებული ბოროტება.

– არა, სერგეი ივანიჩზე რატომ ლაპარაკობ? – ღიმილით უთხრა ლევინმა.

– სერგეი ივანიჩზე? აი, რატომ ვლაპარაკობ! – სერგეი ივანიჩის სახელის გაგონებაზე უცბად წამოიყვირა ნიკოლაი ლევინმა, – აი, რატომ... ან რა უნდა გითხრა? მხოლოდ ერთი რამ... რისთვის მოხვედი ჩემთან? შენ გეზიზღება ყოველივე ეს, ჰოდა, ძალიან კარგი, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – გაჰყვიროდა ფეხზე წამომდგარი ნიკოლაი ლევინი, – ჰოდა, წადი, წადი!

– მე სულაც არ მეზიზღება, – გაუბედავად დაიწყო კონსტანტინ ლევინმა, – მე არც გეკამათები.

ამ დროს დაბრუნდა მარია ნიკოლაევნა. ნიკოლაი ლევინმა გაბრაზებით გადახედა მას. ქალი საჩქაროდ მივიდა მასთან და რაღაც ჩასჩურჩულა.

– ავად ვარ და ყველაფერი მაბრაზებს, – ახლა უკვე დამშვიდებით ჩაილაპარაკა ნიკოლაი ლევინმა, რომელიც მძიმედ სუნთქავდა, – შენ კიდევ სერგეი ივანიჩსა და მის სტატიაზე მელაპარაკები. ეს ისეთი აბდაუბდა, ისეთი სიცრუე და თავის მოტყუებაა. რა შეუძლია სამართლიანობაზე თქვას იმ ადამიანმა, რომელმაც არც იცის, რა არის სამართლიანობა? თქვენ წაიკითხეთ მისი სტატია? – მიუბრუნდა ის კრიცკის, ისევ მაგიდას მიუჯდა და გვერდზე გასწია ნახევრად გატენილი პაპიროსები, რათა მაგიდა გაეთავისუფლებინა.

– არ წამიკითხავს, – დაღვრემით უპასუხა კრიცკიმ, ეტყობოდა, არ უნდოდა საუბარში ჩარევა.

– რატომ არ წაგიკითხავთ? – ახლა უკვე კრიცკის გაუბრაზდა ნიკოლაი ლევინი.

– იმიტომ, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია ამაზე დროის დაკარგვა.

– ესე იგი, მოითმინეთ, თქვენ საიდან იცით, რომ ეს დროის დაკარგვა იქნება? ბევრისთვის მიუწვდომელიც კია ეს სტატია, ესე იგი მათზე მაღლა დგას. მე სხვა ვარ, მე ცხადლივ ვხედავ მის აზრებს და ვიცი, რატომ არის სუსტი.

ყველანი გაჩუმდნენ. კრიცკი ნელ-ნელა წამოდგა, ქუდს მოჰკიდა ხელი.

– ვახშამი არ გინდათ? მაშ, მშვიდობით. ხვალ მოდით და ზეინკალი მოიყვანეთ.

როგორც კი კრიცკი ოთახიდან გავიდა, ნიკოლაი ლევინმა გაიღიმა.

– ეგეც ვერ არის კარგად, – თქვა მან, – მე ხომ ვიცი... – მაგრამ ამ დროს კრიცკიმ კარში გაიხმო იგი.

– მეტი რაღა გინდა? – უთხრა მან და დერეფანში გავიდა.

ლევინი მარტო დარჩა მარია ნიკოლაევნასთან და ლაპარაკი დაუწყო.

– დიდი ხანია ჩემს ძმასთან ხართ? – ჰკითხა ლევინმა.

– დიახ, უკვე მეორე წელია... ჯანმრთელობის საქმე ვერა აქვს კარგად, მეტისმეტად ბევრს მიირთმევს, – უთხრა ქალმა.

– ესე იგი რა, სვამს?

– არაყს სვამს, ეს კი სწყენს.

– განა ბევრს სვამს? – წაიჩურჩულა ლევინმა.

– დიახ, – უთხრა მან და შიშით გახედა კარს, სადაც უკვე გამოჩნდა ნიკოლაი ლევინი.

– რაზე ლაპარაკობდით? – წარბშეკვრით იკითხა მან და შეშინებული თვალებით ჯერ ერთს გადახედა, მერე მეორეს, – რაზე ლაპარაკობდით?

– არაფერზე, – შეკრთომით უპასუხა ლევინმა.

– არ გინდათ მითხრათ, თქვენი ნებაა. მხოლოდ შენ არაფერი გაქვს მასთან სალაპარაკო. ეგ უბრალო გოგოა, შენ კი ბატონი ხარ, – თქვა მან და ნერვიულად გააქნია თავი.

– შენ, როგორც ვხედავ, ყველაფერი გაიგე, ყველაფერი შეაფასე

და სინანულით უყურებ ჩემს შეცდომებს, – განაგრძო მან და ისევ აუწია ხმას.

– ნიკოლაი დმიტრიჩ, ნიკოლაი დმიტრიჩ, – ჩურჩულით უთხრა ისევ მარია ნიკოლაევნამ და მასთან მივიდა.

– ჰო, კარგი, კარგი!.. ვახშამი სად არის? ჰო, აი, ისიც, – თქვა მან, როცა ლაქია დაინახა ლანგრით, – აქ დადგი, აქ, – გულმოსულად უთხრა მან, მაშინვე არაყს წაავლო ხელი, ჭიქაში დაასხა და ხარბად გადაკრა, – დალიე, არ გინდა? – მიუბრუნდა ძმას უკვე გამხიარულებული ნიკოლაი ლევინი, – მაშ, მოვეშვათ სერგეი ივანიჩს. მე მაინც მიხარია შენი ნახვა. როგორც გინდა თქვი და მაინც უცხონი არა ვართ ერთმანეთისთვის. აბა, დალიე. მომიყევი, რას აკეთებ? – განაგრძო ნიკოლაი ლევინმა, თან ხარბად დაუწყო ჭამა პურს და მეორე ჭიქა არაყიც დაასხა, – როგორ ცხოვრობ?

– ვცხოვრობ მარტო, სოფელში, როგორც წინათ ვცხოვრობდი, მეურნეობას ვეწევი, – უპასუხა ლევინმა. იგი შეძრწუნებული შეჰყურებდა, როგორ ეძალებოდა საჭმელსა და არაყს მისი ძმა, თან ცდილობდა, ძმას არ შეემჩნია მისი ყურადღება.

– ცოლს რატომ არ ირთავ?

– არა მქონია შემთხვევა, – უპასუხა ლევინმა და გაწითლდა.

– ცოლი უნდა შეირთო. ჩემი საქმე გათავებულია. მე თვითონ გავაფუჭე ჩემი ცხოვრება! ვამბობ და კიდევ ვიტყვი, მაშინ რომ მოეცათ ჩემთვის წილი, როცა მე მჭირდებოდა, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართებოდა.

კონსტანტინ დმიტრიჩმა მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

– იცი, რომ შენი ვანიუშკა პოკროვსკოეში მუშაობს ჩემთან კანტორაში? – უთხრა ლევინმა.

ნიკოლაიმ ნერვიულად გაიქნია თავი და ჩაფიქრდა.

– ჰო, მომიყევი, რა ხდება პოკროვსკოეში? ისევ ისე დგას სახლი, არყის ხეები, ჩვენი საკლასო ოთახი? ფილიპი, ჩვენი მებაღე, განა ისევ ცოცხალია? როგორ მახსოვს ის ხეივანი და დივანი! იცოდე, არაფერი შეცვალო სახლში, ჩქარა შეირთე ცოლი და ყველაფერი ისე მოაწყვე, როგორც იყო. თუ კარგი ცოლი

გეყოლება, ჩამოვალ შენთან.

– ახლა ჩამოდი, – უთხრა ლევინმა, – მშვენივრად მოვეწყობოდით.

– რომ ვიცოდე, სერგეის არ შევხვდები, ჩამოვიდოდი.

– ვერ შეხვდები. სრულიად განცალკევებით ვცხოვრობ მისგან.

– ჰო, როგორც გინდა, თქვი და შენ ერთ-ერთი უნდა ამოირჩიო ჩვენ შორის, – უთხრა და გაუბედავად შეხედა თვალებში ძმას. ამ გაუბედაობამ გული აუჩუყა ლევინს.

– თუ გინდა, იცოდე ჩემი აღსარება ამ საკითხზე, გეტყვი, რომ თქვენს დავაში მე არც ერთის მხარეზე არა ვარ. არც ერთი არა ხართ მართალი. შენ უფრო გარეგნულად არა ხარ მართალი, ის კი შინაგანად.

– ჰოო? შენ მიხვდი ამას, მიხვდი? – სიხარულით წამოიძახა ნიკოლაიმ.

– მაგრამ მე, პირადად, თუ შენ გინდა ამისი ცოდნა, შენთან მეგობრობას უფრო ვაფასებ, იმიტომ, რომ...

– რატომ, რატომ?

კონსტანტინ ლევინს არ შეეძლო ეთქვა, იმიტომ ვაფასებ შენს მეგობრობას, რომ უბედური ხარ და შენ მეტად გესაჭიროება მეგობარიო... მაგრამ ნიკოლაი მიხვდა, რომ ძმას სწორედ ამის თქმა უნდოდა, მოიღუშა და ისევ არყისკენ წაიღო ხელი.

– გეყოფათ, ნიკოლაი დმიტრიჩ! – უთხრა მარია ნიკოლაევნამ და შიშველი, ფუნთუშა ხელი გრაფინისკენ გაიწოდა.

– გამიშვი! ნუ ჩამცივებიხარ! გცემ! – დაუყვირა მან.

მარია ნიკოლაევნამ მშვიდად და გულკეთილად გაუღიმა, ეს ღიმილი ნიკოლაისაც გადაედო და ქალმა არაყი წაართვა.

– შენ გგონია, ამას არაფერი გაეგება? – უთხრა ნიკოლაიმ, – ამან ჩვენზე უკეთ იცის ყველაფერი. ამ ქალში არის რაღაც კარგი და საყვარელი, ხომ მართალია?

– თქვენ წინათ არ ყოფილხართ მოსკოვში? – ჰკითხა ქალს ლევინმა, რათა რაიმე ეთქვა მისთვის.

– ნუ ელაპარაკები თქვენობით. ეშინია ასეთი ლაპარაკის. მასთან ჯერ არავის ულაპარაკია ასე, გარდა მომრიგებელი მოსამართლისა, რომელიც ასამართლებდა იმის გამო, რომ საროსკიპოდან გაქცევა მოინდომა. ღმერთო ჩემო, რამდენი სისულელეა ამქვეყნად! – უცებ წამოიძახა მან, – ეს ახალი დაწესებულებები, მომრიგებელი მოსამართლეები, ერობა, რა სისაძაგლეა! – და დაიწყო იმის მოყოლა, თუ როგორი შეხლა-შემოხლა მოუხდა ახალ დაწესებულებებთან.

კონსტანტინ ლევინი უსმენდა ძმას და ეს შეხედულება, – აზრი არა აქვს არც ერთ საზოგადოებრივ დაწესებულებასო, რასაც თვითონაც იზიარებდა და ხშირად უთქვამს კიდეც, აღარ სიამოვნებდა, თავისი ძმისაგან რომ ესმოდა.

– საიქიოში გავიგებთ ყველაფერს, – გაიხუმრა მან.

– საიქიოში? არ მიყვარს ეს საიქიო! არ მიყვარს, – თქვა ნიკოლაიმ და უცნაური, შეშინებული თვალებით შეაჩერდა ძმას, – თითქოს მგონია, კარგი იქნებოდა გავცლოდი ამ საძაგლობას, არეულ-დარეულობას, ჩემსას თუ სხვისას, მაგრამ მეშინია სიკვდილისა, საშინლად მეშინია, – მას გააჟრჟოლა, – დალიე რამე. შამპანური არ გინდა? თუ გინდა, წავიდეთ სადმე. ბოშებთან წავიდეთ! იცი, მე ძალიან შემიყვარდნენ ბოშები და რუსული სიმღერები.

ნიკოლაის ენა აერია, ერთი ამბიდან მეორეზე გადადიოდა.

ლევინმა მაშას დახმარებით ძლივს დაიყოლია ძმა, არსად წასულიყო, და სრულიად მთვრალი ნიკოლაი ლოგინში ჩააწვინეს.

მაშა შეჰპირდა ლევინს, რომ გაჭირვების დროს წერილს მისწერდა და ჩააგონებდა ნიკოლაი ლევინს, ძმასთან გადასულიყო საცხოვრებლად.

XXVI

დილით კონსტანტინ ლევინი მოსკოვიდან გავიდა, საღამოს კი

უკვე შინ იყო. გზაზე, ვაგონში, იგი ემუსაიფებოდა თანამგზავრებს პოლიტიკაზე, ახალ რკინიგზებზე და აქაც, როგორც მოსკოვში, ერთმანეთში ერეოდა ყველაფერი, კვლავ უკმაყოფილო იყო საკუთარი თავით და გაურკვეველ სირცხვილს გრძნობდა რაღაცის გამო, მაგრამ როცა თავის სადგურზე ჩამოვიდა და თვალი მოჰკრა ცალთვალა მეეტლე იგნატს, რომელსაც ხიფთანის საყელო ზევით ჰქონდა აწეული, როცა სადგურის ფანჯრიდან გამოსულ მკრთალ სინათლეზე დაინახა მოფარდაგებული მარხილი, დაინახა თავისი კუდებგამოსკვნილი, ჯილავებით შეკაზმული ცხენები და როცა მეეტლე იგნატმა, ჯერ კიდევ მარხილში ბარგის ჩალაგების დროს, უამბო სოფლის ახალი ამბები, მოიჯარადრე ჩამოვიდა და პავამ ხბო მოიგოო, – ლევინმა იგრძნო, რომ არეულ-დარეული აზრები თავისთავად ლაგდებოდა და სირცხვილი და თავისი თავით უკმაყოფილებაც ქრებოდა. ეს მხოლოდ იგნატისა და თავისი ცხენების ერთი დანახვით იგრძნო, მაგრამ როცა თავისთვის წამოღებული ქურქი ჩაიცვა, კარგად ჩაიფუთნა, მარხილში ჩაჯდა, გზას გაუდგა და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ მომავალში რა უნდა გაეკეთებინა სოფელში, როცა შეხედა თავის დონურ ცხენს, რომელიც წინათ საჯდომ ცხენად ჰყავდა და ახლაც, მუშაობით ქანცგაწყვეტილი, მაინც ყოჩაღად მიაქროლებდა მარხილს, სრულიად სხვაგვარად წარმოუდგა ის, რაც თავს გადახდა. მან ახლა უკვე იცნო თავისი თავი და სხვანაირი არც უნდოდა ყოფილიყო. მხოლოდ უნდოდა ახლა უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე წინათ იყო. ლევინმა გადაწყვიტა, რომ დღეის შემდეგ, ჯერ ერთი, აღარ ექნებოდა იმედი რაღაც არაჩვეულებრივი ბედნიერებისა, რომელიც მისთვის დაქორწინებას უნდა მიენიჭებინა, და ამის გამო აღარც ისეთი ცუდი თვალით შეხედავდა აწმყოს და მეორეც, აღარასოდეს აჰყვებოდა იმ საძაგელ ვნებას, რომლის გახსენებაც ასე აწამებდა, როცა კიტის ხელის თხოვას აპირებდა; შემდეგ თავისი ძმა ნიკოლაიც გაახსენდა და გონებაში გადაწყვიტა, რომ თავს არასოდეს მისცემდა ნებას, დაევიწყებინა იგი, ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რათა რაიმე ცუდის შემთხვევაში მუდამ მზად ყოფილიყო დასახმარებლად. გული კი უგრძნობდა, რომ ეს ცუდი არც ისე შორს იყო. მერე ძმასთან კომუნიზმზე გამართულმა საუბარმა ჩააფიქრა, რასაც მაშინ ისე იოლად შეხედა. მას სისულელედ მიაჩნდა ეკონომიკური პირობების გარდაქმნა, თუმცა ყოველთვის გრძნობდა, რომ მისი სიმდიდრე ხალხის სიღარიბესთან შედარებით

უსამართლობა იყო. და გადაწყვიტა, იმისათვის, რათა სავსებით სამართლიანად ვიგრძნო საკუთარი თავი, თუმცა არც წინათ ვმუშაობდი ცოტას და არც ფუფუნებით ვცხოვრობდი, ახლა უფრო მეტს ვიმუშავებ და თავს ნაკლები ფუფუნების ნებას მივცემო. და ყოველივე ეს ისე იოლად ასასრულებელი ეჩვენა, რომ მთელი გზა სანეტარო ოცნებაში გაატარა. მეცხრე საათი იყო, როცა ახალი, უკეთესი მომავლის იმედით გამხნევებული ლევინი თავის სახლს მიუახლოვდა.

მოხუცი გამდლის, აგაფია მიხაილოვნას ოთახის ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა და სახლის წინ პატარა დათოვლილ მოედანს ანათებდა. მოხუცს, რომელიც ლევინის სახლში ეკონომის როლსაც ასრულებდა, ჯერ კიდევ არ ეძინა. პარმაღზე გამოეგება ფეხშიშველა, ნამძინარევი კუზმა, რომელიც აგაფია მიხაილოვნას გაეღვიძებინა. ძუკნა მეძებარმა ლასკამ ლამის წააქცია კუზმა, პარმაღზე გადმოხტა და წკმუტუნით შემოეხვია პატრონს მუხლებზე, უნდოდა მკერდზეც შესტოტებოდა, მაგრამ ვერ გაებედა.

– რა მალე დაგვიბრუნდით, ბატონო, – უთხრა აგაფია მიხაილოვნამ.

– მომწყინდა, აგაფია მიხაილოვნა. სტუმრობა კარგია, მაგრამ შინ ყოფნა ჯობს, – უპასუხა ლევინმა და კაბინეტისკენ გასწია.

კაბინეტი ნელ-ნელა გაანათა შემოტანილმა სანთელმა. ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ ნაცნობი წვრილმანი ნივთები: ირმის რქები, წიგნებით სავსე თაროები, სასულედატანებული ღუმლის სარკე, რომელიც დიდი ხანია შესაკეთებელი იყო, მამის დივანი, დიდი მაგიდა, ზედ გადაშლილი წიგნით, გატეხილი საფერფლე, ლევინის ხელით ნაწერი რვეული. როცა ყოველივე ეს დაინახა, წუთით ეჭვი შეეპარა, რომ მოიწყობდა იმ ახალ ცხოვრებას, რომელზეც გზაში ოცნებობდა. ყველა ეს ნაკვალევი განვლილი ცხოვრებისა თითქოს გარს შემოეჯარა და ეუბნებოდა: „არა, ჩვენ ვერ გაგვექცევი, ვერ იქცევი სხვა ადამიანად, ისეთივე დარჩები, როგორიც იყავი: ყველაფერში დაეჭვებული და საკუთარი თავით მარად უკმაყოფილო, ამაოდ ეცდები გამოსწორებას, შეცდომებს მაინც ვერ ასცდები, მუდამ მომლოდინე იქნები ბედნიერებისა, რომელსაც ვერ ეღირსე და შეუძლებელიც არის შენთვის“.

მაგრამ ამას ნივთები ეუბნებოდნენ, შინაგანი ხმა კი ჩასძახოდა, რომ არ უნდა დაემორჩილოს წარსულს, რომ ყოველნაირად შეუძლია საკუთარი თავის გარდაქმნა. ლევინმა ამ შინაგან ხმას დაუჯერა და გასწია იმ კუთხისაკენ, სადაც ორი თითოფუთიანი გირა ეგულებოდა და თავის გასამხნევებლად ვარჯიში დაიწყო. გარედან ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა. ლევინმა საჩქაროდ დაანება თავი გირებს.

შემოვიდა მოურავი და მოახსენა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზე დაგახვედრეთო, მაგრამ ისიც მიაყოლა, ახალ სახმობში უგრეხელი ჩახურდაო. ამ ამბავმა გააბრაზა ლევინი. ეს ახალი სახმობი ლევინის აშენებული იყო და ნაწილობრივ მოფიქრებულიც. მოურავი სულ წინააღმდეგი იყო ამ სახმობისა და ახლა ფარული სიხარულით აცხადებდა, უგრეხელი ჩახურდაო. ლევინი მტკიცედ იყო დარწმუნებული, თუ უგრეხელი ჩახურდა, მხოლოდ იმის გამო ჩახურდებოდა, რომ არ შეასრულეს ის ღონისძიებანი, რომელიც ასჯერ მაინც ჰქონდა ნაბრძანები მოურავისათვის. ლევინს ეწყინა ეს და საყვედურიც უთხრა მოურავს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავიც შეიტყო – პავამ, გამოფენაზე ნაყიდმა ძვირფასმა, საუკეთესო ძროხამ ხბო მოიგოო.

– კუზმა, ქურქი მომიტანე. თქვენ კი უბრძანეთ, ფარანი მოიტანონ, წავალ, დავხედავ, – უთხრა ლევინმა მოურავს.

ბოსელი ძვირფასი ძროხებისათვის იქვე სახლის ახლოს ჰქონდათ. ლევინმა ეზო გაიარა, იასამანთან მიყრილ ნამქერს ჩაუარა და ბოსელთან მივიდა. შეყინული კარი რომ შეაღეს, ბოსლიდან ნაკელის თბილი ორთქლის სუნი გამოვარდა და ფარნის შეუჩვეველი შუქით გაოცებული ძროხები ნედლ ჩალაზე შეიშმუშნენ. გამოჩნდა ჰოლანდიური კაბელა ძროხის სწორი, განიერი ბეჭები. ბერკუტი, დრუნჩში რგოლგაყრილი ბუღა, ჩალაზე იყო გაწოლილი, უნდოდა, წამომდგარიყო, მაგრამ გადაიფიქრა და გვერდით რომ ჩაუარეს, მხოლოდ ორჯერ ამოიფშვინა. პავამ, წითელმა, ლამაზმა, ჰიპოპოტამივით უზარმაზარმა ძროხამ ზურგი შეაქცია მოსულთ, ხბოს ჩამოეფარა და დასუნა.

ლევინი საბმურში შევიდა, პავა შეათვალიერა და წამოაყენა გრძელფეხა კაბელა ხბო, რომელიც მუხლებში იკეცებოდა. შეშინებულ პავას უნდოდა დაეზმუვლა, მაგრამ როცა ლევინმა ისევ ახლოს მიუყვანა ხბო, დამშვიდდა, ერთი მძიმედ

ამოიფშვინა და ხაოიანი ენით ლოკვა დაუწყო ხბოს. ხბო კი ძუძუს ეძებდა, ცხვირით ჯიქანს უჯგვლემდა დედას და კუდს აქიცინებდა.

– აქეთ მომინათე, ფედორ, აქეთ მოიტა ფარანი, – ამბობდა ლევინი და ხბოს სინჯავდა, – დედას ჰგავს! თუმცა ფერი კი მამისა აქვს. ხომ კარგია, ვასილ ფეოდოროვიჩ? – მიუბრუნდა იგი მოურავს, ხბოს სიხარულმა სულ გადაავიწყა უკმაყოფილება უგრეხლის გამო.

– ცუდი ვის უნდა ჰგვანებოდა! მოიჯარე სიმონი, თქვენ რომ წახვედით, იმის მეორე დღეს მოვიდა. გარიგება დაგვჭირდება მასთან, კონსტანტინ დმიტრიჩ, – უთხრა მოურავმა, – მე თქვენ ადრეც მოგახსენეთ მანქანაზე.

ამ ერთმა საკითხმა ლევინს გაახსენა ყოველგვარი წვრილმანი თავისი მეურნეობისა, რომელიც საკმაოდ დიდი და რთული იყო და ბოსლიდან პირდაპირ კანტორისაკენ გასწია, მოელაპარაკა მოურავს, მოიჯარე სიმონსაც და შინ რომ დაბრუნდა, პირდაპირ ზევით, სასტუმროში ავიდა.

XXVII

სახლი დიდი და ძველებური იყო. და ლევინი, მართალია, მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ათბობდა და დაკავებული ჰქონდა მთელი სახლი. ლევინმა იცოდა, რომ ეს სისულელე იყო, იმასაც გრძნობდა, რომ ეს არ იყო კარგი და არც შეეფერებოდა მის ახალ გეგმებს, მაგრამ ეს სახლი ლევინისთვის მთელ სამყაროს წარმოადგენდა. ეს ის სამყარო იყო, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარეს და სული დალიეს მისმა მშობლებმა. მათი ცხოვრება კი ლევინს ყოველგვარი სრულყოფის იდეალად მიაჩნდა და ასეთი ცხოვრების განახლებაზე ოცნებობდა, როცა ცოლს შეირთავდა და დაოჯახდებოდა.

ლევინს ოდნავ ახსოვდა დედა. მისი სახება მისთვის წმიდათაწმიდა მოგონება იყო და მომავალი მეუღლე ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდა როგორც განმეორება

ქალის ისეთი მშვენიერი, უწმინდესი იდეალისა, როგორიც იყო დედა.

ლევინისთვის არა მარტო წარმოუდგენელი იყო ქალის სიყვარული ქორწინების გარეშე, არამედ ყოველთვის ჯერ ოჯახს წარმოიდგენდა, მერე კი იმ ქალს, რომელიც ამ ოჯახს შეუქმნიდა. ამიტომაც მისი შეხედულებები ცოლის თხოვაზე სულაც არ ჰგავდა მისი ნაცნობების უმრავლესობის შეხედულებებს, რომელთათვისაც დაოჯახება ერთი მრავალთაგანი ცხოვრებისეული საქმე იყო. ლევინისათვის ეს წარმოადგენდა მთავარ მიზანს ცხოვრებაში, რაზედაც დამოკიდებული იყო მთელი მისი ბედნიერება. ახლა კი ამაზე უარი უნდა ეთქვა!

როდესაც ლევინი მცირე სასტუმროში შევიდა, სადაც ჩაის სვამდა ხოლმე, და წიგნით ხელში თავის სავარძელში ჩაჯდა, აგაფია მიხაილოვნამ კი ჩაი შემოუტანა და ჩვეულებრივ უთხრა, „მე აქ ჩამოვჯდები, ჩემო ბატონოო“, და იქვე ფანჯარასთან მოკალათდა, თუმცა ეს უცნაური იყო, მაგრამ ლევინმა იგრძნო, რომ ხელი არ აუღია თავის ოცნებაზე და არც შეუძლია ცხოვრება ამ ოცნების გარეშე, რომ კიტი იქნება თუ სხვა, ეს მაინც უნდა მოხდეს. ლევინი წიგნს კითხულობდა, უფიქრდებოდა წაკითხულს, ხან კი შეჩერდებოდა და ყურს მიუგდებდა აგაფია მიხაილოვნას, რომელიც შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, და თვალწინ უდგებოდა მეურნეობისა და თავისი ახალი ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა სურათი. ლევინი გრძნობდა, რომ მისი სულის სიღრმეში რაღაც მყარდებოდა, თავის ადგილს პოულობდა, ლაგდებოდა.

ლევინი ყურს უგდებდა აგაფია მიხაილოვნას, რომელიც უამბობდა, პროხორმა ღმერთი დაივიწყა და თქვენი ნაჩუქარი ფულით, იმის მაგივრად, ცხენი ეყიდა, გამუდმებით არყით თვრება და ცოლსაც ისე სცემა, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანაო; ყურს უგდებდა, თან წიგნს კითხულობდა და წაკითხულით აღძრულ აზრთა მსვლელობასაც იხსენებდა. ეს იყო ტინდალის წიგნი სითბოს შესახებ. გაახსენდა, როგორ გმობდა ტინდალს მოხერხებულად წარმოებული ცდებისა, თვითკმაყოფილებისა და იმის გამო, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისი არ გააჩნდა. და უეცრად გონებაში სასიხარულო აზრმა გაუელვა: „ორი წლის შემდეგ ჯოგში ორი ჰოლანდიური ძროხა მეყოლება, თვით პავაც შეიძლება ისევ ცოცხალი იყოს,

კიდევ თორმეტი ბერკუტისეული უშობელი, ამას თვალის გასახარად ეს სამიც დავუმატოთ და – ჩინებული იქნება!“ – მერე ისევ წიგნის კითხვა განაგრძო.

„მაშ ასე, ელექტრობა და სითბო ერთი და იგივეა. მაგრამ შეიძლება თუ არა, საკითხის გადასაჭრელად განტოლებაში ერთი სიდიდის ნაცვლად მეორე ჩავსვათ? არა, მაშ, რა გამოდის? კავშირი ბუნების ძალთა შორის ისედაც იგრძნობა, ინსტინქტით... განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ პავას შვილი უკვე ჭრელი, მოწითალო გამოვა. მშვენიერი იქნება მთელი ჯოგიც, ეს სამი რომ გაერევა! ცოლითა და სტუმრებით ნახირის შესახვედრად გამოხვალ... მე და კოსტიამ შვილივით გამოვზარდეთო ეს ხბო, იტყვის ცოლი. ჩემთვის წარმოუდგენელია, ასე როგორ დაგაინტერესათო ამ საქმიანობამ? – ეკითხება სტუმარი. ყველაფერი, რაც მას აინტერესებს, ჩემთვისაც საინტერესოაო. „მაგრამ ვინ იქნება ის ქალი?“ – და ლევინს გაახსენდა ყველაფერი, რაც მოსკოვში გადახდა... „რას იზამ! მე არა ვარ დამნაშავე. ახლა კი ყველაფერი ახლებურად წარიმართება. სისულელეა იმის ფიქრი, რომ ცხოვრება არ მოგვცემს ამის საშუალებას, რომ წარსული არ გაგიშვებს, უნდა იბრძოლო, რომ უკეთესად, ბევრად უკეთესად იცხოვრო“, – ლევინმა წიგნიდან თავი აიღო და ფიქრს მიეცა. ბებერმა ლასკამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ განელებოდა პატრონის მოსვლით გამოწვეული სიხარული, ჯერ ყეფით მოირბინა ეზო და ახლა კუდის ქიცინით მივიდა ლევინთან, თან ცივი ჰაერის სუნი შემოიტანა, თავი მკლავქვეშ ამოუდო და საცოდავ წკმუტუნს მოჰყვა, ალერსს მოითხოვდა პატრონისაგან.

– მხოლოდ ეს არის, რომ ენა არა აქვს, – თქვა აგაფია მიხაილოვნამ, – ძაღლი კია... მაგასაც ესმის, რომ პატრონი დაბრუნდა და უგუნებოდ არის.

– რატომ არის უგუნებოდ?

– განა ვერა ვხედავ, ბატონო? დროც არის, რომ ვიცნობდე ბატონებს. პატარაობიდანვე ბატონების ოჯახში ვიზრდებოდი. არაფერია, ბატონო. კაცს მხოლოდ ჯანმრთელობა ჰქონდეს და წმინდა სინდისი.

ლევინი გაშტერებული შეჰყურებდა, უკვირდა, როგორ მიუხვდა გულისნადებს აგაფია მიხაილოვნა.

– კიდევ მოგართვათ ჩაი? – ჰკითხა მან, ფინჯანი აიღო და ოთახიდან გავიდა.

ლასკა ისევ მკლავქვეშ უდებდა თავს. ლევინმა თავზე ხელი გადაუსვა და ძაღლი მორგვივით მოიგრაგნა მის მუხლებთან, თავი წინ გაწვდილ უკანა თათზე დადო ნიშნად იმისა, რომ ახლა ყველაფერი კარგად და კეთილად მოეწყო, პირი ოდნავ გააღო, ლაშები გააწკლაპუნა, ლორწოიანი ლაშები უკეთესად მოარგო ბებერ კბილებს და ნეტარებით გაიტრუნა. ლევინი ყურადღებით შეჰყურებდა მის ამ უკანასკნელ მოძრაობას.

„სწორედ ასე ვარ მეც! – თქვა თავისთვის ლევინმა, – სწორედ ასე ვარ! არა უშავს რა, ყველაფერი კარგად იქნება!..“

XXVIII

ბალის შემდეგ ანა არკადიევნამ დილაადრიან გაუგზავნა ქმარს დეპეშა, დღესვე გამოვდივარ მოსკოვიდანო.

– არა, არა, უნდა წავიდე! – ისეთი ტონით უხსნიდა რძალს თავისი განზრახვის შეცვლის მიზეზს, თითქოს იმდენი საქმე გაახსენდა, რომ ვერც კი ჩამოთვლისო, – არა, უმჯობესია, დღესვე წავიდე.

სტეპან არკადიჩს იმ დღეს სახლში არ უსადილია, მაგრამ შეჰპირდა დას, შვიდი საათისათვის აუცილებლად მოვალო.

კიტიც არ მოსულა, ბარათი გამოგზავნა, თავი მტკივაო. დოლიმ და ანამ მარტო ისადილეს ბავშვებსა და ინგლისელ ქალთან ერთად. ბავშვებმა უკვე თავი დაანებეს მამიდასთან თამაშს, დაივიწყეს მისი სიყვარული, შეიძლება იმიტომ, რომ ბავშვებს ხშირად ეცვლებათ ხასიათი, ან იმიტომ, რომ მეტად მგრძნობიარენი არიან და მაშინვე შენიშნეს, რომ მამიდა სულაც აღარ იყო ისეთი, როგორიც იმ დღეს, როცა შეიყვარეს, და ახლა სულ აღარ ადარდებდათ მისი წასვლა. მთელი დილა ანამ საგზაო სამზადისში გაატარა. წერილებს სწერდა მოსკოველ

ნაცნობებს, ხარჯებს იწერდა, თავის ნივთებს ალაგებდა. საერთოდ, დოლის ეჩვენებოდა, რომ ანა ვერ იყო მშვიდად, რაღაც ისეთ მოუსვენრობას გრძნობდა, რაც დოლისაც ხშირად გამოუცდია საკუთარ თავზე, რაც არასოდეს უმიზეზოდ არ ეუფლება ადამიანს და ხშირად საკუთარი თავით უკმაყოფილებას ფარავს. ნასადილევს ანა თავის ოთახში გავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად, დოლიც უკან გაჰყვა.

– რა უცნაური ხარ დღეს! – უთხრა დოლიმ.

– მე? შენ აგრე გგონია? უცნაური არა, მაგრამ სულელი კი ვარ. ასე მემართება ხოლმე ზოგჯერ. სულ ტირილი მინდა. ეს ძალიან დიდი სისულელეა, მაგრამ გამივლის, – სწრაფად თქვა ანამ და აწითლებული სახე პატარა ჩანთისკენ დახარა, სადაც საღამურ ქუდსა და ბატისტის ცხვირსახოცებს ალაგებდა. ანას განსაკუთრებით უბრწყინავდა თვალები და სულ ცრემლებით ევსებოდა, – ასევე არ მინდოდა წამოსვლა პეტერბურგიდან, ახლა კი აქედან აღარ მინდა წასვლა.

– შენ აქ ჩამოხვედი და კეთილი საქმე გააკეთე, – უთხრა დოლიმ, რომელიც დაკვირვებით შეჰყურებდა სახეში.

ანამ ცრემლიანი თვალებით შეხედა დოლის.

– ნუ ამბობ ამას, დოლი, არაფერი გამიკეთებია და არც შემეძლო გამეკეთებინა. ხშირად მიკვირს ხოლმე, რატომ შეკარით ყველამ პირი ჩემს გასანებივრებლად. განა რა გავაკეთე, ან რა შემეძლო! შენს გულში აღმოჩნდა იმდენი სიყვარული, რომ გეპატიებინა...

– უშენოდ ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა! რა ბედნიერი ხარ, ანა, – უთხრა დოლიმ, – შენს სულში ყველაფერი კარგი და ნათელია!

– ყველას აქვს გულში თავისი skeletons,[16] როგორც ინგლისელები იტყვიან.

– შენ რა skeletons გაქვს? შენში ყველაფერი ისეთი ნათელია.

– მაქვს! – უცებ თქვა ანამ და ცრემლების შემდეგ მოულოდნელად ეშმაკურმა, დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

– აბა, მაშ, შენი skeletons სასაცილო ყოფილა და არა სამწუხარო, –

ღიმილით უთხრა დოლიმ.

– არა, სამწუხაროა. შენ იცი, რატომ მივდივარ მაინცდამაინც დღეს და არა ხვალ? მინდა შენ გაგანდო ეს აღსარება, რომელიც ასე მაწევს გულზე, – უთხრა ანამ, სავარძელში გადაწვა და პირდაპირ თვალებში შეხედა დოლის.

და თავისდა გასაოცრად დოლიმ შენიშნა, რომ ანა ყურის ძირებამდე გაწითლდა, ისე, რომ სიწითლემ კისერზე ჩამოშლილ შავ კულულებამდეც კი მიაღწია.

– დიახ, – განაგრძო ანამ, – იცი, რატომ არ მოვიდა დღეს კიტი სადილად? ჩემზე ეჭვიანობს, მე გავუფუჭე... მე ვიყავი მიზეზი იმისა, რომ ეს ბალი მისთვის, ნაცვლად სიხარულისა, წამებად იქცა. მაგრამ, დამიჯერე, დამიჯერე, რომ დამნაშავე არ ვყოფილვარ, ან სულ ცოტათი ვიყავი დამნაშავე, – და ანამ ოდნავ წვრილი ხმით, გაჭიანურებით თქვა „სულ ცოტათი“.

– ოჰ, როგორ სტივასავით თქვი ეს! – სიცილით უთხრა დოლიმ.

ანამ იწყინა.

– ოჰ, არა, არა! მე სტივა არა ვარ, – წარბშეკვრით დასძინა მან, – ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩემს თავს ნებას არ მივცემ, თუნდ ერთი წუთითაც ეჭვი შემეპაროს საკუთარ თავში, – უთხრა ანამ.

მაგრამ იმ წუთში, როცა ამ სიტყვებს ამბობდა, გრძნობდა, რომ ეს არ იყო სიმართლე; ანას არათუ ეჭვი ეპარებოდა საკუთარ თავში, არამედ გრძნობდა, რომ ვრონსკიზე ფიქრი აღელვებდა და ასე ნაჩქარევადაც იმიტომ მიდიოდა, რათა მეტად აღარ შეხვედროდა მას.

– ჰო, სტივამ მითხრა, რომ შენ მასთან მაზურკას ცეკვავდი და რომ მან...

– შენ ვერ წარმოიდგენ, რა სასაცილოდ გამოვიდა. მე მაჭანკლობას ვაპირებდი და უცებ სულ სხვა აღმოჩნდა. შეიძლება მე ჩემდა უნებურად...

ანა გაწითლდა, აღარაფერი თქვა.

– ო, მამაკაცები მაშინვე გრძნობენ ამას! – თქვა დოლიმ.

– მაგრამ მე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებოდი, რომ მისი მხრივ რამე სერიოზული ყოფილიყო, – შეაწყვეტინა ანამ, – და

მე დარწმუნებული ვარ, ყოველივე დავიწყებას მიეცემა და კიტისაც აღარ ვეძულები.

– თუმცა, ანა, მართალი გითხრა, კიტისთვის არცთუ ძალიან მსურს ეს ქორწინება. უმჯობესია, ეს საქმე ჩაიშალოს, თუკი მან, ვრონსკიმ, პირველსავე დღეს მოასწრო შენი შეყვარება.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს ისეთი სისულელე იქნებოდა! – თქვა ანამ და კვლავ სიამოვნებისაგან აელეწა სახე, როცა სიტყვებით მოისმინა ის აზრი, რომელიც ვეღარ განედევნა გონებიდან, – და აი, მივდივარ ისე, რომ მტრად მოვიკიდე კიტი, რომელიც ისე შემიყვარდა. ოჰ, რა მშვენიერია კიტი! მაგრამ შენ ხომ გამოასწორებ ამას, დოლი? ხომ გამოასწორებ?

დოლი ძლივსღა იკავებდა ღიმილს. მას უყვარდა ანა, მაგრამ სიამოვნებდა იმის დანახვაც, რომ მასაც ჰქონდა სუსტი მხარე.

– როგორ თუ მტრად? ეს შეუძლებელია.

– მე ისე მინდოდა, თქვენ ყველას გყვარებოდით ისევე, როგორც მე მიყვარხართ, ახლა კი უფრო მეტად შემიყვარდით, – თქვა ანამ და თვალებში ცრემლი მოერია, – ოჰ, რა სულელი ვარ დღეს!

ანამ ცხვირსახოცით მოიწმინდა სახე და ჩაცმას შეუდგა.

სწორედ დის წასვლის წინ დაგვიანებით გამოცხადდა სახეაწითლებული, გამხიარულებული სტეპან არკადიჩი, თან ღვინისა და სიგარეტის სუნი მოიტანა.

ანას გრძნობიერება დოლისაც გადაედო და როცა უკანასკნელად გადაეხვია მულს, წასჩურჩულა: – გახსოვდეს, ანა, მე არასოდეს დავივიწყებ იმას, რაც ჩემთვის გააკეთე. გახსოვდეს, რომ მიყვარდი და ყოველთვის მეყვარები, როგორც საუკეთესო მეგობარი!

– ვერ გამიგია, რისთვის გიყვარვარ ასე, – უთხრა ანამ, გადაეხვია და ცრემლები დამალა.

– შენ მე გამიგე და გესმის ჩემი. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო!

XXIX

„მადლობა ღმერთს, ყველაფერი გათავდა!“ – პირველად ამ აზრმა გაუელვა ანას თავში, როცა უკანასკნელად გამოემშვიდობა ძმას, რომელიც მესამე ზარამდე ვაგონის კარს არ მოსცილებია. იგი თავის დივანზე დაჯდა, ანუშკას გვერდით, და საწოლი ვაგონის მკრთალ სინათლეზე აქეთ-იქით მიმოიხედა. „მადლობა ღმერთს, ხვალ ვნახავ სერიოჟასა და ალექსეი ალექსანდროვიჩს და ისევ ძველებურად წარიმართება ჩემი კარგი, ჩვეული ცხოვრება“.

ანამ მთელი დღე მოუსვენრად გაატარა და ახლა სიამოვნებით ეწყობოდა სამგზავროდ. მოქნილი, პატარა ხელებით რამდენჯერმე გახსნა და დაკეტა წითელი ჩანთა, ყურთბალიში ამოიღო, მუხლებზე დაიდო, გულმოდგინედ შეიფუთნა ფეხები და მშვიდად დაჯდა. ვიღაც ავადმყოფი მანდილოსანი უკვე დასაწოლად ემზადებოდა. ვაგონში მყოფი ორი ქალი გამოელაპარაკა ანას, ჩასუქებული ბებერი კი ფეხებს იფუთნიდა და ვაგონის გათბობას უჩიოდა. ანა რამდენიმე სიტყვით გამოეპასუხა მათ და რაკი ამ საუბრიდან საინტერესოს არაფერს გამოელოდა, ანუშკას სთხოვა, ფარანი ამოეღო. ფარანი სავარძლის სახელურს მიამაგრა და ჩანთიდან ქაღალდის საჭრელი დანა და ინგლისური რომანი ამოიღო. პირველად გული ვერ დაუდო კითხვას. ხელს უშლიდა ეს ფაციფუცი და აქეთ-იქით სირბილი. მერე, როცა მატარებელი დაიძრა, ჯერ ბორბლების ხმაურმა მოსტაცა ყური, შემდეგ მისი ყურადღება მიიქცია თოვლმა, მარცხენა მხრიდან რომ ეცემოდა ფანჯარას და ზედ ეკვროდა მინას; მერე შეფუთნილ, ცალ მხარეს დათოვლილ კონდუქტორს შეხედა, რომელმაც გვერდით ჩაუარა. იქვე ახლოს კი იმაზე ლაპარაკობდნენ, გარეთ საშინელი ქარბუქიაო. ყოველივე ეს ყურადღებას უფანტავდა. შემდეგ კი სულ ერთი და იგივე მეორდებოდა: იგივე ნჯღრევა და რახრახი, ფანტელების ცვენა ფანჯრის მინაზე, კვლავ ისევ სწრაფად ცხელდებოდა და ცივდებოდა ორთქლი, სულ ერთი და იგივე სახეები მოჩანდნენ ვაგონის მკრთალ სინათლეზე, სულ ერთი და იგივე ხმები ისმოდა. ანა ახლა კითხულობდა და ესმოდა კიდეც წაკითხული. ანუშკა უკვე თვლემდა. წითელი ჩანთა მუხლებზე დაედო და ფართო ხელებით ჩაებღუჯა. ხელებზე ხელთათმანები ეცვა და ცალი თითი გამოხეული ჰქონდა. ანა არკადიევნა კითხულობდა და ესმოდა წაკითხული, მაგრამ მაინც არ სიამოვნებდა კითხვა, ესე იგი არ

უნდოდა თვალყური ედევნებინა, როგორ ასახავდნენ სხვის ცხოვრებას, დაუძლეველი სურვილი ჰქონდა, თვითონაც განეცადა ეს ცხოვრება. როცა კითხულობდა, როგორ უვლიდა რომანის გმირი ქალი ავადმყოფს, უნდოდა თვითონაც ფეხაკრეფით ევლო ავადმყოფის ოთახში; როცა კითხულობდა, როგორ წარმოთქვამდა სიტყვას პარლამენტის წევრი, თვითონაც სიტყვის წარმოთქმის სურვილი ებადებოდა; როცა კითხულობდა, როგორ მიერეკებოდა ჯოგს ცხენზე ამხედრებული ლედი მერი, როგორ აბრაზებდა რძალს და აცვიფრებდა ყველას თავისი გამბედაობით, თვითონ უნდოდა გაეკეთებინა ყოველივე ეს. მაგრამ გასაკეთებელი არაფერი იყო. ანა ხელში ატრიალებდა ქაღალდის საჭრელ ბლაგვ დანას და ნაძალადევად განაგრძობდა კითხვას.

რომანის გმირი უკვე აღწევდა თავის ინგლისურ ბედნიერებას, იღებდა ბარონეტობასა და მამულს და ანაც ნატრობდა მასთან ერთად წასულიყო ამ მამულში, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ გმირს უნდა რცხვენოდეს და ანასაც რცხვენია. მაგრამ რისი უნდა რცხვენოდეს გმირს? „ან მე რატომ უნდა მრცხვენოდეს?“ – შეეკითხა თავის თავს შეურაცხყოფილი და გაკვირვებული. ანამ წიგნის კითხვას თავი მიანება, ზურგით სავარძელს მიეყრდნო და ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა ქაღალდის საჭრელ დანას. სამარცხვინო არაფერი იყო. ანამ გაიხსენა ყველაფერი, რაც მოსკოვში გადახდა. ყველაფერი კარგი და სასიამოვნო იყო. გაიხსენა ბალი, ვრონსკი, მისი მორჩილი, სიყვარულით აღსავსე სახე, გაიხსენა მთელი თავისი ურთიერთობა მასთან: სამარცხვინო არაფერი იყო. მაგრამ ამავე დროს, სწორედ ამის გახსენებაზე, უფრო ძლიერად განიცდიდა სირცხვილის გრძნობას. სწორედ იმ დროს, როცა ვრონსკის გაიხსენებდა, თითქოს შინაგანი ხმა ეუბნებოდა: „ცხელა, ცხელა, ძალიან ცხელა!“ „მერე რა მოხდა? – მტკიცედ უთხრა თავის თავს და ადგილი იცვალა სავარძელში, – რას ნიშნავს ეს? ნუთუ მეშინია, პირდაპირ შევხედო ყოველივე ამას? ნუთუ ჩემსა და ამ ოფიცერს შორის არსებობს ან შეიძლება არსებობდეს რაიმე სხვა დამოკიდებულება, თუ არა ისეთივე, როგორიც ყველა სხვა ნაცნობთან მქონია?“ – ანამ ზიზღით ჩაიცინა და ისევ წიგნის კითხვა განაგრძო, მაგრამ ახლა უკვე ნამდვილად აღარ შეეძლო იმის გაგება, რასაც კითხულობდა. ანამ ქაღალდის საჭრელი დანა მინაზე დაუსვა, მერე მისი გაცივებული, კრიალა პირი ლოყაზე მიიდო და ანაზდეულად ისეთი უმიზეზო სიხარული

შემოენთო, რომ კინაღამ ხმამაღლა გადაიხარხარა. გრძნობდა, რომ ნერვები სიმებივით სულ უფრო და უფრო ეჭიმებოდა, თითქოს აქეთ-იქით ეწევიანო. გრძნობდა, თანდათან როგორ უფართოვდებოდა თვალები, როგორ ნერვიულად უთრთოდა ხელისა და ფეხის თითები, შიგნიდან კი რაღაც უხუთავდა სულს და ამ მონანავე ბინდბუნდში გასაოცარი სიმკვეთრით ჩაესმოდა ყოველგვარი ხმა, საოცრად მკაფიოდ ეხატებოდა ყოველი საგანი. ყოველ წუთს ეჭვი ეპარებოდა, ვერ გარკვეულიყო, წინ მიდიოდა ვაგონი, უკან ბრუნდებოდა თუ სულაც გაჩერებული იდგა; ეს ანუშკა იყო, მის გვერდით რომ იჯდა, თუ ვინმე სხვა? „რა არის ეს, სახელურზე რომ ჰკიდია, ქურქია თუ რაღაც მხეცი? ნუთუ მე აქა ვარ? მე ვარ თუ ვინმე სხვა?“ – ანას აშინებდა ეს თავდავიწყება, მაგრამ თითქოს რაღაც ითრევდა მისკენ და მისი ნება იყო, მიეცემოდა ამ თავდავიწყებას თუ შეიკავებდა თავს. ანა ფეხზე წამოდგა, რათა გონს მოსულიყო, პლედი გადაიძრო, თბილი კაბის პელერინა მოიხსნა. წუთით გონს მოვიდა და მიხვდა, რომ ვაგონში შემოსული გამხდარი კაცი, რომელსაც გრძელი ნაშურის პალტო ეცვა და ზედ ერთი ღილი აკლდა, ცეცხლფარეში იყო და თერმომეტრს აკვირდებოდა, რომ მასთან ერთად ვაგონში ქარი და თოვლი შემოიჭრა. მაგრამ მერე კვლავ აირია ყველაფერი... ამ წელჩაგრძელებულმა კაცმა კედელში რაღაც ააჩხაკუნა, მოხუცმა ქალმა ვაგონის მთელ სიგრძეზე გაჭიმა ფეხები და მთელი ვაგონი შავი ღრუბლებით აავსო; მერე რაღაც საშინლად აჭრაჭუნდა და ახმაურდა, თითქოს ვიღაცას გლეჯენო; შემდეგ კოცონის წითელმა შუქმა თვალთ დაუბნელა და ყველაფერ ამას კედელი ჩამოეფარა. ანამ იგრძნო, რომ სადღაც ჩავარდა. მაგრამ ყოველივე ეს საზარელი კი არა, სიხარულის მომგვრელი იყო. ვიღაც შეფუთნილმა, დათოვლილმა კაცმა რაღაც ჩასძახა ყურში. ანა წამოდგა, გონს მოვიდა. მიხვდა, რომ სადგურს უახლოვდებოდნენ და ეს კაცი კონდუქტორი იყო. ანუშკას სთხოვა, შალი მიეწოდებინა, ისევ წამოისხა პელერინა, შალი მოიხურა და კარისაკენ გაემართა.

– გარეთ გასვლა გნებავთ? – შეეკითხა ანუშკა.

– ჰო, ჰაერზე მინდა გავიდე. აქ ძალიან ცხელა.

და ანამ კარი გააღო. გარედან თოვლი და ქარბუქი შემოიჭრა, კარის გაღება არ დაანება და ამან სიხარული მოჰგვარა. ანამ კარი გააღო და გარეთ გავიდა. ქარმაც, თითქოს მასღა ელოდაო,

სიხარულით დაიზუზუნა, უნდოდა აეტაცა და თან წაეყვანა, მაგრამ ანამ კიბის ცივ სახელურს ჩასჭიდა ხელი, კაბის კალთა აიკრიფა, ბაქანზე ჩავიდა და ვაგონს ამოეფარა. ქარი პარმაღზე სცემდა ძლიერად, აქ კი ბაქანზე, ვაგონებს უკან, სიმყუდროვე იყო, ანა სიამოვნებით, მთელი მკერდით ისუნთქავდა თოვლიან, გაყინულ ჰაერს და თან, ვაგონს ამოფარებული, ბაქანსა და განათებულ სადგურს ათვალიერებდა.

XXX

სადგურის კუთხიდან წამოსული საშინელი ქარიშხალი ზუზუნით აწყდებოდა ვაგონის თვლებსა და სვეტებს. ვაგონები, სვეტები, ადამიანები, ყველაფერი, რაც ირგვლივ ჩანდა, ცალი მხრიდან იყო დათოვლილი და კვლავ უფრო და უფრო მეტად ითოვლებოდა. წამით თითქოს მიყუჩდებოდა ქარიშხალი, მაგრამ შემდეგ ისეთი ძალით შემოუტევდა, გეგონებოდათ, ვეღარაფერი გაუძლებსო. ირგვლივ კი დარბოდნენ ადამიანები, ბაქნის ხის იატაკს აჭრაჭუნებდნენ, მხიარულად გასძახოდნენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ აღებდნენ და ხურავდნენ სადგურის დიდ კარს. ვიღაცის წელში წახრილმა ლანდმა ანას ფეხებთან გაისრიალა და რკინაზე ჩაქუჩის ცემის ხმა გაისმა. „დეპეშა გადმომეცი!“ – გაისმა ქარიშხლით მოცულ წყვდიადში ვიღაცის გაჯავრებული ხმა, – აქეთ წამოდი! #28!“ – ყვიროდნენ სხვები და დარბოდნენ შეფუთნილი, დათოვლილი ადამიანები. ვიღაც ორმა ვაჟბატონმა პაპიროსის წევით ჩაუარა ანას. ანამ ერთხელ კიდევ ღრმად ჩაისუნთქა, რათა გული ეჯერებინა ცივი ჰაერით და ის იყო გამოიღო მუფთიდან ხელი, რათა სახელურისათვის მოეკიდა და ვაგონში ასულიყო, რომ ვიღაც სამხედრო პალტოში გამოწყობილი კაცი იქვე, მის გვერდით, ფარნის მოციმციმე შუქს ჩამოეფარა. ანამ მოიხედა და იმ წუთშივე იცნო ვრონსკი. ვრონსკიმ ხელი ქუდთან მიიტანა, თავი დახარა და ჰკითხა, ხომ არაფერი გნებავთ, ხომ არ შემიძლია რაიმე სამსახური გაგიწიოთო? ანას საკმაოდ დიდხანს პასუხი არ გაუცია, სახეში შეჰყურებდა და მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკი სიბნელეში იდგა, მაინც ხედავდა ან შეიძლება ეჩვენებოდა, რომ ხედავდა

მისი სახისა და თვალების გამომეტყველებას. სახეზე კვლავ ის აღტაცებული თაყვანისცემა ეწერა, გუშინ რომ ასე იმოქმედა ანაზე. ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში რამდენჯერ უთხრა ანამ თავის თავს და სულ ახლახანაც გაიფიქრა, რომ ვრონსკი მისთვის ერთი იმ ყმაწვილკაცთაგანია, რომლის მსგავსი ასობით შეხვედრია მუდამ და ყველგან, რომ იგი არასოდეს მასზე ფიქრის უფლებასაც არ მისცემს თავს, მაგრამ ახლა, შეხვედრის პირველსავე წამს, სიხარულის მომგვრელმა სიამაყის გრძნობამ შეიპყრო. მისთვის საჭირო არ იყო იმის კითხვა, რა უნდოდა ვრონსკის აქ. ანამ ისე დაბეჯითებით იცოდა ეს, თითქოს ვრონსკის თავისი პირით ეთქვას, აქ იმიტომ ვარ, რომ იქ ვიყო, სადაც თქვენ ხართო.

– მე არ ვიცოდი, თუ თქვენც მოდიოდით, რისთვის მოდიხართ? – უთხრა ანამ და ძირს ჩამოუშვა ხელი, სახელურისათვის რომ უნდა მოეკიდა. მის გამოცოცხლებულ სახეზე დაუოკებელი სიხარული ბრწყინავდა.

– რისთვის მოვდივარ? – გაიმეორა ვრონსკიმ და პირდაპირ თვალებში შეხედა ანას, – თქვენ იცით ეს, იმიტომ მოვდივარ, რომ იქ ვიყო, სადაც თქვენ ხართ, – უთხრა მან, – მე სხვანაირად არ შემიძლია.

და სწორედ ამ დროს, თითქოს დაბრკოლება გადალახაო, ქარმა თოვლი გადმოყარა ვაგონების სახურავებიდან და რაღაც აგლეჯილი რკინის ფურცელი აარახუნა, წინ კი ორთქლმავლის მწუხარე, გულამოსკვნილი კივილი გაისმა. ანას ახლა უფრო მომხიბვლელი ეჩვენა ქარიშხლის მთელი მშვენიერება. ვრონსკიმ სწორედ ის უთხრა, რაც გულს ეწადა, გონებას კი ეშინოდა. ანამ არაფერი უპასუხა, ვრონსკი მის სახეზე კითხულობდა ამ ბრძოლას.

– მაპატიეთ, თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არის ის, რაც გითხარით, – ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან.

ვრონსკი მოკრძალებით, მოწიწებით ეუბნებოდა ამას, მაგრამ მის ხმაში ისეთი სიმტკიცე, ისეთი შეუპოვრობა ისმოდა, რომ ანამ დიდხანს ვერ შეძლო პასუხის მიცემა.

– რასაც თქვენ ამბობთ, ძალიან ცუდია და მე გთხოვთ, თუ თქვენ კარგი ადამიანი ხართ, დაივიწყოთ ის, რაც მითხარით, ისევე როგორც მე დავივიწყებ, – უთხრა ბოლოს ანამ.

– არც ერთ თქვენს სიტყვას, არც ერთ თქვენს მოძრაობას, არასოდეს დავივიწყებ და არც შემიძლია დავიწყება...

– კმარა, კმარა! – წამოიძახა ანამ და ამაოდ შეეცადა მკაცრი გამომეტყველება მიეცა სახისთვის, რომელსაც ხარბად შესცქეროდა ვრონსკი. ანამ ხელი მოჰკიდა ვაგონის გაყინულ სახელურს, კიბეზე ავიდა და სწრაფად მიიმალა ვაგონის დერეფანში. აქ კი, ვაგონის პატარა დერეფანში, შეჩერდა და გონებაში წარმოიდგინა ყველაფერი, რაც მოხდა. ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიხსენა, რა უთხრა მან ან რა უპასუხა თვითონ, მაგრამ იგრძნო, რომ ამ წუთიერმა საუბარმა საოცრად დააახლოვა ისინი: ანას კიდეც აშინებდა ეს და ბედნიერიც იყო ამით. რამდენიმე წამს კიდევ შეიცადა, მერე ვაგონში შევიდა და თავის ადგილას დაჯდა. დაძაბულობა, პირველად რომ ტანჯავდა, არათუ განუახლდა, ისე გაუცხოველდა, და იმ ზომამდე მიაღწია, რომ ყოველ წუთს ეშინოდა, არ ჩამწყდარიყო მასში რაღაც მეტისმეტად დაჭიმული. მთელი ღამე ანამ უძილოდ გაატარა. მაგრამ ამ დაძაბულობასა და ოცნებაში, რამაც მთლიანად შთანთქა მისი გონება, არაფერი ყოფილა უსიამოვნო და სამწუხარო; პირიქით, მასში იყო რაღაც სიხარულის მომგვრელი, აღმგზნები, გამაცოცხლებელი. ნაშუადღევს სავარძელში ჩასთვლიმა და როცა გამოეღვიძა, უკვე გათენებულიყო. მატარებელი პეტერბურგს უახლოვდებოდა. ანას მაშინვე გარს შემოეჯარნენ ფიქრები ოჯახზე, ქმარზე, შვილზე, დღევანდელ დღესა და მომავალ ცხოვრებაზე.

პეტერბურგში, როგორც კი მატარებელი გაჩერდა და ანა ვაგონიდან გადმოვიდა, პირველად ქმრის სახემ მიიქცია მისი ყურადღება. „ოჰ, ღმერთო ჩემო! რატომ აქვს ასეთი ყურები?“ – გაიფიქრა, როცა თვალი შეავლო ქმრის ცივ, წარმოსადეგ ტანადობას, განსაკუთრებით კი მის ყურებს, ხრტილებით მრგვალი შლაპის ფარფლებს რომ ებჯინებოდა. როგორც კი დაინახა ანა, ქმარი მაშინვე შესაგებებლად გამოემართა. ბაგეზე ჩვეული დამცინავი ღიმილი აუთამაშდა და მოქანცული, დიდი თვალებით პირდაპირ სახეში შეაჩერდა. რაღაც უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა ანას გულში, როცა ეს მტკიცე, მოქანცული გამომეტყველება დაინახა, თითქოს ელოდა, რომ სხვანაირს იხილავდა ქმარს. განსაკუთრებით გააოცა საკუთარი თავის უკმაყოფილების გრძნობამ, რაც ქმართან შეხვედრისას განიცადა. ეს ძველი, დიდი ხნის ნაცნობი გრძნობა იყო, რაღაც

თვალთმაქცობის მსგავსი, რაც ხშირად განუცდია ქმრის მიმართ. მაგრამ ადრე ასე არ უგრძნია, ახლა კი ცხადად შეიგრძნო და მეტისმეტად ატკინა გული.

– აი, როგორც ხედავ, შენი მოსიყვარულე ქმარი, მოსიყვარულე, როგორც ქორწინების მეორე წელს, შენი ნახვის სურვილით იწვოდა, – ნელა, თავისებური წვრილი ხმით უთხრა ქმარმა, ისეთი ტონით, როგორითაც ყოველთვის ელაპარაკებოდა ანას, დაცინვით მათ მიმართ, ვინც მართლა ასე იტყოდა.

– სერიოჟა ხომ კარგად არის? – ჰკითხა ანამ.

– მხოლოდ ეს არის ჯილდო მთელი ჩემი მგზნებარებისათვის, – უთხრა ქმარმა, – კარგად არის, კარგად...

XXXI

ვრონსკის არც უცდია დაძინება მთელი ღამის განმავლობაში. სავარძელში იჯდა და ხან გაშტერებით იყურებოდა წინ, ხან შემომსვლელ-გამსვლელთ ათვალიერებდა. და თუ წინათ აოცებდა და აღელვებდა უცნობთ თავისი შეურყეველი სიმშვიდით, ახლა კიდევ უფრო ამაყი და გულზვიადი ჩანდა. იგი ისე შეჰყურებდა ადამიანებს, როგორც უსულო საგნებს. მის პირდაპირ მჯდარმა ვიღაც ნერვიულმა ახალგაზრდამ, რომელიც თურმე საოლქო სასამართლოში მსახურობდა, მარტო ამ გამომეტყველების გამო შეიძულა ვრონსკი. ამ ახალგაზრდამ პაპიროსსაც მოუკიდა მისგან, გამოელაპარაკა, დაეჯახა კიდეც, რათა ამით მაინც ეგრძნობინებინა, ადამიანი ვარ და არა უსულო საგანიო. მაგრამ ვრონსკი ისე უყურებდა მას, როგორც ფარანს. და ახალგაზრდა იღრიჯებოდა, გრძნობდა, რომ მოთმინებიდან გამოჰყავდა ამ არაფრად ჩაგდებას.

ვრონსკი ვერავისა და ვერაფერს ხედავდა. თავი მეფედ წარმოედგინა, იმიტომ კი არა, რომ სჯეროდა, რაიმე შთაბეჭდილება მოვახდინეო ანაზე – ამაში ვრონსკი კიდევ არ იყო დარწმუნებული – არამედ იმიტომ, რომ შთაბეჭდილება, რაც ანამ მასზე მოახდინა, ბედნიერებითა და სიამაყით

აღავსებდა.

ვრონსკიმ არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას, არც ფიქრობდა ამაზე. გრძნობდა, რომ დღემდე დაქსაქსული, გაფანტული მისი ძალები შეერთდნენ და საშინელი სიძლიერით წარიმართნენ ერთი სანეტარო მიზნისაკენ. და ვრონსკი ბედნიერი იყო ამით. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ სიმართლე უთხრა ანას, რომ მიდიოდა იქ, სადაც ანა ეგულებოდა, რომ ახლა ვრონსკის მთელ ბედნიერებას, სიცოცხლის ერთადერთ მიზანს ანას ხილვა, მისი ხმის გაგონება შეადგენდა. როცა ბოლოგოვოს სადგურზე ჩამოვიდა სელტერის წყლის დასალევად და ანა დაინახა, უნებლიეთ მაშინვე ის უთხრა, რასაც ფიქრობდა, და გახარებული იყო, რომ უთხრა, რომ ახლა ანამ იცოდა ეს და ფიქრობდა ამაზე. ვრონსკის მთელი ღამე არ სძინებია. ვაგონში დაბრუნებული სულ იმას იხსენებდა, სად და როგორ ნახა ანა, აგონდებოდა ყოველი მისი სიტყვა და სიხარულით გული ეკუმშებოდა, როცა წარმოიდგენდა, რა იყო მოსალოდნელი მომავალში.

პეტერბურგში, როცა უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ ვაგონიდან ჩამოვიდა, თავს ისე მხნედ, ისე ყოჩაღად გრძნობდა, თითქოს ეს-ეს არის ცივი აბაზანა მიიღოო. იგი თავის ვაგონთან შეჩერდა, ანას გამოსვლას დაელოდა, „ერთხელ კიდევ დავინახავ, – ეუბნებოდა თავის თავს და უნებურად პირზე ღიმილი ადგებოდა, – თვალს შევავლებ მის სიარულს, სახეს, იქნებ მითხრას რამე, თავი მოაბრუნოს ჩემკენ, შემომხედოს, გამიღიმოს“. მაგრამ სანამ ანას იხილავდა, უმალ მისი ქმარი დაინახა, რომელსაც მოკრძალებით მოაცილებდა ხალხში სადგურის უფროსი. „ჰო, მართლა, ქმარი!“ მხოლოდ ახლა წარმოიდგინა ცხადად, რომ ქმარი ანასთან დაკავშირებული პიროვნება იყო. განა არ იცოდა, რომ ქმარი ჰყავდა, მაგრამ არ სჯეროდა მისი არსებობა. ახლა კი, როცა დაინახა, დაინახა მისი თავი, მხრები, ფეხები, შავი შარვალი, ნამდვილად ირწმუნა მისი არსებობა. განსაკუთრებით იგრძნო ეს, როცა ქმარმა მშვიდად მოჰკიდა ხელი ანას ხელს, როგორც თავის საკუთრებას.

როცა ვრონსკიმ დაინახა ალექსეი ალექსანდროვიჩის პეტერბურგულად ჯანსაღი სახე, თვალი ჰკიდა მის ზვიად, თავის თავში ღრმად დაჯერებულ გარეგნობას, მის მრგვალ შლაპას, ოდნავ მოხრილ ბეჭებს, ნამდვილად დარწმუნდა მის

არსებობაში და ისეთივე უსიამო გრძნობა დაეუფლა, რასაც განიცდის წყურვილით განაწამები კაცი, რომელმაც ძლივს მიაღწია წყარომდე, წყაროში კი ძაღლი, ცხვარი ან ღორი დაუხვდა, რომელთაც კიდეც შეასვეს და კიდეც აამღვრიეს წყალი, განსაკუთრებით აღიზიანებდა ალექსეი ალექსანდროვიჩის სიარული, როცა იგი მთელი სხეულით ირხეოდა და იქნევდა მოუქნელ ფეხებს. ვრონსკი მხოლოდ თავის თავს ანიჭებდა ანას სიყვარულის სრულ უფლებას. ანა კი კვლავ ისეთივე მშვენიერი იყო. მისმა გარეგნობამ ისევ ისე ძლიერად იმოქმედა მასზე, გამოაცოცხლა, აღაგზნო და ბედნიერებით აღუვსო გული. ვრონსკიმ უბრძანა გერმანელ ლაქიას, რომელმაც მეორე კლასის ვაგონიდან მიირბინა მასთან, ბარგი შინ მიეტანა, თვითონ კი ანასთან მივიდა. მან დაინახა ცოლ-ქმრის პირველი შეხვედრა და მის თვალს არ გამოჰპარვია, როგორი ოდნავ შესამჩნევი უხერხულობა დაეუფლა ანას ქმართან საუბრისას. „არა, არ უყვარს ქმარი და არც შეიძლება უყვარდეს“, – გადაწყვიტა გულში.

ვრონსკიმ სიხარულით შენიშნა, რომ ანამ შორიდანვე იგრძნო მისი მიახლოება, მოიხედა მისკენ და როგორც კი იცნო, მაშინვე ქმრისკენ მიტრიალდა.

– ხომ კარგად გაატარეთ ღამე? – ჰკითხა ვრონსკიმ და თავი დახარა მის წინ. საერთო სალამი მისცა, ალექსეი ალექსანდროვიჩს მიანდო, მიიღებდა თუ არა ამ სალამს ან იცნობდა თუ არა.

– გმადლობთ, ძალიან კარგად, – უპასუხა ანამ.

ანას სახეზე მოქანცულობა ეტყობოდა. აღარ დასთამაშებდა ის ცხოველი სხივი, რომელიც ხან მისი ღიმილიდან იღვრებოდა, ხან თვალებიდან; მაგრამ ვრონსკიმ შეამჩნია, მის დანახვაზე, სულ ერთი წამით, როგორმა ცეცხლმა გაიელვა ანას თვალებში და მართალია, ეს ცეცხლი უმალვე ჩაქრა, მაგრამ ამ ერთი წამითაც ბედნიერი იყო. ანამ ქმარს შეხედა, უნდოდა გაეგო, იცნობდა თუ არა ვრონსკის, ალექსეი ალექსანდროვიჩი უკმაყოფილოდ შეჰყურებდა, თითქოს უნდოდა გაეხსენებინა, ვინ იყო იგი. ამ წუთში ვრონსკის მშვიდი თავდაჯერება ისე დაეჯახა ალექსეი ალექსანდროვიჩის შეურყეველ გულზვიადობას, როგორც ცელი ქვას.

– გრაფი ვრონსკი, – უთხრა ანამ.

– აჰა, ჩვენ მგონი ვიცნობთ ერთმანეთს, – უგულოდ უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ხელი გაუწოდა, – აქედან დედასთან ერთად იმგზავრეთ, იქიდან კი შვილთან ერთად, – იგი ისე მკაფიოდ გამოთქვამდა თითოეულ სიტყვას, თითქოს სიტყვები არ ემეტებაო, – უთუოდ შვებულება გექნებათ? – ჰკითხა და პასუხს აღარ დაელოდა, ცოლს მიუბრუნდა და თავისებური ხუმრობის კილოთი განაგრძო, – რაო, ბევრი ცრემლი დაიღვარა მოსკოვში განშორებისას?

ამით აგრძნობინა ვრონსკის, რომ ცოლთან მარტო დარჩენა უნდოდა, მისკენ მიტრიალდა და შლაპისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ვრონსკიმ ანა არკადიევნას მიმართა: – ვიმედოვნებ, მექნება პატივი თქვენთან მოსვლისა! – უთხრა მან.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა მოქანცული თვალები მიაპყრო ვრონსკის: – დიდად მოხარული ვიქნებით, – ცივად უპასუხა მან, – ჩვენ ორშაბათობით ვიღებთ სტუმრებს! – მერე ყურადღება აღარ მიუქცევია მისთვის და მაშინვე ცოლისკენ მიტრიალდა, – რა კარგია, რომ სწორედ ნახევარი საათი მქონდა თავისუფალი, რათა შეგხვედროდი და დამემტკიცებინა ჩემი შენდამი სიყვარული! – ისეთივე ხუმრობის კილოთი განაგრძო მან.

– მეტისმეტად უსვამ ხაზს შენს სიყვარულს, რათა უფრო მეტად დავაფასო, – ისეთივე ხუმრობის კილოთი მიუგო ანამაც და უნებურად ყური მიუგდო მათ უკან მომავალი ვრონსკის ფეხის ხმას. „რა მესაქმება მასთან?“ – გაიფიქრა და ქმარს შეეკითხა, უჩემოდ როგორ ატარებდაო დროს სერიოჟა.

– ოჰ, შესანიშნავად! Mariette ამბობს, მეტად საყვარელი ბიჭიაო! და... საწყენი უნდა გითხრა... უშენობას ისე არ წუხდა, როგორც შენი ქმარი. კიდევ ერთხელ მადლობას გწირავ, ჩემო მეგობარო, რომ მაჩუქე ეს დღე. ჩვენი საყვარელი სამოვარი აღტაცებული იქნება (სამოვარს ის ცნობილ გრაფინია ლიდია ივანოვნას ეძახდა იმის გამო, რომ ყველაფერზე ღელავდა და ცხარობდა). გიკითხა კიდეც. იცი, გავბედავ და რჩევას გეტყვი: კარგი იქნებოდა, დღესვე წასულიყავი მასთან. ხომ იცი, ყველაფერზე შესტკივა გული და ახლა ყველა მის საზრუნავს ობლონსკების შერიგების საქმეც მიემატა.

გრაფინია ლიდია ივანოვნა გახლდათ ანას ქმრის მეგობარი და ცენტრი პეტერბურგის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი

წრისა, რომელთანაც ქმრის გამო ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული ანა.

– მე ხომ მივწერე წერილი!

– კი მაგრამ, მას სურს დაწვრილებით იცოდეს ყველაფერი, ჩემო მეგობარო, ინახულე იგი, თუ დაღლილი არა ხარ. აბა, შენ კონდრატი მოგართმევს კარეტას, მე კი კომიტეტში წავალ. ახლა აღარ ვისადილებ მარტო, – უკვე სერიოზული კილოთი დასძინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ვერ წარმოიდგენ, როგორ მივეჩვიე...

და მას დიდხანს ეჭირა ანას ხელი, კარეტაშიც განსაკუთრებული ღიმილით ჩასვა.

XXXII

სახლში ყველაზე პირველად ანას ვაჟიშვილი შემოეგება. კიბეზე ჩამოირბინა, ყური არ ათხოვა გუვერნანტის ძახილს და გახარებულმა მორთო ყვირილი: „დედა! დედა!“ – მიირბინა მასთან და კისერზე ჩამოეკიდა.

– ხომ გეუბნებოდით, დედაა-მეთქი! – უყვიროდა იგი გუვერნანტს, – მე ვიცოდი!

შვილმაც, ისე როგორც ქმარმა, გულგატეხილობის მსგავსი გრძნობა აღუძრა. უკეთესად ჰყავდა წარმოდგენილი შვილი, ვიდრე სინამდვილეში იყო. ანა უნდა დაშვებულიყო სინამდვილემდე, რათა დამტკბარიყო იმით, რაც იყო. თუმცა სერიოჟა მაინც მშვენიერი იყო. მშვენიერი იყო მისი ქერა კულულები, ცისფერი თვალები, წინდებში გამოკვართული მსუქანი, მაღალი ფეხები. ანა თითქმის ფიზიკურ ნეტარებას განიცდიდა მასთან სიახლოვითა და ალერსით, სულიერ სიმშვიდეს ანიჭებდა მისი გულღია ნდობითა და სიყვარულით აღსავსე მზერა, მისი გულუბრყვილო შეკითხვები. ანამ ამოალაგა დოლის ბავშვების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები, უამბო, როგორი გოგონაა მოსკოველი ტანია, როგორი კითხვა იცის და როგორ ასწავლის სხვა ბავშვებსაც.

– მერე, განა მე იმაზე ცუდი ვარ? – ჰკითხა სერიოჟამ.

– ჩემთვის ყველაზე უკეთესი ხარ მთელ ქვეყანაზე!

– მე ეს ვიცი! – ღიმილით უთხრა სერიოჟამ.

ანამ ყავის დალევაც ვერ მოასწრო, რომ მოახსენეს, გრაფინია ლიდია ივანოვნა მობრძანდაო. გრაფინია ლიდია ივანოვნა მაღალი, წარმოსადეგი ქალი იყო, მეტად ყვითელი, ავადმყოფური სახის ფერი და მშვენიერი, შავი, ფიქრიანი თვალები ჰქონდა. ანას უყვარდა გრაფინია, მაგრამ დღეს თითქოს პირველად შენიშნა მთელი მისი ნაკლოვანებანი.

– რა ქენით, ჩემო მეგობარო, ჩაუტანეთ ზეთისხილის რტო? – ოთახში შემოსვლისთანავე იკითხა ლიდია ივანოვნამ.

– დიახ, დასრულდა ყველაფერი, მაგრამ ყოველივე ეს არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენ გვეგონა, – უპასუხა ანამ, – საერთოდ, ჩემი belle soeur[17] მეტისმეტად მტკიცე ხასიათის ქალია.

მაგრამ ლიდია ივანოვნას, რომელსაც ყველაფერი აინტერესებდა, ჩვევად ჰქონდა, ბოლომდე არ მოესმინა მისთვის საინტერესო ამბავი. ახლაც შეაწყვეტინა ანას: – დიახ, ბევრი მწუხარება და ბოროტებაა ამქვეყნად. მეც ძალიან შეწუხებული ვარ დღეს.

– რა მოხდა? – ჰკითხა ანამ და ღიმილის შეკავებას შეეცადა.

– მოვიქანცე სიმართლისათვის ამაო ბრძოლაში, ზოგჯერ სულ გამომელევა ხოლმე ძალ-ღონე. დების საქმე (ეს ერთი ფილანთროპიული, რელიგიურ-პატრიოტული დაწესებულება იყო) მშვენივრად წარიმართებოდა, მაგრამ იმ ვაჟბატონებთან ვერაფერს გახდები, – ბედის დამცინავი მორჩილებით დასძინა ლიდია ივანოვნამ, – ისინი ჩაეჭიდნენ ამ აზრს, ჯერ დაამახინჯეს, მერე კი ისე დააწვრილმანეს, რომ სულ არარაობად აქციეს. მხოლოდ ორ-სამ კაცს და მათ შორის თქვენს ქმარსაც ესმის ამ საქმის მთელი მნიშვნელობა. დანარჩენები კი მხოლოდ სახელს უტეხენ.

პრავდინი საზღვარგარეთ მყოფი ცნობილი პანსლავისტი იყო და გრაფინია ლიდია ივანოვნა მოუყვა წერილის შინაარსს.

შემდეგ გრაფინიამ უამბო, რამდენი უსიამოვნება ეღობებოდა

ეკლესიათა გაერთიანების საქმეს და საჩქაროდ წავიდა, რადგან იმ დღეს კიდევ ერთი საზოგადოების სხდომას უნდა დასწრებოდა და სლავიანელთა კომიტეტშიც უნდა შეევლო.

„ყოველივე ეს ხომ წინათაც ასე იყო, რატომ ვერ ვამჩნევდი? – ეკითხებოდა ანა თავის თავს, – იქნებ დღეს მეტისმეტად გაგულისებული იყო გრაფინია? მართლაც სასაცილოა: იგი ქრისტეს მცნებათა მიმდევარია, მისი მიზანია, სიკეთე თესოს ქვეყანაზე და სულ იმას ჩივის, რომ მტრები ჰყავს და ეს მტრები ქრისტიანობასა და ქველმოქმედებაში უშლიან ხელს“.

გრაფინია ლიდია ივანოვნას შემდეგ ანას მეგობარი მოვიდა, დირექტორის მეუღლე, და ქალაქის ახალი ამბები უამბო. სამი საათისათვის ისიც წავიდა და შეჰპირდა, სადილად შემოვივლიო. ალექსეი ალექსანდროვიჩი სამინისტროში იყო. მარტოდ დარჩენილმა ანამ სადილობამდე დარჩენილი დრო იმას მოახმარა, რომ შვილის სადილობას დაესწრო (ბავშვი ყოველთვის მარტო სადილობდა) და წესრიგში მოიყვანა თავისი ნივთები, წაიკითხა და პასუხი გასცა საწერ მაგიდაზე დაგროვილ წერილებს.

მგზავრობაში განცდილი უმიზეზო სირცხვილის გრძნობა და მღელვარება სრულიად გაუქრა. ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში თავს კვლავ მტკიცედ და უძრახველად გრძნობდა.

ანა ახლა გაოცებით იხსენებდა თავის გუშინდელ მდგომარეობას: „მაინც რა მოხდა? არაფერი. ვრონსკიმ სისულელე მითხრა, რასაც ადვილად მოეღება ბოლო და მეც ისე ვუპასუხე, როგორც საჭირო იყო. ამის თქმა ქმრისთვის საჭირო არ არის და არც შეიძლება. თქმა იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობა მისცე იმას, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. გაახსენდა, როგორ უამბო ქმარს ერთი მისი ხელქვეითის, ახალგაზრდა კაცის ამბავი, რომელიც პეტერბურგში თითქმის სიყვარულში გამოუტყდა ანას, ამაზე ალექსეი ალექსანდროვიჩმა ასე უთხრა: ყველა ქალს, რომელიც საზოგადოებაში ტრიალებს, შეიძლება შეემთხვეს ამგვარი რამ, მაგრამ მე სავსებით ვენდობი შენს ტაქტს და ნებას არასოდეს მივცემ თავს, ვიეჭვიანო და ამით დავიმცირო საკუთარი თავიც და შენცო. „მაშასადამე, არაფრის თქმა არ არის საჭირო! მადლობა ღმერთს, სათქმელიც არაფერია!“ – თქვა თავისთვის ანამ.

XXXIII

ალექსეი ალექსანდროვიჩი ოთხ საათზე დაბრუნდა სამინისტროდან, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ვერ მოასწრო ანასთან შესვლა, პირდაპირ კაბინეტში შევიდა, რათა მთხოვნელები მიეღო, რომლებიც ელოდნენ და ხელი მოეწერა საქმეთა მმართველის მოტანილ ქაღალდებზე. სადილად (კარენინებთან ყოველთვის სამი-ოთხი კაცი სადილობდა) მოვიდნენ ალექსეი ალექსანდროვიჩის ბიძაშვილი, ხანში შესული ქალი, დეპარტამენტის დირექტორი მეუღლითურთ და ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ალექსეი ალექსანდროვიჩთან იყო გამოგზავნილი სამსახურში მოსაწყობად. ანა სტუმრების გასართობად სასტუმროში გამოვიდა. სრულ ხუთ საათზე, როგორც კი პეტრე პირველის ბრინჯაოს საათმა მეხუთედ ჩამორეკა, ალექსეი ალექსანდროვიჩიც შემოვიდა. თეთრი ჰალსტუხი ეკეთა და ორი ვარსკვლავით დამშვენებული ფრაკი ეცვა, რადგან სადილის დამთავრებისთანავე სხვაგან იყო წასასვლელი. მას ცხოვრების ყოველი წუთი დაკავებული და განაწილებული ჰქონდა და ყოველდღიური საქმეები რომ მოესწრო, მეტად მკაცრი წესრიგი ჰქონდა შემოღებული. „აუჩქარებლად და შეუსვენებლად“, – ასეთი გახლდათ მისი დევიზი. ალექსეი ალექსანდროვიჩი სასტუმროში შემოვიდა, საერთო სალამი მისცა ყველას, საჩქაროდ დაჯდა და ცოლმა გაუღიმა.

– დიახ, დასრულდა ჩემი მარტოობა. შენ არ დამიჯერებ, რა უხერხულია (სიტყვა „უხერხული“ ხმის აწევით თქვა) მარტო სადილობა! – ალექსეი ალექსანდროვიჩი მოსკოვის ამბებზე ემუსაიფა ცოლს, სტეპან არკადიჩიც მოიკითხა დამცინავი ღიმილით; მაგრამ უმთავრესად საერთო საუბარი მიმდინარეობდა პეტერბურგის საზოგადოებრივ და სამსახურებრივ საკითხებზე. ნასადილევს ალექსეი ალექსანდროვიჩმა ნახევარი საათი კიდევ დაჰყო სტუმრებთან, შემდეგ ისევ ღიმილით ჩამოართვა ცოლს ხელი, სასტუმროდან გამოვიდა და საბჭოში წავიდა.

ამ საღამოს ანა არ წასულა არც ქალბატონ ბეტსი ტვერსკაიასთან, რომელსაც შეეტყო მისი ჩამოსვლა და საღამოზე ეპატიჟებოდა, და არც თეატრში, სადაც სადღეისოდ ლოჟა ჰქონდა აღებული. არ წავიდა უმთავრესად იმიტომ, რომ კაბა, რომლის ჩაცმასაც ფიქრობდა, მზად არ იყო. საერთოდ, სტუმრების წასვლის შემდეგ, როცა თავისი ტანისამოსი

გადაათვალიერა, მეტად გულნაკლული დარჩა. მოსკოვში წასვლის წინ ანამ, რომელიც დახელოვნებული იყო იმაში, რომ ჩაცმულობა ძვირად არ დასჯდომოდა, სამი კაბა დაუტოვა მკერავს გადასაკეთებლად. კაბები ისე უნდა გადაეკეთებინა, რომ ვერავის ეცნო და ჯერ კიდევ სამი დღის წინ უნდა ყოფილიყო მზად. აღმოჩნდა, რომ ორი კაბისათვის ჯერ სულაც არ მოეკიდა ხელი, ერთი კი ისე არ იყო გადაკეთებული, როგორც მას უნდოდა. მკერავი მოვიდა მიზეზის ასახსნელად და უმტკიცებდა, ასე უკეთესიაო. ამაზე კი ანა ისე გაცხარდა, რომ მერე თვითონვე რცხვენოდა ამის გახსენება. სრული სიმშვიდის მოსაპოვებლად ისევ საბავშვო ოთახს მიაშურა. მთელი საღამო შვილთან გაატარა, თვითონვე დააწვინა დასაძინებლად, პირჯვარი გადაწერა და საბანი დაახურა. მოხარული იყო, რომ არსად წავიდა და ასე კარგად გაატარა საღამო. ისე მშვიდად და კარგად გრძნობდა თავს, რომ მისთვის ახლა სავსებით ნათელი შეიქნა ყოველივე ის, რაც ასე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა მგზავრობის დროს, რომ ეს სრულიად უმნიშვნელო, მაღალი საზოგადოებისთვის ჩვეულებრივი შემთხვევა იყო და არაფერი ჰქონდა სასირცხვილო არც თავის თავისა და არც სხვის წინაშე. ანამ ინგლისური რომანი აიღო და ქმრის მოლოდინში ბუხარს მიუჯდა. ზუსტად ათის ნახევარზე ზარის ხმაც გაისმა და ოთახში ალექსეი ალექსანდროვიჩი შემოვიდა.

– ძლივს არ მოხვედი! – უთხრა ანამ და ხელი გაუწოდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელზე აკოცა და მის გვერდით ჩამოჯდა.

– საერთოდ, მე ვხედავ, რომ შენმა მგზავრობამ ჩინებულად ჩაიარა, – უთხრა ქმარმა.

– დიახ, – უპასუხა ანამ და დაწვრილებით მოუყვა, როგორ იმგზავრა გრაფინია ვრონსკაიასთან ერთად, როგორ ჩავიდა, რა მოხდა რკინიგზის სადგურზე; შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა, როგორ შეებრალა ძმა, მერე კი დოლი.

– მართალია, შენი ძმაა, მაგრამ არა მგონია, შეიძლებოდეს გამართლება ასეთი ადამიანისა, – მკაცრად შენიშნა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

ანამ გაიღიმა. იცოდა, ამას იმიტომ ეუბნებოდა, რომ ეჩვენებინა,

ნათესაური კავშირი სრულიად ხელს არ მიშლის, გულწრფელად გამოვთქვაო ჩემი აზრი.

ანა იცნობდა ქმრის ამ ხასიათს და მოსწონდა კიდეც.

– მოხარული ვარ, რომ ყველაფერმა კეთილად ჩაიარა და შენ ჩამოხვედი, – განაგრძო მან, – რას ამბობენ იქ ახალ დებულებაზე, რომელიც მე გავატარე საბჭოში?

ანას არაფერი გაუგია ამ დებულებაზე და შერცხვა, ასე იოლად რომ დაივიწყა ის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ქმრისთვის.

– აქ კი პირიქით, დიდი აურზაური გამოიწვია, – თვითკმაყოფილი ღიმილით დასძინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

ანა მიხვდა, რომ მას ამ ამბავზე რაღაც თავისთვის სასიამოვნოს თქმა უნდოდა და შეკითხვებით იქამდე მიიყვანა, სანამ არ ათქმევინა ყველაფერი. ალექსეი ალექსანდროვიჩმაც ისეთივე კმაყოფილების ღიმილით უამბო, რა ოვაციები გაუმართეს ამ დებულების გატარების შემდგომ.

– მე ამან ძალიან, ძალიან გამახარა. ამით დამტკიცდა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენშიც მყარდება გონიერი, მტკიცე შეხედულება ამ საკითხზე.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა მეორე ჭიქა ჩაიც მიირთვა ნაღებითა და პურით, მერე წამოდგა და კაბინეტისაკენ გასწია.

– შენ არსად წასულხარ? უთუოდ მოწყენილი იქნებოდი, – უთხრა მან.

– ოჰ, არა, – უპასუხა ანამ, თვითონაც წამოდგა, სასტუმრო ოთახი გაიარა და კაბინეტამდე მიაცილა ქმარი.

– რას კითხულობ ახლა? – ჰკითხა მან.

– Due de Lille, „Poèsie des enfers des enfers“,[18] – უპასუხა ქმარმა, – შესანიშნავი წიგნია.

ანამ გაიღიმა, როგორც იღიმებიან საყვარელი ადამიანის ნაკლზე, ხელი გაუყარა და კაბინეტის კარამდე მიჰყვა. იცოდა მისი ჩვეულება, რომ ყოველ საღამოს აუცილებლად უნდა ეკითხა წიგნი, იცოდა, რომ მისი სამსახურებრივი საქმიანობა თითქმის მთლიანად ნთქავდა მის დროს, მაგრამ მაინც

ვალდებულად თვლიდა თავს, თვალყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც კი შესანიშნავი გამოჩნდებოდა გონებრივ სფეროში. ისიც იცოდა, რომ სინამდვილეში პოლიტიკური, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო წიგნები აინტერესებდა, რომ ხელოვნება სრულიად უცხო იყო მისი ბუნებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ან უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამის გამო, ალექსეი ალექსანდროვიჩს არაფერი გამოეპარებოდა, რაც კი ამ საკითხის ირგვლივ გახმაურდებოდა და თავის მოვალეობად რაცხდა ყველაფერი წაეკითხა. ანამ იცოდა, რომ პოლიტიკის, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების საკითხებში ალექსეი ალექსანდროვიჩი შესაძლოა დაეჭვებულიყო რამეში, ეძებნა რაღაც ახალი, მაგრამ პოეზიის, ხელოვნებისა და განსაკუთრებით კი მუსიკის საკითხებში, რომლებიც სრულიად გაუგებარი იყო მისთვის, მეტად შეზღუდული აზრები ჰქონდა და მტკიცედაც ადგა ამ აზრებს. მას უყვარდა ლაპარაკი შექსპირზე, რაფაელზე, ბეთჰოვენზე, მუსიკისა და პოეზიის ახალ სკოლებსა და მათ მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს სკოლები მეტად მკაფიო თანამიმდევრობით ჰქონდა განაწილებული.

– მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – უთხრა კაბინეტის კართან ანამ. კაბინეტში უკვე გამზადებული იყო მისთვის სანთელი შუქფარით, სავარძელთან კი წყლით სავსე გრაფინი იდგა, – მე კი მოსკოვში გასაგზავნ წერილებს დავწერ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ისევ ხელზე აკოცა ანას.

„მაინც კარგი ადამიანია, სამართლიანი, კეთილი და თავის საქმეში შესანიშნავიც, – ამბობდა თავისთვის კაბინეტიდან შემობრუნებული ანა, თითქოს იცავდა ვიღაცის წინაშე, რომელიც ბრალს სდებდა მას და ეუბნებოდა, მისი სიყვარული არ შეიძლებაო, – მაგრამ ეს ყურები მაინც რატომ აქვს ასე უცნაურად წამოშვერილი!.. იქნებ თმა შეიკრიჭა?“

ზუსტად თორმეტ საათზე, როცა ანა ისევ საწერ მაგიდასთან იჯდა და დოლისთან გასაგზავნ წერილს ამთავრებდა, თანაბარი ნაბიჯების ხმაც გაისმა და პირდაბანილი, თმადავარცხნილი ალექსეი ალექსანდროვიჩი იღლიაში ამოდებული წიგნით ანასთან მივიდა.

– დროა, დროა, – განსაკუთრებული ღიმილით უთხრა მან და საწოლ ოთახში გავიდა.

„რა უფლება ჰქონდა ასე შეეხედა მისთვის?“ – გაიფიქრა ანამ და გაიხსენა, როგორი თვალით გადახედა ვრონსკიმ ალექსეი ალექსანდროვიჩს.

ანამ ტანისამოსი გაიხადა და საწოლ ოთახში გავიდა, მაგრამ სახეზე არათუ აღარ ეტყობოდა ის მჩქეფარე სიხარული, მოსკოვში ყოფნის დროს ასე რომ იღვრებოდა მისი თვალებიდან და ღიმილიდან, პირიქით, ახლა ეს ცეცხლი თითქოს ჩამქრალიყო, ან სადღაც შორს მიმალულიყო.

XXXIV

როცა ვრონსკი პეტერბურგიდან წავიდა, თავისი დიდი ბინა მორსკაიაზე თავის მეგობარსა და საყვარელ ამხანაგს, პეტრიცკის დაუტოვა.

პეტრიცკი ახალგაზრდა პორუჩიკი იყო. იგი არათუ გამოირჩეოდა თავისი სახელითა და სიმდიდრით, პირიქით, ყელამდე ვალში იყო ჩაფლული და ჰაუპტვახტშიც ბევრჯერ მჯდარა სხვადასხვა სასაცილო და ზოგჯერ ბინძური საქმის გამოც, მაგრამ მეგობრებსა და უფროსებს მაინც უყვარდათ. თორმეტი საათისათვის, როცა რკინიგზის სადგურიდან მომავალი ვრონსკი თავის ბინას მიუახლოვდა, სადარბაზო კარის წინ ნაცნობი კარეტა შენიშნა. კართან რომ ზარი ჩამორეკა, შიგნიდან მამაკაცების ხარხარი, ქალის ტიტინი და პეტრიცკის შეძახილი შემოესმა: „თუ ვინმე არამზადაა, არ შემოუშვათ!“ ვრონსკიმ მსახური ჯარისკაცი გააფრთხილა, არაფერი ეთქვა და ჩუმად შევიდა პირველ ოთახში. ბარონესა შილტონი, პეტრიცკის მეგობარი, რომელსაც ერთნაირად უბრწყინავდა ლილისფერი ატლასის კაბა და აწითლებული, პატარა, თეთრი სახე, იადონივით მთელ ოთახს პარიზული ტიკტიკით აყრუებდა, მრგვალ მაგიდას მისჯდომოდა და ყავას ამზადებდა. ერთ მხარეს პალტოჩაცმული პეტრიცკი უჯდა, მეორე მხარეს კი სრულ ფორმაში გამოწყობილი როტმისტრი კამეროვსკი, რომელიც, ეტყობა, ახალი მოსული იყო სამსახურიდან.

– ვაშა! ვრონსკი მოვიდა! – წამოიძახა პეტრიცკიმ, – თვით მასპინძელი მობრძანდა! ბარონესა, ახალ ყავადანში მოადუღე მისთვის ყავა! სწორედ არ გელოდით! იმედი მაქვს, კმაყოფილი დარჩებით თქვენი კაბინეტის სამკაულით, – უთხრა და ბარონესაზე მიუთითა, – ხომ იცნობთ ერთმანეთს?

– როგორ არ ვიცნობთ! – მხიარული ღიმილით თქვა ვრონსკიმ და ჩამოართვა ბარონესას პაწია ხელი, – ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ!

– თქვენ პირდაპირ მატარებლიდან მოდიხართ? – ჰკითხა ბარონესამ, – მაშ, მე მივრბივარ! ახლავე წავალ, თუკი ხელს გიშლით!

– თქვენი სახლი ის არის, სადაც ბრძანდებით, ბარონესა! – უთხრა ვრონსკიმ, – გამარჯობა, კამეროვსკი! – დაუმატა მან და უგულოდ ჩამოართვა ხელი კამეროვსკის.

– აი, თქვენ ვერასოდეს ახერხებთ ასე კარგად ლაპარაკს, – მიმართა ბარონესამ პეტრიცკის.

– რატომაც ვერ ვახერხებ? ნასადილევს მე უკეთესს ვიტყვი.

– ნასადილევს უკვე აღარ ექნება ფასი! მაშ, მე ყავას მოგიმზადებთ, თქვენ კი მიბრძანდით, პირი დაიბანეთ, ტანისამოსი გამოიცვალეთ, – უთხრა ბარონესამ, ისევ ძველ ადგილას დაჯდა და გულმოდგინედ დაიწყო ხრახნის ტრიალი ახალ ყავადანში, – პიერ, ყავა მომიტანე, – მიუბრუნდა იგი პეტრიცკის, რომელსაც პიერს ეძახდა მისი გვარის გამო და არც მალავდა თავის ურთიერთობას მასთან, – დავუმატებ ყავას.

– გააფუჭებთ.

– არა, არ გავაფუჭებ! ჰო, თქვენი მეუღლე სადღაა? – წამოიძახა უცებ ბარონესამ და ვრონსკის ამხანაგებთან საუბარი შეაწყვეტინა, – ჩვენ აქ უკვე დაგაქორწინეთ. ჩამოიყვანეთ თქვენი მეუღლე?

– არა, ბარონესა. მე ბოშად დავბადებულვარ და ბოშადვე მოვკვდები.

– მით უკეთესი, მით უკეთესი. მომეცით ხელი.

და ბარონესამ აღარ გაუშვა ხელი ვრონსკის, დაუწყო ლაპარაკი თავისი ცხოვრების უკანასკნელ გეგმებზე, თან ათასნაირ

ხუმრობას ურთავდა და რჩევას ეკითხებოდა.

– ის კიდევ არ იძლევა განქორწინებას, როგორ უნდა მოვიქცე? („ის“ მისი ქმარი იყო). ახლა მინდა პროცესი დავიწყო. თქვენ როგორ მირჩევთ? კამეროვსკი, ყავას მიხედეთ, გადმოვიდა, ხომ ხედავთ, მე საქმე მაქვს! პროცესი იმიტომ მინდა, რომ ჩემი ქონება მესაჭიროება. თქვენ წარმოგიდგენიათ ასეთი სისულელე, თითქოს მე მას ვღალატობდე, – ზიზღით თქვა ბარონესამ, – და ამ საბაბით უნდა ჩემს ქონებას დაეპატრონოს.

ვრონსკი სიამოვნებით უგდებდა ყურს ლამაზი ქალის ამ მხიარულ ტიკტიკს, კვერს უკრავდა და თან სახუმარო რჩევა-დარიგებას აძლევდა. მან მაშინვე მიიღო ჩვეული ტონი, რომელიც საჭირო იყო ამგვარ ქალებთან საუბარში. მისი პეტერბურგული სამყარო ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ადამიანებად იყოფოდა. ერთნი იყვნენ დაბალი ხარისხის ადამიანები: სულელნი, უხამსნი და, რაც მთავარია, სასაცილონი, რომელთაც სწამდათ, რომ ქმარმა უნდა იცხოვროს მარტოოდენ ცოლთან, რომელთანაც ქორწინებით არის დაკავშირებული, ქალიშვილი უმანკო უნდა იყოს, ქალი – მორცხვი, მამაკაცს კი ვაჟკაცობა, სიმტკიცე და თავშეკავება უნდა ჰქონდეს, რომ უნდა ზარდონ შვილები, შრომით მოიპოვონ ლუკმაპური, იხადონ ვალები და სხვა ამგვარი სისულელეები. ესენი იყვნენ ძველი ყაიდის, სასაცილო ადამიანები, მაგრამ იყო სხვა ჯურის ხალხიც, ნამდვილი ადამიანები, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ყველა ისინი და სადაც უმთავრესად უნდა ყოფილიყვნენ ელეგანტური, ლამაზი, სულგრძელი, მამაცი, მხიარული ადამიანები, რომელნიც დაურიდებლად უნდა დასწაფებოდნენ ყოველგვარ ვნებას, სხვა დანარჩენი კი სასაცილოდაც არ უნდა ჰყოფნოდათ.

ვრონსკი მხოლოდ პირველ წუთებში იყო გაბრუებული იმ სრულიად სხვა სამყაროს შთაბეჭდილებათა შემდეგ, მოსკოვიდან რომ ჩამოჰყვა; მაგრამ მაშინვე, თითქოს ძველ ფეხსაცმელში წაყოო ფეხი, დაუბრუნდა თავის ძველ, მხიარულ და სასიამოვნო სამყაროს.

ყავა კი მაინც ვერ მომზადდა, გადმოვიდა, გაწუწა ყველა და სწორედ ის მოხდა, რაც საჭირო იყო, ესე იგი აურზაურისა და სიცილის საბაბი მისცა ყველას, გადაესხა ძვირფას ხალიჩას და ბარონესას კაბას.

– აბა, ახლა კი მშვიდობით, თორემ თქვენ ვერასოდეს დაიბანთ პირს და ჩემს კისერზე იქნება ისეთი დიდი ცოდვა, როგორიც არის უსუფთაობა წესიერი კაცისათვის. მაშ, თქვენ მირჩევთ, რომ დანა ყელზე დავაჭირო?

– აუცილებლად, ოღონდ ისე, რომ თქვენი პატარა ხელი ახლოს იყოს მის ტუჩებთან. ის თქვენ ხელს დაგიკოცნით და ყველაფერი კეთილად გათავდება, – უპასუხა ვრონსკიმ.

– მაშ, დღეს ფრანგულ თეატრში ვიქნები, – და ბარონესა კაბის შარიშურით გაქრა ოთახიდან.

კამეროვსკიც წამოდგა, ვრონსკიმ აღარ დაუცადა მის წასვლას, ხელი გაუწოდა და საპირფარეშო ოთახისკენ გასწია. სანამ ვრონსკი პირს იბანდა, პეტრიცკიმ მოკლედ აუწერა თავისი მდგომარეობა, რომელიც რამდენადმე შეცვლილიყო პეტერბურგიდან ვრონსკის წასვლის შემდეგ. ფული სულ აღარ ჰქონია. მამასაც უთქვამს, ვერაფერს მოგცემ და ვერც ვალებს გადაგიხდიო. მკერავიც ციხეში ჩასმას უქადის. მეორეც ამასვე ემუქრება. პოლკის უფროსსაც გამოუცხადებია, თუ ამ აყალმაყალს ბოლო არ მოუღე, გადაგაყენებო. ბარონესასაც მწარე ბოლოკივით მოუბეზრებია თავი იმით, რომ ერთთავად ფულს აჩეჩებს. ყოფილა ვიღაც სხვა, რომელსაც აუცილებლად აჩვენებს ვრონსკის, რაღაც გასაოცარი მშვენიერებაა, აღმოსავლური სტილის ქალი, „გესმის, მხევალ რებეკას genre“, გუშინ ბერკუშევთანაც მოსვლია ჩხუბი. სეკუნდანტების გამოგზავნა ნდომებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი გამოუვა. საერთოდ კი ყველაფერი ჩინებული და სასიხარულოაო. და პეტრიცკიმ საშუალება აღარ მისცა ამხანაგს, ჩაჰკვირვებოდა მის მდგომარეობას. ახლა სხვა საინტერესო ამბების მოყოლა დაიწყო. ვრონსკი ყურს უგდებდა პეტრიცკის ესოდენ ნაცნობ საუბარს საკუთარი ბინის ესოდენ ნაცნობ გარემოში, სადაც სამი წელი გაეტარებინა და სიამოვნებდა, რომ დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ, პეტერბურგულ უზრუნველ ცხოვრებას.

– შეუძლებელია! – დაიყვირა მან და ძირს დაუშვა პირსაბანის პედალი, რომლიდანაც გაწითლებულ, ჯან-ღონით სავსე კისერზე წყალს ისხამდა, – შეუძლებელია! – წამოიძახა მან, – როცა გაიგო, ლორა მილეევს გაჰყვა და ფერტინგოფი მიატოვაო, – და იგი მაინც ისეთივე სულელი და ბედნიერია? ბუზულუკოვი როგორღაა?

– ოჰ, ბუზულუკოვს რომ საქმე დაემართა, მართლაც შესანიშნავია, – წამოიძახა პეტრიცკიმ, – ის ხომ ბალებით არის გატაცებული, სასახლის არც ერთ ბალს არ დააკლდება, ერთხელაც წავიდა დიდ ბალზე თავისი ახალი ჩაჩქნით. შენ არ გინახავს ახალი ჩაჩქანი? ძალიან კარგია, მსუბუქიც არის. დგას ჩვენი ბუზულუკოვი... არა, შენ ყური დამიგდე.

– ჰო, ყურს გიგდებ, – უპასუხა ვრონსკიმ, რომელიც ხაოიანი პირსახოცით სახეს იმშრალებდა.

– ჩამოუვლია დიდი მთავრის მეუღლეს ვიღაც ელჩთან ერთად და ბუზულუკოვის საუბედუროდ ახალ ჩაჩქანებზე ჩამოუგდიათ ლაპარაკი. დიდი მთავრის მეუღლეს თურმე ახალი ჩაჩქნის ჩვენება უნდოდა. ხედავენ, დგას ჩვენი ძვირფასი ბუზულუკოვი (პეტრიცკიმ წარმოადგინა, როგორ იდგა ბუზულუკოვი ჩაჩქნით თავზე), დიდი მთავრის მეუღლემ სთხოვა, მიეწოდებინა ჩაჩქანი. ის არ აძლევს. რაშია საქმე? თვალს უკრავენ, თავს უქნევენ, წარბშეკვრით ანიშნებენ, მიეცით, ის მაინც არ იძლევა... დგას გაშეშებული. შენ წარმოგიდგენია!.. მხოლოდ იმას, რა ჰქვია... ჩაჩქანი უნდა გამოართვას... არ აძლევს! მან გამოსტაცა ჩაჩქანი და დიდი მთავრის მეუღლეს გაუწოდა. „ეს არის ახალი“, – ეუბნება დიდი მთავრის მეუღლე, ჩაჩქანი შეატრიალა და, წარმოგიდგენია, უცებ იქიდან, ტყაპ! მსხლები, კანფეტები, ორი გირვანქა კანფეტი! თურმე შეუგროვებია ჩვენს ძვირფას ბუზულუკოვს!

ვრონსკი სიცილისაგან გადაბრუნდა და შემდეგ დიდხანს, სხვა რამეზე რომ ლაპარაკობდნენ, გაახსენდებოდა ის ჩაჩქანი და ისევ აუტყდებოდა ხარხარი, ისევ აჩენდა თავის მაგარ, მიჯრილ კბილებს.

ვრონსკიმ მოისმინა ახალი ამბები, ლაქიის დახმარებით ჩაიცვა მუნდირი და გამოსაცხადებლად წავიდა. გამოცხადების შემდეგ განზრახული ჰქონდა ძმასთან შეევლო, მოენახულებინა ბეტსი და კიდევ რამდენიმე ადგილას მისულიყო სადარბაზოდ, რათა დაეწყო სიარული იმ წრეში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კარენინასთან შეხვედრა. და, როგორც საერთოდ ხდება პეტერბურგში, ვრონსკიც იმ განზრახვით გამოვიდა სახლიდან, რომ შუაღამემდე აღარ დაბრუნებულიყო შინ.

ნაწილი მეორე

I

ზამთრის მიწურულს შჩერბაცკების სახლში კონსილიუმი მოიწვიეს, რომელსაც უნდა გამოერკვია კიტის ჯანმრთელობა და გადაეწყვიტა, რა ზომები უნდა მიეღოთ იმისათვის, რათა დასუსტებული ავადმყოფი კვლავ ღონეზე მოსულიყო. კიტი ავად იყო და გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად მისი ჯანმრთელობაც თანდათან უარესდებოდა. შინაექიმი თევზის ქონს, ლაპისსა და რკინის წვეთებს ასმევდა და რაკი არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ავადმყოფს არაფერს შველოდა, შინაექიმი კი საგაზაფხულოდ საზღვარგარეთ წასვლას ურჩევდა, ცნობილი ექიმი იქნა მოწვეული. ცნობილმა ექიმმა, ჯერ ისევ ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზმა მამაკაცმა, ავადმყოფის გასინჯვა მოითხოვა. იგი განსაკუთრებული სიამოვნებით იცავდა იმ აზრს, რომ ქალწულებრივი სიმორცხვე მხოლოდ და მხოლოდ ნაშთია ბარბაროსობისა და სრულიად ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა შიშველი ყმაწვილი ქალი გასინჯოს. ამას ბუნებრივად მიიჩნევდა იმიტომ, რომ თვითონ ყოველდღე აკეთებდა ამას და, როგორც ეგონა, გასინჯვისას ცუდს არაფერს გრძნობდა და არც ფიქრობდა: ამიტომაც ქალიშვილს მორცხვობას არათუ ბარბაროსობის ნაშთად თვლიდა, პირად შეურაცხყოფადაც მიიჩნევდა.

უნდა დამორჩილებოდნენ, რადგან, მართალია, ყველა ექიმმა ერთი და იგივე სკოლა გაიარა, ერთი და იმავე წიგნებით ისწავლა და ერთი მეცნიერება შეითვისა, ისიც მართალია, რომ ზოგან იმასაც ამბობდნენ, ეს ცნობილი ექიმი ცუდი ექიმიაო, მაგრამ თავადის მეუღლის ოჯახში და მის წრეში რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, მხოლოდ ამ ცნობილმა ექიმმა იცის რაღაც განსაკუთრებული და მხოლოდ მას შეუძლია კიტის გადარჩენაო. ცნობილმა ექიმმა ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი, დიდხანს უკაკუნა სირცხვილისაგან დაბნეულსა და გაოგნებულ ავადმყოფს, შემდეგ გულმოდგინედ დაიბანა ხელები, სასტუმრო ოთახში გავიდა და თავადს გაუბა საუბარი.

თავადი ყურს უგდებდა ექიმს, თან შუბლს იჭმუხნიდა და დროდადრო ჩაახველებდა ხოლმე. მას, როგორც გამოცდილ, ჭკვიან და ჯანმრთელ ადამიანს, არაფერი სჯეროდა მედიცინისა და გულში ბრაზობდა მთელ ამ კომედიაზე, მით უმეტეს, რომ მის გარდა თითქმის არავის ესმოდა კიტის ავადმყოფობის მიზეზი; „ცრუპენტელაა“, – ფიქრობდა თავადი და მონადირეთა ლექსიკონიდან ამოღებულ ამ სიტყვას ცნობილ ექიმს უსადაგებდა, თან ყურს უგდებდა, რას ყბედობდა იგი მისი ქალიშვილის ავადმყოფობაზე. თვით ექიმი კი ძლივძლივობით იკავებდა ზიზღს ამ ძველი ბატონკაცისადმი და თავს ძალას ატანდა, მისი გაგების სიმდაბლემდე დაშვებულიყო. იცოდა, რომ მოხუცთან არაფერი ჰქონდა სალაპარაკო, რომ ამ სახლში თავიდათავი დედა იყო და ექიმიც სწორედ მის წინაშე აპირებდა თავის გამოჩენას. სწორედ ამ დროს ოთახში ქალბატონი შჩერბაცკაია შემოვიდა შინაექიმის თანხლებით. თავადი მაშინვე ჩამოსცილდა მათ, არ უნდოდა, ვინმეს შეემჩნია, თუ გულში რარიგად დასცინოდა მთელ ამ კომედიას. თავადის მეუღლე დაბნეული იყო და არ იცოდა, რა ექნა. იგი კიტის წინაშე დამნაშავედ გრძნობდა თავს.

– აბა, ექიმო, გადაწყვიტეთ ჩვენი ბედი, – თქვა თავადის მეუღლემ, – ნურაფერს დამიმალავთ. „არის თუ არა იმედი?“ – უნდოდა ეთქვა, მაგრამ ტუჩები აუთრთოლდა და ვეღარ შეძლო ამ კითხვის მიცემა, – რას იტყვით, ექიმო?..

– ახლავე, ქალბატონო, კოლეგას მოველაპარაკები და შემდეგ მექნება პატივი, მოგახსენოთ ჩემი აზრი.

– ასე რომ, უნდა დაგტოვოთ, არა?

– როგორც გენებოთ.

თავადის მეუღლემ ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა.

როდესაც ექიმები მარტონი დარჩნენ. შინაექიმმა გაუბედავად დაიწყო თავისი აზრის გამოთქმა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ეს არის ტუბერკულოზური პროცესის დასაწყისი, მაგრამ... და ა.შ. ცნობილი ექიმი ყურს უგდებდა მას და შუა საუბრის დროს თავის დიდ ოქროს საათს დახედა.

– დიახ, – თქვა მან, – მაგრამ...

შინაექიმი მოკრძალებით შეჩერდა შუა სიტყვაზე.

– როგორც მოგეხსენებათ, ტუბერკულოზური პროცესის დასაწყისის განსაზღვრა ჩვენ არ შეგვიძლია; კავერნების გაჩენამდე არაფერია გარკვეული, ეჭვის მიტანა კი შეიძლება. ნიშნებიც არის: ცუდი მადა, ნერვიული გაღიზიანება და სხვა. საკითხი ასე დგას: თუ ეჭვს მივიტანთ ტუბერკულოზურ პროცესზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მადა მოემატოს.

– მაგრამ, მოგეხსენებათ, აქ ყოველთვის, იმალება ზნეობრივი და სულიერი მიზეზები, – გაუბედავად, ოდნავი გაღიმებით შენიშნა შინაექიმმა.

– დიახ, ეს თავისთავად იგულისხმება, – უპასუხა ცნობილმა ექიმმა და კვლავ საათს დახედა, – უკაცრავად, გადებულია იაუზის ხიდი თუ ისევ გარშემო უნდა მოვუაროთ? – იკითხა მან, – აჰა, გადებულია! მაშ, ოცი წუთი კიდევ შემიძლია დავყო აქ. მაშასადამე, როგორც ვამბობდით, საკითხი ასე დგას: ხელი შევუწყოთ კვებას და გამოვასწოროთ ნერვიული მდგომარეობა. ერთი დაკავშირებულია მეორესთან. წრის ორივე მხარეს უნდა ვიმოქმედოთ.

– საზღვარგარეთ გამგზავრებაზე რას იტყვით? – შეეკითხა შინაექიმი.

– მე, საერთოდ, საზღვარგარეთ გამგზავრების მტერი ვარ და აი, რატომ: თუ ეს დასაწყისია ტუბერკულოზური პროცესისა, რისი ცოდნაც ჩვენ არ ძალგვიძს, მაშინ საზღვარგარეთ გამგზავრება არაფერს უშველის. აუცილებელია ისეთი საშუალების გამონახვა, რომელიც კვებას შეუწყობს ხელს და არც ავადმყოფს ავნებს, – და ცნობილმა ექიმმა გაუზიარა თავისი გეგმა სოდენის წყლებით მკურნალობაზე. ამ მკურნალობის მთავარი მიზანი, ალბათ, იმაში მდგომარეობდა, რომ წყლები ვერაფერს ავნებდნენ ავადმყოფს.

შინაექიმი ყურადღებით და მოწიწებით უსმენდა.

– მაგრამ საზღვარგარეთ გამგზავრების სასარგებლოდ მე იმას ვიტყოდი, რომ ეს შეცვლიდა მისი ცხოვრების ნირს, განარიდებდა იმ გარემოს, რომელიც მოგონებებს აღუძრავს. გარდა ამისა, დედასაც ასე უნდა, – თქვა შინაექიმმა.

– ჰო, ასეთ შემთხვევაში, დაე წავიდნენ, მხოლოდ იმ გერმანელ შარლატანებს უნდა უფრთხილდნენ... უნდა დაგვიჯერონ...

თუმცა, დაე, წავიდნენ... – და კვლავ საათს დახედა, – ოჰო, უკვე დროა! – და კარისკენ გაემართა.

ცნობილმა ექიმმა განუცხადა თავადის მეუღლეს (მას ეს თავაზიანობის გრძნობამ უკარნახა), ერთხელ კიდევ უნდა ვინახულო ავადმყოფიო.

– როგორ, კიდევ უნდა გასინჯოთ?! – წამოიძახა შეძრწუნებულმა დედამ.

– არა, ქალბატონო, მე მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი მაინტერესებს.

– მობრძანდით! – და დედა კიტის სასტუმრო ოთახში შეუძღვა ექიმს. გამხდარი, აწითლებული კიტი შუა ოთახში იდგა. განცდილი სირცხვილისაგან თვალები რაღაც უცნაურად უელავდა. ექიმის შესვლისას ერთიანად აენთო, თვალები ცრემლებით აევსო. მთელი ეს ავადმყოფობა და მკურნალობა რაღაც სისულელედ, თითქმის სასაცილოდ მიაჩნდა! ეს ისევე სასაცილოდ ეჩვენებოდა, როგორც დამსხვრეული ლარნაკის ნამტვრევთა შეკოწიწება. კიტის გული ჰქონდა მკვდარი, მათ კი უნდოდათ რაღაც ფხვნილებითა და აბებით განეკურნათ. მაგრამ ხომ ვერ აწყენინებდა დედას, მით უმეტეს, რომ დედა თავს დამნაშავედ გრძნობდა.

– თუ შეიძლება, დაბრძანდით, თავადის ასულო, – უთხრა ცნობილმა ექიმმა.

თვითონაც ღიმილით ჩამოჯდა კიტის წინ, მაჯაზე ხელი მოჰკიდა და ისევ დაუწყო მოსაწყენი კითხვების დასმა. კიტი პასუხობდა ექიმს, მაგრამ უცებ გაწყრა და წამოდგა.

– მაპატიეთ, ექიმო, მაგრამ ეს არავითარ შედეგს არ მოგცემთ. თქვენ უკვე მესამეჯერ მეკითხებით ერთსა და იმავეს.

ცნობილმა ექიმმა ეს არ იწყინა.

– ავადმყოფური გაღიზიანების ბრალია, – უთხრა თავადის მეუღლეს, როცა კიტი ოთახიდან გავიდა, – თუმცა მე უკვე დავამთავრე...

და ექიმმა მეცნიერულად აუხსნა თავადის მეუღლეს, როგორც განსაკუთრებით ჭკვიან მანდილოსანს, თავადის ასულის მდგომარეობა და სიტყვა იმით დაამთავრა, თუ როგორ უნდა

ესვა ავადმყოფს წყლები, რომელიც არაფრისათვის არ იყო საჭირო. შეკითხვაზე, წასულიყვნენ თუ არა საზღვარგარეთ, ექიმი ღრმად ჩაფიქრდა, თითქოს მეტად მძიმე საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი. დასასრულს ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: წაბრძანდით, მაგრამ არ დაუჯეროთ შარლატანებს და ყველაფერზე მე მომმართეთო.

თითქოს რაღაც სასიხარულო მოხდა ექიმის წასვლის შემდეგ. ქალიშვილთან შემობრუნებული დედა გამხიარულდა, კიტიც განზრახ მხიარულად აჩვენებდა თავს. მას ახლა ხშირად, თითქმის ყოველთვის სჭირდებოდა ამგვარი თვალთმაქცობა.

– მე მართლაც კარგად ვარ, maman, მაგრამ, თუ თქვენ წასვლა გწადიათ, წავიდეთ! – უთხრა კიტიმ, თავს ძალა დაატანა, ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს დაინტერესებული იყო მომავალი მგზავრობით და დედას სამგზავრო სამზადისზე გაუბა ლაპარაკი.

II

ექიმის წასვლისთანავე დოლიც მოვიდა. იცოდა, რომ ამ დღეს იყო დანიშნული კონსილიუმი და მართალია, თვითონაც ახალი წამომდგარი იყო ლოგინიდან (ზამთრის დამლევს დოლის გოგონა შეეძინა) და ბევრი საკუთარი დარდი და საზრუნავიც ჰქონდა, მაინც მიატოვა ძუძუთა ბავშვი, ავადმყოფი გოგონა და მოვიდა კიტის ბედის გასაგებად, რომელიც დღეს უნდა გადაწყვეტილიყო.

– აბა, როგორ არის საქმე? – იკითხა დოლიმ სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე, ისე, რომ ქუდიც არ მოუხდია, – ყველანი მხიარულად ხართ. ეტყობა, საქმე კარგად არის?

სცადეს, ეთქვათ, რა თქვა ექიმმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართალია, ექიმი ძალიან დალაგებულად და ძალიან დიდხანს ლაპარაკობდა, მაინც შეუძლებელი იყო მისი ნათქვამის გადმოცემა. საინტერესო მხოლოდ ის იყო, რომ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყდა.

დოლიმ უნებურად ამოიოხრა. მიდიოდა კიტი, მისი და, საუკეთესო მეგობარი, მისი ცხოვრება კი უსიხარულო იყო. შერიგების შემდეგ მისი ურთიერთობა სტეპან არკადიჩთან დამამცირებელი შეიქნა. ანას მიერ აღდგენილი კავშირი ვერ აღმოჩნდა გამძლე და ოჯახური თანხმობა კვლავ იმავე ადგილას გაიბზარა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ სტეპან არკადიჩი შინ არასოდეს იყო, ფულიც თითქმის არასოდეს ჰქონდა და ეჭვიც გამუდმებით ტანჯავდა დოლის. იგი ცდილობდა განედევნა ეს ეჭვი, რადგან ერთხელვე განცდილი წამებისა ეშინოდა. ეჭვიანობის ის პირველი აფეთქება ვეღარ განმეორდებოდა და თუნდაც რომ გამომჟღავნებულიყო ქმრის ღალატი, ისე აღარ იმოქმედებდა დოლიზე, როგორც პირველად. ახლა ეს მხოლოდ მის ოჯახურ ცხოვრებას აწეწავდა და დოლიც ნებას აძლევდა თავის თავს მოტყუებულიყო. სწორედ ამ სისუსტის გამო ეზიზღებოდა ქმარი, ყველაზე მეტად კი საკუთარი თავი. გარდა ამისა, დიდი ოჯახის ათასნაირი საზრუნავი გამუდმებით ტანჯავდა: ხან პატარას ვერ აწოვებდნენ ძუძუს ისე, როგორც საჭირო იყო, ხან ძიძა წავიდოდა, ხან კი, როგორც დღეს, რომელიმე ბავშვი გაუხდებოდა ავად.

– რაო, როგორ არიან თქვენები? – ჰკითხა დედამ.

– ეჰ, maman, თქვენ თქვენი სადარდებელიც ბევრი გაქვთ. ლილი ავად გახდა და მეშინია, ქუნთრუშა არ გამოაჩნდეს. აი, მხოლოდ დღეს გამოვედი გარეთ ამბის გასაგებად, თორემ შემდეგ, ღმერთმა დაიფაროს და, თუ ქუნთრუშა გამოაჩნდა, ფეხს ვეღარსად გავადგამ.

ექიმის წასვლის შემდეგ მოხუცი თავადიც გამოვიდა თავისი კაბინეტიდან, დოლის ლოყა მიუშვირა საკოცნელად, რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა და მერე ცოლს მიუბრუნდა.

– როგორ გადაწყვიტეთ, მიდიხართ? მერე მე რაღას მიპირებთ?

– მე ვფიქრობ, შენ აქ დარჩები, ალექსანდრ, – უთხრა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ.

– როგორც გინდოდეთ.

– Maman, მამა რატომ არ უნდა წამოვიდეს ჩვენთან ერთად? – უთხრა კიტიმ, – ისიც უფრო მხიარულად იქნება და ჩვენც.

მოხუცი თავადი წამოდგა, თავზე ხელი გადაუსვა კიტის. კიტიმ თავი ასწია და ნაძალადევი ღიმილით შეხედა მამას. ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ მთელ ოჯახში ყველაზე უკეთ მამას ესმოდა მისი, თუმცა ყველაზე ცოტას კი ელაპარაკებოდა. იგი, როგორც უმცროსი, მამის საყვარელი შვილი იყო და ფიქრობდა, ეს სიყვარული უფრო შორსმჭვრეტელს ხდისო მამას. და როცა მისი თვალები მამის ცისფერ, კეთილ თვალებს შეხვდნენ, რომელნიც დაჟინებით ჩასცქეროდნენ, კიტის მოეჩვენა, რომ მამა ყველაფერს ნათლად ხედავდა, ხედავდა ყოველივე ცუდს, რაც მასში ხდებოდა. კიტი წამოწითლდა და მამისკენ გადაიხარა, ეგონა, აკოცებდა მამა, მაგრამ მან მხოლოდ თმაზე გადაუსვა ხელი და ჩაილაპარაკა: – ოჰ, რა სისულელეა ეს შინიონი! ნამდვილ შვილს ვერ მოეფერები, ვიღაც მკვდარი დედაკაცის თმას უნდა ეალერსო. რაო, დოლინკა, – მიუბრუნდა უფროს ქალიშვილს, – შენი მშვენიერი რაღას იქმს?..

– არაფერს, მამა, – უპასუხა დოლიმ, მიხვდა, რომ საუბარი მის ქმარს შეეხებოდა, – სულ აქეთ-იქით დადის. მე თითქმის ვერ ვხედავ, – ვეღარ მოითმინა დოლიმ, რომ დამცინავი ღიმილით არ დაემატებინა ეს.

– სოფელში კიდევ არ წასულა ტყის გასაყიდად?

– ჯერ არ წასულა, სულ ემზადება წასასვლელად.

– ჰოო, – ჩაილაპარაკა თავადმა, – მაშ, მეც უნდა მოვემზადო? – აბა, გისმენთ, – მიუბრუნდა იგი ცოლს და ჩამოჯდა, – შენ კი აი, რა, კატია, – მიმართა მან უმცროს ქალიშვილს, – ოდესმე, ერთ მშვენიერ დღეს, გაიღვიძე და უთხარი შენს თავს: მე ხომ სრულიად ჯანმრთელი და მხიარული ვარ, მოდი, მამასთან ერთად დილაადრიან ცივ ჰაერზე გავისეირნებ-თქო, კარგი?

თითქოს სრულიად უბრალო რამ უთხრა მამამ, მაგრამ ამ სიტყვებზე კიტი დაიბნა, აირია, თითქოს დანაშაულზე მოუსწრეს. „დიახ, მან ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის და ამ სიტყვებით მეუბნება: მართალია, სამარცხვინოა, მაგრამ უნდა გადაიტანო შენი სირცხვილიო“. კიტის ძალა აღარ ეყო პასუხის გასაცემად. თითქოს დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ უცებ აქვითინდა და ოთახიდან გავარდა.

– ესეც შენი ხუმრობა! – თავს დაესხა ქალბატონი შჩერბაცკაია ქმარს, – შენ ყოველთვის... – და მოჰყვა საყვედურებს.

თავადი საკმაოდ დიდხანს ისმენდა ცოლის საყვედურებს, ხმას არ იღებდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო იღუშებოდა.

– ისეთი საცოდავია ეს საბრალო გოგონა, ისეთი საცოდავი, შენ კი ვერ გრძნობ, როგორ უკლავს გულს ყოველი გადაკრული სიტყვა იმაზე, რაც მისი ავადმყოფობის მიზეზი გახდა. ოჰ, არ გამაგონა მაინც! – მწუხარედ ჩაილაპარაკა თავადმა. სავარძლიდან წამოდგა, თითქოს უნდოდა გასულიყო ოთახიდან, მაგრამ კართან შეჩერდა, – დიახ, ბატონო, კანონი არსებობს და რადგანაც გამომიწვიე ამის სათქმელად, გეტყვი, ვინ არის დამნაშავე ყველაფერში: შენ, შენ და მხოლოდ შენ! კანონი ასეთი ვაჟბატონების წინააღმდეგ ყოველთვის ყოფილა და არის კიდეც! დიახ, რომ არ მომხდარიყო ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, მე, მოხუცი, ბარიერთან დავაყენებდი იმ ფრანტს. ჰო, ახლა კი დადექით და უმკურნალეთ, მოიყვანეთ ეს შარლატანები!

თავადს, ეტყობა, ბევრი რამ ჰქონდა კიდევ სათქმელი, მაგრამ ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, როგორც კი ყური მოჰკრა ქმრის ლაპარაკის ტონს, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, როცა კი საქმე სერიოზულ საკითხს შეეხებოდა, მაშინვე დამშვიდდა და სინანულს მიეცა.

– Alexandre, Alexandre, – ჩურჩულით წაიწია მან ქმრისკენ და აქვითინდა.

როგორც კი ქალბატონმა შჩერბაცკაიამ ტირილი დაიწყო, თავადი მაშინვე გაჩუმდა და ცოლთან მივიდა.

– კარგი, გეყოფა, გეყოფა! განა არ ვიცი, რომ შენთვისაც მძიმეა? რას იზამ? დიდი უბედურება არ დაგვტეხია. ღმერთი მოწყალეა, ღმერთს მადლობა შესწირე... – ეუბნებოდა და თვითონაც აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა. თავადმა კოცნითვე უპასუხა მის ცრემლებით დასველებულ ამბორს, ხელზე რომ იგრძნო, და ოთახიდან გავიდა.

როგორც კი აცრემლებული კიტი ოთახიდან გავიდა, დოლიმ თავისი დედობრივი, ოჯახში გამომუშავებული ჩვევით მაშინვე იგრძნო, რომ აქ ქალური საქმე იყო გასაკეთებელი და მოემზადა საამისოდ. ქუდი მოიხადა და შინაგანად დაძაბული მზად იყო სამოქმედოდ. სანამ დედა თავს ესხმოდა მამას, დოლი ცდილობდა, შეეკავებინა დედა, რამდენადაც ამის ნებას აძლევდა დედის პატივისცემა. მერე კი, როცა თავადმაც

იფეთქა, დოლი გაჩუმდა; მას რცხვენოდა დედის მაგივრად, მამისადმი კი სიყვარული იგრძნო, რომ ასე მალე დაუბრუნდა ჩვეული გულკეთილობა. მაგრამ როგორც კი მამა გავიდა, მაშინვე მოემზადა იმის გასაკეთებლად, რაც ყველაზე მთავარი და საჭირო იყო – უნდა შესულიყო კიტისთან და დაემშვიდებინა.

– მე დიდი ხანია მინდოდა მეთქვა თქვენთვის, maman, თქვენ იცით, რომ ლევინს, როცა უკანასკნელად იყო აქ, განზრახული ჰქონდა ხელი ეთხოვა კიტისათვის? სტივასთვის უთქვამს.

– მერე რა? მე არ მესმის...

– შეიძლება კიტიმ უარი უთხრა?.. თქვენთვის არაფერი უთქვამს?

– არა, ჩემთვის არაფერი უთქვამს არც ერთისა და არც მეორის შესახებ; მეტისმეტად ამაყია. მე ვიცი, ამისგან სჭირს კიდეც ყველაფერი.

– თქვენ წარმოგიდგენიათ, თუ უარი უთხრა ლევინს, – მე კი ვიცი, კიტი მას უარს არ ეტყოდა, ის რომ არ ყოფილიყო... მერე კი მან ისე საძაგლად მოატყუა.

ქალბატონ შჩერბაცკაიასთვის მეტისმეტად საშინელი იყო იმაზე ფიქრიც კი, თუ რა დიდი დანაშაული მიუძღოდა ქალიშვილის წინაშე, და გაჯავრდა: – ოჰ, ვერაფერი გამიგია! ახლა ყველას უნდა თავისი ჭკუით იცხოვროს, დედას აღარაფერს ეუბნებიან და აი, შედეგიც.

– Maman, მე კიტისთან წავალ.

– წადი, მე როდის დაგიშალე? – უთხრა დედამ.

III

როცა დოლი შევიდა კიტის კოპწია, ვარდისფერ vieux saxe[19] დედოფლებით მორთულ პატარა ოთახში, რომელიც ისეთივე ხალისიანი, ვარდისფერი და მხიარული იყო, როგორიც თვით

კიტი ამ ორი თვის წინ, გაახსენდა, როგორი გატაცებითა და სიყვარულით რთავდნენ შარშან ორივენი ამ ოთახს და გული მოუკვდა, როცა იქვე, კარის მახლობლად დაბალ სკამზე ჩამომჯდარი კიტი დაინახა. კიტი გაშტერებული დასჩერებოდა ხალიჩის კუთხეს. მან შეხედა დას, მაგრამ სახის ცივი, მკაცრი გამომეტყველება ოდნავადაც არ შესცვლია.

– მე ახლა წავალ და ჩავჯდები სახლში, შენ აღარ შეგეძლება ჩემთან მოსვლა, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ და გვერდით მოუჯდა, – მინდა მოგელაპარაკო.

– რაზე უნდა მომელაპარაკო? – სწრაფად ჰკითხა შეშინებულმა კიტიმ და თავი ასწია.

– აბა, რაზე უნდა მოგელაპარაკო, თუ არა შენს დარდზე?

– მე არავითარი დარდი არა მაქვს.

– კმარა, კიტი. ნუთუ ფიქრობ, რომ მე არაფერი ვიცი? ჩემთვის ყველაფერი ნათელია და დამიჯერე, ეს იმდენად უმნიშვნელოა... ჩვენ ყველას გამოგვიცდია ეს.

კიტი ხმას არ იღებდა, სახეზე კი სიმკაცრე ეხატებოდა.

– ის ღირსი არ არის, მისი გულისთვის იტანჯებოდე, – განაგრძო დარია ალექსანდროვნამ და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– ჰო, იმიტომ, რომ მე არაფრად ჩამაგდო, – აკანკალებული ხმით თქვა კიტიმ, – ნურაფერს მეტყვი, გეთაყვა, ნურაფერს მეტყვი!

– მერედა ვინ გითხრა ეს? ეს ხომ არავის უთქვამს. დარწმუნებული ვარ, შენ მას უყვარდი და უყვარხარ კიდეც, მაგრამ...

– ოჰ! ეს სამძიმარი ყველაზე ძნელი ასატანია ჩემთვის!.. – წამოიძახა უეცრად გაჯავრებულმა კიტიმ, სკამზე შეტრიალდა, გაწითლდა და სასწრაფოდ წაავლო ხელი ქამრის აბზინდას, რომელსაც ხან ერთ ხელში ატრიალებდა, ხან მეორეში. დოლიმ იცოდა დის ეს ხასიათი, გაბრაზების დროს რაიმესთვის უნდა წაევლო ხელი, ისიც იცოდა, რომ კიტიმ უცებ იცოდა გაცხარება, გაცხარების დროს კი აღარაფერი ახსოვდა და შეეძლო ბევრი რამ ზედმეტი და არასასიამოვნო ეთქვა. დოლი შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

– რა გინდა, რა გინდა, ამით მაგრძნობინო? – სხაპასხუპით

ეუბნებოდა კიტი, – ის, რომ მე მიყვარდა კაცი, რომელიც არაფრად მაგდებდა და ახლა ვკვდები მისი სიყვარულით? და ამას მეუბნება საკუთარი და, რომელიც ფიქრობს, რომ... რომ... რომ თანაგრძნობას მიწევს!.. არ მჭირდება მე ეს სიბრალული და თვალთმაქცობა!

– კიტი, შენ არა ხარ მართალი.

– რატომ მტანჯავ?

– მე, პირიქით... ვხედავ, რომ დაღონებული ხარ...

მაგრამ გაცხარებულ კიტის მისი აღარაფერი ესმოდა.

– მე არაფერი მაქვს სამწუხარო და სანუგეშო. იმდენად ამაყი ვარ, რომ უფლებას არასოდეს მივცემ თავს, მიყვარდეს ის ადამიანი, რომელსაც არ ვუყვარვარ.

– მე არც მითქვამს ეს... მხოლოდ სიმართლე მითხარი, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ და ხელზე ხელი მოჰკიდა დას, – მითხარი, გითხრა რამე ლევინმა?

ეტყობა, ლევინის ხსენებამ უკანასკნელი მოთმინებაც დააკარგვინა კიტის. სკამიდან წამოხტა, ქამრის აბზინდა ძირს დაანარცხა და ხელების ქნევით დაიწყო ლაპარაკი.

– ლევინი რაღა შუაშია? ვერ გამიგია, რატომ გინდა ჩემი წამება? მე შენ გითხარი და გიმეორებ, რომ მე ამაყი ვარ და არასოდეს, არასოდეს გავაკეთებ იმას, რასაც შენ სჩადიხარ, – დავუბრუნდე იმ ადამიანს, რომელმაც მიღალატა, რომელმაც სხვა ქალში გამცვალა. ჩემთვის გაუგებარია, გაუგებარი! შენ შეგიძლია ეს, მე კი არა!

ეს რომ თქვა, დას გადახედა და დაინახა, რომ დოლის მწუხარედ დაეხარა თავი და დუმდა. და კიტი, ნაცვლად იმისა, ოთახიდან გასულიყო, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა, ისევ კართან სკამზე ჩამოჯდა, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და თავი ჩაჰკიდა.

დუმილმა ორიოდე წუთს გასტანა. დოლი თავის თავზე ფიქრობდა. თავის დამცირებამ, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა, განსაკუთრებით მოუკლა გული, როცა ამის შესახებ საკუთარმა დამ გაახსენა. იგი არ ელოდა დისგან ასეთ შეუბრალებლობას და გაჯავრებული იყო კიტიზე. მაგრამ

უეცრად დოლიმ ყური მოჰკრა კაბის შრიალს, ამ ხმასთან ერთად შეკავებული ქვითინიც გაისმა და ვიღაცის ხელები ქვევიდან კისერზე შემოეჭდო. კიტი დაჩოქილი იდგა მის წინ.

– დოლინკა, მე ძალიან, ძალიან უბედური ვარ! – დამნაშავედ წაიჩურჩულა კიტიმ.

და კიტის ცრემლებით დანამული, ლამაზი სახე დარია ალექსანდროვნას კაბის ნაოჭებში ჩაიმალა.

თითქოს ცრემლები ის აუცილებელი მალამო იყო, ურომლისოდაც ორი დის ურთიერთგაგების მანქანა წარმატებით ვერ წარიმართებოდა, – ცრემლების შემდეგ დები აღარ ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც აინტერესებდათ. მართალია, სულ სხვა საგანზე საუბრობდნენ, მაგრამ მაინც ესმოდათ ერთმანეთისა. კიტი მიხვდა, რომ მისმა გაბრაზებით ნათქვამმა სიტყვებმა ქმრის ორგულობასა და თავის დამცირებაზე გული დაუკოდა მის საბრალო დას, მაგრამ მაინც აპატია ეს დანაშაული. დოლიმაც თავის მხრივ გაიგო ყველაფერი, რისი გაგებაც ეწადა; იგი დარწმუნდა, რომ მისი გუმანი მართალი გამოდგა, რომ კიტის საწუხარი, მისი უკურნებელი დარდი სწორედ ის იყო, რომ ლევინმა ხელი სთხოვა და მან უარი უთხრა, ხოლო ვრონსკიმ მოატყუა და ახლა კიტი მზად იყო შეეყვარებინა ლევინი და შესძულებოდა ვრონსკი. კიტის არაფერი უთქვამს ამის შესახებ; იგი მხოლოდ თავის სულიერ განწყობაზე ლაპარაკობდა.

– მე არავითარი მწუხარება არა მაქვს, – ამბობდა უკვე დამშვიდებული კიტი, – მაგრამ შენ წარმოგიდგენია, ყველაფერი შემძულდა, ყველაფერი უხეში და საძაგელი მეჩვენება და უწინარეს ყოვლისა კი საკუთარი თავი. შენ ვერ წარმოიდგენ, რა საძაგელი აზრები მაქვს ყველაფერზე.

– აბა, რა საძაგელი აზრები შეიძლება გქონდეს შენ? – ღიმილით ჰკითხა დოლიმ.

– ძალიან, ძალიან საძაგელი და ტლანქი აზრები. თქმასაც ვერ ვახერხებ. ეს არც მოწყენილობაა, არც სევდა, ეს რაღაც უფრო მძიმეა. თითქოს ყველაფერი, რაც კი კარგი და კეთილი იყო ჩემში, სადღაც მიიმალა და დარჩა მხოლოდ რაღაც მეტად საძაგელი. აბა, როგორ გითხრა? – განაგრძო კიტიმ, როცა დის თვალებში გაოცება ამოიკითხა, – მამამ ახლა ლაპარაკი დამიწყო... მე კი მგონია, ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ

უნდა გავთხოვდე. დედა რომ ბალზე წამიყვანს, მგონია, მხოლოდ იმიტომ მივყავარ, რომ ჩქარა გამათხოვოს და მომიშოროს თავიდან. მე ვიცი, რომ ეს მართალი არ არის, მაგრამ თავიდან ვერ მომიცილებია ეს ფიქრები, ეგრეთ წოდებული საქმროები ხომ თვალის დასანახავად შემძულდნენ. ასე მგონია, ზომას მიღებენ-მეთქი. წინათ საბალო კაბით სადმე წასვლა ჩემთვის სიამოვნება იყო, მე თვითონ მომწონდა ჩემი თავი, ახლა კი მრცხვენია, უხერხულობას ვგრძნობ. რა გინდა, რომ ქნა? ექიმი... მაგრამ...

კიტიმ უცბად შეწყვიტა ლაპარაკი, უნდოდა, ეთქვა, მას შემდეგ, რაც ჩემში ეს ცვლილება მოხდა, საშინლად აღარ მსიამოვნებს სტეპან არკადიჩი და მისი დანახვა ყოვლად საძაგელ, უხეშ აზრებს აღმიძრავსო.

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ყველაფერი მეტისმეტად საძაგლად და უხეშად მეჩვენება, – განაგრძო მან, – ეს არის ჩემი ავადმყოფობა. შესაძლოა, გამიაროს ამან...

– შენც ნუღარ იფიქრებ...

– არ შემიძლია, მხოლოდ ბავშვებთან, მხოლოდ შენთან ვგრძნობ თავს კარგად.

– სამწუხაროა, რომ ჩემთან მოსვლა აღარ შეგეძლება.

– არა, მოვალ. მე უკვე მოხდილი მაქვს ქუნთრუშა და maman-ს ვთხოვ.

კიტიმ მაინც თავისი გაიტანა და დასთან გადავიდა. ქუნთრუშა მართლაც აღმოაჩნდათ ბავშვებს და მთელი ავადმყოფობის განმავლობაში კიტი უვლიდა მათ. დებმა მშვიდობით მოახდევინეს ქუნთრუშა ექვსივე ბავშვს, მაგრამ კიტის ჯანმრთელობა არ გამოკეთებულა და დიდმარხვისათვის შჩერბაცკები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

IV

პეტერბურგის მაღალი წრე სინამდვილეში ერთია: ყველანი იცნობენ ერთმანეთს, დადიან კიდეც ერთიმეორესთან; მაგრამ

ამ დიდ წრეს აქვს თავისი დანაყოფები. ანა არკადიევნა კარენინას მეგობრები ჰყავდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სამ სხვადასხვა წრესთან. ერთი იყო მისი ქმრის სამსახურებრივი, ოფიციალური წრე, რომელშიც შედიოდნენ ალექსეი ალექსანდროვიჩის თანამოსამსახურენი და ხელქვეითნი, რომელნიც საზოგადოებრივ პირობებში სულ სხვადასხვაგვარად, უცნაურად იყვნენ დაკავშირებულნი და გათიშულნი ერთიმეორისაგან. ანას ახლა ძლივსღა ახსოვდა, პირველ ხანებში როგორ ღვთაებრივ მოკრძალებას განიცდიდა ამ პირებისადმი. ახლა კი ყველა მათგანს იცნობდა ისე, როგორც სამაზრო ქალაქში იცნობენ ერთმანეთს; იცოდა, ვის რა ჩვეულება ან რა სუსტი მხარე ჰქონდა; ვის რა აწუხებდა; ვის როგორი ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან ან მთავარ ცენტრთან; იცოდა, ვინ ვის ემხრობოდა, როგორ და რატომ, ვინ ვის ეთანხმებოდა ან არ ეთანხმებოდა და რაში არ ეთანხმებოდა; მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი, მამაკაცური ინტერესების წრეს, მიუხედავად ლიდია ივანოვნას შთაგონებისა, არასოდეს შეეძლო დაეინტერესებინა ანა და ისიც ყოველთვის გაურბოდა მას.

მეორე წრე, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ანას, გახლდათ ის წრე, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა კარიერა ალექსეი ალექსანდროვიჩმა. ამ წრის ცენტრად გრაფინია ლიდია ივანოვნა ითვლებოდა. ეს გახლდათ ხნიერ, ულამაზო, ქველმოქმედ და ღვთისმოსავ ქალთა და ჭკვიან, განსწავლულ და პატივმოყვარე მამაკაცთა წრე. ერთი ჭკვიანთაგანი, რომელიც თვითონაც ამ წრის წევრად ითვლებოდა, „პეტერბურგის საზოგადოების სინდისს“ უწოდებდა ამ წრეს. ალექსეი ალექსანდროვიჩი დიდად აფასებდა ამ წრეს და ანამაც, რომელმაც ყველასთან იცოდა შეგუება, პეტერბურგში ცხოვრების პირველ ხანებში ამ წრეშიც გაიჩინა მეგობრები. ახლა კი, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, მისთვის აუტანელი შეიქნა ეს წრე. ანას მოეჩვენა, რომ თვითონ ისიც და ამ წრის სხვა წევრებიც თვალთმაქცობდნენ და ისეთ მოწყენილობას, ისეთ უხერხულობას გრძნობდა მათთან, რომ რამდენადაც შესაძლებელი იყო, იშვიათად დადიოდა გრაფინია ლიდია ივანოვნასთან.

დასასრულ, მესამე წრე, რომელთანაც კავშირი ჰქონდა ანას, იყო ნამდვილი მაღალი საზოგადოება, საზოგადოება ბალებისა, სადილებისა, ბრწყინვალე მორთულობისა, საზოგადოება,

რომელიც ცალი ხელით სამეფო კარს ეჭიდებოდა, რომ არ დაშვებულიყო ნახევრად მაღალ წრემდე, რომელიც, როგორც ამ წრის წევრები ფიქრობდნენ, სძულდათ მათ, მაგრამ რომელსაც არამცთუ ემსგავსებოდნენ გემოვნებით, არამედ თითქმის ერთი და იგივენი იყვნენ. ამ წრესთან ანას ურთიერთობა ჰქონდა ბიძაშვილის მეუღლის, ქალბატონ ბეტსი ტვერსკაიას მეშვეობით, რომელსაც წლიურად ას ოცი ათასი მანეთის შემოსავალი ჰქონდა და რომელმაც ანას საზოგადოებაში გამოჩენისთანავე განსაკუთრებით შეიყვარა იგი, მუდამ პატივს სცემდა, იზიდავდა თავისი წრისაკენ და დასცინოდა გრაფინია ლიდია ივანოვნას წრეს.

– როცა დავბერდები და დავუშნოვდები, მეც, ალბათ, ასეთი გავხდები, – ამბობდა ბეტსი, – მაგრამ თქვენთვის, ახალგაზრდა ქალისათვის, ჯერ ადრეა მაგ დავრდომილთა თავშესაფარში შესვლა.

პირველ ხანებში ანა, რამდენადაც კი შეეძლო, გაურბოდა ქალბატონ ტვერსკაიას წრეს, რადგანაც იგი უფრო მეტ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე ანას ამის შესაძლებლობა ჰქონდა, და ისედაც პირველი წრე უფრო მოსწონდა; მაგრამ მოსკოვში გამგზავრების შემდეგ პირიქით მოხდა. იგი გაურბოდა თავის სულიერ მეგობრებს და ამ მაღალი საზოგადოებისაკენ მიისწრაფოდა. აქ ანა ხვდებოდა ვრონსკის და ამ შეხვედრებით მღელვარე სიხარულს განიცდიდა. განსაკუთრებით ხშირად ხვდებოდა ბეტსისთან, რომლის ქალიშვილობის გვარი ვრონსკაია იყო და ბიძაშვილად ერგებოდა ვრონსკის. ვრონსკი ყველგან იყო, სადაც კი ანას ნახვა შეიძლებოდა და როცა კი საშუალება მიეცემოდა, ელაპარაკებოდა თავის სიყვარულზე. ანა არავითარ საბაბს არ აძლევდა, მაგრამ ყოველთვის, როცა კი ვრონსკის შეხვდებოდა, მის სულში კვლავ აინთებოდა ის სიხარულის მომგვრელი გრძნობა, რომელიც იმ დღეს განიცადა ვაგონში, ვრონსკისთან პირველად შეხვედრისას. ანა თვითონვე გრძნობდა, რომ ვრონსკის დანახვაზე ყოველთვის სიხარულით უელავდა თვალები, ღიმილი უპობდა ბაგეს და ძალა არ შესწევდა ჩაექრო ეს სიხარულის სხივი.

პირველ ხანებში ანას გულწრფელად სჯეროდა, რომ უკმაყოფილო იყო ვრონსკისა, რადგან იგი უფლებას აძლევდა თავს კვალდაკვალ ასდევნებოდა, მაგრამ მალე, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ანა ერთ-ერთ საღამოზე მივიდა,

სადაც იმედი ჰქონდა, შეხვდებოდა ვრონსკის და ის კი იქ არ დაუხვდა, ისეთი ნაღველი შემოაწვა გულზე, რომ ცხადი შეიქნა – იგი მხოლოდ თავს იტყუებდა, ეს კვალდაკვალ დევნა არათუ უსიამოვნო იყო მისთვის, არამედ მისი ცხოვრების მთელ ინტერესს შეადგენდა.

*

სახელგანთქმული მომღერალი ქალი მეორეჯერ მღეროდა და მთელ მაღალ საზოგადოებას თეატრში მოეყარა თავი. ვრონსკიმ როგორც კი თავისი სავარძლიდან თვალი მოჰკრა პირველ რიგში მჯდომ კუზინას, ანტრაქტს აღარ დაელოდა და ლოჟაში შევიდა მასთან.

– სადილად რატომ არ მოხვედით? – უთხრა მას ბეტსიმ, – მაოცებს შეყვარებულთა წინასწარგრძნობა, – ღიმილით დაუმატა მან ისე, რომ მხოლოდ ვრონსკის გაეგონა მისი ნათქვამი, – ისიც არ ყოფილა, მაგრამ ოპერის შემდეგ კი მოდით.

ვრონსკიმ კითხვის გამომხატველი თვალით გადახედა. ბეტსიმ თავი დახარა. ვრონსკიმ ღიმილით გადაუხადა მადლობა და მის გვერდით დაჯდა.

– აჰა, მაგონდება, როგორ დასცინოდით სხვებს! – განაგრძო ბეტსიმ, რომელიც განსაკუთრებული სიამოვნებით ადევნებდა თვალს, თუ რა წარმატებას მიაღწევდა ვრონსკის გატაცება, – სად გაქრა ყოველივე ეს? თქვენ უკვე გაბმული ხართ მახეში, ჩემო ძვირფასო.

– მეც ეგ მინდა, რომ გაბმული ვიყო, – თავისებური გულკეთილი, მშვიდი ღიმილით უპასუხა ვრონსკიმ, – სიმართლე გითხრა, მე მხოლოდ იმას ვჩივი, რომ ნაკლებად ვარ გაბმული. უკვე იმედს ვკარგავ.

– განა რა იმედი შეიძლება გქონდეთ? – უთხრა ბეტსიმ, შეურაცხყოფილმა თავისი მეგობრის გამო, – entendons nous[20]... – მაგრამ მის თვალებში მოციმციმე ნაპერწკლები ამჟღავნებდნენ, რომ ძალიან კარგად იცოდა, სწორედ ისე, როგორც ვრონსკიმ, თუ რა იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა.

– არავითარი, – სიცილით უპასუხა ვრონსკიმ და თავისი მიჯრით მიწყობილი კბილები გამოაჩინა, – მაპატიე, – დაუმატა მან, ბინოკლი გამოართვა და ბეტსის გაშიშვლებულ მხრებს

ზემოთ მოპირდაპირე ლოჟების პირველი რიგი შეათვალიერა, – ვშიშობ, სასაცილო არ შევიქნე.

ვრონსკიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბეტსისა და მაღალი საზოგადოების თვალში არასოდეს სასაცილო არ გახდებოდა. კარგად იცოდა, რომ ამ ხალხის თვალში შეიძლება სასაცილო შეიქნეს ქალიშვილის ან საერთოდ თავისუფალი ქცევის ქალის უიღბლო სიყვარული. მამაკაცი კი, რომელიც გათხოვილ ქალს აედევნა და მთელი სიცოცხლე იმას გადააგო, რომ როგორმე მრუშობაში ჩაეთრია, შეიძლება სასაცილო არასოდეს გახდეს, პირიქით, ამაში არის რაღაც კარგი და დიდებული. და ამიტომაც, როცა ბინოკლი დაუშვა და კუზინას გადახედა, ვრონსკის ამპარტავნული, ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

– რატომ არ მოხვედით სადილად? – ჰკითხა ბეტსიმ, რომელიც ტკბებოდა მისი ყურებით.

– ამას კი უნდა მოგიყვეთ. არ მეცალა და იცით, რატომ? სანაძლეოს ვდებ, რომ ასში, ათასში... ვერ გამოიცნობთ. ვარიგებდი ერთ ქმარს მისი ცოლის შეურაცხმყოფელთან. ჰო, მართლა!

– მერე რა ქენით, შეარიგეთ?

– თითქმის.

– ამ ამბავს მართლაც უნდა მომიყვეთ, – უთხრა ბეტსიმ და წამოდგა, – შემდეგ ანტრაქტზე მოდით.

– არ შემიძლია, ფრანგულ თეატრში მივდივარ.

– ნილსონის შემდეგ? – შეძრწუნებით უთხრა ბეტსიმ, რომელიც ვერასგზით ვერ გამოარჩევდა ნილსონს გუნდის უბრალო მომღერლებისაგან.

– რა გაეწყობა! პაემანი მაქვს დანიშნული, სულ ამ საქმის, ამ ჩემი მშვიდობისმყოფლობის გამო.

– ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, მხოლოდ მათ ელით ხსნა, – თქვა ბეტსიმ, გაახსენდა, რომ ვიღაცისაგან ჰქონდა გაგონილი რაღაც ამის მსგავსი, – მაშ, აბა, დაჯექით და მომიყევით, რაშია საქმე?

და ბეტსი ისევ დაჯდა.

V

– ცოტა არ იყოს, უხერხული ამბავია, მაგრამ იმდენად კარგი, რომ ძალიან მინდა გიამბოთ, – უთხრა ვრონსკიმ და მოღიმარი თვალით გადახედა ბეტსის, – გვარებს არ დავასახელებ.

– მით უკეთესი, მე გამოვიცნობ.

– ყური დამიგდეთ: ეტლით მოსეირნობდა ორი მხიარული ახალგაზრდა...

– რაღა თქმა უნდა, თქვენი პოლკის ოფიცრები?

– მე არ მითქვამს, ოფიცრები-მეთქი, უბრალოდ ორი ახალგაზრდა კაცი, რომელთაც ის-ის იყო ისაუზმეს...

– გადათარგმნეთ: ესე იგი ნასვამები იყვნენ.

– შეიძლება ნასვამებიც. ამხანაგებთან მიდიოდნენ სადილად და შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ. ამ დროს მათ ეტლით ჩაუქროლა ვიღაც ლამაზმა ქალმა. წინ გაუსწრო. ქალი სულ უკან იხედებოდა; ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენათ მათ, თავს უკრავდა და იღიმებოდა. რაღა თქმა უნდა, ისინი უკან გამოუდგნენ. მთელი სიჩქარით მიაქროლებდნენ ეტლს. მათდა გასაოცრად, ლამაზი ქალის ეტლი სწორედ იმ სახლის სადარბაზო კართან გაჩერდა, სადაც ეს ახალგაზრდები მიდიოდნენ. ლამაზმა ქალმა ზემო სართულზე აირბინა. მეგობრები მოკლე პირბადიდან მხოლოდ მის პაწია წითელ ტუჩებსა და მშვენიერ პატარა ფეხებს ხედავდნენ.

– თქვენ ისეთი გრძნობით ჰყვებით ამას, რომ მგონი, იმ ორში ერთი თქვენ იყავით.

– ახლა კი რას მეუბნებოდით? ჰოდა, ახალგაზრდები შევიდნენ ამხანაგთან, რომელსაც გამოსათხოვარი სადილი ჰქონდა გამართული. შეიძლება, აქ ცოტა ზედმეტიც დალიეს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე გამოსათხოვარ სადილებზე. სადილის დროს ახალგაზრდებმა იკითხეს, ვინ ცხოვრობს ამ სახლის ზემო სართულზეო. არავინ არაფერი იცოდა, მასპინძლის ლაქიამ კი მათ შეკითხვაზე მიუგო, ზევით ბევრი ქალიშვილიაო. სადილის შემდეგ ახალგაზრდები შევიდნენ მასპინძლის კაბინეტში და წერილი მისწერეს უცნობ ქალს. დაწერეს ვნებით აღსავსე წერილი, სიყვარული გამოუცხადეს და წერილი თვითონვე წაიღეს ზევით, რათა აეხსნათ ის, რაც

წერილში შესაძლოა სავსებით გასაგები არ ყოფილიყო.

– რატომ მიყვებით ასეთ საძაგლობას? მერე?

– დარეკეს. გამოვიდა ქალიშვილი. ახალგაზრდებმა წერილი გადასცეს და არწმუნებენ, ორივენი ისე ვართ შეყვარებული, აქვე, კარში, შენ თვალწინ დავიხოცებითო. ქალიშვილი გაოცდა, ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. უცებ გამოვიდა ვიღაც კიბოსავით გაწითლებული ბატონი, რომელსაც ქილვაშები ძეხვებს მიუგავდა, და განაცხადა, ჩემი მეუღლის მეტი აქ არავინ ცხოვრობსო და ორივენი გამორეკა იქიდან.

– თქვენ საიდან იცით, რომ მას, როგორც ამბობთ, ქილვაშები ძეხვებს მიუგავდა?

– საიდან ვიცი და დღეს შესარიგებლად ვიყავი მათთან.

– მერე რა მოხდა?

– სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო. აღმოჩნდა, რომ ეს ბედნიერი წყვილი ტიტულარული მრჩეველი და მისი მეუღლეა. ტიტულარულ მრჩეველს საჩივარი შეაქვს და მე ვხდები მისი მომრიგებელი. და მერე როგორი! გარწმუნებთ, ტალეირანი ჩემთან არაფერია!

– მერედა რაშია აქ სიძნელე?

– აი, რაშია, ყური დამიგდეთ... ჩვენ, როგორც წესი და რიგია, ბოდიში მოვუხადეთ: „სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილი და გთხოვთ, გვაპატიოთ ეს სავალალო გაუგებრობა“. ძეხვისქილვაშებიანი ტიტულარული მრჩეველი სულ მთლად დადნა და სურვილი დაებადა, გადმოეშალა თავისი გრძნობები. მაგრამ როგორც კი ამ გრძნობის გადმოშლა დაიწყო, ისევ გაცხარდა და დაიწყო გინება. მეც ისევ დამჭირდა ჩემი დიპლომატიური ნიჭი: გეთანხმებით, რომ მათი საქციელი უმსგავსობაა, მაგრამ გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ გაუგებრობა, ასაკი, თანაც ახალი ნასაუზმევი იყვნენ. ხომ გესმით, ისინი სულითა და გულით ინანიებენ ყველაფერს და გთხოვენ, აპატიოთ დანაშაული. ტიტულარული მრჩეველი ისევ მოლბა: „მე გეთანხმებით, გრაფ. მზად ვარ, ვაპატიო დანაშაული, მაგრამ, მოგეხსენებათ ჩემს მეუღლეს, პატიოსან ქალს, ვიღაც ბიჭბუჭები აედევნენ, უტიფრად მოექცნენ, არამზ...“ – და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს ბიჭბუჭები იქვე

დგანან და უნდა შევარიგო მასთან. ისევ იძულებული ვარ მივმართო დიპლომატიას და როგორც კი საქმე დასასრულს მიუახლოვდება, ჩემი ტიტულარული მრჩეველი კვლავ გაცხარდება, გაწითლდება, ქილვაშები ზევით გაექცევა და მეც ვუბრუნდები ჩემს დიპლომატიას.

– ოჰ, ეს ამბავი აუცილებლად უნდა გიამბოთ! – სიცილით მიუბრუნდა ბეტსი ლოჟაში შემოსულ მანდილოსანს, – ოჰ, რამდენი მაცინა!

– აბა, bonne chance,[21] – დასძინა მან და მარაოსაგან თავისუფალი თითი გაუწოდა ვრონსკის, თან მხრების მოძრაობით ძირს დასწია კაბის აწეული აზღუდი, რათა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაშიშვლებული სჩვენებოდა საზოგადოებას, როცა წინ, რამპისაკენ წაიწევდა, გაზის სინათლესა და ყველას თვალთა სამზეოზე.

ვრონსკი ფრანგულ თეატრში წავიდა, სადაც ნამდვილად უნდა შეხვედროდა პოლკის უფროსს, რომელიც არც ერთ წარმოდგენას არ უშვებდა ამ თეატრში, და თავის მშვიდობისმყოფლობაზე მოლაპარაკებოდა. მესამე დღე იყო, რაც ამ საქმეზე დადიოდა და თავს ირთობდა. ამ საქმეში ჩათრეული იყო ვრონსკის საყვარელი მეგობარი პეტრიცკი და მეორე – პოლკში ახალმიღებული თავადი კედროვი, კარგი ახალგაზრდა და ჩინებული ამხანაგი, და, რაც მთავარია, ამ საქმესთან დაკავშირებული იყო პოლკის ინტერესები.

ორივენი ვრონსკის ესკადრონიდან იყვნენ. მოხელე, ტიტულარული მრჩეველი ვენდენი, პოლკის უფროსთან მივიდა და საჩივარი შეიტანა მის ოფიცრებზე, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს მის მეუღლეს. როგორც ვენდენი ამბობდა, მისი ახალგაზრდა მეუღლე, რომელიც ამ ექვსი თვის წინ ეთხოვა, საყდარში იყო დედასთან ერთად და უეცრად, ცნობილი მიზეზის გამო, ცუდად შეიქნა, ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და პირველივე შემხვედრ ეტლში ჩაჯდა. აქ მას ოფიცრები აედევნენ, ქალი შეშინდა, კიდევ უფრო ცუდად შეიქნა და ძლივსღა აირბინა სახლის კიბე. სამსახურიდან დაბრუნებულ ვენდენს ზარის ხმა და ვიღაცების ლაპარაკი შემოესმა, გამოვიდა, დაინახა მთვრალი ოფიცრები წერილით ხელში და კინწისკვრით გამორეკა. ვენდენი მოითხოვდა, რომ ოფიცრები სასტიკად დაესაჯათ.

– არა, როგორც გენებოთ, – უთხრა პოლკის უფროსმა ვრონსკის, რომელიც საგანგებოდ გამოიძახა, – პეტრიცკის საქციელი აუტანელი ხდება. კვირა არ გაივლის, რაიმე არ შეემთხვას. ეს მოხელე ასე არ მოეშვება საქმეს, მერე ზევითაც მიმართავს.

ვრონსკი ხედავდა, ამ საქმეს კეთილი ბოლო რომ არ უჩანდა, რომ აქ დუელი არ მოხერხდებოდა და ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რათა ტიტულარული მრჩეველი როგორმე მოელბო და საქმე მიეფუჩეჩებინა. პოლკის უფროსმაც სწორედ იმიტომ მოიწვია ვრონსკი, რომ მას იცნობდა როგორც კეთილშობილსა და ჭკვიან ადამიანს, რომლისთვისაც ძვირფასი იყო პოლკის ღირსება. ორივემ მოითათბირა და გადაწყვიტა, პეტრიცკი და კედროვი ვრონსკის თანხლებით მისულიყვნენ ტიტულარულ მრჩეველთან ბოდიშის მოსახდელად. პოლკის უფროსმაც და ვრონსკიმაც იცოდნენ, რომ ვრონსკის სახელი და ფლიგელ-ადიუტანტის ვენზელი გულს მოულბობდა ტიტულარულ მრჩეველს. მართლაც, ეს ორი საშუალება ნაწილობრივ უტყუარი აღმოჩნდა, მაგრამ შერიგების შედეგები, როგორც ვრონსკი ყვებოდა, საეჭვო იყო.

ვრონსკი ფრანგულ თეატრში მივიდა, პოლკის უფროსთან ერთად ფოიეში განმარტოვდა და უამბო, რა გააკეთა და რა – ვერა, პოლკის უფროსმა მოიფიქრა ყველაფერი და გადაწყვიტა, საქმე უშედეგოდ დაეტოვებინა. შემდეგ გასართობად დაწვრილებით გამოჰკითხა ვრონსკის ამ შეხვედრის ამბავი და დიდხანს იცინოდა იმაზე, თუ როგორ მოულოდნელად იფეთქებდა ხოლმე დაშოშმინებული ტიტულარული მრჩეველი, როგორ დაწვრილებით იხსენებდა ყველაფერს და როგორი მოხერხებით მოქმედებდა ვრონსკი, როცა ჩერდებოდა შესარიგებლად თქმულ უკანასკნელ სიტყვაზე და წინ უბიძგებდა პეტრიცკის.

– საძაგელი, მაგრამ მეტად სასაცილო ამბავია. კედროვი ხომ დუელში ვერ გაიწვევს ამ ვაჟბატონს! მაშ, ძალიან ცხარობდა? – სიცილით ეკითხებოდა პოლკის უფროსი, – როგორია დღეს კლერი? ხომ საუცხოო რამ არის! – დასძინა მან ახალ ფრანგ მსახიობ ქალზე, – რამდენჯერაც უნდა უყურო, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ მასში. ეს მხოლოდ ფრანგებს შეუძლიათ.

VI

ქალბატონმა ბეტსიმ უკანასკნელი აქტის დამთავრებას აღარ დაუცადა და თეატრიდან წავიდა. ძლივს მოასწრო თავის საპირფარეშო ოთახში შესვლა, ფერმკრთალ, გრძელ სახეზე პუდრი შეიფრქვია, სახე გადაიწმინდა, თმა გადაივარცხნა და მსახურს უბრძანა, ჩაი დიდ დარბაზში მოგვართვითო, რომ მის უზარმაზარ სახლთან, ბოლშაია მორსკაიაზე, ზედიზედ იწყეს მოსვლა კარეტებმა. სტუმრები ფართო სადარბაზო კართან გადმოდიოდნენ და ჩასუქებული მეკარე, რომელიც მინის კარს იქით ყოველ დილით გაზეთს კითხულობდა გამვლელ-გამომვლელთა ჭკუის სასწავლებლად, უხმაუროდ უღებდა მოსულთ უზარმაზარ კარს.

კედლებჩამუქებულ, ძვირფასი ხალიჩებით მორთულ დიდ დარბაზში, სადაც გაკაშკაშებულ მაგიდებს ბრწყინვალებას მატებდა სანთლების შუქით აელვარებული ქათქათა სუფრა, ვერცხლის სამოვარი და გამჭვირვალე ფაიფურის ჭურჭელი, თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოვიდნენ ერთი კარიდან თმაგადავარცხნილი, სახეგამოცცხლებული დიასახლისი, ხოლო მეორე კარიდან – სტუმრები.

დიასახლისი სამოვარს მიუჯდა და ხელთათმანები გაიხადა. ლაქიების დახმარებით, რომელთაც ვერც კი შენიშნავდით დარბაზში, ყველანი თავ-თავიანთ ადგილას მოთავსდნენ. საზოგადოება ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა, – ზოგნი დიასახლისის გვერდით სამოვარს მიუსხდნენ, ზოგმა კი თავი მოიყარა დარბაზის მეორე მხარეს, დესპანის ლამაზი მეუღლის ირგვლივ, რომელსაც შავი წარბები ამშვენებდა. პირველ ხანებში, როგორც ყოველთვის, ორივე მხარეს ხშირად წყდებოდა საუბარი ხან შეხვედრებით, ხან მისალმებებით, ხანაც ჩაის შეთავაზებით, თითქოს ეძებდნენ საუბრის საგანს და არ იცოდნენ, რაზე შეჩერებულიყვნენ.

– იგი არაჩვეულებრივად კარგია როგორც მსახიობი. ჩანს, შეუსწავლია კაულბახი, – ამბობდა დიპლომატი დესპანის მეუღლის წრეში, – თქვენ შენიშნეთ, როგორ დაეცა?

– ოჰ, გეთაყვა, ნუღარაფერს მეტყვით ნილსონზე! ახალს ვერაფერს ვიტყვით, – შენიშნა ჩასუქებულმა, სახეაწითლებულმა ქერა მანდილოსანმა, რომელსაც სულ არ ეტყობოდა წარბები, ტანთ ძველი ფარჩის კაბა ეცვა და თავზე

შინიონი არ აკეთა. ეს გახლდათ ქალბატონი მიაგკაია, რომელიც ცნობილი იყო თავისი უბრალოებითა და უხეში საქციელით და რომელსაც ყველანი enfant terrible[22]-ს ეძახდნენ. იგი ამ ორი წრის შუაში იჯდა, ყურს უგდებდა და ხან ერთი წრის საუბარში ჩაერეოდა, ხან მეორის, – დღეს სამმა კაცმა მითხრა სწორედ ეგ ფრაზა კაულბახზე, გეგონებათ, პირი შეუკრავთო. და ეს ფრაზა ყველას მოეწონა, არ ვიცი კი, რით.

ამ შენიშვნამ შეწყვიტა დაწყებული საუბარი, საჭირო შეიქნა კვლავ ახალი თემის გამონახვა.

– გვიამბეთ რამე თავშესაქცევი, ოღონდ გესლიანი არა, – თქვა დესპანის მეუღლემ, მოხდენილი საუბრის დიდმა ოსტატმა, რასაც ინგლისურად small-talk-ს უწოდებენ, და მიუბრუნდა დიპლომატს, რომელმაც არ იცოდა, რაზე დაეწყო საუბარი.

– ამბობენ, მეტისმეტად ძნელია, რომ მხოლოდ გესლიანი შეიძლება იყოს სასაცილოო, – დაიწყო მან ღიმილით, – მაგრამ მაინც ვცდი. მხოლოდ თემა მომეცით. მთავარი თემაა. თემა თუ არის, შემდეგ მისი დაგვირისტება ძნელი აღარ არის. მე ხშირად მიფიქრია, რომ გასული საუკუნის მოლაყბეთ დღეს მეტად გაუჭირდებათ ჭკვიანურად ლაპარაკი. ყველაფერმა ჭკვიანურმა ჩვენ ისე მოგვაბეზრა თავი...

– დიდი ხანია ითქვა... – სიცილით ჩაურთო დესპანის მეუღლემ.

საუბარი ტკბილად დაიწყო და სწორედ ამის გამო უმალვე შეწყდა. ისევ ავყიაობისთვის – ძველი, ნაცადი საშუალებისათვის უნდა მიემართათ.

– თქვენ ვერ ამჩნევთ, რომ ტუშკევიჩი რაღაცით Lous XV-ს ჰგავს? – შენიშნა დიპლომატმა და იქვე მაგიდასთან მდგარ ლამაზ, ქერა ახალგაზრდაზე მიანიშნა.

– ჰო, დიახ! თითქოს როგორღაც შეეხამება სასტუმროს გემოვნებას. ალბათ, იმიტომაც არის ხოლმე აქ ხშირად.

ამ საუბარმა დიდხანს გასტანა, რადგან ქარაგმულად ლაპარაკობდნენ იმაზე, რაზედაც ამ სასტუმროში არ შეიძლებოდა ლაპარაკი, ესე იგი დიასახლისისა და ტუშკევიჩის ურთიერთობაზე.

ამასობაში საუბარი დიასახლისისა და სამოვრის ირგვლივ თითქმის ასევე ირხეოდა სამ აუცილებელ თემას შორის: ეს იყო

საზოგადოების ახალი ამბები, თეატრი და მოყვასთა გაკიცხვა, და ბოლოს, ეს საუბარიც კალაპოტში ჩადგა, როცა უკანასკნელ თემას – ავყიაობას შეეხო.

– თქვენ გაიგეთ, მალტიშჩევა, შვილი კი არა, დედა, diable rose[23]-ს კოსტიუმს იკერავს?

– რას მეუბნებით! ეს მართლაც საუცხოო იქნება!

– მიკვირს, მისი ჭკუის პატრონი, – მას ხომ ყველა ჭკვიან ქალად იცნობს, – როგორ ვერ ხვდება, რომ ეს სასაცილოა.

ყველას რაღაც აღმოაჩნდა სათქმელი ამ უბედური მალტიშჩევას გასაკიცხად და დასაცინად, და საუბარიც ანთებული კოცონივით მხიარულად ატკაცუნდა.

ქალბატონ ბეტსის მეუღლემ, ჩასუქებულმა გულკეთილმა კაცმა, რომელიც გრავიურების შეგროვებით იყო გატაცებული, შეიტყო, რომ მის მეუღლეს სტუმრები ჰყავდა და კლუბში წასვლის წინ სასტუმრო დარბაზში შემოიარა. მან უხმაუროდ გაიარა რბილი ხალიჩა და ქალბატონ მიაგკაიასთან მივიდა.

– როგორ მოგეწონათ ნილსონი? – ჰკითხა მან.

– უჰ! ასე როგორ მომეპარეთ! რარიგ შემაშინეთ, – მიუგო მან, – გეთაყვა, თუ შეიძლება ნურაფერს მეტყვით ოპერაზე, თქვენ მუსიკისა არაფერი გაგეგებათ. ის ჯობია, მე დავეშვა თქვენამდე და თქვენს მაიოლიკებსა[24] და გრავიურებზე გესაუბროთ. აბა, ამ უკანასკნელ ხანს რა საუნჯე შეიძინეთ ბაზარზე?

– გნებავთ, გაჩვენებთ, მაგრამ თქვენ იმისას ვერაფერს გაიგებთ.

– მაჩვენეთ, მე ვისწავლე იმ... რა ჰქვია... ბანკირებისაგან, მათ მშვენიერი გრავიურები აქვთ. ჩვენ გვიჩვენეს.

– როგორ, თქვენ შიუცბურგთან იყავით? – ჰკითხა სამოვრის გვერდით მჯდომმა დიასახლისმა.

– ვიყავი, ma chère, მე და ჩემი მეუღლე მიგვიწვიეს სადილად და მითხრეს, რომ ამ სადილზე საწებელი ათასი მანეთი დაუჯდათ, – ხმამაღლა ლაპარაკობდა ქალბატონი მიაგკაია, რაკი გრძნობდა, ყველანი ყურს უგდებდნენ, – მეტად საძაგელი საწებელი იყო, რაღაცნაირი მწვანე ფერისა. საჭირო იყო, ჩვენც

დაგვეპატიჟა ისინი, მეც გავაკეთე ჩვიდმეტშაურიანი საწებელი და ყველანი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. მე არ შემიძლია ათასმანეთიანი საწებლის გაკეთება.

– შეუდარებელი ქალია! – თქვა დიასახლისმა.

– უცნაური ადამიანია! – დაუმატა ვიღაცამ.

ქალბატონ მიაგკაიას საუბარი ყოველთვის ერთნაირ ეფექტს ახდენდა და ამ ეფექტის საიდუმლო იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საუბარი, თუმცა ხშირად უადგილო, როგორც ახლა, ყოველთვის უბრალო და აზრიანი იყო; იმ საზოგადოებაში კი, სადაც ქალბატონი მიაგკაია ტრიალებდა, ეს სიტყვები მეტად გონებამახვილური ხუმრობის შთაბეჭდილებას ახდენდა. ქალბატონი მიაგკაია ვერ მიმხვდარიყო, რატომ მოქმედებდა ამგვარად მისი საუბარი, მაგრამ იცოდა ამ სიტყვების ძალა და სარგებლობდა კიდეც ამით.

რადგანაც ქალბატონ მიაგკაიას ყველანი უსმენდნენ და დესპანის მეუღლის ირგვლივაც შეწყდა საუბარი, დიასახლისი შეეცადა საზოგადოების გაერთიანებას და დესპანის მეუღლეს მიმართა: – მაშ, ნამდვილად არ გნებავთ ჩაი? გადმოსულიყავით ჩვენთან!

– არა, ჩვენ აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, – ღიმილით უპასუხა დესპანის მეუღლემ და დაწყებული საუბარი განაგრძო.

საუბარი მეტად სასიამოვნო იყო. კარენინებს, ცოლსა და ქმარს კიცხავდნენ.

– ანა ძალიან გამოიცვალა მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ. მეტისმეტად უცნაური გახდა, – ამბობდა ანას მეგობარი ქალი.

– მთავარი ცვლილება ის არის, რომ თან ჩამოჰყვა ჩრდილი ალექსეი ვრონსკისა, – დაუმატა დესპანის მეუღლემ.

– რას იზამ? გრიმს აქვს ასეთი იგავ-არაკი: იყო ერთი კაცი, რომელსაც ჩრდილი არ გააჩნდა. რაღაც დანაშაულისათვის დაისაჯა ამით. მე კი ვერაფრით მივხვდი, რა სასჯელია ეს. თუმცა ქალისათვის, ალბათ, უსიამოვნოა, ჩრდილი თუ არ ახლავს.

– ეს მართალია, მაგრამ ასეთი ქალები ჩვეულებრივ, ცუდად

ამთავრებენ ცხოვრებას, – შენიშნა ანას მეგობარმა.

– ენამ არ გიყივლოთ, – წამოიძახა უცებ ქალბატონმა მიაგკაიამ ამის გაგონებაზე, – ანა არკადიევნა მშვენიერი ქალია. მე მისი ქმარი არ მიყვარს, თვითონ ანა კი ძალიან საყვარელია!

– რატომ არ გიყვართ მისი ქმარი? იგი ისეთი შესანიშნავი ადამიანია, – თქვა დესპანის მეუღლემ, – ჩემი ქმარი ამბობს, სახელმწიფოსათვის ასეთი საჭირო ადამიანები ევროპაშიც ცოტანი არიანო.

– ქმარი მეც ამას მეუბნება, მაგრამ არა მჯერა, – თქვა ქალბატონმა მიაგკაიამ, – ქმრები რომ არ გელაპარაკებოდნენ, დავინახავდით იმას, რაც სინამდვილეშია. ალექსეი ალექსანდროვიჩი, ჩემი აზრით, უბრალოდ სულელია. მე ჩურჩულით ვამბობ ამას... რა ნათელია ყველაფერი, არა? წინათ, როცა მიბრძანებდნენ, ჭკვიან ადამიანად მეცნო, სულ ვეძიებდი მასში ამ ჭკუას და საკუთარი თავი მეგონა სულელი, რადგან ვერ ვპოულობდი მას. შემდეგ კი, როცა ჩურჩულით ვუთხარი ჩემს თავს, სულელია-მეთქი, ყველაფერი ნათელი შეიქნა. მართალია თუ არა?

– როგორი გესლიანი ხართ დღეს!

– სულაც არა. სხვა გამოსავალი არა მაქვს. ჩვენ ორში ერთი უნდა იყოს სულელი, მაგრამ, მოგეხსენებათ, საკუთარ თავზე ამის თქმა ძალიან ძნელია.

– ქონებით კმაყოფილი არავინ გვინახავს, საკუთარი ჭკუით კი ყველა კმაყოფილია! – თქვა დიპლომატმა ფრანგული ფრაზა.

– სწორედ ასეა, – მაშინვე დაუდასტურა ქალბატონმა მიაგკაიამ, – მაგრამ საქმე ის არის, რომ ანას ვერ დაგანებებთ. ის ისეთი მშვენიერი, ისეთი საყვარელია! რა უნდა ქნას, თუკი ყველა შეყვარებულია და ჩრდილებივით უკან დაჰყვებიან.

– მე არც მიფიქრია გაკიცხვა, – თავი იმართლა ანას მეგობარმა.

– თუ ჩვენ არავის ჩრდილი არა გვდევს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უფლება გვაქვს სხვისი გაკიცხვისა.

ქალბატონმა მიაგკაიამ ჯერ კარგად შეახურა ანას მეგობარი, შემდეგ წამოდგა და დესპანის მეუღლესთან ერთად ჩაის მაგიდას შეუერთდა, სადაც საერთო საუბარი იყო პრუსიის

მეფეზე.

– თქვენ იქ ვის კიცხავდით? – იკითხა ბეტსიმ.

– კარენინებს, ქალბატონმა მიაგკაიამ დაგვიხასიათა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – უპასუხა დესპანის მეუღლემ და ღიმილით მიუჯდა მაგიდას.

– სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ მოვისმინეთ, – თქვა დიასახლისმა და შემოსასვლელი კარისკენ გაიხედა, – აჰ, როგორც იქნა, გამოჩნდით! – ღიმილით უთხრა დარბაზში შემოსულ ვრონსკის.

ვრონსკი არათუ იცნობდა იქ მყოფთ, არამედ ყოველდღე ხედავდა თითოეულს და ამიტომაც ისე მშვიდად შემოვიდა დარბაზში, როგორც შედიან ოთახში იმ ადამიანებთან, რომლებიც ესწუთია მიატოვეს.

– საიდან მოვდივარ? – უპასუხა მან დესპანის მეუღლეს, – რა გაეწყობა, უნდა გამოგიტყდეთ. ფრანგულ თეატრში ვიყავი. მგონი, მეასეჯერ ვუყურებ და სულ ახალი და ახალი სიამოვნებაა. მშვენიერია! ვიცი, რომ ეს სამარცხვინოა, მაგრამ ოპერაში ძილი მერევა, ფრანგულ თეატრში კი უკანასკნელ წუთამდე ვზივარ და თავსაც მხიარულად ვგრძნობ. დღეს... – მან ვიღაც ფრანგი მსახიობი ქალი დაასახელა და უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ვითომცდა შეძრწუნებულმა დესპანის მეუღლემ სიტყვა აღარ დაამთავრებინა: – გეთაყვა, ნუღარ მოგვიყვებით ამ საშინელებას.

– მაშ, აღარაფერს გეტყვით, მით უმეტეს, რომ ყველამ იცის ეს საშინელება.

– და ყველა იქ წავიდოდა, ფრანგული თეატრი რომ ისევე მიღებული ყოფილიყო, როგორც ოპერა, – სიტყვა ჩამოართვა ქალბატონმა მიაგკაიამ.

VII

კარში ფეხის ხმა გაისმა და ქალბატონმა ბეტსიმ, რაკი იცოდა,

რომ ეს კარენინა უნდა ყოფილიყო, ვრონსკის გადახედა. ვრონსკი კარს მისჩერებოდა და მის სახეს ახლა უცნაური, სრულიად სხვაგვარი გამომეტყველება მისცემოდა. იგი სიხარულით, თვალმოუშორებლად და ამასთან, მოკრძალებით შეჰყურებდა დარბაზისკენ მიმავალს და ნელ-ნელა დგებოდა სკამიდან. სასტუმრო ოთახში ანა შემოვიდა. როგორც ყოველთვის, იგი მეტისმეტად გამართული მოდიოდა, ჩქარი, მტკიცე, მსუბუქი ნაბიჯით, რაც განასხვავებდა მის სიარულს მაღალი საზოგადოების ყველა სხვა ბანოვანისაგან. თვალების მიმართულება არ შეუცვლია, ისე გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, სანამ დიასახლისთან მივიდოდა, ხელი ჩამოართვა მას, გაუღიმა და შემდეგ ღიმილითვე გადახედა ვრონსკისაც. ვრონსკიმ მდაბალი სალამი მისცა და სკამი შესთავაზა.

ანამ მხოლოდ თავის დახრით უპასუხა, გაწითლდა და მოიღუშა, მერე საჩქაროდ მიესალმა ნაცნობთ, ზოგიერთს ხელიც ჩამოართვა და დიასახლისს მიუბრუნდა: – გრაფინია ლიდიასთან გახლდით, მინდოდა ჩქარა წამოვსულიყავი, მაგრამ აქამდე შევრჩი, მასთან იყო სერ ჯონი, მეტად საინტერესო ადამიანი.

– აჰ, ის მისიონერი, არა?

– დიახ, ძალიან საინტერესოდ მოგვიყვა, როგორ ცხოვრობენ ინდიელები.

ანას მოსვლით შეწყვეტილი საუბარი კვლავ გამოცოცხლდა, ისე, როგორც შეირხევა ხოლმე ლამპის ალი სულის შებერვაზე.

– სერ ჯონი! დიახ, სერ ჯონი. მე ნანახი მყავს. კარგი მოლაპარაკეა, ვლასიევას ხომ პირდაპირ შეუყვარდა ეს სერ ჯონი.

– მართალია, რომ უმცროსი ვლასიევა ტოპოვს მიჰყვება?

– დიახ, ამბობენ, უკვე გადაწყვეტილიაო.

– მშობლების საქციელი მაოცებს. ამბობენ, ეს ქორწინება გატაცების შედეგიაო.

– გატაცებისო? რა ანტიდილუვიური აზრები გაქვთ! ჩვენს დროში ვინღა ლაპარაკობს გატაცებაზე? – ჩაერია საუბარში დესპანის მეუღლე.

– რას იზამ! ეს ძველი სულელური მოდა ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა, – დასძინა ვრონსკიმ.

– მით უარესი მისთვის, ვინც კიდევ მისდევს მაგ მოდას. მე ვიცი, რომ ბედნიერი ქორწინება მხოლოდ გონების კარნახით ხდება.

– დიახ, იმიტომაც არის, რომ გონებით ნაკარნახევი ქორწინების ბედნიერება მტვერივით ქრება, როცა თავს იჩენს სწორედ ის ნამდვილი გატაცება, რომელიც თქვენ არაფრად მიგაჩნიათ! – თქვა ვრონსკიმ.

– გონებით ნაკარნახევ ქორწინებას ჩვენ იმას ვუწოდებთ, როცა ორივე მხარეს უკვე გამოვლილი აქვს ეს გაშმაგება. ეს ქუნთრუშასავით არის, ყველამ უნდა მოიხადოს.

– მაშინ საჭიროა ვისწავლოთ სიყვარულის ხელოვნური აცრა, ისე, როგორც ყვავილს უცრიან ხოლმე.

– ახალგაზრდობაში მე ერთი დიაკვანი მიყვარდა, – თქვა ქალბატონმა მიაგკაიამ, – არ ვიცი, მიშველა თუ არა ამან.

– არა, ხუმრობის გარეშე, იმისათვის, რომ სიყვარული გაიგო, ჩემი აზრით, ჯერ უნდა შეცდე და შემდეგ გამოასწორო შეცდომა, – დასძინა ქალბატონმა ბეტსიმ.

– თუნდაც ეს ქორწინება შემდეგ იყოს? – ხუმრობით ჩაურთო დესპანის მეუღლემ.

– მონანიება არასოდეს არის გვიანი, – მოიშველია დიპლომატმა ინგლისური ანდაზა.

– სწორედ ასეა, – სიტყვა ჩამოართვა ბეტსიმ, – ჯერ უნდა შეცდე და მერე გამოასწორო. თქვენ რას იტყვით ამაზე? – მიუბრუნდა იგი ანას, რომელიც მთელი ამ საუბრის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა, ყურს უგდებდა და ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი მტკიცე ღიმილი დასჩენოდა.

– მე ვფიქრობ, – დაიწყო ანამ, – თან გახდილ ხელთათმანს ათამაშებდა ხელში, – მე ვფიქრობ... თუ რამდენი თავიც არის, იმდენი ჭკუა არსებობს, მაშინ რამდენი გულიც არის, იმდენნაირი სიყვარულიც იქნება.

ვრონსკი გულის ფანცქალით ელოდა, რას ეტყოდა ანა. და როცა ანამ ეს თქვა, ისე ამოიოხრა, თითქოს რაღაც დიდი განსაცდელი

გაიარაო.

უეცრად ანამ ვრონსკის მიმართა: – მე კი მოსკოვიდან წერილი მივიღე და მწერენ, კიტი შჩერბაცკაია ძალიან ავად არისო.

– ნუთუ მართლა? – იკითხა ვრონსკიმ და მოიღუშა.

ანამ მკაცრად გადახედა.

– თქვენ ეს არ გაინტერესებთ?

– პირიქით, ძალიან მაინტერესებს. მაინც რას იწერებიან, თუ შეიძლება გავიგოთ? – ჰკითხა მან.

ანა წამოდგა და ბეტსისთან მივიდა.

– ერთი ფინჯანი ჩაი მომაწოდეთ, – უთხრა ბეტსის და მის სკამს უკან გაჩერდა.

სანამ ქალბატონი ბეტსი ჩაის დაასხამდა, ვრონსკი ანასთან მივიდა.

– რას იწერებიან მოსკოვიდან? – ხელმეორედ იკითხა მან.

– მე ხშირად მიფიქრია, რომ მამაკაცებს არ ესმით, რა არის არაკეთილშობილება, თუმცა სულ ამაზე კი ლაპარაკობენ, – თქვა ანამ და კვლავ პასუხი არ გასცა ვრონსკის, – დიდი ხანია მინდოდა მეთქვა თქვენთვის, – დასძინა მან, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და ჩამოჯდა კუთხეში მდგარ მაგიდასთან, რომელზეც ალბომები ეწყო.

– მე კარგად არ მესმის თქვენი სიტყვების მნიშვნელობა, – უთხრა ვრონსკიმ და ფინჯნით ჩაი მიაწოდა.

ანამ იქვე მდგარ დივანს გადახედა და ვრონსკიც მაშინვე ჩამოჯდა.

– დიახ, მინდოდა თქვენთვის მეთქვა, – ეუბნებოდა ანა და თან თვალს არიდებდა ვრონსკის, – ცუდად, ძალიან ცუდად მოიქეცით.

– განა მე კი არ ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი? მაგრამ ვინ არის მიზეზი ჩემი ასეთი საქციელისა?

– რატომ მეუბნებით ამას? – უთხრა ანამ და მკაცრად შეხედა.

– თქვენ იცით, რატომაც გეუბნებით, – გაბედულად,

სიხარულით უპასუხა ვრონსკიმ და თვალი თვალში გაუყარა.

ვრონსკი კი არა, ახლა ანა შეკრთა.

– ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ თქვენ გული არა გაქვთ, – უთხრა ანამ. მისი გამოხედვა კი იმას ამბობდა, რომ მან იცოდა, ვრონსკის გული რომ ჰქონდა და სწორედ ამიტომაც ეშინოდა მისი.

– ის, რაზედაც თქვენ ახლა მელაპარაკებოდით, შეცდომა იყო და არა სიყვარული.

– თქვენ გახსოვთ, მე აგიკრძალეთ ამ სიტყვის, ამ საძაგელი სიტყვის წარმოთქმა, – უთხრა ანამ და უეცრად შეკრთა, მაშინვე იგრძნო, რომ მხოლოდ ამ ერთი სიტყვით – აგიკრძალეთო – რაღაც უფლებები მიანიჭა თავის თავს ვრონსკის მიმართ და ამით კიდევ უფრო მეტი საბაბი მისცა სიყვარულზე ლაპარაკისათვის, – მე დიდი ხანია მინდოდა მეთქვა ეს თქვენთვის, – განაგრძო ანამ, ახლა უკვე პირდაპირ თვალებში შეხედა ვრონსკის და სახეზე ალმური მოედო, – დღეს კი განზრახ მოვედი, ვიცოდი, აქ შეგხვდებოდით. მოვედი იმის სათქმელად, რომ ბოლო მოეღოს ყოველივე ამას. მე არასოდეს არავის წინაშე არ გავწითლებულვარ, თქვენ კი მაიძულებთ, რაღაცაში დამნაშავედ ვიგრძნო თავი.

ვრონსკი შეჰყურებდა ანას და გაოცებული იყო მისი სახის ახალი, სულიერი სილამაზით.

– რა გსურთ ჩემგან? – უბრალოდ, სერიოზულად ჰკითხა ვრონსკიმ.

– მე მინდა, რომ თქვენ მოსკოვში წახვიდეთ და პატიება სთხოვოთ კიტის, – უთხრა მან.

– თქვენ ეს არ გინდათ, – უპასუხა ვრონსკიმ.

იგი ხედავდა, რომ ანა აიძულებდა თავის თავს, ეთქვა ეს და არა ის, რაც ნამდვილად უნდოდა.

– თუ მე თქვენ გიყვარვართ, როგორც ამას თქვენ ამბობთ, – წაიჩურჩულა ანამ, – მაშინ მოიქეცით ისე, რომ მე დავმშვიდდე.

ვრონსკის სახე გაუნათდა.

– განა არ იცით, რომ თქვენა ხართ ჩემთვის მთელი სიცოცხლე;

მაგრამ სიმშვიდე მე თვითონაც დაკარგული მაქვს და ვერც თქვენ დაგპირდებით. მე თქვენ შემოგწირავდით ჩემს სიცოცხლეს, სიყვარულს... დიახ. მე არ შემიძლია ცალ-ცალკე ვიფიქრო თქვენსა და ჩემ შესახებ. ჩემთვის მე და თქვენ ერთნი ვართ. და მომავალშიც ვერ ვხედავ სიმშვიდის შესაძლებლობას ვერც თქვენთვის და ვერც ჩემთვის. წინ მხოლოდ სასოწარკვეთილებასა და უბედურებას ვხედავ... ან ვხედავ ბედნიერებას და მერე როგორ ბედნიერებას! ნუთუ შეუძლებელია ეს ბედნიერება? – მხოლოდ ტუჩებით თქვა მან, მაგრამ ანამ გაიგონა ეს.

ანამ მთელი თავისი გონების ძალა იქით მიმართა, რომ ეთქვა ვრონსკისათვის ის, რაც საჭირო იყო, მაგრამ ამის ნაცვლად სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა და პასუხს კი არაფერს ეუბნებოდა.

„აი, ეს ბედნიერებაც! – ფიქრობდა აღტაცებული ვრონსკი, – სწორედ მაშინ, როცა იმედი გადამეწურა, როცა ვფიქრობდი, რომ ყველაფერი გათავდა. აი, ეს ბედნიერებაც! ანას მე ვუყვარვარ! უკვე გამომიტყდა ამ სიყვარულში!“

– მაშ, გააკეთეთ ეს ჩემთვის, ნუღარასოდეს გამიმეორებთ ამ სიტყვებს და ვიყოთ კეთილი მეგობრები, – ეუბნებოდა ანა, მაგრამ სულ სხვას ამბობდნენ მისი თვალები.

– მეგობრები ჩვენ ვერ ვიქნებით, თქვენ ეს იცით. მაგრამ ვიქნებით ან ყველაზე ბედნიერნი, ან ყველაზე უბედურნი ადამიანთა შორის. ეს კი თქვენს ხელთ არის.

ანას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვრონსკიმ შეაწყვეტინა.

– მე ხომ მხოლოდ ერთსა გთხოვთ, მომეცით უფლება, რომ იმედი ვიქონიო, რომ ვიტანჯო ისე, როგორც დღეს ვიტანჯები. და თუ ეს შეუძლებელია, მიბრძანეთ და გადავიკარგები აქედან. თქვენ მე ვეღარ მიხილავთ, თუკი თქვენთვის სამძიმოა ჩემი აქ ყოფნა.

– მე არც მიფიქრია თქვენი განდევნა.

– ოღონდაც ნურაფერს შეცვლით. დაე, ყოველივე ისე დარჩეს, როგორც არის, – აკანკალებული ხმით ეუბნებოდა ვრონსკი, – აი, თქვენი მეუღლეც.

მართლაც, ამ დროს თავისებური დინჯი, მოუქნელი სიარულით

სასტუმრო დარბაზში შემოვიდა ალექსეი ალექსანდროვიჩი.

მან გადახედა თავის მეუღლესა და ვრონსკის, დიასახლისთან მივიდა, მაგიდას მიუჯდა, ჩაი მოითხოვა და დაიწყო თავისებური აუჩქარებელი, მკაფიო საუბარი, მისთვის ჩვეული სახუმარო ტონით, თითქოს ვიღაცას დასცინისო.

– თქვენი რამბულიე სრული შემადგენლობითაა, – თქვა მან და თვალი გადაავლო საზოგადოებას, – გრაციები და მუზები.

ქალბატონი ბეტსი ვერ იტანდა მის ასეთ კილოს, sneering[25]-ს, როგორც იტყოდა ხოლმე, და როგორც ჭკვიანმა დიასახლისმა, მაშინვე ჩამოუგდო საუბარი სერიოზულ საკითხებზე – საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. ალექსეი ალექსანდროვიჩი მაშინვე გაიტაცა ამ საუბარმა და იგი უკვე სერიოზულად იცავდა ახალ ბრძანებულებას ქალბატონ ბეტსის წინაშე, რომელსაც არ მოსწონდა ეს ბრძანებულება.

ვრონსკი და ანა ისევ პატარა მაგიდასთან ისხდნენ.

– ეს უკვე მეტისმეტი უწესობაა, – წაიჩურჩულა ერთმა მანდილოსანმა და თვალით კარენინაზე, ვრონსკისა და ანას მეუღლეზე ანიშნა.

– მე რაღას გეუბნებოდით? – უპასუხა ანას მეგობარმა ქალმა.

მაგრამ მარტო ამ მანდილოსნებმა კი არა, ყველამ, ვინც კი დარბაზში იყო, თვით ქალბატონმა მიაგკაიამ და ბეტსიმაც რამდენჯერმე გადახედეს საზოგადოებისაგან განცალკევებით მყოფთ, თითქოს რაღაც უშლიდა ყველას ხელს, მხოლოდ ალექსეი ალექსანდროვიჩს ერთხელაც არ გაუხედავს იქით და კვლავ გატაცებით განაგრძობდა დაწყებულ საუბარს.

ქალბატონმა ბეტსიმ, შენიშნა თუ არა. რომ ამან მეტად არასასიამოვნო გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, ალექსეი ალექსანდროვიჩს თავის მაგივრად ვიღაც ქალი შეაჩეჩა მსმენელად და თვითონ ანასთან მივიდა.

– მე ყოველთვის გაოცებული ვარ თქვენი მეუღლის ნათელი, ზუსტი საუბრით, – უთხრა მან, – როცა ის ლაპარაკობს, ყველაზე უფრო ტრანსცენდენტური ცნებანიც კი გასაგები ხდება ჩემთვის!

– ოჰ, დიახ! – მიუგო ბედნიერების ღიმილით

სახეგაბრწყინებულმა ანამ, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ გაუგია ქალბატონ ბეტსის ნათქვამიდან. ანა დიდ მაგიდასთან გადაჯდა და საერთო საუბარში ჩაერია.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ნახევარი საათი კიდევ დაჰყო იქ, შემდეგ ცოლთან მივიდა და სახლში ერთად წასვლა შესთავაზა; ანამ უთხრა, ვახშამზე მსურს დარჩენაო, ისე, რომ სახეში არც კი შეუხედავს ქმრისათვის. ალექსეი ალექსანდროვიჩი საზოგადოებას გამოემშვიდობა და დარბაზიდან გავიდა.

*

კარენინას მეეტლე, პრიალა ტყავის ქურქში გამოწყობილი მოხუცი, ჩასუქებული თათარი, ძლივსღა იოკებდა გათოშილ მარცხენა ლურჯას, რომელიც ყალყზე დგებოდა სადარბაზო კარის წინ. ლაქიას კარეტის კარი გაეღო და თვითონაც იქვე გაჩერებულიყო. შვეიცარს გარეთა კარი ეჭირა. ანა არკადიევნა თავისი სწრაფი პატარა ხელით ცდილობდა გაეთავისუფლებინა სახელოს მაქმანი, რომელიც ქათიბის დუგმას წამოსდებოდა და თავდახრილი აღტაცებით უგდებდა ყურს, რას ეუბნებოდა ვრონსკი, რომელიც აცილებდა მას.

– თქვენ ჩემთვის პასუხი არ მოგიციათ; დავუშვათ, მე არაფერს მოვითხოვ თქვენგან, – ეუბნებოდა იგი, – მაგრამ ხომ იცით, მეგობრობა რომ არ მესაჭიროება. ჩემთვის მხოლოდ ერთი ბედნიერება არსებობს ცხოვრებაში, ის სიტყვა, რომელიც თქვენ ასე არ გიყვართ... დიახ, სიყვარული...

– სიყვარული... – ნელა, გულიდან ამოხეთქილი ხმით გაიმეორა ანამ და როგორც კი სახელოს მაქმანი გაითავისუფლა, მაშინვე დასძინა, – მე იმიტომ არ მიყვარს ეს სიტყვა, რომ იგი ჩემთვის მეტისმეტად ბევრს ნიშნავს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, – და ანამ პირდაპირ სახეში შეხედა ვრონსკის, – ნახვამდის!

ანამ ხელი გაუწოდა მას, ჩქარი, მტკიცე ნაბიჯით ჩაუარა შვეიცარს და კარეტაში მიიმალა.

ანას შემოხედვამ, მისმა ხელის შეხებამ ცეცხლი წაუკიდა ვრონსკის. მან აკოცა თავის ხელისგულს სწორედ იმ ადგილას, სადაც ანას ცხელი შეეხო, და შინისკენ გასწია, ბედნიერმა იმის შეგნებით, რომ დღევანდელ საღამოს გაცილებით უფრო მიუახლოვდა თავის მიზანს, ვიდრე ამ უკანასკნელი ორი თვის

განმავლობაში.

VIII

ალექსეი ალექსანდროვიჩს განსაკუთრებული და უწესო არაფერი დაუნახავს იმაში, რომ მისი მეუღლე და ვრონსკი განცალკევებით ისხდნენ მაგიდასთან და რაღაცაზე გაცხოველებით ლაპარაკობდნენ; მაგრამ შენიშნა, რომ სხვებს, დარბაზში მყოფთ, რატომღაც განსაკუთრებულად უწესოდ ეჩვენათ ეს და თვითონაც უწესოდ მიიჩნია. ამიტომაც გადაწყვიტა, მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ცოლს.

შინ რომ დაბრუნდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, როგორც ჩვევად ჰქონდა, ჯერ კაბინეტში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და წიგნში ქაღალდის საჭრელი დანით ჩანიშნული ადგილი გადაშალა პაპიზმის შესახებ, და როგორც ყოველთვის, ახლაც პირველ საათამდე იკითხა. მხოლოდ ხანდახან მოისრესდა მაღალ შუბლს და თავსაც ისე გააქნევდა, თითქოს რაღაცის მოშორება უნდაო. მისთვის ჩვეულ საათს წამოდგა და დასაწოლად შეემზადა. ანა არკადიევნა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო, ალექსეი ალექსანდროვიჩმა წიგნი იღლიაში ამოიდო და ზევით ავიდა, მაგრამ დღევანდელ საღამოს, ნაცვლად ჩვეული ფიქრებისა და მოსაზრებებისა, რომლებიც მუდამ სამსახურებრივ საქმიანობას შეეხებოდნენ, თავს დასტრიალებდნენ ფიქრები ცოლისა და იმ რაღაც უსიამოვნოს შესახებ, ცოლს რომ შეემთხვა. წინააღმდეგ ჩვეულებისა, ალექსეი ალექსანდროვიჩი ლოგინში კი არ ჩაწვა, ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები უკან შემოიწყო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. დაწოლა არ შეეძლო, რადგან გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო, ჩაჰფიქრებოდა ამ ახალშექმნილ გარემოებას.

როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა გადაწყვიტა, ცოლს უნდა მოველაპარაკოო, ეს მეტად იოლად და უბრალოდ მოეჩვენა. მაგრამ ახლა, როცა კარგად ჩაუფიქრდა, მიხვდა, რომ რთულსა და ძნელ საქმეს უნდა შესდგომოდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი არ იყო ეჭვიანი. მისი აზრით, ეჭვიანობა შეურაცხყოფდა ცოლს და ამიტომაც ნდობა უნდა

ჰქონოდა მისი. მაგრამ რატომ უნდა ჰქონოდა ეს ნდობა, ესე იგი, სრული რწმენა, რომ მის ახალგაზრდა ცოლს ყოველთვის ეყვარებოდა, ამაზე არაფერს ეკითხებოდა თავის თავს. მაგრამ უნდობლობა არასოდეს განუცდია და ამიტომაც ენდობოდა და არწმუნებდა კიდეც თავის თავს, ნდობა საჭიროაო. ახლაც, მართალია, მასში არ შერყეულა ამის რწმენა, მაგრამ გრძნობდა, რომ პირისპირ აღმოჩნდა რაღაც არალოგიკურისა და უაზროს წინაშე და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ალექსეი ალექსანდროვიჩი პირისპირ აღმოჩნდა ცხოვრებასთან. მის წინ დადგა შესაძლებლობა, რომ მის ცოლს, გარდა ქმრისა, შეიძლებოდა სხვაც შეჰყვარებოდა და ამას უაზრობად, გაუგებრობად მიიჩნევდა, იმიტომ, რომ ეს თვით ცხოვრება იყო. მთელი თავისი სიცოცხლე ალექსეი ალექსანდროვიჩმა სამსახურებრივ ატმოსფეროში და იქ მუშაობაში გაატარა, სადაც საქმე ჰქონდა მხოლოდ ცხოვრების ანარეკლთან. და ყოველთვის, როცა პირისპირ შეეჯახებოდა ნამდვილ ცხოვრებას, გვერდს აუქცევდა ხოლმე. იგი იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელმაც დამშვიდებით გაიარა უფსკრულის პირას გადებულ ხიდზე და უეცრად დაინახა, რომ ხიდი აღარ არის და მის წინაშე მხოლოდ უფსკრულია. ეს უფსკრული თვით ცხოვრება იყო, ხიდი კი მის მიერ განვლილი ხელოვნური ცხოვრება. მას პირველად დაებადა აზრი, რომ მის ცოლს შესაძლოა სხვა ვინმე შეჰყვარებოდა და ამან თავზარი დასცა.

ტანთ არ გაუხდია, ისე დადიოდა წინ და უკან აუჩქარებელი ნაბიჯით; გაივლიდა ერთადერთი ლამპით განათებულ სასადილოს ჭრაჭუნა პარკეტს, ჩაბნელებული სასტუმროს ხალიჩას, სადაც სინათლე ადგებოდა დივნის ზემოთ დაკიდებულ, ახლახან შესრულებულ მის დიდ პორტრეტს, გაივლიდა ანას კაბინეტს, სადაც ორი სანთელი შუქს ჰფენდა ანას მშობლებისა და მისი მეგობრების პორტრეტებს, და მისთვის დიდი ხნის ნაცნობ საწერი მაგიდის სამშვენისებს; ანას ოთახზე გავლით საწოლი ოთახის კარამდე მივიდოდა და მერე უკანვე შემოტრიალდებოდა.

რამდენჯერაც გაივლიდა ამ გზას, უფრო ხშირად კი განათებულ სასადილოს პარკეტს, შეჩერდებოდა და ეტყოდა თავის თავს: „დიახ, აუცილებლად უნდა გადავწყვიტო ეს საკითხი და ბოლო მოვუღო, გამოვთქვა ჩემი შეხედულება და გადაწყვეტილებაც გამოვიტანო“. და უკან გამოტრიალდებოდა. „მაგრამ რა უნდა

ვუთხრა? რა გადაწყვეტილება უნდა გამოვიტანო?“ – ეკითხებოდა თავის თავს სასტუმრო ოთახში შესული და პასუხს ვერ პოულობდა. „ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ასეთი?“ – ეკითხებოდა თავის თავს ანას კაბინეტში შესვლისას, – არაფერიც არ მომხდარა! ანა დიდხანს ელაპარაკებოდა მას. მერე რა მოხდა? განა არავის ელაპარაკებიან ქალები საზოგადოებაში? რატომ უნდა იეჭვიანო, ესე იგი რატომ უნდა დაამცირო შენი თავიცა და ცოლიც?“ – ეკითხებოდა თავის თავს უკვე ანას კაბინეტში მყოფი; მაგრამ ამგვარ მსჯელობას, რასაც წინათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგვოდა და არავითარი ფასი აღარ ჰქონდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი საწოლი ოთახის კარამდე მივიდოდა და უკანვე გამობრუნდებოდა სასტუმროსაკენ, მაგრამ როგორც კი ფეხს შედგამდა ჩაბნელებულ სასტუმროში, რაღაც ხმა კვლავ ეუბნებოდა, რომ ეს ასე არ არის, რაკი სხვებმაც შენიშნეს, მართლაც რაღაც უნდა იყოსო. სასადილო ოთახში კვლავ უმეორებდა თავის თავს: „დიახ, აუცილებლად უნდა გადავწყვიტო, ბოლო მოვუღო და გამოვთქვა საკუთარი აზრი“. სასტუმროში კი, სანამ ანას კაბინეტში შევიდოდა, ისევ ეკითხებოდა თავის თავს: როგორ გადავწყვიტოო? მერე ისევ კითხულობდა, ისეთი რა მოხდაო? პასუხსაც აძლევდა: არაფერიო. კვლავ ახსენდებოდა, რომ ეჭვიანობა ამცირებს ცოლს, მაგრამ სასტუმროში ისევ რწმუნდებოდა, რაღაც მოხდაო. მისი აზრები, ისევე როგორც მისი სხეული, გარშემო ტრიალებდნენ და ვერაფერს ახალს ვერ პოულობდნენ. ალექსეი ალექსანდროვიჩმაც შენიშნა ეს, შუბლი მოისრისა და ცოლის კაბინეტში ჩამოჯდა.

აქ, ცოლის საწერ მაგიდას რომ შეხედა, რომელზედაც მალაქიტის ბიუვარი და დაუმთავრებელი წერილი იდო, უეცრად შეეცვალა ფიქრები. ალექსეი ალექსანდროვიჩი ახლა ანას ცხოვრებას ჩაუკვირდა, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა ანა. მან პირველად წარმოიდგინა ნათლად ანას პირადი ცხოვრება, მისი ფიქრები, სურვილები, მოსაზრებანი, და იმისმა გაფიქრებამ, შესაძლოა მასაც ჰქონდეს და უნდა ჰქონდესო კიდეც თავისი პირადი ცხოვრება, ისეთი თავზარი დასცა, რომ მყისვე თავიდან მოიცილა ეს აზრი. ეს ის უფსკრული იყო, რომელში ჩახედვაც ასე აშინებდა. მას არ ჰქონდა იმის უნარი, ჩაეხედა და ეგრძნო, რა ხდებოდა მეორე ადამიანის სულში; ამიტომაც ამას იგი მავნებელ, სახიფათო ფანტაზიორობად

მიიჩნევდა.

„ყველაზე საშინელი ის არის, – ფიქრობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – რომ სწორედ ახლა, როცა ჩემი საქმე დასასრულს უახლოვდება (მხედველობაში ჰქონდა პროექტი, რომელიც უნდა გაეტარებინა) და ჩემთვის ასე საჭიროა სიმშვიდე და სულიერი ძალის დაძაბვა, სწორედ ახლა დამატყდა თავს ეს უაზრო შიში. რა გაეწყობა! მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც უდრტვინველად ურიგდებიან ამ შიშსა და შფოთს და ძალა არ შესწევთ, თვალი გაუსწორონ“.

– მე უნდა მოვიფიქრო, გადავწყვიტო და თავიდან მოვიცილო, – ხმამაღლა თქვა მან.

„საკითხი მისი გრძნობებისა და იმის შესახებ, თუ რა ხდება, ან რა შეიძლება მოხდეს მის სულში, ჩემი საქმე არ არის, ეს მისი სინდისის საქმეა და რელიგიას ექვემდებარება“, – გაიფიქრა და გულზე მოეშვა იმის შეგნებით, რომ უკვე მიაგნო კანონთა იმ პუნქტს, რომელსაც შექმნილი გარემოება ექვემდებარება.

„მაშასადამე, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – მისი გრძნობებისა და სხვა ამისთანების საკითხი მისი სინდისის საქმეა და მე სრულებით არ მეხება. ჩემი მოვალეობა სავსებით გარკვეულია. მე, როგორც ოჯახის უფროსი, მოვალე ვარ ვუხელმძღვანელო მას, ამიტომ ნაწილობრივ პასუხისმგებელიც ვარ. მე უნდა მივუთითო საფრთხეზე, რომელსაც ვხედავ, უნდა გავაფრთხილო და გამოვიყენო კიდეც ჩემი უფლებები. უნდა ვუთხრა ყველაფერი“.

და ალექსეი ალექსანდროვიჩმა გონებაში ნათლად ჩამოაყალიბა, რა უნდა ეთქვა ცოლისათვის და როცა მოიფიქრა ყველაფერი, რისი თქმაც იყო საჭირო, სინანული იგრძნო, რომ თავისი დრო და გონების ძალა ასე შეუმჩნევლად ეხარჯებოდა ოჯახურ საქმეებზე: მაგრამ, მიუხედავად ამისა, გონებაში მაინც ნათლად, მკაფიოდ ჩამოაყალიბა, როგორ, რა თანამიმდევრობით ეტყოდა ცოლს ყოველივე ამას, ისევე როგორც ჩამოაყალიბებდა ხოლმე რაიმე მოხსენებას. „მე უნდა ვუთხრა და გამოვთქვა შემდეგი: ჯერ ერთი, უნდა ავუხსნა, რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აზრს და საზოგადოებაში მიღებულ წესრიგის დაცვას; მეორეც, უნდა განვუმარტო ქორწინების მნიშვნელობა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით;

მესამე, თუ საჭირო იქნება, უნდა მივუთითო, რა უბედურება შეიძლება დაატყდეს ჩვენს ვაჟიშვილს; მეოთხე, უნდა გავაფრთხილო, რა უბედურება მოელის თვით მას“, – და ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელები ერთმანეთს გადააჭდო, გაჭიმა და თითები გაატკაცუნა.

ეს ცუდი ჩვევა – ხელების გადაჭდობა და თითების ტკაცუნი – ყოველთვის ამშვიდებდა და წესრიგში მოჰყავდა, რაც ახლა მისთვის მეტად საჭირო იყო. სადარბაზო კართან კარეტის ხმა გაისმა. ალექსეი ალექსანდროვიჩი შუაგულ დარბაზში შეჩერდა.

კიბეზე ქალის ფეხის ხმა გაისმა. ალექსეი ალექსანდროვიჩს უკვე მზად ჰქონდა ცოლისთვის სათქმელი სიტყვა, ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები ზევით ასწია, ელოდა, კიდევ ხომ არ გაიტკაცუნებდა რომელიმე თითი. მხოლოდ ერთმა თითმა გაიტკაცუნა.

ამ მსუბუქმა ფეხის ხმამ უკვე აგრძნობინა ანას მოახლოება და მართალია, კმაყოფილი იყო თავისი სიტყვით, მაინც შეაძრწუნა მოსალოდნელმა ახსნა-განმარტებამ.

IX

ანა თავდახრილი მოდიოდა და ხელში ჩაბალახის ფუნჯს ათამაშებდა. სახეზე ნათელი გადაჰფენოდა, მაგრამ ეს ნათელი სიხარულის მომასწავებელი როდი იყო, ეს ჰგავდა საშინელი ხანძრის ელვარებას წყვდიადით მოცულ ღამეში. ქმრის დანახვაზე ანამ თავი ზევით ასწია და ისე გაიღიმა, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო.

– შენ კიდევ არ დაწოლილხარ? აი, სასწაული! – თქვა ანამ, ჩაბალახი გადაიძრო და შეუჩერებლივ გასწია საპირფარეშო ოთახისაკენ, – უკვე დროა, ალექსეი ალექსანდროვიჩ, – გამოსძახა მან კარის იქიდან.

– ანა, მე შენთან მოლაპარაკება მინდა.

– ჩემთან? – გაკვირვებით თქვა ანამ, ოთახიდან გამოვიდა და

სახეში შეაჩერდა ქმარს, – რა ამბავია? რაზე უნდა მომელაპარაკო? – ჰკითხა და სკამზე ჩამოჯდა, – მაშ, მოდი მოვილაპარაკოთ, თუ საჭიროა. ისე კი დაძინება ჯობდა.

ანა იმას ამბობდა, რაც ენაზე ადგებოდა და ყურს რომ უგდებდა თავის თავს, თვითონვე აოცებდა ეს სიცრუის უნარი. როგორი უბრალო, როგორი ბუნებრივი იყო მისი სიტყვები, როგორ ჰგავდა სიმართლეს! ანა თითქოს სიცრუის გაუვალი ჯავშნით იყო მოსილი, გრძნობდა, რაღაც უხილავი ძალა რომ ეხმარებოდა და ძალ-ღონეს მატებდა.

– ანა, მე მინდა გაგაფრთხილო, – უთხრა ქმარმა.

– გამაფრთხილო? – თქვა ანამ, – რაზე უნდა გამაფრთხილო?

ანა ისე გულუბრყვილოდ, ისე მხიარულად შესცქეროდა ქმარს, რომ სხვა, ვინც ალექსეი ალექსანდროვიჩივით არ იცნობდა ანას, ვერაფერ სიყალბეს ვერ შენიშნავდა ვერც ხმასა და ვერც საუბარში. მაგრამ ქმარი, რომელიც იცნობდა ანას და იცოდა, რომ ხუთი წუთითაც ადრე რომ დაწოლილიყო, ანა უსათუოდ შენიშნავდა ამას და მიზეზს იკითხავდა, რომელმაც იცოდა, რომ ანას ყოველი თავისი სიხარული თუ მწუხარება მაშინვე ქმრისთვის უნდა გაეზიარებინა, – მისთვის ახალი და მეტად ბევრის მთქმელი იყო ის ამბავი, რომ ანას არ სურდა ქმრის გულში ჩახედვა, არ სურდა თუნდაც ერთი სიტყვის თქმა თავის თავზე. ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა, რომ ანას გული, რომელიც წინათ ყოველთვის ღია იყო მისთვის, ახლა დახურულიყო. კიდევ მეტიც, ანას ლაპარაკზე ქმარი იმასაც ამჩნევდა, რომ სულაც არ აკრთობდა ეს, იგი თითქოს პირდაპირ ეუბნებოდა ქმარს: დიახ, დახურულია, ასეც უნდა იყოს და მომავალშიც ასე იქნებაო. ახლა ალექსეი ალექსანდროვიჩი იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელიც საკუთარ სახლში დაბრუნდა, სახლი კი დაკეტილი დაუხვდა. „მაგრამ იქნებ შესაძლოა, კიდევ მოინახოს გასაღები“, – ფიქრობდა იგი.

– მე მინდა გაგაფრთხილო, – ხმადაბლა დაიწყო ქმარმა, – რომ წინდაუხედაობისა და ქარაფშუტობის წყალობით შესაძლოა ლაპარაკის საბაბი მისცე საზოგადოებას, შენმა დღევანდელმა მეტისმეტად მხიარულმა ლაპარაკმა გრაფ ვრონსკისთან (მან აუღელვებლად, მკაფიოდ თქვა ეს სახელი) საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

ქმარი ეუბნებოდა ამას, შეჰყურებდა ანას მოღიმარ თვალებს, რომელნიც ახლა საზარელნი ეჩვენებოდნენ ამ გულჩახვეულობის გამო, და გრძნობდა, რომ მისი ლაპარაკი სრულიად ამაო და უსარგებლო იყო.

– შენ ყოველთვის ასე იცი, – ისე უპასუხა ანამ, თითქოს ვერ მიხვდაო ქმრის ნათქვამს, თითქოს განზრახ მხოლოდ ბოლო ნათქვამი სიტყვები გაიგონაო, – ხან ჩემი მოწყენილობა გაწუხებს, ხან ჩემი მხიარულება. მოწყენილი რომ არ ვიყავი, ამან გაგანაწყენა?

ალექსეი ალექსანდროვიჩს გააჟრჟოლა, ხელები მოხარა, უნდოდა თითები გაეტკაცუნებინა.

– ოჰ, გეთაყვა, ნუ ატკაცუნებ, საშინლად მძულს, – უთხრა ანამ.

– ანა, ნუთუ ეს შენა ხარ? – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და თავს ძალა დაატანა, შეეკავებინა ხელების მოძრაობა.

– კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი? – გულწრფელი, კომიკური გაოცებით იკითხა ანამ, – რა გინდა ჩემგან?

ალექსეი ალექსანდროვიჩი ერთხანს გაჩუმდა, შუბლსა და თვალებზე ხელი მოისვა. ხედავდა, რომ იმას არ აკეთებდა, რაც განზრახული ჰქონდა, ესე იგი, კი არ აფრთხილებდა ცოლს, შეცდომა არ ჩაედინა საზოგადოების თვალში, არამედ თავისდა უნებურად ღელავდა ანას პატიოსნების გამო, თავისივე წარმოდგენით შექმნილ რაღაც კედელს ებრძოდა.

– აი, რისი თქმა მინდა, – ცივი, მშვიდი ხმით განაგრძო ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – და მე გთხოვ, მომისმინო. შენ იცი, რომ ეჭვიანობა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ გრძნობად მიმაჩნია და ნებას არ მივცემ ჩემს თავს, ავყვე ამ გრძნობას; მაგრამ არსებობს გარკვეული წესები, რომელთაც დაუსჯელად ვერავინ გადალახავს. დღევანდელ დღეს მე არაფერი შემინიშნავს, მაგრამ, საზოგადოებაზე მოხდენილი შთაბეჭდილებით თუ ვიმსჯელებთ, ყველასთვის შესამჩნევი იყო, რომ შენ ისე არ იქცეოდი, როგორც სასურველია.

– სრულიად ვერაფერი გამიგია! – თქვა ანამ და მხრები აიწურა. „მისთვის სულერთია, – გაიფიქრა თავისთვის, – მხოლოდ ის აღელვებს, საზოგადოებამ რომ შენიშნა ეს“, – შეუძლოდ ხომ არა ხარ, ალექსეი ალექსანდროვიჩ, – დაუმატა ანამ და წამოდგა,

კარში გასვლა დააპირა, მაგრამ ქმარი ისე გადაუდგა წინ, თითქოს მისი შეჩერება უნდოდა.

მისი სახე ულამაზო და მოღუშული იყო, ასეთი არასოდეს უნახავს იგი ანას. ანა შეჩერდა, თავი გვერდზე გადასწია და თმიდან სარჭების ამოძრობა დაიწყო.

– აბა, გისმენ, ვნახოთ, რას იტყვი, – მშვიდად, დამცინავად თქვა ანამ, – დიდი გულისყურითაც გისმენ, რადგან ძალიან მინდა გავიგო, რაშია საქმე.

ანა ლაპარაკობდა და აოცებდა თავისი მშვიდი, ბუნებრივი, თავდაჯერებული კილო, სიტყვები, რომელნიც უნებლიეთ ადგებოდა ენაზე.

– მე უფლება არა მაქვს, შევიჭრა შენს გრძნობებში და საერთოდ ეს უსარგებლოა და საზიანოდაც კი მიმაჩნია, – დაიწყო ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – საკუთარ სულში ფათურის დროს ხანდახან ისეთ რამეს ამოვქექავთ, რაც სხვა დროს, შესაძლოა, შეუმჩნევლად დარჩენილიყო. შენი გრძნობები შენი სინდისის საქმეა; მაგრამ მე ვალდებული ვარ შენ წინაშე, ჩემი თავისა და ღვთის წინაშე, მიგითითო შენს მოვალეობაზე. ჩვენი ცხოვრება დაკავშირებულია ერთმანეთთან და ჩვენ, ადამიანებმა კი არა, თვით ღმერთმა დაგვაკავშირა. ამ კავშირის გაწყვეტა მხოლოდ დანაშაულს შეუძლია, ამგვარ დანაშაულს კი მძიმე სასჯელი მოსდევს.

– ვეღარაფერი გამიგია! ოჰ, ღმერთო ჩემო, რაღა ახლა მეძინება ასე! – ამბობდა ანა, თან საჩქაროდ იძრობდა თმაში დარჩენილ სარჭებს.

– ანა, ღვთის გულისათვის, ნუ ლაპარაკობ ასე! – წყნარად უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – შესაძლოა მე ვცდები, მაგრამ მერწმუნე, ის, რასაც ახლა გეუბნები, ისევე მნიშვნელოვანია შენთვის, როგორც ჩემთვის. მე ქმარი ვარ და შენ მიყვარხარ!

წამით ანამ თავი ჩაღუნა. მის თვალებში ჩაქრა დამცინავი ნაპერწკალი. მაგრამ ამ სიტყვამ – „მიყვარხარო“ ისევ აღაშფოთა. „სიყვარული? განა მას შეუძლია სიყვარული? გაგონილი რომ არ ჰქონდეს, სიყვარული არსებობსო, არასოდეს იტყოდა ამ სიტყვას. მან არც იცის, რა არის სიყვარული!“

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, მართალი გითხრა, ვერაფერი გამიგია, – უთხრა ანამ, – განმიმარტე, რას ხედავ ამაში...

– დამაცადე, დამამთავრებინე სათქმელი. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ მე ჩემს თავზე როდი ვლაპარაკობ. მთავარია, ჩვენი ვაჟიშვილი და თვით შენ. ვიმეორებ, შესაძლოა ჩემი სიტყვები სრულიად ამაოდ და უადგილოდ გეჩვენოს, შესაძლოა, ეს მხოლოდ ჩემი გაურკვევლობის შედეგი იყოს, ასეთ შემთხვევაში გთხოვ, მომიტევო, მაგრამ, თუ შენ გრძნობ, რომ ამას ოდნავი საფუძველი მაინც აქვს, მაშინ გთხოვ, ჩაუფიქრდე და თუ გული გეტყვის, მითხრა ყველაფერი...

ალექსეი ალექსანდროვიჩი თვითონაც ვერ ამჩნევდა, რომ თავისდა უნებურად იმას არ ამბობდა, რაც განზრახული ჰქონდა.

– მე არაფერი მაქვს სათქმელი, თანაც... – აჩქარებით უთხრა ანამ და ძლივს დაიოკა ღიმილი, – მართლაც რომ უკვე ძილის დროა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ამოიოხრა, აღარაფერი უთხრა და საწოლი ოთახისაკენ გასწია.

ანა რომ საწოლ ოთახში შევიდა, ქმარი უკვე იწვა, ტუჩები მკაცრად ჰქონდა მოკუმული. მას აღარც შეუხედავს ანასთვის. ანა თავის საწოლში ჩაწვა, ყოველ წუთს ელოდა, რომ ქმარი ისევ წამოიწყებდა ლაპარაკს, თან აშინებდა ეს და თან კიდეც ეწადა, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი ხმას არ იღებდა. ანა დიდხანს ელოდა გაუნძრევლად და ბოლოს გადაავიწყდა კიდეც ქმარი. იგი უკვე სხვაზე ფიქრობდა, ხედავდა ვრონსკის და გრძნობდა, როგორ ევსებოდა გული მღელვარებითა და დანაშაულებრივი სიხარულით. უცებ ანას თანაბარი, დამამშვიდებელი, სტვენანარევი ფშვინვა შემოესმა. პირველად ალექსეი ალექსანდროვიჩს თითქოს შეეშინდა ამ ხმისა, შეჩერდა, მაგრამ ერთი-ორი ამოსუნთქვის შემდეგ ისევ თანაბარი, სტვენანარევი ფშვინვა გაისმა.

– გვიან არის, გვიან, უკვე გვიანია! – ღიმილით წაიჩურჩულა ანამ.

დიდხანს იწვა გაუნძრევლად, თვალებგახელილი და ეჩვენებოდა, რომ სიბნელეში თვითონვე ხედავდა საკუთარ თვალთა ელვარებას.

X

ამ საღამოდან ალექსეი ალექსანდროვიჩისა და მისი მეუღლისათვის ახალი ცხოვრება დაიწყო. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ანა, როგორც ყოველთვის, დადიოდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ხშირად იყო ქალბატონ ბეტსისთან და ყველგან ვრონსკის ხვდებოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა ამას, მაგრამ ვერაფერი ეღონა. ცდილობდა, გულღია საუბარში გამოეწვია ანა, მაგრამ მის ყოველ ცდას ანა ყოველთვის სიხარულნარევი გაოგნების გაუვალ კედელს უპირისპირებდა. გარეგნულად ყველაფერი იგივე დარჩა, მაგრამ მათი შინაგანი ურთიერთობა სავსებით შეიცვალა. ალექსეი ალექსანდროვიჩი, ესოდენ ძლიერი ადამიანი სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, აქ სრულიად უძლური აღმოჩნდა. ხარივით თავჩაღუნული ელოდა, როდის დაატყდებოდა თავს ის უეცარი უბედურება, რომელიც, მისი ფიქრით, უკვე თავს დასტრიალებდა. ყოველთვის, როცა კი ამაზე ფიქრს დაიწყებდა, გრძნობდა, საჭირო იყო ერთხელ კიდევ ეცადა ბედი, კიდევ იყო იმედი იმისა, რომ სიკეთის ან სიყვარულის ჩაგონებით ეხსნა ანა, როგორმე გონს მოეყვანა და ყოველდღე აპირებდა მასთან საუბარს. მაგრამ ყოველთვის, როცა კი ლაპარაკს დაუწყებდა, გრძნობდა, რომ ბოროტი სული, რომელიც დაუფლებოდა ანას, მასაც იმონებდა და იგი ეუბნებოდა არა იმას, რაც განზრახული ჰქონდა და არა იმ ტონით, რომელიც საჭირო იყო. იგი თავისდა უნებურად ლაპარაკობდა ჩვეული დამცინავი ტონით მათზე, რომელნიც ამას ასე იტყოდნენ. ამგვარი ტონით კი შეუძლებელი იყო იმის თქმა, რაც საჭირო იყო ანასთვის.

XI

ის, რაც ვრონსკის ერთადერთ მიზანს შეადგენდა თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში, რამაც შთანთქა ყველა მისი სურვილი, ის, რაც ანასათვის შეუძლებელი, საზარელი და მით უფრო მომაჯადოებელი ოცნება იყო ბედნიერებისა, – ეს სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა. გაფითრებული ვრონსკი, რომელსაც ქვედა ყბა უცახცახებდა, თავს დასდგომოდა ანას და

ემუდარებოდა, დამშვიდებულიყო, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, როგორ ან რითი უნდა დამშვიდებულიყო.

– ანა! ანა! – აკანკალებული ხმით ეუბნებოდა იგი, – ანა, ღვთის გულისათვის!..

და რაც უფრო ხმამაღლა ემუდარებოდა, მით უფრო დაბლა ხრიდა ანა ოდესღაც ამაყ, მხიარულ, ახლა კი შერცხვენილ თავს, წელში იხრებოდა, ძირს ვარდებოდა დივნიდან, რომელზეც იჯდა, იატაკზე ვრონსკის ფერხთით ეცემოდა; დავარდებოდა კიდეც ხალიჩაზე, ვრონსკის რომ არ სჭეროდა ხელით.

– ღმერთო, შემინდე! – ქვითინებდა ანა და გულში იკრავდა ვრონსკის ხელს.

იმდენად დიდად ეჩვენებოდა თავისი დანაშაული, იმდენად დამნაშავედ გრძნობდა თავს, რომ მხოლოდ ისღა დარჩენოდა, თავი დაემცირებინა და პატიება ეთხოვა. ახლა კი ცხოვრებაში ვრონსკის მეტი აღარავინ დარჩენოდა და მას ევედრებოდა, შეენდო მისი დანაშაული. როცა ვრონსკის უყურებდა, ანა ფიზიკურად გრძნობდა თავის დამცირებას და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა, ვრონსკი კი იმას განიცდიდა, რასაც განიცდის მკვლელი, როცა თავისი თვალით დაჰყურებს მის მიერ სიცოცხლეგამოცლილ სხეულს. ეს სიცოცხლეგამოცლილი სხეული კი მათი სიყვარული, მათი სიყვარულის პირველი პერიოდი იყო. საშინელი, თავზარდამცემი იყო იმის მოგონება, რაც ამ საზარელი სირცხვილის ფასად იქნა მოპოვებული. საკუთარი სულიერი სიშიშვლით გამოწვეული სირცხვილი გულს უწამლავდა ანას და ეს ვრონსკისაც გადასდებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მკვდარი სხეულის წინაშე მდგარი მკვლელი საშინელებას განიცდის, მან მაინც უნდა აკუწოს ეს სხეული და გადამალოს, უნდა ისარგებლოს იმით, რაც ამ მკვლელობით მოიპოვა.

და როგორც გაბოროტებული, გაშმაგებული მკვლელი მივარდება სხეულს, მიათრევს და ნაკუწ-ნაკუწად კეპავს, ასევე ვრონსკიც გაშმაგებული უკოცნიდა ანას სახეს, მხრებს. ანას ვრონსკის ხელი ეჭირა და გაუნძრევლად იჯდა. დიახ, აი, ეს კოცნა, რომელიც ასეთი სირცხვილის ფასად იყიდა, აი, ეს ხელი, რომელიც მარად მისი იქნება – მისი თანამონაწილის ხელი. მან ზევით ასწია ეს ხელი და აკოცა. ვრონსკი მუხლებზე დაეცა, უნდოდა დაენახა მისი სახე, ანა კი სახეს მალავდა, ხმას

არ იღებდა. ბოლოს ანამ როგორღაც სძლია თავს, წამოდგა და მოიშორა ვრონსკი. მისი სახე კვლავ ისეთივე მშვენიერი იყო და ამის გამო კიდევ უფრო შესაბრალისი ჩანდა.

– დასრულდა ყოველივე, – თქვა ანამ, – მე აღარაფერი გამაჩნია შენ გარდა. გახსოვდეს ეს!

– როგორ შემიძლია, არ მახსოვდეს ის, რაც ჩემს სიცოცხლეს შეადგენს. ამ ბედნიერების ერთი წუთისათვის...

– რომელი ბედნიერება! – ზიზღით წამოიძახა შეძრწუნებულმა ანამ და ეს ძრწოლა, თავისდა უნებურად, ვრონსკისაც გადაედო, – ღვთის გულისათვის, არც ერთი სიტყვა აღარ მითხრა!

ანა სწრაფად წამოდგა, გასცილდა ვრონსკის.

– არც ერთი სიტყვა, – გაიმეორა მან და ვრონსკისთვის ამოუხსნელი დარჩა ის საშინელი სასოწარკვეთილება, განშორებისას ანას სახეზე რომ ამოიკითხა. ანა გრძნობდა, რომ ამ წუთში არ შეეძლო სიტყვებით გამოეხატა სირცხვილის, სიხარულისა და სასოწარკვეთის ის გრძნობა, რასაც ამ ახალ ცხოვრებაში შესვლისას განიცდიდა, არც უნდოდა ამაზე ლაპარაკი, რათა არაზუსტი სიტყვებით არ შეებილწა ეს გრძნობა. მაგრამ შემდეგაც, მეორე და მესამე დღეს, ანამ არათუ მონახა სიტყვები ამ რთული გრძნობის გამოსათქმელად, არამედ საკუთარი თავის წინაშეც ვერ გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა მის სულში.

„არა, ახლა არ შემიძლია ამაზე ფიქრი, შემდეგ ვიფიქრებ, როცა უფრო დამშვიდებული ვიქნები!“ – ეუბნებოდა თავის თავს. მაგრამ ეს სიმშვიდე მისი გონებისათვის არასოდეს აღარ დამდგარა; ყოველთვის, როცა დაუფიქრდებოდა, რა ჩაიდინა, რა მოელის ან რა უნდა ქნას, ისეთი საშინელება შეიპყრობდა, რომ უმალვე თავიდან იცილებდა ამ აზრს.

– შემდეგ, შემდეგ, – ამბობდა ანა, – როცა დამშვიდებული ვიქნები.

სამაგიეროდ, სიზმარში, როცა ვეღარ იმორჩილებდა თავის აზრებს, მთელი სისაძაგლით წარმოუდგებოდა ხოლმე თავისი მდგომარეობა. ერთ სიზმარს კი თითქმის ყოველღამ ხედავდა. ესიზმრებოდა, რომ ორივე მისი ქმარი იყო და ორივე

თავდავიწყებით ეალერსებოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი ტიროდა, ხელებს უკოცნიდა და ეუბნებოდა, რა კარგიაო ახლა. ალექსეი ვრონსკიც იქვე იყო და ისიც მისი ქმარი იყო. ანას უკვირდა, წინათ რომ შეუძლებლად მიაჩნდა ეს და სიცილით უხსნიდა, ასე ბევრად უფრო იოლია, ახლა ორივე კმაყოფილი და ბედნიერი ხართო. მაგრამ ეს სიზმარი კოშმარივით აწვებოდა გულზე და ყოველთვის შეძრწუნებული იღვიძებდა.

XII

ჯერ კიდევ მოსკოვიდან დაბრუნების პირველ ხანებში, როცა ლევინი გაიხსენებდა ხოლმე უარით განცდილ სირცხვილს, ყოველთვის შეკრთებოდი, გაწითლდებოდა და ეტყოდა თავის თავს: „ასევე ვწითლდებოდი და ვკრთოდი, ასევე დაღუპულად მიმაჩნდა ყველაფერი, როცა ფიზიკაში ერთიანი მივიღე და მეორე კურსზე დავრჩი; ასევე დაღუპულად მივიჩნიე ყველაფერი, როცა ჩემი დის დავალებული საქმე წავახდინე. მერე რა? ახლა, როცა წლებმა გაიარა, გამახსენდება ხოლმე და მიკვირს, ამან როგორ დამაღონა-მეთქი, ასეთი ბედი ეწევა ამ მწუხარებასაც. გაივლის ხანი და ამასაც გულგრილად გავიხსენებ!“

მაგრამ გაიარა სამმა თვემ და მაინც გულგრილი ვერ გახდა ამ მოგონებებისადმი, ახლაც ისევე სტკენდა გულს ამის გახსენება, როგორც პირველ დღეებში. ლევინს არ შეეძლო დამშვიდებით ყოფილიყო, რადგან იგი, ვინც ასე დიდხანს ოცნებობდა ოჯახურ ცხოვრებაზე და ასე მომწიფებულად გრძნობდა თავს საამისოდ, კვლავ უცოლოდ დადიოდა და დღეს ისე შორს იყო მისგან ცოლის თხოვა, როგორც არასოდეს. ლევინი, ისე როგორც ყველა მის ირგვლივ მყოფი, ავადმყოფურად განიცდიდა თავის მარტოხელობას. აგონდებოდა, ერთხელ, მოსკოვში გამგზავრების წინ, როგორ უთხრა თავის მენახირე ნიკოლაის, ერთ გულუბრყვილო გლეხს, რომელთანაც ლაპარაკი უყვარდა ხოლმე: „რას იტყვი, ნიკოლაი, ცოლის თხოვას ვაპირებ“. ნიკოლაიმ ისე საჩქაროდ უპასუხა, როგორც იტყვიან ისეთ საქმეზე, რაშიც დაეჭვება არ

შეიძლება: „დროც არის, კონსტანტინ დმიტრიჩ!“ მაგრამ ცოლის თხოვა ახლა უფრო შორს იყო მისგან, ვიდრე ოდესმე. ადგილი დაკავებული აღმოჩნდა და ახლა, როცა რომელიმე თავის ნაცნობ ქალიშვილს წარმოიდგენდა ამ ადგილზე, გრძნობდა, რომ ეს სავსებით შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, სირცხვილი სწვავდა უარისა და იმ როლის გახსენებაზე, იმ საღამოს რომ ასრულებდა. რამდენს არწმუნებდა თავს, მე აქ არაფერ შუაში ვარო, ამის გახსენება, სხვა ამგვარ სამარცხვინო მოგონებებთან ერთად, ყოველთვის აკრთობდა და აწითლებდა: როგორც სხვებს, ისე მასაც წარსულიდან ბევრი უმსგავსი საქციელი აგონდებოდა, რის გამოც სინდისის ქენჯნას უნდა შეეწუხებინა, მაგრამ მათ გახსენებას სულაც არ გაუტანჯავს, როგორც ამ უმნიშვნელო, მაგრამ სამარცხვინო მოგონებებმა გააწამა. ეს იარები არასოდეს უშუშდებოდა, ახლა ამგვარ მოგონებად იქცა ლევინისთვის უარის გახსენება და ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა იმ საღამოს იქ მყოფთა თვალში. მაგრამ დროსა და მუშაობას მაინც თავისი გაჰქონდა. მძიმე მოგონებები თანდათან იჩრდილებოდა სოფლური ცხოვრების მისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენებით. რამდენი კვირაც ემატებოდა, მით უფრო იშვიათად ახსენდებოდა კიტი. ლევინი მოუთმენლად ელოდა, როდის გაიგებდა, კიტი გათხოვდა ან დღე-დღეზე თხოვდებაო. იმედი ჰქონდა, ამ ამბის გაგება, როგორც კბილის ამოღება, საბოლოოდ განკურნავდა.

ამასობაში გაზაფხულიც დადგა, მომხიბლავი საუცხოო გაზაფხული, ყოველგვარი ლოდინისა და წატყუების გარეშე, ერთი იმ მშვენიერ გაზაფხულთაგანი, რომელსაც ერთნაირად შეხარიან მცენარეებიც, ცხოველებიც და ადამიანებიც. ამ მშვენიერმა გაზაფხულმა კიდევ უფრო გაახალისა ლევინი და განუმტკიცა ის განზრახვა, რომ ყოველივე ძველზე ხელი აეღო და მტკიცედ მოეწყო თავისი დამოუკიდებელი, მარტოხელა ცხოვრება. მართალია, მრავალი რამ თავისი გეგმიდან, რომლის განხორციელებასაც სოფელში აპირებდა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ, რაც მთავარი იყო, ცხოვრების სიფაქიზე დაცული ჰქონდა. ლევინი არ განიცდიდა იმ სირცხვილს, რაც ჩვეულებრივ ტანჯავდა ხოლმე დაცემის შემდეგ და შეეძლო თამამად გაესწორებინა თვალი ყველასთვის. ჯერ კიდევ თებერვალში წერილი მიიღო მარია ნიკოლაევნასაგან, რომელიც ატყობინებდა, ნიკოლაის

ჯანმრთელობა თანდათან უარესდება, მაგრამ მკურნალობა არ სურსო. წერილის მიღებისთანავე ლევინი მოსკოვში ჩავიდა, დაითანხმა ძმა, რომ ექიმებს მოლაპარაკებოდა და წასულიყო საზღვარგარეთ, წყლებზე სამკურნალოდ. მან ისე კარგად მოახერხა ძმის დაყოლიება, სამგზავრო ფულიც ისე მისცა სესხად, რომ ამით სულ არ გაუღიზიანებია ძმა. ასე რომ, ამ მხრივ სავსებით კმაყოფილი იყო თავისი თავით. გარდა წიგნების კითხვისა და მეურნეობისა, რომელიც საგაზაფხულოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა, ლევინმა ამ ზამთარს ხელი მოჰკიდა აგრეთვე თხზულების წერას მეურნეობის შესახებ. თხზულების გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ მეურნეობაში მუშახელის ხასიათი მიღებული ყოფილიყო ისეთივე აბსოლუტურ მონაცემად, როგორც ითვლება ჰავა და ნიადაგი და აქედან გამომდინარე, ყველა დებულება მეცნიერებისა, რომელიც კი მეურნეობას შეეხება, უნდა გამომდინარეობდეს არა მარტო ჰავისა და ნიადაგისაგან, არამედ ჰავისა და ნიადაგის მონაცემებს თან უნდა დაერთოს მუშახელის გარკვეული უცვლელი ხასიათი. ასე რომ, მიუხედავად განმარტოებისა, ან ამ განმარტოების შედეგად, მისი ცხოვრება მეტისმეტად სავსე იყო და მხოლოდ ხანდახან თუ განიცდიდა დაუკმაყოფილებელ სურვილს, აგაფია მიხაილოვნას გარდა ვინმე ჰყოლოდა კიდევ ისეთი, რომ თავში მოხეტიალე ფიქრები გაეზიარებინა, თუმცა აგაფია მიხაილოვნასთანაც ხშირად უსაუბრია ფიზიკაზე, მეურნეობის თეორიასა და განსაკუთრებით ფილოსოფიაზე, ფილოსოფია ხომ აგაფია მიხაილოვნას საყვარელ საგნად იქცა.

გაზაფხული დიდხანს მალავდა თავს. მარხვის უკანასკნელ კვირებში ნათელი, ყინვიანი დარი იდგა, დღისით მზეზე დნებოდა ყინული, ღამით კი შვიდ გრადუსამდე აღწევდა ყინვა. გზები ისე მოილიპა, რომ ურმები ვეღარ დადიოდნენ. აღდგომაც თოვლიანი იყო. შემდეგ უცებ, აღდგომის მეორე დღეს, თბილმა ქარმა დაქროლა, ღრუბლები ჩამოწვა და სამ დღესა და ღამეს გიჟმაჟი თბილი წვიმა ასხამდა. ხუთშაბათისათვის ქარი ისევ ჩადგა და ისეთი სქელი ნისლი ჩამოწვა, თითქოს მას უნდა დაეფარა ბუნებაში მომხდარი იდუმალი ცვლილებანი. ამ ნისლში წამოუშინა ღვართქაფმა, გატყდა, დაიძრა ყინული, აბორგდნენ მღვრიე, აქაფებული ნაკადულები. სწორედ კვირაცხოვლობა დღეს, საღამოს გაირღვა ნისლი, აქეთ-იქით მიიმალნენ ღრუბლის ქულები, ცა

მოიწმინდა და დაიწყო ნამდვილი გაზაფხული. დილით კაშკაშა მზემ გამოანათა, სწრაფად გაალღო მდინარეზე გადაკრული თხელი ყინული და გამოცოცხლებული მიწიდან ავარდნილმა ოხშივარმა თბილი ჰაერი შეათრთოლა. ამწვანდა ძველი ბალახი. ნორჩმა ბალახმაც ნემსებივით ამოყო თავი. დაიბერა ძახველის, მოცახრისა და წებოვანი, სპირტიანი არყის ხის კვირტები და ოქროსფერი ყვავილებით დაყურსულ ძეწნაზე აზუზუნდნენ უკვე გარეთ გამოსული ფუტკრები. ამწვანებულ მინდვრებსა და გაყინულ ნაპურალებში აწკრიალდნენ უხილავი ტოროლები, მღვრიე წყლით სავსე ჭაობებსა და დაბლობებში აქვითქვითდნენ პრანწიები და მაღლა ზეცაში, გაზაფხულის მახარობელი ყივილით გადაიარეს წეროებმა და ბატებმა, საძოვრებს ბღავილით მოედო გაქუცული საქონელი, რომელთაც აქა-იქ შერჩენოდათ ბალანი, მოკიკინე დედების გარშემო აკუნტრუშდნენ ფეხბარბაცა ბატკნები, სირბილი დაიწყეს ფეხმარდმა გოგო-ბიჭებმა და ჯერ ისევ სველ ბილიკებზე შიშველ ფეხთა ნაკვალევი დატოვეს; გუბურებთან ჟივილ-ხივილი მორთეს დედაკაცებმა, რომელთაც ტილოები გამოეტანათ გასარეცხად, ეზოებში ცულები ააკაკუნეს გლეხებმა კავებისა და ფარცხების გასამართავად. დადგა ნამდვილი გაზაფხული.

XIII

ლევინმა დიდი ჩექმა ჩაიცვა, ამ დღეს პირველად გამოვიდა გარეთ უქურქოდ, მაუდის ხიფთანის ამარა, და მეურნეობის დასათვალიერებლად გასწია. გადაიარა ნაკადულები, რომელნიც თვალისმომჭრელად ელვარებდნენ მზეზე. ხან ყინულზე გადადიოდა, ხანაც წებოვან ტალახში ეფლობოდა.

გაზაფხული გეგმათა და განზრახვათა დროა და ლევინმა, ეზოში რომ გამოვიდა, თვითონაც არ იცოდა, თავის საყვარელ მეურნეობაში დღეს რა საქმისათვის მოეკიდა ხელი, ისე როგორც გაზაფხულზე ხემ ჯერ კიდევ არ იცის, საით და როგორ წარმართოს დაბერილ კვირტებში ჩასახული ნორჩი ყლორტები და ტოტები. მაგრამ გრძნობდა, რომ გული სავსე ჰქონდა

გეგმებითა და მეტად კარგი სურვილებით. პირველ ყოვლისა, საქონლის დასახედად გასწია. ძროხები ბაკიდან გამოეშვათ, ახალგამოცვლილ დაწმენდილ ბალახს პრიალი გაჰქონდა. მზეზე გამთბარი საქონელი ბღაოდა და მინდვრად გასვლას ითხოვდა. ლევინმა სიამოვნებით გადახედა თავის ძროხებს და ბრძანა მინდორში გაეშვათ, ბაკში კი ხბოები შეერეკათ. მწყემსი გახარებული გაიქცა, რათა მინდორში გასასვლელად მომზადებულიყო. მენახირე დედაკაცები თეთრი, ჯერ კიდევ მზემოუკიდებელი ფეხებით კალთააკეცილნი დათხლაშუნობდნენ ტალახში და წკეპლებით ერეკებოდნენ ხბოებს ბაკისაკენ, გაზაფხულის მოსვლით გახარებული ხბოები კი ზმუოდნენ და დაკუნტრუშობდნენ.

წლევანდელი ნამატი მეტად კარგი იყო, ნაადრევი ხბოები სიდიდით გლეხების ძროხებს არ ჩამოუვარდებოდნენ, პავას სამი თვის ხბო კი ერთი წლის დეკეული გეგონებოდათ, და ნასიამოვნებმა ლევინმა ბრძანა, ვარცლი გარეთ გამოეტანათ და ბაგაში დაეყარათ ხბოებისათვის თივა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შემოდგომაზე გაკეთებული ხარიხები, რომლებიც ზამთარში საჭირო აღარ იყო, უკვე დაემტვრიათ. ლევინმა კაცი გაგზავნა ხუროს მოსაყვანად, რომელსაც განაწესით ახლა სალეწ მანქანაზე უნდა ემუშავა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხურო ახლა ფარცხის შეკეთებაზე მუშაობდა, რომელიც ჯერ კიდევ ყველიერისთვის უნდა ჰქონოდა მზად. ეს მეტისმეტად ეწყინა ლევინს. საწყენი იყო, რომ მეურნეობაში კიდევ მეორდებოდა ეს დაუსრულებელი უწესრიგობა, რომელსაც წლების განმავლობაში მთელი ძალ-ღონით ებრძოდა. ხარიხები, როგორც შემდეგ შეიტყო, რადგანაც ზამთარში საჭირო აღარ იყო, საჯინიბოში გადაეტანათ და იქ დაემტვრიათ, ვინაიდან ძლიერ მსუბუქი იყო და მხოლოდ ხბოებისათვის გამოდგებოდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ფარცხები და სხვა სამეურნეო იარაღები, რომელთა გადათვალიერება და შეკეთება ჯერ კიდევ ზამთარში იყო ნაბრძანები და რისთვისაც აყვანილი იქნა სამი ხურო, ჯერ კიდევ არ იყო შეკეთებული და ფარცხებს მაშინ აკეთებდნენ, როცა უკვე საფარცხავად გასვლა იყო საჭირო. ლევინმა მოურავთან გაგზავნა კაცი, მაგრამ თვითონაც მაშინვე გასწია მოურავის მოსაძებნად. მოურავიც, ისე როგორც ყველაფერი იმ დღეს, გახარებული იყო. ტანთ კრაველშემოვლებული ტყაპუჭი ეცვა, კალოდან მოდიოდა და ხელში ჩალის ღერს ამტვრევდა.

– რატომ სალეწ მანქანაზე არ მუშაობს ხურო?

– დიახ, გუშინ მინდოდა მომეხსენებინა: ფარცხებია შესაკეთებელი. საცაა ხვნა დაიწყება.

– მერე, ზამთარში რას აკეთებდი?

– თქვენ რისთვის გნებავდათ ხურო?

– სად არის ხბოების ბაკის ხარიხები?

– ადგილზე წაღება ვუბრძანე, მაგრამ რას გააწყობ ამ ხალხთან! – თქვა მოურავმა და ხელი ჩაიქნია.

– ამ ხალხთან კი არა, ამ მოურავთან! – უთხრა ლევინმა და წამოენთო, – მაშინ შენ რისთვის მინდიხარ? – დაუყვირა, – მაგრამ გაახსენდა, რომ ამით ვერაფერს გახდებოდა, შუა სიტყვაზე გაჩერდა და მხოლოდ ამოიოხრა, – რას იტყვი, შეიძლება თესვის დაწყება? – ჰკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

– ტურკინის გაღმა ხვალ ან ზეგ უკვე შეიძლება დავიწყოთ.

– სამყურას რა ვუყოთ?

– ვასილი და მიშკა გავგზავნე დასათესად, მხოლოდ არ ვიცი, გაივლიან თუ არა, დიდი ტალახია.

– რამდენ დესეტინას ათესვინებ?

– ექვსს.

– რატომ სულ არა? – წამოიყვირა ლევინმა.

ეს კიდევ უფრო საწყენი იყო ლევინისათვის, რომ სამყურას ექვს დესეტინაზე თესავდნენ და არა ოცზე. სამყურას თესვა, როგორც თეორიითა და პირადი გამოცდილებით იცოდა, ძალიან ადრე უნდა დაეწყოთ, ისე, რომ ჯერ თოვლიც არ უნდა ყოფილიყო აღებული. მაგრამ ამას ვერასოდეს მიაღწია.

– ხალხი არა მყავს, აბა, რა უნდა გავაკეთო? სამი კაცი არ მოსულა, სემიონიც...

– მერე? დაგენებებინათ თავი ჩალისათვის.

– თავი კი დავანებებინე...

– მაშ, ხალხი სადღაა?

– ხუთი კომპოტს აკეთებს (ეს ნიშნავდა კომპოსტს), ხუთი შვრიას ანიავებს; ვაითუ გაფუჭდეს-მეთქი, კონსტანტინ დმიტრიჩ!

ლევინმა ძალიან კარგად იცოდა, ეს „ვაითუ გაფუჭდეს“ იმას ნიშნავდა, რომ საუკეთესო ხარისხის ინგლისური შვრია უკვე გაფუჭებული იყო, – კვლავ არ გააკეთეს ის, რაც ლევინისაგან ჰქონდათ ნაბრძანები.

– მე ხომ ჯერ კიდევ დიდმარხვაში გეუბნებოდით ამას, დოყლაპიებო! – დაიყვირა ლევინმა.

– თქვენ ნუ შეწუხდებით, ყველაფერს თავის დროზე გავაკეთებთ.

ლევინმა გაბრაზებით ჩაიქნია ხელი და ბეღლებისკენ გასწია შვრიის გასასინჯად, მერე ისევ საჯინიბოსთან დაბრუნდა. შვრია ჯერ კიდევ არ გაფუჭებულიყო, ოღონდ მუშები ნიჩბებით ანიავებდნენ შვრიას, როცა შეიძლებოდა პირდაპირ ქვედა ბეღელში ჩაეყარათ. ლევინმა განკარგულება გასცა, ასე გაეკეთებინათ, ორი მუშა მოხსნა იქიდან და სამყურის სათესად გაუშვა. მოურავზე წყენამ გადაუარა კიდეც. თან დღეც ისეთი მშვენიერი იყო, რომ გაბრაზება არ შეიძლებოდა.

– იგნატ! – გასძახა მან მეეტლეს, რომელიც ჭასთან მკვლავებდაკარწახებული ეტლს რეცხავდა, – ცხენი შემიკაზმე.

– რომელს მიბრძანებთ?

– თუნდაც კოლპიკი იყოს.

– ბატონი ბრძანდებით.

სანამ ცხენს შეკაზმავდნენ, ლევინმა მოიხმო მოურავი, რომელიც იქვე ტრიალებდა შესარიგებლად, და საგაზაფხულო სამუშაოებსა და სამეურნეო გეგმებზე დაუწყო ლაპარაკი.

ნაკელის გადატანას ადრიანად უნდა შეუდგნენ, რათა საადრეო თიბვამდე ყველაფერი გათავებული იყოს. შორეული მინდვრები საჩქაროდ უნდა მოიხნას, რათა ცოტა ხანს დაისვენოს ნიადაგმა. სათიბები სანახევროდ კი არ უნდა მისცენ, მუშები უნდა დაიქირაონ.

მოურავი გულისყურით უსმენდა და, ეტყობა, თავს ძალას ატანდა, მოეწონებინა ბატონის განზრახვა, მაგრამ სახეზე მაინც ის დაღვრემილობა და უიმედობა ეხატებოდა, რასაც კარგად იცნობდა ლევინი და ყოველთვის აბრაზებდა. ეს გამომეტყველება თითქოს ამბობდა: ყველაფერი კარგია, მაგრამ ვნახოთ, ღმერთი რას მოგვცემს!

ამაზე უფრო არაფერი სწყინდა ლევინს, მაგრამ ასეთი იყო ყველა მოურავი, ვისაც კი მასთან ემსახურა. ყველა ასეთი თვალით უყურებდა მის განზრახვებს, ამიტომაც აღარ ბრაზობდა ამაზე, მაგრამ მაინც სწყინდა და ეს კიდევ უფრო აქეზებდა შებრძოლებოდა ამ სტიქიურ ძალას, რომელსაც სხვას ვერაფერს დაარქმევდა, თუ არა „ვნახოთ, ღმერთი რას მოგვცემს“ და რომელიც ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა.

– როგორც მოვასწრებთ, კონსტანტინ დმიტრიჩ, – უთხრა მოურავმა.

– რატომ არ უნდა მოასწროთ?

– მუშების დაქირავება აუცილებლად დაგვჭირდება, ერთი თხუთმეტიოდე კაცი მაინც უნდა ვიქირაოთ. მაგრამ რომ არავინ მოდის? დღეს იყვნენ და სამოცდაათ-სამოცდაათი მანეთი მოითხოვეს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ლევინი გაჩუმდა. მას კვლავ წინ აღუდგა ეს ძალა. იცოდა, რაც უნდა ეცადათ, ნამდვილ ფასად ორმოც, ოცდათხუთმეტ, ოცდაჩვიდმეტ მუშაზე მეტს ვერ დაიქირავებდნენ, ორმოცს კიდევ მოახერხებდნენ, მეტს ვერა. მაგრამ მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს.

– თუ არ მოვლენ, გაგზავნეთ კაცი სურში, ჩეფიროვკაში, უნდა მოვძებნოთ.

– გაგზავნით კი გავგზავნი, – დაღვრემით უთხრა ვასილი ფედოროვიჩმა, – მაგრამ ეს ცხენებიც რომ დაუძლურდნენ...

– შევისყიდოთ. მე ხომ ვიცი, – სიცილით დაუმატა ლევინმა, – თქვენ ის გინდათ, ყველაფერი რაც შეიძლება ცოტა და რაც შეიძლება ცუდად გააკეთოთ; მაგრამ წელს უკვე თქვენებურად აღარაფერს გაგაკეთებინებთ. მე თვითონ გავაკეთებ ყველაფერს.

– თქვენ, მგონი, ისედაც ცოტა გძინავთ. ჩვენთვის უფრო

სახალისოა, როცა ბატონი თავისი თვალით უყურებს ყველაფერს...

– მაშ, ბერიოზოვი დოლის გაღმა თესავენ სამყურას? წავალ, დავხედავ, – თქვა ლევინმა და შეჯდა თავის პატარა ჩალისფერ კოლპიკზე, რომელიც მეეტლემ მოჰგვარა.

– რუზე ვერ გადახვალთ, კონსტანტინ დმიტრიჩ, – მიაძახა მეეტლემ.

– მაშ ტყე-ტყე ვივლი.

კარგად დასვენებული ფიცხი ცხენით, რომელიც წუმპეების დანახვაზე ფრთვინავდა და სადავეს ეწეოდა, ლევინმა მკვირცხლი თოხარიკით გადაიარა ეზო, ჭიშკარს გასცდა და მინდორში გავიდა.

თუ ლევინს სიამოვნება მოჰგვარა საქონლისა და ბეღლების დათვალიერებამ, ახლა, მინდორში, რომ გავიდა, კიდევ უფრო მეტი სიხარული იგრძნო. იგი თანაბრად ირხეოდა თოხარიკით მიმავალ ფიცხ ცხენზე, ხარბად ისუნთქავდა თბილ ჰაერს, რომელსაც თან ერთვოდა მაგრილებელი სუნი თოვლისა და მიჰყვებოდა ტყეს, სადაც გამქრალ ნაკვალევებზე ჯერ კიდევ შერჩენილიყო ბრესავით მიმოფრქვეული თოვლი. ლევინს ახარებდა თითოეული თავისი ხის დანახვა. ხეებს კვირტები უკვე დაჰბეროდათ და ქერქზეც უკვე გამოცოცხლებულიყო ხავსი. ტყეს რომ გასცდა, თვალწინ გადაეშალა დიდი ტრიალი მინდორი, ხავერდის ხალიჩასავით ერთიანად რომ გადაჰფენოდა მწვანე მოლი. არც ერთი მოტიტვლებული ან ცარიელი ადგილი არ ჩანდა, მხოლოდ ღარტაფებს აქა-იქ ლაქებივით შერჩენოდა გაუმდნარი თოვლი. ლევინს გუნება ვერ შეუცვალა ვერც იმის დანახვამ, თუ როგორ ძოვდა მის მოლს რომელიღაც გლეხის ცხენი და კვიცი (მან შემხვედრ გლეხს უბრძანა მათი გადარეკვა), ვერც გლეხ იპატის დამცინავმა, სულელურმა პასუხმა. „რას იტყვი, იპატ, მალე დაიწყება თესვა?“ – ჰკითხა ლევინმა წინ შემოხვედრილ იპატს. „კონსტანტინ დმიტრიჩ, ჯერ უნდა მოიხნას“, – უპასუხა იპატმა. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით მეტ სიხარულს განიცდიდა და სულ უკეთესი და უკეთესი სამეურნეო გეგმები ესახებოდა: მინდვრები სამხრეთის მხრიდან წნორით უნდა შემოიღობოს, ისე, რომ მის ქვეშ თოვლი დიდხანს ვერ გაჩერდეს; ცალკე უნდა გამოიყოს ექვსი გაპატივებული

მინდორი; სამიც – სამარაგო ბალახსათესად და მინდვრის ბოლოს უნდა გაშენდეს ბაღი, ამოითხაროს გუბურა და ნიადაგის გასანოყიერებლად მოეწყოს მოძრავი მესრები. მაშინ ექნება სამასი დესეტინა ხორბალი, ასი დესეტინა კარტოფილი, ასორმოცდაათი დესეტინა სამყურა და არც ერთი დესეტინა გამოფიტული მიწა.

ასეთი ოცნებებით მიდიოდა ლევინი, თან მიჯნებთან ფრთხილად აბრუნებდა ცხენს, რომ მოლი არ გაეთელა, და მიუახლოვდა კიდეც მუშებს, რომლებიც სამყურას თესავდნენ. თესლით სავსე ურემი მიჯნასთან კი არ გაეჩერებინათ, პირდაპირ ხნულში გადაეყვანათ და საშემოდგომო ხორბალი ურმის თვლებითა და ცხენის ფლოქვებით იყო დაჩიჩქნილი და გადათხრილი. ორივე მუშა იქვე მიჯნასთან ჩამომჯდარიყო და, ეტყობოდათ, ორივენი ერთ ჩიბუხს ეწეოდნენ. ურემში ჩაყრილი მიწა, რომელშიც თესლი იყო არეული, არ გაეფხვიერებინათ და მიწა კოლბოხებად იყო შეყინული. პატრონი რომ დაინახეს, ვასილი ურმისაკენ წავიდა, მიშკა კი თესვას შეუდგა. ეს არ იყო კარგი, მაგრამ ლევინი იშვიათად თუ უწყრებოდა მუშებს. ვასილი რომ ურემთან მივიდა, ლევინმა მაშინვე უბრძანა, ცხენი მიჯნის გადაღმა გადაეყვანა.

– არა უშავს რა, ბატონო, ამოივსება ნაკვალევი, – უპასუხა ვასილიმ.

– აბა, კამათს ნუ დამიწყებ, – უთხრა ლევინმა, – რასაც გეუბნები, ის გააკეთე.

– კეთილი, ბატონო, – უპასუხა ვასილიმ და ცხენს თავში წაავლო ხელი, – ნათესი კი, კონსტანტინ დმიტრიჩ, საუკეთესო იქნება, – მლიქვნელობით უთხრა მან, – მხოლოდ ეს არის, სიარული ჭირს! ქალამნებს ვეღარ დავათრევთ ამ ტალახში.

– მიწა რატომ არ გაგიცხრილავთ? – ჰკითხა ლევინმა.

– ჩვენ ვაფხვიერებთ, – უპასუხა ვასილიმ, მუჭით ამოიღო თესლი და ხელისგულზე მოსრისა მიწა.

ვასილი დამნაშავე არ იყო, რომ ურემში გაუცხრილავი მიწა ჩაუყარეს, მაგრამ მაინც საწყენი იყო.

ლევინმა ისევ ძველ, მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართა. წყენა დაფარა და შეეცადა საქმის გამოსწორებას. მან დაინახა, როგორ

დააბოტებდა ხნულში მიშკა, რომელსაც ორივე ფეხზე ტალახის უზარმაზარი გოროხები აჰკვროდა და ცხენიდან ჩამოხტა. ვასილის სათესი გამოართვა და თვითონ გასწია სათესად.

– სად გაჩერდი?

ვასილიმ ფეხით უჩვენა მონიშნული ადგილი და ლევინმაც, როგორც შეეძლო, დაიწყო თესლიანი მიწის მობნევა. სიარული მეტად ჭირდა, გეგონებოდათ, ჭაობში მიდიხარო, და ლევინმა ერთი კვალი რომ ჩაათავა, გაოფლიანდა და ისევ ვასილის გადასცა სათესი.

– აბა, ბატონო, ზაფხულში მე არ დამამწყრალოთ ეს კვალი, – უთხრა ვასილმა.

– ვითომ რაო? – მხიარულად უპასუხა ლევინმა, იგრძნო, რომ მისმა ხერხმა უკვე გაჭრა.

– აი, ზაფხულში ნახავთ, როგორი გამოსარჩევი იქნება. აბა, ერთი შეხედეთ, სადაც შარშან გაზაფხულზე დავთესე, როგორ ჩავარიგე! მე ხომ, კონსტანტინ დმიტრიჩ, ისე ვცდილობ ბატონისათვის, როგორც მშობელი მამისათვის. მე არც თავად მიყვარს ცუდი საქმის კეთება და არც სხვას გავაფუჭებინებ. ბატონი თუ კარგადა გვყავს, ჩვენც კარგადა ვართ. აი, ამას რომ გახედავ, – უთხრა ვასილიმ და მინდორზე მიუთითა, – გულს უხარია.

– რას იტყვი, ვასილი, კარგი გაზაფხულია?

– მოხუცებსაც არ ახსოვთ ასეთი გაზაფხული. აი, მე შინ გახლდით, ჩვენს მოხუცს სამი საწყაო ხორბალი დაუთესავს, ასე ამბობს, ისეთია, ჭვავისგან ვერ გამოარჩევო.

– დიდი ხანია, ხორბლის თესვა დაიწყეთ?

– თქვენ არ გვასწავლეთ გასულ წელს? თქვენ აკი მიფეშქაშეთ ორი საწყაო. მეოთხედი გავყიდეთ, სამი მეოთხედი კი დავთესეთ.

– აბა, მაშ, კარგად დაფშვენი ეგ გოროხები, – უთხრა ლევინმა და ცხენთან მივიდა, – მიშკასაც თვალყური ადევნე. თუ კარგი ბალახი ამოვიდა, დესეტინაზე ათ შაურს მიიღებ.

– დიდი მადლობელი დაგრჩებით. ისედაც მადლობელი ვართ თქვენი.

ლევინი ცხენზე შეჯდა და შარშანდელი სამყურას დასათვალიერებლად წავიდა, ის მინდორიც უნდა ენახა, გუთნით რომ იყო მოხნული საგაზაფხულო ხორბლისათვის.

მშვენიერი სამყურა ამოსულიყო ნაპურალში. სამყურა თითქმის მთლიანად იყო ამოსული და მწვანედ ბიბინებდა შარშანდელი ხორბლის ჩამსხვრეულ ნაწვერალში. ცხენი ქაჩაჩებამდე ეფლობოდა და ძლივსღა ამოჰქონდა ფეხი ნახევრად გამლღვალი მიწიდან. გუთნით დახეულზე სულ არ შეიძლებოდა გავლა: ისევ იქ თუ მოიკიდებდა ცხენი ფეხს, სადაც ყინული შერჩენოდა. გამლღვალ ხნულებში კი ცხენს ქაჩაჩზევით ეფლობოდა ფეხი. ნახნავი მშვენიერი იყო; ორ დღეში უკვე შეიძლებოდა ფარცხვისა და თესვის დაწყება. ყველაფერი კარგი და სიხარულის მომგვრელი იყო. ლევინი რუზე გამოვლით გამობრუნდა უკან. იმედი ჰქონდა, წყალი დაკლებული იქნებოდა. მართლაც გამოვიდა რუს გაღმა და ორი იხვიც წამოაფრინა. „ალბათ, ტყის ქათმებიც იქნება“, – გაიფიქრა და სახლისკენ რომ გადმოუხვია, ტყისმცველიც შეეფეთა და დაუდასტურა ვარაუდი.

ლევინი ჩორთით წამოვიდა შინისკენ, რათა სადილობა მოესწრო და საღამოსთვის თოფი გაემზადებინა.

XIV

სახლთან მიახლოებულ ლევინს, რომელიც მეტად მხიარულ გუნებაზე ბრუნდებოდა შინ, მთავარი სადარბაზო შესასვლელის მხრიდან ზანზალაკების ჟღარუნი მოესმა.

„ჰო, რკინიგზიდან იქნება ვინმე, – გაიფიქრა ლევინმა, – სწორედ მოსკოვის მატარებლის დროა... ნეტავ ვინ უნდა იყოს? ვაითუ ჩემი ძმაა, ნიკოლაი? ხომ თქვა, შეიძლება წყლებზე წავიდე, ან იქნებ შენთანაც ჩამოვიდეო“. პირველად ლევინს საშინლად არასასიამოვნოდ ეჩვენა ძმის ჩამოსვლა, რადგან ძმის აქ ყოფნა მოუშხამავდა გაზაფხულის მხიარულ განწყობას. მერე კი შერცხვა ამ გრძნობისა და იმავე წუთს თითქოს სულსა და გულში უნდა ჩაიკრასო, უკვე გრძნობამორეული

სიხარულით ელოდა და ნატრობდა, რომ ეს მისი ძმა ყოფილიყო. ლევინმა ააჩქარა ცხენი, აკაციების ხეივანი გაიარა და დაინახა რკინიგზის სადგურიდან მომავალი სამცხენიანი მარხილი და შიგ მჯდომი ქურქში გახვეული ვიღაც ბატონი. ეს არ იყო ძმა. „ეჰ, ნეტავ ვინმე სასიამოვნო სტუმარი მაინც იქნებოდეს, ვისთანაც შესაძლებელია ლაპარაკი“, – გაიფიქრა მან.

– ოჰ, – სიხარულით წამოიძახა ლევინმა, როგორც კი სტეპან არკადიჩი შეიცნო და ორივე ხელი ზევით ასწია, – აი, სასიხარულო სტუმარი! როგორ მიხარია შენი ჩამოსვლა!

„დანამდვილებით შევიტყობ, გათხოვდა თუ არა, ან როდის თხოვდება“, – გაიფიქრა გულში.

და ამ გაზაფხულის მშვენიერ დღეს ლევინმა იგრძნო, რომ კიტის გახსენებამ ისე აღარ ატკინა გული.

– რაო, არ მელოდი? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და მარხილიდან გადმოვიდა, ცხვირი, ლოყები, წარბები ტალახის შხეფებით ჰქონდა მოსვრილი, მაგრამ მაინც სიცოცხლითა და სიჯანსაღით ბრწყინავდა, – ჩამოვედი შენს სანახავად, – ეს ერთი, – უთხრა ლევინს, გადაეხვია და გადაკოცნა, – სანადიროდ – ეს ორი, ერგუშოვოში ტყის გასაყიდად – ესეც სამი.

– ჩინებულია! მერე რა გაზაფხული დგას? კი მაგრამ, მარხილით როგორ მოხვედი?

– ფორანი კიდევ უარესია, კონსტანტინ დმიტრიჩ, – ჩაერია ნაცნობი მეეტლე.

– სწორედ ძალიან, ძალიან გამახარე შენი ჩამოსვლით, – ეუბნებოდა ლევინი და ბავშვური ხალისით გულღიად იღიმებოდა.

ლევინმა შეიყვანა სტუმარი ჩამოსულებისთვის განკუთვნილ ოთახში, სადაც უკვე შეეტანათ სტეპან არკადიჩის ბარგი: ერთი ფუთა, ბუდეში ჩადებული თოფი და ჩანთა სიგარებისათვის. სტუმარი იქ დატოვა პირის დასაბანად და ტანსაცმლის გამოსაცვლელად, თვითონ კი კანტორისაკენ გასწია, სამყურასა და ხვნაზე უნდა მოლაპარაკებოდა მოურავს. დერეფანში შემოხვდა აგაფია მიხაილოვნა, რომელიც მუდამ დიდად

ზრუნავდა სახლის ღირსების დაცვაზე, და სადილის თაობაზე დაუწყო ლაპარაკი.

– როგორც გინდათ, ისე გააკეთეთ, ოღონდ დააჩქარეთ, – უთხრა და მოურავისაკენ გაეშურა.

ლევინი რომ დაბრუნდა, სწორედ იმ დროს გამოვიდა თავისი ოთახიდან პირდაბანილი, თმადავარცხნილი, ღიმილით სახეგაბრწყინებული ობლონსკი და ორივენი ერთად ავიდნენ ზევით.

– როგორ მიხარია, რომ მოვაღწიე შენამდე! ახლა კი შევიტყობ, რაში მდგომარეობს ის საიდუმლო, რამაც ასე გაგიტაცა. თუმცა მართალი გითხრა, მშურს შენი, რა სახლია, რა მშვენიერია ყველაფერი! რა სინათლეა, რა სიხარული! – ამბობდა სტეპან არკადიჩი და ავიწყდებოდა, რომ ყოველთვის არ იდგა გაზაფხული და ასეთი ნათელი დღეები, – შენი გადიაც რა შესანიშნავი ქალია! რაღა თქმა უნდა, ერთი ლაზათიანი, წინსაფრიანი მოახლე სჯობდა, მაგრამ შენი ბერობისა და მკაცრი სტილისათვის ესეც ძალიან კარგია.

სტეპან არკადიჩმა ბევრი საინტერესო ახალი ამბავი ჩამოიტანა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ლევინისათვის, რომ მისი ძმა, სერგეი ივანიჩი, საზაფხულოდ მასთან აპირებდა სოფელში ჩამოსვლას.

მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს კიტიზე და საერთოდ, შჩერბაცკებზე, მხოლოდ მოკითხვა გადასცა თავისი მეუღლისაგან. ლევინიც მადლიერი იყო ამ თავაზიანობისათვის და საერთოდ დიდად გახარებული იყო სტუმრის მოსვლით. როგორც ყოველთვის, ახლაც, ამ განმარტოების ჟამს, ლევინს უამრავი გრძნობა და აზრი დაუგროვდა, რომელთა გაზიარება ირგვლივ მყოფთათვის არ შეეძლო და ახლა სტეპან არკადიჩს გადაუშალა ყველაფერი: გაზაფხულით გამოწვეული პოეტური სიხარულიც, თავისი წარუმატებლობაც, სამეურნეო გეგმებიც, საკუთარი მოსაზრებანი თუ შენიშვნები წაკითხულ წიგნებზე; განსაკუთრებით ბევრს ელაპარაკებოდა თავისი ახალი თხზულების იდეაზე, რომლის საფუძველს მეურნეობაზე მანამდე არსებულ თხზულებათა კრიტიკა შეადგენდა, თუმცა თვითონ ვერ ამჩნევდა ამას. სტეპან არკადიჩი, რომელიც საერთოდ სასიამოვნო ადამიანი იყო და მაშინვე ალღოს უღებდა ყველაფერს, დღეს განსაკუთრებით საყვარელი იყო და

ლევინმა კიდევ ერთი ახალი თვისებაც აღმოაჩინა მასში: პატივისცემა და განსაკუთრებული სიყვარული მისდამი.

აგაფია მიხაილოვნას და მზარეულის ცდას, სადილი განსაკუთრებით კარგი გამოსულიყო, მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ორი დამშეული მეგობარი საუზმეს მიუჯდა და კარგად გამოძღა კარაქითა და პურით, სოკოს მწნილით, დამარილებული თევზით და წვენით, რომელიც ლევინმა უღვეზლოდ მოითხოვა; მზარეული კი ამ ღვეზლით აპირებდა სტუმრის გაოცებას. სტეპან არკადიჩს, მართალია, სხვა სადილებს იყო ჩვეული, ყველაფერი ჩინებული ეჩვენებოდა; სურნელოვან ბალახზე დაყენებული არაყიც, პურიც, კარაქიც, სოკოც, ჭინჭრის შჩიც, თეთრი საწებლით შემზადებული ქათამიც, ყირიმული ღვინოც და განსაკუთრებით კი დამარილებული თევზი – ყველაფერი სანაქებო და მშვენიერი იყო.

– ჩინებულია, ჩინებული! – იმეორებდა სტეპან არკადიჩი და მოხრაკულის შემდეგ მსხვილ პაპიროსს აბოლებდა, – შენთან ისე ვარ, თითქოს გემზე რწევისა და აურზაურის შემდეგ მშვიდ ნაპირზე გადმოვედი. მაშ, შენ ამბობ, რომ უნდა შესწავლილ იქნეს თვით ელემენტი მუშისა და ამით უნდა იხელმძღვანელონ მეურნეობის წესების შერჩევისას. მე ხომ ამისი არაფერი გამეგება, მაგრამ, მგონია, რომ ეს თეორია და მისი გამოყენება თვით მუშახელზეც მოახდენს გავლენას.

– ჰო, ყური დამიგდე, მე პოლიტიკურ ეკონომიაზე კი არა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებაზე ვლაპარაკობ. ესეც ისეთივე მეცნიერებაა, როგორიც სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მან უნდა აწარმოოს დაკვირვება სადღეისო მოვლენებსა და მუშახელზე, ეკონომიკურ-ეთნოგრაფიული...

ამ დროს ოთახში აგაფია მიხაილოვნა შემოვიდა და მურაბა შემოიტანა.

– აჰ, აგაფია მიხაილოვნა! – მიუბრუნდა მას სტეპან არკადიჩი და მსუქანი თითის წვერები დაიკოცნა, – რა თევზი გქონიათ, რა ნაყენი... ხომ არ დაგვაგვიანდება, კოსტია? – დაუმატა მან.

ლევინი ფანჯარასთან მივიდა და გაშიშვლებულ ხეთა კენწეროებს იქით ჩამავალ მზეს გახედა.

– უკვე დროა, დროა, – თქვა ლევინმა, – კუზმა, შეაბი ცხენი! –

და თვითონ ქვევით ჩაირბინა.

სტეპან არკადიჩიც ქვევით ჩავიდა, თავისი ხელით გადააძრო ტილოს შალითა გალაქულ ყუთს, გახსნა, იქიდან ძვირფასი, ახალი ყაიდის თოფი ამოიღო და აწყობას შეუდგა. კუზმა წინასწარ გრძნობდა, რომ კარგი საჩუქარი მოელოდა და თავიდან აღარ სცილდებოდა სტუმარს, თავისი ხელით აცმევდა წინდებსა და წაღებს, რაზეც სტეპან არკადიჩიც სიამოვნებით თანხმდებოდა.

– კოსტია, დაუბარე, ვაჭარი რიაბინინი თუ მოვიდეს, დღეისთვის მყავს დაბარებული, მიიღონ და დააცდევინონ...

– რიაბინინს უნდა მიჰყიდო ტყე?

– შენ განა იცნობ?

– როგორ არ ვიცნობ. მეც მქონდა მასთან საქმეები: „საბოლოოდ და გარკვეულად“!

სტეპან არკადიჩმა გაიცინა. „საბოლოოდ და გარკვეულად“ ვაჭრის აჩემებული სიტყვები იყო.

– ჰო, ძალიან სასაცილოდ ლაპარაკობს. მიხვდი, სადაც მიდის შენი პატრონი? – თქვა მან და ხელი გადაუსვა ლასკას, რომელიც წკმუტუნით უვლიდა გარშემო ლევინს, ხან ხელებს ულოკავდა, ხან წაღებსა და თოფს.

გარეთ გამოსულებს პარმაღთან ფორანი დაუხვდათ.

– მე ვუბრძანე, შეებათ, თუმცა შორს არ არის. ფეხით ხომ არ წავიდეთ?

– არა, ჯობს ფორნით წავიდეთ, – თქვა სტეპან არკადიჩმა, ფორანში ჩაჯდა, ფეხებზე ვეფხვის ტყავის პლედი შემოიხვია და სიგარა გააბოლა, – მიკვირს, რომ არ ეწევი. სიგარა მარტო სიამოვნება კი არა, სიამოვნების პირველი ნიშანი და გვირგვინია. აი, მესმის ცხოვრება! რა კარგია! მეც სწორედ ასეთ ცხოვრებას ვისურვებდი!

– მერე ვინ გიშლის ხელს? – ღიმილით ჰკითხა ლევინმა.

– არა, შენ ბედნიერი ადამიანი ხარ. რაც გიყვარს, ყველაფერი გაქვს. ცხენები გიყვარს – გყავს, ძაღლები – გყავს, სანადირო ადგილი – გაქვს, მეურნეობა – გაქვს.

– ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იმით ვხარობ, რაცა მაქვს და არ ვწუხვარ იმაზე, რაც არა მაქვს, – უთხრა ლევინმა და კიტი გაახსენდა.

სტეპან არკადიჩი მიუხვდა, გადახედა ლევინს, მაგრამ არაფერი უთხრა.

ლევინი მადლიერი იყო ობლონსკისა, რადგან იგი, ჩვეული ტაქტის წყალობით, მიხვდა, ლევინს შჩერბაცკებზე ლაპარაკი რომ აშინებდა და კრინტიც აღარ დაუძრავს ამაზე. მაგრამ ახლა ლევინს უკვე უნდოდა იმის გაგება, რაც ასე დიდხანს ტანჯავდა, ოღონდ ლაპარაკის წამოწყებას ვერ ახერხებდა.

– შენი საქმეები როგორღაა? – ჰკითხა ლევინმა, რაკი გაიფიქრა, მარტო საკუთარ თავზე ფიქრი კარგი არ არისო.

სტეპან არკადიჩს სიხარულით გაუბრწყინდა თვალები.

– შენ ხომ არა გწამს, რომ შეიძლება გიყვარდეს ფუნთუშა, როცა გაქვს მონიჭებული საკმარისი ულუფა – შენ ეს დანაშაულად მიგაჩნია; მე კი უსიყვარულოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, – უპასუხა ობლონსკიმ, რომელმაც თავისებურად გაიგო ლევინის შეკითხვა, – რას იზამ, ასეთი გავუჩენივარ ღმერთს. მართლაც, სხვას მცირეოდენ უსიამოვნებას თუ აყენებ ამით, შენს თავს კი დიდ სიამოვნებას ანიჭებ.

– რა, არის ვინმე ახალი? – ჰკითხა ლევინმა.

– არის, ძმაო! აი, შენ ხომ იცნობ ოსიანოვსკის ქალთა ტიპებს... ქალებს, რომელთა მსგავსს მხოლოდ სიზმრად თუ იხილავ... აი, ასეთი ქალები სინამდვილეშიც არიან ხოლმე... საშინელებაა ასეთი ქალი... ხომ ხედავ, ქალი ისეთი რამ არის, როგორც უნდა შეისწავლო, მაინც სულ ახალი სახით წარმოგიდგება.

– მაშინ უკეთესია არც შეისწავლო.

– არა, რომელიღაც მათემატიკოსს უთქვამს, ნეტარებას განიჭებს არა ჭეშმარიტების აღმოჩენა, არამედ ძიება ამ ჭეშმარიტებისაო.

ლევინი უსიტყვოდ უსმენდა. მართალია, ძალას ატანდა თავს, მაგრამ მაინც ვერ ჩასწვდა მეგობრის სულს, ვერ გაიგო, რა ნეტარებას ანიჭებს ადამიანს ამგვარი ქალების შესწავლა.

XV

სანადირო ადგილი იქვე ახლოს, მდინარის პირას იყო, ახალწამოზრდილ ვერხვნარში: ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ლევინი მაშინვე გადმოვიდა ფორნიდან, ობლონსკი ჭაობიანი, ხავსით გადავლილი მინდვრის კუთხეში დააყენა, თვითონ კი მინდვრის თავში, ტყუპად ამოზრდილ არყის ხესთან გაჩერდა, თოფი იქვე, გამხმარ, ორკაპა ტოტზე მიაყუდა, ხიფთანი გაიძრო, ქამარი შემოირტყა და მოსინჯა, რამდენად თავისუფლად შეეძლო ხელების მოძრაობა.

ბებერი, ჭაღარა ლასკა, კვალდაკვალ რომ დაჰყვებოდა პატრონს, ფრთხილად ჩაუცუცქდა წინ და ყურები დაცქვიტა. მზე დაბურული ტყის იქით ეშვებოდა; დაისის სინათლეზე მკაფიოდ ჩანდა ვერხვნარში გაფანტული არყის ხეების დაზნექილი ტოტები და გასასკდომად დაბერილი კვირტები.

ხშირი ტყიდან, სადაც ჯერ ისევ შერჩენილიყო თოვლი, ოდნავ გასაგონად მორაკრაკებდნენ პატარა, დაკლაკნილი ნაკადულები, ჭიკჭიკებდნენ ჩიტები და დროდადრო ტოტიდან ტოტზე დახტოდნენ.

ხანგამოშვებით, როცა ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოწვებოდა, ისმოდა, როგორ შრიალებდნენ ტყეში შარშანდელი ფოთლები, როგორ ლღვებოდა მიწა და როგორ არხევდა ფოთლებს ახალამოწვერილი ბალახი.

„რა შესანიშნავია! გესმის, საკუთარი თვალით უყურებ, როგორ იზრდება ბალახი!“ – ჩაილაპარაკა ლევინმა, როცა შენიშნა, ახალამოწვერილი ბალახის გვერდით როგორ შეირხა ასპიდისფერი ვერხვის სველი ფოთოლი. ლევინი იდგა, ყურს უგდებდა და ხან ძირს ხავსმოდებულ მიწას დაჰყურებდა, ხან სმენადქცეულ ლასკას შეხედავდა, ხან მის წინ მთის ძირში გაშლილ გაშიშვლებული კენწეროების ზღვას გადახედავდა, ხან კი გაცრიაგებულ ცას, რომელიც ალაგ-ალაგ ღრუბლის თეთრ ქულებს დაეფარა. შორეული ტყის თავზე ფრთების ფარფატით გადაიარა ქორმა, მას მიჰყვა მეორე, რომელმაც ასევე გადაიფრინა ტყის თავზე და თვალს მიეფარა. მახლობელ ტყეში უფრო მოუსვენრად, უფრო ხმამაღლა აჭიკჭიკდნენ ჩიტები. სადღაც ახლოს ჭოტმა დაიკივლა. ლასკა შეკრთა, ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, თავი გვერდზე გადახარა და ყური მიუგდო. მდინარის მეორე მხრიდან გუგულის ხმა გაისმა.

ორჯერ თავისი ჩვეულებრივი ხმით დასძახა გუ-გუ, მერე კი ხმა ჩაეხრინწა, აჩქარდა და დაიბნა.

– ხედავ, უკვე გუგული იძახის! – თქვა სტეპან არკადიჩმა და ბუჩქებიდან გამოვიდა.

– ჰო, მესმის, – უპასუხა ლევინმა, უკმაყოფილომ იმით, რომ დაარღვია ტყის მდუმარება თავისი ხმით, რომელიც თვითონვე არ მოეწონა, – ახლა მალე გადაიფრენენ.

სტეპან არკადიჩი ისევ ბუჩქებში შევიდა. ლევინმა დაინახა, როგორ გაიელვა ასანთის შუქმა, შემდეგ კი ეს გაელვება პაპიროსის წითელმა ნაპერწკალმა და ლურჯმა კვამლმა შეცვალა.

ჩხაკ! ჩხაკ! – გაიჩხაკუნა სტეპან არკადიჩის მიერ ფეხზე შეყენებულმა ჩახმახმა.

– ეს რა ყვირის? – იკითხა ობლონსკიმ და ლევინის ყურადღება მიაპყრო რაღაც გაბმულ ხვიხვინზე, გეგონებოდათ, აცელქებული კვიცი წვრილი ხმით ჭიხვინებსო.

– არ იცი! მამალი კურდღელია. გეყოფა ლაპარაკი! გესმის, მოფრინავს! – თითქმის წამოიყვირა ლევინმა და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

მოისმა შორეული წვრილი სტვენა და ამას მონადირეთათვის ესოდენ ცნობილი თანაზომიერებით ორიოდე წამის შემდეგ მოჰყვა მეორე, მესამე; მესამე სტვენის შემდეგ კი უკვე გასაგონი შეიქნა ქვითქვითი.

ლევინმა ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ და სწორედ მის წინ ჩამუქებულ ცისფერ ცაზე, თითქმის ცას შერწყმულ ვერხვის ნორჩი ყლორტების კენწეროებთან თვალი მოჰკრა მოფარფატე ფრინველს. იგი თითქოს პირდაპირ ლევინისკენ მოფრინავდა, თითქმის მის ყურთან გაისმა ფრინველის ქვითქვითი, რომელიც რაღაც მჭიდრო ქსოვილის გახევის ხმას მოგაგონებდათ, უკვე გარკვევით ჩანდა მისი გრძელი ნისკარტი და კისერი. სწორედ იმ დროს, როცა ლევინს ხელი უნდა გამოეკრა ჩახმახისთვის, ბუჩქნართან, სადაც ობლონსკი იყო ჩასაფრებული, წითლად გაიელვა; ფრინველი ისარივით წამოვიდა ძირს და მერე ისევ ზევით-ზევით აფრინდა. ისევ გაიელვა წითლად და ისევ გაისმა სროლის ხმა; ფრინველმა

ფრთები ააფართქალა, თითქოს უნდა ისევ ჰაერში გაჩერდესო, ერთი წამით თითქოს გაჩერდა კიდეც და შემდეგ მძიმედ დაეცა ლამის მიწაზე.

– ნუთუ ასცდა! – წამოიძახა სტეპან არკადიჩმა, რომელიც თოფის კვამლზე ვერაფერს არჩევდა.

– აგერ შენი ფრინველი! – უთხრა ლევინმა და მიუთითა ლასკაზე, რომელსაც ცალი ყური ზევით აეწია და ბუმბულა კუდის ქიცინით ნელ-ნელა, თითქოს ღიმილით მოჰქონდა მოკლული ფრინველი პატრონთან. თითქოს უნდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიამოვნება, – ჰო, კარგია, რომ მოახვედრე, – უთხრა ლევინმა, გულში კი შური იგრძნო, რომ მას არ ხვდა წილად ამ ტყის ქათმის მოკვლა.

– როგორ ავაცდინე მარჯვენა ლულიდან, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა და თოფი გატენა, – შშ... მოფრინავს...

მართლაც ზედიზედ გაისმა ყურთასმენის წამღები სტვენის ხმა. თამაშ-თამაშით მოფრინავდა ორი ტყის ქათამი, წინ უსწრებდნენ ერთიმეორეს და ქვითქვითით კი არა, სტვენით ზედ თავზე გადაუარეს მონადირეებს. ოთხჯერ გაისმა გასროლის ხმა, ტყის ქათმები მერცხლებივით სწრაფად შეტრიალდნენ და თვალს მიეფარნენ.

ტყის ქათმებმა ბლომად გადაიარეს და ნადირობაც მშვენიერი გამოდგა. სტეპან არკადიჩმა ორი ტყის ქათამი კიდევ მოკლა, ორიც – ლევინმა, მაგრამ ერთი ვერ იპოვა. ბინდდებოდა. დაბლა, დასავლეთით, არყის ხეების იქით, ვერცხლისფრად აციაგდა ვენერას სუსტი სინათლე, მაღლა კი აღმოსავლეთით ცეცხლისფრად აელვარდა პირქუში არქტურუსი. ხოლო ზევით, ლევინის თავს ზემოთ, ხან გამოჩნდებოდა დათვის თანავარსკვლავედი, ხან ისევ გაუჩინარდებოდა. ტყის ქათმები უკვე აღარ დაფრინავდნენ. მაგრამ ლევინმა გადაწყვიტა, დაეცადა, სანამ ვენერა, რომელიც არყის ხის როკს ქვევით ჩანდა, თავს არ წამოადგებოდა არყის ხეს და მკაფიოდ არ გამოჩნდებოდა დათვის თანავარსკვლავედი. ვენერა უკვე თავს წამოადგა არყის ხეს. დათვის თანავარსკვლავედის ეტლი თავისი ხელნითურთ მკაფიოდ აღიბეჭდა მუქ ლურჯ ცაზე, მაგრამ ლევინი მაინც ელოდებოდა.

– წასვლის დრო აღარ არის? – შენიშნა სტეპან არკადიჩმა.

ტყეში უკვე სიჩუმე ჩამოწოლილიყო, აღარც ერთი ჩიტი აღარ იძვროდა.

– დავიცადოთ კიდევ, – უპასუხა ლევინმა.

– როგორც გინდა.

ახლა ისინი თხუთმეტიოდე ნაბიჯის დაშორებით იდგნენ ერთმანეთისაგან.

– სტივა! – უცებ მოულოდნელად დაიწყო ლევინმა, – რატომ არაფერს მეტყვი, გათხოვდა შენი ცოლისდა თუ არა, ან როდის თხოვდება?

ლევინი ახლა იმდენად მტკიცედ, იმდენად მშვიდად გრძნობდა თავს, რომ ეგონა, ვერავითარი პასუხი ვერ ააღელვებდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოელოდა იმას, რაც სტეპან არკადიჩმა უპასუხა.

– გათხოვება არც უფიქრია და არც ფიქრობს, ძალიან ავად არის და ექიმებმა საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს. შიშობენ კიდეც, ვაითუ ვერ გადაიტანოს ავადმყოფობაო.

– რას მეუბნები! – წამოიძახა ლევინმა, – ძალიან ავად არის? რა დაემართა? როგორ არის?

სწორედ ამ ლაპარაკის დროს ლასკამ ყურები ცქვიტა, მაღლა აიხედა და შემდეგ საყვედურით გადახედა მათ.

„ნახეს რაღა ლაპარაკის დრო, – ფიქრობდა იგი, – ის კი მიფრინავს... აი, სწორედ ის არის. ვერ შენიშნავენ“, – ფიქრობდა ლასკა.

მაგრამ სწორედ ამ დროს ორივე მეგობარმა გაიგონა გამწივანი სტვენა, თითქოს ყურში შემოჰკრაო ხმამ, ორივემ თოფს წაატანა ხელი, ორგან გაიელვა წითელმა ცეცხლმა, თითქოს ერთსა და იმავე წამს გაისმა ორი გასროლის ხმა და ტყის ქათამმა, რომელიც ზევით-ზევით მიფრინავდა, იმავე წამს დაკეცა ფრთები, ბუჩქნარში ჩავარდა და ქვეშ დაიტანა სუსტი ყლორტები.

– სწორედ რომ შესანიშნავია! საერთოა! – წამოიძახა ლევინმა და ლასკასთან ერთად ბუჩქნარისაკენ გაიქცა ტყის ქათმის მოსაძებნად. „ჰო, რაღაც იყო არასასიამოვნო? – გაახსენდა მას, – ჰო, კიტი ყოფილა ავად... ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რას

ვიზამ“, – ფიქრობდა ლევინი.

– ჰო, იპოვა! აი, მესმის ჭკვიანი ძაღლი, – თქვა ლევინმა, პირიდან გამოაცალა ლასკას ჯერ ისევ თბილი ფრინველი და თითქმის პირამდე გავსებულ ჩანთაში ჩადო, – ვიპოვე, სტივა! – გასძახა მან.

XVI

შინ რომ ბრუნდებოდნენ, ლევინმა დაწვრილებით გამოჰკითხა კიტის ავადმყოფობის ამბავი და ისიც, თუ რას აპირებდნენ შჩერბაცკები და, მართალია, შერცხვებოდა ამის აღიარება, მაგრამ მისთვის სასიამოვნო იყო ის, რაც შეიტყო. სასიამოვნო იყო იმიტომ, რომ კიდევ შეიძლებოდა ჰქონოდა იმედი, უფრო კი იმიტომაც იყო სასიამოვნო, რომ გული სტკიოდა იმასაც, ვინც ამდენი ტკივილი მიაყენა. მაგრამ, როცა სტეპან არკადიჩმა კიტის ავადმყოფობის მიზეზებზე დაიწყო ლაპარაკი და ვრონსკის სახელიც ახსენა, ლევინმა მაშინვე შეაწყვეტინა: – არავითარი უფლება არა მაქვს ვიცოდე ოჯახური წვრილმანები და მართალი გითხრა, არც არავითარი სურვილი მაქვს.

სტეპან არკადიჩმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, როცა თვალი მოჰკრა ლევინის სახის მისთვის ესოდენ ნაცნობ, წუთიერ ცვლილებას, – რამდენადაც მხიარული იყო იგი ამ ერთი წუთის წინ, იმდენად პირქუში შეიქნა ახლა.

– შენ რიაბინინთან უკვე სულ მოათავე საქმე ტყის თაობაზე? – ჰკითხა ლევინმა.

– ჰო, გავათავე. ფასიც მშვენიერია, ოცდათვრამეტი ათასი, რვა ათასი წინასწარ, დანარჩენი კი ექვსი წლის განმავლობაში. დიდხანს ვიწვალე ამ საქმეზე, მეტს არავინ იძლეოდა.

– ესე იგი სულ მუქთად მიგიცია, – გაბრაზებით უთხრა ლევინმა.

– რატომ მუქთად? – გულკეთილი ღიმილი შენიშნა ობლონსკიმ, რაკი იცოდა, რომ ლევინს ახლა ყველაფერი ცუდად

მოეჩვენებოდა.

– იმიტომ, რომ ერთი დესეტინა ტყე სულ უკანასკნელი ხუთასი მანეთი მაინც ღირს, – უპასუხა ლევინმა.

– ოჰ, ეს სოფლის მეურნენი! – ხუმრობით თქვა სტეპან არკადიჩმა, – ეს თქვენი დამცინავი კილო ჩვენდამი, ქალაქელებისადმი!.. ისე კი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენ ყოველთვის უკეთესად ვაკეთებთ საქმეს. მერწმუნე, მე ყველაფერი გავითვალისწინე წინასწარ, – თქვა მან, – და ტყეც ძალიან ხელსაყრელ ფასად არის გაყიდული, ისე, რომ მეშინია კიდეც, უარი არ მითხრას. ეს ხომ საშენი ხეტყე არ არის, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელსაც ამ სიტყვით – საშენი ხეტყეო – უნდოდა სავსებით დაერწმუნებინა ლევინი თავისი ეჭვის უმართებულობაში, – უმთავრესად შეშად თუ გამოდგება. დესეტინაში ოცდაათ საჟენზე მეტი არ ამოვა, მან კი დესეტინაში ორასი მანეთი მომცა.

ლევინმა ზიზღით გაიღიმა. „ვიცი, – გაიფიქრა მან, – ეს მარტო მას როდი სჩვევია, საერთოდ ასე იციან ქალაქელებმა, ათი წლის განმავლობაში ერთი-ორჯერ ჩავლენ სოფელში, ორ-სამ სოფლურ სიტყვას დაიმახსოვრებენ და სჭირდებათ თუ არ სჭირდებათ, მტკიცედ თავდაჯერებულნი, წარამარა გაიძახიან, ყველაფერი ვიცითო. საშენი ხეტყეო. ოცდაათი საჟენი თუ ამოვაო. სიტყვებს იმეორებს და არც ესმის, რას ამბობს“.

– მე შენ არ დაგიწყებ იმის სწავლებას, რასაც იქ, საკრებულოში წერ, – უთხრა მან, – თუ დამჭირდა, გკითხავ კიდეც, შენ კი დარწმუნებული ხარ, რომ თავიდან ბოლომდე იცი ტყის საქმე. ეს ძალიან რთულია. დათვლილი გაქვს ხეები?

– როგორ თუ დათვლილი? – სიცილით უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, მეგობარი კარგ გუნებაზე დაეყენებინა, – დათვლა ქვიშის ან პლანეტის სხივის, თუმც საცოდნელ არს მაღალ გონების...

– ჰო, რიაბინინის მაღალ გონებას კი შეუძლია. და არც ერთი ვაჭარი დაუთვლელად ტყეს არ იყიდის, თუ ისე მუქთად არ მიეცი, როგორც შენ. მე ვიცი ის ტყე. ყოველ წელიწადს დავდივარ იქ სანადიროდ, შენი ტყე დესეტინა ხუთასი მანეთი სუფთა ფული ღირს, იმან კი ორასი მანეთი მოგცა და ისიც ნაწილ-ნაწილ. ისე, რომ ერთი ოცდაათი ათასი მაინც აჩუქე.

– ჰო, კარგი, გეყოფა, – საწყლად უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მაშ, რატომ არავინ იძლეოდა?

– იმიტომ, რომ გაფიცულია ვაჭრებთან. სართი აქვს მიცემული. მე მქონია მათთან საქმე და ვიცი. ესენი ვაჭრები კი არა, მევახშეები არიან. არასოდეს ისე არ მოჰკიდებს ხელს საქმეს, თუ ათ-თხუთმეტ პროცენტს მაინც არ გამოელის, უცდის, რომ მანეთში აბაზი მისცეს.

– კარგი, გეყოფა. შენ დღეს გუნებაზე არა ხარ.

– სულაც არა, – პირქუშად უთხრა ლევინმა.

ამასობაში სახლსაც მიუახლოვდნენ.

პარმაღთან უკვე იდგა რკინითა და ტყავით მაგრად შეჭედილი ეტლი, რომელშიც მსხვილი ჭაპნით მაგრად იყო შებმული ჩასუქებული ცხენი. ეტლში იჯდა მოჭარბებული სისხლისაგან სახეაწითლებული მოურავი, ქამარი მაგრად შემოეჭირა წელზე. მოურავს მეეტლედაც იმსახურებდა რიაბინინი. თვით რიაბინინი კი უკვე შესულიყო სახლში და დერეფანში შემოეგება მეგობრებს. იგი შუახნის მაღალი, ხმელ-ხმელი, ულვაშიანი კაცი იყო, წინწამოწეული გაპარსული ნიკაპი ჰქონდა და გადმოკარკლული, ამღვრეული თვალები. ტანთ ლურჯი, გრძელკალთებიანი სერთუკი ეცვა, რომელსაც უკან, საჯდომს ქვევით, ღილები ჰქონდა ჩაყოლებული, ფეხთ – მაღალყელიანი ჩექმა, რომელიც კოჭებთან ნაოჭებს იკეთებდა, ზევით, წვივებზე კი შემოჭერილი ჰქონდა. ჩექმაზე დიდი კალოში ეცვა. რიაბინინმა სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა, შეიკრა სერთუკი, რომელიც უამისოდაც მშვენივრად ადგა ტანზე, და ღიმილით მიესალმა შემოსულთ, თან სტეპან არკადიჩს ისე გაუწოდა ხელი, თითქოს რაღაცის დაჭერას აპირებსო.

– აი, თქვენც უკვე მოსულხართ, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ხელი გაუწოდა, – ძალიან კარგი.

– ვერ გავბედე, არ დავმორჩილებოდი თქვენი ბრწყინვალების ბრძანებას, თუმცა ძალიან ცუდი გზა კი იყო. თითქმის მთელი გზა ფეხით გამოვიარე, მაგრამ დროზე გამოვცხადდი. ჩემი სალამი კონსტანტინ დმიტრიჩს, – მიმართა მან ლევინს და მისი ხელის დაჭერასაც შეეცადა. მაგრამ ლევინი მოიღუშა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერც ამჩნევდა მის ხელს და ჩანთიდან

ტყის ქათმების ამოლაგება დაიწყო.

– ნადირობით გართობა ინებეთ? ესე იგი, ეს რა ფრინველი იქნება? – დაუმატა რიაბინინმა და ზიზღით გადახედა ტყის ქათმებს, – ესე იგი, გემო აქვს, – და მან ისე უკმაყოფილოდ გააქნია თავი, ეტყობა, ძალიან ეჭვობდა, რომ ეს ჩიტი წვალებად ღირდა.

– კაბინეტში ხომ არ გინდა შესვლა? – ფრანგულად ჰკითხა მოღუშულმა ლევინმა სტეპან არკადიჩს, – კაბინეტში შედით, იქ მოილაპარაკეთ.

– ძალიანაც კარგი, სადაც თქვენი ნება იყოს, – რაღაც ზიზღნარევი სიამაყით თქვა რიაბინინმა, თითქოს ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ სხვას შეიძლება გაუჭირდეს, ვისთან როგორ მოიქცეს, მაგრამ მას არასოდეს არაფერში ექნება ასეთი გასაჭირი.

კაბინეტში რომ შევიდა, რიაბინინმა, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ხატს ეძებსო, მაგრამ ხატი რომ დაინახა, პირჯვარი აღარ გადაუწერია. მან ისეთივე ეჭვით შეათვალიერა კარადები და წიგნებით სავსე თაროები, როგორც წეღან ტყის ქათმები. ზიზღით გაიღიმა და უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, ახლაც არ სჯეროდა, რომ ეს ფრინველი წვალებად ღირდა.

– ფული ხომ არ მოგიტანიათ? – ჰკითხა ობლონსკიმ, – დაჯექით.

– ჩვენ ფულზე დაბრკოლება არ გვექნება. თქვენს სანახავად და მოსალაპარაკებლად მოვედი.

– რაზე უნდა მომელაპარაკოთ? რატომ არ დაჯდებით?

– ეს შეიძლება, – თქვა რიაბინინმა, სავარძელში ჩაჯდა და დიდი წვალებით მიეყრდნო სავარძლის ზურგს, – უნდა დაუკლოთ, თავადო, ცოდო ვარ. ფული კი სულ მზადა მაქვს, საბოლოოდ, არც ერთი კაპიკი არ აკლია. ჩვენ ფული ვერ შეგვაფერხებს.

ამასობაში ლევინმა თოფი კარადაში შეინახა და კარში რომ გამოდიოდა, ვაჭრის სიტყვებს მოჰკრა ყური და შეჩერდა.

– ისედაც მუქთად მიგაქვთ ტყე, – უთხრა მან, – გვიან მოვიდა ჩემთან, თორემ მე ვასწავლიდი მაგის ფასს.

რიაბინინი სავარძლიდან წამოდგა და უხმო ღიმილით თავით ფეხამდე ახედ-დახედა ლევინს.

– მეტისმეტად ძუნწი ბრძანდება კონსტანტინ დმიტრიჩი, – თქვა მან და ღიმილით მიუბრუნდა სტეპან არკადიჩს, – მისგან საბოლოოდ, ვერაფერს იყიდი. ხორბალს ვევაჭრებოდი, კარგ ფასსაც ვაძლევდი.

– მუქთად რატომ უნდა მოგცეთ ჩემი ქონება? გზაზე ხომ არ მიპოვია, ან ხომ არ მომიპარავს?

– რას ამბობთ, ახლანდელ დროში ქურდობა გარკვეულად შეუძლებელია. ახლა, საბოლოოდ, ყველაფერი საჯარო სასამართლოს ხელშია. ყველაფერი კარგად და კეთილად არის მოწყობილი; აბა, ქურდობა ვის გაუგონია. ჩვენ პატიოსნად ვლაპარაკობდით. ტყეს ძვირად აფასებენ და ანგარიშს ვერ გავუსწორებ. გთხოვთ, ცოტა მაინც დაუკლოთ.

– თქვენ გათავებული გაქვთ თუ არა საქმე? თუ საქმე გათავებულია, სავაჭრო აღარაფერია და თუ გათავებული არა გაქვთ, მე ვყიდულობ ტყეს, – თქვა ლევინმა.

ღიმილი სწრაფად ჩამოსცილდა რიაბინინის სახეს. სახეზე ქორისებრი, მტაცებლური, მკაცრი გამომეტყველება აღებეჭდა. გაძვალტყავებული ხელებით სწრაფად შეიხსნა სერთუკი, ჩამოშვებული პერანგი, ჟილეტის სპილენძის ღილები და საათის ძეწკვი გამოაჩინა და სწრაფად ამოაძრო სქელი, დაძველებული საფულე.

– ინებეთ, ტყე ჩემია, – თქვა მან, საჩქაროდ გადაიწერა პირჯვარი და გაუწოდა ხელი, – აიღეთ ფული, ტყე კი ჩემია. აი, როგორ ვაჭრობს რიაბინინი, გროშების თვლას კი არ მოჰყვება, – ამბობდა მოღუშული რიაბინინი და საფულეს იქნევდა.

– მე შენს ადგილზე, არ ავჩქარდებოდი, – უთხრა ლევინმა.

– რას ამბობ, – გაიოცა ობლონსკიმ, – მე ხომ სიტყვა მაქვს მიცემული.

ლევინი ოთახიდან გამოვიდა და კარი გამოიჯახუნა. რიაბინინმა კარს შეხედა და ღიმილით გაიქნია თავი.

– სიყმაწვილის ბრალია, ეს, საბოლოოდ, ნამდვილი ბავშვობაა. პატიოსნებას გეფიცებით, მხოლოდ სახელისათვის ვყიდულობ

თქვენს ტყეს, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვან, ობლონსკის ტყე რიაბინინმა იყიდა და არა სხვა ვინმემო. ღმერთმა იცის, რა გამოსავალი იქნება აქედან. იწამეთ ღმერთი, მობრძანდით, პატარა პირობა დავწეროთ...

ერთი საათის შემდეგ ვაჭარმა გულმოდგინედ შემოიკალთავა ხალათი, სერთუკის დუგმები შეიკრა, პირობა ჯიბეში ჩაიდო, ჩაჯდა თავის მტკიცედ შემოჭედილ ეტლში და შინისკენ გასწია.

– ოჰ, ეს ბატონკაცები! – უთხრა მან მოურავს, – პირდაპირ ხათაბალაა!

– ეგ ხომ აგრეა, – უპასუხა მოურავმა, სადავეები გადასცა და ტყავის წინსაფარი შეიკრა, – ტყის ყიდვა მოგილოცოთ, მიხაილ იგნატიჩ?

– აბა, აბა...

XVII

სტეპან არკადიჩი ფულით ჯიბეგამობერილი ავიდა ზევით. ვაჭარმა სამი თვის ფულიც წინასწარ მისცა. ტყის გაყიდვის საქმე უკვე გათავებული იყო, ფული ჯიბეში ჰქონდა, ნადირობაც შესანიშნავი გამოდგა და სტეპან არკადიჩი მეტად მხიარულ გუნებაზე დადგა, ამიტომაც ახლა განსაკუთრებით ცდილობდა ხასიათზე მოეყვანა თავისი მეგობარი, რომელსაც როგორღაც გუნება შეეცვალა. მას უნდოდა, ვახშმის შემდეგაც ისეთივე სიამოვნებით დაგვირგვინებულიყო ეს დღე, როგორი სიამოვნებითაც დაიწყო.

ლევინი მართლაც არ იყო ხასიათზე და მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ცდილობდა ალერსიანი და თავაზიანი ყოფილიყო საყვარელ სტუმართან, მაინც ვერ მორეოდა თავის თავს, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო კიტის ამბის შეტყობით გამოწვეული ბურანისაგან.

კიტი არ გათხოვილა, ავად არის, ავად არის იმ ადამიანის სიყვარულით, რომელმაც უარყო იგი. ეს შეურაცხყოფა თითქოს ლევინსაც ეხებოდა. ვრონსკიმ უარი თქვა კიტიზე, ხოლო კიტიმ უარყო ლევინი. მაშასადამე, ვრონსკის უფლება ჰქონდა ზიზღი ეგრძნო ლევინისადმი და ამიტომ ვრონსკი მისი მტერი იყო. მაგრამ ლევინს ყველაფერი ეს როდი უფიქრია. იგი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ყოველივე ამაში არის რაღაც მისი შეურაცხმყოფელი და ახლა იმაზე კი აღარ ბრაზობდა, რამაც გუნება შეუცვალა, არამედ ჯავრობდა ყველაფერზე, რაც კი გაახსენდებოდა. ტყის ეს სულელური გაყიდვა, ეს სიცრუე, რომელზეც წამოეგო ობლონსკი და რომელიც მის სახლში მოხდა, აბრაზებდა ლევინს.

– რა ქენი, გაათავე საქმე? – უთხრა ლევინმა ობლონსკის, რომელიც ზემო სართულზე შეხვდა, – ვახშამი გინდა?

– ჰო, ვახშამზე უარს არ ვიტყოდი. ისეთი მადა მომეცა აქ, სოფელში, რომ გასაოცარია! რიაბინინს რატომ არ შესთავაზე ვახშამი?

– ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!

– რატომ ექცევი ასე რიაბინინს? – უთხრა ობლონსკიმ, – ხელიც არ ჩამოართვი. რატომ არ უნდა ჩამოართვა ხელი?

– იმიტომ, რომ მე ლაქიებს არ ვართმევ ხელს, ლაქია კი ასჯერ უკეთესია მაგაზე.

– როგორი რეტროგრადი ყოფილხარ! სადღაა ის წოდებათა გაერთიანება? – უთხრა ობლონსკიმ.

– ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვისაც ჭკუაში უჯდება ეს გაერთიანება, მე კი მეზიზღება.

– როგორც ვხედავ, შენ მართლაც ნამდვილი რეტროგრადი ხარ.

– მართალი გითხრა, არასოდეს მიფიქრია, რა ვარ. მე კონსტანტინ ლევინი ვარ და მეტი არაფერი.

– კონსტანტინ ლევინი, რომელიც მეტისმეტად უგუნებოდ ბრძანდება, – ღიმილით უთხრა სტეპან არკადიჩმა.

– ჰო, მე მართლაც უგუნებოდ ვარ და იცი, რატომ? მაპატიე, მაგრამ შენმა სულელურმა ტყის გაყიდვამ დამაყენა ასეთ ხასიათზე.

სტეპან არკადიჩი გულკეთილად მოიღუშა, იმ ადამიანივით, რომელსაც უდანაშაულოდ სდებენ ბრალს და აგულისებენ.

– კარგი, გეყოფა! – უთხრა მან, – სად მომხდარა, რომ ვინმეს რამე გაეყიდოს და იმ წუთშივე არ ეთქვათ, ეს გაცილებით მეტი ღირდაო. გაყიდვამდე კი მეტს არავინ იძლევა... არა, მე ვხედავ, რომ შენ რაღაც ჯავრი გჭირს ამ უბედური რიაბინინის.

– შეიძლება ეგეც იყოს და იცი, რატომ? შენ, ალბათ, კიდევ მეტყვი, რეტროგრადი ხარო, ან კიდევ რაღაც საშინელ სიტყვას გამოიგონებ; მაგრამ მე მაინც გული მტკივა, მწყინს, როცა ვხედავ, ყოველმხრივ როგორ ღატაკდება თავადაზნაურობა, რომელთა რიცხვს მეც ვეკუთვნი... და ღარიბდებიან არა ფუფუნების გამო, – ამას კიდევ არა უშავს რა; ბატონკაცური ცხოვრება თავადაზნაურობის საქმეა და მხოლოდ მათ აქვთ ამის უფლება. ახლა გლეხები ჩვენ გვერდით ყიდულობენ მიწებს, – ეს სრულებით არა მწყინს. ბატონი არაფერს აკეთებს, გლეხი მუშაობს და აძევებს უქნარას. ასეც უნდა მოხდეს. მე ეს ძალიან მახარებს, მაგრამ სასტიკად მწყინს, როცა ვუყურებ გაღარიბებას, რაღაც, არ ვიცი, რა დავარქვა ამას, მიამიტობის გამო. აქ ერთმა პოლონელმა მეიჯარადრემ ნახევარ ფასად იყიდა მშვენიერი მამული ვიღაც ქალბატონისაგან, რომელიც თვითონ ნიცაში ცხოვრობს. აქ კიდევ ერთ მანეთად აძლევენ ვაჭარს თუმნად ღირებულ ერთ დესეტინა მიწას. აი, შენ კიდევ სრულებით უმიზეზოდ აჩუქე ამ გაიძვერას ოცდაათი ათასი.

– მაშ, როგორ მოვიქცე? სათითაოდ დავითვალო ხეები?

– სწორედაც რომ უნდა დაითვალო. აი, შენ არ დაგითვლია, რიაბინინმა კი დაითვალა. რიაბინინის შვილებს ექნებათ ცხოვრებისა და განათლების საშუალება, შენს შვილებს კი შეიძლება აღარ ჰქონდეთ!

– მაპატიე, მაგრამ ამ დათვლაში არის ერთგვარი დაწვრილმანება. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, მათ – თავისი, მათ მოგება უნდათ. თუმცა რაღას ვლაპარაკობთ, საქმე გათავებულია, უკვე მორჩა. აი, ჩემი საყვარელი მრგვლად შემწვარი ერბოკვერცხი. აგაფია მიხაილოვნა იმ შესანიშნავ სასმელსაც მოგვიტანს...

სტეპან არკადიჩი სუფრას მიუჯდა და ხუმრობა დაუწყო აგაფია მიხაილოვნას, არწმუნებდა, ასეთი სადილ-ვახშამი დიდი ხანია აღარ მიჭამიაო.

– აი, თქვენ შეგვაქებთ მაინც, – უთხრა აგაფია მიხაილოვნამ, – კონსტანტინ დმიტრიჩს კი რაც უნდა მიართვა, თუნდა პურის ქერქები იყოს, შეჭამს და წავა.

რანაირად არ ცდილობდა ლევინი, თავს მორეოდა, მაგრამ მაინც მოღუშული იყო და ხმაამოუღებლად იჯდა. უნდოდა ერთი შეკითხვა მიეცა სტეპან არკადიჩისათვის, მაგრამ ვერ შეძლო და ვერ შეარჩია საამისოდ ვერც დრო და ვერც ფორმა, როდის ან როგორ შეჰკითხვოდა. სტეპან არკადიჩი უკვე ქვევით თავის ოთახში ჩავიდა, ტანისამოსი გაიხადა, დაწოლის წინ კიდევ დაიბანა ხელ-პირი, ნაოჭებიანი საღამური პერანგი ჩაიცვა და ლოგინში ჩაწვა, ლევინი მაინც აყოვნებდა მასთან, ათასნაირ სისულელეს ეკითხებოდა ობლონსკის და ვერ გაებედა იმის კითხვა, რაც სურდა.

– რა საოცრად კარგად აკეთებენ ამ საპონს, – თქვა მან, – როცა დაინახა აგაფია მიხაილოვნას მიერ სტუმრისათვის მომზადებული სურნელოვანი საპონი, რომელიც არ ეხმარა სტეპან არკადიჩს, და გახსნა დაუწყო, – შენ ხედავ, ესეც ხომ ხელოვნების ნაწარმია.

– ჰო, ახლა ყოველგვარმა გაუმჯობესებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, – თქვა სტეპან არკადიჩმა და ზარმაცად, ნებიერად დაამთქნარა, – თეატრები, მაგალითად, და ყოველგვარი გასართობები... – ა-ა-ა-! – კიდევ დაამთქნარა მან, – ყველგან ელექტრონის სინათლეა... ა-ა!

– ჰო, ელექტრონის სინათლე, – თქვა ლევინმა, – დიახ, ჰო, ვრონსკი სადაა ახლა? – ჰკითხა მან და მაშინვე ხელი უშვა საპონს.

– ვრონსკი? – თქვა სტეპან არკადიჩმა და მთქნარება შეაჩერა, – პეტერბურგში. შენ შემდეგ ისიც მალე წავიდა და მას შემდეგ ერთხელაც აღარ ყოფილა მოსკოვში. იცი რა, კოსტია, სიმართლე რომ გითხრა, – განაგრძო მან, მაგიდას დაენდო და ხელებზე დააყრდნო თავისი ლამაზი, აწითლებული სახე, რომელზეც ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ წყლიანი, კეთილი, ძილმორეული თვალები, – თვითონვე იყავი დამნაშავე. შეგეშინდა მეტოქისა. მე კი მაშინაც გითხარი და ახლაც გეუბნები, – არ ვიცი, ვის მხარეზე იყო მეტი შესაძლებლობა. რატომ ჯიქურ არ მიიტანე იერიში? ხომ გეუბნებოდი, რომ... – მან პირგაუღებლად, მხოლოდ ყბებით დაამთქნარა.

„ნეტავ იცის თუ არა, რომ მე წინადადება მივეცი? – გაიფიქრა ლევინმა, როცა სტეპან არკადიჩს შეხედა, – ჰო, რაღაც ეშმაკობა და დიპლომატია იხატებოდა მის სახეზე“, ლევინმა იგრძნო, რომ წითლდებოდა, და უსიტყვოდ პირდაპირ თვალებში შეაჩერდა სტეპან არკადიჩს.

– თუკი იმჟამად რაიმე იყო კიტის მხრივ, ეს მხოლოდ გარეგნული გატაცება იყო, – განაგრძო ობლონსკიმ, – იცი, ამ უნაკლო არისტოკრატიზმმა და მომავალმა მდგომარეობამ მაღალ საზოგადოებაში იმოქმედა კიტიზე კი არა, დედამისზე.

ლევინი მოიღუშა. ერთხელვე განცდილმა უარის თქმით შეურაცხყოფამ თითქოს ახალი ჭრილობებით დაუსერა გული, მაგრამ ახლა თავის სახლში იყო და საკუთარ სახლში კი კაცს დიდი გული აქვს.

– მოიცადე, მოიცადე, – დაიწყო მან და სიტყვა გააწყვეტინა ობლონსკის, – არისტოკრატიზმსო, ამბობ. ნება მომეცი, გკითხო, რაში გამოიხატება ვრონსკის ან სხვა ვინმეს არისტოკრატიზმი. ისეთი არისტოკრატიზმი, რომელსაც შეეძლო ჩემი უგულებელყოფა? შენ არისტოკრატად თვლი ვრონსკის, მე კი არა. კაცი, რომლის მამაც რაღაც არარაობიდან გაიძვერობით გამოძვრა, დედას კი, ღმერთმა იცის, ვისთან აღარ ჰქონდა კავშირი... მაპატიე, მაგრამ მე არისტოკრატს ვუწოდებდი ჩემს თავსა და სხვა ჩემს მსგავსთ, რომელთაც შეუძლიათ თავიანთ წარსულში მიუთითონ პატიოსან ოჯახთა სამ-ოთხ თაობაზე, რომელნიც განათლების უმაღლეს საფეხურზე იდგნენ (ნიჭი და ჭკუა სხვა საქმეა), რომელთაც არასოდეს არავის წინაშე არ უთვალთმაქციათ, არასოდეს არავინ დასჭირვებიათ, ისე როგორც ცხოვრობდა ჩემი მამა-პაპა. ასეთებს კი ბევრს ვიცნობ. შენ სიმდაბლედ მიგაჩნია, რომ მე ხეებს ვითვლი ტყეში, შენ კი ოცდაათი ათასს ტყუილუბრალოდ აძლევ რიაბინინს; მაგრამ შენ იჯარას ან ვინ იცის, კიდევ რას მიიღებ, მე კი ვერ მივიღებ და ამიტომაც ვუფრთხილდები ჩემს მამაპაპეულს და შრომასაც ვაფასებ. არისტოკრატები ჩვენ ვართ და არა ისინი, რომელთაც მხოლოდ ამა სოფლის ძლიერთა მოწყალებით შეუძლიათ არსებობა და რომელნიც შეგიძლია ორ უზალთუნად იყიდო.

– ვისზე ამბობ ამას? მე გეთანხმები, – გულწრფელად, მხიარულად ეუბნებოდა სტეპან არკადიჩი, თუმცა გრძნობდა, რომ მათში, რომელთა ყიდვა ორ უზალთუნად შეიძლებოდა,

ლევინი მასაც გულისხმობდა. მას გულით ახარებდა ლევინის გახალისება, – მაინც ვის გულისხმობ? თუმცა ბევრი რამ, რასაც ვრონსკიზე ამბობ, სიმართლე არ არის, მაგრამ მაგაზე არ გელაპარაკები. მე შენ პირდაპირ გეტყვი – შენს ადგილას რომ ვიყო, ახლავე წავიდოდი მოსკოვს და...

– არა, არ ვიცი, იცი თუ არა ეს შენ, მაგრამ ჩემთვის სულერთია. არ დაგიმალავ და გეტყვი – მე ხელი ვთხოვე და უარი მივიღე. ახლა კი ჩემთვის კატერინა ალექსანდროვნა მეტად მძიმე და სამარცხვინო მოგონებად იქცა.

– მერე, რატომ? ეს სისულელეა!

– ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. მაპატიე, გეთაყვა, თუ უხეშად ვიქცეოდი, – უთხრა ლევინმა. ახლა, როცა ყველაფერი თქვა, კვლავ ისეთივე კარგ გუნებაზე დადგა, – ხომ არაფერზე მიწყრები, სტივა? ნურაფერზე დამემდურები, გეთაყვა, – უთხრა და ღიმილით მოჰკიდა ხელი ხელზე.

– არა, სულაც არა; რაზე უნდა დაგემდურო? ძალიან მიხარია, რომ ასე გულახდილად ვუთხარით ერთმანეთს ყველაფერი. შენ იცი, დილაობით კარგია ნადირობა. ხომ არ წავიდეთ? მე აღარ დავიძინებდი და ნადირობიდან პირდაპირ სადგურზე წავიდოდი.

– ძალიან კარგი.

XVIII

მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკის სულიერი ცხოვრება მთლიანად შთანთქა ვნებამ, გარეგნულად მისი ცხოვრება კვლავ უცვლელად და შეუჩერებლად მიქროდა მაღალი საზოგადოებისა და პოლკის ცხოვრებისა და ინტერესების ძველებური, ჩვეული გზით. პოლკის ინტერესებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში, იმიტომ, რომ უყვარდა პოლკი და კიდევ უფრო იმიტომ, რომ პოლკს უყვარდა ვრონსკი. პოლკში არა მარტო უყვარდათ, არამედ პატივსაც სცემდნენ და ამაყობდნენ კიდეც, რომ ასეთი დიდი

შეძლების მქონე ფრიად განათლებულმა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელსაც გზა ხსნილი ჰქონდა ყოველგვარი წარმატების, პატივმოყვარეობისა და განდიდებისათვის, უარყო ყოველივე და ყველაფერს პოლკი და ამხანაგები არჩია. ვრონსკიმ იცოდა, რომ ასე ფიქრობდნენ მასზე ამხანაგები და გარდა იმისა, რომ თვითონაც უყვარდა ასეთი ცხოვრება, მოვალედაც რაცხდა თავს, განემტკიცებინა ასეთი შეხედულება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ვრონსკი ამხანაგებთან არაფერს ამბობდა თავის სიყვარულზე, დიდი სმის დროსაც კი არაფერი წამოსცდენია (თუმცა არც არასოდეს დამთვრალა ისე, რომ გონება დაეკარგა) და აჩუმებდა თავის ფუქსავატ ამხანაგებსაც, რომელნიც ცდილობდნენ სიტყვა გადაეკრათ მისთვის ანასთან ურთიერთობაზე. მიუხედავად ამისა, მაინც მთელმა ქალაქმა იცოდა მისი სიყვარულის ამბავი, ცოტად თუ ბევრად, ყველა ხვდებოდა კარენინასთან მის ურთიერთობას და ახალგაზრდობის უმრავლესობას სწორედ ის შურდა ამ სიყვარულში, რაც ყველაზე ძნელი ასატანი იყო ვრონსკისათვის – კარენინის მაღალი თანამდებობა და ამის გამო ამ ურთიერთობის გახმაურება მაღალ საზოგადოებაში.

ახალგაზრდა ქალების უმრავლესობასაც, რომელთაც შურდათ ანას ბედი, დიდი ხანია მობეზრდათ იმის ლაპარაკი, ანა წესიერი ქალიაო, და უხაროდათ, რომ აუხდათ, რასაც ვარაუდობდნენ. მხოლოდ საზოგადოების აზრის შემობრუნებას ელოდნენ, რომ გადაენთხიათ ანასთვის მთელი თავიანთი ზიზღი. მათ უკვე გამზადებული ჰქონდათ ტალახის გუნდები, რომელთაც, როცა ამის დრო დადგებოდა, დაუშენდნენ ანას. ხანში შესულთა და მაღალი საზოგადოების პირთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო ამ საზოგადო აყალმაყალით, რომელიც საცაა იფეთქებდა.

ვრონსკის დედამ როცა შეიტყო ეს ამბავი, პირველად კმაყოფილი დარჩა, რადგან მისი აზრით, წარჩინებულ ახალგაზრდას ისე არაფერი ამშვენებს, როგორც კავშირი მაღალი საზოგადოების ქალთან; კმაყოფილი იყო კიდევ იმიტომაც, რომ კარენინა, რომელიც ასე მოეწონა მოხუცს და რომელიც ასე ბევრს ლაპარაკობდა თავის შვილზე, მაინც ისეთივე ქალი აღმოჩნდა, როგორიც, გრაფინია ვრონსკაიას აზრით, უნდა ყოფილიყო ყველა ლამაზი, წესიერი ქალი. მაგრამ ბოლო ხანებში მან გაიგო, რომ მისმა შვილმა უარი თქვა

შეთავაზებულ ადგილზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისი კარიერისათვის, და უარი თქვა მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ დარჩენილიყო პოლკში და შესაძლებლობა ჰქონოდა, შეხვედროდა კარენინას; შეიტყო ისიც, რომ მისი საქციელით უკმაყოფილონი იყვნენ მაღალი თანამდებობის პირნი, და გრაფინიამ შეიცვალა აზრი. მას არ მოსწონდა ის, რაც ამ რომანის შესახებ შეიტყო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს არ იყო ის ბრწყინვალე, მომხიბვლელი ურთიერთობა, როგორიც სჩვევიათ მაღალ საზოგადოებაში და რომელსაც მოიწონებდა გრაფინია. ეს, როგორც სხვებიც ეუბნებოდნენ, იყო რაღაც ვერთერისებური, თავდავიწყებული სიყვარული, რომელსაც შეეძლო მისი ვაჟი ათასნაირ სისულელეში ჩაეთრია. მას არ ენახა შვილი მას შემდეგ, რაც იგი მოულოდნელად წავიდა მოსკოვიდან და ახლა უფროსი შვილის პირით უთვლიდა, აუცილებლად მნახეო.

უფროსი ძმაც უკმაყოფილო იყო უმცროსი ძმის საქციელით. ის არ დაეძებდა, როგორი იყო ეს სიყვარული, დიდი თუ პატარა, ვნებიანი თუ ვნებას მოკლებული, ბიწიერი თუ უბიწო (თვითონაც, შვილებიან კაცს, ვიღაც მოცეკვავე ქალი უყვარდა და ამიტომაც არ კიცხავდა ძმას), მაგრამ იცოდა, ეს სიყვარული არ მოსწონდათ მათ, ვისაც უნდა მოსწონებოდა, და ამის გამო თვითონაც არ იწონებდა ძმის საქციელს.

გარდა სამსახურისა და მაღალი საზოგადოებისა, ვრონსკის სხვა მოწოდებაც ჰქონდა, – ეს იყო ცხენები, რომლებიც გატაცებით უყვარდა.

სწორედ ამ წელს იყო დანიშნული ოფიცერთა დოღი დაბრკოლებებით. ვრონსკიც ჩაეწერა, ინგლისური წმინდა სისხლის ფაშატი იყიდა და მიუხედავად თავისი სიყვარულისა, მართალია, თავს იკავებდა, მაგრამ მაინც დიდად იყო გატაცებული მომავალი დოღით.

ეს ორი ვნება ხელს არ უშლიდა ერთიმეორეს. პირიქით, მისთვის საჭირო იყო ისეთი საქმიანობა და გართობა, რომელსაც კავშირი არ ექნებოდა მის სიყვარულთან. ამით ისვენებდა, აღიდგენდა ენერგიას იმ შთაბეჭდილებების შემდეგ, რომლებიც მეტისმეტად აღელვებდნენ.

XIX

კრასნოსელსკის დოღის დღეს ვრონსკიმ ჩვეულებრივზე ადრე შეიარა პოლკის არტელის საერთო დარბაზში ბიფშტექსის საჭმელად. მას არ სჭირდებოდა მკაცრი დიეტის დაცვა, რადგან მისი წონა სწორედ დაწესებულ ოთხ-ნახევარ ფუთს უდრიდა; მაგრამ გასუქებაც არ იყო საჭირო და ამიტომაც ტკბილეულისა და ნამცხვრის ჭამას ერიდებოდა. ვრონსკი იჯდა, გახსნილი სერთუკიდან თეთრი ჟილეტი მოუჩანდა, ორივე ხელით მაგიდას დაყრდნობოდა და შეკვეთილი საუზმის მოლოდინში თეფშზე გადაშლილ ფრანგულ რომანს ჩასჩერებოდა. წიგნში მხოლოდ იმიტომ იყურებოდა, რომ დარბაზში შემომსვლელ-გამსვლელ ოფიცრებს არ გამოლაპარაკებოდა და საკუთარ ფიქრებს ჩაჰკვირვებოდა.

ვრონსკი იმაზე ფიქრობდა, რომ ანა დღევანდელ დღეს, დოღის შემდეგ, პაემანს შეჰპირდა. მაგრამ უკვე მესამე დღე იყო, აღარ ენახა და არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა დღეს მისი ნახვა, რადგან ქმარი უკვე ჩამოსვლოდა საზღვარგარეთიდან, და არც ის იცოდა, როგორ შეეტყო ეს. უკანასკნელად ანა თავის ბიძაშვილთან, ბეტსისთან ინახულა, აგარაკზე. კარენინების აგარაკზე კი ვრონსკი რაც შეიძლებოდა იშვიათად დადიოდა, ახლა აგარაკზე აპირებდა მასთან მისვლას და იმის ფიქრში იყო, როგორ მოეხერხებინა ეს.

„რა თქმა უნდა, ვეტყვი, რომ ბეტსიმ გამომგზავნა და სურს გაიგოს, წამოვა თუ არა ანა დოღზე. უსათუოდ წავალ“, – გადაწყვიტა და თავი აიღო წიგნიდან. და, როცა ცოცხლად წარმოიდგინა, რა ბედნიერება იქნებოდა ანას ნახვა, სახეზე ნათელი გადაეფინა.

– კაცი გაგზავნე ჩემთან და შეატყობინე, საჩქაროდ გამიმზადონ სამცხენიანი ეტლი, – უთხრა მსახურს, რომელმაც ცხელი ვერცხლის ლანგრით ბიფშტექსი მოართვა. შემდეგ ბიფშტექსი თავისკენ მიიწია და ჭამა დაიწყო.

გვერდით, საბილიარდოდან, ბურთების ჯახუნის, ლაპარაკისა და სიცილის ხმა გამოდიოდა. შემოსასვლელ კარში ორი ოფიცერი გამოჩნდა: ერთი – სუსტი, გამხდარი სახის ახალგაზრდა, – ახალი გადმოსული იყო მათ პოლკში პაჟთა კორპუსიდან; მეორე – ჩასუქებული, ძველი ოფიცერი იყო, ხელზე სამაჯური ეკეთა და მოჭუტულ თვალებს ზემოთ

ქუთუთოები შესივებოდა.

ვრონსკიმ შეხედა მათ, მოიღუშა და თითქოს ვერც შეამჩნიაო, კვლავ წიგნში ჩაიხედა, ჭამა განაგრძო.

– შენ რა? ძალას იკრებ სამუშაოდ? – უთხრა ჩასუქებულმა ოფიცერმა და გვერდით მიუჯდა.

– ვერ ხედავ! – გაჯავრებით უთხრა ვრონსკიმ და ტუჩები მოიწმინდა, არც შეუხედავს ოფიცრისათვის.

– მერე, გასუქებისა არ გეშინია? – ისევ ჰკითხა მან და სკამი გამოუწია ახალგაზრდა ოფიცერს.

– რაო? – გაბრაზებით უთხრა ვრონსკიმ, ზიზღით დაიღრიჯა და მიჯრილი კბილები გამოაჩინა.

– გასუქებისა არ გეშინია?

– ერთი ხერესი მოიტანე! – გასძახა ვრონსკიმ მსახურს, წიგნი ახლა აქეთ გვერდზე გადმოდო და კითხვა განაგრძო.

ჩასუქებულმა ოფიცერმა ღვინოების ბარათი აიღო და ახალგაზრდას მიუბრუნდა.

– ამოირჩიე, რა დავლიოთ, – ბარათი მიაწოდა და სახეში მიაჩერდა.

– რეინვერი იქნებოდა კარგი, – უთხრა ახალგაზრდამ, თან ცალი თვალით მორიდებით უყურებდა ვრონსკის და ცდილობდა, ხელი მოეკიდა ოდნავ წამოზრდილ ულვაშზე. მერე, რაკი შენიშნა, ვრონსკი ყურადღებას არ აქცევდა მათ, წამოდგა.

– საბილიარდოში წავიდეთ, – თქვა მან.

ჩასუქებული ოფიცერიც მორჩილად წამოდგა და ორივენი კარისაკენ გაემართნენ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მაღალი, წარმოსადეგი ტანის როტმისტრი იაშვინი, ამაყად, ზიზღით დაუკრა თავი ოფიცრებს და ვრონსკისთან მივიდა.

– აჰა, აი, ისიც! – წამოიძახა და ღონივრად დაჰკრა თავისი დიდი ხელი მხარზე. ვრონსკიმ გაბრაზებით მოიხედა, მაგრამ მაშინვე მისთვის ჩვეულმა მშვიდმა, მტკიცე ღიმილმა გაუნათა სახე.

– აი, ეს კარგია, ალიოშა, – მაღალი ბარიტონით უთხრა მან, – ახლა ეს შეჭამე და მერე ერთი პატარა ჭიქაც დააყოლე.

– რაღაც არ მინდა ჭამა.

– განუყრელი მეგობრები, – დაუმატა იაშვინმა და დაცინვით გადახედა იმ ორ ოფიცერს, რომლებიც სწორედ ახლა გადიოდნენ დარბაზიდან. იაშვინი ვრონსკის გვერდით ჩამოჯდა. მისი გამხდარი, ვიწრო რეიტუზებში გამოკვართული ფეხები მეტად მაღალი აღმოჩნდა სკამის სიმაღლესთან და მუხლები მოხარა, – გუშინ რატომ არ შემოიარე თეატრში? ნუმეროვა მშვენიერი იყო. სად იყავი?

– ტვერსკაიასთან შევრჩი, – უპასუხა ვრონსკიმ.

– აჰა! – წამოიძახა იაშვინმა ამის პასუხად.

იაშვინი განთქმული ბანქოს მოთამაშე და მოქეიფე იყო. არაფრად დაგიდევდათ ერთხელვე დადგენილ წესებს და ბევრ უზნეობასაც სჩადიოდა, მაგრამ პოლკში ვრონსკის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა. ვრონსკის უყვარდა იაშვინი არაჩვეულებრივი ფიზიკური ღონის გამო, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ შეეძლო ხარივით ესვა, არ დაეძინა და არც არაფერი შემჩნეოდა; უყვარდა იმის გამოც, რომ სულიერადაც ძლიერი იყო, რაც მჟღავნდებოდა უფროსებსა და ამხანაგებთან ურთიერთობაში და რითაც შიშსა და პატივისცემას იმსახურებდა. მისი სულიერი სიძლიერე აშკარად ჩანდა ბანქოს თამაშშიც, როცა იგი ათიათასობით ჩადიოდა და ყოველთვის, მიუხედავად სიმთვრალისა, ისე დახვეწილად და მტკიცედ თამაშობდა, რომ ინგლისურ კლუბში პირველ მოთამაშედ ითვლებოდა. ვრონსკი პატივს სცემდა იაშვინს, გამორჩეულად უყვარდა, რადგან გრძნობდა, რომ იაშვინს მარტო მისი სახელი და სიმდიდრე კი არა, თავად ვრონსკი უყვარდა. ამიტომ მეგობრებიდანაც მხოლოდ ის ამოირჩია, მხოლოდ მასთან შეეძლო თავის სიყვარულზე ლაპარაკი. მართალია, იაშვინი თითქმის უარყოფდა ყოველგვარ გრძნობას, მაგრამ ვრონსკი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მას შეეძლო გაეგო ის ძლიერი ვნება, რითაც სავსე იყო ახლა მთელი მისი ცხოვრება. გარდა ამისა, იცოდა, რომ იაშვინი ვერავითარ სიამოვნებას ვერ პოულობდა ამ ჭორებსა და აყალმაყალში და ისე ესმოდა მისი გრძნობა, როგორც საჭირო იყო, ესე იგი, იცოდა და სწამდა, რომ ეს სიყვარული არც ხუმრობაა და არც გართობა,

რომ რაღაც მნიშვნელოვანი და სერიოზულია.

ვრონსკის არაფერი უთქვამს მისთვის თავის სიყვარულზე, მაგრამ იცოდა, რომ ყველაფერი გაგებული ჰქონდა, რომ ყველაფერი ისე ესმოდა, როგორც საჭირო იყო და სიამოვნებდა, როცა ყოველივე ამას მის თვალებში კითხულობდა.

– აჰა! – თქვა იაშვინმა იმის პასუხად, როცა გაიგო, ვრონსკი ტვერსკაიასთან ყოფილაო; შავი თვალები გაუბრწყინდა, ცალი ხელით მარცხენა ულვაშს მისწვდა და პირისკენ წაიღო – ეს მისი ცუდი ჩვეულება იყო.

– შენ რა ქენი წუხელ? მოიგე? – ჰკითხა ვრონსკიმ.

– რვა ათასი მოვიგე, მაგრამ სამი საეჭვოა, არ ვიცი, მომცემენ თუ არა.

– ვაითუ მე წაგაგებინო, – სიცილით უთხრა ვრონსკიმ (იაშვინს ვრონსკის გამო დიდი სანაძლეო ჰქონდა დადებული).

– არასგზით არ წავაგებ. მხოლოდ ერთი მახოტინია საშიში.

და საუბარი გადავიდა დღევანდელ დოღზე; მხოლოდ ამაზე შეეძლო ახლა ფიქრი ვრონსკის.

– წავიდეთ, მე უკვე გავათავე, – უთხრა ვრონსკიმ, ფეხზე წამოდგა და კარისკენ გაემართა. იაშვინიც წამოდგა, თავისი უზარმაზარი ფეხები და გრძელი ზურგი გაშალა.

– ჩემთვის ჯერ ადრეა სადილობა, დალევა კი მინდა, ახლავე დაგეწევი. ეი, ღვინო მოიტანე! – გასძახა მან თავისი ბოხი ხმით, რომელიც ცნობილი იყო მთელ პოლკში და მინებსაც კი აზანზარებდა, – არა, არ მინდა, – მაშინვე მიაძახა მან, – შინ თუ მიდიხარ, მეც შენთან წამოვალ.

და ორივენი ერთად გავიდნენ დარბაზიდან.

XX

ვრონსკი ორად გატიხრულ ფართო, სუფთა ფინურ სახლში ცხოვრობდა, პეტრიცკი ბანაკშიც მასთან ერთად იყო. ვრონსკი

და იაშვინი რომ შევიდნენ, პეტრიცკის ეძინა.

– ადექი, გეყოფა ძილი, – უთხრა იაშვინმა, ტიხარს იქით გავიდა და შეანჯღრია ბალიშში ცხვირწარგული თმააბურძგნილი პეტრიცკი.

პეტრიცკი უცბად წამოხტა, ლოგინზე წამოიჩოქა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

– შენი ძმა იყო აქ, – უთხრა ვრონსკის, – ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, გამომაღვიძა. კიდევ შემოვივლიო, დაიბარა, – მერე ისევ საბანი წაიხურა და ბალიშზე დაეცა, – დამანებე თავი, იაშვინ! – უწყრებოდა იაშვინს, რომელიც საბანს ხდიდა, – დამანებე თავი! – მან გვერდი იცვალა და თვალები გაახილა, – ის გირჩევნია, მითხრა, რა დავლიოთ. ისეთი საძაგელი პირი მაქვს, რომ...

– არაყი ყველაფერს სჯობია, – ბოხი ხმით უთხრა იაშვინმა, – ტერეშჩენკო! არაყი და კიტრები მოართვი ბატონს! – ხმამაღლა გასძახა მან. ეტყობოდა, თვითონვე ტკბებოდა თავისი ხმის მოსმენით.

– მაშ, შენ ფიქრობ, არაყი სჯობია, ჰა? – ჰკითხა პეტრიცკიმ, თან დაიღრიჯა და თვალები მოიფშვნიტა, – შენც დალევ? მაშ, ერთად დავლიოთ! ვრონსკი, დალევ? – ჰკითხა და ლოგინიდან წამოდგა, იღლიებქვეშ შემოიხვია ვეფხვის ტყავის საბანი.

პეტრიცკი ტიხრის კარში გამოჩნდა, ხელები ასწია და ფრანგულად დაიწყო სიმღერა: „იყო ტუ-ლაში მეფე-ე“, – ვრონსკი, დალევ?

– საჯინიბოში მივდივარ. ბრიანსკისთანაც უნდა შევიარო ცხენების თაობაზე, – უთხრა ვრონსკიმ.

ვრონსკი მართლაც შეჰპირდა მისვლას ბრიანსკის, რომელიც პეტერგოფიდან ათი ვერსის დაშორებით იყო, ცხენების ფული უნდა მიეტანა; იქაც უნდოდა მოესწრო მისვლა, მაგრამ ამხანაგები მაშინვე მიუხვდნენ, რომ ვრონსკი მარტო იქ არ აპირებდა წასვლას.

პეტრიცკიმ, რომელიც ისევ სიმღერას განაგრძობდა, თვალი ჩაუკრა, ტუჩები გამობურცა, თითქოს ამით ეუბნებოდა, ვიცი, რა ბრიანსკისთანაც მიდიხარო.

– იცოდე, არ დააგვიანო! – მხოლოდ ეს უთხრა იაშვინმა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, – ჩემი ჩალისფერი ცხენი როგორი გამოდგა? – ჰკითხა და ფანჯრიდან გახედა ცხენს.

– შესდექი! – დაუყვირა პეტრიცკიმ უკვე მიმავალ ვრონსკის, – შენმა ძმამ წერილი მოიტანა და ერთი პატარა ბარათიც დაგიტოვა. მოიცა, სად შევინახე?

ვრონსკი შეჩერდა.

– აბა, სად არის?

– სად არის? საკითხავი აი, ეგ არის! – საზეიმო ტონით თქვა პეტრიცკიმ და საჩვენებელი თითი ცხვირთან მიიტანა.

– მითხარი, ნუ სულელობ! – ღიმილით უთხრა ვრონსკიმ.

– ბუხარში არ შემიგდია. აქ იქნება სადმე.

– გეყოფა ამდენი მიეთმოეთი! სად არის წერილი?

– არა, მართლა დამავიწყდა. სიზმარში ხომ არ ვნახე? მოიცა, მოიცა! ჯავრობ? შენ რომ ჩემსავით გუშინ ოთხი ბოთლი დაგელია, ისიც დაგავიწყდებოდა, სად იწექი. დაიცა, ახლავე მოვიგონებ!

პეტრიცკი ტიხარს იქით გავიდა და ისევ თავის საწოლზე წამოწვა.

– მოიცა! მე ასე ვიწექი. ის ასე იდგა. ჰო-ჰო, ჰო, ჰო... აი, წერილიც! – და პეტრიცკიმ წერილი გამოაძრო ლეიბის ქვეშიდან.

ვრონსკიმ წერილი და ძმის ბარათი გამოართვა. ეს სწორედ ის იყო, რასაც ელოდა, – დედის წერილი საყვედურებით იმის გამო, რომ არ მივიდა სანახავად, და ძმის ბარათი, სწერდა, მოსალაპარაკებელი მაქვს შენთანო. ვრონსკიმ იცოდა, რომ ეს ყველაფერი ისევ იმას შეეხებოდა. „რა იმათი საქმეა!“ – გაიფიქრა მან, წერილი დაჭმუჭნა და სერთუკის ღილებს შუა ჩაიდო იმ განზრახვით, რომ გზაში ყურადღებით წაეკითხა; წინკარში რომ გამოდიოდა, ორი ოფიცერი შემოხვდა: ერთი მათი პოლკიდან, მეორე კი – სხვა პოლკიდან.

ვრონსკის ბინა მუდამ თავშესაყარი ადგილი იყო ოფიცრებისათვის.

– საით?

– პეტერგოფში მინდა წავიდე.

– ცხენი უკვე მოიყვანეს ცარსკოედან?

– მოიყვანეს, მაგრამ მე არ მინახავს.

– ამბობენ, მახოტინის გლადიატორი კოჭლობსო.

– სისულელეა! ოღონდ ის არის, რომ ტალახში ძალიან გაგიჭირდებათ, – თქვა მეორე ოფიცერმა.

– აი, ჩემი მხსნელები! – დაიყვირა პეტრიცკიმ, როცა ოთახში შემოსული ოფიცრები დაინახა. პეტრიცკის წინ მსახური იდგა ლანგრით ხელში, რომელზეც არაყი და მჟავე კიტრები ეწყო, – იაშვინმა მიბრძანა, დალიე და გამოფხიზლდებიო.

– ოჰ, რა დღე დაგვაყენეთ გუშინ, – თქვა ერთმა ოფიცერთაგანმა, – მთელი ღამე არ დაგვაძინეთ.

– არა, როგორ დავამთავრეთ! – ჰყვებოდა პეტრიცკი, – ვოლკოვი სახურავზე აძვრა და იქიდან ამბობდა, მოწყენითა ვარო. მე ვუთხარი, მუსიკა დაუკარით, სამგლოვიარო მარში დაუკარით-მეთქი. ჰოდა, იქვე ჩაეძინა სახურავზე, სამგლოვიარო მარშის ჰანგებში.

– დალიე, აუცილებლად დალიე არაყი და მერე სელტერის წყალი და ბლომად ლიმონი დააყოლე, – ეუბნებოდა იაშვინი, თავს დასდგომოდა პეტრიცკის და ისე ეხვეწებოდა, როგორც დედა ეხვეწება ბავშვს, წამალი დალიეო, – მერე კი ცოტა შამპანური დააყოლე, ასე, ერთ ბოთლამდე.

– აი, ეს ჭკვიანურია. მოიცა, ვრონსკი, დავლიოთ.

– არა, ბატონებო, მშვიდობით, მე დღეს არ ვსვამ.

– ვითომ რატომ, ხომ არ დამძიმდები? მაშ, მარტო ჩვენ დავლიოთ. მოიტანეთ სელტერის წყალი და ლიმონი.

– ვრონსკი, – დაიძახა ვიღაცამ, როცა უკვე წინკარში გამოდიოდა.

– რა იყო?

– თმა მაინც შეგეკრიჭა, თორემ ძალიან დაგამძიმებს,

განსაკუთრებით მელოტზე.

ვრონსკი მართლაც ნაადრევად მელოტდებოდა. მან მხიარულად გაიცინა, მიჯრილი კბილები გამოაჩინა, მელოტზე ქუდი დაიხურა, გარეთ გამოვიდა და ეტლში ჩაჯდა.

– საჯინიბოში! – უთხრა მეეტლეს; უნდოდა წერილები ამოეღო და წაეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა. არ ღირდა სხვა რამეზე ყურადღების გაფანტვა, ვიდრე ცხენს არ ნახავდა: „შემდეგისთვის იყოს!“.

XXI

დროებითი ფიცრული საჯინიბო იქვე იპოდრომზე იყო აშენებული და გუშინ იქ უნდა მიეყვანათ ცხენი. ვრონსკის ჯერ არ ენახა. ამ უკანასკნელ დღეებში აღარც უვლია გასახედნად. ეს საქმე მწვრთნელს მიანდო და ახლა სრულებით არაფერი იცოდა, როგორ მოიყვანეს ან რა მდგომარეობაში იყო მისი ცხენი. ვრონსკი ჯერ კიდევ არ გადმოსულიყო ეტლიდან, რომ მისმა მეჯინიბემ (გრუმმა) შორიდანვე იცნო ეტლი და მაშინვე მწვრთნელს გამოუძახა. გამხდარი ინგლისელი, ნიკაპქვეშ ბღუჯად რომ დაეტოვებინა წვერი და ტანთ მოკლე ჟაკეტი და მაღალყელიანი წაღები ეცვა, ჟოკეის უხერხული სიარულით წინ შემოეგება ვრონსკის – იდაყვები განზე ეჭირა და სიარულის დროს მთელი სხეულით ირხეოდა.

– როგორ არის ფრუ-ფრუ? – ინგლისურად ჰკითხა ვრონსკიმ.

– All right, sir, ყველაფერი რიგზე გახლავთ, ბატონო, – სადღაც ყელის სიღრმიდან მოისმა ინგლისელის ხმა, – უმჯობესია, არ შეხვიდეთ, – დასძინა მან და ქუდი ზევით აიწია, – ავშარა გავუკეთე ახლა და გაღიზიანებულია. ნუ შეხვალთ, თორემ ვეღარ დაწყნარდება.

– არა, მაინც შევალ, მინდა დავხედო.

– წავიდეთ, – ისევ ისეთი მოგუდული ხმით უპასუხა ინგლისელმა და იდაყვების ქნევითა და თავისებური მოშლილი

სიარულით წინ გაუძღვა ვრონსკის.

ორივენი ფარდულის წინ პატარა ეზოში შევიდნენ. წინ შემოეგებათ სუფთა ქურთუკში კოხტად გამოწყობილი მორიგე ცოცხით ხელში და ისიც უკან გაჰყვა მათ. ფარდულში ცალ-ცალკე საბმურში ება ხუთი ცხენი და ვრონსკიმ იცოდა, რომ ახლა აქ უნდა ყოფილიყო მისი მთავარი მეტოქის, მახოტინის წაბლა გლადიატორი, რომელიც სიგრძით ორი არშინი და ხუთი გოჯი იყო. თავის ცხენზე მეტად ვრონსკის გლადიატორის ნახვა აინტერესებდა, რომელიც ჯერ არ ჰყავდა ნანახი. მაგრამ იცოდა, რომ მოჯირითეთა წესის თანახმად, არამცთუ ცხენის ნახვა, გამოკითხვაც კი უწესობად ითვლებოდა. დერეფანში რომ ჩაიარეს, ბიჭმა სწორედ ამ დროს მარცხნივ მეორე საბმურის კარი გამოაღო და ვრონსკიმ თვალი მოჰკრა უზარმაზარ წაბლისფერ ცხენსა და თეთრ ფეხებს. იცოდა, რომ ეს გლადიატორი იყო, მაგრამ მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც თვალს აარიდებს სხვის გახსნილ წერილს, ზურგი შეაქცია ცხენს და ფრუ-ფრუს საბმურთან გაჩერდა.

– აქ არის ცხენი მაკ... მაკ... არაფრით არ შემიძლია ამ გვარის წარმოთქმა, – უთხრა მის ზურგს უკან გაჩერებულმა ინგლისელმა და ფრჩხილგამოშავებული ჭუჭყიანი ცერით გლადიატორის საბმურზე მიუთითა.

– მახოტინისა? დიახ, ეს ჩემი ერთ-ერთი სერიოზული მეტოქეა, – უთხრა ინგლისელმა.

– ფრუ-ფრუ უფრო ფიცხია, უფრო ღონიერიც, – უპასუხა ვრონსკიმ და გაიღიმა, ცხენოსნობა რომ უქეს.

– დაბრკოლებებიან დოღში მთავარია ცხენოსნობა და pluck-ი, – თქვა ინგლისელმა.

ვრონსკი არათუ გრძნობდა, რომ pluck-ი, ესე იგი ენერგია და გამბედაობა, საკმარისი ჰქონდა, არამედ უფრო მეტიც, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქვეყანაზე არ შეიძლებოდა ვინმეს ჰქონოდა იმდენი pluck-ი, რამდენიც მას.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მეტისმეტი გაოფლიანება საჭირო არ არის?

– არ არის საჭირო, – მიუგო ინგლისელმა, – თუ შეიძლება ხმამაღლა ნუ ილაპარაკებთ, თორემ ცხენი გახელდება, –

დაუმატა მან და თავით საბმურის დახურულ კარზე ანიშნა, საიდანაც ჩალაზე ცხენის ფეხების ბაკუნი მოისმოდა.

ინგლისელმა კარი შეაღო და ვრონსკი პატარა სარკმლით სუსტად განათებულ საბმურში შევიდა. საბმურში იდგა მუქი წაბლისფერი ცხენი, პირზე ავშარა ეკეთა და ახალდაყრილ ჩალაზე ფეხებს აბაკუნებდა. მკრთალ სინათლეზე ვრონსკიმ უნებურად შეავლო თვალი საყვარელი ცხენის ყოველ ნაკვთს. ფრუ-ფრუ საშუალო ტანის და თავისი აღნაგობით არცთუ უნაკლო ცხენად ითვლებოდა. მეტისმეტად ძვალწვრილი იყო და მკერდიც, მართალია წინ წამოწეული, მაგრამ ვიწრო ჰქონდა. გავა ოდნავ დაქანებული მოუჩანდა და ფეხებიც, წინა და განსაკუთრებით უკანა ფეხებზე, მაინცდამაინც მსხვილი არ უჩანდა; სამაგიეროდ ზურგი ჰქონდა არაჩვეულებრივად განიერი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ახლა, როცა ცხენი მუცელშეწურული იდგა. წინიდან რომ შეგეხედათ, ფეხები, მუხლებს ქვემოთ, თითზე მსხვილი არ მოუჩანდა, სამაგიეროდ გვერდიდან არაჩვეულებრივად მსხვილი ჩანდა. მთლიანად ცხენი, ნეკნებს გარდა, თითქოს გვერდიდან იყო შეჭყლეტილი და სიღრმეში წასული. მაგრამ მას ჰქონდა ერთი უმაღლესი ღირსება, რომელიც გაიძულებდათ, დაგევიწყებინათ ყოველგვარი ნაკლი. ეს ღირსება გახლდათ სისხლი, სისხლი, რომელიც ინგლისური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ყველგან თავს იჩენს. აბრეშუმივით სუფთა, ნაზ და მოძრავ კანს ქვემოთ, ძარღვთა ბადიდან მკვეთრად ამობურცული კუნთები ძვალივით მაგარი ჰქონდა. გამხდარი თავი, წამოწეული, მოელვარე, ხალისიანი თვალებით, წინ წამოშვერილ ნესტოებთან ფართოვდებოდა, შიგნიდან კი ნესტოებს სისხლსავსე აპკი ეკვროდა. მთელ მის გარეგნობასა და განსაკუთრებით თავის მოყვანილობაში მეტისმეტი ენერგია და ამასთან, სინაზე იხატებოდა, ეს ერთი იმ ცხოველთაგანი იყო, რომელიც თითქოს მხოლოდ იმიტომ არ ლაპარაკობდა, რომ პირის მექანიკური აგებულება ამის საშუალებას არ აძლევდა.

ყოველ შემთხვევაში, ვრონსკის მოეჩვენა, რომ ცხენი მიუხვდა ყველაფერს, რაც იმ წუთში იგრძნო.

როგორც კი ვრონსკი საბმურში შევიდა, ცხენმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, წინ წამოწეული თვალები დაიელმა, ისე, რომ თვალის თეთრი გარსი სისხლით აევსო, მოპირდაპირე მხრიდან

შეხედა შემოსულთ, თან ავშარა აიქნია და ატოკდა.

– აი, ხომ ხედავ, როგორ აღელდა, – უთხრა ინგლისელმა.

– ოჰ, ჩემო კარგო, ჩემო კარგო! – უყვავებდა ვრონსკი და თან უახლოვდებოდა, უნდოდა გულისხმაში ჩაეგდო ცხენი.

მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდა, ცხენი მით მეტად ღელავდა. მხოლოდ, როცა ვრონსკი ცხენის თავთან შეჩერდა, უეცრად დაცხრა, თხელი, ფაქიზი ბალნის ქვეშ კუნთები შეუთრთოლდა. ვრონსკიმ ღონიერ კისერზე დაუსვა ხელი, ზევით ამოწეულ ქეჩოზე დაყრილი ფაფარი შეუსწორა და სახე ღამურას ფრთასავით დაბერილ თხელ ნესტოებთან მიუტანა. ცხენმა დაბერილი ნესტოებით ხმაურით შეისუნთქა და გამოუშვა ჰაერი, ცალი ყური აცქვიტა, ღონიერი შავი ტუჩი ვრონსკისკენ გაიშვირა, თითქოს სახელოზე უნდა მისწვდესო, მაგრამ უეცრად ავშარა გაახსენდა, თავი აიქნია და ისევ დაიწყო ტოკვა ჩამოქნილ ფეხებზე.

– დამშვიდდი, საყვარელო, დამშვიდდი! – უთხრა ვრონსკიმ, ახლა გავაზე დაუსვა ხელი და საბმურიდან გახარებული გამოვიდა იმის ფიქრით, რომ ცხენი ასე ჩინებულად დაუხვდა.

ცხენის მღელვარება ვრონსკისაც გადაედო, იგრძნო, როგორ მოაწვა გულზე სისხლი. მასაც თავისი ცხენივით მოენატრა მოძრაობა, კბენა; ეს რაღაც საშინელიც იყო და სიხარულის მომგვრელიც.

– მაშ, ასე, თქვენი იმედი მექნება, – უთხრა ინგლისელს, – ექვსის ნახევარზე ადგილზე იყავით.

– ყველაფერი რიგზე იქნება, – მიუგო ინგლისელმა.

– თქვენ სადღა მიბრძანდებით, მილორდ? – ჰკითხა და მოულოდნელად იხმარა ეს გამოთქმა – my Lord, რომელიც ადრე არასოდეს გაეგონათ მისგან.

ვრონსკი გააოცა ამ თამამმა შეკითხვამ, თავი ასწია და შეხედა ინგლისელს, ისე როგორც იცოდა შეხედვა, თვალებში კი არა, პირდაპირ მის შუბლს მიაჩერდა, მაგრამ როცა შენიშნა, რომ ინგლისელი ამას ისე ეუბნებოდა, როგორც ჟოკეის და არა როგორც ბატონს, უპასუხა: – ბრიანსკისთან უნდა მივიდე, ერთი საათის შემდეგ კი შინ ვიქნები.

„უკვე მერამდენედ მეკითხებიან დღეს ამას!“ – გაიფიქრა და გაწითლდა, რაც საერთოდ იშვიათად ემართებოდა. ინგლისელი დაკვირვებით შეაჩერდა, თითქოს იცის, სადაც აპირებსო წასვლას, და დაუმატა: – მთავარია, დოღს მშვიდად შეხვდეთ. უგუნებობას ერიდეთ, ნურაფრით გაიღიზიანებთ თავს.

– All right, – ღიმილით უპასუხა ვრონსკიმ, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს პეტერგოფისაკენ წასვლა უბრძანა.

რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ დილიდანვე საავდროდ დამუქრებული ღრუბელი წამოვიდა და კოკისპირული წვიმა დაუშვა.

„ეს კი ცუდია! – გაიფიქრა ვრონსკიმ და ეტლი გადმოხურა, – ისედაც ტალახი იყო, ახლა სულ აჭაობდება“, – გადმოხურულ ეტლში განმარტოებით მყოფმა დედის წერილი და ძმის ბარათი ამოიღო და გადაიკითხა.

დიახ, ეს მართლაც ისევ და ისევ იგივე იყო. ყველანი, დედაც, ძმაც, საჭიროდ თვლიდნენ ჩარეულიყვნენ მის სიყვარულში. ეს ჩარევა აბოროტებდა ვრონსკის, წინათ კი იშვიათად განუცდია ეს გრძნობა. „რა მათი საქმეა? რატომ მიაჩნია ყველას თავის მოვალეობად ჩემზე ზრუნვა? რას ჩამაცივდნენ? იმიტომ, რომ ხედავენ, ეს ისეთი რამ არის, რისი გაგებაც მათ არ ძალუძთ. ეს რომ მაღალი საზოგადოებისათვის ჩვეული უხამსი ტრფიალი ყოფილიყო, ხმასაც არ ამოიღებდნენ. ახლა კი ხვდებიან, რომ რაღაც სხვაა, რომ თამაშობა არ არის და ეს ქალი ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია. სწორედ ეს ვერ გაუგიათ და ამიტომაც სწყინთ. როგორიც უნდა იყოს ჩვენი ბედი ან ახლა, ან მომავალში, ჩვენ სამდურავს არასოდეს ვიტყვით, რადგან ჩვენ თვითონვე შევქმენით იგი, – და როცა ამბობდა, – ჩვენო, ამ სიტყვაში ანასა და თავის თავს აერთიანებდა, – არა, მათ უნდათ, ჩვენ გვასწავლონ, როგორ უნდა ცხოვრება, თავად კი წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის ბედნიერება, არ იციან, რომ ამ სიყვარულის გარეშე ჩვენთვის არ არსებობს არც ბედნიერება, არც უბედურება – არ არსებობს სიცოცხლე“, – ფიქრობდა ვრონსკი.

თუმცა ვრონსკი გრძნობდა, რომ ისინი მართლები იყვნენ და ამიტომაც აღიზიანებდა მათი ჩარევა. გრძნობდა, რომ სიყვარული, რომელიც ანასთან აკავშირებდა, არ იყო ის წუთიერი გატაცება, რომელიც გაივლიდა ისე, როგორც გაივლის

ხოლმე მაღალი საზოგადოებისათვის ჩვეული ტრფიალი, ისე, რომ არც ერთისა და არც მეორის ცხოვრებაში, გარდა სასიამოვნო ან უსიამოვნო მოგონებებისა, არავითარ კვალს არ ტოვებს. ვრონსკი გრძნობდა, რამდენად მძიმე იყო როგორც მისი, ისე ანას მდგომარეობა, როცა მთელი საზოგადოების ყურადღება მათკენ იყო მიმართული, რამდენად ძნელი იყო მათთვის სიყვარულის მალვა, სიცრუე და ტყუილი. მათ უნდა ეცრუათ, მოეტყუებინათ სხვა, ათასნაირი ეშმაკობა ეხმარათ, გამუდმებით ეფიქრათ სხვებზე, მაშინ როცა მათი შემაკავშირებელი ვნება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივეს, თავიანთი სიყვარულის გარდა, ყველაფერს ავიწყებდა.

მას თვალწინ დაუდგა ყველა ის მრავალჯერ განმეორებული შემთხვევა, როცა მათთვის აუცილებელი ხდებოდა სიცრუე და ტყუილი, რასაც ვერ ეგუებოდა მისი ბუნება. განსაკუთრებით ცხოვლად გაახსენდა, როგორი სირცხვილი ერეოდა ანას, როცა გრძნობდა ამ სიცრუისა და ტყუილის აუცილებლობას, რაც მრავალჯერ შეუნიშნავს მისთვის. ვრონსკი ხშირად განიცდიდა რაღაც უცნაურ გრძნობას, რომელიც დღიდან ანასთან ურთიერთობისა, დროდადრო დაეუფლებოდა ხოლმე. ეს იყო ზიზღი რაღაცისადმი. კარგად ვერ გარკვეულიყო, ვისკენ იყო მიმართული ეს ზიზღი – ალექსეი ალექსანდროვიჩისადმი, თავისი თავისადმი თუ მთელი ქვეყნიერებისადმი. იგი ყოველთვის ცდილობდა თავიდან აეცილებინა ეს უცნაური გრძნობა. ახლაც თავი გააქნია, მოიცილა ეს გრძნობა და ისევ თავის ფიქრს გაჰყვა.

„დიახ, ანა წინათ უბედური იყო, მაგრამ ამაყად და მშვიდად გრძნობდა თავს, ახლა კი აღარ შეუძლია დამშვიდებით ყოფნა, აღარც ის ძველებური სიამაყე აქვს, თუმცა არ ამჟღავნებს ამას. დიახ, აუცილებლად უნდა მოეღოს ამას ბოლო“, – გადაწყვიტა ვრონსკიმ.

დღეს პირველად იგრძნო ასე ცხადად, რომ აუცილებელი იყო, ბოლო მოღებოდა ამ სიცრუეს. და რაც უფრო მალე მოეღებოდა ბოლო, მით უკეთესი იქნებოდა. „უნდა მივატოვოთ ყველაფერი მეც და მანაც და ჩვენს სიყვარულთან ერთად სადმე გადავიკარგოთ“, – უთხრა თავის თავს.

XXII

კოკისპირულმა წვიმამ მალე გადაიღო და როცა პეტერგოფს უახლოვდებოდა ვრონსკის ეტლი, რომელსაც სწრაფი ჩორთით მიაჭენებდა შუა ცხენი და უკვე სადავემიშვებულ გვერდით ცხენებსაც მიაქროლებდა, მზემ ისევ გამოაჭყიტა. მზეზე აელვარდნენ აგარაკების სახურავები და ქუჩის ორივე მხარეს ბაღებში ჩაყოლებული ბებერი ცაცხვები. ტოტებიდან მხიარულად ცვიოდა წვიმის წვეთები, სახურავებიდან კი ღვარად ჩამოდიოდა წყალი. ვრონსკი ახლა უკვე აღარ ფიქრობდა, როგორ გააფუჭებდა წვიმა იპოდრომს, ახლა მხოლოდ ის ახარებდა, რომ ამ წვიმის წყალობით ანა აუცილებლად შინ დახვდებოდა და დახვდებოდა სრულიად მარტო, რადგან წყლებიდან ახლახან დაბრუნებული ალექსეი ალექსანდროვიჩი ჯერ კიდევ არ გადმოსულიყო პეტერბურგიდან.

იმ იმედით, რომ ანა მარტო დაუხვდებოდა, ვრონსკი, როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ ხიდამდე მივიდა ეტლით, რათა რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიეპყრო. ეტლიდან გადმოვიდა და ფეხით გაჰყვა ქუჩას; პარმაღიდან არ შესულა, პირდაპირ შევიდა ეზოში.

– ბატონი ჩამოვიდა? – შეეკითხა მებაღეს.

– ჯერ არ ჩამობრძანებულა. ქალბატონი შინ გახლავთ. პარმაღიდან მიბრძანდით, მსახურები იქ არიან, გააღებენ კარს, – უპასუხა მებაღემ.

– არა, ბაღზე გავივლი.

რაკი ვრონსკი დარწმუნდა, ანა მარტო არისო, განიზრახა მოულოდნელად წასდგომოდა თავს, რადგან არც თვითონ დაჰპირებია დღევანდელ დღეს მისვლას და ანასაც ფიქრად არ მოუვიდოდა, რომ დოღის დაწყებამდე ვრონსკი მასთან შეივლიდა. ცალი ხელით ხმალი ეჭირა და ფრთხილად ადგამდა ფეხს ყვავილებს შუა ტერასისაკენ მიმავალ ქვიშამოყრილ ბილიკს. ახლა სულ გადაავიწყდა ყველაფერი, რასაც გზაში ფიქრობდა, გადაავიწყდა სიძნელე და სიმძიმე თავისი მდგომარეობისა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ იხილავდა ანას, არა ოცნებით წარმოდგენილს, არამედ ცოცხალს, სწორედ ისეთს, როგორიც სინამდვილეში იყო. ვრონსკი უკვე ტერასაზე ადიოდა, მთლიანად ადგამდა ფეხს დამრეც საფეხურებზე,

რათა უჩუმრად ასულიყო, რომ უეცრად გაახსენდა ის, რაც მუდამ ავიწყდებოდა და რაც ყველაზე მწვავე იყო ანასთან მის ურთიერთობაში. გაახსენდა ანას ვაჟიშვილი, მისი შემკითხველი და, როგორც ეჩვენებოდა, საზიზღარი გამოხედვა.

ყველაზე ხშირად ეს ბავშვი იყო ხოლმე მათი ურთიერთობის დამაბრკოლებელი. როცა იგი იქ იყო, არც ვრონსკი და არც ანა არათუ ნებას აძლევდნენ თავს, ეთქვათ რაიმე ისეთი, რასაც ყველას წინაშე ვერ იტყოდნენ, ნართაულადაც ვერ ბედავდნენ იმის თქმას, რაც ბავშვისათვის გაუგებარი იქნებოდა. არც შეთანხმებულან ამაზე, მაგრამ ეს რაღაც თავისთავად დამკვიდრდა. ბავშვის მოტყუება თავიანთი თავის შეურაცხყოფად მიაჩნდათ. ბავშვის თანდასწრებით ისინი ნაცნობებივით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მიუხედავად ამ სიფრთხილისა, ვრონსკის ხშირად შეუნიშნავს, როგორი ყურადღებით მისჩერებოდა ბიჭი, თითქოს უნდოდა რაღაც გამოეცნო, ხან მეტისმეტ გაუბედაობასა და ნერვიულობას ამჟღავნებდა, ხან გადამეტებით ალერსიანი იყო, ხან მეტისმეტად გულგრილი და საოცრად მორცხვი, თითქოს გრძნობდა, რომ ამ კაცსა და დედამისს შორის იყო ისეთი სერიოზული ურთიერთობა, რომლის მნიშვნელობასაც ვერ ჩასწვდომოდა.

ბავშვი მართლაც გრძნობდა, რომ არ შეეძლო ამ ურთიერთობის გაგება. ამაოდ ატანდა თავს ძალას, გაერკვია, რა გრძნობა უნდა ჰქონოდა ამ კაცის მიმართ. ბავშვური გულისხმიერებით ამჩნევდა, რომ არც მამას, არც გუვერნანტს, არც გადიას არათუ არ უყვარდათ ვრონსკი, არამედ რაღაც ზიზღითა და შიშით შეჰყურებდნენ, თუმცა არაფერს ამბობდნენ ამაზე, დედა კი ისე ექცეოდა, როგორც საუკეთესო მეგობარს.

„რას ნიშნავს ეს? ვინ არის იგი? რანაირად უნდა მიყვარდეს? თუ ეს ვერ გამიგია, მე ვარ დამნაშავე, ან სულელი ვარ და ან ცუდი ბიჭი?“ – ფიქრობდა ბავშვი და აქედან წარმოსდგებოდა ის გამომცდელი, კითხვით აღსავსე და ზოგჯერ მტრული გამოხედვა, ის გაუბედაობა და მერყეობა, რომელიც ასე ბოჭავდა ვრონსკის. ბავშვის დანახვა ყოველთვის აღუძრავდა უმიზეზო ზიზღის უცნაურ გრძნობას, რომელიც ბოლო დროს თან სდევდა ბავშვის იქ ყოფნისას. ვრონსკიც და ანაც იმავეს განიცდიდნენ, რასაც განიცდის მეზღვაური, რომელიც დასჩერებია კომპასს და ხედავს, რომ სწრაფად მიქრის და შორს

სცილდება დანიშნულ მიმართულებას, მაგრამ ამ მოძრაობის შეჩერება უკვე მის ხელთ აღარ არის, ყოველი წუთი უფრო აცილებს ამ მიმართულებას, ხოლო ამ მიმართულებიდან გადახედვა კი მისთვის იგივე დაღუპვაა.

ეს ბავშვი თავისი გულუბრყვილო შეხედულებებით ცხოვრებაზე მათთვის იგივე კომპასი იყო, რომელიც უჩვენებდა, თუ რამდენად გადაიხრებოდნენ იმისაგან, რაც თვითონვე იცოდნენ, მაგრამ რის ცოდნაც არ სურდათ.

ამჯერად სერიოჟა შინ არ იყო, ანა სრულიად მარტო იჯდა ტერასაზე და ელოდა შვილს, რომელიც სასეირნოდ წასულიყო და წვიმას მოესწრო. მოსამსახურე გოგო და ბიჭი ბავშვის მოსაძებნად გაეგზავნა, თვითონ კი იჯდა და ელოდა. ანას თეთრი, ნაქარგი, ფართო კაბა ეცვა, ტერასის კუთხეში იჯდა ყვავილებთან და ვრონსკის ფეხის ხმა არ ესმოდა. შავი, ხუჭუჭა თავი დაეხარა, შუბლი მოაჯირზე მდგარ ცივი სარწყავისათვის მიეყრდნო და თავისი მშვენიერი ხელები, რომლის თითოეულ ბეჭედსაც კარგად იცნობდა ვრონსკი, სარწყავისათვის ჩაევლო. ანას სხეულის, მისი თავ-კისრის, მისი ხელების სილამაზე ყოველთვის აოცებდა ვრონსკის, ახლაც შეჩერდა და აღტაცებით მიაჩერდა. ის იყო, დააპირა ნაბიჯის გადადგმა, რათა ახლოს მისულიყო მასთან, რომ ანამაც იგრძნო მისი მიახლოება, სარწყავი იქით გასწია და ანთებული სახე ვრონსკისკენ მიაბრუნა.

– რა დაგემართათ? შეუძლოდ ხომ არა ხართ? – ფრანგულად ჰკითხა ვრონსკიმ და გაემართა მისკენ. ვრონსკის უნდოდა, გაქცეულიყო, მაგრამ გაახსენდა, რომ შესაძლოა ვინმე უცხოს მოეკრა თვალი, აივნისაკენ გაიხედა და გაწითლდა, როგორც წითლდებოდა ყოველთვის, როცა იგრძნობდა, ვიღაცის უნდა მეშინოდეს და აქეთ-იქით ვიყურებოდეო.

– არა, კარგად ვარ, – უპასუხა ანამ, წამოდგა და მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი, – მე შენ... არ გელოდი.

– ღმერთო ჩემო, რა ცივი ხელები გაქვთ! – წამოიძახა ვრონსკიმ.

– შენ მე შემაშინე, – უთხრა ანამ, – მარტო ვარ და სერიოჟას ველოდები. სასეირნოდ არის წასული, ამ გზით უნდა მოვიდნენ.

ანა, მართალია, ცდილობდა დამშვიდებული სჩვენებოდა,

მაგრამ ტუჩები მაინც უთრთოდა.

– მაპატიეთ, რომ მოვედი, მაგრამ თქვენს უნახავად ვერ შევძელი ამ დღის გატარება, – ისევ ფრანგულად უთხრა ვრონსკიმ. იგი ყოველთვის ფრანგულად ელაპარაკებოდა ანას, რადგან არ უნდოდა ეხმარა მათი ურთიერთობისათვის მეტისმეტად ცივი „თქვენ“ და არც რუსული სახიფათო „შენ“ მოსწონდა.

– რა უნდა გაპატიო? მე ისე გამახარა შენმა მოსვლამ!

– თქვენ შეუძლოდა ხართ ან ნაწყენი რაღაცაზე, – განაგრძობდა ვრონსკი და ხელიდან არ უშვებდა ანას ხელს, მისკენ იხრებოდა, – რაზე ფიქრობდით ახლა?

– მხოლოდ და მხოლოდ ერთზე, – ღიმილით უპასუხა ანამ.

ანა არ ტყუოდა. რა წუთსაც უნდა ეკითხათ მისთვის, რაზე ფიქრობო, შეუცდომლად შეეძლო ეპასუხა: მხოლოდ ერთზე – ჩემს ბედნიერებასა და ჩემს უბედურებაზე ვფიქრობო. ახლაც, ვრონსკი რომ დაინახა, ანა იმაზე ფიქრობდა, თუ რატომაა, რომ სხვები, მაგალითად, ბეტსი (ანამ იცოდა მისი ფარული ურთიერთობა ტუშკევიჩთან) ასე იოლად იტანს ყველაფერს, ანასთვის კი ასეთ სატანჯველად იქცა ყოველივე. დღეს კი ეს აზრი, ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, უფრო მეტად ტანჯავდა. ანამ გამოჰკითხა დოღის ამბები. ვრონსკიც, რაკი ხედავდა, ანა აღელვებული იყო, დაწვრილებით უყვებოდა, როგორ ემზადებოდნენ დოღისათვის, რათა როგორმე გაერთო ანა.

„ვუთხრა თუ არ ვუთხრა? – ფიქრობდა ანა და მის მშვიდ, ალერსიან თვალებს შეჰყურებდა, – დღეს ისე ბედნიერია, ისეა გართული თავისი დოღით, რომ შესაძლოა ისე ვერ გაიგოს ეს, როგორც საჭიროა, ვერ ჩასწვდეს ამ ამბის მთელ მნიშვნელობას“.

– თქვენ მაინც არ მითხარით, რაზე ფიქრობდით, როცა მოვედი, – უთხრა ვრონსკიმ და შეწყვიტა თხრობა, – მითხარით, გეთაყვა!

ანამ არაფერი უპასუხა, ოდნავ ჩაღუნა თავი და შუბლს ქვემოდან ისე ამოხედა თავისი გრძელი წამწამებით დაჩრდილული, მოციმციმე თვალებით, თითქოს რაღაცას ეკითხებაო. ხელი, რომელშიც მოწყვეტილ ფოთოლს

ათამაშებდა, უკანკალებდა. ვრონსკი ხედავდა ამას და სახეზე ეხატებოდა ის მორჩილება, ის მონური ერთგულება, რომელიც ყოველთვის ინადირებდა ანას გულს.

– ვხედავ, რაღაც მომხდარა. განა შემიძლია, თუნდ ერთი წუთით დამშვიდებული ვიყო, როცა ვიცი, რომ თქვენ გაქვთ რაღაც ისეთი სადარდებელი, რომელსაც მე არ ვიზიარებ? ღვთის გულისათვის, მითხარით! – ევედრებოდა ვრონსკი.

„დიახ, მე ვერ ვაპატიებ, თუ სავსებით ვერ ჩასწვდება ამ ამბის მნიშვნელობას, უმჯობესია, არ ვუთხრა, რატომ უნდა გამოვცადო?“ – ფიქრობდა ანა, კვლავ ისეთივე თვალებით შეჰყურებდა და გრძნობდა, ხელი, რომელშიც ფოთოლი ეჭირა, სულ უფრო და უფრო ძლიერად უთრთოდა.

– ღვთის გულისათვის, მითხარით! – გაიმეორა ვრონსკიმ და ხელზე ხელი მოჰკიდა.

– გითხრათ?

– მითხარით, მითხარით...

– მე ფეხმძიმედ ვარ, – წყნარად, აუჩქარებლად უთხრა ანამ.

ფოთოლი უფრო ძლიერად აცახცახდა მის ხელში, მაგრამ მაინც თვალს არ აცილებდა ვრონსკის, უნდოდა დაენახა, როგორ იმოქმედებდა მასზე ეს ამბავი, ვრონსკი გაფითრდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისევ შეჩერდა, ხელი გაუშვა ანას ხელს და თავი ჩაჰკიდა. „დიახ, იგი ნამდვილად ჩასწვდა ამ მოვლენის მნიშვნელობას“, – გაიფიქრა ანამ და მადლიერებით მოუჭირა ხელზე ხელი.

მაგრამ ანა ცდებოდა, ვრონსკის ისე არ გაუგია ამ მოვლენის მნიშვნელობა, როგორც მას, ქალს, ესმოდა. ამის გაგებაზე ვრონსკის გაათკეცებული ძალით შემოენთო ის უცნაური ზიზღის გრძნობა ვიღაცისადმი. მაგრამ ამასთან ერთად მიხვდა, რომ დაიწყო მისთვის სასურველი კრიზისი, რომ ამიერიდან უკვე აღარ შეიძლებოდა დაემალათ ქმრისთვის ეს ამბავი და აუცილებელი იყო, ასე თუ ისე, ბოლო მოღებოდა ამ არაბუნებრივ მდგომარეობას. გარდა ამისა, ანას მღელვარება ფიზიკურად გადაედო მასაც. ვრონსკიმ მორჩილი, სიყვარულით აღსავსე თვალით შეხედა ანას, ხელზე აკოცა, წამოდგა და ხმაამოუღებლად გაიარ-გამოიარა ტერასაზე.

– დიახ, – თქვა მან და მტკიცე გადაწყვეტილებით მიუახლოვდა ანას, – არც მე და არც თქვენ სათამაშოდ არ მიგვიჩნევია ჩვენი ურთიერთობა, ახლა კი ჩვენი ბედი გადაწყვეტილია. აუცილებელია ბოლო მოეღოს ამ სიცრუეს, რომელიც გარს გვახვევია, – თქვა ეს და აქეთ-იქით მიმოიხედა.

– ბოლო მოეღოს? მერე როგორ უნდა მოეღოს ბოლო, ალექსეი? – ჩუმი ხმით ჰკითხა ანამ, მას უკვე მოესწრო დამშვიდება და სახეზე ნაზი ღიმილი დასთამაშებდა.

– უნდა მიატოვო ქმარი და შევაერთოთ ჩვენი სიცოცხლე.

– ჩვენი სიცოცხლე ისედაც შეერთებულია, – ოდნავ გასაგონი ხმით უპასუხა ანამ.

– კი მაგრამ, სულ, სულ უნდა შევაერთოთ.

– მაგრამ როგორ, ალექსეი, მასწავლე, როგორ უნდა შევაერთოთ? – უთხრა ანამ და მის ხმაში მწუხარებით სავსე დაცინვა გაისმა თავის გამოუვალ მდგომარეობაზე, – განა არის გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? განა მე მეუღლე არა ვარ ჩემი ქმრისა?

– გამოსავალი ყოველ მდგომარეობას აქვს. უნდა გადაწყვიტო, – უთხრა მან, – ყველაფერი სჯობია იმ მდგომარეობას, რომელშიც ხარ. განა ვერ ვხედავ, როგორ გტანჯავს ყველაფერი – საზოგადოებაც, ქმარიც, შვილიც.

– ოჰ, ოღონდ ქმარი კი არა, – უბრალოდ, დამცინავად შენიშნა ანამ, – მე არ ვიცნობ მას, არ ვფიქრობ მასზე. ის ჩემთვის არ არსებობს.

– შენ ამას გულწრფელად არ ამბობ. მე გიცნობ შენ. შენ ქმრის გამოც იტანჯები.

– მან არც კი იცის ეს, – თქვა ანამ და უეცრად სახეზე ალმური მოედო: ლოყები, შუბლი, კისერი, სულ ერთიანად გაუწითლდა და თვალებზე სირცხვილის ცრემლები მოადგა, – ნუღარაფერს ვიტყვით მასზე.

XXIII

ვრონსკიმ უკვე რამდენჯერმე სცადა, თუმცა ისე გადაჭრით არა, როგორც დღეს, გამოეწვია ანა საუბარში, დაენახვებინა მისი მდგომარეობა, მაგრამ ყოველთვის ასეთ ზერელე, იოლ პასუხს იღებდა მისგან, როგორიც დღეს მიიღო. თითქოს ამაში იყო რაღაც ისეთი, რაც არ შეეძლო გაერკვია, რაშიც არ უნდა გამოსტყდომოდა თავის თავს და ყოველთვის, როცა ამაზე დაუწყებდა ლაპარაკს, ის ნამდვილი ანა თითქოს სადღაც იმალებოდა და მის წინაშე იდგა სხვა, უცნაური, მისთვის უცხო ქალი, რომელიც არ უყვარდა, აშინებდა და მუდამ თავიდან იცილებდა მას. მაგრამ დღეს გადაწყვიტა ბოლომდე ეთქვა ყველაფერი.

– იცის თუ არ იცის, – თავისებური მტკიცე, მშვიდი ხმით დაიწყო ვრონსკიმ, – იცის თუ არ იცის, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ არ შეგვიძლია... თქვენ არ შეგიძლიათ დარჩეთ ამ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ახლა.

– მაშ, როგორ უნდა მოვიქცე თქვენი აზრით? – ისეთივე ოდნავ დაცინვით ჰკითხა ანამ. პირველად თვითონ შიშობდა, ვრონსკის იოლად არ მიეღო მისი ფეხმძიმობის ამბავი, ახლა კი სწყინდა, რომ ამის გამო აუცილებლად მიიჩნევდა, რაიმე ღონე ეხმარათ.

– განუცხადე ქმარს ყველაფერი და მიატოვე.

– ძალიან კარგი. დავუშვათ გავაკეთე ეს, – უთხრა ანამ, – მერე თქვენ იცით, რა მოჰყვება ამას? წინასწარ გეტყვით ყველაფერს, – და მისმა თვალებმა, რომელშიც სულ ერთი წუთის წინ ასეთი სინაზე იხატებოდა, ბოროტად გაიელვეს, – „აჰა, თქვენ გიყვართ სხვა და დანაშაულებრივი კავშირიც გააბით მასთან? (ანა შეეცადა წარმოედგინა ქმარი და ისეთივე ხაზგასმით თქვა სიტყვა „დანაშაულებრივი“, როგორც ალექსეი ალექსანდროვიჩი იტყოდა). მე თქვენ გაგაფრთხილეთ, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას – რელიგიური, მოქალაქეობრივი და ოჯახური ურთიერთობის მხრივ. თქვენ მე არ დამიჯერეთ, ახლა კი მე არ შემიძლია შევარცხვინო ჩემი სახელი... – ჩემი შვილის სახელი, – უნდოდა ეთქვა ანას, მაგრამ ვერ შეძლო შვილზე გახუმრება... – შევარცხვინო ჩემი სახელი“, და მოჰყვება კიდევ სხვა ამისთანებს, – დაუმატა ანამ, – ერთი სიტყვით, თავისი სახელმწიფოებრივი ტონით მკაფიოდ და ზუსტად ამიხსნის,

რომ არ შეუძლია ჩემი გაშვება და ყველა ზომას იხმარს, რაც კი მასზე იქნება დამოკიდებული, რათა ბოლო მოეღოს ამ სკანდალს და რასაც იტყვის, გააკეთებს კიდეც, მშვიდად და აუჩქარებლად. აი, რა მოჰყვება ამას. ეს ადამიანი კი არა, მანქანაა და თუ გაგულისდა, ბოროტი მანქანაც, – დაუმატა ანამ და ამის თქმაზე თვალწინ წარმოუდგა ალექსეი ალექსანდროვიჩი, მისი გარეგნობა, მისი ლაპარაკისა და ხასიათის ყოველი წვრილმანი: დანაშაულად უთვლიდა ყველაფერს, რასაც კი მასში ცუდს ხედავდა. არაფრის პატიება არ უნდოდა იმ საშინელი დანაშაულის გამო, რომელიც თავად ჩაიდინა ქმრის წინაშე.

– ყური დამიგდე, ანა, – დამაჯერებელი, ტკბილი ხმით ეუბნებოდა ვრონსკი და ცდილობდა მის დამშვიდებას, – მაინც აუცილებელია, ვუთხრათ. მერე კი უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რა ზომებსაც იგი იხმარს.

– როგორ? გავიქცეთ?

– რატომაც არ უნდა გავიქცეთ? მე შეუძლებლად მიმაჩნია ამ მდგომარეობის გაგრძელება. და შეუძლებლად მიმაჩნია არა ჩემთვის – მე ვხედავ, რომ თქვენ იტანჯებით.

– ჰო, გავიქცეთ და თქვენი საყვარელი გავხდე, არა? – გესლიანად შენიშნა ანამ.

– ანა! – ნაზი საყვედურით თქვა ვრონსკიმ.

– დიახ, – განაგრძო ანამ, – თქვენი საყვარელი გავხდე და დავღუპო ყველაფერი...

ანას ისევ უნდოდა ეთქვა, შვილიო, მაგრამ ვერ შეძლო ამ სიტყვის წარმოთქმა.

ვრონსკისთვის გაუგებარი იყო, ანას, ესოდენ ძლიერი, პატიოსანი ბუნების ადამიანს, როგორ შეეძლო აეტანა ასეთი სიცრუე და გამოსავალი არ ეძებნა ამ მდგომარეობიდან. იგი ვერ მიმხვდარიყო, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო ის სიტყვა – „შვილი“, რომლის წარმოთქმაც ანამ ვერ შეძლო. როდესაც ანა ფიქრობდა თავის ვაჟიშვილზე, წარმოიდგენდა, მომავალში რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მის შვილს დედასთან, რომელმაც მიატოვა მამა, ისეთ საშინელებას განიცდიდა იმის გამო, რაც ჩაიდინა, რომ ფიქრიც აღარ უნდოდა და როგორც

ქალი, ცდილობდა დაემშვიდებინა თავი ლიტონი სიტყვებით, რათა ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩენილიყო, რათა შესაძლო ყოფილიყო აღარ ეფიქრა ამ საშინელ კითხვაზე: რა მოელოდა მის შვილს?

– გთხოვ, გემუდარები, – უეცრად სულ სხვა, ნაზი, გულწრფელი ხმით თქვა ანამ და ხელზე ხელი მოჰკიდა ვრონსკის, – ნურასოდეს ნუღარ დამიწყებ ამაზე ლაპარაკს!

– კი მაგრამ, ანა...

– ნურასოდეს! მე მომანდე ეს. თვითონაც კარგად მესმის მთელი სიმდაბლე, მთელი სიმძიმე ჩემი მდგომარეობისა, მაგრამ ეს ასე ადვილი გადასაწყვეტი არ არის, როგორც შენ გგონია. მე მომანდე, მე დამიჯერე, ნურასოდეს ნუ დამიწყებ ამაზე ლაპარაკს. მპირდები ამას?.. არა, არა, მომეცი ამის პირობა!

– მე ყველაფერს დაგპირდები, მაგრამ არ შემიძლია მშვიდად ვიყო, როცა ვიცი, რომ შენ არა ხარ დამშვიდებული...

– მე? – გაიმეორა ანამ, – დიახ, ზოგჯერ ვიტანჯები. მაგრამ ეს გაივლის, თუ არასოდეს აღარაფერს მეტყვი ამაზე. როცა შენ დამიწყებ ხოლმე ამაზე ლაპარაკს, მე მხოლოდ მაშინ ვიტანჯები.

– ჩემთვის ეს გაუგებარია, – თქვა ვრონსკიმ.

– მე ვიცი, – შეაწყვეტინა სიტყვა ანამ, – რამდენად მძიმეა შენთვის, პატიოსანი ადამიანისათვის, ეს სიცრუე, ვიცი და მებრალები. ხშირად მიფიქრია, როგორ დაღუპე ჩემი გულისთვის მთელი შენი სიცოცხლე.

– მეც სწორედ ამას ვფიქრობდი ახლა, – უთხრა ვრონსკიმ, – თუ როგორ გაწირე ყველაფერი ჩემი გულისათვის! ვერ მიპატიებია ჩემთვის, რომ შენ უბედური ხარ!

– უბედური ვარ? – თქვა ანამ, მიუახლოვდა ვრონსკის და სიყვარულისაგან აღტაცებული ღიმილით შეაჩერდა, – მე ვგავარ დამშეულ ადამიანს, რომელსაც საზრდო მისცეს. შეიძლება მას სცივა, ტანისამოსიც შემოეხია, რცხვენია კიდეც, მაგრამ უბედური არ არის. მე უბედური ვარ? არა, აი, ჩემი ბედნიერება...

ანამ შვილის ხმა გაიგონა, რომელიც უკვე დაბრუნებულიყო სეირნობიდან, უცებ მოავლო თვალი ტერასას და სწრაფად

წამოდგა ფეხზე. მის თვალებში ვრონსკისთვის ნაცნობმა ცეცხლმა გაიელვა. მან სწრაფად ასწია ზევით ბეჭდებით სავსე მშვენიერი ხელები, ორივე ხელით თავი დაუჭირა ვრონსკის, ერთხანს უსიტყვოდ ჩასჩერებოდა სახეში, მერე სახე მის სახესთან მიიტანა და გაღიმებულმა სწრაფად აკოცა ტუჩებში, მერე ორივე თვალი დაუკოცნა და სწრაფადვე განერიდა. ანას წასვლა უნდოდა, მაგრამ ვრონსკიმ არ გაუშვა.

– როდის? – ჩურჩულით ჰკითხა მან და აღტაცებით მიაჩერდა.

– დღეს პირველ საათზე, – ჩურჩულითვე უპასუხა ანამ, მძიმედ ამოიოხრა და თავისებური მსუბუქი, ჩქარი ნაბიჯით შვილის შესაგებებლად გასწია.

სერიოჟასთვის წვიმას დიდ ბაღში მოესწრო და გადიასთან ერთად ტალავერში შეეფარებინა თავი.

– მაშ, ნახვამდის, – უთხრა ანამ ვრონსკის, – მალე დოღზეც უნდა წავიდეთ, ბეტსი დამპირდა, გამოგივლიო.

ვრონსკიმ საათს დახედა და საჩქაროდ წავიდა.

XXIV

როდესაც ვრონსკი კარენინების ტერასაზე იდგა და საათს დაჰყურებდა, იმდენად აღელვებული და აღსავსე იყო თავისი ფიქრებით, რომ მართალია, ციფერბლატზე ისრებს ხედავდა, მაგრამ ვერ გაეგო, რომელი საათი იყო. ვრონსკი გზატკეცილზე გავიდა და გასწია თავისი ეტლისაკენ, თან ფრთხილად ადგამდა ფეხს, რათა ტალახში არ გასვრილიყო. გული იმდენად სავსე ჰქონდა ანას სიყვარულით, რომ არც უფიქრია, რომელი საათი იყო ან ჰქონდა თუ არა დრო ბრიანსკისთან წასასვლელად. მას, როგორც ეს ხშირად ხდება, თითქოს ხსოვნის მხოლოდ გარეგნული უნარი შერჩენოდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა. ეტლთან მივიდა, – მეეტლეს კოფოზე ჩამოსძინებოდა, ხშირ ცაცხვებქვეშ, რომელთა ჩრდილი უკვე საკმაოდ გადახრილიყო, – სიამოვნებით შეავლო თვალი მზეზე მოელვარე მუმლს, გარს

რომ შემოხვეოდა გაოფლილ ცხენებს, მეეტლე გამოაღვიძა, ეტლში ჩაჯდა და ბრიანსკისთან წასვლა უბრძანა. შვიდიოდე ვერსი რომ გაიარეს, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს იმდენად, რომ საათს დახედა და მიხვდა, უკვე ექვსის ნახევარი იყო და დოღზე აგვიანდებოდა.

იმ დღეს რამდენიმე დოღი იყო დანიშნული: მებადრაგეთა დოღი, ორვერსიანი დოღი ოფიცრებისათვის, ოთხვერსიანი დოღი და შემდეგ ის, რომელშიც ვრონსკი მონაწილეობდა. შეეძლო მიესწრო თავისი დოღისათვის, მაგრამ თუ ბრიანსკისთან შეივლიდა, დოღზე მხოლოდ მაშინ მივიდოდა, როცა მთელი სამეფო კარი იქ იქნებოდა. ეს არ ივარგებდა, მაგრამ სიტყვა ჰქონდა მიცემული ბრიანსკისათვის და ამიტომაც განაგრძო გზა. მეეტლეს უბრძანა, ცხენები არ დაეზოგა.

ბრიანსკისთან მივიდა, ხუთი წუთი დაჰყო მასთან და უკან ისევ ჭენებით წამოიყვანა ცხენები. ეტლით სრბოლამ დაამშვიდა. ყველაფერი, რაც კი მძიმე იყო ანასთან მის ურთიერთობაში, მთელი გაურკვევლობა, რომელიც ანასთან საუბარმა დაუტოვა, ყველაფერი გადაავიწყდა. ახლა უკვე სიამოვნებით, აღელვებით ფიქრობდა დოღზე, ფიქრობდა, რომ მაინც მიუსწრებდა დოღს; მხოლოდ ხანდახან ცეცხლის ზოლივით გაუელვებდა გონებაში ანასთან ამღამინდელი შეხვედრის ბედნიერება.

ახლა, რაც უფრო უახლოვდებოდა დოღის ატმოსფეროს და უკან იტოვებდა აგარაკებიდან და პეტერბურგიდან მომავალ დოღზე დაგვიანებულ ეტლებს, მით მეტად ბოჭავდა დოღის წადილი.

შინ აღარავინ დახვედრია: ყველანი დოღზე იყვნენ წასული. ლაქია კართან ელოდებოდა. სანამ ვრონსკი ტანისამოსს იცვლიდა, ლაქიამ მოახსენა, რომ უკვე დაიწყო მეორე დოღი, რომ მრავალმა ბატონმა იკითხა და საჯინიბოდანაც ორჯერ მოირბინა ბიჭმა.

ვრონსკიმ აუჩქარებლად გამოიცვალა ტანისამოსი (იგი არასოდეს ჩქარობდა, ყოველთვის ფლობდა საკუთარ თავს) და მეეტლეს ბარაკებისაკენ წასვლა უბრძანა. ბარაკებიდან უკვე მოჩანდა ეტლებისა და ქვეითად მიმავალთა ზღვა, მოჩანდნენ სალდათებიც, რომელნიც გარს შემორტყმოდნენ იპოდრომს.

ფანჩატურები ხალხით იყო გაჭედილი, ეტყობოდა, მეორე დოღი უკვე დაწყებულიყო, რადგან ბარაკში რომ შედიოდა, ზარის ხმა გაიგონა. საჯინიბოს რომ უახლოვდებოდა, წინ მახოტინის ფეხკავშა, წაბლისფერი გლადიატორი შემოეფეთა. ცხენისთვის მოლურჯო-მონარინჯისფრო ჭრელი ყაჯარი წამოეხურებინათ და კიდევ უფრო დიდად მოჩანდნენ მისი დაცქვეტილი ყურები: ეტყობოდა, უკვე იპოდრომზე გაჰყავდათ ცხენი.

– კორდი სად არის? – ჰკითხა მეჯინიბეს.

– საჯინიბოშია, ცხენს კაზმავს.

ღია საბმურში იდგა უკვე შეკაზმული ფრუ-ფრუ. ის-ის იყო, უნდა გამოეყვანათ გარეთ.

ხომ არ დამაგვიანდა?

– All right! All right! ყველაფერი რიგზეა! ყველაფერი რიგზეა! – თქვა ინგლისელმა, – ნუ აღელდებით!

ვრონსკიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მშვენიერ, საყვარელ ნაკვთებს ცხენისას, რომელსაც მთელი სხეული უთრთოდა, ძლივსღა მოაცილა თვალი ამ სანახაობას და ბარაკიდან გამოვიდა. სწორედ ხელსაყრელ დროს მიუახლოვდა ფანჩატურს, ისე, რომ არავის ყურადღება არ მიუპყრია. ის იყო, თავდებოდა ორვერსიანი დოღი და ყველანი გაფაციცებით შეჰყურებდნენ კავალერგარდსა და ლაიბჰუსარს, ფეხდაფეხ რომ მიჰყვებოდა კავალერგარდს. ორივენი მთელი ძალ-ღონით მიაქროლებდნენ ცხენებს და უახლოვდებოდნენ სვეტს. კავალერგარდის სალდათებისა და ოფიცრების ჯგუფი სვეტისკენ მიიწევდა; ისინი ხმამაღალი შეძახილებით ამჟღავნებდნენ თავიანთ სიხარულს, გამოწვეულს მათი ოფიცრისა და ამხანაგის გამარჯვებით. ვრონსკი შეუმჩნევლად მოხვდა ამ ჯგუფის შუაგულში სწორედ იმ დროს, როცა დოღის დამთავრების მაუწყებელი ზარი გაისმა და მაღალი, ტალახის შხეფებით მოთხუპნილი კავალერგარდი, რომელიც პირველი მივიდა, უნაგირზე დაეშვა და ნელ-ნელა მიუშვა სადავე ოფლისაგან გაშავებულ, აქოშინებულ ლურჯა ულაყს.

ულაყი ძლივძლივობით ადგამდა ფეხს და თანდათან ანელებდა ნაბიჯს; კავალერგარდის ოფიცერმაც, თითქოს მძიმე სიზმრიდან გამოერკვაო, აქეთ-იქით მიმოიხედა და ძლივს მოახერხა გაღიმება. ოფიცერს გარს შემოეხვივნენ თავისიანებიც

და უცხოებიც.

ვრონსკი განზრახ გაურბოდა იმ რჩეულ, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთ, რომლებიც თავისუფლად, ზვიადად დასეირნობდნენ ფანჩატურების წინ და ერთმანეთში საუბრობდნენ. მან შეიტყო, რომ აქ იყო კარენინაც, ბეტსიც, მისი ძმის მეუღლეც, მაგრამ განგებ არ მიდიოდა მათთან, რათა არაფერზე გაჰფანტოდა ყურადღება. მაგრამ განუწყვეტლივ ხვდებოდნენ ნაცნობები, აჩერებდნენ, დაწვრილებით უყვებოდნენ წინა დოღის ამბებს და დაგვიანების მიზეზს ეკითხებოდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა მხედრები ფანჩატურთან მიიხმეს ჯილდოების მისაღებად და ყველამ იქით მიიხედა, ვრონსკისთან მივიდა მისი უფროსი ძმა ალექსანდრი, საშუალო ტანის აქსელბანდებიანი პოლკოვნიკი. იგი ისეთივე ჩასხმული ტანისა იყო, როგორც ალექსეი, მხოლოდ უფრო ლამაზი, ფეროვანი სახე ჰქონდა, ცხვირი ასწითლებოდა და ნამთვრალევი, გულღია სახე უღიმოდა.

– მიიღე ჩემი ბარათი? – ჰკითხა მან, – შენ ვერასოდეს გიპოვის კაცი.

ალექსანდრ ვრონსკის, მართალია, ყველა იცნობდა როგორც ლოთს და თავზე ხელაღებულ ცხოვრებასაც ეწეოდა, მაგრამ მაინც ნამდვილი სამეფო კარის ადამიანი იყო.

ახლაც, როცა მისთვის მეტად არასასიამოვნო საკითხზე ელაპარაკებოდა ძმას, ისეთი გაღიმებული სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც უმნიშვნელო რამეზე ეხუმრებაო, რადგან იცოდა, რომ ბევრი ცნობისმოყვარე თვალი მისჩერებოდა მათ.

– მივიღე და მართალი გითხრა, ვერ მივხვდი, შენ მაინც რისთვის იწუხებ თავს? – უთხრა ალექსეიმ.

– იმიტომ ვიწუხებ, რომ ახლაც მისაყვედურეს შენი აქ არყოფნა და თურმე ორშაბათსაც გნახეს პეტერგოფში.

– არსებობს საქმეები, რომელთა განსჯა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც ეხება, და ის საქმეც, რის გამოც ასე იწუხებ თავს, იმგვარია...

– მართალია, მაგრამ მაშინ აღარც მსახურობენ, აღარც...

– მე გთხოვ, ნუ ჩაერევი ამ საქმეში. მეტი არაფერი.

ალექსეი ვრონსკის მოღუშული სახე გაუფითრდა, წინ წამოწეული ნიკაპი აუცახცახდა, რაც იშვიათად ემართებოდა. როგორც ძალიან გულკეთილი ადამიანი, იშვიათად ბრაზდებოდა, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა და ნიკაპი აუცახცახდებოდა, მაშინ მეტად საშიში იყო, და ეს ალექსანდრ ვრონსკიმაც კარგად იცოდა. მან მხიარულად გაიღიმა.

– მე მხოლოდ მინდოდა დედის წერილი გადმომეცა. პასუხი მისწერე და დოღის წინ ხასიათს ნუ გაიფუჭებ. Bonne chance, – ღიმილით დაუმატა მან და განშორდა.

მაგრამ როგორც კი ძმას მოსცილდა, ისევ მეგობრულმა მისალმებამ შეაჩერა.

– ვეღარ ცნობ მეგობრებს! გამარჯობა, mon chèr! – თქვა სტეპან არკადიჩმა, რომლის ღაჟღაჟა სახე და გადავარცხნილი, მოელვარე ბაკენბარდები აქაც, პეტერბურგის ბრწყინვალებაში, მოსკოვზე არანაკლებ ბრწყინავდა, – გუშინ ჩამოვედი და ძალიან მოხარული ვარ, რომ ვიხილავ შენს გამარჯვებას. როდის შევხვდეთ?

– ხვალ შემოიარე არტელში, – უთხრა ვრონსკიმ, ხელი ჩამოართვა, ბოდიში მოიხადა და შუა იპოდრომისკენ გასწია, სადაც ცხენები უკვე შემოჰყავდათ დიდი, დაბრკოლებებიანი დოღისათვის.

მეჯინიბეებს უკვე გაჰყავდათ იპოდრომიდან დაქანცული, გაოფლიანებული, ნაჭენები ცხენები და ერთიმეორის მიყოლებით შემოჰყავდათ დასვენებული, უმეტესად ინგლისური ჯიშის ცხენები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ახალ დოღში. მუცელშეწურული, ყაჯარწამოსხმული ცხენები რაღაც უცნაურ, უზარმაზარ ფრინველებს ჰგავდნენ. მარჯვნივ გამოატარეს ლამაზი, გამხდარი ფრუ-ფრუ, რომელიც სიარულის დროს საკმაოდ მაღალ, მოქნილ კოჭებზე ისე იკეცებოდა, თითქოს ზამბარებზე დადისო. იქვე მახლობლად ყაჯარი გადახადეს დიდყურა გლადიატორს. ულაყის დიდმა, მშვენიერმა, ჩამოსხმულმა ნაკვთებმა, ჩინებულმა გავამ და არაჩვეულებრივად დაბალმა კოჭებმა, რომლებიც თითქმის ზედ ფლოქვებზე ასხდნენ, უნებლიეთ მიიქცია ვრონსკის ყურადღება, ვრონსკის უნდოდა მისულიყო თავის ცხენთან, მაგრამ ისევ ვიღაც ნაცნობმა შეაჩერა.

– აი, კარენინიც! – უთხრა ვრონსკის ნაცნობმა, რომელიც ესაუბრებოდა მას, – ცოლს ეძებს, ის კი შუაგულ ფანჩატურშია. თქვენ არ გინახავთ კარენინა?

– არა, არ მინახავს, – უპასუხა ვრონსკიმ და ისე მივიდა თავის ცხენთან, რომ არც გაუხედავს იმ ფანჩატურისაკენ, სადაც კარენინაზე მიუთითეს.

ვერც კი მოასწრო უნაგირის გასინჯვა და განკარგულების გაცემა, რომ მხედრები უკვე ფანჩატურთან გაიწვიეს, რათა ნომრები ამოეღოთ და დაეწყოთ დოღი. ჩვიდმეტი ოფიცერი გამოცხადდა ფანჩატურთან ნომრის ამოსაღებად. ყველა მათგანს სერიოზული, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, ზოგს ფერიც კი დაჰკარგოდა. ვრონსკის მეშვიდე ნომერი შეხვდა. „შესხედით!“ – გაისმა განკარგულება.

ვრონსკი გრძნობდა, რომ სხვა მოჯირითეებთან ერთად ისიც ყურადღების ცენტრში იყო, რომ მათკენ იყო მიმართული ყველას თვალი და აღელდა. ასეთ დროს კი მისი მოძრაობა ჩვეულებრივზე უფრო ნელი, უფრო დადინჯებული ხდებოდა. ვრონსკი ცხენისკენ გაემართა. კორდი თავის საპარადო კოსტიუმში გამოწყობილიყო; ეცვა შავი, ბოლომდე შეკრული სერთუკი, რომლის გახამებული საყელო ლოყებამდე სწვდებოდა. შავი, მრგვალი ქუდი ეხურა და ბოტფორდები ეცვა. როგორც ყოველთვის, ახლაც მშვიდი და ზვიადი გამომეტყველება ჰქონდა, ცხენის წინ იდგა და თვითონვე ეჭირა ხელში აღვირი. ფრუ-ფრუ ისევ ციებიანივით კანკალებდა და ცეცხლისმფრქვეველი ელამი თვალებით ალმაცერად გახედა, კბილები ააღრჭიალა და ცალი ყური აცქვიტა. მწვრთნელმა ტუჩები დამანჭა, ვითომ ეღიმებოდა, მის შეკაზმულ ცხენს რომ ამოწმებდნენ.

– შეჯექით, უფრო ნაკლებად იღელვებთ!

ვრონსკიმ უკანასკნელად კიდევ გადახედა თავის მოწინააღმდეგეებს. იცოდა, რომ ჯირითის დროს ვეღარ დაინახავდა მათ. ორი უკვე ცხენზე იჯდა და მიდიოდა იმ ადგილისაკენ, საიდანაც უნდა დაძრულიყვნენ. გალცინი, ვრონსკის მეგობარი და ერთ-ერთი საშიში მეტოქე, გარს უტრიალებდა თავის წაბლა ულაყს, შეჯდომას რომ არ ანებებდა; დაოთხილი მოჰყავდა ცხენი ტანმორჩილ, ვიწრორეიტუზებიან ლაიბ-ჰუსარს, რომელსაც დიდი სურვილი

ჰქონდა, მიებაძა ინგლისელებისათვის, წინ იხრებოდა და კატასავით ეკვროდა ცხენს. თავადი კუზოვლევი გაფითრებული იჯდა გრაბოვის ცხენსაშენის წმინდა სისხლის ფაშატზე, რომლის აღვირი ინგლისელ მწვრთნელს ეჭირა ხელში. ვრონსკიც და მისი ამხანაგებიც, ყველანი, იცნობდნენ თავად კუზოვლევს. იცოდნენ მისი განსაკუთრებით „სუსტი“ ნერვებისა და საშინელი თავმოყვარეობის ამბავი. იცოდნენ, რომ კუზოვლევს ყოველთვის ყველაფრისა ეშინოდა, რომ ჯაგლაგ ცხენზე შიშობდა შეჯდომას. მაგრამ ახლა, სწორედ იმიტომ, რომ საშიში იყო და ყველა კისერს იტეხდა, რომ თითოეულ დაბრკოლებასთან იდგა ექიმი, მოწყალების და და ლაზარეთის ფორანი ზედ დაკერებული წითელი ჯვრით, გადაწყვიტა თვითონაც მონაწილეობა მიეღო დოღში. კუზოვლევისა და ვრონსკის თვალები წუთით ერთმანეთს შეხვდნენ და ვრონსკიმ მოწონებით, სიყვარულით ჩაუკრა თვალი. იგი მხოლოდ თავის მთავარ მეტოქეს, გლადიატორზე ამხედრებულ მახოტინს ვერ ხედავდა.

– ნუ აჩქარდებით, – უთხრა კორდმა ვრონსკის, – და ერთი რამ გახსოვდეთ: დაბრკოლებებთან ნურც სადავეს მიუშვებთ ცხენს და ნურც შეაკავებთ. ნება მიეცით, როგორც თვითონ ერჩიოს, ისე წავიდეს.

– კარგი, კარგი, – უთხრა ვრონსკიმ და სადავე ჩამოართვა.

– თუ შესაძლებელი იყოს, წინ გაუძეხით დოღს, მაგრამ უკანაც რომ ჩამორჩეთ, უკანასკნელ წუთამდე ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას.

ცხენმა ადგილიდან დაძვრაც ვერ მოასწრო, რომ ვრონსკიმ მოქნილი ძლიერი მოძრაობით შედგა ფეხი ფოლადის დაკბილულ უზანგში და მსუბუქად და მტკიცედ დაუშვა ტანი ტყავის ჭრაჭუნა უნაგირზე. მარჯვენა ფეხი უზანგში გაუყარა, ჩვეული მოძრაობით გაითანაბრა თითებში ორმაგი სადავე და კორდმაც გაუშვა ხელი. ფრუ-ფრუმ თითქოს არ იცოდა, რომელი ფეხი გადაედგა პირველად, კისერი წაიგრძელა, სადავე გაჭიმა და ადგილიდან დაიძრა, ისე არხევდა მხედარს, თითქოს ზამბარებზე ირწევაო. კორდმაც ნაბიჯს მოუჩქარა და უკან გაჰყვა ცხენს. გაფიცხებული ცხენი ხან ერთი მხრიდან ცდილობდა მხედრის მოტყუებას, ხან მეორიდან. სადავეებს ჭიმავდა ვრონსკი, ამაოდ ცდილობდა ალერსითა და დაყვავებით ცხენის დამშვიდებას.

მხედრები უკვე უახლოვდებოდნენ დაგუბებულ მდინარეს და იმ ადგილს, საიდანაც უნდა დაძრულიყვნენ ცხენები. მხედრები ზოგი უკან მოდიოდა, ზოგიც წინ იყო წასული, სწორედ ამ დროს ვრონსკის უკნიდან ტალახში ოთხით მომავალი ცხენის ფეხის ხმა მოესმა და წინ გადაუსწრო დიდყურა გლადიატორზე ამხედრებულმა მახოტინმა. მახოტინმა გაუცინა, თავისი გრძელი კბილები გამოაჩინა, ვრონსკიმ კი გულმოსულად გადახედა. საერთოდ არ უყვარდა მახოტინი, დღეს კი ყველაზე საშიშ მეტოქედ თვლიდა და ეწყინა, გვერდით რომ ჩაუქროლა და ცხენი გაუხელა. ფრუ-ფრუმ მარცხენა ფეხი ასწია, უნდოდა ჩორთით წასულიყო, ორი ნახტომი გააკეთა, მერე მოზიდულმა სადავემ გაახელა და ისეთ ჯაგჯაგა ჩორთზე გადავიდა, რომ მხედარს მაღლა-მაღლა ისროდა. კორდიც შეიჭმუხნა და ისიც თითქმის თოხარიკით გაეკიდა ვრონსკის.

XXV

სულ ჩვიდმეტი ოფიცერი მონაწილეობდა დოღში. დოღი ფანჩატურის წინ, დიდ, ოთხვერსიან ელიფსური ფორმის წრეში უნდა ჩატარებულიყო. წრეში ცხრა დაბრკოლება იყო აღმართული: დიდი, ორარშინიანი მდინარე, ყრუ ბარიერი სწორედ ფანჩატურის წინ, ერთი უწყლო და ერთი წყლიანი არხი, ფერდობი, ირლანდიური ბანკეტი (ერთ-ერთი ყველაზე ძნელი დაბრკოლება), რომელიც ფიჩხებჩაწყობილ ყორეს წარმოადგენდა; ყორეს იქით კიდევ იყო გათხრილი არხი, რომელსაც ცხენი ვერ ხედავდა, ასე რომ, ცხენს ან უნდა გადაელახა ორივე დაბრკოლება, ან დაშავებულიყო; შემდეგ იყო ორი წყლიანი და ერთი უწყლო არხი. დოღი ფანჩატურის წინ დამთავრდებოდა. მაგრამ დოღი წრეში კი არ იწყებოდა, არამედ წრიდან ასი საჟენის დაშორებით და ამ მანძილზე იყო პირველი წინააღმდეგობა, სამი არშინის სიგანეზე დაგუბებული მდინარე, რომელზეც ან უნდა გადამხტარიყო მხედარი, ან ფონი მოეძებნა – ეს მხედრის სურვილზე იყო დამოკიდებული.

სამჯერ გამწკრივდნენ მხედრები ხაზთან, მაგრამ ყოველთვის რომელიღაც ცხენი გამოხტებოდა წინ და ისევ ხელახლა იწყებდნენ. პოლკოვნიკი სესტრინი, ამ საქმის მცოდნე, ის იყო, აპირებდა გაჯავრებას, რომ ბოლოს მეოთხედ შესძახა: „დაიწყეთო!“ და მხედრებიც დაიძრნენ.

მხედრები რომ ხაზზე ეწყობოდნენ, ყველას თვალი და ბინოკლი მათი აჭრელებული ჯგუფისაკენ იყო მიმართული.

„გაუშვეს! მოდიან!“ – გაისმა ყოველი მხრიდან მოლოდინის დუმილის შემდეგ.

ჯგუფად თავშეყრილი მაყურებელნი და ცალკე მდგომნიც ხშირად გადარბოდნენ ადგილიდან ადგილზე, რათა უკეთ დაენახათ ყველაფერი. მხედართა ჯგუფი პირველივე წუთს გაიშალა და გამოჩნდა, როგორ უახლოვდებოდნენ მდინარეს: ზოგი წყვილ-წყვილად, ზოგი სამ-სამად და ზოგიც ერთმანეთზე მიყოლებით. მაყურებელს ისე ეჩვენებოდა, თითქოს მხედრები ერთსა და იმავე დროს დაიძრნენ ადგილიდან, მაგრამ მხედრები კი ამჩნევდნენ, რომ მათ შორის იყო განსხვავება წამებში, რასაც მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღელვებულმა და მეტისმეტად ფიცხმა ფრუ-ფრუმ დაკარგა პირველი მომენტი და რამდენიმე ცხენი მასზე უმალ დაიძრა ადგილიდან, მაგრამ სანამ მდინარემდე მიაღწევდნენ, ვრონსკიმ, რომელიც შეძლებისდაგვარად სადავეს უჭერდა ცხენს, იოლად გაუსწრო სამ მხედარს. მის წინ მხოლოდ მახოტინის წაბლისფერი გლადიატორი მიქროდა, სწორედ ვრონსკის წინ მსუბუქად და თანაბრად მიარხევდა გავას. ყველაზე წინ კი მშვენიერი დიანა მიაქროლებდა ცოცხალმკვდარ კუზოვლევს.

პირველ წუთებში ვრონსკი ვერც თავის თავს ფლობდა და ვერც ცხენს. ვერ დაიმორჩილა ცხენი, სანამ პირველ დაბრკოლებამდე, მდინარემდე არ მიაღწია.

გლადიატორი და დიანა ერთად, თითქმის ერთსა და იმავე წუთს მიუახლოვდნენ მდინარეს, ისკუპეს, თავს გადაევლნენ და მეორე მხარეს გადაფრინდნენ; მათ შეუმჩნევლად, თითქმის ფრენით მიჰყვა ფრუ-ფრუც. მაგრამ ამ დროს, როცა ჰაერში იყო, ვრონსკიმ დაინახა, რომ თითქმის მისი ცხენის ფეხებქვეშ, მდინარის გაღმა კოტრიალობდა კუზოვლევი დიანასთან ერთად (კუზოვლევს გადახტომის შემდეგ ცხენისთვის სადავე

მიეშვა და ცხენი ყირამალა გადატრიალებულიყო). ეს დაწვრილებითი ცნობები შემდეგ შეიტყო, ახლა მხოლოდ იმას ხედავდა, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც ფეხი უნდა დაედგა ფრუ-ფრუს, შეიძლებოდა ქვეშ მოეყოლებინა დიანას ფეხები ან თავი. მაგრამ ფრუ-ფრუმ გადახტომისას ძალა დაატანა ზურგსა და ფეხებს, კატასავით გადაევლო ცხენს და გააგრძელა გზა.

„ოჰ, საყვარელო!“ – გაიფიქრა ვრონსკიმ.

მდინარეზე გადახტომის შემდეგ ვრონსკი სავსებით დაეუფლა ცხენს, თავი დაუჭირა და განიზრახა, დიდ ბარიერზე მახოტინის შემდეგ გადასულიყო, მერე კი ორასსაჟენიან დისტანციაზე, სადაც არც ერთი დაბრკოლება არ იყო, გასწრება ეცადა.

დიდი ბარიერი სწორედ სამეფო ფანჩატურის წინ იყო აღმართული. მეფე, სამეფო კარი, მთელი ხალხი – ყველა მათ მისჩერებოდა: ვრონსკისა და მახოტინს, რომელიც ერთი ცხენის მანძილით უსწრებდა, როცა ისინი ეშმაკს უახლოვდებოდნენ (ასე ეძახდნენ იმ ყრუ ბარიერს). ვრონსკი გრძნობდა, რომ ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი, თვითონ კი ვერაფერს ხედავდა, გარდა თავისი ცხენის ყურებისა და კისრისა, მისკენ მსრბოლავი მიწისა, გლადიატორის თავისა და თეთრი ფეხებისა, რომელიც კვლავ მის წინ მიქროდა და იმავე მანძილით იტოვებდა უკან ფრუ-ფრუს. გლადიატორი აღიმართა, მოკლე კუდი აიქნია და უხმაუროდ თვალთაგან მიეფარა ვრონსკის.

– ვაშა! – წამოიძახა ვიღაცამ.

იმავე წამს ვრონსკის თვალწინ, სწორედ მის წინ, გაიელვა ბარიერის ფიცარმა. ცხენს ოდნავადაც არ შეუცვლია სიარული, ისე გადაევლო ბარიერს. ფიცრები მიიმალა, მაგრამ უკან რაღაცამ გაირახუნა. ცხენი, რომელიც მის წინ მსრბოლელმა გლადიატორმა გაახელა, მეტად ადრე აღიმართა ბარიერის წინ და უკანა ფეხის ფლოქვი გაჰკრა ფიცარს. მაგრამ სვლა არ შეუნელებია და ვრონსკი, რომელსაც ტალახის გუნდა მოხვდა სახეში, მიხვდა, რომ კვლავ იგივე მანძილი აცილებდა გლადიატორისაგან. წინ კვლავ ხედავდა ცხენის გავას, მოკლე კუდს და სწრაფად მოძრავ თეთრ ფეხებს, რომელნიც თვალთაგან არ სცილდებოდნენ.

სწორედ იმწამს, როცა ვრონსკიმ გაიფიქრა, ახლა კი უნდა გავუსწრო მახოტინსო, თვითონ ფრუ-ფრუმ, ყოველგვარი

წაქეზების გარეშე, თითქოს ფიქრს მიუხვდა მხედარსო, რაც ძალი და ღონე შესწევდა, უმატა სვლას და თოკის მხრიდან წამოეწია, რაც ხელსაყრელი იყო მისთვის. მაგრამ მახოტინმა არ დაუთმო თოკი. ის იყო, ვრონსკიმ გაიფიქრა, მეორე მხრიდანაც შეიძლება გასწრებაო, რომ ფრუ-ფრუმაც ფეხი იცვალა და ახლა მეორე მხრიდან შეეცადა გასწრებას. ფრუ-ფრუს ბეჭი, რომელიც უკვე იწყებდა ოფლისაგან გაშავებას, გაუსწორდა კიდეც გლადიატორის გავას. რამდენიმე ნახტომი ერთად გააკეთეს, მაგრამ დაბრკოლების წინ, რომელსაც უკვე უახლოვდებოდნენ მხედრები, ვრონსკიმ დიდი წრე რომ არ გაეკეთებინა, აღვირი მიუმარჯვა ცხენს და სწორედ ფერდობთან გაუსწრო მახოტინს. მან თვალი მოჰკრა მახოტინის სახეს, რომელიც ტალახის შხეფებით ჰქონდა გათხუპნილი. მოეჩვენა, თითქოს მახოტინმა გაუღიმა კიდეც. ვრონსკიმ გაუსწრო მახოტინს, მაგრამ გრძნობდა, რომ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა იგი. უკნიდან გამუდმებით ესმოდა თანაბარი თქარათქური და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ჯერ ისევ დაუღალავი ქშენა ცხენისა.

შემდეგი ორი დაბრკოლება, არხი და ბარიერი, იოლად გადალახეს, მაგრამ ვრონსკის ახლა უფრო ახლოს მოესმა გლადიატორის ქშენა და ფეხის ხმა. ვრონსკიმ ცხენი მიუშვა და სიხარულით იგრძნო, რომ ფრუ-ფრუმ ადვილად უმატა სრბოლას და გლადიატორის ფეხის ხმაზე მიხვდა, რომ ისევ იმავე მანძილით გაუსწრო მახოტინს.

ვრონსკი წინ მიუძღოდა დოღს – სწორედ ეს უნდოდა მასაც და ამასვე ურჩევდა კორდიც. ახლა იგი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, უფრო და უფრო ღელავდა და თანდათან ემატებოდა სიხარული და ფრუ-ფრუს სიყვარული. უნდოდა უკან მიეხედა, მაგრამ ვერ ბედავდა. ცდილობდა, დაემშვიდებინა თავი, სადავე დაეჭირა, რათა იმდენი ენერგია შეენარჩუნებინა ცხენისათვის, რამდენიც მისი აზრით, გლადიატორს უნდა ჰქონოდა. ერთი ყველაზე ძნელი დაბრკოლებაღა რჩებოდა გადასალახავი; თუ მასაც სხვებზე ადრე გადალახავდა, პირველი მივიდოდა დანიშნულ ადგილას. იგი ირლანდიურ გადასახტომს უახლოვდებოდა. ვრონსკი ფრუ-ფრუსთან ერთად შორიდანვე ხედავდა მას და ორივემ, ცხენმა და მხედარმაც, წუთით ეჭვი იგრძნო. თითქოს ყურებზე შენიშნა ცხენს ეს გაუბედაობა, მათრახი აღმართა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ეჭვი უსაფუძვლო იყო; ცხენმა იცოდა, რაც იყო საჭირო. მან გაიწია და ზომიერად, სწორედ ისე, როგორც

ვრონსკი ვარაუდობდა, მოსწყდა ადგილიდან და მიენდო ინერციის ძალას, რომელმაც ცხენი არხიდან შორს გადატყორცნა; და ფრუ-ფრუმ იმავე ტაქტით, ძალდაუტანებლად, იმავე სიჩქარით განაგრძო გზა.

– ვაშა, ვრონსკი! – მოესმა ყვირილი ჯგუფად შეყრილი ხალხიდან. იცოდა, ეს მისი პოლკის ამხანაგები და მეგობრები იყვნენ, რომელთაც თავი მოეყარათ ამ დაბრკოლებასთან. მან გარკვევით გაიგონა იაშვინის ხმა, მაგრამ დანახვით კი ვერ დაინახა.

„ო, ჩემო მშვენიერო!“ – გაიფიქრა მან ცხენზე და თან ყური მიუგდო, რა ხდებოდა მის უკან. „გადმოხტა!“ – გაიფიქრა ვრონსკიმ, როცა უკნიდან გლადიატორის გადმოხტომის ხმა შემოესმა. ერთი უკანასკნელი ორარშინიანი წყლიანი არხიღა რჩებოდა გადასალახავი. ვრონსკი არაფრად აგდებდა ამ დაბრკოლებას და უნდოდა სხვებზე ბევრად ადრე მისულიყო ადგილზე. წრისებურად დაუწყო მართვა სადავეს და ხან თავს უჭერდა ცხენს, ხან კი ნებაზე უშვებდა. გრძნობდა, რომ ცხენი უკანასკნელ ძალას კარგავდა; ახლა მარტო კისერი და ბეჭები კი არ ჰქონდა სველი, არამედ ფაფარზეც, თავზეც და დაცქვეტილ ყურებზეც წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ოფლი; ცხენი მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა, მაგრამ ვრონსკიმ იცოდა, რომ ეს დარჩენილი ენერგიის მარაგი მეტიც კი იქნებოდა ორი საჟენის გასარბენად. მარტო იმის მიხედვით, თუ რა ახლო გრძნობდა მიწასთან თავს და რა სიმსუბუქით მიქროდა, გრძნობდა, რა სისწრაფე განავითარა მისმა ცხენმა. ისე გადაუქროლა არხს, თითქოს არც შეუმჩნევიაო, ჩიტივით გადააფრინდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ვრონსკიმ იგრძნო, რომ ვეღარ მიჰყვა ცხენის მოძრაობას, თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ დაეშვა უნაგირზე, რატომ ჩაიდინა ასეთი საძაგელი, მიუტევებელი შეცდომა. ვრონსკის მდგომარეობა უცებ შეიცვალა, მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა. მას ჯერ ანგარიშიც ვერ მიეცა თავისთვის, რომ მის გვერდით წაბლა ულაყის თეთრმა ფეხებმა გაიელვეს და მახოტინმა სწრაფი ჭენებით ჩაუქროლა გვერდით. ვრონსკი ცალი ფეხით მიწას ეხებოდა და ცხენიც ამ ფეხზე აწვებოდა. ძლივს მოასწრო ფეხის გამოღება, რომ ცხენი მძიმე ქოშინით ცალ გვერდზე გადავარდა. ამაოდ ატრიალებდა იგი გაოფლილ, წვრილ კისერს, ცდილობდა წამოდგომას, ცხენი ტყვიანაკრავი ჩიტივით ფართხალებდა ვრონსკის ფეხებთან. ვრონსკის უხერხულმა მოძრაობამ ზურგი ჩაუმტვრია ცხენს. მაგრამ ამას

საკმაოდ გვიან მიხვდა, ახლა მხოლოდ იმას ხედავდა, რომ მახოტინი სწრაფად მიქროდა წინ, თვითონ კი მარტოდ დასჩერებოდა ტალახიან უძრავ მიწას, მის წინ გაწოლილი ფრ-ფრუ კი ძლივსღა ქშინავდა, თავი მისკენ გადმოაგდო და თავისი მშვენიერი თვალებით შეჰყურებდა პატრონს. ვრონსკი კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე და სადავით ეწეოდა ცხენს. ფრუ-ფრუმ ერთხელ კიდევ სცადა წამოდგომა, თევზივით აფართხალდა, უნაგირის ფარფლები ააჭრაჭუნა, წინა ფეხებით მიწას დაეყრდნო, მაგრამ გავა ვეღარ აიტანა და ილაჯგაწყვეტილი ისევ გვერდზე გადავარდა. ვრონსკის გაშმაგებისაგან სახე შეეშალა, ქვედა ყბა აუკანკალდა, მუცელში ქუსლი ჰკრა ცხენს და ისევ მოსწია სადავე, მაგრამ ცხენი ვეღარ ინძრეოდა, დრუნჩი მიწაში წაეყო და მხოლოდ მეტყველი თვალებით შეჰყურებდა პატრონს.

– ოჰ! – ამოიგმინა ვრონსკიმ და თავში ხელი იტაცა, – ოჰ! ეს რა ვქენი, – წამოიყვირა მან, – დოღიც წავაგე და ეს სამარცხვინო, მიუტევებელი დანაშაულიც ჩავიდინე! ეს უბედური, მშვენიერი ცხენიც დავღუპე! ოჰ, ეს რა ვქენი!

ხალხი, ექიმი, ფერშალი, მისი პოლკის ოფიცრები, ყველანი მისკენ გამორბოდნენ. მისდა საუბედუროდ ვრონსკი გრძნობდა, რომ თვითონ უვნებლად გადარჩა. ცხენს ზურგი ჰქონდა ჩამტვრეული და გადაწყვიტეს, ტყვიით მოეკლათ. ვრონსკის არ შეეძლო კითხვებზე პასუხის მიცემა ან ვინმესთან ლაპარაკი. იგი მოტრიალდა და ძირს დავარდნილი ქუდიც კი არ აუღია, ისე წამოვიდა იპოდრომიდან. თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. იგი უბედურად თვლიდა თავს. ცხოვრებაში პირველად გამოცადა ყველაზე საზარელი უბედურება, უბედურება, რომლის გამოსწორებაც აღარ შეიძლებოდა და რომელშიც თვითონ მიუძღოდა ბრალი.

უკნიდან იაშვინი წამოეწია ქუდით ხელში, სახლამდე მიაცილა. ვრონსკი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა გონს. მაგრამ ამ დოღის გახსენება დიდხანს ქენჯნიდა მის სულს, როგორც მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, მტანჯველი მოგონება.

XXVI

ალექსეი ალექსანდროვიჩისა და მისი მეუღლის ურთიერთობა გარეგნულად ისეთივე იყო, როგორიც წინათ, ოღონდ ალექსეი ალექსანდროვიჩი წინანდელზე მეტად იყო დატვირთული სამსახურის საქმეებით.

როგორც წინა წლებში, ახლაც, გაზაფხულის დადგომისთანავე, საზღვარგარეთ გაემგზავრა წყლებზე სამკურნალოდ, რათა ზამთრის განმავლობაში მძიმე შრომით შერყეული ჯანმრთელობა აღედგინა და როგორც წინათ, წელსაც, ივლისში დაბრუნდა და მაშინვე განახლებული ენერგიით შეუდგა ჩვეულ მუშაობას. წელსაც, როგორც ყოველთვის, ცოლი აგარაკზე გადავიდა საცხოვრებლად, ალექსეი ალექსანდროვიჩი კი პეტერბურგში დარჩა.

მას შემდეგ, რაც თავადის ქალ ტვერსკაიასთან გატარებული საღამოს შემდეგ ილაპარაკეს, ალექსეი ალექსანდროვიჩს აღარ უსაუბრია ცოლთან თავის ეჭვებზე და მისი საუბრის ჩვეული ტონი, თითქოს მუდამ რომ წარმოადგენდა ვიღაცას, კარგად უდგებოდა მათ ახლანდელ ურთიერთობას. ალექსეი ალექსანდროვიჩი ოდნავ გაუგულგრილდა ცოლს, თითქოს უკმაყოფილო იყო იმ საღამოს საუბრის შემდეგ, როცა ანამ თავი აარიდა მასთან ლაპარაკს. თითქოს რაღაც წყენის აჩრდილს გაევლო მათ შორის და მეტი არაფერი. „შენ არ ინდომე ჩემთან გულახდილი საუბარი, – თითქოს ეუბნებოდა ცოლს, – მით უარესი შენთვის. ახლა თვითონვე შემეხვეწები და მე არ მოგცემ ამის საშუალებას. მით უარესი შენთვის“, – ფიქრში ასე მიმართავდა ხოლმე ცოლს, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელმაც ამაოდ სცადა ხანძრის ჩაქრობა. მერე თვითონვე გაბრაზდა თავის ფუჭ ცდაზე და თქვა: „ესეც შენ! მაშ, დაიწვი ამის გულისთვის!“

მას, ასეთ ჭკვიანსა და სამსახურებრივ საქმიანობაში გულისხმიერ ადამიანს, არ ესმოდა, თუ რა დიდი უგუნურება იყო ცოლთან ამგვარი დამოკიდებულება. არ ესმოდა იმიტომ, რომ მისთვის მეტად მძიმე იყო თავისი ახლანდელი მდგომარეობის შეგნება და მან თავის სულში ჩაკეტა, დამალა და დალუქა ეს ყუთი, რომელშიც შენახული ჰქონდა გრძნობები ოჯახისადმი, ე. ი. ცოლისა და შვილისადმი. ალექსეი ალექსანდროვიჩი, ეს ყურადღებიანი მამა, ამ ზამთრის გასულს მეტისმეტი გულგრილი შეიქნა თავისი შვილისადმი და

შვილსაც ისევე დამცინავად ექცეოდა, როგორც ცოლს. „ოჰ, ყმაწვილო!“ – ასე მიმართავდა ხოლმე შვილს.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ფიქრობდა და ამბობდა, არასოდეს იმდენი საქმე არ მქონია, როგორც წლევანდელ წელსო და თავსაც არ უტყდებოდა იმაში, რომ თვითონვე გამოიგონა ეს საქმეები, რათა არ გაეღო ის ყუთი, სადაც შენახული ჰქონდა გრძნობები და მოსაზრებები ცოლსა და ოჯახზე და რაც დრო გადიოდა, ეს გრძნობები და მოსაზრებანი უფრო საზარელი ხდებოდა. ვინმეს რომ უფლება ჰქონოდა და ეკითხა, რას ფიქრობ შენი ცოლის საქციელზეო, მშვიდი და წყნარი ალექსეი ალექსანდროვიჩი პასუხს არ გასცემდა, შემკითხველზე კი ძალიან გაბრაზდებოდა. ამიტომაც იყო, რომ როცა ვინმე ცოლის ამბავს ჰკითხავდა, ალექსეი ალექსანდროვიჩი ყოველთვის მკაცრ, მედიდურ სახეს იღებდა. მას არ უნდოდა ეფიქრა ცოლის საქციელსა და გრძნობებზე და მართლაც არაფერს ფიქრობდა ამაზე.

ალექსეი ალექსანდროვიჩს მუდმივი აგარაკი ჰქონდა პეტერგოფში. გრაფინია ლიდია ივანოვნაც, ჩვეულებრივ, ზაფხულობით მათ მეზობლად ცხოვრობდა ხოლმე და განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა ანასთან. წელს კი გრაფინიამ უარი განაცხადა პეტერგოფში წასვლაზე, ერთხელაც აღარ გაუვლია ანა არკადიევნასთან და სიტყვაც გადაუკრა ალექსეი ალექსანდროვიჩს ანას ურთიერთობის უხერხულობაზე ვრონსკისა და ბეტსისთან. ალექსეი ალექსანდროვიჩმა მკაცრად შეაწყვეტინა და თქვა, ჩემი ცოლი ამ ეჭვზე მაღლა დგასო, ხოლო ამის შემდეგ სულ გაურბოდა ლიდია ივანოვნასთან შეხვედრას. არ უნდოდა, დაენახა და ვერც ხედავდა, რომ საზოგადოებაშიც ბევრი უკვე ალმაცერად უყურებდა მის ცოლს, არ უნდოდა გაეგო და ვერც მიმხვდარიყო, რატომ იჟინებდა მისი ცოლი ცარსკოეში გადასვლას, სადაც ბეტსი ცხოვრობდა და მახლობლად ბანაკად იდგა ვრონსკის პოლკი. იგი ნებას არ აძლევდა თავს ეფიქრა ამ საკითხზე და არც ფიქრობდა, მაგრამ ამასთან ერთად გულის სიღრმეში, თუმც არასოდეს გამოსტყდომია თავს ამაში, არც საბუთი ჰქონია და არც უეჭვიანია, მაინც დარწმუნებული იყო, რომ იგი მოტყუებული ქმარი იყო და მეტისმეტად უბედურადაც გრძნობდა თავს ამის გამო.

ცოლთან რვა წლის ბედნიერი ცხოვრების განმავლობაში

რამდენჯერ უთქვამს ალექსეი ალექსანდროვიჩს, როცა მოღალატე ცოლები და მოტყუებული ქმრები დაუნახავს: „აქამდე როგორ უნდა მიიყვანო საქმე? როგორ არ უნდა მოუღო ბოლო ამ საზიზღარ მდგომარეობას?“ მაგრამ ახლა, როცა თვითონ დაატყდა თავს ეს უბედურება, არათუ არ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მოეღო ამისათვის ბოლო, არამედ არც უნდოდა ამის ცოდნა, სწორედ იმის გამო, რომ ეს მისთვის მეტისმეტად საზარელი, მეტისმეტად არაბუნებრივი იყო.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსეი ალექსანდროვიჩი ორჯერ იყო აგარაკზე. ერთხელ სადილად დარჩა, მეორედ სტუმრებთან ერთად გაატარა საღამო, მაგრამ არც ერთხელ არ გაუთევია ღამე, თუმცა ეს წინა წლებში ჩვეულებადაც კი ჰქონდა.

დოღის დღეს ალექსეი ალექსანდროვიჩი მეტისმეტად მოუცლელი იყო; დილითვე შეადგინა მთელი დღის განაწესი და გადაწყვიტა, ადრე ესადილა და მაშინვე წასულიყო ჯერ ცოლთან აგარაკზე, მერე კი დოღზე, სადაც იქნებოდა დღეს მთელი სამეფო კარი და მისი ყოფნაც აუცილებელი იყო. ცოლთან იმიტომ შეივლიდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველ კვირას ენახა და წესი არ დაერღვია. გარდა ამისა, ამ დღეს, თხუთმეტ რიცხვში, როგორც წესად ჰქონდა დადებული, უნდა ცოლისათვის სახარჯო ფული გადაეცა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ყოველთვის ფლობდა თავის ფიქრებს და ახლაც, ეს რომ გაიფიქრა, ნება აღარ მისცა თავს, კვლავ განეგრძო ცოლზე ფიქრი.

იმ დილით მეტად ბევრი საქმე ჰქონდა. წინადღით გრაფინია ლიდია ივანოვნამ ერთი ცნობილი მოგზაურის ბროშურა გამოუგზავნა. მას ჩინეთში ემოგზაურა და ამჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა. ბროშურას წერილიც მოაყოლა, სადაც სთხოვდა, მიეღო ეს მოგზაური, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო და ძალიან საჭირო ადამიანი იყო. ალექსეი ალექსანდროვიჩმა საღამოს ვეღარ მოასწრო ბროშურის წაკითხვა და ამ დილით დაამთავრა. შემდეგ მთხოვნელები მიიღო, დაიწყო მოხსენებები, მიღება, დანიშვნა, დათხოვნა, ჯილდოების, პენსიებისა და ჯამაგირების განაწილება, მიწერ-მოწერა – ის ყოველდღიური საქმიანობა, როგორც უწოდებდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, რომელიც მეტისმეტად ბევრ დროს ართმევდა. შემდეგ მისი პირადი საქმე – ექიმისა და საქმეთა

მმართველის მიღება. საქმეთა მმართველს ბევრი დრო არ წაურთმევია, გადასცა ფული, რაც საჭირო იყო ალექსანდროვიჩისათვის, და მოკლე ანგარიში ჩააბარა საქმეების ვითარების შესახებ. აღმოჩნდა, რომ საქმე არც ისე კარგად მიდიოდა; წლევანდელ წელს ხშირი წასვლა-წამოსვლის გამო ფული მეტი დაეხარჯათ და ზარალი ჰქონდათ. მაგრამ ექიმმა, პეტერბურგის ცნობილმა ექიმმა, რომელიც მეგობრობდა ალექსეი ალექსანდროვიჩთან, საკმაოდ ბევრი დრო დააკარგვინა. დღეს იგი ექიმს არ ელოდა და ძალიან გააკვირვა მისმა მოსვლამ, უფრო კი იმან, რომ ექიმმა დიდი გულისყურით გამოჰკითხა, როგორ გრძნობთო თავს, შემდეგ გულმოდგინედ მოუსმინა გულს, დიდხანს უკაკუნა ბეჭებზე და ხელით გაუსინჯა ღვიძლი. არ იცოდა, რომ მისმა მეგობარმა ლიდია ივანოვნამ, რომელმაც შენიშნა, რომ წელს ალექსეი ალექსანდროვიჩი რაღაც კარგად ვერ გამოიყურებოდა, სთხოვა ექიმს, მისულიყო მასთან და გაესინჯა: „გააკეთეთ ეს ჩემი გულისათვის“, – სთხოვა მას გრაფინია ლიდია ივანოვნამ.

– მე ამას რუსეთისათვის გავაკეთებ, გრაფინია, – უპასუხა ექიმმა.

– ძვირფასი ადამიანია! – შენიშნა გრაფინია ლიდია ივანოვნამ.

ექიმი მეტისმეტად უკმაყოფილო დარჩა ალექსეი ალექსანდროვიჩით. ღვიძლი შესამჩნევად გადიდებული ჰქონდა, მადა არ უვარგოდა, სამკურნალო წყლებს თითქმის არ ემოქმედა მასზე. ურჩია ავადმყოფს რაც შეიძლება მეტი მოძრაობა, ნაკლები გონებრივი დაძაბვა და რაც მთავარია, უნდა მორიდებოდა ყოველგვარ საწყენს, ესე იგი ურჩია ის, რაც ისევე შეუძლებელი იყო ალექსეი ალექსანდროვიჩისათვის, როგორც იმის თქმა, არ ისუნთქოო. ექიმი წავიდა და ალექსეი ალექსანდროვიჩს დაუტოვა უსიამო გრძნობა, რომ მასში ყველაფერი რიგზე არ არის და არც შეიძლება ამის გამოსწორება.

ალექსეი ალექსანდროვიჩის კაბინეტიდან რომ გამოვიდა, ექიმი პარმაღზე თავის ძველ ნაცნობს, სლიუდინს, ალექსეი ალექსანდროვიჩის საქმეთა მმართველს შეეჩეხა. ისინი უნივერსიტეტის ამხანაგები იყვნენ და მართალია, იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ პატივსა სცემდნენ ერთიმეორეს და კარგი მეგობრებიც იყვნენ, ამიტომაც ექიმი ისე დაუფარავად ვერავის გაანდობდა თავის მოსაზრებას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ, როგორც სლიუდინს.

– რა კარგია, რომ ინახულეთ, – უთხრა სლიუდინმა, – ვერ არის კარგად და ვფიქრობ, რომ... თქვენ რას იტყვით?

– აი, რა, – უთხრა ექიმმა და ხელი დაუქნია თავის მეეტლეს, რათა კარეტა მოერთმია, – აი, რა, – განაგრძო მან, თავისი თეთრი ხელებით ტყავის ხელთათმანის თითი აიღო და გაჭიმა, – თუ სიმს არ გაჭიმავთ და ისე მოინდომებთ მის გაწყვეტას, ეს ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ, აბა, უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაჭიმეთ სიმი და მერე თუნდაც თითით დააწექით – სიმი უსათუოდ გაწყდება. ალექსეი ალექსანდროვიჩი თავისი სინდისიერი და გულმოდგინე მუშაობის წყალობით უკანასკნელ ზომამდეა დაძაბული. გარეშე დაწოლასაც აქვს ადგილი და ეს მეტისმეტად მძიმეც არის, – დაასკვნა ექიმმა და მრავალმნიშვნელოვნად ასწია წარბები, – იქნებით დოღზე? – დაუმატა მან და ჩაჯდა კარეტაში, რომელიც მეეტლემ მოართვა, – დიახ, დიახ, რაღა თქმა უნდა, ბევრი დრო მიაქვს, – უპასუხა ექიმმა სლიუდინს პასუხად მისი ნათქვამისა, რომელიც კარგად ვერც კი გაიგონა.

ექიმის წასვლის შემდეგ, რომელმაც ამდენი დრო დააკარგვინა, ცნობილი მოგზაურიც მოვიდა და ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელმაც ისარგებლა ახლახან წაკითხული ბროშურით და თავისი ძველი ცოდნაც გამოიყენა ამ საკითხზე, განაცვიფრა მოგზაური საგნის ღრმა ცოდნითა და ფართო განათლებით.

მოგზაურთან ერთად პეტერბურგში ჩამოსული გუბერნიის წინამძღოლის მოსვლაც აუწყეს, რომელთანაც აგრეთვე მოსალაპარაკებელი ჰქონდა. მისი წასვლის შემდეგ უნდა დაემთავრებინა ყოველდღიური მუშაობა საქმეთა მმართველთან და ერთ გავლენიან პირთანაც უნდა შეევლო მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმეზე. მან მხოლოდ ხუთი საათისათვის, სწორედ სადილობის დროისათვის, მოასწრო დაბრუნება. საქმეთა მმართველთან ერთად ისადილა და შესთავაზა, მასთან ერთად წასულიყო აგარაკზე, იქიდან კი დოღზე.

ალექსეი ალექსანდროვიჩი არც ეკითხებოდა თავს, რატომ აკეთებდა ამას, მაგრამ ახლა მუდამ ეძებდა შემთხვევას, რომ ცოლთან შეხვედრის დროს მესამე პირიც ყოფილიყო მათთან.

XXVII

ანა ზემოთ, სარკის წინ იდგა და ანუშკას დახმარებით უკანასკნელ ბაფთას იკეთებდა კაბაზე, როცა სადარბაზო კართან ქვიშაზე გაისრიალეს ეტლის თვლებმა.

„ბეტსისთვის ჯერ ადრეა მოსვლა, – გაიფიქრა ანამ, ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა კარეტა, შავი ქუდი და მისთვის ესოდენ ნაცნობი ყურები ალექსეი ალექსანდროვიჩისა, – სწორედ რომ უდროო დროს მოვიდა; ნუთუ აქ გაათევს ღამეს? – გაიფიქრა ანამ და ისე საზარლად, საშინლად ეჩვენა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას, რომ წუთითაც არ ჩაფიქრებულა, მხიარული, გაბრწყინებული სახით გაეგება მოსულთ. იგრძნო, რომ უკვე დაეუფლა მისთვის ნაცნობი სიყალბისა და სიცრუის სული, მაშინვე მთელი არსებით მიენდო მას და მოჰყვა ლაპარაკს ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა.

– ოჰ, რა კარგია! – თქვა მან, ხელი გაუწოდა ქმარს და ღიმილით მიესალმა მისთვის შინაურ კაცს, სლიუდინს, – ვიმედოვნებ, ღამესაც აქ გაათევ! – ეს იყო იმ სიცრუის სულის ნაკარნახევი პირველი სიტყვა, – ახლა კი ერთად წავიდეთ! ოღონდ სამწუხაროა, რომ ბეტსის შევპირდი, გამომივლის.

ბეტსის ხსენებაზე ალექსეი ალექსანდროვიჩი მოიღუშა.

– ოჰ, მე არ შევეცდები განუშორებელთა განშორებას, – ჩვეული სახუმარო კილოთი შენიშნა მან, – მე და მიხაილ ვასილევიჩი ერთად წავალთ. ექიმებმაც მირჩიეს სიარული. გზაზე ფეხით გავივლი და წარმოვიდგენ, ვითომ წყლებზე ვარ.

– საჩქარო მაინც არაფერი გაქვთ, – შენიშნა ანამ, – ჩაის ხომ არ მიირთმევთ? – და ზარი ჩამორეკა.

– ჩაი მოგვართვით და სერიოჟას უთხარი, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩამოვიდა. შენი ჯანმრთელობის საქმე როგორღაა? მიხაილ ვასილევიჩ, თქვენ არ ყოფილხართ ჩემთან; ნახეთ, რა შესანიშნავი აივანი მაქვს, – ლაპარაკობდა ანა და ხან ერთს მიმართავდა, ხან მეორეს.

ანა სრულიად უბრალოდ, ბუნებრივად ამბობდა ამას, ოღონდ ძალიან ბევრს და ჩქარა ლაპარაკობდა. ამას თვითონაც გრძნობდა, შენიშნა კიდეც, როგორი ცნობისმოყვარე თვალებით მისჩერებოდა მიხაილ ვასილევიჩი, თითქოს აკვირდებოდა.

მალე მიხაილ ვასილევიჩი ტერასაზე გავიდა.

ანა ქმრის გვერდით ჩამოჯდა.

– შენ მთლად კარგად ვერ გამოიყურები, – უთხრა ანამ.

– დიახ, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – დღეს ექიმი იყო ჩემთან და ერთი საათი დამაკარგვინა. ვფიქრობ, რომელიმე ჩემი მეგობარი გამოგზავნიდა, იმდენად ძვირფასია ჩემი ჯანმრთელობა.

– მაინც რა გითხრა?

ანა ეკითხებოდა ქმარს ჯანმრთელობაზე, მის საქმიანობაზე, ურჩევდა დაესვენა, გადმოსულიყო მასთან.

ყოველივე ამას მხიარულად, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, თვალებიც განსაკუთრებით უბრწყინავდა, მაგრამ ახლა ალექსეი ალექსანდროვიჩი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა მის კილოს, მაგრამ მის სიტყვებს ისმენდა და იმ მნიშვნელობას ანიჭებდა, რასაც სინამდვილეში გამოხატავდა. თვითონაც უბრალოდ პასუხობდა, თითქოს ხუმრობდა კიდეც. მათ ლაპარაკში არაფერი იყო განსაკუთრებული, მაგრამ ანას შემდგომ არ შეეძლო ამ მოკლე სცენის ისე გახსენება, რომ მწვავე სირცხვილს არ დაესერა მისი გული.

ოთახში სერიოჟა შემოვიდა გუვერნანტის თანხლებით. ალექსეი ალექსანდროვიჩს დაკვირვების ნება რომ მიეცა თავისთვის, შენიშნავდა, როგორ გაუბედავად, დაბნეულად გადახედა ბავშვმა ჯერ მამას, შემდეგ კი დედას. მაგრამ მას არაფრის დანახვა არ უნდოდა და ვერც ხედავდა.

– ოჰ, ყმაწვილო! გაზრდილა, მალე სულ დავაჟკაცდება. გამარჯობა, ყმაწვილო!

და მან ხელი გაუწოდა შეშინებულ სერიოჟას.

სერიოჟა წინათაც მორიდებული იყო მამასთან, ახლა კი, მას შემდეგ, რაც მამამ „ყმაწვილოს“ ძახილი დაუწყო და რაც გულში ჩაუვარდა იმისი ფიქრი, მტერი იყო თუ მოყვარე ვრონსკი, ბავშვი სულ გაურბოდა მამასთან ყოფნას. მან ისე გადახედა დედას, თითქოს შველას სთხოვსო. იგი მხოლოდ დედასთან გრძნობდა თავს კარგად. ამასობაში ალექსეი ალექსანდროვიჩმა გუვერნანტთან გააბა საუბარი, თან მხარზე

ხელი ეკიდა შვილისათვის და სერიოჟა ისეთ უხერხულობას გრძნობდა, ისე იტანჯებოდა, რომ ანამ შენიშნა, ბავშვს ატირებას ცოტაღა უკლდა.

ანამ, რომელსაც სიწითლემ გადაურბინა ბავშვის ოთახში შემოსვლისას, როგორც კი შენიშნა, სერიოჟა უხერხულობას გრძნობსო, სწრაფად წამოდგა, ალექსეი ალექსანდროვიჩს ბავშვის მხარიდან ააღებინა ხელი, აკოცა შვილს და ტერასაზე გაიყვანა, თვითონ კი მაშინვე შემობრუნდა.

– უკვე დროც არის, – შენიშნა ანამ და საათზე დაიხედა, – რატომ არ მოდის ბეტსი?

– დიახ, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და წამოდგა, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და გაატკაცუნა, – მე ფულის გადმოსაცემადაც შემოვიარე, რადგან ბულბულისათვის მარტო არაკები არ კმარა, – თქვა მან, – მე მგონი, დაგჭირდება.

– არა, არ მჭირდება... თუმცა არა, მჭირდება, – თქვა ანამ, ისე, რომ ქმრისთვის არ შეუხედავს, თან ყურის ძირებამდე გაწითლდა, – შენ, მგონი, კიდევ შემოივლი დოღის შემდეგ.

– ჰო, რასაკვირველია! – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – აი, პეტერგოფის სიამაყეც, ქალბატონი ტვერსკაია, – დასძინა მან, როცა ფანჯრიდან ინგლისური ეტლი შენიშნა, რომლის პაწაწინა ძარა მეტისმეტად მაღლა იყო შესკუპებული, ცხენებს კი თვალსაფრები ჰქონდა გაკეთებული, – რა თვალწარმტაცია! რა მშვენიერი! აბა, ჩვენც წავიდეთ!

ქალბატონი ტვერსკაია ეტლიდან არ გადმოსულა. მხოლოდ მისი შტიბლეტებიანი, წამოსასხამსა და შავ ქუდში გამოწყობილი ლაქია გადმოხტა სადარბაზო კართან.

– მაშ, მივდივარ, კარგად იყავით! – თქვა ანამ და აკოცა შვილს, ალექსეი ალექსანდროვიჩთან კი მივიდა და ხელი გაუწოდა, – ძალიან კარგი ქენი, რომ ჩამოხვედი.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელზე აკოცა.

– ნახვამდის! ხომ შემოივლი ჩაიზე? ჰოდა, ძალიან კარგი! – თქვა ანამ და მხიარული, სახეგაბრწყინებული გავიდა ოთახიდან, მაგრამ როგორც კი ქმარი თვალს მიეფარა, ხელზე იგრძნო ის ადგილი, სადაც მისი ტუჩები შეეხო და ზიზღისაგან გააჟრჟოლა.

XXVIII

როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი დოღზე მივიდა, ანა უკვე ფანჩატურში იჯდა, ბეტსის გვერდით, იმ ფანჩატურში, სადაც თავს იყრიდა მთელი მაღალი საზოგადოება. მან ჯერ კიდევ შორიდან დაინახა ქმარი. ეს ორი ადამიანი, ქმარი და საყვარელი, ანას ცხოვრების ორ ცენტრს წარმოადგენდა და სხვა გარე შეგრძნება არ ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მათი სიახლოვე ეგრძნო. ანამ შორიდანვე იგრძნო ქმრის მოახლოება და უნებურად თვალს ადევნებდა იმ ხალხს, რომელთან ერთად მისი ქმარი მოდიოდა. ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა იგი ფანჩატურს, ხან მოწყალედ უპასუხებდა პირმოთნეთა სალამს, ხან მეგობრულად, დაბნეულად ესალმებოდა თანატოლთ და ხანაც მოთმინებით ელოდა, როდის მოიხედავდნენ მისკენ ძლიერნი ამა სოფლისანი, რომ მოეხადა თავისი დიდი, მრგვალი ქუდი, რომელიც ყურებზე ებჯინებოდა. ანა იცნობდა ყველა ამ ხერხს და ყოველივე ეს ზიზღს ჰგვრიდა. „მხოლოდ პატივმოყვარეობა, მხოლოდ დაწინაურების სურვილი – აი, რა არის მის სულში, – ფიქრობდა იგი, – ხოლო მაღალი აზრები, განათლების სიყვარული, სარწმუნოება, ყველაფერი ეს მარტოოდენ იარაღია დაწინაურებისათვის“.

ალექსეი ალექსანდროვიჩი მანდილოსანთა ფანჩატურისაკენ იხედებოდა (იგი პირდაპირ ანას უყურებდა, მაგრამ ამ მარმაშის, ბაფთების, ფრთების, ქოლგებისა და ყვავილების ზღვაში ვეღარ ცნობდა). ანა მიხვდა, რომ ქმარი მას ეძებდა, მაგრამ განზრახ არ ამჩნევდა.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ! – დაუძახა მას ქალბატონმა ბეტსიმ, – თქვენ უთუოდ ვერ ამჩნევთ თქვენს მეუღლეს. აი, აქ არის!

ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისებურად ცივად გაიღიმა.

– აქ იმდენი ბრწყინვალებაა, რომ თვალები ამიჭრელდა, – თქვა მან და ფანჩატურში შევიდა. გაუღიმა ცოლს, ისე, როგორც უნდა გაუღიმოს ქმარმა, რომელმაც ახლახან ინახულა ცოლი, მიესალმა გრაფინიასა და სხვა ნაცნობებს, ყველას თავისი წილი მიუზღო, ესე იგი მანდილოსნებს გაეხუმრა და მამაკაცებს კი სალამი მისცა. ქვევით, ფანჩატურის წინ იდგა თავისი ჭკუითა და განათლებით ცნობილი გენერალ-ადიუტანტი, რომელსაც ალექსეი ალექსანდროვიჩი დიდ პატივს სცემდა და მასთან

გააბა საუბარი.

საუბარს არაფერი უშლიდა ხელს, რადგან ერთი დოღი უკვე დამთავრებულიყო, მეორე კი ჯერ არ დაწყებულიყო. გენერალ-ადიუტანტი კიცხავდა დოღს, ალექსეი ალექსანდროვიჩი არ ეთანხმებოდა, იცავდა დოღის მონაწილეთ. ანა ყურს უგდებდა, როგორი წვრილი, აუღელვებელი ხმით ლაპარაკობდა მისი ქმარი, არც ერთ სიტყვას არ უშვებდა მისი საუბრიდან, მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა ყალბად ეჩვენებოდა და მტკივნეულად ხვდებოდა ყურს.

როცა დაიწყო ოთხვერსიანი დოღი დაბრკოლებებით, ანა წინ გადაიხარა და თვალმოუშორებლივ უყურებდა ვრონსკის, რომელიც ცხენისკენ მიდიოდა შესაჯდომად, და ამავე დროს ყურში ჩაესმოდა ქმრის საზიზღარი, გაუთავებელი ლაპარაკი. მას ტანჯავდა შიში ვრონსკის გამო, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ უფრო მეტად ტანჯავდა ქმრის გაუთავებელი, წვრილი ხმით ლაპარაკი და ნაცნობი ინტონაციები.

„საძაგელი, დაღუპული ქალი ვარ, – ფიქრობდა ანა, – მაგრამ არ მიყვარს ტყუილი, ვერ ვიტან ამ სიცრუეს, ის კი (ქმარი) მხოლოდ ამ სიცრუით საზრდოობს. მან ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს; აბა, რა უნდა იგრძნოს, როცა ასე დამშვიდებით შეუძლია ლაპარაკი? მას რომ მოვეკალი ან ვრონსკი მოეკლა, მაშინ პატივისცემას ვიგრძნობდი მისდამი. მაგრამ არა, მას მხოლოდ სიცრუე და წესიერება უნდა“, – ეუბნებოდა ანა თავის თავს და იმას აღარ ფიქრობდა, თუ სახელდობრ რას მოითხოვდა ქმრისაგან, როგორი უნდოდა ყოფილიყო იგი. ანა იმასაც ვერ მიმხვდარიყო, რომ ქმრის განსაკუთრებით ბევრი ლაპარაკი დღეს, რაც ასე აბრაზებდა, მხოლოდ გამომხატველი იყო მისი შინაგანი ღელვისა და მოუსვენრობისა. როგორც დაშავებული ბავშვი ხტის და მოძრაობაში მოჰყავს თავისი კუნთები, რათა ამით ჩაიხშოს ტკივილი, ისე ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის საჭირო იყო გონების მოძრაობა, რომ ჩაეხშო თავისი ფიქრი ცოლზე, რომელიც მისი ცოლისა და თვით ვრონსკის იქ ყოფნისა და მისი სახელის ხშირად ხსენების გამო იზიდავდა მის ყურადღებას. როგორც ბავშვისათვის არის ბუნებრივი ხტუნვა, ისე მისთვისაც ბუნებრივი იყო კარგი და ჭკვიანური ლაპარაკი. ალექსეი ალექსანდროვიჩი ამბობდა: – საფრთხე სამხედროთა და კავალერისტთა დოღში აუცილებელი პირობაა. თუ ინგლისს

თავის სამხედრო ისტორიაში შეუძლია აღნიშნოს ყველაზე ბრწყინვალე საკავალერიო საქმეები, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ისტორიულად ავითარებდა ამ ძალას როგორც ცხოველებში, ისე ადამიანებში. სპორტს, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ მის გარეგან მხარეს ვხედავთ.

– გარეგანი კი არა, – ჩაერია ბეტსი ტვერსკაია, – ამბობენ, ერთმა ოფიცერმა ორი ნეკნი ჩაიმტვრიაო.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გაიღიმა თავისებური ღიმილით, რაც მხოლოდ კბილების გამოჩენაში იხატებოდა და მეტს არაფერს ამბობდა.

– დავუშვათ, ქალბატონო, რომ ეს გარეგანი კი არა, შინაგანი მხარეა, – უთხრა მან, – მაგრამ ეს როდია საქმე, – და ალექსეი ალექსანდროვიჩი ისევ მიუბრუნდა გენერალს, რომელთანაც სერიოზული საუბარი ჰქონდა, – არ დაგავიწყდეთ, რომ ჯირითობენ სამხედროები, რომელთაც ეს თავის საქმიანობად აქვთ არჩეული, და დამეთანხმეთ, რომ ყოველგვარ მოწოდებას აქვს თავისი მეორე მხარე. ეს პირდაპირ სამხედროთა მოვალეობაში შედის. ისეთი საზიზღარი სპორტი, როგორიც არის კრივი ან ესპანელ ტორეადორთა სპორტი, ბარბაროსობის ნიშანია, მაგრამ სპეციალიზებული სპორტი კი განვითარების ნიშანია.

– არა, მეორედ აღარ წამოვალ, მეტისმეტად მაღელვებს, – თქვა ქალბატონმა ბეტსიმ, – ხომ მართალია, ანა?

– გაღელვებს, მაგრამ თვალს ვერ მოსწყვეტ, – შენიშნა მეორე მანდილოსანმა, – მე რომ რომაელი ვყოფილიყავი, ერთი ცირკიც არ გამომეპარებოდა.

ანა არაფერს ამბობდა, ბინოკლს აღარ იცილებდა და სულ ერთ ადგილს მისჩერებოდა.

ამ დროს ფანჩატურის წინ ტანმაღალმა გენერალმა ჩაიარა, ალექსეი ალექსანდროვიჩმა სიტყვა შეწყვიტა, საჩქაროდ, მაგრამ ღირსეულად წამოდგა და მდაბალი სალამი მისცა გენერალს.

– თქვენ არ მონაწილეობთ დოღში? – გაეხუმრა მას სამხედრო პირი.

– ჩემი დოღი უფრო ძნელია, – მოკრძალებით მიუგო ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

და მართალია ეს პასუხი არაფერს ისეთს არ ამბობდა, მაგრამ სამხედრო პირმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს გონიერი ადამიანისაგან გონიერი პასუხი მოისმინა და მისთვის სავსებით გასაგებია la pointe de la sauce.[26]

– არსებობს ორი მხარე, – ისევ განაგრძო ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – შემსრულებელი და მაყურებელი; და ამ სანახაობის სიყვარული უტყუარი ნიშანია მაყურებელთა დაბალი განვითარებისა, ამაზე გეთანხმებით, მაგრამ...

– სანაძლეოს ჩამოვდივარ, ქალბატონო! – მოისმა ქვევიდან სტეპან არკადიჩის ხმა, – თქვენ ვის მხარეზე იქნებით? – ეკითხებოდა ის ბეტსის.

– მე და ანას თავად კუზოვლევის მხარე გვიჭირავს, – უპასუხა ბეტსიმ.

– მე ვრონსკის მხარეზე ვარ. ერთი წყვილი ხელთათმანი.

– ძალიან კარგი.

– რა მშვენიერებაა, არა?

სანამ მის გვერდით ლაპარაკობდნენ, ალექსეი ალექსანდროვიჩი დუმდა, მაგრამ როგორც კი გაჩუმდნენ, მაშინვე განაგრძო საუბარი.

– მე გეთანხმებით, მაგრამ ვაჟკაცური თამაშობანი... – უნდოდა განეგრძო მას.

მაგრამ ამ დროს მხედრები უნდა დაძრულიყვნენ ადგილიდან და ყოველგვარი საუბარი შეწყდა. ალექსეი ალექსანდროვიჩიც გაჩუმდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და მდინარისაკენ დაიწყეს ყურება. ალექსეი ალექსანდროვიჩს დოღი არ აინტერესებდა, ამიტომ თავისი მოქანცული თვალებით უგულისყუროდ მოათვალიერა მაყურებელი. მისი მზერა ანაზე შეჩერდა.

ანას სახე გაფითრებული და მკაცრი იყო. ის, ალბათ, ერთის მეტს ვერავის და ვერაფერს ხედავდა. ხელი ნერვიულად ჩაეჭიდა მარაოსათვის და თითქმის არც კი სუნთქავდა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა შეხედა მას და მაშინვე მოაცილა

თვალი, ახლა სხვებზე გადაიტანა მზერა.

„აი, ეს მანდილოსანიც და ასევე სხვებიც ძალიან აღელვებული ჩანან. ეს სრულიად ბუნებრივია“, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა. უნდოდა არ შეეხედა ანასთვის, მაგრამ უნებურად მისკენ გაურბოდა თვალი. ისევ შეხედა სახეში, შეეცადა ამოეკითხა ის, რაც აშკარად ეწერა სახეზე და უნებურად ძრწოლით კითხულობდა ანას სახეზე იმას, რისი ცოდნაც არ უნდოდა.

კუზოვლევის პირველმა წაქცევამ მდინარესთან ყველა შეაშფოთა, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი ანას გაფითრებულ, აღტაცებულ სახეზე ნათლად ხედავდა, რომ ის, ვისაც ანა უყურებდა, არ წაქცეულა. შემდეგ, როცა მახოტინი და ვრონსკი თავს გადაევლნენ დიდ ბარიერს, მათ უკან მომავალი ოფიცერი კი იქვე თავით დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა, შემაძრწუნებელმა შრიალმა გადაუარა მთელ საზოგადოებას, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა, რომ ანამ ვერც შენიშნა ეს. ძლივს მიხვდა, რაზე ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ. ალექსეი ალექსანდროვიჩი კი სულ უფრო და უფრო ხშირად, სულ უფრო და უფრო დაჟინებით აშტერდებოდა მას. ანამ, რომლის ყურადღება მთლიანად შთანთქა მოჯირითე ვრონსკიმ, გვერდიდან იგრძნო ქმრის ცივი, დაჟინებული მზერა.

წამით მოიხედა, კითხვის გამომხატველი თვალით შეხედა, ოდნავ მოიღუშა და ისევ მიაბრუნა თავი.

„აჰ, ჩემთვის სულერთია!“ – თითქოს ეუბნებოდა ქმარს და მეტად აღარც შეუხედავს მისთვის.

დოღი მარცხიანი აღმოჩნდა და ჩვიდმეტი კაცისგან ნახევარზე მეტი ცხენიდან გადმოვარდა და დაშავდა, დოღის დასასრულს ყველა აღელვებული იყო და ეს მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ ხელმწიფე უკმაყოფილო იყო.

XXIX

ყველა ხმამაღლა გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას, ყველა იმეორებდა ვიღაცის ნათქვამს, ცირკი და ლომებიღა აკლიაო. ყველა ისე შეძრწუნებული იყო, რომ როცა ვრონსკი დაეცა და ანამ ხმამაღლა ამოიოხრა, გასაოცრად არავის დარჩენია. მაგრამ ამის შემდეგ ანას ისე შეეცვალა სახე, რომ მართლაც უწესობა იყო. სრულიად დაიბნა. დაჭერილი ჩიტივით აფართხალდა; ხან უნდოდა წამომდგარიყო და წასულიყო სადმე, ხან ისევ ბეტსის მიუბრუნდებოდა.

– წავიდეთ, წავიდეთ, – ეუბნებოდა ანა.

მაგრამ ბეტსის არ ესმოდა მისი სიტყვები. იგი ქვევით გადახრილიყო და ვიღაც გენერალს ელაპარაკებოდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ანასთან მივიდა და თავაზიანად გაუწოდა ხელი.

– თუ თქვენ გნებავთ, წავიდეთ, – უთხრა მან ფრანგულად, მაგრამ ანა გენერლის ლაპარაკს უგებდა ყურს და არც კი შეუნიშნავს ქმარი.

– ამბობენ, მასაც ფეხი მოუტეხიაო, – ამბობდა გენერალი, – ეს უკვე მეტისმეტია!

ანას პასუხი არ გაუცია ქმრისთავის, ბინოკლი ასწია და მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც ვრონსკი დაეცა, მაგრამ ეს ადგილი იმდენად შორს იყო და იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ანამ ბინოკლი დაუშვა და ისევ წასვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოაჭენა ცხენი ერთმა ოფიცერმა და რაღაც მოახსენა ხელმწიფეს. ანა წინ გადაიხარა და ყური მიუგდო.

– სტივა, სტივა, – გასძახა ანამ ძმას.

მაგრამ სტივას არ გაუგონია მისი ხმა. ანამ ისევ წასვლა დააპირა.

– კვლავ გთავაზობთ ჩემს ხელს, თუ წასვლა გნებავთ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ხელი მოჰკიდა.

ანამ ზიზღით მოიცილა მისი ხელი და სახეშიც არ შეუხედავს, ისე უპასუხა: – არა, არა, დამანებეთ თავი, მე დავრჩები.

ანამ თვალი მოჰკრა, რომ იმ ადგილიდან, სადაც ვრონსკი დაეცა, ფანჩატურისკენ მორბოდა ვიღაც ოფიცერი, ბეტსიმ

ცხვირსახოცი დაუქნია მას. ოფიცერმა მოიტანა ცნობა, მხედარი უვნებლად გადარჩა, მხოლოდ ცხენს ჩაემტვრაო ზურგი.

ეს რომ გაიგონა, ანა მაშინვე სკამზე დაეშვა და სახეზე მარაო აიფარა. ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა, რომ ანა ტიროდა და ძალა არ შესწევდა შეეკავებინა არათუ ცრემლები, ქვითინიც კი, რის გამოც მკერდი მძლავრად უთრთოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩამოეფარა ცოლს, დაეცადა, სანამ დამშვიდდებოდა.

– მესამეჯერ გთავაზობთ ჩემს ხელს, – რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ უთხრა მან. ანა შეჰყურებდა ქმარს და ვერ მოესაზრებინა, რა პასუხი მიეცა მისთვის. მაგრამ ამ დროს ქალბატონი ბეტსი წამოეშველა.

– არა, ალექსეი ალექსანდროვიჩ, ანა მე წამოვიყვანე და უკან წაყვანასაც მე შევპირდი, – ჩაერია ბეტსი.

– მაპატიეთ, ქალბატონო, – თავაზიანი ღიმილით უთხრა მან, მაგრამ მკაცრად კი გადახედა, – მე ვხედავ, რომ ანა სავსებით კარგად ვერ არის და მინდა ჩემთან ერთად წამოვიდეს.

ანამ შიშით მიმოიხედა აქეთ-იქით, მორჩილად წამოდგა და ხელზე ხელი დაადო ქმარს.

– მსახურს გავგზავნი მასთან, ამბავს შევიტყობ და გაცნობებ, – ჩასჩურჩულა ბეტსიმ.

ფანჩატურიდან გამოსვლის დროს ალექსეი ალექსანდროვიჩი, როგორც ყოველთვის, ახლაც ელაპარაკებოდა წინ შემოხვედრილ ნაცნობებს და ანაც, როგორც ყოველთვის, იძულებული იყო, პასუხი გაეცა და ეთქვა რამე; მაგრამ ანა თავის გონზე არ იყო და ხელიხელგაყრილი ისე მიჰყვებოდა ქმარს, თითქოს სიზმარშიაო.

„მართლა სასიკვდილოდ დაშავდა? მართალია თუ არა? მოვა თუ არა? ვნახავ თუ არა დღეს?“ – ფიქრობდა იგი.

ანა უხმოდ ჩაჯდა ქმრის კარეტაში და მათ ხმაამოუღებლად მიატოვეს ეტლების გროვა. მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც საკუთარი თვალით ნახა, ალექსეი ალექსანდროვიჩი მაინც ნებას არ აძლევდა თავს, ეფიქრა ცოლის ნამდვილ მდგომარეობაზე. იგი მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს ხედავდა. მან შენიშნა, რომ ანას უწესოდ ეჭირა თავი და მოვალეობად

მიიჩნია აღენიშნა ეს. მაგრამ მისთვის მეტად ძნელი იყო, მხოლოდ ეს ეთქვა და მეტი არაფერი. გააღო კიდეც პირი, უნდა ეთქვა ანასთვის, უწესოდ გეჭირაო თავი, მაგრამ უნებურად სრულიად სხვა უთხრა: – მაგრამ ჩვენ ყველას მაინც მიდრეკილება გვაქვს ამ საშინელი სანახაობისადმი, მე ვამჩნევ, რომ...

– რაო? მე არ მესმის, – ზიზღით უთხრა ანამ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მაშინვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რისი თქმაც უნდოდა.

– მე უნდა გითხრათ, – თქვა მან.

„აი, დაიწყო ახსნა-განმარტება“, – გაიფიქრა ანამ და საშინელი შიში იგრძნო.

– უნდა გითხრათ, რომ თქვენ დღეს უწესოდ გეჭირათ თავი, – თქვა მან ფრანგულად.

– რაში გამოიხატებოდა ეს უწესოდ თავის დაჭერა? – ხმამაღლა უთხრა ანამ და თავი მისკენ მიაბრუნა, პირდაპირ თვალებში შეხედა. მის თვალებში უკვე აღარ იხატებოდა ის წინანდელი, რაღაცის დამფარველი სიხარული, იგი მტკიცე გადაწყვეტილებით შეჰყურებდა ქმარს და ამით ძლივს ფარავდა თავის შიშს.

– ნუ დაგავიწყდებათ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და მეეტლეს პირდაპირ ღია სარკმელზე მიუთითა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი წამოდგა და მინა ჩამოსწია.

– რა ნახეთ უწესო? – გაიმეორა ანამ.

– ის სასოწარკვეთილება, რომელიც თქვენ ვეღარ დაფარეთ, როცა ერთი მხედართაგანი წაიქცა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ელოდა, რომ ანა უარყოფდა ამას, მაგრამ ანა ხმაამოუღებლად იჯდა და წინ იცქირებოდა.

– მე თქვენ უკვე გთხოვეთ, საზოგადოებაში ისე გეჭიროთ თავი, რომ ბოროტ ენებს საბაბი არ ჰქონდეთ, რაიმე თქვან თქვენს საწინააღმდეგოდ. იყო დრო, როცა მე ჩვენს სულიერ ურთიერთობაზე გელაპარაკებოდით. ახლა უკვე აღარაფერს გეუბნებით ამაზე. მხოლოდ გარეგნულ ურთიერთობაზე

გელაპარაკებით. თქვენ უწესოდ გეჭირათ თავი და ჩემი სურვილია, აღარ განმეორდეს ეს.

ანას ნახევარიც არ გაუგონია მისი სიტყვებიდან, მას ეშინოდა ქმრისა; გულში კი იმაზე ფიქრობდა, ნეტავ მართლა გადარჩა ვრონსკი თუ არაო? ნეტავ მასზე ამბობდნენ, თვითონ არ დაშავებულა, მაგრამ ცხენს ჩაემტვრაო ზურგი? მან მხოლოდ თვალთმაქცურად, დამცინავად გაიღიმა, როცა ქმარმა დაამთავრა ლაპარაკი, და არაფერი უპასუხა, რადგან ყური არ დაუგდია მისთვის. ალექსეი ალექსანდროვიჩი უფრო თამამად ალაპარაკდა, მაგრამ როცა კარგად ჩაუფიქრდა იმას, რასაც ამბობდა, მასაც იგივე შიში გადაედო, რასაც ანა განიცდიდა. მან თვალი მოჰკრა ანას ღიმილს და უცნაური დაბნეულობა იგრძნო.

„მას ეღიმება ჩემს ეჭვიანობაზე. დიახ, ალბათ, იმას მეტყვის, რასაც მაშინ მეუბნებოდა, რომ საფუძველი არა აქვს ჩემს ეჭვიანობას, რომ ეს სასაცილოა“.

ახლა, როცა შესაძლებელი გახდა გამოაშკარავებულიყო ყველაფერი, ალექსეი ალექსანდროვიჩს სულითა და გულით ეწადა, ანას ისევ ძველებურად, დაცინვით ეთქვა, თქვენი ეჭვი სასაცილოა და არავითარი საფუძველი არ გააჩნიაო. ისეთი საშინელება იყო ის, რაც იცოდა, რომ ახლა მზად იყო ყველაფერი დაეჯერებინა. მაგრამ ანას შეშინებული, მწუხარე სახის გამომეტყველება ახლა იმ სიცრუესაც აღარ ჰპირდებოდა.

– შესაძლოა, ვცდები, – უთხრა მან, – ასეთ შემთხვევაში მე გთხოვთ, მაპატიოთ.

– არა, თქვენ არ შემცდარხართ, – აუჩქარებლად უთხრა ანამ და განწირულებით შეხედა მის გაყინულ სახეს, – თქვენ არ შემცდარხართ, მე სასოწარკვეთილი ვიყავი და არც შემეძლო არ ვყოფილიყავი. მე ახლა თქვენ გისმენთ და მასზე ვფიქრობ. მე იგი მიყვარს, მე მისი საყვარელი ვარ. აღარ შემიძლია ამის ატანა, მე თქვენ მძულხართ... რაც გინდათ, ის მიყავით.

ანა ეტლის კუთხეში გადაესვენა, თვალებზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი არ განძრეულა, არც თვალების მიმართულება შეუცვლია, ისევ ისე, პირდაპირ იყურებოდა, ოღონდ მის სახეზე უეცრად მიცვალებულის დიდებული უძრაობა აღიბეჭდა და აღარ შესცვლია ეს გამომეტყველება მთელ გზაზე, სანამ აგარაკამდე მივიდოდნენ.

სახლს რომ უახლოვდებოდნენ, ალექსეი ალექსანდროვიჩმა ანასაკენ მიატრიალა თავი. სახეზე კვლავ იგივე გამომეტყველება აღბეჭდვოდა.

– მაშ, ასე! მაგრამ მე მოვითხოვ, სხვათა დასანახად დაცულ იქნეს წესიერება, მანამდე, – მას ხმა აუკანკალდა, – სანამ მივიღებდე ზომებს ჩემი პატიოსნების დასაცავად და გაცნობებდეთ ამას.

იგი პირველი გადმოვიდა ეტლიდან და გადმოსვა ანა. მსახურთა დასანახავად მდუმარედ ჩამოართვა ხელი, კარეტაში ჩაჯდა და პეტერბურგისკენ გასწია.

მისი წასვლის შემდეგ ბეტსი ტვერსკაიას გამოგზავნილი მსახურიც მოვიდა და წერილი მოუტანა ანას.

„მსახური გავგზავნე ალექსეისთან ამბის გასაგებად და იწერება, ჯანმრთელად და უვნებლად გადავრჩი, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილიო.

„მაშ, მოვა! – გაიფიქრა ანამ, – რა კარგი ვქენი, რომ ყველაფერი ვუთხარი ქმარს“.

ანამ საათს დახედა. სამი საათი კიდევ რჩებოდა, მერე დაწვრილებით გაიხსენა უკანასკნელი შეხვედრა და ცეცხლი წაეკიდა.

„ღმერთო ჩემო, რა სინათლეა! ეს საშინელებაა, მაგრამ მე მიყვარს მისი სახის დანახვა, მიყვარს ეს ფანტასტიკური სინათლე... მერე... ქმარი... მადლობა ღმერთს, მასთან ყველაფერი გათავებულია“.

XXX

როგორც ყველგან, სადაც თავს იყრიან ადამიანები, ისე აქაც, გერმანიის პატარა კურორტზე, სამკურნალო წყლებზე, სადაც ჩამოვიდნენ შჩერბაცკები, ხდებოდა საზოგადოების თითქოს ჩვეულებრივი კრისტალიზაცია, რაც მის ყველა წევრს თავის გარკვეულ და უცვლელ ადგილს ანიჭებდა. როგორც

განსაზღვრული და უცვლელია, რომ წყლის ყოველი წვეთი სიცივეში თოვლის, კრისტალის გარკვეულ ფორმას მიიღებს, ისე აქაც, წყლებზე, ჩამოსული ყოველი ადამიანი თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა.

ფიურსტ შჩერბაცკი ზამტ გემალინ უნდ ტოხტერ[27] ჩამოსვლისთანავე მოთავსდა მისთვის განსაზღვრულ, წინასწარაღიარებულ ადგილზე. ამის თავდები იყო მათ მიერ კურორტზე დაკავებული ბინაც, სახელიც და წყლებზე შეხვედრილი ნაცნობებიც.

ამ წელს წყლებზე ნამდვილი გერმანული ფიურსტინი იყო, რის შედეგადაც საზოგადოების კრისტალიზაცია უფრო ენერგიულად ხდებოდა. ქალბატონმა შჩერბაცკაიამ მოისურვა, თავისი ქალიშვილი აუცილებლად წარედგინა პრინცესისათვის, რაც მეორე დღესვე აღასრულა. პარიზიდან გამოწერილ ფრიად უბრალო, ესე იგი მეტისმეტად ძვირფას კაბაში გამოწყობილმა კიტიმ მდაბალი, მოხდენილი რევერანსი გაუკეთა პრინცესას.

„ვიმედოვნებ, კვლავ აყვავდებიან ვარდები ამ მშვენიერ სახეზე“, – თქვა პრინცესამ და შჩერბაცკებისათვის უკვე დადგინდა ცხოვრების გარკვეული გზა, საიდანაც გადახვევა აღარ შეიძლებოდა. შჩერბაცკებმა გაიცნეს ინგლისელი ლედის ოჯახიც, გერმანელი გრაფინიაც, უკანასკნელ ომში დაჭრილი ვაჟიშვილით, სწავლული შვედი M. Canut-ი და მისი დაც. მაგრამ შჩერბაცკებისათვის მთავარ საზოგადოებას უნებლიეთ ისევ მოსკოველი მანდილოსნები შეადგენდნენ: მარია იგნატიევნა რტიშჩევა ქალიშვილით, რომლის დანახვაც არ სიამოვნებდა კიტის იმის გამო, რომ ისიც მასავით სიყვარულმა დაასნეულა, და მოსკოველი პოლკოვნიკი, რომელსაც ბავშვობიდანვე იცნობდა კიტი, ნანახი ჰყავდა მუნდირსა და ეპოლეტებში და აქ, თავისი წვრილი თვალებით, მოღეღილი ყელითა და ფერადი ყელსახვევით მეტისმეტად სასაცილო და მოსაწყენი იყო იმის გამო, რომ თავიდან ვერაფრით იცილებდნენ. როცა ყოველივე ეს მტკიცედ დადგინდა, კიტიმ ძალიან მოიწყინა, მით უმეტეს, რომ თავადი კარლსბადში იყო წასული და კიტი და დედამისი მარტონი იყვნენ. კიტის არ აინტერესებდა ეს ნაცნობები; გრძნობდა, რომ მათგან ახალი არაფერი იყო მოსალოდნელი. ახლა კიტის მთავარი გასართობი წყლებზე ის იყო, რომ თვალი ედევნებინა უცნობებისათვის და გამოეცნო, ვინ რას წარმოადგენდა. კიტის ხასიათად ჰქონდა, ყოველი ადამიანი

მშვენივრად მოსჩვენებოდა; განსაკუთრებით კი ის, ვისაც არ იცნობდა და ახლა, როცა კიტი იმის გამოცნობაში იყო, თუ ვინ რას წარმოადგენდა, ვის როგორი ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და ვინ როგორი ადამიანი იყო, ყოველთვის წარმოიდგენდა ხოლმე უცნაურსა და მშვენიერ ადამიანებს, და თავისი დაკვირვებით კიდეც ადასტურებდა ამას.

ამათგან კიტი განსაკუთრებით დააინტერესა ერთმა რუსმა ქალიშვილმა, რომელიც წყლებზე ჩამოჰყოლოდა რუს მანდილოსანს, მადამ შტალს, როგორც უწოდებდა მას ყველა. მადამ შტალი მაღალი საზოგადოების მანდილოსანთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგრამ იმდენად ავად იყო, რომ სიარული არ შეეძლო და მხოლოდ იშვიათად, კარგ დღეებში თუ გამოჩნდებოდა წყლებზე თავისი პატარა, ხელით საგორებელი ეტლით. მადამ შტალი რუსს არავის იცნობდა და როგორც ქალბატონი ამბობდა, ეს იმდენად ავადმყოფობის ბრალი არ იყო, რამდენადაც სიამაყისა. ეს რუსი ქალიშვილი უვლიდა მადამ შტალს და გარდა ამისა, როგორც კიტი ამჩნევდა, უახლოვდებოდა ყველა მძიმე ავადმყოფს, რომელნიც მრავლად იყვნენ წყლებზე, და სრულიად ბუნებრივად ემსახურებოდა მათ. ეს რუსი ქალიშვილი, კიტის დაკვირვებით, მადამ შტალის ნათესავი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც დაქირავებულ მომვლელს ჰგავდა. მადამ შტალი მას ვარენკას ეძახდა, სხვები კი m-lle ვარენკას. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კიტის აინტერესებდა, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ ქალიშვილს მადამ შტალთან ან სხვა კიტისთვის უცნობ პირებთან. იგი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, რაღაც აუხსნელ სიმპათიას გრძნობდა m-lle ვარენკასადმი და თვალების გამომეტყველებაზე ამჩნევდა, რომ მასაც მოსწონდა კიტი.

M-lle ვარენკა არათუ ახალგაზრდა იყო, ვერც შეამჩნევდით ასაკს. მისთვის შეიძლებოდა მიგეცათ ცხრამეტიცა და ოცდაათი წელიც. მიუხედავად ავადმყოფური ფერისა, სახის ცალკეული ნაკვთის მიხედვით თუ განსჯიდით, უფრო ლამაზად ჩათვლიდით, ვიდრე უშნოდ. ტანადობაც კარგი ექნებოდა, მაგრამ მეტისმეტად გამხდარი იყო და თავის სიდიდეც სავსებით არ შეეფარდებოდა მის საშუალო სიმაღლეს. მაგრამ იგი მიმზიდველი ვერ იქნებოდა მამაკაცებისათვის. ვარენკა მშვენიერ, ჯერ კიდევ ფურცლებგაუცვენელ, მაგრამ უკვე დამჭკნარ, სურნელს მოკლებულ ყვავილს ჰგავდა. გარდა ამისა, ვერ იქნებოდა მამაკაცებისათვის მიმზიდველი იმის გამოც, რომ

აკლდა ის, რაც მეტად უხვად ჰქონდა კიტის – დაუოკებელი ცეცხლი სიცოცხლისა და თავისი მომხიბვლელობის შეგნება.

ვარენკა თითქმის ყოველთვის დაკავებული იყო საქმით, რაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, ამიტომაც თითქოს გარეშე ამბები მისთვის საინტერესო აღარ უნდა ყოფილიყო. კიტის განსაკუთრებით იზიდავდა ეს წინააღმდეგობა. გრძნობდა, რომ ვარენკა, მისი ცხოვრება მაგალითის მიმცემი იქნებოდა იმისა, რასაც ასე ტანჯვით ეძიებდა: სიცოცხლის სიყვარულისა და ღირსების შეგნება მაღალ საზოგადოებაში მიღებული კაცისა და ქალის იმ საძულველი ურთიერთობის გარეშე, რომელიც ზიზღსა ჰგვრიდა კიტის და ახლა ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც სამარცხვინო გამოფენა საქონლისა მყიდველის მოლოდინში. რაც უფრო მეტად აკვირდებოდა თავის უცნობ მეგობარს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ის სრულქმნილი არსება იყო, რომელიც კი ოდესმე წარმოედგინა და მით უფრო დიდი სურვილი ებადებოდა მისი გაცნობისა.

ორივენი დღეში რამდენჯერმე ხვდებოდნენ ერთმანეთს და ყოველ შეხვედრაზე კიტის თვალები ამბობდნენ: „ვინა ხართ? რას წარმოადგენთ? ხომ მართლაც ისეთი მშვენიერი ხართ, როგორიც წარმომიდგენიხართ? მაგრამ, ღვთის გულისათვის, ნუ იფიქრებთ, – დასძენდნენ კიტის თვალები, – რომ თავს ნებას მივცემ, ძალით მოგახვიოთ ჩემი ნაცნობობა. მე მხოლოდ ვტკბები თქვენი ყურებით და მიყვარხართ!“ „მეც მიყვარხართ და თქვენ ძალიან, ძალიან კარგი ხართ. და უფრო მეტადაც შეგიყვარებდით, დრო რომ მქონოდა“, – პასუხობდნენ უცნობი ქალიშვილის თვალები. და კიტი ხედავდა, რომ იგი მართლაც ყოველთვის მოუცლელი იყო: ხან წყლებიდან მოჰყავდა რომელიღაც რუსი ოჯახის ბავშვები, ხან პლედი მიჰქონდა ავადმყოფისათვის და ახურავდა, ხან ცდილობდა გაერთო გაჯავრებული ავადმყოფი, ანდა ვიღაცისათვის არჩევდა და ყიდულობდა ნამცხვარს ყავაზე მისართმევად.

მალე, შჩერბაცკების ჩამოსვლის შემდეგ, წყლებზე დილაობით სიარული დაიწყო ვიღაც ორმა უცნობმა, რომლებმაც საზოგადოების საყოველთაო წყრომა დაიმსახურეს. ესენი იყვნენ ერთი ძალიან მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი, რომელსაც უზარმაზარი ხელები ჰქონდა და თავის სიმაღლესთან შედარებით მეტად მოკლე, ძველი პალტო ეცვა, ხოლო შავი, თითქოს გულუბრყვილო თვალები ყოველთვის

საზარელი ჰქონდა, და მეორე ჩოფურა, მაგრამ სანდომიანი სახის ქალი, რომელსაც ძალიან ცუდად და უგემოვნოდ ეცვა, ეს უცნობები კიტიმ რუსებად მიიჩნია და გონებაში უკვე შეუდგა მათზე მშვენიერი, გულის ამაჩუყებელი რომანის შეთხზვას. მაგრამ ქალბატონმა kurliste-დან[28] შეიტყო, რომ ესენი იყვნენ ნიკოლაი ლევინი და მარია ნიკოლაევნა, აუხსნა კიტის, რა საძაგელი პიროვნება იყო ეს ლევინი და მთელი ოცნება ამ ორ ადამიანზე გაქრა. კიტის მეტისმეტად არ სიამოვნებდა იგი არა იმის გამო, რაც დედამ უამბო, არამედ იმიტომ, რომ იგი კონსტანტინ ლევინის ძმა იყო. ახლა ეს ლევინი მისთვის ჩვეული თავის ქნევით დაუძლეველ ზიზღის გრძნობას აღუძრავდა.

ეჩვენებოდა, რომ მის დიდ, საზარელ თვალებში, რომლებიც ასე ჯიუტად მისჩერებოდნენ, სიძულვილი და დაცინვა იხატებოდა და კიტიც ყოველთვის გაურბოდა მათთან შეხვედრას.

XXXI

ცუდი ამინდი იყო. მთელი დილა გადაუღებლად წვიმდა და ქოლგებიანი ავადმყოფები შუშაბანდში ირეოდნენ.

კიტი დედასა და მოსკოველ პოლკოვნიკთან ერთად დასეირნობდა. პოლკოვნიკი მეტისმეტად კარგ ხასიათზე იყო, თავი მოსწონდა ფრანკფურტში ნაყიდი ევროპული სერთუკით. ისინი შუშაბანდის ერთ მხარეს დასეირნობდნენ და ცდილობდნენ, როგორმე თავი აერიდებინათ ლევინისათვის, რომელიც შუშაბანდის მეორე მხარეს დადიოდა. ვარენკა ვიღაც უსინათლო ფრანგ ქალთან ერთად დასეირნობდა შუშაბანდის მთელ სიგრძეზე. ტანთ მუქი ფერის კაბა ეცვა და ფარფლებდაშვებული შავი ქუდი ეხურა. ყოველთვის, როცა კიტის შეხვდებოდა, ორივენი სიყვარულით აღსავსე თვალებით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს.

– დედა, არ შეიძლება გამოველაპარაკო? – უთხრა დედას კიტიმ, რომელიც თვალს ადევნებდა თავის უცნობ მეგობარს და შენიშნა, რომ იგი წყაროსკენ მიდიოდა, სადაც შეიძლებოდა

შეხვედროდნენ ერთმანეთს.

– თუ ასე ძალიან გინდა, ჯერ წინასწარ გავიგებ, ვინ არის და მივალ კიდეც, – უთხრა დედამ, – რა ნახე მასში ასეთი განსაკუთრებული? კომპანიონი უნდა იყოს. თუ გინდა, გამოვეცნაურები მადამ შტალს. მე მის belle-soeur[29]-ს ვიცნობდი, – თქვა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ და ამაყად ასწია თავი.

კიტიმ იცოდა, დედა განაწყენებული იყო იმის გამო, რომ ქალბატონი შტალი თითქოს გაურბოდა მასთან ნაცნობობას და ამიტომაც აღარაფერი უთხრა.

– საოცრად კარგია! – თქვა კიტიმ და გადახედა ვარენკას, რომელიც ამ დროს ჭიქას აწოდებდა ფრანგ ქალს, – შეხედეთ, როგორ სადად, როგორ საყვარლად აკეთებს ყველაფერს.

– სასაცილოა შენი engouements,[30] – შენიშნა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, – უმჯობესია უკან დავბრუნდეთ, – დაუმატა მან, როცა შენიშნა, რომ ლევინი თავისი მანდილოსნითა და ექიმითურთ მისკენ მოდიოდა. იგი რაღაცას ხმამაღლა, გულმოსულად ელაპარაკებოდა ექიმს.

შემობრუნდნენ კიდეც, უკან უნდა გატრიალებულიყვნენ, მაგრამ ამ დროს ხმამაღალი ლაპარაკი კი არა, ყვირილი შემოესმათ. ლევინი ერთ ადგილას გაჩერებულიყო და რაღაცას უყვიროდა ექიმს. ექიმიც ცხარობდა. მათ ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი. ქალბატონი შჩერბაცკაია და კიტი საჩქაროდ გასცილდნენ ამ ადგილს, პოლკოვნიკი კი თავმოყრილ ხალხს შეერია, რათა გაეგო, რა მოხდა.

რამდენიმე წუთში პოლკოვნიკი ისევ წამოეწია მათ.

– რა მოხდა? – იკითხა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ.

– სირცხვილი და თავის მოჭრა! – უპასუხა პოლკოვნიკმა, – მართლაც რომ გეშინია კაცს საზღვარგარეთ რუსებთან შეხვედრის. ეს მაღალი ვაჟბატონი ექიმს წაეჩხუბა, ისე ვერა მწამლობ, როგორც საჭიროაო. ჯოხიც კი მოუღერა. პირდაპირ თავის მოჭრაა.

– ოჰ, რა არასასიამოვნო ამბავია! – შენიშნა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, – მერე რითი გათავდა?

– მადლობა ღმერთს, ის ქალი ჩაერია... სოკოსავით ქუდი რომ ახურავს. რუსი უნდა იყო, მგონი, – უთხრა პოლკოვნიკმა.

– M-lle ვარენკა? – სიხარულით იკითხა კიტიმ.

– დიახ, დიახ, ყველაზე ადრე იმან მოისაზრა, ხელი მოჰკიდა იმ ვაჟბატონს და წაიყვანა.

– აი, ხომ ხედავ, დედა, – მიუბრუნდა კიტი დედას, – თქვენ კი გიკვირთ, რომ მე აღტაცებული ვარ.

მეორე დღეს, როცა კიტი კვლავ განაგრძობდა თავისი უცნობი მეგობრის თვალთვალს, შენიშნა, რომ ვარენკას ახლა ისეთივე ურთიერთობა გაება ლევინსა და მის მახლობელ ქალთან, როგორიც თავის სხვა protégés-თან.[31] იგი მიდიოდა მათთან, ემუსაიფებოდა, თარჯიმნობას უწევდა ქალს, რომელიც არც ერთ უცხო ენაზე არ ლაპარაკობდა.

კიტიმ ახლა უფრო მეტად დაუწყო ხვეწნა დედას, ნება მიეცა გასცნობოდა ვარენკას. თუმცა ქალბატონ შჩერბაცკაიასთვის თითქოს არასასიამოვნო იყო, გადაედგა პირველი ნაბიჯი ქალბატონ შტალის გასაცნობად, რომელიც ნებას აძლევდა თავის თავს ეამაყა რაღაცით, მაგრამ მაინც შეაგროვა დაწვრილებითი ცნობები ვარენკას შესახებ და რაკი დარწმუნდა, ამ ნაცნობობაში ცუდი არაფერი იქნებოდა, თუმცა არც სახარბიელოს ხედავდა რამეს, პირველად თვითონ მივიდა ვარენკასთან და გაეცნო.

როცა კიტი წყაროსკენ წავიდა, ხოლო ვარენკა მეფუნთუშეს პირდაპირ იდგა, ქალბატონმა შჩერბაცკაიამ დრო შეურჩია და მივიდა ვარენკასთან.

– ნება მომეცით, გაგეცნოთ, – თავისებური ღირსეული ღიმილით მიმართა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, – ჩემს ქალიშვილს მეტისმეტად შეუყვარდით, – განაგრძო მან, – თქვენ შეიძლება არც მიცნობთ. მე...

– ეს უფრო მეტია, ვიდრე ურთიერთსიყვარული, ქალბატონო, – საჩქაროდ უპასუხა ვარენკამ.

– როგორი კეთილი საქმე გაუკეთეთ გუშინ იმ ჩვენ საბრალო თანამემამულეს, – უთხრა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ.

ვარენკა წამოწითლდა.

– არ მახსოვს, მგონი, არაფერი გამიკეთებია, – უთხრა მან.

– როგორ არა, თქვენ უსიამოვნებისაგან იხსენით ეს ლევინი.

– დიახ, sa compagne[32]-მა დამიძახა და მეც შევეცადე, დამემშვიდებინა. ძალიან ავად არის და უკმაყოფილოა ექიმით. მე უკვე შეჩვეული ვარ ასეთი ავადმყოფების მოვლას.

– ჰო, გავიგე, რომ თქვენ მეტონში ცხოვრობთ თქვენს მამიდასთან, მგონი, შტალთან ერთად. მე მის belle-souer-ს ვიცნობდი.

– არა, ის ჩემი მამიდა არ არის, მე მას maman-ს ვეძახი, – უპასუხა და ისევ წამოწითლდა.

ეს ისე უბრალოდ იყო ნათქვამი, ისეთი საოცარი ალალ-მართალი და გულღია გამოხედვა ჰქონდა, რომ ქალბატონი შჩერბაცკაია მაშინვე მიხვდა, რატომ შეიყვარა მისმა კიტიმ ვარენკა.

– ჰო, რას აპირებს ეგ ლევინი? – ჰკითხა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ.

– მიდის აქედან, – უპასუხა ვარენკამ.

სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ წყაროდან გამობრუნებული კიტი. სიხარულით უბრწყინავდა სახე იმის გამო, რომ დედამ მისი უცნობი მეგობარი გაიცნო.

– აი, კიტი, შენი დიდი სურვილი, გასცნობოდი m-lle...

– ვარენკას, – ღიმილით მიაშველა ვარენკამ, – ყველა ასე მეძახის.

კიტი სიხარულისაგან გაწითლდა, ხელი ჩამოართვა თავის მეგობარს და დიდხანს უხმოდ უჭერდა ხელს ხელზე. მაგრამ ვარენკას ხელი არ პასუხობდა მისი ხელის ჩამორთმევას, უძრავად იდო კიტის ხელში. მართალია, ხელის ჩამორთმევას არ პასუხობდა, მაგრამ სახე კი გაუბრწყინა ჩუმმა, მხიარულმა, თუმცა ოდნავ ნაღვლიანმა ღიმილმა და გამოაჩინა დიდი, მაგრამ მშვენიერი კბილები.

– მე თვითონაც დიდი ხანია მსურდა ეს, – უთხრა მან.

– მაგრამ თქვენ ისე მოუცლელი ხართ...

– ოჰ, პირიქით, მე საქმე არაფერი მაქვს, – უპასუხა ვარენკამ, მაგრამ სწორედ ამ დროს იძულებული შეიქნა მიეტოვებინა თავისი ახალი ნაცნობები, რადგან ორი პატარა რუსი გოგონა, რომელიღაც ავადმყოფის ბავშვები, მისკენ მორბოდა.

– ვარენკა, დედა გეძახით! – უყვიროდნენ ისინი.

და ვარენკაც უკან გაჰყვა მათ.

XXXII

დაწვრილებითი ცნობები, რომელიც ქალბატონმა შჩერბაცკაიამ შეიტყო ვარენკას წარსულზე, მადამ შტალთან მის ურთიერთობასა და თვით მადამ შტალზე, ასეთი იყო.

მადამ შტალი, რომელზეც ერთნი ამბობდნენ, ქმარი გააწამაო, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, ქმარმა თავისი უზნეო საქციელით გატანჯაო, მუდამ ასეთი ავადმყოფი, აღტაცებული ქალი იყო. პირველი შვილი რომ შეეძინა, უკვე გაცილებული იყო ქმართან. ბავშვი დაბადებისთანავე გარდაიცვალა და ქალბატონ შტალის ნათესავებმა, რაკი იცოდნენ მისი მგრძნობიარობის ამბავი და ეშინოდათ, ამ ამბის გაგებას თან არ გადაჰყვესო, შეუცვალეს ბავშვი და პეტერბურგში იმავე ღამეს, იმავე სახლში დაბადებული გოგონა, სასახლის მზარეულის შვილი მიუყვანეს. ეს გოგონა გახლდათ ვარენკა. მადამ შტალმა მოგვიანებით შეიტყო, რომ ვარენკა მისი შვილი არ იყო, მაგრამ მაინც განაგრძობდა მის აღზრდას, მით უმეტეს, რომ მალე ვარენკას აღარავინ დარჩა თავის ნათესავთაგან.

მადამ შტალი აგერ ათ წელზე მეტი იყო სულ საზღვარგარეთ, სამხრეთში ცხოვრობდა და არასოდეს დგებოდა ლოგინიდან. ერთნი ამბობდნენ, მადამ შტალმა საზოგადოებაში თვითონვე შეიქმნა ქველმოქმედი და დიდად მორწმუნე ქალის სახელიო; მეორენი ამტკიცებდნენ, მართლაც ისეთი მეტისმეტად მაღალი ზნეობის ადამიანია, მხოლოდ მოყვასთა საკეთილდღეოდ რომ ცხოვრობსო. არავინ იცოდა, რა სარწმუნოებისა იყო – კათოლიკე, პროტესტანტი თუ მართლმადიდებელი, მაგრამ

ერთი რამ კი ჭეშმარიტი იყო – მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველა ეკლესიისა და სარწმუნოების უაღრესად მაღალი თანამდებობის პირებთან.

ვარენკაც სულ მასთან ერთად ცხოვრობდა საზღვარგარეთ და ყველა, ვინც კი მადამ შტალს იცნობდა, იცნობდა და უყვარდა m-lle ვარენკაც, როგორც ეძახდნენ მას ყველანი.

როცა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ დაწვრილებით შეიტყო ეს ცნობები, დარწმუნდა, რომ საძრახისი არაფერი იყო იმაში, რომ მისი ქალიშვილი დაახლოებოდა ვარენკას, მით უმეტეს, რომ ვარენკას საუკეთესო აღზრდა ჰქონდა მიღებული: იგი მშვენივრად ლაპარაკობდა ფრანგულად და ინგლისურად, მთავარი კი ის იყო, რომ ვარენკამ გადასცა ქალბატონ შჩერბაცკაიას მადამ შტალის სინანული, ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ თქვენი გაცნობის სიამოვნებასო.

ვარენკასკთან გაცნობის შემდეგ კიტი დღითი დღე უფრო და უფრო იხიბლებოდა თავისი ახალი მეგობრით და სულ ახალ-ახალ ღირსებას პოულობდა მასში.

ქალბატონმა შჩერბაცკაიამ გაიგო, ვარენკა კარგად მღერისო და სთხოვა, საღამოს მისულიყო მათთან და ემღერა რამე.

– კიტი უკრავს, ფორტეპიანოც გვაქვს, მართალია, კარგი არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებთ, – უთხრა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ და თავისებურად თვალთმაქცურად გაუღიმა, რაც ამჯერად განსაკუთრებით არ ესიამოვნა კიტის, რადგან შენიშნა, რომ ვარენკას არ სურდა სიმღერა. მაგრამ ვარენკა მაინც მოვიდა საღამოს მათთან და თან ნოტების რვეული მოიტანა. ქალბატონმა შჩერბაცკაიამ პოლკოვნიკი და მარია ევგენიევნა მიიწვია ქალიშვილითურთ.

ვარენკა, ეტყობოდა, სრულიად გულგრილად შეხვდა იმ ამბავს, რომ აქ მისთვის უცხო ადამიანებიც იყვნენ, და მაშინვე ფორტეპიანოსთან მივიდა. მას არ შეეძლო თავისი თავის აკომპანირება, მაგრამ ხმით კი მშვენივრად კითხულობდა ნოტებს. კიტი, რომელიც კარგად უკრავდა, ფორტეპიანოს მიუჯდა.

– თქვენ არაჩვეულებრივი ნიჭი გაქვთ, – უთხრა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ მას შემდეგ, რაც ვარენკამ მშვენივრად შეასრულა პირველი პიესა.

მარია ევგენიევნა და მისი ქალიშვილიც მადლობას უხდიდნენ ვარენკას და აქებდნენ.

– შეხედეთ, – წამოიძახა პოლკოვნიკმა, რომელიც ფანჯარაში იყურებოდა, – რამდენ ხალხს მოუყრია თავი მოსასმენად! – მართლაც, ფანჯარასთან საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი.

– დიდად მოხარული ვარ, რომ ეს სიამოვნებას განიჭებთ, – უბრალოდ უპასუხა ვარენკამ.

კიტი სიამაყით შეჰყურებდა თავის მეგობარს. იგი აღტაცებული იყო მისი ხელოვნებითაც, მისი ხმითაც და სახითაც, მაგრამ ყველაზე მეტად კი მისი საქციელი აკვირვებდა. ვარენკა თითქოს არ ფიქრობდა თავის სიმღერაზე და სრულიად გულგრილად ისმენდა ქებას; იგი თითქოს მხოლოდ იმას კითხულობდა, კიდევ საჭიროა სიმღერა თუ საკმარისიაო?

„მე რომ ვყოფილიყავი, – ფიქრობდა კიტი, – როგორ ვიამაყებდი ამით! როგორ გავიხარებდი, როცა ფანჯარასთან თავმოყრილ ხალხს გადავხედავდი! მისთვის კი სულერთია. მას მხოლოდ ის სურვილი ამოძრავებს, რომ უარი არ უთხრას და სიამოვნება მიანიჭოს maman-ს. რა არის მასში ასეთი? რა აძლევს იმის ძალას, რომ უგულებელყოს ყველაფერი და დამოუკიდებლად მშვიდი იყოს? როგორ მინდა მეც ვიცოდე, როგორ მინდა მეც ვისწავლო ეს მისგან“, – ფიქრობდა კიტი, როცა მის დამშვიდებულ სახეს შეჰყურებდა. ქალბატონმა შჩერბაცკაიამ სთხოვა ვარენკას კიდევ ემღერა. ვარენკამ მეორე პიესაც შეასრულა, ისევე ზუსტად, მკაფიოდ და კარგად. იგი გამართული იდგა ფორტეპიანოსთან, მზემოკიდებულ გამხდარ ხელს ფორტეპიანოს ტაქტს აყოლებდა და მღეროდა.

შემდეგი პიესა რვეულში იტალიური სიმღერა იყო.

კიტიმ პრელუდია შეასრულა და ვარენკას გადახედა.

– გამოვტოვოთ ეს, – უთხრა ვარენკამ და წამოწითლდა.

კიტიმ შეშინებული, კითხვის გამომხატველი თვალით შეხედა ვარენკას.

– კარგი, მაშ, სხვა დავუკრათ, – საჩქაროდ უპასუხა მან და გადაფურცლა რვეული, მაშინვე მიხვდა, რომ ამ პიესასთან რაღაც იყო დაკავშირებული.

– არა, – უპასუხა ვარენკამ, ნოტებზე ხელი დაადო და გაიღიმა, – არა, ეს ვიმღეროთ.

და ვარენკამ ეს პიესაც ისევე მშვიდად, აუღელვებლად და კარგად შეასრულა, როგორც წინა პიესები.

სიმღერა რომ დაამთავრა, ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადეს ვარენკას და ყველანი ჩაის დასალევად გავიდნენ. კიტი და ვარენკა იქვე სახლის მახლობლად ბაღში ჩავიდნენ.

– ხომ მართალია, რომ ამ სიმღერასთან რაღაც მოგონება გაკავშირებთ? – უთხრა კიტიმ, – ნურაფერს მეტყვით, – საჩქაროდ დაუმატა მან, – მხოლოდ ის მითხარით, მართალია თუ არა?

– არა, რატომ არა, გეტყვით, – უბრალოდ უთხრა ვარენკამ და პასუხსაც აღარ დაელოდა, ისე განაგრძო, – დიახ, ეს მოგონება ოდესღაც მძიმე იყო. მე ერთი ვაჟი მიყვარდა და ამ სიმღერას იმას ვუმღეროდი ხოლმე.

კიტი ფართოდ გახელილი თვალებით უხმოდ, გრძნობამორევით შეჰყურებდა ვარენკას.

– მე მიყვარდა იგი, მასაც ვუყვარდი, მაგრამ დედამისმა არ ინდომა და მან სხვა შეირთო. ახლა ის ჩვენს მახლობლად ცხოვრობს, ხანდახან მხვდება კიდეც. თქვენ არ გეგონათ განა, რომ მეც მქონდა რომანი? – უთხრა მან და მის ლამაზ სახეზე ოდნავ გაიელვა იმ ნაპერწკალმა, რომელიც, როგორც ეს კიტიმ იგრძნო, ოდესღაც მთლად აცისკროვნებდა მის სახეს.

– როგორ არ მიფიქრია? მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, თქვენი გაცნობის შემდეგ ვერც ერთ ქალს ვეღარ შევიყვარებდი. მხოლოდ ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეძლო დედის გულის მოსაგებად თქვენი დავიწყება და გაუბედურება. მას გული არა ჰქონია.

– ოჰ, არა, ძალიან კარგი ადამიანია და მეც არა ვარ უბედური, პირიქით, ძალიან ბედნიერი ვარ. მაშ, დღეს მეტს აღარ ვიმღერებთ? – დაუმატა მან და სახლისკენ გასწია.

– რა კარგი ხართ, რა კარგი! – წამოიძახა კიტიმ, ვარენკას შეაჩერდა და აკოცა, – ნეტავ შემეძლოს, ოდნავ მაინც გგავდეთ თქვენ!

– რატომ გინდათ, რომ ჰგავდეთ ვინმეს? თქვენ ასედაც კარგი ხართ, – უთხრა ვარენკამ და გაუღიმა თავისი მშვიდი, მოქანცული ღიმილით.

– არა, მე სულაც არა ვარ კარგი. აბა, მაშ, მითხარით... მოიცადეთ, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ, – უთხრა კიტიმ და ისევ თავის გვერდით სკამზე დასვა ვარენკა, – მითხარით, განა შეურაცხმყოფელი არ არის იმის ფიქრი, რომ მამაკაცმა უარი თქვა შენს სიყვარულზე, რომ მან არ მოინდომა?

– მას ხომ უარი არ უთქვამს, მე დარწმუნებული ვარ, მას ვუყვარდი, მაგრამ მორჩილი შვილი აღმოჩნდა...

– მაგრამ დედის ნება-სურვილით კი არა, ისე, თავისით რომ ეთქვა უარი?.. – ეუბნებოდა კიტი და გრძნობდა, რომ უკვე გასცა თავისი საიდუმლოება, რომ მისი სირცხვილისაგან ალმოდებული სახე ახლა ყველაფერს ამხელდა.

– მაშინ იგი ცუდად მოიქცეოდა და მეც აღარ ვინანებდი მასზე, – უპასუხა ვარენკამ, რომელიც, ეტყობოდა, მიხვდა, რომ ეს ლაპარაკი უკვე კიტის შეეხებოდა და არა მას.

– მერე შეურაცხყოფა? – უთხრა კიტიმ, – შეურაცხყოფის დავიწყება ხომ არ შეიძლება? – და გაახსენდა, როგორი თვალით შეხედა ვრონსკის უკანასკნელ ბალზე, როცა მუსიკა შეწყდა.

– შეურაცხმყოფელი რა არის? თქვენ ხომ არ მოქცეულხართ ცუდად?

– ცუდზე უარესად, სამარცხვინოდ.

ვარენკამ თავი გააქნია და ხელზე ხელი დაადო კიტის.

– რისი უნდა გრცხვენოდეთ? – უთხრა მან, – თქვენ ხომ არ შეგეძლოთ, გეთქვათ, მიყვარხართო იმ მამაკაცისათვის, რომელიც გულგრილი იყო თქვენდამი?

– რასაკვირველია, არა; მე არასოდეს ერთი სიტყვაც არ მითქვამს ამის შესახებ, მაგრამ მან იცოდა ეს. არა, არა, არსებობს ისეთი გამოხედვა, ისეთი მანერები. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდება.

– მერე რა მოხდა? ეს ჩემთვის გაუგებარია! მთავარი ის არის, გიყვართ თუ არა ამჟამად იგი, – უთხრა ვარენკამ, რომელიც მოურიდებლად არქმევდა ყველაფერს თავის სახელს.

– მე ახლა მძულს იგი და მაინც ვერ მიპატიებია ეს ჩემი თავისთვის.

– მაშ, რაღა გაწუხებთ?

– სირცხვილი, შეურაცხყოფა!

– აჰ, ყველანი რომ ასეთი მგრძნობიარენი ყოფილიყვნენ, როგორც თქვენა ხართ! – უთხრა ვარენკამ, – ვერ ნახავთ ვერც ერთ ქალიშვილს, რომელსაც ეს არ განეცადოს და ყოველივე ეს მეტად უმნიშვნელოა.

– მაშ, რაღაა მნიშვნელოვანი? – ჰკითხა კიტიმ და ცნობისმოყვარედ, განცვიფრებით შეაჩერდა სახეში.

– ოჰ, მნიშვნელოვანი ბევრი რამ არის, – ღიმილით უთხრა ვარენკამ.

– მაინც რა?

– აჰ, ბევრი რამ, – მიუგო ვარენკამ, რომელმაც არ იცოდა, რა ეთქვა. მაგრამ ამ დროს ფანჯრიდან დედის ხმა მოისმა: – კიტი, სიგრილეა! ან შალი წაიღე, ან სახლში ამოდი.

– მართლაც, დროა უკვე, – თქვა ვარენკამ და წამოდგა, – მე m-me Berthe-თანაც უნდა შევიარო. მთხოვა, მოდიო.

კიტის ხელში ეჭირა ვარენკას ხელი და მისი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები თითქოს ვედრებით ეკითხებოდნენ: „რა არის, რა არის ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ასეთ სიმშვიდეს განიჭებთ? თქვენ ეს იცით, მითხარით მეც!“ მაგრამ ვარენკა იმასაც ვერ გრძნობდა, რას ეკითხებოდნენ კიტის თვალები. მას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ დღეს m-me Berthe-თან უნდა შეევლო და თორმეტი საათისათვის ჩაიზე უნდა მიესწრო maman-თან. ვარენკა ოთახში შევიდა, ნოტები აალაგა, გამოემშვიდობა ყველას და წასასვლელად გაემზადა.

– ნება მომეცით, გაგაცილოთ, – უთხრა პოლკოვნიკმა.

– მართლაც როგორ უნდა წახვიდეთ მარტო ამ ღამეში? – კვერი დაუკრა ქალბატონმა შჩერბაცკაიამაც, – პარაშას მაინც გაგაყოლებთ.

კიტი ხედავდა, რომ ვარენკა ძლივსღა იკავებდა ღიმილს, როცა ეუბნებოდნენ, გაცილება საჭიროაო.

– არა, მე სულ მარტო დავდივარ და არასოდეს არაფერი შემმთხვევია, – თქვა ვარენკამ და ქუდი აიღო. ერთხელ კიდევ აკოცა კიტის, ისე, რომ არ უთქვამს, რა იყო მნიშვნელოვანი. ნოტები იღლიაში ამოიდო, მხნე ნაბიჯით ოთახიდან გავიდა და ზაფხულის ღამის ბინდბუნდში მიიმალა, თან წაიღო საიდუმლო იმისა, თუ რა იყო მნიშვნელოვანი, რა ანიჭებდა ამ საშურველ სიმშვიდესა და სიამაყეს.

XXXIII

კიტი ქალბატონ შტალსაც გაეცნო და ეს ნაცნობობა, ვარენკას მეგობრობასთან ერთად, არა მარტო ძლიერ გავლენას ახდენდა მასზე, არამედ ანუგეშებდა კიდევ მწუხარებაში. ეს ნუგეში იმაში პოვა, რომ კიტის ამ ნაცნობობის წყალობით გადაეშალა სრულიად ახალი სამყარო, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მის წარსულთან, ზეამაღლებული მშვენიერი სამყარო, რომლის მწვერვალებიდანაც შეეძლო დამშვიდებით ეცქირა წარსულისთვის. კიტისათვის ახლა ნათელი შეიქნა, რომ გარდა ინსტინქტური ცხოვრებისა, ესე იგი იმ ცხოვრებისა, რომელსაც კიტი ამდენ ხანს ეძლეოდა, არსებობს სულიერი ცხოვრებაც. ეს ცხოვრება კიტისთვის ხილული შეიქნა სარწმუნოების მეოხებით, იმ სარწმუნოებისა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რასაც ბავშვობიდანვე იცნობდა და რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დადიოდნენ ქვრივთა სახლში, სადაც ხვდებოდნენ სხვა ნაცნობებსაც, ისმენდნენ წირვასა და მწუხრის ლოცვას და მღვდელთან ერთად იზეპირებდნენ სლავურ ტექსტებს. ეს იყო ზეამაღლებული, იდუმალებით მოცული სარწმუნოება, რომელიც დაკავშირებული იყო მშვენიერ აზრებსა და გრძნობებთან, რომლებიც შეგეძლო გერწმუნა არა მარტო იმისათვის, რომ ასე იყო ნაბრძანები, არამედ შეგეძლო შეგეყვარებინა კიდეც.

ყოველივე ეს სიტყვებიდან როდი გაუგია კიტის. მადამ შტალი ისე ექცეოდა მას, როგორც საყვარელ ბავშვს, რომლის ყურებაც სიამოვნებას გგვრის, როგორც საკუთარი ახალგაზრდობის გახსენება. მხოლოდ ერთხელ გაიხსენა, რომ ყოველგვარ

ადამიანურ მწუხარებაში მარტოოდენ სიყვარული და რწმენა იძლევა ნუგეშს, რომ ქრისტე მოწყალეა და მისთვის უმნიშვნელო მწუხარება არ არსებობსო, და მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი. მაგრამ კიტი მადამ შტალის ყოველ მოძრაობაში, თითოეულ მის სიტყვაში, ყოველ მის ციურ გამოხედვაში, როგორც უწოდებდა ხოლმე კიტი, განსაკუთრებით კი მის განვლილ ცხოვრებაში, რომელიც მან ვარენკასაგან იცოდა, ყოველივე ამაში ხედავდა, თუ რა იყო, „ის მნიშვნელოვანი“, რაც აქამდე არ იცოდა.

მაგრამ რარიგ ზნეობრივად მაღალი უნდა ყოფილიყო მადამ შტალი, რარიგ ამაღლებული უნდა ყოფილიყო მთელი მისი წარსული, რარიგ ზეამაღლებული და საყვარელი უნდა ყოფილიყო მისი საუბარი, კიტიმ უნებურად მაინც შენიშნა ზოგიერთი რამ, რამაც შეაშფოთა იგი. კიტიმ შენიშნა, რომ როცა მადამ შტალი მშობლების შესახებ ეკითხებოდა, მან ზიზღით გაიღიმა, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ სათნოებას. ისიც შენიშნა, რომ ერთხელ, როცა მადამ შტალი კათოლიკე მღვდელმა ინახულა, სახეს განზრახ აფარებდა შუქფარის ჩრდილს და უცნაურად იღიმებოდა. რარიგ უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო ეს ორი შემთხვევა, კიტის მაინც აშფოთებდა ეს და მან უკვე ეჭვის თვალით შეხედა მადამ შტალს. სამაგიეროდ ვარენკა, ეს ეული, ნათესავებსა და მეგობრებს მოკლებული, ნაღვლიანი, გულგატეხილი არსება, რომელსაც არაფერი სურდა და არც არავისთვის არაფერი ენანებოდა, კიტისთვის გამხდარიყო სრულყოფილების მწვერვალი, რაც მისთვის საოცნებოდ ქცეულიყო. ვარენკას მაგალითით კიტისათვის ნათელი შეიქნა, რომ საკმარისია დაივიწყო საკუთარი თავი, შეიყვარო სხვები და იქნები დამშვიდებული, ბედნიერი და მშვენიერი. კიტისაც უნდოდა, რომ სწორედ ასეთი გამხდარიყო. კიტი, რომელიც ახლა ნათლად მიხვდა, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მარტო აღტაცებით როდიღა დაკმაყოფილდა, მაშინვე სულითა და გულით მიეცა ამ ახალ ცხოვრებას. იმისდა მიხედვით, თუ რას ჰყვებოდა ვარენკა მადამ შტალისა და სხვების ცხოვრების შესახებ, რომელთაც იგი ასახელებდა, კიტიმ უკვე შეადგინა მომავალი ცხოვრების გეგმა. ისიც ისე, როგორც ქალბატონ შტალის ძმისწული Aline, რომლის შესახებაც ბევრი რამ უამბო ვარენკამ, ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა, მოძებნიდა უბედურ ადამიანებს, დაეხმარებოდა მათ, რითაც კი შეძლებდა,

დაურიგებდა სახარებას, წაუკითხავდა ავადმყოფებს, ბოროტმოქმედთ და მომაკვდავ ადამიანებს. კიტის განსაკუთრებით იმის ფიქრი აღელვებდა, თუ როგორ წაუკითხავდა სახარებას ბოროტმოქმედთ, ისე როგორც Aline აკეთებდა ამას. მაგრამ ყოველივე ეს მისი საიდუმლო ოცნება იყო, რომელსაც ვერ გაანდობდა ვერც დედას და ვერც ვარენკას.

ამასობაში, სანამ თავის დიდ გეგმებს განახორციელებდა, აქაც, წყლებზე, სადაც ამდენი უბედური და ავადმყოფი ადამიანი იყო, კიტიმ, ვარენკას მიბაძვით, ადვილად მოძებნა შემთხვევა თავისი ახალი წესების გამოსაყენებლად.

პირველად ქალბატონმა შჩერბაცკაიამ მხოლოდ ის შენიშნა, რომ კიტი თავისი engouement-ის, როგორც უწოდებდა ხოლმე მადამ შტალს და განსაკუთრებით კი ვარენკას, დიდ გავლენას განიცდიდა. ქალბატონი შჩერბაცკაია ხედავდა, რომ კიტი მხოლოდ მოქმედებაში როდი ბაძავდა ვარენკას, უნებურად მისი სიარული, ლაპარაკი და თვალების ხამხამიც გადაიღო. შემდეგში ქალბატონმა შჩერბაცკაიამ შენიშნა, რომ მის ქალიშვილში, ამ გატაცების გარდა, რაღაც დიდი სულიერი გარდატეხაც ხდებოდა.

ქალბატონი შჩერბაცკაია ხედავდა, რომ კიტი საღამოობით ქალბატონ შტალის ნაჩუქარ ფრანგულ სახარებას კითხულობდა, რასაც წინათ არ სჩადიოდა. ხედავდა, რომ კიტი გაურბოდა თავის ნაცნობებს მაღალი საზოგადოებიდან და უახლოვდებოდა ვარენკას მფარველობაში მყოფ ავადმყოფებს; განსაკუთრებით დაუახლოვდა ვიღაც ავადმყოფი მხატვრის, პეტროვის ღარიბ ოჯახს. კიტი, ეტყობოდა, ამაყობდა იმით, რომ ამ ოჯახისათვის ის იგივე იყო, რაც მოწყალებისა და. ყველაფერი ეს კარგი იყო და ქალბატონ შჩერბაცკაიასაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ პეტროვის მეუღლე სავსებით წესიერი ქალი იყო და პრინცესამაც, რომელმაც შენიშნა კიტის ეს მოქმედება, შეაქო კიტი და ნუგეშისმცემელი ანგელოზი უწოდა. ყველაფერი ეს ძალიან კარგი იქნებოდა, გადაჭარბება რომ არ ყოფილიყო, ქალბატონი შჩერბაცკაია ხედავდა, რომ მისი ქალიშვილი უკიდურესობაში ვარდებოდა და ეუბნებოდა კიდეც ამას.

– Il ne faut jamais rein outrer,[33] – ეუბნებოდა დედა კიტის.

მაგრამ ქალიშვილი პასუხს არ აძლევდა, გულში კი იმას

ფიქრობდა, რომ ქრისტიანულ საქმიანობაში გადაჭარბებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აბა, რა გადაჭარბება უნდა ყოფილიყო იმ მოძღვრებაში, სადაც ნათქვამი იყო, ერთ ლოყაში რომ გაგარტყან, მეორე მიუშვირეო, ხალათი თუ ვინმემ გაგაძრო, პერანგიც თან გააყოლეო? მაგრამ ქალბატონ შჩერბაცკაიას არ მოსწონდა ეს გადაჭარბება და კიდევ უფრო არ მოსწონდა ის, რომ გრძნობდა, კიტის არ სურდა მთელი სული და გული გადაეშალა დედისთვის. მართლაც, კიტი უმალავდა დედას თავის ახალ აზრებსა და გრძნობებს, იმიტომ კი არ უმალავდა, რომ პატივს არ სცემდა ან არ უყვარდა იგი, უმალავდა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მისი დედა იყო. სხვებს უფრო ადვილად გადაუშლიდა გულს, ვიდრე დედას.

– რაღაც დიდი ხანია ანა პავლოვნა აღარ მოსულა ჩვენთან, – უთხრა ერთხელ ქალბატონმა შჩერბაცკაიამ პეტროვის მეუღლეზე, – მოვიპატიჟე კიდეც. თითქოს უკმაყოფილო უნდა იყოს.

– არ ვიცი, maman, მე არ შემინიშნავს, – უპასუხა წამოწითლებულმა კიტიმ.

– შენ დიდი ხანია არ ყოფილხარ მათთან?

– ხვალ ვაპირებთ მთებში გასეირნებას, – უპასუხა კიტიმ.

– მერე რა, წადით, – უთხრა დედამ და ქალიშვილის შეშფოთებულ სახეს დააკვირდა. შეეცადა, გაეგო ამ შეშფოთების მიზეზი.

სწორედ ამ დღეს ვარენკაც მოვიდა სადილად და შეატყობინა, ანა პავლოვნამ გადაიფიქრა ხვალისათვის მთებში გასეირნებაო და ქალბატონმა შჩერბაცკაიამ შენიშნა, რომ კიტი კიდევ წამოწითლდა.

– კიტი, რაიმე უსიამოვნება ხომ არ მოგსვლია პეტროვებთან? – ჰკითხა ქალბატონმა შჩერბაცკაიამ, როცა მარტონი დარჩნენ, – რატომ აღარ აგზავნის ჩვენთან ბავშვებს და თვითონაც აღარ მოდის?

კიტიმ უპასუხა, ჩვენ შორის არაფერი მომხდარა და სრულიად გაუგებარია ჩემთვის, რატომ უნდა იყოს ანა პავლოვნა ჩემით უკმაყოფილოო. კიტიმ სრული სიმართლე უთხრა დედას. მან არ იცოდა, რატომ გამოიცვალა ანა პავლოვნა, მაგრამ მიმხვდარი

კი იყო. იგი ისეთ რამეს ხვდებოდა, რასაც ვერ ეტყოდა არათუ დედას, თავის თავსაც ვერ გაანდობდა. ეს იმდაგვარი რამ იყო, რაც იცი, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ გაუმხელ, რადგან შეცდომა მეტად საზარელი და სამარცხვინო იქნება.

კიტი ისევ და ისევ იხსენებდა თავის ურთიერთობას ამ ოჯახთან. გაიხსენა, როგორი გულუბრყვილო სიყვარული იხატებოდა ხოლმე ანა პავლოვნას მრგვალ, კეთილ სახეზე კიტისთან შეხვედრისას; გაიხსენა ანა პავლოვნას საიდუმლო საუბარი მასთან ავადმყოფის მდგომარეობისა და იმის შესახებ, რომ როგორმე მოეცილებინათ სამუშაოსათვის, რომელიც აკრძალული ჰქონდა, და სასეირნოდ წაეყვანათ; გაიხსენა, როგორ იყო შეჩვეული მასთან მათი უმცროსი ბიჭუნა, ჩემი კიტიო, ამბობდა ხოლმე მასზე და უმისოდ არ წვებოდა დასაძინებლად. რა კარგი იყო ყველაფერი ეს! შემდეგ გაიხსენა საოცრად გამხდარი პეტროვი, მისი გრძელი კისერი, ყავისფერი სერთუკიდან რომ მოუჩანდა; მისი თხელი, გაწეწილი, ხვეული თმა, კითხვით აღსავსე ცისფერი თვალები, პირველ ხანებში ასე რომ აშინებდნენ კიტის. გაიხსენა მისი ავადმყოფური სურვილი, რომ კიტის იქ ყოფნის დროს მხნედ და სიცოცხლით სავსედ მოეჩვენებინა თავი. გაიხსენა, პირველ ხანებში როგორ ატანდა თავს ძალას, როგორმე დაეძლია ის ზიზღი, რომელსაც გრძნობდა მისდამი, ისე როგორც ყველა ჭლექიანისადმი, და როგორც ცდილობდა, მოეგონებინა რაიმე მისთვის სათქმელად. გაიხსენა, როგორი მოკრძალებით, როგორი ვედრებით შეჰყურებდა მხატვარი. გაიხსენა ის უცნაური თანაგრძნობისა და უხერხულობის გრძნობა და შეგნება თავისი ქველმოქმედებისა, რომელსაც მაშინ განიცდიდა. რა კარგი იყო ყოველივე ეს! მაგრამ ეს იყო პირველ ხანებში. ახლა კი, ამ რამდენიმე დღის წინ, უეცრად გაფუჭდა ყველაფერი. ახლა ანა პავლოვნა რაღაც ყალბი თავაზიანობით ხვდება კიტის და სულ თვალყურს ადევნებს კიტისა და თავის ქმარს.

ნუთუ ის გულის ამაჩუყებელი სიხარული, რომელსაც განიცდიდა ხოლმე პეტროვი კიტის დანახვაზე, გახდა მიზეზი ანა პავლოვნას გულის გაცივებისა?

„დიახ, – გაიხსენა კიტიმ, – რაღაც არაბუნებრივი იყო ანა პავლოვნა, სულ არ ჰგავდა მის გულკეთილობას, როცა ამ სამი დღის წინ წყენით მითხრა, აი, სულ თქვენ გელოდებათ, უთქვენოდ არ ინდომა ყავის დალევა, თუმცა საშინლად კი

დასუსტდა“.

„ჰო, შეიძლება ისიც არ ესიამოვნა, მის ქმარს პლედი რომ მივაწოდე. ეს ისე უბრალოდ მოხდა, მაგრამ პეტროვმა კი ისეთი უხერხულობა იგრძნო, იმდენ ხანს მიხდიდა მადლობას, რომ მეც უხერხულობა ვიგრძენი. ამას დაუმატეთ კიდევ ჩემი პორტრეტი, რომელიც ასე მშვენივრად დახატა და, რაც მთავარია, გამოხედვა! დიახ, დიახ, ეს ასეა! – იმეორებდა შეძრწუნებული კიტი, – არა, ეს არ შეიძლება, ეს არ უნდა მოხდეს! პეტროვი ისეთი შესაბრალისია!“ – იტყოდა ხოლმე ამის შემდეგ კიტი.

ეს ეჭვი უწამლავდა კიტის ახალი ცხოვრების მთელ მშვენიერებას.

XXXIV

წყლებზე მკურნალობის კურსს უკვე ამთავრებდნენ, როცა კვლავ თავისიანებთან დაბრუნდა თავადი შჩერბაცკი, რომელიც კარლსბადიდან ბადენსა და კისინგენში წასულიყო რუსი მეგობრების სანახავად და, როგორც თვითონ ამბობდა, რუსული სულის გასაძლიერებლად.

თავადისა და მისი მეუღლის შეხედულება საზღვარგარეთულ ცხოვრებაზე სრულიად საწინააღმდეგო იყო. ქალბატონ შჩერბაცკაიას საზღვარგარეთ ყველაფერი მშვენიერი ეჩვენებოდა და მიუხედავად იმისა, კარგად იყო მიღებული რუს საზოგადოებაში, მაინც ცდილობდა დამსგავსებოდა ევროპელ მანდილოსანს, რაც სინამდვილეში არ იყო, რადგან ნამდვილი რუსი ქალბატონი გახლდათ, ამიტომაც თვალთმაქცობდა და ამის გამო ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც ვარდებოდა. თავადი კი, პირიქით, მას საზღვარგარეთ ყველაფერი ცუდი ეჩვენებოდა, ევროპული ცხოვრება უმძიმდა, არ იშლიდა რუსულ ჩვეულებებს და ცდილობდა საზღვარგარეთ თავი ეჩვენებინა უფრო ნაკლებად ევროპელად, ვიდრე სინამდვილეში იყო.

თავადი გამხდარი ჩამოვიდა. ლოყებზე ჩვარივით ჰქონდა ჩამოკიდებული კანი, მაგრამ ისე კი ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო. მისი სიხარული კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა სრულიად გამოჯანსაღებული კიტი დაინახა. ქალბატონ შტალსა და ვარენკასთან დამეგობრების ამბავი რომ გაიგო და მოისმინა ქალბატონ შჩერბაცკაიას დაკვირვებები ქალიშვილში მომხდარ რაღაც ცვლილებებზე, თავადი შეშფოთდა. მასში გაიღვიძა ჩვეულმა ეჭვის გრძნობამ ყოველივე იმისადმი, რაც მის გარეშე იტაცებდა მის ქალიშვილს, შიში იგრძნო, რომ კიტის თავი არ დაეღწია მისი გავლენისაგან და რაიმე, მისთვის მიუწვდომელ სფეროში არ გადასულიყო. მაგრამ ეს უსიამოვნო ამბები მაშინვე ჩაიხშო იმ გულკეთილობისა და სიხარულის ზღვაში, რომელიც ყოველთვის ჰქონდა მას და რომელიც განსაკუთრებით გააძლიერა კარლსბადის წყლებმა.

ჩამოსვლის მეორე დღესვე მეტისმეტად გამხიარულებულმა თავადმა ქალიშვილთან ერთად წყლებზე გაისეირნა; თავადს ტანთ გრძელი პალტო ეცვა და გახამებული საყელო მსუქან ლოყებამდე სწვდებოდა.

მშვენიერი დილა იყო. გულს სიხარულით ავსებდა კაშკაშა მზე და სუფთა, მხიარული სახლები პატარ-პატარა ბაღებით, სადაც ხალისიანად მუშაობდნენ სახესა და ხელებზე მზემოკიდებული, ლუდით გაჟღენთილი გერმანელი მოსამსახურე ქალები; მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ წყლებს, მით უფრო ხშირად ხვდებოდნენ ავადმყოფებს, რომლებიც ამ კეთილმოწყობილი გერმანული ცხოვრების ფონზე კიდევ უფრო საცოდავად მოჩანდნენ. კიტის უკვე აღარ აოცებდა ეს წინააღმდეგობა. კაშკაშა მზე, ხასხასა მოლის ელვარება, მუსიკის ხმები მისთვის იყო ყველა ამ ნაცნობ პირთა ბუნებრივი ჩარჩო, რომელთა გამოჯანსაღებას ან ავადმყოფობას მუდამ თვალყურს ადევნებდა; თავადისთვის კი ეს ივნისის სინათლე და კაშკაშა დილა, ორკესტრის ხმები, რომელიც მოდურ, მხიარულ ვალსს უკრავდა, და განსაკუთრებით კი ჯან-ღონით სავსე გერმანელი მოსამსახურე ქალები, რაღაც შეუსაბამოდ, სიმახინჯედაც კი ეჩვენებოდა ევროპის ყველა კუთხიდან მოსულ, ძლივძლივობით მოსიარულე ამ მომაკვდავ ადამიანებთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ თავადი ყოველთვის სიამაყეს გრძნობდა და თითქოს ხელმეორედ უბრუნდებოდა განვლილი

ახალგაზრდობა, როცა თავისი საყვარელი ქალიშვილი მასთან ხელიხელგაყრილი მიდიოდა, ახლა თითქოს რაღაც უხერხულობას გრძნობდა, რცხვენოდა თავისი მხნე ნაბიჯისა და სრული, ჯანსაღი სხეულის გამო. იგი თითქმის იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის საზოგადოებაში გამოსული ჩაუცმელი ადამიანი.

– გამაცანი, გამაცანი შენი ახალი მეგობრები, – ეუბნებოდა თავადი ქალიშვილს და იდაყვს უჭერდა მის ხელს, – მე ეს შენი საძაგელი სოდენიც შემიყვარდა იმის გამო, რომ ასე გამოგაჯანსაღა. მხოლოდ მეტისმეტი, მეტისმეტი მოწყენილობაა თქვენთან. ეს ვინ არის?

კიტი უსახელებდა მამას ნაცნობ თუ უცნობ პირთ, რომლებიც წინ ხვდებოდნენ. სწორედ ბაღის შესასვლელთან მათ უსინათლო m-me Berthe და მისი გამყოლი ქალი შემოხვდათ და თავადს ეამა, როცა დაინახა, როგორი სიხარულით შეხვდა კიტის ეს მოხუცი ფრანგი ქალი, როცა კიტის ხმა გაიგონა. იგი ფრანგული გადამეტებული თავაზიანობით გამოელაპარაკა თავადს და შეაქო იმის გამო, რომ ასეთი მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა, მან ცამდე აიყვანა კიტი, საუნჯეს, მარგალიტსა და ნუგეშისმცემელ ანგელოზს უწოდებდა.

– მაშ, ეს მეორე ანგელოზი ყოფილა, – ღიმილით უთხრა თავადმა, – კიტი პირველ ნომერ ანგელოზად m-lle ვარენკას ასახელებს.

– Oh, m-lle ვარენკა ნამდვილი ანგელოზია, allez,[34] – მაშინვე დაემოწმა m-me Berthe.

გალერეაში მამა-შვილს თვით ვარენკაც შემოხვდა. იგი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა მათკენ, ხელში ლამაზი წითელი ჩანთა ეჭირა.

– აი, მამაც ჩამოვიდა! – უთხრა კიტიმ.

ვარენკამ სრულიად უბრალო, ბუნებრივი მოძრაობა გააკეთა, ისე როგორც სჩვეოდა საერთოდ, ეს იყო რაღაც საშუალო მისალმებასა და რევერანსს შორის, და მაშინვე საუბარი გაუბა თავადს, ისე, როგორც ელაპარაკებოდა ყველას, თამამად და უბრალოდ.

– რაღა თქმა უნდა, მე თქვენ უკვე გიცნობთ, ძალიან კარგად

გიცნობთ, – ღიმილით უთხრა თავადმა და ამ ღიმილზე კიტიმ მაშინვე შენიშნა, რომ მამას მოეწონა მისი მეგობარი, – საით მიგეჩქარებათ ასე?

– Maman აქ არის, – თქვა მან და კიტის მიუბრუნდა, – მთელი ღამე არ სძინებია და ექიმმა აქედან წასვლა ურჩია, სამუშაო მიმაქვს მისთვის.

– მაშ, ეს არის ანგელოზი ნომერი პირველი! – თქვა თავადმა, როცა ვარენკა წავიდა.

კიტიმ შენიშნა, რომ მამას უნდოდა დაეცინა ვარენკასათვის, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა, რადგან მოეწონა.

– აი, ვნახავ ყველა შენს მეგობარს, – დაუმატა მან, – მადამ შტალსაც ვნახავ, თუკი მან ღირსმყო და მიცნო.

– განა შენ იცნობდი მას, მამა? – შიშით ჰკითხა კიტიმ, რაკი დაინახა, რა დამცინავმა ცეცხლმა გაუელვა მამას თვალებში მადამ შტალის ხსენებაზე.

– მის ქმარს ვიცნობდი, მასაც ვიცნობდი შორიდან, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პიეტისტი[35] გახდებოდა.

– რა არის, მამა, პიეტისტი? – ჰკითხა კიტიმ, უკვე შეშინებულმა იმით, რომ იმას, რასაც იგი აფასებდა ქალბატონ შტალში, თავისი სახელი ჰქონია.

– მე თვითონაც არ ვიცი კარგად. მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფრისათვის მადლობას სწირავს ღმერთს, ყოველგვარი უბედურებისთვისაც და იმისთვისაც, რომ ქმარი მოუკვდა. ეს კი სასაცილოა, რადგან ცოლ-ქმარი ცუდად ცხოვრობდა.

– ეს ვინ არის? რა საცოდავი სახე აქვს! – იკითხა მან, როცა მერხზე ჩამომჯდარი დაბალი ტანის, ყავისფერპალტოიანი ავადმყოფი შენიშნა, რომელსაც თეთრი შარვალი საოცარ ნაოჭებად ჩამოჰკიდებოდა გაძვალტყავებულ ფეხებზე.

უცნობმა ჩალის ქუდი ზევით ასწია, თხელი, ხვეული თმა და ქუდისაგან ავადმყოფურად გაწითლებული მაღალი შუბლი გამოაჩინა.

– ეს პეტროვია, მხატვარი, – უთხრა კიტიმ და გაწითლდა, – ეს კი მისი მეუღლეა, – დაუმატა მან და ანა პავლოვნაზე მიუთითა, რომელიც თითქოს განზრახ, სწორედ იმ დროს

გამოეკიდა ბილიკზე გაქცეულ ბავშვს, როცა მამა-შვილი მათ უახლოვდებოდა.

– რა საცოდავი და რა სასიამოვნო სახე აქვს! – უთხრა თავადმა, – რატომ არ მიხვედი? მას, მგონი, რაღაცის თქმა უნდოდა შენთვის.

– მაშ, მივბრუნდეთ, – თქვა კიტიმ და მაშინვე მიტრიალდა, – როგორ გრძნობთ დღეს თავს? – ჰკითხა მან პეტროვს.

პეტროვი წამოდგა, ჯოხს დაებჯინა და მოწიწებით შეხედა თავადს.

– ეს ჩემი ქალიშვილია, – უთხრა თავადმა, – ნება მომეცით, გაგეცნოთ.

მხატვარი მიესალმა თავადს, გაიღიმა და თავისი საოცრად მოელვარე თეთრი კბილები გამოაჩინა.

– ჩვენ გუშინ გელოდით, თავადის ასულო, – უთხრა მან კიტის.

ამას რომ ამბობდა, პეტროვმა წაიბორძიკა, შემდეგ მეორედაც გაიმეორა ეს მოძრაობა, ამით უნდოდა ეჩვენებინა, თითქოს პირველადაც განზრახ წავიბორძიკეო.

– მე მინდოდა მოსვლა, მაგრამ ვარენკა მოვიდა და მითხრა, ანა პავლოვნამ გამომგზავნა იმის სათქმელად, ჩვენ ვეღარ წამოვალთო.

– როგორ თუ ვეღარ წამოვალთო? – თქვა პეტროვმა, გაწითლდა, მაშინვე ხველება აუვარდა და თვალებით ცოლს დაუწყო ძებნა, – ანეტა, ანეტა! – ხმამაღლა დაიყვირა მან და თეთრ წვრილ კისერზე თოკებივით დაეჭიმა მსხვილი ძარღვები.

ანა პავლოვნა მოვიდა მათთან.

– რატომ შეუთვალე თავადის ასულს, ჩვენ აღარ წამოვალთო? – ჩურჩულით თქვა პეტროვმა, რომელსაც სიბრაზისაგან ხმა ჩაუწყდა.

– გამარჯობათ, თავადის ასულო! – თვალთმაქცური ღიმილით მიესალმა ანა პავლოვნა, რაც სულ არ ჰგავდა მათ წინანდელ ურთიერთობას, – ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, – მიუბრუნდა იგი თავადს, – თქვენ დიდი ხანია გელოდით, თავადო.

– რატომ შეუთვალე თავადის ასულს, ჩვენ აღარ წამოვალთო? – კიდევ უფრო გაბრაზებით წაიხიხინა მხატვარმა, ეტყობა, უფრო მეტად ის აბრაზებდა, რომ ხმა ღალატობდა და არ შეეძლო ისეთი ტონი მიეცა ნათქვამისათვის, როგორიც უნდოდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ვიფიქრე, არ წავიდოდით, – წყენით უპასუხა ცოლმა.

– მაშ, როგორღა... – მას ხველა აუვარდა და ხელი ჩაიქნია.

თავადმა ქუდი ასწია და ქალიშვილთან ერთად განშორდა მათ.

– ოჰ, ოჰ! – ღრმად ამოიხვნეშა თავადმა, – ოჰ, უბედურები!

– ჰო, მამა, – უპასუხა კიტიმ, – და იცი, მათ სამი შვილი ჰყავთ, მოსამსახურე კი – არა, და თითქმის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. ცოტა რაღაცას იღებს აკადემიიდან, – უყვებოდა კიტი და ცდილობდა, დაეფარა აღელვება, რომელიც ანა პავლოვნას უცნაურმა საქციელმა გამოიწვია.

– აი, მადამ შტალიც, – თქვა კიტიმ და ხელით საგორებელ ეტლზე მიუთითა, სადაც ქოლგის ქვეშ იდო რაღაც რუხსა და ცისფერში გამოწყობილი და ირგვლივ ბალიშებშემორიგებული.

ეს გახლდათ ქალბატონი შტალი. მის უკან იდგა ჯან-ღონით სავსე, პირქუში გერმანელი მუშა, რომელიც მიაგორებდა მის ეტლს. გვერდით მიჰყვებოდა ქერათმიანი შვედი გრაფი, რომელსაც შორიდან კიტიც იცნობდა. რამდენიმე ავადმყოფმა ნაბიჯი შეანელა მის ეტლთან და ისე შესცქეროდნენ ამ მანდილოსანს, როგორც რაღაც საოცრებას.

თავადი მიუახლოვდა მას და კიტიმ მამის თვალებში მაშინვე შენიშნა დამცინავი ნაპერწკალი, რამაც შეაშფოთა. თავადი მივიდა მადამ შტალთან და განსაკუთრებული თავაზიანობითა და სიყვარულით გამოესაუბრა თავისი მშვენიერი ფრანგული ენით, რომლის მსგავსს იშვიათად თუ გაიგონებთ ახლა.

– არ ვიცი, გამიხსენებთ თუ არა, მაგრამ მე კი უნდა გამოგეცნაუროთ და მადლობა მოგახსენოთ იმ გულკეთილობისათვის, რომელიც თქვენ ჩემს ქალიშვილთან გამოიჩინეთ, – უთხრა მან მადამ შტალს, ქუდი მოიხადა და აღარც დაუხურავს.

– თავადი ალექსანდრ შჩერბაცკი, – თქვა მადამ შტალმა და

მისკენ აღაპყრო თავისი ციურნი თვალნი და ამ თვალებში კიტიმ უკმაყოფილება ამოიკითხა, – ძალიან სასიამოვნოა, მე ისე შემიყვარდა თქვენი ქალიშვილი.

– კიდევ ვერ მომჯობინდით?

– უკვე შევეჩვიე ამას, – უპასუხა მადამ შტალმა და თავადს შვედი გრაფი გააცნო.

– ისე კი თითქმის არ გამოცვლილხართ, – უთხრა მას თავადმა, – მე აგერ უკვე ათი თუ თერთმეტი წელია არ მქონია პატივი თქვენი ნახვისა.

– დიახ, ღმერთი გვაძლევს ჯვარს და ძალასაც გვანიჭებს მის სატარებლად. ხშირად მიკვირს ხოლმე, რისთვისღა გრძელდება ეს სიცოცხლე. არა, აქეთა მხრიდან! – წყენით უთხრა მან ვარენკას, რომელიც ისე ვერ უხვევდა პლედით ფეხებს, როგორც მას სურდა.

– ალბათ, სიკეთის დასათესად, – უთხრა თავადმა, რომელსაც თვალები უცინოდა.

– ამას ჩვენ ვერ განვსჯით, – მიუგო ქალბატონმა შტალმა, რომელსაც არ გამოჰპარვია თავადის სახის გამომეტყველება.

– მაშ, თქვენ გამომიგზავნით იმ წიგნს, პატივცემულო გრაფო? დიდ მადლობას გწირავთ, – მიმართა მან ახალგაზრდა შვედს.

– აჰ! – წამოიძახა თავადმა, როცა იქვე გვერდით მდგომი მოსკოველი პოლკოვნიკი დაინახა, გამოემშვიდობა მადამ შტალს და ქალიშვილსა და მოსკოველ პოლკოვნიკთან ერთად განშორდა მას.

– ეს არის ჩვენი არისტოკრატია, თავადო! – დაცინვით თქვა მოსკოველმა პოლკოვნიკმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მადამ შტალით იმის გამო, რომ არ იცნობდა მას.

– სულ არ გამოცვლილა, – უპასუხა თავადმა.

– განა თქვენ მას ავადმყოფობამდე იცნობდით, ესე იგი, სანამ ლოგინად ჩავარდებოდა?

– ჰო, სწორედ ჩემს დროს ჩავარდა ლოგინად, – უთხრა თავადმა.

– ამბობენ, მეათე წელია, არ ამდგარაო...

– არ დგება, იმიტომ, რომ მოკლე ფეხები და მეტისმეტად ცუდი ტანადობა აქვს...

– ეს შეუძლებელია, მამა! – წამოიძახა კიტიმ.

– ბოროტი ენები ასე ამბობენ, ჩემო მეგობარო, შენს ვარენკას კი ბევრი უსიამოვნება ექნება მისგან, – დაუმატა მან, – ოჰ, ეს ავადმყოფი ქალბატონები!

– ოჰ, არა, მამა! – გაცხარებით შესძახა კიტიმ, – ვარენკა აღმერთებს მას. იგი ხომ სულ სიკეთეს თესავს! ვისაც გინდა, ჰკითხე! მაგას და Aline შტალს ყველა იცნობს.

– შესაძლოა, – უპასუხა თავადმა და იდაყვი მიაჭირა კიტის ხელს, – მაგრამ უკეთესია, როცა ამას ისე აკეთებენ, რომ ვისაც უნდა ჰკითხო, არავინ არაფერი იცის ამის შესახებ.

კიტი გაჩუმდა, არა იმიტომ, რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი, მას მამისთვისაც არ უნდოდა გაენდო თავისი ფარული ზრახვები. მაგრამ უცნაური საქმე მოხდა სწორედ: მიუხედავად იმისა, რომ კიტი სულ ემზადებოდა არ დამორჩილებოდა მამის შეხედულებებს და ის, რაც მისთვის წმიდათაწმიდა იყო, მიუწვდომლად გაეხადა მამისათვის, მაინც იგრძნო, რომ ქალბატონ შტალის ღვთიური სახე, რომელსაც მთელი თვე ატარებდა გულში, სამუდამოდ გაქრა, ისე როგორც ქრება გადაგდებული ტანისამოსისაგან შემდგარი ფიგურა, როცა დაინახავ, თუ როგორ ყრია ეს ტანისამოსი. დარჩა მხოლოდ ერთი ფეხმოკლე ქალი, რომელიც წევს იმისათვის, რომ ცუდი ტანადობა აქვს და ტანჯავს უსიტყვო ვარენკას, რადგან ისე ვერ გაუსწორა პლედი, როგორც მას სურდა, და კიტის რაც უნდა ძალა დაეტანებინა თავისთვის, მაინც აღარ შეეძლო აღედგინა წინანდელი მადამ შტალი.

XXXV

თავადმა ყველას გადასდო მხიარული განწყობილება: შინაურებსაც, ნაცნობებსაც და გერმანელ მასპინძელსაც კი,

რომლის სახლშიც ცხოვრობდნენ შჩერბაცკები.

კიტისთან ერთად წყლებიდან მობრუნებულმა თავადმა ყავაზე მიიწვია პოლკოვნიკიც, მარია ევგენიევნაც, ვარენკაც და ბრძანა, მაგიდა და სავარძლები ბაღში გაეტანათ, წაბლის ქვეშ, და იქ გაეშალათ საუზმე. თავადის მხიარულებამ გაამხიარულა სახლის პატრონიც და მსახურნიც. მათ იცოდნენ თავადის გულუხვობის ამბავი და ნახევარი საათის შემდეგ ავადმყოფი ჰამბურგელი ექიმი, რომელიც ზემო სართულზე ცხოვრობდა, ფანჯრიდან შურით გადმოჰყურებდა წაბლის ქვეშ თავმოყრილ ჯანსაღი ადამიანების მხიარულ რუსულ კომპანიას. წაბლის ხის მოშრიალე ფოთოლთა ჩრდილქვეშ გაშლილ, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდას მისჯდომოდა ლილისფერბაფთებიანი თავსაფრით დამშვენებული ქალბატონი შჩერბაცკაია და ფინჯნებსა და ტარტინებს არიგებდა. სუფრაზე ელაგა ყავადანები, პური, კარაქი, ცივად მოხარშული ნანადირევი, მაგიდის მეორე მხარეს კი იჯდა თავადი, რომელიც მადიანად ილუკმებოდა და ხმამაღლა, მხიარულად ლაპარაკობდა. თავადს იქვე გვერდით გაეშალა თავისი ნავაჭრი – მოჩუქურთმებული ზარდახშები, ჭილიკა-ჯოხები, ათასნაირი ქაღალდის საჭრელი დანები, რომლებიც ბლომად ეყიდა წყლებზე, და ახლა თავისი ნავაჭრით ასაჩუქრებდა ყველას, მათ შორის ლისხენსაც, მსახურსაც და სახლის პატრონსაც, რომელსაც ელაპარაკებოდა თავისი სასაცილო ცუდი გერმანულით და არწმუნებდა, წყლებმა კი არ მოარჩინა კიტი, არამედ შენმა ჩინებულმა საჭმელებმა და განსაკუთრებით კი შავი ქლიავით შემზადებულმა წვენმაო. ქალბატონი შჩერბაცკაია დასცინოდა თავადს რუსული ჩვეულებების გამო, მაგრამ ისეთი გამოცოცხლებული და მხიარული იყო, როგორიც არასოდეს ყოფილა წყლებზე ყოფნის განმავლობაში. პოლკოვნიკს, როგორც ყოველთვის, ეცინებოდა თავადის ხუმრობაზე, მაგრამ ევროპის შესახებ კი, რომელსაც იგი, როგორც ეგონა, გულდასმით სწავლობდა, ქალბატონ შჩერბაცკაიას აზრისა იყო. კეთილ მარია ევგენიევნას გულით ეცინებოდა ყველაფერზე, რასაც კი თავადი იტყოდა, ვარენკასაც, რაც არასოდეს ენახა კიტის, ძალ-ღონე გამოაცალა სუსტმა, გადამდებმა სიცილმა, რასაც მასში თავადის ხუმრობა იწვევდა.

ყოველივე ეს ამხიარულებდა კიტისაც, მაგრამ იგი მაინც შეშფოთებული იყო. ვერ გადაეწყვიტა ის ამოცანა, რომელიც

უნებურად წამოუყენა მამამ თავისი მხიარული შეხედულებებით კიტის მეგობრებსა და იმ ცხოვრებაზე, რომელიც ასე შეიყვარა კიტიმ. ამას ისიც დაემატა, რომ შეიცვალა მისი დამოკიდებულება პეტროვებთან, რაც ასე აშკარად და უსიამოვნოდ გამომჟღავნდა დღეს. ყველა მხიარული იყო, კიტის კი არ შეეძლო მხიარულება და ეს კიდევ უფრო ტანჯავდა. იგი ისეთივე გრძნობას განიცდიდა, როგორიც განეცადა ბავშვობის დროს, როცა მას, დასჯილსა და თავის ოთახში ჩაკეტილს, გარედან ესმოდა დების მხიარული სიცილი.

– აბა, რისთვის გიყიდია ამდენი რამ? – ღიმილით ეუბნებოდა ქალბატონი შჩერბაცკაია თავადს და ყავით სავსე ფინჯანს აწვდიდა.

– გახვალ სასეირნოდ, ჩაივლი სავაჭროსთან და დაგიწყებენ ხვეწნას, იყიდეო; „ერლაუხტ, ექსცელენც, დურხლაუხტ“.[36] როგორც კი მეტყოდნენ „დურხლაუხტო“, მეტი აღარ შემეძლო და ათი ტალერიც რომ მქონოდა, მაშინვე გამიქრებოდა ხელში.

– ეს მხოლოდ მოწყენილობის ბრალია, – შენიშნა თავადის მეუღლემ.

– რასაკვირველია, მოწყენილობისა. ირგვლივ ისეთი მოწყენილობაა, ჩემო კეთილო, რომ აღარ იცი, საით წახვიდე.

– მოწყენა როგორ გეკადრებათ, თავადო? ახლა გერმანიაში იმდენი საინტერესო რამ ხდება, – უთხრა მარია ევგენიევნამ.

– დიახ, მე ყველაფერი ვიცი, რაც კი საინტერესოა: შავი ქლიავით შემზადებული წვენი ვიცი, მუხუდოს ძეხვი ვიცი, ყველაფერი ვიცი.

– არა, თავადო, რაც გინდათ, თქვით და მათი დაწესებულებები ფრიად საინტერესოა, – უთხრა პოლკოვნიკმა.

– რა ნახეთ აქ საინტერესო? ყველას თავი მოსწონს მწვანე კიტრივით; ყველანი დაამარცხეს, მე კი რით უნდა მოვიწონო თავი? მე არავინ დამიმარცხებია. მხოლოდ შენი ხელით გაიხადე ფეხსაცმელები და თვითონვე დააწყვე კარს იქით. დილით ადექი, მაშინვე ჩაიცვი, წადი სალონში და სვი საძაგელი ჩაი. სულ სხვა არის შინ ყოფნა! გაგეღვიძება ნელა, აუჩქარებლად გაჯავრდები რამეზე, წაიბუზღუნებ, კარგად გამოფხიზლდები, ყველაფერს მოიფიქრებ, არ აჩქარდები.

– თქვენ გავიწყდებათ, რომ დრო ფულია, – უთხრა პოლკოვნიკმა.

– რომელი დრო? ზოგჯერ ისეთი დროა, რომ მთელ თვეს ათ შაურად მისცემ, ზოგჯერ კი, რაც უნდა ფული შემოგთავაზონ, ნახევარ საათსაც ვერ დათმობ. ხომ ასეა, კატენკა? რატომ ხარ ასე მოწყენილი?

– არა ვარ მოწყენილი.

– თქვენ საით მიგეჩქარებათ? დარჩით კიდევ, – მიუბრუნდა იგი ვარენკას.

– შინ უნდა წავიდე, – უთხრა ვარენკამ, ფეხზე წამოდგა და ისევ სიცილი აუვარდა.

სული რომ მოითქვა, გამოემშვიდობა ყველას და ქუდის ასაღებად სახლში შეიარა. კიტიც უკან გაჰყვა. ახლა ვარენკაც კი სხვანაირად ეჩვენებოდა. მართალია, წინანდელზე უარესი არ იყო, მაგრამ სულ არ ჰგავდა იმას, როგორიც წინათ ჰყავდა წარმოდგენილი.

– ოჰ, რამდენი ხანია ასე აღარ მიცინია! – თქვა ვარენკამ და ქოლგა და ხელჩანთა აიღო, – რა მშვენიერი მამა გყავთ.

კიტი ხმას არ იღებდა.

– როდის შევხვდებით ერთმანეთს? – ჰკითხა ვარენკამ.

– Maman-ს უნდოდა პეტროვებთან შეევლო. თქვენ არ იქნებით იქ? – შეეკითხა გამოსაცდელად ვარენკას.

– ვიქნები, – უპასუხა ვარენკამ, – პეტროვები წასვლას აპირებენ და მე დავპირდი, ბარგის ჩალაგებაში მოგეხმარებით-მეთქი.

– მაშ, მეც მოვალ.

– არა, თქვენ რატომ უნდა მოხვიდეთ?

– რატომ? რატომ? რატომ არ უნდა მოვიდე? – შესძახა კიტიმ და თვალები გაუფართოვდა, თან ქოლგაში ჩაავლო ხელი ვარენკას, რომ არ წასულიყო, – არა, მოითმინეთ, რატომ არ უნდა მოვიდე?

– ისე, მამა ჩამოგივიდათ, მერედა ერიდებათ კიდეც თქვენთან.

– არა, თქვენ ის მითხარით, რატომ არ გინდათ, რომ მე ხშირად

ვიარო პეტროვებთან? თქვენ ხომ არ გინდათ ეს? მითხარით, რატომ არ გინდათ?

– მე ეს არ მითქვამს, – დამშვიდებით მიუგო ვარენკამ.

– არა, გემუდარებით, მითხარით!

– ყველაფერი გითხრათ? – ჰკითხა ვარენკამ.

– ყველაფერი, ყველაფერი! – მაშინვე მიაძახა კიტიმ.

– განსაკუთრებული არაფერია, მხოლოდ მიხაილ ალექსეევიჩს (ასე ეძახდნენ მხატვარს) აქამდე უნდოდა, ადრე წასულიყო, ახლა კი აღარ უნდა წასვლა, – ღიმილით უთხრა ვარენკამ.

– მერე, მერე, – აჩქარებდა კიტი და კუშტად შესცქეროდა სახეში.

– ჰოდა, რატომღაც ანა პავლოვნამ თქვა, თითქოს იმიტომ არ უნდა წასვლა, რომ თქვენ აქა ხართ. რაღა თქმა უნდა, ეს არ იყო მართალი, მაგრამ ამის გულისთვის, თქვენი გულისთვის, უთანხმოება მოუხდათ და თქვენ ხომ იცით, ამ ავადმყოფებმა როგორი გაგულისება იციან.

კიტი თანდათან იღუშებოდა და ხმას არ იღებდა, ვარენკა კი ისევ განაგრძობდა ლაპარაკს, ცდილობდა, შეერბილებინა სათქმელი და დაემშვიდებინა კიტი, რაკი ხედავდა, რომ საცაა აფეთქდებოდა, მაგრამ არ იცოდა, რაში გამოიხატებოდა ეს აფეთქება, სიტყვებსა თუ ცრემლებში.

– ასე რომ, უკეთესია არ მოხვიდეთ... თქვენ, ალბათ, გამიგეთ... ხომ არ გწყინთ?..

– ახია ჩემზე, ახი! – წამოიძახა უცებ კიტიმ და ხელიდან ქოლგა გამოსტაცა, თან ცდილობდა, თვალებში არ შეეხედა თავისი მეგობრისათვის.

ვარენკას უნდოდა გაეღიმა, როცა მეგობრის ბავშვურ განრისხებას უყურებდა, მაგრამ ეშინოდა, არ გაენაწყენებინა.

– რატომ არის ახი, ეს ჩემთვის გაუგებარია, – უთხრა მან.

– ახია, რადგან ყოველივე ეს თვალთმაქცობა იყო, იმიტომ, რომ ყოველივე ეს მოგონილი იყო და გულიდან არ მოდიოდა. აბა, რა საქმე მქონდა მე უცხო ადამიანებთან? ახლა კი ისე გამოვიდა,

რომ მე გავხდი ჩხუბის მიზეზი, რომ მე ვაკეთებდი იმას, რასაც არავინ მეკითხებოდა! იმიტომ, რომ ყველაფერი თვალთმაქცობაა! თვალთმაქცობა! თვალთმაქცობა!

– ჰოდა, რატომ უნდა ითვალთმაქცო? – მშვიდად ჰკითხა ვარენკამ.

– აჰ, რა სისულელეა! რა საძაგლობა! რაში მჭირდებოდა ეს... ყველაფერი თვალთმაქცობაა! – ამბობდა კიტი და ხან გაშლიდა ქოლგას, ხან ისევ დაკეცავდა.

– ჰოდა, რატომ უნდა ითვალთმაქცო?

– იმიტომ, რომ უკეთესად მოაჩვენო თავი ადამიანებს, საკუთარ თავს, ღმერთს; ყველა უნდა მოატყუო. არა, მე ახლა უკვე აღარ ვაკეთებ ამას. ისევ სჯობს ცუდი იყო, ცრუ და მატყუარა მაინც არ იქნები!

– მერედა ვინ არის მატყუარა? – საყვედურით ჰკითხა ვარენკამ, – თქვენ ისე ამბობთ, თითქოს...

მაგრამ კიტი მეტისმეტად იყო გაცხარებული და სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა ვარენკას.

– მე თქვენზე არ ვამბობ, თქვენზე სულაც არ ვამბობ ამას. თქვენ სრულყოფილი ხართ. დიახ, დიახ, მე ვიცი, რომ თქვენ სრულყოფილი ხართ; მაგრამ რა ვქნა, რომ მე ვარ ცუდი! მე რომ ცუდი არ ვყოფილიყავი, ესეც არ მოხდებოდა, მაგრამ, დაე, ისევ ის ვიყო, რაც ვარ. თვალთმაქცობას მაინც არ დავიწყებ. რა მესაქმება ანა პავლოვნასთან! დაე, ისე იცხოვრონ, როგორც თვითონ უნდათ. მე კი ისე ვიქნები, როგორც მე მინდა. მე სხვანაირი ვერ გავხდები... მაგრამ ყოველივე ეს ის არ არის, ის არ არის!..

– რა არ არის ის? – ჰკითხა ვარენკამ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რაზე ამბობდა ამას კიტი.

– ყოველივე ეს ის არ არის. მე არ შემიძლია სხვანაირად ცხოვრება, მე გულით ვეძლევი ყველაფერს, თქვენ კი წესების მიხედვით ცხოვრობთ. მე თქვენ უბრალოდ შემიყვარდით, თქვენ კი, ალბათ, იმიტომ შემიყვარეთ, რომ როგორმე გადაგერჩინეთ, რომ ჩაგეგონებინათ ჩემთვის!

– თქვენ უსამართლო ხართ, – უთხრა ვარენკამ.

– არა, მე სხვებზე არაფერს ვამბობ, მხოლოდ ჩემს თავზე ვლაპარაკობ.

– კიტი! – გაისმა ამ დროს დედის ხმა, – მოდი აქ და აჩვენე მამას შენი მარჯნები.

კიტიმ ამაყად აიღო მაგიდიდან მარჯნის კოლოფი და დედისაკენ გასწია ისე, რომ არ შერიგებია მეგობარს.

– რა დაგემართა? რატომ ხარ ასე აწითლებული? – ერთხმად იკითხეს დედამ და მამამ.

– არაფერია, – უპასუხა მან, – მე ახლავე მოვალ, – და კიტი უკანვე გაიქცა.

„ის კიდევ აქ არის! – გაიფიქრა კიტიმ, – ღმერთო ჩემო, რა უნდა ვუთხრა! ეს რა ჩავიდინე, რა ვუთხარი. რისთვის ვაწყენინე? რა ვქნა? რა ვუთხრა?“ – ფიქრობდა კართან გაჩერებული კიტი. ქუდდახურული ვარენკა მაგიდასთან იჯდა, ხელში ქოლგა ეჭირა და კიტის მიერ გატეხილ ზამბარას დაჰყურებდა, ვარენკამ თავი ასწია.

– ვარენკა, მაპატიეთ, მაპატიეთ! – წაიჩურჩულა კიტიმ და მიუახლოვდა, – მე არ მახსოვს, რა გითხარით. მე...

– მე მართლაც არ მინდოდა თქვენი წყენინება, – ღიმილით უთხრა ვარენკამ.

*

ზავი დადებული იყო, მაგრამ მამის ჩამოსვლის შემდეგ კიტისთვის მთლიანად შეიცვალა მთელი ის სამყარო, რომელშიც აქამდე ცხოვრობდა. იგი არ უარყოფდა ყოველივე იმას, რაც გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ იტყუებდა თავს, როცა ფიქრობდა, შემიძლია ისეთი გავხდე, როგორიც მინდა ვიყოო. იგი თითქოს გამოფხიზლდა; მიხვდა, როგორ გაუჭირდებოდა თვალთმაქცობისა და ტრაბახის გარეშე იმ სიმაღლეზე დარჩენა, რომელზედაც ლამობდა ასვლას; გარდა ამისა, კიტიმ იგრძნო, რა ძნელი ასატანი იყო მისთვის ეს მწუხარების, ავადმყოფებისა და მომაკვდავი ადამიანების სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა; მას ახლა მტანჯველად მოეჩვენა ის ძალდატანება, რასაც აქამდე მიმართავდა, რათა შეეყვარებინა ყოველივე ეს, და მოენატრა, რაც შეიძლება მალე ესუნთქა ჯანმრთელი ჰაერით, რაც შეიძლება მალე წასულიყო რუსეთში,

ერგუშოვოში, სადაც, როგორც წერილებიდან ჰქონდა გაგებული, უკვე ჩასულიყო მისი და, დოლი, თავისი ბავშვებით.

მაგრამ სიყვარული ვარენკასადმი მაინც არ განელებია. გამოთხოვებისას კიტიმ სთხოვა ვარენკას, ჩასულიყო რუსეთში.

– მე მაშინ ჩამოვალ, როცა თქვენ გათხოვდებით, – უთხრა ვარენკამ.

– მე არასოდეს გავთხოვდები.

– მაშ, მეც არასოდეს ჩამოვალ.

– თუ ასეა, მაშ, მარტო მაგის გულისთვის გავთხოვდები, მხოლოდ არ დაივიწყოთ დანაპირები! – უთხრა კიტიმ.

ექიმის წინასწარმეტყველება ახდა. კიტი განკურნებული დაბრუნდა შინ, რუსეთში. ის უკვე აღარ იყო წინანდელივით უდარდელი და მხიარული, მაგრამ დამშვიდებული კი იყო. მოსკოვში განცდილი მწუხარება კიტისთვის ახლა მხოლოდ მოგონებად იქცა.

ნაწილი მესამე

I

სერგეი ივანოვიჩ კოზნიშევს უნდოდა დაესვენა გონებრივი მუშაობისაგან და ნაცვლად იმისა, ჩვეულებისამებრ საზღვარგარეთ წასულიყო, მაისის დამლევს სოფელში ჩავიდა, ძმასთან. სერგეი ივანოვიჩის აზრით, ყველაზე უკეთესი ცხოვრება სოფლად იყო. და ახლაც იმიტომ ჩამოვიდა, რომ დამტკბარიყო ამ ცხოვრებით. კონსტანტინ ლევინი ძალიან გაახარა ამან, მით უმეტეს, ამ ზაფხულს თავის ძმას, ნიკოლაის აღარ ელოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა

სერგეი ივანოვიჩი და დიდ პატივსაც სცემდა, მაინც ძმასთან ერთად სოფელში უხერხულად გრძნობდა თავს. მისთვის უხერხული და უსიამოვნოც იყო, როცა ხედავდა სერგეი ივანოვიჩის დამოკიდებულებას სოფლისადმი. კონსტანტინ ლევინისთვის სოფელი იყო ცხოვრების, ესე იგი სიხარულის, ტანჯვისა და შრომის ადგილი; სერგეი ივანოვიჩისათვის კი სოფელი იყო, ერთი მხრივ, შრომისაგან მოსვენება, მეორე მხრივ კი სასარგებლო საშუალება გარყვნილების წინააღმდეგ, რომელსაც სიამოვნებით იღებდა მისი სარგებლიანობის სრული შეგნებით. კონსტანტინ ლევინისთვის სოფელი იმით იყო კარგი, რომ იგი წარმოადგენდა სარბიელს უეჭველად სასარგებლო შრომისათვის; სერგეი ივანოვიჩისათვის კი სოფელი იმით იყო განსაკუთრებით კარგი, რომ იქ შესაძლებელი იყო, კაცს არაფერი ეკეთებინა და არც უნდა ეკეთებინა რამე. გარდა ამისა, სერგეი ივანოვიჩის დამოკიდებულება ხალხისადმი, ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდა ლევინს. სერგეი ივანოვიჩი ამბობდა, რომ უყვარს ხალხი და იცნობს მას; ხშირად ესაუბრებოდა კიდეც გლეხებს, რასაც კარგად ახერხებდა ყოველგვარი სიყალბისა და ყოყლოჩინობის გარეშე, და იმ საუბრებიდან ყოველთვის გამოჰქონდა ზოგადი დასკვნები ხალხის სასარგებლოდ და იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად იცნობდა ხალხს. ასეთი დამოკიდებულება ხალხისადმი არ მოსწონდა კონსტანტინ ლევინს. მისთვის ხალხი მხოლოდ მთავარი მონაწილე იყო საზოგადო საქმისა და მიუხედავად იმისა, რომ პატივს სცემდა და სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ამ ხალხის სიყვარული, რაც, როგორც თვითონ ამბობდა, ალბათ, ძიძის რძესთან ერთად შეიტკბო, იგი, როგორც ერთ-ერთი მონაწილე საერთო საქმისა, ხშირად აღტაცებაში მოუყვანია ამ ხალხის ძალას, ამტანობას, სამართლიანობას. ძალიან ხშირად კი, როცა საერთო საქმე სხვა თვისებებს მოითხოვდა, ლევინი გაუბოროტებია ამ ხალხის უდარდელობას, სიბინძურეს, ლოთობასა და მატყუარობას. კონსტანტინ ლევინისთვის რომ გეკითხათ, გიყვარს თუ არა ხალხიო, გადაწყვეტით ვერაფერს გეტყოდათ. მას უყვარდა და არც უყვარდა ხალხი, ისე როგორც საერთოდ ადამიანები. რაღა თქმა უნდა, მას, როგორც კეთილ კაცს, უფრო უყვარდა ადამიანი, ვიდრე სძულდა, და ამიტომ ხალხიც უყვარდა. მაგრამ არ შეეძლო სძულებოდა ან ჰყვარებოდა ხალხი ისე, როგორც განსაკუთრებული რამ, რადგან იგი არა მარტო ცხოვრობდა ამ ხალხთან, არა მარტო

დაკავშირებული იყო მათთან თავისი ინტერესებით, არამედ თავის თავსაც ამ ხალხის ნაწილად თვლიდა. ამიტომაც ვერც თავის თავში და ვერც ხალხში ვერ ამჩნევდა რაიმე განსაკუთრებულ ღირსებას ან ნაკლოვანებას და ვერც საკუთარ თავს დაუპირისპირებდა ხალხს. გარდა ამისა, მართალია, მას დიდი ხნის განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან, როგორც მებატონესა და შუამავალს, და განსაკუთრებით როგორც მრჩეველს (გლეხებს სჯეროდათ მისი და ორმოცი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ რჩევის საკითხავად), მაინც არ ჰქონდა არავითარი გარკვეული შეხედულება ხალხზე. მისთვის რომ გეკითხათ, იცნობ თუ არა ხალხსო, ისევე გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა, როგორც იმ კითხვაზე, გიყვარს თუ არაო ხალხი. იმის თქმა, ხალხს ვიცნობო, ლევინისთვის იგივე იყო, რაც იმის აღიარება, ადამიანებს ვიცნობო. იგი ყოველთვის აკვირდებოდა ადამიანებს, ეცნობოდა ყველა ჯურის ადამიანს და მათ შორის გლეხებსაც, რომელთაც კარგ, საინტერესო ადამიანებად მიიჩნევდა და ყოველთვის პოულობდა მათში ახალ თვისებებს, იცვლიდა თავის წინანდელ შეხედულებებს და ადგენდა ახალს. სერგეი ივანოვიჩი კი პირიქით. სწორედ ისევე, როგორც უყვარდა და აქებდა სოფლურ ცხოვრებას, საპირისპიროდ იმ ცხოვრებისა, რომელიც არ უყვარდა, ხალხიც ისე უყვარდა, როგორც საწინააღმდეგო იმ კლასის ადამიანებისა, რომელიც არ უყვარდა, და ხალხსაც ისე უყურებდა, როგორც რაღაც საპირისპიროს საერთოდ ადამიანების მოდგმისა. მის უკვე ჩამოყალიბებულ გონებაში ნათლად იყო გარკვეული ფორმები ხალხის ცხოვრებისა, რომელიც ნაწილობრივ ხალხის ცხოვრებას ემყარებოდა, მაგრამ უპირატესად კი საწინააღმდეგო იყო ამისა. იგი არასოდეს იცვლიდა თავის შეხედულებას ხალხზე და ხალხისადმი თანაგრძნობასაც არ ღალატობდა.

ძმებს შორის როგორც კი ატყდებოდა კამათი ხალხის თაობაზე, სერგეი ივანოვიჩი ყოველთვის ამარცხებდა ლევინს სწორედ იმით, რომ მას გარკვეული შეხედულება ჰქონდა ხალხზე, მის ხასიათზე, თვისებებსა და გემოვნებაზე; კონსტანტინ ლევინს კი არავითარი გარკვეული, უცვლელი შეხედულებები არ გააჩნდა და ყოველთვის წინააღმდეგობაში ვარდებოდა.

სერგეი ივანოვიჩისათვის უმცროსი ძმა კარგი ახალგაზრდა იყო, კარგად დაყენებული გულით (ასე გამოთქვამდა იგი ფრანგულად), გონება კი, მართალია, საკმაოდ მკვირცხლი

ჰქონდა, მაგრამ წუთიერ შთაბეჭდილებებს ექვემდებარებოდა და ამიტომაც სავსე იყო წინააღმდეგობებით. როგორც უფროსი ძმა, ხშირად უხსნიდა ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობას, მაგრამ მასთან კამათით ვერავითარ სიამოვნებას ვერ პოულობდა, რადგან ძალიან იოლად ამარცხებდა.

კონსტანტინ ლევინს ძმა მიაჩნდა დიდი ჭკუისა და განათლების მქონე კეთილშობილ ადამიანად, ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით; ადამიანად, რომელიც დაჯილდოებული იყო საერთო საქმისათვის კეთილდღეობის მოტანის უნარით. მაგრამ გულის სიღრმეში, რაც უფრო ემატებოდა წლები და რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ძმას, მით ხშირად გაუელვებდა აზრი, რომ ეს საერთო კეთილდღეობისათვის მოღვაწეობის უნარი, რასაც თვითონ სრულებით მოკლებული იყო, შესაძლოა, ღირსება კი არა, პირიქით, უკმარისობაა კეთილი, პატიოსანი, კეთილშობილური ზრახვების ან გემოვნების კი არა, არამედ იმ სასიცოცხლო ძალისა, რომელსაც გულს ეძახიან და რომელიც აიძულებს ადამიანს ცხოვრების უთვალავი გზიდან აირჩიოს ერთი და მარტოოდენ ის ერთი ინდომოს. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ძმას, ლევინისთვის მით მეტად შესამჩნევი ხდებოდა, რომ სერგეი ივანოვიჩიც და ბევრი სხვაც, საერთო კეთილდღეობისათვის მოღვაწენი, გულმა კი არ მიიყვანა საერთო საქმის სიყვარულთან, არამედ მხოლოდ გონებით განსაჯეს, კარგი იქნება ეს საქმიანობაო, და მოჰკიდეს კიდეც ხელი. ამაში კიდევ უფრო ღრმად დარწმუნდა ლევინი, როცა შენიშნა, რომ ძმას იმდენადვე აინტერესებდა საერთო კეთილდღეობისა და სულის უკვდავების საკითხი, რამდენადაც ჭადრაკის პარტია ან გონებამახვილურად მოწყობილი ახალი მანქანა.

გარდა ამისა, კონსტანტინ ლევინისთვის კიდევ იმიტომ იყო უხერხული ძმასთან ერთად სოფელში ყოფნა, რომ სოფლად, განსაკუთრებით კი ზაფხულობით, ყოველთვის გატაცებული იყო თავისი მეურნეობით და არც კი ჰყოფნიდა ზაფხულის გრძელი დღე ყოველივე იმის გასაკეთებლად, რაც საჭირო იყო, სერგეი ივანოვიჩი კი ისვენებდა. მართალია, ახლა ისვენებდა, ესე იგი არ მუშაობდა თავის თხზულებაზე, მაგრამ იმდენად შეჩვეული იყო გონებრივ მუშაობას, რომ სურვილი ჰქონდა, გონებაში გაელვებული ყოველი აზრი ლამაზად, სხარტად გამოეთქვა და უყვარდა, როცა საამისოდ მსმენელიც ჰყავდა.

ძმა კი მისთვის ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივი მსმენელი იყო და ამიტომაც, მიუხედავად მათი უბრალო, მეგობრული ურთიერთობისა, ლევინს მაინც უხერხულად მიაჩნდა მისი მარტო დატოვება. სერგეი ივანოვიჩს უყვარდა მზეში ბალახზე წოლა, მზისთვის ტანის მიფიცხება და თან ზანტი მუსაიფი.

– შენ არ დამიჯერებ, – ეუბნებოდა ძმას, – რა სიამოვნებას მგვრის ეს ხოხოლური სიზანტე. რაც გინდა, ის ქენი, ერთი აზრიც არ იძვრის თავში.

მაგრამ კონსტანტინ ლევინისთვის მოსაწყენი იყო ძმასთან ჯდომა, მისთვის ყურის გდება, მით უმეტეს, იცოდა, უიმისოდ როგორ გადაიტანდნენ ნაკელს გასაპატივებელ მიწაზე, ან ღმერთმა იცის, თვალს თუ არ მიადევნებდა, როგორ დააყრიდნენ ნაკელს, გუთანსაც საკვეთელებს არ მოუჭერდნენ, მერე სულაც მოხსნიდნენ და ეტყოდნენ, სულ სხვა საქმეაო კავი და ა. შ.

– გეყოფა ამდენი სიარული სიცხეში, – ეტყოდა სერგეი ივანოვიჩი.

– არა, მხოლოდ ერთი წუთით შევირბენ კანტორაში, – უპასუხებდა ლევინი და მინდორში გარბოდა.

II

ივნისის პირველ რიცხვებში აგაფია მიხაილოვნას, ძიძასა და ეკონომს, სარდაფში ქილით ახალდამარილებული სოკო ჩაჰქონდა, ფეხი დაუსხლტა, დაეცა და მაჯა იღრძო. ჩამოვიდა ერობის ახალგაზრდა ექიმი, ახალკურსდამთავრებული სტუდენტი, ლაპარაკის დიდად მოყვარული ახალგაზრდა, გაუსინჯა ხელი აგაფია მიხაილოვნას, თქვა, ნაღრძობი არ არისო და კომპრესები დაადო. ექიმი სადილად დარჩა და ეტყობოდა, დიდად სიამოვნებდა სახელგანთქმულ სერგეი კოზნიშევთან საუბარი და რათა გამოეთქვა თავისი განათლებული აზრები საგანთა შესახებ, მთელი მაზრის ჭორებს მოუყვა, თან ჩიოდა,

ერობაში საქმე მეტისმეტად ცუდად არისო. სერგეი ივანოვიჩმა ყურადღებით მოუსმინა, გამოჰკითხა ყველაფერი და ახალი მსმენელით გახარებულმა, სიამოვნებით გააბა მასთან მუსაიფი. რამდენიმე საფუძვლიანი საჭირო შენიშვნაც გამოთქვა, რაც მოკრძალებით შეაფასა ახალგაზრდა ექიმმა. სერგეი ივანოვიჩი ლევინისთვის კარგად ნაცნობ თავისებურ სულიერ აღტყინებას განიცდიდა, რაც ბრწყინვალე, გაცხოველებული საუბრის შემდეგ ეუფლებოდა ხოლმე. ექიმის წასვლის შემდეგ სერგეი ივანოვიჩმა ანკესით მდინარეზე წასვლა მოისურვა. უყვარდა თევზაობა და თითქოს ამაყობდა კიდეც, რომ შეეძლო ასეთი სულელური საქმიანობით თავის გართობა.

კონსტანტინ ლევინი სახნავებისა და მინდვრების დასათვალიერებლად მიდიოდა და ძმას მდინარემდე კაბრიოლეტით მიყვანა შესთავაზა.

წლის ის დრო იდგა, როცა ზაფხული იწურებოდა, წლის მოსავალი გარკვეულია და იწყება ზრუნვა მომავალი წლის თესვისათვის, ახლოვდება თიბვა და დათავთავებული ჭვავის სიყვითლეშეპარული ღეროები ნელა ირწევიან ნიავისაგან; როცა ნაგვიანევ ნათესებში მწვანედ წამოზრდილა ქერი და აქა-იქ ბუჩქებად შერევია ყვითელი ბალახი, როცა სანახევროდ გადახნულია საქონლისაგან დატკეპნილი ანეულები და ქვასავით გამაგრებული ბილიკები, კავი რომ ძლივს ეკიდება, როცა მინდვრად გატანილი გამომშრალი ნაკელი, თაფლა ბალახთან ერთად, დილაობით სუნს უშვებს და ცელის მოლოდინში ზღვასავით ღელავს სათიბი, შიგ შავ კონებად რომ შერევია გაცვივნული მჟაუნას ყლორტები.

ის დრო იდგა, როცა სოფლის მუშაობაში იწყება ხანმოკლე შესვენება მოსავლის აღების მოლოდინში, რაც ყოველწლიურად მეორდება და ყოველწლიურად ადამიანთა მთელ ძალ-ღონეს მოითხოვს. მოსავალს მშვენიერი პირი უჩანდა. ზაფხულის ნათელი, ცხელი დღეები იდგა, ღამეები კი მოკლე და ნამიანი იყო.

ძმებს ჯერ ტყე უნდა გაევლოთ და მერე სათიბში გასულიყვნენ. სერგეი ივანოვიჩი მთელი გზა ფოთლებჩამობურული ტყის ყურებით ტკბებოდა და ძმას ხან ბებერ ცაცხვზე მიუთითებდა, რომლის ყვითლად აფერადებული კვირტები მზად იყო ასაყვავებლად, ხან წლევანდელი ხეების ზურმუხტისფერ,

ახალწამოზრდილ ყლორტებზე. კონსტანტინ ლევინს არ უყვარდა ბუნების სილამაზეზე ლაპარაკი, არც მოსმენა, სიტყვები მისთვის სილამაზეს უკარგავდა თვალით დანახულს. იგი ემოწმებოდა ძმას, გულში კი უნებურად სხვა რამეზე განაგრძობდა ფიქრს. ტყე რომ გაიარეს და მინდორში გავიდნენ, ლევინის მთელი ყურადღება საანეულოდ გადახნულმა ბორცვმა შთანთქა – ზოგან მიწა ბალახით იყო გადაყვითლებული, ზოგან უჯრედებად დასერილი. ალაგ-ალაგ გროვად ეყარა მიწა, ალაგ-ალაგ კი უკვე გადაეხნათ. მინდორში მწკრივად მიდიოდნენ ფორნები. ლევინმა ფორნები დაითვალა და კმაყოფილი დარჩა, ყველაფერს გაიტანდნენ, რაც საჭირო იყო. სათიბების დანახვამ ლევინს თიბვა გაახსენა. თიბვის დროს ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული გრძნობა ეუფლებოდა. სათიბს რომ მიუახლოვდნენ, ლევინმა ცხენი შეაჩერა.

ბალახის ძირებზე ჯერ კიდევ არ შემშრალიყო დილის ნამი და სერგეი ივანოვიჩმა, ფეხი რომ არ დასველებოდა, სთხოვა ძმას, ეტლით მიეყვანა იმ ტირიფის ბუჩქამდე, სადაც ქორჭილები კარგად ეგებებოდნენ ხოლმე ანკესს. მართალია, ლევინს ძალიან ენანებოდა ბალახის გათელვა, მაგრამ მაინც გადაატარა ეტლი სათიბზე. მაღალი ბალახი რბილად ეფინებოდა ბორბლებსა და ცხენის ფლოქვებს და თესლს ტოვებდა დასველებულ სოლებსა და ფერსოებზე.

სერგეი ივანოვიჩი ბუჩქის ძირას ჩამოჯდა და ანკესი გამართა, ლევინმა კი ცხენი გაიყვანა, იქვე მიაბა და თვითონ სათიბის უძრავად გაჩერებულ უზარმაზარ მწვანე ზღვას შეერია. აბრეშუმივით რბილი, მწიფე ბალახი სარწყავ ადგილებში თითქმის წელამდე სწვდებოდა.

ლევინმა განდაგან გადაჭრა სათიბი, გზაზე გავიდა, წინ შემოეყარა თვალებდასივებული მოხუცი, რომელსაც ნაყარი ფუტკარი მოჰქონდა.

– რაო, ფომიჩ? ხომ არსად დაგიჭერია ფუტკარი? – ჰკითხა ლევინმა.

– რომელი დამიჭერია, კონსტანტინ დმიტრიჩ! ნეტავ კი ჩემი დამაკავებინა. აგერ მეორედ გამიფრინდა დედა ფუტკარი. კიდევ კარგი, ბიჭები დაეწივნენ... თქვენ მინდვრებში ხნავდნენ, ცხენი გამოხსნეს და ისე დაეწივნენ...

– რას იტყვი, ფომიჩ, დავიწყოთ თიბვა თუ ცოტა შევიცადოთ?

– რა ვიცი! ჩვენებურად პეტრე-პავლობამდე ადრეა თიბვის დაწყება. თქვენ კი ყოველთვის ადრე იწყებთ ხოლმე. რა უჭირს, ღმერთი მოწყალეა, ბალახი კარგია. საქონელსაც საჭმელი ექნება.

– ამინდზე რას იტყვი?

– ღვთის ნებაა. შეიძლება, დადგეს კიდეც ამინდი.

ლევინი ძმასთან მივიდა. სერგეი ივანოვიჩს ვერაფერი დაეჭირა, მაგრამ მაინც მოწყენა არ ემჩნეოდა და მშვენიერ გუნებაზე იყო. ლევინი ამჩნევდა, რომ ექიმთან ლაპარაკით გახალისებულ სერგეი ივანოვიჩს ისევ ლაპარაკი უნდოდა. ლევინს კი, პირიქით, ერთი სული ჰქონდა, მალე დაბრუნებულიყო შინ, რათა განკარგულება გაეცა, დაეძახათ მთიბავებისათვის და გადაეწყვიტათ თიბვის დაწყების საკითხი, რომელიც ძლიერ აფიქრებდა.

– წავიდეთ, რაღას ვუცდით, – უთხრა ლევინმა.

– რა გეჩქარება! ვისხდეთ ცოტა ხანს. შენ როგორ დასველებულხარ! მართალია, ვერაფერი დავიჭირე, მაგრამ მაინც კარგია. ყოველგვარი ნადირობა იმით არის კარგი, რომ ბუნებასთან გაქვს საქმე. რა მშვენიერია ეს უძრავად გაჩერებული წყალი! – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, – ეს ამწვანებული ნაპირები! – განაგრძო მან, – ყოველთვის გამახსენდება ხოლმე ის გამოცანა, არ გაგონდება? ბალახი ეუბნება წყალს, ჩვენ სულ ვბიბინებთ და ვბიბინებთო.

– მე არ გამიგონია ეგ გამოცანა, – უგულოდ უპასუხა ლევინმა.

III

– იცი, მე შენზე ვფიქრობდი, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – არაფერს არ ჰგავს ის, რაც თქვენს მაზრაში ხდება, როგორც მიამბო ამ ექიმმა. ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა ჩანს. მე შენთვის მითქვამს და ახლაც გეუბნები: ცუდია კრებებზე რომ

არ დადიხარ და საერთოდ ერობის საქმეებს რომ დაანებე თავი. თუ ყველა წესიერი ადამიანი ასე ჩამოსცილდა ამ საქმეს, ღმერთმა იცის, რა იქნება. ჩვენ ვიხდით ფულს, ეს ფული ჯამაგირებში იხარჯება, მაგრამ არც სკოლებია, არც ფერშლები და არც ბებიაქალები, არც აფთიაქია, არაფერი არ არის.

– მე ხომ ვცადე, – წყნარად, უხალისოდ უპასუხა ლევინმა, – არ შემიძლია! რა ვქნა?

– რა არ შეგიძლია? გამოგიტყდები და გეტყვი, რომ ჩემთვის გაუგებარია ეს, გულგრილობას ან უცოდინარობასაც ვერ დაგწამებ. ნუთუ ეს მხოლოდ სიზარმაცის ბრალია?

– არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. მე უკვე ვცადე და დავინახე, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია, – უთხრა ლევინმა.

იგი თითქმის არ უკვირდებოდა, რას ეუბნებოდა ძმას. მდინარის გაღმა სახნავს გასცქეროდა, რაღაც შავს ამჩნევდა და ვერ მიმხვდარიყო, ცხენი იყო თუ ცხენზე ამხედრებული მოურავი.

– რატომ არ შეგიძლია? სცადე, მაგრამ, შენი აზრით, არ გამოვიდა და დამორჩილდი ამას. მერე თავმოყვარეობა სადა გაქვს?

– თავმოყვარეობა? – გაიმეორა ლევინმა, რომელსაც გულზე მოხვდა ძმის სიტყვა, – მე ეს არ მესმის. უნივერსიტეტში რომ ეთქვათ ჩემთვის, სხვებს ესმით ინტეგრალის გამოყვანა და შენ კი არაო, ეს შელახავდა ჩემს თავმოყვარეობას. აქ კი წინასწარ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ამ საქმისათვის საჭიროა გარკვეული უნარი და რაც მთავარია, რწმენა, რომ ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– მერე რა! განა ეს არ არის მნიშვნელოვანი? – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, გულნატკენმა იმით, რომ ძმამ უმნიშვნელოდ ჩათვალა ის, რაც აინტერესებდა, და განსაკუთრებით კი იმან, რომ ეტყობოდა, ძმა თითქმის არ ისმენდა მის ლაპარაკს.

– მე არ მეჩვენება მნიშვნელოვნად, არ მაინტერესებს, აბა, რა გინდა, რომ ქნა?.. – უპასუხა ლევინმა და ბოლოს ძლივს გაარჩია ის რაღაც, სათიბში რომ ხედავდა, მოურავი იყო, რომელმაც, როგორც ეტყობა, გლეხებს ხელი ააღებინა ხვნაზე. გლეხები

კავებს აბრუნებდნენ. „ნუთუ უკვე მოხნეს?“ – გაიფიქრა ლევინმა.

– აბა, ერთი მომისმინე, – უთხრა უფროსმა ძმამ და ლამაზი, ჭკვიანი სახე მოეღუშა, – ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ძალიან კარგია, რომ შენ თავისებური, გულწრფელი ადამიანი ხარ და სიყალბის ატანა არ შეგიძლია, – ყოველივე ეს მე ვიცი; მაგრამ ის, რასაც შენ ამბობ, ან სულ უაზრობაა და ან მეტად ცუდი აზრი აქვს. როგორ შეიძლება, რომ ხალხი, რომელიც, როგორც თვითონვე ირწმუნები, გიყვარს.

„მე ამას არასოდეს ვირწმუნებოდი“, – გაიფიქრა ლევინმა.

– ...ისე იღუპება, რომ მშველელი არა ჰყავს. უხეში ბებიაქალები ხოცავენ ბავშვებს, ხალხი უმეცრებაშია ჩაფლული, მთელი სოფელი ვიღაც მწერლის ხელშია ჩავარდნილი, შენ საშუალება გაქვს დახმარებისა და არ ეხმარები მხოლოდ იმიტომ, რომ შენი აზრით, ეს უმნიშვნელო რამ არის.

და სერგეი ივანოვიჩმა ასე დაუყენა საკითხი: ან იმდენად განუვითარებელი ხარ, რომ არ შეგიძლია, ან არ გინდა დათმო შენი სიმშვიდე, პატივმოყვარეობა და კიდევ არ ვიცი რა, იმისათვის, რომ ამ საქმეს მოჰკიდო ხელი.

კონსტანტინ ლევინი გრძნობდა, ან უნდა დამორჩილებოდა ძმას; ან ეღიარებინა, რომ მართლაც არ უყვარს საერთო საქმე, ეს კი შეურაცხყოფდა და აგულისებდა.

– ერთიც და მეორეც, – გადაჭრით უთხრა მან, – მე ვერ ვხედავ, რომ შესაძლებელი იყოს...

– როგორ? შეუძლებელია, ფული წესიერად მოიხმარო, ხალხს საექიმო დახმარება აღმოუჩინო?

– მე მგონი, არ შეიძლება... ჩვენს ოთხი ათას კვადრატულვერსიან მაზრაში, ასეთ ყინვებსა და ქარბუქში, გახურებული მუშაობის დროს შეუძლებლად მიმაჩნია ყველგან საექიმო დახმარების აღმოჩენა. საერთოდ კი არ მჯერა მედიცინისა.

– ნება მომეცი, გითხრა, ეს უსამართლობაა... მე შენ ათას მაგალითს დაგისახელებდი... სკოლებზე რაღას იტყვი?

– რა საჭიროა სკოლები?

– რას ამბობ? განა განათლების სარგებლობაში ეჭვის შეტანა შეიძლება? თუკი შენთვის არის კარგი განათლება, რატომ ყველასთვის არ იქნება კარგი?

კონსტანტინ ლევინმა იგრძნო, რომ გასაქცევი აღარსად ჰქონდა, ამიტომაც გაცხარდა და უნებურად წამოსცდა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ასე გულგრილად უყურებდა საერთო საქმეს.

– შეიძლება, ყველაფერი ეს კარგი იყოს, მაგრამ რატომ უნდა ვიზრუნო მე საექიმო პუნქტების დაარსებაზე, რომლითაც თვითონ არასოდეს ვისარგებლებ, ან რატომ უნდა ვიზრუნო სკოლებისათვის, სადაც არასოდეს გავგზავნი ჩემს შვილებს, სადაც არც გლეხები გაგზავნიან თავიანთ ბავშვებს და მეც ჯერ მტკიცედ არა ვარ დარწმუნებული, რომ საჭიროა მათი გაგზავნა? – უთხრა ლევინმა.

სერგეი ივანოვიჩი წუთით გააოცა ამ მოულოდნელმა აზრმა, მაგრამ მაშინვე შეადგინა შეტევის ახალი გეგმა.

იგი ცოტა ხანს გაჩერდა, ანკესი ამოიღო, წყალში ჩაუშვა და მერე ღიმილით მიუბრუნდა ძმას.

– ჰო, ნება მომეცი გითხრა... ჯერ ერთი, სამედიცინო პუნქტი უკვე დაგვჭირდა აგაფია მიხაილოვნასათვის. ჩვენ ხომ მოვიყვანეთ ერობის ექიმი.

– მაგრამ მე კი მგონია, ხელი ისევ მოგრეხილი დარჩება.

– ეს ჯერ საკითხავია... მერედა, წერა-კითხვის მცოდნე გლეხი ხომ გჭირდება და ძვირფასიც არის შენთვის.

– არა, ვისაც გინდა, ჰკითხე, – გადაჭრით უთხრა ლევინმა, – წერა-კითხვის მცოდნე გლეხი, როგორც მომუშავე, გაცილებით უარესია. გზების შეკეთება შეუძლებელია, ხიდს გადებენ თუ არა, მაშინვე მოიპარავენ.

– თუმცა, – წარბშეკვრით თქვა სერგეი ივანოვიჩმა, რომელსაც არ უყვარდა წინააღმდეგობა და განსაკუთრებით ისეთი წინააღმდეგობა, როცა შეუჩერებლივ დახტიხარ ერთი საკითხიდან მეორეზე, სრულიად უადგილოდ გამოთქვამ ახალ მოსაზრებებს, ისე, რომ ვეღარც გაგიგია, რაზე უნდა გასცე პასუხი. თუმცა ეს არ არის მთავარი. მოითმინე, გჯერა თუ არა, რომ განათლება სიკეთის მომტანია ხალხისათვის?

– მჯერა, – უნებურად წამოსცდა ლევინს და მაშინვე გაიფიქრა, ის არ ვთქვი, რაც გულში მქონდაო. იგრძნო, თუ ამას ირწმუნებდა, მაშინვე დაუმტკიცებდნენ, რომ სისულელეს ამბობდა და აზრი არ ჰქონდა მის ნათქვამს. მან არ იცოდა, როგორ დაუმტკიცებდნენ, მაგრამ დარწმუნებული იყო, უეჭველად ლოგიკის ძალით დაუსაბუთებდნენ და ელოდა ამას.

დასაბუთება გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე კონსტანტინ ლევინი ელოდა.

– თუ გჯერა მისი სარგებლიანობა, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – მაშინ შენ, როგორც პატიოსან ადამიანს, არ შეგიძლია არ შეიყვარო და თანაგრძნობა არ გაუწიო ასეთ საქმეს და შრომა დაიზარო მისთვის.

– მაგრამ მე ჯერ კიდევ არ მიმაჩნია ეს საქმე სასიკეთოდ, – უპასუხა ლევინმა და გაწითლდა.

– როგორ? ახლა არა თქვი...

– ესე იგი, მე არ მიმაჩნია ის არც სასიკეთოდ და არც შესაძლებლად.

– შენ არ შეგიძლია ამის ცოდნა, თუ თავს ძალას არ დაატან.

– დავუშვათ, ასეა, – უპასუხა ლევინმა, – თუმცა სულაც არ ფიქრობდა ამას, – დავუშვათ, ასეა, მაგრამ მაინც არ მესმის, რატომ უნდა ვიზრუნო ამ საქმეზე.

– ესე იგი, როგორ?

– არა, თუ დავიწყეთ ამ საკითხზე ლაპარაკი, ამიხსენი კიდეც ფილოსოფიური თვალსაზრისით, – უთხრა ლევინმა.

– არ მესმის, რა შუაშია ფილოსოფია, – და როგორც ლევინს მოეჩვენა, სერგეი ივანოვიჩმა ეს ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ლევინს უფლება არ ჰქონოდა ფილოსოფიაზე მსჯელობისა და ამან გააგულისა.

– აი, რა შუაშია! – გაცხარებით დაიწყო ლევინმა, – მგონია, მთელი ჩვენი საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი მაინც პირადი ბედნიერებაა. ახლა კი მე, როგორც თავადი, საერობო დაწესებულებაში არაფერს ვხედავ ისეთს, რაც ხელს შეუწყობდა ჩემს კეთილდღეობას. გზები არ არის კარგი და არც

შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი; ჩემი ცხენები მე ცუდ გზებზედაც კარგად მატარებენ, ექიმი და პუნქტი მე არ მჭირდება, არც მომრიგებელი მოსამართლე მინდა, არასოდეს მიმიმართავს მათთვის და არც მივმართავ. სკოლები კი არათუ არ მჭირდება, არამედ, როგორც გეუბნებოდი, საზიანოდაც მიმაჩნია. ჩემთვის საერობო დაწესებულებები მხოლოდ ბეგარაა, რომ ყოველ დესეტინაზე თვრამეტი კაპიკი ვიხადო, ქალაქში ვიარო, ღამით ბაღლინჯოებს შევაწუხებინო თავი და ვისმინო ათასი აბდაუბდა და სისულელე, პირადი ინტერესი კი არავითარი არ მამოძრავებს.

– მოითმინე, – ღიმილით შეაწყვეტინა სერგეი ივანოვიჩმა, – ჩვენ არავითარი პირადი ინტერესები არ გვამოძრავებდა, როცა გლეხების გათავისუფლებისათვის ვიღვწოდით, მაგრამ მაინც ვაკეთებდით ამას.

– არა! – შეაწყვეტინა ლევინმა, რომელიც სულ უფრო და უფრო ცხარობდა, – გლეხების გათავისუფლება სხვა საქმე იყო. აქ პირადი ინტერესი ერია. გვინდოდა, გადაგვეგდო ის უღელი, რომელიც ჩვენ, ყველა კარგ ადამიანს, გვაწუხებდა. მაგრამ ძნელია, იყო ხმოსანი და იმსჯელო იმაზე, თუ რამდენი მწმენდავი გჭირდება, როგორ უნდა გაიყვანო მილები იმ ქალაქში, სადაც არ ცხოვრობ, ან იყო ნაფიცი მსაჯული და გაასამართლო გლეხი შაშხის მოპარვისათვის, ექვსი საათი იჯდე და ისმინო ყოველგვარი აბდაუბდა, რასაც დამცველები და პროკურორები იყბედებდნენ, უსმინო თავმჯდომარეს, რომელიც ჩემს მოხუც ალიოშკა-სულელს ეკითხება: „ბატონო ბრალდებულო, აღიარებთ თუ არა შაშხის მოპარვის ფაქტს?!“ – „ჰა“.

კონსტანტინ ლევინი უკვე ასცდა საკითხს: თავმჯდომარესა და ალიოშკა-სულელს წარმოადგენდა და ეგონა, ეს საქმეს შეეხებოდა.

მაგრამ სერგეი ივანოვიჩმა მხრები აიჩეჩა.

– მერე ამით რა გინდა თქვა?

– მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ იმ უფლებებს, რომელიც მე... ჩემს ინტერესებს ეხება, ყოველთვის მთელი ძალ-ღონით დავიცავ; როცა ჩვენთან, სტუდენტებთან, ჩხრეკას ატარებდნენ და ჩვენს წერილებს ჟანდარმები კითხულობდნენ, მზად ვიყავი მთელი ძალით დამეცვა ეს უფლებები – ჩემი განათლებისა და

თავისუფლების უფლებები. ჩემთვის გასაგებია სამხედრო ვალდებულება, რომელიც წყვეტს ჩემი შვილების, ჩემი თანამოძმეებისა და თვით ჩემს ბედსაც; მე მზად ვარ ვიმსჯელო იმაზე, რაც შემეხება; მაგრამ თავი ვიტეხო იმაზე, თუ როგორ გავანაწილო ერობის ორმოცი ათასი მანეთი ან გავასამართლო ალიოშკა-სულელი, ეს ჩემთვის გაუგებარია და არც გავაკეთებ ამას.

კონსტანტინ ლევინი უკვე გატაცებით ლაპარაკობდა. სერგეი ივანოვმა გაიღიმა.

– ხვალ რომ შენ მიგცენ სამართალში, შენთვის სასიამოვნო იქნება, ძველ სისხლის სამართლის პალატაში რომ გაგასამართლონ?

– მე არ გამასამართლებენ, არასოდეს არავის გამოვჭრი ყელს და არც მესაჭიროება ეს. ჰო! – განაგრძო მან და ისევ სხვა საკითხზე გადახტა, რომელიც სულ არ ეხებოდა ამ საქმეს, – ჩვენი საერობო დაწესებულებები იმ არყის ხეებს ჰგვანან, რომელთაც სამება დღეს დავასობთ ხოლმე, რათა დაემსგავსოს ევროპაში თავისით გაზრდილ ტყეს; მე არ შემიძლია გულით მოვრწყო ეს არყის ხეები და მქონდეს მათი იმედი!

სერგეი ივანოვიჩმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ამით გამოხატა გაკვირვება იმის გამო, თუ საიდან გაჩნდა მათ კამათში ეს არყის ხეები, თუმცა კი მაშინვე მიხვდა, ამით რის თქმაც უნდოდა ძმას.

– მოითმინე, განა შეიძლება ასე მსჯელობა? – შენიშნა მან, მაგრამ კონსტანტინ ლევინს უნდოდა გაემართლებინა თავისი ნაკლი, რასაც თვითონაც ამჩნევდა და რაც საერთო კეთილდღეობისადმი გულგრილობაში გამოიხატებოდა, და ისევ განაგრძო: – მე მგონია, – თქვა ლევინმა, – რომ არავითარი მოღვაწეობა არ შეიძლება იყოს მყარი, თუ მას საფუძვლად პირადი ინტერესი არ უდევს. ეს საყოველთაო ფილოსოფიური ჭეშმარიტებაა, – და მან განსაკუთრებით მტკიცედ თქვა „ფილოსოფიური“, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ მასაც, როგორც ყველა სხვას, უფლება აქვს ილაპარაკოს ფილოსოფიაზე.

სერგეი ივანოვიჩმა ისევ გაიღიმა: „მასაც აქვს რაღაც თავისი ფილოსოფია საკუთარ მიდრეკილებათა სამსახურად“, – გაიფიქრა მან.

– ოღონდ ფილოსოფიას მოეშვი, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – ყველა დროის ფილოსოფიის მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ მოენახა პირადსა და საზოგადოს შორის არსებული უცილობელი კავშირი. მაგრამ ეს ჩვენს საქმეს არ შეეხება, საქმეს ის ეხება, რომ მე მინდა შევასწორო შენი შედარება. ეს არყის ხეები დასობილი კი არა, ზოგი დარგულია და ზოგიც დათესილი და მათ სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. მხოლოდ იმ ხალხებს აქვთ მომავალი, მხოლოდ მათ შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული, რომელთაც აქვთ საამისო ალღო, რომ მიხვდნენ, რა არის საჭირო და მნიშვნელოვანი მათ დაწესებულებებში და გაუფრთხილდნენ კიდეც მას.

და სერგეი ივანოვიჩმა საუბარი ისტორიულ-ფილოსოფიურ სფეროში გადაიტანა, რაც მიუწვდომელი იყო ლევინისთვის, და დაანახვა ძმას უმართებულობა მისი შეხედულებებისა.

– რაც შეეხება იმას, რომ შენ ეს არ მოგწონს, მაპატიე, მაგრამ ეს ჩვენი რუსული სიზარმაცისა და ბატონკაცობის ბრალია. დარწმუნებული ვარ, ამ შეცდომას მალე უარყოფ და ყველაფერი გაივლის.

ლევინი ხმას არ იღებდა, გრძნობდა, რომ ყოველმხრივ დამარცხებული იყო, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ ის, რისი თქმაც უნდოდა, ძმამ ვერ გაიგო. მხოლოდ ვერ მიმხვდარიყო, რატომ ვერ გაიგო. იმიტომ, რომ მან ვერ მოახერხა ნათლად გამოეთქვა თავისი სათქმელი თუ ძმას არ უნდოდა ან ვერ შეეძლო ამის გაგება. მაგრამ ლევინი ღრმად აღარ ჩაჰკვირვებია ამ აზრს, აღარც შეჰკამათებია ძმას და სულ სხვა, თავის პირად საქმეზე ჩაფიქრდა.

სერგეი ივანოვიჩმა უკანასკნელი ანკესიც დაახვია, ცხენი აუშვა და ძმებმა შინისკენ გასწიეს.

IV

პირადი საქმე, ძმასთან საუბრისას რომ ჩააფიქრა ლევინი, შემდეგი იყო: გასულ წელს, როცა ერთხელ მთიბავებთან

მივიდა, მოურავზე გაჯავრებულმა დამშვიდების თავისებური ხერხი იხმარა – გლეხს ცელი გამოართვა და თვითონ დაიწყო თიბვა.

ეს მუშაობა ისე მოეწონა, რომ შემდეგ რამდენჯერმე კიდევ სცადა; გადათიბა მთელი მინდორი სახლის წინ და წელს გაზაფხულიდანვე შეადგინა გეგმა – მთელი დღეობით გლეხებთან ერთად ეთიბა. ძმის ჩამოსვლის შემდეგ კი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, ეთიბა თუ არა. ერიდებოდა მთელი დღე მარტო დაეტოვებინა ძმა და ეშინოდა კიდეც, ამის გულისთვის ძმას მასხრად არ აეგდო. მაგრამ ახლა სათიბში რომ გაიარა და გაიხსენა თიბვის შთაბეჭდილება, თითქმის გადაწყვიტა, სხვებთან ერთად თვითონაც ეთიბა და ძმასთან გამღიზიანებელი ლაპარაკის შემდეგ ისევ გაახსენდა თავისი გადაწყვეტილება.

„ფიზიკური მუშაობაა საჭირო, თორემ ნამდვილად გამიფუჭდება ხასიათი“, – გაიფიქრა და გადაწყვიტა, ხელი მოეკიდა თიბვისათვის, რაც უნდა უხერხული ყოფილიყო ეს ძმისა და ხალხის წინაშე.

საღამოს კონსტანტინ ლევინი კანტორაში წავიდა. განკარგულებები გასცა სამუშაოთა შესახებ და კაცები დაგზავნა სოფლებში, რათა ხვალისათვის მთიბავები დაებარებინათ და გაეთიბათ ყველაზე დიდი და საუკეთესო ადგილი – კალინოვო ლუგი.

– ჩემი ცელი კი, გეთაყვა, ტიტს გაუგზავნეთ გამოსაპირავად და უთხარით, ხვალვე მოიტანოს, შეიძლება მეც დავიწყო თიბვა, – უთხრა და შეეცადა, ამის თქმაზე დარცხვენა არავის შეემჩნია.

მოურავმა გაიღიმა და მოახსენა: – ბატონი ბრძანდებით.

საღამოს ჩაიზე ლევინმა ძმასაც განუცხადა.

– ეტყობა, ამინდი დაიჭირა, – თქვა მან, – ხვალიდან თიბვას ვიწყებ.

– მე ძალიან მიყვარს ეგ სამუშაო, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– მეც საშინლად მიყვარს. ზოგჯერ მითიბია კიდეც გლეხებთან ერთად და ხვალაც მინდა მთელი დღე ვთიბო.

სერგეი ივანოვიჩმა თავი აიღო და განცვიფრებით შეხედა ძმას.

– ესე იგი, როგორ? გლეხებთან ერთად უნდა იდგე მთელი დღე?

– ჰო, ძალიან სასიამოვნოა, – უთხრა ლევინმა.

– ეს ძალიან კარგია, როგორც ფიზიკური ვარჯიში, მაგრამ არა მგონია, შეძლო ამის ატანა, – სრულიად სერიოზულად უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– მე უკვე ვცადე. პირველად გაგიჭირდება, მერე კი გაგიტაცებს სამუშაო. ვფიქრობ, სხვებს არ ჩამოვრჩები.

– აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ერთი მითხარი, გლეხები როგორ უყურებენ ამას? ალბათ, დაგცინიან, ამას რა უცნაურობას სჩადის ჩვენი ბატონიო.

– არა, არა მგონია. ეს ისეთი სახალისო და მასთან ერთად ისეთი ძნელი სამუშაოა, რომ ფიქრისათვის დროც აღარ გრჩება.

– მერე შენც იმათთან ერთად ისადილებ? ლაფიტისა და შემწვარი ინდაურის გამოგზავნა უხერხული იქნება.

– არა, ისინი რომ შეისვენებენ, მე შინ წამოვალ.

მეორე დღეს დილით ლევინი ჩვეულებრივზე ადრე ადგა, მაგრამ სამეურნეო საქმეებმა შეაყოვნა და სათიბში რომ მივიდა, მთიბავებს უკვე მეორე სვრელი გაჰქონდათ.

გორაკზე გადადგა თუ არა, მაშინვე დაინახა ნახევრად გათიბული მინდორი, რომელსაც ჩრდილი მისდგომოდა და გათიბული სვრელები მუქ ზოლებად მოჩანდა, იმ ადგილას კი, საიდანაც პირველი სვრელი დაეწყოთ, გროვად მოჩანდა შავი ხიფთანები, მთიბავებს რომ გაეხადათ.

ლევინი რაც უფრო უახლოვდებოდა სათიბს, მით გარკვევით ხედავდა ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებულ გლეხებს. ყველა თავისებურად იქნევდა ცელს, ზოგს ხიფთანი ეცვა და ზოგი კი პერანგის ამარა იყო. ლევინმა ორმოცდაორი მთიბავი დაითვალა.

მთიბავები ნელა მიიწევდნენ დაქანებულ სათიბზე, სადაც ძველად საგუბარი იყო. ლევინმა ზოგიერთი თავისი გლეხი შეიცნო კიდეც. აქ იყო მოხუცი ერმილი, ძალიან გრძელი, თეთრი პერანგი რომ ეცვა და წინ წახრილი იქნევდა ცელს; აქ იყო ყოჩაღი ვასკაც, ლევინის ყოფილი მეეტლე, ერთი მოქნევით რომ გაჰქონდა მთელი სვრელი; აქვე იყო ტანდაბალი, გამხდარი

გლეხი ტიტი, ლევინის მასწავლებელი თიბვაში. იგი წელგამართული მკერდით მიიწევდა წინ და თითქოს თამაშობს ცელითო, ისე გაჰქონდა განიერი სვრელი.

ლევინი ცხენიდან ჩამოხტა, ცხენი გზასთან მიაბა, თვითონ კი მივიდა ტიტთან, რომელმაც ბუჩქებიდან მეორე ცელი გამოაძვრინა და ლევინს გადასცა.

– მზად გახლავს, ბატონო, ისეთია, რომ ბალთავს, თავისით კაფავს, – უთხრა ტიტმა, ღიმილით მოიხადა ქუდი და ბატონს ცელი გაუწოდა.

ლევინმა ცელი გამოართვა და მოსინჯა. გაოფლიანებული, მხიარული მთიბავები, რომელთაც უკვე გაეტანათ სვრელები, ერთიმეორის მიყოლებით გადიოდნენ გზაზე და ღიმილით ესალმებოდნენ ბატონს. ისინი შეჰყურებდნენ ბატონს, მაგრამ თქმით კი ვერაფერს ეუბნებოდნენ, სანამ გზაზე არ გამოვიდა სახედაღარული, წვერგაპარსული, ცხვრისტყაპუჭიანი მაღალი მოხუცი და ასე არ უთხრა: – არა, ბატონო, ჭაპანს თუ მოეკიდე, აღარც უნდა ჩამოგვრჩე, – მიმართა მოხუცმა და ლევინს მთიბავების თავშეკავებული სიცილი შემოესმა.

– ვეცდები, არ ჩამოგრჩეთ, – უთხრა ლევინმა და ტიტს გვერდით ამოუდგა. დაელოდა, როდის დაიწყებდნენ თიბვას.

– აბა, – გაიმეორა მოხუცმა.

ტიტმა ადგილი დაუთმო და ლევინიც მიჰყვა. გზის პირას ბალახი დაბალი იყო. ლევინი თიბვასაც გადასჩვეოდა და ღელავდა კიდეც, რადგან ყველა მას მისჩერებოდა. პირველ წუთებში ვერ თიბავდა კარგად, თუმცა ცელს კი ძალუმად იქნევდა. ლევინის ზურგს უკან ლაპარაკი გაისმა: – ცელი ცუდად არის წამოცმული, სახელური მაღლა აქვს. შეხე, როგორ იღუნება, – თქვა ერთმა.

– ქუსლით უფრო დააწექი, – დაუმატა მეორემ.

– არაფერი უშავს, შეეჩვევა, – განაგრძო მოხუცმა, – ხედავ, წავიდა... ფართო სვრელს იღებ, არაქათს გამოგაცლის... რას იზამ, ბატონია და ცდილობს თავისთვის. სვრელი კი ვერაფერი შვილია! ამის გულისთვის ჩვენს ძმას კაი-კაისაც წაუთავაზებდნენ კისერში!

ბალახი უფრო და უფრო რბილი წამოვიდა, ლევინი ყურს

უგდებდა გლეხების ლაპარაკს, ხმაამოუღებლად მიჰყვებოდა ტიტს და ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ ეთიბა. ასიოდე ნაბიჯი გაიარეს. ტიტი შეუჩერებლივ მიიწევდა წინ, ოდნავადაც არ ეტყობოდა დაღლა; ლევინი კი ისე მოიქანცა, რომ შეეშინდა, ვაითუ ვეღარ გავუძლოო.

გრძნობდა, რომ უკანასკნელი ძალ-ღონე ელეოდა, ძლივსღა იქნევდა ცელს და გადაწყვიტა კიდეც, შეეჩერებინა ტიტი, მაგრამ ამ დროს ტიტი თვითონვე შეჩერდა, დაიღუნა, ბალახი აიღო, ცელს პირი გაუწმინდა და ლესვა დაუწყო. ლევინი წელში გაიმართა, ერთი ამოიხვნეშა და აქეთ-იქით მიმოიხედა. მას ერთი გლეხი მიჰყვებოდა უკან, ისიც, ეტყობოდა, ისევე დაქანცულიყო, რადგან ლევინამდე აღარც მისულა, მაშინვე შეჩერდა და ცელს დაუწყო ლესვა. ტიტმა ალესა თავისი და ლევინის ცელი და ისევ განაგრძო თიბვა.

მეორედაც იგივე განმეორდა. ტიტი მიდიოდა წინ ცელის ქნევით, არ ჩერდებოდა, არც დაღლა ემჩნეოდა. ლევინი უკან მიჰყვებოდა, ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო უჭირდა თიბვა. დგებოდა ისეთი წუთიც, როცა ლევინი გრძნობდა, რომ სულ გამოელია ძალ-ღონე, მაგრამ სწორედ ამ დროს ტიტიც შეჩერდებოდა და იწყებდა ცელის ლესვას.

ასე გაიტანეს პირველი სვრელი. და ეს გრძელი სვრელი განსაკუთრებით ძნელი ეჩვენა ლევინს; სამაგიეროდ, სვრელი რომ ჩაათავეს, ტიტმა ცელი მხარზე გაიდო და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ნათიბში თავისივე ნაკვალევს, მის ქუსლებს რომ დაეტოვებინა. ლევინიც ასევე გაჰყვა თავის კვალს. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ცხვირიდანაც ოფლი წვეთავდა და ზურგიც ისე ჰქონდა დასველებული, თითქოს წყალი გადაუსხამთო, მაინც მშვენივრად გრძნობდა თავს. განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ იცოდა, ახლა უკვე გაუძლებდა თიბვას.

სიამოვნებას მხოლოდ ის უწამლავდა, რომ მისი სვრელი კარგი არ იყო. „ხელს უფრო ნაკლებად მოვიქნევ, სამაგიეროდ, მთელი სხეულით ვიმოძრავებ“, – ფიქრობდა ლევინი, როცა ტიტის ლარივით გაყვანილ სვრელს თავის მიმობნეულ და უსწორმასწორო სვრელს ადარებდა.

როგორც ლევინმა შეამჩნია, პირველი სვრელი ტიტმა

განსაკუთრებული სისწრაფით გაიარა. ალბათ, ბატონის გამოცდა უნდოდა, სვრელიც გრძელი შეხვდათ. შემდეგი სვრელები უფრო იოლი აღმოჩნდა, მაგრამ ლევინს მაინც მთელი ძალ-ღონის დაძაბვა სჭირდებოდა, რომ მთიბავებს არ ჩამორჩენოდა.

ლევინი არაფერზე ფიქრობდა, არაფერი სურდა, გარდა იმისა, რომ არ ჩამორჩენოდა გლეხებს და მუშაობითაც რაც შეიძლებოდა, უკეთ ემუშავა. მხოლოდ ცელების ღრჭიალის ხმა ესმოდა, ხედავდა მის წინ მიმავალ გაჭიმულ ტიტს, ხედავდა, როგორ ნელა, ლამაზად იზნიქებოდა ნახევარ წრედ დაწვენილი მოთიბული ბალახი, როგორ ეცემოდა ცელის პირს მოხვედრილი ყვავილები და ხედავდა სვრელის ბოლოს, სადაც დასვენება ელოდა.

შუა მუშაობაში უეცრად ლევინმა გახურებულ, გაოფლიანებულ ბეჭებზე სველი, სასიამოვნო სიგრილე შეიგრძნო, მაგრამ ვერ მიხვდა, რა იყო ან საიდან უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ცელის ალესვის დროს ახედა ცას. ცა დაბლა ჩამოწოლილ მძიმე ღრუბლებს დაეფარა და მსხვილი წვიმა მოდიოდა. ზოგი ხიფთანებისკენ გაიქცა და ჩაიცვა, ზოგმა კი, ისე როგორც ლევინმა, მხიარულად აიწურა მხრები სიამის მომგვრელი სიგრილის გამო.

გაჰქონდათ და გაჰქონდათ ახალ-ახალი სვრელები. ზოგი უფრო გრძელი იყო, ზოგი მოკლე, ზოგან კარგი ბალახი ხვდებოდათ, ზოგან ცუდი. ლევინმა სულ დაკარგა დროის განცდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, ადრე იყო თუ გვიან. მის მუშაობაში რაღაც ცვლილება მოხდა. ახლა კი უდიდეს სიამოვნებას გრძნობდა. შუა მუშაობის დროს იყო ისეთი წუთები, როცა ავიწყდებოდა, რას აკეთებდა, მაშინ თავსაც უფრო მჩატედ გრძნობდა და სვრელიც ისეთივე სწორი და კარგი გამოსდიოდა, როგორც ტიტს. მაგრამ როგორც კი გაახსენდებოდა, რას აკეთებდა და შეეცდებოდა უკეთ გაეკეთებინა, მაშინვე გრძნობდა მუშაობის სიმძიმეს და სვრელიც ისევ ცუდი გამოდიოდა.

ერთი სვრელიც რომ ჩაათავეს, ლევინს უნდოდა ისევ ახალს შესდგომოდა, მაგრამ ტიტი შეჩერდა, მოხუცთან მივიდა და რაღაც უთხრა ჩუმად. ორივემ მზეს ახედა. „ნეტავ რაზე ლაპარაკობენ ან რატომ ახალ სვრელს არ იწყებენ?“ – გაიფიქრა ლევინმა. ვერ მიმხვდარიყო, რომ გლეხებმა შეუსვენებლივ

თიბეს თითქმის მთელი ოთხი საათი და ახლა უკვე საუზმის დროც წამოსულიყო.

– საუზმის დროა, ბატონო, – უთხრა მოხუცმა.

– განა უკვე დროა? მაშ, ვისაუზმოთ.

ლევინმა ცელი ტიტს გადასცა და გლეხებთან ერთად, რომელთაც თავიანთი ხიფთანებისკენ გასწიეს პურისათვის, გრძელი, წვიმისაგან დანამული გათიბული სვრელი გადაიარა და ცხენთან მივიდა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამინდმა მოატყუა და წვიმა უსველებდა თივას.

– თივას გააფუჭებს, – თქვა მან.

– არა უშავს რა, ბატონო, წვიმაში მოთიბე და ამინდში მოფოცხეო, – უპასუხა მოხუცმა.

ლევინმა ცხენი აუშვა და შინისკენ გასწია ყავის დასალევად.

სერგეი ივანოვიჩი ის იყო ამდგარიყო ლოგინიდან. ლევინმა ყავა დალია და სანამ სერგეი ივანოვიჩი ჩაიცვამდა და სასადილოში გამოვიდოდა, ისევ სათიბში წავიდა.

V

საუზმის შემდეგ ლევინი ძველ ადგილას აღარ მოხვდა. იგი ახლა ხუმარა მოხუცსა და ახალგაზრდა გლეხს შუა აღმოჩნდა. მოხუცმა თვითონვე მიიწვია ლევინი თავის გვერდით, ახალგაზრდა კი შემოდგომაზე დაქორწინებულიყო და ამ ზაფხულს პირველად გამოსულიყო სათიბად.

მოხუცი წელგამართული მიიწევდა, თანაბრად, ფართოდ ადგამდა გაღუნულ ფეხებს, ისე ზუსტად, ისე თანაბრად მოძრაობდა, თითქოს ეს მუშაობა მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა ხელების ქნევა. გეგონებოდათ, თამაშობსო, ისე მიკაფავდა განიერ, თანაბარ სვრელს, თითქოს ბასრი ცელიც თავისით დაცურავსო ცვრიან ბალახში.

ლევინს უკან ახალგაზრდა მიშკა მიჰყვებოდა. მას თავი ნორჩი

ბალახის გვირგვინით შეეკრა და ახალგაზრდულ, ლამაზ სახეზე ემჩნეოდა, რომ ძალას ატანდა თავს; მაგრამ როგორც კი შეხედავდით, მაშინვე გაიღიმებდა და ეტყობოდა, სიკვდილს უფრო ამჯობინებდა, ვიდრე დაგეთანხმებოდათ, მუშაობა მიჭირსო.

ლევინი ამ ორს შუა მიდიოდა. გახურებულ თიბვაში რომ შევიდნენ, უკვე აღარ უჭირდა მუშაობა. ღვართქაფად ჩამოსული ოფლი თითქოს აგრილებდა. მზე კი, რომელიც ზურგს, თავსა და იდაყვამდე აკაპიწებულ ხელებს უწვავდა, მეტ გამძლეობასა და შეუპოვრობას აძლევდა მუშაობაში; ახლა უფრო და უფრო ხშირად ეუფლებოდა ის წუთები, როცა შეიძლებოდა არ ეფიქრა იმაზე, რასაც აკეთებდა. ცელი თავისით დაცურავდა ბალახში. ეს წუთები ბედნიერი წუთები იყო. კიდევ უფრო სასიხარულო იყო ის წუთები, როცა მთიბავები მიაღწევდნენ მდინარემდე, სადაც თავდებოდა სვრელები, და მოხუცი სველი ბალახით გაწმენდდა ცელის პირს, მდინარის ცივ წყალში ამოავლებდა ფოლადს, მერე ტოლჩით წყალს ამოიღებდა და შესთავაზებდა ლევინს.

– აი, ჩემი ბურახი! რას იტყვი, კარგია? – ეტყოდა მოხუცი და თვალს ჩაუკრავდა. და მართლაც, ლევინს არასოდეს დაელია ისეთი სასმელი, როგორიც იყო ეს თბილი წყალი, შიგ მწვანე ბალახი რომ ტივტივებდა და თუნუქის ტოლჩა კი ჟანგის გემოს აძლევდა. ამის შემდეგ იწყებოდა ის სანეტარო მხარზე ცელგადებული სეირნობა, როცა შეგეძლო მოგეწმინდა წურწურით ჩამოსული ოფლი, ამოგესუნთქა მთელი მკერდით და გადაგეხედა მწკრივად მიმავალი მთიბავებისათვის; შეგეძლო დაგენახა, რა ხდებოდა ირგვლივ, ტყესა და მინდორში.

რაც უფრო მეტს თიბავდა ლევინი, მით ხშირად გრძნობდა იმ თავდავიწყების წუთებს, როცა ხელი კი არ იქნევდა ცელს, არამედ ცელი თავისით მიცურავდა და თან მიიყოლებდა სიცოცხლით სავსე სხეულს, და რაღაც ჯადოსნური ძალით თავისით ითიბებოდა ბალახი, სწორად და თანაბრად. ეს იყო ყველაზე სანეტარო წუთები.

ძნელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა უნდა შეგეწყვიტა ეს არაცნობიერად ქცეული მოძრაობა და გეფიქრა; როცა გარშემო უნდა შემოგეთიბა ბალახი გოროხისა ან ამოუძირკვავი მჟაუნასათვის.

მოხუცი იოლად ახერხებდა ამას. გორობი რომ შეხვდებოდა, სწრაფად შეცვლიდა მოძრაობას ან ქუსლით დაშლიდა გორობს, ან მოხერხებულად შემოუთიბავდა ორივე მხრიდან. ამას რომ აკეთებდა, თან ყველაფერს ათვალიერებდა, ყველაფერს აკვირდებოდა, რაც კი მის წინ იშლებოდა. ხან ძირხვენას მოჭრიდა და შეჭამდა ან ლევინს შესთავაზებდა, ხან ცელის წვერით გადაისროდა ბალახის ღეროს, ხან მწყრის ბუდეს უთვალთვალებდა, საიდანაც თითქმის ხელის ქვეშიდან ის იყო ამოფრინდა დედა მწყერი, ხან გველხოკერას დაიჭერდა, ცელის წვერზე წამოაგებდა, თითქოს ჩანგლით აიღოო, ისე ასწევდა ზევით, ლევინს დაანახვებდა და განზე გადააგდებდა.

ლევინსაც და მის უკან მომავალ ჭაბუკსაც უძნელდებოდა მოძრაობის ეს სწრაფი შეცვლა. დაძაბულ მოძრაობას ერთხელვე რომ ააწყობდნენ, მუშაობის ეშხში შედიოდნენ და ვეღარ ახერხებდნენ უეცრად შეეცვალათ მოძრაობა და თანაც თვალი მოევლოთ იმისათვის, თუ რა ხდებოდა მათ წინ.

ლევინი ვერ ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო. მისთვის რომ გეკითხათ, რამდენი ხანია, რაც თიბავო, ნახევარი საათი იქნებაო, გიპასუხებდათ. სადილობის დრო უკვე წამოსულიყო. ახალ სვრელს რომ იწყებდნენ, მოხუცმა ლევინს დაანახვა პატარა გოგო-ბიჭები, რომლებიც ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ მთიბავებისაკენ და ძლივს მოჩანდნენ მაღალ ბალახში. პატარებს ცალ ხელში პურით სავსე აბგები ეჭირათ, მეორეში კი ჩვრებით თავდაცული ბურახით სავსე დოქები და მათ ხელებს, ეტყობა, უჭირდათ ტვირთის ზიდვა.

– ხედავ, მოღოღავენ ხოჭოები, – თქვა მოხუცმა და გოგო-ბიჭებზე მიუთითა, თან თვალები ხელით მოიჩრდილა და მზეს ახედა.

ორი სვრელი კიდევ ჩაათავეს და მოხუციც შეჩერდა.

– აბა, ბატონო, ახლა კი ვისადილოთ, – გადაჭრით თქვა მან.

მთიბავები მდინარემდე მივიდნენ და შემდეგ სვრელებზე გადავლით გასწიეს ხიფთანებისაკენ, სადაც ელოდნენ ბავშვები, რომელთაც სადილი მოეტანათ. შორიდან მოსულებმა ფორანთან მოიყარეს თავი, ადგილობრივი გლეხები კი წნორის ბუჩქქვეშ შექუჩდნენ, ბუჩქს ბალახი გადააფარეს.

ლევინიც მათთან დაჯდა, ეზარებოდა შინ წასვლა.

უკვე დიდი ხანია გაქრა ყოველგვარი მორიდება ბატონის წინაშე. გლეხები სადილისათვის ემზადებოდნენ. ზოგი ხელ-პირს იბანდა, ახალგაზრდები მდინარეში ბანაობდნენ, სხვები დასასვენებელ ადგილს ირჩევდნენ. გახსნეს აბგები, თავი მოხადეს ბურახით სავსე დოქებს. მოხუცმა ჯამში ჩაიფშვნა პური, კოვზის ტარით დასრისა, ტოლჩიდან წყალი დაასხა, მერე კიდევ გაჭრა პური, მარილი ჩაყარა შიგ და აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი სალოცავად.

– აი, ბატონო, ეს არის ჩემი ბოღლიწო, – თქვა მან და ჯამის წინ დაიმუხლისთავა.

ბოღლიწო ისეთი გემრიელი აღმოჩნდა, რომ ლევინმა გადაიფიქრა სადილად შინ წასვლა. მოხუცთან ერთად ისადილა, შინაური საქმეებიც გამოჰკითხა, მერე თავის საქმიანობასაც მოუყვა, რასაც შეეძლო დაეინტერესებინა მოხუცი. იგი ამ მოხუცთან უფრო ახლოს გრძნობდა თავს, ვიდრე ძმასთან. ისეთ სიყვარულს გრძნობდა მისდამი, რომ უნებლიეთ ეღიმებოდა მასთან საუბრის დროს. როცა მოხუცი ისევ წამოდგა, ილოცა, იქვე ბუჩქის ძირას მიწვა და თავქვეშ ბალახი ამოიდო, ლევინიც ასევე მოიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ოფლისაგან დასველებულ ტანსა და სახეზე ბუზანკალი და მუმლი ესეოდა, რომელნიც არ ეპუებოდნენ მზეს, მაინც იმწამსვე ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როცა მზე ბუჩქის იქით გადაიხარა და თავს წამოადგა ლევინს. მოხუცს დიდი ხანია გაღვიძებოდა და ცელებს ულესავდა ახალგაზრდებს.

ლევინმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ადგილი ვეღარ იცნო, იმდენად შეცვლილიყო ყველაფერი. უზარმაზარი მინდორი უკვე გაეთიბათ და საღამოს მზის ალმაცერ სხივებზე თავისებურად, ახლებურად ბრწყინავდნენ გათიბული სვრელები, სურნელს აფრქვევდნენ. მდინარის პირას ირგვლივ შემოთიბული ბუჩქები და თვით მდინარე, წინათ რომ არ მოჩანდა, ახლა ფოლადივით ბრწყინავდა დაკლაკნილ კალაპოტში, მდინარის პირას მოფუსფუსე ხალხი, გაუთიბავი ბალახის ციცაბო კედელი, ქორები, თავს რომ დასტრიალებდნენ გაშიშვლებულ მინდორს, – ყოველივე ეს სრულიად ახალ სურათს წარმოადგენდა, გამოფხიზლებული ლევინი ახლა უკვე იმაზე ფიქრობდა, რამდენი გათიბეს დღეს და კიდევ რამდენი შეეძლოთ გაეთიბათ.

ორმოცდაორი კაცის კვალობაზე გათიბული მეტისმეტად ბევრი იყო. მთელი უზარმაზარი მინდორი, რომელსაც საბატონო ბეგარის დროს ოცდაათი ცელი ორ დღეს თიბავდა ხოლმე, უკვე მოთიბული იყო. მხოლოდ მოკლესვრელიანი კუთხეები დარჩენილიყო გამოსათიბი. მაგრამ ლევინს უნდოდა დღეს რაც შეიძლებოდა მეტი გაეთიბა და წუხდა, ასე მალე რომ ჩადიოდა მზე. არავითარ დაღლილობას არ გრძნობდა; მხოლოდ უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაეწყო თიბვა და რაც შეიძლება ბევრი ემუშავათ.

– როგორ ფიქრობ, მოვასწრებთ მაშკინ ვერხის გათიბვას? – ჰკითხა მოხუცს.

– ვნახოთ, რას მოგვცემს ღმერთი, მზე უკვე გადახრილა. ბიჭებისთვის არაყი იქნება?

სამხრობისას, როცა მთიბავებმა ცოტა ხანს შეისვენეს და თამბაქოს მწეველებმა თამბაქო გააბოლეს, მოხუცმა გამოუცხადა ბიჭებს: „მაშკინ ვერხს თუ გავთიბავთ, არაყი იქნება“.

– რატომაც არ გავთიბავთ, აბა, ტიტ, დაუყევი. აბა, ყოჩაღად! ჭამა ამაღამაც გვეყოფა. მიჰყევი! – გაისმა აქეთ-იქიდან და მთიბავები პურის ჭამით ჩაუდგნენ სვრელებს.

– აბა, ბიჭებო, მარჯვედ! – დასძახა ტიტმა და თითქმის სირბილით გასწია წინ.

– აბა, მიდი, მიდი! – ეუბნებოდა მოხუცი, თითქმის ფეხდაფეხ რომ მისდევდა მას, – ოღონდ მიფრთხილდი, ქაჩაჩები არ ჩაგაჭრა.

მოხუცებიც და ახალგაზრდებიც თითქმის ერთმანეთს უსწრებდნენ თიბვაში. მაგრამ, რაც უნდა აჩქარებულიყვნენ, ბალახს მაინც არ აფუჭებდნენ და სუფთად, მკაფიოდ გაჰქონდათ სვრელები. დარჩენილი კუთხეები ხუთ წუთში გათიბეს. ბოლოს დარჩენილ მთიბავებს ჯერ კიდევ არ გაეტანათ სვრელები, რომ მეწინავეებმა მხრებზე ხიფთანები წამოისხეს, გზა გადაჭრეს და მაშკინ ვერხისაკენ გასწიეს.

მზე უკვე ხეებს იქით ეშვებოდა, როცა მთიბავები ტოლჩების ჩხარუნით მაშკინ ვერხის ტყიან ფრანტეებს შეესივნენ. შუაგულ ხევში წელამდე სწვდებოდათ იასამფერათი

აჭრელებული ნაზი, რბილი ბალახი.

მცირე თათბირის შემდეგ, თუ როგორ დაევლოთ მინდვრისათვის – თავიდან ბოლომდე თუ განდაგან, მეწინავედ წავიდა პროხორ ერმილინი, გამოცდილი მთიბავი, ახმახი, შავგვრემანი გლეხი. პირველმა მან გაიტანა სვრელი, შემდეგ კი სხვა მთიბავებიც მიჰყვნენ. ჯერ ქვევით, ხევისაკენ ეშვებოდნენ, მერე აღმა აჰყვებოდნენ მთას და თითქმის ტყის პირამდე გადიოდნენ. მზე უკვე ტყეს ამოეფარა. ნამმა დაჰკრა. მთიბავები რომ ბორცვზე იყვნენ, ჯერ ისევ მზე ანათებდა, ქვევით ჩასვლისას, საიდანაც ოხშივარი ამოდიოდა, და უკან გამობრუნებისას მზე უკვე ჩავიდა და ნამიც გაუშვა. მუშაობა დუღდა.

ხმაურით წვებოდა მსუყე, სურნელოვანი ბალახი, მაღალ მწკრივებად ლაგდებოდა. მოკლე სვრელებში ყოველმხრივ შეჯგუფული მთიბავები ერთმანეთს აქეზებდნენ ხან ტოლჩების ჩხარუნით, ხან ერთმანეთს შეჯახებული ცელების ჟღრიალით, ხან ალესვის დროს ცელზე ქასურების წკრიალით, ხანაც შეუძახებდნენ ერთმანეთს.

ლევინი ისევ იმ მოხუცებსა და ჭაბუკს შუა მიდიოდა. მოხუცს ცვრის ტყავის ქურქი ჩაეცვა. ისევ ისეთი ხალისიანი იყო, ხუმრობდა და ძალდაუტანებლად მუშაობდა. ტყეში სულ პოულობდნენ სველ ბალახში გაფუებულ არყის სოკოებს და ცელებით ჭრიდნენ. მოხუცი კი, დაინახავდა თუ არა, მაშინვე დაიღუნებოდა, აიღებდა სოკოს, უბეში ჩაიგდებდა და თან დააყოლებდა: „ესეც ჩემი დედაბრის ნობათი“.

რაც უნდა იოლი ყოფილიყო ნამიანი, რბილი ბალახის თიბვა, ხევისკენ დაშვება და მერე ისევ ციცაბოზე ასვლა მაინც ჭირდა, მაგრამ მოხუცი იხტიბარს არ იტეხდა, ისევ ისე იქნევდა ცელს, მოკლე-მოკლე, მხნე ნაბიჯით ნელა მიცოცავდა კლდეზე თავისი დიდქალამნებიანი ფეხებით და მართალია, მთელი სხეული უკანკალებდა, მაინც არც ერთ ბალახსა და სოკოს არ ტოვებდა გზაზე, თან ისევ ისე ეხუმრებოდა გლეხებსა და ლევინს. ლევინი მიჰყვებოდა მოხუცს და ხშირად ფიქრობდა, რომ უსათუოდ დაეცემოდა ციცაბო ბორცვზე, სადაც უცელოდაც გაუჭირდებოდა ასვლა; მაგრამ მაინც მიცოცავდა და აკეთებდა იმას, რაც საჭირო იყო. გრძნობდა, რომ რაღაც გარეგანი ძალა ამოძრავებდა.

VI

მაშკინ ვერხი გათიბეს, უკანასკნელი სვრელები შემოასწორეს, ხიფთანები ჩაიცვეს და მხიარულად გასწიეს შინისაკენ. ლევინი ცხენზე შეჯდა, სინანულით გამოეთხოვა გლეხებს და შინისაკენ წავიდა. მთაზე ასულმა უკან მიიხედა. მთიბავები აღარ ჩანდნენ, ისინი ქვემოდან წამოსულ ნისლს დაეფარა; მხოლოდ მათი უხეში შეძახილები, ხმამაღალი ხარხარი და ერთმანეთს შეჯახებული ცელების წკრიალი ისმოდა.

სერგეი ივანოვიჩი უკვე კარგა ხნის ნასადილევი იყო და ახლა ყინულიან ლიმონის წყალს მიირთმევდა თავის ოთახში, თან ფოსტიდან ახლახან მიღებულ გაზეთებსა და ჟურნალებს ათვალიერებდა, როცა მასთან მხიარული ლაპარაკით შეიჭრა ლევინი, რომელსაც აბურძგნილი თმა ოფლიან შუბლზე მისწებებოდა. მზემოკიდებული ზურგი და მკერდი კი სულ ერთიანად ოფლით ჰქონდა გაწუწული.

– ჩვენ კი მთელი მინდორი გავთიბეთ! ოჰ, რა საოცრად კარგია! შენ როგორღა ხარ? – ეუბნებოდა ლევინი, სულ გადაჰყროდა გულიდან გუშინდელი უსიამოვნო საუბარი.

– ღმერთო ჩემო, რას ჰგავხარ! – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და უსიამოვნოდ ახედ-დახედა ძმას, – კარი, კარი დახურე! – წამოიძახა მან, – ათ ბუზს მაინც შემოუშვებდი.

სერგეი ივანოვიჩს საშინლად სძულდა ბუზები და თავის ოთახში ფანჯრებს მხოლოდ ღამღამობით აღებდა და კარსაც გულმოდგინედ ხურავდა ხოლმე.

– ღმერთმანი, ერთიც არ შემომიშვია. თუ შემოვუშვი, დავიჭერ. ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებაა! შენ როგორ გაატარე დღე?

– კარგად, მაგრამ ნუთუ შენ მთელი დღე თიბავდი? ალბათ, ახლა მგელივით იქნები დამშეული. კუზმამ ყველაფერი მოამზადა შენთვის.

– არა, ჭამა არ მინდა. იქ ვჭამე. წავალ, დავიბან.

– ჰო, წადი, წადი, მეც ახლავე გამოვალ, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, რომელიც თავის ქნევით შეჰყურებდა ძმას, – წადი, რაღას უყურებ, – ღიმილით დაუმატა მან, თავისი წიგნები მოკრიფა და თვითონაც წასასვლელად მოემზადა. მოულოდნელად სერგეი ივანოვიჩმაც სიხარული იგრძნო და

აღარ უნდოდა მოსცილებოდა ძმას, – ჰო, წვიმის დროს სადღა იყავი?

– რომელი წვიმა? ოდნავ წამოწინწკლა. მაშ, მე ახლავე მოვალ. მაშ, კარგად გაატარე დღე? ჰოდა, ძალიან კარგი, – და ლევინი ჩასაცმელად გავიდა.

ხუთი წუთის შემდეგ ძმები სასადილოში შეიყარნენ. თუმცა ლევინს ეგონა, არა მშიაო, და სადილად მხოლოდ იმიტომ დაჯდა, რომ კუზმასთვის არ ეწყენინებინა, მაგრამ ჭამას რომ შეუდგა, სადილი არაჩვეულებრივად გემრიელი ეჩვენა. სერგეი ივანოვიჩი ღიმილით შეჰყურებდა ძმას.

– ჰო, მართლა, შენთან წერილია, – უთხრა მან, – კუზმა, აბა, ერთი ამოიტანე ქვევიდან წერილი. მხოლოდ კარი არ დაგრჩეს ღია.

წერილი ობლონსკისაგან იყო. ლევინმა ხმამაღლა წაიკითხა. ობლონსკი პეტერბურგიდან იწერებოდა: „დოლი ერგუშოვოშია და იქიდან წერილი მივიღე, რომ საქმეები ვერაფრით ვერ მოაწესრიგა. თუ შეგიძლია, ჩადი მასთან და შენი რჩევა მიაშველე, შენ ხომ ყველაფერი იცი. მასაც ძალიან გაუხარდება შენი ნახვა. სულ მარტოდმარტოა საწყალი. სიდედრი და მისიანები ისევ საზღვარგარეთ არიან“.

– ძალიან კარგი! უსათუოდ ჩავალ, – თქვა ლევინმა, – ერთად წავიდეთ. დოლი ისეთი მშვენიერი ქალია. ხომ მართალია?

– შორს არის აქედან?

– ოცდაათი ვერსი იქნება. თუმცა შეიძლება ორმოციც იყოს, მაგრამ გზა ძალიან კარგია, მშვენივრად ვიმგზავრებთ.

– დიდად მოხარული ვიქნები, – ისევ ღიმილით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

უმცროსი ძმის დანახვამ ისიც ხალისიან გუნებაზე დააყენა.

– მადა მართლაც საოცარი გაქვს! – დასძინა მან, როცა ლევინის თეფშისაკენ დახრილ მზით დამწვარ, აწითლებულ სახესა და კისერს დახედა.

– ჩინებულია! შენ არ დამიჯერებ, რა სასარგებლო რეჟიმია ეს ყოველგვარი სისულელის წინააღმდეგ. მე მინდა მედიცინა ახალი ტერმინით გავამდიდრო: Arbeitscur.[37]

– მაგრამ, მე მგონი, შენ არ დაგჭირდება ეს.

– მე არა, მაგრამ ნერვებით დაავადებულ ავადმყოფებს გამოადგებათ.

– ჰო, ეს უნდა ვცადოთ. მინდოდა მოვსულიყავი სათიბში და შემეხედა შენთვის, მაგრამ ისეთი აუტანელი სიცხე იყო, რომ ტყის იქით ვეღარ გამოვედი. ერთხანს იქ ვიჯექი, მერე ტყეზე გადავლით სოფელში მივედი, შენი ძიძა შემხვდა, ვკითხე, რას ფიქრობენ-მეთქი გლეხები ლევინზე. მეც ასე მეგონა და ასეც ყოფილა, გლეხებს თურმე არ მოსწონთ შენი საქციელი. ბატონის საქმე არ არისო, თქვა ძიძამ. საერთოდ, მე მგონია, მათ ცნობიერებაში მტკიცედ არის შემოფარგლული, როგორც ისინი იტყვიან ხოლმე, „ბატონის საქმიანობა“ და არ უყვართ, როცა ბატონი მათი გონებით შემოფარგლული ჩარჩოდან გამოდის.

– შეიძლება, მაგრამ ეს ისეთი სიამოვნებაა, როგორც ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ განმიცდია. ცუდი აქ არაფერია. ხომ მართალია? – უპასუხა ლევინმა, – რა ვუყოთ, რომ არ მოსწონთ? საერთოდ, მე მგონია, ეს არაფერს ნიშნავს. შენ რას იტყვი?

– საერთოდ, – განაგრძო სერგეი ივანოვიჩმა, – როგორც ვატყობ, შენ კმაყოფილი ხარ დღევანდელი დღით?

– ძალიან კმაყოფილი ვარ! მთელი მინდორი გავთიბეთ. რა მოხუცს დავუმეგობრდი! შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა დიდებული კაცია!

– მაშ, კმაყოფილი ხარ დღევანდელი დღით? მეც კმაყოფილი ვარ. ჯერ ერთი, ჭადრაკის ორი ამოცანა გადავწყვიტე. ერთი მაინც შესანიშნავია – პაიკით იწყება. მერე გიჩვენებ. შემდეგ ჩვენს გუშინდელ საუბარზე ვფიქრობდი.

– რაო? გუშინდელ საუბარზე? – უთხრა ლევინმა, რომელიც სიამოვნებით ლულავდა თვალებს და განცხრომით ფშვინავდა მირთმეული სადილის შემდეგ. ვერაფრით გაეხსენებინა, რას შეეხებოდა გუშინდელი საუბარი, – მე მგონი, შენ ნაწილობრივ მართალი ხარ. ჩვენი უთანხმოება იმაში მდგომარეობს, რომ შენ მამოძრავებელ ძალად პირად ინტერესს თვლი, მე კი მგონია, რომ განათლების გარკვეულ საფეხურზე მდგომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საერთო კეთილდღეობის ინტერესი. შეიძლება შენ მართალი ხარ და უფრო სასურველია, როცა ამ საქმიანობაში მატერიალურადაც ხარ დაინტერესებული.

საერთოდ შენ, როგორც ფრანგები იტყვიან, მეტად prime-sautiére[38] ადამიანი ხარ; შენ ან მგზნებარე, ენერგიული მოღვაწეობა გინდა, ან არაფერი.

ლევინი ყურს უგდებდა ძმას, სრულებით არაფერი გაეგებოდა და არც უნდოდა გაეგო. მხოლოდ ეშინოდა, ძმას რაიმე ისეთი შეკითხვა არ მიეცა, რომელიც გამოააშკარავებდა ლევინის უყურადღებობას.

– მაშ, ასე, ჩემო მეგობარო, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და მხარზე ხელი დაადო.

– დიახ, რაღა თქმა უნდა. მერე რა! მე არც დამიჟინია, – უპასუხა ლევინმა და ბავშვურად, დამნაშავესავით გაიღიმა. „ნეტავ რაზე ვკამათობდით? – ფიქრობდა იგი, – რა თქმა უნდა, მეც მართალი ვიქნებოდი და ისიც, საერთოდ ყველაფერი მშვენივრად არის. მხოლოდ კანტორაში უნდა წავიდე განკარგულების გასაცემად“.

ლევინი ზმორებითა და ღიმილით წამოდგა ფეხზე.

სერგეი ივანოვიჩმაც გაიღიმა.

– გავლა თუ გინდა, ერთად წავიდეთ, – უთხრა ლევინს, არ უნდოდა მოსცილებოდა ძმას, რომლისგანაც ასეთი სიხალისე და სიმხნევე გადმოსჩქეფდა, – წავიდეთ, კანტორაშიც შევიაროთ, თუ გინდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – ისე ხმამაღლა წამოიყვირა ლევინმა, რომ სერგეი ივანოვიჩი შეკრთა.

– რა იყო, რა დაგემართა?

– როგორა აქვს ხელი აგაფია მიხაილოვნას? – იკითხა ლევინმა და შუბლში ხელი იტკიცა, – სულ არ გადამავიწყდა?

– ბევრად უკეთესად.

– მაინც ჩავირბენ მასთან. შენ ქუდის დახურვასაც ვერ მოასწრებ, რომ მე უკვე აქ ვიქნები.

და ლევინმა ქუსლების ბრახუნით ჩაირბინა კიბე.

VII

იმ დროს, როცა სტეფან არკადიჩი პეტერბურგში ჩამოვიდა, სრულიად ბუნებრივი, ყველა მოსამსახურისათვის ცნობილი, თუმცა არამოსამსახურეთათვის გაუგებარი მოვალეობის აღსასრულებლად, მოვალეობისა, რომელიც მეტისმეტად საჭიროა და ურომლისოდაც შეუძლებელია სამსახური – შეეხსენებინა თავი სამინისტროში, – ამ მოვალეობის აღსასრულებლად თითქმის მთელი ფული წამოიღო სახლიდან და მხიარულად, სიამოვნებით ატარებდა დროს დოღსა და აგარაკებზე. დოლი ბავშვებთან ერთად სოფელში გადავიდა, რათა რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, შეემცირებინა ხარჯი. დოლი თავის ნამზითვ სოფელში, ერგუშოვოში ჩამოვიდა, სადაც სწორედ ამ ზაფხულს გაყიდეს ტყე და რომელიც ორმოცდაათი ვერსით იყო დაშორებული ლევინის პოკროვსკოედან.

დიდი, ძველებური სახლი ერგუშოვოში კარგა ხანია დანგრეულიყო და ჯერ კიდევ თავადმა შეაკეთებინა და გაადიდებინა ფლიგელი. ამ ოცი წლის წინ, როცა დოლი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ფლიგელი ფართო და მოხერხებული ეჩვენებოდა, თუმცა როგორც ყველა ფლიგელი, ისიც გასასვლელი ხეივნის გვერდით იდგა, სამხრეთისაკენ პირშექცეული. ახლა კი ფლიგელი დაძველებული და დაფუტუროებული იყო. ჯერ კიდევ გაზაფხულზე, როცა სტეპან არკადიჩი ჩამოვიდა ტყის გასაყიდად, დოლიმ სთხოვა, დაეთვალიერებინა სახლი და შეეკეთებინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. სტეფან არკადიჩმაც, როგორც ყველა დამნაშავე ქმარი ცდილობს, განსაკუთრებით კარგად დააბინაოს ცოლი, თვითონვე დაათვალიერა სახლი და განკარგულება გასცა, შეეკეთებინათ ყველაფერი, რაც კი მისი აზრით საჭირო იყო: მთელი ავეჯისათვის გადაეკრათ კრეტონი, ჩამოეკიდათ ფარდები, გაესუფთავებინათ ბაღი, გუბურაზე ხიდი გაედოთ და ყვავილები დაერგოთ. მაგრამ დაავიწყდა ბევრი სხვა რამ აუცილებელი, რომელთა უქონლობამაც შემდეგ გააწამა დარია ალექსანდროვნა.

როგორ არ ცდილობდა სტეპან არკადიჩი, მზრუნველი ქმარი და მამა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ყოველთვის ავიწყდებოდა, რომ ჰყავდა ცოლი და შვილები. მას უცოლშვილო კაცის გემოვნება ჰქონდა და მხოლოდ ამას უწევდა ანგარიშს. მოსკოვში რომ დაბრუნდა, სტეფან არკადიჩმა ამაყად განუცხადა ცოლს,

ყოველივე მზად არის, სახლი დედოფალივით მორთული დაგხვდებაო, და ძალიანაც ურჩია იქ წასვლა. სტეფან არკადიჩისათვის ცოლის სოფელში წასვლა ყოველმხრივ სასიამოვნო იყო: ბავშვებიც ჯანმრთელად იქნებოდნენ, ხარჯიც ნაკლები ექნებოდა და თვითონაც უფრო თავისუფლად იგრძნობდა თავს. დარია ალექსანდროვნას აუცილებლად მიაჩნდა ზაფხულში სოფლად გადასვლა; განსაკუთრებით საჭირო იყო ეს გოგონასათვის, რომელმაც ქუნთრუშის შემდეგ ვეღარ მოიკეთა, და ბოლოს თვითონაც უნდოდა თავი დაეღწია ამ წვრილმანი თავის დამცირებისაგან, შეშის გამყიდველის, თევზით მოვაჭრისა თუ ფეხსაცმელების მკერავის ვალებისაგან, რამაც გააწამა დოლი. გარდა ამისა, კიდევ იმიტომ უნდოდა სოფელში წასვლა, რომ თავისთან წაეყვანა კიტი, რომელიც შუა ზაფხულში უნდა დაბრუნებულიყო საზღვარგარეთიდან და ექიმებისაგან ბანაობა ჰქონდა დანიშნული. კიტი წყლებიდან იწერებოდა, არაფერი ისე სანეტაროდ არ მეჩვენება, როგორც ამ ზაფხულის გატარება დოლისთან ერთად, ერგუშოვოში, რომელიც სავსეა ბავშვობის მოგონებებითო.

პირველ ხანებში სოფელში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა დოლის. მას მხოლოდ ბავშვობაში ეცხოვრა სოფლად და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა დარჩენილი, თითქოს სოფელი ხსნა იყო ქალაქის ყოველგვარი უსიამოვნებისაგან, სადაც ცხოვრება მართალია ლამაზი არ არის (ამას იოლად ურიგდებოდა დოლი), სამაგიეროდ იაფია და მოხერხებული, ყველაფერი ხელთა გაქვს, ყველაფერი იაფია, ყველაფერი შეგიძლია იშოვო და ბავშვებიც კარგად არიან. მაგრამ ახლა, როცა ჩამოვიდა სოფელში როგორც დიასახლისი, მიხვდა, რომ ყოველივე სულაც არ იყო ისე, როგორც ფიქრობდა.

მათი ჩამოსვლის მეორე დღესვე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და ღამით დერეფანში და საბავშვო ოთახში წყალი ჩამოვიდა, ასე რომ, საწოლები სასტუმროში გაიტანეს. მზარეული ქალი არ ჰყავდათ. ცხრა ძროხიდან, როგორც მწველავი ქალი ამბობდა, ზოგი მაკედ იყო, ზოგს პირველი ხბო ჰყავდა, ზოგი ბებერი იყო და ზოგსაც ჯიქანი არ უვარგოდა; ასე რომ, კარაქი და რძე ბავშვებსაც არ ჰყოფნიდათ. კვერცხები არ ჰქონდათ, ქათამიც ვერ იშოვეს. ხარშავდნენ და წვავდნენ გალურჯებულ მამლებს. ვერც დედაკაცი იშოვეს იატაკების მოსარეცხად – ყველანი კარტოფილის ამოსაღებად გასულიყვნენ. ეტლით სეირნობა

შეუძლებელი იყო, რადგანაც ცალი ცხენი ფრთხებოდა და ხელნიდან ეშვებოდა. საბანაო ადგილიც არ იყო – მდინარის მთელი ნაპირი პირუტყვს გადაეთელა და გზიდან ყველაფერი ჩანდა. სასეირნო ადგილიც კი არ ჰქონდათ, რადგან ღობე გარღვეული იყო და საქონელი ბაღში შედიოდა. ერთი მაინც ისეთი საშინელი ხარი იყო, სულ ბღაოდა და, ალბათ, ირჩოლებოდა კიდეც. კაბებისთვის არ ჰქონდათ კარადა. რაც ჰქონდათ, ისიც არ იკეტებოდა და გვერდით რომ ჩაუვლიდი, თავისით იღებოდა. ვერც თუჯიები და დიდი ქოთნები იშოვეს, სამოახლოში არც სარეცხის ქვაბი იყო და არც საუთოო ფიცარი.

პირველ ხანებში დამშვიდებისა და დასვენების მაგიერ დარია ალექსანდროვნა სასოწარკვეთილებას მიეცა იმის გამო, რომ, მისი აზრით, ასეთ უბედურებაში ჩავარდა; წვალობდა, რაც შეეძლო, მაგრამ გრძნობდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იყო და ძლივსღა იკავებდა ყოველ წუთს თვალზე მომდგარ ცრემლებს. მოურავი, ყოფილი ვახმისტრი, რომელიც სტეპან არკადიჩმა თავისი ლაზათიანი და სასიამოვნო გარეგნობის გამო შეიყვარა და ერთხანს მეკარედაც ჰყავდა, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა დარია ალექსანდროვნას მწუხარებაში, მხოლოდ მოკრძალებით ეუბნებოდა, ისეთი საძაგელი ხალხია, რომ ვერაფერს გააწყობო, – და არაფერში ეხმარებოდა.

მდგომარეობა გამოუვალი ჩანდა. მაგრამ როგორც ყველა ოჯახში, ობლონსკების სახლშიც იყო ერთი შეუმჩნეველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო პიროვნება – მატრიონა ფილიმონოვნა. ის ამშვიდებდა ქალბატონს და არწმუნებდა, ყველაფერი მოგვარდებაო (ეს მისი სიტყვა იყო და მისგან გადაიღო მატვეიმ), თვითონ კი დინჯად და აუღელვებლად მოქმედებდა.

იგი მაშინვე დაუახლოვდა მოურავის ცოლს და პირველ დღესვე მასთან და მოურავთან ერთად მიირთვა ჩაი აკაციების ქვეშ, სადაც განსაჯეს ყველაფერი. მალე აკაციების ქვეშ მატრიონა ფილიმონოვნას კლუბი დაარსდა და ამ კლუბის წყალობით, სადაც შედიოდნენ მოურავის ცოლი, მამასახლისი და კანტორის მოხელე, თანდათან შენელდა ცხოვრების სიძნელეები, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მართლაც მოგვარდა ყველაფერი. სახურავი შეაკეთეს, მზარეული იშოვეს – მამასახლისის ნათლიდედა, ქათმები იყიდეს, ძროხებმაც მოიწველეს, ბაღს

მესერი შემოავლეს, ხურომ კარადებს საკეტები გაუკეთა და თავისით აღარ იღებოდნენ, ჯარისკაცური მაუდით გადაკრული საუთოო ფიცარი სავარძლის სახელურსა და კომოდზე გადეს და სამოახლოში უთოს სუნი დატრიალდა.

– ესეც ასე! თქვენ კი სულ დაკარგული გქონდათ იმედი, – უთხრა მატრიონა ფილიმონოვნამ და ფიცარზე მიუთითა.

ჩალის ლასტებისგან საბანაოც კი გააკეთეს. ლილიმ ბანაობა დაიწყო და დარია ალექსანდროვნას ნაწილობრივ მაინც გაუმართლდა არცთუ მშვიდი, მაგრამ სოფლური, მოხერხებული ცხოვრების მოლოდინი. დარია ალექსანდროვნას არც შეეძლო დამშვიდებული ცხოვრება თავისი ექვსი შვილით. ერთი ავად გახდებოდა, შეიძლება მეორეც გამხდარიყო ავად, მესამეს რაღაც აკლდა, მეოთხე ცუდ ზნეს ამჟღავნებდა და ასე შემდეგ და შემდეგ. ძალიან იშვიათად თუ დაუდგებოდა ხანმოკლე სიმშვიდის პერიოდი. თუმცა ზრუნვა და მოუსვენრობა ერთადერთი შესაძლებელი ბედნიერება იყო დარია ალექსანდროვნასათვის. ეს რომ არა, მარტო დარჩებოდა თავის ფიქრებთან. ეს ფიქრები კი შეეხებოდა ქმარს, რომელსაც არ უყვარდა დოლი. გარდა ამისა, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო დედისთვის ავადმყოფობის შიში, თვით ავადმყოფობა ან მწუხარება იმის გამო, რომ ბავშვები ცუდ მიდრეკილებას იჩენდნენ, პატარ-პატარა სიხარულსაც არგუნებდნენ ხოლმე დედას ამ მწუხარების სამაგიეროდ. მაგრამ ეს სიხარული იმდენად პატარა იყო, რომ შეუმჩნეველი რჩებოდა, ისე როგორც შეუმჩნეველია ქვიშაში ოქრო, და მძიმე წუთებში დოლი მხოლოდ მწუხარებას, მხოლოდ ქვიშას ხედავდა; მაგრამ იყო ისეთი კარგი წუთებიც, როცა დოლი მხოლოდ სიხარულს, მხოლოდ ოქროს ამჩნევდა.

ახლა სოფელში განმარტოებული დოლი უფრო და უფრო ხშირად განიცდიდა ამ სიხარულს. ბევრჯერ, ბავშვებს რომ შეჰყურებდა, ყოველნაირად ძალას ატანდა თავს, რათა დარწმუნებულიყო, რომ თავს იტყუებდა, რომ როგორც დედა, მიკერძოებული იყო შვილებისადმი. მაგრამ მაინც შეუძლებელი იყო, არ ეღიარებინა, რომ მშვენიერი ბავშვები ჰყავდა, ექვსივე სხვადასხვანაირი, მაგრამ ისეთები, როგორებსაც იშვიათად შეხვდებით – და დოლი ბედნიერი იყო და ამაყობდა შვილებით.

VIII

მაისის ბოლოს, როცა ასე თუ ისე მოეწყო ყველაფერი, დოლიმ ქმრის წერილი მიიღო, პასუხად თავის წერილისა, რომელშიც იგი უჩიოდა სოფლის ცხოვრების მოუწყობლობას. ქმარი პატიებას ითხოვდა, რომ ვერ მოიფიქრა ყველაფერი და სწერდა, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოვალო. ეს შესაძლებლობა არ აღმოჩნდა და დარია ალექსანდროვნა ივნისის დამლევამდე მარტო ცხოვრობდა სოფელში.

კვირას, პეტრე-პავლობა დღეს, დარია ალექსანდროვნამ საზიარებლად წაიყვანა ბავშვები წირვაზე.

დარია ალექსანდროვნა თავის გულახდილ ფილოსოფიურ საუბრებში ყოველთვის აოცებდა დას, დედასა და მეგობრებს თავისუფალი აზროვნებით რელიგიაზე. მას თავისი უცნაური მეტემფსიქოზის რელიგია ჰქონდა და მტკიცედ სწამდა კიდეც, ეკლესიის დოგმატებზე კი ნაკლებ ზრუნავდა. მაგრამ ოჯახში ზუსტად ასრულებდა ყველაფერს, რასაც სარწმუნოება მოითხოვდა და ამას მხოლოდ სხვებისათვის მაგალითის მისაცემად კი არა, მთელი სულითა და გულით აკეთებდა. დარია ალექსანდროვნა დიდად წუხდა იმის გამო, რომ ბავშვები მთელი წლის განმავლობაში არ ზიარებულან და მატრიონა ფილიმონოვნას სრული დასტურითა და თანაგრძნობით გადაწყვიტა, ამ ზაფხულს აღესრულებინა ეს.

დარია ალექსანდროვნამ რამდენიმე დღით ადრე მოიფიქრა, რა ჩაეცმია ბავშვებისთვის. შეკერეს კაბები, გადააკეთეს, გარეცხეს, ფურჩალები და ნაკეცები ჩამოუშალეს, ღილები დააკერეს, ბაფთები მოამზადეს. რამდენი სისხლი გაუშრო დარია ალექსანდროვნას მარტო ერთმა ტანიას კაბამ. კაბის გადაკეთება ინგლისელმა ქალმა იკისრა, მაგრამ ნაკერი ცუდ ადგილას მოუვიდა, სახელოებიც ღრმად ამოჭრა და სულ გააფუჭა. ტანიას მხრებში ისე უჭერდა კაბა, რომ შეგეცოდებოდათ. მერე მატრიონა ფილიმონოვნამ მოისაზრა, კაბისთვის ნაჭერი ჩაეკერებინათ და პელერინა გაეკეთებინათ. საქმე გამოსწორდა, მაგრამ ინგლისელ ქალთან თითქმის ჩხუბი მოუხდა ამის გამო. დილისთვის ყველაფერი კარგად მოეწყო და ცხრა საათისათვის – მღვდელს სთხოვეს, წირვა ამ დრომდე არ დაეწყო – მორთულ-მოკაზმული, სიხარულით სახეგაბრწყინებული ბავშვები პარმაღთან, ეტლის წინ იდგნენ და დედის გამოსვლას ელოდნენ.

ეტლში მფრთხალი ყორანას მაგივრად მატრიონა ფილიმონოვნას პროტექციით მოურავის ქურანა ცხენი შეებათ და თეთრ მარმაშის კაბაში გამოწყობილი დარია ალექსანდროვნაც, რომელიც თავისმა ტუალეტმა შეაყოვნა, ეტლში ჩასაჯდომად გამოვიდა.

დარია ალექსანდროვნა ღელავდა, ცდილობდა, ლამაზად დაევარცხნა თმა, ლამაზად ჩაეცვა. წინათ იგი თავისი სიამოვნებისათვის ირთვებოდა, რათა ლამაზი ყოფილიყო და ყველას მოსწონებოდა. მერე კი, რაც ხანში შევიდა, ჩაცმაც აღარ სიამოვნებდა, ხედავდა, როგორ დაკარგა სილამაზე. ახლა კი კვლავ მღელვარებითა და სიამოვნებით იცვამდა თავისი სიამოვნებისა და სილამაზისთვის კი არა, მხოლოდ იმის სურვილით, რომ მას, როგორც ამ მშვენიერი ბავშვების დედას, არ გაეფუჭებინა საერთო შთაბეჭდილება. და როცა უკანასკნელად ჩაიხედა სარკეში, კმაყოფილი დარჩა თავისი თავით. იგი მშვენიერი იყო. მართალია, ისეთი არა, როგორიც უნდოდა ხოლმე ყოფილიყო ბალებზე, მაგრამ კარგი იყო იმ მიზნისათვის, რომელიც ახლა ჰქონდა მხედველობაში.

ეკლესიაში გლეხების, მეეზოვეებისა და მათი დედაკაცების მეტი არავინ იყო. მაგრამ დარია ალექსანდროვნა ხედავდა, ან შეიძლება ეჩვენებოდა, რა აღტაცება გამოიწვიეს მან და მისმა ბავშვებმა. მორთულ-მოკაზმული ბავშვები არა მარტო მშვენივრები იყვნენ, შესანიშნავადაც ეჭირათ თავი. მართალია, ალიოშა მთლად კარგად ვერ იდგა, სულ უკან იხედებოდა და ცდილობდა, ზურგიდან დაენახა თავისი ქურთუკი, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივად საყვარელი იყო. ტანია დიდი ქალივით იდგა და თვალყური ეჭირა პატარებზე. უმცროსი გოგონა ლილი ხომ მშვენიერი რამ იყო. იგი გულუბრყვილო გაოცებით შეჰყურებდა ყველაფერს და ძნელი იყო ღიმილის შეკავება, როცა ლილიმ ზიარების შემდეგ უთხრა მღვდელს: „Please, some more“.[39]

შინ დაბრუნებული ბავშვები გრძნობდნენ, რომ აღსრულდა რაღაც დიდებული რამ და ძალიან ჭკვიანურად იქცეოდნენ.

სახლშიც ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ საუზმის დროს გრიშამ სტვენა წამოიწყო და რაც ყველაზე ცუდი იყო, არ დაუჯერა ინგლისელ ქალს, რის გამოც ტკბილი ნამცხვრის გარეშე დატოვეს. დარია ალექსანდროვნა რომ იქ ყოფილიყო, ასეთ დღეს დასჯამდე არ მიიყვანდა საქმეს, მაგრამ ახლა კი

მხარი უნდა დაეჭირა ამ გადაწყვეტილებისათვის. იმანაც დასტური მისცა ინგლისელი ქალის განკარგულებას, რომ გრიშასათვის ტკბილი ნამცხვარი არ მიეცათ. ამან ცოტა არ იყოს დაჩრდილა საერთო სიხარული.

გრიშა ტირილით ამბობდა, ნიკოლენკამაც დაუსტვინა, მაგრამ ის არ დასაჯეს და ახლა იმიტომ კი არ ვტირი, რომ ნამცხვარი არ მომცეს, – ჩემთვის სულერთია, მომცემენ თუ არა ნამცხვარს – იმიტომ ვტირი, რომ უსამართლოდ მომექცნენო. ეს მეტად გულსაკლავი იყო და დარია ალექსანდროვნამ გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა ინგლისელ ქალს, რათა ეპატიებინა გრიშასთვის დანაშაული და მისკენ გასწია. სასტუმრო ოთახში რომ გაიარა, ისეთი სურათი იხილა და ისეთი სიხარულით აევსო გული, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა და თვითონვე აპატია დამნაშავეს.

დასჯილი სასტუმრო ოთახის კუთხეში, ფანჯარაზე იყო შემომჯდარი, მის გვერდით იდგა ტანია თეფშით ხელში. ტანიამ ინგლისელ ქალს სთხოვა, თავისი ნამცხვარი ბავშვების ოთახში წაეღო, რათა დედოფლებსაც ესადილათ, ნამცხვარი კი ძმისთვის მიეტანა. გრიშა კვლავ განაგრძობდა ტირილს თავის უსამართლოდ დასჯის გამო, თან მიტანილ ნამცხვარს შეექცეოდა და ტირილით ამბობდა: „შენც ჭამე, ერთად ვჭამოთ... ერთად“.

პირველად ტანიამ სიბრალული იგრძნო გრიშასადმი, მერე თავისი კეთილი საქციელი შეიგნო, იმასაც ცრემლები მოადგა თვალებზე. მაგრამ ჭამაზე მაინც უარი არ უთქვამს და ისიც შეექცეოდა თავის წილს.

დედა რომ დაინახეს, ბავშვები შეშინდნენ, მაგრამ, როცა სახეში შეხედეს დედას, იგრძნეს, რომ კარგად მოიქცნენ და ნამცხვრით პირგამოტენილებმა სიცილი დაიწყეს, თან პირი ხელებით მოიწმინდეს და სიცილით გაბრწყინებული სახე ცრემლებითა და მურაბით მოითხუპნეს.

– ღმერთო ჩემო! ახალი თეთრი კაბა, ტანია! გრიშა! – ეუბნებოდა დედა და ცდილობდა, როგორმე გადაერჩინა კაბა, თან ცრემლმორეული თვალებით ნეტარებით, აღტაცებით იღიმებოდა.

ახალი ტანისამოსი გახადეს, გოგონებს კოფთების ჩაცმა უბრძანეს, ბიჭებს კი ძველი ქურთუკებისა, განკარგულება

გასცეს, ეტლი გაემზადებინათ, მოურავის გულის გასახეთქად ისევ ქურანა ცხენი შეებათ და სოკოების საკრეფად და მდინარეზე საბანაოდ წასულიყვნენ. ბავშვების ოთახში აღტაცებული ჟივილ-ხივილი გაისმა და აღარც გაჩუმებულან, სანამ საბანაოდ არ წავიდნენ.

მთელი კალათა გაავსეს სოკოებით. ლილიმაც კი იპოვა ერთი არყა სოკო. პირველად მის გული რომ იპოვიდა სოკოს, ლილისაც უჩვენებდა ხოლმე, ახლა კი ლილიმ თვითონ იპოვა დიდი არყა სოკო, რამაც საერთო აღტაცებული ყიჟინა გამოიწვია: „ლილიმ არყა სოკო იპოვა!“

მერე მდინარისაკენ წავიდნენ, ცხენები არყის ხეებქვეშ დააყენეს, თვითონ კი საბანაოსკენ გასწიეს. მეეტლე ტერენტიმ არყის ხეზე გამოაბა ცხენები, რომელთაც მოსვენებას არ აძლევდნენ მწერები, თვითონ კი ბალახზე წამოწვა ხეების ჩრდილში და თუთუნი გააბოლა, საბანაოდან კი ბავშვების შეუწყვეტელი, მხიარული ჟივილ-ხივილი მოისმოდა.

მართალია, ადვილი არ იყო ყველა ბავშვისათვის თვალყურის მიდევნება, მათი სიცელქის შეჩერება, ძნელი იყო დაგემახსოვრებინა ყველაფერი და ერთმანეთში არ აგრეოდა ეს წინდები, პატარა შარვლები, სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელი, თასმებისა და ღილების გახსნა და შეკვრა, მაგრამ დარია ალექსანდროვნას, რომელსაც თვითონაც ყოველთვის უყვარდა ბანაობა და ბავშვებისთვისაც სასარგებლოდ თვლიდა, ასე არაფერი სიამოვნებდა. ამ პაწია ფუნჩულა ფეხებზე სათითაოდ ხელის მოკიდება, წინდების ჩაცმა, ამ ტიტლიკანა ბავშვების ხელში აყვანა და სათითაოდ წყალში ჩაშვება, მათი მხიარული თუ შეშინებული შეყვირება, სულშეხუთული, შიშისაგან თვალებგაფართოებული და თან სიხარულით გაბრწყინებული სახეების, ამ მოჭყუმპალე ქერუბიმების ყურება დიდ ნეტარებას ანიჭებდა დარია ალექსანდროვნას.

როდესაც ნაწილს ბავშვებისას უკვე ჩააცვეს, საბანაოსთან მოვიდნენ ლაზათიანად გამოწყობილი დედაკაცები, რომელნიც საკვეთელა და რძიანა ბალახის საძებნელად იყვნენ წამოსული, და მოკრძალებით გაჩერდნენ მდინარესთან. მატრიონა ფილიმონოვნამ ერთ-ერთ მათგანს დაუძახა, რომ წყალში ჩავარდნილი ზეწარი და ხალათი მოეტანა გასაშრობად, და დარია ალექსანდროვნაც გამოელაპარაკა დედაკაცებს. დედაკაცებმა ჯერ ვერ გაიგეს შეკითხვა, პირზე ხელები

აიფარეს და სიცილი დაიწყეს, მაგრამ მალე გათამამდნენ, ალაპარაკდნენ და მაშინვე მოიგეს დარია ალექსანდროვნას გული იმით, რომ გულწრფელად შეხაროდნენ ბავშვებს.

– შეხედე იმ ლამაზ გოგონას, რა შაქარივით თეთრია, – ამბობდა ერთი და სიყვარულით შეჰყურებდა ტანიას, თან თავს აქნევდა, – გამხდარი კია.

– დიახ, ავად იყო.

– შეხედე იმას, ალბათ, ესეც აბანავეს, – ამბობდა მეორე და ძუძუთა ბავშვზე უთითებდა.

– არა, ეს ჯერ მხოლოდ სამი თვისაა, – სიამაყით უპასუხა დარია ალექსანდროვნამ.

– დახე ერთი!

– შენ არ გყავს შვილები?

– ოთხი მყავდა, ორიღა შემრჩა: გოგო და ბიჭი. გასულ დაურწყებას გავაშვებინე ძუძუ!

– რა ხნისაა?

– მეორე წელშია.

– ასე დიდხანს რატომ აწოვე?

– ჩვენი წესი ასეთია: სამი მარხვა უნდა წოვოს.

და საუბარი მეტად საინტერესო შეიქნა დარია ალექსანდროვნასათვის: როგორ იმშობიარა? რით ჰყავდა ბავშვი ავად? ქმარი სად იმყოფებოდა? ხშირად ჩამოდის თუ არა?

დარია ალექსანდროვნას აღარ უნდოდა მოსცილებოდა დედაკაცებს, იმდენად საინტერესო იყო მათთან საუბარი, ისე ერთნაირი აღმოჩნდა მათი ინტერესები. ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ დარია ალექსანდროვნა ნათლად ხედავდა, დედაკაცებს ყველაზე მეტად ის მოსწონდათ, რომ მას ასე ბევრი და ასე კარგი შვილი ჰყავდა. დედაკაცებმა გააცინეს დარია ალექსანდროვნა და აწყენინეს ინგლისელ ქალს იმის გამო, რომ იგი შეიქნა მისთვის გაუგებარი სიცილის მიზეზი. ერთი ახალგაზრდა დედაკაცი მისჩერებოდა ინგლისელ ქალს,

რომელიც ყველაზე ბოლოს იცვამდა, და როცა დაინახა, რომ მესამე ქვედატანი ჩაიცვა, თავი ვეღარ შეიკავა და შენიშნა: „ერთი შეხედე, ამდენს იხვევს, იხვევს და ვერ იქნა, ვეღარ დაიხვია!“ – და ამ სიტყვებზე ყველანი ახარხარდნენ.

IX

დაბანილი, სველთმიანი ბავშვებით გარშემორტყმული, ხილაბანდით თავწაკრული დარია ალექსანდროვნა უკვე სახლს უახლოვდებოდა, როცა მეეტლემ თქვა: – ვიღაც ბატონი მობრძანდება, მგონი, პოკროვსკოედან უნდა იყოს.

დარია ალექსანდროვნამ წინ გაიხედა და დიდად გაიხარა, როცა მათკენ მომავალ ნაცრისფერ პალტოსა და ქუდში გამოწყობილ მამაკაცში ლევინი შეიცნო. მას ყოველთვის ახარებდა ლევინის ნახვა, ახლა კი განსაკუთრებით გაახარა ამან, რადგან ლევინი მთელი თავისი დიდებით იხილავდა. ამას კი ლევინზე უკეთ ვერავინ დააფასებდა.

დოლი რომ დაინახა, ლევინს ოცნებით წარმოდგენილი თავისი მომავალი ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთი სურათი დაუდგა თვალწინ.

– ნამდვილი დედა კრუხივითა ხართ, დარია ალექსანდროვნა.

– ოჰ, როგორ მიხარია! – უთხრა დოლიმ და ხელი გაუწოდა.

– გიხარიათ და თქვენი ჩამოსვლა კი არ შემატყობინეთ. ჩემთან ძმა არის ჩამოსული. სტივასაგან ახლა მივიღე წერილი და შევიტყვე, რომ აქა ხართ.

– სტივასაგან? – გაკვირვებით ჰკითხა დარია ალექსანდროვნამ.

– დიახ, იწერება, რომ თქვენ აქ ჩამოხვედით და ფიქრობს, ნებას მომცემთ, რაიმე დახმარება გაგიწიოთ, – და ეს რომ თქვა, უცებ დაირცხვინა, ლაპარაკი შეწყვიტა და ხმაამოუღებლად მიჰყვა ეტლს, თან გზადაგზა ცაცხვის შტოებს ტეხდა და კბილით წიწკნიდა. ლევინს შერცხვა, რაკი წარმოიდგინა, რომ დარია ალექსანდროვნასათვის სასიამოვნო არ იქნებოდა დახმარების

მიღება უცხო ადამიანისაგან, მაშინ როცა ეს დახმარება ქმრისაგან უნდა მიეღო. დარია ალექსანდროვნას მართლაც არ მოსწონდა ქმრის საქციელი, თავისი ოჯახური საქმეების სხვებისათვის თავზე მოხვევა, და მაშინვე მიხვდა, რომ ლევინმა იგრძნო ეს. დარია ალექსანდროვნასაც სწორედ იმიტომ უყვარდა ლევინი, რომ ასეთი გამგები და თავაზიანი იყო.

– მე, რასაკვირველია, მივხვდი, – უთხრა ლევინმა, – ეს მხოლოდ ნიშანია იმისა, რომ თქვენ ჩემი ნახვა გინდოდათ, და ეს ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მაქვს, რომ თქვენ, ქალაქელ დიასახლისს, აქ ყველაფერი უცნაურად მოგეჩვენებათ და თუ რამე გნებავთ, მიმსახურეთ.

– ო, არა! – უთხრა დოლიმ, – პირველ ხანებში მართლაც გაგვიჭირდა, მაგრამ ახლა ჩემი მოხუცი გადიის წყალობით ყველაფერი კარგად მოეწყო, – თქვა მან და მატრიონა ფილიმონოვნაზე მიუთითა. მატრიონა ფილიმონოვნაც მიხვდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი და იმანაც მხიარულად, სიყვარულით გაუღიმა, იგი იცნობდა ლევინს, იცოდა, რომ კარგი საქმრო იქნებოდა ახალგაზრდა ქალბატონისათვის და უნდოდა ეს საქმე მომხდარიყო.

– ეტლში ჩაბრძანდით, ჩვენ იქით მივიწევით, – უთხრა ლევინს.

– არა, ფეხით წამოვალ. აბა, ბავშვებო, ვის უნდა ჩემთან ერთად გაუსწროს ცხენებს.

ბავშვები თითქმის არ იცნობდნენ ლევინს, აღარც ახსოვდათ, როდის ნახეს იგი, მაგრამ მაინც არ გამოუხატავთ მისდამი ის უცნაური დარცხვენა და ზიზღის გრძნობა, რასაც ხშირად იჩენენ ბავშვები უფროსებისადმი, თვალთმაქცი ადამიანებისადმი, რისთვისაც ისჯებიან კიდევაც. თვალთმაქცობას შეუძლია მოატყუოს ძალიან ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი, მაგრამ ბავშვი კი, რაც უნდა გონებაშეზღუდული იყოს და რაგინდ ხელოვნურად უნდა დაფარო თვალთმაქცობა, მაინც მიგიხვდება და შეგიძულებს ამის გამო. ლევინს შესაძლოა ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ თვალთმაქცობის ნიშანწყალიც კი არ გააჩნდა და ამიტომ ბავშვებმაც ისეთივე გულითადობა იგრძნეს ლევინისადმი, როგორიც დედის სახეზე ამოიკითხეს. ლევინის მიპატიჟებაზე

ორი უფროსი ბავშვი მაშინვე გადმოხტა ეტლიდან და ისევე მოურიდებლად გაჰყვნენ მას, როგორც გაჰყვებოდნენ ძიძას, მის გულს ან დედას. ლილიმაც მოინდომა მასთან მისვლა. დედამაც მიაწოდა ბავშვი, ლევინმა ლილი მხარზე შეისვა და ბავშვებთან ერთად გაიქცა.

– ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, დარია ალექსანდროვნა! შეუძლებელია, ვატკინო რამე ან ხელიდან გამივარდეს, – ეუბნებოდა იგი და გახარებული უღიმოდა დოლის.

და როცა დაინახა, როგორ მოხერხებულად, მარჯვედ გარბოდა ლევინი, როგორი მზრუნველობითა და სიფრთხილით მიჰყავდა ბავშვი, დედაც დამშვიდდა და მხიარული ღიმილით, მოწონებით გააყოლა თვალი.

აქ, სოფელში, ბავშვებსა და დარია ალექსანდროვნასთან ერთად, რომელსაც ყოველთვის პატივსა სცემდა, ლევინიც მისთვის ჩვეულ ბავშვურ, მხიარულ ხასიათზე დადგა, რაც განსაკუთრებით მოსწონდა დარია ალექსანდროვნას. იგი დარბოდა ბავშვებთან ერთად, ავარჯიშებდა, აცინებდა მის გულს თავისი დამახინჯებული ინგლისური ენით და თან უყვებოდა დარია ალექსანდროვნას, რას საქმიანობდა სოფელში.

ნასადილევს, როცა დარია ალექსანდროვნა და ლევინი მარტონი ისხდნენ აივანზე, დოლიმ კიტიზე ჩამოაგდო სიტყვა.

– თქვენ იცით? კიტი აქ ჩამოვა და ჩემთან ერთად გაატარებს ზაფხულს.

– მართლა? – თქვა ლევინმა და გაწითლდა, მაგრამ მაშინვე, რათა სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი, დაუმატა, – მაშ, გამოგიგზავნოთ ორი ძროხა? და თუ ანგარიშიანობა გნებავთ, კეთილ ინებეთ და გადამიხადეთ თვეში ხუთ-ხუთი მანეთი, თუ არ შეგრცხვებათ ამისი.

– არა, გმადლობთ. ეს საქმე უკვე მოგვარდა.

– მაშ, თქვენ ძროხებს დავათვალიერებ და თუ ნებას მომცემთ, განკარგულებას გავცემ, როგორ უნდა კვებონ. მთავარი კვებაა.

და ლევინმა, საუბარი სხვა საგანზე რომ გადაეტანა, დარია ალექსანდროვნას გადაუშალა მთელი თეორია სარძეო მეურნეობის შესახებ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ძროხა

არის საკვების რძედ გადამმუშავებელი მანქანა და ა. შ.

იგი ამას ლაპარაკობდა და თან სულითა და გულით უნდოდა, დაწვრილებით შეეტყო კიტის ამბავი, თანაც აშინებდა ამის გაგება. ეშინოდა, არ დაეკარგა ის სიმშვიდე, რომლის მოპოვებაც ასე ძვირი დაუჯდა.

– დიახ, მაგრამ ყოველივე ამას თვალყურის დევნება უნდა, ჩვენთან კი, აბა, ვინ უნდა ადევნოს თვალყური? – უხალისოდ უპასუხა დარია ალექსანდროვნამ.

მან მატრიონა ფილიმონოვნას შემწეობით ისე მოაწყო თავისი მეურნეობა, რომ ახლა არავითარი ცვლილების შეტანა აღარ უნდოდა; არც სჯეროდა, რომ ლევინს გაეგებოდა რამე სოფლის მეურნეობისა: დარია ალექსანდროვნას საეჭვოდ ეჩვენებოდა ლევინის მსჯელობა, ძროხა რძის დამამზადებელი მანქანაა. მისი ფიქრით, ამგვარი მსჯელობით მხოლოდ შეიძლებოდა ხელი შეგეშალა მეურნეობისათვის, მას კი ეს საქმე უფრო მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი: საჭიროა, როგორც მატრიონა ფილიმონოვნა ამბობდა, უფრო მეტი აჭამონ, მეტი სალაფავი მისცენ კაბელასა და ბროლფერდას და თვალი ადევნონ, რომ მზარეულმა მრეცხავის ნარეცხი ძროხას არ მიუტანოს. ეს სრულიად გასაგები იყო. ხოლო მსჯელობა ფქვილეულითა და ბალახით კვების შესახებ საეჭვო და გაუგებარი ეჩვენებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ დარია ალექსანდროვნას კიტიზე უნდოდა ლაპარაკი.

X

– კიტი იწერება, ისე არაფერი მენატრება, როგორც განმარტოება და სიმშვიდეო, – თქვა დოლიმ ჩამოვარდნილი სიჩუმის შემდეგ.

– ისე ხომ უკეთ არის? – აღელვებით იკითხა ლევინმა.

– მადლობა ღმერთს, სრულიად გამოჯანმრთელდა. მე არასოდეს მჯეროდა, რომ კიტის რაიმე ავადმყოფობა ჰქონდა.

– აჰ, დიდად მოხარული ვარ, – თქვა ლევინმა და ამას რომ ამბობდა, დოლიმ მდუმარედ გადახედა ლევინს და მის სახეზე რაღაც მეტისმეტი გრძნობიერება და უმწეობა ამოიკითხა.

– მომისმინეთ, კონსტანტინ დმიტრიჩ, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ და თავისებურად კეთილად, ოდნავ დამცინავად ჩაიცინა, – რატომ ხართ კიტიზე გაჯავრებული?

– მე? გაჯავრებული არა ვარ, – უპასუხა ლევინმა.

– არა, თქვენ გაჯავრებული ხართ. რატომ არ შემოიარეთ ან ჩვენთან, ან იმათთან, როცა მოსკოვში იყავით?

– დარია ალექსანდროვნა, – დაიწყო ლევინმა და სულ ერთიანად წამოწითლდა, – მე მაოცებს კიდეც, რომ თქვენ, ასეთი კეთილი გულის ადამიანი, ვერ გრძნობთ ამას. ნუთუ არ გებრალებით მაინც, როცა იცით, რომ...

– რა ვიცი?

– როცა იცით, რომ მე მას ხელი ვთხოვე და უარი მივიღე, – ჩაილაპარაკა ლევინმა და მთელი ის სინაზე და სიყვარული, ამ ერთი წუთის წინ რომ გრძნობდა კიტისადმი, გაბოროტებამ შეცვალა იმ შეურაცხყოფის გამო.

– რატომ ფიქრობდით, რომ მე ვიცოდი ეგ?

– იმიტომ, რომ ეს ყველამ იცის.

– აი, ამაში კი ცდებით; მე ეს არ ვიცოდი, თუმცა ვხვდებოდი კი.

– არ იცოდით? ახლა ხომ გაიგეთ?

– მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რაღაც მოხდა ისეთი, რაც მას საშინლად ტანჯავდა და რომ კიტიმ მთხოვა, არასოდეს სიტყვაც არ დამეძრა ამაზე. და თუ მეც არ მითხრა ეს, მაშასადამე, არავისთვისაც არ უთქვამს. მაინც რა მოხდა თქვენ შორის? მითხარით.

– მე უკვე გითხარით, რაც მოხდა.

– როდის მოხდა ეს?

– როცა უკანასკნელად ვიყავი თქვენთან.

– იცით, რა უნდა გითხრათ, – დაიწყო დარია ალექსანდროვნამ,

– მე კიტი ძალიან, ძალიან მებრალება. თქვენ მხოლოდ სიამაყის გამო იტანჯებით...

– შეიძლება, – თქვა ლევინმა, – მაგრამ...

დარია ალექსანდროვნამ აღარ დააცალა სიტყვის დამთავრება.

– მაგრამ ის კი, ის საცოდავი, ძალიან, ძალიან მებრალება. ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

– მაპატიეთ, დარია ალექსანდროვნა, – უთხრა ლევინმა და წამოდგა, – მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ნახვამდის, დარია ალექსანდროვნა.

– არა, მოითმინეთ, – თქვა დოლიმ და სახელოზე წაავლო ხელი, – მოითმინეთ, დაჯექით.

– გთხოვთ, გემუდარებით, ნუღარაფერს ვიტყვით ამაზე, – უთხრა და ისევ ძველ ადგილას დაჯდა, მაგრამ იგრძნო, რომ გულში კვლავ აღდგა, კვლავ გაიღვიძა იმედმა, უკვე დამარხული რომ ეგონა.

– მე რომ თქვენ არ მიყვარდეთ, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ და თვალებზე ცრემლები მოადგა, – მე რომ თქვენ ისე არ გიცნობდეთ, როგორც გიცნობთ...

გრძნობა, რომელიც ლევინს მკვდარი ეგონა, ნელ-ნელა ცოცხლდებოდა და მთლიანად ეუფლებოდა მის გულს.

– დიახ, ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, – განაგრძო დარია ალექსანდროვნამ, – თქვენ არ შეგიძლიათ ამისი გაგება; თქვენთვის, მამაკაცებისათვის, რომელნიც თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ, ვინც გინდათ, ის ამოირჩიოთ, თქვენთვის ნათელია, ვინ გიყვართ. მაგრამ ქალიშვილს, რომელიც ბედს ელოდება, თავისი ქალწულებრივი კდემამოსილებით, ქალიშვილს, რომელიც შორიდან შემოგყურებთ თქვენ, მამაკაცს, და ყველაფერს სიტყვით იჯერებს, აქვს ხოლმე და კიდეც შეიძლება ჰქონდეს ისეთი გრძნობა, რომელსაც არ იცის, როგორ უპასუხოს.

– დიახ, თუ გული არაფერს ეუბნება...

– არა, გული კი ეუბნება, მაგრამ, აბა, დაუფიქრდით: თქვენ, მამაკაცები, წინასწარ ამოირჩევთ ქალიშვილს, დადიხართ მასთან სახლში, უახლოვდებით, აკვირდებით, ელოდებით,

როდის აღმოაჩენთ მასში იმას, რაც თქვენ გიყვართ, შემდეგ კი, როცა უკვე დარწმუნდებით თქვენს სიყვარულში, წინადადებას აძლევთ...

– არა, ეს სავსებით ასე არ არის.

– სულერთია, თქვენ წინადადებას აძლევთ ქალს, როცა თქვენი სიყვარული მომწიფდება, როცა ორ არჩევანს შორის ერთ-ერთი გადასძლევს. ქალს კი არაფერს ეკითხებიან. უნდათ, თვითონ მან ამოირჩიოს, მას კი ამორჩევა არ შეუძლია და მხოლოდ გვიპასუხებს: ჰო ან არა.

„დიახ, არჩევანი ჩემსა და ვრონსკის შორის“, – გაიფიქრა ლევინმა და მის გულში აღმდგარი მიცვალებული კვლავ მოკვდა, მხოლოდ მტანჯველადღა ქენჯნიდა მის გულს.

– დარია ალექსანდროვნა, – უთხრა ლევინმა, – ასე ირჩევენ ხოლმე კაბას ან სხვა რაიმე საყიდელს, სიყვარულს კი არა. არჩევანი უკვე გაკეთდა და მით უკეთესი... ამის განმეორება უკვე აღარ შეიძლება...

– აჰ, სიამაყე, სიამაყე! – ისე თქვა დარია ალექსანდროვნამ, თითქოს ზიზღსა ჰგვრიდა მისი ეს ქვენა გრძნობა, შედარებით იმ გრძნობასთან, რომელიც შეიძლება მხოლოდ ქალებს გააჩნდეთ, – იმ დროს, როცა თქვენ წინადადება მიეცით კიტის, იგი სწორედ იმგვარ მდგომარეობაში იყო, რომ არ შეეძლო პასუხის გაცემა. იგი მერყეობდა. მერყეობდა თქვენსა და ვრონსკის შორის. ვრონსკის იგი ყოველდღე ხედავდა, თქვენ კი დიდი ხანი იყო არ ენახეთ. კიტი რომ ასე ახალგაზრდა არ ყოფილიყო, მე რომ ვყოფილიყავი, მაგალითად, მის ადგილზე, ამ მერყეობას ადგილიც არ ექნებოდა. ვრონსკი მე ყოველთვის მძულდა და ასეც დასრულდა.

ლევინმა კიტის პასუხი გაიხსენა: არა, ეს შეუძლებელიაო, ასე უპასუხა კიტიმ.

– დარია ალექსანდროვნა, – ამაყად უთხრა ლევინმა, – მე ვაფასებ თქვენს ნდობას. ვფიქრობ, თქვენ ცდებით. მაგრამ მართალი ვარ მე თუ მტყუანი, ამ სიამაყემ, რომელიც თქვენ ასეთ ზიზღსა გგვრით, ის გააკეთა, რომ ახლა ჩემთვის ყოველგვარი ფიქრი კატერინა ალექსანდროვნაზე შეუძლებელია, თქვენ გესმით, სრულიად შეუძლებელია.

– მე მხოლოდ ერთს გეტყვით კიდევ: თქვენთვის გასაგებია, რომ ამას გელაპარაკებით საკუთარ დაზე, რომელიც ისევე მიყვარს, როგორც ჩემი შვილები, მე არ ვამბობ, რომ თქვენ მას უყვარდით, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ იმ წუთში მის მიერ ნათქვამი უარი არაფრის მაჩვენებელი არ არის.

– მე არ ვიცი! – თქვა ლევინმა და სკამიდან წამოხტა, – თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მიკლავთ ამით გულს! ეს იგივეა, თქვენ შვილი მოგიკვდეთ და ვინმემ გითხრათ: თქვენი შვილი ასეთი და ასეთი იქნებოდა, მას შეეძლო ეცოცხლა, გაეხარებინეთ, და ის კი მოკვდა, მოკვდა, მოკვდა...

– რა სასაცილო ხართ, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ და მიუხედავად ლევინის აღელვებისა, ნაღვლიანად ჩაიცინა, – დიახ, ახლა უფრო და უფრო უკეთ ვხედავ ყველაფერს, – ჩაფიქრებით განაგრძობდა დოლი, – მაშ, თქვენ არ მოხვალთ ჩვენთან, როცა კიტი ჩამოვა?

– არა, არ მოვალ. რაღა თქმა უნდა, მე არ გავურბივარ კატერინა ალექსანდროვნას, მაგრამ საცა კი შესაძლებელი იქნება, ვეცდები ავაცდინო ჩემი ყოფნით გამოწვეული უსიამოვნება.

– ძალიან, ძალიან სასაცილო ხართ, – იმეორებდა დარია ალექსანდროვნა და სიყვარულით შეჰყურებდა სახეში, – მაშ, კარგი, ჩვენ ვითომ ხმაც არ ამოგვიღია ამაზე. რატომ მოხვედი, ტანია, – ფრანგულად შეეკითხა დარია ალექსანდროვნა ოთახში შემოსულ გოგონას.

– დედა, სად არის ჩემი პატარა ნიჩაბი?

– მე შენ ფრანგულად გეკითხები, შენც ასევე მიპასუხე.

გოგონას უნდოდა ეთქვა, მაგრამ დაავიწყდა, რა ერქვა ფრანგულად ნიჩაბს. დედამ გაახსენა, მერე ფრანგულადვე უთხრა, სად უნდა მოეძებნა ნიჩაბი. ლევინს მეტად არასასიამოვნოდ ეჩვენა ეს.

ახლა მას წეღანდელივით აღარ სიამოვნებდა დარია ალექსანდროვნას სახლი, მისი ბავშვები.

„რატომ ელაპარაკება ბავშვს ფრანგულად? – გაიფიქრა მან, – რა არაბუნებრივია, რა ყალბი. ბავშვებიც გრძნობენ ამას. ფრანგულს ისწავლიან და გულწრფელობას კი გადაეჩვევიან“, – ფიქრობდა თავისთვის ლევინი. არ იცოდა, რომ დარია

ალექსანდროვნამაც ბევრჯერ იფიქრა ეს, მაგრამ ბოლოს, გულწრფელობის საზიანოდ, აუცილებლად ჩათვალა ამ გზით ესწავლებინა ბავშვებისათვის.

– აბა, სად უნდა წახვიდეთ? მოითმინეთ.

ლევინი ჩაიზე დარჩა, მაგრამ აღარ იყო ისე მხიარული და თავსაც უხერხულად გრძნობდა.

ჩაის შემდეგ ლევინი დერეფანში გავიდა და განკარგულება გასცა, ცხენები შეებათ. ოთახში რომ შემობრუნდა, დარია ალექსანდროვნა აღელვებული, სახეშეშლილი და თვალცრემლიანი დახვდა. ლევინის იქ არყოფნაში რაღაც მომხდარიყო ისეთი, რასაც მთლიანად გაენადგურებინა დარია ალექსანდროვნას დღევანდელი სიხარული და ბავშვებით გამოწვეული სიამაყე. გრიშა და ტანია ბურთის გამო წაეკიდნენ ერთმანეთს, საბავშვო ოთახიდან ყვირილი რომ შემოესმა, დარია ალექსანდროვნა მაშინვე იქით გაიქცა და საშინელ მდგომარეობაში შეისწრო ბავშვები. ტანია თმაში ჩაფრენოდა გრიშას, ბრაზისაგან სახეშეშლილი გრიშა გამეტებით ურტყამდა დას მუშტებს, სადაც მოხვდებოდა. ეს რომ დაინახა, თითქოს რაღაც ჩაწყდა გულში დარია ალექსანდროვნას, თითქოს რაღაც წყვდიადი გადაეფარა მის ცხოვრებას: მიხვდა, რომ მისი ბავშვები, რომლებითაც ამაყობდა, არათუ სრულიად ჩვეულებრივი, არამედ ცუდი, უწესოდ აღზრდილი ბავშვებიც კი იყვნენ – ტლანქი, მხეცური მიდრეკილების, ბოროტი ბავშვები.

დარია ალექსანდროვნას ახლა არ შეეძლო სხვა რამეზე ლაპარაკი ან ფიქრი, არ შეეძლო არ გაეზიარებინა ლევინისთვის თავისი უბედურება.

ლევინი ხედავდა, რომ დარია ალექსანდროვნა უბედური იყო და შეეცადა ენუგეშებინა, არწმუნებდა, ეს ცუდს არაფერს ამტკიცებს, ბავშვები ყველანი ასე ჩხუბობენო, მაგრამ ამას რომ ამბობდა, გულში ასე ფიქრობდა: „არა, მე არ დავიწყებ ჩემს შვილებთან პრანჭვასა და ფრანგულად ლაპარაკს, მე არ მეყოლება ასეთი შვილები. არ უნდა გააფუჭო, არ უნდა დაამახინჯო ბავშვები და ისინიც კარგები იქნებიან. არა, მე არ მეყოლება ასეთი შვილები“.

ლევინი გამოეთხოვა ყველას და წავიდა, დარია ალექსანდროვნასაც აღარ დაუკავებია იგი.

XI

შუა ივლისში ლევინთან მამასახლისი გამოცხადდა დის სოფლიდან, რომელიც ორი ვერსით იყო დაშორებული პოკროვსკოედან, რათა მოეხსენებინა, როგორ მიდიოდა საქმეები და როგორ ჩაიარა თიბვამ. მთავარ შემოსავალს დის მამულში სარწყავი სათიბები იძლეოდა. წინა წლებში სათიბს გლეხები ყიდულობდნენ, დესეტინას ოც მანეთად. როცა ლევინმა ხელი მოჰკიდა ამ მამულის მართვა-გამგეობას, დაათვალიერა სათიბები, დარწმუნდა, რომ უფრო ძვირი ღირდა და დესეტინაზე ოცდახუთი მანეთი დააწესა. გლეხებმა არ მისცეს ეს ფასი და როგორც ლევინი ეჭვობდა, სხვა მყიდველებიც ჩამოაშორეს. მაშინ ლევინი თვითონ ჩავიდა სოფელში და განკარგულება გასცა, ნაწილი ქირით გაეთიბათ, ნაწილი კი საზიაროდ. ადგილობრივი გლეხები, რაც შეეძლოთ, ხელს უშლიდნენ ამ ახალი წესების გატარებას, მაგრამ საქმე მაინც კარგად წავიდა და პირველსავე წელს სათიბმა თითქმის ორჯერ მეტი მოგება მისცა. შარშანწინაც და შარშანაც გლეხები ისეთივე წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მაინც იმავე წესით თიბავდნენ. წელს კი გლეხებმა მთელი სათიბი სამესამედოდ აიღეს და ახლა მამასახლისი იმის მოსახსენებლად ჩამოვიდა, რომ მინდვრები უკვე გათიბა და იმის შიშით, წვიმამ არ მომისწროსო, დაუძახა კანტორის მოხელეს, მისი თანდასწრებით გაყო თივა და თერთმეტი საბატონო ზვინი უკვე დადგა. მამასახლისის გაურკვეველი პასუხი იმის შესახებ, თუ რამდენი თივა აიღო მთავარი მინდვრიდან, მისი აჩქარება და თივის დაუკითხავად გაყოფა, ყველაფერი ნათელყოფდა, რომ თივის გაყოფაში ყველაფერი რიგზე არ იყო და ლევინმა გადაწყვიტა, თვითონვე ჩასულიყო სოფელში საქმის შესამოწმებლად.

ლევინი სადილობის ხანს ჩავიდა სოფელში, ცხენი ნაცნობ მოხუცთან, თავისი ძმის გადიის ქმართან დატოვა, თვითონაც საფუტკრეში შევიდა მოხუცთან, რათა დაწვრილებით გამოეკითხა თივის აღების ამბავი. სასიამოვნო გარეგნობის, ლაპარაკის მოყვარულმა მოხუცმა პარმენიჩმა სიხარულით მიიღო ლევინი, აჩვენა მთელი თავისი მეურნეობა, დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს თავისი ფუტკრებისა და ამ წლის ნაყარზე. მაგრამ როცა ლევინმა თიბვაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მოხუცი გაურკვევლად, უხალისოდ პასუხობდა. ამან უფრო დაარწმუნა ლევინი თავის ვარაუდში. ლევინი სათიბში

წავიდა და დაათვალიერა ზვინები. შეუძლებელი იყო, თითოეული ზვინიდან ორმოცდაათი საზიდარი გამოსულიყო. გლეხები რომ ემხილებინა, განკარგულება გასცა მოეყვანათ საზიდარი, რომლებითაც მოზიდეს თივა ზვინის დასადგმელად, და ერთი ზვინი ახლავე გადაეტანათ საბძელში. ზვინიდან მხოლოდ ოცდათორმეტი ურემი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მამასახლისი ირწმუნებოდა, თივა მაშინ გაფუებული იყო, ახლა კი ზვინებში დაიწნეხაო, და თანაც იფიცებოდა, ყველაფერი ღვთისნიერად იყო გაკეთებულიო. ლევინი მაინც თავისას იმეორებდა, თივა ჩემი განკარგულების გარეშე გაყავითო და ახლა თითო ზვინს ორმოცდაათ საზიდრად არ მივიღებო. ბევრი კამათის შემდეგ საქმე იმაზე გადაწყდა, რომ გლეხებს თავიანთ წილად მიეღოთ ეს ზვინები, თითო ორმოცდაათ საზიდრად, ბატონისთვის კი ხელახლა დაედგათ ზვინები. ეს მოლაპარაკება და თივის გაყოფა სამხრობამდე გაგრძელდა. უკანასკნელი თივაც რომ გაყვეს, ლევინმა დანარჩენებზე თვალყურის მიდევნება კანტორის მოხელეს მიანდო, თვითონ კი ტირიფის პალოთი მონიშნულ ბულულში ჩაჯდა და მინდორში მოფუსფუსე ხალხს დაუწყო ყურება.

მის წინ, მდინარის მუხლთან, ჭაობის იქით, მხიარული ჟივილ-ხივილით მოსდებოდნენ მინდორს ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი დედაკაცები და გაბნეული თივისაგან სწრაფად იდგმებოდა ღია მწვანე ფერის ბულულები. დედაკაცებს ფეხდაფეხ მისდევდნენ მამაკაცები ფიწლებით ხელში და ამ პატარა ბულულებისაგან განიერ, მაღალ ფუნჩულა ზვინებს დგამდნენ. მარცხნივ, უკვე მოსუფთავებულ მინდორზე, ჭრიალით მიდიოდნენ ფორნები, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ უზარმაზარი ფიწლებით მიწოდებული თივის ზვინები და სურნელოვანი თივით მძიმედ იტვირთებოდა ფორნები, ისე, რომ ცხენს გავაც აღარ მოუჩანდა.

– ამინდში უნდა ავიღოთ და თივაც კარგი იქნება! – თქვა მოხუცმა და ლევინის გვერდით ჩამოჯდა, – გეგონებათ, თივა კი არა, იხვის ჭუკებს საკენკი დაუყარესო, ისე მოასუფთავეს ყველაფერი, – დასძინა მან და თივის ზვინებზე მიუთითა, – სადილის შემდეგ ნახევარზე მეტი გადაიტანეს.

– ეგ უკანასკნელია? – გასძახა მან ფორნის კოფოზე მდგარ

ახალგაზრდას, რომელმაც ქერელის სადავეების ქნევით ჩაიარა მათ გვერდით.

– უკანასკნელია, მამილო, – დაუყვირა ახალგაზრდამ, ცხენს სადავეში წაავლო ხელი, ღიმილით გამოხედა მის გვერდით მჯდომ სახეაწითლებულ დედაკაცს, თვალებში რომ შეჰყურებდა მას და გარეკა ცხენები.

– ვინ არის ეგ? შენი შვილია? – ჰკითხა ლევინმა.

– ჩემი ნაბოლარაა, – ალერსიანი ღიმილით უპასუხა მოხუცმა.

– რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილა!

– არა უჭირს რა. კარგი ბიჭია!

– ცოლიანია?

– დიახ, აგერ ფილიპობას ორი წელი შეუსრულდა, რაც ცოლი მოიყვანა, მესამეში გადადგა.

– რაო, შვილებიცა ჰყავს?

– რისი შვილები! ერთ წელიწადს არაფერი გაეგებოდა, რცხვენოდა კიდეც, – უპასუხა მოხუცმა, – არა, თივა კი მართლაც კარგია, წუნს ვერ დასდებ! – გაიმეორა მან, შეეცადა, სხვა საგანზე გადაეტანა ლაპარაკი.

ლევინი ახლა მეტი ყურადღებით დააკვირდა ვანკა პარმენოვსა და მის ცოლს, რომლებიც იქვე ახლოს იღებდნენ ბულულს. ივანე პარმენოვი ფორანზე იდგა, თივას ართმევდა და ფორანზე ტკეპნიდა ზვინად დასადგმელ თივას, რომელსაც ჯერ ხელით და შემდეგ ფიწლით მარჯვედ აწვდიდა მისი ლამაზი დიასახლისი. ახალგაზრდა ქალი მსუბუქად, მხიარულად და მარჯვედ მუშაობდა. სქელი, ჩაწოლილი თივა მაშინვე არ ეგებოდა ფიწალზე, ჯერ გაასწორებდა, მერე ფიწალს ჩაურჭობდა, მოქნილი, სწრაფი მოძრაობით მთელი ტანით დააწვებოდა ფიწალს, ბეჭებში მოიხრებოდა, წითელი სარტყელით რომ ჰქონდა აკრული, შემდეგ წელში გაიმართებოდა, თეთრ გულსაფარს იქით ათქვირებულ მკერდს გამოაჩენდა, მარჯვედ აიქნევდა ფიწალს და თივას ფორანზე აისროდა. ივანეც ფართოდ გაშლილი ხელებით სწრაფად გამოსტაცებდა თივას, ფორანზე გაასწორებდა. ეტყობოდა, ცდილობდა აერიდებინა ცოლისთვის ზედმეტი შრომის ყოველი

წუთი. დედაკაცმა უკანასკნელი თივაც მიაწოდა, კისერში ჩაყრილი ნამჯა ამოიფერთხა, თეთრ, მზედაუკვრელ შუბლზე ჩამოწეული წითელი ხილაბანდი შეისწორა და თივაზე თოკის გადასაკრავად ფორნის ქვეშ შეძვრა. ივანეც ასწავლიდა, როგორ ამოედო თოკი კაპისათვის, თან ცოლის ნათქვამზე ხმამაღლა ხარხარებდა. ორივეს სახეზე ეხატებოდა ძლიერი, ახალგაზრდული, ახლახან გაღვიძებული სიყვარული.

XII

ფორანი დატვირთეს. ივანე ფორნიდან ჩამოხტა და სადავით წაიყვანა კარგად მოვლილი, ნასუქი ცხენი. დედაკაცმა ფოცხი საზიდარზე შეაგდო და მხნე ნაბიჯით, ხელების ქნევით გასწია თავშეყრილი დედაკაცებისაკენ. ივანე გზაზე გავიდა და ურმების აღალს შეუერთდა. მხრებზე ფოცხგადადებული, ჭრელ-ჭრელ კაბებში გამოწყობილი დედაკაცები მხიარული ჟივილ-ხივილით გაჰყვნენ უკან საზიდრებს. ერთმა მათგანმა ტლანქი, ბოხი ხმით წამოიწყო სიმღერა და ბოლომდე ჩაათავა, მერე ორმოცდაათიოდე დედაკაცმა, ზოგმა წვრილი და ზოგმა ბოხი ხმით ერთხმად, შეწყობილად გაიმეორა იგივე.

დედაკაცები სიმღერით უახლოვდებოდნენ ლევინს, მას კი ეჩვენებოდა, თითქოს ღრუბელი მოდიოდა მისკენ მხიარული ჭექა-ქუხილით. წამოვიდა ეს ღრუბელი და დაფარა ლევინიც, თივის ბულულიც, რომელზედაც ლევინი იყო წამოწოლილი, მოედო სხვა ბულულებსაც, ფორნებსაც, მოედო მთელ მინდორს შორეულ სათიბებამდე და ყველაფერი შეარხია, ყველაფერი აამოძრავა ამ ველურმა, მხიარულმა სიმღერამ, ამ მოძახილმა, სტვენამ და გამყინავმა ხმამ. ლევინს შეშურდა ეს ჯანსაღი სიხარული, თვითონაც მოუნდა მონაწილეობა ამ სიცოცხლის სიხარულის გამოხატვაში, მაგრამ მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მხოლოდ ასე უნდა წოლილიყო, შორიდან მოესმინა და ყური ეგდო ამ სიმღერისათვის. როდესაც დედაკაცები თვალს მიეფარნენ და სიმღერის ხმაც მიწყდა, ლევინს მძიმე სევდა შემოაწვა გულზე თავისი მარტოხელობისა, უქმად მყოფობისა და იმის გამო, რომ

თვითონ ასე მტრულად იყო განწყობილი ამ ცხოვრებისადმი.

გლეხები, სწორედ ისინი, რომლებიც ყველაზე მეტს ეკამათებოდნენ ლევინს თივის თაობაზე, სწორედ ისინი, რომელთაც ლევინმა აწყენინა ან რომელთაც ლევინის მოტყუება ეწადათ, მხიარულად ესალმებოდნენ, არავითარ ბოროტებას არ გრძნობდნენ მისადმი, არ განიცდიდნენ არამცთუ სინანულს, აღარც კი ახსოვდათ, რომ მისი მოტყუება ჰქონდათ განზრახული. ყოველივე ეს სიხარულით სავსე საერთო შრომის ზღვაში შთაინთქა. ღმერთმა მისცა მათ დღეცა და ჯანიც. დღეცა და ჯანიც შრომას ეწირება და სწორედ ეს არის ჯილდო. მაგრამ ვისთვის არის ეს შრომა? როგორი იქნება ამ შრომის ნაყოფი? ეს რაღაც უცხო და უმნიშვნელო მოსაზრება იყო.

ლევინი ხშირად შეხვედრია ამ ცხოვრებას, ხშირად განუცდია შური იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ამ ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ დღეს კი, მას შემდეგ, რაც ივანე პარმენოვისა და მისი ახალგაზრდა ცოლის ურთიერთობას დააკვირდა, პირველად შეიგრძნო მკვეთრად, რომ მასზე იყო დამოკიდებული თავისი პირადი, უქმი, მძიმე და ხელოვნური ცხოვრების შეცვლა ამ შრომით აღსავსე, წმინდა და მშვენიერი საერთო ცხოვრებით.

მასთან მჯდომი მოხუცი დიდი ხანია უკვე შინ წასულიყო. მინდვრებიდანაც ნელ-ნელა გაიკრიფა ხალხი. ახლო მცხოვრებნი სახლებში წასულიყვნენ, შორებლებს კი მინდორში მოეყარათ თავი სავახშმოდ და ღამის გასათევად. ლევინი კი, რომელიც შეუნიშნავი დარჩენოდა ხალხს, ისევ ბულულზე იწვა, აქეთ-იქით იყურებოდა, ყურს უგდებდა ყოველგვარ ხმაურს და ფიქრს განაგრძობდა. მინდორში ღამის გასათევად დარჩენილებმა თითქმის თეთრად გაათენეს ზაფხულის ეს მოკლე ღამე. ჯერ ვახშამზე საერთო ხმამაღალი ლაპარაკი და ხარხარი ისმოდა, შემდეგ ისევ დაიწყეს სიმღერები და სიცილი.

ამ გრძელმა, შრომით აღსავსე დღემ მათში სიხარულის გარდა სხვა არაფერი კვალი არ დატოვა. გათენებისას ყველაფერი მიყუჩდა. მხოლოდ ბაყაყების შეუჩერებელი ყიყინი და ცხენების ფრუტუნი გაისმოდა გამთენიის ხანს მინდორზე წამოშლილ ნისლში. გამოფხიზლებული ლევინი ბულულიდან წამოდგა, ვარსკვლავებს ახედა და მიხვდა, რომ ღამეს უკვე

გაევლო.

„მაშ, როგორ მოვიქცე? როგორ უნდა გავაკეთო ეს?“ – ჩაილაპარაკა თავისთვის და შეეცადა გამოეხატა ყოველივე, რაც ამ მოკლე ღამის განმავლობაში იფიქრა და იგრძნო. ყველაფერი, რაც იფიქრა და განიცადა, აზრთა სამ მიმართულებად შეიძლებოდა გაყოფილიყო. პირველი ის იყო, რომ უარი ეთქვა თავის ძველ ცხოვრებაზე, უარი ეთქვა თავის უსარგებლო ცოდნასა და განათლებაზე, რომელიც სრულებით ვერაფერში გამოიყენა. ამის უარყოფა სიამოვნებას ანიჭებდა და ეს მისთვის იოლი და უბრალო იყო. დანარჩენი ფიქრები და ოცნებები იმ ცხოვრებას ეკუთვნოდა, რომელიც ახლა უნდა დაეწყო. იგი ნათლად გრძნობდა ამ ახალი ცხოვრების უბრალოებას, სიწმინდესა და სამართლიანობას და დარწმუნებული იყო, მასში პოვებდა იმ კმაყოფილებას, სიმშვიდესა და ღირსებას, ურომლისობასაც ასე მტკივნეულად განიცდიდა. აზრთა მესამე წყება კი იმ საკითხს უტრიალებდა, თუ როგორ უნდა გადასულიყო ძველი ცხოვრებიდან ახალ ცხოვრებაში. აქ კი გარკვევით ვერაფერი წარმოედგინა: „შევირთო ცოლი? გავიჩინო სამუშაო და ვიგრძნო აუცილებლობა ამ მუშაობისა? მივატოვო პოკროვსკოე? ვიყიდო მიწა? ჩავეწერო თემში? ვიქორწინო გლეხის ქალზე? რანაირად გავაკეთო ეს? – კვლავ ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს ვერ პოულობდა, – თუმცა მთელი ღამე არ მძინებია და არც შემიძლია ახლა ყოველივე ამის ნათლად გათვალისწინება, – შემდეგ გავარკვევ ამას. ერთი რამ კი ცხადია, ამაღამდელმა ღამემ გადაწყვიტა ჩემი ბედი. ჩემი წინანდელი ოცნება კი ოჯახურ ცხოვრებაზე სისულელეა, ის არ არის, – თქვა მან თავისთვის, – ყოველივე ეს კი გაცილებით იოლია და უკეთესიც“...

„რა ლამაზია! – გაიფიქრა ლევინმა, როცა შუაგულ ცაზე, სწორედ მის თავს ზემოთ, თეთრი ღრუბლის ქულებისაგან შემდგარი, უცნაური სადაფის ნიჟარა შენიშნა, – რა მშვენიერია ყველაფერი ამ შესანიშნავ ღამეს! ნეტავ როდის გაჩნდა ეს სადაფის ნიჟარა? ახლახან შევცქეროდი ცას და ორი თეთრი ზოლის მეტი არაფერი შემინიშნავს. დიახ, სწორედ ასევე შეუმჩნევლად შეიცვალა ჩემი შეხედულებებიც ცხოვრებაზე!“

ლევინმა მინდორი გადაიარა, დიდ გზაზე გავიდა და სოფლისკენ გასწია. ნიავმა დაქროლა და არემარეს რაღაც რუხი

პირქუში იერი გადაეკრა, დადგა ის უღიმღამო წუთი, რომელიც ყოველთვის წინ უსწრებს განთიადს, სინათლის სრულ გამარჯვებას წყვდიადზე.

სიცივისაგან მობუზული ლევინი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და მიწას დასჩერებოდა. „რა არის ეს? ვიღაც მოდის“, – გაიფიქრა მან, როცა ეჟვნების ჟღარუნი შემოესმა და თავი ზევით ასწია. მის წინ, ორმოციოდე ნაბიჯის მოშორებით, სწორედ იმ დიდ გზაზე, რომელსაც იგი მიჰყვებოდა, ოთხცხენიანი ეტლი მოქროდა. ცხენები ხელნას ეკვროდნენ, მაგრამ კოფოზე გვერდულად მჯდარი მარჯვე მეეტლე ხელნით ნაურმალს მიჰყვებოდა, ისე, რომ ეტლის თვლები სწორ გზაზე მიგორავდნენ.

ლევინმა მხოლოდ ეს შენიშნა, არც უფიქრია, ვინ უნდა ყოფილიყო მგზავრი და უყურადღებოდ შეიხედა კარეტაში.

კარეტის კუთხეში მოხუცი ქალი თვლემდა, ფანჯარასთან კი, როგორც ეტყობოდა, ახლახან გამოღვიძებული ახალგაზრდა ქალი იჯდა და ორივე ხელით თავსაბურის ბაფთები ეჭირა, ქალი ნათელი, ფიქრიანი, ლამაზი, რთული შინაგანი ცხოვრების გამომხატველი, ლევინისთვის უცხო თვალებით სწორედ მის თავს ზემოთ გაჰყურებდა ამომავალ განთიადს.

სწორედ იმწამს, როცა უკვე ქრებოდა ეს სანახაობა, ლევინს ალალმართალმა თვალებმა შემოანათეს, ქალმა იცნო ლევინი და გაოცების სიხარულმა გაუსხივოსნა სახე.

ლევინი არ შეიძლებოდა შემცდარიყო, ასეთი თვალები მეორე არ ეგულებოდა ქვეყანაზე. მხოლოდ ერთი არსება იყო ამქვეყნად, რომელიც მისთვის მთელი სინათლისა და სიცოცხლის აზრის შერწყმას წარმოადგენდა. ეს ის იყო, კიტი. ლევინი მიხვდა, რომ კიტი რკინიგზის სადგურიდან ერგუშოვოში მიდიოდა და ყველაფერი, რაც ლევინს ამ უძილო ღამეს აღელვებდა, ყველა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ყველაფერი უეცრად გაქრა. მან ზიზღით გაიხსენა თავისი ოცნება გლეხის ქალზე ქორწინების შესახებ. მხოლოდ იქ, გზის მეორე მხარეს მიმავალ კარეტაში, რომელმაც სწრაფად ჩაუქროლა ლევინს, მარტო იქ იყო შესაძლებლობა ცხოვრების იმ ამოცანის გადაჭრისა, რაც ამ უკანასკნელ ხანებში ასე ტანჯავდა.

კიტის აღარ გამოუხედავს კარეტიდან. კარეტის თვლების ხმაც

მიწყდა, მხოლოდ ოდნავღა ისმოდა ეჟვნების ჟღარუნი. ძაღლების ყეფამ ცხადყო, რომ კარეტამ სოფელიც გაიარა და ირგვლივ დარჩნენ დაცარიელებული მინდვრები, წინ კი სოფელი და თვით ლევინი, მარტოსული, ყველასათვის უცხო, მარტოდმარტო რომ მიდიოდა ამ უკაცრიელ დიდ გზაზე.

ლევინმა ცას ახედა იმ იმედით, რომ იქ კვლავ იხილავდა იმ ნიჟარას, რომლის ყურებითაც ახლახან ტკბებოდა და რომელიც ასახავდა მთელ მის ამაღამდელ აზრთა მსვლელობას. ცაში არაფერი იყო ნიჟარის მსგავსი; იქ, იმ მიუწვდომელ სიმაღლეზე, უკვე მომხდარიყო იდუმალი ცვლილება, ნიჟარის კვალიც აღარ დარჩენილიყო, ცის კაბადონს სულ პატარ-პატარა ღრუბლის ქულების ხალიჩა გადაჰფენოდა. ცა გალაჟვარდისფრდა, განათდა და კვლავ ნაზი და მიუწვდომელი, ზევიდან გადმოსჩერებოდა ლევინის კითხვით აღსავსე გამოხედვას.

„არა, – უთხრა თავის თავს ლევინმა, – რაც უნდა კარგი იყოს ეს უბრალო, შრომითი ცხოვრება, მაინც არ შემიძლია დავუბრუნდე მას. მე იგი მიყვარს!“

XIII

უაღრესად ახლობელ ადამიანთა გარდა არავინ იცოდა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩს, ამ გარეგნულად მეტისმეტად გულცივსა და წინდახედულ ადამიანს, ჰქონდა ერთი სუსტი მხარე, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის ხასიათს. ალექსეი ალექსანდროვიჩს აუღელვებლად არ შეეძლო გაეგონა ან დაენახა ქალისა და ბავშვის ცრემლები. ცრემლების დანახვაზე მთლად იბნეოდა. მოსაზრების უნარს კარგავდა. მისმა კანცელარიის მმართველმა და მდივანმა იცოდნენ მისი ეს ხასიათი და წინასწარ აფრთხილებდნენ მთხოვნელ ქალებს, საქმის გაფუჭება თუ არ გინდათ, ტირილი არ დაიწყოთო. „განრისხდება და ყურს აღარ გათხოვებთ“, – ეუბნებოდნენ ისინი. მართლაც, ცრემლებით გამოწვეული მისი სულიერი აღელვება უეცარ განრისხებაში იხატებოდა. „არ შემიძლია, არაფრის გაკეთება არ შემიძლია, კეთილი ინებეთ და

მიბრძანდით აქედან!“ – ჩვეულებრივ ასე ყვიროდა ხოლმე ამგვარი შემთხვევის დროს ალექსეი ალექსანდროვიჩი.

დოღიდან დაბრუნებისას, როცა ანამ გაუმჟღავნა თავისი ურთიერთობა ვრონსკისთან და ამის შემდეგ მაშინვე სახეზე ხელები აიფარა და ატირდა, ალექსეი ალექსანდროვიჩს, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად განრისხებული იყო ანაზე, გულს ის ჩვეული მღელვარება მოაწვა, რასაც ყოველთვის იწვევდა მასში ცრემლების დანახვა. იცოდა, რომ ამ გრძნობის გამომჟღავნება ახლა სრულიად შეუფერებელი იქნებოდა მისი მდგომარეობისათვის და შეეცადა, დაეთრგუნა ყოველგვარი სასიცოცხლო გრძნობა; იგი გაუნძრევლად იჯდა კარეტაში და არ იყურებოდა ანასკენ. ამიტომ იყო, რომ სახეზე ის უცნაური, მიცვალებულის იერი დაედო, რამაც განაცვიფრა ანა.

სახლს რომ მიუახლოვდნენ, ალექსეი ალექსანდროვიჩმა ცოლი კარეტიდან გადმოიყვანა, თავს ძალა დაატანა, ჩვეულებრივი თავაზიანობით გამოემშვიდობა და თქვა ის სიტყვები, რომლებიც სრულიად არაფერს ავალებდნენ: ხვალ შეგატყობინებთ ჩემს გადაწყვეტილებასო.

ცოლის სიტყვებმა, რომლებმაც დაადასტურეს მისი საშინელი ეჭვი, მეტისმეტად ატკინა გული. გულისტკივილი კიდევ უფრო გააძლიერა უცნაურმა ფიზიკურმა სიბრალულმა ანასადმი, რაც ანას ცრემლებმა გამოიწვია. მაგრამ კარეტაში მარტოდ დარჩენილმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისდა განსაცვიფრებლად და სასიხარულოდ იგრძნო, რომ სრულიად გათავისუფლდა იმ სიბრალულის, საშინელი ეჭვისა და ამით გამოწვეული მწუხარებისაგან, რომელიც უკანასკნელ ხანებში ასე აწამებდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელმაც დიდი ხნის მტკივანი კბილი ამოიღო. საშინელი ტკივილისა და მას შემდეგ, რაც ამოიღო ეს უზარმაზარი, თითქმის თავზე დიდი კბილი, ავადმყოფი, რომელსაც ჯერ არც სჯერა თავისი ბედნიერებისა, უეცრად იგრძნობს, რომ აღარ არსებობს ის, რაც ასე ხანგრძლივად უწამლავდა სიცოცხლეს, რაც მთლიანად შთანთქავდა მის ყურადღებას, იგრძნობს, რომ მას ახლა შეუძლია იცოცხლოს ისე, რომ მარტო თავის კბილზე არ იფიქროს, მარტო იმით არ იყოს დაინტერესებული. სწორედ ამგვარ გრძნობას განიცდიდა ალექსეი ალექსანდროვიჩი. უცნაური და საზარელი იყო ის

ტკივილი, ახლა კი ამ ტკივილმა გაუარა; იგრძნო, რომ კვლავ შეუძლია იცოცხლოს და მარტოოდენ თავის ცოლზე არ იფიქროს.

„უსინდისო, უგულო, რწმენადაკარგული, გაფუჭებული ქალი! მე ყოველთვის ვიცოდი, ყოველთვის ვხედავდი ამას, თუმცა კი სიბრალულის გამო ვცდილობდი თავი მომეტყუებინა“, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა. და მართლაც ეჩვენებოდა, რომ ყოველთვის ამჩნევდა ამას. დაწვრილებით გაიხსენა მასთან გატარებული წარსული ცხოვრება, რომელიც წინათ არაფრით ეჩვენებოდა ცუდი, ახლა კი ეს წვრილმანები ნათელყოფდა, რომ იგი ყოველთვის გაფუჭებული ქალი იყო. „შევცდი, ჩემი ცხოვრება რომ მასთან დავაკავშირე, მაგრამ ჩემს შეცდომაში ცუდი არაფერია, ამიტომაც არ შემიძლია უბედური ვიყო. დამნაშავე მე კი არა ვარ, – ეუბნებოდა თავის თავს ალექსეი ალექსანდროვიჩი, – დამნაშავე ის არის, მაგრამ მასთან აღარაფერი მესაქმება. ის აღარ არსებობს ჩემთვისა“.

ალექსეი ალექსანდროვიჩი აღარ ფიქრობდა, რა მოელოდა ანას ან მის ვაჟიშვილს, რომლის მიმართაც ისევე შეეცვალა გული, როგორც ცოლისადმი. ერთადერთი საკითხი, რომელიც ახლა აფიქრებდა, ის იყო, რომ მოეძებნა ყველაზე უკეთესი, ყველაზე წესიერი და მოხერხებული საშუალება, რათა მოეცილებინა ტალახი, ცოლის დაცემის გამო რომ შეესხა, და განეგრძო თავისი ქმედითი, პატიოსანი და სასარგებლო ცხოვრება.

„მე არ შემიძლია უბედური ვიყო იმის გამო, რომ საძაგელმა ქალმა დანაშაული ჩაიდინა; ოღონდ უნდა გამოვძებნო გამოსავალი იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც მან ჩამაყენა, და მე ვიპოვი იმ გზას, – ფიქრობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, თან სულ უფრო და უფრო იღუშებოდა, – მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი“. რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიულ მაგალითებზე, დაწყებული მენელაოსის მშვენიერი ელენეთი, გაიხსენა მრავალი შემთხვევა, თუ როგორ ღალატობდნენ თანამედროვე მაღალი საზოგადოების ქალები ქმრებს. „დარიალოვი, პოლტავსკი, თავადი კარიბანოვი, გრაფი პასკუდინი, დრამი... დიახ, დრამიც... ასეთი პატიოსანი საქმიანი კაცი... სემიონოვი, ჩაგინი, სიგონინი, – იხსენებდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – შეიძლება ამ ადამიანებს აქვთ რაღაც არაგონივრული, ridicule,[40] მაგრამ მე ასეთი შემთხვევების დროს უბედურების მეტი არაფერი შემინიშნავს და მუდამ

თანავუგრძნობდი მათ“, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა, თუმცა ეს მართალი არ იყო: იგი არასოდეს თანაუგრძნობდა ამგვარ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს და რაც უფრო ხშირად გაიგებდა მოღალატე ცოლების ამბავს, მით აფასებდა თავის თავს. „ეს ისეთი უბედურებაა, რომელმაც ყველას შეუძლია უწიოს და მეც მიწია. საქმე ახლა ის არის, რაც შეიძლება იოლად გადავიტანოთ ეს მდგომარეობა“, – და მან დაწვრილებით გაიხსენა, როგორ იქცეოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ისეთივე მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიც ის აღმოჩნდა.

„დარიალოვმა დუელში გაიწვია“...

დუელი ახალგაზრდობაში განსაკუთრებით იზიდავდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, იმიტომ, რომ მხდალი იყო და კარგადაც იცოდა ეს. უდრტვინველად არ შეეძლო ეფიქრა მისკენ მიმართული რევოლვერის ლულაზე და თავის სიცოცხლეში არასოდეს სჭერია ხელში რაიმე იარაღი. ეს შიში სიყმაწვილიდანვე ხშირად აიძულებდა, ეფიქრა დუელზე და წარმოედგინა თავი იმ მდგომარეობაში, როცა საკუთარი სიცოცხლე ასეთი საფრთხის წინაშე უნდა დაეყენებინა. შემდეგ კი, როცა წარმატებას მიაღწია და ეს მტკიცე მდგომარეობა დაიმკვიდრა, ეს გრძნობაც დავიწყებას მიეცა; მაგრამ ნაჩვევმა გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა, სიმხდალის შიში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩი დიდხანს ფიქრობდა დუელზე, შორიდან ელოლიავებოდა, ყოველმხრივ წონიდა. თუმცა კი წინასწარ იცოდა, არავითარ შემთხვევაში დუელში არავის გამოიწვევდა.

„ეჭვგარეშეა, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ იმდენად ველურია (ისე კი არ არის, როგორც ინგლისში), რომ მრავალნი, – და ამ მრავალთა რიცხვში იყვნენ ისინიც, რომელთა აზრსაც განსაკუთრებით აფასებდა, – კარგი თვალით შეხედავენ ამ დუელს, მაგრამ შედეგი რა იქნება? ვთქვათ, გამოვიწვიე დუელში, – განაგრძობდა ფიქრს ალექსეი ალექსანდროვიჩი, მან ცოცხლად წარმოიდგინა დუელის წინ გატარებული ღამე, მისკენ მიმართული ლულა და გააჟრჟოლა, მიხვდა, ამას არასოდეს ჩაიდენდა, – ვთქვათ, გამოვიწვიე დუელში, – განაგრძობდა ფიქრს, – დავუშვათ, მასწავლეს, დამაყენეს და დავაჭირე ხელი ჩახმახს, – ალექსეი ალექსანდროვიჩმა თვალები დახუჭა, – და აღმოჩნდა, რომ მე იგი მოვკალი, – ისევ განაგრძო

ალექსეი ალექსანდროვიჩმა და თავი გაიქნია, რათა ეს სულელური ფიქრები მოეშორებინა, – მერე რა აზრი აქვს კაცის მოკვლას იმისათვის, რომ გამოარკვიო შენი ურთიერთობა მოღალატე ცოლისა და შვილისადმი? მაინც გაურკვეველი იქნება ჩემთვის, როგორ უნდა მოვექცე ცოლს. ყველაზე უფრო შესაძლებელი და ეჭვმიუტანელი ის არის, რომ მე მომკლავენ ან დამჭრიან. მე, უდანაშაულო ადამიანი, მსხვერპლად უნდა შევეწირო – ან მომკლან და ან დამჭრან. ეს კიდევ უფრო მეტი უაზრობაა. გარდა ამისა, ჩემი მხრივ დუელში გამოწვევა უპატიოსნება იქნება. განა მე წინასწარ არ ვიცი, რომ ჩემი მეგობრები დუელამდე არ მიიყვანენ საქმეს, არასოდეს დაუშვებენ საფრთხეში ჩააგდონ სახელმწიფო მოღვაწის, რუსეთისათვის საჭირო ადამიანის სიცოცხლე? მერე რა გამოვა აქედან? გამოვა, რომ წინასწარ ვიცოდი, საქმე ამ საფრთხემდე არ მივიდოდა და ამ გამოწვევით მინდოდა ყალბი შარავანდედით შემემოსა ჩემი სახელი. ეს უპატიოსნობაა, ეს სიყალბეა, მოტყუებაა სხვებისაც და საკუთარი თავისაც. დუელი უაზრობაა და ჩემგან არც არავინ მოელის ასეთ საქციელს. ჩემი მიზანია, დავიცვა ჩემი რეპუტაცია, რაც იმისათვის მჭირდება, რომ კვლავ დაუბრკოლებლად განვაგრძო ჩემი მოღვაწეობა“. სამსახურებრივი მოღვაწეობა, რომელსაც ადრეც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა.

დუელზე რომ იმსჯელა და უარყო, ახლა მეორე გამოსავალს – განქორწინებას მიმართა, რომელიც ბევრმა მისმა ნაცნობმა ირჩია. გაიხსენა განქორწინების ყველა გახმაურებული შემთხვევა (განქორწინება ხშირი იყო მისთვის კარგად ცნობილ მაღალ საზოგადოებაში), მაგრამ ვერც ერთი ვერ გაიხსენა ისეთი, სადაც განქორწინების მიზანი ის იყო, რაც მას ჰქონდა მხედველობაში. ყველა ამ შემთხვევაში ქმარი თმობდა ან ამხილებდა მოღალატე ცოლს და სწორედ ის მხარე, რომელსაც დანაშაულის გამო ჩამორთმეული ჰქონდა ქორწინების უფლება, ყოველთვის ახალ მეუღლესთან, ყალბ, მაგრამ ვითომდა დაკანონებულ ურთიერთობას აბამდა. თავის შემთხვევაში კი ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა, რომ შეუძლებელი იყო კანონიერი, ესე იგი ისეთი განქორწინების მიღწევა, სადაც გაკიცხული იქნებოდა მხოლოდ დამნაშავე ცოლი. ხედავდა, რომ მისი რთული ცხოვრების პირობები შეუძლებელს ხდიდა იმ ტლანქი დასაბუთების

შესაძლებლობას, რომელსაც კანონი მოითხოვდა ცოლის დანაშაულის სამხილებლად; ხედავდა, რომ ამ ცხოვრების ყველასათვის ცნობილი სინატიფე შეუძლებელს ხდიდა ამ საბუთების გამოყენებას, თუნდაც არსებულიყო ასეთი საბუთები, რომ მათი გამოყენება მას უფრო დაამცირებდა საზოგადოების თვალში, ვიდრე ანას.

განქორწინების ცდას შეეძლო მხოლოდ სამარცხვინო პროცესი გამოეწვია, რაც მეტისმეტად სახარბიელო იქნებოდა მისი მტრებისათვის, ცილს დასწამებდნენ და ჩრდილს მიაყენებდნენ საზოგადოებაში მის სახელს. მთავარი მიზანი კი – საკუთარი მდგომარეობის გამორკვევა, რაც შეიძლება მცირე უსიამოვნების ხარჯზე – განქორწინებითაც მიუღწეველი რჩებოდა. გარდა ამისა, განქორწინების ან განქორწინების ცდის შემთხვევაშიც ცხადი იყო, ანა გაწყვეტდა ქმართან ურთიერთობას და თავის საყვარელს შეუერთდებოდა. გულში კი ალექსეი ალექსანდროვიჩს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, ახლა სრულ გულგრილობას და ზიზღსაც კი გრძნობდა ცოლისადმი, მაინც ერთი გრძნობა რჩებოდა – სურვილი იმისა, რომ ცოლი დაუბრკოლებლად ვერ შეერთებოდა ვრონსკის, რომ ეს დანაშაული მისთვის ხელსაყრელი არ გამხდარიყო. ამის გაფიქრებამაც კი ისე გააგულისა, ისეთი შინაგანი ტკივილი აგრძნობინა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩმა მძიმედ ამოიგმინა, წამოდგა, ადგილი იცვალა კარეტაში და ამის შემდეგ მოღუშული დიდხანს იხვევდა თავის მცივანა, გამხდარ ფეხებს თბილ პლედში.

„ფორმალური განქორწინების გარდა, შესაძლებელია მოვიქცე ისე, როგორც მოიქცა კარიბანოვი, პასკუდინი ან ის კეთილი დრამი, ესე იგი განვცალკევდე ცოლისაგან“, – განაგრძო ფიქრი უკვე დამშვიდებულმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა. მაგრამ ეს ღონისძიებაც ისეთივე სამარცხვინო და უხერხული იყო და რაც მთავარია, ესეც, როგორც ფორმალური განქორწინება, ვრონსკის ხელში აგდებდა მის ცოლს. „არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი! – ხმამაღლა თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ისევ პლედის სწორებას შეუდგა, – მე არ შემიძლია ვიყო უბედური, მაგრამ არც ანა და ვრონსკი უნდა იყვნენ ბედნიერნი“.

ეჭვიანობის გრძნობა, რომელიც ტანჯავდა, სანამ ამ ამბავს

შეიტყობდა, იმავე წუთს გაქრა, როგორც კი ცოლის სიტყვებმა ამოგლიჯა ეს მტკივანი კბილი. ახლა ეს გრძნობა იმ სურვილმა შეცვალა, რომ ანასთვის არამცთუ გამარჯვების მიმნიჭებელი არ გამხდარიყო ეს, არამედ მიეღო საზღაური თავისი დანაშაულისათვის. მას არ სურდა გამოტეხილიყო ამ გრძნობაში, მაგრამ გულის სიღრმეში კი უნდოდა, ანა წამებულიყო მისი სიმშვიდის დარღვევისა და სახელის შებღალვისათვის, ალექსეი ალექსანდროვიჩმა გონებაში კვლავ გადასინჯა დუელის, განქორწინებისა და განშორების პირობები, კვლავ უარყო ყველა ესენი და დარწმუნდა, რომ მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: დაიტოვოს ცოლი, დაუმალოს საზოგადოებას მომხდარი ამბავი და იხმაროს ყოველი ღონე, რაც კი მასზე იქნება დამოკიდებული, რომ ბოლო მოეღოს ამ კავშირს და, რაც მთავარია და რასაც საკუთარ თავსაც არ უმხელს, დასაჯოს ანა. „მე უნდა გამოვუცხადო ჩემი გადაწყვეტილება, რომ ბევრი ვიფიქრე იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც მან ჩააყენა მთელი ოჯახი და რომ ყოველგვარი სხვა გამოსავალი უფრო ცუდი იქნება ორივე მხარისთვის, ვიდრე გარეგნული status quo,[41] რომ მე თანახმა ვარ, დავიცვა ეს პირობები, მხოლოდ მტკიცე პირობა უნდა მქონდეს, რომ მისი მხრივ შესრულებული იქნება ყველა ჩემი სურვილი, ესე იგი შეწყვეტს ურთიერთობას თავის საყვარელთან“. ამ გადაწყვეტილების დასადასტურებლად, როცა საბოლოოდ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებაც მოუვიდა: „მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით იქნება ჩემი საქციელი შეთანხმებული ჩემს რწმენასთან, – დასძინა მან თავისთვის, – მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების შედეგად მე ხელს არ ვკრავ მოღალატე ცოლს, ვაძლევ გამოსწორების საშუალებას და რაც უნდა ძნელი შეიქნას ეს ჩემთვის, ჩემი ძალ-ღონის ნაწილს მისი გამოსწორებისა და ხსნის საქმეს მოვახმარ“. თუმცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა იცოდა, რომ არ შეეძლო ზნეობრივი ზეგავლენის მოხდენა ცოლზე, იცოდა, რომ ამ გამოსწორების ცდიდან სიყალბის მეტი არაფერი გამოვიდოდა; თუმცა ამ მძიმე წუთებში ერთხელაც არ უფიქრია, სარწმუნოებაში ეძებნა ხსნა, მაგრამ ახლა, როცა მისი გადაწყვეტილება როგორც ეჩვენებოდა, სარწმუნოების მოთხოვნილებებს დაემთხვა, ამ გადაწყვეტილების სარწმუნოებრივი სანქცია სრულ კმაყოფილებას და ნაწილობრივ სიმშვიდესაც ანიჭებდა. ახარებდა იმის ფიქრი, რომ ასეთ რთულ საყოფაცხოვრებო

საქმეებშიც კი არავის ექნება შესაძლებლობა თქვას, არ მოიქცა იმ სარწმუნოების შესაბამისად, რომლის დროშაც ამ საერთო გულგრილობისა და ურწმუნოების დროს მუდამ ასე მაღლა ეჭირაო. ალექსეი ალექსანდროვიჩმა დაწვრილებით მოიფიქრა ყველაფერი, რაც ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო და ვეღარც ამჩნევდა, რატომ უნდა ყოფილიყო მისი ურთიერთობა ცოლთან თითქმის ისეთივე, როგორიც წინათ ჰქონდათ. ეჭვი არ იყო, აღარასოდეს დაუბრუნდებოდა ცოლისადმი ძველი პატივისცემა. მაგრამ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე მიზეზი იმისა, რომ აეწეწა საკუთარი ცხოვრება და გატანჯულიყო იმის გამო, რომ ანა არ აღმოჩნდა კარგი და ერთგული ცოლი. „დიახ, გაივლის დრო, ყველაფრის მომწესრიგებელი დრო, და კვლავ აღდგება ძველებური ურთიერთობა, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ესე იგი აღდგება იმ ზომამდე, რომ ჩემი სიცოცხლის განმავლობაში არ ვიგრძნობ იმ არეულ-დარეულობას. ანა ღირსია, იყოს უბედური, მაგრამ მე დამნაშავე არა ვარ და არც შემიძლია ვიყო უბედური“.

XIV

პეტერბურგს რომ უახლოვდებოდა, ალექსეი ალექსანდროვიჩი არამცთუ საბოლოოდ შეჩერდა ამ გადაწყვეტილებაზე, გონებაში კიდეც შეადგინა ცოლისთვის გასაგზავნი წერილის შინაარსი. მეკარის ოთახში რომ შევიდა, სამინისტროდან გამოგზავნილი ბარათები შენიშნა და უბრძანა, ახლავე შეეტანათ კაბინეტში.

– ნურავის მიიღებთ, სხვა დროისათვის დაიბარეთ, – ერთგვარი სიამოვნებით უთხრა მეკარეს მისი კითხვის პასუხად, რაც მისი კარგი გუნება-განწყობილების მაუწყებელი იყო და სიტყვაზე „ნუ მიიღებთო“, ხმას აუწია.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ორჯერ გაიარ-გამოიარა კაბინეტში, მერე უზარმაზარ საწერ მაგიდასთან შეჩერდა, რომელზეც მასზე უმალ შემოსულ კამერდინერს უკვე აენთო ექვსი სანთელი. შეათვალიერა, იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, თავი გვერდზე

გადახარა, წუთით ჩაფიქრდა და დაიწყო წერა, ისე, რომ ერთი წამითაც არ შეჩერებულა. იგი ფრანგულად სწერდა ანას წერილს, მის სახელს არ იხსენიებდა და თქვენობით მიმართავდა, რაც ფრანგულად ისე ოფიციალურად არ ჟღერდა, როგორც რუსულად.

„ჩვენი უკანასკნელი საუბრის დროს მე მოგახსენეთ, რომ შეგატყობინებდით ჩემს გადაწყვეტილებას ამ საუბრის საგნის თაობაზე; საგულდაგულოდ მოვიფიქრე ყველაფერი და ახლა გწერთ წერილს იმ მიზნით, რომ აღვასრულო დაპირება. ჩემი გადაწყვეტილება შემდეგია: როგორიც უნდა იყოს თქვენი საქციელი, მე უფლება არა მაქვს, გავწყვიტო ის კავშირი, რომლითაც ჩვენ უზენაესმა ძალამ დაგვაკავშირა. ოჯახი არ შეიძლება დაირღვეს ცოლის ან ქმრის ჭირვეულობის, თვითნებობის ან თუნდაც დანაშაულის გამო და ჩვენი ცხოვრება ახლაც იმავე გზით უნდა წარიმართოს, როგორითაც დღემდე მიდიოდა. ეს აუცილებელია ჩემთვის, თქვენთვის, ჩვენი შვილისათვის. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, თქვენ მოინანიეთ და ახლაც ინანიებთ იმას, რაც ამ წერილის საბაბი შეიქნა, რომ თქვენ ჩემთან ერთად შეეცდებით ძირფესვიანად ამოგლიჯოთ მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა და დაივიწყოთ წარსული. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონვე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოგელით თქვენ და თქვენს შვილს. ვიმედოვნებ, ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკებით პირადი შეხვედრის დროს. ვინაიდან თავდება სააგარაკო სეზონი, ჩემი თხოვნა იქნებოდა, რაც შეიძლება მალე, არა უგვიანეს სამშაბათისა, გადმოხვიდეთ პეტერბურგში. ყველა საჭირო განკარგულება თქვენს გადმოსაყვანად გაცემული იქნება. გთხოვთ, იქონიოთ მხედველობაში, რომ ამ ჩემი თხოვნის შესრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ა. კარენინი.

P.S. წერილთან ერთად გიგზავნით ფულს, რომელიც შესაძლოა დაგჭირდეთ პირადი ხარჯებისათვის“.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა წერილი გადაიკითხა და განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ფულის ჩადებაც არ დაავიწყდა. ნათქვამი არ ყოფილა არც ერთი მკაცრი სიტყვა ან საყვედური, მაგრამ არც პატიება იყო. მთავარი კი ის იყო, რომ წერილი ოქროს ხიდი იყო ანას დასაბრუნებლად. წერილი

დაკეცა, სპილოს ძვლის დიდი დანით გაასწორა, ფულთან ერთად კონვერტში ჩადო და ნასიამოვნებმა, რასაც მასში ყოველთვის იწვევდა კარგი საწერი მოწყობილობის ხმარება, ზარი ჩამორეკა.

– გადაეცი შიკრიკს, ხვალ აგარაკზე მიართვას ანა არკადიევნას.

– მესმის, თქვენო აღმატებულებავ. ჩაი კაბინეტში მოგართვათ?

ალექსეი ალექსანდროვიჩმა უბრძანა, ჩაი კაბინეტში მოეტანათ, თვითონ კი სავარძლისაკენ გასწია, თან ხელში სპილოს ძვლის დანას ათამაშებდა. სავარძელთან უკვე გამზადებული იყო ლამპა და ფრანგული წიგნი ევგიუბური წარწერების შესახებ, რომლის კითხვაც უკვე დაწყებული ჰქონდა. სავარძელთან ეკიდა ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ვიღაც გამოჩენილი მხატვრის მიერ მშვენივრად შესრულებული ანას პორტრეტი. ალექსეი ალექსანდროვიჩმა შეხედა პორტრეტს. დამცინავად, უტიფრად შემოჰყურებდნენ ანას იდუმალებით სავსე თვალები, სწორედ ისე, როგორც იმ უკანასკნელ საღამოს, მათი საუბრის დროს. მეტად უტიფრად, მეტად გამომწვევად იმოქმედა ალექსეი ალექსანდროვიჩზე მხატვრის მიერ ჩინებულად შესრულებულმა მაქმანის შავმა თავსაბურავმა, შავმა თმამ და თეთრმა მშვენიერმა ხელმა, რომლის უსახელო თითიც სავსე ჰქონდა ბეჭდებით. ალექსეი ალექსანდროვიჩმა ერთი წუთით შეაჩერა თვალი პორტრეტზე და ისე გააჟრჟოლა, ტუჩები ისე აუთრთოლდა და ისე გააძაგძაგა, რომ მაშინვე თვალი მოაშორა სურათს. საჩქაროდ ჩაჯდა სავარძელში და წიგნი გადაშალა. შეეცადა კითხვას, მაგრამ ვეღარაფრით აღიდგინა ის ცხოველური ინტერესი, რომელსაც წინათ იჩენდა ევგიუბური წარწერებისადმი. წიგნში იყურებოდა და სხვა რამეზე ფიქრობდა. იგი ცოლზე კი არა, თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ მეტად გართულებულ საკითხზე ფიქრობდა, რომელიც ამ ბოლო ხანებში წამოიჭრა და რომელიც იმჟამად მის მთავარ სამსახურებრივ ინტერესს შეადგენდა. იგი გრძნობდა, რომ დღეს წინანდელზე უფრო ღრმად ჩასწვდა ამ რთულ საკითხს და თავის მოუტყუებლად შეეძლო ეთქვა, რომ თავში მოსდიოდა კაპიტალური აზრი, რომელსაც შეეძლო გამოერკვია მთელი ეს საქმე, აემაღლებინა მისი სამსახურებრივი კარიერა, დაემცირებინა მისი მტრები და ამის შედეგად უზარმაზარი სარგებლობა მოეტანა სახელმწიფოსათვის. როგორც კი მსახურმა ჩაი შემოიტანა და ოთახიდან გავიდა, ალექსეი

ალექსანდროვიჩი წამოდგა და საწერ მაგიდასთან მივიდა. პორტფელი, რომელშიც მიმდინარე საქმეები ეწყო, შუაგულ მაგიდაზე დადო, ოდნავ შესამჩნევი თვითკმაყოფილების ღიმილით აიღო ფანქარი და გატაცებით შეუდგა მის მიერ გამოთხოვილი რთული საქმის კითხვას, რომელიც მომავალ გართულებას შეეხებოდა. გართულება ასეთი იყო: ალექსეი ალექსანდროვიჩის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, თავისებურება, რომელიც მხოლოდ მას ჰქონდა და რომელიც ყველა დაწინაურებულ მოხელეს აქვს, რითაც მან თავის შეუდრეკელ პატივმოყვარეობას, თავშეკავებას, პატიოსნებასა და თავდაჯერებასთან ერთად, ამ კარიერას მიაღწია, იმაში მდგომარეობდა, რომ სძულდა ოფიციალური მიწერ-მოწერა, ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, შეემცირებინა, პირდაპირ შესდგომოდა საქმეს და მომჭირნეობა გაეწია. მოხდა ისე, რომ 2 ივნისის საგანგებო კომისიამ აღძრა საქმე ზარაისკის გუბერნიის მინდვრების მორწყვის შესახებ, რომელიც მკაფო მაგალითი იყო საქმისადმი კანცელარიული მიდგომისა და უნაყოფო ხარჯისა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა იცოდა, რომ საყვედური სამართლიანი იყო. ზარაისკის გუბერნიის მინდვრების მორწყვის საქმე კარენინის წინამორბედმა დაიწყო. ამ საქმეზე ფული მართლაც ბლომად დაიხარჯა, დღესაც სრულიად უნაყოფოდ იხარჯებოდა და ეჭვი არ იყო, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი სამსახურის დაწყებისთანავე მიხვდა ამას და უნდოდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის. მაგრამ პირველ ხანებში, როცა ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ გრძნობდა თავს იმ ადგილზე, გონივრული არ იქნებოდა ამ საქმის გამოჩხრეკა, რადგან იცოდა, ეს ძალიან ბევრის ინტერესს შეეხებოდა. შემდეგ კი, სხვა საქმეებით გატაცებულს, უბრალოდ მიავიწყდა ეს საქმე. და ესეც, როგორც ყველა სხვა საქმე, ინერციის ძალით მიდიოდა (ამ საქმით ბევრი ჭამდა პურს და განსაკუთრებით კი ერთი, მეტისმეტად ზნეობის მიმდევარი, მუსიკალური ოჯახი; ამ ოჯახის ყველა ქალიშვილი სიმებიან ინსტრუმენტზე უკრავდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი იცნობდა ამ ოჯახს და ერთ-ერთი უფროსი ქალიშვილის ქორწილში მეჯვარედაც კი იყო). ამ საქმის აღძვრა მტრულად განწყობილი სამინისტროს მიერ, ალექსეი ალექსანდროვიჩის აზრით, უპატიოსნობა იყო, რადგან ყველა სამინისტროს ჰქონდა ამაზე უარესი საქმე, რომელიც ყველასათვის ცნობილი სამსახურებრივი ეთიკის გამო არავის გამოჰქონდა სააშკარაოზე. მაგრამ ახლა, რაკი გამოიწვიეს,

თვითონაც მიიღო გამოწვევა და მოითხოვა განსაკუთრებული კომისია, რათა შეესწავლა და შეემოწმებინა ზარაისკის გუბერნიის მინდვრების მორწყვის კომისიის მუშაობა. სამაგიეროდ თვითონაც გასაქანი აღარ მისცა ამ ვაჟბატონებს და მოითხოვა დამატებითი განსაკუთრებული კომისია ინოროდცების კეთილმოწყობის გამოსაკვლევად. ინოროდცების კეთილმოწყობის საქმე შემთხვევით აღიძრა კომიტეტის 2 ივნისის სხდომაზე და ალექსეი ალექსანდროვიჩმაც ენერგიულად დაუჭირა ამას მხარი, რადგან ინოროდცების სავალალო მდგომარეობა გადადებას ვეღარ ითმენდა. კომიტეტში ეს საქმე რამდენიმე სამინისტროს კამათის საბაბად იქცა. ალექსეი ალექსანდროვიჩისადმი მტრულად განწყობილი სამინისტრო ამტკიცებდა, რომ ინოროდცები აყვავების პროცესში არიან, რომ მოსალოდნელი ცვლილებები ხელს შეუშლის მათ აყვავებას და თუ რამე არის იქ ცუდად, მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩის სამინისტრო არ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ახლა ალექსეი ალექსანდროვიჩს განზრახული ჰქონდა მოეთხოვა: პირველ ყოვლისა, ახალი კომისია, რომელიც ადგილზე შეამოწმებდა ინოროდცების მდგომარეობას, მეორე, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ინოროდცების მდგომარეობა მართლაც ისეთია, როგორიც ნაჩვენები იყო ოფიციალურ ცნობებში და რომელიც ხელთ ჰქონდა კომიტეტს, მაშინ უნდა დანიშნულიყო მეორე, სწავლული კომისია, რომელიც გამოიკვლევდა ინოროდცების სავალალო მდგომარეობის მიზეზებს შემდეგი თვალსაზრისით: ა) პოლიტიკური, ბ) ადმინისტრაციული, გ) ეკონომიკური, დ) ეთნოგრაფიული, ე) მატერიალური და ვ) სარწმუნოებრივი; შემდეგ, გამოთხოვილი უნდა ყოფილიყო მისადმი მტრულად განწყობილი სამინისტროდან ცნობები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა სამინისტროს მიერ ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იმ არახელსაყრელ პირობათა თავიდან აცილების მიზნით, რომელშიც იმყოფებოდნენ ამჟამად ინოროდცები. და ბოლოს, უნდა მოეთხოვა სამინისტროს ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ იყო, რომ, როგორც ამას კომიტეტში 1863 წლის 5 დეკემბერს და 1864 წლის 7 ივნისს შემოსული ცნობები ##17015 და 18308 ამტკიცებდა, სამინისტრო მოქმედებდა ძირითადი, ორგანული კანონის, ტ..., გვ. 18 და ოცდამეთექვსმეტე მუხლის შენიშვნის საწინააღმდეგოდ. ალექსეი ალექსანდროვიჩს სიხარულის ალმური ედებოდა

სახეზე, როცა აჩქარებით წერდა ამ თავის მოსაზრებათა კონსპექტს. ერთი ფურცელი დაწერა, შემდეგ სკამიდან წამოდგა, ზარი ჩამორეკა და ბარათი გაუგზავნა კანცელარიის მმართველს, რათა სათანადო ცნობები გამოეგზავნა მისთვის. შემდეგ ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, ანას პორტრეტსაც შეხედა ხელმეორედ, მოიღუშა და ზიზღით ჩაიცინა. წიგნიც წაიკითხა ევგიუბური წარწერების შესახებ და აღიდგინა კიდეც ის ძველი ცხოველი ინტერესი. თერთმეტი საათისათვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა დასაძინებლად გასწია და როცა ლოგინში მწოლიარემ ცოლთან მომხდარი უსიამოვნება გაიხსენა, ისე სავალალოდ აღარ ეჩვენა ეს ამბავი.

XV

თუმცა ანა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ვრონსკის და ბრაზობდა, როცა ეუბნებოდა, თქვენი მდგომარეობა აუტანელია და განუცხადეთ ქმარს ყველაფერიო, მაგრამ გულში თავისი მდგომარეობა მეტისმეტად ყალბად და უპატიოსნოდ ეჩვენებოდა და სულითა და გულით სწადდა მისი შეცვლა. აღელვების წუთებში, როცა ქმართან ერთად დოღიდან ბრუნდებოდა, ყველაფერი აღიარა ქმრის წინაშე; და მართალია, მეტად მტკივნეულად განიცადა ეს, მაინც გახარებული იყო ამით. ქმრის წასვლის შემდეგ ანა სულ ეუბნებოდა თავის თავს, რომ მოხარულია ამ ამბისა, რომ ახლა ყველაფერი გამოირკვეოდა და ყოველ შემთხვევაში ამ სიყალბესა და სიცრუეს მაინც მოეღებოდა ბოლო. უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი მდგომარეობა საბოლოოდ შეიცვლებოდა. ეს ახალი მდგომარეობა შეიძლება ცუდიც აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც აღარ იქნება ბუნდოვანება და სიყალბე. ის ტკივილი კი, ქმარსა და საკუთარ თავს რომ მიაყენა ამის თქმით, იმით ანაზღაურდებოდა, რომ გაირკვეოდა ყველაფერი. ასე ფიქრობდა ანა. იმ საღამოს ვრონსკისაც შეხვდა, მაგრამ არაფერი უთხრა ქმარსა და მის შორს მომხდარ ამბავზე, თუმცა მდგომარეობის გასარკვევად საჭირო იყო ამის თქმა.

მეორე დილას გაღვიძებისთანავე ქმრისთვის ნათქვამი სიტყვები გაახსენდა და იმდენად საზარელი ეჩვენა, რომ ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეძლო ამ უცნაური, უხეში სიტყვების თქმა. წარმოდგენაც არ შეეძლო იმისა, თუ რა მოჰყვებოდა ამას. მაგრამ სათქმელი ითქვა და ალექსეი ალექსანდროვიჩიც ისე წავიდა, სიტყვაც არ წამოსცდენია. „ვრონსკიც ვნახე და არაფერი ვუთხარი. რომ მიდიოდა, იმ წუთშიც ვიფიქრე, მოვაბრუნებ და ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ისევ გადავიფიქრე, რადგან უცნაური იყო, შეხვედრისთანავე რომ არ ვუთხარი. როგორ მოხდა, რომ მინდოდა და მაინც ვერ მოვახერხე თქმა?“ – და ამ კითხვის პასუხად ანას სირცხვილის ალმური მოედო სახეზე. მიხვდა, რამაც შეაკავა. მიხვდა, რომ რცხვენოდა ამის თქმა. გუშინ საღამოს ანას უკვე გარკვეულად მიაჩნდა თავისი მდგომარეობა, ახლა გარკვეულად კი არა, გამოუვალიც ეჩვენა. საშინელებად ეჩვენა ეს სირცხვილი, რაზეც წინათ არც უფიქრია. ანას საზარელი აზრები უტრიალებდა თავში, როცა ფიქრობდა, თუ რას მოიმოქმედებდა მისი ქმარი. მისი ფიქრით ახლა მალე მოვიდოდა მოურავი, გააგდებდა სახლიდან და მისი შერცხვენის ამბავი მთელ ქვეყანას მოედებოდა. „სად უნდა წავიდე, როცა სახლიდან გამაგდებენ?“ – ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს ვერ პოულობდა.

როცა ანა ვრონსკიზე ფიქრობდა, ეჩვენებოდა, რომ ვრონსკის აღარ უყვარდა, უკვე მოჰბეზრდა და ანასაც აღარ შეეძლო შეეთავაზებინა მისთვის თავისი თავი. ამის გამო რაღაც მტრული გრძნობა ებადებოდა ვრონსკისადმი. ეჩვენებოდა, რომ ქმრისთვის ნათქვამი სიტყვები, რომელთაც განუწყვეტლივ იმეორებდა გონებაში, ყველას უთხრა და ყველამ გაიგონა. და მას აღარ შეეძლო თვალებში შეეხედა მათთვის, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა. ვერ გაებედა დაეძახა მოსამსახურე გოგოსთვის, კიდევ უფრო საშინელებად მიაჩნდა, ჩასულიყო ქვემო სართულზე და ენახა თავისი შვილი და გუვერნანტი.

მოსამსახურე გოგო, რომელიც უკვე დიდი ხანია კართან იდგა და ელოდა დაძახებას, დაუკითხავად შევიდა ანას ოთახში. ანამ გამომცდელად შეხედა გოგოს და შიშისაგან გაწითლდა, მოსამსახურე გოგომ შესვლისთანავე ბოდიში მოიხადა, თანაც დასძინა, ისე მომეჩვენა, თითქოს დამირეკეთო. მსახურმა წერილი და ტანისამოსი შემოუტანა ქალბატონს. წერილი ბეტსისაგან იყო. ბეტსი ახსენებდა, რომ დღეს დილით მასთან

კროკეტის პარტიის სათამაშოდ მოვლენ ლიზა მერკალოვა და ბარონესა შტოლცი თაყვანისმცემლებთან, კალუჟსკისა და მოხუც სტრემოვთან ერთად. „ზნეობათა შესწავლის მიზნით მაინც მოდით. გელოდებით“, – ასე ამთავრებდა იგი წერილს.

ანამ წერილი გადაიკითხა და მძიმედ ამოიოხრა.

– არაფერი, არაფერი მჭირდება, – უთხრა ანამ ანუშკას, რომელიც მის საპირფარეშო მაგიდაზე ადგილს უნაცვლებდა შუშებსა და ჯაგრისებს, – წადი, ახლავე ჩავიცვამ და გამოვალ. არაფერი, არაფერი მჭირდება.

ანუშკა ოთახიდან გავიდა, მაგრამ ანას ჩაცმა არ დაუწყია; ისევ ისე თავდახრილი, ხელჩამოყრილი იჯდა, ხანდახან მოულოდნელად მთელი სხეულით შეკრთებოდა, თითქოს უნდა რაღაც მოიმოქმედოს, რაღაც თქვასო, მაგრამ შემდეგ ისევ გაირინდებოდა. „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!“ – განუწყვეტლივ იმეორებდა ანა, მაგრამ არც „ღმერთოს“ და არც „ჩემოს“ მისთვის არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ფიქრი იმაზე, რომ სარწმუნოებაში ეძებნა ხსნა, მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც იმის ფიქრი, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩისათვის ეთხოვა შემწეობა, თუმცა არასოდეს შეჰპარვია ეჭვი იმ სარწმუნოებაში, რომელშიც აღიზარდა. ანამ წინასწარვე იცოდა, რომ მხოლოდ იმ პირობით იყო შესაძლებელი სარწმუნოებისაგან შემწეობა, თუ უარყოფდა იმას, რაც მისი სიცოცხლის მთელ აზრს შეადგენდა. ანას არათუ უმძიმდა, აშინებდა კიდეც ეს ახალი სულიერი მდგომარეობა, რომელიც წინათ არასოდეს განეცადა. ანა გრძნობდა, რომ მის სულში გაორებას იწყებდა ყველაფერი, ისევე, როგორც გაორდება ხოლმე საგნები მოქანცულ თვალში. ზოგჯერ არც იცოდა, რისი ეშინოდა ან რა უნდოდა. ეშინოდა თუ არა, სურდა თუ არა ის, რაც იყო ან რაც იქნება, ან სახელდობრ რა სურდა, – ანასთვის ეს გაურკვეველი იყო.

„აჰ, ამას რას ჩავდივარ“, – ჩაილაპარაკა ანამ თავისთვის და უცებ საფეთქლებთან ტკივილი იგრძნო. გონს რომ მოვიდა, დაინახა, ორივე ხელით საფეთქლებთან თმა ჩაებღუჯა და ეწეოდა. ანა წამოხტა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

– ყავა მზად გახლავთ, მამზელი და სერიოჟა თქვენ გელოდებიან, – უთხრა ანუშკამ, რომელიც ისევ შემობრუნდა ოთახში და კვლავ იმავე მდგომარეობაში იხილა ანა.

– სერიოჟა? რა მითხარი სერიოჟაზე? – იკითხა გამოცოცხლებულმა ანამ და ამ დილით პირველად მხოლოდ ახლა გაახსენდა თავისი ვაჟიშვილის არსებობა.

– მგონი, რაღაც დაუშავებია, – ღიმილით უპასუხა ანუშკამ.

– როგორ თუ დაუშავებია?

– კუთხის კარადაში ატამი გქონიათ შენახული და, მგონი, ერთი მიურთმევია ჩუმად.

შვილის გახსენებამ ანა მაშინვე გამოიყვანა იმ გამოუვალი მდგომარეობიდან. ანამ გაიხსენა ის ნაწილობრივ გულწრფელი, თუმცა კი დიდად გაზვიადებული დედის როლი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შვილისთვის ცოცხლობს, ეს როლი იკისრა ანამ ამ უკანასკნელ წლებში და გახარებულმა იგრძნო, რომ ამ მდგომარეობაშიც ჰქონდა საკუთარი სამფლობელო, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე, რა ურთიერთობა ექნება ქმართან ან ვრონსკისთან. ეს სამფლობელო მისი ვაჟიშვილი იყო. რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდეს ანა, შვილის მიტოვება მაინც არ შეუძლია. დაე, შეარცხვინოს ქმარმა, გააძევოს სახლიდან, დაე, ვრონსკიმაც გული აიყაროს მასზე და განაგრძოს დამოუკიდებელი ცხოვრება (ამის გახსენებაზე ანამ კვლავ გულისტკივილი და საყვედური იგრძნო ვრონსკისადმი), მაინც არ შეუძლია შვილის მიტოვება. მას აქვს სიცოცხლის მიზანი და უნდა იმოქმედოს, რათა უზრუნველყოს თავისი ვაჟიშვილის მდგომარეობა, რომ არ წაართვან შვილი. საჩქაროდ, რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა იმოქმედოს, სანამ არ წაურთმევიათ შვილი. უნდა წაიყვანოს და წავიდეს. აი, რა უნდა გააკეთოს ახლა. ანასთვის დამშვიდება იყო საჭირო, რათა თავი დაეღწია ამ მტანჯველი მდგომარეობისგან. უშუალოდ შვილთან დაკავშირებულმა ფიქრებმა და იმ აზრმა, რომ ახლავე შვილთან ერთად უნდა წავიდეს სადმე, დაამშვიდა ანა.

საჩქაროდ ჩაიცვა და მტკიცე ნაბიჯით გასწია ქვევით, სასტუმროში, სადაც ჩვეულებრივ ელოდებოდა ყავა და სერიოჟა გუვერნანტითურთ. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი სერიოჟა სარკის წინ, მაგიდასთან იდგა, თავი ძირს დაეხარა, სახეზე ანასთვის კარგად ნაცნობი დაძაბული ყურადღება ეხატებოდა, რითაც მამასა ჰგავდა, და თავისივე მოტანილი ყვავილებისაგან რაღაცას აკეთებდა.

გუვერნანტს განსაკუთრებული სიმკაცრე ეხატებოდა სახეზე.

სერიოჟამ, როგორც ხშირად ემართებოდა, ხმამაღლა შესძახა, დედა მოვიდაო და გაჩერდა, აღარ იცოდა, მიეტოვებინა ყვავილები და დედასთან მისულიყო მისასალმებლად, თუ დაეწნა გვირგვინი და ყვავილებით ხლებოდა დედას.

გუვერნანტი მიესალმა ანას და დაწვრილებით მოუთხრო სერიოჟას დანაშაული, მაგრამ ანა ყურს არ უგდებდა; იგი იმაზე ფიქრობდა, წაეყვანა თუ არა გუვერნანტი. „არა, არ წავიყვან, – გადაწყვიტა მან, – მარტო წავალ ჩემს შვილთან ერთად“.

– ჰო, ეს ძალიან ცუდია, – თქვა ანამ, მხარზე ხელი მოხვია სერიოჟას და მკაცრად კი არა, რაღაც გაუბედავად შეხედა, რამაც შეაკრთო და გაახარა სერიოჟა, და აკოცა შვილს, – დატოვეთ ჩემთან, – უთხრა გაოცებულ გუვერნანტს და ასე შვილთან ხელგადახვეული მიუჯდა მაგიდას, რომელზედაც უკვე გამზადებული იყო ყავა.

– დედა! მე... მე... არ... – ეუბნებოდა ბავშვი და დედის სახის გამომეტყველებაზე უნდოდა მიმხვდარიყო, რა მოელოდა ატმის ქურდობისათვის.

– სერიოჟა, – უთხრა ანამ, როგორც კი გუვერნანტი ოთახიდან გავიდა, – ეს ცუდია, მაგრამ შენ ხომ აღარ გაიმეორებ ამას? ხომ გიყვარვარ?

ანა გრძნობდა, რომ ცრემლები ადგებოდა თვალებზე. „განა შემიძლია არ მიყვარდეს იგი? – ამბობდა თავისთვის, როცა ბავშვის შეშინებულ და ამასთან, სიხარულით აღსავსე თვალებს შეჰყურებდა, – ნუთუ ესეც მამას მიემხრობა იმისათვის, რომ მე მაწამონ? ნუთუ ესეც არ შემიბრალებს?“ ცრემლები უკვე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე და, რათა დაემალა შვილისათვის ცრემლები, საჩქაროდ წამოხტა და თითქმის სირბილით გავიდა ტერასაზე.

რამდენიმე დღის გადაუღებელი წვიმის შემდეგ ცივი, მოწმენდილი დღე გამოსულიყო. კაშკაშა მზე წვიმით განბანილ ფოთლებში იჭყიტებოდა, მაგრამ ჰაერი მაინც ცივი იყო.

ანას გააჟრჟოლა სიცივისა და იმ შინაგანი მღელვარებისაგან, რამაც სუფთა ჰაერზე უფრო მეტად დარია ხელი.

– წადი, წადი, Mariete-სთან წადი, – უთხრა სერიოჟას, რომელიც უკან გამოჰყვა, თვითონ კი ტერასაზე დაგებულ ჭილოფზე

დაიწყო სიარული. „ნუთუ არ მაპატიებენ, ნუთუ ვერ მიხვდებიან, რომ ყოველივე ეს არ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო?“ – იმეორებდა ანა თავისთვის.

ანა შეჩერდა, დაინახა, როგორ არხევდა ქარი ვერხვის კენწეროებს, რომლის ჩამორეცხილ ფოთლებსაც ცივი მზე აელვარებდა, და მიხვდა, რომ არ აპატიებდნენ, რომ ახლა ყველაფერი და ყველა შეუბრალებელი იქნებოდა, ისე როგორც ეს ცა, ეს ამწვანებული მიდამო. მან კვლავ იგრძნო, რომ მის სულში გაორება იწყებოდა. „არა, საჭირო არ არის ფიქრი, – ჩაილაპარაკა ანამ თავისთვის, – უნდა მოვემზადო წასასვლელად. სად უნდა წავიდე? როდის უნდა წავიდე? ვინ უნდა წავიყვანო თან? ჰო, მოსკოვში უნდა წავიდე საღამოს მატარებლით. ანუშკასა და სერიოჟას წავიყვან და რაც აუცილებელია, მხოლოდ იმას წავიღებ. მაგრამ ჯერ საჭიროა წერილი მივწერო ორივეს“. ანამ ჩქარი ნაბიჯით გასწია სახლისაკენ, თავის კაბინეტში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ქმრისთვის გასაგზავნი წერილის წერას შეუდგა.

„მას შემდეგ, რაც მოხდა, მე აღარ შემიძლია თქვენს სახლში დარჩენა. მივდივარ და თან მიმყავს ჩემი შვილიც. მე არ ვიცი კანონები და ამიტომაც არ ვიცი, მშობელთაგან ვის უნდა დარჩეს ბავშვი, მაგრამ მაინც თან მიმყავს, რადგან უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, გამოიჩინეთ დიდსულოვნება და დამიტოვეთ იგი“.

აქამდე ანა სწრაფად და ძალდაუტანებლად წერდა, სანამ ქმარს დიდსულოვნებისაკენ მოუწოდებდა, რის იმედიც მისგან არ ჰქონდა. შემდეგ იგრძნო, რომ აუცილებელი იყო წერილის დამთავრება რაიმე გულის ამაჩუყებელი სიტყვებით და შეჩერდა.

„მე არ შემიძლია რაიმე ვთქვა ჩემს დანაშაულსა და მონანიებაზე, რადგანაც...“

ანა ისევ შეჩერდა, ერთმანეთთან ვეღარ დააკავშირა აზრები. „არა, – ჩაილაპარაკა ანამ, – არაფერი არ არის საჭირო“. წერილი დახია, ხელმეორედ გადაწერა, მხოლოდ ისე, რომ დიდსულოვნება აღარ უხსენებია, და დალუქა.

მეორე წერილი ვრონსკისათვის უნდა მიეწერა: „მე ყველაფერი ვუთხარი ქმარს“, – დაწერა მან და შემდეგ დიდხანს იჯდა, ძალა აღარ შესწევდა, გაეგრძელებინა წერილი. ეს ძალიან უხეშად და

არაქალურად გამოდიოდა. „მეტი რა შემიძლია მივწერო?“ – ფიქრობდა ანა და კვლავ სირცხვილის ალმური მოედო სახეზე, როცა გაიხსენა ვრონსკის სიმშვიდე და ისეთი წყენა იგრძნო მისადმი, რომ იძულებული შეიქნა, ნაკუწ-ნაკუწად ექცია წერილი. „არაფერი არ არის საჭირო“, – ჩაილაპარაკა ანამ და ბიუვარი დახურა, ზევით ავიდა, გუვერნანტსა და მსახურებს განუცხადა, დღესვე მოსკოვში მივდივარო, და მაშინვე ნივთების ჩალაგებას შეუდგა.

XVI

სააგარაკო სახლის ოთახებში მეეზოვეები, მებაღეები და მსახურები დადიოდნენ და ბარგს ეზიდებოდნენ. კარადები და კამოდები ღია იყო; დუქანში ორჯერ გაიქცნენ თოკისათვის; იატაკზე გაზეთის ქაღალდები ეყარა. ორი ზანდუკი, ფუთები და შეკრული პლედები უკვე დერეფანში გაიტანეს. პარმაღთან კარეტა და ორი მეეტლე იდგა. ანა, რომელსაც ბარგის ჩალაგებაში თავისი შინაგანი ღელვა გადავიწყებოდა, მაგიდასთან იდგა და საგზაო ჩანთაში ნივთებს ალაგებდა, როცა ანუშკამ მისი ყურადღება მოახლოებულ ეტლის ხმაურს მიაპყრო. ანამ ფანჯარაში გაიხედა და პარმაღთან დაინახა ალექსეი ალექსანდროვიჩის შიკრიკი, რომელიც შემოსასვლელ კართან იდგა და ზარს რეკავდა.

– წადი, გაიგე, რაშია საქმე, – უთხრა ანამ, რომელიც ახლა მზად იყო დამშვიდებით შეხვედროდა ყველაფერს, სავარძელში ჩაჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო. მსახურმა ალექსეი ალექსანდროვიჩის ხელმოწერილი სქელი პაკეტი შემოიტანა.

– შიკრიკს ნაბრძანები აქვს პასუხის მიტანა, – უთხრა მან.

– კარგი, – უპასუხა ანამ და როგორც კი მსახური ოთახიდან გავიდა, აკანკალებული ხელებით გახსნა წერილი. კონვერტიდან ბანდეროლით შეკრული, გადაუკეცავი ასიგნაციების დასტა გადმოვარდა. ანამ წერილი ამოიღო და ბოლოდან დაიწყო კითხვა. „მე ყველაფერი მოვამზადე თქვენს გადმოსასვლელად და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ ჩემი თხოვნის შესრულებას“, – ამოიკითხა ანამ.

ახლა ქვევით ჩააყოლა თვალი წერილს, ჩაიკითხა ყველაფერი; მერე ერთხელ კიდევ თავიდან ბოლომდე გადაიკითხა წერილი და კითხვა რომ დაამთავრა, იგრძნო, რომ ტანში სიცივემ დაუარა, ისეთი საშინელი უბედურება დაატყდა თავს, როგორსაც არ ელოდა.

დილით ანა მხოლოდ იმას ნანობდა, რომ უთხრა ქმარს ყველაფერი და ნატრობდა, ეს სიტყვები ნათქვამი არ ყოფილიყო. ეს წერილი კი ისე თვლიდა, თითქოს მათ შორის არაფერი იყო ნათქვამი და იმას ჰპირდებოდა, რაც მას სურდა. მაგრამ ახლა ანას ამ წერილზე საშინელი აღარაფერი წარმოედგინა.

„მართალია, მართალი! – თქვა ანამ, – რა თქმა უნდა, ის ყოველთვის მართალია. ის ქრისტიანია, დიდსულოვანი ადამიანი! დიახ, იგი სულმდაბალი, საძაგელი ადამიანია და ეს ჩემ გარდა არავინ იცის და ვერც გაიგებს; მეც ვერავის გავაგებინებ. მორწმუნე, ზნეობის დამცველი, პატიოსანი და ჭკვიანი კაციაო, ამბობენ, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ იმას, რასაც მე ვხედავ. მათ არ იციან, რვა წლის განმავლობაში როგორ კლავდა ჩემს სიცოცხლეს, როგორ ახშობდა ყოველივეს, რაც კი ცოცხალი იყო ჩემში, ერთხელაც არ უფიქრია, რომ მე ცოცხალი ადამიანი ვარ და ჩემთვისაც საჭიროა სიყვარული. არავინ იცის, ყოველ ნაბიჯზე როგორ შეურაცხყოფას მაყენებდა და თვითონ კი კმაყოფილი რჩებოდა ამით. განა მე არ ვცდილობდი, მთელი ძალ-ღონით არ ვცდილობდი, გამართლება მეპოვა ჩემი ცხოვრებისათვის? განა არ ვცდილობდი მის სიყვარულს, შვილის სიყვარულს, როცა ქმრის სიყვარული შეუძლებელი აღმოჩნდა? მაგრამ მოვიდა დრო და მივხვდი, რომ აღარ შემიძლია თავის მოტყუება, რომ ცოცხალი ადამიანი ვარ. მე ხომ დამნაშავე არა ვარ, რომ ღმერთმა ასეთი გამაჩინა, რომ ჩემთვის საჭიროა ცხოვრება, საჭიროა სიყვარული. ახლა კი რა მოხდა? მოვეკალი ან მოეკლა იგი, მე ყველაფერს ავიტანდი, ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ არა, მან...“

„როგორ ვერ მივხვდი, რას მოიმოქმედებდა იგი? იმას გააკეთებს, რაც მის სულმდაბალ ხასიათს შეეფერება. თვითონ მართალი დარჩება, მე კი, დაღუპულ ადამიანს, უფრო მეტად გამაუბედურებს, უფრო ღრმად დამმარხავს“. „თქვენ და თქვენს შვილს“, – გაიხსენა მან წერილის სიტყვები. „ეს იმის მუქარაა, რომ წამართმევს შვილს და მათი სულელური

კანონების მიხედვით ეს, ალბათ, შესაძლებელია კიდეც. განა მე არ ვიცი, რატომაც მეუბნება ამას? მას არ სჯერა, რომ მე მიყვარს შვილი, ან ეზიზღება (როგორც დამცინოდა ხოლმე ყოველთვის), ეზიზღება ეს ჩემი გრძნობა, მაგრამ იცის, მე შვილს არ მივატოვებ, რომ შვილის მიტოვება არ შემიძლია, უშვილოდ ჩემთვის შეუძლებელია ცხოვრება იმ ადამიანთან ერთადაც კი, რომელიც მიყვარს. იცის, თუ შვილს მივატოვებ და გავიქცევი, მე ყველაზე შერცხვენილი, ყველაზე სულმდაბალი ადამიანი ვიქნები, იცის, რომ ამის ჩადენა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება“.

„ჩვენი ცხოვრება წინანდელი გზით უნდა წარიმართოს“, – გაიხსენა ანამ წერილის მეორე ფრაზა. „ეს ცხოვრება წინათვე იყო მტანჯველი, ხოლო უკანასკნელ ხანებში საზარელი შეიქნა. ახლა კი რაღა იქნება? მან იცის ყოველივე ეს, იცის, რომ არ შემიძლია მონანიება იმისა, რომ ვსუნთქავ და მიყვარს; იცის, აქედან სიყალბისა და სიცრუის მეტი არაფერი გამოვა; მხოლოდ ის უნდა, რომ გააგრძელოს ჩემი წამება. ვიცნობ მას, ვიცი, მისთვის სიცრუე იგივეა, რაც თევზისათვის წყალი, დაცურავს და ტკბება ამ სიცრუით. მაგრამ არა, არ მივანიჭებ ამ სიამოვნებას, მე გავგლეჯ იმ სიცრუის ქსელს, რომელშიც ლამობს ჩემს გახვევას. დაე, რაც იქნება, იქნეს. სიცრუესა და სიყალბეს ყველაფერი სჯობია! მაგრამ როგორ? ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ნუთუ ყოფილა ოდესმე ჩემისთანა უბედური ქალი?“

– არა, გავგლეჯ, გავგლეჯ! – წამოიძახა ანამ, ზეწამოიჭრა, თან ცრემლების შეკავებას ცდილობდა. საწერ მაგიდასთან მივიდა, რათა სხვა წერილი მიეწერა მისთვის, მაგრამ სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ძალა აღარ შესწევდა რაიმეს გასაგლეჯად, ძალა აღარ შესწევდა, თავი დაეღწია წინანდელი მდგომარეობისგან, რაგინდ ყალბი და უპატიოსნო უნდა ყოფილიყო იგი.

ანა საწერ მაგიდასთან დაჯდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, წერილი დაეწერა, ხელები მაგიდაზე დააწყო, თავით ზედ დაეყრდნო და ატირდა. გულამოსკვნით ტიროდა და მთელი მკერდი უთრთოდა, ტიროდა ისე, როგორც ტირიან ხოლმე ბავშვები. ტიროდა იმიტომ, რომ სამუდამოდ დაიმსხვრა მისი ოცნება, ანამ წინასწარვე იცოდა, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩებოდა და წინანდელზე ბევრად ცუდიც იქნებოდა. გრძნობდა, რომ მისთვის ძვირფასი იყო ის მდგომარეობა, რომლითაც საზოგადოებაში სარგებლობდა და რომელიც ამ

დილით ასე უმნიშვნელო ეჩვენებოდა, გრძნობდა, რომ ძალა არ შესწევდა, ხელი აეღო ამ ცხოვრებაზე და შეეცვალა იგი იმ ქალის სამარცხვინო მდგომარეობით, რომელმაც მიატოვა ქმარიც, შვილიც და საყვარელთან გაიქცა; რომ რამდენიც უნდა ეცადოს, თავის თავზე ძლიერი ვერ გახდება. ვერასოდეს განიცდის თავისუფალი სიყვარულის ბედნიერებას, მუდამ დამნაშავე ცოლად დარჩება და სულ იმის შიშში იქნება, რომ ამხილებენ ქმრის ღალატისა და სამარცხვინო კავშირის გამო უცხო, დამოუკიდებელ ადამიანთან, რომელთანაც არ შეუძლია ერთი ცხოვრებით იცხოვროს. ანამ იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა და ამასთან, ეს ისეთ საშინელებად მიაჩნდა, რომ წარმოდგენაც არ შეეძლო, რა მოჰყვებოდა ამას. და ანა ტიროდა თავშეუკავებლად, ტიროდა, ისე როგორც ტირიან ხოლმე დასჯილი ბავშვები.

ლაქიის ფეხის ხმა გაისმა და ანა იძულებული შეიქნა, გონს მოსულიყო; სახე დამალა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს წერდა.

– შიკრიკი პასუხს ითხოვს, – მოახსენა ლაქიამ.

– პასუხს ითხოვს? დიახ, – უთხრა ანამ, – დაე, დაიცადოს, მე თვითონ დავრეკავ.

„რა უნდა მივწერო? – ფიქრობდა ანა, – რა შემიძლია გადავწყვიტო მარტო მე? რა ვიცი მე? რა მსურს? რა მიყვარს?“ ანამ კვლავ იგრძნო, რომ მის სულში გაორება იწყებოდა. ისევ შეეშინდა ამ გრძნობისა და პირველივე შესაძლებელ აზრს ჩაეჭიდა, რათა თავიდან მოეცილებინა ფიქრი საკუთარ თავზე. „ალექსეი უნდა ვნახო (გონებაში ასე უწოდებდა ხოლმე ვრონსკის), მხოლოდ მას შეუძლია მითხრას, როგორ მოვიქცე. ბეტსისთან წავალ; იქნებ ისიც იქ ვნახო!“ – თქვა თავისთვის და სულ გადაავიწყდა, რომ გუშინვე, როცა უთხრა ქალბატონ ბეტსისთან არ ვაპირებ წასვლასო, ვრონსკიმაც უპასუხა, მაშინ მეც არ წავალო. ანა მაგიდასთან მივიდა და მისწერა ქმარს: „თქვენი წერილი მივიღე. ა“. ზარი ჩამორეკა და წერილი ლაქიას გადასცა.

– ჩვენ აღარ მივდივართ, – უთხრა ოთახში შემოსულ ანუშკას.

– სულ აღარ მივდივართ?

– არა, ხვალამდე ნუ გახსნით ბარგს, კარეტაც დატოვეთ. მე

ბეტსისთან წავალ.

– რომელი კაბა მოგიმზადოთ?

XVII

კროკეტის პარტიის საზოგადოება, სადაც იწვევდა ანას ბეტი ტვერსკაია, ორი მანდილოსნისა და მათი თაყვანისმცემლებისაგან უნდა შემდგარიყო. ეს ორი მანდილოსანი მთავარი წარმომადგენელი იყო პეტერბურგის ახალი წრისა, რომელსაც რაღაცის მიმბაძველობით Les sept merveilles du monde[42] ერქვა. ეს ორი მანდილოსანი, მართალია, მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა, მაგრამ სავსებით მტრულად იყო იმ წრესთან, რომელშიც ანა ტრიალებდა. გარდა ამისა, მოხუცი სტრემოვი, პეტერბურგის ერთ-ერთი გავლენიანი პირი, ლიზა მერკალოვას თაყვანისმცემელი, სამსახურებრივი საქმიანობის გამო მტრულად იყო განწყობილი ალექსეი ალექსანდროვიჩისადმი. ამ მოსაზრებათა გამო ანას არ უნდოდა იქ მისვლა და სწორედ ამ უარს შეეხებოდა ბეტსი ტვერსკაიას ბარათის გადაკრული სიტყვა. ახლა კი ანამ ისევ მოისურვა წასვლა იმ იმედით, რომ იქ ვრონსკის შეხვდებოდა.

ანა სხვა სტუმრებზე ადრე მივიდა ქალბატონ ტვერსკაიასთან.

ანა რომ შედიოდა, სწორედ იმ დროს მოვიდა ვრონსკის ლაქიაც, რომელიც თავისი გადავარცხნილი ქილვაშებით კამერ-იუნკერი გეგონებოდათ. ლაქია კართან შეჩერდა, ქუდი მოიხადა და გზა დაუთმო ანას. ანამ იცნო იგი და მხოლოდ ახლა გაახსენდა ვრონსკის ნათქვამი, არ მოვალო. ალბათ, ამის შესახებ გამოგზავნა ბარათი ტვერსკაიასთან.

ანა რომ დერეფანში წამოსასხამს იხდიდა, გაიგონა, როგორ მოახსენა ლაქიამ, რომელიც ასო რ-საც კამერ-იუნკერივით ამბობდა, „ქალბატონს გრაფისგანო“, და ბარათი გადასცა.

ანას უნდოდა ეკითხა მისთვის, სად იყო მისი ბატონი, უნდოდა უკანვე გაბრუნებულიყო მასთან ან თვითონვე წასულიყო ვრონსკისთან. მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო ერთის, მეორის

ან მესამის გაკეთება: ოთახებში უკვე გაისმა ანას მოსვლის მაუწყებელი ზარების ხმა და ბეტსი ტვერსკაიას ლაქია უკვე ნახევრად შებრუნებული იდგა კარისაკენ, რათა ანა შიდა ოთახებისაკენ გაეტარებინა.

– ქალბატონი ბაღში გახლავთ, ახლავე მოახსენებენ. თქვენც ხომ არ ინებებთ ბაღში გასვლას? – მოახსენა მეორე ლაქიამ შემდეგ ოთახში. აქაც იგივე მერყეობა და გაურკვეველი მდგომარეობა იყო, როგორც სახლში. უფრო უარესიც, რადგან აქ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა, ვერც ვრონსკის ნახავდა, მაგრამ ანა იძულებული იყო, დარჩენილიყო აქ, უცხო საზოგადოებაში, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა მის განწყობას; მაგრამ ანას ისეთი მორთულობა ჰქონდა, რომელიც იცოდა, რომ უხდებოდა და აქ, მისთვის ჩვეულ, საზეიმო გარემოში, თავსაც უკეთ გრძნობდა, ვიდრე შინ. არც იმაზე ფიქრი სჭირდებოდა, რა გაეკეთებინა. ყველაფერი თავისით წარიმართებოდა. წინ შემოეგება თეთრ, მეტისმეტად ელეგანტურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბეტსი და ანამაც ჩვეულებრივ გაუღიმა. ტვერსკაიას თან ახლდნენ ტუშკევიჩი და ვიღაც ნათესავი გოგონა, რომელიც პროვინციელი მშობლების საბედნიეროდ, ამ ზაფხულს სახელგანთქმულ ნათესავთან ატარებდა.

ანას, ალბათ, ეტყობოდა რაღაც განსაკუთრებული, რადგან ქალბატონმა ბეტსიმ მაშინვე შენიშნა.

– ცუდად მეძინა, – უპასუხა ანამ და შეხედა მსახურს, რომელიც მათკენ მოდიოდა და, მისი აზრით, ვრონსკის წერილი მოჰქონდა.

– როგორ მიხარია, რომ მოხვედი, – უთხრა ბეტსიმ, – დავიღალე და სწორედ ახლა ვაპირებდი ერთი ფინჯანი ჩაის დალევას, სანამ ისინი მოვიდოდნენ. იქნებ წასულიყავით და მაშასთან ერთად კროკეტ-გროუნდი გეცადათ, იქ, სადაც მოწმენდილია, – მიუბრუნდა იგი ტუშკევიჩს, – ჩვენ კი ჩაიზე მოვასწრებთ გულითად ლაპარაკს, we’ ll have a cosy chat,[43] ხომ მართალია? – ღიმილით უთხრა ანას და ხელი მოუჭირა ხელზე, რომელშიც ანას ქოლგა ეჭირა.

– მით უმეტეს, რომ დიდხანს დარჩენა არ შემიძლია, აუცილებლად უნდა ვინახულო მოხუცი ვრედე. რამდენი ხანია შევპირდი, – უთხრა ანამ, რომლისთვისაც წინათ უცხო იყო

ტყუილი, ახლა კი არამცთუ უბრალოდ და ბუნებრივად ეჩვენებოდა ტყუილის თქმა საზოგადოებაში, სიამოვნებასაც ანიჭებდა.

რატომ თქვა ის, რაც ამ ერთი წუთის წინ არც უფიქრია, ამას ვერასგზით ვერ აგიხსნიდათ. ანამ ეს მხოლოდ იმ მოსაზრებით თქვა, რომ, რადგან ვრონსკი აქ არ მოვიდოდა, როგორმე უზრუნველეყო თავისი თავისუფლება, რათა ენახა იგი. რატომ მაინცდამაინც მოხუცი ფრეილინა ვრედე დაასახელა, რომელთანაც მართლა უნდა მისულიყო, ისე როგორც ბევრ სხვასთანაც, ამას ვერ გეტყოდათ, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მან ყველაზე ეშმაკური ხერხი მოიგონა ვრონსკის სანახავად და ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა.

– არა, არასგზით არ გაგიშვებთ, – უპასუხა ბეტსიმ და ყურადღებით შეხედა ანას, – მართალი გითხრათ, ასე რომ არ მყვარებოდით, უთუოდ მეწყინებოდა. თითქოს გეშინიათ, ჩემმა საზოგადოებამ სახელი არ გაგიტეხოთ. გეთაყვა, ჩაი მცირე სასტუმროში მოგვართვით, – ჩვეულებრივი თვალების წკურვით უთხრა მან ლაქიას, წერილი გამოართვა და გადაიკითხა, – ალექსეიმ ეშმაკური ნახტომი გაგვიკეთა, – შენიშნა მან ფრანგულად, – დღეს ვერ მოვალო, იწერება, – ისე უბრალოდ, ბუნებრივად დაუმატა მან, თითქოს ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, რომ ვრონსკის ანასთვის სხვა რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, თუ არა უბრალოდ კროკეტის მოთამაშისა.

ანამ იცოდა, რომ ბეტსის ყველაფერი გაგებული ჰქონდა, მაგრამ, როცა ყურს უგდებდა, როგორ ლაპარაკობდა მასთან ვრონსკის შესახებ, ერთი წუთით ყოველთვის რწმუნდებოდა, ბეტსიმ არაფერი იცისო.

– აა! – გულგრილად თქვა ანამ, თითქოს სულაც არ აინტერესებდა ეს ამბავი, და ღიმილით განაგრძო, – როგორ შეუძლია თქვენს საზოგადოებას სახელი გაუტეხოს ვინმეს? – ეს სიტყვების თამაში, ეს დაფარვა საიდუმლოებისა ანასათვის, ისე როგორც ყველა ქალისათვის, მეტად მშვენიერი რამ იყო. და როცა საჭირო ხდებოდა დაფარვა საიდუმლოებისა, ამ საიდუმლოების დაცვის მიზანი კი არ ამოძრავებდა, არამედ თვით დაფარვის პროცესი იტაცებდა, – მე არ შემიძლია პაპზე უფრო კათოლიკე ვიყო. სტრემოვი და ლიზა მერკალოვა საზოგადოების თაიგულის თაიგულია. ისინი ყველგან

მიღებული არიან და მე, – ანამ განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა, მეო, – არასოდეს მკაცრი და შეუწყნარებელი არ ვყოფილვარ. მე უბრალოდ არ მცალია.

– თქვენ შეიძლება არ გინდათ შეხვდეთ სტრემოვს. დაე, მან და ალექსეი ალექსანდროვიჩმა რამდენიც უნდათ, იმდენი იკინკლაონ კომიტეტში, ჩვენ ეს არ გვეხება. საზოგადოებაში კი იგი ყველაზე თავაზიანი ადამიანია, ვისაც კი მე ვიცნობ, და გატაცებითაც უყვარს კროკეტი. აი, თქვენ თვითონ ნახავთ, და მიუხედავად იმისა, რომ იგი სასაცილო მდგომარეობაშია, როგორც ლიზას მოხუცი თაყვანისმცემელი, მაინც უნდა ნახოთ, როგორ გამოჰყავს თავი ამ სასაცილო მდგომარეობიდან. ძალიან სასიამოვნო ადამიანია. საფო შტოლცს იცნობთ? ეს ახალი, სულ ახალი ტონია.

როცა ბეტსი ყოველივე ამას ამბობდა და როცა ანა მის მხიარულ, ჭკვიან თვალებს შეჰყურებდა, გრძნობდა, რომ მას ნაწილობრივ ესმოდა ანას მდგომარეობა და რაღაც ჰქონდა განზრახული. ანა და ბეტსი პატარა კაბინეტში იყვნენ.

– ჰო, წერილი უნდა მივწერო ალექსეის, – და ბეტსი მაგიდას მიუჯდა, რამდენიმე სტრიქონი დაწერა და კონვერტში ჩადო, – ვწერ, რომ სადილად მეწვიოს. კავალერი გვაკლია-მეთქი. ნახეთ, ხომ დამაჯერებლად წერია? მაპატიეთ, ერთი წუთით მიგატოვებთ. გეთაყვა, დალუქეთ კონვერტი და გაგზავნეთ, – კარიდან მიაძახა მან, – მე კი განკარგულების გასაცემად უნდა გავიდე.

ანა წუთითაც არ დაფიქრებულა, ბეტსის წერილით მაგიდას მიუჯდა და არც წაუკითხავს ნაწერი, ისე მიაწერა ქვეშ: „აუცილებლად მინდა თქვენი ნახვა. მოდით ვრედეს ბაღში ექვსი საათისათვის, მე იქ ვიქნები“. ანამ წერილი დალუქა და ბეტსიმ, რომელიც ამასობაში უკანვე დაბრუნდა, მისი თანდასწრებით გადასცა ლაქიას წერილი.

მართლაც, ჩაიზე, რომელიც ლანგრით შემოიტანეს პატარა, გრილ სასტუმროში, ორ მანდილოსანს შორის სტუმრების მოლოდინში a cosy chat გაიბა, როგორც ჰპირდებოდა ქალბატონი ტვერსკაია. მანდილოსნები მათზე ჭორაობდნენ, ვისაც სტუმრად ელოდნენ, და საუბარი ლიზა მერკალოვაზე შეჩერდა.

– ლიზა მშვენიერი ქალია, მე ყოველთვის მომწონდა, – თქვა

ანამ.

– თქვენ მართლაც უნდა გიყვარდეთ იგი. ლიზა გაგიჟებულია თქვენთვის. გუშინ დოღის შემდეგ ჩემთან მოვიდა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, თქვენ რომ ვეღარ მოგისწროთ. ლიზა ამბობს, რომ თქვენ ნამდვილი რომანის გმირი ქალი ხართ, მამაკაცი რომ ვიყო, ათასნაირ სისულელეს ჩავიდენდი მისი გულისთვისო. თქვენ ისედაც სჩადიხართ ათასნაირ სისულელესო, უთხრა სტრემოვმა.

– ერთი მითხარით, გეთაყვა, ვერაფრით მივმხვდარვარ, – ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა ანამ ისეთი ტონით, რომელიც ცხადყოფდა, რომ იმას, რასაც კითხულობდა, მისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე საჭირო იყო, – მითხარით, გეთაყვა, რა ურთიერთობა აქვს მას თავად კალუჟსკისთან, ეგრეთ წოდებულ მიშკასთან? მე იშვიათად შევხვედრივარ მათ. რა არის ეს?

ბეტსიმ მხოლოდ თვალებით გაიღიმა და დაკვირვებით შეხედა ანას.

– ახალი მანერაა, – უთხრა ბეტსიმ, – მათ, ყველამ, ეს მანერა აირჩიეს. ყველაფერი ფეხებზე დაიკიდეს. მაგრამ მანერაც არის და მანერაც, ვინ როგორ შეიშნოებს.

– დიახ, მაგრამ როგორია მისი ურთიერთობა კალუჟსკისთან?

ბეტსიმ უცებ მხიარულად, თავშეუკავებლად გაიცინა, რაც იშვიათად ემართებოდა.

– თქვენ თავადის ქალ მიაგკაიას სამყაროში იჭრებით. ეს საშინელი ბავშვის კითხვაა, – და ბეტსის, ალბათ, უნდოდა თავის შეკავება, მაგრამ ვეღარ შეიკავა და ისეთი სიცილი აუტყდა, როგორც იცინიან ის ადამიანები, რომელთაც იშვიათად ეცინებათ, – ეს იმათ უნდა ჰკითხოთ, – თქვა ბეტსიმ, რომელსაც სიცილისაგან თვალები ცრემლებით ევსებოდა.

– არა, თქვენ გეცინებათ, – უთხრა ანამ, რომელსაც თვითონ უნებურად გადაედო ეს სიცილი, – მე კი ვერაფრით მივმხვდარვარ. ქმრის როლი აქ გაუგებარია ჩემთვის.

– ქმარი? ლიზა მერკალოვას ქმარს ყოველთვის თან დააქვს ცოლის პლედი და მუდამ მზად არის მის სამსახურად, ამის იქით კი რა იმალება, ამის ცოდნა არავის უნდა. იცით, კარგ

საზოგადოებაში არ ლაპარაკობენ და არც ფიქრობენ მორთულობის ზოგიერთ წვრილმანზე. ასეა ესეც.

– თქვენ როლანდაკის დღესასწაულზე იქნებით? – ჰკითხა ანამ, რათა საუბრის თემა შეეცვალა.

– არა მგონია, – უპასუხა ბეტსიმ, რომელიც აღარ უყურებდა თავის მეგობარს და მომცრო, გამჭვირვალე ფინჯნებში ფრთხილად ასხამდა სურნელოვან ჩაის. მან ფინჯანი ანას მიაწოდა, თვითონ კი პაპიროსი ამოიღო, ვერცხლის ტარში ჩადო და გააბოლა.

– აი, ხომ ხედავთ, მე ჩემი მდგომარეობით ბედნიერი ვარ, – უკვე სერიოზულად უთხრა ბეტსიმ და ფინჯანი აიღო, – მე მესმის თქვენი. ლიზას მდგომარეობაც გასაგებია. ლიზა ერთი გულუბრყვილო ქალია, რომელსაც ბავშვივით ვერ გაურჩევია, რა არის კარგი და რა – ცუდი. ყოველ შემთხვევაში, როცა ძალიან ახალგაზრდა იყო, არ ესმოდა. ახლა კი არ უნდა მიხვედრა, – ნაზი ღიმილით ამბობდა ბეტსი, – მაგრამ მაინც უხდებოდა ეს. საქმე ის არის, რომ ერთი და იგივე საგანი შეიძლება ტრაგიკულად აღიქვათ და სატანჯველი შექმნათ მისგან, შეიძლება უბრალოდ მოეკიდოთ და სიხარულიც მოგანიჭოთ. იქნებ თქვენ მიდრეკილება გაქვთ, ყველაფერი მეტისმეტად ტრაგიკულად აღიქვათ?

– როგორ მინდა, სხვებსაც ისე ვიცნობდე, როგორც საკუთარ თავს, – სერიოზულად, ფიქრიანად თქვა ანამ, – ნეტავ სხვებზე უარესი ვარ თუ სხვებზე უკეთესი? მე მგონი, სხვებზე უარესი ვარ.

– საშინელი ბავშვი, საშინელი ბავშვი! – გაიმეორა ბეტსიმ, – აი, ისინიც მოვიდნენ.

XVIII

გაისმა ფეხის ხმა, შემდეგ ამას მოჰყვა მამაკაცის ლაპარაკი და ქალის კისკისი და ოთახში შემოვიდნენ მოწვეული სტუმრები: საფო შტოლცი და სახეგაბრწყინებული, სიცოცხლით სავსე

ახალგაზრდა კაცი, ეგრეთ წოდებული ვასკა, რომლისთვისაც, ეტყობოდა, ამაოდ არ ჩაევლო ცვრიან ხორცს, ტრიუფელებსა და ბურგუნდიულ ღვინოს. ვასკა მიესალმა მანდილოსნებს, მხოლოდ ერთი წამით გადახედა მათ. იგი კვალდაკვალ შემოჰყვა სასტუმროში საფოს და ოთახშიც მიჯაჭვულივით დაჰყვებოდა, თან ისე შეჰყურებდა წყლიანი თვალებით, თითქოს მის შეჭმას ლამობდა. საფო შტოლცი ქერა, შავთვალა ქალი იყო. მკვირცხლი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში, გაბედულად შეაბიჯა თავისი ქუსლშეზნექილი ფეხსაცმლით და ღონივრად, მამაკაცურად ჩამოართვა ხელი მანდილოსნებს.

ანა პირველად ხვდებოდა ამ სახელგანთქმულ ქალს და გაოცებული იყო მისი სილამაზით, უცნაური მორთულობითა და გაბედული ქცევით. საფოს საკუთარი და სხვისი თმის ისეთი ღია და ოქროსფერი ეშაფოდაჟი ედგა თავზე, რომ მისი თავი სიდიდით კარგად მოყვანილ, წინ წამოწეულ და მეტისმეტად მოშიშვლებულ ბიუსტს არ ჩამოუვარდებოდა. ისეთი ძალით მიისწრაფოდა წინ, რომ ფეხის ყოველ გადადგმაზე მკაფიოდ იხატებოდა მუხლისთავები და ფეხის ზემო ნაწილი. უნებლიეთ გებადებოდათ კითხვა, თუ ამ აწყობილ, მოძრავ გორაში სინამდვილეში სად თავსდებოდა მისი პატარა, მოყვანილი სხეული, რომელიც ზევიდან ესოდენ გაშიშვლებული იყო, ქვევით და უკან კი ასე მიჩქმალული.

ბეტსიმ მაშინვე გააცნო მას ანა.

– თქვენ წარმოგიდგენიათ, კინაღამ გავსრისეთ ორი ჯარისკაცი, – მაშინვე დაიწყო მან მოყოლა, თან იღიმებოდა, თვალს უკრავდა მათ და ცდილობდა, უკან გადაესროლა გრძელი კაბის ბოლო, რომელიც სულ ცალ მხარეს გადმოსწეოდა, – მე და ვასკა მოვდიოდით. აჰ, თქვენ ჯერ არ იცნობთ, – და მან გვარით მოიხსენია ახალგაზრდა კაცი, მანდილოსნებს წარუდგინა, თან სახეზე წამოწითლდა და გადაიკისკისა იმის გამო, რომ უცნობ მანდილოსნებთან ვასკად მოიხსენია იგი.

ვასკა ერთხელ კიდევ მიესალმა ანას, მაგრამ არაფერი უთქვამს მისთვის და ისევ საფოს მიუბრუნდა: – სანაძლეო წაგებული გაქვთ. ხომ მოვასწარით. გადაიხადეთ, – ღიმილით უთხრა მან.

საფომ კიდევ უფრო მხიარულად გადაიკისკისა.

– ახლა ხომ ვერ გადაგიხდით? – უთხრა მან.

– სულერთია, შემდეგ მივიღებ.

– კარგი, კარგი! ჰო, მართლა, – უცებ მიუბრუნდა იგი დიასახლისს, – კარგი ვინმე კი ვარ... გადამავიწყდა კიდეც... მე თქვენ სტუმარი მოგიყვანეთ. აი, ისიც!

საფოს მოყვანილი მოულოდნელი ახალგაზრდა სტუმარი, რომელიც მას კიდეც გადაავიწყდა, იმდენად პატივცემული სტუმარი აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ახალგაზრდობისა, ორივე მანდილოსანი შესახვედრად ფეხზე წამოდგა.

ეს გახლდათ საფოს ახალი თაყვანისმცემელი და ახლა ესეც ვასკასავით კვალდაკვალ დაჰყვებოდა საფოს.

მალე თავადი კალუჟსკი და ლიზა მერკალოვაც მოვიდნენ სტრემოვის თანხლებით. ლიზა მერკალოვა გამხდარი, შავგვრემანი ქალი იყო, აღმოსავლური, ნებიერი სახის ნაკვთები და მშვენიერი, როგორც ყველა ამბობდა, იდუმალებით სავსე თვალები ჰქონდა. მისი მუქი ჩაცმულობა (ანამ მაშინვე შენიშნა მისი მორთულობა და შეაფასა კიდეც) სავსებით შეეფერებოდა მის სილამაზეს. რამდენადაც საფო მკვრივი და გამოკვეთილი იყო, იმდენად ლიზა სათუთი და ლაღი ჩანდა.

მაგრამ ანას ლიზა ბევრად უფრო მიმზიდველი ეჩვენა. ბეტსი მის შესახებ ეუბნებოდა, მიამიტი ბავშვის ტონი აირჩიაო, ანა კი პირველი შეხვედრისთანავე მიხვდა, რომ ეს მართალი არ იყო. ის თითქოს მართლაც მიამიტი, გაფუჭებული, მაგრამ საყვარელი ქალი იყო. ტონი მართლაც ისეთივე ჰქონდა, როგორც საფოს; მასაც საფოსავით მიჯაჭვულივით დაჰყვებოდა უკან ორი თაყვანისმცემელი: ერთი მოხუცი და ერთიც ახალგაზრდა, რომელნიც თვალებით ლამობდნენ მის შეჭმას, მაგრამ მასში იყო რაღაც ისეთი, რაც ყველაფერზე მაღლა იდგა, ეს იყო ნამდვილი ბრილიანტის ბრწყინვალება უბრალო შუშებს შორის. ეს ბრწყინვალება იღვრებოდა მისი მშვენიერი, მართლაც იდუმალებით მოცული თვალებიდან. ამ ჩაშავებულ თვალთა მიბნედილი და ამავე დროს ვნებიანი გამოხედვა ყველას აოცებდა თავისი სრული გულუბრყვილობით. მისი თვალების შემყურე, ყველა იფიქრებდა, რომ თავიდან ბოლომდე შეიცნო ეს ქალი და რაკი შეიცნო, არ შეუძლია, არ უყვარდეს. ანას დანახვისთანავე ლიზას მხიარულმა ღიმილმა გაუნათა სახე.

– აჰ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა! – უთხრა მან და ანასთან

მივიდა, – გუშინ დოღზე ის იყო დავაპირე თქვენთან მოსვლა და თქვენც წახვედით. მე სწორედ გუშინ მინდოდა თქვენი ნახვა, ეს საშინელება იყო, ხომ მართალია? – თქვა მან და ისეთი თვალით გადახედა ანას, თითქოს მთელ სულსა და გულს უხსნიდა.

– დიახ, არ მეგონა, თუ ასე ამაღელვებელი იქნებოდა, – უპასუხა ანამ და წამოწითლდა.

ამ დროს მთელი საზოგადოება ბაღში წასასვლელად წამოიშალა.

– მე არ წამოვალ, – თქვა ლიზამ და ღიმილით გადაჯდა ანას გვერდით, – თქვენც ხომ არ წახვალთ? აბა, რა სახალისოა კროკეტის თამაში!

– არა, მე მიყვარს, – უთხრა ანამ.

– აი, როგორ ახერხებთ, რომ არ გწყინდებათ? როგორც კი თქვენ შეგხედავთ ადამიანი, მაშინვე სიხარული ეუფლება, თქვენ ცხოვრობთ, მე კი მოწყენილობაში ვატარებ დღეებს.

– როგორ თუ მოწყენილობაში? თქვენ ხომ პეტერბურგის ყველაზე მხიარული საზოგადოება ხართ, – უთხრა ანამ.

– ალბათ, ისინი, ვინც ჩვენს საზოგადოებას არ ეკუთვნიან, კიდევ უფრო მოწყენილობაში ატარებენ დღეებს. მაგრამ ჩვენ, უფრო სწორად კი მე, მხიარული კი არა, საშინლად, საშინლად მოწყენილი ვარ.

საფომ პაპიროსს მოუკიდა და ორივე ახალგაზრდის თანხლებით ბაღისაკენ გასწია. ბეტსი და სტრემოვი ჩაის მაგიდასთან დარჩნენ.

– რაო, მოწყენილობაო? – უთხრა ბეტსიმ, – საფო ამბობს, რომ გუშინ თქვენთან ძალიან მხიარულად გაატარეს დრო.

– აჰ, რა მოწყენილობა იყო! – თქვა ლიზა მერკალოვამ, – დოღის შემდეგ ყველანი ჩვენთან წამოვიდნენ. სულ ერთი და იგივე ხალხი! სულ ერთი და იგივე ამბავი! მთელი საღამო დივნებზე ვეყარეთ. რა იყო იქ სამხიარულო? არა, როგორ ახერხებთ, რომ მოწყენილობა არ იგრძნოთ? – ისევ ჰკითხა მან ანას, – საკმარისია ერთხელ შემოგხედოთ ადამიანმა, რომ მისთვის ნათელი გახდეს – აი, ქალი, რომელიც ბედნიერია თუ

უბედური, მაინც მოწყენილი არ არის. მასწავლეთ, როგორ ახერხებთ ამას?

– სულაც არ ვახერხებ, – უპასუხა ანამ და წამოწითლდა ამ დაჟინებული კითხვების გამო.

– აი, ეს საუკეთესო მანერაა, – ჩაერია საუბარში სტრემოვი.

სტრემოვი ორმოცდაათ წელს მიღწეული, ნახევრად გაჭაღარავებული, ჯერ ისევ მხნე მამაკაცი იყო. ძალიან ულამაზო, მაგრამ დამახასიათებელი, ჭკვიანური სახე ჰქონდა. ლიზა მერკალოვა მისი მეუღლის ძმისშვილი იყო და მთელ თავისუფალ დროს მასთან ატარებდა. ანა კარენინასთან შეხვედრისას მან, რომელსაც სამსახურის მხრივ მტრული ურთიერთობა ჰქონდა ალექსეი ალექსანდროვიჩთან, როგორც მაღალი საზოგადოების ჭკვიან მამაკაცს შეეფერებოდა, განიზრახა განსაკუთრებული თავაზიანობა გამოეჩინა თავისი მტრის მეუღლის, ანას წინაშე.

– სულაც არა, – გაიმეორა მან და ნაზად გაიღიმა, – ეს საუკეთესო საშუალებაა. მე დიდი ხანია გეუბნებით, – უთხრა ლიზა მერკალოვას, – იმისათვის, რომ მოწყენილი არ იყოთ, არ უნდა იფიქროთ იმაზე, რომ მოწყენილი იქნებით. ეს იგივეა, გეშინოდეს, ვერ დავიძინებო, თუ უძილობას უჩივი. სწორედ ეს გითხრათ ანა არკადიევნამაც.

– მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, ეს რომ მეთქვა, რადგან ეს არა მარტო ჭკვიანურია, ჭეშმარიტებაც არის, – ღიმილით უთხრა ანამ.

– არა, თქვენ ის მითხარით, რატომ არ შეიძლება დაიძინოთ და რატომ არ შეიძლება, მოწყენილობა არ იგრძნოთ?

– ძილისათვის მუშაობაა საჭირო, მხიარულებასაც მუშაობა სჭირდება.

– რატომ უნდა ვიმუშაო, როცა ჩემი მუშაობა არავის სჭირდება? თვალთმაქცობა კი მე არ შემიძლია და არც მინდა.

– თქვენ გამოუსწორებელი ხართ, – უპასუხა სტრემოვმა ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს და ისევ ანას მიმართა.

სტრემოვი იშვიათად ხვდებოდა ანას და ამიტომ უბრალო, მოსაწყენი ამბების გარდა არაფრის თქმა არ შეეძლო. ისიც

ემუსაიფებოდა იმაზე, თუ როდის აპირებდა პეტერბურგში გადასვლას, როგორ უყვარდა იგი ლიდია ივანოვნას, და ყოველივე ამას ისეთი გამომეტყველებით ეუბნებოდა, რომ აშკარად ჩანდა, სულითა და გულით სურდა ესიამოვნებინა ანასთვის, დაენახვებინა თავისი პატივისცემა და უფრო მეტიც.

შემოვიდა ტუშკევიჩი და განაცხადა, მთელი საზოგადოება კროკეტის მოთამაშეებს ელოდებაო.

– არა, გეთაყვა, ნუ წახვალთ, – სთხოვა ლიზა მერკალოვამ ანას, როცა გაიგო, რომ იგი წასვლას აპირებდა. სტრემოვიც შეუერთდა ამ თხოვნას.

– ძალიან დიდი კონტრასტია, – უთხრა მან, – ასეთი საზოგადოების შემდეგ მოხუც ვრედესთან წასვლა. გარდა ამისა, თქვენი იქ მისვლა მიზეზი გახდება მოხუცის ავყიაობისა, აქ კი თქვენ სულ სხვა, ავყიაობის საწინააღმდეგო, მშვენიერ გრძნობებს აღვიძებთ, – უთხრა სტრემოვმა.

ანა წუთით შეყოყმანდა. ჭკვიანი მამაკაცის ქათინაურები, ეს გულუბრყვილო, ბავშვური სიმპათია, რომელსაც ლიზა მის მიმართ ამჟღავნებდა, მისთვის ჩვეული მაღალი საზოგადოება, ყოველივე ეს მეტად სასიამოვნო იყო, მას კი ისეთი უსიამო რამ ელოდა, რომ წუთით ჩაფიქრდა, ხომ არ დარჩენილიყო და დროებით თავი აერიდებინა ახსნა-განმარტების მძიმე წუთისათვის. მაგრამ გაახსენდა, რა ელოდა შინ, თუ რაიმე გზას არ დაადგებოდა, გაახსენდა ის მოსაგონრადაც კი საზარელი წუთი, როცა ორივე ხელი თმაში წაივლო, და ანა გამოემშვიდობა ყველას.

XIX

მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკი გარეგნულად თითქოს მაღალი საზოგადოების ახალგაზრდობისათვის ჩვეულ ქარაფშუტულ ცხოვრებას ეწეოდა, სასტიკად სძულდა უწესრიგობა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, კორპუსში ყოფნისას, ისეთი შეურაცხყოფა განიცადა უარის გამო,

როდესაც ვალში ჩაფლული სხვას დაესესხა ფულს, რომ მას შემდეგ აღარასოდეს ჩაუყენებია თავი ასეთ მდგომარეობაში.

საქმეები მუდამ მოწესრიგებული რომ ჰქონოდა, ვრონსკი გარემოებისდა მიხედვით, ხან ხშირ-ხშირად და ხანაც ხანგამოშვებით, წელიწადში ხუთიოდეჯერ, ოთახში ჩაიკეტებოდა და აწესრიგებდა თავის საქმეებს. ამას იგი განწმენდას ან faire la lessive-ს[44] ეძახდა.

დოღის მეორე დღეს ვრონსკიმ გვიან გაიღვიძა, არც წვერი გაუპარსავს, არც აბაზანა მიუღია, ისე გადაიცვა კიტელი, მაგიდაზე დააწყო ფული, ანგარიშები, წერილები და მუშაობას შეუდგა. პეტრიცკიმ, რომელმაც იცოდა, რომ ასეთ დროს ვრონსკი ყოველთვის გულმოსული იყო, როგორც კი გაიღვიძა და საწერ მაგიდასთან მჯდომი ამხანაგი დაინახა, ხელი აღარ შეუშალა, ჩუმად ჩაიცვა და სახლიდან გავიდა.

ყოველ ადამიანს, რომელსაც დაწვრილებით ესმის გარემომცველ პირობათა მთელი სირთულე, უნებლიეთ ჰგონია, რომ პირობათა ამგვარი სირთულე და მათი გარკვევის სიძნელე მხოლოდ მისი შემთხვევითი თავისებურებაა და ვერაფრით წარმოუდგენია, რომ სხვაც გარემოცულია თავის პირადულ გარემოებათა სირთულით. ასე ეჩვენებოდა ვრონსკისაც. იგი სიამაყით და არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, სხვა ასეთ რთულ პირობებში რომ ჩავარდნილიყო, დიდი ხანია გაიხლართებოდა ამ სიძნელეებში და იძულებული შეიქნებოდა, ცუდი საქმისთვის მიეყო ხელი. მაგრამ ვრონსკი გრძნობდა, რომ სწორედ ახლა იყო მისთვის აუცილებელი ანგარიშებისა და საკუთარი მდგომარეობის გარკვევა, რათა არ გახლართულიყო ამ სიძნელეებში.

პირველად, როგორც ყველაზე იოლი, თავისი ფულადი საქმეები უნდა გამოერკვია. ვალი თავისებური წვრილი ხელით ამოწერა საფოსტო ქაღალდზე. შეაჯამა და გამოვიდა, რომ გადასახდელი ჰქონდა ჩვიდმეტი ათასი და რამდენიმე ასეული მანეთი და ამ თანხას სიზუსტისათვის ასეული მანეთი ჩამოაშორა. ვრონსკიმ დათვალა ფული, ბანკის წიგნაკი გადასინჯა და აღმოჩნდა, რომ ათას რვაასი მანეთის მეტი აღარ რჩებოდა, ახალ წლამდე კი მოსალოდნელი არ იყო საიდანმე ფულის აღება. ვრონსკიმ გადაიკითხა ვალების სია, ხელმეორედ გადაწერა და სამ თანრიგად დაყო. პირველ ანგარიშს ეკუთვნოდა ისეთი ვალი, რომელიც ახლავე იყო გადასახდელი, ან ყოველ შემთხვევაში,

მზად უნდა ჰქონოდა ფული გადასახდელად, რომ მოთხოვნის შემთხვევაში ერთი წუთითაც არ შეყოვნებულიყო. დაახლოებით ოთხი ათას მანეთამდე იყრიდა თავს: ათას ხუთასი მანეთი – ცხენების, ორი ათას ხუთასი – კი თავისი ახალგაზრდა ამხანაგის, ვენევსკის თავდებობისათვის ჰქონდა გადასახდელი, რომელმაც ვრონსკის თანდასწრებით წააგო ეს ფული ვიღაც შულერთან. ვრონსკის მაშინვე უნდოდა გადახდა (ფული თან ჰქონდა), მაგრამ ვენევსკიმ და იაშვინმა დაიჟინეს, რომ ფულს ისინი გადაიხდიდნენ და არა ვრონსკი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია თამაშში. ყოველივე ჩინებულად მოეწყო, მაგრამ ვრონსკიმ იცოდა, რომ ამ ჭუჭყიან საქმეში, მართალია, მხოლოდ იმით გაერია, რომ სიტყვიერი თავდებობა იკისრა ვენევსკის გამო, აუცილებელი იყო, მზად ჰქონოდა ორი ათას ხუთასი მანეთი, რათა მაშინვე გადაეყარა ფული იმ თაღლითისათვის და არ დასჭირვებოდა მასთან არავითარი ლაპარაკი. ასე რომ, ამ პირველი მნიშვნელოვანი განყოფილებისათვის საჭირო იყო ოთხი ათასი მანეთი. მეორე განყოფილებაში, რვა ათასი მანეთის ოდენობით, უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ვალი შედიოდა, უმთავრესად საჯინიბოსი, ქერისა და თივის მიმტანის, ინგლისელი მწვრთნელის, სარაჯის და ა. შ. ამ ვალიდანაც ორი ათასი მანეთი უნდა გადაეხადა, რათა მშვიდად ყოფილიყო. უკანასკნელ განყოფილებაში შედიოდა მაღაზიების, სასტუმროებისა და მკერავების ვალი, რომელზეც არც ღირდა ფიქრი. ასე რომ, მიმდინარე ხარჯისათვის სულ მცირე ექვსი ათასი მანეთი მაინც სჭირდებოდა, მას კი ხელთ ჰქონდა ათას რვაასი მანეთი. იმ ადამიანისათვის, რომლის წლიური შემოსავალი ასი ათას მანეთს უდრიდა, ასე იყო შეფასებული ვრონსკის მთელი ქონება, ეს ვალები სამძიმო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ახლა არ ჰქონდა ეს ასი ათასი მანეთი. მამისეული უზარმაზარი მამული, რომელიც წლიურად ორასი ათასის შემოსავალს იძლეოდა, ძმებს გაყოფილი არ ჰქონდათ. როდესაც უფროსმა ძმამ, რომელიც ვალებში იყო ჩაფლული, ცოლად შეირთო დეკაბრისტის ქალიშვილი, თავადის ასული ვარია ჩირკოვა, რომელსაც ქონება არ გააჩნდა, ალექსეიმ მამისეული მამულის მთელი შემოსავალი უფროს ძმას დაუთმო და თავისთვის მხოლოდ ოცდახუთი ათასი მანეთი გამოითხოვა წლიურად. ეს ფული საკმარისი იქნება ჩემთვის ცოლის შერთვამდე, რაც, ალბათ, არასოდეს მოხდებაო, ასე უთხრა მაშინ ალექსეიმ ძმას. ძმამაც,

რომელიც ერთ-ერთ მეტად დიდ პოლკს მეთაურობდა, უარი ვეღარ თქვა ამ საჩუქარზე. დედას ცალკე ჰქონდა თავისი ქონება და ამ ოცდახუთი ათას მანეთს ოცი ათასს კიდევ თავისით უმატებდა. ალექსეი მთლიანად ხარჯავდა ამ ფულს. უკანასკნელ ხანებში, როცა დედას უთანხმოება მოუვიდა შვილთან მისი სამიჯნურო კავშირისა და მოსკოვიდან წამოსვლის გამო, დედამ შეუწყვიტა ფულის გამოგზავნა და ამის გამო ვრონსკი, რომელიც მიჩვეული იყო წლიურად ორმოცდახუთი ათასის ხარჯვას და ამ წელს კი მხოლოდ ოცდახუთი ათასი მანეთი მიიღო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად შეეძლო თხოვნით მიემართა დედისათვის. უკანასკნელი წერილი, რომელიც წინადღით მიიღო ვრონსკიმ, სწორედ იმით აბრაზებდა, რომ გადაკვრით იყო ნათქვამი, შემიძლია დახმარება გაგიწიო საზოგადოებისა და სამსახურში წარმატების მისაღწევად და არა ისეთი ცხოვრებისათვის, რომელმაც თავი მოსჭრა მთელ რჩეულ საზოგადოებასო. დედის სურვილმა, როგორმე მოესყიდა იგი, სულის სიღრმემდე შეურაცხყო და უფრო მეტად გაუცივდა დედაზე გული. ვრონსკის ახლა არ შეეძლო უარი ეთქვა თავის დიდსულოვნად ნათქვამ სიტყვაზე, თუმცა ახლა, როცა ითვალისწინებდა თავის მომავალ ურთიერთობას კარენინასთან, გრძნობდა, რომ ეს დიდსულოვანი სიტყვა დაუფიქრებლად იყო ნათქვამი, რომ მას, უცოლო კაცს, შესაძლოა მთლიანად დასჭირვებოდა ასი ათასი მანეთი. მაგრამ უარის თქმა ამაზე უკვე აღარ შეიძლებოდა. საკმარისი იყო გაეხსენებინა, ძმის მეუღლე, მშვენიერი, საყვარელი ვარია, ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში როგორ ახსენებდა, რომ არ დავიწყებია მისი დიდსულოვნება და აფასებს მას, რათა მისთვის ნათელი გამხდარიყო, რამდენად შეუძლებელი იყო მიცემულის უკან დაბრუნება. ეს ისევე შეუძლებლად ეჩვენებოდა, როგორც ქალის ცემა, ქურდობა ან ტყუილის თქმა. შესაძლებელი იყო და უნდა გაეკეთებინა კიდეც ერთი რამ, რაზედაც ვრონსკი წუთითაც არ შეყოყმანებულა: ესესხა მევახშისაგან ათი ათასი მანეთი, რაც მისთვის ძნელი არ იყო, საერთოდ შეემცირებინა ხარჯი და გაეყიდა საჯირითო ცხენები. როგორც კი ეს გადაწყვიტა, მაშინვე მისწერა წერილი როლანდაკის, რომელმაც არაერთხელ გამოუგზავნა კაცი ცხენების საყიდლად. შემდეგ ინგლისელი მწვრთნელისა და მევახშის მოსაყვანად გაგზავნა მსახური და ანგარიშების მიხედვით გაანაწილა თავისი ფული,

რაც კი ხელთ ჰქონდა. ამ საქმეს რომ მორჩა, მეტისმეტად ცივი, უკმეხი წერილი გაუგზავნა დედას, პასუხად მისი წერილისა. შემდეგ საფულიდან ანას სამი წერილი ამოიღო, ხელმეორედ გადაიკითხა, ცეცხლი წაუკიდა, გაიხსენა თავისი გუშინდელი საუბარი ანასთან და ჩაფიქრდა.

XX

ვრონსკის ცხოვრება განსაკუთრებით ბედნიერი იყო იმით, რომ ჰქონდა თავისი წესთა კრებული, რომელიც ეჭვმიუტანლად განსაზღვრავდა, რა უნდა გაეკეთებინა და რა არა. წესთა კრებული პირობათა მეტად მცირე წრის შემცველი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მასში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა და ვრონსკიც, რომელიც არასდროს სცილდებოდა წესთა ამ წრეს, ერთი წუთითაც არ შეყოვნდებოდა იმის გასაკეთებლად, რაც საჭირო იყო. ეს წესები ეჭვმიუტანლად განსაზღვრავდა, რომ ვიღაც თაღლითისათვის აუცილებელი იყო ფულის მიცემა, მკერავისთვის კი შეიძლებოდა არ მიეცა ფული; რომ მამაკაცისათვის ტყუილის თქმა დაუშვებელია, ქალისათვის კი შეიძლება, რომ არავის მოტყუება არ შეიძლება, ქმრისა – კი, შეურაცხყოფა არავის არ უნდა აპატიო, შენ კი უფლება გაქვს შეურაცხყო სხვები და ა. შ. შეიძლება ეს წესები არ იყო კარგი და გონივრული, მაგრამ ვრონსკის ეჭვი არ ეპარებოდა მათ სიმართლეში. და ყოველთვის, როცა ამ წესებს ასრულებდა, გრძნობდა, რომ შეეძლო მშვიდად ყოფილიყო და ამაყად სჭეროდა თავი. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, ანასთან ურთიერთობის შედეგად, ვრონსკი გრძნობდა, რომ მისი წესთა კრებული ზუსტად ვეღარ განსაზღვრავდა ყველა პირობას და მომავალში მოსალოდნელი იყო მეტი სიძნელეები, მეტი დაეჭვება და ვრონსკი უკვე ვეღარ პოულობდა სახელმძღვანელო ძაფს.

მისი ახლანდელი ურთიერთობა ანასა და მის ქმართან ვრონსკისთვის უბრალო და ნათელი იყო. ეს ურთიერთობა

ზუსტად და ნათლად იყო გარკვეული მის სახელმძღვანელო წესთა კრებულში.

ანამ, საზოგადოებაში კარგად ცნობილმა ქალმა, თავისი სიყვარული აჩუქა ვრონსკის, მასაც უყვარდა ანა და ამიტომაც ანა ღირსი იყო ისეთივე პატივისცემისა და უფრო მეტისაც, როგორიც კანონიერ მეუღლეს შეშვენის. ვრონსკი უმალ საკუთარი მარჯვენის მოჭრას დასთანხმდებოდა, ვიდრე უფლებას მისცემდა თავის თავს სიტყვით ან ქარაგმული ნათქვამით არამცთუ შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის, არამედ არ გამოეჩინა ის პატივისცემა, რისი იმედიც კი შეუძლია იქონიოს საერთოდ ქალმა.

საზოგადოებასთან მისი ურთიერთობაც გარკვეული იყო. ყველას შეუძლია იცოდეს ან ეჭვი მიიტანოს, მაგრამ ამის თქმა კი ვერავინ უნდა გაბედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვრონსკი მზად იყო მაშინვე ჩაეჩუმებინა ამის მთქმელი და იძულებული გაეხადა, პატივი ეცა იმ ქალის არარსებული პატიოსნებისათვის, რომელიც უყვარდა.

ამაზე კიდევ უფრო ნათელი იყო მისი ურთიერთობა ანას ქმართან. იმავე წუთიდან, როგორც კი ანამ ვრონსკი შეიყვარა, იგი შეუვალად თვლიდა თავის უფლებას ანაზე. ქმარი მხოლოდ ზედმეტი, ხელის შემშლელი არსება იყო. რაღა თქმა უნდა, ქმარი შესაბრალის მდგომარეობაში იყო, მაგრამ რა უნდა ექნა? ერთი რამ, რისი უფლებაც ჰქონდა ქმარს, ის იყო, რომ იარაღით ხელში თავისი სურვილის დაკმაყოფილება მოეთხოვა, რაზედაც ვრონსკი იმავე წუთს მზად იქნებოდა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში მასა და ანას შორის დამყარდა რაღაც ახალი, შინაგანი ურთიერთობა, რომელიც აშინებდა ვრონსკის თავისი გაურკვევლობით. მხოლოდ გუშინ განუცხადა ანამ, ფეხმძიმედ ვარო, და ვრონსკიმ იგრძნო, რომ ამის ცოდნა და ის, რასაც ანა მისგან მოელოდა, რაღაც ისეთს მოითხოვდა, რაც გარკვეული არ იყო იმ წესთა კრებულში, რომლითაც ცხოვრებაში ხელმძღვანელობდა. და მართლაც პირველ წუთში, როცა ანამ თავისი მდგომარეობა გამოუცხადა, ვრონსკი სახტად დარჩა და გულმა მაშინვე უკარნახა, ქმრის მიტოვება მოეთხოვა. ვრონსკიმ უთხრა კიდეც ეს, მაგრამ ახლა, მოფიქრების შემდეგ, მისთვის ნათელი შეიქნა, რომ უმჯობესი იყო, გვერდი აეხვია ამისათვის, ამავე დროს ეშინოდა კიდეც, როცა ამას ეუბნებოდა თავის თავს, იქნებ ცუდად ვიქცევიო?

„თუ ქმრის მიტოვება ვუთხარი, ეს ჩემთან შეერთებას ნიშნავს. მაგრამ მე მზად ვარ ამისთვის? როგორ უნდა მოვახერხო ახლა მისი წაყვანა, როცა ფულიც არ გამაჩნია. ვთქვათ, ეს როგორმე მოვახერხე... როგორ უნდა წავიყვანო, როცა სამსახურში ვარ? როცა ამას ვეუბნები, უნდა ვიყო კიდეც მზად საამისოდ, ესე იგი უნდა მქონდეს ფული და გამოვიდე სამსახურიდან“.

და ვრონსკი ჩაფიქრდა. სამსახურის მიტოვების ან არმიტოვების ფიქრმა იგი მიიყვანა სულ სხვა, იდუმალ საკითხთან, რომელიც მის გარდა არავინ იცოდა და მთელი მისი ცხოვრების მთავარ, თუმცა ფარულ ინტერესს შეიცავდა.

პატივმოყვარეობა მისი ძველისძველი, ბავშვობისა და სიჭაბუკის დროინდელი ოცნება იყო, რაშიც თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ეს ვნება, რომ ახლაც კი მის სიყვარულს ებრძოდა. მის პირველ ნაბიჯებს საზოგადოებასა და სამსახურში წარმატება ახლდა. მაგრამ ამ ორი წლის წინ მეტად უხეში შეცდომა დაუშვა: ვრონსკიმ სამსახურში დაწინაურებისა და თავისი დამოუკიდებლობის გამომჟღავნების მიზნით უარი თქვა შეთავაზებულ თანამდებობაზე, იმ იმედით, რომ ეს უარი მეტ ფასს დასდებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტისმეტი სითამამე გამოიჩინა და თავი მიანებეს; ნებსით თუ უნებლიეთ, დამოუკიდებელი ადამიანის სახელი შეერქვა და ისიც მეტისმეტად სერიოზულად, ჭკვიანურად ატარებდა ამ სახელს, ისე, თითქოს არავის უწყრებოდა, არც თავის თავს თვლიდა ვინმესგან ნაწყენად და მხოლოდ ის უნდოდა, თავი დაენებებინათ, რადგან ისედაც მხიარულად გრძნობდა თავს. სინამდვილეში, ჯერ კიდევ გასულ წელს, მოსკოვში გამგზავრებისას, მას უკვე აღარ ჰქონდა ეს სიხარული. ვრონსკი გრძნობდა, რომ უკვე გაქარწყლდა დამოუკიდებელი მდგომარეობა ადამიანისა, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, მაგრამ არაფერი სურს; გრძნობდა, რომ ბევრი იმასაც ფიქრობდა, თითქოს მას არაფერი შეეძლო იმის გარდა, რომ პატიოსანი და კეთილი იყო. მისმა ურთიერთობამ კარენინასთან, რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია და ყველას ყურადღება მიიპყრო, ახალი ელფერი მისცა მის ცხოვრებას და დროებით დააშოშმინა პატივმოყვარეობის მღრღნელი ჭია, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ ახალი ძალით გაიღვიძა ამ ჭიამ. მისი ბავშვობის ამხანაგი სერპუხოვსკოი, რომელიც იმავე საზოგადოებასა და წრეს ეკუთვნოდა,

კორპუსშიც მისი ამხანაგი იყო და სასწავლებელიც ერთად დაამთავრეს და რომელიც ეტოქებოდა მას კლასშიც, ტანვარჯიშშიც, ცელქობაშიც და პატივმოყვარულ ოცნებაშიც, იმ დღეებში დაბრუნდა შუა აზიიდან, სადაც ორი ისეთი ხარისხი და წარჩინება მიეღო, იშვიათად რომ ეძლეოდა ასეთ ახალგაზრდა გენერალს.

როგორც კი სერპუხოვსკოი პეტერბურგში ჩამოვიდა, მაშინვე ატყდა ლაპარაკი, როგორც ახალამომავალ უზარმაზარი სიდიდის ვარსკვლავზე. ვრონსკის თანატოლი და მეგობარი უკვე გენერალი იყო და ახლა დანიშვნას ელოდა ისეთ ადგილზე, რომელსაც შესაძლოა სახელმწიფო საქმეთა მსვლელობაზეც მოეხდინა გავლენა. ვრონსკი კი, მართალია, დამოუკიდებელი და ბრწყინვალე ახალგაზრდა იყო, რომელიც შეიყვარა მშვენიერმა მანდილოსანმა, მაგრამ მაინც მხოლოდ როტმისტრი იყო და შეეძლო რამდენ ხანსაც უნდოდა, იმდენ ხანს ყოფილიყო დამოუკიდებელი. „რა თქმა უნდა, არ მშურს და არ მეხარბება სერპუხოვსკოის ბედი, მაგრამ მისი წარჩინება მიჩვენებს, რომ ისეთ ადამიანს, როგორიც მე ვარ, სულ მალე შეუძლია მიაღწიოს წარმატებას. სამი წლის წინ ისიც ჩემს მდგომარეობაში იყო. სამსახური რომ მივატოვო, სამუდამოდ დაიღუპება ჩემი ოცნება. სამსახურში ყოფნით არაფერს ვკარგავ. ანამ ხომ თვითონვე მითხრა, ჩემი მდგომარეობის შეცვლა არ მსურსო. მე კი მისი სიყვარულით არ შემიძლია მშურდეს რამე სერპუხოვსკოისა“, – და ვრონსკი მაგიდიდან წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, თან ნელა იგრეხდა ულვაშს. თვალები ახლა უფრო მეტად უბრწყინავდა. იგი იმ სიმტკიცეს, სიმშვიდესა და სიხარულს გრძნობდა, რომელიც ყოველთვის დაეუფლებოდა ხოლმე თავისი მდგომარეობის გარკვევის შემდეგ. როგორც წინა ანგარიშგების დროს, ახლაც ყველაფერი ზუსტი და ნათელი იყო. ვრონსკიმ წვერი გაიპარსა, ცივი აბაზანა მიიღო, ტანისამოსი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

XXI

– მე შენს წასაყვანად მოვედი. შენი სარეცხი დღეს რაღაც

დიდხანს გაგრძელდა, – უთხრა პეტრიცკიმ, – რაო, ვერ გაათავე?

– გავათავე, – უპასუხა ვრონსკიმ და მხოლოდ თვალებით გაიღიმა, თან ისეთი სიფრთხილით გადაიგრიხა ულვაშის ბოლოები, თითქოს მას შემდეგ, რაც წესრიგში მოიყვანა თავისი საქმეები, ყოველ გაბედულსა და სწრაფ მოქმედებას შეეძლო დაერღვია ეს მდგომარეობა.

– ამის შემდეგ ყოველთვის ისე ხარ, თითქოს ახლა გამოვიდაო აბანოდან, – უთხრა პეტრიცკიმ, – მე გრიცკასთან ვიყავი (ასე ეძახდნენ პოლკის მეთაურს). შენ გელოდებიან.

ვრონსკიმ არაფერი უპასუხა, იგი სახეში შეჰყურებდა ამხანაგს და სხვას ფიქრობდა.

– ჰო, იქიდან მოდის მუსიკის ჰანგები? – თქვა მან და ყური მიუგდო ვალსისა და პოლკას ნაცნობ ხმებს, – რა დღესასწაულია?

– სერპუხოვსკოი ჩამოვიდა.

– აა! – თქვა ვრონსკიმ, – მე კი არ ვიცოდი.

და ღიმილმა კიდევ უფრო მეტად გაუბრწყინა თვალები.

რაკი ერთხელვე გადაწყვიტა, რომ ბედნიერია თავისი სიყვარულით, რასაც შესწირა თავისი პატივმოყვარეობაც, ყოველ შემთხვევაში, ასეთი როლი იკისრა, ვრონსკის აღარ შეეძლო შური ეგრძნო სერპუხოვსკოისადმი, ან განაწყენებულიყო იმის გამო, რომ პოლკში ჩამოსვლისას პირველად იგი არ ინახულა. სერპუხოვსკოი კარგი მეგობარი იყო და ვრონსკიც გაახარა მისმა ჩამოსვლამ.

– მე დიდად მოხარული ვარ!

პოლკის მეთაური დიომინი დიდ თავადურ სახლში ცხოვრობდა. მთელ საზოგადოებას ქვედა ფართო აივანზე მოეყარა თავი. პირველი, რაც ეზოში შესვლისთანავე ვრონსკის თვალში ეცა, არყით სავსე კასრებთან ჩამწკრივებული, კიტელებში გამოწყობილი მომღერლები და ოფიცრებით გარშემორტყმული სახეაღაჟღაჟებული, გამხიარულებული პოლკის მეთაური იყო. იგი აივნის პირველ საფეხურზე გადმოდგა, ხმამაღლა გასძახა რაღაც განზე მდგომ სალდათებს, შეეცადა დაეფარა ოფენბახის კადრილის ხმები და თან ხელი

დაუქნია.

სალდათების ჯგუფი, ვახმისტრი და რამდენიმე უნტერ-ოფიცერი ვრონსკისთან ერთად მიუახლოვდნენ აივანს. სუფრასთან მიბრუნებული მეთაური ჭიქით ხელში ისევ გადმოდგა აივნის პარმაღზე და ხმამაღლა წარმოთქვა სადღეგრძელო: „დღეგრძელ იყოს ჩვენი ყოფილი ამხანაგი და მამაცი გენერალი თავადი სერპუხოვსკოი! ვაშა!“

პოლკის მეთაურს ჭიქით ხელში ღიმილით გამოჰყვა თვით სერპუხოვსკოიც.

– შენ სულ ახალგაზრდავდები, ბონდარენკო, – მიმართა პირდაპირ მდგომ ლოყებღაჟღაჟა ვახმისტრს, რომელიც მეორედ იხდიდა სამხედრო სამსახურს.

ვრონსკის სამი წელი იყო, აღარ ენახა სერპუხოვსკოი. იგი დავაჟკაცებულიყო, ბაკენბარდები მოეშვა, მაგრამ ისეთივე ტანწერწეტა დარჩენილიყო. თავისი სილამაზით იმდენად არ გხიბლავდათ, რამდენადაც სახისა და ტანადობის სინაზითა და კეთილშობილებით. ერთადერთი ცვლილება, რომელიც ვრონსკიმ შენიშნა, ის იყო, რომ სახეზე დასდგომოდა მშვიდი, უცვლელი ნათელი, რომელიც სჩვევიათ ხოლმე ცხოვრებაში წარმატებამიღწეულ ადამიანებს, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ყველას სჯერა მათი წარმატებისა. ვრონსკი იცნობდა ამ გრძნობას და მაშინვე შენიშნა ეს სერპუხოვსკოის.

კიბეზე ჩამოსვლისას სერპუხოვსკოიმ თვალი მოჰკრა ვრონსკის და სიხარულის ღიმილმა გაუნათა სახე. მან ზევით აიქნია თავი, ჭიქა ხელში ასწია, ვრონსკის მიესალმა და ამ ჟესტით ანიშნა, რომ არ შეუძლია პირველ ყოვლისა არ მივიდეს ვახმისტრთან, რომელიც უკვე გამოჭიმული იდგა და ტუჩებს იწმენდდა საკოცნელად.

– აჰა, აი, ისიც! – წამოიძახა პოლკის მეთაურმა, – იაშვინმა კი მითხრა, რომ შენ ისევ ვერა ხარ ხასიათზე.

სერპუხოვსკოიმ აკოცა ყოჩაღ ვახმისტრს, სველ, ქორფა ტუჩებში, პირი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ვრონსკისთან მივიდა.

– ოო, დიდად მოხარული ვარ! – უთხრა მან, ხელი ჩამოართვა ვრონსკის და განზე გაიყვანა.

– მიხედეთ იმას! – გასძახა პოლკის მეთაურმა იაშვინს და ვრონსკიზე მიუთითა, თვითონ კი ქვევით, სალდათებთან ჩავიდა.

– გუშინ რატომ არ იყავი დოღზე? მე ვფიქრობდი, იქ გნახავდი, – უთხრა ვრონსკიმ და შეათვალიერა სერპუხოვსკოი.

– მოვედი, მაგრამ დამაგვიანდა. დამნაშავე ვარ, – დაუმატა მან და ადიუტანტს მიუბრუნდა, – თუ შეიძლება, უთხარით, რომ ჩემი სახელით დაურიგონ, ვისაც რამდენი ერგება.

მან საჩქაროდ ამოიღო საფულიდან ქაღალდის სამი ასმანეთიანი და წამოწითლდა.

– ვრონსკი, შეჭამ რამეს თუ დალევ? – ჰკითხა იაშვინმა, – ჰეი, მოართვით გრაფს საჭმელი! აი, ეს დალიე!

ქეიფი პოლკის მეთაურთან დიდხანს გაგრძელდა.

ძალიან ბევრი დალიეს. სერპუხოვსკოი ჰაერში აისროლეს, მერე პოლკის მეთაურიც აისროლეს ზევით. შემდეგ მომღერლების წინ თვით პოლკის მეთაურმა იცეკვა პეტრიცკისთან ერთად. მერე კი ღონეგამოცლილი პოლკის მეთაური ეზოში სკამზე ჩამოჯდა და მტკიცება დაუწყო იაშვინს, რა უპირატესობა აქვს რუსეთს პრუსიის წინაშე, განსაკუთრებით კავალერიის დარგში და ლხინიც ერთი წუთით შენელდა. სერპუხოვსკოი სახლში შებრუნდა, საპირფარეშო ოთახში შევიდა ხელის დასაბანად და იქ შეხვდა ვრონსკის: ვრონსკი წყლით გრილდებოდა. კიტელი გაეხადა, თმიანი, გაწითლებული კისერი პირსაბანის ონკანისათვის მიეშვირა და ხელებს ისვამდა თავსა და კისერზე. დაბანა რომ გაათავა, ვრონსკი გვერდით მიუჯდა სერპუხოვსკოის. ორივენი დივანზე ჩამოსხდნენ და მათ შორის ორივესათვის ფრიად საინტერესო საუბარი გაიბა.

– მე შენ შესახებ ყველაფერს ვიგებდი ჩემი მეუღლის შემწეობით, – უთხრა სერპუხოვსკოიმ, – მადლობელი ვარ, რომ ასე ხშირად ნახულობდი.

– თქვენი მეუღლე ვარიასთან მეგობრობს, ისინი პეტერბურგის ერთადერთი ქალები არიან, რომელთა ნახვაც სასიამოვნოა ჩემთვის, – ღიმილით უპასუხა ვრონსკიმ. იმიტომ იღიმებოდა, წინასწარ გრძნობდა, რაზედაც გადავიდოდა საუბარი და ეს

სიამოვნებდა.

– ერთადერთი? – ღიმილით შეეკითხა სერპუხოვსკოი.

– ჰო, მე მხოლოდ შენი მეუღლისაგან როდი ვიგებდი შენს ამბავს, – სახის მკაცრი გამომეტყველებით უპასუხა ვრონსკიმ და ამით ანიშნა, რომ უკრძალავს ასეთ გადაკრულ ლაპარაკს, – ძალიან მახარებდა შენი წარმატება, გაკვირვებით კი სულაც არ გამკვირვებია. უფრო მეტსაც მოველოდი.

სერპუხოვსკოიმ გაიღიმა. ეტყობოდა, სიამოვნებდა, მის შესახებ ასეთ აზრს რომ გამოთქვამდნენ და საჭიროდ არ მიუჩნევია ამ გრძნობის დამალვა.

– მე, პირიქით, გულწრფელად რომ გითხრა, ამასაც არ ველოდი. მაგრამ სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნო. მე პატივმოყვარე ვარ, ეს ჩემი სუსტი მხარეა და ვაღიარებ კიდეც ამას.

– შეიძლება არც გეღიარებინა, წარმატება რომ არ გქონოდა, – უპასუხა ვრონსკიმ.

– არა მგონია, – ისევ ღიმილით მიუგო სერპუხოვსკოიმ, – იმას ვერ ვიტყვი, უამისოდ სიცოცხლე არ ღირს-მეთქი, მაგრამ მოსაწყენი კი იქნებოდა. რა თქმა უნდა, შესაძლოა, მე ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, მაქვს გარკვეული უნარი ჩემ მიერ არჩეულ საქმეში, ჩემს ხელში ძალაუფლება, როგორიც უნდა იყოს იგი, უკეთესი იქნება, ვიდრე ბევრი ჩემი ნაცნობის ხელში, – თქვა თავისი მიღწევების შეგნებით სახეგაბრწყინებულმა სერპუხოვსკოიმ, – და ამიტომაც, რამდენადაც უფრო ახლო ვარ ამასთან, მით კმაყოფილი ვარ.

– შეიძლება, ეს შენთვისაა ასე და არა ყველასათვის. მეც ასე ვფიქრობდი, ახლა კი ვცხოვრობ და ასე მგონია, მარტო ამისათვის არ ღირდა ცხოვრება, – უთხრა ვრონსკიმ.

– აი, აი, – სიცილით უთხრა სერპუხოვსკოიმ, – სწორედ ამის თქმა მინდოდა, მე ხომ გავიგე შენი ამბავი, შენი უარის ამბავი... რაღა თქმა უნდა, მოვიწონე შენი საქციელი. მაგრამ ყველაფერს თავისი მანერა აქვს. და მე ვფიქრობ, თვით საქციელი კარგია, მაგრამ ისე ვერ გააკეთე, როგორც საჭირო იყო.

– რაც იყო, იყო. შენ ხომ იცი, არასოდეს ვინანებ იმას, რაც გავაკეთე და საერთოდ, მშვენივრად ვგრძნობ თავს.

– მშვენივრად გრძნობ, მაგრამ ეს დროებითია. შენ ამით ვერ დაკმაყოფილდები. მე შენს ძმაზე არ ვიტყოდი ამას. ის ისეთივე გულუბრყვილო ბავშვია, როგორიც ეს ჩვენი მასპინძელი. აი, გესმის! – დაუმატა მან, როცა მის „ვაშას“ მოჰკრა ყური, – ის მხიარულად გრძნობს თავს, შენ კი ეს არ დაგაკმაყოფილებს.

– მე არ მითქვამს, მაკმაყოფილებს-მეთქი.

– კი მაგრამ, მარტო ეს ხომ არ არის. ისეთი ადამიანები, როგორიც შენა ხარ, საჭირონი არიან.

– ვისთვის არიან საჭირონი?

– ვისთვის? საზოგადოებისათვის. რუსეთს სჭირდება ხალხი, სჭირდება პარტია, თორემ ყველაფერი ვიგინდარებს ჩაუვარდათ ხელში და მომავალშიც ასეა მოსალოდნელი.

– ესე იგი რა? ბერტენევის პარტია რუსი კომუნისტების წინააღმდეგ?

– არა, – უპასუხა სერპუხოვსკოიმ და წყენით შუბლი შეიკრა, რომ ასეთი სისულელე დასწამეს, – Tout ca est une blague.[45] ეს ყოველთვის იყო და იქნება. არავითარი კომუნისტები არ არსებობენ. მაგრამ ინტრიგის მოყვარულ ხალხს ყოველთვის უნდა გამოიგონოს რაიმე მავნებლური, საშიში პარტია. ეს ძველი ოინია. არა, საჭიროა ისეთი დამოუკიდებელი ადამიანების პარტია, როგორიც მე და შენ ვართ.

– ეს რისთვისღა არის საჭირო? – ვრონსკიმ რამდენიმე გავლენიანი პირი დაასახელა, – რატომ არ არიან ისინი დამოუკიდებელი ადამიანები?

– მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ან დაბადებიდანვე არ დაჰყოლიათ დამოუკიდებელი მდგომარეობა, არ ჰქონიათ სახელი, არა ჰქონიათ ის სიახლოვე იმ წრესთან, რომელშიც ჩვენ ვიშვით. ისინი შეგიძლია მოისყიდო ფულით ან ტკბილი სიტყვით. მდგომარეობის შესანარჩუნებლად კი მათთვის საჭიროა გამოიგონონ რაიმე მიმართულება. ისინი ატარებენ ცხოვრებაში რომელიმე აზრს, მიმართულებას, რომლისაც თვითონაც არ სჯერათ და რომელიც მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, ჰქონდეთ სახაზინო ბინა და ჯამაგირი. Cela n’est pas plus fin que ca,[46] როცა მათ საქმეში ჩაიხედავ. შეიძლება მე მათზე ცუდი და სულელი ვარ, თუმცა არ ვიცი, რატომ უნდა

ვიყო მათზე სულელი, მაგრამ მე და შენ უკვე დანამდვილებით გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა – ჩვენი მოსყიდვა უფრო ძნელია. და ასეთი ხალხი დღეს საჭიროა ჩვენთვის, ვიდრე ოდესმე.

ვრონსკი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ იმდენად სიტყვის შინაარსი არ აინტერესებდა, რამდენადაც სერპუხოვსკოის დამოკიდებულება საქმისადმი. იგი უკვე ფიქრობდა ბრძოლას ხელისუფლებასთან, ჰქონდა თავისი სიმპათიები და ანტიპათიები, მაშინ როცა ვრონსკის სამსახურებრივი საქმიანობა მხოლოდ ესკადრონის ინტერესებით განისაზღვრებოდა. იგი იმასაც მიხვდა, თუ რამდენად ძლიერი იყო სერპუხოვსკოი თავისი უეჭველი მოფიქრების უნარით, როგორ ესმოდა ყველაფერი, როგორი ჭკუა და სიტყვა ჰქონდა. ამას კი იშვიათად შეხვდებოდით იმ წრეში, რომელშიც იგი ტრიალებდა. და ვრონსკიმ, თუმცა რცხვენოდა ამის გამჟღავნების, შური იგრძნო.

– მე მაინც ერთი მთავარი რამ მაკლია საამისოდ, – უპასუხა მან, – არა მაქვს სურვილი ამ უფლებათა მოპოვებისა. ადრე მქონდა, მაგრამ ახლა გამიქრა.

– მაპატიე, მაგრამ ეს არ არის მართალი, – ღიმილით უთხრა სერპუხოვსკოიმ.

– არა, მართალია, მართალი!.. ახლა... – დაუმატა ვრონსკიმ, უნდოდა გულწრფელი ყოფილიყო.

– დიახ, მართალია, ახლა სხვა საქმეა, მაგრამ ეს ახლა ყოველთვის არ იქნება.

– შეიძლება, – უპასუხა ვრონსკიმ.

– შენ ამბობ, შეიძლებაო, – განაგრძო სერპუხოვსკოიმ, თითქოს წინასწარ ამოიცნო მისი აზრი, – მე კი გეუბნები, რომ ეს ნამდვილად ასე იქნება. სწორედ ამისათვის მინდოდა შენი ნახვა. შენ ისე მოიქეცი, როგორც საჭირო იყო. ეს გასაგებია ჩემთვის, მაგრამ არ უნდა გაჯიუტდე. მე შენ მხოლოდ carte blanche-ს[47] გთხოვ! მე შენ როდი გმფარველობ... თუმცა რატომ არ უნდა გმფარველობდე?.. შენ რამდენჯერ გაგიწევია ჩემთვის მფარველობა! ვიმედოვნებ, ჩვენი მეგობრობა ამაზე მაღლა დგას. დიახ, – თქვა მან და ნაზად, ქალურად გაუღიმა, – მომეცი carte blanche, პოლკიდან გამოდი და მე შეუმჩნევლად ჩაგითრევ.

– მაგრამ გამიგე, რომ მე არაფერი მწადია, – უპასუხა ვრონსკიმ, – მხოლოდ მსურს ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

სერპუხოვსკოი წამოდგა და ვრონსკის პირდაპირ გაჩერდა.

– შენ თქვი, მსურს ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არისო. ჩემთვის გასაგებია, რას ნიშნავს ეს. მაგრამ ყური მიგდე, ჩვენ თანატოლები ვართ. შესაძლოა შენ უფრო მეტ ქალს იცნობ, ვიდრე მე, – სერპუხოვსკოის ღიმილი და ქცევა ამტკიცებდა, რომ ვრონსკის არ უნდა შინებოდა ამ საუბრისა, რომ იგი ნაზად, სიფრთხილით შეეხებოდა მტკივნეულ ადგილს, – მე ცოლიანი ვარ და დამიჯერე, მარტო საკუთარი ცოლის გაცნობით (როგორც წერდა ვიღაც), თუ იგი გიყვარს, უკეთ გაიცნობ საერთოდ ქალებს, ვიდრე ათასობით რომ იცნობდე სხვებს.

– ახლავე მოვალთ! – გასძახა ვრონსკიმ ოფიცერს, რომელმაც ოთახში შემოიხედა და პოლკის მეთაურთან მიიხმო ისინი.

ვრონსკის ახლა სურვილი ჰქონდა, ბოლომდე მოესმინა და გაეგო, რას იტყოდა სერპუხოვსკოი.

– და აი, ჩემი აზრი. ქალი მთავარი დაბრკოლებაა, რომელიც წინ ეღობება მამაკაცის მოქმედებას. ძნელია, ქალი გიყვარდეს და გააკეთო რამე. ამისათვის არსებობს ერთი საშუალება, რომ ეს სიყვარული მოხერხებული იყოს და დამაბრკოლებელი არ გახდეს – ეს ცოლის შერთვაა. აბა, როგორ, რანაირად აგიხსნა ის, რასაც მე ვფიქრობ, – ეუბნებოდა სერპუხოვსკოი, რომელსაც შედარება უყვარდა, – მოიცა, მოიცა! ხომ მართალია, რომ როცა რაიმე fardeau[48] მიგაქვს, ხელებით რაიმეს კეთება მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ ეს ტვირთი ზურგზე გაქვს მოკიდებული. სწორედ ეს არის ცოლის შერთვა. მე ეს ცოლის შერთვის შემდეგ ვიგრძენი. უცებ გამითავისუფლდა ხელები. უამისოდ კი ეს ტვირთი იმდენად დაგიმძიმებს ხელებს, რომ არაფრის კეთება აღარ შეგეძლება. აი, თუნდაც მაზანკოვი, კრუპოვი. მათ ხომ თავიანთი კარიერა ქალების გულისათვის დაღუპეს.

– რომელი ქალები! – უთხრა ვრონსკიმ და გაიხსენა ვიღაც ფრანგი ქალი და მსახიობი, რომლებთანაც ამ ორ დასახელებულ პირს ჰქონდა ურთიერთობა.

– რამდენადაც მტკიცეა ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში, მით უარესია. ეს იმას ნიშნავს, რომ არათუ შენი ხელით ზიდო ეს fardeau, არამედ სხვას გამოსტაცო ხელიდან.

– შენ არასოდეს გყვარებია, – ხმადაბლა თქვა ვრონსკიმ და ანა გაიხსენა.

– შეიძლება, მაგრამ დაიმახსოვრე, რაც გითხარი. გარდა ამისა, ქალები უფრო მატერიალისტები არიან, ვიდრე მამაკაცები. ჩვენ სიყვარულისაგან ყოველთვის რაღაც უზარმაზარს ვქმნით, ქალისთვის კი ეს არის მხოლოდ terre-a-terre.[49]

– ახლავე, ახლავე! – მიუბრუნდა იგი მსახურს, მაგრამ მსახური კვლავ მათ დასაძახებლად არ შემოსულა, როგორც მას ეგონა. წერილი გადასცა ვრონსკის.

– თავადის ქალ ტვერსკაიასაგან მოგართვეს.

ვრონსკიმ წერილი გახსნა და უცებ წამოწითლდა.

– თავი ამტკივდა, შინ წავალ, – უთხრა სერპუხოვსკოის.

– მაშინ მშვიდობით. იძლევი თუ არა carte blanche-ს?

– შემდეგ მოვილაპარაკოთ. მოგძებნი სადმე პეტერბურგში.

XXII

უკვე მეექვსე საათი იყო და რომ მოესწრო და ამასთან, არც თავისი ცხენებით წასულიყო, რომელთაც ყველა იცნობდა პეტერბურგში, ვრონსკი იაშვინის დაქირავებულ კარეტაში ჩაჯდა და მეეტლეს უბრძანა, ცხენები არ დაეზოგა. ძველი, ოთხადგილიანი კარეტა ფართო იყო. ვრონსკი კუთხეში მიჯდა, ფეხები წინა დასაჯდომზე გაჭიმა და ფიქრს მიეცა.

ბუნდოვანი შეგრძნება იმისა, რომ მისი საქმეები წესრიგში იყო, ბუნდოვანი გახსენება სერპუხოვსკოის მეგობრობისა და მისი ტკბილი სიტყვებისა, რომელიც მას საჭირო კაცად მიიჩნევდა და რაც მთავარია, ანასთან შეხვედრის მოლოდინი, ყოველივე ეს სიცოცხლის სიყვარულის ერთ გრძნობად გაერთიანდა. ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვრონსკის, თავისდა უნებურად, გაეღიმა. ფეხები ძირს ჩამოუშვა, ფეხი ფეხზე შემოიდო. ხელით მოსინჯა ფეხის მკვრივი კუნთი, გუშინ

გადმოვარდნის დროს რომ იტკინა, მერე კარეტაში გადაწვა და რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა მთელი მკერდით.

„კარგია, ძალიან კარგია!“ – ჩაილაპარაკა მან. ვრონსკის წინათაც ბევრჯერ განუცდია სიხარული საკუთარი სხეულის გამო, მაგრამ არასოდეს ისე არ ჰყვარებია თავისი თავი, თავისი სხეული, როგორც ახლა. სიამოვნებდა ამ მცირე ტკივილის შეგრძნება ძალ-ღონით სავსე ფეხში. სიამოვნებდა, როცა გრძნობდა, როგორც აუდ-ჩაუდიოდა მკერდი სუნთქვის დროს. აგვისტოს ეს ნათელი, გრილი დღე, ანას სულში ასეთ უიმედობას რომ იწვევდა, მას რაღაც გამაცოცხლებლად ეჩვენებოდა, უგრილებდა წყლის გადავლებისაგან გახურებულ სახესა და კისერს. ახლა განსაკუთრებით სიამოვნებდა ბრილიანტის სურნელი, მის ულვაშს რომ ასდიოდა.

ამ გრილსა და სუფთა ჰაერზე ყველაფერი, რასაც კი კარეტის სარკმლიდან ხედავდა, დამცხრალი მზის სხივებით იყო განათებული და ყველაფერი ისეთივე ქორფა, მხიარული და ძლიერი ჩანდა, როგორც თვით ვრონსკი: ჩამავალ მზეზე აელვარებული სახლის სახურავები, მკვეთრად გამოხატული ღობეები და შენობათა კუთხეები, წინ შემოხვედრილი ეტლები თუ გამვლელ-გამომვლელნი, იშვიათად რომ ჩნდებოდნენ გზაზე; გარინდებული მწვანე ხეები და ბალახი, კარტოფილის კვლებით დასერილი მინდვრები, ალმაცერი ჩრდილები სახლებისა, ხეებისა, ბუჩქებისა და თვით კარტოფილის კვლებისაც კი – ყველაფერი ლამაზი იყო, როგორც ახლახან დამთავრებული, გალაქული კარგი პეიზაჟი.

– გარეკე, გარეკე! – უთხრა ვრონსკიმ მეეტლეს, კარეტის ფანჯრიდან გადმოიხედა, ჯიბიდან სამმანეთიანი ქაღალდის ფული ამოიღო და ხელში ჩაუდო უკან მობრუნებულ მეეტლეს. მეეტლის ხელმაც იგრძნო რაღაც, მათრახმა გაიზუზუნა და კარეტა სწრაფად გასრიალდა ფართო გზატკეცილზე.

„არაფერი, არაფერი არ მინდა ამ ბედნიერების გარდა, – ფიქრობდა ვრონსკი, ფანჯრებს შუა ზარის ღილს მისჩერებოდა და თვალწინ უდგებოდა ანა ისეთი, როგორიც უკანასკნელი შეხვედრის დროს იხილა, – და რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ჩემი სიყვარული. აი, ვრედეს სახაზინო აგარაკის ბაღიც. სად არის? სად? აქ რატომ დამინიშნა პაემანი და რატომ მწერს ბეტსის წერილში?“ – მხოლოდ ახლა გაიფიქრა ვრონსკიმ, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. მეეტლე გააჩერა, ხეივნამდე

აღარ მიიყვანა, კარი გამოაღო, ჯერ ისევ გაუჩერებელი კარეტიდან გადმოხტა და გაჰყვა სახლისაკენ მიმავალ ხეივანს. ხეივანში არავინ იყო. მაგრამ როგორც კი მარჯვნივ გაიხედა, მაშინვე შენიშნა ანა. მას სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული. ვრონსკიმ სიხარულით შეავლო თვალი ანას განსაკუთრებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სიარულს, მის მოყვანილ მხრებს, მოღერებულ ყელს და იმავე წუთს თითქოს ელექტრონის დენმა დაუარა მთელ სხეულში. ვრონსკიმ ახალი ძალით შეიგრძნო საკუთარი თავი, ფეხების მტკიცე მოძრაობიდან სუნთქვისას ფილტვების მოძრაობამდე და ტუჩებზე თითქოს რაღაცამ მოუღიტინა.

ვრონსკი რომ მიუახლოვდა, ანამ გრძნობით მოუჭირა ხელზე ხელი.

– ხომ არ მიჯავრდები, აქ რომ დაგიბარე? ჩემთვის აუცილებელი იყო შენი ნახვა, – უთხრა ანამ. ვრონსკიმ პირბადიდან შენიშნა, როგორი სიმტკიცე და სერიოზულობა იხატებოდა ანას ბაგეზე და მაშინვე მასაც შეეცვალა სულიერი განწყობილება.

– მე, გიჯავრებდი? მაგრამ შენ როგორ მოხვედი აქ, სად მიდიხარ?

– სულერთია, – უთხრა ანამ და ხელზე ხელი ჩამოსდო, – წავიდეთ, უნდა მოგელაპარაკო.

ვრონსკიმ იგრძნო, რომ რაღაც მოხდა, რომ ეს შეხვედრა სიხარულის მომტანი ვერ იქნებოდა. მაგრამ ანასთან იგი ყოველთვის კარგავდა საკუთარ ნებას. ჯერ არ იცოდა მიზეზი ანას ძრწოლისა და უკვე გრძნობდა, რომ უნებლიეთ მასაც ედებოდა ეს ძრწოლა.

– რა მოხდა? რა? – ეკითხებოდა იგი, იდაყვს ხელზე აჭერდა და ცდილობდა სახეზე ამოეკითხა მისი ფიქრები.

ანამ ხმაამოუღებლად გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, ეტყობოდა, ძალას იკრებდა, მერე უცებ შეჩერდა.

– მე გუშინ არ მითქვამს შენთვის, – დაიწყო მან, – თან აჩქარებით, მძიმედ სუნთქავდა, – არ მითქვამს, რომ გუშინ, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩთან ერთად შინ ვბრუნდებოდი, ყველაფერი გავუმჟღავნე... ვუთხარი, რომ აღარ შემიძლია მისი ცოლობა, რომ... ყველაფერი ვუთხარი.

ვრონსკი ყურს უგდებდა და უნებურად მთელი სხეულით მისკენ იხრებოდა, თითქოს უნდოდა, ამით შეემსუბუქებინა ანას მძიმე მდგომარეობა. მაგრამ როგორც კი ანამ ეს თქვა, ვრონსკი მაშინვე წელში გაიმართა და სახეზე ამაყი, მკაცრი გამომეტყველება აღებეჭდა.

– დიახ, დიახ, ასე უკეთესია, ათასწილ უკეთესია. ჩემთვის გასაგებია, რამდენად მძიმე იქნებოდა ეს შენთვის, – უთხრა ვრონსკიმ.

მაგრამ ანა ყურს არ უგდებდა ამ სიტყვებს და ვრონსკის სახეზე კითხულობდა მის აზრებს. ანას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ვრონსკის სახის გამომეტყველება იმას გამოხატავდა, რამაც პირველად გაუელვა თავში, – მან გაიფიქრა, რომ ახლა გარდაუვალი იქნებოდა დუელი, ანას კი აზრად არასოდეს მოსვლია დუელი და ამიტომაც სხვანაირად ახსნა მისი სახის მკაცრი გამომეტყველება.

ქმრის წერილი მიიღო თუ არა, ანამ გულის სიღრმეში უკვე იგრძნო, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩებოდა, რომ მას ძალა არ ეყოფოდა უარი ეთქვა თავის მდგომარეობაზე, მიეტოვებინა შვილი და შეერთებოდა საყვარელს. ბეტსი ტვერსკაიასთან გატარებულმა დილამ უფრო მეტად დაარწმუნა ამაში, მაგრამ ეს პაემანი მისთვის მაინც მეტად მნიშვნელოვანი იყო. ანას იმედი ჰქონდა, რომ პაემანი შეცვლიდა მათ მდგომარეობას და იხსნიდა მას. თუ ვრონსკი ამის გაგებისთანავე გადაჭრით, აღტაცებით, უყოყმანოდ ეტყოდა, მიატოვე ყველაფერი და გავიქცეთ ერთადო, მაშინ ანა მიატოვებდა შვილს და მასთან ერთად წავიდოდა. მაგრამ ამ ამბის შეტყობამ მასში არ გამოიწვია ის, რასაც ანა ელოდა: იგი თითქოს მხოლოდ შეურაცხყოფილი იყო რაღაცით.

– ეს ჩემთვის სულაც არ ყოფილა მძიმე. ეს თავისით მოხდა, – გაბრაზებით უპასუხა ანამ, – და აი... – ანამ ხელთათმნიდან ქმრის წერილი ამოიღო.

– ჩემთვის ეს გასაგებია, გასაგები, – შეაწყვეტინა ვრონსკიმ, წერილი გამოართვა, მაგრამ არ წაუკითხავს, მის დამშვიდებას შეეცადა, – მე მხოლოდ ერთი რამ მინდა, მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვდი – ჩქარა მოეღოს ბოლო ამ მდგომარეობას, რათა მთელი ჩემი სიცოცხლე შენს ბედნიერებას შევწირო.

– რატომ მეუბნები ამას? – უთხრა ანამ, – განა მე შემიძლია

ამაში ეჭვის შეტანა? მე რომ ეჭვი მეპარებოდეს...

– ვინ არიან ესენი? – თქვა ვრონსკიმ და მათკენ მომავალ ორ მანდილოსანზე მიუთითა, – იქნებ გვიცნობენ კიდეც, – და მან საჩქაროდ გადაუხვია გვერდითი ბილიკისაკენ და თან გაიყოლა ანაც.

– აჰ, ჩემთვის სულერთია! – წამოიძახა ანამ, ტუჩები აუთრთოლდა და ვრონსკის მოეჩვენა, რომ მისმა თვალებმა უცნაური გაბოროტებით გამოანათეს პირბადიდან, – მე იმას გეუბნები, რომ საქმე ეს როდია, მე ამაში ეჭვის შეტანა არ შემიძლია, მაგრამ აი, რას მწერს იგი. წაიკითხე, – ანა ისევ შეჩერდა.

ახლაც, როგორც იმ პირველ წუთებში, როცა ქმართან განხეთქილების ამბავი შეიტყო, ვრონსკი წერილს კითხულობდა და უნებურად ისევ იმ ბუნებრივ შთაბეჭდილებას ეძლეოდა, რასაც მასში შეურაცხყოფილ ქმართან ურთიერთობა იწვევდა. ახლა, როცა ხელში მისი წერილი ეჭირა, უნებლიეთ თვალწინ უდგებოდა გამოწვევა, რომელიც, ალბათ, დღეს ან ხვალ დახვდებოდა სახლში. თვალწინ წარმოუდგა თვით დუელიც, რომლის დროსაც ისეთივე ცივი და ამაყი გამომეტყველება ექნება, როგორიც ახლა ეხატება სახეზე, ტყვიას ჰაერში გაისვრის და მკერდს მიუშვერს შეურაცხყოფილი ქმრის ტყვიას. ამავე დროს თავში გაუელვა იმ აზრმა, რასაც ახლახან ეუბნებოდა სერპუხოვსკოი და რასაც თვითონაც ფიქრობდა ამ დილით, – უმჯობესია არ შეიბოჭოო თავი – მაგრამ იცოდა, რომ ამ აზრს ანას ვერ გაუზიარებდა.

ვრონსკიმ წერილი წაიკითხა და ანას მიაპყრო თვალები, მის გამოხედვაში ანამ სიმტკიცე ვეღარ ამოიკითხა და მაშინვე მიხვდა, რომ ვრონსკის სხვა დროს, მარტოც უფიქრია ამაზე. იცოდა, რაც უნდა უთხრას ახლა ვრონსკიმ, მაინც არ ეტყვის იმას, რასაც ფიქრობს. მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა. ეს ის არ იყო, რასაც ანა ელოდა.

– ხომ ხედავ, რა ადამიანიცაა, – აკანკალებული ხმით უთხრა ანამ, – იგი...

– მაპატიე, მაგრამ მე მახარებს ეს, – გააწყვეტინა ვრონსკიმ, – ღვთის გულისათვის, ბოლომდე მათქმევინე, – დასძინა მან და თვალებით შეევედრა, მიეცა დრო თავისი ნათქვამის ასახსნელად, – მიხარია, იმიტომ, რომ შეუძლებელია, ყოვლად

შეუძლებელია, ისე დარჩეს ყველაფერი, როგორც ის ვარაუდობს.

– რატომ არის შეუძლებელი? – ჰკითხა ანამ, თან ძლივსღა იკავებდა ცრემლებს. ეტყობოდა, არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა, რას ეტყოდა ვრონსკი, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ვრონსკის უნდოდა ეთქვა, შეუძლებელია, ყველაფერი ისე გაგრძელდეს იმ დუელის შემდეგ, რომელიც, ჩემი აზრით, გარდაუვალიაო, მაგრამ სულ სხვა თქვა.

– შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. ახლა იმედი მაქვს, მიატოვებ მას. იმედი მაქვს, – ვრონსკი დაიბნა, გაწითლდა, – ნებას მომცემ, დავფიქრდე და სხვაგვარად მოვაწყო ჩემი ცხოვრება. ხვალ... – დაიწყო მან.

ანამ აღარ დაამთავრებინა სათქმელი.

– მერე შვილი? – წამოიძახა მან, – ხომ ხედავ, რას მწერს? უნდა მივატოვო შვილი, მე კი ეს არ შემიძლია და არც მინდა ამის გაკეთება.

– ღვთის გულისათვის, მითხარი, რომელი ჯობია? შვილის მიტოვება თუ ამ დამამცირებელი მდგომარეობის გაგრძელება?

– ვისთვის არის ეს მდგომარეობა დამამცირებელი?

– ყველასათვის და განსაკუთრებით კი შენთვის.

– შენ ამბობ, დამამცირებელიაო... ნუ იტყვი ამას. ამ სიტყვებს ჩემთვის აზრი არა აქვს, – აკანკალებული ხმით დაიწყო ანამ. მას არ უნდოდა, ვრონსკის სიცრუე ეთქვა. ახლა მხოლოდ ვრონსკის სიყვარულიღა დარჩენოდა, უნდოდა, ჰყვარებოდა იგი, – გამიგე ერთი, რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც შემიყვარდი, ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა. ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ არსებობს – შენი სიყვარული. და თუ იგი ჩემი იქნება, მე ისე ამაყად, ისე მტკიცედ ვიგრძნობ თავს, რომ ჩემთვის არაფერი არ შეიძლება იყოს დამამცირებელი. მე ვამაყობ... – ანამ ბოლომდე ვეღარ თქვა, რით ამაყობდა, სირცხვილისა და სასოწარკვეთის ცრემლებმა ხმა წაართვა. ანა შეჩერდა და აქვითინდა.

ვრონსკიმაც იგრძნო, რომ რაღაც მოაწვა ყელში, ცხვირში

რაღაცამ შეუღიტინა და თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ მზად იყო, ატირებულიყო. ვრონსკი ვერც გეტყოდათ, რამ ააღელვა ასე; მას შეებრალა ანა და იგრძნო, რომ შველაც არ შეეძლო, ამავე დროს კი იცოდა, რომ თვითონ იყო მისი უბედურების მიზეზი, რომ მან რაღაც ცუდი ჩაიდინა.

– ნუთუ შეუძლებელია განქორწინება? – ძლივსღა თქვა მან. ანამ უსიტყვოდ გააქნია თავი, – ნუთუ შეუძლებელია, რომ შვილი შენთან წამოიყვანო და მიატოვო ქმარი?

– შეიძლება, მაგრამ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, ახლა მე მასთან უნდა წავიდე, – ცივად უპასუხა ანამ. მისმა წინათგრძნობამ, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩებოდა, არ უმტყუნა.

– სამშაბათს მე პეტერბურგში ვიქნები და ყველაფერი გადაწყდება.

– დიახ, – თქვა ანამ, – მაგრამ ნუღარაფერს ვიტყვით ამაზე...

უკვე გამოჩნდა კარეტაც, რომელიც ანამ გაისტუმრა და ვრედეს ბაღის გალავანთან მოსვლა უბრძანა. ანა გამოემშვიდობა ვრონსკის და შინ წავიდა.

XXIII

ორშაბათს, 2 ივნისს, კომისიის ჩვეულებრივი სხდომა იყო. ალექსეი ალექსანდროვიჩი სხდომათა დარბაზში შევიდა. ჩვეულებრივად მიესალმა კომისიის წევრებსა და თავმჯდომარეს, თავის ადგილზე დაჯდა და ხელები მის წინ გამზადებულ ქაღალდებზე დააწყო. ამ ქაღალდებში იყო მისთვის საჭირო ცნობები და მოკლე კონსპექტი იმ განაცხადისა, რის თქმასაც აპირებდა. თუმცა არც სჭირდებოდა ეს ცნობები. ყველაფერი ახსოვდა და საჭიროდ არ თვლიდა, გონებაში გაემეორებინა თავისი სათქმელი. იცოდა, როცა დრო დადგებოდა და თავის წინაშე იხილავდა მოწინააღმდეგის სახეს, რომელიც ამაოდ შეეცდებოდა დამშვიდებული გამომეტყველება მიეღო, მისი სიტყვა თავისთავად უკეთ

წარიმართებოდა, ვიდრე ახლა შეეძლო მოემზადებინა. ალექსეი ალექსანდროვიჩი გრძნობდა, მოხსენების შინაარსი იმდენად დიდებული იქნებოდა, რომ თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა მიენიჭებოდა. ამას რომ ფიქრობდა, თან ყურს უგდებდა მოხსენებას და სრულიად გულუბრყვილო, უწყინარი შესახედაობა ჰქონდა. ვინც კი შეხედავდა ალექსეი ალექსანდროვიჩის თეთრ, ძარღვებგამობურცულ ხელებს, თუ როგორი სინაზით ეხებოდა თავის წინ მდებარე თეთრ ქაღალდს, შეხედავდა მის გვერდზე გადახრილ თავსა და მოქანცული სახის გამომეტყველებას, არავინ იფიქრებდა, რომ მის ბაგეთაგან წარმოსდინდებოდა ის სიტყვები, რომლებიც საშინელ აურზაურს ატეხდნენ დარბაზში, ხმამაღლა აალაპარაკებდნენ წევრებს და თავმჯდომარეს იძულებულს გახდიდნენ, წესრიგისაკენ მოეწოდებინა სხდომის წევრებისათვის. მოხსენება რომ გათავდა, ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისი მშვიდი, წვრილი ხმით განაცხადა, რომ სურს თავისი მოსაზრება გამოითქვას ინოროდცების მოწყობის საქმის შესახებ. ყველამ მისკენ მიაპყრო ყურადღება. ალექსეი ალექსანდროვიჩმა ერთი ჩაახველა, მოწინააღმდეგისათვის არც შეუხედავს, არამედ, როგორც ჩვეულებად ჰქონდა სიტყვის წარმოთქმისას, ამოირჩია მის წინ მჯდომი ერთი უწყინარი, პატარა მოხუცი, რომელსაც კომისიაში არასოდეს არავითარი მოსაზრება არ გამოუთქვამს, მას მიაჩერდა და დაიწყო თავის მოსაზრებათა გადმოცემა. როცა საქმე ძირითად, ორგანულ კანონამდე მივიდა, მოწინააღმდეგე წამოხტა და შეეკამათა. სტრემოვმაც, რომელიც აგრეთვე კომისიის წევრი იყო და მტკივნეულ ადგილას მოხვდა მისი ნათქვამი, თავის მართლება დაიწყო. და საერთოდ, სხდომაზე ერთი აურზაური შეიქნა; მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩმა გაიმარჯვა, მისი წინადადება მიიღეს; დაინიშნა სამი ახალი კომისია და მეორე დღეს პეტერბურგის ცნობილ საზოგადოებაში მხოლოდ ამ სხდომაზეღა იყო ლაპარაკი. ალექსეი ალექსანდროვიჩის წარმატებამ მის მოლოდინს გადააჭარბა.

მეორე დღეს, სამშაბათ დილით, გაღვიძებისთანავე ალექსეი ალექსანდროვიჩმა სიამოვნებით გაიხსენა გუშინდელი გამარჯვება და როცა კანცელარიის მმართველმა მოახსენა, ჩემამდეც მოაღწია გუშინ კომისიაში მომხდარმა ამბებმაო, ალექსეი ალექსანდროვიჩმა ვეღარ შეძლო ღიმილის შეკავება,

თუმცა კი უნდოდა, გულგრილად შეხვედროდა ამას.

კანცელარიის მმართველთან მუშაობაში სულ გადაავიწყდა, რომ დღეს სამშაბათი იყო და დღეს უნდა ჩამოსულიყო ანა და როცა მსახურმა მეუღლის ჩამოსვლა მოახსენა, ცოტა არ იყოს, გაოცდა და არც ესიამოვნა.

ანა დილით ადრე ჩამოვიდა პეტერბურგში. ალექსეი ალექსანდროვიჩმა ცოლს დეპეშის საპასუხოდ კარეტა გაუგზავნა და ამიტომაც უნდა სცოდნოდა მისი ჩამოსვლის ამბავი. მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი არ შეჰგებებია ანას. ანას მოახსენეს, ალექსეი ალექსანდროვიჩი ჯერ არ გამოსულა თავისი ოთახიდან და კანცელარიის მმართველთან ერთად მუშაობსო. ანამ უბრძანა, ეუწყებინათ ქმრისათვის მისი ჩამოსვლა, თვითონ კი თავის კაბინეტში შევიდა და ნივთების ამოლაგებას შეუდგა, თან ელოდა, როდის შემოვიდოდა ქმარი. მაგრამ გაიარა ერთმა საათმა, ალექსეი ალექსანდროვიჩი კი არ გამოჩენილა. ანა სასადილო ოთახში გამოვიდა, ვითომც განკარგულების გასაცემად, განზრახ ხმამაღლა ლაპარაკობდა და ფიქრობდა, რომ აქ მაინც შემოვიდოდა იგი, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი არ გამოსულა, თუმცა ანამ გაიგონა, როგორ მივიდა იგი კაბინეტის კარამდე და გამოაცილა კანცელარიის მმართველი. ანამ იცოდა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩი ახლა მალე წავიდოდა სამსახურში და უნდოდა მანამდე ენახა, რათა მათი ურთიერთობა გარკვეულიყო.

ანამ დარბაზი გაიარა და გაბედული ნაბიჯით გასწია ქმრის კაბინეტისაკენ. კაბინეტში რომ შევიდა, ვიცმუნდირში გამოწყობილი ალექსეი ალექსანდროვიჩი, რომელიც, ალბათ, უკვე მზად იყო სამსახურში წასასვლელად, პატარა მაგიდასთან იჯდა, ხელები მაგიდაზე დაეყრდნო და დაღვრემილი იყურებოდა წინ. ანამ უფრო ადრე შეასწრო თვალი, ვიდრე ალექსეი ალექსანდროვიჩი დაინახავდა, და მიხვდა, რომ იგი მასზე ფიქრობდა.

ანა რომ დაინახა, ალექსეი ალექსანდროვიჩმა ჯერ წამოდგომა დააპირა, მერე ისევ გადაიფიქრა, შემდეგ სახე აელეწა, რაც წინათ არასოდეს შეუნიშნავს ანას მისთვის, საჩქაროდ წამოდგა და შესაგებებლად გამოემართა, თან თვალებში კი არ უყურებდა ანას, არამედ სადღაც ზევით, შუბლსა და თმაზე მისჩერებოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი მივიდა ანასთან, ხელზე ხელი მოჰკიდა და სთხოვა, დაბრძანდითო.

– მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩამოხვედით, – უთხრა მან და მის გვერდით ჩამოჯდა. ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა დაება. რამდენჯერმე სცადა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ისევ გაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ანა წინასწარ ემზადებოდა ამ შეხვედრისათვის და არწმუნებდა თავს, რომ ეზიზღებოდა ქმარი და იგი დამნაშავე იყო მის წინაშე, ახლა არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის და ებრალებოდა. დუმილი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

– სერიოჟა როგორ არის? – ჰკითხა ქმარმა და პასუხს აღარ დაელოდა, ისე განაგრძო, – მე დღეს სახლში არ ვისადილებ, ახლა კი წასასვლელი ვარ.

– მე მოსკოვში მინდოდა წასვლა, – უთხრა ანამ.

– არა, თქვენ ძალიან, ძალიან კარგად მოიქეცით, რომ ჩამოხვედით, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ისევ დადუმდა.

ანა ხედავდა, რომ ქმარს ძალა არ შესწევდა ლაპარაკის დასაწყებად და ისევ თვითონ დაიწყო: – ალექსეი ალექსანდროვიჩ, – უთხრა და პირდაპირ თვალებში შეხედა ქმარს, რომელიც თმაზე მისჩერებოდა, – მე დამნაშავე ვარ, საძაგელი ქალი ვარ, მაგრამ ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი და რაც მაშინ გითხარით, ახლაც იმის სათქმელად მოვედი, მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

– მე არაფერი მიკითხავს თქვენთვის ამის შესახებ, – უთხრა მან და მოულოდნელად მტკიცედ, ზიზღით შეხედა ანას თვალებში, – ასეც ვფიქრობდი, – მრისხანების შემწეობით მან, ეტყობა, ისევ შეძლო დაუფლებოდა საკუთარ თავს, – მაგრამ როგორც გეუბნებოდით მაშინ და გწერდით კიდეც, – მკაცრი, წვრილი ხმით თქვა მან, – ახლაც გიმეორებთ, რომ მე ვალდებული არა ვარ, ვიცოდე ეს. მე უგულებელვყოფ ამას. ყველა ცოლი თქვენსავით კეთილი როდია, რომ სასწრაფოდ აუწყოს ეს სასიამოვნო ამბავი ქმარს, – მან განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა „სასიამოვნო“, – მე უგულებელვყოფ ამას მანამდე, სანამ საზოგადოებას არ გაუგია ეს ამბავი, სანამ არ შერცხვენილა ჩემი სახელი და ამიტომაც მე მხოლოდ გაფრთხილებთ, ჩვენი ურთიერთობა ისეთი უნდა იყოს, როგორიც ყოველთვის ყოფილა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ საბოლოოდ გაიტეხთ სახელს, იძულებული ვიქნები მივმართო რაიმე

ღონისძიებას ჩემი პატიოსნების დასაცავად.

– მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორიც ყოველთვის იყო, – შემკრთალი ხმით დაიწყო ანამ და შიშით შეაჩერდა ქმარს.

როცა ანამ იხილა, როგორი დამშვიდებით ლაპარაკობდა ქმარი, გაიგონა მისი წვრილი, ბავშვური და დამცინავი ხმა, ქმრისადმი ზიზღმა უმალვე განდევნა წეღანდელი სიბრალული, ახლა მას მხოლოდ ეშინოდა მისი, მაგრამ უნდოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაერკვია თავისი მდგომარეობა.

– მე არ შემიძლია ვიყო თქვენი ცოლი, როცა... – დაიწყო ანამ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ღვარძლიანად, ცივად ჩაიცინა.

– ეტყობა, თქვენ მიერ არჩეულმა ცხოვრებამ გავლენა იქონია თქვენს შეხედულებებზეც. მე იმდენად პატივს ვცემ ან იმდენად მეზიზღება ერთიცა და მეორეც... მე პატივს ვცემ თქვენს წარსულს და მეზიზღება თქვენი ახლანდელი ცხოვრება... რომ მეტად შორსა ვარ იმ ინტერპრეტაციისაგან, რომელიც თქვენ ჩემს სიტყვებს მიეცით.

ანამ ამოიოხრა და თავი დახარა.

– თუმცა ჩემთვის წარმოუდგენელია ისეთ დამოუკიდებელ ადამიანს, როგორიც თქვენა ხართ, – გაცხარებით განაგრძობდა იგი, – ადამიანს, რომელიც პირდაპირ უცხადებს ქმარს ღალატის ამბავს და გასაკიცხს არაფერს ხედავს ამაში, როგორც ჩანს, ცოლის მოვალეობის შესრულება გასაკიცხად მიაჩნია?

– ალექსეი ალექსანდროვიჩ! რა გსურთ ჩემგან?

– მე მსურს, არ დავინახო ის ადამიანი და თქვენ ისე გეჭიროთ თავი, რომ არც საზოგადოებასა და არც მოსამსახურეთ არ შეეძლოთ ბრალი დაგდონ... რომ თქვენ არ შეხვდეთ მას. მგონი, ეს ბევრი არ არის. ამის სამაგიეროდ თქვენ პატიოსანი ცოლის უფლებებით ისარგებლებთ, მხოლოდ ისე, რომ არ შეასრულებთ მის მოვალეობას. აი, ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის. ახლა უკვე ჩემი წასვლის დროც არის. მე დღეს სახლში არ ვისადილებ.

ალექსეი ალექსანდროვიჩი წამოდგა და კარისკენ გაემართა. ანაც წამოდგა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა მდუმარედ დახარა

თავი და წინ გაატარა ანა.

XXIV

თივის ბულულზე გატარებულ ღამეს ამაოდ არ ჩაუვლია ლევინისათვის: მას შესძულდა თავისი მეურნეობა, ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მისდამი. მიუხედავად იმისა, რომ დიდებული მოსავალი იყო, არასოდეს, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ლევინს, არ განუცდია ამდენი მარცხი, არასოდეს ისეთი მტრული დამოკიდებულება არ ყოფილა მასა და გლეხებს შორის, როგორც წლევანდელ წელს და ახლა ლევინისთვის სავსებით გასაგები იყო ამ მარცხისა და მტრობის მიზეზი. იმ უდიდესმა სიამოვნებამ, რომელიც განიცადა მუშაობისა და გლეხებთან დაახლოების წყალობით, შურმა, რომელიც იგრძნო გლეხებისა და მათი ცხოვრებისადმი და იმის სურვილმა, რომ თვითონაც ასეთი ცხოვრებით ეცხოვრა, სურვილმა, რომელიც იმ ღამეს ოცნებად კი არა, უკვე განზრახვად ექცა და რისი განხორციელებაც უკვე დაწვრილებით მოიფიქრა, – ყოველივე ამან ისე შეუცვალა აზრი თავის მეურნეობაზე, რომ უკვე ვეღარ პოულობდა მასში იმ ძველ ინტერესს და ახლა შეუძლებელი იყო არ დაენახა ის არასასიამოვნო დამოკიდებულება თავის მუშებთან, რომელიც მთელი მისი საქმიანობის საფუძველს შეადგენდა. გაუმჯობესებული ძროხების ნახირი, ისეთი ძროხებისა, როგორიც პავა იყო, მთლად განოყიერებული, გუთნით გადახნული მიწები, ტირიფებით შემოღობილი საყანე მიწების ცხრა თანაბარი ნაკვეთი, ოთხმოცდაათი დესეტინა გაპატივებული და ღრმად გადახნული მიწა, მწკრივად სათესი მანქანები და სხვა – ყოველივე ეს მაშინ იქნებოდა კარგი, რომ ეს თვით ლევინს გაეკეთებინა, ან ჰყოლოდა ისეთი ამხანაგები, რომლებიც თანაგრძნობას გაუწევდნენ ამ საქმეში. მისთვის ახლა ნათელი შეიქნა (ამაში ძლიერ დაეხმარა თავისი წიგნი სოფლის მეურნეობის შესახებ, სადაც მეურნეობის მთავარი ელემენტი მუშახელი უნდა ყოფილიყო), რომ მისი მეურნეობა მხოლოდ მკაცრი და შეუპოვარი ბრძოლა იყო მასა და მუშებს შორის, სადაც ერთ მხარეს, ლევინის მხარეს, იდგა მისწრაფება

იმისაკენ, რომ ყველაფერი გადაკეთებულიყო ახალი ნიმუშის მიხედვით, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნდა, მეორე მხარეს კი იყო საგანთა ბუნებრივი წესრიგი. იგი ხედავდა, რომ ამ ბრძოლაში, მიუხედავად თავის მხრივ ძალთა უდიდესი დაძაბვისა, მეორე მხრივ კი სრული ძალდატანებისა და ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშეც კი მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ მეურნეობა არაფერს იძლეოდა და სულ ტყუილუბრალოდ ფუჭდებოდა მშვენიერი იარაღები, მშვენიერი საქონელი და მიწა. და რაც მთავარია, არამცთუ ტყუილუბრალოდ იკარგებოდა ამ საქმეზე დახარჯული ენერგია, არამედ ახლა, როცა მეურნეობის აზრი გაშიშვლდა მის წინაშე, არ შეეძლო, არ ეგრძნო, რომ თვით მიზანი ამ ენერგიისა არ ღირდა ამად. რაში მდგომარეობდა არსებითად ეს ბრძოლა? ლევინი ხელს უჭერდა თითოეულ გროშს (არც შეეძლო, არ მოეჭირა ხელი. საკმარისი იყო ოდნავ შეესუსტებინა ენერგია და მუშების გასასტუმრებელი ფულიც აღარ ექნებოდა), მუშები კი სულ იმას ფიქრობდნენ, რომ მშვიდად, თავის ნებისად ემუშავათ, ესე იგი ემუშავათ ისე, როგორც დაჩვეული იყვნენ. ლევინი იმით იყო დაინტერესებული, რომ თითოეულ მუშას რაც შეიძლება მეტი ემუშავა, ამასთან, ისიც არ უნდა დავიწყებოდა, რომ ფრთხილად ემუშავა, არ გაეტეხა სანიავებელი, კაბდო, სალეწი მანქანა და ეფიქრა იმ საქმეზე, რასაც აკეთებდა; მუშას კი უნდოდა, მისი მუშაობა რაც შეიძლება სასიამოვნო ყოფილიყო, ემუშავა სვენებ-სვენებით და, რაც მთავარია, უზრუნველად და უფიქრელად. ამ ზაფხულს ლევინი ყოველ ნაბიჯზე ხედავდა ამას. გაგზავნიდა გლეხებს იონჯის მოსათიბად, ამოარჩევდა ცუდ ნაკვეთს, უბრალო ბალახითა და სარეველათი გადავლილს, რომელიც სათესლედ არ ვარგოდა, ისინი კი საუკეთესო სათესლე ნაკვეთებს გაუთიბავდნენ და თავს იმით იმართლებდნენ, მოურავმა ასე გვიბრძანაო, ხოლო ლევინს იმით ანუგეშებდნენ, ჩინებული თივა გექნებაო; ლევინმა კი იცოდა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ეს ნაკვეთი უკეთესი გასათიბი იყო. თივსაბრუნი გაგზავნა თივის ასაკრეფად, პირველივე კვალში დაამტვრიეს, იმიტომ, რომ მოსაწყენი იყო გლეხისათვის კოფოზე ჯდომა და მბრუნავი ფრთების ყურება. „ნუ შეწუხდებით, ამას უცებ აცენცავენ დედაკაცები“, – ეუბნებოდნენ ლევინს. გუთნებიც უვარგისი აღმოჩნდა, რადგან მხვნელმა ვერ მოიფიქრა ზევით აწეული საკვეთი ჩამოეშვა და მარყუჟის ტრიალით ცხენებსაც აწვალებდა და ნიადაგსაც აფუჭებდა, ლევინს კი ეუბნებოდნენ,

დამშვიდებული ბრძანდებოდეთო. ცხენებიც ყანაში მიუშვეს, რადგან არავინ მოისურვა ღამის დარაჯად დადგომა და, მიუხედავად იმისა, რომ ნაბრძანები ჰქონდათ, ამას ნუღარ იქმთო, მუშები მაინც ერთმანეთს ცვლიდნენ ღამით, და ვანიამ, რომელმაც მთელი დღე მუშაობაში გაატარა, დაიძინა, ცოდვას კი იმით ინანიებდა, რომ ამბობდა, რაც თქვენი ნება იყოს, ის მიყავითო. სამი საუკეთესო ხბო ჭამით მუცელზე გახეთქეს, რადგან წყალდაულევლად გაუშვეს იონჯაში, მაგრამ არაფრით არ იჯერებდნენ, რომ ხბოები იონჯამ გაბერა და გულის დასამშვიდებლად ამბობდნენ, თუ მეზობელს სამ დღეში როგორ გაუწყდა ას თორმეტი სული საქონელი. ყოველივე ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ვინმეს ბოროტი უნდოდა ლევინისა ან მისი მეურნეობისათვის; პირიქით, ლევინმა იცოდა, რომ იგი უყვარდათ გლეხებს, თავმდაბალ ბატონად თვლიდნენ (რაც მათთვის უდიდეს ქებას წარმოადგენს); ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ მხიარული და უზრუნველყოფილი მუშაობა უნდოდათ. ლევინის ინტერესი კი არათუ უცხო და გაუგებარი იყო, არამედ ფატალურად საწინააღმდეგო იყო გლეხების სამართლიანი ინტერესებისა. უკვე დიდი ხანია, ლევინი უკმაყოფილო იყო თავისი დამოკიდებულებით მეურნეობისადმი. ხედავდა, რომ მის ნავში საიდანღაც იპარებოდა წყალი, მაგრამ ვერ გაეგო, საიდან შედიოდა და არც ეძებდა. იქნებ განგებაც იტყუებდა თავს. მაგრამ თავის მოტყუება ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა. თავისი მეურნეობა არათუ აღარ აინტერესებდა, შეზიზღდა კიდეც და აღარც შეეძლო მისი გაძღოლა.

ამას ახლა ისიც დაემატა, რომ მისგან ოცდაათი ვერსის დაშორებით იმყოფებოდა კიტი შჩერბაცკაია, რომლის ნახვა გულით უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო. დარია ალექსანდროვნა ობლონსკაიამ, როცა ლევინი მასთან იყო სტუმრად, სთხოვა, ჩამოდითო. ჩავიდეს იმ მიზნით, რომ ხელმეორედ მისცეს წინადადება მის დას, რომელიც, როგორც დარია ალექსანდროვნამ აგრძნობინა, ახლა თანახმა იქნება, მიიღოს მისი წინადადება. თვით ლევინმა, როგორც კი კიტი შჩერბაცკაია დაინახა, იგრძნო, რომ კვლავ უყვარდა იგი, მაგრამ მაინც არ შეეძლო ობლონსკებთან მისვლა, რადგან იცოდა, რომ კიტი იქ იქნებოდა. ის გარემოება, რომ კიტის წინადადება მისცა და კიტიმ უარყო იგი, გარდაუვალ ზღვარს დებდა მათ შორის. „მე არ შემიძლია ცოლობა ვთხოვო მხოლოდ იმიტომ, რომ

კიტის არ შეუძლია გახდეს იმის ცოლი, ვინც უნდოდა“, – ამბობდა ლევინი თავისთვის. და ეს აზრი გულს უცივებდა, მტრულ განწყობილებას ბადებდა კიტისადმი. „მე ვერ შევძლებ უსაყვედუროდ ველაპარაკო მას, ვერ შევძლებ შევხედო ისე, რომ ჩემი გაბოროტება არ გამოვხატო. ეს კი უფრო მეტად შეაძულებს ჩემს თავს და ასეც უნდა მოხდეს. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც დარია ალექსანდროვნა მელაპარაკა, როგორ შემიძლია მასთან მისვლა? განა შევძლებ იმის დამალვას, რაც ვიცი? და მე მივალ მასთან როგორც დიდსულოვანი ადამიანი, რომ ვაპატიო და შევიწყალო იგი. მე კიტის წინაშე შემნდობისა და ჩემი სიყვარულის შემთავაზებლის როლში გამოვიდე?.. რად მითხრა ეს დარია ალექსანდროვნამ? შეიძლება შემთხვევით შევხვედროდი და ყველაფერი თავისით მომხდარიყო. ახლა კი ეს შეუძლებელია, შეუძლებელი!“

დარია ალექსანდროვნამ წერილი გამოუგზავნა ლევინს და კიტისთვის ქალის უნაგირი სთხოვა: „მე მითხრეს, რომ თქვენ თვითონვე ჩამოგვიტანთ უნაგირს“.

ამის ატანა უკვე აღარ შეეძლო. როგორ შეუძლია ასეთ ჭკვიანსა და თავაზიან ქალს ასე დაამციროს თავისი და! ლევინმა ათი საპასუხო წერილი დაწერა და ათივე დახია; ბოლოს ყოველგვარი პასუხის გარეშე გაუგზავნა უნაგირი. იმის მიწერა, ჩამოვალო, არ შეიძლებოდა, რადგან არ შეეძლო ჩასვლა; მიწერა იმისა, რაღაც მიშლის ხელს ან სხვაგან მივემგზავრებიო, უარესი იქნებოდა. ლევინმა პასუხის გარეშე გაუგზავნა უნაგირი და იგრძნო, რომ რაღაც სამარცხვინო რამ ჩაიდინა და მეორე დღესვე თავისი მეურნეობა, რომელმაც უკვე თავი მოაბეზრა, მოურავს გადააბარა, თვითონ კი გაემგზავრა თავის მეგობარ სვიაჟსკისთან, შორეულ მაზრაში, სადაც საუცხოო ჭაობები იყო ლაინებზე სანადიროდ; მეგობართან, რომლისგანაც ახლახან მიიღო წერილი თხოვნით, აღესრულებინა თავისი დიდი ხნის დაპირება და ჩასულიყო მასთან სტუმრად. ლევინს დიდი ხანია აინტერესებდა სუროვსკის მაზრის ჭაობები, სადაც ლაინები იცოდა, მაგრამ სამეურნეო საქმეების გამო სულ იქით და იქით სწევდა წასვლას. ახლა კი უხაროდა წასვლა, რადგან თავს აარიდებდა შჩერბაცკების მეზობლად ყოფნას და, რაც მთავარია, თავის მეურნეობას, და წავიდოდა სანადიროდ, რაც ყოველგვარ მწუხარებაში საუკეთესო ნუგეში იყო მისთვის.

XXV

სუროვსკის მაზრაში არც რკინიგზა იყო და არც საფოსტო გზა, ამიტომ ლევინი საკუთარი ტარანტასით გაემგზავრა.

შუა გზაში ერთ შეძლებულ გლეხთან გაჩერდა, რათა ცხენებისათვის ეჭმია. მელოტმა, ჭარმაგმა მოხუცმა, რომელსაც ლოყებთან შეჭაღარავებული ფართო, ქერა წვერი ამშვენებდა, ჭიშკარი გაუღო ლევინს და თვითონ ბოძს ამოეფარა, რათა ეტლი გაეტარებინა. მოხუცმა მეეტლეს დიდ, სუფთად მილაგებულ ეზოში ფარდულის ქვეშ მიუჩინა ადგილი, სადაც შებოლილი სახნისები ეწყო, ლევინი კი ოთახში შეიპატიჟა. სუფთად ჩაცმული ყმაწვილი ქალი, შიშველი ფეხები პირდაპირ კალოშებში რომ ჰქონდა წაყოფილი, წელში მოხრილი იატაკს რეცხავდა ახალაშენებული სახლის წინკარში. ქალი შეაშინა ძაღლმა, ლევინს რომ შემოჰყვა და ერთი შეჰკივლა, მერე კი, როცა გაიგო, რომ ძაღლი არაფერს ერჩოდა, თვითონვე გაიცინა თავის შიშზე. დაკაპიწებული ხელებით ქალმა ოთახის კარზე ანიშნა ლევინს, თვითონ კი ისევ წელში მოიხარა, თავისი ლამაზი სახე დამალა და იატაკის რეცხვა განაგრძო.

– სამოვარს ხომ არ ინებებთ? – ჰკითხა მან.

– დიახ, თუ შეიძლება.

ოთახი ფართო იყო, ტიხრით ორად გაყოფილი და ჰოლანდიური ღუმლით დამშვენებული. ხატებქვეშ იდგა მოხატული მაგიდა, ერთი სკამლოგინი და ორი სკამი. შესასვლელთან ჭურჭლის კარადა იდგა. დარაბები დაეხურათ, ბუზები არ იყო და ოთახიც ისე დაესუფთავებინათ, რომ ლევინმა იმაზეც კი იზრუნა, რომ ლასკას, რომელიც გზაში სულ წუმპეებში ბანაობდა, იატაკი არ დაესვარა და კუთხეში, კართან მიუჩინა ადგილი. ლევინმა ოთახი მოათვალიერა და უკანა ეზოში გავიდა. კალოშებიანმა ლამაზმა ქალმა მხრეულზე ჩამოკიდებული ცარიელი ვედროების ქანაობით ჩაურბინა წინ და ჭისაკენ გაეშურა წყლის ამოსაღებად.

– აბა, ჩქარა, ჩქარა, – მხიარულად მიაძახა მოხუცმა და თვითონ ლევინისაკენ გამოსწია, – რაო, ბატონო ნიკოლაი ივანოვიჩ, სვიაჟსკისთან მიბრძანდებით? ისიც ჩვენთან ჩერდება ხოლმე, – ხალისიანად გამოელაპარაკა იგი და პარმაღის მოაჯირს დაეყრდნო. შუა საუბარში რომ იყვნენ და მოხუცი სვიაჟსკისთან თავის ნაცნობობაზე ელაპარაკებოდა, ამ დროს

ჭიშკარმა ისევ გაიჭრიალა და ეზოში ყანიდან დაბრუნებული მუშები შემოვიდნენ კავებითა და ფარცხებით. კავებსა და ფარცხებში ნასუქი, ზორბა ცხენები ებათ. მუშები, ეტყობოდა, შინაურები იყვნენ. ორი მათგანი ახალგაზრდა იყო. ჩითის ხალათები ეცვათ და თავზე ქუდები ეხურათ. დანარჩენი ორი კი, ერთი მოხუცი და ერთიც ახალგაზრდა, ხამის პერანგები რომ ეცვათ, დაქირავებული უნდა ყოფილიყვნენ. მოხუცი პარმაღს მოსცილდა და ცხენების გამოხსნას შეუდგა.

– რას ხნავდით? – ჰკითხა ლევინმა.

– კარტოფილს ვმარგლავდით. ჩვენც ვაცდენთ რაღა მიწას! ფედოტ, ლაფშას ნუ გაუშვებ, გეჯასთან დააყენე, სხვა შევაბათ...

– სახნისების წამოღება ვუბრძანე, მამილო, არ მოუტანიათ? – იკითხა ტანმაღალმა, წარმოსადეგმა ახალგაზრდამ, რომელიც, ეტყობა, ამ მოხუცის შვილი უნდა ყოფილიყო.

– აგერ, მარხილშია, – უპასუხა მოხუცმა, მოხსნილი სადავეები დაახვია და ძირს დაყარა, – ჯერ ცხენებს მიხედე, სანამ სადილად დავსხდებოდეთ.

ლამაზი ყმაწვილი ქალი მხრებზე გადებული სავსე ვედროებით წინკარში შევიდა. საიდანღაც გაჩნდნენ კიდევ სხვა ქალები, ზოგი ახალგაზრდა, ლამაზი, ზოგი შუახნისა, ზოგიც მოხუცი, ულამაზო. ზოგს ბავშვები ახლდნენ, ზოგი მარტო იყო.

სამოვარი აგუგუნდა. ცხენები რომ დააბინავეს, მუშებიც და ოჯახის წევრებიც სადილად დასხდნენ. ლევინმა ამოალაგა ეტლიდან საგზაოდ წამოღებული ხორაგი და მოხუციც მიიპატიჟა ჩაიზე.

– რას ბრძანებთ, ახლა გეახელით, – უპასუხა მოხუცმა, რომელსაც, ეტყობა, ესიამოვნა ლევინის მიპატიჟება, – მხოლოდ კამპანიისთვის თუ დაგეწვევით.

ჩაიზე ლევინმა მოხუცის მეურნეობის მთელი ისტორია შეიტყო. ათი წლის წინ მოხუცს ას ოცი დესეტინა მიწა აეღო ვიღაც მემამულე ქალისაგან, შარშან კი ეს მიწაც ეყიდა და მეზობელი მემამულისაგან სამასი დესეტინა მიწა კიდევ აეღო. მცირე ნაწილი ამ მიწისა, ყველაზე მწირი ადგილები, იჯარით ჰქონდა გაცემული, ხოლო ორმოც დესეტინა მიწას თვითონ ხნავდა

თავისი ოჯახის წევრებითა და ორი დაქირავებული მუშით. მოხუცი ჩიოდა, ცუდად მიდის საქმეო. მაგრამ ლევინი მიხვდა, რომ მოხუცი მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ჩიოდა, თორემ მისი მეურნეობა ყვაოდა. საქმე რომ ცუდად ჰქონოდა, ას ხუთ მანეთად ვერ იყიდდა მიწას, ვერც სამ ვაჟიშვილსა და ძმისწულს დააქორწინებდა და ორჯერ გადაწვის შემდეგ ვერ აიშენებდა სულ უკეთესსა და უკეთეს სახლს. მიუხედავად ჩივილისა, ეტყობა, მოხუცი სამართლიანად ამაყობდა თავისი კარგად მოწყობილი მეურნეობით, თავისი შვილებით, ძმისწულებით, რძლებით, ცხენებით, ძროხებით და განსაკუთრებით იმით, რომ კარგად მიდიოდა მეურნეობის საქმე. მოხუცთან საუბარმა გამოარკვია, რომ იგი სიახლეთა წინააღმდეგი როდი იყო. ბევრ კარტოფილს თესავდა და მისი კარტოფილი, რომელიც ლევინმა გზად გამოვლისას ნახა, უკვე დაყვავილებული იყო და თავს იკეთებდა, ლევინის კარტოფილი კი მხოლოდ ახლა იწყებდა აყვავებას. კარტოფილისათვის მიწას მემამულისაგან ნათხოვარი გუთნით ხნავდა, ხორბალსაც თესავდა. ლევინი განსაკუთრებით იმან გააოცა, რომ მოხუცი თურმე ჭვავს მარგლავდა და ნამარგლს ცხენებს აჭმევდა. რამდენჯერ უფიქრია ლევინს ამ ჭვავის შეგროვება, როცა ეს მშვენიერი საკვები გადაყრილი დაუნახავს, მაგრამ ვერასოდეს მოახერხა. ეს გლეხი კი თურმე ამას აკეთებდა და ვეღარ აუდიოდა ამ საკვების ქებას.

– მეტი რა საქმე აქვთ დედაკაცებს! დააგროვებენ გზასთან და ურმებიც მოვა.

– ჩვენში კი მემამულეებს ცუდად გვაქვს მუშების საქმე, – უთხრა ლევინმა და ფინჯნით ჩაი მიაწოდა.

– მადლობას მოგახსენებთ, – უპასუხა მოხუცმა და ჩაი ჩამოართვა, შაქარზე კი უარი თქვა და დარჩენილ შაქრის კვნიტზე მიუთითა, – მუშებით საქმის გაძღოლა როგორ იქნება? – დასძინა მან, – ზარალის მეტი არა გამოვა რა. აი, თუნდაც სვიაჟსკი ავიღოთ. ჩვენ ხომ ვიცით, როგორი ყაყაჩოსავით მიწები აქვს, მოსავლით კი მაინცდამაინც ვერც ის დაიკვეხნის. სულ მოუვლელობის ბრალია!

– აი, შენც ხომ ქირაობ მუშებს!

– ჩვენი საქმე სხვა არის. ჩვენ ყველაფერს თვითონ ვაკეთებთ. ცუდად გააკეთებს მუშა და გავაგდებთ. ჩვენ თვითონაც

გავართმევთ თავს.

– მამილო, ფინოგენმა თქვა, კუპრი მომიტანეო, – უთხრა ოთახში შემოსულმა კალოშებიანმა დედაკაცმა.

– ასეა, ბატონო, საქმე! – დასძინა მოხუცმა და წამოდგა, დინჯად გადაიწერა პირჯვარი, მადლობა მოახსენა ლევინს და ოთახიდან გავიდა.

როცა ლევინი სამყოფ სახლში შევიდა მეეტლის გამოსაძახებლად, ოჯახის მამაკაცები სუფრას უსხდნენ. დედაკაცები ფეხზე იდგნენ და ემსახურებოდნენ მათ. ახალგაზრდა, ზორბა ბიჭი, მოხუცის ვაჟიშვილი, რომელსაც ფაფით ჰქონდა პირი გამოტენილი, რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა და ყველანი ხარხარებდნენ, განსაკუთრებით გამხიარულებული იყო ის კალოშებიანი დედაკაცი, რომელიც ჯამებით წვნიანს არიგებდა.

შესაძლოა, ამ სანდომიანი სახის კალოშებიანმა დედაკაცმა დიდად შეუწყო ხელი, რომ ლევინს ასე მოეწონა ამ გლეხის ოჯახი. ეს შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერასგზით ვეღარ მოიცილა თავიდან. მთელი გზა, მოხუციდან სვიაჟსკიმდე, მალ-მალე ახსენდებოდა ეს მეურნეობა, თითქოს ამ შთაბეჭდილებაში იყო რაღაც ისეთი, რაც მის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა.

XXVI

სვიაჟსკი წინამძღოლი იყო თავისი მაზრისა, იგი ლევინზე ხუთი წლით უფროსი იყო და უკვე დიდი ხანია ცოლი შეერთო. მის ოჯახში ცხოვრობდა მისი ცოლისდა, რომელიც ძალიან მოსწონდა ლევინს. ლევინმა ისიც იცოდა, რომ სვიაჟსკი და მისი მეუღლე დიდად მოწადინებული იყვნენ, იგი ლევინისთვის მიეთხოვებინათ. ლევინმა იცოდა ეს და ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში, ისე როგორც იციან ხოლმე ახალგაზრდა ვაჟებმა, ეგრეთ წოდებულმა სასიძოებმა, თუმცა არასოდეს არავის გამოუტყდებოდა ამაში და ისიც იცოდა, რომ თუმცა

ძალიან უნდოდა ცოლის თხოვა და ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს მომხიბვლელი გოგონა მშვენიერი ცოლი იქნებოდა, მაგრამ კიტი შჩერბაცკაიაც რომ არ ჰყვარებოდა, მაინც მისი შერთვა ისევე შეუძლებლად მიაჩნდა, როგორც ცაში აფრენა და ამის ცოდნა უწამლავდა იმ სიამოვნებას, რასაც სვიაჟსკისთან სტუმრობით მოელოდა.

როგორც კი სვიაჟსკისაგან ნადირობაზე მიწვევის ბარათი მიიღო, ლევინმა მაშინვე გაიფიქრა ეს, მაგრამ მაინც გადაწყვიტა წასვლა, რადგან თვით სვიაჟსკის სულაც არ ჰქონდა ასეთი განზრახვა. ეს მხოლოდ მისი ვარაუდი იყო, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. გულის სიღრმეში კი მაინც უნდოდა გამოეცადა თავი და კვლავ აეწონ-დაეწონა ეს ქალიშვილი. სვიაჟსკის ოჯახური გარემო უაღრესად სასიამოვნო იყო და თვით სვიაჟსკიც, რომელიც საერობო მოღვაწის ყველაზე საუკეთესო ტიპი იყო, როგორსაც შეხვედროდა ლევინი, ყოველთვის ძალიან აინტერესებდა.

სვიაჟსკი ერთი იმათგანი იყო, რომლებიც მუდამ აოცებდნენ ლევინს, რომელთა მსჯელობა, ყოველთვის ძალიან თანამიმდევრული, მაგრამ თითქმის ყოველთვის სხვისგან გადმოღებული, თავისი გზით მიდის, ცხოვრება კი – თავისი გზით; მათი ცხოვრება ძალიან მტკიცე და გარკვეულია, მაგრამ არავითარ კავშირში არ არის მათ მსჯელობასთან და თითქმის ყოველთვის საწინააღმდეგოა ამ მსჯელობისა. სვიაჟსკი მეტისმეტად ლიბერალი იყო. თავადაზნაურობა სძულდა, მისი აზრით, თავადაზნაურთა უმრავლესობა ფარულად კვლავ ბატონყმობის მოტრფიალე იყო და მხოლოდ შიშის გამო ვერ ამჟღავნებდა ამას. რუსეთს, თურქეთის მსგავსად, დაღუპულ ქვეყნად თვლიდა, რუსეთის მთავრობა კი იმდენად უღირსად მიაჩნდა, რომ ნებას არასოდეს აძლევდა თავს სერიოზულად გაეკრიტიკებინა რუსეთის მთავრობის მოქმედება, ამავე დროს კი სახელმწიფო სამსახურში იყო, თავადაზნაურთა სამაგალითო წინამძღოლად ითვლებოდა და მგზავრობის დროს, ყოველთვის კოკარდიან, წითელარშიაშემოვლებულ ქუდს იხურავდა. მისი აზრით, ადამიანური ცხოვრება მხოლოდ საზღვარგარეთ შეიძლებოდა, სადაც პირველი შესაძლებლობისთანავე აპირებდა წასვლას. ამავე დროს, რუსეთში მეტად რთულსა და გაუმჯობესებული სახის მეურნეობას ეწეოდა, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყოველივეს და იცოდა ყველაფერი, რაც რუსეთში ხდებოდა.

რუსი გლეხი, მისი აზრით, მაიმუნიდან ადამიანად გარდაქმნის საფეხურზე იმყოფებოდა თავისი განვითარებით, ამავე დროს კი საერობო არჩევნებზე ხალისიანად ართმევდა გლეხებს ხელს და ისმენდა მათ აზრებს. სარწმუნოებისა არაფერი სჯეროდა, ამავე დროს მეტად დაინტერესებული იყო სამღვდელოების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებითა და მრევლის შემცირების საკითხით, თან განსაკუთრებით ზრუნავდა იმაზე, რომ მის სოფელში ეკლესია დაეტოვებინათ.

ქალთა საკითხში ქალთა სრული თავისუფლების უკიდურეს მომხრეთა მხარეზე იყო, განსაკუთრებით ქალთა შრომის უფლების საკითხში, ცოლთან კი ისე ცხოვრობდა, რომ ყველა სიამოვნებით შეჰყურებდა მათ მეგობრულ, უშვილო ოჯახურ ცხოვრებას და თავისი ცოლის ცხოვრებაც იმგვარად მოაწყო, რომ იგი არაფერს აკეთებდა და არც შეეძლო გაეკეთებინა, მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა, თავისი ცხოვრება ქმართან ერთად როგორმე უფრო მხიარულად გაეტარებინა.

ლევინს რომ ხასიათად არ ჰქონოდა, ყოველთვის კარგი მხრიდან დაენახა ადამიანები, სვიაჟსკი მისთვის ასე ძნელად გამოსაცნობი პიროვნება არ იქნებოდა; სულელი ან საძაგელი ადამიანიაო, იტყოდა და მისთვის ყველაფერი ნათელი შეიქნებოდა. მაგრამ არ შეეძლო ეთქვა სვიაჟსკიზე, სულელიაო, რადგან სვიაჟსკი არათუ ნამდვილად ჭკვიანი, ფრიად განათლებული ადამიანი იყო და სრულებით არ მოჰქონდა თავი თავისი განათლებით. არ არსებობდა ისეთი საგანი, მას რომ არ სცოდნოდა; მაგრამ ცოდნას მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნებდა, როცა იძულებული შეიქნებოდა. მით უფრო ნაკლებ შეეძლო ლევინს ეთქვა, საძაგელი ადამიანიაო, რადგან იგი ნამდვილად პატიოსანი, კეთილი და ჭკვიანი კაცი იყო, რომელიც მუდამ მხიარულად, ხალისით აკეთებდა საქმეს, რასაც დიდად აფასებდა ყველა მასთან ახლომყოფი და, ალბათ, შეგნებულად არასოდეს აკეთებდა რაიმე ცუდს და არც შეეძლო გაეკეთებინა.

ლევინი ცდილობდა, გამოეცნო ეს ადამიანი, მაგრამ ვერ ახერხებდა და ყოველთვის ისე უყურებდა სვიაჟსკისა და მის ცხოვრებას, როგორც ცოცხალ გამოცანას.

სვიაჟსკი ლევინის მეგობარი იყო და ამიტომაც ლევინი უფლებას აძლევდა თავს ბოლომდე ჩაჰკითხოდა და მისი აზრის საფუძველს ჩასწვდომოდა; მაგრამ ეს ცდა მუდამ ამაო

იყო. ყოველთვის, როცა კი ლევინი შეეცდებოდა მიეღწია სვიაჟსკის გონების მიუღწევ კუნჭულამდე, ამჩნევდა, რომ სვიაჟსკი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდებოდა; მის გამოხედვაშიც ოდნავ შესამჩნევი შიში იხატებოდა, თითქოს ეშინოდა, ლევინს არ ამოეცნო ყოველივე და მუდამ მხიარულ, გულკეთილ წინააღმდეგობას უწევდა.

ახლა, როცა ლევინს გული გაუტყდა თავის მეურნეობაზე, მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სვიაჟსკისთან ყოფნა. გარდა იმისა, რომ სიამოვნებას ჰგვრიდა ამ ბედნიერი, საკუთარი თავითა და სხვებით კმაყოფილი მტრედებისა და მათი კეთილმოწყობილი ბუდის ხილვა, ახლა, როცა ასე უკმაყოფილო იყო თავისი ცხოვრებით, განსაკუთრებულ სურვილს გრძნობდა ამოეკითხა სვიაჟსკისაგან ის საიდუმლო, რომელიც ასეთ სიცხადეს, გარკვეულობასა და სიხარულს ანიჭებდა მის ცხოვრებას. გარდა ამისა, იცოდა, რომ სვიაჟსკისთან მეზობელ მემამულეებსაც შეხვდებოდა, მისთვის კი ახლა ძალზე საინტერესო იყო მათთან საუბარი, მათი აზრების მოსმენა მოსავალზე, დაქირავებულ მუშახელსა და სხვა ამისთანებზე. თუმცა იცოდა, რომ ამგვარ საუბარს უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ ახლა ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა. „ეს შეიძლება უმნიშვნელო ყოფილიყო ბატონყმობის დროს, ან შეიძლება უმნიშვნელო იყო ინგლისში, ორივე შემთხვევაში თვით პირობები გარკვეულია, მაგრამ ჩვენში კი ახლა, როცა ყველაფერი გადატრიალდა და ყველაფერი თავიდან ყალიბდება, საკითხი იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს პირობები, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რუსეთისათვის“, – ფიქრობდა ლევინი.

ნადირობა ბევრად უფრო ცუდი აღმოჩნდა, ვიდრე ლევინი მოელოდა. ჭაობი დამშრალიყო და ლაინები სულ აღარ იყვნენ. მთელი დღე დახეტიალებდა და მხოლოდ სამი ლაინი მოინადირა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ნადირობიდან მოჰყვა შესანიშნავი მადა, მშვენიერი ხასიათი და გონებრივი აღგზნება, რასაც ყოველთვის იწვევდა მასში ძლიერი ფიზიკური მოძრაობა. მაგრამ ნადირობის დროს და მაშინაც, როცა ეგონა, არაფერზე ვფიქრობო, სულ ისევ და ისევ ის მოხუცი და მისი ოჯახი აგონდებოდა. თითქოს იქიდან წამოღებული შთაბეჭდილება მოითხოვდა არა მარტო ყურადღებას, არამედ თითქოს საჭირო იყო რაღაც გადაწყვეტილების გამოტანა.

საღამოს, ჩაიზე, ორი მემამულის თანდასწრებით, რომელნიც რაღაც სამეურნეო საქმეზე იყვნენ მოსული სვიაჟსკისთან, გაიბა სწორედ ის საინტერესო საუბარი, ლევინი რომ ელოდა.

ლევინი დიასახლისის გვერდით იჯდა ჩაის მაგიდასთან და ვალდებულად თვლიდა თავს საუბარი გაება დიასახლისსა და მათ პირდაპირ მჯდომ სვიაჟსკის ცოლისდასთან. დიასახლისი ქერა, პირმრგვალი, ტანმორჩილი ქალი იყო, სახე ყოველთვის უღიმოდა. ლევინს დიასახლისის მეშვეობით უნდოდა ამოეკითხა ის რთული ამოცანა, რომელსაც მისთვის მისი მეუღლე წარმოადგენდა, მაგრამ მოკლებული იყო თავისუფლად აზროვნების უნარს, რადგანაც მეტისმეტ უხერხულობას განიცდიდა. უხერხულობას კი იმიტომ განიცდიდა, რომ მის პირდაპირ მასპინძლის ცოლისდა იჯდა, რომელსაც, როგორც ლევინს ეჩვენებოდა, მისი გულისთვის ჩაეცვა განსაკუთრებული კაბა, რაღაც განსაკუთრებული, ტრაპეციის მსგავსი ამოჭრილი გულისპირით, საიდანაც თეთრი მკერდი მოუჩანდა.

ეს ოთხკუთხედად ამოღებული საგულე, მიუხედავად იმისა, რომ თოვლივით თეთრი გულმკერდი ჰქონდა, ან იქნებ ამიტომაც, თავისუფალი აზროვნების უნარს უკარგავდა. იგი ფიქრობდა და ამაში, ალბათ, ცდებოდა, რომ ეს ამოჭრილი საგულე მისი გულისთვის ჰქონდა გაკეთებული, მას კი უფლება არ ჰქონდა შეეხედა ამ საგულისათვის და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე აერიდებინა თვალი; ლევინს ეჩვენებოდა, რომ იგი ვიღაცას ატყუებდა, რომ საჭირო იყო რაღაცის ახსნა, მაგრამ ახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო და ამიტომ სულ წითლდებოდა, სულ შფოთავდა და უხერხულობას გრძნობდა. ეს უხერხულობა ლამაზ ცოლისდასაც გადაედო. დიასახლისი კი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას და განგებ ცდილობდა, როგორმე საუბარში ჩაეთრია და.

– თქვენ ამბობთ, – განაგრძო დიასახლისმა დაწყებული საუბარი, – რომ ჩემს ქმარს არ შეიძლება აინტერესებდეს ყველაფერი რუსული. პირიქით, საზღვარგარეთ იგი მხიარულად გრძნობს თავს, მაგრამ არასოდეს ისე არა, როგორც აქ. აქ იგი საკუთარ გარემოშია. აუარებელი საქმე აქვს და აქვს კიდეც იმის უნარი, ყველაფრით დაინტერესდეს. აჰ, თქვენ არ ყოფილხართ ჩვენს სკოლაში?

– დავინახე... პატარა სუროშემოხვეული სახლი, არა?

– დიახ, ეს სულ ნასტიას საქმეა, – უთხრა მან და თავის დაზე მიუთითა.

– თქვენ თვითონ ასწავლით? – ჰკითხა ლევინმა და შეეცადა თვალი აერიდებინა გულისპირისათვის, მაგრამ გრძნობდა, რომ საითაც უნდა გაეხედა, სულ ამ ამოჭრილ საგულეს ხედავდა.

– დიახ, მე თვითონ ვასწავლიდი და ვასწავლი კიდეც, მაგრამ ჩვენ მშვენიერი მასწავლებელი ქალიც გვყავს. ვარჯიშიც შემოვიღეთ.

– არა, გმადლობთ, ჩაის აღარ გეახლებით, – უპასუხა ლევინმა, იგრძნო, რომ უზრდელობას სჩადიოდა, მაგრამ ამ საუბრის გაგრძელება მის ძალას აღემატებოდა და აწითლებული ფეხზე წამოდგა, – იქიდან ძალიან საინტერესო საუბარი მესმის, – დაუმატა მან და მაგიდის მეორე მხარეს გასწია, სადაც თვით მასპინძელი და ორი მემამულე ისხდნენ. სვიაჟსკი გვერდშექცევით იჯდა სუფრასთან, მაგიდაზე დაყრდნობილი ხელით ფინჯანს აწვალებდა, მეორე ხელში კი საკუთარი წვერი ჩაებღუჯა, მიიტანდა ცხვირთან წვერს და ისევ გაუშვებდა, თითქოს ყნოსავსო. იგი გაბრწყინებული შავი თვალებით შეჰყურებდა მის წინ მჯდომ ჭაღარაულვაშიან მემამულეს, გაცხარებით რომ ლაპარაკობდა და ჩანდა, ერთობოდა მისი ლაპარაკით. მემამულე ხალხს უჩიოდა. ლევინისთვის ნათელი იყო, რომ სვიაჟსკიმ მემამულის ჩივილის საპასუხოდ იცოდა რაღაც ისეთი, რაც მთლიანად გაანადგურებდა მისი სიტყვების აზრს, მაგრამ თავისი მდგომარეობა პასუხის თქმის ნებას არ აძლევდა და სიამოვნებით ისმენდა მემამულის სასაცილო ლაპარაკს.

ჭაღარაულვაშიანი მემამულე, ეტყობოდა, ბატონყმობის თავგადაკლული ტრფიალი და სოფლის ძველი მკვიდრი იყო, რომელსაც გატაცებით უყვარდა მეურნეობა. ამის ნიშნებს ლევინი მის ჩაცმულობაშიც კი ხედავდა – მას ძველებური გახეხილი სერთუკი ეცვა და ემჩნეოდა, ნაკლებად ეგუებოდა; იგივე იხატებოდა მის გონიერ, მოღუშულ თვალებში, მის წყობილ რუსულ საუბარში, საუბრის ბრძანებით კილოში, რომელიც, ალბათ, კარგა ხანია შესისხლხორცებული ჰქონდა, მისი ლამაზი, მზემოკიდებული ხელების მტკიცე მოძრაობაშიც, რომლის უსახელო თითზეც ნიშნობის ძველებური ბეჭედი ეკეთა.

XXVII

– რომ არ მენანებოდეს, რაც გამიკეთებია... ბევრი შრომა მაქვს შიგ ჩადებული... ხელს ჩავიქნევდი ყველაფერზე, გავყიდდი ყველაფერს და წავიდოდი, ისე როგორც ნიკოლაი ივანიჩი წავიდა... ელენეს მოსასმენად, – თქვა მემამულემ და გონიერი მოხუცი სახე სიამოვნების ღიმილმა გაუბრწყინა.

– მაინც ხომ არ ანებებთ თავს, – უთხრა ნიკოლაი ივანოვიჩ სვიაჟსკიმ, – ჩანს, ხელსაყრელია.

– ხელსაყრელია იმით, რომ საკუთარ სახლში ვცხოვრობ, უსასყიდლოდ და უქირაოდ. მერედა სულ იმედი მაქვს, რომ გონს მოვა ხალხი. თორემ დამერწმუნეთ, ეს ლოთობა, გარყვნილება! ყველანი გაირყვნენ, არც ცხენი ჰყავთ, არც ძროხა, შიმშილით სული სძვრებათ. მაგრამ, აბა, სცადე, და დაიქირავეთ. სულ იმის ცდაში იქნება, რაიმე წაგიხდინოს, მერე მომრიგებელ მოსამართლესთანაც მიგიყვანს.

– ადექით და თქვენც უჩივლეთ მომრიგებელ მოსამართლესთან, – უთხრა სვიაჟსკიმ.

– ვუჩივლო? არავითარ შემთხვევაში! ისეთი ლაპარაკი ატყდება, რომ ჩივილს ვინღა დაეძებს? აი, ცხენსაშენშიც ბე აიღეს და წავიდნენ. მერედა რა ქნა მომრიგებელმა მოსამართლემ? გაამართლა. ყველაფერს ისევ თემის მოსამართლითა და მამასახლისით უდგას სული. ერთი ძველებურად გაწკეპლავს და ის იქნება. ეს რომ არ იყოს, უნდა მიანებო ყველაფერს თავი და გაიქცე სადმე, თავს უშველო!

მემამულეს, ეტყობოდა, სვიაჟსკის გაბრაზება უნდოდა, მაგრამ სვიაჟსკი ბრაზდებოდა კი არა, თავს ირთობდა ამით.

– აი, ჩვენ ხომ ვაწარმოებთ მეურნეობას ამ ღონისძიებათა გარეშე, – ღიმილით უთხრა მან, – მე, ლევინი, ის.

სვიაჟსკიმ მეორე მემამულეზე მიუთითა.

– ჰო, აბა, ერთი მიხაილ პეტროვიჩს ჰკითხეთ, როგორ მიდის მაგასთან საქმე? განა ეს არის რაციონალური მეურნეობა? – თქვა მემამულემ, რომელიც, ეტყობოდა, თავს იწონებდა სიტყვა „რაციონალურით“.

– ჩემი მეურნეობა მარტივია, – თქვა მიხაილ პეტროვიჩმა, – და არც ღმერთს ვემდური. მთავარია, საშემოდგომო

გადასახადებისათვის ფული მზად მქონდეს. მოდიან გლეხები, დაგვიხსენით, მამავ ბატონოო, მეხვეწებიან. სულ ჩემი მეზობელი გლეხები არიან. მეც შემებრალება, ავდგები, წინასწარ მივცემ ერთ მესამედს და ვეტყვი: გახსოვდეთ, ბიჭებო, მე თქვენ დაგეხმარეთ და თქვენც უნდა მომეშველოთ, როცა დამჭირდება: თესვა იქნება თუ თივის აღება... ჰოდა, თავიდანვე შევიპირებ რამდენიმე უღელს. მართალია, ზოგი უსინდისოც აღმოჩნდება ხოლმე მათ შორის.

ლევინმა, რომელიც დიდი ხანია იცნობდა ამ პატრიარქალურ ხერხებს, სვიაჟსკის გადახედა, მიხაილ პეტროვიჩს ლაპარაკი შეაწყვეტინა და ჭაღარაულვაშიან მემამულეს მიუბრუნდა: – მაშ, თქვენ როგორ ფიქრობთ? – ჰკითხა მან, – რანაირად უნდა გავუძღვეთ ახლა მეურნეობას?

– ისე უნდა გაუძღვე, როგორც მიხაილ პეტროვიჩი უძღვება, ან სანახევროდ უნდა მისცე, ან დაქირავებული გლეხებით დაამუშაო. ეს შესაძლებელია, მაგრამ სწორედ ეს ანადგურებს საერთო სახელმწიფო ქონებას. ბატონყმობის დროს კარგად მოვლილი მიწა ერთი ცხრად იძლეოდა მოსავალს, ახლა, როცა სანახევროდ არის გაცემული, ერთი სამად იძლევა. ემანსიპაციამ დაღუპა რუსეთი!

სვიაჟსკიმ მოღიმარი თვალებით გადახედა ლევინს, რაღაც ანიშნა კიდეც დაცინვით. მაგრამ ლევინს მემამულის ლაპარაკი სულ არ ეჩვენებოდა სასაცილოდ. მას მემამულის გულისტკივილი უკეთ ესმოდა, ვიდრე სვიაჟსკისა. ბევრი რამ, რაც შემდეგ ილაპარაკა მემამულემ და რაც ამტკიცებდა, რატომ დაღუპა რუსეთი ემანსიპაციამ, არათუ სრულ ჭეშმარიტებად მოეჩვენა, არამედ ბევრი რამ ახალი და უდავო იყო მისთვის. მემამულეს ეტყობოდა, თავის საკუთარ აზრს ამბობდა, რაც ასე იშვიათად ხდება ხოლმე, და ეს აზრი უქმად მყოფი გონების გასართობად კი არა, მისი საკუთარი ცხოვრების გარემოცვაში წარმოიშვა, სოფლის განმარტოებულ ცხოვრებაში გამოიცადა და ყოველმხრივ მოფიქრებულ იქნა.

– მოგეხსენებათ, რომ ყოველგვარ პროგრესს თვით ხელისუფლებამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი, – ამბობდა იგი და ეტყობოდა, ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ განათლება არ აკლია, – აიღეთ თუნდაც პეტრეს, ეკატერინესა და ალექსანდრეს რეფორმები, გადახედეთ ევროპის ისტორიას და მით უმეტეს მიწათმოქმედების საკითხებში გატარებულ

პროგრესს. აი, თუნდაც კარტოფილი – ეს ხომ ძალად შემოიტანეს ჩვენში. კავითაც ხომ ყოველთვის არ ხნავდნენ. ისიც, ალბათ, საუფლისწულო მამულებში შემოიღეს და, ალბათ, ძალით. ჩვენს დროში, ბატონყმობის დროს, მემამულეები მეურნეობას გაუმჯობესებული იარაღებით ვეწეოდით. საშრობი, სანიავებელი, სასუქის გატანა, ყველა იარაღი ჩვენი ნებით შემოვიტანეთ. გლეხები ჯერ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მერე მხარი დაგვიჭირეს. ახლა კი, როცა ბატონყმობა მოისპო, ჩვენ წაგვართვეს ამის უფლება და ჩვენი მეურნეობა იქაც, სადაც მაღალ დონეზე იდგა, უნდა ჩამოქვეითდეს, სულ გაველურდეს, პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდეს. მე ასე მესმის ეს.

– მერედა, რატომ? თუკი მეურნეობა რაციონალურია, ხომ შეგიძლიათ დაქირავებული მუშახელით აწარმოოთ? – ჰკითხა სვიაჟსკიმ.

– ნება მომეცით, გკითხოთ: ძალაუფლება არა გვაქვს და ვისი საშუალებით უნდა ვაწარმოოთ?

„აი, ის – მუშახელი, მეურნეობის მთავარი ელემენტი“, – გაიფიქრა ლევინმა.

– მუშების საშუალებით.

– მუშებს არ უნდათ კარგად მუშაობა, კარგი იარაღებით. ჩვენმა მუშამ მხოლოდ ერთი რამ იცის, დალევს და ღორივით გასკდება. მთვრალი კი, რასაც მისცემ, ყველაფერს გაგიფუჭებს. ცხენებს წყლის სმით მოკლავს, მოსართავებს დაუწყვეტს, კარგ რეზინის ბორბალს გამოგიცვლის და ლოთობაში მიფლანგავს, სალეს მანქანაში ტაბიკს შეურჭობს და გატეხს, გულს ურევს ყოველივე იმის დანახვა, რაც მისებურად არ არის მოწყობილი. ამიტომ დაეცა მეურნეობის დონე. მიწები უპატრონოდ არის მიტოვებული, ან სარეველა მოერია, ან გლეხებს დაურიგდათ. იქ, სადაც წინათ მილიონი საწყაო მოჰყავდათ, ახლა ასი ათასს იღებენ; საერთო სიმდიდრე შემცირდა. იგივე რომ გაეკეთებინათ, ოღონდ ეანგარიშათ...

და იგი მოჰყვა გათავისუფლების თავისებურ გეგმას, რომლის დროსაც ეს სიძნელეები თავიდან იქნებოდა აცილებული.

ლევინს არ აინტერესებდა ეს და როცა მემამულე ლაპარაკს მორჩა, ისევ პირველ დებულებას დაუბრუნდა და სვიაჟსკის

მიმართა, უნდოდა როგორმე საუბარში ჩაერია და ეთქმევინებინა თავისი სერიოზული შეხედულება.

– ის გარემოება, რომ მეურნეობის საერთო დონე ეცემა ჩვენი და მუშახელის ასეთი ურთიერთობის წყალობით, არ არის ხელსაყრელი საშუალება რაციონალური მეურნეობის საწარმოებლად, ეს სრული სიმართლეა, – თქვა ლევინმა.

– არა მგონია, – უკვე სერიოზულად შეეკამათა სვიაჟსკი, – მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ ჩვენ არ ვიცით მეურნეობის გაძღოლა, რომ, პირიქით, ბატონყმობის დროინდელი მეურნეობა მეტად მაღლა კი არა, ძალიან დაბლა დგას. ჩვენ არა გვაქვს მანქანები, არც კარგი მუშა საქონელი გვყავს, არც ნამდვილი მეურნეობის გაძღოლა ვიცით და არც ანგარიში. აბა, ერთი ჰკითხეთ მეურნეობის პატრონს, მან არც კი იცის, რა არის მისთვის ხელსაყრელი და რა არა.

– იტალიური ბუღალტერია, – ირონიულად შენიშნა მემამულემ, – იქ, რაც უნდა იანგარიშო, ისე გაგიფუჭებენ ყველაფერს, რომ მოგებას ვერ ნახავ.

– რატომ გაგიფუჭებენ? ცუდ სალეწ მანქანას, თქვენს რუსულ საცეხველას გატეხენ, ჩემს ორთქლის მანქანას კი არა. რუსულ ჯაგლაგებს, რას ეძახიან? სათრევ ჯიშს, კუდით რომ უნდა თრევა, არ მოუვლიან, მაგრამ აბა, მოაშენეთ პერშერონები ან უფრო გამძლე ცხენები, იმას გაუფრთხილდებიან. ასეა ყველაფერი. ჩვენ უნდა ავამაღლოთ ჩვენი მეურნეობა.

– დიახაც კარგია, ნიკოლაი ივანიჩ, საშუალება რომ იყოს. თქვენთვის ეს იოლია. მე კი ვაჟიშვილს უნივერსიტეტში უნდა ვასწავლო. უმცროსებიც გიმნაზიაში უნდა ვატარო, ასე რომ, მე პერშერონებს ვერ ვიყიდი.

– სწორედ ამიტომაც არის ბანკები.

– რომ უკანასკნელი ქონება საჯაროდ გამიყიდონ ხომ? არა, მადლობელი გახლავართ!

– მე არ ვეთანხმები ამ აზრს, რომ საჭიროა და შესაძლებელია ავამაღლოთ ჩვენი მეურნეობა, – შენიშნა ლევინმა, – მე ხელი მოვკიდე ამ საქმეს, მაქვს კიდეც ამის საშუალება, მაგრამ ვერაფერს გავხდი. არ ვიცი, ვისთვის არის სასარგებლო ბანკები, მე, ყოველ შემთხვევაში, რამდენი ფული ჩავყარე მეურნეობაში

და სულ ზარალია: საქონელი ზარალია, მანქანები ზარალია.

– ეს მართალია, – დაუდასტურა ჭაღარაულვაშიანმა მემამულემ და ჩაიცინა კიდეც სიამოვნებისაგან.

– და მე მარტო არა ვარ, – განაგრძო ლევინმა, – შემიძლია დავიმოწმო ყველა მეურნე, რომელსაც რაციონალურად მიჰყავს თავისი მეურნეობა; ყველას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზარალი აქვს. აბა, თქვენ მეტყვით, რომ თქვენი მეურნეობა ხელსაყრელია? – უთხრა ლევინმა და სვიაჟსკის გამოხედვაში მაშინვე შენიშნა ის წუთიერი შიში, რომელსაც ყოველთვის ამჩნევდა, როცა ვინმე მოიწადინებდა მისი გონების ფარულ კუნჭულში ჩახედვას.

გარდა ამისა, ამ კითხვის დასმა ლევინისგან სავსებით კეთილსინდისიერი როდი იყო. სწორედ ჩაიზე მოახსენა დიასახლისმა, ამ ზაფხულს მოსკოვიდან ბუღალტერიის მცოდნე გერმანელი მოვიწვიეთ, რომელიც ხუთასი მანეთით დავასაჩუქრეთ; მან აღრიცხა მთელი ჩვენი მეურნეობა და აღმოაჩინა, რომ სამი ათას მანეთსა და კიდევ რაღაც მანეთებს ზარალს იძლევაო. დიასახლისს ზუსტად არ ახსოვდა, რამდენი იყო, მაგრამ გერმანელმა მგონი კაპიკის მეოთხედი ზარალიც კი იანგარიშა.

სვიაჟსკის მეურნეობა რომ ახსენეს, მემამულეს გაეღიმა, ეტყობოდა, იცოდა, რა მოგება უნდა ჰქონოდა მის მეზობელსა და წინამძღოლს.

– შეიძლება, არ არის ხელსაყრელი, – უპასუხა სვიაჟსკიმ, – ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ან მე ვარ ცუდი მეურნე, ან კაპიტალს რენტის გასადიდებლად ვხარჯავ.

– აჰ, ეს რენტა! – აღშფოთებით წამოიძახა ლევინმა, – შეიძლება არსებობს ეს რენტა ევროპაში, სადაც მიწის გამოსავალი მასზე დახარჯული შრომის ხარჯზე გაიზარდა, მაგრამ ჩვენი მიწა კი მასზე დახარჯული შრომის გამო უფრო ცუდი ხდება, ესე იგი თესვისაგან იფიტება, ასე რომ, ჩვენში რენტა არ არსებობს.

– როგორ თუ არ არსებობს? ეს კანონია?

– მაშ, ჩვენ კანონგარეშე ვყოფილვართ. რენტა ჩვენ ვერაფერს განგვიმარტავს, პირიქით, სულ თავგზას აგვიბნევს. არა, თქვენ ისე მითხარით, როგორ შეიძლება მოძღვრება რენტის შესახებ...

– მაწონი არ გნებავთ? მაშა, გამოგვიგზავნეთ აქ მაწონი ან ჟოლო, – მიმართა სვიაჟსკიმ ცოლს, – წელს ძალიან დიდხანს შემორჩა ჟოლო, – და შესანიშნავ გუნებაზე მყოფი სვიაჟსკი წამოდგა, გაშორდა მოკამათეებს, ეტყობოდა, საუბარი გათავებულად ჩათვალა სწორედ მაშინ, როცა ლევინმა იფიქრა, ახლა იწყებაო.

მართალია, მოსაუბრე გამოაკლდათ, მაგრამ ლევინმა მაინც განაგრძო საუბარი მემამულესთან, ცდილობდა, დაემტკიცებინა მისთვის, ყოველივე ეს სიძნელე იქიდან მოდის, რომ ჩვენ არ გვინდა ვიცოდეთ ჩვენი მუშის თავისებურება, მისი ზნე-ჩვეულებაო. მაგრამ მემამულე, როგორც ყველა თავისებური, განმარტოებით მოაზროვნე, ძნელად თუ გაიგებდა სხვის აზრს და განსაკუთრებით სჯეროდა თავისი. ის კვლავ იმას იჟინებდა, რომ რუსი გლეხი ღორია, უყვარს ღორობა და ამ ღორობიდან მის გამოსაყვანად საჭიროა ძალაუფლება, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია, საჭიროა ჯოხი, ჩვენ კი ისეთი ლიბერალები გავხდით, რომ ათასწლიანი ჯოხი უეცრად შევცვალეთ ვექილებითა და დატუსაღებით, რომლის დროსაც არაფრის მაქნის, აყროლებულ გლეხებს მშვენიერ წვენს აჭმევენ და მათთვის ჰაერს კუბური მეტრობით ანგარიშობენო.

– რატომ ფიქრობთ, – ეკითხებოდა ლევინი და ცდილობდა ისევ იმ საკითხს დაბრუნებოდა, – რომ შეუძლებელია ისეთი ურთიერთობა მუშახელთან, რომლის დროსაც მუშაობა ნაყოფიერი იქნება?

– რუს ხალხთან ეს არასოდეს არ იქნება! ძალაუფლება არა გვაქვს, – უპასუხა მემამულემ.

– როგორღა უნდა გამოინახოს ახალი პირობა? – ჩაერია საუბარში სვიაჟსკი, რომელმაც მაწონი მიირთვა, პაპიროსი გააბოლა და ახლა ისევ მოკამათეებს შეუერთდა, – ყველა შესაძლებელი ურთიერთობა მუშახელთან გარკვეულია და შესწავლილიც არის, – თქვა მან, – ბარბაროსობის ნაშთი – პირველყოფილი თემი ურთიერთთავდებობით თავისთავად იშლება, ბატონყმური ხელისუფლება მოისპო, რჩება მხოლოდ თავისუფალი შრომა, რომლის ფორმაც უკვე გარკვეული და გამზადებულია, ჩვენც ამ ფორმებს უნდა მივმართოთ. მოჯამაგირე, დღიური მუშა, ფერმერი – ამას ვერასოდეს გავექცევით.

– მაგრამ ევროპა უკმაყოფილოა ამ ფორმით.

– უკმაყოფილოა და ეძებს ახალს. ალბათ, იპოვის კიდეც.

– მეც მაგას ვამბობ, – უპასუხა ლევინმა, – რატომ ჩვენც არ უნდა ვეძიოთ?

– ეს იგივეა, რომ ეძიო ახალი ხერხი რკინიგზის გასაყვანად, როცა ის უკვე გამზადებული და გამოგონილია.

– მაგრამ, თუ იგი ჩვენ არ გამოგვადგება, თუ სულელურია? – თქვა ლევინმა.

და სვიაჟსკის თვალებში ლევინმა კვლავ იგივე შიში შენიშნა.

– ჰო, ამ საკითხში კი კუდით ქვას ვასროლინებთ! ჩვენ უკვე ვიპოვეთ ის, რასაც ევროპა ეძებს. ყოველივე ეს მე ვიცი, მაგრამ, მაპატიეთ, იცით თუ არა თქვენ ყოველივე ის, რაც ევროპაში მუშების კეთილმოსაწყობად არის გაკეთებული?

– არა, კარგად არ ვიცი.

– ამ საკითხზე ფიქრობს ახლა ევროპის ყველა საუკეთესო მოაზროვნე. შულცე-დელიჩის მიმართულება... მერე ის უზარმაზარი ლიტერატურა, რომელიც მუშათა საკითხს ეხება, ლასალის ყველაზე უფრო ლიბერალური მიმართულება... მილჰაუზენის წყობილება... თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ეს უკვე ფაქტია.

– გამიგონია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ამაზე.

– არა, თქვენ ისე ამბობთ ამას; ეს, ალბათ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. მე, როგორც იცით, პროფესორი არ გახლავართ სოციალურ საკითხში, მაგრამ დამაინტერესა ამან. თუ თქვენც მართლა გაინტერესებთ, მოჰკიდეთ ხელი.

– მერე, რა დასკვნამდე მივიდნენ?

– მაპატიეთ...

მემამულეები წამოდგნენ, სვიაჟსკიც თავისი სტუმრების გასაცილებლად წამოდგა და კვლავ ხელი შეუშალა ლევინს – ჩაეხედა მისი გონების ფარულ კუნჭულებში.

XXVIII

ლევინმა იმ საღამოს აუტანელი მოწყენილობა იგრძნო მანდილოსნებთან. განსაკუთრებით აღელვებდა ის აზრი, რომ მარტო ის არ იყო უკმაყოფილო მეურნეობის წარმოებით, რომ ასეთ პირობებში იმყოფებოდა ეს საქმე მთელ რუსეთში, და იმგვარი ურთიერთობის დამყარება მუშებთან, როცა ისინი ისე იმუშავებდნენ, როგორც იმ შუაგზაზე შეხვედრილ გლეხებთან მუშაობდნენ, ოცნება კი არა, ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა აუცილებელია. იგი ფიქრობდა, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია და უნდა გადაიჭრას კიდეც.

ლევინი გამოეთხოვა მანდილოსნებს და შეჰპირდა, რომ ხვალაც მთელ დღეს მათთან გაატარებდა, რათა ერთად წასულიყვნენ სახაზინო ტყეში საინტერესო ხრამის დასათვალიერებლად. დაძინებამდე ლევინი მასპინძლის კაბინეტში შევიდა, უნდოდა გამოერთმია თვით მასპინძლის მიერ შეთავაზებული წიგნები მუშახელის თაობაზე. სვიაჟსკის კაბინეტი წარმოადგენდა უზარმაზარ ოთახს, სადაც წიგნებით სავსე კარადები და ორი დიდი მაგიდა იდგა: ერთი დიდი საწერი მაგიდა და მეორე, მრგვალი მაგიდა, რომელზეც ლამპის ირგვლივ ვარსკვლავისებურად ელაგა სხვადასხვა ენაზე გამოსული ჟურნალების უკანასკნელი ნომრები. საწერ მაგიდასთან უჯრებიანი კარადა იდგა. უჯრებზე ოქროს იარლიყები ეკეთა. თითოეული მათგანი სხვადასხვა საქმისათვის იყო განკუთვნილი.

სვიაჟსკიმ წიგნები გამოიღო და თვითონ საქანაო სავარძელში ჩაჯდა.

– რას უყურებთ? – ჰკითხა მან ლევინს, რომელიც მრგვალ მაგიდასთან იდგა და ჟურნალებს ათვალიერებდა.

– ჰო, მანდ ერთი საინტერესო სტატიაა, – თქვა სვიაჟსკიმ იმ ჟურნალის შესახებ, ლევინს რომ ეჭირა ხელში, – თურმე, – მხიარულად, ხალისიანად დასძინა მან, – პოლონეთის გაყოფაში სულაც არ ყოფილა მთავარი დამნაშავე ფრიდრიხი. აღმოჩნდა...

და იგი თავისებური გარკვეულობით მოუყვა ლევინს იმ ახალი, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენების ამბავს. მიუხედავად იმისა, რომ ლევინს ახლა ყველაზე მეტად მეურნეობის საკითხები აინტერესებდა, მაინც ყურს უგდებდა

მასპინძელს, გულში კი ფიქრობდა: „ნეტავ რა უდევს გულში? რატომ, რატომ არის მისთვის ასე საინტერესო პოლონეთის გაყოფა?“ როცა სვიაჟსკიმ ამ ამბის მოყოლა დაამთავრა, ლევინმა უნებურად ჰკითხა: „მერე რა მოხდა?“ მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. საინტერესო მხოლოდ ის იყო, რომ „თურმე ასე აღმოჩნდა“. მაგრამ სვიაჟსკის არ აუხსნია და არც საჭიროდ მიუჩნევია იმის ახსნა, რატომ იყო მისთვის საინტერესო ეს ამბავი.

– ჰო, მე ძალიან დამაინტერესა იმ გაგულისებულმა მემამულემ, – დაიწყო ლევინმა და თან ამოიოხრა, – ჭკვიანი კაცია და ბევრ სიმართლესაც ამბობს.

– ეჰ, კარგი ერთი! ეგ მოურჯულებელი მოტრფიალეა ბატონყმობისა. ასე არიან ეგენი ყველანი! – უპასუხა სვიაჟსკიმ.

– რომელთა წინამძღოლიც თქვენა ხართ...

– დიახ, მხოლოდ მე სხვა მხრივ ვწინამძღოლობ მათ, – სიცილით უთხრა სვიაჟსკიმ.

– მე აი რა მაინტერესებს, – უთხრა ლევინმა, – ის მართალია, რომ ჩვენი საქმე, ესე იგი რაციონალური მეურნეობის საქმე, კარგად ვერ მიდის. მხოლოდ იმ მევახშური მეურნეობის საქმე მიდის კარგად, როგორიც იმ ჩუმჩუმელა მემამულეს ჰქონია, ან საერთოდ მარტივი მეურნეობისა. ვინ არის ამაში დამნაშავე?

– რაღა თქმა უნდა, ისევ ჩვენ ვართ დამნაშავე. ისიც არ არის მართალი, საქმე კარგად ვერ მიდისო. ვასილჩიკოვს ხომ კარგად მიუდის საქმე.

– იმას ქარხანა აქვს...

– მე მაინც ვერ გამიგია, რა გაოცებთ, ხალხი მატერიალურადაც და ზნეობრივადაც ისეთ დაბალ საფეხურზე დგას, რომ ცხადია, წინააღმდეგობას გაუწევს ყველაფერს, რაც კი უცხოა მისთვის. ევროპაში იმიტომ ვითარდება რაციონალური მეურნეობა, რომ ხალხი განვითარებულია; მაშასადამე, ჩვენც უნდა მივცეთ ხალხს განათლება. ესაა და ეს.

– მაგრამ რანაირად უნდა გავანათლოთ ეს ხალხი?

– ხალხის გასანათლებლად საჭიროა სამი რამ: სკოლები, სკოლები და კიდევ სკოლები...

– ახლა არა თქვით, ხალხი მატერიალურადაც ძალიან დაბლა დგასო. სკოლები რაღას უშველის?

– იცით, მე თქვენ ანეკდოტს მაგონებთ, ავადმყოფს რომ ურჩიეს: „სასაქმებელი გესინჯათ“. „ვცადე, მაგრამ უარესი მიყო“. „წურბლები სცადეთ“. „ეგეც ვცადე, მაგრამ არც მაგაშია სიკეთე“. „მაშ, ღმერთს ევედრეთ და ის იქნება“. „ეგეც ვცადე, მაგრამ უარესია“. ჩვენი საქმეც ასეა. მე გთავაზობთ პოლიტიკურ ეკონომიას, თქვენ ამბობთ, უარესიაო; სოციალიზმი – უარესიაო, განათლება – უარესიაო.

– სკოლები მაინც რას უშველის?

– სხვა მოთხოვნილებებს აღუძრავს.

– აი, ეს კი ყოველთვის გაუგებარია ჩემთვის, – გაცხარებით შეეპასუხა ლევინი, – რანაირად გააუმჯობესებენ სკოლები ხალხის მატერიალურ მდგომარეობას? თქვენ ამბობთ, სკოლები, განათლება ახალ მოთხოვნებს აღძრავს მათშიო. მით უარესი იმათთვის, იმიტომ, რომ ვერ შეძლებენ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარია, მიმატება-გამოკლებისა და კატეხიზმოს ცოდნა რანაირად დამეხმარება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში? ამ ორი დღის წინ შევხვდი ერთ დედაკაცს, ძუძუმწოვარა ბავშვი ეჭირა ხელში. ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი. „ბებიაქალთან ვიყავი. ბიჭს ეს ერთი ხანია ტირილი დასჩემდა და მოსარჩენად მყავდა“. მერე ბებია ქალი როგორ მოარჩენს-მეთქი, ვკითხე. „ბავშვს ქათმებთან ერთად ქანდარაზე შემოსვამს და თან რაღაცას ჩასჩურჩულებსო“.

– ჰოდა, აი, თქვენ თვითონვე ამბობთ! იმაში უშველის, რომ ბავშვს ქანდარაზე შემოსასმელად აღარ წაიყვანს, – მხიარულად დასძინა სვიაჟსკიმ.

– აჰ, არა! – წყენით თქვა ლევინმა, – ეს მკურნალობა მე ხალხის სკოლებით მკურნალობას მაგონებს. ხალხი ბეჩავია და გაუნათლებელი, ამას ჩვენ ისევე ნათლად ვხედავთ, როგორც ის დედაკაცი ხედავდა იმას, რომ ბავშვი გაუთავებლად ტიროდა. მაგრამ ამ სიბეჩავესა და გაუნათლებლობას როგორ უშველიან სკოლები, ეს ისევე გაუგებარია ჩემთვის, როგორც ის, თუ რას უშველიან ბავშვის ტირილს ქანდარაზე მსხდომი ქათმები. ჯერ იმას უნდა ეშველოს, რისგანაც ხალხია დაბეჩავებული.

– მაგრამ ამაში მაინც ეთანხმებით სპენსერს, რომელიც თქვენ ასე არ გიყვართ. ისიც იმას ამბობს, რომ განათლება უაღრესი კეთილმოწყობის, კარგი ცხოვრებისა და ხშირი ბანაობის შედეგია და არა კითხვისა და ანგარიშის ცოდნისაო.

– მაშ, ჩემთვის ძალიან სასიხარულო ან, პირიქით, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი აზრი სპენსერის აზრს დაემთხვა. მხოლოდ მე დიდი ხანია ვიცი, რომ სკოლები არაფერს უშველის, საჭიროა ისეთი ეკონომიკური წყობილება, რომლის დროსაც ხალხი უფრო მდიდარი იქნება, მაშინ სკოლებიც გაჩნდება.

– ახლა მთელ ევროპაში სკოლები სავალდებულოა.

– თქვენ როგორღა ეთანხმებით ამაში სპენსერს? – ჰკითხა ლევინმა, მაგრამ სვიაჟსკის თვალებში კვლავ იმავე შიშმა გაიელვა და მან ღიმილით უთხრა: – არა, ეს ბავშვის ტირილის ამბავი შესანიშნავია! ნუთუ თქვენ თვითონ ნახეთ?

ლევინი მიხვდა, რომ ვერასგზით ვერ გაიგებს, რა კავშირი აქვს ამ ადამიანის ცხოვრებას მის აზრებთან. ეტყობოდა, მისთვის სულერთი იყო, სად მიიყვანდა თავისი მსჯელობა. მისთვის მხოლოდ მსჯელობის პროცესი იყო საინტერესო, მაგრამ არ უყვარდა, როცა თავისი მსჯელობა გაუვალ ჩიხში მოამწყვდევდა, ყოველთვის გაურბოდა ამას და საუბარს რაიმე სასიამოვნო, მხიარულ საგანზე გადაიტანდა ხოლმე.

დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებმა, დაწყებული იმ შუაგზაზე შეხვედრილი გლეხით, რომელიც თითქოს ბაზისი იყო ყველა მისი დღევანდელი დღის შთაბეჭდილებისა და ფიქრისა, მეტისმეტად ააღელვა ლევინი. ეს მეტად სასიამოვნო სვიაჟსკიც, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ჰქონდა თავისი აზრები, რომ საზოგადოებაში გამოეყენებინა და რომელსაც, ეტყობოდა, ჰქონდა თავისთვის რაღაც სხვა შეხედულებები ცხოვრებაზე, რასაც არ უზიარებდა ლევინს, და ამავე დროს მისთვის უცხო აზრებით ხელმძღვანელობდა ბრბოს, რომლის სახელი ლეგიონია; ეს გაბოროტებული მემამულეც, რომელიც სავსებით მართალი იყო თავის მსჯელობაში, მაგრამ მართალი არ იყო იმაში, რომ ასე გაბოროტებული იყო მთელი კლასის, რუსეთის საუკეთესო კლასის მიმართ; უკმაყოფილება საკუთარი საქმიანობით და ბუნდოვანი იმედი იმისა, რომ ყოველივე ამის გამოსწორება შეიძლებოდა – ყოველივე ეს

შინაგანად აშფოთებდა და იმედი ჰქონდა, სულ მალე მიიღებდა რაღაც გადაწყვეტილებას.

მისთვის განკუთვნილ ოთახში მარტოდ დარჩენილ ლევინს დიდხანს აღარ დაეძინა ზამბარებიან საწოლზე, რომელიც ხელის ან ფეხის მოძრაობაზე ზევით ახტუნებდა. სვიაჟსკის საუბარი სულაც არ იყო საინტერესო ლევინისათვის, თუმცა მან ბევრი გონივრული რამ თქვა, მაგრამ მემამულის შთაბეჭდილებები კი ღირსი იყო განსჯისა. ლევინს უნებლიეთ აგონდებოდა ყოველი მისი სიტყვა და გონებაში ასწორებდა იმას, რაც მან უპასუხა. „ჰო, მე ასე უნდა მეთქვა: თქვენ ამბობთ, ჩვენი მეურნეობა იმიტომ არ მიდის კარგად, რომ გლეხს სძულს ყოველგვარი გაუმჯობესება, რომ იგი ხელისუფლებამ უნდა შემოიღოს; თქვენ მართალი იქნებოდით, რომ ასეთი გაუმჯობესებული მეურნეობა არსად არ წასულიყო კარგად. მაგრამ ის მაინც ვითარდება და ვითარდება იქ, სადაც მუშა თავის ჩვეულებათა შესაბამისად მოქმედებს, როგორც იმ მოხუცთან, შუაგზაზე რომ შემხვდა. თქვენი და ჩვენი საერთო უკმაყოფილება მეურნეობით იმის მაჩვენებელია, რომ ან ჩვენ ვართ დამნაშავე, ან მუშები. ჩვენ დიდი ხანია ჩვენებურად, ევროპულად ვჭრით ყველაფერს და ანგარიშს არ ვუწევთ მუშახელის თავისებურებას. ვცადოთ ისე, რომ ჩვენი მუშა მივიღოთ არა იდეალურ მუშახელად, არამედ რუს გლეხკაცად, ყველა თავისი ინსტინქტით და ამის შესაბამისად მოვაწყოთ მეურნეობა. წარმოიდგინეთ-მეთქი, უნდა მეთქვა მისთვის, რომ თქვენც იმ მოხუცივით წარმართეთ მეურნეობა, მიაგნეთ მუშახელის დაინტერესებისა და მუშაობის წარმატების საშუალებას, მიაგნეთ გაუმჯობესებათა იმ საშუალო წერტილს, რომელიც მათ მისაღებად მიაჩნიათ, და თქვენ წინანდელზე ორჯერ-სამჯერ მეტ მოსავალს მიიღებთ, ისე, რომ ნიადაგსაც არ გამოფიტავთ. გაყავით შუაზე, მიეცით ნახევარი მუშას; სხვაობა, რომელიც თქვენ დაგრჩებათ, უფრო მეტი იქნება და მუშაც უფრო მეტს მიიღებს. ამისათვის კი საჭიროა, მეურნეობის დონე დაქვეითდეს, ხოლო მუშახელი კი დავაინტერესოთ მეურნეობის წარმატებით. როგორ გავაკეთოთ ეს – ამის გადაწყვეტა წვრილმანებში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ეჭვი არ არის, ამის გაკეთება შეიძლება“.

ამ აზრმა მეტისმეტად ააღელვა ლევინი. შუაღამემდე თვალი არ მოუხუჭავს, დაწვრილებით მოიფიქრა, როგორ უნდა მოეყვანა ეს აზრი სისრულეში. ხვალისათვის არ აპირებდა წასვლას,

მაგრამ ახლა კი გადაწყვიტა დილაადრიანვე წასულიყო. გარდა ამისა, ეს ცოლისდა თავისი გულამოჭრილი კაბით რაღაც სირცხვილისა და სინანულის გრძნობას იწვევდა მასში, თითქოსდა მეტისმეტად ცუდი საქციელის გამო. მთავარი ის იყო, სახვალიოდ არ გადაედო წასვლა და აუცილებლად წასულიყო. უნდოდა მიესწრო გლეხებისათვის, სანამ საშემოდგომო თესვას დაამთავრებდნენ, რათა ახალი პროექტი შეეთავაზებინა მათთვის და მათაც ახალი პროექტის საფუძველზე დაეთესათ. ლევინმა გადაწყვიტა, ძირფესვიანად შეეცვალა თავისი მეურნეობა.

XXIX

ლევინის გეგმის განხორციელებას ბევრი სიძნელე ეღობებოდა წინ, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებდა და, მართალია, რაც სურდა, იმას ვერ მიაღწია, მაგრამ ახლა უკვე შეეძლო თავის მოუტყუებლად ერწმუნა, რომ ამ საქმისათვის ღირდა მუშაობა. მთავარი სიძნელე ის იყო, რომ მეურნეობა თავისი გზით მიდიოდა, არ შეიძლებოდა ყველაფრის გაჩერება და თავიდან დაწყება, ისევ მსვლელობის პროცესში უნდა შეეტანა ცვლილებები.

ლევინმა იმავე საღამოს, როგორც კი ჩამოვიდა, გააცნო მოურავს თავისი გეგმა. მოურავი აშკარა სიამოვნებით დაეთანხმა ლევინის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც აღიარებდა, ყველაფერი, რაც აქამდე კეთდებოდა, სულელური და უსარგებლო იყოო. მე დიდი ხანია, ვამბობდი ამას, მაგრამ თქვენ არ მოისურვეთ ჩემთვის ყურის დაგდებაო, უთხრა მოურავმა. რაც შეეხება ლევინის წინადადებას, მთელი მეურნეობის წარმოებაში მუშებთან ერთად უნდა მივიღოთ მონაწილეობა, როგორც მეპაიეებმაო, ამაზე მოურავს მხოლოდ დიდი მწუხარება გამოეხატა სახეზე, გარკვეული აზრი კი არაფერი გამოუთქვამს და მაშინვე იმაზე გადაიტანა ლაპარაკი, სახვალიოდ აუცილებლად უნდა გადავზიდოთ დარჩენილი ჭვავის ზვინები

და გავგზავნოთ ხალხი აოშვაზეო; ამით ლევინს აგრძნობინა, რომ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ იყო.

როცა გლეხებსაც ელაპარაკა ამ საკითხზე და მიწების ახალი პირობით გაცემა შესთავაზა, აქაც იმავე მთავარ წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი იმდენად დატვირთული იყვნენ ყოველდღიური სამუშაოებით, რომ დრო აღარ რჩებოდათ ეფიქრათ, რამდენად ხელსაყრელი ან არახელსაყრელი იქნებოდა ასეთი წარმოება.

მიამიტმა გლეხმა, მენახირე ივანემ, თითქოს სავსებით გაიგო ლევინის წინადადება, რომ ოჯახიანად მონაწილეობა მიეღო საქონლით სარგებლობაში და სავსებით თანაუგრძნო ამ წინადადებას. მაგრამ, როცა ლევინი შეეცადა, აეხსნა, რა სარგებლობას მოუტანდა ეს მომავალში, ივანეს შიში და სინანული გამოეხატა სახეზე იმის გამო, რომ ბოლომდე აღარ შეეძლო მოესმინა ლევინისათვის, ყოველთვის გამონახავდა ხოლმე რამე საჩქარო, გადაუდებელ საქმეს: ან ფიწალს წაავლებდა ხელს და ბაგაში თივის ჩაყრას მოიგონებდა, ან წყალს დაუსხამდა საქონელს, ან ნეხვის აწმენდას შეუდგებოდა.

მეორე სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებს ვერაფრით დაეჯერებინათ, რომ მემამულეს შეიძლებოდა ჰქონოდა სხვა რაიმე მიზანი, გარდა იმისა, რომ ტყავი გააძროს გლეხებს; ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ბატონი თავის მთავარ მიზანს (რაც უნდა ეთქვა მათთვის ლევინს) არასოდეს გაუმჟღავნებდა გლეხებს. თვითონაც, როცა რაიმეს თქმა უნდოდათ, მართალია, ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ არასოდეს იტყოდნენ იმას, რაც მათ მთავარ მიზანს შეადგენდა. გარდა ამისა (ლევინი გრძნობდა, რომ მართალი იყო ის გაგულისებული მემამულე), გლეხები ყოველგვარ შეთანხმებაზე პირველ უცვლელ პირობად იმას აყენებდნენ, რომ იძულებულნი არ გაეხადათ, რამე ახალი ხერხი ან რაიმე ახალი იარაღი გამოეყენებინათ მეურნეობაში. ისინი დაგეთანხმებოდნენ, რომ გუთანი უკეთესად ხნავდა, რომ სწრაფმხვნელი უფრო სწრაფი იყო, მაგრამ ათასნაირ მიზეზს წამოაყენებდნენ იმის გასამართლებლად, რატომ არ შეეძლოთ არც ერთის და არც მეორის გამოყენება და, მართალია, ლევინი დარწმუნებული იყო, დაბლა უნდა დაეშვასო მეურნეობის დონე, მაინც ენანებოდა უარის თქმა იმ გაუმჯობესებაზე,

რომლის სარგებლიანობაც მისთვის ნათელი იყო. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ლევინმა მაინც გაიტანა თავისი და შემოდგომაზე უფრო უკეთ წარიმართა საქმე, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა მას.

პირველად ლევინი ფიქრობდა, მთელი მეურნეობა, ისე როგორც იყო, ამხანაგური პირობებით გადაეცა გლეხებისთვის, დაქირავებული მუშებისა და მოურავისათვის, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო და ისევ მეურნეობის დანაწილება გადაწყვიტა. საქონელი, ბაღი, ბოსტანი, სათიბები, მინდვრები, ყველაფერი რამდენიმე ნაწილად უნდა გაეყო და ყველაზე ცალ-ცალკე პირობები შეედგინა. მიამიტმა გლეხმა ივანემ, რომელმაც, როგორც ლევინს ეჩვენებოდა, სხვებზე უკეთ გაიგო საქმის ვითარება, არტელი თავისი ოჯახის წევრებისაგან შეადგინა და საქონლის მონაწილე გახდა. შორეული მინდვრები, რვა წლის დასვენებული მიწა, ჭკვიანი ხუროს, თეოდორე რეზუნოვის დახმარებით ექვსმა გლეხის ოჯახმა გაინაწილა ახალ საზოგადოებრივ საფუძველზე. გლეხმა შურაევმაც ასეთივე პირობებით აიღო ბოსტანი. დანარჩენი მეურნეობა ისევ ძველებურად დარჩა, მაგრამ ეს სამი უკვე საწყისი იყო ახალი წყობისა და ლევინი სულითა და გულით იყო დაინტერესებული ამით.

მართალია, საქონლის მოვლის მხრივ წინანდელთან შედარებით საქმე არ გაუმჯობესებულა და ივანე ძალიან წინააღმდეგი იყო საქონლისათვის თბილი სადგომის მოწყობისა და კარაქის ამოღებისა, და ირწმუნებოდა, ძროხას სიცივეში ნაკლები საკვები დასჭირდება, არაჟნის კარაქიც უფრო ბარაქიანიაო, ჯამაგირსაც ისევ ძველებურად მოითხოვდა და სულაც არ აინტერესებდა, რომ მის მიერ აღებული ფული ჯამაგირი კი არა, მოგების წინასწარ გაცემული ნაწილი იყო.

მართალია, თედორე რეზუნოვის კომპანიამ, როგორც დათქმული იყო, დასათესი მიწა გუთნით არ გადახნა და თავი იმით იმართლა, დრო ცოტა მაქვსო; მართალია, ამ კომპანიის მონაწილე გლეხები შეთანხმდნენ, ეს საქმე ახალ საფუძველზე ვაწარმოოთო, მაგრამ ამ მიწას საერთოს კი არა, მაინც სანახევროს ეძახდნენ და არტელის მონაწილეებმა და თვითონ რეზუნოვმაც არაერთხელ უთხრეს ლევინს: „აგეღოთ მიწის ფული, თქვენც მოისვენებდით და ჩვენც ხელ-ფეხი

გაგვეხსნებოდა“. გარდა ამისა, გლეხებმა სხვადასხვა მიზეზის გამო გააჭიანურეს ამ მიწაზე ბაკისა და საცეხვლის აშენება, რაზედაც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, და ზამთრამდე მიიყვანეს საქმე.

მართალია, შურაევს აღებული ბოსტნები უნდოდა ნაჭერ-ნაჭერ დაერიგებინა გლეხებისათვის, ეტყობოდა, მან სულ უკუღმა გაიგო (ან შეიძლება განზრახ აკეთებდა ასე) ის პირობები, რის საფუძველზეც გადაეცა მიწა.

მართალია, ლევინი, რომელიც ხშირად ელაპარაკებოდა გლეხებს, რა სარგებლობას მოუტანდა ასეთი წარმოება, გრძნობდა, რომ გლეხები მის ლაპარაკს სულ არ უგდებდნენ ყურს, და მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რაც უნდა გველაპარაკოთ, მაინც მოსატყუებლად არ გავიხდით თავსო. ამას განსაკუთრებით გრძნობდა, როცა ყველაზე გონიერ გლეხს, რეზუნოვს ელაპარაკებოდა. ლევინი ხედავდა, როგორ ეშმაკურად უციმციმებდა რეზუნოვს თვალები; მის თვალებში აშკარად იხატებოდა დაცინვა ლევინისადმი და ღრმა რწმენა იმისა, რომ, თუ ვინმე დარჩებოდა მოტყუებული, ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ის, რეზუნოვი.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ლევინი მაინც ფიქრობდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა. იგი მტკიცედ აწარმოებდა აღრიცხვას, დარწმუნებული იყო, რომ მაინც გაიტანდა თავისას და მომავალში დაუმტკიცებდა გლეხებს, რა სარგებლობა მოაქვს ასეთ წარმოებას, მაშინ კი საქმე უკვე თავისით წავიდოდა.

ამ საქმეებმა, იმ დანარჩენ მეურნეობასთან ერთად, რომელიც ისევ ლევინის ხელში იყო, და თავის წიგნზე მუშაობამ ისე გაიტაცა, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში სანადიროდაც არ წასულა. აგვისტოს დამლევს შეიტყო, რომ ობლონსკები უკვე მოსკოვს გადასულიყვნენ. ეს ამბავი გაიგო ობლონსკების მსახურისაგან, რომელმაც უკანვე მოუტანა ლევინს უნაგირი. ლევინი გრძნობდა, რომ თავისი უზრდელობის წყალობით, რაკი საპასუხო წერილი არ გაუგზავნა დარია ალექსანდროვნას, რის გახსენებაზეც ყოველთვის სირცხვილისაგან წითლდებოდა, ვეღარასოდეს მივიდოდა მათთან, რადგან საამისოდ ყოველგვარი გზა მოჭრილი ჰქონდა. სწორედ ასევე მოიქცა სვიაჟსკისთანაც, ისე წამოვიდა იქიდან, რომ არც კი გამომშვიდობებია, იმათთანაც არასოდეს აღარ მივა ლევინი,

მაგრამ ეს მისთვის, ახლა სულერთი იყო. თავისი მეურნეობის ახლებურად მოწყობის საქმემ ისე გაიტაცა, როგორც არასოდეს არაფერს გაუტაცია თავის ცხოვრებაში. ლევინმა გადაიკითხა სვიაჟსკის მოცემული წიგნები, ამოიწერა იქიდან ყველაფერი, რაც მას არ ჰქონდა, გადაიკითხა ამ საკითხის გარშემო პოლიტეკონომიური და სოციალისტური წიგნები და როგორც ელოდა, მათში ვერაფერი ნახა ისეთი, რაც მის მიერ დაწყებულ საქმეს შეეხებოდა. პოლიტეკონომიურ წიგნებში, მაგალითად, მილთან, რომელსაც დიდი გატაცებით სწავლობდა და ყოველ წუთს ელოდა, რომ იპოვიდა მისთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტას, მან მხოლოდ ევროპული მეურნეობიდან გამომდინარე კანონები ნახა. მაგრამ ვერასგზით ვერ გაიგო, რატომ უნდა ყოფილიყვნენ საერთოდ ეს კანონები, როცა ისინი სრულიად არ უდგებოდნენ რუსეთის სინამდვილეს. ამასვე ხედავდა სოციალისტური ხასიათის წიგნებში: ეს ან მშვენიერი, მაგრამ განუხორციელებელი ოცნება იყო, რომელიც მას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იტაცებდა, ან შეკოწიწება, შესწორება იმ მდგომარეობისა, რომელშიც ევროპა იმყოფებოდა და რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მიწათმოქმედების საქმესთან რუსეთში. პოლიტიკური ეკონომია ამბობდა, კანონები, რომლის საფუძველზედაც განვითარდა და ვითარდება ევროპის დოვლათი, საყოველთაო და ეჭვმიუტანელიაო. სოციალისტური მოძღვრება კი ამბობდა, განვითარების ამ კანონებს დაღუპვისაკენ მივყავართო. არც ერთი და არც მეორე არ იძლეოდა არათუ პასუხს, არამედ ოდნავ მინიშნებასაც კი, თუ ლევინს, ან მთელ რუს გლეხობას და მიწათმფლობელებს, რა უნდა გაეკეთებინათ თავიანთი მილიონობით ხელებითა და დესეტინებით, რომ ისინი უფრო ნაყოფიერნი გამხდარიყვნენ საერთო კეთილდღეობის სასარგებლოდ.

რაკი ერთხელ ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, ლევინმა თავიდან ბოლომდე კეთილსინდისიერად გადაიკითხა ყველაფერი, რაც კი მის საგანს შეეხებოდა და გადაწყვიტა საშემოდგომოდ საზღვარგარეთ წასულიყო, რათა ადგილობრივ შეესწავლა ეს საქმე, რომ ამ საკითხის გადაჭრის დროს უკვე აღარ დამართოდა ის, რაც ხშირად სხვა საკითხების გადაჭრისას დამართვია. იყო შემთხვევა, როცა იგი ის იყო გაიგებდა მოსაუბრის აზრს და ახლა თავისი აზრის გადმოცემას დააპირებდა, რომ უცებ მიახლიდნენ პირში: „მერე კაუფმანი,

ჯონსი, დიუბუა, მიჩელი? თქვენ ისინი არ წაგიკითხავთ? წაიკითხეთ, მათ უკვე დაამუშავეს ეს საკითხი“.

ლევინი უკვე ნათლად ხედავდა, რომ არც კაუფმანსა და არც მიჩელს არაფერი ჰქონდათ მისთვის სათქმელი. მან იცოდა, რაც უნდოდა. ლევინი ხედავდა, რომ რუსეთს ჰქონდა მშვენიერი მიწები, ჰყავდა საუკეთესო მუშახელი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც იმ შუაგზაზე შეხვედრილ გლეხთან, მუშები და მიწა ბევრ მოსავალს იძლეოდა; მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, როცა კაპიტალს ევროპულ ყაიდაზე ხმარობდნენ, მიწა მცირე მოსავალს იძლეოდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ მუშებს არ გააჩნდათ მუშაობის სურვილი. ისინი მხოლოდ მაშინ იმუშავებდნენ კარგად, როცა მათთვის ჩვეულ პირობებში იქნებოდნენ. ეს წინააღმდეგობა შემთხვევითი არ იყო და ასე იქნებოდა ყოველთვის. ამას თვით ხალხის სულში ჰქონდა საფუძველი. ლევინი ფიქრობდა, რომ რუსი ხალხი, რომელიც მოწოდებულია მომავალში დაასახლოს და დაამუშაოს რუსეთის უზარმაზარი თავისუფალი სივრცეები, სანამ არ დაუკავებია ეს მიწები, შეგნებულად იყენებს ამისათვის საჭირო ხერხებს და ეს ხერხები სულაც არ არის ისეთი ცუდი, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. და უნდოდა დაესაბუთებინა ეს თეორიულად თავის წიგნში, პრაქტიკულად კი თავის მეურნეობაში.

*

სექტემბრის დამლევს არტელის მიწაზე ხეტყე მიზიდეს ბაკის ასაგებად, ერბო გაყიდეს და მოგება გაინაწილეს. მეურნეობის საქმე, პრაქტიკულად, ჩინებულად მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ლევინს. იმისათვის, რათა თეორიულად აეხსნა ეს საქმიანობა და დაემთავრებინა თხზულება, რომელსაც, როგორც ლევინი ოცნებობდა, არათუ მთელი გადატრიალება უნდა მოეხდინა პოლიტეკონომიაში, არამედ სულ უნდა გაენადგურებინა ეს მეცნიერება და საფუძველი ჩაეყარა ახალი მეცნიერებისათვის, რომელიც გამოიკვლევდა მიწასთან ხალხის დამოკიდებულების საკითხს, საჭირო იყო მხოლოდ საზღვარგარეთ გამგზავრება, რათა ადგილზევე შეესწავლა ყველაფერი, რაც გაკეთებული იყო იქ ამ მიმართულებით, და მოენახა დამაჯერებელი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ყველაფერი, რაც იქ გაკეთდა, ის არ არის, რაც საჭიროა. ლევინი მხოლოდ ხორბლის გაყიდვას

ელოდებოდა, რათა ფული აეღო და საზღვარგარეთ წასულიყო. მაგრამ ისეთი წვიმები აიტეხა, რომ მინდვრად დარჩენილი ხორბლისა და კარტოფილის აღება ვეღარ შეძლეს. წვიმამ ყველა საქმე შეაჩერა და პურის გაყიდვასაც შეუშალა ხელი. გზებზე გაუვალი ტალახი იდგა; ორი წისქვილი წყალმა მოიტაცა და ამინდი სულ უფრო და უფრო უარესდებოდა.

30 სექტემბერს დილიდანვე მზემ გამოიხედა, ლევინს გამოდარების იმედი მიეცა და უკვე დანამდვილებით შეუდგა გამგზავრებისათვის სამზადისს. განკარგულება გასცა, ხორბალი ჩაეყარათ, მოურავი ვაჭართან გაგზავნა, თვითონ კი მეურნეობის დასათვალიერებლად წავიდა, რათა წასვლის წინ უკანასკნელი განკარგულებები გაეცა.

ლევინმა ყველა საქმე მოაგვარა და მართალია, სულ დაასველა წვიმის წყალმა, რომელიც ხან ტყავის ქურქის ქვეშ კისერში ასხამდა, ხან ჩექმის ყელში ჩადიოდა, მაგრამ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ძალიან მხნედ და ხალისიანად გრძნობდა თავს. ნაშუადღევს კიდევ უფრო გაფუჭდა ამინდი. სეტყვა ისე ძლიერად ურტყამდა ერთიანად დასველებულ ცხენს, რომ ცხენი გვერდულად მიდიოდა, ყაბალახშემოხვეული ლევინი კი მშვენივრად გრძნობდა თავს, მხიარულად იყურებოდა აქეთ-იქით, ხან ნაურმალში რუებად წამოსული ნაკადულები მოსტაცებდა თვალს, ხან ხის ტოტებზე დაკიდებული წვიმის წვეთები, ხან ხიდის ფიცრებზე შერჩენილი თეთრად მოელვარე სეტყვა, ხან კი გაშიშვლებული თელის ქვეშ სქლად მოფენილი სველი, ჯერ ისევ ქორფა ფოთლები. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ბუნება მოღუშული იყო, ლევინი დღეს განსაკუთრებით ხალისიანი იყო. შორეული სოფლის გლეხებთან საუბარმა დაარწმუნა, რომ ნელ-ნელა ეჩვეოდნენ ახალ ურთიერთობას. მოხუცმა მეეზოვემ, რომელთანაც გასაშრობად შეიარა და რომელსაც, ეტყობოდა, მოსწონდა მისი გეგმები, თვითონვე შესთავაზა ლევინს, საქონლის შესყიდვის ამხანაგობაში შემიყვანეო.

„საჭიროა შეუპოვრად მივისწრაფოდე ჩემი მიზნისაკენ და ჩემსას გავიტან, – ფიქრობდა ლევინი, – ამისათვის კი ღირს მუშაობა და ძალ-ღონის დახარჯვა. ეს ჩემი პირადი საქმე როდია, აქ საერთო კეთილდღეობის საკითხი დგას. მთელი მეურნეობა და, რაც მთავარია, მთელი ხალხის მდგომარეობა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ნაცვლად სიღარიბისა

საერთო ურთიერთმტრობისა – თანხმობა და ინტერესთა ერთიანობა. ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს უსისხლო, მაგრამ უდიდესი რევოლუცია ჯერ ჩვენს პატარა მაზრაში, მერე გუბერნიაში, მერე რუსეთში და შემდეგ კი მთელ ქვეყანაზე. შეუძლებელია, სამართლიანმა აზრმა ნაყოფი არ გამოიღოს. დიახ, ეს ისეთი მიზანია, რომლის გულისთვისაც ღირს მუშაობა. ხოლო ის, რომ მე კოსტია ლევინი ვარ, სწორედ ის, შავი ჰალსტუხით რომ გამოცხადდა ბალზე და უარი სტკიცა შჩერბაცკის ასულმა, მე, რომელიც თავისთავად შესაბრალისი ვარ და უმნიშვნელო არარაობას წარმოვადგენ – სრულიად არაფერს ამტკიცებს. დარწმუნებული ვარ, ფრანკლინიც ასეთ არარაობად თვლიდა თავს, თან სჯეროდა საკუთარი თავის, როცა ყველაფერს იხსენებდა. ეს არაფერს არ ნიშნავს. ალბათ, იმასაც ჰყავდა თავისი აგაფია მიხაილოვნა, რომელსაც უზიარებდა თავის გეგმებს“.

უკვე დაბინდებული იყო, როცა ამგვარ ფიქრებში გართული ლევინი შინ მივიდა.

ვაჭართან გაგზავნილი მოურავი დაბრუნდა და ხორბალში აღებული ფულის ნაწილიც მოიტანა. მეეზოვესთან შეკრეს პირობა. გზაში მოურავმა ნახა, რომ ყველგან დარჩენოდათ აუღებელი პური და მათი ას სამოცი ბულული არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც სხვებს დარჩენოდათ.

ნასადილევს ლევინმა ჩვეულებრივ წიგნი აიღო ხელში და სავარძელში ჩაჯდა. კითხულობდა და თან თავის მომავალ, წიგნთან დაკავშირებულ მოგზაურობაზე ფიქრობდა. დღეს მას განსაკუთრებული სიცხადით ეხატებოდა თავისი საქმიანობის მთელი მნიშვნელობა, გონებაში თავისით ლაგდებოდა მის აზრთა რაობის გამომხატველი წინადადებები. „უნდა ჩავიწერო, – გაიფიქრა ლევინმა, – ეს უნდა იყოს მოკლე შესავალი, რომელიც წინათ საჭიროდ არ მიმაჩნდა“. ლევინი წამოდგა, რათა საწერ მაგიდასთან მისულიყო. ზმორებით წამოდგა მის ფეხებთან მოკუნტული ლასკაც და ყურება დაუწყო პატრონს, თითქოს ეკითხებოდა, სად წავიდეო. მაგრამ ჩაწერის დროც აღარ ჰქონდა. სახვალიო სამუშაოების თავკაცები მოვიდნენ და ლევინი დერეფანში გავიდა მათთან.

სახვალიო სამუშაოებზე განკარგულების გაცემისა და იმ გლეხების მიღების შემდეგ, რომელთაც საქმე ჰქონდათ მასთან, ლევინი კაბინეტში შევიდა და თავის სამუშაოს მიუჯდა. ლასკა

მაგიდის ქვეშ გაწვა; აგაფია მიხაილოვნამაც წინდით ხელში თავისი ადგილი დაიკავა.

ერთხანს წერა, მაგრამ უცებ არაჩვეულებრივი სიცხადით გაახსენდა კიტი, მისი უარესი და უკანასკნელი შეხვედრა მასთან. ლევინი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

– რას მოგიწყენიათ, – ჰკითხა აგაფია მიხაილოვნამ, – რას უზიხართ სახლში? წასულიყავით თბილ წყლებზე, აკი ემზადებოდით კიდეც.

– ზეგ მივდივარ, აგაფია მიხაილოვნა, უნდა დავამთავრო ჩემი საქმეები.

– რომელი თქვენი საქმეები? განა ისედაც ცოტა გლეხი დაასაჩუქრეთ! იმასაც კი ამბობენ, ჩვენი ბატონი ამისათვის წყალობას მიიღებსო მეფისაგან. მართლაც საოცარია, ასე რატომ ზრუნავთ გლეხებზე?

– გლეხებზე კი არა, ჩემს თავზე ვზრუნავ.

აგაფია მიხაილოვნამ დაწვრილებით იცოდა ლევინის სამეურნეო გეგმები. ლევინი ხშირად უზიარებდა მას თავის აზრებს, ხშირად ეკამათებოდა კიდეც, არ ეთანხმებოდა აგაფია მიხაილოვნას განმარტებებს. მაგრამ ახლა აგაფია მიხაილოვნამ სულ სხვანაირად გაიგო მისი ნათქვამი.

– რაღა თქმა უნდა, საკუთარ სულის ხსნაზე ფიქრი საჭიროა, – უთხრა მან და ამოიოხრა, – აი, პარფენ დენისიჩი, მართალია, წერა-კითხვის მცოდნე არ იყო, მაგრამ ისე მოკვდა, რომ ღმერთმა ყველას მისცეს ასეთი სიკვდილი, – დასძინა მოხუცმა ახლახან გარდაცვლილი შინაყმის შესახებ, – აზიარეს, ზეთი უკურთხეს.

– მე მაგაზე არ ვამბობ, – უთხრა ლევინმა, – მე ისა ვთქვი, ჩემი სარგებლიანობისთვის ვაკეთებ-მეთქი ამას. ჩემთვის ხელსაყრელი იქნება, თუ გლეხები კარგად იმუშავებენ.

– თქვენ რაც უნდა ქნათ, ზარმაცი თუა, ჩხირსაც არ გადააბრუნებს ტყუილუბრალოდ. სინდისი თუ აქვს, იმუშავებს და თუ არა აქვს სინდისი, აბა, რა უნდა ქნა?

– თქვენ თვითონვე ამბობთ, ივანე ახლა უკეთ უვლისო საქონელს.

– მე მხოლოდ ერთს გეტყვით, – უპასუხა აგაფია მიხაილოვნამ, ეტყობოდა, ამას შემთხვევით როდი ამბობდა, დიდი ხნის მოფიქრებული ჰქონდა, – ცოლი უნდა შეირთოთ, მეტი არაფერი!

აგაფია მიხაილოვნას შეხსენებამ იმაზე, რასაც თვითონაც ახლახან ფიქრობდა, გააბრაზა და შეურაცხყო ლევინი. პასუხი აღარ გაუცია აგაფია მიხაილოვნასათვის და მოღუშული ისევ მაგიდას მიუჯდა, გონებაში კვლავ გაიხსენა, რასაც თავის სამუშაოს მნიშვნელობაზე ფიქრობდა. მხოლოდ ხანდახან აგაფია მიხაილოვნას წინდის ჩხირების ხმა ჩაესმოდა, გაახსენდებოდა ის, რისი გახსენებაც არ უნდოდა და კვლავ მოიღუშებოდა.

ცხრა საათი იქნებოდა, როცა გარედან ზანზალაკების წკარუნი და ტალახში ეტლის რყევის ყრუ ხმა შემოესმა.

– აი, სტუმრებიც მოგივიდნენ და აღარ მოგეწყინებათ, – უთხრა აგაფია მიხაილოვნამ, წამოდგა და კარისკენ გაემართა, მაგრამ ლევინმა გაასწრო. ახლა მუშაობას ვეღარ ახერხებდა და ყოველი სტუმარი სასიამოვნო იქნებოდა მისთვის.

XXXI

შუა კარამდე რომ ჩაირბინა, ნაცნობი ჩახველების ხმა შემოესმა. მაგრამ საკუთარმა ფეხის ხმამ შეუშალა ხელი, გარკვევით ვერ გაარჩია ეს ხმა და იმედი ჰქონდა, იქნებ შევცდიო. ცოტა ხნის შემდეგ მაღალი, გაძვალტყავებული ნაცნობი ფიგურაც დაინახა. თითქოს ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა მოტყუება. მაგრამ მაინც იმედოვნებდა, იქნებ შევცდი და ეს მაღალი კაცი, ქვევით ქურქს რომ იხდის და ახველებს, ჩემი ძმა ნიკოლაი არ არისო.

ლევინს უყვარდა ძმა, მაგრამ მასთან ყოფნა ყოველთვის წამება იყო მისთვის. ახლა კი საკუთარი ფიქრებისა და აგაფია მიხაილოვნას შეხსენების შემდეგ ისეთ გაურკვეველ, გამოუვალ მდგომარეობაში იყო, რომ ძმასთან შეხვედრა

განსაკუთრებით სამძიმო ეჩვენა. ვინმე უცხო, მხიარული და ჯანსაღი სტუმრის ნაცვლად, რომელიც, იმედი ჰქონდა, გამოიყვანდა ამ სულიერი გაურკვევლობიდან, უნდა შეხვედროდა ძმას, რომელიც ხუთი თითივით იცნობდა მას, რომელიც უგულითადეს აზრებს აღძრავდა მასში და იძულებულს ჰყოფდა, ყველაფერი ეღიარებინა მის წინაშე. ეს კი არ უნდოდა.

ლევინი შეუწყრა საკუთარ თავს, ასეთი საძაგელი გრძნობები რომ დაეუფლა. წინკარში ჩაირბინა და როგორც კი ახლოს დაინახა ძმა, ეს პირადი გულგატეხილობის გრძნობა მაშინვე სიბრალულმა შეცვალა. თუ წინათ ნიკოლაი საზარელი იყო თავისი სიგამხდრითა და სიფერმკრთალით, ახლა კიდევ უფრო გამხდარი და დაუძლურებული ჩანდა. ეს იყო ტყავგადაკრული ჩონჩხი.

ნიკოლაი დერეფანში იდგა, გრძელ, გამხდარ კისერზე შემოხვეულ ყელსახვევს იხსნიდა და თან უცნაურად, შესაბრალისად იღიმებოდა. როცა ეს მშვიდი, მორჩილი ღიმილი დაინახა, ლევინმა იგრძნო, რომ რაღაც მოაწვა ყელში.

– აი, ჩამოვედი შენთან, – ჩახრინწული ხმით თქვა ნიკოლაიმ, თან სახეში შეჰყურებდა ძმას, – დიდი ხანია ვაპირებდი აქეთ წამოსვლას, მაგრამ სულ ავად ვიყავი. ახლა კი ძალიან მოვიკეთე, – ამბობდა და თავის დიდ, გაძვალტყავებულ ხელისგულს წვერზე ისვამდა.

– ჰო, ჰო, – ეუბნებოდა ლევინი. იგი კიდევ უფრო მეტად შეძრწუნდა, როცა კოცნის დროს ტუჩებით შეიგრძნო ძმის გამოფიტული სხეული და ახლოდან დაინახა მისი დიდი, უცნაურად მოელვარე თვალები.

ამ რამდენიმე კვირის წინ ლევინმა მისწერა ძმას, რომ სახლის იმ პატარა ნაწილში, რომელიც ჯერ კიდევ გაუყოფელი იყო ძმებს შორის, მას მისაღები ჰქონდა თავისი ნაწილი, ორი ათას მანეთამდე.

ნიკოლაიმ უთხრა, ფულის მისაღებად ჩამოვედიო, და რაც მთავარია, მინდა ერთხანს კიდევ დავყო ჩემს ბუდეში, მინდა კვლავ ფეხით შევეხო მიწას, რათა ზღაპრული დევგმირივით ისევ მოვიკრიბო ძალ-ღონე მომავალი საქმიანობისთვისო. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაი კიდევ უფრო მოხრილიყო ბეჭებში და თავის სიმაღლესთან შედარებით საოცრად

გამხდარი ჩანდა, მისი მოძრაობა ჩვეულებრივ სწრაფი და აღგზნებული იყო. ლევინი კაბინეტში შეუძღვა ძმას.

ნიკოლაიმ განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოიცვალა ტანისამოსი, რაც წინათ არასოდეს გაუკეთებია, გადაივარცხნა თხელი, სწორი თმა და ღიმილით ავიდა ზევით.

ისეთი ალერსიანი და მხიარული იყო, ბავშვობაში რომ უნახავს. სერგეი ივანოვიჩიც კი გაიხსენა, ისე, რომ გულისწყრომა არ გამოუთქვამს მისდამი. აგაფია მიხაილოვნა რომ დაინახა, გაეხუმრა და მერე ძველი მსახურის ამბავი გამოჰკითხა. პარფენ დენისიჩის სიკვდილის ამბავმა მეტად უსიამოვნოდ იმოქმედა. სახეზე შიში გამოეხატა, მაგრამ მალე დაწყნარდა.

– ის ხომ უკვე მოხუცი იყო, – დასძინა მან და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა – ჰო, ერთ-ორ თვეს შენთან გავატარებ, მერე კი მოსკოვში წავალ. შენ იცი, მიაგკოვი ადგილს დამპირდა, სამსახური უნდა დავიწყო. ახლა სულ სხვაგვარად მოვაწყობ ჩემს ცხოვრებას, – განაგრძო მან, – იცი, ის ქალი მოვიცილე თავიდან!

– მარია ნიკოლაევნა? როგორ, რისი გულისათვის?

– აჰ, საძაგელი ქალია! ბევრი უსიამოვნება შემხვდა იმის გამო, – მაგრამ ის კი აღარ უთქვამს, რაში მდგომარეობდა ეს უსიამოვნება. არ შეეძლო ეთქვა, იმიტომ გავაგდე მარია ნიკოლაევნა, რომ მაგარი ჩაი არ გამიკეთა და რაც მთავარია, ისე მექცეოდა, როგორც ავადმყოფსო, – მერედა, საერთოდ მინდა ძირფესვიანად შევცვალო ჩემი ცხოვრება. მეც, როგორც ბევრმა სხვამ, მრავალი სისულელე ჩავიდინე, ქონება კი უმნიშვნელო საქმეა, ქონება სულ არ მენანება, ოღონდ ჯანმრთელობა იყოს. ამ მხრივ კი, მადლობა ღმერთს, მოვიკეთე.

ლევინი ყურს უგდებდა ძმას, ფიქრობდა და ვერ მოეფიქრებინა, რა ეთქვა მისთვის. ეტყობა, ნიკოლაიმაც იგივე იგრძნო და თავისი საქმიანობის ამბავი გამოჰკითხა ლევინს. ლევინსაც გაუხარდა, რომ თავის თავზე უხდებოდა ლაპარაკი და შეეძლო თვალთმაქცობის გარეშე ეთქვა ყველაფერი. მოუყვა ძმას, რა გეგმები ჰქონდა, რას საქმიანობდა.

ნიკოლაი ყურს უგდებდა, მაგრამ, ეტყობოდა, სულაც არ აინტერესებდა.

ეს ორი ადამიანი იმდენად სისხლხორცეული იყო ერთმანეთისა, იმდენად ახლო იყო ერთმანეთთან, რომ ოდნავი მოძრაობა ან საუბრის კილო უფრო მეტის მთქმელი იყო მათთვის, ვიდრე ის, რისი თქმაც სიტყვებით შეიძლებოდა.

ახლა ორივეს ერთი აზრი უტრიალებდა თავში – ნიკოლაის ავადმყოფობა და სიახლოვე აღსასრულისა, ყველა დანარჩენ ფიქრს ეს აზრი ახშობდა. მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ბედავდა ამაზე ლაპარაკს, ამიტომ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ, არ გამოხატავდა მათ გულში ნადებს და სიცრუე იყო. არასოდეს ლევინს ისე არ გახარებია საღამოს დამთავრება და დასაძინებლად წასვლა, როგორც იმ დღეს. არასოდეს არც ერთ უცხო ადამიანთან, არც ერთ ოფიციალურ ვიზიტზე არ ყოფილა ასე არაბუნებრივი და ყალბი, როგორც იმ დღეს. შეგნება ამ არაბუნებრიობისა და სინანული კიდევ უფრო არაბუნებრივს ხდიდა მას. ლევინს ტირილი უნდოდა, როცა თავის საყვარელ, სიკვდილის პირას მისულ ძმას შეჰყურებდა, მაგრამ იძულებული იყო, ყური ეგდო, მხარი აება მისი საუბრისათვის, თუ როგორ აპირებდა ცხოვრებას მომავალში.

რადგან სახლში სინესტე იყო და მხოლოდ ერთ ოთახს ათბობდნენ, ლევინმა თავის საწოლ ოთახში, ტიხარს იქით დააწვინა ძმა.

ძმა დაწვა და ეძინა თუ არ ეძინა, როგორც ავადმყოფებს სჩვევიათ, სულ წრიალებდა, ახველებდა და როცა ნახველს ვერ ამოიღებდა, რაღაცას წაიბურტყუნებდა, ხანდახან კი ღრმად ამოიოხრებდა და თან დააყოლებდა: „ოჰ, ღმერთო ჩემო!“ ხან კი, როცა ნახველი სულს შეუგუბებდა, გულმოსული წამოიძახებდა: „აი, დაგლახვროს ეშმაკმა!“ ლევინმა დიდხანს ვერ დაიძინა, ყურს უგდებდა ძმას, ათასნაირი აზრი უტრიალებდა თავში და ყველა ამ აზრის ბოლო ერთი იყო: სიკვდილი.

სიკვდილი – ეს გარდაუვალი აღსასრული ყოველივესი, პირველად წარმოუდგა ლევინს ასეთი დაუძლეველი ძალით. და ეს სიკვდილი, რომელიც აქვე იყო ჩასაფრებული, მის საყვარელ ძმაში, ძილში რომ კვნესოდა და ჩვეულებრივი გულგრილობით უხმობდა ხან ეშმაკსა და ხან ღმერთს, ეს სიკვდილი თვით მასში იყო. ამას გრძნობდა ლევინი. დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, ოცდაათი წლის შემდეგ მოვა იგი. განა სულერთი არ არის? მაგრამ რას წარმოადგენს ეს გარდაუვალი

სიკვდილი, არათუ არ იცოდა და არასოდეს უფიქრია, არც შეეძლო და ვერც ბედავდა ამაზე ფიქრს.

„ვმუშაობ, რაღაც მინდა გავაკეთო და სულ გადამავიწყდა, რომ ყოველივეს აქვს აღსასრული, რომ არსებობს სიკვდილი“.

ლევინი სიბნელეში საწოლზე იყო წამომჯდარი, ხელები მუხლებზე ჰქონდა შემოხვეული და სუნთქვას უკრავდა მოძალებული ფიქრი. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ეს ნამდვილად ასეა, რომ მას მართლაც გამორჩა ცხოვრებაში ერთი პატარა გარემოება – მოვა სიკვდილი და ყველაფერი გათავდება, არც ღირს არაფრის წამოწყება, რადგან ამას არაფერი ეშველება. დიახ, ეს საშინელებაა, მაგრამ ეს ასეა.

„ჯერ ხომ ცოცხალი ვარ, ახლა რა უნდა გავაკეთო, რა უნდა ვქნა?“ – სასოწარკვეთილი ამბობდა იგი. ლევინმა სანთელი აანთო, ფრთხილად წამოდგა და თავის სახესა და თმას დააკვირდა. ჰო, საფეთქლებთან უკვე გარევია ჭაღარა. ლევინმა პირი გააღო. უკანა კბილებიც უფუჭდებოდა. მერე თავის დაძარღვულ მკლავებზე დაიხედა. ჰო, ძალ-ღონე კი საკმარისი აქვს. მაგრამ ნიკოლენკასაც, ახლა რომ ფილტვების ნარჩენებითღა სუნთქავს, ხომ ჰქონდა ჯანმრთელი სხეული და ლევინს უეცრად გაახსენდა, ბავშვობაში როგორ წვებოდნენ ერთად დასაძინებლად, როგორ უცდიდნენ, როდის მიეფარებოდა თვალს თეოდორ ბოგდანიჩი, რომ ბალიშები დაეშინათ ერთმანეთისათვის და ეხარხარათ, ეხარხარათ თავდავიწყებით, ისე, რომ თეოდორ ბოგდანიჩის შიშსაც არ შეეძლო შეეჩერებინა ეს ნაპირებგადალახული, მჩქეფარე შეგნება სიცოცხლის სიხარულისა. ახლა კი ეს შეზნექილი, ცარიელი მკერდი... და მე თვითონაც არ ვიცი, როდის რა დამემართება“...

– ქჰე! ქჰე! აი, დალახვროს ეშმაკმა! შენ რაღას ცოდვილობ, რატომ არ გძინავს? – გამოსძახა ლევინს ძმამ.

– არ ვიცი, არ დამეძინა!

– მე კი კარგად მეძინა. ახლა ოფლიც აღარ მაწუხებს, აბა, ნახე, გამისინჯე პერანგი. ხომ აღარ მაქვს ოფლი?

ლევინმა გაუსინჯა პერანგი, მერე ტიხარს იქით გავიდა, სანთელი ჩააქრო, მაგრამ კიდევ დიდხანს ვერ დაიძინა. სულ

ახლახან თითქოს ოდნავ გაირკვა მისთვის, თუ როგორ, რანაირად ეცხოვრა და მის წინაშე უკვე წამოიჭრა ახალი, გადაუჭრელი საკითხი – სიკვდილი.

„დიახ, კვდება, ახლა თუ არა, გაზაფხულზე მაინც მოკვდება. რანაირად, როგორ უნდა დავეხმარო? რა შემიძლია ვუთხრა? რა ვიცი ამის შესახებ? გადამავიწყდა კიდეც, რომ არსებობს სიკვდილი!“

XXXII

ლევინს დიდი ხანია შენიშნული ჰქონდა, – როცა ადამიანები უხერხულობას გრძნობენ ზედმეტი თავაზიანობისა და მორჩილების გამო, მათთვის მალე აუტანელი ხდება ეს ზედმეტი თავაზიანობა და მორჩილება. იცოდა, რომ ასე დაემართებოდა მის ძმასაც. მართლაც, ნიკოლაის სიმშვიდემ დიდხანს ვერ გასტანა. მეორე დღესვე შეეცვალა გუნება და ყოველნაირად ცდილობდა, რითიმე გაეღიზიანებინა ძმა, მის ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეხებოდა.

ლევინი თავს დამნაშავედ გრძნობდა და არც შეეძლო ამის გამოსწორება. ისიც იცოდა, მათ რომ ერთმანეთის წინაშე არ ეთვალთმაქცათ და ელაპარაკათ ისე, რასაც გულღია ლაპარაკი ჰქვია, ესე იგი, ეთქვათ მხოლოდ ის, რასაც ფიქრობდნენ და გრძნობდნენ, მაშინ ძმები თვალებში დაუწყებდნენ ერთმანეთს ყურებას და ლევინი მხოლოდ ამას ეტყოდა: „შენ მოკვდები, მოკვდები, მოკვდები!“ ნიკოლაი კი მხოლოდ ამას უპასუხებდა: „მე ვიცი, რომ მოვკვდები, მაგრამ მეშინია, მეშინია, მეშინია!“ – და მეტს არაფერს ეტყოდნენ ერთმანეთს, გულახდილად რომ ელაპარაკათ. ამგვარად ცხოვრება კი არ შეიძლებოდა და ლევინს დიდი სურვილი ჰქონდა გაეკეთებინა ის, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ ვერ აკეთებდა და რასაც სხვები, მისი დაკვირვებით, მშვენივრად ახერხებდნენ და უამისოდ არც შეიძლებოდა ცხოვრება: ცდილობდა, არ გაემჟღავნებინა ის, რასაც ფიქრობდა, მაგრამ სულ გრძნობდა, რომ ყალბად გამოსდიოდა ეს, ძმაც ამჩნევდა ამას და კიდევ უფრო ბრაზობდა.

მესამე დღეს ნიკოლაიმ კიდევ გამოიწვია ძმა საუბარში, ათქმევინა თავისი გეგმები, რომელიც არათუ დაგმო, განზრახ კომუნიზმშიც აურია.

– შენ მხოლოდ სხვისი აზრები გადმოგიღია, დაგიმახინჯებია და გსურს მიუყენო ისეთ საკითხს, რომელსაც არაფრით უდგება.

– მე კი გეუბნები, რომ ამათ საერთო არაფერი აქვთ. ისინი უარყოფენ, უსამართლობად მიიჩნევენ საკუთრებას, კაპიტალს, მემკვიდრეობას. მე კი არ უარვყოფ ამ მთავარ სტიმულს (ლევინს თვითონაც არ მოსწონდა, რომ ასეთ სიტყვებს ხმარობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუშაობამ გაიტაცა, უნებურად უფრო ხშირად ხმარობდა არარუსულ სიტყვებს), მე მხოლოდ მუშაობის რეგულირება მინდა.

– სწორედ ეგ არის: შენ სხვისი აზრი გადმოიღე, მოაცილე ყველაფერი, რაც მის ძალას შეადგენდა და ახლა გინდა დამარწმუნო, რომ ეს რაღაც ახალია, – თქვა ნიკოლაიმ და თან ნერვიულად შეისწორა ჰალსტუხი.

– ჩემს აზრს საერთო არაფერი აქვს...

– იქ, – ირონიული ღიმილით ეუბნებოდა ნიკოლაი და ბოროტად აკვესებდა თვალებს, – იქ, ყოველ შემთხვევაში, არის რაღაც მშვენიერება, ასე ვთქვათ, გეომეტრიული სიზუსტე, უეჭველობა. შეიძლება ეს უტოპიაა. მაგრამ დავუშვათ, რომ შესაძლებელია, მთელი წარსული წარმოვიდგინოთ, როგორც tabula rasa.[50] არ არსებობს არც კერძო საკუთრება, არც ოჯახი, მაშინ შრომაც მოწესრიგებულია. შენთან კი არაფერია...

– რატომ ურევ ერთმანეთში? მე კომუნისტი არასოდეს ვყოფილვარ.

– მე კი ვიყავი და მგონია, რომ ეს ნაადრევია, მაგრამ გონივრულია და აქვს მომავალი, ისე როგორც ქრისტიანობას პირველ საუკუნეებში.

– მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ბუნებისმეტყველური თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მუშახელი, ესე იგი უნდა შევისწავლოთ იგი, მხედველობაში მივიღოთ მისი თვისებები და...

– ეს სულ ამაოა. ეს ძალა თავისი განვითარების დონის

მიხედვით თვითონვე პოულობს მოქმედების გარკვეულ სახეს. ყველგან იყვნენ მონები, შემდეგ metayers,[51] ჩვენთანაც არსებობს მიწის სანახევროდ გაცემა, იჯარა, სამოჯამაგირეო შრომა. შენ რაღას ეძებ?

ლევინი უცებ გაცხარდა ამ სიტყვებზე, გაცხარდა, რადგან გულის სიღრმეში მართლაც შიში იგრძნო იმის გამო, რომ მართალს ამბობდა ძმა. ის მართლაც მერყეობდა კომუნიზმსა და სხვა ფორმებს შორის, რაც თითქმის დაუშვებელი იყო.

– მე ვეძებ ისეთ საშუალებას, რომ მუშაობა ნაყოფიერი იყოს ჩემთვისაც და მუშისთვისაც. მე მინდა მოვაწყო... – გაცხარებით მიუგო მან.

– არაფრის მოწყობა შენ არ გინდა. უბრალოდ, როგორც ყოველთვის გჩვეოდა, ორიგინალობა გინდა, გინდა დაანახვო სხვებს, რომ შენ უბრალოდ ექსპლოატაციას როდი უწევ გლეხებს, არამედ გაქვს რაღაც იდეა.

– ჰო, თუ შენ ასე ფიქრობ, მაშინ დამანებე თავი! – უპასუხა ლევინმა და იგრძნო, რომ მარცხენა ლოყაზე კუნთი აუცახცახდა.

– შენ რწმენა არცა გქონია და არცა გაქვს. შენ მხოლოდ საკუთარი თავმოყვარეობის დაკმაყოფილება გინდა.

– ჰოდა, ძალიან კარგი, დამანებე თავი!

– დაგანებებ კიდეც! დიდი ხანია დროა ჩემი წასვლისა. ჯანდაბას შენი თავი! ძალიანაც ვნანობ, რომ ჩამოვედი!

რანაირად არ ეცადა შემდეგ ლევინი, როგორმე დაემშვიდებინა ძმა, მაგრამ ნიკოლაის არაფრის გაგონება არ სურდა, უკეთესია, გავშორდეთ ერთმანეთსო, ამბობდა და ლევინი მიხვდა, რომ ძმისთვის უბრალოდ აუტანელი შეიქნა ცხოვრება.

ნიკოლაი უკვე ემზადებოდა წასასვლელად, როცა ლევინი მივიდა მასთან და რაღაც არაბუნებრივად სთხოვა, მაპატიე, თუ რამე გაწყენინეო.

– ოჰ, სულგრძელობა! – თქვა ნიკოლაიმ და გაიღიმა, – შენ თუ გინდა, რომ მართალი იყო, შემიძლია მოგანიჭო ეგ სიამოვნება. შენ მართალი ხარ, მაგრამ მე მაინც წავალ!

მხოლოდ წასვლის წინ გადაკოცნა ნიკოლაიმ ძმა. უცნაურად,

სერიოზულად შეხედა სახეში და უთხრა: – ცუდად მაინც ნუ გამიხსენებ, კოსტია! – და ხმა აუკანკალდა.

ეს ერთადერთი გულწრფელად ნათქვამი სიტყვა იყო. ლევინი მიხვდა, რაც იგულისხმებოდა ამ სიტყვებში: „შენ ხომ ხედავ, ხომ იცი, რომ ცუდად ვარ, შეიძლება მეტად აღარც გვიწერია ერთმანეთის ნახვა“. ლევინი მიხვდა ამას და ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან. მან ერთხელ კიდევ აკოცა ძმას, თქმით კი არაფრის თქმა არ შეეძლო და არც იცოდა, რა უნდა ეთქვა.

მესამე დღეს ძმის წასვლის შემდეგ ლევინიც გაემგზავრა საზღვარგარეთ. თავისი უგუნებობით დიდად გააკვირვა კიტის ბიძაშვილი შჩერბაცკი, რომელიც რკინიგზაზე შეხვდა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა მან ლევინს.

– არაფერი, ისე, მეტად ცოტა რამ არის ამქვეყნად სასიხარულო.

– როგორ თუ ცოტა? აი, წამოდით ჩემთან ერთად პარიზს, ნაცვლად ვიღაც მილიუზისა, ნახავთ, რა მხიარულება იქნება!

– არა, მე უკვე დავამთავრე ცხოვრება, უკვე დროა სიკვდილისა.

– ესეც შენი ახირება! – სიცილით უთხრა შჩერბაცკიმ, – მე კი ახლა ვემზადებოდი ცხოვრების დასაწყებად.

– მეც სულ ახლახან ვფიქრობდი ასე, ახლა კი ვიცი, რომ მალე მოვკვდები.

ლევინი იმას ამბობდა, რასაც ნამდვილად ფიქრობდა ამ უკანასკნელ ხანებში. იგი ყველაფერში მხოლოდ სიკვდილსა და მასთან მიახლოებას ხედავდა. მაგრამ თავისი წამოწყებული საქმე ახლა უფრო მეტად აინტერესებდა. როგორმე ხომ უნდა გაეტარებინა ეს ცხოვრება, სანამ მოვიდოდა სიკვდილი. მისთვის ყველაფერი წყვდიადმა დაფარა, მაგრამ სწორედ ამის გამო გრძნობდა, რომ ამ წყვდიადში ერთადერთი სახელმძღვანელო ძაფი მისი საქმე იყო და ისიც მთელი ძალ-ღონით ჩაეჭიდა ამ საქმეს.

ნაწილი მეოთხე

I

კარენინები, ცოლი და ქმარი, კვლავ განაგრძობდნენ ერთ სახლში ცხოვრებას, ყოველდღე ხვდებოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ სრულიად უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის. ალექსეი ალექსანდროვიჩმა წესად დაიდო ყოველდღე ცოლის ნახვა, რათა მსახურთ უფლება არ ჰქონოდათ ეჭვის აღებისა, მაგრამ შინ სადილობას კი გაურბოდა. ვრონსკიც არასოდეს მისულა ალექსეი ალექსანდროვიჩის სახლში, მაგრამ ანა სხვაგან ხვდებოდა მას და ქმარმაც იცოდა ეს.

ეს მდგომარეობა მტანჯველი იყო სამივესთვის და არც ერთ მათგანს ძალა არ ეყოფოდა, ერთი დღე მაინც ეცხოვრა ამგვარად, თუკი იმედი არ ექნებოდა, რომ ეს მდგომარეობა მალე შეიცვლებოდა, რომ ეს მტანჯველი მწუხარება მხოლოდ დროებითი იყო და მალე გაივლიდა. ალექსეი ალექსანდროვიჩს იმის იმედი ჰქონდა, რომ როგორც ყველაფერი, ეს ვნებაც მალე გაქრებოდა, ყველას დაავიწყდებოდა ეს ამბავი და მისი სახელი კვლავ შეუბღალავი დარჩებოდა. ანა, რომელზედაც დამოკიდებული იყო ყველაფერი და რომლისთვისაც ყველაზე უფრო მტანჯველი იყო ეს მდგომარეობა, იტანდა ამ მწუხარებას, რადგან სჯეროდა, მტკიცედ იყო დაჯერებული, რომ სულ მალე გაირკვეოდა და ნათელი მოეფინებოდა ყველაფერს. დანამდვილებით არ იცოდა, რა გაარკვევდა ამ მდგომარეობას, მაგრამ ღრმად კი იყო დარწმუნებული, რომ ეს რაღაც ახალი სულ მალე მოვიდოდა. ვრონსკიც, რომელიც უნებურად ემორჩილებოდა ანას, ელოდა ამ რაღაცას, მისგან დამოუკიდებელს, რასაც უნდა გაერკვია მთელი ეს სიძნელე.

შუა ზამთარში ვრონსკიმ მეტად მოწყენილი კვირა გაატარა. იგი პეტერბურგში ჩამოსულ ვიღაც უცხოელ პრინცს მიუჩინეს, რომლისთვისაც უნდა ეჩვენებინა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ვრონსკი თვითონაც წარმოსადეგი კაცი იყო. გარდა ამისა, ღირსეული და მოკრძალებული თავის დაჭერა იცოდა და

გამოცდილებაც ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეოდა ასეთ პირებს, სწორედ ამიტომაც მიუჩინეს პრინცს. მაგრამ ამ მოვალეობის შესრულება მეტისმეტად მძიმე ეჩვენა. პრინცს უნდოდა, არაფერი გამოჰპარვოდა ისეთი, რის შესახებაც შინ ჰკითხავდნენ, ნახე თუ არაო ეს რუსეთში, თვითონაც სურვილი ჰქონდა, რამდენადაც კი ამის საშუალება ექნებოდა, დამტკბარიყო ყოველგვარი რუსული სიამოვნებით. ვრონსკი ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა მისთვის ერთშიც და მეორეშიც. დილაობით ისინი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად დადიოდნენ, საღამოობით კი მონაწილეობდნენ ნაციონალურ გასართობებში. პრინცი უფლისწულთა შორისაც კი გამოირჩეოდა თავისი ჯანსაღი აგებულებით; ვარჯიშისა და კარგი მოვლის წყალობით ძალ-ღონით იყო სავსე და, მიუხედავად იმისა, მეტისმეტი გატაცებით ეძლეოდა ყოველგვარ სიამოვნებას, მაინც ისეთი ქორფა იყო, როგორც დიდი ჰოლანდიური შუშა კიტრი. პრინცს ბევრი ემოგზაურა და იმ აზრს ადგა, რომ ახლანდელი იოლი მისვლა-მოსვლის მთავარი სარგებელი სწორედ ის არის, ხელმისაწვდომი ხდება ყოველგვარი ნაციონალური სიამოვნებაო. იგი ნამყოფი იყო ესპანეთში, სადაც სერენადებს მღეროდა. იქ დაუახლოვდა მანდოლინაზე დამკვრელ ესპანელ ქალს. შვეიცარიაში გემზა მოკლა. ინგლისში, წითელ ფრაკში გამოწყობილი, ღობეებზე ახტუნებდა ცხენს და სანაძლეოზე ორასი ხოხობი მოკლა. თურქეთში ჰარამხანით ირთობდა თავს. ინდოეთში სპილოებით მოგზაურობდა და ახლა რუსეთშიც უნდოდა ეგემა ყოველგვარი ნამდვილი რუსული სიამოვნება.

ვრონსკის, რომელიც მთავარ ცერემონმაისტერივით იყო მასთან, მეტად უძნელდებოდა გაენაწილებინა ყველა ის რუსული სიამოვნება, რომელთაც სხვადასხვა პირი სთავაზობდა პრინცს. სცადეს ფიცხი ცხენების ჭენება, რუსული ბლინები, დათვებზე ნადირობა, სამცხენიანი ეტლით სეირნობა, ბოშებთან დროს ტარება. იყო ქეიფი და რუსულად ჭურჭლის მსხვრევა. პრინცმა მეტისმეტად იოლად შეითვისა რუსული სული: ჭურჭლიანად ამსხვრევდა ლანგრებს, მუხლზე ისვამდა ბოშა ქალებს და თითქოს კითხულობდა, არის კიდევ რამე თუ მხოლოდ ეს არის მთელი რუსული სულიო?

სინამდვილეში ყველა ამ რუსული სიამოვნებისგან პრინცს ყველაზე მეტად მოსწონდა ფრანგი აქტრისები, ბალეტის მოცეკვავე ქალები და თეთრბეჭდიანი შამპანური. ვრონსკი

მიჩვეული იყო პრინცებთან ყოფნას, მაგრამ ეს ბოლო ერთი კვირა მეტად მძიმედ ეჩვენა, შეიძლება იმიტომ, რომ თვითონაც გამოიცვალა ამ უკანასკნელ ხანებში, ან შეიძლება იმიტომაც, რომ მეტისმეტად დაუახლოვდა ამ პრინცს. ამ ერთი კვირის განმავლობაში იგი სულ იმგვარ გრძნობას განიცდიდა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელიც საშიშ გიჟს მიუჩინეს, ეშინია ამ გიჟისა და ამასთან, გიჟთან სიახლოვის გამო თავისი ჭკუაც აფიქრებს. ვრონსკი განუწყვეტლივ გრძნობდა იმის აუცილებლობას, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა შეენელებინა მტკიცე ოფიციალური მოკრძალება, თუ არ უნდოდა შეურაცხყოფილი დარჩენილიყო. ამაზრზენი იყო პრინცის ურთიერთობა იმ პირებთან, რომელნიც, ვრონსკის განსაცვიფრებლად, თავს არ იზოგავდნენ, რათა პრინცს ყოველგვარი რუსული სიამოვნება ეგემა. არაერთხელ წამოწითლებულა ვრონსკი ბრაზისაგან, როცა ისმენდა პრინცის მსჯელობას რუს ქალებზე, რომელთა შესწავლასაც იგი აპირებდა. მთავარი მიზეზი კი, რის გამოც მისთვის მეტისმეტად ძნელი ასატანი შეიქნა პრინცი, ის იყო, რომ ვრონსკი უნებლიეთ საკუთარ თავს ხედავდა მასში. ის კი, რასაც ამ სარკეში ხედავდა, მაინცდამაინც ვერ ესალბუნებოდა მის თავმოყვარეობას. იგი იყო მეტისმეტად სულელი, მეტისმეტად თავდაჯერებული, ძალიან ჯანმრთელი და ძალიან ფაქიზი ადამიანი, – მეტი არაფერი. ისე კი პრინცი ნამდვილი ჯენტლმენი იყო და ვრონსკისაც არ შეეძლო ამის უარყოფა. უმაღლეს პირებთან იგი მშვიდად გრძნობდა თავს და არც მლიქვნელობდა, თანატოლებთან უბრალოდ, თავისუფლად ეჭირა თავი, დაბლა მდგომებისადმი კი რაღაც ზიზღნარევ გულკეთილობას იჩენდა. ვრონსკი თვითონაც ასეთი იყო და ამას დიდ ღირსებად მიიჩნევდა. პრინცისათვის კი იგი მასზე დაბლა მდგომი პიროვნება იყო და ეს ზიზღნარევი გულკეთილობა შეურაცხყოფდა.

„უჭკუო მძორი! ნუთუ მეც ასეთი ვარ?“ – ფიქრობდა იგი.

ასე იყო თუ ისე, მეშვიდე დღეს, როცა მოსკოვში წასვლის წინ გამოემშვიდობა პრინცი და მადლობა მიიღო მისგან, ვრონსკიმ ბედნიერად იგრძნო თავი, რომ გათავისუფლდა ამ უხერხული მდგომარეობისაგან და მოიცილა ეს უსიამო სარკე. იგი სადგურზე გამოეთხოვა პრინცს, როცა ისინი დაბრუნდნენ დათვებზე ნადირობიდან, სადაც მთელი ღამე რუსულ სიმარჯვეთა ჩვენება იყო გამართული.

II

შინ დაბრუნებულ ვრონსკის ანას წერილი დახვდა. „მე ავად ვარ და უბედურად ვთვლი თავს. გარეთ გამოსვლა არ შემიძლია და თქვენი უნახაობაც მეტად ვეღარ მომითმენია. მოდით ამ საღამოს შვიდ საათზე. ალექსეი ალექსანდროვიჩი თათბირზე მიდის და ათ საათამდე იქ იქნება“, – წერდა ანა. ვრონსკი წუთით ჩაფიქრდა. უცნაური იყო ანასგან ვრონსკის შინ მიწვევა, მიუხედავად ქმრის მოთხოვნისა, რომ ვრონსკი სახლში არ მიეღო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა წასვლა.

ამ ზამთარს ვრონსკის პოლკოვნიკობა უბოძეს, პოლკიდან გამოვიდა და განმარტოებით ცხოვრობდა. ისაუზმა თუ არა, დივანზე წამოწვა. ხუთიოდე წუთს თვალწინ უტრიალებდა ამ უკანასკნელ დღეებში განცდილი უმსგავსო სცენები. შემდეგ კი ეს მოგონება შეერია და დაუკავშირდა ფიქრებს ანაზე, მარეკზე, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა დათვებზე ნადირობისას, და ჩაეძინა კიდეც. უკვე შეღამებული იყო, როცა შიშისგან აკანკალებულს გამოეღვიძა და მაშინვე სანთელი აანთო. „რა იყო! რა მოხდა? ეს რა საშინელი სიზმარი ვნახე! ჰო, ჰო, მგონი ის პატარა, ჭუჭყიანი, წვერგაბურძგნილი მარეკი იყო, ძირს დახრილი რაღაცას აკეთებდა და უცებ უცნაური სიტყვები თქვა ფრანგულად. ჰო, მეტი არაფერი მინახავს, – ჩაილაპარაკა ვრონსკიმ, – მაგრამ რატომ იყო ეს ასეთი საზარელი?“ მას კვლავ ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ მარეკი გლეხი, მის მიერ ფრანგულად ნათქვამი გაუგებარი სიტყვები და შიშის ჟრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში.

„რა სისულელეა!“ – გაიფიქრა ვრონსკიმ და საათს დახედა.

უკვე ცხრის ნახევარი იყო. ვრონსკიმ მსახურს დაუძახა, საჩქაროდ ჩაიცვა და პარმაღზე გამოვიდა. სიზმარი სულ გადაავიწყდა, მხოლოდ იმასღა დარდობდა, რომ დაიგვიანა. კარენინების სადარბაზო კართან რომ მივიდა, საათს შეხედა და დაინახა, ცხრას ათი წუთი უკლდა. სადარბაზო კართან მაღალი, ვიწრო კარეტა იდგა, რომელშიც წყვილი ქურანა ცხენი ება. ვრონსკიმ ანას კარეტა შეიცნო. „ჩემთან მოდის, – გაიფიქრა მან, – უკეთესიც იქნებოდა. სასიამოვნო არ არის ჩემთვის ამ სახლში შესვლა, მაგრამ სულერთია, დამალვა არ შემიძლია“, – ჩაილაპარაკა ვრონსკიმ და იმ ადამიანის ჩვევით, რომელსაც არაფრის არ უნდა რცხვენოდეს, რაც ბავშვობიდანვე ჰქონდა შეთვისებული, მარხილიდან გადმოვიდა და სადარბაზო

კარისკენ გასწია. კარი გაიღო და მეკარემ, რომელსაც მკლავზე პლედი ჰქონდა გადაკიდებული, ეტლს დაუძახა. ვრონსკის, რომელიც საერთოდ ჩვეული არ იყო წვრილმანების შემჩნევას, ახლა შეუმჩნეველი არ დარჩა, როგორი გაოცებით შეხედა მეკარემ. შესასვლელში ვრონსკი თითქმის შეეჩეხა ალექსეი ალექსანდროვიჩს. აირმშუქი პირდაპირ ანათებდა ალექსეი ალექსანდროვიჩის უსისხლო, გამხდარ სახეს, შავ ქუდსა და ჰალსტუხს, რომელიც თეთრად ქათქათებდა პალტოს წავის საყელოდან. კარენინის უძრავი, უფერული თვალები პირდაპირ სახეში მისჩერებოდნენ მას. ვრონსკი მიესალმა, ალექსეი ალექსანდროვიჩმაც რაღაც წაილუღლუღა, ხელი ქუდისკენ წაიღო და გვერდით ჩაუარა. ვრონსკიმ დაინახა, როგორ ჩაჯდა იგი კარეტაში, ისე, რომ ერთხელაც არ მოუხედავს უკან, ფანჯრიდან პლედი და ბინოკლი გამოართვა მსახურს და მიიმალა. ვრონსკი დერეფანში შევიდა. წარბები მოღუშული ჰქონდა და თვალები ბოროტად, სიამაყით უელავდა.

„საშინელი მდგომარეობაა! – ფიქრობდა იგი, – რომ იბრძოდეს, იცავდეს თავის ღირსებას, მაშინ მეც შემეძლო, მემოქმედა, შემეძლო გამომეხატა ჩემი გრძნობა; არ ვიცი, ეს სისუსტეა თუ სულმდაბლობა... მე იგი ისეთ მდგომარეობაში მაყენებს, თითქოს მატყუარა ვიყო, მე კი მატყუარა არა ვარ და არც მინდოდა, ვყოფილიყავი“.

ვრედეს ბაღში ანასთან საუბრის შემდეგ ვრონსკის აზრები საგრძნობლად შეიცვალა. იგი უნებურად ემორჩილებოდა ანას სისუსტეს, ანა კი მთლიანად მასზე იყო მინდობილი და მისგან ელოდა თავისი ბედის გადაწყვეტას. ვრონსკი წინასწარვე ემორჩილებოდა ანას ყველაფერში და უკვე დიდი ხანია თავი დაანება იმაზე ფიქრს, ბოლო უნდა მოეღოს ამ მდგომარეობასო, როგორც ამას ადრე ფიქრობდა. მისმა პატივმოყვარე გეგმებმაც კვლავ უკანა პლანზე გადაინაცვლა. გრძნობდა, რომ უკვე გამოსულია მოქმედების იმ სფეროდან, სადაც ყველაფერი განსაზღვრული იყო, და მთელი სულითა და გულით ეძლეოდა თავის გრძნობას, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერად აკავშირებდა ანასთან.

ვრონსკიმ დერეფანში მოჰკრა ყური ანას ფეხის ხმას, მიხვდა, რომ ელოდა, ყური მისკენ ეჭირა და ახლა ისევ სასტუმროში ბრუნდებოდა.

– არა, – ვრონსკის დანახვისთანავე წამოიძახა ანამ და

თვალებზე ცრემლები მოადგა, – არა! თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ეს ბევრად, ბევრად უფრო მალე აღსრულდება.

– რა, ჩემო მეობარო?

– რა და მე გელოდები, ვიტანჯები, ერთი საათი, ორი... არა, არ შემიძლია შენთან ჩხუბი. ალბათ, არ შეგეძლო! არა, არ ვიჩხუბებ!

ანამ ორივე ხელი მხრებზე დაადო ვრონსკის და დიდხანს შეჰყურებდა დაჟინებული, აღტაცებული და ამავე დროს გამომცდელი თვალით. უნდოდა შეესწავლა მისი სახე. გაეგო, რა მოხდა მას შემდეგ, რაც აღარ ენახა. ახლაც, როგორც ყოველი შეხვედრის დროს, ანა თავის წარმოდგენას ვრონსკიზე (ბევრად უკეთესს და სინამდვილეში შეუძლებელს) ადარებდა იმას, რაც სინამდვილეში იყო.

III

– შეხვდი მას? – ჰკითხა ანამ, როცა ისინი ლამპით განათებულ მაგიდასთან დასხდნენ, – ესეც შენი სასჯელი იმისათვის, რომ დაიგვიანე.

– კი მაგრამ, როგორ მოხდა? ის ხომ საბჭოში უნდა ყოფილიყო!

– საბჭოში უკვე იყო, დაბრუნდა და ახლა ისევ წავიდა სადღაც. მაგრამ ეს არაფერია. ნუღარაფერს მეტყვი ამაზე. შენ სად იყავი? ისევ შენს პრინცთან?

ანამ ვრონსკის ცხოვრების ყოველი წვრილმანი იცოდა, ვრონსკის უნდოდა ეთქვა, მთელი ღამე არ მძინებია და ჩამეძინაო, მაგრამ როცა ანას აღელვებულ, ბედნიერ სახეს შეხედა, შერცხვა. პრინცის გამგზავრების თაობაზე ანგარიშის მოსახსენებლად ვიყავი წასულიო, უთხრა.

– ახლა ხომ გათავდა? ხომ წავიდა?

– მადლობა ღმერთს, გათავდა. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი აუტანელი იყო ეს ჩემთვის.

– რატომ? ეს ხომ თქვენი, ყველა ახალგაზრდა მამაკაცის ყოველდღიური ცხოვრებაა, – უთხრა ანამ, წარბი შეიკრა, ხელი წაავლო საქსოვს, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო, ვრონსკის თვალი აარიდა და საქსოვიდან ყაისნაღის გამოღებას შეეცადა.

– მე უკვე დიდი ხანია მივატოვე ეს ცხოვრება, – უპასუხა ვრონსკიმ, რომელიც გააკვირვა ანას სახის უეცარმა ცვლილებამ და შეეცადა ამ ცვლილების ამოხსნას, – და უნდა გამოგიტყდე, – სიცილით განაგრძო მან და თავისი მიჯრილი, თეთრი კბილები გამოაჩინა, – მთელი ეს ერთი კვირა, თითქოს სარკეში ვიხედებოდი, ვუყურებდი მის ცხოვრებას და უსიამოვნებას ვგრძნობდი.

ანას ხელში საქსოვი ეჭირა, მაგრამ არ ქსოვდა და უცნაურად ანთებული, მტრული თვალებით შეჰყურებდა ვრონსკის.

– ამ დილით ლიზამ შემოიარა ჩემთან, მიუხედავად გრაფინია ლიდია ივანოვნას რისხვისა, ჯერ კიდევ ბედავს ჩემთან მოსვლას, – ჩაურთო მან, – და მიამბო თქვენს ათენურ საღამოზე. რა საძაგლობაა!

– სწორედ ახლა მინდოდა მეთქვა, რომ...

ანამ შეაწყვეტინა.

– ეს ის Thérése იყო, შენ რომ ადრე იცნობდი?

– მე მინდოდა მეთქვა...

– რა საძაგლები ხართ თქვენ, მამაკაცები! როგორ ვერ წარმოგიდგენიათ, რომ ქალს არ შეუძლია ამის დავიწყება, – ეუბნებოდა ანა, სულ უფრო და უფრო ცხარობდა და ამით ააშკარავებდა თავის განაწყენების მიზეზს, – განსაკუთრებით იმ ქალს, რომელსაც არ შეუძლია იცოდეს შენი ცხოვრება. რა ვიცი მე ან რა შემიძლია ვიცოდე? – განაგრძობდა იგი, – მხოლოდ ის, რასაც შენ მეტყვი. საიდან უნდა გავიგო, სიმართლეს მეუბნები თუ არა...

– ანა! შენ ხომ შეურაცხმყოფ, ნუთუ არ გჯერა ჩემი? განა არ გითხარი, რომ მე არა მაქვს, არც შეიძლება მქონდეს შენგან დაფარული ფიქრი?

– ჰო, ჰო, – უთხრა ანამ. ეტყობოდა, ცდილობდა, როგორმე განედევნა ეჭვი, – მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მიმძიმს ეს! მე

მჯერა, მჯერა შენი... ჰო, რას მეუბნებოდი?

მაგრამ ვრონსკიმ ვეღარ გაიხსენა, რისი თქმა უნდოდა. ეჭვიანობის ეს შემოტევები ამ უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად ეუფლებოდა ანას. ეს მეტისმეტად აშინებდა ვრონსკის, თუმცა კი ცდილობდა ამის დაფარვას. ეჭვიანობა გულს უცივებდა ანასადმი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მიზეზი ამ ეჭვიანობისა სიყვარული იყო. რამდენჯერ უთქვამს ვრონსკის, რომ ანას სიყვარული ბედნიერებაა მისთვის. და აი, ანამაც შეიყვარა ისე, როგორც შეუძლია სიყვარული ქალს, რომელმაც მთელი თავისი კეთილდღეობა ამ სიყვარულს ანაცვალა, – და ახლა იგი ბევრად უფრო შორს იყო იმ ბედნიერებისაგან, ვიდრე მაშინ, როცა მოსკოვიდან გამოჰყვა ანას. მაშინ იგი უბედურად თვლიდა თავს, მაგრამ ბედნიერება წინ იყო; ახლა კი გრძნობდა, რომ ყველაზე უკეთესი ბედნიერება წარსულს ჩაბარდა. ანა უკვე აღარ იყო ისეთი, პირველად რომ იხილა, ძალიან შეიცვალა ხასიათითაც და ფიზიკურადაც. თანდათან გაევსო სხეული და მის სახეზეც, როცა მსახიობ ქალზე ლაპარაკობდა, რაღაც ბოროტი გამომეტყველება აღიბეჭდა, რაც სულ უმახინჯებდა სახეს. ვრონსკი ისე უყურებდა ანას, როგორც შეხედავს ადამიანი მისგანვე მოწყვეტილ დამჭკნარ ყვავილს, რომელშიც ვეღარ უცნია ის სილამაზე, რისი გულისთვისაც მოწყვიტა და დაიღუპა. და მიუხედავად ამისა, ვრონსკი გრძნობდა, რომ მაშინ, როცა მისი სიყვარული უფრო ძლიერი იყო, ძალიან რომ მოენდომებინა, შეეძლო ამოეგლიჯა ეს გრძნობა გულიდან. მაგრამ ახლა, როცა ეგონა, რომ ისე აღარ უყვარდა ანა, იცოდა, რომ შეუძლებელი იყო მისთვის ამ კავშირის გაწყვეტა.

– ჰო, ჰო, რა გინდოდა გეთქვა პრინცზე? მე უკვე განვდევნე, განვდევნე ის ალქაჯი, – დაუმატა მან. ალქაჯს ისინი ეჭვიანობას უწოდებდნენ, – ჰო, პრინცზე მეუბნებოდი რაღაცას! რატომ გიმძიმდა ასე?

– აჰ, აუტანელი იყო! – უთხრა ვრონსკიმ, შეეცადა, როგორმე აღედგინა გაწყვეტილი საუბრის ძაფი, – ახლოს გაცნობისას აზრი შეგეცვლება მასზე... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის კარგად ნაპატივები ცხოველი, რომელიც გამოფენაზე პირველ მედალს იღებს. მეტი არაფერი, – განაწყენებით ამბობდა ვრონსკი და ამან დააინტერესა ანა.

– არა, მაგას რატომ ამბობ? – შეეკამათა იგი, – რაც უნდა იყოს,

მაინც ბევრის მნახველი და განათლებული ადამიანია.

– მათი განათლება სულ სხვაგვარია. ეტყობა, ესეც იმიტომ სჭირდება, რომ აბუჩად აიგდოს ეს განათლება, ისევე როგორც ყველაფერი, გარდა ცხოველური სიამოვნებისა.

– თქვენ ხომ ყველას გიყვართ ეს ცხოველური სიამოვნებანი, – უთხრა ანამ და ვრონსკიმ მის გამოხედვაში კვლავ წყენა ამოიკითხა, თუმცა ანას არ უნდოდა ამის გამჟღავნება.

– ასე თავგამოდებით რატომ იცავ პრინცს? – ღიმილით უთხრა ვრონსკიმ.

– სულაც არ ვიცავ! ჩემთვის სულერთია. მაგრამ, მე მგონია, შენ თვითონ რომ არ გიყვარდეს ეს სიამოვნებანი, მაშინ შეგეძლო უარი გეთქვა. შენ ხომ სიამოვნებას განიჭებს ევას სამოსში გამოწყობილი ტერეზას ყურება...

– ისევ, ისევ ის ალქაჯი! – თქვა ვრონსკიმ, ხელი მოჰკიდა ანას ხელს, მაგიდაზე რომ ედო, და აკოცა.

– ჰო, მაგრამ არ შემიძლია. შენ არ იცი, როგორ გავიტანჯე შენს მოლოდინში! მე სულაც არ ვეჭვიანობ, არა, სულაც არა ვარ ეჭვიანი. მე მჯერა შენი, როცა აქ ხარ, ჩემთან, მაგრამ, როცა შენ სადღაც მარტო ატარებ ჩემთვის გაუგებარ ცხოვრებას...

ანამ თავი განარიდა ვრონსკის, როგორც იქნა, გამოიღო ყაისნაღი საქსოვიდან, საჩვენებელი თითის დახმარებით სწრაფად იღებდა თვლებს თეთრი, ლამპის შუქზე მოელვარე ღაზლის ძაფით, სწრაფად, ნერვიულად მოძრაობდა მისი პატარა ხელი ამოქარგულ სახელოში.

– ჰო, როგორ იყო? სად შეხვდი ალექსეი ალექსანდროვიჩს? – უცებ რაღაც არაბუნებრივად გაიწკრიალა ანას ხმამ.

– კარში შევეფეთეთ ერთმანეთს.

– და ის ასე მოგესალმა, არა?

ანამ სახე დაიგრძელა, თვალები ნახევრად მილულა, სწრაფად შეიცვალა გამომეტყველება, ხელები ჩამოუშვა და მის ლამაზ სახეზე სწორედ იმგვარი გამომეტყველება დაინახა, მისალმებისას რომ შენიშნა ალექსეი ალექსანდროვიჩს. ვრონსკიმ გაიღიმა და ანამაც გადაიკისკისა თავისებური, მომხიბლავი, გულიანი სიცილით.

– ნამდვილად ვერაფერი გამიგია მისი, – უთხრა ვრონსკიმ, – მას შემდეგ, რაც შენ ყველაფერი აღიარე მის წინაშე, უნდა გაეწყვიტა შენთან ურთიერთობა ან დუელში გამოვეწვიე... მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეუძლია, ასეთი მდგომარეობის მოთმენა? ისე კი, ეტყობა, იტანჯება.

– ალექსეი ალექსანდროვიჩი იტანჯება? – დაცინვით შენიშნა ანამ, – იგი სავსებით კმაყოფილია.

– ნეტავ რატომ ვიტანჯებით ყველანი, როცა შეიძლებოდა, ყველაფერი კეთილად მოწყობილიყო.

– მხოლოდ ის არ იტანჯება. განა მე არ ვიცნობ მას, არ ვიცნობ იმ სიყალბეს, რომელიც სულსა და ხორცში აქვს გამჯდარი?.. განა შეიძლება, გრძნობდე რამეს და იცხოვრო ისე, როგორც ის ცხოვრობს ჩემთან? მას არაფერი ესმის, არაფერს გრძნობს. განა შეუძლია ადამიანს, რომელიც რაიმეს გრძნობს, ერთ ჭერქვეშ იცხოვროს მოღალატე ცოლთან? განა შეიძლება ასეთ ცოლთან ლაპარაკი? ისიც შენობით ლაპარაკი?

და ანამ უნებლიეთ ისევ გამოაჯავრა ქმარს, „შენ, ma chère, შენ, ანა!“

– ის არც მამაკაცია, არც ადამიანი, რაღაც ტიკინაა! ეს არავინ იცის, მე კი ვიცი. ოჰ, მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, დიდი ხანია მოვკლავდი, ნაკუწ-ნაკუწ ავქნიდი ისეთ ცოლს, როგორიც მე ვარ და ასეთ ლაპარაკს კი არ დავუწყებდი: „შენ, ma chère, ანა“. ეს ადამიანი კი არა, სამინისტროს მანქანაა. მას არ ესმის, რომ მე შენი ცოლი ვარ, რომ ის უცხოა, ზედმეტია ჩვენთვის... ნუღარაფერს, ნუღარაფერს ვიტყვით ამაზე!..

– არა, ჩემო მეგობარო, შენ არა ხარ მართალი, – უთხრა ვრონსკიმ, – რომელსაც უნდოდა დაემშვიდებინა ანა, – მაგრამ მაინც ნუღარაფერს ვიტყვით მასზე. მომიყევი, რას აკეთებდი? რა დაგემართა? რა არის ეგ შენი ავადმყოფობა და რა გითხრა ექიმმა?

ანა რაღაც დამცინავი სიხარულით შეჰყურებდა ვრონსკის. ეტყობოდა, კიდევ რაღაც დასაცინი, მახინჯი თვისებები აღმოაჩინა ქმარში და დროს ელოდა ამის სათქმელად.

ვრონსკი კი განაგრძობდა: – მე მგონი, ეს ავადმყოფობის კი არა, შენი მდგომარეობის ბრალია. როდის მოეღება ამას ბოლო?

დამცინავი შუქი სწრაფად ჩაქრა ანას თვალებში და სულ სხვა, ჩუმი ნაღვლის გამომხატველმა ღიმილმა შეცვალა. თითქოს მან იცოდა რაღაც ისეთი, რაც უცნობი იყო ვრონსკისთვის.

– მალე, მალე. შენ ხომ ამბობდი, ჩვენი მდგომარეობა მტანჯველია და მალე უნდა მოეღოსო ბოლო. რომ იცოდე, რა მძიმე ასატანია ეს ჩემთვის, რას არ მივცემდი იმისათვის, რომ თავისუფლად, გაბედულად შემძლებოდა შენი სიყვარული! მაშინ აღარ დავიტანჯებოდი და აღარც შენ გაგტანჯავდი ჩემი ეჭვიანობით... ჰოდა, ესეც მალე იქნება, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ.

და იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ მოხდებოდა ეს, ანას ისე შეებრალა საკუთარი თავი, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა, ვეღარ შეძლო ლაპარაკი. ანამ ლამპის შუქით გაბრწყინებული თეთრი, ბეჭდებიანი ხელი სახელოზე დაადო ვრონსკის.

– ეს არ მოხდება ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. არ მინდოდა შენთვის ამის თქმა, მაგრამ შენ თვითონვე მაიძულე. მალე, მალე გაირკვევა ყველაფერი და ჩვენ ყველანი, ყველანი დავმშვიდდებით, აღარ დავიტანჯებით.

– ვერაფერი გამიგია, – უპასუხა ვრონსკიმ, თუმცა იცოდა, რის თქმაც სურდა ანას.

– შენ ხომ მეკითხებოდი, როდის იქნებაო? მალე იქნება-მეთქი, მე ვერ გადავიტან ამას. ნუ მაწყვეტინებ! – და ანამ აჩქარებით განაგრძო ლაპარაკი, – ვიცი, დანამდვილებით ვიცი, მე მოვკვდები და ძალიანაც მიხარია, რომ მოვკვდები და გაგათავისუფლებთ თქვენც და ჩემს თავსაც.

ანას ცრემლები სდიოდა თვალთაგან. ვრონსკი მისი ხელისკენ დაიხარა, ხელები დაუკოცნა, უნდოდა დაეფარა მღელვარება, რომელსაც არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ რომლის დაოკებაც ვერ შეძლო.

– აი, ასე, ასე უკეთესია, – ამბობდა ანა და მთელი ძალ-ღონით ხელზე ხელს უჭერდა ვრონსკის, – აი, ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვრჩენია.

ვრონსკი გონს მოვიდა, თავი ასწია.

– ეს რა სისულელეა! რა უაზრო სისულელეს ამბობ!

– არა, ეს სიმართლეა.

– რა, რა არის სიმართლე?

– ის, რომ მოვკვდები. სიზმარი ვნახე.

– სიზმარი? – გაიმეორა ვრონსკიმ და წუთით სიზმრად ნანახი გლეხი გაახსენდა.

– დიახ, სიზმარი, – განაგრძო ანამ, – მე დიდი ხნის წინ ვნახე ეს სიზმარი. ვითომ ჩემს საწოლ ოთახში შევირბინე, რაღაცის აღება მინდოდა თუ რაღაც უნდა გამეგო; ხომ იცი, როგორ ხდება სიზმარში, – ამბობდა ანა და შიშისაგან თვალები უფართოვდებოდა, – საწოლ ოთახში კი, კუთხეში, რაღაც დგას...

– აჰ, რა სისულელეა! როგორ შეიძლება გჯეროდეს, რომ...

მაგრამ ანამ არ დაანება სიტყვის გაწყვეტა. ის, რასაც ამბობდა, მეტად მნიშვნელოანი იყო მისთვის.

– ეს რაღაც ჩემკენ მოტრიალდა და ვხედავ, ვიღაც ჩია ტანის, საზარელი შესახედაობის წვერგაბურძგნილი გლეხია. მე გამოქცევა დავაპირე, მაგრამ გლეხი ტომრისაკენ დაიხარა და რაღაცას დაუწყო შიგ ძებნა...

ანამ აჩვენა, როგორ ეძებდა გლეხი რაღაცას ტომარაში და საშინელება გამოეხატა სახეზე. ვრონსკისაც გაახსენდა თავისი სიზმარი და ეს საშინელება მის სულსაც დაეუფლა.

– ეძებს რაღაცას ტომარაში, თან ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს ფრანგულად: „Il faut le battre le fer, le broyer, le petrir“[52]... შეშინებულს გაღვიძება მინდოდა და გავიღვიძე კიდეც, მაგრამ სიზმარში გავიღვიძე. რას ნიშნავს-მეთქი ეს, ვეკითხები ჩემს თავს, კორნეი კი მეუბნება: „მშობიარობას, მშობიარობას გადაჰყვები, ქალბატონო“ და გამომეღვიძა კიდეც...

– რა სისულელეა, რა სისულელე! – ეუბნებოდა ვრონსკი, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რომ მის ხმაში არავითარი დამაჯერებლობა არ ისმოდა.

– ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. ჩამორეკე ზარი, ვუბრძანებ, ჩაი მოგვართვან. თუმცა მოიცადე, ახლა მე დიდხანს ვეღარ...

მაგრამ უეცრად ანა შეჩერდა. სახის გამომეტყველებაც უმალვე შეეცვალა. ღელვა და მწუხარება უეცრად მშვიდმა,

სერიოზულმა და ნეტარების გამომეტყველმა ყურადღებამ შეცვალა. ვრონსკი ვერ მიხვდა ამ ცვლილების მიზეზს. ანა ყურს უგდებდა, როგორ იძვროდა მის სხეულში ახალი სიცოცხლე.

IV

მას შემდეგ, რაც ალექსეი ალექსანდროვიჩი თავისი სახლის პარმაღზე შეეფეთა ვრონსკის, იტალიურ ოპერაში წავიდა, როგორც წინასწარ ჰქონდა განზრახული, ორი აქტი მოისმინა და ინახულა ყველა, ვისი ნახვაც საჭირო იყო. შემდეგ ისევ შინ მობრუნდა, ყურადღებით შეათვალიერა პალტოების საკიდი და როცა შენიშნა, იქ სამხედრო პალტო აღარ ეკიდა, ჩვეულებრივ გასწია თავისი ოთახისაკენ. მაგრამ, წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, არ დაწოლილა და ღამის სამ საათამდე ბოლთას სცემდა კაბინეტში. მოსვენებას არ აძლევდა მრისხანება, რაც მასში ცოლის საქციელმა გამოიწვია, ცოლისა, რომელმაც არ ინდომა წესიერების დაცვა და არ შეასრულა მის მიერ წამოყენებული ერთადერთი პირობა – შინ არ მიეღო თავისი საყვარელი. ანამ არ შეასრულა მისი თხოვნა და უნდა დასაჯოს იგი, სისრულეში უნდა მოიყვანოს თავისი მუქარა – მოითხოვოს ცოლთან განქორწინება და წაართვას შვილი. ალექსეი ალექსანდროვიჩმა იცოდა ყველა ის სიძნელე, რაც დაკავშირებული იყო ამ საქმესთან, მაგრამ ერთხელ უკვე თქვა, რომ გააკეთებს ამას, და ახლა სისრულეში უნდა მოიყვანოს თავისი მუქარა. გრაფინია ლიდია ივანოვნამ სიტყვაც გადაუკრა იმაზე, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მისი მდგომარეობიდან. ამ უკანასკნელ ხანებში განქორწინების პრაქტიკა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩს ახლა უკვე შესაძლებლად მიაჩნდა ფორმალური სიძნელეების დაძლევა. გარდა ამისა, ერთ უბედურებას ყოველთვის მეორეც თან სდევს და ეროვნულ უმცირესობათა კეთილმოწყობისა და ზარაისკის გუბერნიის მინდვრების მორწყვის საქმემ იმდენი უსიამოვნება მიაყენა ალექსეი ალექსანდროვიჩს, რომ ამ ბოლო ხანებში მუდამ საშინლად აღელვებული იყო.

ალექსეი ალექსანდროვიჩს მთელი ღამე არ სძინებია და მისმა

მრისხანებამ, რომელიც რაღაც საოცარი პროგრესით იზრდებოდა, დილისათვის უკვე უკანასკნელ საზღვრებს მიაღწია. მან საჩქაროდ ჩაიცვა და როგორც კი ანას ადგომა შეიტყო, მაშინვე ცოლისაკენ გასწია, თითქოს მრისხანებით სავსე ფიალა მიაქვს და ეშინია, გზაში არ დაიღვაროსო, ეშინია, ამ მრისხანებასთან ერთად არ დაკარგოსო ენერგიაც, რომელიც საჭირო იყო ცოლთან ახსნა-განმარტებისათვის.

ანა, რომელსაც ეგონა, რომ კარგად იცნობდა თავის ქმარს, გააოცა მისი სახის გამომეტყველებამ, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ანას ოთახში შევიდა. შუბლი შეჭმუხნილი ჰქონდა, თვალები კუშტად იცქირებოდნენ და გაურბოდნენ ანას გამოხედვას, ბაგე მტკიცედ, ზიზღით ჰქონდა მოკუმული. მის სიარულში, მოძრაობასა და ხმაში ჯერ არნახული შეუპოვრობა და სიმტკიცე იხატებოდა. იგი ისე შევიდა ოთახში, რომ არც მისალმებია, პირდაპირ ანას საწერი მაგიდისაკენ გასწია, გასაღები აიღო და უჯრა გააღო.

– რა გნებავთ? – წამოიძახა ანამ.

– თქვენი საყვარლის წერილები, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– წერილები აქ არ არის, – უთხრა ანამ და უჯრა მიხურა, მაგრამ ცოლის ამ მოძრაობაზე ალექსეი ალექსანდროვიჩი მიხვდა, რომ სწორად ჰქონდა გუმანი აღებული, მან უხეშად მოიშორა ანას ხელი და ხელი დასტაცა პორტფელს, რომელშიც ანა ყველაზე უფრო საჭირო ქაღალდებს ინახავდა. ანას უნდოდა, ხელიდან გამოეტაცა პორტფელი, მაგრამ ქმარმა ხელის კვრით მოიშორა.

– დაბრძანდით! მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, – უთხრა მან. პორტფელი იღლიაში ამოიდო და ისე მაგრად მოუჭირა მკლავი, რომ ცალი მხარი მაღლა აეწია.

გაკვირვებული, შეშინებული ანა ხმაამოუღებლად შეჰყურებდა ქმარს.

– მე თქვენ გითხარით, რომ ნებას არ მოგცემთ, შინ მიიღოთ თქვენი საყვარელი.

– მე მინდოდა მისი ნახვა, რათა...

ანა გაჩერდა, რადგან ვეღარაფერი მოიფიქრა.

– მე არ მსურს დაწვრილებით ვიცოდე, რისთვის ესაჭიროება ქალს თავისი საყვარლის ნახვა.

– მე მინდოდა, მე მხოლოდ... – უპასუხა ანამ და სახეზე ალმური მოედო. ქმრის ასეთმა უხეშობამ გააბრაზა და გამბედაობა შემატა, – ნუთუ ვერ გრძნობთ, რა იოლია თქვენთვის ჩემი შეურაცხყოფა? – თქვა ანამ.

– შეურაცხყოფა შეიძლება პატიოსანი ადამიანის, პატიოსანი ქალის, მაგრამ ქურდს რომ უთხრა, ქურდი ხარო, ეს მხოლოდ არის la constatation d’un fait.[53]

– თქვენი სიმკაცრის ამ ახალ თვისებას დღემდე არ ვიცნობდი.

– თქვენ სიმკაცრეს უწოდებთ იმას, რომ ქმარი თავისუფლებას ანიჭებს ცოლს, აძლევს მის სახელს პატიოსან თავშესაფარს იმ პირობით, რომ მხოლოდ წესიერება დაიცვას. განა ეს სიმკაცრეა?

– ეს სიმკაცრეზე უარესია, ეს საზიზღრობაა, თუ გსურთ, იცოდეთ, – განრისხებით წამოიძახა ანამ და წამოდგა, ოთახიდან გასვლა დააპირა.

– არა! – თავისებური წვრილი ხმით დაიყვირა ალექსეი ალექსანდროვიჩმა. ამჯერად მისმა ხმამ ჩვეულებრივზე ერთი ტონით მაღლა აიწია და თავისი დიდი თითები ისე ძლიერ სალტედ შემოაჭდო ანას ხელზე, რომ მის ხელს წითელი კვალი დააჩნდა. ქმარმა ძალით დასვა ანა ადგილზე, – საზიზღრობა? თუ თქვენ ამ სიტყვის ხმარება გინდათ, საზიზღრობა ის არის, რომ საყვარლის გულისათვის მიატოვო ქმარი, შვილი და მაინც ქმრის ლუკმაზე იყო.

ანამ თავი დახარა. მას არათუ აღარ გაუმეორებია ის სიტყვები, გუშინ რომ ვრონსკის ეუბნებოდა, შენ ხარ ჩემი ქმარი და ის კი ზედმეტიაო, ფიქრადაც კი აღარ გაუვლია ეს. გრძნობდა, რომ ქმარი სიმართლეს ეუბნებოდა და მხოლოდ ესღა თქვა ხმადაბლა: – თქვენ არ შეგიძლიათ იმაზე უარესად წარმოადგინოთ ჩემი მდგომარეობა, როგორც თვითონ მესმის. რატომ მეუბნებით ყოველივე ამას?

– რატომ გეუბნებით? რატომ? – ისეთივე მრისხანებით განაგრძობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – იმიტომ გეუბნებით, რომ იცოდეთ: რადგან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი სურვილი, არ დაიცავით წესიერება, მე ზომებს მივიღებ იმისათვის, რომ

ბოლო მოეღოს ამ მდგომარეობას.

– მალე, ისედაც მალე მოეღება ბოლო, – თქვა ანამ და კვლავ ცრემლები მოადგა თვალებზე, როცა ისევ გაუელვა ფიქრმა მოახლოებულ სიკვდილზე, რომელიც ახლა სასურველი გამხდარიყო მისთვის.

– ამას უფრო მალე მოეღება ბოლო, ვიდრე თქვენ და თქვენს საყვარელს გადაგიწყვეტიათ! თქვენ მხოლოდ თქვენი ცხოველური ვნების დაკმაყოფილება გინდათ...

– ალექსეი ალექსანდროვიჩ! მე თქვენ არ გეუბნებით, რომ ეს თქვენი მხრივ დიდსულოვნება არ არის, მაგრამ წაქცეულის ცემა ხომ უწესობაა.

– დიახ, თქვენ მხოლოდ თქვენი თავი გახსოვთ, თქვენთვის საინტერესო აღარ არის ტანჯვა იმ ადამიანისა, რომელიც ოდესღაც თქვენი ქმარი იყო. თქვენ არაფრად აგდებთ იმას, რომ მთელი მისი ცხოვრება დაიმსხვრა, რომ იგი გაინ... გაიჯ... გაიჯანტა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი იმდენად სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ენა დაება და ვეღარ შეძლო ამ სიტყვის თქმა. ბოლოს ძლივსღა თქვა, გავიტანჯეო. ანას სასაცილოდ მოეჩვენა ეს, მაგრამ მაშინვე შერცხვა, რომ ასეთ წუთებში შეიძლებოდა სასაცილოდ მოსჩვენებოდა რამე. მხოლოდ ახლა იგრძნო, რას განიცდიდა ქმარი, წუთით ჩაიხედა მის გულში და შეებრალა კიდეც. მაგრამ რა შეეძლო ეთქვა მისთვის ან რა უნდა ექნა? ანამ თავი ჩაღუნა, ხმას აღარ იღებდა. ერთხანს ალექსეი ალექსანდროვიჩიც გაჩუმდა. მერე ისევ განაგრძო ლაპარაკი. ახლა მისი ხმაც ნაკლებად ცივი და წრიპინა ეჩვენა. იგი განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამდა თავის მიერვე შერჩეულ სიტყვებს, რომელთაც არავითარი გარკვეული მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

– მე თქვენთან იმის სათქმელად მოვედი... – დაიწყო მან...

ანამ შეხედა ქმარს. „არა, ეს მხოლოდ მომეჩვენა, – გაიფიქრა და გაიხსენა მისი სახის გამომეტყველება, როცა ენა დაება სიტყვაზე, გავიტანჯეო, – არა, განა შეიძლება ასე თვალებამღვრეულმა, თავისი თავით კმაყოფილმა ადამიანმა რაიმე იგრძნოს?“

– მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია, – წაიჩურჩულა ანამ.

– მე იმის სათქმელად მოვედი, რომ ხვალ მოსკოვში მივდივარ და აღარც დავბრუნდები ამ სახლში. ჩემს გადაწყვეტილებას გაცნობებთ ვექილის საშუალებით, რომელსაც მივანდობ განქორწინების საქმეს. ჩემი შვილი კი ჩემს დასთან გადავა, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ძლივსღა გაიხსენა, რისი თქმა უნდოდა შვილზე.

– თქვენ სერიოჟა იმიტომ გინდათ, რომ გული მომიკლათ, – თქვა ანამ და შუბლს ქვემოდან ახედა ქმარს, – თქვენ ის არ გიყვართ... დამიტოვეთ სერიოჟა!

– დიახ, შვილის სიყვარული დავკარგე, რადგან მასთან დაკავშირებულია ჩემი ზიზღი თქვენდამი... მაგრამ მე მაინც წავიყვან მას. მშვიდობით! – და გასვლა დააპირა, მაგრამ ახლა ანამ შეაჩერა.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, დამიტოვეთ სერიოჟა! – ერთხელ კიდევ წაიჩურჩულა ანამ, – მე მეტს ვეღარაფერს გეტყვით... დამიტოვეთ, სანამ მე... მე მალე მოვილოგინებ. დამიტოვეთ იგი!

ალექსეი ალექსანდროვიჩს ალმური მოედო სახეზე, ხელი გამოსტაცა ანას და ხმაამოუღებლივ გავიდა ოთახიდან.

V

პეტერბურგის ცნობილი ვექილის მისაღები ოთახი სავსე იყო მთხოვნელებით, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი იქ მივიდა. სამი მანდილოსანი: ერთი ახალგაზრდა, ერთი მოხუცი და ერთიც ვაჭრის ცოლი, და სამი მამაკაცი: ერთი გერმანელი ბანკირი, რომელსაც ხელზე ბეჭედი ეკეთა, ერთიც წვერიანი ვაჭარი და მესამე ვიღაც გაგულისებული მოხელე, რომელსაც ვიცმუნდირი ეცვა და კისერზე ჯვარი ეკიდა, ეტყობოდა, უკვე დიდი ხანია ელოდნენ ვექილს. ვექილის ორი თანაშემწე მაგიდასთან იჯდა, რაღაცას წერდნენ და თან კალმებს აწრიპინებდნენ. მათი საწერი მოწყობილობა, რომლის დიდი მოყვარულიც გახლდათ ალექსეი ალექსანდროვიჩი,

არაჩვეულებრივად კარგი იყო. ალექსეი ალექსანდროვიჩს არ შეეძლო, არ შეემჩნია ეს. ერთი თანაშემწეთაგანი ფეხზეც არ წამომდგარა, თვალების ჭუტვით, გულმოსული მიუბრუნდა ალექსეი ალექსანდროვიჩს: – რა გნებავთ?

– ვექილთან მაქვს საქმე.

– ვექილს არ სცალია, – უკმეხად მიუგო თანაშემწემ, კალმით იქ მყოფ ხალხზე მიუთითა და ისევ წერა განაგრძო.

– ხომ ვერ შეძლებდა, გამოენახა დრო? – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– თავისუფალი დრო არა აქვს, ყოველთვის დაკავებულია. ინებეთ მოცდა.

– მაშ, თუ შეიძლება გაისარჯეთ და გადაეცით ჩემი სადარბაზო ბარათი, – ამაყად უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რაკი დაინახა, რომ აუცილებელი შეიქნა ვინაობის გამომჟღავნება.

თანაშემწემ ბარათი ჩამოართვა და, ეტყობა, ჭკუაში არ დაუჯდა მისი შინაარსი, ისე შეაღო კაბინეტის კარი.

ალექსეი ალექსანდროვიჩი საზოგადოდ თანაუგრძნობდა საჯარო სასამართლოს, მაგრამ ჩვენში მისი გამოყენების ზოგიერთი წვრილმანი არცთუ სავსებით მოსწონდა მისთვის ცნობილი მაღალი სამსახურებრივი ურთიერთობის გამო და გმობდა კიდეც, რამდენადაც კი შეეძლო რაიმე უმაღლესად დამტკიცებულის დაგმობა. მთელმა მისმა ცხოვრებამ ადმინისტრაციულ საქმიანობაში განვლო და ამიტომაც, როცა რაიმე არ მოსწონდა, ამ არმოწონებას ყოველთვის არბილებდა იმის შეგნება, რომ შეცდომები აუცილებელია და საქმეში არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. ახალ სასამართლო დაწესებულებაში მას არ მოსწონდა ის პირობები, რომელშიც ჩაყენებული იყო ადვოკატურა. მაგრამ აქამდე არავითარი საქმე არ ჰქონია ადვოკატურაში და ამიტომაც მისი არმოწონება უფრო გაიზარდა იმ არასასიამოვნო შთაბეჭდილებათა მეოხებით, ცნობილი ვექილის მისაღებ ოთახში რომ განიცადა.

– ახლავე გამობრძანდება, – მოახსენა თანაშემწემ და მართლაც ორი წუთის შემდეგ კარში გამოჩნდა აყლაყუდა მოხუცი, სამართალმცოდნე, რომელიც რაღაცას ეთათბირებოდა ვექილს, და მას უკან მოჰყვა თვით ვექილიც.

ვექილი ტანმორჩილი, ჩასკვნილი, მელოტი კაცი იყო, მუქი, მოწითალო წვერი, ჩამოფხატული, ქერა, გრძელი წარბები და წინ წამოწეული შუბლი ჰქონდა. იგი სასიძოსავით იყო გამოწყობილი: დაწყებული ჰალსტუხითა და ორმაგძეწკვიანი საათით და გათავებული ლაკის ფეხსაცმლით. სახე ჭკვიანური, მაგრამ გლეხური ჰქონდა, ჩაცმულობა კი მეტისმეტად გაპრანჭული და უგემოვნო.

– მობრძანდით! – მიმართა ალექსეი ალექსანდროვიჩს ვექილმა, პირმოღუშულმა გაატარა წინ და კარი მოხურა.

– ხომ არ დაბრძანდებით? – უთხრა და სავარძელზე მიუთითა, რომელიც ქაღალდებით სავსე საწერი მაგიდის წინ იდგა. თვითონ კი კოტიტა, ქერა ბალნით მოსილი ხელების ფშვნეტით თავმჯდომარის ადგილზე მოთავსდა და თავი გვერდზე გადახარა, მაგრამ როგორც კი თავისი ჩვეული პოზა მიიღო, სწორედ ამ დროს მაგიდას ჩრჩილმა გადაუფრინა, ვექილმა მისგან მოულოდნელი სისწრაფით გაშალა ხელები, ჩრჩილი დაიჭირა და ისევ წეღანდელივით მიაჩერდა ალექსეი ალექსანდროვიჩს.

– სანამ ჩემს საქმეზე დავიწყებდე ლაპარაკს, – დაიწყო ალექსეი ალექსანდროვიჩმა და გაოცებით გააყოლა თვალი ვექილის მოძრაობას, – უნდა მოგახსენოთ, რომ საქმე, რომლის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ, საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

ვექილს ქერა, ჩამოშვებულ ულვაშზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა.

– მე ვექილიც არ მერქმეოდა, ჩემთვის მონდობილი საიდუმლოს შენახვა რომ არ შემძლებოდა. მაგრამ თუ თქვენ ამის დამტკიცება გნებავთ...

ალექსეი ალექსანდროვიჩმა სახეში შეხედა მას და დაინახა, რომ ვექილს ჭროღა, ჭკვიანი თვალები ისე უღიმოდა, თითქოს წინასწარ იცოდა ყველაფერი.

– ჩემი ვინაობა ხომ მოგეხსენებათ? – განაგრძო ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– გიცნობთ თქვენცა და თქვენს სასარგებლო, – მან კიდევ დაიჭირა ჩრჩილი, – მოღვაწეობასაც, ისევე როგორც გიცნობთ ყველა რუსი ადამიანი, – მოახსენა ვექილმა და თავი დახარა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ამოიხვნეშა, ძალ-ღონე მოიკრიბა, მაგრამ, რაკი ერთხელვე გადაწყვიტა, დაურცხვენლად განაგრძო ლაპარაკი თავისი წრიპინა ხმით, ისე, რომ ერთხელაც არ დაბმია ენა, თან ზოგიერთ სიტყვას განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამდა.

– უბედურება დამატყდა თავს, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – აღმოჩნდა, რომ მოტყუებული ქმარი ვარ და მსურს კანონიერად გავწყვიტო ურთიერთობა ცოლთან, ესე იგი განვქორწინდე, მხოლოდ ისე, რომ შვილი დედასთან არ დარჩეს.

ვექილის ჭროღა თვალები ცდილობდნენ როგორმე შეეკავებინათ სიცილი, მაგრამ მაინც ხტოდნენ დაოუკებელი სიხარულისაგან, და ალექსეი ალექსანდროვიჩი ხედავდა, რომ ეს იყო არა მარტო სიხარული იმ კაცისა, რომელმაც სარგებლიანი შეკვეთა მიიღო, ეს იყო იგივე ზეიმი და აღტაცება, იგივე ელვარება, მსგავსი იმ ავის მომასწავებელი ელვარებისა, ცოლის თვალებში რომ შენიშნა.

– თქვენ ჩემი დახმარება გნებავთ განქორწინებაში?

– დიახ, სწორედ, მაგრამ წინასწარ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ბოროტად ვსარგებლობ თქვენი ყურადღებით. მე თქვენთან მხოლოდ წინასწარ მოსათათბირებლად შემოვიარე. მე განქორწინება მინდა, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფორმით შეიძლება განქორწინება. ადვილი შესაძლებელია, რომ, თუ განქორწინების ფორმა არ დაემთხვა ჩემს მოთხოვნას, ხელი ავიღო კიდეც კანონიერ ძიებაზე.

– ოჰ, ეს ყოველთვის ასეა, – უთხრა ვექილმა, – ეს ყოველთვის თქვენს სურვილზეა დამოკიდებული.

ვექილმა თვალები დახარა, ფეხებზე დააშტერდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, რაკი იგრძნო, რომ მის დაუოკებელ სიხარულს შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა კლიენტისათვის. მან თვალი შეავლო მის ცხვირწინ გაფრენილ ჩრჩილს, ხელი აიქნია კიდეც, მაგრამ არ დაიჭირა და ამით ერთგვარი პატივისცემა გამოხატა ალექსეი ალექსანდროვიჩის მდგომარეობისადმი.

– თუმცა ამ საკითხის ირგვლივ ჩვენი კანონმდებლობა ნაწილობრივ ნაცნობია ჩემთვის, – განაგრძო ალექსეი

ალექსანდროვიჩმა, – მე მინდა ვიცოდე, პრაქტიკულად, როგორი ფორმებით ხორციელდება მსგავსი საქმეები.

– თქვენ გნებავთ, – თავაუღებლად მიუგო ვექილმა, რომელმაც სიამოვნებით მიიღო თავისი კლიენტის ტონი, – დავსახო თქვენ წინაშე ის გზები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება თქვენი სურვილის აღსრულება.

და როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავდახრით ანიშნა თანხმობა, ვექილმა ისევ განაგრძო ლაპარაკი, მხოლოდ ხანდახან თუ ახედავდა ხოლმე მის აფორაჯებულ სახეს.

– განქორწინება ჩვენი კანონებით, – დაიწყო მან და მის ხმაში ოდნავ შესამჩნევი სამდურავი გაისმა ჩვენი კანონების მიმართ, – როგორც თქვენთვის ცნობილია, შესაძლებელია შემდეგი შემთხვევების დროს... მოითმინეთ! – მიუბრუნდა იგი თანაშემწეს, რომელმაც კარში შემოყო თავი, მაგრამ მაინც წამოდგა, რამდენიმე სიტყვა უთხრა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა, – შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: ცოლ-ქმრის ფიზიკური ნაკლი, ხუთი წლის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგვა, – განაგრძო მან და თან ბალნით მოსილი კოტიტა თითი მოხარა, – შემდეგ მრუშობა (ეს სიტყვა აშკარა სიამოვნებით თქვა). დანაყოფები შემდეგია (იგი კვლავ განაგრძობდა თავისი კოტიტა თითების მოხრას, თუმცა ცხადი იყო, რომ შემთხვევებისა და დანაყოფების ერთად კვალიფიცირება შეუძლებელი იყო): ცოლისა ან ქმრის ფიზიკური ნაკლი, შემდეგ მრუშობა ცოლისა ან ქმრის მხრივ, – და რადგან თითები შემოელია, ისევ გაშალა და განაგრძო, – ეს გახლავთ თეორიული თვალსაზრისი, მაგრამ მე ვფიქრობ, თქვენ პატივი დამდეთ და მომმართეთ იმისათვის, რათა გაიგოთ, როგორია ამის პრაქტიკული გამოყენება. ამიტომაც, ვხელმძღვანელობ რა ანტეცედენტებით, უნდა მოგახსენოთ, რომ განქორწინების შემთხვევები ყოველთვის ასეთია: როგორც მე მესმის, ფიზიკური ნაკლი არ არსებობს. არა გვაქვს აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაც...

ალექსეი ალექსანდროვიჩმა თანხმობით დახარა თავი.

– ვხვდებით შემთხვევებს: ცოლის ან ქმრის მრუშობა და დამნაშავის მხილება ურთიერთშეთანხმებით და გარდა ასეთი შეთანხმებისა, უნებური გამომჟღავნებაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა იშვიათად გვხვდება

პრაქტიკაში, – თქვა ვექილმა, ერთი ახედა ალექსეი ალექსანდროვიჩს და უმალვე დადუმდა, როგორც დამბაჩის გამყიდველი, რომელმაც აღწერა უპირატესობა ამა თუ იმ იარაღისა და ახლა მყიდველის არჩევანს ელოდება. მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი ხმას არ იღებდა და ისევ ვექილმა განაგრძო, – ყველაზე უფრო ჩვეულებრივი, მარტივი და, ჩემი აზრით, ჭკვიანურიც არის მრუშობა ურთიერთშეთანხმების გზით. მე ჩემს თავს ნებას არ მივცემდი ასე მელაპარაკა გაუნათლებელ ადამიანთან, – დაუმატა მან, – მაგრამ, მე მგონი, ჩვენთვის ეს სავსებით გასაგებია.

მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი იმდენად ნერვებმოშლილი იყო, რომ მაშინვე ვერც კი მიხვდა, რატომ იყო უფრო გონივრული მრუშობა ურთიერთშეთანხმებით და ეს გაკვირვება მის გამოხედვაშიც გამოიხატა. მაგრამ ვექილი მაშინვე მიეშველა: – ფაქტი ის არის, ცოლსა და ქმარს აღარ შეუძლიათ ერთად ცხოვრება და თუ ორივე მხარე თანახმაა ამაზე, მაშინ წვრილმანები და ფორმალური მხარე უკვე უმნიშვნელო ხდება. ამასთან, ეს ყველაზე იოლი და უტყუარი საშუალებაა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ახლა სავსებით მიუხვდა ვექილს, მაგრამ მას ჰქონდა სხვა, სარწმუნოებრივი მოთხოვნებიც, რომელნიც ხელს უშლიდნენ ამგვარი ღონისძიების მიღებას.

– ამ შემთხვევაში ეს ჩვენს საკითხს ვერ შეეხება, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – აქ მხოლოდ ერთი შემთხვევაა შესაძლებელი: უნებლიე მხილება, დადასტურებული იმ წერილებით, რომლებიც ხელთა მაქვს.

წერილების ხსენებაზე ვექილმა ტუჩები მოკუმა და რაღაც წვრილი, თანაგრძნობისა და ზიზღის გამომხატველი ხმა ამოუშვა.

– უნდა მოგახსენოთ, – დაიწყო ვექილმა, – რომ ამგვარ საქმეებს, როგორც მოგეხსენებათ, სასულიერო უწყება განიხილავს; მღვდელ-დეკანოზები დიდად მოყვარულნი არიან ამ საქმეებისა და ძირისძირობამდე ჩაჰყვებიან ხოლმე, – ღიმილით შენიშნა მან და ამით გამოხატა, რომ ამ შემთხვევაში ისიც იწონებდა დეკანოზების გემოვნებას, – რაღა თქმა უნდა, წერილებს ნაწილობრივ შეუძლია ამ ფაქტის დადასტურება, მაგრამ მხილება პირდაპირი გზით, ესე იგი, მოწმეების

საშუალებით უნდა მოხდეს. საერთოდ, თუ თქვენ პატივს დამდებთ და ნდობით აღმჭურავთ, მაშინ ნება მიბოძეთ თვითონვე შევარჩიო ჩვენთვის საჭირო ღონისძიებანი. ვისაც შედეგი უნდა, ის საშუალებებსაც არ ერიდება.

– თუ ასეა... – დაიწყო ალექსეი ალექსანდროვიჩმა და მოულოდნელად გაფითრდა, მაგრამ ამ დროს ვექილი ფეხზე წამოდგა და გასწია თავისი თანაშემწისაკენ, რომელმაც კვლავ შეაწყვეტინა საუბარი.

– გადაეცით იმ ქალს, რომ ჩვენ ასეთ უბრალო საქმეებს ხელს არ ვკიდებთ! – უთხრა თანაშემწეს და ისევ ალექსეი ალექსანდროვიჩისაკენ გამობრუნდა.

თავის ადგილზე რომ ბრუნდებოდა, შეუმჩნევლად დაიჭირა კიდევ ერთი ჩრჩილი და წარბშეჭმუხნილმა გაიფიქრა: „ზაფხულისათვის კარგი სანახავი კი იქნება ჩემი რეფსი!“

– დიახ, თქვენ რაღაცას ბრძანებდით... – უთხრა მან.

– ჩემს გადაწყვეტილებას წერილობით შეგატყობინებთ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, ფეხზე წამოდგა და ხელით მაგიდას დაეყრდნო. რამდენიმე ხანს ასე ხმაამოუღებლად იდგა, შემდეგ კი დაუმატა, – მაშასადამე, თქვენი ლაპარაკიდან შემიძლია დავასკვნა, რომ განქორწინება შესაძლებელია. ჩემი თხოვნა იქნებოდა, თქვენც აგრეთვე შემატყობინოთ, როგორი იქნება თქვენი პირობები.

– ყველაფერი შესაძლებელია, თუკი თქვენ მოქმედების სრულ თავისუფლებას მიბოძებთ, – უთხრა ვექილმა, ისე, რომ პასუხი არ გაუცია ალექსეი ალექსანდროვიჩის შეკითხვაზე, – მაშ, რა დროისათვის შემიძლია მივიღო თქვენგან ცნობა? – ეკითხებოდა ვექილი და კარისკენ მიაცილებდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, თან ერთნაირად უბრწყინავდა თვალებიც და ლაკის ფეხსაცმელიც.

– ერთი კვირის შემდეგ, თქვენ კი კეთილინებეთ და მაცნობეთ, იღებთ თუ არა შუამდგომლობას ამ საქმეზე და რა პირობებით.

– ბატონი ბრძანდებით.

ვექილი მოწიწებით დაემშვიდობა, კარამდე მიაცილა კლიენტი და მარტოდ დარჩენილი, სულითა და გულით მიეცა სიხარულს. იგი იმდენადაც კი გამხიარულდა, რომ წინააღმდეგ თავისი

ჩვეულებისა, დათმობაზეც წავიდა იმ მოვაჭრე ქალბატონის წინაშე, ჩრჩილების დაჭერასაც დაანება თავი და გულში საბოლოოდ გადაწყვიტა, მომავალ ზამთარს ავეჯს ხავერდი უნდა გადავაკრა, ისე, როგორც სიგონინს აქვსო.

VI

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია 17 აგვისტოს კომისიის სხდომაზე, მაგრამ ამ გამარჯვების შედეგმა სულ გაანადგურა იგი. ახალი კომისია, რომელსაც ყოველმხრივ უნდა შეესწავლა ინოროდცების ცხოვრება, უკვე შედგა და გაიგზავნა კიდეც ადგილზე ალექსეი ალექსანდროვიჩისათვის უჩვეულო სისწრაფითა და ენერგიით. სამი თვის შემდეგ კომისიამ ანგარიშიც წარმოადგინა. ინოროდცების ცხოვრება შესწავლილ იქნა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, მატერიალური და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ყველა კითხვაზე მშვენივრად იყო პასუხი გაცემული და ეს პასუხები არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რადგან არ იყო ნაყოფი ადამიანის მცდარი გონებისა, თითოეული მათგანი იყო შედეგი სამსახურებრივი საქმიანობისა და ემყარებოდა გუბერნატორებისა და არქიელების მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ცნობებს, რომლებიც ემყარებოდა მაზრის უფროსებისა და ეკლესიის მამამთავართა მოხსენებებს, ხოლო ესენი კი, თავის მხრივ, ემყარებოდა სათემო სამმართველოებსა და სამრევლო მღვდლებს; და ამიტომაც ყველა პასუხი ეჭვმიუტანელი იყო. ყველა საკითხზე, მაგალითად, საკითხზე იმის შესახებ, თუ რატომ არის მოუსავლობა და რატომ ებღაუჭება მოსახლეობა თავის ძველ რწმენას და სხვა ამისთანები, რომლებიც სამსახურებრივი მანქანის მოხერხებულობის გარეშე ვერ გადაწყდებოდა და რომელთა გადასაწყვეტად საუკუნეები იყო საჭირო, ყველა ამ საკითხზე მეტისმეტად ნათელი და ეჭვმიუტანელი გადაწყვეტილებები მიიღეს და ყველა მათგანი ალექსეი ალექსანდროვიჩის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. მაგრამ სტრემოვმა, რომელმაც უკანასკნელ სხდომაზე ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, კომისიისაგან ცნობების მიღების შემდეგ სრულიად

სხვაგვარ ტაქტიკას მიმართა, რასაც სულ არ ელოდა ალექსეი ალექსანდროვიჩი. სტრემოვმა, სრულიად მოულოდნელად, ალექსეი ალექსანდროვიჩის მხარი დაიჭირა, აიყოლია სხვა წევრებიც და არა მარტო გაცხარებით იცავდა კარენინის მიერ წამოყენებული ღონისძიებების გატარებას, არამედ ამ მიმართულებით სხვა, უკიდურესი ღონისძიებების განხორციელებაც მოითხოვა. მიღებული იქნა ღონისძიებებიც, რომელნიც მიმართულნი იყვნენ იმის წინააღმდეგ, რაც ალექსეი ალექსანდროვიჩის მთავარ აზრს შეადგენდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაშკარავდა სტრემოვის ტაქტიკა. ეს უკიდურესობამდე მიყვანილი ღონისძიებები უეცრად ისეთი სულელური აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო მოღვაწენიც, საზოგადოებრივი აზრიც, ჭკვიანი მანდილოსნებიც და გაზეთებიც, – ყველანი ერთად დაესხნენ თავს და გამოთქვეს აღშფოთება ამ ღონისძიებებისა და მათ მამად აღიარებული ალექსეი ალექსანდროვიჩის წინააღმდეგ. სტრემოვი კი ახლა განზე გადგა და ისე დაიჭირა თავი, თითქოს ბრმად მიჰყვებოდა კარენინის გეგმებს, და ახლა თვითონაც გაოცებული და აღშფოთებული იყო ყოველივე იმით, რაც მოხდა. ამან გატეხა ალექსეი ალექსანდროვიჩი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა, მიუხედავად ოჯახური უსიამოვნებისა, მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს. კომისიაში განხეთქილება მოხდა. ერთი წყება კომისიის წევრებისა, სტრემოვის მეთაურობით, იმით ამართლებდნენ თავიანთ შეცდომას, რომ დაიჯერეს სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცნობები, რასაც ალექსეი ალექსანდროვიჩი მეთაურობდა, და ამბობდნენ კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება სისულელეა და მხოლოდ ნაჯღაბნი ქაღალდებისაგან შედგებაო. ალექსეი ალექსანდროვიჩი იმ პირებთან ერთად, რომელთაც სახიფათოდ მიაჩნდათ ასეთი რევოლუციური დამოკიდებულება ქაღალდებისადმი, კვლავ იცავდა სარევიზიო კომისიის მიერ მოწოდებულ ცნობებს. შედეგად ამისა, უმაღლეს წრეებსა და საზოგადოებაშიც ყველაფერი აერ-დაერიათ და მიუხედავად იმისა, რომ ყველას ძალიან აინტერესებდა ეს ამბავი, მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ, ინოროდცები მართლა ასეთ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და იღუპებოდნენ თუ, პირიქით, ყვაოდნენ და იფურჩქნებოდნენ. ამის გამო და ნაწილობრივ ცოლის ღალატის გამოც, ალექსეი ალექსანდროვიჩის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. და სწორედ ასეთი მდგომარეობის დროს მან ფრიად

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მან, კომისიის განსაცვიფრებლად, განაცხადა, რომ ნებას ითხოვს თვითონვე წავიდეს ადგილზე, რათა გამოარკვიოს ეს საქმე. და როგორც კი ნებართვა მიიღო, მაშინვე გაემგზავრა შორეულ გუბერნიებში.

ალექსეი ალექსანდროვიჩის გამგზავრებამ დიდი აურზაური გამოიწვია, მით უმეტეს, რომ სწორედ წასვლის წინ ოფიციალურად დააბრუნა საგზაო ფული, რომელიც ეძლეოდა თორმეტი ცხენისთვის, რათა დანიშნულ ადგილამდე ჩასულიყო.

– მე ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი კეთილშობილებაა, – ეუბნებოდა ამის შესახებ ბეტსი თავადის ქალ მიაგკაიას, – რატომ უნდა გაიცეს ფული საფოსტო ცხენებზე, როცა ყველამ იცის, რომ ახლა ყველგან რკინიგზებია?

მაგრამ თავადის ქალი მიაგკაია არ ეთანხმებოდა და კიდეც აბრაზებდა ბეტსი ტვერსკაიას აზრი.

– თქვენთვის ადვილია ამის თქმა, – უთხრა მან, – რადგან მილიონები გაქვთ, მე კი ძალიან მიყვარს, როცა ქმარი ზაფხულობით სარევიზიოდ მიდის. მისი ჯანმრთელობისათვის ეს ძალიან კარგია, მგზავრობაც სასიამოვნოა. მე კი წესად მაქვს შემოღებული, ამ ფულით ეტლი და მეეტლე ავიყვანო.

შორეულ გუბერნიებში გამგზავრებისას ალექსეი ალექსანდროვიჩმა გზად მოსკოვში გაიარა და სამ დღეს დაჰყო იქ.

მოსკოვში ჩამოსვლის მეორე დღეს ალექსეი ალექსანდროვიჩი გენერალ-გუბერნატორთან წავიდა სადარბაზოდ. გზაჯვარედინზე, გაზეტნი პერეულოკთან, სადაც ყოველთვის თავს იყრიან ეტლები და მეეტლეები, ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისი სახელი გაიგონა, ისე ხმამაღლა და ისეთი სიხარულით წარმოთქმული, რომ არ შეეძლო, არ მიეხედა. ქვაფენილის კუთხეში იდგა მხიარული, გაახალგაზრდავებული, ახალი მოდის მოკლე პალტოსა და გვერდზე მოგდებულ ახალი მოდის დაბალ ქუდში გამოწყობილი სტეპან არკადიჩი და სახეგაბრწყინებული იღიმებოდა, მარჯნისფერი ტუჩებიდან თეთრ კბილებს აჩენდა და თან დაჟინებით, მტკიცე ხმით ეძახდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, რათა გაეჩერებინა ეტლი. ცალი ხელი კუთხეში გაჩერებული კარეტის ფანჯრისათვის ჩაევლო,

საიდანაც თავი გამოეყო ხავერდისქუდიან მანდილოსანსა და ორ ბავშვს, იღიმებოდა და ხელს უქნევდა ალექსეი ალექსანდროვიჩს. მანდილოსანიც გულკეთილად უღიმოდა მას და ხელს უქნევდა. ეს მანდილოსანი გახლდათ დოლი თავისი ბავშვებით.

ალექსეი ალექსანდროვიჩს არავის ნახვა არ უნდოდა მოსკოვში, მით უმეტეს, ცოლისძმისა. მან ოდნავ მოიხადა ქუდი, უნდოდა, ისევ განეგრძო გზა, მაგრამ სტეპან არკადიჩმა მეეტლეს უბრძანა, გაეჩერებინა ეტლი და თვითონვე მიირბინა მასთან თოვლში.

– ეს როგორ მოგივიდა, რომ არ შეგვატყობინე ჩამოსვლა! დიდი ხანია აქა ხარ? მე კი გუშინ საღამოს ვიყავი დიუსოსთან და ვხედავ გამოკრულია დაფაზე „კარენინი“, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, რომ შენ იქნებოდი! – ეუბნებოდა სტეპან არკადიჩი და ცდილობდა, თავი შეეყო კარეტის ფანჯარაში, – რომ მცოდნოდა, ხომ შემოვიდოდი. როგორ მიხარია შენი ნახვა! – განაგრძობდა იგი და თან ფეხს ფეხზე ირტყამდა, რათა თოვლი მოეშორებინა, – როგორ მოგივიდა, რომ არ შეგვატყობინე? – იმეორებდა იგი.

– არ მეცალა, ბევრი საქმე მაქვს, – ცივად უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– წავიდეთ დოლისთან, მას ძალიან უნდა შენი ნახვა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გაშალა პლედი, რომელშიც შეფუთნილი ჰქონდა მცივანა ფეხები, კარეტიდან გადმოვიდა, თოვლში გაიარა და დარია ალექსანდროვნასთან მივიდა.

– რაშია საქმე, ალექსეი ალექსანდროვიჩ, რატომ აგვიარეთ ასე გვერდი? – ღიმილით უთხრა დოლიმ.

– ძალიან მოუცლელი ვიყავი. დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, – ისეთი ტონით უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელიც ცხადად მეტყველებდა, რომ არ ესიამოვნა მათი ნახვა, – როგორ ბრძანდებით?

– ჩემი მშვენიერი ანა რასა იქმს?

ალექსეი ალექსანდროვიჩმა რაღაც წაიბურტყუნა და წასვლა დააპირა, მაგრამ სტეპან არკადიჩმა შეაჩერა.

– აი, რა უნდა გავაკეთოთ ხვალისათვის, – დოლი, მოიწვიე ალექსეი ალექსანდროვიჩი სადილად! მოვიწვიოთ კოზნიშევი, პესცოვი და გავუმასპინძლდეთ ალექსეი ალექსანდროვიჩს მოსკოვის ინტელიგენციით.

– ძალიან კარგი, გეთაყვა, მობრძანდით, – უთხრა დოლიმ, – ხუთი საათისათვის გელოდებით, თუ გნებავთ, ექვსზე იყოს. მაშ, ჩემი მშვენიერი ანა როგორ არის? დიდი ხანია...

– კარგად არის, – ჩაილაპარაკა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და წარბი შეიკრა, – დიდად მოხარული ვარ! – და ალექსეი ალექსანდროვიჩი თავისი კარეტისკენ გაემართა.

– მოხვალთ? – მიაძახა დოლიმ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ დოლიმ ეტლების ხმაურში ვერაფერი გაარჩია.

– ხვალ შემოგივლი! – მიაძახა სტეპან არკადიჩმაც.

ალექსეი ალექსანდროვიჩი კარეტაში ჩაჯდა და ისე მიიმალა შიგ, რომ არც თვითონ დაენახა არავინ და არც იგი შეემჩნია ვინმეს.

– უცნაური კაცია! – უთხრა სტეპან არკადიჩმა ცოლს, საათს დახედა, სახის წინ ოდნავ აიქნია ხელი, რითაც ცოლისა და ბავშვებისადმი ალერსი გამოხატა, და ახალგაზრდული მხნე ნაბიჯით გაუყვა ქვაფენილს.

– სტივა, სტივა! – მიაძახა წამოწითლებულმა დოლიმ.

სტეპან არკადიჩმა მოიხედა.

– მე ხომ პალტო უნდა ვუყიდო გრიშასა და ტანიას, მომეცი ფული!

– არა უშავს რა, უთხარი, რომ მივცემ, – თქვა სტეპან არკადიჩმა, მხიარულად მიესალმა ვიღაც ნაცნობს და თვალს მიეფარა.

VII

მეორე დღეს კვირა იყო. სტეპან არკადიჩმა დიდ თეატრში, ბალეტის რეპეტიციაზე შეიარა და წინადღით შეპირებული მარჯნები მიუტანა მისი პროტექციით ახლახან მიღებულ ლამაზ მოცეკვავე ქალს, მაშა ჩიბასოვას, და კულისებში, თეატრის დღის სიბნელეში, მისი ლამაზი, საჩუქრისაგან გაბრწყინებული სახის დაკოცნაც მოასწრო. მარჯნების მიტანის გარდა, ბალეტის შემდეგ პაემანზეც უნდა შეეპირებინა იგი. სტეპან არკადიჩმა აუხსნა, რომ არ შეეძლო ბალეტის დაწყების დროს მოსვლა, უკანასკნელ აქტზე მოვალ და ვახშმად წაგიყვანო, შეჰპირდა. თეატრიდან გამოსვლის შემდეგ ოხოტნი რიადში შეიარა, თვითონვე ამოარჩია თევზი და სატაცური სადილისათვის და თორმეტი საათისთვის უკვე დიუსოსთან იყო, სადაც სამი კაცი უნდა ენახა, მისდა ბედად ერთ სასტუმროში რომ გაჩერებულიყვნენ: საზღვარგარეთიდან ახლახან დაბრუნებული ლევინი, ახალი უფროსი, რომელსაც ახლახან მიეღო ეს მაღალი თანამდებობა და მოსკოვს სარევიზიოდ ჩამოსულიყო, და თავისი სიძე კარენინი, რათა ყოველ მიზეზგარეშე წაეყვანა იგი სადილად.

სტეპან არკადიჩს უყვარდა სადილების გამართვა, მაგრამ უფრო მეტად უყვარდა ისეთი სადილები, სადაც წვეულნი ბევრი არ იყვნენ და სადაც ნატიფი გემოვნებით უნდა შერჩეულიყო სასმელ-საჭმელიც და სტუმრებიც. დღევანდელი სადილის პროგრამა ძალიან მოეწონა: ცოცხალი ქორჭილა, სატაცური და la pièce de résistance,[54] მშვენიერი, მაგრამ უბრალო როსტბიფი და ამის შესაფერისი ღვინოები, – ეს საჭმელ-სასმელი, სტუმართაგან კი იქნებიან კიტი და ლევინი და ეს რომ შესამჩნევი არ იყოს, ერთ თავის ბიძაშვილ ქალსა და ახალგაზრდა შჩერბაცკისაც მოიწვევს, სტუმართაგან la pièce de résistance იქნებიან სერგეი კოზნიშევი და ალექსეი ალექსანდროვიჩი. სერგეი ივანოვიჩი მოსკოველი და ფილოსოფოსი, ალექსეი ალექსანდროვიჩი – პეტერბურგელი და პრაქტიკოსი. დაპატიჟებს იმ ცნობილ უცნაურ ენთუზიასტ პესცოვსაც, ლიბერალს, ლაპარაკის მოყვარულს, მუსიკოსს, ისტორიკოსს და მეტისმეტად სასიამოვნო ორმოცდაათი წლის ჭაბუკს, რომელიც საწებელი ან გარნირი იქნება კოზნიშევისა და კარენინისათვის. ის წააქეზებს და ერთმანეთს მიუსევს მათ.

ტყის ფული, რომელიც მეორედ დაპირებულ ვადაზე მიიღო ვაჭრისაგან, ჯერ კიდევ დახარჯული არ ჰქონდა, დოლიც ამ

ბოლო ხანებში მეტისმეტად საყვარელი და კეთილი შეიქნა და ფიქრი მომავალ სადილზე ყოველმხრივ სასიამოვნო იყო სტეპან არკადიჩისათვის. იგი მეტისმეტად მხიარულად გრძნობდა თავს, მხოლოდ ორი გარემოება იყო ოდნავ არასასიამოვნო, მაგრამ ორივე გარემოება იძირებოდა იმ სიხარულის ზღვაში, სტეპან არკადიჩის სულში რომ ღელავდა. ეს ორი გარემოება შემდეგი გახლდათ: პირველი ის იყო, რომ გუშინ ქუჩაში შეხვდა ალექსეი ალექსანდროვიჩს და შეამჩნია, რომ ძალიან გულცივად და მკაცრად შეხვდა. ალექსეი ალექსანდროვიჩის სახის გამომეტყველება და ის ამბავი, რომ არ შეატყობინა თავისი ჩამოსვლა მოსკოვში, სტეპან არკადიჩმა დაუპირისპირა იმ ჭორებს, რომელიც გაგონილი ჰქონდა ანასა და ვრონსკის შესახებ და მიხვდა, რომ ცოლ-ქმარს შორის ყველაფერი რიგზე არ უნდა ყოფილიყო.

ეს იყო ერთი უსიამოვნება, მეორე, უფრო ნაკლებად არასასიამოვნო ის იყო, რომ ახალ უფროსს, როგორც საერთოდ ყველა ახალ უფროსს, საშიში სახელი ჰქონდა გავარდნილი, დილის ექვს საათზე დგება, ცხენივით მუშაობს და ხელქვეითებისგანაც ასეთ მუშაობას მოითხოვსო. გარდა ამისა, ახალ უფროსს ისეთი სახელი ჰქონდა, თითქოს მეტად უხეში იყო ხელქვეითებთან და, როგორც ამბობდნენ, სულაც არ ეკუთვნოდა იმ მიმართულებას, რომელსაც ეკუთვნოდა წინანდელი უფროსი და რომლის მიმდევარი იყო დღემდე თვით სტეპან არკადიჩიც. გუშინ სტეპან არკადიჩი მუნდირით გამოცხადდა სამსახურში და ახალი უფროსი მეტად თავაზიანად მოექცა, გამოელაპარაკა კიდეც როგორც ძველ ნაცნობს; ამიტომაც სტეპან არკადიჩი თავის მოვალეობად თვლიდა, ახლა სერთუკით ხლებოდა მას. იმის ფიქრი, ვაითუ ახალმა უფროსმა ცუდად მიმიღოსო, იყო ის მეორე უსიამოვნო გარემოება, მაგრამ სტეპან არკადიჩი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ყველაფერი მშვენივრად მოგვარდებოდა. „ყოველი კაცი, ყოველი ადამიანი, ისეთივე ცოდვილია, როგორიც ჩვენ, რატომ უნდა გავიბოროტოთ თავი, რატომ უნდა წავეკიდოთ ერთიმეორეს?!“ – ფიქრობდა სტეპან არკადიჩი, როცა სასტუმროში შედიოდა.

– გამარჯობა, ვასილი, – უთხრა მან ნაცნობ ლაქიას, როცა გვერდზე მოგდებული ქუდით დერეფანში ჩაიარა, – შენ რა, ბაკენბარდები მოუშვი? ლევინი მეშვიდე ნომერშია? გამაცილე, გეთაყვა. ისიც გამიგე, გრაფი ანიჩკინი (ეს გახლდათ ახალი

უფროსი) მიმიღებს თუ არა?

– ბატონი ბრძანდებით, – ღიმილით მიუგო ვასილიმ, – დიდი ხანია ჩვენთან აღარ მობრძანებულხართ.

– გუშინ ვიყავი, მხოლოდ მეორე კარიდან შემოვედი. ეს არის მეშვიდე?

სტეპან არკადიჩი ნომერში რომ შევიდა, ლევინი შუაგულ ოთახში იდგა ვიღაც ტვერელ გლეხთან ერთად და არშინით ზომავდა დათვის ტყავს.

– ა, მოკალით? – დაიძახა სტეპან არკადიჩმა, – კარგი რამ არის! ძუ დათვია? გამარჯობა, არხიპ!

მან ხელი ჩამოართვა გლეხს და სკამზე ჩამოჯდა ისე, რომ არც ქუდი მოუხდია და არც პალტო გაუხდია.

– გაიძვრე პალტო, დარჩი ჩვენთან! – უთხრა ლევინმა და ქუდი მოხადა.

– არა, არ მცალია, მხოლოდ ერთი წამით შემოვიარე, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა და პალტო შეიხსნა, მაგრამ შემდეგ პალტო გაიხადა და მთელი ერთი საათი იჯდა ლევინთან, ელაპარაკებოდა ნადირობაზე და პირადი ამბებიც გამოჰკითხა.

– ერთი მითხარი, რას აკეთებდი საზღვარგარეთ? სად იყავი? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა, როცა არხიპი ოთახიდან გავიდა.

– ვიყავი გერმანიაში, პრუსიაში, საფრანგეთში, ინგლისში, მაგრამ სატახტო ქალაქებში კი არა, საფაბრიკო ქალაქებში დავდიოდი და ბევრი რამ ვნახე ახალი. ძალიან მოხარულიც ვარ, რომ ვიყავი.

– ჰო, მე ვიცნობ შენს აზრს მუშახელის კეთილმოწყობის შესახებ.

– სულაც არა: რუსეთში არ შეიძლება დადგეს მუშახელის საკითხი. რუსეთისათვის მთავარია მუშახელის მიწისადმი დამოკიდებულების საკითხი. ეს საკითხი იქაც დგას, მაგრამ იქ ეს ერთხელ გაფუჭებული საქმის შეკეთებაა, ჩვენში კი...

სტეპან არკადიჩი ყურადღებით უსმენდა.

– დიახ, დიახ, – ეუბნებოდა იგი, – ადვილი შესაძლებელია,

მართალი იყო, – უთხრა მან, – მაგრამ მე ის მახარებს, რომ ასე გამხიარულებულს გხედავ. დათვებზე ნადირობ, კიდეც მუშაობ, გატაცებული ხარ, თორემ შჩერბაცკიმ მითხრა, – ის შენ გზაში შეგხვედრია, – ისეა გულგატეხილი, რომ სულ ერთთავად სიკვდილზე ლაპარაკობსო.

– მერე რა, სიკვდილზე ფიქრისათვის ახლაც არ დამინებებია თავი, – უთხრა ლევინმა, – მართლაც დროა სიკვდილისა. ყოველივე ეს კი სისულელეა. სიმართლეს გეტყვი: მე ჩემს აზრებსა და მუშაობას დიდად ვაფასებ, მაგრამ სინამდვილეში კი, აბა, დაუფიქრდი: მთელი ჩვენი სამყარო ხომ ერთი ციცქნა ობია, რომელიც პაწაწინა პლანეტაზე წამოიზარდა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია გვქონდეს დიადი აზრი ან საქმე! ყოველივე ეს მეტად უმნიშვნელოა.

– ეს, ჩემო ძმაო, ისეთივე ძველია, როგორიც სამყარო.

– ძველია, მაგრამ როცა ამას კარგად ჩაუფიქრდები, ყველაფერი რაღაც უმნიშვნელო ხდება. როცა შენთვის ნათელი გახდება, რომ დღეს თუ ხვალ მოკვდები და შენგან აღარაფერი დარჩება, ყველაფერი არარაობად გეჩვენება! მეც ჩემი აზრი დიდად მნიშვნელოვანი მგონია, ის კი თურმე, კიდეც რომ აღასრულო, ისევე უმნიშვნელოა, როგორც ამ ძუ დათვის თავიდან მოცილება. ასე გადის ცხოვრება, ირთობ თავს ნადირობით, მუშაობით, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილზე არ იფიქრო.

სტეპან არკადიჩი ნაზად და ალერსიანად იღიმებოდა, როცა ლევინს უსმენდა.

– აი, ხომ ხედავ! შენც ჩემთან მოხვედი. გახსოვს, როგორ მესხმოდი თავს იმის გამო, რომ მე ცხოვრებაში სიამოვნებას ვეძებ?

ო, ნუ იქნები, მორალისტო, ასეთი მკაცრი!..

– არა, ცხოვრებაში მაინც ის არის კარგი, რომ... – ლევინი დაიბნა, – ჰო, მე ეს არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ მალე მოვკვდები.

– რატომ მალე?

– და იცი, როცა სიკვდილზე ფიქრობ, სიამოვნებაც ნაკლებია ცხოვრებაში, მაგრამ უფრო მშვიდად კი ხარ.

– პირიქით, ბოლოს უფრო გატკბილდება. მაგრამ ახლა უკვე

ჩემი წასვლის დროა, – თქვა სტეპან არკადიჩმა და უკვე მეათეჯერ წამოდგა.

– არა, დაიცადე! – ეუბნებოდა ლევინი, არ უშვებდა მეგობარს, – ახლა როდისღა ვნახავთ ერთმანეთს? მე ხვალ მივდივარ.

– სწორედ რომ კარგად მოვიქეცი! ამიტომაც შემოვიარე... აუცილებლად მოდი დღეს ჩემთან სადილად. შენი ძმა იქნება, კარენინიც იქნება, ჩემი სიძე.

– განა კარენინი აქ არის? – უთხრა ლევინმა და უნდოდა კიტის შესახებაც ეკითხა. გაგებული ჰქონდა, რომ კიტი ამ ზამთრის დამდეგს პეტერბურგში იყო თავის დასთან, დიპლომატის მეუღლესთან, და არ იცოდა, ჩამოვიდა თუ არა იქიდან, მაგრამ ისევ გადაიფიქრა ამის კითხვა. „სულერთია, იქნება თუ არ იქნება“.

– მაშ, მოხვალ?

– რაღა თქმა უნდა!

– მაშ, ხუთ საათზე ჩემთან იყავი, სერთუკით.

სტეპან არკადიჩი წამოდგა და ახლა ქვევით, ახალი უფროსისკენ გასწია. ინსტინქტმა მართლაც არ უმტყუნა, ეს ახალი, საშიში უფროსი მეტისმეტად თავაზიანი აღმოჩნდა. სტეპან არკადიჩმა ისაუზმა კიდეც მასთან და იმდენ ხანს დარჩა, რომ უკვე მეოთხე საათი იყო, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩთან მივიდა.

VIII

წირვიდან დაბრუნებულმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა მთელი დილა შინ გაატარა. ამ დილით ორი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი: ჯერ ერთი, უნდა მიეღო და გეზი მიეცა ინოროდცების დეპუტაციისათვის, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფებოდა და პეტერბურგისაკენ მიემგზავრებოდა; მეორეც, უნდა დაეწერა ვექილისათვის შეპირებული წერილი. დეპუტაცია, მართალია, ალექსეი

ალექსანდროვიჩის ინიციატივით იქნა გამოწვეული, მაგრამ მისგან ბევრი უხერხულობა და ხიფათიც კი იყო მოსალოდნელი და ამიტომაც დიდად მოხარული იყო, რომ მოსკოვში ჩაუსწრო მას. დეპუტაციის წევრებს ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდათ თავიანთი როლისა და მოვალეობის შესახებ. გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ მათ მდგომარეობას მხოლოდ ის შეადგენს, მოახსენონ თავიანთი საჭიროებანი, გადაუშალონ საქმის ნამდვილი ვითარება და დახმარება სთხოვონ მთავრობას, და სრულებით არ გაეგებოდათ, რომ მათი ზოგიერთი განცხადება და მოთხოვნა ხელს უწყობდა მტრულად განწყობილ პარტიას და ამიტომაც ღუპავდა მათ საქმეს. ალექსეი ალექსანდროვიჩი დიდხანს მოუნდა მათთან საქმიანობას, დაუწერა პროგრამა, რომლის ფარგლებსაც არ უნდა გასცილებოდნენ, და როცა დეპუტაცია გაისტუმრა, წერილები გაგზავნა პეტერბურგში დეპუტაციისთვის გეზის მისაცემად. მთავარი მისი თანაშემწე ამ საქმეში გრაფინია ლიდია ივანოვნა უნდა ყოფილიყო. იგი დახელოვნებული იყო ამგვარ საქმეებში, მასავით არავის შეეძლო დეპუტაციის გაძღოლა და ნამდვილი მიმართულების მიცემა. ამ საქმეს რომ მორჩა, ვექილთან გასაგზავნი წერილიც დაწერა. სავსებით უყოყმანოდ დართო ნება ვექილს, თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა. წერილში ჩადო აგრეთვე ანასადმი მიწერილი ვრონსკის სამი ბარათი, ანას პორტფელში რომ აღმოაჩინა.

მას შემდეგ, რაც ალექსეი ალექსანდროვიჩი სახლიდან წამოვიდა იმ განზრახვით, რომ ოჯახს აღარ დაბრუნებოდა, მას შემდეგ, რაც იგი ვექილთან იყო და თუნდაც ერთ კაცს გაანდო თავისი განზრახვა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ეს ცხოვრების საკითხი ქაღალდზე გადაიტანა, სულ უფრო და უფრო შეეჩვია თავის განზრახვას და ახლა უკვე ნათლად ხედავდა მისი აღსრულების შესაძლებლობას.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ვექილთან გასაგზავნ წერილს ბეჭდავდა, როცა სტეპან არკადიჩის ხმამაღალი ლაპარაკი გაიგონა. იგი ალექსეი ალექსანდროვიჩის მსახურს ეჩხუბებოდა და დაჟინებით სთხოვდა, მოეხსენებინა მისი მოსვლა.

„სულერთია, – გაიფიქრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – უკეთესიც არის. ახლავე განვუმარტავ ჩემს მდგომარეობას, ავუხსნი, რა დამოკიდებულება მაქვს მის დასთან და იმასაც ვეტყვი, რატომ არ შემიძლია მასთან სადილად მისვლა“.

– სთხოვეთ! – ხმამაღლა თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა და ბიუვარში ჩააწყო.

– აი, ხედავ, ტყუოდი, ხომ შინ არის! – გაისმა სტეპან არკადიჩის პასუხი მსახურისადმი, რომელიც არ უშვებდა მას, კარშივე გაიხადა პალტო და ისე შევიდა ოთახში, – დიდად მოხარული ვარ, რომ შინ მოგისწარი! მაშ, იმედი მექნება... – მხიარულად დაიწყო სტეპან არკადიჩმა.

– მე არ შემიძლია მოსვლა, – ცივად უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, ისე, რომ არც თვითონ დამჯდარა და არც სტუმრისათვის შეუთავაზებია.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გადაწყვიტა თავიდანვე გულცივად მოქცეოდა მას, ისე, როგორც უნდა მოქცეოდა ძმას თავისი ცოლისას, ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრული ჰქონდა განქორწინების საქმე, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ის ზღვა გულკეთილობისა, რომლითაც აღსავსე იყო სტეპან არკადიჩი.

სტეპან არკადიჩმა ფართოდ გაახილა მოელვარე, ნათელი თვალები.

– რატომ არ შეგიძლია? ამით რა გინდა თქვა? – ფრანგულად ჰკითხა გაოცებულმა სტეპან არკადიჩმა, – არა, შენ უკვე მოგვეცი სიტყვა და ჩვენ ყველას შენი იმედი გვაქვს.

– მე მინდა გითხრა, რომ არ შემიძლია შენთან მოსვლა, რადგან საჭიროა შეწყდეს ის ნათესაური კავშირი, რომელიც ჩვენ შორის არსებობს.

– როგორ? ესე იგი რანაირად? რისთვის? – ღიმილით თქვა სტეპან არკადიჩმა.

– იმიტომ, რომ მე უკვე აღვძარი განქორწინების საქმე თქვენს დასთან, ჩემს მეუღლესთან, მე მოვალე ვარ...

ალექსეი ალექსანდროვიჩს ჯერ არ დაემთავრებინა წინადადება, რომ სტეპან არკადიჩი სულ სხვაგვარად მოიქცა, ვიდრე ალექსეი ალექსანდროვიჩი ელოდა. სტეპან არკადიჩმა ამოიოხრა და სავარძელში ჩაეშვა.

– არა, ალექსეი ალექსანდროვიჩ, ამას რას მეუბნები! – წამოიძახა ობლონსკიმ და მის სახეზე მწუხარება გამოიხატა.

– ეს ასეა.

– მაპატიე, მაგრამ მე არ შემიძლია, არ შემიძლია ამის დაჯერება...

ალექსეი ალექსანდროვიჩი დაჯდა, იგრძნო, რომ მის სიტყვებს სულაც არ მოუხდენია ის გავლენა, რასაც ელოდა, რომ აუცილებელი იყო ახსნა-განმარტება და როგორიც უნდა ყოფილიყო ის, მისი დამოკიდებულება ცოლისძმასთან მაინც ისეთივე დარჩებოდა, როგორიც ადრე ჰქონდა.

– დიახ, მე ისეთ მძიმე მდგომარეობაში ვარ, რომ განქორწინება აუცილებელია, – უთხრა მან.

– მე მხოლოდ ერთს გეტყვი, ალექსეი ალექსანდროვიჩ, მე შენ გიცნობ როგორც შესანიშნავ, სამართლიან ადამიანს, ვიცნობ ანას, – მაპატიე, მაგრამ მე არ შემიძლია გამოვიცვალო აზრი მასზე, – ვიცნობ როგორც მშვენიერ, შესანიშნავ ქალს და ამიტომაც მაპატიე, მაგრამ ვერ დავიჯერებ ამას. აქ რაღაც გაუგებრობაა, – უთხრა სტეპან არკადიჩმა.

– ჰო, ეს რომ მხოლოდ გაუგებრობა იყოს...

– მოიცა, მე მესმის ეს, – შეაწყვეტინა სტეპან არკადიჩმა, – მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რომ... მხოლოდ ერთი კია: არ უნდა აჩქარდე. არა, არ უნდა აჩქარდე!

– მე არც ავჩქარებულვარ, – ცივად მიუგო ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – მაგრამ სხვისი რჩევა ასეთ საქმეში შეუძლებელია. მე ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.

– ეს საშინელებაა! – თქვა სტეპან არკადიჩმა და ღრმად ამოიოხრა, – მე ერთ რამეს გეტყოდი, ალექსეი ალექსანდროვიჩ, გევედრები, უარს ნუ მეტყვი ამაზე! – უთხრა მან, – რამდენადაც მესმის, საქმე ჯერ დაწყებული არ არის, და სანამ დაიწყებდე, ინახულე ჩემი მეუღლე, მოელაპარაკე მას. დოლის დასავით უყვარს ანა, უყვარხარ შენც და იგი საოცარი ქალია. ღვთის გულისათვის, მოელაპარაკე მას. გემუდარები, გააკეთე ეს ჩემი გულისათვის!

ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩაფიქრდა, სტეპან არკადიჩსაც აღარ დაურღვევია სიჩუმე და თანაგრძნობით შეჰყურებდა მას.

– ინახულებ ჩემს ცოლს?

– არ ვიცი. ამიტომაც არ მინდოდა თქვენთან მოსვლა. მე

ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობა უნდა შეიცვალოს.

– რატომ უნდა შეიცვალოს? ჩემთვის ეს გაუგებარია. ნება მომეცი, ვიფიქრო, რომ ნათესაური ურთიერთობის გარდა, შენ, ნაწილობრივ მაინც, გაქვს ჩემდამი ის მეგობრული გრძნობა, რომელიც მე ყოველთვის მქონდა შენდამი... და მაქვს ჭეშმარიტი პატივისცემა, – ხელის ჩამორთმევით უთხრა სტეპან არკადიჩმა, – თუნდაც მართალი აღმოჩნდეს ის შენი უარესი ვარაუდები, მე მაინც არასოდეს ვიკისრებ განვსაჯო ესა თუ ის მხარე და ვერც იმის მიზეზს ვხედავ, თუ რატომ უნდა შეიცვალოს ჩვენი ურთიერთობა. ახლა კი გთხოვ, წამოხვიდე ჩემს მეუღლესთან.

– როგორც ჩანს, ჩვენ სულ სხვადასხვაგვარად ვუყურებთ ამ საქმეს, – ცივად უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – თუმცა ნუღარაფერს ვიტყვით ამაზე.

– არა, რატომ არ უნდა მოხვიდე? თუნდაც დღეს სადილად? ჩემი მეუღლე გელოდება. ძალიან გთხოვ, მოდი. მთავარი კი ის არის, რომ მოელაპარაკო ჩემს მეუღლეს. იგი საოცარი ქალია. ღვთის გულისათვის, მუხლმოყრით გევედრები!

– თუ ასე ძალიან გინდათ, მოვალ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ამოიოხრა.

და რათა სიტყვა სხვა საგანზე გადაეტანა, საუბარი გაუბა იმ საკითხზე, რაც ორივესთვის საინტერესო იყო, – ახალ უფროსზე, ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც მოულოდნელად ასეთი მაღალი თანამდებობა მიიღო.

ალექსეი ალექსანდროვიჩს წინათაც არ უყვარდა გრაფი ანიჩკინი, მათ ყოველთვის სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ, და ახლაც ვეღარ შეიკავა სიძულვილი, რომელიც გასაგებია ყველა მოსამსახურისათვის და რომელსაც იგრძნობს სამსახურებრივ საქმიანობაში დამარცხებული ყველა ადამიანი სამსახურში დაწინაურებული ადამიანისადმი.

– რაო, ინახულე იგი? – გესლიანი ღიმილით ჰკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– როგორ არა, გუშინ იყო ჩვენთან საკრებულოში. ეტყობა, კარგად იცის საქმე და საქმიანი ადამიანიც არის.

– კი მაგრამ, საით არის მიმართული ეს მისი საქმიანობა? –

უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – იმისკენ, რომ საქმე გააკეთოს, თუ იმისკენ, გადააკეთოს ის, რაც უკვე გაკეთებულია? ჩვენი სახელმწიფოს უბედურება ქაღალდის ადმინისტრაციაა, რომლის ღირსეული წარმომადგენელიც გახლავთ ანიჩკინი.

– მართალი გითხრა, მე არ ვიცი, რა აქვს მას დასაძრახი. მის მიმართულებას ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ის კია, რომ ძალიან კარგი ადამიანია, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა, – ახლა ვიყავი მასთან, მართლაც შესანიშნავი ადამიანია. ერთად ვისაუზმეთ და ვისწავლეთ, როგორ უნდა გაკეთდეს ის სასმელი, იცი, ღვინო ფორთოხლით. ძალიან აგრილებს ადამიანს. და საოცარია, რომ მან ეს არ იცოდა, ძალიან მოეწონა. არა, ნამდვილად კარგი ადამიანია.

სტეპან არკადიჩმა საათს დახედა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, მეხუთე საათია? მე კი დოლგოვუშინთანაც ვარ მისასვლელი! მაშ, მოდი, გეთაყვა, სადილად. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვაწყენინებ მეცა და ჩემს ცოლსაც.

ალექსეი ალექსანდროვიჩს ახლა უკვე ისე აღარ გაუცილებია თავისი ცოლისძმა, როგორც მიიღო.

– მე დაგპირდი და მოვალ კიდეც, – ნაღვლიანად უპასუხა მან.

– მერწმუნე, რომ მე ვაფასებ ამას და იმედი მაქვს, არც ინანებ მოსვლას, – ღიმილით უპასუხა სტეპან არკადიჩმა.

სტეპან არკადიჩი გზადაგზა იცვამდა პალტოს, ამასობაში ლაქიას მოახვედრა თავზე ხელი, გაიცინა და სასტუმრო ოთახიდან გავიდა.

– მაშ, ხუთი საათისათვის გელოდებით, გეთაყვა, სერთუკით! – ერთხელ კიდევ მოაძახა კართან მობრუნებულმა სტეპან არკადიჩმა.

IX

მეექვსე საათი იყო და ზოგიერთი სტუმარი უკვე მოსულიყო კიდეც, როცა თვით მასპინძელიც მობრძანდა. იგი სერგეი ივანოვიჩ კოზნიშევსა და პესცოვთან ერთად შემოვიდა, რომელნიც სადარბაზო კართან შეხვედროდნენ ერთმანეთს. ესენი, როგორც ამბობდა ობლონსკი, გახლდნენ ორი მთავარი წარმომადგენელი მოსკოვის ინტელიგენციისა, ორივე როგორც ხასიათით, ისე ჭკუით, პატივსაცემი ადამიანები იყო. ერთიმეორესაც პატივსა სცემდნენ, მაგრამ თითქმის არაფერში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს და არც იყო იმედი დიდი შეთანხმებისა, არა იმიტომ, რომ საწინააღმდეგო მიმართულებას ეკუთვნოდნენ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ორივენი ერთი ბანაკის წარმომადგენელნი იყვნენ (მტრები მათ ერთმანეთში ურევდნენ), მაგრამ ამ ბანაკში თითოეულს თავისი ელფერი ჰქონდა. და რადგან აზრთა სხვადასხვაობა რაიმე ნახევრად განყენებულ საკითხში სრულიად მოკლებულია შეთანხმების უნარს, ამიტომ ისინი არა მარტო არასოდეს ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, არამედ მიეჩვივნენ კიდეც, სრულიად გაუჯავრებლად დაეცინათ ერთმანეთისათვის გამოუსწორებელი შეცდომის გამო.

ისინი სადარბაზო კარში შედიოდნენ და ამინდზე ლაპარაკობდნენ, როცა მათ სტეპან არკადიჩი წამოეწია. სასტუმროში უკვე ისხდნენ თავადი ალექსანდრ დმიტრიევიჩი, ობლონსკის სიმამრი, ახალგაზრდა შჩერბაცკი, ტუროვცინი, კიტი და კარენინი.

სტეპან არკადიჩმა მყისვე შენიშნა, რომ სასტუმროში უმისოდ კარგად ვერ მიდიოდა საქმე. რუხი ფარჩის საწვეულებო კაბაში გამოწყობილი დარია ალექსანდროვნა, ეტყობა, შეშფოთებული იყო ბავშვებზე ზრუნვით, რომელთაც ცალკე უნდა ესადილათ საბავშვო ოთახში, და ქმრის დაგვიანებითაც, და ვერ შეძლო სტუმრების გაძღოლა. ყველანი სტუმრად მიწვეული ფოფოდიებივით ისხდნენ (როგორც ამბობდა მოხუცი თავადი), თითქოს ვერც გარკვეულიყვნენ, რისთვის იყვნენ აქ და ძლივძლივობით იმეტებდნენ თითო-ოროლა სიტყვას, რათა სულ გაჩუმებულნი არ ყოფილიყვნენ. გულკეთილი ტუროვცინი, ეტყობოდა, თავის ქერქში ვერ გრძნობდა თავს და როცა სტეპან არკადიჩი შემოვიდა, ისე გაუღიმა თავისი მსუქანი ტუჩებით, თითქოს ეუბნებოდა: „ეჰ, ძმაო, დამსვი რაღა შენც ამ ჭკვიან ხალხში! ჩემი საქმეა დალევა და Château des fleurs“. მოხუცი თავადი ჩუმად იჯდა და მოციმციმე თვალებით

ალმაცერად გაჰყურებდა კარენინს და სტეპან არკადიჩი მიხვდა, რომ მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა რაღაც სიტყვა ამ სახელმწიფო კაცის დასასურათებლად, რომლის გულისთვისაც ისე იწვევენ სტუმრებს, როგორც იშვიათ ნობათზე. კიტი კარისკენ იყურებოდა და ძალ-ღონეს იკრებდა, რათა კონსტანტინ ლევინის შემოსვლისას არ წამოწითლებულიყო. ახალგაზრდა შჩერბაცკი, რომელიც არ წარედგინათ კარენინისათვის, ცდილობდა, ისე დაეჭირა თავი, თითქოს სულაც არ აწუხებდა ეს ამბავი. თვით კარენინი, პეტერბურგის ჩვეულებისამებრ, რაკი სადილზე მანდილოსნებიც ესწრებოდნენ, ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხში იყო გამოწყობილი, და სტეპან არკადიჩი მისი სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ იგი მხოლოდ თავისი სიტყვის აღსასრულებლად მოვიდა. და მისთვის ამ საზოგადოებაში ჯდომა მძიმე მოვალეობის მოხდა იყო. და სწორედ ის გახლდათ მთავარი მიზეზი იმ სიცივისა, რომელსაც სტეპან არკადიჩის მოსვლამდე გაეყინა სტუმრები.

სასტუმროში შესვლისთანავე სტეპან არკადიჩმა ბოდიში მოიხადა საზოგადოების წინაშე დაგვიანებისათვის და აუხსნა, რომ იგი ისევ იმ თავადმა შეაყოვნა, რომელიც ყოველთვის იყო ხოლმე მიზეზი მისი დაგვიანებისა და არყოფნისა, და ერთ წუთში გააცნო ყველანი ერთმანეთს. ალექსეი ალექსანდროვიჩი სერგეი კოზნიშევთან მიიყვანა და პოლონეთის გარუსების შესახებ წამოიწყო საუბარი, რასაც ისინი პესცოვთან ერთად მაშინვე ჩაეჭიდნენ. ტუროვცინს მხარზე ხელი დაჰკრა, რაღაც სასაცილო ჩასჩურჩულა ყურში და თავის ცოლსა და სიმამრთან ერთად დასვა. შემდეგ კიტის უთხრა, დღეს განსაკუთრებით კარგი ხარო, და ახალგაზრდა შჩერბაცკი კარენინს წარუდგინა. ერთ წუთში მან ისე გადაზილა ეს საზოგადოებრივი ცომი, რომ სასტუმრომ სრულიად იცვალა სახე, გაისმა მხიარული საუბარი. მხოლოდ კონსტანტინ ლევინი იყო მოსასვლელი, მაგრამ ეს უკეთესიც იყო, რადგან, როცა სტეპან არკადიჩი სასადილოში გავიდა და შეიტყო, რომ ხერესი და პორტვეინი ლევესგან კი არა, დეპრესაგან მოეტანათ, მაშინვე ბრძანება გასცა, საჩქაროდ გაეგზავნათ მეეტლე ლევესთან და თვითონ ისევ სასტუმროში შევიდა.

სასადილო ოთახში კონსტანტინ ლევინი შემოხვდა.

– ხომ არ დავიგვიანე?

– განა შეგიძლია არ დაიგვიანო? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ხელი ხელში გაუყარა.

– ბევრი ხალხი გყავს? ვინ არიან? – ჰკითხა ლევინმა და უნებურად წამოწითლდა, თან ხელთათმნით ქუდიდან თოვლს ბერტყავდა.

– ყველა შინაურია, კიტიც აქ არის. წამოდი, კარენინს გაგაცნობ.

მიუხედავად ლიბერალობისა, სტეპან არკადიჩმა მაინც იცოდა, რომ კარენინთან ნაცნობობა საქებარი იყო და ამიტომ თავის საუკეთესო მეგობრებს ამით უმასპინძლდებოდა. მაგრამ ამ წუთში კონსტანტინ ლევინი იმის ხასიათზე არ იყო, რომ ეგრძნო ამ ნაცნობობის მთელი სიამოვნება. მას არ ენახა კიტი იმ დაუვიწყარი საღამოს შემდეგ, როცა იგი ვრონსკის შეხვდა, თუ არ ჩავთვლით იმ წუთიერ შეხვედრას, შარაგზაზე რომ მოჰკრა თვალი. გულის სიღრმეში იცოდა, რომ დღეს აქ კიტის შეხვდებოდა, მაგრამ ცდილობდა, არ ეფიქრა ამაზე, დაეჯერებინა თავი, თითქოს არ იცოდა ეს. ახლა კი, როცა გაიგონა, კიტი აქ არისო, ისეთი სიხარული შემოენთო, თანაც ისეთი შიში იგრძნო, რომ სულთქმა შეეკრა და ვეღარ შეძლო იმის თქმა, რაც უნდოდა.

„ნეტავ როგორია ახლა კიტი, როგორი? ისევ ისეთია, როგორიც წინათ იყო თუ ისეთი, როგორიც კარეტაში დავინახე? ნუთუ მართალია ის, რასაც დარია ალექსანდროვნა ამბობდა? ან რატომ არ უნდა იყოს მართალი?“ – ფიქრობდა იგი.

– აჰ, გამაცანი, გეთაყვა, კარენინი, – ძლივსღა თქვა ლევინმა, გაბედული, მტკიცე ნაბიჯით გასწია სასტუმროსაკენ და დაინახა კიტი.

კიტი ისეთი აღარ იყო, როგორიც წინათ ახსოვდა, არც ისეთი, როგორიც კარეტაში ნახა. იგი სულ გამოცვლილიყო.

კიტი შეშინებული და დარცხვენილი იყო და ამის გამო კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა. როგორც კი ლევინი სასტუმროში შევიდა, კიტიმ მაშინვე დაინახა იგი. კიტი ელოდა მას და ისე გაუხარდა ლევინის დანახვა, ისე შეაკრთო ამ სიხარულმა, რომ იყო წუთი, სწორედ ის წუთი, როცა ლევინი დიასახლისთან მივიდა და ხელმეორედ გადახედა კიტის, რომ თვით მასაც, ლევინსაც და დოლისაც, რომელმაც ყველაფერი დაინახა, ეგონათ, კიტი თავს ვეღარ შეიკავებდა და ატირდებოდა. კიტი

ჯერ გაწითლდა და გაირინდა, მხოლოდ ოდნავღა ამოძრავებდა ტუჩებს მის მოლოდინში. ლევინი მიუახლოვდა კიტის, თავი დახარა და ხმაამოუღებლად გაუწოდა ხელი. თუ არა ტუჩების ოდნავ შესამჩნევი ცახცახი და ცრემლჩამდგარი თვალები, რის გამოც კიდევ უფრო შეემატა ბრწყინვა მის თვალებს, მისი ღიმილი თითქმის მშვიდი იყო, როცა ლევინს უთხრა: – რამდენი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს! – და თავგანწირული გამბედაობით გაუწოდა გაყინული ხელი.

– თქვენ არ გინახავვართ, მაგრამ მე კი გნახეთ, – უთხრა ბედნიერების ღიმილით სახეგაბრწყინებულმა ლევინმა, – მე დაგინახეთ, როცა რკინიგზის სადგურიდან ერგუშოვოში მიდიოდით.

– როდის? – გაოცებით ჰკითხა კიტიმ.

– თქვენ ერგუშოვოში მიდიოდით, – ეუბნებოდა ლევინი და გრძნობდა, რომ სულს უხუთავდა ბედნიერება, რითაც სავსე ჰქონდა გული. „როგორ გავბედე და რამე უწმინდური ფიქრი დავუკავშირე ამ ზეციურ არსებას! მგონი, მართალი უნდა იყოს, რასაც დარია ალექსანდროვნა მეუბნებოდა“, – ფიქრობდა ლევინი.

სტეპან არკადიჩმა ხელი მოჰკიდა ლევინს და კარენინთან მიიყვანა.

– ნება მომეცით გაგაცნოთ, – და მან გვარები დაასახელა.

– ძალიან სასიამოვნოა თქვენთან ხელმეორედ შეხვედრა, – ცივად თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ხელი გაუწოდა ლევინს.

– თქვენ განა იცნობთ ერთმანეთს? – გაკვირვებით იკითხა სტეპან არკადიჩმა.

– ჩვენ სამი საათი ერთად გავატარეთ ვაგონში, – ღიმილით უთხრა ლევინმა, – მაგრამ იქიდან ისე დაინტერესებული გამოვედით ერთმანეთით, თითქოს მასკარადზე გვენახოს ერთიმეორე, მე ყოველ შემთხვევაში...

– აი, რაში ყოფილა საქმე! გთხოვთ, – თქვა სტეპან არკადიჩმა და საზოგადოებას სასადილოსკენ ანიშნა.

მამაკაცები სასადილოში გავიდნენ და მიუახლოვდნენ

მაგიდას, რომელზეც საუზმე იყო გაშლილი, სუფრაზე ექვსნაირი არაყი და სხვადასხვანაირი ყველი ელაგა ვერცხლის ლანგრებზე. ლანგრებზევე ელაგა ხიზილალა, ქაშაყი და ათასნაირი კონსერვი. თეფშებზე ფრანგული პურის ნაჭრები ეწყო.

მამაკაცები სურნელოვანი არყებითა და საუზმით გაწყობილ მაგიდასთან იდგნენ და სადილის მოლოდინში სერგეი ივანოვიჩ კოზნიშევის, კარენინისა და პესცოვის საუბარიც მინელდა პოლონეთის გარუსების თაობაზე.

სერგეი ივანოვიჩი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო სრულიად განყენებული და სერიოზული კამათის დამთავრება რაიმე მოულოდნელი, გონებამახვილური ხუმრობით და ამით მოსაუბრეთა გუნების შეცვლა, ახლაც ასე მოიქცა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ამტკიცებდა, პოლონეთის გარუსება შეიძლება მოხდეს მხოლოდ უმაღლესი პრინციპების წყალობით, რომლებიც იქ რუსულმა ადმინისტრაციამ უნდა შეიტანოსო.

პესცოვი თავისას იჟინებდა, ერთი ერი მაშინ ახდენს მეორე ერის ასიმილაციას, თუ იგი უფრო მჭიდროდ არის დასახლებულიო.

კოზნიშევი იზიარებდა ორივე შეხედულებას, მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. და როცა ისინი სასტუმრო ოთახიდან გამოდიოდნენ, საუბრის დამთავრების მიზნით კოზნიშევმა ღიმილით დასძინა: – ამიტომაც ინოროდცების გასარუსებლად ერთი საშუალება არსებობს, – გავაჩინოთ რაც შეიძლება მეტი ბავშვი. აი, მე და ჩემი ძმა ყველაზე ცუდად ვირჯებით. თქვენ კი, ბატონო ცოლიანებო, და განსაკუთრებით კი თქვენ, სტეპან არკადიჩ, ნამდვილად პატრიოტულად მოქმედებთ. თქვენ რამდენი ბავშვი გყავთ? – ალერსიანი ღიმილით მიმართა მან მასპინძელს და პაწაწინა სასმისი დაუდგა წინ.

ყველამ გაიცინა, ყველაზე მხიარულად კი თვით სტეპან არკადიჩი იცინოდა.

– ჰო, ეს ყველაზე კარგი საშუალებაა! – თქვა მან, ყველი გასინჯა და წინ დადგმულ სასმისში რაღაც განსაკუთრებული ხარისხის არაყი დაასხა. საუბარი მართლაც ამ ხუმრობაზე გათავდა.

– ეს ყველი კარგია. ხომ არ ინებებთ? – სთავაზობდა სტუმრებს მასპინძელი, – ნუთუ შენ კიდევ ტანვარჯიშზე იყავი? – მიუბრუნდა იგი ლევინს და მარცხენა ხელით ხელის კუნთები გაუსინჯა. ლევინმა გაიღიმა, ხელი მოღუნა და სტეპან არკადიჩის თითებში, სერთუკის თხელი მაუდის ქვეშ, მრგვალი ყველივით ამოიზარდა ფოლადის ბორცვი.

– აი, მესმის ბიცეფსი! ნამდვილი სამსონია!

– მე მგონია, დათვებზე სანადიროდ დიდი ღონეა საჭირო, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელსაც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ნადირობაზე, და სიფრიფანა პურის ნაჭერზე ყველი დადო.

ლევინმა გაიღიმა.

– სულაც არა. პირიქით, ბავშვსაც კი შეუძლია დათვის მოკვლა, – თქვა მან და ოდნავი თავის დახრით გზა დაუთმო მანდილოსნებს, რომელნიც დიასახლისის თანხლებით საუზმის მაგიდას უახლოვდებოდნენ.

– მე მითხრეს, რომ თქვენ დათვი მოგიკლავთ, – უთხრა კიტიმ, თან ამაოდ ცდილობდა ჩანგლით აეღო დაუმორჩილებელი სოკო, რომელიც აქეთ-იქით სხლტებოდა, და აფრიალებდა სახელოს მაქმანებს, საიდანაც თეთრად ბრწყინავდა მისი პატარა ხელი, – განა თქვენში არიან დათვები? – დაუმატა მან, ნახევრად მიაბრუნა ლევინისაკენ თავისი მშვენიერი თავი და გაუღიმა.

თითქოს უჩვეულო არაფერი იყო კიტის ნათქვამში, მაგრამ ლევინისთვის ენით უთქმელი მნიშვნელობა იხატებოდა ყოველ მის ბგერაში, ტუჩების, თვალებისა და ხელების ყოველ მოძრაობაში, როცა იგი ამას ამბობდა! აქ იყო პატიების თხოვნაც, ნდობაც მისდამი, ალერსიც, ნაზი, გაუბედავი ალერსი, შეპირებაც, იმედიც და სიყვარულიც მისდამი, რომელიც უკვე შეუძლებელი იყო არ დაეჯერებინა ლევინს და რისგან გამოწვეული ბედნიერებაც სულს უხუთავდა.

– არა, ჩვენ ტვერის გუბერნიაში ვიყავით და იქიდან გამობრუნებისას ვაგონში შევხვდით თქვენს ბოფრერს[55] თუ თქვენი ბოფრერის სიძეს, – ღიმილით უთხრა მან, – ეს ძალიან სასაცილო შეხვედრა იყო, – და ლევინი მხიარულად, სასაცილოდ მოჰყვა, ღამენათევი, თავისი ტყავის ქურქით

როგორ შეიჭრა ალექსეი ალექსანდროვიჩის განყოფილებაში.

– კონდუქტორმა წინააღმდეგ ანდაზისა, ჩემს ტანისამოსს რომ შეხედა, ჩემი გარეთ გამობრძანება მოინდომა, მაგრამ მე მაღალფარდოვანი სიტყვებით დავიწყე ლაპარაკი და... თქვენც, – თქვა მან და მიბრუნდა კარენინისკენ, რომლის სახელიც ვეღარ გაიხსენა, – პირველად ჩემს ქურქს რომ შეხედეთ, ჩემი გარეთ გაძევება მოინდომეთ, მერე კი მხარი დამიჭირეთ, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ.

– საერთოდ მეტად გაურკვეველია მგზავრის უფლებები ადგილის ამორჩევაზე, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ცხვირსახოცით თითის წვერები გაიწმინდა.

– მე ვხედავდი, რომ თქვენ კიდევ ყოყმანობდით ჩემზე, – გულკეთილი ღიმილით შენიშნა ლევინმა, – მე კი მაშინვე ჭკვიანური ლაპარაკი წამოვიწყე, რომ როგორმე გამექარწყლებინა ჩემი ქურქისგან გამოწვეული გაუგებრობა.

სერგეი ივანოვიჩმა, რომელიც ისევ დიასახლისთან განაგრძობდა ლაპარაკს და მხოლოდ ცალი ყურით უსმენდა ლევინს, ქვეშ-ქვეშ გახედა ძმას. „რა დაემართა დღეს? როგორი გამარჯვებულის გამომეტყველება აქვს“, – გაიფიქრა მან. არ იცოდა, რომ კიტი ყურს უგდებდა და სიამოვნებდა კიდეც მისი მოსმენა და ახლა მეტი საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა. მისთვის მარტო ამ ოთახში კი არა, მთელ ქვეყანაზე არსებობდა თვით იგი, რომელსაც ახლა მის თვალში დიდი მნიშვნელობა და პატივი ენიჭებოდა, და არსებობდა კიტი. ლევინი ისეთ სიმაღლეზე გრძნობდა თავს, რომ თავბრუ ეხვეოდა, სადღაც შორს კი, ქვევით, იყვნენ ყველა ეს გულკეთილი და სახელოვანი კარენინები, ობლონსკები და მთელი ქვეყანა.

სრულიად შეუმჩნევლად, ისე, რომ არც კი შეუხედავს მათთვის, თითქოს სხვა დასაჯდომი ადგილი ვეღარ მოძებნაო, სტეპან არკადიჩმა ერთმანეთის გვერდით დასვა კიტი და ლევინი.

– შენ აქ მაინც დაჯექი, – უთხრა ლევინს.

სადილი ისეთივე კარგი იყო, როგორიც ჭურჭელი, რომლის დიდი მოყვარული გახლდათ სტეპან არკადიჩი. სუპი „მარი-ლუიზა“ შესანიშნავი გამოდგა. საუცხოო იყო პატარა ღვეზელებიც, რომლებიც პირდაპირ დნებოდნენ პირში. მატვეი და თეთრჰალსტუხიანი ორი მსახური შეუმჩნევლად, უხმოდ

და მარჯვედ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს – საჭმელ-სასმელს აწვდიდნენ სტუმრებს. მატერიალური თვალსაზრისით სადილი სწორედ რომ კარგი გამოდგა. არანაკლებ კარგი აღმოჩნდა იგი არამატერიალური თვალსაზრისითაც. ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ხან საერთო და ხან კერძო საუბარი, სადილის დასასრულს კი იმდენად გაცხოველდა, რომ მამაკაცებს საუბარი არ შეუწყვეტიათ, ისე წამოიშალნენ სუფრიდან, ასე გასინჯეთ, ალექსეი ალექსანდროვიჩიც კი გამოცოცხლდა.

X

პესცოვს ბოლომდე უყვარდა მსჯელობა და იგი არ დაკმაყოფილდა სერგეი ივანოვიჩის სიტყვებით, მით უმეტეს, რომ იგრძნო თავისი შეხედულების უმართებულობა.

– მე არასოდეს მიგულისხმია, – მიმართა მან ალექსეი ალექსანდროვიჩს, როცა ისინი სუპს მიირთმევდნენ, – რომ საკმარისია მხოლოდ მოსახლეობის სიმჭიდროვე, ეს დაკავშირებული უნდა იყოს საფუძვლებთან და არა პრინციპებთან.

– ჩემი აზრით, – დინჯად, უხალისოდ უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ეს ერთი და იგივეა. ჩემი შეხედულებით, სხვა ხალხზე ზემოქმედება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც აქვს უმაღლესი განვითარება, რომელიც...

– სწორედ ეგ არის მთავარი, – ბოხი ხმით შეაწყვეტინა პესცოვმა, რომელიც ყოველთვის ჩქარობდა ლაპარაკს, თითქოს მთელ სულსა და გულს დებდა ნათქვამში, – რაში მდგომარეობს ეს უმაღლესი განვითარება? ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები? რომელი მათგანი დგას განვითარების უმაღლეს საფეხურზე? რომელი მათგანი მოახდენს მეორის ნაციონალიზაციას? ჩვენ ვხედავთ, რომ რაინი მთლიანად გაფრანგდა, გერმანელები კი ფრანგებზე დაბლა როდი დგანან! – გაჰყვიროდა იგი, – აქ რაღაც სხვა კანონია!

– ჩემი აზრით, გავლენა ყოველთვის ჭეშმარიტი განათლების მხარეზეა, – წარბების ოდნავი აწევით შენიშნა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– მაგრამ რაში უნდა ვეძიოთ ჩვენ ჭეშმარიტი განათლების ნიშნები? – თქვა პესცოვმა.

– მე ვფიქრობ, რომ ეს ნიშნები ცნობილია, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– სავსებით ცნობილია? – ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შენიშნა სერგეი ივანოვიჩმა, – ახლა აღიარებულია, რომ ჭეშმარიტი განათლება მხოლოდ კლასიკური განათლებაა; მაგრამ ახლა ჩვენ მოწმენი ვართ ორივე მხარის გააფთრებული კამათისა და არ შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკსაც აქვს თავის სასარგებლოდ ძლიერი მოსაზრებანი.

– თქვენ კლასიკოსი ხართ, სერგეი ივანოვიჩ. წითელ ღვინოს ხომ არ ინებებთ? – ჩაერია ლაპარაკში სტეპან არკადიჩიც.

– მე არ გამომითქვამს ჩემი მოსაზრება ერთი ან მეორე განათლების შესახებ, – შემწყნარებლის ღიმილით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, ისე, თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო, და თავისი ჭიქა გაუწოდა, – მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ორივე მხარეს ძლიერი მოსაზრებანი აქვს-მეთქი, – განაგრძო მან და ალექსეი ალექსანდროვიჩს მიუბრუნდა, – განათლებით კლასიკოსი ვარ, მაგრამ ამ კამათში პირადად მე ადგილი ვერ მიპოვია. ვერ ვხედავ ნათელ მოსაზრებას იმის გასამართლებლად, თუ რატომ მიენიჭა კლასიკურ განათლებას უპირატესობა რეალურ განათლებასთან შედარებით.

– საბუნებისმეტყველო საგნებსაც ისეთივე პედაგოგიური, განმავითარებელი ზეგავლენა აქვს, – სიტყვა მიაშველა პესცოვმა, – აიღეთ თუნდაც ასტრონომია, ბოტანიკა, ზოოლოგია და მათი საერთო კანონთა სისტემა.

– მე სავსებით ვერ დაგეთანხმებით ამაზე, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ჩემი აზრით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სულიერ განვითარებაზე განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ენათა ფორმების შესწავლის პროცესი, გარდა ამისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კლასიკურ მწერლობას დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს, მაშინ როცა, ჩვენდა საუბედუროდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლებას თან სდევს ის

მავნე და ყალბი მოძღვრებანი, რომელნიც ჩვენი დროის წყლულს წარმოადგენენ.

სერგეი ივანოვიჩს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ პესცოვის ძლიერმა ბოხმა ხმამ სათქმელი აღარ ათქმევინა. მან გაცხარებით დაიწყო იმის მტკიცება, რომ ამგვარი შეხედულება უმართებულოა. სერგეი ივანოვიჩი დამშვიდებით ელოდა, როდის გაჩუმდებოდა პესცოვი, ეტყობოდა, უკვე მოფიქრებული ჰქონდა სიტყვა, რომელიც საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებდა.

– კი მაგრამ, – ოდნავი ღიმილით დაიწყო სერგეი ივანოვიჩმა და კარენინს მიუბრუნდა, – ხომ არ შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების ავ-კარგის სრული აწონ-დაწონა ძნელი საქმეა; ამიტომაც საკითხი იმისა, თუ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, ასე სასწრაფოდ და საბოლოოდ ვერ გადაწყდებოდა, კლასიკური განათლების მხარეზე რომ არ ყოფილიყო ის უპირატესობა, რომელიც თქვენ ბრძანეთ: ზნეობრივი – disons le mot[56] – ანტინიჰილისტური გავლენა.

– ეს უეჭველია.

– კლასიკური განათლების მხარეზე რომ არ ყოფილიყო ანტინიჰილისტური გავლენის ეს უპირატესობა, მაშინ ჩვენ უფრო ბევრს ვიფიქრებდით, ავწონ-დავწონიდით ორივე მხარის მოსაზრებებს, – ოდნავი ღიმილით ამბობდა სერგეი ივანოვიჩი, – მაშინ მეტ გასაქანს მივცემდით ერთსაც და მეორე მიმართულებასაც. ახლა კი ჩვენ ვიცით, რომ კლასიკური განათლების აბებში ანტინიჰილიზმის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებაა და მას თამამად ვთავაზობთ ჩვენს პაციენტებს... მაგრამ რა მოხდებოდა, რომ მასში ეს სამკურნალო საშუალება არ ყოფილიყო? – დაასკვნა მან და მთელი ეს საუბარი თავისებური მოსწრებული ხუმრობით დააგვირგვინა.

სერგეი ივანოვიჩის აბებზე ყველას გაეცინა, ყველაზე ხმამაღლა კი ტუროვცინმა გადაიხარხარა, რაკი, როგორც იქნა, ყური მოჰკრა იმ სასაცილო ამბავს, რისი მოლოდინითაც ისმენდა სერგეი ივანოვიჩის საუბარს.

სტეპან არკადიჩი არ შემცდარა, პესცოვი რომ სადილად მოიწვია. მისი თანდასწრებით არ შეიძლებოდა თუნდაც ერთი წუთით შეწყვეტილიყო ჭკვიანური საუბარი. როგორც კი

სერგეი ივანოვიჩმა ამ გახუმრებით დაამთავრა კამათი, პესცოვმა მყისვე ახალი საკითხი წამოიწყო.

– არ შეიძლება დავეთანხმოთ იმასაც, – თქვა მან, – რომ მთავრობას ეს მიზანი ჰქონდეს. მთავრობა, ეტყობა, რაღაც საერთო მოსაზრებით ხელმძღვანელობს, როცა ინდიფერენტულია იმ გავლენისადმი, რომელიც, შესაძლოა მოჰყვეს მიღებულ ღონისძიებებს. მაგალითად, ქალთა განათლების საკითხი თითქოს მავნებელი უნდა იყოს, მაგრამ მთავრობა ქალთა კურსებსა და უნივერსიტეტებს ხსნის.

და საუბარი მაშინვე ახალ თემაზე – ქალთა განათლების საკითხზე გადავიდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა აზრი გამოთქვა, ქალთა განათლების საკითხს ყოველთვის ქალთა გათავისუფლების საკითხში ურევენ და ამიტომაც თვლიან მავნებლადო.

– მე კი, პირიქით, მგონია, რომ ეს ორი საკითხი განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, – შენიშნა პესცოვმა, – ეს მეტად მაცდური წრეა. ქალი მოკლებულია უფლებებს იმის გამო, რომ განათლება არა აქვს, განათლება კი იმიტომ არა აქვს, რომ უფლებები არ გააჩნია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალთა დამონების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი და ძველისძველია, რომ ჩვენ ხშირად არ გვინდა ჩავიხედოთ იმ უფსკრულში, რომელიც მათ ჩვენგან აშორებს, – განაგრძობდა პესცოვი.

– თქვენ ბრძანეთ, უფლებებიო, – დაიწყო ახლა სერგეი ივანოვიჩმა, რომელიც ელოდა, როდის გაათავებდა პესცოვი საუბარს, – ნაფიც მსაჯულთა, ხმოსანთა, გამგეობის თავმჯდომარეთა, პარლამენტის წევრთა თანამდებობის დაკავების უფლება...

– ეს ეჭვგარეშეა.

– მაგრამ თუ ქალს, როგორც იშვიათ გამონაკლისს, უფლება აქვს ამ ადგილების დაკავებისა, მაშინ, მგონი, თქვენ არასწორად იხმარეთ სიტყვა „უფლება“. უფრო სწორი იქნებოდა გეთქვათ, მოვალეობაო. ყველა დამეთანხმება, რომ, როცა ჩვენ ნაფიცი მსაჯულის, ხმოსნის ან ტელეგრაფის მოხელის თანამდებობას ვასრულებთ, ყველა ჩვენგანი გრძნობს, რომ მოვალეობას იხდის. ამიტომაც უფრო სწორი

იქნებოდა გვეთქვა, რომ ქალები ეძებენ თავიანთ მოვალეობას და სავსებით კანონიერადაც. და ჩვენც შეგვიძლია თანავუგრძნოთ მათ სურვილს, დაეხმარონ მამაკაცთა საერთო შრომას.

– სრული სიმართლეა, – კვერი დაუკრა ალექსეი ალექსანდროვიჩმაც, – საკითხი, ჩემი აზრით, ასე დგას: აქვთ თუ არა ქალებს ამ მოვალეობათა შესრულების უნარი.

– ალბათ, უნარიც საკმაოდ აღმოაჩნდებათ, – ჩაერია სტეპან არკადიჩი, – როცა მათ შორის გავრცელდება განათლება. ჩვენ ამას ვხედავთ...

– მერე იმ ანდაზაზე რაღას იტყვით? – თქვა თავადმა, რომელიც ამდენ ხანს გაჩუმებული უგდებდა ყურს ამ ლაპარაკს და პატარა, დამცინავი თვალები რაღაც უცნაურად უციმციმებდა, – ჩემს ქალიშვილებთან შემიძლია ვთქვა: თმაგრძელი და...

– სწორედ ასევე ფიქრობდნენ ზანგებზეც მათ გათავისუფლებამდე! – გაგულისებით შენიშნა პესცოვმა.

– მე მხოლოდ ის მეუცნაურება, რომ ქალები ახალ მოვალეობას ეძებენ, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, – როცა, საუბედუროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ მამაკაცები ჩვეულებრივ გაურბიან ამ მოვალეობათა შესრულებას.

– მოვალეობა უფლებებთან არის დაკავშირებული; ძალაუფლება, ფული, პატივისცემა – აი, რას ეძიებენ ქალები, – თქვა პესცოვმა.

– ეს იგივეა, რომ მე ძიძად ყოფნის უფლებას ვეძიებდე და მწყინდეს, რომ ქალებს ფულს აძლევენ ამაში, ჩემთვის კი არ სურთ ფულის მოცემა, – თქვა მოხუცმა თავადმა.

ტუროვცინმა გადაიხარხარა და სერგეი ივანოვიჩმა ინანა, რომ სხვამ დაასწრო ამის თქმა. თვით ალექსეი ალექსანდროვიჩსაც კი გაეღიმა.

– ჰო, მაგრამ მამაკაცს ხომ არ შეუძლია ძიძაობა, – თქვა პესცოვმა, – ქალს კი...

– არა, ერთმა ინგლისელმა კაცმა ხომ გამოკვება თავისი ბავშვი გემზე, – თქვა მოხუცმა, რომელიც უფლებას აძლევდა თავს ასე თავისუფლად ელაპარაკა თავისი ქალიშვილების

თანდასწრებით.

– რამდენი ასეთი ინგლისელიც არის, იმდენი მოხელე ქალიც გვეყოლება, – შენიშნა ახლა სერგეი ივანოვიჩმა.

– კი მაგრამ, რა უნდა ქნას ქალიშვილმა, რომელსაც ოჯახი არ გააჩნია? – გამოექომაგა სტეპან არკადიჩი და გაიხსენა ჩიბისოვა, რომელიც ახსოვდა მუდამ, როცა თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა პესცოვს.

– თუ კარგად ჩაუფიქრდებით ამ ქალიშვილის ცხოვრებას, დაინახავთ, რომ მან მიატოვა თავისი ან თავისი დის ოჯახი, სადაც შეიძლება ჰქონოდა ქალური საქმე, – მოულოდნელად ჩაერია საუბარში გაგულისებული დარია ალექსანდროვნა, რომელიც, ეტყობოდა, მიხვდა, როგორი ქალიშვილიც ჰყავდა მხედველობაში სტეპან არკადიჩს.

– მაგრამ ჩვენ ხომ პრინციპის, იდეალის დამცველნი ვართ! – თავისი ძლიერი ბანით გამოეკამათა პესცოვი, – ქალს უნდა, რომ ჰქონდეს უფლება, რათა იყოს დამოუკიდებელი და განათლებული, იგი შევიწროებულია, დათრგუნვილია იმის შეგნებით, რომ მისთვის შეუძლებელია ამ უფლების მოპოვება.

– მე კი შევიწროებული და დათრგუნვილი ვარ იმის გამო, რომ არ მიღებენ ძიძად უპატრონოთა სახლში, – კვლავ შენიშნა მოხუცმა თავადმა და ამით დიდად გაახარა ტუროვცინი, რომელსაც სიცილისაგან სატაცურის მსხვილი ბოლო საწებელში ჩაუვარდა.

XI

ყველანი მონაწილეობდნენ საერთო საუბარში, გარდა კიტისა და ლევინისა. პირველად, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს ერთი ერი მეორეზე, ლევინს უნებურად გაუელვა აზრმა, თუ რა უნდოდა ეთქვა ამ საკითხზე. მაგრამ ეს აზრები, რომელთაც წინათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა, თითქოს სიზმრად გაუელვესო გონებაში, სულ აღარ იყო საინტერესო. ახლა უცნაურადაც კი

ეჩვენებოდა, რომ სხვები ასე ცდილობდნენ საუბარს იმის შესახებ, რაც არავისთვის საჭირო არ იყო. კიტისთვისაც ასევე საინტერესო უნდა ყოფილიყო საუბარი ქალთა უფლებებისა და განათლების შესახებ. რამდენჯერ უფიქრია ამ საკითხზე, გახსენებია თავისი საზღვარგარეთელი მეგობარი ვარენკა, თუ რაოდენ მძიმე იყო მისთვის სხვაზე დამოკიდებული ცხოვრება. რამდენჯერ უფიქრია საკუთარ თავზე, რა მოელოდა მას, თუ არ გათხოვდებოდა, რამდენჯერ უკამათია დასთან ამის თაობაზე! მაგრამ ახლა ეს სულ აღარ აინტერესებდა. ახლა მასა და ლევინს თავისი საუბარი ჰქონდათ, თუმცა საუბარი კი არა, რაღაც იდუმალი თანაზიარობა, რომელიც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ აკავშირებდა მათ და ორივეში რაღაც სასიხარულო შიშის გრძნობას ბადებდა იმ რაღაც გამოუცნობის, რომელშიც ისინი აპირებდნენ შესვლას.

პირველად ლევინი კიტის შეკითხვის პასუხად, თუ რანაირად ნახა იგი გასულ წელს კარეტაში, მოუყვა, როგორ ბრუნდებოდა სათიბიდან და როგორ შეხვდა მას შარაგზაზე.

– ახალგათენებული იყო, თქვენ, გეტყობოდათ, ის-ის იყო, გაიღვიძეთ. დედათქვენს კარეტის კუთხეში ეძინა. მშვენიერი დილა იყო. მე მივდიოდი და ვფიქრობდი, ნეტავ ვინ მოდის-მეთქი ამ ოთხცხენიანი კარეტით. მშვენიერი ზანზალაკებიანი კარეტა იყო და სწორედ ამწუთას თქვენ ჩამიქროლეთ წინ. ფანჯრიდან დავინახე: თქვენ, იჯექით ასე, ორივე ხელით თავსაბურის შესაკრავები გეჭირათ და რაღაცაზე საშინლად ჩაფიქრებული იყავით, – ღიმილით განაგრძობდა ლევინი, – როგორ მინდოდა მცოდნოდა, რაზე ფიქრობდით მაშინ. რაიმე მნიშვნელოვანზე?

„გაწეწილი ხომ არ ვიყავი?“ – გაიფიქრა კიტიმ, მაგრამ როცა ლევინის აღტაცებული ღიმილი დაინახა, ღიმილი, რომელიც ამ წვრილმანების გახსენებამ გამოიწვია, მიხვდა, რომ, პირიქით, მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება მეტისმეტად კარგი იყო. კიტი წამოწითლდა და მხიარულად გაიცინა.

– მართალი გითხრათ, არ მახსოვს.

– რა კარგად იცინის ტუროვცინი! – შენიშნა ლევინმა, რომელიც სიამოვნებით შეჰყურებდა ტუროვცინის აცრემლებულ თვალებსა და სიცილისაგან აცახცახებულ სხეულს.

– დიდი ხანია იცნობთ ტუროვცინს? – ჰკითხა კიტიმ.

– მაგას ვინ არ იცნობს!

– მე კი ვამჩნევ, რომ თქვენ ტუროვცინზე ისე ფიქრობთ, თითქოს ცუდი ადამიანი იყოს.

– ცუდი კი არა, არარაობაა.

– ჰოდა, არ არის მართალი! ნურასოდეს ნუღარ იფიქრებთ ასე! – უთხრა კიტიმ, – მეც ძალიან ცუდი წარმოდგენა მქონდა მასზე, მაგრამ მეტისმეტად სასიამოვნო და საოცრად კეთილი ადამიანი ყოფილა. პირდაპირ ოქროს გული აქვს.

– თქვენ საიდან გაიგეთ მისი გულის ამბავი?

– მე და ტუროვცინი დიდი მეგობრები ვართ. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. შარშან ზამთარს, სწორედ მას შემდეგ... თქვენ რომ ჩვენთან იყავით, – უთხრა კიტიმ, თან დამნაშავესავით და ამავე დროს ნდობით გაუღიმა, – დოლის ბავშვები, ყველანი, ქუნთრუშით იყვნენ ავად. ტუროვცინმა რაღაცაზე შემოიარა დოლისთან და წარმოგიდგენიათ, – ჩურჩულით განაგრძობდა კიტი, – ისე შეებრალა დოლი, რომ მასთან დარჩა და დაეხმარა ბავშვების მოვლაში. დიახ, სამი კვირა დარჩა მათ სახლში და ძიძასავით ელოლიავებოდა ბავშვებს.

– ტუროვცინის ამბავს ვუყვები კონსტანტინ დმიტრიჩს, ქუნთრუშა რომ სჭირდათ ბავშვებს, – უთხრა კიტიმ დოლის და მისკენ გადაიხარა.

– დიახ, საოცარია, ძალიან კარგია, – თქვა დოლიმ და გადახედა ტუროვცინს, რომელიც მიხვდა, რომ მასზე იყო საუბარი და დოლიმაც გულკეთილად გაუღიმა. ლევინმა ერთხელ კიდევ შეხედა ტუროვცინს და გაოცდა, რომ წინათ მისთვის გაუგებარი იყო ამ კაცის მთელი მშვენიერება.

– დამნაშავე ვარ, დამნაშავე, არასოდეს ცუდს აღარ ვიფიქრებ ადამიანებზე! – მხიარულად უთხრა ლევინმა და გულწრფელად გამოხატა ის, რასაც ამწუთას განიცდიდა.

XII

ქალთა უფლებების თაობაზე წამოწყებულ საუბარში შედიოდა საკითხი ქორწინებაში ქალისა და კაცის არათანაბარი უფლებების შესახებ, რაზედაც უხერხული იყო საუბარი მანდილოსნების თანდასწრებით. პესცოვი სადილობის დროს რამდენჯერმე შეეხო ამ საკითხს, მაგრამ სერგეი ივანოვიჩი და სტეპან არკადიჩი ფრთხილად უვლიდნენ ამას გვერდს.

როცა სუფრიდან წამოიშალნენ და მანდილოსნები ოთახიდან გავიდნენ, პესცოვი ქალებთან ერთად არ გასულა, იგი ალექსეი ალექსანდროვიჩს მიუბრუნდა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა იყო ამ უთანასწორობის მთავარი მიზეზი. მისი აზრით, ცოლისა და ქმრის არათანასწორუფლებიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ ღალატის შემთხვევაში ცოლი და ქმარი ერთნაირად არ ისჯებოდა როგორც კანონით, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით.

სტეპან არკადიჩი საჩქაროდ მივიდა ალექსეი ალექსანდროვიჩთან და თამბაქოს მოწევა შესთავაზა.

– არა, მე არ ვეწევი, – მშვიდად მიუგო ალექსეი ალექსანდროვიჩმა, თითქოს განზრახ უნდოდა ეჩვენებინა, რომ სულაც არ აშინებდა ამგვარი საუბარი, და გულგრილი ღიმილით მიუბრუნდა პესცოვს.

– ჩემი აზრით, საფუძველი ამგვარი შეხედულებისა თვით საგანთა არსშია მოცემული, – თქვა მან და სასტუმროში გასვლა დააპირა, მაგრამ მოულოდნელად ახლა ტუროვცინი გამოელაპარაკა.

– თქვენ პრიაჩნიკოვის ამბავი არ გაგიგიათ? – უთხრა შამპანურით შეზარხოშებულმა ტუროვცინმა, რომელიც დიდი ხანია იტანჯებოდა იმის გამო, რომ ხმაამოუღებლად იჯდა, – ვასია პრიაჩნიკოვი, – განაგრძო ტუროვცინმა, თან კეთილად გაიღიმა თავისი წითელი, სველი ტუჩებით და მთავარ სტუმარს, ალექსეი ალექსანდროვიჩს მიუბრუნდა, – დღეს მიამბეს, რომ ტვერში დუელში გამოუწვევია კვიტსკი და მოუკლავს.

როგორც ყოველთვის გვგონია, რომ თითქოს განზრახ ვახვედრებთ ხელს მტკივნეულ ადგილს, ისე სტეპან არკადიჩი ახლა გრძნობდა, რომ დღევანდელი საუბარი სულ ალექსეი

ალექსანდროვიჩის მტკივნეულ ადგილს ეხებოდა. იგი კვლავ შეეცადა ოთახიდან სიძის გაყვანას, მაგრამ ახლა თვით ალექსეი ალექსანდროვიჩმა ჰკითხა ცნობისმოყვარედ: – რისთვის იბრძოდა დუელში პრიაჩნიკოვი?

– ცოლის გულისთვის. ყოჩაღად მოიქცა. გაიწვია და მოკლა კიდეც!

– ა! – გულგრილად თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, წარბები ასწია და სასტუმრო ოთახში გავიდა.

– დიდად მოხარული ვარ, რომ მოხვედით, – შეშინებული ღიმილით მიმართა დოლიმ, რომელიც სასტუმრო ოთახის გასასვლელში შეეგება ალექსეი ალექსანდროვიჩს, – მე თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა. დავსხდეთ აქ.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ისეთივე გულგრილი გამომეტყველებით, რასაც მას ზევით აწეული წარბები აძლევდნენ, დოლის გვერდით ჩამოჯდა და თვალთმაქცურად გაიღიმა.

– მით უკეთესი, – უთხრა მან, – მეც მინდოდა ბოდიში მომეხადა და გამოგმშვიდობებოდით. ხვალისათვის უკვე გამგზავრებას ვაპირებ.

დარია ალექსანდროვნას მტკიცედ სწამდა, რომ ამ საქმეში ანა უდანაშაულო იყო და გრძნობდა, რომ ფერი ეკარგებოდა და ბრაზისაგან ტუჩები უცახცახებდა, როცა უყურებდა ამ გულცივ, უგრძნობელ ადამიანს, რომელსაც ასე მშვიდად გადაეწყვიტა მისი უდანაშაულო მეგობრის დაღუპვა.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, – უთხრა დოლიმ და გაბედულად შეხედა თვალებში, – მე თქვენ ანაზე გკითხეთ და არაფერი მიპასუხეთ. როგორ არის ანა?

– მგონი, კარგად უნდა იყოს, დარია ალექსანდროვნა, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა ისე, რომ სახეში არც შეუხედავს დოლისთვის.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, მაპატიეთ, მე არც მაქვს ამის უფლება... მაგრამ მე დასავით მიყვარს და პატივს ვცემ ანას. გთხოვთ, გემუდარებით, მითხარით, რა მოხდა თქვენ შორის? რაში ადანაშაულებთ მას?

ალექსეი ალექსანდროვიჩი შეიჭმუხნა, თავი დაბლა დახარა და თითქმის დახუჭა თვალები.

– მე მგონი, ქმარმა უკვე გადმოგცათ ის მიზეზი, რის გამოც საჭიროდ მიმაჩნია ჩემი ადრინდელი ურთიერთობის შეცვლა ანა არკადიევნასთან, – უთხრა მან ისე, რომ კვლავ სახეში არ შეუხედავს დოლისათვის და უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი სასტუმროდან გამოსულ შჩერბაცკის.

– მე არა მჯერა, არა მჯერა, არ შემიძლია ამის დაჯერება! – გამხდარი ხელების ფშვნეტით აღელვებით თქვა დოლიმ, საჩქაროდ წამოდგა და სახელოზე ხელი დაადო ალექსეი ალექსანდროვიჩს, – აქ ჩვენ ხელს შეგვიშლიან. თუ შეიძლება, აქეთ გამოდით.

დოლის მღელვარებამ ალექსეი ალექსანდროვიჩზეც იმოქმედა. იგი წამოდგა და მორჩილად გაჰყვა დარია ალექსანდროვნას საკლასო ოთახისაკენ. ისინი მიუსხდნენ მაგიდას, რომელზედაც დანით დასვრილი მუშამბა იყო გადაფარებული.

– მე არ მჯერა, არ მჯერა ეს! – თქვა დოლიმ და შეეცადა როგორმე თვალებში შეეხედა ალექსეი ალექსანდროვიჩისათვის.

– შეუძლებელია, არ დაუჯეროთ ფაქტებს, დარია ალექსანდროვნა, – თქვა მან და ხაზგასმით თქვა სიტყვა ფ ა ქ ტ ე ბ ი.

– მაინც რა ჩაიდინა ასეთი? – შეეკითხა დარია ალექსანდროვნა, – სახელდობრ, რა გააკეთა?

– მან არად ჩააგდო თავისი მოვალეობა და უღალატა ქმარს. აი, რა გააკეთა, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– არა, არა, ეს შეუძლებელია! არა, ღვთის გულისათვის, თქვენ შემცდარხართ! – თქვა დოლიმ, ხელით საფეთქლები მოისრისა და თვალები დახუჭა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ცივად, მხოლოდ ტუჩებით გაიღიმა, ამით უნდოდა ეჩვენებინა დოლისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც სიმტკიცე თავისი გადაწყვეტილებისა. მაგრამ ეს გაცხარებული გამოქომაგება, თუმცა ამას ერთი წუთითაც არ შეუყოყმანებია, მაინც უახლებდა იარას, და ახლაც ისიც გულით ალაპარაკდა.

– ძალიან ძნელია შეცდე, როცა ცოლი თვითონვე უცხადებს ქმარს ამ ამბავს. ეუბნება, რომ რვა წლის ერთად ცხოვრება, შვილი – ყველაფერი ეს შეცდომაა და თავიდან უნდა დაიწყოს ცხოვრება, – გაბრაზებით თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ანა და ბიწიერება – არ შემიძლია ამის დაკავშირება, არ შემიძლია ამის დაჯერება.

– დარია ალექსანდროვნა! – თქვა მან, ახლა უკვე პირდაპირ შეხედა დოლის კეთილსა და აღელვებულ სახეს და იგრძნო, რომ თავისდა უნებურად აეხსნა ენა, – რას არ მივცემდი იმისათვის, რომ კიდევ შესაძლებელი იყოს დაეჭვება. როცა დაეჭვებული ვიყავი, მართალია, ესეც მძიმე იყო ჩემთვის, მაგრამ უფრო უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ახლა. როცა ვეჭვობდი, მაშინ კიდევ იყო იმედი. ახლა კი აღარავითარი იმედი აღარ არის, მაგრამ მაინც ყველაფერში ეჭვი მეპარება. იმდენად დაეჭვებული ვარ ყველაფერში, რომ საკუთარი შვილიც კი შემძულდა და ხანდახან არც მჯერა, რომ ჩემი შვილია. მე მეტისმეტად უბედური ვარ.

ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის საჭირო აღარც იყო ამის ლაპარაკი. დარია ალექსანდროვნა ისედაც ყველაფერს მიხვდა, როგორც კი სახეში შეხედა მას. დოლის შეებრალა იგი და მასში შეირყა რწმენა თავისი მეგობრის უმანკოებისა.

– ოჰ! ეს საშინელებაა, საშინელება! ნუთუ მართალია, რომ უკვე გადაწყვეტილი გაქვთ განქორწინება?

– მე ეს უკანასკნელი ღონე ვიხმარე, მეტი აღარაფერი დამრჩენია.

– აღარაფერი დაგრჩენიათ, აღარაფერი... – თქვა აცრემლებულმა დოლიმ, – არა, სხვა რამ უნდა იღონოთ!

– სწორედ ეს არის საშინელი ამგვარ მწუხარებაში, რომ აქ ვერ გაუყუჩდები ამ უბედურებას, ისე როგორც სიკვდილისა ან რაიმეს დაკარგვის შემთხვევაში. აქ უნდა იმოქმედო, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, თითქოს წინასაწარ მიუხვდაო ფიქრს დოლის, – უნდა დააღწიო თავი ამ დამამცირებელ მდგომარეობას, შეუძლებელია სამის ერთად ცხოვრება.

– მე მესმის, მე სავსებით მესმის თქვენი, – უთხრა დოლიმ და მდუმარედ ჩაჰკიდა თავი. იგი ფიქრობდა თავის თავზე,

ფიქრობდა თავის ოჯახურ უბედურებაზე და უცებ მტკიცე გადაწყვეტილებით ასწია თავი, ვედრებით მოჰკიდა ხელი ალექსეი ალექსანდროვიჩს, – მაგრამ მოითმინეთ, თქვენ ხომ ქრისტიანი ხართ, იფიქრეთ მასზე! რა მოელის ანას, თუ თქვენ მიატოვებთ?

– ვიფიქრე, დარია ალექსანდროვნა, ბევრი ვიფიქრე, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელსაც სახეზე წითელი ლაქები დააჩნდა და ამღვრეული თვალებით პირდაპირ თვალებში შეხედა დოლის. დარია ალექსანდროვნას ახლა სულითა და გულით ებრალებოდა იგი, – სწორედ ასე მოვიქეცი, როცა ანამ თავისი პირით გამომიცხადა ჩემი შერცხვენა. ყველაფერი ძველებურად დავტოვე. საშუალება მივეცი გამოსწორებისა, შევეცადე მის ხსნას. მერე რა მოხდა? მან სრულიად უბრალო თხოვნაც კი არ შეასრულა, არ ინდომა წესიერების დაცვა, – განაგრძობდა გაცხარებული ალექსეი ალექსანდროვიჩი, – ხსნა შეიძლება ისეთი ადამიანისა, რომელსაც არ უნდა დაღუპვა. მაგრამ, როცა იგი ისეა გაფუჭებული, ზნეობადაკარგული, რომ სწორედ ეს დაღუპვა მიაჩნია ხსნად, რა უნდა ქნა?

– ყველაფერი, ოღონდ განქორწინება არა! – უპასუხა დარია ალექსანდროვნამ.

– მაინც რა?

– არა, ეს საშინელებაა, იგი არავის მეუღლე არ იქნება, დაიღუპება!

– მე რა შემიძლია? – მხრებისა და წარბების აწევით თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა. ცოლის ამ უკანასკნელი დანაშაულის გახსენებამ იმდენად გააბრაზა, რომ ახლაც ისეთივე გულცივი შეიქნა ყველაფრისადმი, როგორც საუბრის დაწყების დროს იყო, – დიდად მადლობელი ვარ თანაგრძნობისათვის, მაგრამ უკვე ჩემი წასვლის დროა, – დასძინა მან და წამოდგა.

– არა, მოითმინეთ! თქვენ არ უნდა დაღუპოთ იგი. აი, მე საკუთარ თავზე გეტყვით. მე გავთხოვდი, ქმარი მღალატობდა; ეჭვით გაბოროტებულმა, გადავწყვიტე, მიმეტოვებინა ყველაფერი, მე თვითონ მინდოდა... მაგრამ გონს მოვედი, და ვინ მიხსნა ამისაგან? ანამ. და აი, მეც ვცხოვრობ, ბავშვები იზრდებიან. ქმარიც თანდათან უბრუნდება ოჯახს, გრძნობს თავის უსამართლობას, უფრო კარგი, უფრო ფაქიზი ხდება და

მეც ვცხოვრობ... მე ვაპატიე და თქვენც უნდა აპატიოთ!

ალექსეი ალექსანდროვიჩი ყურს უგდებდა, მაგრამ დოლის სიტყვები უკვე აღარ მოქმედებდა მასზე. მის გულში კვლავ აღდგა იმდღევანდელი ღვარძლი, როცა განქორწინება გადაწყვიტა. მან თავი გააქნია და თავისებური წვრილი, მკაფიო ხმით თქვა: – პატიება მე არ შემიძლია, არ მინდა და არც სამართლიანად მიმაჩნია. მე ყველაფერი გავაკეთე ამ ქალისათვის, მაგრამ მან, როგორც სჩვევია, ყველაფერი ტალახში ამოსვარა. მე ბოროტი ადამიანი არა ვარ, არასოდეს არავინ მძულებია, მაგრამ ის კი სულითა და გულით მძულს და არც შემიძლია პატიება, რადგან მეტისმეტად შემზიზღდა ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც ჩემ წინაშე ჩაიდინა, – თქვა მან და მის ხმაში უდიდესი გაბოროტება გაისმა.

– შეიყვარეთ მოძულენი თქვენი... – დარცხვენით ჩაილაპარაკა დარია ალექსანდროვნამ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ზიზღით ჩაიცინა. მან დიდი ხანია იცოდა ეს, მაგრამ სრულებით არ უდგებოდა მის შემთხვევას.

– შეიყვარეთ მოძულენი თქვენიო, მაგრამ სიყვარული იმ ადამიანისა, რომელიც, გძულს, შეუძლებელია. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. თითოეულ ჩვენგანს თავისი უბედურებაც სამყოფი აქვს! – და ალექსეი ალექსანდროვიჩი მოერია თავს, მშვიდად გამოეთხოვა დოლის და წავიდა.

XIII

როცა სტუმრები სუფრიდან წამოიშალნენ, ლევინს უნდოდა სასტუმროში გაჰყოლოდა კიტის, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ საწყენად დარჩესო ასეთი გადამეტებული ყურადღება. ლევინი ისევ მამაკაცთა წრეში დარჩა, მონაწილეობდა საერთო საუბარში და, მართალია, არ უყურებდა კიტის, მაგრამ გრძნობდა ყოველ მის მოძრაობას, მის გამოხედვას და იმ ადგილსაც კი, სადაც კიტი სასტუმრო ოთახში იჯდა.

ახლა იგი სრულიად ძალდაუტანებლად ასრულებდა

კიტისთვის მიცემულ პირობას, ყოველთვის კარგს ვიფიქრებ ადამიანებზე და ყველა მეყვარებაო. საუბარი ჩამოვარდა თემაზე, რომელსაც პესცოვი განსაკუთრებულ საწყისად თვლიდა და გუნდურ საწყისს უწოდებდა. ლევინი არ ეთანხმებოდა არც პესცოვს და არც თავის ძმას, რომელიც თავისებურად ხან უარყოფდა და ხან შესაძლებლად თვლიდა რუსული თემის არსებობას. ლევინი მხოლოდ იმიტომ ერეოდა საუბარში, რომ შეერიგებინა მოკამათეები და შეერბილებინა მათი შეპასუხებანი. მას სულაც არ აინტერესებდა ის, რასაც თვითონ ამბობდა და მით უმეტეს, არ აინტერესებდა სხვების ნათქვამი. მხოლოდ ის უნდოდა, რომ ყველანი კარგად და სიამოვნებით ყოფილიყვნენ. იცოდა, რომ ახლა მხოლოდ ერთი იყო მნიშვნელოვანი და ის ერთი ჯერ სასტუმრო ოთახში იყო, შემდეგ კი მისკენ წავიდა და კართან გაჩერდა. ლევინს არც მიუხედავს მისკენ, მაგრამ იგრძნო, როგორ მისჩერებოდნენ მისი თვალები, იგრძნო მისი ღიმილი და არ შეეძლო არ მიბრუნებულიყო მისკენ. კიტი კარში იდგა შჩერბაცკისთან ერთად და შეჰყურებდა მას.

– მე მეგონა, რომ თქვენ ფორტეპიანოსკენ მიდიოდით, – უთხრა მან და მიუახლოვდა, – მუსიკა – აი, ერთადერთი რამ, რასაც სოფლად მოკლებული ვარ.

– არა, ჩვენ მხოლოდ თქვენს გამოსაძახებლად მოვდიოდით და მადლობელი ვართ, რომ მოხვედით, – უთხრა კიტიმ და ისე გაუღიმა, თითქოს ასაჩუქრებსო ღიმილით, – აბა, რა საინტერესოა კამათი? სულერთია, მაინც ვერ დაარწმუნებენ ერთიმეორეს.

– მართალია, – უთხრა ლევინმა, – ხშირად მხოლოდ იმიტომ კამათობ გაცხარებით, რომ ვერ გაგიგია, რის თქმა უნდა მოწინააღმდეგეს.

ლევინს ხშირად შეუმჩნევია, რომ ყველაზე ჭკვიანი ადამიანებიც კი კამათის დროს საკუთარ თავზე დიდი ძალდატანებისა, აუარებელი ლოგიკური სიმახვილისა და სიტყვის დახარჯვის შემდეგ, ბოლოს მიდიან იმის შეცნობამდე, რომ ის, რასაც ასე თავგამოდებით უმტკიცებდნენ ერთიმეორეს, დიდი ხანია ცნობილია ორივესთვის, მაგრამ გრძნობენ, რომ მათ სხვადასხვა რამ უყვართ, რათა დაძლეულნი არ იქნენ კამათში. მას ხშირად გამოუცდია, რომ ზოგჯერ კამათის დროს მიხვდები იმას, რაც მოწინააღმდეგეს

უყვარს, და მოულოდნელად შენ თვითონვე შეგიყვარდება ის, მაშინვე ეთანხმები მოწინააღმდეგეს და ქრება ყოველგვარი მოსაზრება, როგორც უსარგებლო რამ; ზოგჯერ კი, პირიქით, ბოლოს და ბოლოს წამოგცდება ის, რაც გიყვარს, რის დასაბუთებასაც ეძიებ, და თუ ისე მოხდა, რომ ეს კარგად და გულწრფელად თქვი, უეცრად დაგეთანხმება მოწინააღმდეგე და თავს დაანებებს კამათს. სწორედ ამის თქმა უნდოდა ლევინს.

კიტიმ შუბლი შეიკრა, შეეცადა ამის გაგებას და როცა ლევინი ამის ახსნას შეუდგა, მისთვის უკვე ნათელი იყო ყველაფერი.

– გავიგე, უნდა მიუხვდე, რისი გულისათვის კამათობს, რა უყვარს და მაშინ შესაძლებელია...

კიტიმ სავსებით გაიგო და გამოთქვა ლევინის მიერ ცუდად გამოთქმული აზრი. ლევინმა სიხარულით გაიღიმა. იგი დიდად გააკვირვა პესცოვსა და ძმასთან გაუგებარი, სიტყვაკაზმული კამათის შემდეგ ამ ლოგიკურმა და თითქმის უსიტყვო გაგებამ ყველაზე რთული აზრებისა.

შჩერბაცკი ჩამოსცილდა მათ და კიტი იქვე მდგარ ბანქოს სათამაშო მაგიდასთან მივიდა, დაჯდა, ხელში ცარცი აიღო და ახალ მწვანე მაუდზე წრეების ხატვა დაიწყო.

მათ ისევ განაახლეს სადილზე დაწყებული საუბარი ქალთა თავისუფლებასა და საქმიანობაზე. ლევინი ეთანხმებოდა დარია ალექსანდროვნას აზრს, გაუთხოვარი ქალი ოჯახშიც მოძებნისო თავის ქალურ საქმეს. ამას იმით ასაბუთებდა, რომ არც ერთ ოჯახს არ შეუძლია არსებობა ვინმე დამხმარე ქალის გარეშე, რომ ყოველ ღარიბ თუ მდიდარ ოჯახში შეხვდებით ძიძებს, დაქირავებულთ თუ ახლობელთ, რომელთა ყოფნაც აუცილებელია.

– არა, – თქვა კიტიმ და წამოწითლდა, მაგრამ ახლა უფრო თამამად მიაპყრო ლევინს ალალ-მართალი თვალები, – შეიძლება ქალიშვილი ისეთ მდგომარეობაში იქნეს ჩაყენებული, რომ დამცირების გარეშე არ შეეძლოს ოჯახში შესვლა, თვითონ კი...

ლევინი მაშინვე მიუხვდა, რისი თქმაც უნდოდა კიტის.

– ო! დიახ! – უთხრა მან, – დიახ, დიახ, თქვენ მართალი ხართ,

მართალი!

და ლევინი მიხვდა ყველაფერს, რასაც სადილზე პესცოვი ამტკიცებდა ქალის თავისუფლების შესახებ, მიხვდა მხოლოდ იმით, რომ დაინახა კიტის გულში შიში გაუთხოვრად დარჩენილი ქალისა და დამცირებისა და რადგანაც უყვარდა იგი, თვითონაც იგრძნო ეს შიში და დამცირება და მაშინვე უარყო თავისი მოსაზრებები.

დუმილი ჩამოვარდა. კიტი ისევ წრეებს ხაზავდა მაგიდაზე. თვალებში რაღაც იდუმალი ბრწყინვა ჩასდგომოდა. ლევინიც ემორჩილებოდა კიტის განწყობას და გრძნობდა, როგორ ივსებოდა მთელი მისი არსება სიხარულით, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

– აჰ, მთელი მაგიდა დავხაზე! – თქვა კიტიმ, ცარცი დადო და ისე შეირხა, თითქოს ადგომა დააპირაო.

„როგორ უნდა დავრჩე მარტო, უმისოდ?“ – გაიფიქრა შეძრწუნებულმა ლევინმა და ცარცს წაატანა ხელი, – მოითმინეთ, – უთხრა მან და მაგიდას მიუჯდა, – მე დიდი ხანია მინდოდა მეკითხა თქვენთვის ერთი რამ.

ლევინმა პირდაპირ შეხედა მას ალერსიან, მაგრამ შეშინებულ თვალებში.

– ნება თქვენია, მკითხეთ.

– აი, – უთხრა ლევინმა და დასაწყისი ასოები ჩამოუწერა: რ, თ, მ, ე, ა, შ, მ, ე, ი, ნ, ა, მ, თ, მ, ი, დ, შ. ეს ასოები შემდეგს ნიშნავდა: „როცა თქვენ მითხარით: ეს არ შეიძლება მოხდესო, ეს იმას ნიშნავდა, არასოდეს მოხდებაო, თუ მხოლოდ იმ დროს შეეხებოდა?“ არავითარი იმედი არ იყო იმისა, რომ კიტი ამ რთული წინადადების გამოცნობას შეძლებდა; მაგრამ ლევინმა ისეთი თვალით შეხედა, რომ ნათლად ჩანდა, მთელი მისი სიცოცხლე იმაზე იყო დამოკიდებული, გამოიცნობდა თუ არა კიტი ამას.

კიტიმ სერიოზულად შეხედა ლევინს, შემდეგ შეჭმუხნილი შუბლი ხელზე დააყრდნო და კითხვას შეუდგა. მხოლოდ ხანდახან ახედავდა ლევინს და თვალებით ეკითხებოდა: „ეს ის არის, რასაც მე ვფიქრობ თუ არა?“

– მივხვდი, – თქვა აწითლებულმა კიტიმ.

– ეს რა სიტყვაა? – უთხრა ლევინმა და ა-ზე მიუთითა, რომელიც ნიშნავდა სიტყვას „არასოდეს“.

– ეს ასო ნიშნავს „არასოდეს“, – უთხრა მან, – მაგრამ ეს არ არის მართალი!

ლევინმა საჩქაროდ წაშალა დაწერილი, ცარცი კიტის გადასცა და წამოდგა. კიტიმ დაწერა: მ, მ, ა, შ, ს, მ.

დოლის სულ გადაავიწყდა ალექსეი ალექსანდროვიჩთან საუბრით გამოწვეული მწუხარება, როცა ამ ორ არსებას მოჰკრა თვალი; კიტი ცარცით ხელში მოკრძალებული და ბედნიერი ღიმილით შესცქეროდა ლევინს, თავისი მოხდენილი ტანით მაგიდისაკენ გადახრილი ლევინიც ანთებული თვალებით დაჰყურებდა ხან მაგიდასა და ხან კიტის. უცებ ლევინს სახე გაუბრწყინდა. იგი მიხვდა. ეს ასოები შემდეგს ნიშნავდა: „მე მაშინ არ შემეძლო სხვაგვარად მეპასუხა“.

ლევინმა შიშით, კითხვის გამომხატველი თვალით გადახედა კიტის.

– მხოლოდ მაშინ?

– დიახ, – უპასუხა კიტის ღიმილმა.

– აჰ... ახლა კი? – ჰკითხა მან.

– აბა, მაშ, ამოიკითხეთ. მე გეტყვით იმას, რაც მსურს. რაც ძალიან მწადია! – კიტიმ დასაწყისი ასოები ჩამოწერა: თ, უ, შ, ი, დ, დ, პ, რ, ი. ეს ნიშნავდა: „თქვენ უნდა შეძლოთ იმის დავიწყება და პატიება, რაც იყო“.

ლევინმა დაძაბული, აკანკალებული თითები ცარცს წაატანა, ცარცი შუაზე გადატეხა და შემდეგი სიტყვების დასაწყისი ასოები ჩამოწერა: „მე არაფერი მაქვს დასავიწყებელი და საპატიებელი, მე თქვენ მუდამ მიყვარდით“.

კიტიმ ღიმილით შეხედა მას.

– მივხვდი, – ჩურჩულით თქვა მან.

ლევინი დაჯდა და გრძელი წინადადება დაწერა. კიტი ყველაფერს მიხვდა, არც უკითხავს მისთვის, ასეა თუ არაო? ცარცი აიღო და მაშინვე დაუწერა პასუხი.

ლევინმა დიდხანს ვერ შეძლო დაწერილის ამოკითხვა და ხშირ-ხშირად შეხედავდა ხოლმე კიტის თვალებში. ლევინს ბედნიერებისაგან თვალთ დაუბნელდა. მან ვერასგზით ვერ შეძლო იმ სიტყვების ამოცნობა, რასაც კიტი გულისხმობდა. მაგრამ მის მშვენიერ, ბედნიერებისაგან გაბრწყინებულ თვალებში ამოიკითხა ყველაფერი, რისი ცოდნაც საჭირო იყო ლევინისათვის, და მან სამი ასო დაუწერა. მაგრამ ლევინს ჯერ წერაც არ დაემთავრებინა, რომ კიტი უკვე კითხულობდა მის დაწერილს, კიტიმ თვითონვე დაამთავრა და პასუხად დაუწერა: დიახ.

– Sécretaire-ს თამაშობთ? – უთხრა მოხუცმა თავადმა, როცა მიუახლოვდა მათ, – აბა, წავიდეთ, კიტი, თუ გინდა, მიუსწრო თეატრს.

ლევინი წამოდგა და კარამდე მიაცილა კიტი.

მათ საუბარში ყველაფერი იყო ნათქვამი. ნათქვამი იყო, რომ კიტის უყვარდა იგი და დედასა და მამასაც განუცხადებდა, რომ ხვალ დილით მათთან ლევინი მივიდოდა.

XIV

როცა კიტი წავიდა და ლევინი მარტო დარჩა, ისეთი მოუსვენრობა, ისეთი დაუოკებელი სურვილი იგრძნო იმისა, რომ რაც შეიძლება მალე, მალე მოსულიყო ხვალინდელი დღე, როცა კვლავ იხილავდა კიტის და სამუდამოდ შეუერთდებოდა მას, რომ სიკვდილივით შეეშინდა იმ თოთხმეტი საათისა, რომელიც უმისოდ უნდა გაეტარებინა. მისთვის ახლა აუცილებელი იყო ვინმესთან ყოფნა, ლაპარაკი, რათა მარტოდ არ დარჩენილიყო და როგორმე მოეკლა დრო. სტეპან არკადიჩი მისთვის ახლა ყველაზე სასიამოვნო მოსაუბრე იქნებოდა, მაგიამ ის, როგორც თვითონ ამბობდა, საღამოზე იყო წასასვლელი, სინამდვილეში კი ბალეტზე მიდიოდა. ლევინმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, ძალიან ბედნიერი ვარო, შენც ძალიან მიყვარხარ და არასოდეს, არასოდეს არ დავივიწყებ იმას, რაც შენ ჩემთვის გააკეთეო. სტეპან არკადიჩის

შემოხედვამ და ღიმილმა დაარწმუნა ლევინი, რომ მას ისე ესმოდა ლევინის გრძნობა, როგორც საჭირო იყო.

– რას იტყვი, მოაწია სიკვდილის ჟამმა? – უთხრა სტეპან არკადიჩმა და თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი.

– რას ამბობ! – უპასუხა ლევინმა.

დარია ალექსანდროვნამაც გამომშვიდობებისას ისეთნაირად უთხრა ლევინს, თითქოს რაღაცას ულოცავსო: – ძალიან მიხარია, რომ თქვენ და კიტი ისევ შეხვდით ერთმანეთს, ძველ მეგობრობას დაფასება უნდა.

– მაგრამ ლევინს არ ესიამოვნა დარია ალექსანდროვნას ეს სიტყვები. დოლის არ შეეძლო გაეგო, რა მაღალი და მიუწვდომელი იყო ეს მისთვის და არ უნდა გაებედა ამის შეხსენება. ლევინი გამოემშვიდობა მას და, მარტო რომ არ დარჩენილიყო, ისევ თავის ძმას მიეკედლა.

– შენ სად მიდიხარ?

– სხდომაზე.

– მაშ, მეც შენთან წამოვალ. შეიძლება?

– რატომაც არა? წავიდეთ, – ღიმილით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – დღეს შენ რა დაგემართა?

– რა დამემართა? ბედნიერება მომადგა კარს! – უპასუხა ლევინმა, – და ფანჯარა ჩამოუწია კარეტას, რომლითაც ისინი მიდიოდნენ, – შენ ხომ არ შეგაწუხებს? თორემ სულს ვეღარ ვითქვამ. ბედნიერება მომადგა კარს! შენ რატომ არასოდეს არ ითხოვე ცოლი?

სერგეი ივანოვიჩმა გაიღიმა.

– ძალიან მოხარული ვარ, მე მგონი, მშვენიერი ქალიშ... – დაიწყო სერგეი ივანოვიჩმა.

– ნუ იტყვი, ნუ იტყვი, ნუ იტყვი! – წამოიძახა ლევინმა, ორივე ხელი ქურქის საყელოში სტაცა და ზედ შემოახვია. „ის მშვენიერი ქალიშვილია“ ისეთი უბრალო, ქვენა გრძნობის გამომხატველი სიტყვები იყო, რომლებიც სულ არ შეეფერებოდა ლევინის გრძნობებს.

სერგეი ივანოვიჩმა მხიარულად გადაიხარხარა, რაც იშვიათად ემართებოდა.

– მაგრამ, მგონი, იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ მე დიდად მოხარული ვარ ამ ამბისა.

– ამის თქმა ხვალ შეიძლება, ხვალ, და მეტი არაფერი! არაფერი, არაფერი, მხოლოდ დუმილი! – თქვა ლევინმა, ისევ შემოახვია ძმას ქურქის საყელო და დაუმატა, – მე შენ ძალიან მიყვარხარ! მაშ შეიძლება დავესწრო სხდომას?

– რასაკვირველია, შეიძლება.

– დღეს რაზე გექნებათ ლაპარაკი? – ეკითხებოდა ლევინი და თან სულ იღიმებოდა.

ლევინი და სერგეი ივანოვიჩი სხდომაზე მივიდნენ. ლევინი უსმენდა, როგორი ენის ბორძიკით კითხულობდა მდივანი ოქმს, რომელიც, ალბათ, თვითონაც არ ესმოდა. მაგრამ სახეზე ატყობდა მდივანს, რომ კეთილი, სასიამოვნო ადამიანი უნდა ყოფილიყო. ეს იქიდანაც ჩანდა, თუ როგორ იბნეოდა, როგორ რცხვენოდა ოქმის კითხვის დროს. შემდეგ დაიწყო მოხსენებები, იკამათეს რაღაც თანხების გადარიცხვასა და მილების გაყვანაზე და სერგეი ივანოვიჩმა რომელიღაც ორ წევრზე ილაპარაკა, გესლიანი სიტყვები უთხრა მათ და კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა რაღაცას გამარჯვებულის ტონით; მეორე წევრმა, რაღაც დაწერა ქაღალდზე, ჯერ დაიმორცხვა, მერე კი ძალიან კარგად და გესლიანად უპასუხა. შემდეგ სვიაჟსკიმაც (ისიც აქ იყო) წარმოთქვა რაღაც ძალიან ლამაზად და კეთილშობილურად. ლევინი უსმენდა მათ და ნათლად ხედავდა, რომ არც ეს გადასარიცხი თანხა, არც ეს მილები, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, ისინი სულაც არ უჯავრდებოდნენ ერთმანეთს და ძალიან კეთილი და კარგი ადამიანები იყვნენ, რომ მათ შორის ყველაფერი კარგად და კეთილად ჩაივლიდა, ისინი ხელს არავის უშლიდნენ და ყველანი ძალიან კარგად გრძნობდნენ თავს. ლევინს მხოლოდ ის აოცებდა, რომ დღეს სულის სიღრმემდე სწვდებოდა ყველას, შეუმჩნეველი არ რჩებოდა სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი, და რაღაც ნიშნებით შეეძლო გამოეცნო, რა ხდებოდა მათ სულში და ნათლად ხედავდა, რომ ყველა ისინი კეთილი ადამიანები იყვნენ. თვითონ კი, ლევინი, დღეს განსაკუთრებით უყვარდა ყველას. ეს იქიდან ჩანდა, თუ

როგორ ელაპარაკებოდნენ, რა ალერსით, რა სიყვარულით შეჰყურებდნენ უცნობებიც კი.

– რას იტყვი, კმაყოფილი ხარ? – ჰკითხა სერგეი ივანოვიჩმა.

– ძალიან. სულ არ ველოდი, რომ ასე საინტერესო იქნებოდა. ძალიან კარგია, შესანიშნავია!

სვიაჟსკი ლევინთან მივიდა და ჩაიზე მიიწვია. ლევინი ახლა ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, ვერ გაეხსენებინა, რატომ უნდა ყოფილიყო სვიაჟსკით უკმაყოფილო, რას მოელოდა მისგან. იგი ჭკვიანი და საოცრად კეთილი ადამიანი იყო.

– ძალიან მოხარული ვარ, – უთხრა ლევინმა და ცოლისა და ცოლისდის ამბავი ჰკითხა. და აზრთა უცნაური ფილაციით, რადგან სვიაჟსკის ცოლისდის გახსენება ქორწინების ამბებს უკავშირდებოდა, ლევინმა წარმოიდგინა, რომ ისე ვერავის გაუზიარებდა თავის ბედნიერებას, როგორც სვიაჟსკის ცოლსა და ცოლისდას და ამიტომაც ძალიან ახარებდა მათთან მისვლა.

სვიაჟსკიმ გამოჰკითხა, როგორ მიდიოდა მისი საქმეები სოფლად და, როგორც ყოველთვის, ახლაც არავითარი იმედი არ ჰქონდა იმისა, რომ შესაძლებელი იყო ეპოვათ რაიმე ისეთი, რაც ევროპაში უკვე ნაპოვნი არ იყო, მაგრამ ეს ახლა სულაც არ იყო ლევინისთვის არასასიამოვნო. პირიქით, გრძნობდა, რომ სვიაჟსკი მართალი იყო, რომ მთელი მისი საქმიანობა უმნიშვნელო იყო და იმასაც ამჩნევდა, როგორ გასაოცარ სინაზესა და ლმობიერებას იჩენდა სვიაჟსკი, რათა როგორმე თავიდან აერიდებინა სიმართლის თქმა. სვიაჟსკის მანდილოსნებიც მეტისმეტად მომხიბვლელნი იყვნენ. ლევინს ეჩვენებოდა, რომ მათ უკვე ყველაფერი იცოდნენ, თანაუგრძნობდნენ და მხოლოდ თავაზიანობის გამო არაფერს ეუბნებოდნენ. ლევინი დარჩა მათთან ერთ, ორ, სამ საათს, ილაპარაკა სხვადასხვა საგანზე, მაგრამ მხედველობაში კი სულ ერთი რამ ჰქონდა, რაც მთლიანად ავსებდა მის სულს, და ვერ ამჩნევდა, რომ მათ საშინლად მოაბეზრა თავი, რომ უკვე დიდი ხანია ძილის დრო იყო. სვიაჟსკიმ მთქნარებით გააცილა ლევინი დერეფანში და უკვირდა, რატომ იყო ასეთ უცნაურ გუნებაზე მისი მეგობარი. უკვე მეორე საათი იყო. ლევინი სასტუმროში დაბრუნდა და შეაშინა იმ აზრმა, მარტო როგორ უნდა გაეტარებინა ეს დარჩენილი ათი საათი. მორიგე ლაქიამ, რომელსაც ჯერ არ ეძინა, სანთლები აუნთო და წასვლა

დააპირა, მაგრამ ლევინმა არ გაუშვა. ეს ლაქია, ეგორი, რომელიც წინათ არც კი შეუმჩნევია, ძალიან ჭკვიანი, კარგი და, რაც მთავარია, კეთილი ადამიანი აღმოჩნდა.

– რაო, ეგორ, ძნელია ღამის გატეხა?

– რას იზამ! ჩვენი საქმე ასეთია. ბატონებთან უფრო მოსვენებული ვიყავი, სამაგიეროდ, აქ შემოსავალი მეტია.

აღმოჩნდა, რომ ეგორს ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა სამი ბიჭი და ერთი ქალიშვილი, მკერავი, რომელიც უნდოდა სასარაჯოს ნოქრისთვის მოეთხოვებინა.

ლევინმა ამ შემთხვევის გამო გაუზიარა ეგორს თავისი აზრი: ქორწინებაში მთავარი სიყვარულია, თუ გიყვარს, ყოველთვის ბედნიერი იქნები, რადგანაც ბედნიერება ყოველთვის საკუთარ თავში უნდა ეძიოთ.

ეგორი ყურადღებით უსმენდა, ეტყობოდა, ჩასწვდა კიდეც ლევინის აზრს, მაგრამ ამ აზრის დასადასტურებლად ერთი ისეთი მოულოდნელი შენიშვნა მოიყვანა, რითაც ძალიან განაცვიფრა ლევინი, – როცა კარგ ბატონებთან ვცხოვრობდი, ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი და ახლაც ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ბატონით, თუმცა ფრანგი კიაო.

„საოცრად კეთილი ადამიანია“, – ფიქრობდა ლევინი.

– შენ რას იტყვი, ეგორ, ჯვარი როცა დაიწერე, გიყვარდა შენი ცოლი?

– როგორ არ მიყვარდა! – უპასუხა ეგორმა.

და ლევინი ხედავდა, რომ ეგორიც აღტაცებული იყო, მასაც უნდოდა გამოეთქვა თავისი გულითადი გრძნობები.

– ჩემი ცხოვრებაც საოცარია. ბავშვობიდანვე..., – დაიწყო მან და თვალები გაუბრწყინდა, ეტყობოდა, მასაც გადაედო ლევინის აღტაცება, ისე როგორც მთქნარება გადაედებათ ხოლმე ერთმანეთისაგან.

მაგრამ სწორედ ამ დროს ზარის ხმა გაისმა. ეგორი წავიდა და ლევინი მარტო დარჩა. ლევინს სადილზე თითქმის არაფერი უჭამია, სვიაჟსკებთანაც უარი თქვა ჩაისა და ვახშამზე, მაგრამ ახლა არც შეეძლო ვახშამზე ფიქრი. ოთახში სიგრილე იყო, ლევინს კი სული ეხუთებოდა სიცხისაგან. ორივე სარკმელი

გამოაღო და სარკმლის პირდაპირ მაგიდასთან დაჯდა. თოვლით დაფარულ სახურავებს იქით ამოტვიფრული, ჯაჭვებიანი ჯვარი მოჩანდა, მის ზევით კი აღმართულიყო ეტლის თანავარსკვლავედის სამკუთხედი, ღია ყვითელი ფერის კაპელათი. ლევინი ხან ჯვარს უყურებდა, ხან ვარსკვლავებს, ღრმად ისუნთქავდა ოთახში შემოჭრილ გაყინულ ჰაერს და, თითქოს სიზმარშიაო, ისე ადევნებდა თვალს მის გონებაში წარმოსახულ სახეებსა და მოგონებებს. უკვე მეოთხე საათი იყო, როცა დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, ლევინმა კარში გაიხედა, კლუბიდან ბრუნდებოდა მისი ნაცნობი მიასკინი, ბანქოს მოთამაშე. იგი დაღონებული, მოღუშული მოდიოდა და თან ახველებდა. „საწყალი, უბედური!“ – გაიფიქრა ლევინმა და ისეთი სიყვარული და სიბრალული იგრძნო ამ კაცისადმი, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა. უნდოდა, გამოლაპარაკებოდა, ნუგეში ეცა, მაგრამ გაახსენდა, რომ პერანგისამარა იყო და გადაიფიქრა, ისევ სარკმელს მიუჯდა, რათა ცივ ჰაერში ებანავა და ეცქირა ამ მშვენიერი ფორმის, დადუმებული, მაგრამ მისთვის მნიშვნელობით აღსავსე ჯვრისა და მის ზევით აღმართული ყვითლად მოციმციმე ვარსკვლავისათვის. მეშვიდე საათი იყო, როცა ახმაურდნენ იატაკის მწმენდავები, სადღაც ცისკრის ზარმაც დარეკა და ლევინმა იგრძნო, რომ სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა. სარკმელი მიხურა, ხელ-პირი დაიბანა, ტანისამოსი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

XV

ქუჩებში ჯერ კიდევ არავინ იყო. ლევინმა შჩერბაცკების სახლისკენ გასწია. სადარბაზო კარი დაკეტილი დახვდა, ყველას ეძინა. უკანვე გამობრუნდა, ისევ თავის ნომერში შევიდა და ყავა მოითხოვა. ყავა ეგორმა კი არა, სხვა ლაქიამ მოართვა. ლევინს უნდოდა საუბარი გაება მასთან, მაგრამ ვიღაცამ დაურეკა და ლაქიაც წავიდა. ლევინმა ყავის დალევა სცადა, ფუნთუშის ლუკმა პირში ჩაიდო, მაგრამ მისმა პირმა ნამდვილად არ იცოდა, რა მოეხერხებინა ამ ლუკმისათვის. ლუკმა უკანვე გამოაგდო, პალტო ჩაიცვა და ისევ ქუჩაში

სახეტიალოდ გასწია. მეათე საათი იყო, როცა ლევინი მეორედ მიადგა შჩერბაცკების პარმაღს. სახლში ის იყო გაეღვიძათ, მზარეული სამოვრის მოსატანად მიდიოდა, სულ ცოტა ორი საათი მაინც უნდა ეცადა კიდევ.

მთელი ეს ღამე და დილა ლევინი სრულიად შეუცნობლად ცხოვრობდა, გრძნობდა, რომ სრულიად ამოვარდნილი იყო მატერიალური ცხოვრების პირობებიდან. მთელი დღე არაფერი ეჭამა, ორი ღამის უძინარი იყო და რამდენიმე საათიც ყინვაში უტანსაცმლოდ გაატარა. მაგრამ არამცთუ ყოჩაღად და ჯანსაღად იყო, ვერც კი გრძნობდა საკუთარ სხეულს. ისე მიდიოდა, ოდნავადაც არ ატანდა ძალას კუნთებს და გრძნობდა, რომ მას ახლა ყველაფრის გაკეთება შეეძლო. დარწმუნებული იყო, აფრინდებოდა ზევით, ანდა იქით გადასწევდა ამ სახლის კუთხეს, თუ ეს საჭირო იქნებოდა. დანარჩენი დროც ლევინმა ქუჩაში გაატარა, სულ საათზე იყურებოდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

და რაც ლევინმა ამ დილით იხილა, შემდეგში უკვე აღარასოდეს უნახავს. განსაკუთრებით იმოქმედეს მასზე სკოლაში მიმავალმა ბავშვებმა, სახურავიდან ტროტუარზე ჩამოფრენილმა ვეჟანმა მტრედებმა და უხილავი ხელით გამოდგმულმა ფქვილმოყრილმა ნამცხვრებმა. ეს ნამცხვრები, მტრედები და ორი ბიჭუნა რაღაც არაამქვეყნიური არსებანი იყვნენ. ყველაფერი ეს ერთსა და იმავე დროს მოხდა: ბიჭმა მტრედებთან მიირბინა და ღიმილით ახედა ლევინს; მტრედი ფრთების ტლაშუნით აფრინდა ჰაერში და მოციმციმე თოვლის მტვერში მზეზე აელვარდა; ფანჯრიდან კი გამომცხვარი პურის სუნი გამოვარდა და ნამცხვრები გამოდგეს. ყველაფერი ეს საერთოდ ისე უჩვეულოდ კარგი იყო, რომ ლევინს უნებლიეთ გაეღიმა, ცრემლებიც კი მოადგა თვალებზე სიხარულისაგან. ლევინმა დიდი წრე დაარტყა, გაზეტნი პერეულოკი და კისლიოვკა გაიარა და ისევ სასტუმროში მიბრუნდა, საათი წინ დაიდო, იჯდა და ელოდა, როდის შესრულდებოდა თორმეტი. მეზობელ ნომერში რაღაცას ლაპარაკობდნენ მანქანებზე, თაღლითობაზე და თან ახველებდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ ისარი უკვე თორმეტს უახლოვდებოდა. ისარი თორმეტთან მივიდა. ლევინი პარმაღზე გავიდა. მეეტლეებმა, ალბათ, ყველაფერი იცოდნენ, სიხარულით შემოეხვივნენ გარშემო და ერთმანეთს ეტოქებოდნენ, თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ. მან ერთი მათგანი ამოირჩია და რადგან

უნდოდა, სხვებიც ნაწყენი არ დარჩენოდნენ, იმათაც შეჰპირდა, თქვენს ეტლსაც დავიქირავებო. ლევინმა მეეტლეს შჩერბაცკებთან წასვლა უბრძანა. მშვენიერი რამ იყო ეს მეეტლე, რომელსაც ხიფთანის ქვეშ მკვრივ ჩასხმულ კისერზე შემოსალტული თეთრი პერანგი უჩანდა. მარხილიც მაღალი და მეტად მოხერხებული ჰქონდა. ასეთი მარხილში შემდეგ აღარასოდეს მჯდარა ლევინი. ცხენებიც კარგი ჰყავდა, – გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდნენ. მეეტლემ იცოდა შჩერბაცკების სახლი. მან მგზავრისადმი განსაკუთრებული მოწიწებით მოხარა ხელი, ერთი შესძახა „ტრრუ“ და მარხილი შჩერბაცკების სადარბაზო კართან გაჩერდა. შჩერბაცკების მეკარემაც ალბათ ყველაფერი იცოდა. ამას მოწმობდა მისი თვალების უცნაური ღიმილი და ის, თუ რანაირად უთხრა ლევინს: – დიდი ხანია აღარ მობრძანებულხართ, კონსტანტინ დიმიტრიჩ!

მან არამცთუ იცოდა ყველაფერი, არამედ ეტყობოდა, გახარებულიც კი იყო ამით და თავს ძალას ატანდა, როგორმე დაეძლია ეს სიხარული. ლევინმა, როცა მის ბებრულ სასიამოვნო თვალებს შეხედა, თითქოს ახალი რაღაც იგრძნო თავის ბედნიერებაში.

– ბატონები აბრძანდნენ?

– მობრძანდით! ეს კი აქ დატოვეთ! – ღიმილით უთხრა მან, როცა ლევინმა ქუდისათვის მიბრუნება დააპირა. ესეც რაღაცას ნიშნავდა.

– ვის მოვახსენო თქვენი მობრძანება? – ჰკითხა ლაქიამ.

ლაქია, მართალია, ახალგაზრდა ფრანტი იყო და იმ ძველებურ ლაქიებს არ ჰგავდა, მაგრამ მაინც ძალიან კეთილი, კარგი ადამიანი იყო და იმანაც ყველაფერი იცოდა.

– თავადის მეუღლეს... თავადს... თავადის ასულს... – უთხრა ლევინმა.

პირველი, ვინც ლევინმა შენიშნა, Mademoiselle Linon იყო. იგი სასტუმრო ოთახში შედიოდა და სახე და კულულები ერთნაირად უბრწყინავდა. როგორც კი ლევინმა ლაპარაკი დაუწყო მას, კარს უკან კაბის შრიალის ხმაც გაისმა და Mademoiselle Linon სულ დაეკარგა ლევინს თვალთაგან, მთელ სხეულში მოახლოებული სიხარულის შიშმა დაურბინა.

Mademoiselle Linon-იც აჩქარდა, ლევინი მიატოვა და მეორე კარისკენ გასწია. როგორც კი იგი ოთახიდან გავიდა, პარკეტზე ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯის ხმა გაისმა და მისი ბედნიერება, მისი სიცოცხლე, თვით იგი და მასზე უკეთესიც კი, რაც მას სურდა და ეძებდა ამდენი ხნის განმავლობაში, სწრაფად უახლოვდებოდა ლევინს. კიტი კი არ მოდიოდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა მოაქროლებდა მისკენ.

ლევინი ხედავდა მხოლოდ მის ნათელ, ალალ-მართალ თვალებს, შემკრთალს სიყვარულის იმავე სიხარულით, რითაც სავსე იყო ლევინის გული. ეს თვალები სულ უფრო და უფრო ახლოს უნათებდნენ და სიყვარულის შუქით აბრმავებდნენ. კიტი სწორედ ლევინის წინ შეჩერდა, შეეხო მას, მისი ხელები ზევით აღიმართნენ და ლევინის მხრებზე დაეშვნენ.

კიტიმ ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც კი შეეძლო, – გახარებულმა, შემკრთალმა მიირბინა მასთან და მთლიანად მინებდა. ლევინმაც გულში ჩაიკრა კიტი და დაეკონა მის ტუჩებს, რომლებიც ლევინის კოცნას ელოდნენ.

კიტისაც მთელი ღამე არ სძინებია და გათენებისთანავე ელოდა მას. დედა და მამა უსიტყვოდ დაეთანხმნენ კიტის და ბედნიერი იყვნენ მისი ბედნიერებით. კიტი ელოდა ლევინს. უნდოდა, პირველად მას ეხარებინა ლევინისთვის თავისი და მისი ბედნიერება. იგი სულ ემზადებოდა, რომ მარტოდ შეხვედროდა ლევინს, თან შიშობდა, ერცხვინებოდა და თვითონაც არ იცოდა, რას იზამდა. კიტის ესმოდა მისი ფეხის ხმა, მისი ლაპარაკი და კარს უკან ელოდებოდა, სანამ Mademoiselle Linon წავიდოდა. Mademoiselle Linon წავიდა, კიტი წუთითაც არ დაფიქრებულა, არც შეჰკითხვია თავის თავს, როგორ ან რა გაეკეთებინა, იგი მიუახლოვდა ლევინს და გააკეთა ის, რაც უკვე აღასრულა.

– წავიდეთ დედასთან, – უთხრა კიტიმ და ხელი მოჰკიდა. ლევინმა დიდხანს ვერ შეძლო ხმის ამოღება, არა იმდენად იმიტომ, რომ სიტყვით არ შეებღალა თავისი მაღალი გრძნობა, არამედ უფრო იმიტომ, რომ რამდენჯერაც სცადა ხმის ამოღება, იგრძნო, რომ სიტყვების მაგივრად ბედნიერების ცრემლები აპირებდნენ ამოხეთქვას. ლევინმა ხელი მოჰკიდა კიტის ხელს და აკოცა.

– ნუთუ ეს მართალია? – ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ბოლოს

ლევინმა, – არ შემიძლია დავიჯერო, რომ მართლა გიყვარვარ!

კიტიმ გაიღიმა, როცა ლევინის ნათქვამი „შენ“ გაიგონა და დაინახა, როგორი შიშით შეხედა კიტის.

– დიახ, – აუჩქარებლად, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა კიტიმ, – მე დიდად ბედნიერი ვარ.

კიტიმ ასე ხელმოკიდებული შეიყვანა ლევინი სასტუმროში. თავადის მეუღლეს მათ დანახვაზე სუნთქვა გაუხშირდა და მაშინვე ატირდა, მერე გაიცინა და ისეთი ენერგიული ნაბიჯით მიირბინა მათთან, რასაც ლევინი არ მოელოდა მისგან, თავზე ხელი მოხვია ლევინს, აკოცა და ლოყები ცრემლებით დაუსველა.

– მაშ, გათავდა ყველაფერი! მე მოხარული ვარ... გიყვარდეს კიტი... მე მიხარია... კიტი!

– მალე მოგიგვარებიათ ყველაფერი! – თქვა მოხუცმა თავადმა, რომელიც ცდილობდა გულგრილად შეხვედროდა ამ ამბავს; მაგრამ, როცა მოხუცი მისკენ მოტრიალდა, ლევინმა შენიშნა, რომ თვალები ცრემლებით ჰქონდა დანამული.

– მე დიდი ხანია, სულ ამის მოწადინე ვიყავი, – თქვა მან, ხელი მოჰკიდა ლევინს და თავისკენ მიიზიდა, – მაშინაც კი, როცა ამ თავქარიანს აზრად მოუვიდა, რომ...

– მამა! – წამოიძახა კიტიმ და პირზე ხელი მიაფარა.

– კარგი, აღარ ვიტყვი! მე ძალიან, ძალიან... მო... აჰ! რა სულელი ვარ...

თავადი გადაეხვია კიტის, ჯერ სახე დაუკოცნა, მერე ხელები, მერე ისევ სახე და პირჯვარი გადასახა.

და ლევინმა რაღაც ახალი სიყვარული იგრძნო აქამდე მისთვის უცხო ადამიანისადმი, მოხუცი თავადისადმი, როცა დაინახა, კიტი როგორ დიდხანს, როგორი სინაზით უკოცნიდა მოხუცს მსუქან ხელებს.

XVI

თავადის მეუღლე ხმაამოუღებლად იჯდა სავარძელში და იღიმებოდა. თავადიც მის გვერდით ჩამოჯდა. კიტი მამის სავარძელთან იდგა და კვლავ ხელიდან არ უშვებდა ლევინის ხელს. ყველანი დუმდნენ.

თავადის მეუღლემ პირველმა უწოდა ყოველივე ამას თავისი სახელი და ყოველი ფიქრი და გრძნობა ცხოვრების საკითხებს დაუკავშირა. პირველად ეს ყველას ერთნაირად ეუცნაურა და გული ატკინა.

– როდის უნდა მოხდეს ეს? ხომ უნდა დავლოცოთ და გამოვაცხადოთ. ქორწილი როდისღა გვექნება? შენ როგორ ფიქრობ, ალექსანდრ?

– აი, – თქვა მოხუცმა თავადმა და ლევინზე მიუთითა, – მთავარი პირი აქ ეს არის.

– როდის? – თქვა აწითლებულმა ლევინმა, – ხვალ. მე თუ მკითხავთ, ჩემი აზრით, დღეს დაგვლოცეთ და ხვალისთვის კი ქორწილი იყოს.

– კარგი, mon chèr, ნუ სულელობ!

– მაშ ერთი კვირის შემდეგ.

– როგორ გიჟივით ლაპარაკობს.

– არა, რატომაც არა?

– რას ამბობ, გენაცვალე, – სიხარულით გაიცინა დედამ ლევინის ასეთ სიჩქარეზე, – მერე მზითევი?

„ნუთუ მზითევი და სხვა ამისთანები იქნება? – გაიფიქრა შეძრწუნებულმა ლევინმა, – თუმცა განა მზითევს, დალოცვას ან სხვა მისთანებს შეუძლია დაჩრდილოს ჩემი ბედნიერება? არა, ამ ბედნიერების დაჩრდილვა არაფერს არ ძალუძს!“ ლევინმა კიტის გადახედა და შენიშნა, რომ მზითევზე ფიქრს ოდნავადაც არ შეურაცხუყვია იგი. „ალბათ, ასეა საჭირო“, – გაიფიქრა მან.

– მე ამისი არაფერი ვიცი, მე მხოლოდ ჩემი სურვილი გამოვთქვი, – მოიბოდიშა ლევინმა.

– მაშ, ჩვენ ვიმსჯელებთ. ახლა შეგვიძლია დავლოცოთ და

განვაცხადოთ. მაშ, ასე.

თავადის მეუღლე ქმართან მივიდა, აკოცა და წასვლა დააპირა, მაგრამ თავადმა აღარ გაუშვა, ხელი მოხვია და ნაზად, ახალგაზრდული სიყვარულით რამდენჯერმე აკოცა გაღიმებულმა. მოხუცები, ეტყობოდათ, ერთი წუთით დაიბნენ, კარგად ვეღარ გარკვეულიყვნენ, კვლავ ისინი იყვნენ შეყვარებულნი თუ მათი ქალიშვილი. როდესაც თავადი და მისი მეუღლე ოთახიდან გავიდნენ, ლევინი მიუახლოვდა თავის საცოლეს და ხელზე ხელი მოჰკიდა. ლევინმა უკვე სძლია თავს, ახლა უკვე შეეძლო ლაპარაკი და სათქმელიც ბევრი ჰქონდა. მაგრამ მან სულ სხვა რამ უთხრა კიტის და არა ის, რაც საჭირო იყო.

– მე სულ ვიცოდი, რომ ეს ასე მოხდებოდა! იმედი არასოდეს მქონია, მაგრამ გულის სიღრმეში მუდამ დარწმუნებული ვიყავი, – უთხრა ლევინმა, – მჯერა, რომ ჩვენ ეს გვეწერა.

– მე კი, – უთხრა კიტიმ, – მაშინაც კი... – იგი წუთით შეყოვნდა, მერე კი ისევ განაგრძო და გაბედულად შეანათა. ლევინს თავისი ალალმართალი თვალები, – მაშინაც კი, როცა მე ხელი ვკარი ჩემს ბედნიერებას. ყოველთვის მარტო თქვენ მიყვარდით, მაგრამ გატაცებული ვიყავი... მე მინდა გითხრათ... შეგიძლიათ თუ არა ამის დავიწყება?

– შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. თქვენც ბევრი რამ უნდა მაპატიოთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ...

ეს ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რომელიც ლევინმა გადაწყვიტა კიტისთვის ეთქვა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველ დღეებშივე ორი რამ განეცხადებინა მისთვის – რომ იგი კიტივით უმანკო არ არის, და ის, რომ ღმერთი არა სწამს. ლევინს ტანჯავდა ეს, მაგრამ საჭიროდ თვლიდა, რომ ერთიც და მეორეც აუცილებლად ეთქვა კიტისთვის.

– არა, ახლა ვერ გეტყვით, – შემდეგისათვის იყოს! – უთხრა ლევინმა.

– კარგი, შემდეგ იყოს, მხოლოდ აუცილებლად კი მითხარით. მე არაფრის არ მეშინია. ჩემთვის საჭიროა ყველაფერი ვიცოდე. ახლა კი გათავდა.

– გათავებულია ის, რომ თქვენ, როგორიც უნდა ვიყო, მაინც

ხელს არ აიღებთ ჩემზე, ხომ? – დაამთავრა თავისი სათქმელი ლევინმა.

– დიახ, დიახ.

მათი საუბარი Mademoiselle Linon-მა შეწყვიტა. იგი თვალთმაქცური, მაგრამ ნაზი ღიმილით მიუახლოვდა მათ, რათა მიელოცა თავისი საყვარელი აღზრდილისათვის. Mademoiselle Linon ჯერ კიდევ გასული არ იყო ოთახიდან, რომ მსახურნი მოვიდნენ მოსალოცად. შემდეგ ნათესავები მოვიდნენ, და დაიწყო ის სანეტარო თავბრუსხვევა, რომელსაც ლევინმა ქორწილის მეორე დღემდე თავი ვერ დააღწია. ლევინი სულ უხერხულად, მოწყენილად გრძნობდა თავს, მაგრამ მისი ბედნიერება კი უფრო და უფრო იზრდებოდა. გრძნობდა, რომ მას ბევრი რამ ისეთი მოეთხოვება, რაც არ იცოდა და აკეთებდა ყველაფერს, რასაც სხვები ეუბნებოდნენ, და ყოველივე ეს ბედნიერებას ანიჭებდა. ლევინი ფიქრობდა, რომ მის ქორწინებას არაფერი საერთო არა აქვს სხვების მაჭანკლობასთან, რომ მაჭანკლობის ჩვეულებრივი პირობები დაჩრდილავენ მის განსაკუთრებულ ბედნიერებას; მაგრამ ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ ისიც იმას აკეთებდა, რასაც სხვები, მისი ბედნიერება კი ამით სულ უფრო მეტად იზრდებოდა, უფრო და უფრო განსაკუთრებული ხდებოდა, რისი მსგავსიც არასოდეს ყოფილა და არც იქნება.

– ახლა კანფეტს გეახლებით, – იტყოდა M-lle Linon და ლევინიც კანფეტების საყიდლად მიდიოდა.

– მე დიდად მოხარული ვარ ამისა, – უთხრა სვიაჟსკიმ, – გირჩევთ, თაიგულები ფომინისგან იყიდოთ ხოლმე.

– განა საჭიროა? – და ლევინი ახლა ფომინთან მიდიოდა.

ძმამ უთხრა, ფულის სესხება დაგჭირდება, რადგან ბევრი ხარჯი მოგელის, საჩუქრებიცო...– განა საჩუქრები საჭიროა? – და ლევინი ახლა ფულდესთან გარბოდა.

ყველგან, საშაქარლამოშიც, ფომინთანაც, ფულდესთანაც, ლევინი ხედავდა, რომ ელოდნენ მას, უხაროდათ მისი მისვლა და ისინიც ისე ზეიმობდნენ მის ბედნიერებას, როგორც ყველა სხვა, ვისთანაც ამ დღეებში რაიმე საქმე ჰქონდა. უჩვეულო ის იყო, რომ ლევინი არამცთუ უყვარდა ყველას, არამედ ისინიც კი, რომელნიც წინათ არასიმპათიურნი და გულცივნი

ეჩვენებოდნენ, ახლა აღტაცებულნი იყვნენ მისით, ყველაფერში ემორჩილებოდნენ, ნაზად, თავაზიანად ექცეოდნენ მის გრძნობას და იზიარებდნენ მის რწმენას, რომ იგი უბედნიერესი ადამიანია ამქვეყნად, რადგან მისი საცოლე ყოველმხრივ სრულყოფილი არსებაა. ამასვე გრძნობდა კიტიც. როცა გრაფინია ნორდსტონმა უფლება მისცა თავის თავს, სიტყვა გადაეკრა კიტისთვის და ეთქვა, უკეთეს საქმროს ვისურვებდი შენთვისო, კიტი ძალიან გაცხარდა და დაბეჯითებით დაუმტკიცა, ლევინზე უკეთესი არავინ არისო ამქვეყნად, გრაფინია ნორდსტონიც იძულებული შეიქნა ეღიარებინა ეს და კიტის თანდასწრებით ისე ვერ შეხვდებოდა ლევინს, რომ სახეზე აღტაცების ღიმილი არ აღებეჭდა.

ახსნა-განმარტება, რომელსაც ლევინი კიტის შეჰპირდა, იმ დროს ერთ-ერთი მძიმე მოვლენა იყო. ლევინი ჯერ მოხუც თავადს მოეთათბირა და როცა მისგან ნებართვა მიიღო, მხოლოდ მაშინ გადასცა კიტის თავისი დღიური, რომელშიც ეწერა ის, რაც ლევინს ტანჯავდა. ლევინი სწორედ მომავალი საცოლისათვის წერდა ამ დღიურს. მას ორი რამ ტანჯავდა: ის, რომ უმწიკვლო არ იყო, და ის, რომ არ იყო მორწმუნე. ურწმუნოების აღიარებამ შეუმჩნევლად ჩაიარა. კიტი მორწმუნე იყო. მას ეჭვი არასოდეს შეჰპარვია რწმენის ჭეშმარიტებაში, მაგრამ ლევინის გარეგნულ ურწმუნოებას სულაც არ აუღელვებია. კიტი იცნობდა ლევინის სულს და მის სულში ხედავდა იმას, რისი დანახვაც უნდოდა, ხოლო თუ სულის ასეთ მდგომარეობას ურწმუნოება ეწოდებოდა, ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მეორე აღიარებამ კი ცხარე ცრემლები აფრქვევინა.

ლევინი დიდ შინაგან ღელვას განიცდიდა, როცა კიტის თავის დღიურს აძლევდა. მან იცოდა, რომ მასა და კიტის შორის არ შეიძლებოდა და არც უნდა ყოფილიყო რაიმე საიდუმლო, და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ეს ასე იყო საჭირო; მაგრამ ის კი ვეღარ წარმოიდგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ემოქმედა ამას კიტიზე. მხოლოდ იმ საღამოს, როცა თეატრში წასვლის წინ ლევინმა კიტისთან შეიარა და იხილა ატირებული, უბედური კიტი, დაინახა მისი შესაბრალისი ლამაზი სახე, დაინახა ის, რაც მის მიერ მიყენებულ მოუნელებელ მწუხარებას გამოეწვია, მიხვდა, რა უფსკრული აშორებდა მის სამარცხვინო წარსულს კიტის მტრედისებური უმანკოებისაგან და შეაძრწუნა თავისმა საქციელმა.

– წაიღეთ, წაიღეთ ეს საშინელი წიგნები! – თქვა კიტიმ და ხელი ჰკრა მის წინ მაგიდაზე დალაგებულ რვეულებს, – რატომ მომეცით მე ეს რვეულები!.. თუმცა არა, უმჯობესია, – დაუმატა მან შემდეგ, რადგან შეებრალა ლევინი, რომელსაც სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა, – მაგრამ ეს საშინელებაა, საშინელება!

ლევინმა მდუმარედ ჩაჰკიდა თავი, მას არაფრის თქმა არ შეეძლო.

– არ მაპატიებთ, – წაიჩურჩულა მან.

– არა, მე უკვე გაპატიეთ, მაგრამ ეს საშინელებაა!

მაგრამ ლევინის ბედნიერება იმდენად უზომო იყო, რომ ამის აღიარებამ ვერ შეარყია იგი, პირიქით, მის ბედნიერებას რაღაც ახალი ელფერი მისცა. კიტიმ აპატია მას, მაგრამ ამ დღიდან იგი უფრო უღირსად თვლიდა თავის თავს, ზნეობრივად ახლა უფრო დაბლა ხრიდა თავს ქალის წინაშე და კიდევ უფრო მეტად აფასებდა ამ დაუმსახურებელ ბედნიერებას.

XVII

ალექსეი ალექსანდროვიჩი თავის განმარტოებულ ნომერში ბრუნდებოდა და თან უნებლიეთ იხსენებდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც სადილობის დროსა და ნასადილევს გამართულმა საუბარმა მოახდინა მასზე. დარია ალექსანდროვნას ლაპარაკმა პატიებაზე მხოლოდ უსიამოვნო გრძნობა აღუძრა. ამ შემთხვევისათვის ქრისტიანული წესების მიყენება თუ არმიყენება მეტად ძნელი საკითხი იყო, ამაზე ასე იოლად ლაპარაკი არ შეიძლებოდა და ეს საკითხი ალექსეი ალექსანდროვიჩმა უკვე დიდი ხანია უარყოფითად გადაჭრა. ყველა იქ თქმულიდან განსაკუთრებით ჩარჩა მეხსიერებაში იმ სულელი და გულკეთილი ტუროვცინის სიტყვები: ყოჩაღად მოიქცა, დუელში გამოიწვია და მოკლაო. ეჭვი არ არის, რომ ყველა თანაუგრძნობდა ამას, თუმცა პატივისცემის გამო არავის არაფერი უთქვამს.

„თუმცა ეს უკვე გათავებულია და აღარც ღირს ამაზე ფიქრი“, – თქვა თავისთვის ალექსეი ალექსანდროვიჩმა. და როცა თავის ნომერში შევიდა, იგი მხოლოდ მომავალ მგზავრობასა და თავის რევიზიაზე ფიქრობდა. ჩემი ლაქია სად არისო, ჰკითხა მეკარეს, რომელიც უკან მიჰყვებოდა მას, ეს წუთია გავიდაო, უპასუხა მეკარემ. ალექსეი ალექსანდროვიჩმა მეკარეს ჩაის მოტანა უბრძანა, მაგიდას მიუჯდა, ფრუმი აიღო და მომავალი მგზავრობის მარშრუტს ჩაუფიქრდა.

– ორი დეპეშა გახლავთ, – მოახსენა ალექსეი ალექსანდროვიჩს ოთახში შემოსულმა ლაქიამ, – მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, ეს წუთია გავედი.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა დეპეშები გახსნა. პირველი დეპეშა იუწყებოდა სტრემოვის დანიშვნას სწორედ იმ ადგილზე, რომელზედაც კარენინს ეჭირა თვალი. წამოწითლებულმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა დეპეშა გადადო, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. „Quos vult perdere dementat“[57], – ჩაილაპარაკა მან თავისთვის, quos-ს იგი იმ პირთ უწოდებდა, რომელთაც ხელი შეუწყვეს სტრემოვის დანიშვნას. ალექსეი ალექსანდროვიჩს ის კი არ სწყინდა, რომ თვითონ ვერ მიიღო ეს ადგილი, არამედ ის, რომ, როგორ ვერ ხედავდნენ, რომ ამ მოლაყბე, ფრაზიორ სტრემოვს ყველაზე ნაკლებად ჰქონდა ამის უნარი. როგორ ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ დანიშვნით ისინი ღუპავდნენ თავიანთ თავსაც და თავის prestige[58]-საც.

„ესეც რაიმე ამის მსგავსი იქნება“, – გულმოსულად ჩაილაპარაკა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, როცა მეორე დეპეშას ხსნიდა. დეპეშა ცოლისგან იყო. მაშინვე თვალში ეცა ანას ლურჯი ფანქრით მინაწერი „ანა“. „ვკვდები, გთხოვ, გემუდარები, ჩამოხვიდე, შენგან შენდობილი უფრო მშვიდად მოვკვდები“, – ამოიკითხა მან. ალექსეი ალექსანდროვიჩმა დეპეშა ხელიდან გააგდო და ზიზღით გაიღიმა. პირველ წუთებში ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ეს სიცრუე და ეშმაკობა იყო.

არ არსებობს ისეთი სიცრუე, რომელსაც იგი არ იკისრებს, მოლოგინებას აპირებდა და, ალბათ, ამისი ავადმყოფობა აქვს. მაგრამ რა მიზანი უნდა ჰქონდეთ? ალბათ, უნდათ, კანონიერად აღიარონ ბავშვი ან სახელი გამიტეხონ და ხელი შეუშალონ განქორწინებას, – ფიქრობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – მაგრამ იქ, მგონი, ნათქვამია, ვკვდებიო“... მან ისევ გადაიკითხა დეპეშა და მოულოდნელად თავზარი

დასცა დეპეშის პირდაპირმა მნიშვნელობამ. „და თუ ეს სიმართლეა, – ჩაილაპარაკა მან, – თუ მართალია, რომ ტანჯვისა და სიკვდილის მოახლოების წუთებში იგი გულწრფელად ინანიებს ყველაფერს, მე კი ამას სიცრუედ ჩავთვლი და უარს ვეტყვი ჩასვლაზე? ეს არათუ სიმკაცრე იქნება და ყველა გამკიცხავს ამისათვის, არამედ ეს სისულელეც იქნება ჩემი მხრივ“.

– პიოტრ, გააჩერე კარეტა. მე პეტერბურგში მივდივარ, – უთხრა მან ლაქიას.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გადაწყვიტა, წასულიყო პეტერბურგში და ენახულა ცოლი. და თუ მისი ავადმყოფობა სიცრუე აღმოჩნდებოდა, ხმაამოუღებლად გამობრუნებულიყო უკანვე. ხოლო თუ ის მართლაც სასიკვდილოდ იყო ავად და სიკვდილის წინ მის ნახვას თხოულობდა, მაშინ ალექსეი ალექსანდროვიჩი აპატიებდა ყველაფერს, თუ ცოცხალს მიუსწრებდა. და თუ ჩასვლა მეტისმეტად დაუგვიანდებოდა, მაშინ უკანასკნელ ვალს მოიხდიდა მის წინაშე.

მთელი გზა ალექსეი ალექსანდროვიჩს უკვე აღარ უფიქრია იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

დაღლილი, მთელი ღამე ვაგონში ჯდომითა და უსუფთაობის შეგრძნებით შეწუხებული ალექსეი ალექსანდროვიჩი, პეტერბურგის ნისლიან დილით დაცარიელებულ ნევის პროსპექტს მიჰყვებოდა, წინ იყურებოდა და სულ არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოელოდა. მას არ შეეძლო ამაზე ფიქრი, რადგან, როგორც კი წარმოიდგენდა, რა იყო მოსალოდნელი, თავიდან ვეღარ იცილებდა იმ აზრს, თუ როგორ უცბად მოეღებოდა ბოლო მის მძიმე მდგომარეობას ანას სიკვდილით. მის თვალწინ ირეოდნენ მეპურეები, დაკეტილი დუქნები, ღამის მეეტლეები, მეეზოვეები, რომლებიც ქუჩებს ჰგვიდნენ. იგი აკვირდებოდა ყოველივე ამას და ცდილობდა ჩაეხშო ფიქრი იმაზე, რის ნატვრაც ვერ გაებედა, მაგრამ მაინც უნდოდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი სადარბაზო კარს მიუახლოვდა. კართან ეტლი და კარეტა იდგა და ზედ მეეტლეს ჩამოსძინებოდა. დერეფანში შესვლისას ალექსეი ალექსანდროვიჩმა თითქოს გონების შორეული კუნჭულიდან ამოიღო თავისი გადაწყვეტილება და სავსებით დასძლია იგი. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „თუ სიცრუეა, მშვიდი ზიზღი და უკან გამობრუნება, ხოლო თუ სიმართლეა, ასეთ

შემთხვევაში წესიერების დაცვა“.

ალექსეი ალექსანდროვიჩს ჯერ ზარიც არ ჩამოერეკა, რომ მეკარემ უკვე გაუღო კარი. უცნაური შესახედაობა ჰქონდა მეკარე პეტროვს, ანუ კაპიტონიჩს, ტანთ ძველი სერთუკი ეცვა, უჰალსტუხოდ, ფეხები ტუფლებში ჰქონდა წაყოფილი.

– ქალბატონი როგორ არის?

– გუშინ მოილოგინა მშვიდობიანად.

ალექსეი ალექსანდროვიჩი შეჩერდა, გაფითრდა, ახლა უკვე ნათლად მიხვდა, რა ძლიერ სურდა ანას სიკვდილი.

– ხომ კარგად არის?

წინსაფარაფარებულმა კორნეიმ კიბეზე ჩამოირბინა.

– ძალიან ცუდად ბრძანდება, – უპასუხა მან, – გუშინ ექიმების თათბირი იყო და ახლაც აქ არის ექიმი.

– გადმოალაგე ბარგი, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და დერეფანში შევიდა. ოდნავი შეღავათი იგრძნო იმ ცნობისაგან, რომ კიდევ იყო სიკვდილის იმედი.

ტანისამოსის საკიდზე სამხედრო პალტო ეკიდა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა შენიშნა ეს და იკითხა: – ვინ არის სახლში?

– ექიმი, ბებიაქალი და გრაფი ვრონსკი.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა შიდა ოთახებისაკენ გასწია.

სასტუმროში არავინ იყო. ალექსეი ალექსანდროვიჩის ფეხის ხმაზე ანას კაბინეტიდან ბებიაქალი გამოვიდა, რომელსაც თავზე სოსნისფერი ბაფთებიანი თავსაბური ეხურა.

იგი მიუახლოვდა ალექსეი ალექსანდროვიჩს და იმგვარი შინაურულობით, რასაც საერთოდ სიკვდილის სიახლოვე იწვევს ხოლმე, ხელზე ხელი მოჰკიდა და საწოლ ოთახში შეიყვანა.

– მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით. სულ თქვენს ხსენებაშია, – უთხრა ბებიაქალმა.

– მომეცით ჩქარა ყინული! – გაისმა საწოლი ოთახიდან ექიმის მბრძანებლური ხმა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ანას კაბინეტში შევიდა. ანას მაგიდასთან დაბალ სკამზე გვერდშექცევით იჯდა ვრონსკი, სახეზე ხელები აეფარებინა და ტიროდა. ექიმის ხმაზე ვრონსკი წამოხტა, სახიდან ხელები ჩამოიღო და დაინახა ალექსეი ალექსანდროვიჩი. ქმრის დანახვაზე იმდენად შეკრთა, რომ ისევ თავის ადგილას დაჯდა და თავი მხრებში ჩარგო, თითქოს უნდოდა, სულ გამქრალიყო, მაგრამ მაინც სძლია თავს, წამოდგა და თქვა: – ანა კვდება. ექიმებმა თქვეს, რომ იმედი აღარ არის. მე მთლიანად თქვენს ხელთა ვარ. ოღონდ ნება მომეცით, აქ ვიყო... თუმცა მე თქვენს ხელთა ვარ... მე...

ალექსეი ალექსანდროვიჩმა დაინახა ვრონსკის ცრემლები და გულზე კვლავ ის გრძნობა მოაწვა, რომელსაც სხვისი ტანჯვის დანახვა იწვევდა, ბოლომდე აღარ მოისმინა მისი სიტყვები, პირი იბრუნა მისგან და საჩქაროდ გასწია კარისაკენ. საწოლი ოთახიდან ანას ხმა გამოდიოდა. მისი ხმა მხიარული, გამოცოცხლებული იყო და ინტონაციაც ძალზე მკაფიო ჰქონდა. ალექსეი ალექსანდროვიჩი ოთახში შევიდა და ანას საწოლს მიუახლოვდა. ანა იწვა, სახე ალექსეი ალექსანდროვიჩისკენ ჰქონდა მიქცეული, ლოყები წითლად უღვიოდა, თვალები უბრწყინავდა და პატარა თეთრი ხელებით, რომლებიც პერანგის სამაჯურიდან მოუჩანდა, საბნის კუთხეს ათამაშებდა. გეგონებოდათ, არამცთუ ჯანმრთელად და კარგად არის, განსაკუთრებით კარგ გუნებაზეაო. ანა სხაპასხუპით, ხმამაღლა, მგრძნობიარე ხმით ლაპარაკობდა და საოცრად მკაფიოდ გამოთქვამდა ყოველ სიტყვას.

– ეს იმიტომ, რომ ალექსეი, ალექსეი ალექსანდროვიჩზე ვლაპარაკობ (რა საოცარი და ავბედითია, რომ ორივეს ალექსეი ჰქვია. ხომ მართალია?). ალექსეი უარს არ მეტყოდა. მე დავივიწყებდი, ის კი მაპატიებდა... მაგრამ რატომ არ მოდის? ის ხომ კეთილია, მან თვითონაც არ იცის, როგორი კეთილია! ოჰ! ღმერთო ჩემო, რა ტანჯვაა! მომეცით ჩქარა წყალი! ოჰ! ეს მას, ჩემს გოგონას აწყენს! მაშ, კარგი, აიყვანეთ გოგონასათვის ძიძა. მე თანახმა ვარ, ეს უკეთესიც იქნება. ის ჩამოვა და მისთვის სასიამოვნო არ იქნება ბავშვის ნახვა. მომეცით ბავშვი.

– ანა არკადიევნა ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩამოვიდა, აი, აქ არის! – ეუბნებოდა ბებიაქალი და ცდილობდა, ანას ყურადღება როგორმე ალექსეი ალექსანდროვიჩისკენ მიექცია.

– აჰ, რა სისულელეა, – განაგრძობდა ანა, რომელიც ვერ

ამჩნევდა ქმარს, – მომეცით ბავშვი, მომეცით! ის ჯერ არ მოსულა. თქვენ იმიტომ ამბობთ, არ გაპატიებსო, რომ არ იცნობთ მას. არავინ არ იცნობდა. მხოლოდ მე ვიცნობდი და ჩემთვისაც მძიმე ასატანი შეიქნა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სერიოჟასაც სწორედ იმის თვალები აქვს და ამის გამო თვალებში ვეღარ შემიხედავს მისთვის. ასადილეთ თუ არა სერიოჟა? მე ხომ ვიცი, ყველანი დაივიწყებდით. მას კი არ დაავიწყდებოდა. სერიოჟა კუთხის ოთახში უნდა გადავიყვანოთ და Mariette-საც უნდა ვთხოვოთ მასთან დაწვეს.

უეცრად ანა მოიკრუნჩხა, მიყუჩდა და შეშინებულმა ისე აიფარა სახეზე ხელები, თითქოს დარტყმას ელოდება და თავის დაცვასაც აპირებსო. ანამ ქმარი დაინახა.

– არა, არა, – ისევ ალაპარაკდა ანა, – მე არ მეშინია მისი, მე სიკვდილის მეშინია. ალექსეი, მოდი აქ. მე იმიტომ ვჩქარობ, რომ დრო აღარ არის, მე სულ ცოტა ხნის სიცოცხლეღა დამრჩენია, ამიწევს სიცხე და ვეღარაფერს გავიგებ. ახლა კი ვიცი, ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვხედავ.

ალექსეი ალექსანდროვიჩის მოღუშულ სახეზე ტანჯვა აღიბეჭდა. მან ხელი მოჰკიდა ანას ხელს, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ შეძლო ხმის ამოღება. ქვედა ბაგე აუცახცახდა, მაგრამ მაინც ებრძოდა თავის მღელვარებას, მხოლოდ ხანდახან გადახედავდა ხოლმე ანას და რამდენჯერაც შეხედავდა, ანას თვალები ყოველთვის ისეთი გრძნობით, ისეთი აღტაცებული სინაზით მისჩერებოდნენ, რაც არასოდეს წინათ მის თვალებში არ დაუნახავს.

– მოიცა, შენ არ იცი... მოითმინეთ... მოითმინეთ... – ანა შეჩერდა, თითქოს უნდა რაღაც აზრები მოიკრიბოსო, – ჰო, – განაგრძო მან, – ჰო, ჰო, აი, რა მინდოდა მეთქვა. ჩემი ნუღარაფერი გაგიკვირდება. მე ისევ ისა ვარ. მაგრამ ჩემში არის ვიღაცა სხვა და იმისი მეშინია, იმას შეუყვარდა იგი, მე მინდოდა შემეძულებინე, მაგრამ ვერ დავივიწყე ის, რაც წინათ ვიყავი. ის მე არ ვიყავი. ახლა კი ნამდვილად მე ვარ, მე მთლიანად, ახლა ვკვდები, ვიცი, რომ მოვკვდები, შეეკითხე მას. ახლა ვგრძნობ, რომ აი, ხელებზეც, ფეხებზეც, თითებზეც ფუთიანები მკიდია. თითები აი, ასეთი უზარმაზარი მაქვს! მაგრამ ყოველივე ამას მალე მოეღება ბოლო... ახლა კი მხოლოდ ერთი რამ მწადია: მაპატიე, მომიტევე ყველაფერი! მე საშინელი ვარ, მაგრამ ძიძა ამბობდა, წამებული წმინდანი – რა ერქვა მას? – უფრო უარესი

იყოო, და მე წავალ რომში, იქ უდაბნოა და არავის აღარ შევუშლი ხელს, მხოლოდ სერიოჟასა და გოგონას წავიყვან... არა, შენ არ შეგიძლია პატიება! მე ვიცი, რომ ამის პატიება არ შეიძლება. არა, არა, წადი, შენ მეტისმეტად კარგი ხარ! – ანას ცალ სიცხიან ხელში ალექსეი ალექსანდროვიჩის ხელი ეჭირა, მეორე ხელით კი იცილებდა მას.

ალექსეი ალექსანდროვიჩის სულიერი მღელვარება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს იმ საზღვრამდე მიაღწია, რომ უკვე შეწყვიტა ამ სულიერ მღელვარებასთან ბრძოლა. უეცრად იგრძნო, რომ ის, რასაც იგი სულიერ მღელვარებად თვლიდა, პირიქით, სულის სანეტარო მდგომარეობა იყო, რომელმაც მას სულ ახალი ბედნიერება მიანიჭა, რაც წინათ არასოდეს განეცადა. ის ფიქრობდა ამაზე, რომ ქრისტიანული კანონი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებოდა, მისგან მტრის შევრდომებასა და სიყვარულს მოითხოვდა, მაგრამ მტრის შევრდომებისა და სიყვარულის სასიხარულო გრძნობა სულსა და გულს უვსებდა. იგი მუხლმოყრილი იდგა, თავი დაედო ანას მოხრილ მკლავზე, რომელიც პერანგის ქვეშიდანაც კი ცეცხლს უკიდებდა, და ბავშვივით ქვითინებდა. ანამ ხელი მოხვია მას მელოტ თავზე, თავისკენ მიიწია და გამომწვევი სიამაყით აღაპყრო ზევით თვალები.

– აი, იგი, მე ვიცოდი! ახლა კი გემშვიდობებით ყველას, ყველას! კიდევ მოვიდნენ ისინი, რატომ არ მიდიან?.. გამხადეთ ერთი ეს ქურქები!

ექიმმა მოაცილა მისი ხელი ალექსეი ალექსანდროვიჩს, ფრთხილად დადო ბალიშზე და მხრებამდე საბანი გადაახურა. ანაც მორჩილად იწვა გულაღმა და ანთებული თვალებით წინ იყურებოდა.

– გახსოვდეს, რომ მე მხოლოდ პატიება მინდოდა და მეტი არაფერი... რატომ ის არ მოდის? – თქვა ანამ და იმ კარისაკენ გაიხედა, სადაც ვრონსკი ეგულებოდა, – მოდი, მოდი, გაუწოდე მას ხელი!

ვრონსკი ანას საწოლს მიუახლოვდა და როგორც კი დაინახა ანა, მაშინვე სახეზე ხელები აიფარა.

– გამოაჩინე სახე და შეხედე მას. ის წმინდანია, – თქვა ანამ, – ჰო, გამოაჩინე სახე! – ახლა უკვე გაბრაზებით უთხრა ანამ, – ალექსეი ალექსანდროვიჩ, მოაცილებინე სახიდან ხელი. მინდა

დავინახო მისი სახე.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელი მოჰკიდა ვრონსკის ხელზე და მოაცილებინა სახიდან, მის სახეზე საშინელი სირცხვილი და მწუხარება აღბეჭდილიყო.

– მიეცი მას ხელი, აპატიე.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელი გაუწოდა ვრონსკის. იგი ვეღარ იკავებდა ცრემლებს, რომლებიც ღაპაღუპით სდიოდა თვალთაგან.

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! – თქვა ანამ, – ახლა კი ყველაფერი მზად არის. მხოლოდ ცოტა უნდა გავჭიმო ფეხები. აი, ასე, ასე ძალიან კარგია. რა უგემოვნოდ არის გაკეთებული ეს ყვავილები, სულაც არ ჰგვანან იებს, – თქვა ანამ და შპალერზე მიუთითა, – ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! როდის მოეღება ამას ბოლო? მომეცით მორფი. ექიმო! მომეცით-მეთქი მორფი. ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

და ანამ ბორგვა დაიწყო საწოლზე.

ექიმები ამბობდნენ, ეს მშობიარობის ციებ-ცხელებაა, რომელიც ასი შემთხვევიდან ოთხმოცდაცხრამეტი სიკვდილით მთავრდებაო. ანას მთელი დღე სიცხე ჰქონდა, ბოდავდა და გონმიხდილი იყო. შუაღამისას ავადმყოფი უკვე სრულიად უგრძნობლად იწვა და მადაც თითქმის აღარ ჰქონდა.

ყოველ წუთს ელოდნენ აღსასრულს.

ვრონსკი შინ წავიდა, მაგრამ დილით ისევ მოვიდა ამბის შესატყობად და ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელიც დერეფანში შეხვდა, უთხრა: – დარჩით, იქნებ გიკითხოთ, – და მან თვითონვე გაიყვანა იგი ცოლის კაბინეტში.

დილით ისევ დაიწყო მღელვარება, იგივე გამოცოცხლება, აზრებისა და ლაპარაკის სისწრაფე, ბოლოს კი ისევ მიეხადა ცნობა. მესამე დღესაც იგივე განმეორდა და ექიმებმა თქვეს, ახლა უკვე იმედი არისო. ამ დღეს ალექსეი ალექსანდროვიჩი შევიდა კაბინეტში, სადაც ვრონსკი იჯდა, კარი ჩაკეტა და მის პირდაპირ ჩამოჯდა.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, – დაიწყო ვრონსკიმ, რომელმაც იგრძნო, რომ აღსარების წუთი მოახლოებულიყო, – მე არ

შემიძლია ლაპარაკი და აღარც გაგების უნარი შემრჩენია. შემიბრალეთ! რაც უნდა მძიმე იყოს ეს თქვენთვის, მერწმუნეთ, მე უფრო საშინლად ვიტანჯები.

ვრონსკიმ წამოდგომა სცადა, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელზე ხელი მოჰკიდა და უთხრა: – მე გთხოვთ, მომისმინოთ, ეს აუცილებელია. მე მინდა გადაგიშალოთ ჩემი გრძნობები, რომლითაც ვხელმძღვანელობდი და კვლავაც ვიხელმძღვანელებ, რათა თქვენ ჩემ გამო შეცდომაში არ შეხვიდეთ. თქვენ იცით, რომ მე განქორწინება გადავწყვიტე და აღვძარი კიდეც საქმე, მაგრამ არ დაგიმალავთ და გეტყვით, მართალია, ეს საქმე დავიწყე, მაგრამ მაინც ვყოყმანობდი, ვიტანჯებოდი. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ მე თქვენსა და ანაზე შურისძიების გრძნობა მამოძრავებდა. იგივე გრძნობა მამოქმედებდა, როცა დეპეშა მივიღე და აქეთ გამოვწიე. მეტსაც გეტყვით: მე მისი სიკვდილი მინდოდა, მაგრამ... – ალექსეი ალექსანდროვიჩი შეჩერდა, არ იცოდა, გადაეშალა თუ არა მისთვის გული, – მაგრამ მე ვნახე იგი და ვაპატიე. და ამ პატიების ბედნიერებამ დამანახვა ჩემი მოვალეობა. მე მას სავსებით ვაპატიე. მინდა მეორე ლოყაც მივუშვირო, მინდა პერანგიც გავატანო, როცა ხალათს მართმევენ, და ახლა ღმერთს მხოლოდ იმას ვევედრები, რომ ეს პატიების ბედნიერებაც არ წამართვას, – ალექსეი ალექსანდროვიჩს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და მისი თვალების ნათელმა, მშვიდმა გამომეტყველებამ გააოცა ვრონსკი, – აი, ასეთია ჩემი მდგომარეობა. თქვენ შეგიძლიათ ტალახში ამომსვაროთ, სასაცილოდ გამხადოთ საზოგადოების თვალში. მე მაინც ვერ მივატოვებ მას და თქვენც ჩემგან საყვედურს ვერ გაიგონებთ, – განაგრძობდა იგი, – ჩემი მოვალეობა მკაფიოდ მესახება: მე მასთან უნდა ვიყო და ვიქნები კიდეც. თუ ანა თქვენს ნახვას მოისურვებს, შეგატყობინებთ, ახლა კი, მგონი, თქვენთვის აქედან წასვლა უკეთესია.

ალექსეი ალექსანდროვიჩი წამოდგა, ქვითინმა სათქმელი აღარ დააცალა. ვრონსკიც წამოდგა, წელში ვეღარ გაიმართა და ასე მოხრილმა ქვემოდან ახედა მას. მისთვის გაუგებარი იყო ალექსეი ალექსანდროვიჩის გრძნობები. მაგრამ გრძნობდა, რომ ეს რაღაც მაღალი და მისი მსოფლმხედველობისთვის მიუწვდომელიც კი იყო.

XVIII

ალექსეი ალექსანდროვიჩთან ლაპარაკის შემდეგ ვრონსკი კარენინების სახლის პარმაღზე გავიდა, იქ შეჩერდა და ძლივსღა გაიხსენა, სად იყო ან საით უნდა წასულიყო. გრძნობდა, რომ შერცხვენილი, დამცირებული და დამნაშავე იყო და არც ჰქონდა საშუალება, ეს დამცირება ჩამოერეცხა. გრძნობდა, საბოლოოდ აცილებული იყო იმ გზას, რომლითაც დღემდე ასე ამაყად და იოლად მიდიოდა. ყოველი ჩვევა და კანონი მისი ცხოვრებისა, რომელიც ესოდენ მტკიცედ ეჩვენებოდა, უეცრად ყალბი და გამოუსადეგარი აღმოჩნდა. მოტყუებული ქმარი, რომელიც ამდენ ხანს საცოდავ არსებად და თავისი ბედნიერების შემთხვევით და თითქმის სასაცილო დაბრკოლებად მიაჩნდა, უეცრად თვით ანას მიერ ისეთ სიმაღლეზე იქნა აყვანილი, რომელიც საერთო მოწონებას იმსახურებდა და ქმარიც ამ სიმაღლეზე აღმოჩნდა არა როგორც ბოროტი, ყალბი და ყველასაგან შერცხვენილი, არამედ როგორც კეთილი, უბრალო და დიდბუნებოვანი. ეს არ შეეძლო არ ეგრძნო ვრონსკის. როლები უეცრად შეიცვალა. ვრონსკი გრძნობდა, რა სიმაღლეზე იყო ალექსეი ალექსანდროვიჩი და რამდენად დამნაშავე იყო თვითონ. ვრონსკიმ იგრძნო, რამდენად დიდსულოვანი იყო ქმარი თავის მწუხარებაში, თვითონ კი ამ სიცრუეში ფლიდი და წვრილმანი გამოდიოდა. მაგრამ საკუთარი თავის დამცირება იმ ადამიანის წინაშე, რომელიც მას უსამართლოდ სძულდა, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მისი მწუხარებისა. იგი მეტისმეტად უბედურად რაცხდა თავს იმის გამო, რომ სიყვარული ანასადმი, რომელიც, როგორც მას ეჩვენებოდა, ბოლო ხანებში თანდათან გაცივდა, ახლა, როცა იცოდა, რომ სამუდამოდ დაკარგა ანა, ისეთი ძლიერი შეიქნა, როგორიც არასოდეს ყოფილა. ავადმყოფობის დროს ვრონსკი უფრო მეტად დაუახლოვდა ანას, გაიცნო მისი სული და ეგონა, წინათ არასოდეს მყვარებიაო. ახლა კი, როცა გაიცნო და შეიყვარა ისე, როგორც საჭირო იყო, ვრონსკი დამცირებული აღმოჩნდა მის წინაშე, სამუდამოდ დაკარგა იგი და ანას მხოლოდ სამარცხვინო მოგონებებიღა დარჩა მასზე. ყველაზე უფრო საშინელი იყო ის სასაცილო და სამარცხვინო მდგომარეობა, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელი ჩამოაღებინა მას სირცხვილისაგან ალმოდებული სახიდან. ვრონსკი გზადაკარგულივით იდგა კარენინების პარმაღზე და არ იცოდა, რა ექნა.

– მეეტლეს ხომ არ დავუძახო? – ჰკითხა მეკარემ.

– დიახ, დაუძახეთ.

შინ დაბრუნებული ვრონსკი სამი უძილო ღამის შემდეგ ტანგაუხდელად პირქვე დაემხო დივანზე, ხელები დივანზე დააწყო და თავით ზედ დაეყრდნო. თავი დამძიმებული ჰქონდა. ათასნაირი მოგონება და უცნაური აზრი საოცარი სისწრაფით ცვლიდა ერთიმეორეს: ხან წამალს უსხამდა ავადმყოფს და ზედ გადმოადენდა კოვზს, ხან ბებიაქალის თეთრი ხელები წარმოუდგებოდა, ხან უცნაური მდგომარეობა ალექსეი ალექსანდროვიჩისა, რომელიც ანას საწოლის წინ მუხლმოყრილი იყო იატაკზე.

„უნდა დავიძინო! უნდა დავივიწყო!“ – ეუბნებოდა ვრონსკი თავს ჯანმრთელი ადამიანის იმ მტკიცე რწმენით, რომ თუ დაიღალა და ეძინება, ახლავე ჩაეძინება კიდეც. და მართლაც, იმწამსვე ყველაფერი აერია თავში და დავიწყების მორევში გადაეშვა. უკვე გადაევლო კიდეც თავს არაცნობიერი სიცოცხლის ტალღები, რომ უცებ თითქოს უძლიერესმა ელექტრომუხტმა დაჰკრაო, ისე შეკრთა, რომ მთელი სხეულით შეხტა ზამბარებიან დივანზე და ხელებზე დაყრდნობილმა, მუხლებზე წამოიჩოქა. თვალები ისე ფართოდ ჰქონდა გახელილი, თითქოს არასოდეს სძინებიაო, თავის სიმძიმე და სხეულის ყოველი ნაწილის მოთენთილობა, რომელსაც ამ ერთი წუთის წინ გრძნობდა, უეცრად გაქრა.

„თქვენ შეგიძლიათ ტალახში ამომსვაროთ“, – ჩაესმოდა ალექსეი ალექსანდროვიჩის სიტყვები. თვალწინ ედგა მისი სახე, ხედავდა ანას ალმურმოდებულ სახეს და გაბრწყინებულ თვალებს, რომლებიც სიყვარულით მისჩერებოდნენ არა მას, არამედ ალექსეი ალექსანდროვიჩს. ხედავდა, როგორც მას ეჩვენებოდა, თავის სულელურ, სასაცილო სახეს, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა სახიდან ხელები ჩამოაცილებინა. ვრონსკიმ ისევ გაჭიმა ფეხები, ისევ ისე დაეცა დივანზე და თვალები დახუჭა.

„უნდა დავიძინო! უნდა დავიძინო!“ – იმეორებდა იგი, მაგრამ თვალდახუჭული კიდევ უფრო მკაფიოდ ხედავდა ანას სახეს, ისეთს, როგორიც იყო დოღის წინ, მისთვის დაუვიწყარ საღამოს.

– ეს არ არის და არც იქნება, ანას სურს, ამოშალოს ეს თავისი

მეხსიერებიდან, მე კი უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. როგორ შევრიგდეთ, როგორ? – ხმამაღლა წამოიძახა მან, იგი შეუგნებლად იმეორებდა ამ სიტყვებს, ეს გამეორება აოკებდა იმ ახალ სახეებსა და მოგონებებს, რომლებიც ირეოდნენ მის თავში. მაგრამ ამან დიდი ხნით ვერ შეაჩერა მოგონებები. კვლავ არაჩვეულებრივი სისწრაფით ცვლიდა ერთიმეორეს საუკეთესო წუთების მოგონებები და ამასთან, ახლახან განცდილი დამცირებაც აგონდებოდა. „მოიცილე ხელები“, – ჩაესმოდა ანას ხმა. ვრონსკი იცილებდა ხელებს და თვითონვე გრძნობდა თავისი სახის შერცხვენილ, სულელურ გამომეტყველებას.

ვრონსკი ისევ ისე იწვა და დაძინებას ცდილობდა, თუმცა გრძნობდა, რომ ოდნავი იმედიც არ იყო ამისა, კვლავ ჩურჩულით იმეორებდა ენაზე მომდგარ რაღაც სიტყვებს და ამით ცდილობდა ახალი მოგონებების დაოკებას. ვრონსკიმ ყური მიუგდო და გაიგონა უცნაური, შეშლილის ჩურჩულით გამეორებული სიტყვები: „ვერ შეძელი დაფასება, ვერ შეძელი გამოყენება; ვერ შეძელი დაფასება, ვერ შეძელი გამოყენება“.

„რა არის ეს? ჭკუაზე ხომ არ ვიშლები? – ჩაილაპარაკა ვრონსკიმ, – შეიძლება. აბა, რატომ იშლებიან ჭკუაზე, რატომ იკლავენ თავს?“ – თვითონვე უპასუხა თავის თავს, თვალები გაახილა და გაოცებით დახედა თავქვეშ თავისი რძლის, ვარიას მიერ მოქარგულ ბალიშს. მან ხელი მოჰკიდა ბალიშის ფუნჯს და შეეცადა, გაეხსენებინა, უკანასკნელად როდის ნახა ვარია. მაგრამ სხვა რამეზე ფიქრი უფრო მტანჯველი აღმოჩნდა. „არა, უნდა დავიძინო!“ ბალიში თავისკენ მიიწია, თავი შიგ ჩარგო, მაგრამ ძალის დატანება იყო საჭირო, რათა თვალები დახუჭული გაეჩერებინა. ვრონსკი წამოდგა, დივანზე ჩამოჯდა. „ჩემთვის ეს უკვე გათავებულია, – თქვა მან, – უნდა მოვიფიქრო, რა ვქნა. რაღა დამრჩენია?“ – და მან თვალის ერთი გადავლებით წარმოიდგინა, რა იქნებოდა მისი ცხოვრება ანას სიყვარულის გარეშე.

„პატივმოყვარეობა? სერპუხოვსკოი? მაღალი საზოგადოება? სამეფო კარი?“ – ვერც ერთ მათგანზე ვერ შეჩერდა. ყოველივე ამას ადრე ჰქონდა აზრი, ახლა კი არაფერს ნიშნავდა. ვრონსკი წამოდგა, სერთუკი გაიხადა, ქამარი მოუშვა, ბალნიანი მკერდი გადაიღეღა, რათა უფრო თავისუფლად ესუნთქა, და ოთახში გაიარ-გამოიარა. „ასე იშლებიან ჭკუაზე, – გაიმეორა მან, – ასე

იკლავენ თავს... რათა სირცხვილი ჩამოირეცხონ“, – ნელ-ნელა ჩაილაპარაკა მან.

ვრონსკი კართან მივიდა, კარი მიხურა. შემდეგ მაგიდას მიუახლოვდა, მისი თვალები გაშტერებით იყურებოდნენ წინ, კბილი კბილზე ჰქონდა დაჭერილი; რევოლვერი აიღო, შეათვალიერა, გატენილ ლულაზე გადაატრიალა და ჩაფიქრდა. ორიოდე წუთს თავჩაქინდრული, რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებული, გაუნძრევლად იდგა რევოლვერით ხელში. „რა თქმა უნდა, – ჩაილაპარაკა მან, თითქოს აზრთა ლოგიკურმა, ხანგრძლივმა და ნათელმა მსვლელობამ უეჭველ დასკვნამდე მიიყვანაო. სინამდვილეში კი ეს მისი დაბეჯითებული „რა თქმა უნდა“ იმავე მოგონებათა და წარმოდგენათა წრის შედეგი იყო, რაც ამ ხნის განმავლობაში ათჯერ მაინც განმეორდა მის გონებაში. იგივე მოგონებანი სამუდამოდ დაკარგული ბედნიერებისა, იგივე წარმოდგენა ყველაფრის უაზრობისა, რაც ცხოვრებაში მოელოდა, იგივე შეგნება თავისი დამცირებისა. იგივე იყო ამ წარმოდგენებისა და გრძნობების თანამიმდევრობაც.

„რა თქმა უნდა“, – გაიმეორა მან, როცა მისმა გონებამ მესამედ განვლო მოგონებებისა და აზრების მოჯადოებული წრე, რევოლვერი მკერდზე მიიდო, ხელში მაგრად ჩაბღუჯა და ღონივრად მოსწია სასხლეტი. გასროლის ხმა არ გაუგონია, მაგრამ მკერდში ძლიერმა დარტყმამ მუხლი მოჰკვეთა. უნდოდა მაგიდის კიდეს ჩასჭიდებოდა, მაგრამ წაბარბაცდა, რევოლვერი ხელიდან გაუვარდა, იატაკზე ჩაიკეცა და გაოცებით მიმოიხედა ირგვლივ. მან ვეღარ იცნო თავისი ოთახი, რადგან ქვევიდან ახედა მაგიდის ამოზნექილ ფეხებს, ქაღალდების კალათსა და ვეფხვის ტყავს. სასტუმრო ოთახში შემოსული ლაქიის ფეხის ხმა და ჩექმის ჭრაჭუნი რომ გაიგონა, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს. თავს ძალა დაატანა და მიხვდა, რომ იატაკზე იყო ჩაკეცილი, ხოლო როცა ვეფხვის ტყავსა და საკუთარ ხელზე სისხლი დაინახა, მიხვდა, რომ რევოლვერით თავს იკლავდა.

– სისულელეა! ავიცდინე, – ჩაილაპარაკა მან და ხელის ფათურით დაუწყო ძებნა რევოლვერს. რევოლვერი იქვე მის გვერდით ეგდო, ის კი იქით აფათურებდა ხელს. ამ ძებნაში გვერდზე გადაიხარა, წონასწორობა ვეღარ დაიცვა და დაეცა. სისხლი შეუჩერებლივ სდიოდა.

კოხტად გამოწყობილი ქილვაშებიანი მსახური, რომელიც ნაცნობებთან ხშირად ჩიოდა ნერვების სისუსტეზე, ისე შეშინდა, იატაკზე დაცემული ბატონი რომ დაინახა, რომ ასევე სისხლმომდინარე მიატოვა და დახმარებისათვის გაიქცა. ერთი საათის შემდეგ მოვიდა ვარია, ვრონსკის ძმის ცოლი. სამი ექიმის დახმარებით, რომელთა მოსაყვანადაც ყოველმხრივ გაგზავნა მსახურები და რომელნიც თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოცხადდნენ, ავადმყოფი ლოგინში დააწვინა და მის მოსავლელად თვითონაც იქ დარჩა.

XIX

ალექსეი ალექსანდროვიჩმა შეცდომა დაუშვა, როცა ცოლთან შესახვედრად ემზადებოდა. მან ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ანას სინანული გულწრფელი იქნებოდა, ისიც აპატიებდა ყველაფერს და ანა ცოცხალი გადარჩებოდა. ეს შეცდომა მოსკოვიდან დაბრუნების ორი თვის შემდეგ გამომჟღავნდა მთელი სიძლიერით. მაგრამ ეს შეცდომა მარტო იმისი ბრალი როდი იყო, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩმა ვერ გაითვალისწინა ეს გარემოება, ეს იმის გამოც მოხდა, რომ იგი მომაკვდავ ცოლთან შეხვედრამდე კარგად არ იცნობდა საკუთარ გულს. ავადმყოფი ცოლის სარეცელთან თავის სიცოცხლეში პირველად მიენდო იმ გრძნობას, რომელსაც იწვევდა მასში სხვების ტანჯვა და რომლის გამჟღავნებისა წინათ ყოველთვის რცხვენოდა, როგორც მავნე სისუსტისა. ანასადმი სიბრალულმა, სინანულმა იმის გამო, რომ იგი მსურველი იყო ანას სიკვდილისა და, რაც მთავარია, პატიების სიხარულმა, ის ქნა, რომ მოულოდნელად იგრძნო არა მარტო შენელება საკუთარი ტანჯვისა, არამედ ის სულიერი სიმშვიდეც, რომელიც წინათ არასოდეს განუცდია. უეცრად იგრძნო, რომ ის, რაც წყარო იყო მისი სულიერი ტანჯვისა, ახლა მისი სულიერი სიხარულის წყაროდ იქცა, ის, რისი გადაწყვეტაც ვერ შეძლო მაშინ, როცა გმობდა, საყვედურობდა და სძულდა, პატიებისა და სიყვარულის შემდეგ სრულიად ნათელი და უბრალო შეიქნა მისთვის.

მან აპატია ცოლს და ებრალებოდა განცდილი მწუხარებისა და სინანულის გამო. აპატია ვრონსკისაც და ებრალებოდა კიდეც იგი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის ყურამდე მიაღწია ვრონსკის თავგანწირული საქციელის ამბავმა. ახლა შვილიც წინანდელზე მეტად ებრალებოდა და საყვედურობდა თავს, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ხოლო ახალდაბადებული პატარა გოგონასადმი მარტო სიბრალულს კი არა, რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულსაც გრძნობდა. პირველ ხანებში მას მხოლოდ ებრალებოდა ახალშობილი, უმწეო გოგონა, რომელიც არ იყო მისი შვილი, დედის ავადმყოფობის დროს უყურადღებოდ იყო მიტოვებული და, ალბათ, მოკვდებოდა კიდეც, ალექსეი ალექსანდროვიჩს რომ არ ეზრუნა. ხოლო შემდეგში თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ შეუყვარდა იგი. დღეში რამდენჯერმე შედიოდა საბავშვო ოთახში და დიდხანს იჯდა იქ, ისე, რომ ძიძა და გადია, რომელნიც წინათ კრთებოდნენ მის შემოსვლაზე, შეეჩვივნენ კიდეც. ხანდახან ნახევარსაათობით იჯდა და მდუმარედ დაჰყურებდა მძინარე ბავშვის ავარდისფრებულ, გინგლიანსა და დანაოჭებულ სახეს, უყურებდა, როგორ იჭმუხნიდა შუბლს, დაჰყურებდა მის ფუნჩულა, პაწაწინა ხელებს, როცა იგი ხელის ზურგით მოისრესდა ხოლმე ცხვირსა და თვალებს. განსაკუთრებით ასეთ წუთებში გრძნობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი სრულ სიმშვიდესა და კმაყოფილებას საკუთარი თავით. იგი უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა თავის მდგომარეობაში, ვერაფერს ამჩნევდა ისეთს, რისი შეცვლაც საჭირო იყო.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად ხედავდა, რომ, რაც უნდა ბუნებრივი ყოფილიყო მისთვის ეს მდგომარეობა, მაინც არ დატოვებდნენ ასე. გრძნობდა, რომ გარდა იმ კეთილი სულიერი ძალისა, არსებობდა კიდევ სხვა, უხეში, იმდენადვე ძლიერი ან შეიძლება უფრო ძლიერი ძალაც, რომელიც ხელმძღვანელობდა მის ცხოვრებას, და ეს ძალა არ დაანებებდა მისთვის სასურველ სიმშვიდეს. ალექსეი ალექსანდროვიჩი გრძნობდა, რომ ყველანი გაოცებით შეჰყურებდნენ, თითქოს ეკითხებოდნენ რაღაცას, რაც ვერ გამოეცნოთ მის საქციელში და რაღაცას ელოდნენ მისგან. განსაკუთრებით გრძნობდა, რამდენად არამტკიცე და არაბუნებრივი იყო მისი ურთიერთობა ცოლთან.

როცა ანას გაუარა სიკვდილის სიახლოვით გამოწვეულმა ლმობიერებამ, ალექსეი ალექსანდროვიჩმა შენიშნა, რომ ანას

ეშინოდა მისი, უმძიმდა მასთან ყოფნა და თვალს ვერ უსწორებდა. თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა და თქმა ვერ გაებედა. ისიც თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ მათი ამგვარი ურთიერთობა დიდხანს ვერ გასტანდა და რაღაცას ელოდა მისგან.

თებერვლის დამლევს ანას ახალშობილი გოგონა, რომელსაც სახელად ანა უწოდეს, ავად შეიქნა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა დილით ინახულა ბავშვი, ექიმის მოყვანა ბრძანა და თვითონ სამინისტროში წავიდა. მეოთხე საათი იყო, როცა საქმეები დაამთავრა და შინ დაბრუნდა. დერეფანში დახვდა მოსირმულ ტანისამოსსა და დათვის ტყავის წამოსასხამში გამოწყობილი მაღალი ლაქია, რომელსაც ხელში ამერიკული ძაღლის ბეწვის თეთრი წამოსასხამი ეჭირა.

– ვინ არის აქ? – იკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– თავადის ქალი ელიზავეტა ფეოდოროვნა ტვერსკაია, – უპასუხა ლაქიამ ღიმილით, როგორც მოეჩვენა ალექსეი ალექსანდროვიჩს.

მას შემჩნეული ჰქონდა, რომ მთელი ამ მძიმე ხნის განმავლობაში ყველა მისი ნაცნობი მაღალი საზოგადოებიდან, განსაკუთრებით კი ქალები, მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მათ ოჯახურ საქმეებში. და ყველა ამ ნაცნობს ამჩნევდა იმ ცუდად დაფარულ სიხარულს, რომელიც ადრე ვექილის თვალებში შეამჩნია და ახლა კი ლაქიის თვალებში ხედავდა. თითქოს ყველა აღტაცებული იყო, თითქოს ათხოვებდნენ ვიღაცას და როცა ალექსეი ალექსანდროვიჩს ვინმე ნაცნობთაგანი შეხვდებოდა, ყველა იმ ძლივს დაფარული სიხარულით ეკითხებოდა ცოლის ამბავს.

ბეტსი ტვერსკაიას მოსვლა, მასთან დაკავშირებული მოგონებებისა და იმის გამო, რომ არ უყვარდა ეს ქალი, არ ესიამოვნა ალექსეი ალექსანდროვიჩს და პირდაპირ საბავშვო ოთახისაკენ გასწია. პირველ საბავშვო ოთახში სერიოჟა მკერდით დაყრდნობოდა მაგიდას, ფეხები სკამზე დაეწყო და ხატავდა, თან მხიარულად ლაპარაკობდა რაღაცას. ინგლისელი ქალი, რომელმაც ანას ავადმყოფობის დროს შეცვალა ფრანგი ქალი, მის გვერდით იჯდა და მინიარდიზს ქსოვდა და, როგორც კი ალექსეი ალექსანდროვიჩი დაინახა, საჩქაროდ წამოდგა, რევერანსი გაუკეთა და სახელო მოსწია სერიოჟას.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავზე ხელი გადაუსვა შვილს, პასუხი გასცა გუვერნანტის შეკითხვას ცოლის ჯანმრთელობის შესახებ და ჰკითხა, რა თქვა ექიმმა baby-ს[59] შესახებო.

– ექიმმა თქვა, ბატონო, საშიში არაფერიაო, და აბაზანები გამოუწერა.

– მაგრამ მაინც აწუხებს რაღაც, – უთხრა ალექსანდროვიჩმა, როცა მეზობელი ოთახიდან ბავშვის ტირილი გაიგონა.

– მე ვფიქრობ, ბატონო, ძიძა არ ვარგა, – დაბეჯითებით უთხრა ინგლისელმა ქალმა.

– რატომ გგონიათ? – შეეკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩი და შეჩერდა.

– ასე იყო გრაფინია პოლთანაც, ბატონო. ბავშვს ექიმობდნენ და აღმოჩნდა, რომ ბავშვი უბრალოდ მშიერი იყო, ძიძას რძე არ ჰქონდა, ბატონო.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩაფიქრდა, რამდენიმე წამს იდგა და შემდეგ მეორე კარისკენ გასწია. ბავშვი თავგადაგდებული იწვა ძიძის მკლავებზე, იკლაკნებოდა, პირს არ აკარებდა შეთავაზებულ ფუნთუშა ძუძუს და არც ჩუმდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძიძაც და გადიაც ბავშვისკენ დახრილიყვნენ და ცდილობდნენ ბავშვის გაჩუმებას.

– უკეთესობა არ ეტყობა? – ჰკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ძალიან შფოთავს, ბატონო, – ჩურჩულით უპასუხა გადიამ.

– მის ელვარდი ამბობს, შეიძლება ძიძას რძე არა აქვსო, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– მეც ასე ვფიქრობ, ალექსეი ალექსანდროვიჩ.

– მერე, რატომ არაფერს ამბობთ?

– ვის უნდა ვუთხრა? ანა არკადიევნა სულ ავად არის, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გადიამ.

გადია ამ სახლის ძველი მსახური იყო და ალექსეი ალექსანდროვიჩს მოეჩვენა, რომ გადიის ეს უბრალო სიტყვები გადაკვრით მიუთითებდა მის მდგომარეობაზე.

ბავშვი ახლა უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა, იკლაკნებოდა და

ხროტინობდა. გადიამ ხელი ჩაიქნია, ბავშვთან მივიდა, ხელიდან გამოართვა ძიძას და ოთახში გაატარ-გამოატარა, თან ხელში აქანავებდა.

– ექიმს უნდა ვთხოვოთ, ძიძა გასინჯოს, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

გარეგნულად ჯანმრთელმა, კოხტად გამოწყობილმა ძიძამ, შეშინებულმა იმით, რომ ადგილი არ დაეკარგა, რაღაც ჩაიბურტყუნა, მსუქანი ძუძუ კაბაში ჩამალა და ზიზღით ჩაიცინა იმაზე, რომ ურძეობას სწამებდნენ. ამ ჩაცინებაშიც ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისი მდგომარეობის დაცინვა ამოიკითხა.

– უბედური ბავშვი! – თქვა გადიამ, თან ისევ რაღაცნაირად ჩასისინებდა ბავშვს და ოთახში წინ და უკან ატარებდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი სკამზე ჩამოჯდა და ტანჯული, დაღვრემილი სახით მიაჩერდა ოთახში მოსიარულე გადიას.

ბოლოს, როცა დამშვიდებული ბავშვი გადიამ რბილ საწოლში ჩააწვინა, ბალიში გაუსწორა და მოსცილდა, ალექსეი ალექსანდროვიჩი წამოდგა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბავშვის საწოლს. ერთხანს ისევ დაღვრემილი სახით დაჰყურებდა, მერე უეცრად სახეზე ღიმილი გამოეხატა, რომელმაც თმა და შუბლი შეურხია, და ისევ ისე ჩუმად გავიდა ოთახიდან.

სასადილო ოთახში მსახურს დაურეკა და უბრძანა, გაეგზავნათ მსახური ექიმის მოსაყვანად. იგი ნაწყენი იყო ცოლზე, რომ არ ზრუნავდა ამ მშვენიერ ბავშვზე და ამიტომაც არ უნდოდა მასთან შესვლა, არც თავადის ქალ ტვერსკაიას ნახვა სურდა, მაგრამ ცოლს შეიძლება გაჰკვირვებოდა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩმა ჩვეულებისამებრ არ ინახულა. ამიტომაც თავს ძალა დაატანა და საწოლი ოთახისაკენ გაემართა. რბილ ხალიჩაზე გავლით უხმოდ მიუახლოვდა კარს და უნებლიეთ ყური მოჰკრა იმ საუბარს, რისი გაგონებაც არ უნდოდა.

– ის რომ არ მოდიოდეს, მაშინ ჩემთვის გასაგები იქნებოდა თქვენი და თქვენი ქმრის უარი, მაგრამ თქვენი ქმარი ამაზე მაღლა უნდა იდგეს, – ეუბნებოდა ბეტსი.

– ქმრის გამო კი არა, მე თვითონაც არ მინდა. ნუ იტყვით ამას! –

მოესმა ანას აღელვებული ხმა.

– კი მაგრამ, როგორ შეიძლება არ ისურვოთ გამომშვიდობება იმ ადამიანთან, რომელიც თავს იკლავდა თქვენი გულისათვის.

– სწორედ ამიტომაც არ მინდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი დამნაშავესავით შეჩერდა და განიზრახა შეუმჩნევლად გამობრუნებულიყო უკან, მაგრამ იფიქრა, რომ ეს უღირსი საქციელი იქნებოდა: ისევ უკან მობრუნდა, ჩაახველა და საწოლი ოთახისაკენ გასწია. ხმები მიჩუმდნენ და ალექსეი ალექსანდროვიჩი ოთახში შევიდა.

ანა ტახტზე იჯდა, ტანთ ნაცრისფერი ხალათი ეცვა, მოკლედ შეკრეჭილი ხშირი თმა წამოზრდოდა. ქმრის დანახვაზე, როგორც ყოველთვის, ახლაც მაშინვე ჩაუქრა სახე, თავი ჩაღუნა და აღელვებულმა გადახედა ბეტსის. ბეტსი უკანასკნელ მოდაზე იყო გამოწყობილი. პატარა ქუდი სადღაც უკან ჰქონდა მოგდებული. შავ-მოიისფრო კაბის მკვეთრი ზოლები ზედატანს ერთ მხარეს მიუყვებოდა, ქვედატანს – მეორე მხარეს. იგი წელგამართული იჯდა ანას გვერდით. ალექსეი ალექსანდროვიჩის შემოსვლაზე თავი დახარა და დამცინავი ღიმილი გადაჰკრა სახეზე.

– აა! – თითქოს გაოცებით წამოიძახა მან, – დიდად მოხარული ვარ, რომ შინ ბრძანდებით. თქვენ არსად აღარ დადიხართ და ანას ავადმყოფობის შემდეგ აღარც მინახავხართ. თქვენი მზრუნველობის ამბები გაგებული მაქვს. დიახ, თქვენ საოცარი ქმარი ხართ! – მნიშვნელოვანი, ალერსიანი გამომეტყველებით დასძინა მან, თითქოს ცოლთან ასეთი ურთიერთობის გამო დიდსულოვნების ორდენს ანიჭებსო.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ცივად მიესალმა, ცოლს ხელზე აკოცა და ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა.

– მგონი, უკეთ ვარ, – უპასუხა ანამ და ქმარს თვალი მოარიდა.

– სახეზე კი რაღაც სიყვითლე დაგკრავთ, – უთხრა მან და სიტყვა „სიყვითლე“ განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა.

– ჩვენ მეტისმეტად ბევრი ვილაპარაკეთ, – თქვა ბეტსიმ, – ვაღიარებ, რომ ეს ეგოიზმია ჩემი მხრივ და მივდივარ კიდეც.

ბეტსი წამოდგა, მაგრამ ანა უცებ წამოწითლდა და ხელში ხელი

სტაცა ბეტსის.

– არა, გეთაყვა, დარჩით. მე მინდა გითხრათ... არა, თქვენ მინდა გითხრათ, – მიუბრუნდა იგი ალექსეი ალექსანდროვიჩს და კისერი და შუბლი წითელმა ლაქამ დაუფარა, – მე არ მინდა და არც შემიძლია მქონდეს რამე თქვენგან დაფარული, – უთხრა მან.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა თითები გაატკაცუნა, თავი ჩაღუნა.

– ბეტსიმ მითხრა, რომ გრაფ ვრონსკის ჩვენთან მოსვლა უნდა, რათა ტაშკენტში გამგზავრების წინ გამოგვემშვიდობოს, – ანა არ უყურებდა ქმარს და ეტყობა, ჩქარობდა, ეთქვა ყველაფერი, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო ეს მისთვის, – მე ვუთხარი, რომ არ შემიძლია მისი მიღება.

– არა, ჩემო მეგობარო, თქვენ თქვით, რომ ეს ალექსეი ალექსანდროვიჩზეა დამოკიდებული, – შეუსწორა ბეტსიმ.

– არა, მე არ შემიძლია მისი მიღება და ეს არც არის... – ანა უცებ შეჩერდა და კითხვით შეაჩერდა ქმარს (ალექსეი ალექსანდროვიჩი არ უყურებდა მას), – ერთი სიტყვით, მე არ მინდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ანასკენ მიიწია, უნდოდა ხელი მოეკიდა მისთვის.

ანამ პირველად ხელი მოარიდა ქმრის ოფლიან, ძარღვებგამობერილ ხელს, რომელიც მის ხელს ეძებდა. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ძალა დაატანა თავს და ხელზე ხელი მოჰკიდა ქმარს.

– დიდად მადლობელი ვარ ამ ნდობისათვის, მაგრამ... – დასძინა შემკრთალმა, განაწყენებულმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რაკი იგრძნო, რომ იმას, რასაც იოლად და დაბეჯითებით გადაწყვეტდა თავისი თავის წინაშე, ვერ განსჯიდა თავადის ქალ ტვერსკაიას თანდასწრებით, რადგან იგი წარმოადგენდა განსახიერებას იმ უხეში ძალისას, რომელსაც, მაღალი საზოგადოების აზრით, უნდა ეხელმძღვანელა მისი ცხოვრებისათვის და რომელიც ხელს უშიდა მისცემოდა სიყვარულისა და პატიების გრძნობას. იგი შეჩერდა და ბეტსი ტვერსკაიას გადახედა.

– აბა, კარგად იყავით, ჩემო კარგო, – თქვა ბეტსიმ და წამოდგა.

ანას აკოცა და ოთახიდან გავიდა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა გააცილა იგი.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ! მე გიცნობთ თქვენ, როგორც ჭეშმარიტად დიდსულოვან ადამიანს, – უთხრა ბეტსიმ, რომელიც მცირე სასტუმრო დარბაზში ცოტა ხანს შეჩერდა და ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი ალექსეი ალექსანდროვიჩს, – მე გარეშე პირი ვარ, მაგრამ მიყვარს ანა და თქვენიც ისეთი პატივისცემა მაქვს, რომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს გირჩიოთ: მიიღეთ იგი. ალექსეი ვრონსკი პატიოსნების განსახიერებაა და იგი ტაშკენტს მიემგზავრება.

– მადლობას გწირავთ, ქალბატონო, ამ მონაწილეობისა და რჩევისათვის. მაგრამ შეუძლია თუ არა ჩემს ცოლს ვინმეს მიღება, იგი თვითონვე გადაწყვეტს.

ეს რომ თქვა, ჩვეულებისამებრ ღირსებით ასწია ზევით წარბები და მაშინვე გაიფიქრა, რომ რაც უნდა ეთქვა, მის მდგომარეობაში ღირსებაზე ფიქრი მაინც შეუძლებელი იყო. და შენიშნა კიდეც ეს ბეტსის, როცა მან ამ სიტყვების შემდეგ თავშეკავებით, მაგრამ ბოროტად და დამცინავად გაიღიმა.

XX

ალექსეი ალექსანდროვიჩი დარბაზშივე გამოეთხოვა ბეტსის და ცოლისკენ გასწია. ანა წამოწოლილი იყო, მაგრამ როგორც კი მისი ფეხის ხმა გაიგონა, მაშინვე წამოჯდა და შეშინებულმა შეხედა ქმარს. ალექსეი ალექსანდროვიჩმა დაინახა, რომ ანა ტიროდა.

– დიდად მადლობელი ვარ ამ ნდობისათვის, – მშვიდად თქვა მან, ახლა რუსულად გაიმეორა ბეტსის თანდასწრებით ფრანგულად ნათქვამი სიტყვები და ანას გვერდით ჩამოჯდა. როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი რუსულად ელაპარაკებოდა და შენობით მიმართავდა, ეს „შენ“ საშინლად აბრაზებდა ანას, – და დიდად მადლობელი ვარ შენი გადაწყვეტილებისა. მეც მგონია, რომ რადგან უკვე მიემგზავრება, გრაფ ვრონსკისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს აქ მოსვლა. თუმცა...

– ეს ხომ უკვე ვთქვით, რაღა საჭიროა ამის გამეორება? – მოულოდნელი გაგულისებით შეაწყვეტინა ანამ, რადგან ვეღარ შეძლო ამ გაგულისების დაოკება. „არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, – გაიფიქრა ანამ, – გამოსამშვიდობებლად მოვიდეს კაცი იმ ქალთან, რომელიც უყვარს, რომლის გულისთვისაც განიზრახა დაღუპვა და დაიღუპა კიდეც, და რომელ ქალსაც უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს!“ ანამ ტუჩები მოკუმა, ანთებული თვალები ძირს დახარა და ქმრის ძარღვებამობურცულ ხელებს დააჩერდა, რომელთაც იგი ნელ-ნელა უსვამდა ერთიმეორეზე.

– ნურასოდეს ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, – ახლა უფრო დამშვიდებით დაუმატა ანამ.

– მე შენ მოგანდე ამ საკითხის გადაწყვეტა და დიდად მოხარული ვარ, როცა ვხედავ... – დაიწყო ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– რომ ჩემი სურვილი თქვენსას ემთხვევა, – საჩქაროდ დაამთავრა ანამ, გაბრაზებულმა მისი ასეთი ნელი ლაპარაკით, მაშინ, როცა წინასწარ იცოდა, რის თქმასაც აპირებდა.

– დიახ, – დაუდასტურა მან, – და ქალბატონ ტვერსკაიას ჩარევა ამ მეტად ძნელად გადასაჭრელ ოჯახურ საქმეებში სრულიად ზედმეტია. განსაკუთრებით ქალბატონი...

– მე არ მჯერა, რასაც მასზე ლაპარაკობენ, – საჩქაროდ დააყოლა ანამ, – ვიცი, რომ მას გულწრფელად ვუყვარვარ.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ამოიოხრა და გაჩუმდა. ანა ნერვიულად ათამაშებდა ხელში ხალათის ფუნჯს და გატანჯული უყურებდა ქმარს იმ ფიზიკური ზიზღის გრძნობით, რის გამოც მუდამ საყვედურობდა თავს, მაგრამ რომლის დაძლევაც არ შეეძლო. ანას ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდა, როგორმე თავიდან მოეცილებინა ქმარი, რომლის იქ ყოფნაც მომაბეზრებელი შეიქნა მისთვის.

– მე ახლა მსახური გავგზავნე ექიმის მოსაყვანად, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– მე კარგად ვარ, ექიმი რად მინდა?

– არა, პატარა სულ ტირის და ამბობენ, ძიძას რძე არ ჰყოფნისო.

– რატომ ნება არ დამრთე, ძუძუ მიმეცა ბავშვისათვის, როცა ასე გევედრებოდი ამას? სულერთია (ალექსეი ალექსანდროვიჩი მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „სულერთია“), პატარაა და შიმშილით მომიკლავენ, – ანამ ზარი ჩამორეკა და მსახურს ბავშვის მოყვანა უბრძანა, – მე თვითონ ვითხოვდი, ნება მოეცათ ბავშვის კვებისა, ამის ნება არ მომცეს, ახლა მსაყვედურობენ.

– მე არ გსაყვედურობ...

– არა, თქვენ მსაყვედურობთ! ღმერთო ჩემო! რისთვის გადავურჩი სიკვდილს! – და ანა აქვითინდა, – მაპატიე, გაგულისებული ვარ და უსამართლოდ ვიქცევი, – უთხრა ანამ, როცა გონს მოვიდა, – მაგრამ მაინც წადი...

„არა, ეს არ შეიძლება ასე დარჩეს“, – გადაჭრით უთხრა თავის თავს ალექსეი ალექსანდროვიჩმა, როცა ცოლის ოთახიდან გამოდიოდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩს ასე ცხადად არასოდეს უგრძნია, რომ საზოგადოების თვალში შეუძლებელი იყო ამგვარად გაგრძელებულიყო მისი მდგომარეობა, არ უგრძნია ცოლის ასეთი სიძულვილი და საერთოდ, ძლევამოსილება იმ უხეში იდუმალი ძალისა, რომელიც, წინააღმდეგ მისი სულიერი განწყობისა, ხელმძღვანელობდა მის ცხოვრებას, მოითხოვდა თავისი სურვილის შესრულებას და ცოლთან ურთიერთობის შეცვლას. ახლა ნათლად დაინახა, რომ მთელი საზოგადოება და მისი მეუღლეც მოითხოვდნენ მისგან რაღაცას, მაგრამ სახელდობრ რას, ამას კი ვერ მიმხვდარიყო. იგი გრძნობდა, რომ ამის გამო მის სულში ისადგურებდა გაბოროტება, რომელიც მთლიანად ანგრევდა მის სიმშვიდესა და მთელ მის ნაღვაწს. მისი აზრით, უმჯობესი იყო, ანას გაეწყვიტა ურთიერთობა ვრონსკისთან, მაგრამ თუ ყველა შეუძლებლად ჩათვლიდა ამას, მაშინ იმაზედაც თანახმა იქნებოდა, რომ კვლავ განეგრძო ამგვარი ურთიერთობა, ოღონდ ბავშვები არ შეერცხვინათ, არ მოშორებოდა მათ და არ შეეცვალათ მისი მდგომარეობა. რაც უნდა სულელური ყოფილიყო ეს, მაინც სჯობდა გაყრას, რომლის შედეგადაც ანა გამოუვალ, სამარცხვინო მდგომარეობაში ვარდებოდა, და თვით მასაც უნდა დაეკარგა ყველაფერი, რაც უყვარდა. მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი გრძნობდა, რომ უძლური იყო, წინასწარვე იცოდა, რომ ყველა მის წინააღმდეგ წავიდოდა და ნებას არ მისცემდნენ გაეკეთებინა ის, რაც სრულიად ბუნებრივად და კარგად

ეჩვენებოდა, აიძულებდნენ გაეკეთებინა ის, რაც ცუდი იყო, მაგრამ რაც მათ აუცილებლად მიაჩნდათ.

XXI

ბეტსი ჯერ კიდევ არ გასულიყო დარბაზიდან, რომ კარში სტეპან არკადიჩი შემოვიდა, რომელიც ის იყო დაბრუნებულიყო ელისეევისაგან, სადაც ახალი ხამანწკა მიეღოთ.

– ა, ქალბატონო, აი, სასიამოვნო შეხვედრა! – თქვა სტეპან არკადიჩმა, – მე კი თქვენთან ვიყავი.

– შეხვედრა წუთიერი, რადგან მე უკვე მივდივარ, – ღიმილით უპასუხა ბეტსიმ და ხელთათმნის ჩაცმა დაიწყო.

– მოითმინეთ, ჯერ ნუ ჩაიცვამთ ხელთათმანს, ნება მომეცით ვეამბორო თქვენს ხელს. ყველაზე უფრო იმიტომ ვუმადლი ძველი მოდის დაბრუნებას, რომ ხელზე კოცნა შემოიღეს, – და მან ხელზე აკოცა ბეტსის, – როდის ვნახავთ ერთმანეთს?

– თქვენ არა ხართ ამის ღირსი, – ღიმილით უთხრა ბეტსიმ.

– არა, ძალიანაც ღირსი ვარ, რადგან ახლა დიდად სერიოზული ადამიანი გავხდი. მე ახლა მარტო პირად საქმეებს კი არა, სხვის ოჯახურ საქმეებსაც ვაგვარებ, – სახის მნიშვნელოვანი გამომეტყველებით დასძინა მან.

– ოჰ! მე დიდად მოხარული ვარ! – უპასუხა ბეტსიმ და მაშინვე მიხვდა, რომ სტეპან არკადიჩი ანაზე ამბობდა ამას. ბეტსი და სტეპან არკადიჩი ისევ დარბაზში შებრუნდნენ და კუთხეში გაჩერდნენ, – ის ნამდვილად ბოლოს მოუღებს ანას, – მრავლისმთქმელი ჩურჩულით დასძინა ბეტსიმ, – ეს შეუძლებელია, შეუძლებელი...

– მე დიდად მიხარია, რომ თქვენ ასე ფიქრობთ, – თავის ქნევით უთხრა სტეპან არკადიჩმა და სახეზე სერიოზულობა, ტანჯვა და თანაგრძნობა გამოეხატა, – სწორედ ამიტომაც ჩამოვედი პეტერბურგში.

– მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს, – განაგრძობდა ბეტსი, – ეს წარმოუდგენელი მდგომარეობაა. ანა თანდათან დნება და დნება, ალექსეი ალექსანდროვიჩს არ ესმის, რომ იგი ისეთი ქალია, რომელსაც თავის გრძნობასთან ხუმრობა არ შეუძლია. ორში ერთი უნდა ამოირჩიოს; ან ენერგიულად მოიქცეს, რაკი დაიბრუნა ანა, ან განქორწინდეს. ეს კი სულს უხუთავს ანას.

– დიახ, დიახ... სწორედ რომ ასეა... – კვერს უკრავდა ობლონსკი და თან ოხრავდა, – ამიტომაც ჩამოვედი. თუმცა საკუთრივ ამისთვის არ ჩამოვსულვარ. კამერჰერობა მიბოძეს და საჭირო იყო მადლობა გადამეხადა, მაგრამ, რაც მთავარია, ეს საქმე უნდა მოვაგვარო.

– მაშ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე! – უთხრა ბეტსიმ.

სტეპან არკადიჩმა კარამდე მიაცილა თავადის ქალი, ერთხელ კიდევ აკოცა ხელზე, ხელთათმნის ზევით, იქ, სადაც მაჯა სცემს, და თან რაღაც ისე უწესოდ იხუმრა, რომ ბეტსი ტვერსკაიამ აღარ იცოდა, გაჯავრებულიყო თუ გაეცინა. ამის შემდეგ სტეპან არკადიჩმა ანასკენ გასწია და მტირალს მიუსწრო მას.

მიუხედავად იმისა, რომ სტეპან არკადიჩი აღტაცებული და გახარებული იყო, იგი მაშინვე ბუნებრივად გადავიდა იმ თანაგრძნობის გამომხატველ, პოეტურად აგზნებულ კილოზე, რომელიც შესაფერისი იყო ანას მდგომარეობისათვის. ჰკითხა ანას, როგორ გრძნობდა თავს და როგორ გაატარა დღევანდელი დილა.

– ძალიან, ძალიან ცუდად, ეს დღეც, ეს დილაც, განვლილი და მომავალი დღეებიც, – უპასუხა ანამ.

– მე მგონი, შენ სასოწარკვეთილებაში ვარდები. უნდა გამაგრდე, პირდაპირ უნდა შეხედო ცხოვრებას. ვიცი, რომ მძიმეა, მაგრამ...

– გამიგონია, ქალებს ზოგჯერ ბიწიერი ადამიანებიც კი უყვართო, – მოულოდნელად დაიწყო ანამ, – მე კი მისი სათნოებისათვის მძულს იგი. აღარ შემიძლია მასთან ცხოვრება, შენ გესმის, მისი დანახვა ფიზიკურადაც კი მოქმედებს ჩემზე, მოთმინება მეკარგება. მე არ შემიძლია, არ შემიძლია მასთან ცხოვრება. როგორ უნდა მოვიქცე? უბედური ვიყავი და მეგონა, ამაზე დიდი უბედურება შეუძლებელი იყო. წარმოდგენაც არ

შემეძლო იმ საშინელებისა, რასაც ახლა განვიცდი. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, ვიცი, რომ ის კეთილი, ჩინებული ადამიანია, რომ მის ფრჩხილადაც არ ვღირვარ, მაგრამ მაინც მძულს. მძულს სწორედ ეს დიდსულოვნება... და მე აღარაფერი დამრჩენია, გარდა... – ანას უნდოდა ეთქვა, გარდა სიკვდილისაო, მაგრამ სტეპან არკადიჩმა აღარ დააცალა ამის თქმა.

– შენ ავად ხარ, ანა, გაღიზიანებული ხარ, – უთხრა მან, – დამიჯერე, მეტისმეტად აზვიადებ. აქ ასეთი საშინელი არაფერია.

და სტეპან არკადიჩმა გაიღიმა. სტეპან არკადიჩის ადგილზე სხვა ვერავინ გაბედავდა გაღიმებას, როცა ასეთ სასოწარკვეთილებასთან ჰქონდა საქმე (ღიმილი მეტისმეტად უხეში აღმოჩნდებოდა), მაგრამ მის ღიმილში იმდენი გულკეთილობა და თითქმის ქალური სინაზე იყო, რომ ეს ღიმილი კი არ შეურაცხყოფდა, არამედ გულს ესალბუნებოდა, ამშვიდებდა. მისი მშვიდი საუბარი და ღიმილი მალამოსავით ეცხებოდა, დამამშვიდებლად მოქმედებდა, და ანამაც მაშინვე იგრძნო ეს.

– არა, სტივა, – უთხრა მან, – მე უკვე დავიღუპე, დავიღუპე! უფრო მეტიც, მე ჯერ კიდევ არ დავღუპულვარ და ვერ ვიტყვი, ყველაფერი გათავდა-მეთქი; პირიქით, ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ არ გათავებულა. მე დაჭიმული სიმივითა ვარ, რომელიც საცაა უნდა გაწყდეს. მაგრამ ჯერ არ გათავებულა ყველაფერი... და ბოლო საშინელი იქნება.

– არა უშავს რა, შეიძლება ნელ-ნელა მოუშვა სიმი. არ არის ისეთი მდგომარეობა, საიდანაც გამოსავალი არ არსებობდეს.

– მე ბევრი ვიფიქრე და მხოლოდ ერთი...

სტეპან არკადიჩი ანას დამფრთხალ გამომეტყველებაზე კვლავ მიხვდა, რომ ეს გამოსავალი სიკვდილი უნდა ყოფილიყო და აღარ დააცალა თქმა.

– სულაც არა, – უთხრა მან, – აბა, ყური დამიგდე. შენ ხომ შეგიძლია ისე დაინახო შენი მდგომარეობა, როგორც მე. ნება მომეცი, გულახდილად გითხრა ჩემი აზრი, – და სტეპან არკადიჩმა კვლავ დამშვიდებულად გაიღიმა, – თავიდან დავიწყებ: შენ ცოლად გაჰყევი ისეთ ადამიანს, რომელიც ოცი

წლით უფროსი იყო შენზე. უსიყვარულოდ გათხოვდი, ან გათხოვდი ისე, რომ არ იცოდი, რა იყო სიყვარული. დავუშვათ, ეს შეცდომა იყო.

– საშინელი შეცდომა! – თქვა ანამ.

– მაგრამ, ვიმეორებ, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტია. შემდეგ, ვთქვათ, თავს დაგატყდა უბედურება – შეგიყვარდა სხვა და არა შენი ქმარი. ეს უბედურებაა, მაგრამ ესეც უკვე მომხდარი ფაქტია. ქმარმა გაიგო ეს და მოგიტევა, – იგი ყოველი ფრაზის შემდეგ ჩერდებოდა, ელოდა, რას იტყოდა ანა, მაგრამ ანა ხმას არ იღებდა, – ეს ასეა. ახლა საკითხავი ის არის, შეგიძლია თუ არა, კვლავ იცხოვრო შენს ქმართან? გსურს თუ არა ეს? ან სურს თუ არა მას?

– მე არაფერი, არაფერი არ ვიცი.

– შენ ხომ თვითონვე თქვი, აღარ შემიძლია ამის ატანაო.

– არა, მე ეს არ მითქვამს. მე უარვყოფ ამას. მე არაფერი მესმის, არაფერი გამეგება.

– კი, მაგრამ...

– შენ არ შეგიძლია ამის გაგება. ასე მგონია, თითქოს თავდაყირა მივექანები სადღაც უფსკრულში, რომ თავს ვეღარ ვუშველი და არც შემიძლია.

– არაფერია. ჩვენ გაგიფენთ რამეს და ხელში აგიტაცებთ. მე მესმის შენი, მესმის, შენ არ გინდა, შენს თავზე იკისრო შენი სურვილისა და გრძნობების გამოთქმა.

– მე არაფერი მინდა, არაფერი... ოღონდაც მალე მოეღებოდეს ყველაფერს ბოლო.

– მაგრამ ის ხომ ხედავს ამას, ხომ ესმის და გგონია, შენზე ნაკლებად იტანჯება? შენც იტანჯები, ისიც იტანჯება, მერე, რა გამოვა აქედან? განქორწინებით კი ყველაფერს ეშველებოდა, – სტეპან არკადიჩმა ისე ვერ შეძლო ამ მთავარი აზრის გამოთქმა, რომ ძალა არ დაეტანებინა თავისათვის, და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა დას.

ანამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ უარის ნიშნად გააქნია თმაშეკრეჭილი თავი. მაგრამ მოულოდნელად წინანდელი სილამაზით გაბრწყინებულმა მისმა სახემ დაანახვა სტეპან

არკადიჩს, რომ ანას მხოლოდ იმიტომ არ უნდოდა განქორწინება, რომ ეს შეუძლებელ ბედნიერებად მიაჩნდა.

– მე თქვენ საშინლად მებრალებით და ძალიან ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ამ საქმეს როგორმე მოვაგვარებ, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ახლა უკვე გაბედულად გაუღიმა დას, – ნუ მეტყვი, ნურაფერს მეტყვი! ოღონდაც ღმერთმა მომცეს ძალა იმის სათქმელად, რასაც ვგრძნობ. მე წავალ მასთან.

ანამ ფიქრიანი, მოელვარე თვალით ახედა ძმას და არაფერი უთხრა.

XXII

სტეპან არკადიჩი თითქმის ისეთივე საზეიმო გამომეტყველებით შევიდა ალექსეი ალექსანდროვიჩის ოთახში, როგორც თავის საკრებულოში თავმჯდომარის სავარძელში ჩაეშვებოდა ხოლმე. ალექსეი ალექსანდროვიჩი ზურგზე ხელებდაწყობილი დადიოდა ოთახში და ისიც იმასვე ფიქრობდა, რაზედაც სტეპან არკადიჩი ელაპარაკებოდა მის ცოლს.

– ხელს ხომ არ გიშლი? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა და სიძის დანახვაზე მისთვის უჩვეულო შეკრთომა იგრძნო. და ეს შეკრთომა რომ დაეძლია, ჯიბიდან ახალნაყიდი საპაპიროსე ამოიღო, რომელიც ახალი ხერხით იღებოდა, ტყავი დაყნოსა და პაპიროსი ამოიღო.

– არა, გინდა რამე? – უხალისოდ უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– დიახ, მინდოდა... მე მინდა მო... დიახ, მინდა მოგელაპარაკო, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, გაოცებულმა იმით, რომ კვლავ ისეთივე, მისთვის უჩვეულო გამბედაობას გრძნობდა.

ეს გრძნობა იმდენად მოულოდნელი და უცნაური იყო, რომ სტეპან არკადიჩმა თავს ძალა დაატანა და დასძლია ეს გაუბედაობა.

– ვიმედოვნებ, ეჭვი არ შეგეპარება ანასადმი ჩემს სიყვარულში, ჩვენს გულწრფელ ურთიერთობასა და შენდამი პატივისცემაში, – დასძინა აწითლებულმა სტეპან არკადიჩმა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი შეჩერდა, არაფერი უპასუხა, მაგრამ სტეპან არკადიჩი გააოცა მისმა სახემ, რომელზედაც მორჩილი მსხვერპლის გამომეტყველება აღბეჭდილიყო.

– მე განზრახული მქონდა, მე მინდოდა მეთქვა შენთვის ჩემი დისა და თქვენი ურთიერთობის შესახებ, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაეძლია ეს მისთვის უჩვეულო გამბედაობა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ნაღვლიანად ჩაიცინა, ცოლისძმას გადახედა, მერე უსიტყვოდ მივიდა მაგიდასთან, დაუმთავრებელი ბარათი აიღო და ცოლისძმას გადასცა.

– მეც სულ მაგაზე ვფიქრობ. და აი, რა დავწერე, ვიფიქრე, რომ წერილობით უკეთ ვეტყოდი ყველაფერს, რადგან ჩემთან ყოფნა აღიზიანებს, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

სტეპან არკადიჩმა წერილი ჩამოართვა, გაოცებით შეხედა მის ჩამქრალ თვალებს, რომლებიც უძრავად მისჩერებოდნენ, და კითხვა დაიწყო.

„მე ვხედავ, რომ თქვენ გიმძიმთ ჩემთან ყოფნა. რაც უნდა მძიმე იყოს ჩემთვის ამის დაჯერება, მე ვხედავ, რომ ეს ასეა და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. მე თქვენ არ გადანაშაულებთ და ღმერთია მოწამე, როცა ავადმყოფი გიხილეთ, გულში ნამდვილად გადავწყვიტე, დავიწყებისათვის მიმეცა ყველაფერი, რაც ჩვენ შორის მოხდა და ახალი ცხოვრება დამეწყო. მე არ ვნანობ და არც არასოდეს ვინანებ იმას, რაც ჩავიდინე; მაგრამ მე მხოლოდ თქვენი სიკეთე, თქვენი სულის სიკეთე მინდოდა და ახლა ვხედავ, რომ ვერ მივაღწიე ამას. თქვენ თვითონვე მითხარით, რა მოგანიჭებთ ჭეშმარიტ ბედნიერებას და სულის სიმშვიდეს. მე მივენდობი მხოლოდ თქვენს ნებასა და სამართლიანობის გრძნობას“.

სტეპან არკადიჩმა უკანვე გადასცა წერილი, იგი ისეთივე გაოცებით შეჰყურებდა თავის სიძეს და არ იცოდა, რა ეთქვა. ეს დუმილი იმდენად უხერხული იყო ორივესთვის, რომ სტეპან არკადიჩს, როცა იგი მდუმარედ, თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა სახეში კარენინს, ავადმყოფურად აუთრთოლდა

ტუჩები.

– აი, რა მინდოდა მეთქვა მისთვის, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და სახე მოარიდა.

– დიახ, დიახ... – პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა სტეპან არკადიჩმა, რადგან ყელში ცრემლები ებჯინებოდა, – დიახ, მე მესმის თქვენი, – ძლივსღა თქვა მან ბოლოს.

– მე მინდა შევიტყო, რას მოითხოვს იგი, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– მე ვშიშობ, რომ ანა თვითონაც ვერ გარკვეულა თავის მდგომარეობაში. ის ვერ გამოდგება ამის მსაჯულად, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელმაც დასძლია მღელვარება, – ის დათრგუნვილია, სწორედ რომ დათრგუნვილია თქვენი დიდსულოვნებით. მან რომ ეს წერილი წაიკითხოს, ძალა აღარ ეყოფა რაიმეს სათქმელად და მხოლოდ უფრო დაბლა ჩაჰკიდებს თავს.

– ჰოდა, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევაში? როგორ ავუხსნა... როგორ შევიტყო მისი სურვილი?

– თუ ნებას მომცემ, გითხრა ჩემი აზრი, გეტყვი, რომ ეს შენზეა დამოკიდებული, შენ უნდა დაანახვო ის ღონისძიებანი, რომელნიც საჭიროდ მიგაჩნია, რათა ბოლო მოეღოს ამ მდგომარეობას.

– მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ამ მდგომარეობას? – შეაწყვეტინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – მაგრამ, როგორ? – დასძინა მან და რაღაც მისთვის უჩვეულო მოძრაობით მიიტანა თვალებთან ხელები, – არა მგონია, თავი დავაღწიოთ ამ მდგომარეობას.

– ყველა მდგომარეობას შეიძლება დააღწიო თავი, – უპასუხა გამოცოცხლებულმა სტეპან არკადიჩმა და ფეხზე წამოდგა, – იყო დრო, როცა შენ გინდოდა გაგეწყვიტა... თუ ახლაც დარწმუნდები, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ბედნიერება მიანიჭოთ ერთიმეორეს...

– ბედნიერება შეიძლება სხვადასხვანაირად გავიგოთ. მაგრამ დავუშვათ, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ, მე არაფერი მსურს. რა გამოსავალი არსებობს ჩვენი მდგომარეობიდან?

– თუ გინდა, ჩემი აზრი იცოდე, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და როგორც წეღან ანას, მასაც თავისებურად ტკბილად გაუღიმა. და ეს გულკეთილი ღიმილი იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩი, რომელმაც იგრძნო თავისი სისუსტე და დაემორჩილა მას, მზად იყო დაეჯერებინა ყველაფერი, რასაც სტეპან არკადიჩი ეტყოდა, – ანა ვერასოდეს გეტყვის ამას. მხოლოდ ერთი რამ არის შესაძლებელი, მხოლოდ ეს შეუძლია ისურვოს ანამ, – განაგრძო სტეპან არკადიჩმა, – ეს არის გაწყვეტა თქვენი ურთიერთობისა და ყველა ამასთან დაკავშირებული მოგონებისა. ჩემი აზრით, თქვენს მდგომარეობაში აუცილებელია ახალი ურთიერთობის გარკვევა, ეს ურთიერთობა კი შესაძლებელია დამყარდეს მხოლოდ ორივე მხარის თავისუფლების წყალობით.

– განქორწინება, – ზიზღით შეაწყვეტინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– დიახ, მე ვფიქრობ, განქორწინება. დიახ, განქორწინება, – გაიმეორა სტეპან არკადიჩმა და წამოწითლდა, – ეს ყოველმხრივ გონივრული გამოსავალია ცოლ-ქმრისათვის, როცა მათ ისეთი ურთიერთობა აქვთ, როგორიც თქვენ. აბა, რა უნდა ქნა, როცა ცოლი და ქმარი დარწმუნდებიან, რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია? ეს ყოველთვის შეიძლება მოხდეს, – ალექსეი ალექსანდროვიჩმა ღრმად ამოიოხრა და თვალები დახუჭა, – აქ მხოლოდ ერთი მოსაზრება არსებობს: სურს თუ არა ცოლს ან ქმარს მეორე ქორწინება? თუ არა, მაშინ ეს სულ უბრალო ამბავია, – თქვა სტეპან არკადიჩმა, რომელიც სულ უფრო და უფრო თავისუფლდებოდა უხერხულობის გრძნობისაგან.

მღელვარებისაგან სახეშეჭმუხნილმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა რაღაც ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ პასუხი კი არ მიუცია. ის, რაც სტეპან არკადიჩისათვის ასე იოლად გადასაწყვეტი იყო, ათასჯერ იფიქრა და ყოველთვის არათუ იოლად, შეუძლებლადაც კი მიიჩნია განქორწინება, რომლის შესახებაც უკვე დაწვრილებით ჰქონდა გაგებული ყველაფერი, ახლა სრულიად შეუძლებლად ეჩვენებოდა, რადგან საკუთარი ღირსების გრძნობა და რელიგიისადმი პატივისცემა ნებას არ აძლევდა, თავის თავზე მიეღო დანაშაული და ეღიარებინა ფიქციური მრუშობა, კიდევ უფრო შეუძლებლად ეჩვენებოდა, რომ ცოლი, რომელიც უყვარდა და

რომელსაც აპატია ყველაფერი, საქვეყნოდ გამოეყვანა და გაეკიცხა. განქორწინება შეუძლებლად მიაჩნდა მას აგრეთვე სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

რა ბედი ეწევა მის შვილს განქორწინების შემდეგ? შეუძლებელი იყო დედასთან მისი დატოვება. განქორწინებულ დედას ექნება თავისი არაკანონიერი ოჯახი, სადაც ეჭვი არ არის, გერის მდგომარეობა და აღზრდა ცუდი იქნება. დაიტოვოს თავისთან შვილი? მან იცოდა, რომ ეს შურისძიება იქნებოდა, ეს კი არ უნდოდა. მაგრამ ახლა ალექსეი ალექსანდროვიჩს ყველაზე მეტად განქორწინება იმიტომ ეჩვენებოდა შეუძლებლად, რომ განქორწინებაზე თანხმობის მიცემით დაღუპავდა ანას. მას გულში ჩარჩა მოსკოვში დარია ალექსანდროვნას მიერ ნათქვამი სიტყვები, განქორწინებით მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავთ და იმას კი აღარ უფიქრდებით, რომ ანა სამუდამოდ იღუპებაო. ეს სიტყვები დაუკავშირა პატიების გრძნობას, ბავშვებთან შეთვისებას და ახლა თავისებურად გაიგო ამის მნიშვნელობა. განქორწინებაზე დათანხმება და ანასათვის თავისუფლების მიცემა, მისი გაგებით, იგივე იყო, თავისი თავისთვის მოესპო ის უკანასკნელი რამ, რაც კიდევ აკავშირებდა ბავშვების ცხოვრებასთან, ესე იგი მოსცილებოდა საყვარელ ბავშვებს, ხოლო ანასთვის გამოეცალა უკანასკნელი დასაყრდენი ამ სიკეთის გზაზე და დაეღუპა იგი. ალექსეი ალექსანდროვიჩმა იცოდა, რომ როცა ანა განქორწინებული ცოლი იქნებოდა, აუცილებლად შეუერთდებოდა ვრონსკის, ეს კი უკანონო, დანაშაულებრივი კავშირი იქნებოდა, რადგან საეკლესიო კანონის ძალით ცოლს ქმრის სიცოცხლეში არა აქვს ქორწინების უფლება. „ანა ვრონსკის გაჰყვება, ერთი-ორი წლის შემდეგ კი ან თვით ვრონსკი მიატოვებს, ან ანა დაუკავშირდება სხვას, – ფიქრობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – და მე რაკი დავეთანხმები ამ უკანონო განქორწინებას, დამნაშავე გავხდები მისი დაღუპვისა“. ყოველივე ეს მრავალჯერ ნაფიქრი ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ განქორწინება არათუ იოლი იყო, როგორც მისი ცოლისძმა ამბობდა, არამედ სავსებით შეუძლებელიც. მას არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა სტეპან არკადიჩისა, თითოეულ მის სიტყვაზე ათასი საწინააღმდეგო საბუთი ჰქონდა, მაგრამ მაინც უსმენდა, გრძნობდა, რომ მისი სიტყვები გამოხატავდა იმ ძლევამოსილ უხეშ ძალას, რომელიც ხელმძღვანელობდა მის ცხოვრებას და რომელსაც უნდა

დამორჩილებოდა.

– საკითხავი მხოლოდ ის არის, როგორ პირობებში დათანხმდები განქორწინებას. ანა არაფერს თხოულობს, ვერ ბედავს თხოვნას და მთლიანად ენდობა შენს დიდსულოვნებას.

„ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რის გულისათვის?“ – გაიფიქრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და გაიხსენა განქორწინების ისეთი შემთხვევა, როცა მთელ დანაშაულს ქმარი კისრულობს, და სირცხვილისაგან სახეზე ხელები აიფარა ისე, როგორც ჰქონდა ხელები აფარებული ვრონსკის.

– შენ აღელვებული ხარ, ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ თუ ჩაუფიქრდები...

„მარჯვენა ლოყაში რომ გაგარტყან, მარცხენაც მიუშვირე, ხიფთანი რომ გაგაძრონ, პერანგიც თან მიაყოლე“, – გაიფიქრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– დიახ, დიახ, – თავისებური წვრილი ხმით წამოიძახა მან, – მე ჩემს თავზე ვიღებ სირცხვილს, შვილსაც მას მივცემ, მაგრამ... მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, თავი დაგვენებებინა ამისათვის? თუმცა გააკეთე, რაც გინდა...

და ალექსეი ალექსანდროვიჩმა გვერდი შეაქცია ცოლისძმას, ფანჯრის წინ სკამზე ჩამოჯდა, ისე, რომ სტეპან არკადიჩს ვერ დაენახა მისი სახე. იგი იტანჯებოდა, რცხვენოდა, მაგრამ ამ ტანჯვასა და სირცხვილთან ერთად სიხარულსა და გულაჩვილებასაც გრძნობდა თავისი მორჩილების სიდიადის წინაშე.

სტეპან არკადიჩს გული აუჩუყდა. რამდენიმე ხანს ხმა აღარ ამოუღია.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, დამიჯერე, ანა დააფასებს შენს დიდსულოვნებას, – უთხრა მან, – ჩანს, ასეთი იყო ღვთის ნება, – დასძინა მან და როგორც კი ეს თქვა, მაშინვე იგრძნო, რა სისულელეს ამბობდა, და ძლივსღა შეიკავა ღიმილი თავის სისულელეზე.

ალექსეი ალექსანდროვიჩს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ცრემლებმა ნება არ მისცა.

– ეს საბედისწერო უბედურებაა და უნდა გაუძლო. მე ეს უბედურება უკვე მომხდარ ფაქტად მიმაჩნია და ვცდილობ, დაგეხმარო შენცა და იმასაც, – უთხრა სტეპან არკადიჩმა.

სტეპან არკადიჩი აღელვებული იყო, როცა სიძის ოთახიდან გამოვიდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა კმაყოფილება ეგრძნო იმის გამო, რომ საქმე წარმატებით დააგვირგვინა. დარწმუნებული იყო, ალექსეი ალექსანდროვიჩი უკან აღარ წაიღებდა თავის სიტყვას. ამ სიამოვნებას თან ერთვოდა იმის ფიქრი, რომ, როცა ამ საქმეს დაამთავრებდა, ცოლსა და სხვა ახლობლებს შეეკითხებოდა: „რა განსხვავებაა ჩემსა და ხელმწიფეს შორის? მეფე ახდენს განქორწინებას? მაგრამ ამით არავინ შეღავათს არ გრძნობს, მე კი განქორწინებას მოვახდენ და სამი ადამიანი მოითქვამს სულს... ან რა მსგავსებაა ჩემსა და ხელმწიფეს შორის? როცა... თუმცა უფრო უკეთეს რამეს მოვიფიქრებ“, – ღიმილით ჩაილაპარაკა მან.

XXIII

ვრონსკის ჭრილობა საშიში იყო, თუმცა ტყვია გულს ასცდა. რამდენიმე დღეს სიკვდილ-სიცოცხლის შუა იყო. როცა მან პირველად ხმის ამოღება შეძლო, ოთახში მხოლოდ მისი ძმის ცოლი, ვარია იმყოფებოდა.

– ვარია! – თქვა ვრონსკიმ და მკაცრად ახედა მას, – მე შემთხვევით დავიჭერი. გეთაყვა, ნურასოდეს ნურაფერს იტყვი ამაზე, სხვებსაც ასე გადაეცი, თორემ ეს მეტისმეტი სისულელეა!

ვარიამ პასუხი არ გასცა, ავადმყოფისაკენ დაიხარა და გახარებული ღიმილით ჩააცქერდა სახეში. ვრონსკის თვალები დასწმენდოდა, არც სიცხე ეტყობოდა, მაგრამ გამომეტყველება კი მკაცრი ჰქონდა.

– ოჰ, მადლობა ღმერთს! – თქვა მან, – აღარ გტკივა?

– აქ მტკივა ცოტა, – უჩვენა მკერდზე.

– მომეცი, შეგიხვევ.

მან მდუმარედ შეკუმშა განიერი ყვრიმალები და ისე უყურებდა ვარიას, სანამ შეხვევას გაათავებდა. როცა შეხვევა გაათავა, ვრონსკიმ უთხრა: – მე არ ვბოდავ, თუ შეიძლება, მოახერხე ისე, რომ ლაპარაკი არ ატყდეს, თითქოს განზრახ ვიკლავდი თავს.

– არავინ არაფერს ამბობს. მხოლოდ იმედი მექნება, კვლავ აღარ გაისვრი ასე შემთხვევით, – ღიმილით უთხრა მან და გამომცდელი თვალით შეხედა.

– ალბათ, აღარ ვიზამ, მაგრამ უკეთესი იქნებოდა... – და მან მწუხარედ ჩაიცინა.

მაგრამ მიუხედავად ამ სიტყვებისა და ღიმილისა, ვრონსკიმ, როგორც კი ანთებამ გაუარა და გამოკეთება დაიწყო, იგრძნო, რომ თავისი დარდის ერთი ნაწილი საბოლოოდ მოიშორა. ამ საქციელით მან თითქოს ჩამოირეცხა ის სირცხვილი და დამცირება, რომელსაც აქამდე გრძნობდა. ახლა მას უკვე დამშვიდებით შეეძლო ეფიქრა ალექსეი ალექსანდროვიჩზე, აღიარებდა მის დიდსულოვნებას და მის წინაშე დამცირებულად აღარ გრძნობდა თავს. ამასთან, იგი უკვე ჩადგა თავისი ძველი ცხოვრების კალაპოტში. ახლა უკვე შეეძლო თვალი გაესწორებინა ყველასთვის ისე, რომ სირცხვილი არ ეგრძნო, შეეძლო ეცხოვრა ჩვეულებრივი ცხოვრებით. ერთი რამ, რისი ამოღებაც ვერ შეძლო გულიდან, მიუხედავად იმისა, რომ სულ ებრძოდა ამ გრძნობას, იყო სასოწარკვეთილი სინანული იმისა, რომ სამუდამოდ დაკარგა ანა. ახლა, როცა საბოლოოდ გამოისყიდა დანაშაული ქმრის წინაშე, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უარი ეთქვა ანაზე და ამიერიდან არასოდეს ჩამდგარიყო ანას, მის მონანიებასა და მის ქმარს შორის... მაგრამ ვერ ამოიგლიჯა გულიდან სინანული იმის გამო, რომ დაკარგა ანას სიყვარული, ვერ შეძლო წაეშალა მეხსიერებაში ანასთან განცდილი ბედნიერების წუთები, რომელთაც მაშინ ნაკლებად აფასებდა, ახლა კი მთელი თავისი მშვენიერებით თან სდევდნენ და მოსვენებას უკარგავდნენ.

სერპუხოვსკოიმ მისი ტაშკენტში დანიშვნა მოიფიქრა და ვრონსკი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე დაეთანხმა ამ წინადადებას. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა წასვლის დრო, მით მძიმე ხდებოდა მისთვის იმ მსხვერპლის გაღება, რომელიც

სავალდებულოდ მიიჩნია.

ვრონსკის ჭრილობა მოუშუშდა, ახლა უკვე გამოდიოდა გარეთ და ტაშკენტში წასასვლელად ემზადებოდა.

„ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მაჩვენა და მერე თუნდ მოვკვდე, აღარ ვჩივი“, – ფიქრობდა ვრონსკი და ეს უთხრა ბეტსისაც, როცა გამოსამშვიდობებლად მივიდა მასთან. ბეტსიმაც ინახულა ანა, მაგრამ უარი მოუტანა მისგან.

„მით უკეთესი, – გაიფიქრა ვრონსკიმ, როცა ეს ამბავი შეიტყო, – ეს იქნებოდა სისუსტე, რომელიც მსხვერპლად შეიწირავდა ჩემს უკანასკნელ ძალას“.

მეორე დღეს, დილით, თვით ბეტსი მივიდა მასთან და შეატყობინა, რომ ანამ ობლონსკის მეშვეობით თანხმობა მიიღო ქმრისაგან, ალექსეი ალექსანდროვიჩი თანახმაა განქორწინებაზე და ვრონსკისაც უკვე შეუძლია მისი ნახვა.

ვრონსკის ისიც არ გახსენებია, გაეცილებინა სახლიდან ბეტსი, დაავიწყდა თავისი გადაწყვეტილებაც, არც უკითხავს, როდის შეიძლებოდა მისვლა ან სად იყო ქმარი, იმავ წუთს გაეშურა კარენინებისაკენ. ისე აირბინა კიბე, არც არავინ დაუნახავს, არც არაფერი შეუნიშნავს, ჩქარი ნაბიჯით გასწია ანას ოთახისაკენ და თითქმის სირბილით შეიჭრა ანასთან. არც დაუნახავს იყო თუ არა ოთახში ვინმე, არც უფიქრია ამაზე, გადაეხვია ანას და კოცნით დაუფარა სახე, ხელები, ყელი.

ანა ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის, სულ ფიქრობდა. რა უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა. ვრონსკის ვნებამ ისიც აიტაცა. ანა ცდილობდა დაემშვიდებინა ვრონსკი. დაემშვიდებინა საკუთარი თავი, მაგრამ გვიანღა იყო. ვრონსკის გრძნობიერება ანასაც გადაედო. ტუჩები ისე უთრთოდა, რომ დიდხანს ვერაფრის თქმა ვერ შეძლო.

– დიახ, შენ მე უკვე დამიმორჩილე და მე შენი ვარ, – თქვა ანამ ბოლოს და გულში ჩაიკრა მისი ხელი.

– ეს ასეც უნდა ყოფილიყო! – უპასუხა ვრონსკიმ, – სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ეს ასე უნდა იყოს. მე ახლა უკვე მჯერა ეს.

– ეს მართალია, – ეუბნებოდა ანა, სულ უფრო ეკარგებოდა ფერი და მკერდში იკრავდა ვრონსკის თავს, – მაგრამ ამაში არის რაღაც საშინელება, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა.

– ყველაფერი გაივლის, ყველაფერი და ჩვენ კვლავ ბედნიერები ვიქნებით! ჩვენი სიყვარული, მისი გაძლიერება რომ შეიძლებოდეს, იმით იქნებოდა ძლიერი, რომ ამ სიყვარულში არის რაღაც საშინელი, – თქვა ვრონსკიმ, თავი ასწია, გაუღიმა და მაგარი, თეთრი კბილები გამოაჩინა.

და ანასაც არ შეეძლო ღიმილითვე არ ეპასუხა ამ სიტყვებისთვის კი არა, მისი სიყვარულით სავსე თვალებისათვის. ანამ ხელი მოჰკიდა მის ხელს და გაყინულ ლოყებსა და შეკრეჭილ თმაზე გადაისვა.

– ვეღარ მიცნიხარ ამ შეკრეჭილი თმით. შენ ისე დამშვენებულხარ, პატარა ბიჭს ჰგავხარ. მაგრამ რატომ ხარ ასე ფერმკრთალი?

– ჰო, მე ძალიან სუსტად ვარ, – ღიმილით უპასუხა ანამ და ისევ აუთრთოლდა ტუჩები.

– ჩვენ იტალიაში წავალთ, იქ გამოკეთდები, – უთხრა ვრონსკიმ.

– ნუთუ ეს შესაძლებელია?! ნუთუ შეიძლება, ჩვენ ცალკე, ცოლ-ქმარივით ვიცხოვროთ ჩვენი ოჯახით? – უთხრა ანამ და თვალებში ჩახედა ვრონსკის.

– მე მხოლოდ ის მაოცებდა, როგორ შეიძლებოდა ოდესმე სხვანაირად ყოფილიყო ეს?

– სტივა ამბობს, რომ იგი ყველაფერზე თანახმაა, მაგრამ მე არ შემიძლია მივიღო მისი დიდსულოვნება, – თქვა ანამ და ფიქრიანი თვალები აარიდა ვრონსკის, – მე არ მინდა განქორწინება. ახლა სულერთია ჩემთვის ყველაფერი, მხოლოდ არ ვიცი, სერიოჟაზე რას გადაწყვეტს.

ვრონსკის ვერაფრით გაეგო, ასეთ წუთებში ანას როგორ შეეძლო ეფიქრა, ეხსენებინა შვილი, განქორწინება. ნუთუ ეს სულერთი არ იყო?

– ნურაფერს იტყვი ამაზე, ნუ იფიქრებ, – ეუბნებოდა ვრონსკი, მის ხელს თავის ხელში ატრიალებდა და უნდოდა, თავისკენ მიეპყრო ანას ყურადღება, მაგრამ ანა მაინც არ უყურებდა მას.

– აჰ, რატომ არ მოვკვდი, უკეთესი იქნებოდა, – თქვა ანამ და კი არ ატირებულა, ისე ჩამოუგორდა ლოყებზე ცრემლები, თან

გაღიმებას ცდილობდა, რომ ვრონსკის არ სწყენოდა.

ვრონსკის აქამდე სამარცხვინოდ და შეუძლებლად მიაჩნდა უარის თქმა ტაშკენტში სახიფათო დანიშვნაზე. ახლა კი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, მაშინვე უარი განაცხადა წასვლაზე და როცა შენიშნა, უფროსებს არ მოეწონათ მისი საქციელი, უმალვე მიატოვა სამსახური.

ერთი თვის შემდეგ ალექსეი ალექსანდროვიჩი მარტო დარჩა სახლში თავის ვაჟიშვილთან ერთად, ვრონსკი და ანა კი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ, ისე, რომ ანას განქორწინება არ მიუღია და გადაჭრით უარი თქვა ამაზე.

[1] (იტალ.) ჩემო საუნჯევ.

[2] (ფრანგ.) პარტია.

[3] (ინგლ.) დათვის ბელი.

[4] (ფრანგ.) ბრინჯის პუდრი და სატუალეტო ძმარი.

[5] (ფრანგ.) ზვიადი მანდილოსანი.

[6] (გერმ.) დიდებულია, თუ მე დავძლიე

ამქვეყნიური ჩემი ვნებანი, მაგრამ თუკი ეს ვერ შევიძელი, ნეტარება ხომ მაინც ვიგემე!

[7] (ფრანგ.) სირცხვილი მას, ვინც ამას ცუდად განმარტავს.

[8] (ინგლ.) ჩემს კომპეტენციაში არ შემოდის.

[9] (ფრანგ.) ცოლისდა.

[10] (ფრანგ.) კვლავ გრძელდება შენი იდეალური სიყვარული. მით უკეთესი, ჩემო კარგო, მით უკეთესი.

[11] (ფრანგ.) სიზუსტე.

[12] (ფრანგ.) პირდაპირ.

[13] (ფრანგ.) დიდი წრე.

[14] (ფრანგ.) ჯაჭვი.

[15] (ფრანგ.) მშვენიერი!

[16] (ინგლ.) ჩონჩხები, გადატანითი მნიშვნელობით – ფარული უსიამოვნება.

[17] (ფრანგ.) რძალი.

[18] (ფრანგ.) ჰერცოგი დე ლილი, „ჯოჯოხეთის პოეზია“.

[19] (ფრანგ.) ძველი საქსონური ფაიფური.

[20] (ფრანგ.) გავუგოთ ერთმანეთს.

[21] (ფრანგ.) გისურვებთ წარმატებას.

[22] (ფრანგ.) თავზე ხელაღებული.

[23] (ფრანგ.) ვარდისფერი ეშმაკის.

[24] მინანქრიანი ქაშანური.

[25] (ინგლ.) დამცინავს.

[26] (ფრანგ.) რაში გამოიხატება მისი გონებამახვილობა.

[27] (გერმ.) თავადი შჩერბაცკი ცოლითა და ქალიშვილით.

[28] (გერმ.) საკურორტო სია.

[29] (ფრანგ.) რძალი.

[30] (ფრანგ.) გატაცებანი.

[31] (ფრანგ.) ვინმეს მფარველობაში მყოფი პირი.

[32] (ფრანგ.) თანამგზავრი ქალი.

[33] (ფრანგ.) არასოდეს არაფერში არ უნდა გადააჭარბო.

[34] (ფრანგ.) ამას რაღა ლაპარაკი უნდა.

[35] ერთ-ერთი მიმდინარეობა ლუთერანულ ეკლესიაში, წარმოიშვა XVII საუკუნეში.

[36] (გერმ.) თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენო უგანათლებულესობავ.

[37] (გერმ.) მუშაობით მკურნალობა.

[38] (ფრანგ.) იმპულსური, რომელსაც მიდრეკილება აქვს პირველი გულისწადილის გავლენით იმოქმედოს.

[39] (ინგლ.) „ცოტა კიდევ, გეთაყვა“.

[40] (ფრანგ.) სასაცილო.

[41] (ლათ.) წინანდელი მდგომარეობა.

[42] (ფრანგ.) ამ ქვეყნის შვიდი სასწაული.

[43] (ინგლ.) სასიამოვნო საუბარი გვექნება.

[44] (ფრანგ.) რეცხვა.

[45] (ფრანგ.) ყოველივე ეს სისულელეა.

[46] (ფრანგ.) ამას არ უნდა დიდი ეშმაკობა.

[47] (ფრანგ.) მოქმედების თავისუფლება.

[48] (ფრანგ.) ტვირთი.

[49] (ფრანგ.) ჩვეულებრივი საქმე.

[50] (ლათ.) სუფთა დაფა, ე. ი. წაშლა მთელი წარსულისა.

[51] (ინგლ.) იჯარადარები.

[52] (ფრანგ.) რკინა უნდა გამოკვერო, დაწნეხო, მოგრიხო...

[53] (ფრანგ.) ფაქტის დადასტურება.

[54] (ფრანგ.) მთავარი კერძი.

[55] (ფრანგ.) სიძეს.

[56] (ფრანგ.) პირდაპირ ვთქვათ.

[57] (ლათ.) „ღმერთი რომ ვინმეს დაღუპვას განიზრახავს, პირველად გონებას წაართმევს“.

[58] (ფრანგ.) გავლენა.

[59] (ინგლ.) ბავშვი.

ლევ ტოლსტოი
ანა კარენინა (ტომი II)

ლარისა ტიტვინიძისა და თამარ საყვარელიძის თარგმანი

ნაწილი მეხუთე

I

ქალბატონ შჩერბაცკაიას აზრით, ქორწილის გადახდა დიდმარხვამდე შეუძლებელი იყო, რადგან მანამდე ხუთი კვირაღა რჩებოდა და ამ დროისთვის ნახევარი მზითვის მომზადებასაც ვერ მოასწრებდნენ. მაგრამ შეუძლებელი იყო, არ დასთანხმებოდა ლევინს, რომ დიდმარხვის შემდეგ ქორწილი მეტისმეტად დაგვიანდებოდა, რადგან თავად შჩერბაცკის მოხუცი მამიდა ძლიერ ავად იყო, შეიძლება მალე გარდაცვლილიყო კიდეც და მაშინ გლოვა კიდევ შეაფერხებდა ქორწილს. ამიტომაც თავადის მეუღლემ გადაწყვიტა, მზითევი ორ ნაწილად გაეყო – დიდი და მცირე მზითევი – და დასთანხმებოდა, რომ ქორწილი დიდმარხვამდე გადაეხადათ. მცირე მზითევი მთლიანად ახლავე უნდა მოემზადებინა, დანარჩენი კი შემდეგ გაეგზავნა და ძალიან ბრაზობდა ლევინზე, რადგან მისგან ვერასგზით ვერ მიიღო სერიოზული პასუხი, თანახმა იყო თუ არა ამაზე. ეს მოსაზრება მით უფრო გონივრული იყო, რომ ახალგაზრდები ჯვრისწერისთანავე მიემგზავრებოდნენ სოფლად, სადაც დიდი მზითვის ნივთები მათთვის საჭირო არ იქნებოდა.

ლევინი კვლავ შეშლილივით იყო და ეგონა, ყოველივე ამქვეყნად არსებულის მთავარ და ერთადერთ მიზანს ის და მისი ბედნიერება შეადგენს, რომ ახლა არაფერზე ფიქრი და

ზრუნვა არ სჭირდება, მისთვის ყველაფერს სხვები აკეთებენ და გააკეთებენ კიდევ. მას არც ჰქონდა რაიმე გეგმები და მიზნები მომავალი ცხოვრებისთვის. ამის გადაწყვეტასაც სხვებს ანდობდა, რადგან წინასწარ იცოდა, ყველაფერი მშვენივრად მოეწყობოდა. მისი ძმა სერგეი ივანოვიჩი, სტეპან არკადიჩი და თავადის მეუღლე ხელმძღვანელობდნენ ლევინს, ასწავლიდნენ, რა იყო მისთვის საჭირო: იგი მხოლოდ სრულ თანხმობას აცხადებდა ყველაფერზე, რასაც შესთავაზებდნენ. ძმამ ფული ისესხა მისთვის, თავადის მეუღლემ ქორწილის შემდეგ მოსკოვიდან წასვლა ურჩია, სტეპან არკადიჩმა კი საზღვარგარეთ გამგზავრება შესთავაზა. ლევინი ყველაფერზე თანახმა იყო. „გააკეთეთ, რაც გენებოთ, თუკი ეს სიამოვნებას განიჭებთ. მე ბედნიერი ვარ და ჩემს ბედნიერებას, რაც უნდა გააკეთოთ, არც არაფერი მოემატება და არც არაფერი დააკლდება“, – ფიქრობდა იგი. როცა ლევინმა კიტის გაუზიარა სტეპან არკადიჩის რჩევა საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე, მეტისმეტად გააოცა ამ ამბავმა, რომ კიტი არ დათანხმდა – მას უკვე ჰქონდა თავისი მოსაზრებანი მათ მომავალ ცხოვრებაზე. კიტიმ იცოდა, რომ ლევინს სოფელში ელოდა თავისი საყვარელი საქმე. მას, როგორც ლევინიც ამჩნევდა, არათუ არაფერი ესმოდა ამ საქმისა, არც უნდოდა ამის გაგება, თუმცა ეს გარემოება სრულიადაც არ უშლიდა ხელს, ლევინის საქმე დიდმნიშვნელოვნად მიეჩნია. ამიტომაც, რაკი იცოდა, რომ მათი სახლი სოფელში იქნებოდა, სურვილი ჰქონდა წასულიყო არა საზღვარგარეთ, სადაც არ აპირებდა ცხოვრებას, არამედ იქ, სადაც მისი სახლი იქნებოდა. ამ გარკვევით გამოთქმულმა მოსაზრებამ განაცვიფრა ლევინი, მაგრამ რაკი მისთვის სულერთი იყო, მაშინვე სთხოვა სტეპან არკადიჩს – ისე თითქოს მის მოვალეობას შეადგენდა – წასულიყო სოფელში და თავისი ესოდენ მოჭარბებული გემოვნებით მოეწყო ყველაფერი ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა.

– აბა, ერთი ყური დამიგდე, – უთხრა ერთხელ ლევინს სტეპან არკადიჩმა, რომელიც უკვე ჩამოსულიყო სოფლიდან, სადაც ყველაფერი მოეწყო ახალჯვარდაწერილთა მისაღებად, – გაქვს თუ არა აღსარების მოწმობა?

– არა მაქვს. მერე რა?

– უამისოდ შეუძლებელია ჯვრისწერა.

– უჰ, უჰ, უჰ! – წამოიძახა ლევინმა, – მგონი, უკვე მეცხრე წელია, აღარ ვზიარებულვარ. არც მიფიქრია ამაზე.

– კარგი ვინმეც ბრძანებულხარ! – სიცილით უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მე რაღად მეძახი ნიჰილისტს! მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, უნდა მოემზადო საზიარებლად!

– როდისღა? მხოლოდ ოთხი დღე დარჩა.

სტეპან არკადიჩმა ესეც მოუხერხა. ლევინიც შეუდგა სამზადისს. მისთვის, როგორც არამორწმუნე, მაგრამ სხვისი რწმენის პატივისმცემელი ადამიანისთვის, მეტად მძიმე იყო, მონაწილეობა მიეღო და დასწრებოდა საეკლესიო ცერემონიებს, ახლა, როცა ასეთი მგრძნობიარე და კეთილად განწყობილი იყო ყველაფრისადმი, არათუ მძიმე ასატანი იყო ეს თვალთმაქცობა, სრულიად შეუძლებლადაც კი მიაჩნდა. ასეთი დიდებისა და ბედნიერების ჟამს იძულებული ხდებოდა, ტყუილი ეთქვა ან ეთვალთმაქცა. ლევინი გრძნობდა, რომ არც ერთის და არც მეორის გაკეთება არ შეეძლო. რამდენჯერ ჰკითხა სტეპან არკადიჩს, იქნებ შესაძლებელი იყოს ცნობის აღება ისე, რომ არ ვეზიაროო. მაგრამ სტეპან არკადიჩმა განუცხადა, ეს ყოვლად შეუძლებელიაო.

– რა დიდი ამბავი ეს არის – ორი დღის საქმეა! მღვდელიც ისეთი კარგი და ჭკვიანი მოხუცია. ისე ამოგაძრობს ამ კბილს, ვერ გაიგებ.

როცა ლევინი პირველ წირვას ისმენდა, ცდილობდა, აღედგინა ის ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობები, სიჭაბუკეში – თექვსმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე რომ განიცდიდა. მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, რომ ეს მისთვის სრულიად შეუძლებელი იყო. შემდეგ შეეცადა, ისე შეეხედა ამისთვის, როგორც უბრალო, სრულიად უმნიშვნელო ჩვეულებისთვის, მაგალითად, როგორც დარბაზობას მიიჩნევდა; მაგრამ იგრძნო, რომ ესეც არასგზით არ შეუძლია. ლევინის დამოკიდებულება რელიგიისადმი, ისე როგორც მის თანამედროვეთა უმრავლესობისა, სრულიად გაურკვეველი იყო. მას არ შეეძლო ერწმუნა, მაგრამ ამასთან არც იმაში იყო მტკიცედ დაჯერებული, რომ ყოველივე უმართებულო იყო. ამიტომ, რადგან არ შეეძლო ერწმუნა მნიშვნელობა იმისა, რასაც სჩადიოდა და არ შეეძლო გულგრილად შეეხედა ამისთვის, როგორც უბრალო ფორმალობისთვის, მთელი ზიარების

განმავლობაში უხერხულობასა და სირცხვილს გრძნობდა, რადგან აკეთებდა იმას, რაც თვითონაც არ ესმოდა და, როგორც შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რაღაც სიყალბესა და ცუდს სჩადიოდა.

წირვის დროს ლევინი ხან ყურს უგდებდა ლოცვებს და ცდილობდა მათთვის ისეთი მნიშვნელობა მიეცა, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა მის შეხედულებებს, ხან კი, როცა იგრძნობდა, რომ არ ძალუძს ამ ლოცვების გაგება და უნდა დაიწყოს განსჯა, ცდილობდა, სულ არ დაეგდო მათთვის ყური და გაჰყოლოდა საკუთარ ფიქრებს, დაკვირვებებსა და მოგონებებს, რომელნიც განსაკუთრებული სიცხოველით უტრიალებდნენ თავში ეკლესიაში ამ უქმად დგომის დროს.

ლევინმა მოისმინა წირვა და მწუხრის ლოცვა. მეორე დილით კი ჩვეულებრივზე ადრე ადგა და ჩაიც არ დაულევია, ისე გასწია ეკლესიისკენ. დილის რვა საათზე უკვე ეკლესიაში იდგა, რათა ცისკრის ლოცვა მოესმინა და აღსარებაც ეთქვა.

ეკლესიაში არავინ იყო, გარდა ერთი მათხოვარი სალდათისა, ორი ბებერი დედაკაცისა და ეკლესიის მსახურებისა.

ლევინს წინ შემოეგება ახალგაზრდა დიაკვანი, მაშინვე კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდასთან მიიყვანა და სჯულის კანონების კითხვას შეუდგა. დიაკვანს თხელი შესამოსლის ქვევით გარკვევით მოუჩანდა შუაზე გაყოფილი, აქეთ-იქით ამოზნექილი, ჩაგრძელებული ზურგი. კითხვის დროს, განსაკუთრებით კი ერთი და იმავე სიტყვების „უფალო, შეგვიწყალეს“ სწრაფი და ხშირი განმეორებისას, რომელიც ისე გაისმოდა, როგორც „წყალე, წყალეო“, ლევინი გრძნობდა, რომ მისი აზრები ჩაკეტილი და ჩაბეჭდილი იყო, რომ ახლა ხელი არ უნდა შეეხო მათთვის, ოდნავადაც არ უნდა შეერხია, თორემ ყველაფერი ერთმანეთში აერეოდა და ამიტომ დიაკვნის უკან გაჩერებული, ყურს უგდებდა, არ ცდილობდა ჩასწვდომოდა აზრს და ისევ თავის ფიქრს განაგრძობდა. „რა საოცრად მრავლისმეტყველია კიტის ხელი“, – ფიქრობდა ლევინი, როცა იგონებდა, როგორ ისხდნენ გუშინ ის და კიტი კუთხეში, მაგიდასთან, სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ დროს, და კიტიმ მაგიდაზე დადო თავისი ხელი, ხან მოკუმშავდა, ხან გაშლიდა და საკუთარი ხელის მოძრაობას რომ უყურებდა, თვითონვე ეცინებოდა. ლევინმა გაიხსენა, როგორ აკოცა ამ ხელს და

შემდეგ როგორ დაუკვირდა თავმოყრილ ხაზებს მის ვარდისფერ ხელისგულზე. „ისევ წყალე“, – გაიფიქრა ლევინმა, თან პირჯვარს იწერდა, წელში იხრებოდა და უყურებდა, წელში მოხრისას როგორ მოქნილად ერხეოდა ზურგი დიაკვანს. „შემდეგ კიტიმ ჩემი ხელი აიღო და დაუკვირდა ხაზებს. კარგი ხელი გაქვსო, მითხრა, – და ლევინმა ხელზე დაიხედა, მერე დიაკვნის მოკლე ხელს გახედა, – ჰო, ახლა მალე გათავდება, – ფიქრობდა ლევინი, – არა, მგონი, ისევ თავიდან იწყებს, – გაიფიქრა მან, როცა ყური მიუგდო ლოცვებს, – არა, მთავრდება: აი, მიწამდე დაიხარა, ეს კი ყოველთვის წინ უძღვის ხოლმე დამთავრებას“.

დიაკვანმა ანაოჭებული სახელოდან ხელი გამოყო, შეუმჩნევლად ჩამოართვა ლევინს სამმანეთიანი ქაღალდის ფული, უთხრა, ჩაგწერო, შემდეგ დაცარიელებული საყდრის ფილაქანზე მკვირცხლად გაიბაკუნა ახალი ჩექმით და საკურთხეველში მიიმალა. ერთი წუთის შემდეგ დიაკვანმა საკურთხევლიდან გამოიხედა და ხელი დაუქნია. კვლავ ამოძრავდნენ ამდენ ხანს გონებაში ჩაკეტილი აზრები, მაგრამ ლევინმა სწრაფად მოიცილა თავიდან ეს აზრები, როგორმე მოგვარდებაო, გაიფიქრა და ამბიონისაკენ გასწია. საფეხურები აიარა, მარჯვნივ მოუხვია და დაინახა კიდეც მღვდელი. იგი საწიგნესთან იდგა და კურთხევანს ფურცლავდა. მღვდელს ჭაღარაშერეული თხელი წვერი და მოქანცული, კეთილი გამოხედვა ჰქონდა, მან ოდნავ შესამჩნევი სალამი მისცა ლევინს და მაშინვე ჩვეული ხმით ლოცვანის კითხვას შეუდგა. ლოცვების კითხვას რომ მორჩა, მიწამდე თავი დახარა და პირი ლევინისაკენ მიიბრუნა.

– აქ უხილავად სუფევს ქრისტე, რათა ყურად იღოს აღსარება თქვენი, – უთხრა და ჯვარცმაზე მიუთითა, – გწამთ თუ არა ყოველივე, რასაც წმინდა სამოციქულო ეკლესია გვასწავლის? – განაგრძო მღვდელმა, თვალი აარიდა ლევინის სახეს და ხელები ოლარის ქვეშ შემალა.

– მე ეჭვი მეპარებოდა და ახლაც ეჭვი მეპარება ყველაფერში, – თქვა ლევინმა, თვითონვე არ ესიამოვნა საკუთარი ხმა და გაჩუმდა.

მღვდელმა რამდენიმე წამს შეიცადა, იქნებ კიდევ აქვს რამე სათქმელიო, მერე თვალები დახუჭა და სწრაფი ვლადიმირული გამოთქმით, „ო“ -ზე ხმის აწევით თქვა: – იჭვნეულობა ნიშანია

ადამიანური უძლურებისა და ჩვენ უნდა ვილოცოთ, რათა მოწყალე უფალმან მოგვანიჭოს ძალა და სიმტკიცე. რა განსაკუთრებული ცოდვები მიგიძღვით? – ისე სულმოუთქმელად დასძინა, თითქოს უნდა, დრო არ დაკარგოსო.

– ჩემი მთავარი ცოდვა იჭვნეულობაა. მე ყველაფერში ეჭვი მეპარება და მეტწილად ეჭვში ვარ.

– იჭვნეულობა ნიშანია ადამიანური უძლურებისა, – იგივე სიტყვები გაიმეორა მღვდელმა, – მაინც უპირატესად რაში გეპარებათ ეჭვი?

– მე ყველაფერში ეჭვი მეპარება. ზოგჯერ თვით ღვთის არსებობაშიც კი, – უნებურად წამოსცდა ლევინს და თვითონვე შეაძრწუნა ამან, იმდენად უწესოდ ეჩვენა ეს სიტყვები. მაგრამ მღვდელზე კი, როგორც ჩანდა, ლევინის სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

– რა ეჭვი შეგიძლიათ შეიტანოთ ღვთის არსებობაში? – ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, საჩქაროდ ჰკითხა მან.

ლევინი დუმდა.

– რა ეჭვი შეგიძლიათ იქონიოთ შემოქმედზე, როცა თვითონვე ჭვრეტთ მის ქმნილებათ? – ჩქარი, ჩვეული გამოთქმით განაგრძობდა მღვდელი, – მაშ, ვინ შეამკო ცის კამარა მნათობებით? ვინ შემოსა დედამიწა ამ ლამაზი სამოსლით? ვით აღსრულდებოდა ესე შემოქმედის გარეშე? – თქვა მან და კითხვის თვალით გადახედა ლევინს.

ლევინი გრძნობდა, რომ ახლა უწესობა იქნებოდა მოძღვართან ფილოსოფიური კამათის გაბმა და ამიტომ პასუხად მხოლოდ ის უთხრა, რაც პირდაპირ საკითხს შეეხებოდა.

– არ ვიცი, – უპასუხა მან.

– არ იცით? მაშ, როგორღა გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ღმერთმა შექმნა ყოველივე? – მხიარული გაოცებით შენიშნა მღვდელმა.

– მე არაფერი გამეგება, – უთხრა ლევინმა და გაწითლდა, რაკი იგრძნო, რომ მისი სიტყვები სულელური იყო და მის მდგომარეობაში შეუძლებელი იყო რაიმე ჭკვიანურის თქმა.

– ევედრეთ ღმერთს, შენდობა სთხოვეთ, თვით წმინდა

მამებსაც ჰქონდათ ეჭვები და ისინიც ევედრებოდნენ ღმერთს, განემტკიცებინა მათთვის რწმენა. ეშმაკს დიდი ძალა აქვს და ჩვენ არ უნდა დავნებდეთ მას. ღმერთს ევედრეთ, მოწყალება სთხოვეთ, ღმერთს ევედრეთ, – საჩქაროდ გაიმეორა მღვდელმა.

რამდენიმე ხანს მღვდელს არაფერი უთქვამს, თითქოს რაღაცას ჩაუფიქრდაო.

– თქვენ, როგორც მსმენია, ჯვარს იწერთ ერთი ჩემი მრევლთაგანისა და სულიერი შვილის, თავად შჩერბაცკის ასულზე? – ღიმილით დასძინა მან, – ჩინებული ქალიშვილი გახლავთ!

– დიახ, – უპასუხა ლევინმა და წამოწითლდა. „რაში სჭირდება აღსარების დროს ამის კითხვა?“ – გაიფიქრა მან.

და თითქოს პასუხი უნდა გასცეს მის ფიქრებსო, მღვდელმა განაგრძო: – აი, თქვენ ჯვრისწერას აპირებთ და ღმერთმა შეიძლება შთამომავლობითაც დაგაჯილდოოთ, ხომ ასეა? მერე, როგორი აღზრდა უნდა მისცეთ თქვენს პატარებს, თუკი ვერ დათრგუნავთ ეშმაკეულის ცდუნებას, რომელიც ურწმუნოებისაკენ გიტაცებთ? – მშვიდი საყვედურით განაგრძო მან, – თუ თქვენ გიყვართ შვილი, მაშინ, როგორც კეთილმა მამამ, მარტოოდენ სიმდიდრე ფუფუნება და სახელი როდი უნდა ისურვოთ მისთვის; თქვენ მოსურნე უნდა იყოთ მისი ხსნისა, მისი სულის ჭეშმარიტების ნათლით გაბრწყინებისა. ხომ ასეა? აბა, რას უპასუხებთ თქვენ, როცა უმანკო ყრმა შეგეკითხებათ: „მამილო, ვინ შექმნა ყოველივე, რაც ასე მხიბლავს – დედამიწა, წყალი, მზე, ყვავილები, ბალახი?“ ნუთუ ეტყვით, არ ვიციო? შეუძლებელია არ იცოდეთ ეს, როცა დიდად მოწყალე უფალმა ღმერთმა ყველაფერი ნათელყო თქვენთვის. ანდა შეიძლება გკითხოთ თქვენმა შვილმა: „რა მომელის საიქიოს?“ აბა, რას ეტყვით, თუ თქვენ არაფერი იცით? რა პასუხს გასცემთ? მიატოვებთ ამ მშვენიერი ქვეყნისა და ეშმაკეულის ამარა? ეს კარგი არ იქნება! – უთხრა მან და შეჩერდა, თავი გვერდზე გადახარა და კეთილი, მშვიდი თვალები ლევინს მიაპყრო.

ლევინი ახლა უკვე აღარ პასუხობდა მოძღვარს – იმიტომ კი არა, რომ შეკამათება არ უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი შეკითხვები ჯერ არავის მიუცია მისთვის; მერე კი, როცა მისი პატარები ჰკითხავენ, ექნება დრო იმის საფიქრებლად, თუ რა

პასუხი გასცეს.

– თქვენ ახლა ცხოვრების ისეთ ხანაში შედიხართ, – განაგრძობდა მღვდელი, – როცა საჭიროა გზის ამორჩევა და ამ გზით სიარული. ევედრეთ ღმერთს, რათა თავისი მადლი მოგაშველოთ და შეგინდოთ, – დაასკვნა მან, – „უფალო და ღმერთო ჩვენო იესო ქრისტე, კაცთმოყვარეობის მადლითა და სიუხვით შეიწყალე ძე შენი“... – და მოძღვარმა უკანასკნელი ლოცვაც დაამთავრა, აკურთხა ლევინი და გაუშვა.

შინ დაბრუნებული ლევინი იმ დღეს განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდა, რომ ბოლო მოეღო ამ უხერხულობას და ბოლო მოეღო ისე, რომ სიცრუის თქმა არ დასჭირვებია. გარდა ამისა, მეხსიერებას ბუნდოვნად შემორჩა ყველაფერი, რაც ამ სასიამოვნო და კეთილმა მოხუცმა უთხრა და ეს სულაც არ იყო ისეთი სისულელე, როგორიც პირველად მოეჩვენა. ამაში იყო რაღაც ისეთი, რასაც ჩაფიქრება უნდოდა.

„რა თქმა უნდა, ახლა არა, მაგრამ შემდეგ, ოდესმე“, – ფიქრობდა ლევინი, ახლა წინანდელზე უფრო ნათლად გრძნობდა, რომ მის სულში ყველაფერი წმინდა და გარკვეული არ არის, რომ მისი დამოკიდებულება სარწმუნოებასთან ისეთივეა, როგორსაც ნათლად ხედავდა სხვებში, არ მოსწონდა და რასაც უსაყვედურებდა თავის მეგობარ სვიაჟსკისაც.

ლევინმა ეს საღამო თავის საცოლესთან ერთად დოლისთან გაატარა, განსაკუთრებით მხიარულად გრძნობდა თავს და როცა სტეპან არკადიჩს უხსნიდა, რანაირ აღტაცებას განიცდიდა, უთხრა: იმ ძაღლს ვგავარ, რომელსაც რგოლში გაძრომა ასწავლეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა და შეასრულა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ და ახლა სიხარულით წკმუტუნებს, კუდს აქიცინებს და მაგიდებსა და ფანჯრებზე დახტისო.

II

ქორწინების დღეს, როგორც წესია (თავადის მეუღლე და დარია

ალექსანდროვნა მკაცრად მოითხოვდნენ ყოველი წესის აღსრულებას), ლევინს საცოლე არ უნახავს, სასტუმროში ისადილა სამ უცოლო მამაკაცთან ერთად, რომელთაც შემთხვევით შეიყარეს თავი. ესენი გახლდნენ: სერგეი ივანოვიჩი, ლევინის უნივერსიტეტის ამხანაგი, ახლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორი – კატავასოვი, რომელსაც ლევინი ქუჩაში შეხვდა და თან წაიყვანა, და ჩირიკოვი – მათი მეჯვარე, მოსკოვის მომრიგებელი მოსამართლე, რომელთან ერთადაც დადიოდა ხოლმე ლევინი დათვებზე სანადიროდ. სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. სერგეი ივანოვიჩი მეტისმეტად კარგ გუნებაზე იყო, თავს ირთობდა კატავასოვის ორიგინალობით. კატავასოვიც თავს იწონებდა ამით, რაკი გრძნობდა, რომ მისი ორიგინალობა სათანადოდ იყო გაგებული და შეფასებული. ჩირიკოვიც სიხარულით მონაწილეობდა ყოველგვარ საუბარში.

– აი, – ამბობდა კატავასოვი და გაჭიანურებით წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას, ისე როგორც კათედრიდან ლაპარაკისას იყო ჩვეული, – როგორი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო ჩვენი მეგობარი კონსტანტინ დმიტრიჩი. მე აქ არმყოფებზე მოგახსენებთ, რადგან იგი უკვე აღარ არსებობს. მეცნიერებაც უყვარდა მაშინ, როცა უნივერსიტეტი დაამთავრა, ადამიანური სურვილებიც ჰქონდა; ახლა კი მისი ნიჭის ერთი ნახევარი მიმართულია იქით, რომ მოიტყუოს საკუთარი თავი, მეორე კი იქით, რომ გაამართლოს ეს ტყუილი.

– ქორწინების ისეთი თავგამოდებული მტერი, როგორიც თქვენა ხართ, მე ჯერ არ მინახავს, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– არა, მე მტერი არა ვარ. მე მომხრე ვარ შრომის განაწილებისა. ადამიანებმა, რომელთაც სხვა არაფრის გაკეთება არ ძალუძთ, უნდა შექმნან ადამიანები, დანარჩენებმა კი ხელი უნდა შეუწყონ მათ განათლებასა და ბედნიერებას. აი, როგორ მესმის ეს. ამ ორი ხელობის ერთმანეთში არევის მსურველი ბევრია, მაგრამ მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი.

– რა ბედნიერი ვიქნები, როცა თქვენი გამიჯნურების ამბავს შევიტყობ, – უთხრა ლევინმა, – გეთაყვა, აუცილებლად დამპატიჟეთ ქორწილში.

– მე უკვე გამიჯნურებული ვარ.

– დიახ, სეპია[1] გიყვართ. იცი, – მიუბრუნდა ლევინი ძმას, –

მიხაილ სემიონიჩი თხზულებას წერს კვების შესახებ და...

– კარგი ერთი, ნუ აურევთ! სულერთია, რის შესახებ იქნება. საქმე ის არის, რომ მე მართლაც მიყვარს სეპია.

– მაგრამ ეს ხელს არ შეგიშლით ცოლის სიყვარულში.

– ის არა, მაგრამ ცოლი შემიშლის.

– რატომ?

– აი, ნახავთ. თქვენ ხომ გიყვართ მეურნეობა, ნადირობა, – ჰოდა, ვნახოთ!

– დღეს არხიპი იყო და თქვა, პრუდნოეში უამრავი ცხენ-ირემი და ორი დათვიაო, – თქვა ჩირიკოვმა.

– ჰოდა, უჩემოდ დაიჭირეთ!

– ეს კი მართალია, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, – ახლავე გამოეთხოვე დათვებზე ნადირობას, ცოლი აღარ გაგიშვებს.

ლევინმა გაიღიმა. იმის წარმოდგენა, რომ ცოლი აღარ გაუშვებდა, იმდენად სიამოვნებდა, რომ მზად იყო სამუდამოდ აეღო ხელი დათვების ნახვაზე.

– მაინც ხომ დასანანია, რომ ამ ორ დათვს უთქვენოდ დაიჭერენ, გახსოვთ, უკანასკნელად ხაპილოვოში რომ ვიყავით? შესანიშნავი ნადირობა იქნებოდა, – თქვა ჩირიკოვმა.

ლევინს არ უნდოდა გული გაეტეხა მისთვის და ეთქვა, განა შეიძლება სადმე კარგი რამ იყოს კიტის გარეშეო, და ამიტომ აღარაფერი უთხრა.

– ტყუილად კი არ არის შემოღებული მარტოხელა ცხოვრებასთან გამოთხოვების ადათი, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, – რაც უნდა ბედნიერი იყო, მაინც დასანანია თავისუფლება.

– გამოტყდით, გაქვთ თუ არა ისეთი გრძნობა, გოგოლის სასიძოს რომ ჰქონდა, ხომ არ გინდათ ფანჯრიდან გადახტომა?

– ალბათ, აქვს, მაგრამ არ უნდა გამოტყდეს, – თქვა კატავასოვმა და გადაიხარხარა.

– რაღას უყურებთ, ფანჯარა ღიაა... წავიდეთ ახლა ტვერში!

ერთი ძუ დათვია, შეიძლება პირდაპირ ბუნაგში მოვიმწყვდიოთ. მართლაც, წავიდეთ ხუთი საათის მატარებლით! აქ კი, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ, – ღიმილით თქვა ჩირიკოვმა.

– ღმერთს გეფიცებით, – ღიმილით თქვა ლევინმა, – სულში არავითარ სინანულს არა ვგრძნობ ამ ჩემი თავისუფლების დაკარგვის გამო!

– ახლა თქვენს სულში ისეთი ქაოსია, რომ ვერაფერს ვეღარ იგრძნობთ, – უთხრა კატავასოვმა, – მოითმინეთ, ცოტა მიწყნარდება ყველაფერი და მაშინ გაიგებთ ამას.

– არა, ოდნავ მაინც ხომ უნდა ვიგრძნო, რომ მიუხედავად ჩემი გრძნობისა (ლევინს არ უნდოდა ეთქვა მასთან – სიყვარულისაო)... და ბედნიერებისა, მაინც დასანანია თავისუფლების დაკარგვა... პირიქით, მე სწორედ ეს – თავისუფლების დაკარგვა მახარებს.

– ცუდია! უიმედო სუბიექტია! – თქვა კატავასოვმა, – აბა, დავლიოთ მისი განკურნების სადღეგრძელო, ანდა მხოლოდ ვუსურვოთ, თავის ოცნებათა მეასედი მაინც ახდომოდეს. ესეც ისეთი არნახული ბედნიერება იქნება, დედამიწის ზურგზე ჯერ რომ არ მომხდარა.

სადილის შემდეგ სტუმრები მალე დაიშალნენ, რათა საქორწილოდ ტანისამოსის გამოცვლა მოესწროთ.

მარტოდ დარჩენილმა ლევინმა, როცა უცოლშვილოთა ლაპარაკი გაიხსენა, ერთხელ კიდევ ჰკითხა თავის თავს, ჰქონდა თუ არა გულში ის სინანული თავისუფლების დაკარგვისა, რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ? ლევინს გაეღიმა ამ შეკითხვაზე. „თავისუფლება? რად უნდა ეს თავისუფლება? ბედნიერება მხოლოდ ის არის, გიყვარდეს და გსურდეს, ფიქრობდე მისი სურვილებით, მისი აზრებით, ესე იგი არ გქონდეს არავითარი თავისუფლება, – აი, ესაა ბედნიერება!“

„მაგრამ ვიცი თუ არა მე მისი აზრები, მისი ფიქრები და გრძნობები?“ – უცებ ჩასჩურჩულა რაღაც უცხო ხმამ, ღიმილი უმალვე გაუქრა სახეზე და ჩაფიქრდა. მოულოდნელად რაღაც უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო. ლევინი შიშმა და ეჭვმა აიტანა, ეჭვმა ყველაფრისადმი.

„ვაითუ არც ვუყვარვარ? ვაითუ მხოლოდ იმიტომ მომყვება, რომ გათხოვდეს? ვაითუ თვითონაც არ ესმის, რას აკეთებს? – ეკითხებოდა ლევინი თავის თავს, – შეიძლება შემდეგ მოვიდეს გონს, მხოლოდ გათხოვების შემდეგ მიხვდეს, რომ არ ვუყვარვარ და არც შეეძლო ჩემი სიყვარული“, – და ლევინს უცნაური, ყოვლად საზარელი ფიქრები შემოესია. იგი ახლა ისევე ეჭვიანობდა ვრონსკიზე, როგორც ამ ერთი წლის წინ. თითქოს გუშინ იყო ის საღამო, როცა კიტი ვრონსკისთან ერთად ნახა. ეჭვი შეეპარა იმაშიც, რომ კიტიმ ყველაფერი უთხრა.

ლევინი საჩქაროდ წამოხტა. „არა, ასე არ შეიძლება, – სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა მან, – წავალ, ვკითხავ, უკანასკნელად კიდევ ვეტყვი: ჩვენ თავისუფალნი ვართ და იქნებ შეჩერება სჯობდეს? ყველაფერი ჯობს სამუდამო უბედურებას, შერცხვენას, ღალატს!“ სასოწარკვეთილი ლევინი, რომელიც გულში ბოროტებას გრძნობდა ყველა ადამიანისადმი, საკუთარი თავისა და თვით კიტისადმი, სასტუმროდან გამოვიდა და კიტისაკენ გაეშურა.

კიტი უკანა ოთახებში იყო, სკივრზე იჯდა და მოსამსახურე გოგოსთან ერთად სკამებსა და იატაკზე გაფენილი ნაირფერი კაბების გროვას არჩევდა.

– აჰ! – წამოიძახა კიტიმ და მის დანახვაზე სიხარულმა ერთიანად გაუბრწყინა სახე, – როგორ მოხვედი, როგორ მოხვედით (ამ უკანასკნელ დღემდე კიტი ხან შენობით ელაპარაკებოდა ლევინს, ხან თქვენობით)? სწორედ არ გელოდი! მე კი ჩემი ქალიშვილობის კაბებს ვარჩევდი, ვის რომელი...

– ა, ეს ძალიან კარგია! – უთხრა ლევინმა და მოღუშულმა მოსამსახურე გოგოს გადახედა.

– წადი, დუნიაშა, მერე დაგიძახებ, – უთხრა კიტიმ, – რა დაგემართა? – ახლა უკვე შენობით მიმართა მან, როგორც კი მოსამსახურე გოგო ოთახიდან გავიდა. მას შეუნიშნავი არ დარჩენია ლევინის უცნაური, აღელვებული და მოღუშული სახე და შიშმა აიტანა.

– კიტი, მე ვიტანჯები. მე არ შემიძლია მარტო ვიტანჯო, – უთხრა ლევინმა და მის ხმაში სასოწარკვეთილება გაისმა. იგი კიტის წინ იდგა და ვედრებით შესჩერებოდა სახეში, კიტის

საყვარელ, ალალ-მართალ სახეზე უკვე ხედავდა, რომ არაფერი გამოვიდოდა იქიდან, რისი თქმაც განზრახული ჰქონდა, მაგრამ მაინც უნდოდა, თვით კიტის დაერწმუნებინა ამაში, – მე იმის სათქმელად მოვედი, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან. ყოველივე ეს შეგვიძლია მოვსპოთ, გამოვასწოროთ.

– რას ამბობ? არაფერი მესმის. რა დაგემართა?

– ის, რაც ათასჯერ მითქვამს შენთვის და რაზედაც არ შემიძლია არ ვიფიქრო... რომ მე არა ვარ შენი ღირსი. შენ არ შეგეძლო თანხმობა გეთქვა ჩემს ცოლობაზე. დაფიქრდი. შენ შეცდი. აბა, კარგად დაუფიქრდი, შენ არ შეგიძლია ჩემი სიყვარული... თუ... უმჯობესია, მითხრა, – განაგრძობდა ლევინი და სახეში არ უყურებდა კიტის, – მე უბედური ვიქნები. დე, ვისაც რა უნდა, ისა თქვას: ყველაფერი სჯობია იმ უბედურებას... ყველაფერი სჯობია ახლა, სანამ დრო გვაქვს...

– მე არ მესმის, – უპასუხა შეშინებულმა კიტიმ, – ესე იგი, შენ გინდა უარი თქვა... რომ არ არის საჭირო?

– ჰო, თუ არ გიყვარვარ.

– ხომ არ გაგიჟდი! – შესძახა სიბრაზისაგან აწითლებულმა კიტიმ.

მაგრამ ლევინს ისეთი საბრალო გამომეტყველება ჰქონდა, რომ კიტიმ თავი შეიკავა, სავარძლიდან კაბები გადმოყარა და გვერდით მიუჯდა.

– რას ფიქრობ? ყველაფერი მითხარი.

– ვფიქრობ, რომ შენ არ შეგიძლია ჩემი სიყვარული. აბა, რისი გულისთვის უნდა გიყვარდე?

– ღმერთო ჩემო! რა უნდა ვქნა! – თქვა კიტიმ და ატირდა.

– აჰ, ეს რა ვქენი! – წამოიძახა ლევინმა და მის წინ დაიჩოქა, ხელებზე დაუწყო კოცნა.

ხუთი წუთის შემდეგ, როცა ოთახში თავადის მეუღლე შევიდა, კიტი და ლევინი სრულიად შერიგებულნი დაუხვდნენ. კიტიმ არათუ დაარწმუნა, მიყვარხარო, არამედ პასუხიც გასცა ლევინის კითხვას, რისთვის უყვარდა, აუხსნა კიდეც, რატომაც უყვარდა. იმისთვის მიყვარხარ, რომ ყველაფერი მესმის შენი, იმისთვის, რომ ვიცი, რა გიყვარს და რაც შენ გიყვარს,

ყველაფერი კარგიაო, – უთხრა კიტიმ. და ეს ლევინისთვის სავსებით გასაგები იყო. როცა თავადის მეუღლე ოთახში შევიდა, კიტი და ლევინი სკივრზე ისხდნენ, კაბებს არჩევდნენ და კამათობდნენ: კიტის დუნიაშასთვის უნდოდა ეჩუქებინა თავისი ყავისფერი კაბა, ხელის თხოვის დღეს რომ ეცვა, ლევინი კი დაჟინებით მოითხოვდა, ეს კაბა არავის მისცე, დუნიაშას ცისფერი კაბა აჩუქეო.

– როგორ ვერ მიმხვდარხარ? დუნიაშა შავგვრემანია და ცისფერი არ მოუხდება... მე ყველაფერი გავითვალისწინე.

როცა თავადის მეუღლემ შეიტყო, რისთვის მოსულიყო ლევინი, ხუმრობა-ხუმრობით, ცოტა არ იყოს, გაუწყრა და ტანისამოსის გამოსაცვლელად გაისტუმრა, საცაა შარლი მოვა და კიტის ხელს შეუშლი თმის დავარცხნაშიო.

– ისედაც აღარაფერს ჭამს, ამ დღეებში გახდა კიდეც და შენ კიდევ შენი სისულელეებით აღელვებ, – უთხრა მან ლევინს, – დაიკარგე, დაიკარგე აქედან, ჩემო კარგო!

დანაშაულში მხილებული, დარცხვენილი, მაგრამ ახლა უკვე დამშვიდებული ლევინი ისევ სასტუმროში დაბრუნდა. ლევინის ძმა, დარია ალექსანდროვნა და სტეპან არკადიჩი, უკვე საქორწილოდ გამოწყობილნი, სასტუმროში ელოდნენ, რათა ხატით დაელოცათ. დაყოვნების დრო აღარ იყო. დარია ალექსანდროვნას სახლშიც უნდა შეევლო, რათა წამოეყვანა თავისი პომადაწასმული და თმადახუჭუჭებული ვაჟიშვილი, რომელიც დედოფალს უნდა გაჰყოლოდა ხატით. მერე ერთი კარეტა მეჯვარისთვის უნდა გაეგზავნათ, მეორე კი, რომელიც სერგეი ივანოვიჩს წაიყვანდა, უკანვე უნდა გამოეგზავნათ... საერთოდ, ბევრი, მეტად რთული საკითხი ჰქონდათ გადასაჭრელი. ის კი უეჭველი იყო, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან უკვე შვიდის ნახევარი იყო.

ხატით დალოცვისაგან არაფერი გამოვიდა. სტეპან არკადიჩი ხუმრობითა და დიდის ამბით ცოლის გვერდით გამოიჭიმა, ხელში ხატი დაიკავა და ლევინს უბრძანა, თაყვანი ეცა ხატისთვის; კეთილი, დამცინავი ღიმილით დალოცა იგი და სამგზის გადაკოცნა; ასევე მოიქცა დარია ალექსანდროვნაც და მაშინვე წასასვლელად გაემზადა, მაგრამ ისევ აერია ეტლების წინასწარ ნავარაუდევი მოძრაობა.

– ჰო, აი, როგორ მოვიქცეთ: სასიძოს შემდეგ შენ წადი ჩვენი

კარეტით, სერგეი ივანოვიჩი კი, თუ ასეთ სიკეთეს გვიზამს, ჯერ წავიდეს და მერე უკანვე გამოგვიგზავნოს თავისი კარეტა.

– რატომაც არა. ძალიან კარგი.

– ჩვენ კი ახლავე წამოვალთ. ბარგი გაგზავნილია? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– გაგზავნილია, – უპასუხა ლევინმა და კუზმას ტანისამოსის მოტანა უბრძანა.

III

ხალხის ბრბო, განსაკუთრებით კი ქალები, გარს შემოხვეოდა ჯვრისწერისთვის გაჩირაღდნებულ ეკლესიას. ისინი, რომელთაც შუაგულისკენ ვეღარ მოესწროთ გაძრომა, ფანჯრებთან შეჯგუფებულიყვნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, ჩხუბობდნენ და ფანჯრის რიკულებიდან იჭყიტებოდნენ.

ქუჩის გასწვრივ ჟანდარმებს უკვე ოცზე მეტი კარეტა ჩაემწკრივებინათ. შესასვლელთან იდგა ახალთახალ მუნდირში გამოწყობილი პოლიციის ოფიცერი, რომელიც თითქოს არად აგდებდა ზამთრის ყინვას. ეტლები კვლავ განუწყვეტლივ მოდიოდნენ და ეკლესიაში შედიოდნენ ხან შლეიფაწეული მანდილოსნები ყვავილებით ხელში, ხან მამაკაცები, რომლებიც საყდარში შესვლისას კეპს ან შავ ქუდს იხდიდნენ. თვით ეკლესიაში ორივე ჭაღი გაეჩირაღდნებინათ და ხატების წინაც ყველა სანთელი აენთოთ. ოქროსფრად ბრწყინავდა ყველაფერი კანკელის წითელ ფონზე, ხატების მოოქრული ჩუქურთმები, ჭაღებისა და შანდლების ვერცხლი, იატაკის ფილები, ხალიჩები, კლიროსებს ზევით აფრიალებული ბაირაღები, ამბიონის საფეხურები, ძველი, გაშავებული წიგნები, ანაფორები, სტიქარი – ყველაფერი ელავდა ამ შუქზე. გამთბარი ეკლესიის მარჯვენა მხარეს, ფრაკებისა და თეთრი ყელსახვევების, მუნდირებისა და შტოფების, ხავერდის, ატლასის, თმის, ყვავილების, გაშიშვლებული მხრებისა და გრძელ ხელთათმანებში გამოკვართული ხელების ზღვაში

გაისმოდა თავშეკავებული, გაცხოველებული საუბარი, რომელსაც უცნაურ ხმას აძლევდა ეკლესიის მაღალი გუმბათი. ყოველთვის, როგორც კი ჭრიალით გაიღებოდა ეკლესიის კარი, საუბარი ნელდებოდა და საყდარში შემოსული ნეფე-დედოფლის დანახვის მოლოდინში ყველა იქით იხედებოდა. მაგრამ აგერ თითქმის უკვე მეათედ გაიღო ეკლესიის კარი და ყოველთვის ეს ან დაგვიანებული სტუმარი იყო, რომელიც მარჯვნივ წვეულთა წრეს უერთდებოდა, ან ვინმე მაყურებელი ქალი, რომელსაც მოეტყუებინა ან თავი შეებრალებინა პოლიციის ოფიცრისთვის, და ისიც მარცხნივ, გარეშე მაყურებელთა ბრბოს უერთდებოდა. ნათესავებისა და გარეშეთა მოლოდინმა უკვე ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

პირველად ფიქრობდნენ, ნეფე-დედოფალი საცაა მოვაო. ამ დაგვიანებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. მერე უფრო ხშირ-ხშირად დაიწყეს ყურება კარისაკენ და ალაპარაკდნენ კიდეც, ხომ არაფერი მოხდაო. შემდეგ კი დაგვიანება უკვე უხერხული შეიქნა და ნათესავებიცა და სტუმრებიც ცდილობდნენ ისეთი სახე მიეღოთ, თითქოს სულ არ ფიქრობდნენ სასიძოზე და თავიანთი საუბრით იყვნენ გართული.

მთავარდიაკვანი, თითქოს ამით ცდილობსო შეახსენოს, რამდენად ძვირფასია მისთვის დრო, მოუთმენლად ახველებდა და ეკლესიის ფანჯრებსა და მინებს აზანზარებდა. კლიროსიდან ხანგამოშვებით ისმოდა, როგორ იხოცავდნენ ცხვირს და ისინჯავდნენ ხმას მოწყენილი მგალობლები. მღვდელი მალიმალ აგზავნიდა ხან მედავითნესა და ხან დიაკვანს, რათა შეეტყოთ, ხომ არ მოვიდა სასიძო და თვითონაც სოსანისფერ ანაფორასა და მოქარგულ სარტყელში გამოწყობილი სასიძოს მოლოდინში ხშირ-ხშირად გამოდიოდა გვერდით კართან. ბოლოს ერთმა მანდილოსანმა საათზე დაიხედა და თქვა: ეს მართლაც უცნაურიაო! ახლა უკვე ყველა სტუმარი შეშფოთდა და ხმამაღლა გამოთქვამდნენ გაოცებასა და უკმაყოფილებას. ერთი მეჯვარეთაგანი ამბის შესატყობად წავიდა. კიტი ამ დროს უკვე დიდი ხნის მორთულ-მოკაზმული, თეთრ კაბაში გამოწყობილი, თავზე გრძელი მანდილითა და ნარინჯის ყვავილების გვირგვინით, მდადესა და თავის გათხოვილ დასთან – ლვოვასთან ერთად შჩერბაცკების სახლის სასტუმრო დარბაზში იდგა, ფანჯარაში იყურებოდა და უკვე ნახევარ საათზე მეტი მოუთმენლად ელოდა ცნობას თავისი

მეჯვარისაგან სასიძოს საყდარში მისვლის შესახებ.

ლევინი კი ამ დროს შარვლის ამარა, უჟილეტოდ და უფრაკოდ, ბოლთას სცემდა თავის ნომერში, მალიმალ იხედებოდა კარიდან და ათვალიერებდა დერეფანს. მაგრამ ის, ვისაც ელოდა, დერეფანში არ ჩანდა, და ლევინიც, სასოწარკვეთილი, ისევ უკანვე ბრუნდებოდა და ხელების ქნევით ელაპარაკებოდა სტეპან არკადიჩს, რომელიც მშვიდად ეწეოდა პაპიროსს.

– ნუთუ ოდესმე ყოფილა ვინმე ასეთ საშინელ, სულელურ მდგომარეობაში! – ამბობდა იგი.

– დიახ, მართლაც სულელური მდგომარეობაა, – კვერს უკრავდა სტეპან არკადიჩი და დამამშვიდებლად იღიმებოდა, – მაგრამ ნუ ღელავ, ახლავე მოიტანენ.

– არა, როგორ იქნება! – ძლივსღა იოკებდა ლევინი გაშმაგებას, – ეს სულელური, გულამოჭრილი ჟილეტებიც! შეუძლებელია! – ამბობდა იგი და პერანგის დაჭმუჭნილ გულისპირს დაჰყურებდა. – ვაითუ ბარგი უკვე რკინიგზაზე გადაიტანეს! – სასოწარკვეთით წამოიძახა ლევინმა.

– მაშინ ჩემსას ჩაიცვამ.

– თავიდანვე ასე უნდა მექნა.

– არ ვარგა, როცა სასაცილოდ გამოიყურები... მოითმინე!.. ყველაფერი მოგვარდება.

საქმე ის იყო, რომ როცა ლევინმა ტანისამოსი მოითხოვა, კუზმამ, მისმა ძველმა მსახურმა, მოუტანა ფრაკი, ჟილეტი და ყველაფერი, რაც საჭირო იყო.

– პერანგი?! – წამოიძახა ლევინმა.

– პერანგი ზედ გაცვიათ, – მშვიდი ღიმილით მოახსენა კუზმამ.

კუზმამ ვეღარ მოიფიქრა სუფთა პერანგის დატოვება და როცა ბრძანება მიიღო, ყველაფერი ჩაალაგე და შჩერბაცკებთან გადაიტანეო, საიდანაც იმავე საღამოს უნდა წასულიყვნენ ახალჯვარდაწერილნი, ასეც მოიქცა, ყველაფერი ჩაალაგა გარდა ფრაკისა. დილას ჩაცმული პერანგი კი ისე იყო დაჭმუჭნილი, რომ მისი ჩაცმა ახალი მოდის გულამოღებულ ჟილეტში შეუძლებელი იყო. შჩერბაცკები შორს იყვნენ და ისევ პერანგის

საყიდლად გაგზავნეს. მსახური ხელცარიელი დაბრუნდა: – კვირაა და ყველაფერი დაკეტილიაო. მერე სტეპან არკადიჩთან აფრინეს მსახური, პერანგი მოატანინეს, მაგრამ მეტისმეტად მოკლე და განიერი აღმოჩნდა. ბოლოს შჩერბაცკებთან გაგზავნეს კაცი ბარგის გასახსნელად. სასიძოს საყდარში ელოდნენ, ის კი გალიაში დამწყვდეული ნადირივით მიმოდიოდა ოთახში, მალიმალ იყურებოდა დერეფანში და შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი იგონებდა, რა უთხრა დღეს კიტის და რა შეიძლებოდა ეფიქრა ახლა.

ბოლოს დამნაშავე კუზმა აქოშინებული შემოიჭრა ოთახში და მოიტანა პერანგი.

– ძლივსღა მივუსწარი, უკვე ფორანზე აწყობდნენ ბარგს, – თქვა კუზმამ.

სამი წუთის შემდეგ ლევინი უკვე დერეფანში გარბოდა, საათზეც კი არ დაუხედავს, რომ არ გამწვავებოდა იარა.

– ამით ვეღარაფერს უშველი, – ღიმილით ეუბნებოდა სტეპან არკადიჩი და აუჩქარებლად მისდევდა უკან, – ყველაფერი მოგვარდება, მოგვარდება... ხომ გეუბნები!

IV

– მოვიდნენ! აი, სასიძო!

– რომელი? უფრო ახალგაზრდა რომ არის? დედოფალი კი, ღმერთო ჩემო, აღარც ცოცხლებშია და აღარც მკვდრებში! – ალაპარაკდნენ ხალხში, როცა ლევინი შესასვლელთან შეეგება საცოლეს და მასთან ერთად შევიდა საყდარში.

სტეპან არკადიჩმა ცოლს დაგვიანების მიზეზი უამბო და სტუმრებმა ღიმილით გადაუჩურჩულეს ერთმანეთს ეს ამბავი. ლევინი ვერავისა და ვერაფერს ამჩნევდა; თვალმოუშორებლივ შესცქეროდა თავის საცოლეს.

ყველა ამბობდა, ამ უკანასკნელ დღეებში კიტი შესამჩნევად გახდა და გვირგვინქვეშ ისეთი ლამაზი აღარ არის, როგორც

ჩვეულებრივ იყოო; მაგრამ ლევინი ვერ ამჩნევდა ამას. იგი შეჰყურებდა თეთრი მანდილითა და თეთრი ყვავილებით მორთულ ზევით ავარცხნილ თმას, შეჰყურებდა მის მაღლა აწეულ, ნაოჭიან საყელოს, რომელიც გვერდიდან ქალწულებრივი სინაზით ფარავდა მის კისერს, წინიდან კი თვალსაჩინოს ხდიდა მის მაღალ ყელსა და საოცრად წერწეტა ტანს და ეჩვენებოდა, რომ კიტი ახლა უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ოდესმე, – მშვენიერი იყო, არა იმიტომ, რომ ეს ყვავილები, მანდილი და პარიზიდან გამოწერილი კაბა რაიმეს მატებდა მის სილამაზეს, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად ამ წინასწარ გამზადებული მდიდრული მორთულობისა, მის მშვენიერ სახეს, მის გამოხედვას, მის ბაგეთ კვლავ იგივე განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული უბიწოება ამშვენებდა.

– მე უკვე ვფიქრობდი, რომ გაქცევა მოიწადინე, – უთხრა კიტიმ და გაუღიმა.

– ისეთი სისულელე დამემართა, რომ თქმისაც კი მრცხვენია! – უთხრა ლევინმა, გაწითლდა და რაღაცის თქმა დააპირა სერგეი ივანოვიჩისთვის, რომელიც მიუახლოვდა მათ.

– სწორედ კარგი რამ არის შენი პერანგის ამბავი! – ღიმილითა და თავის ქნევით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– ჰო, ჰო, – უპასუხა ლევინმა, რომელსაც არც კი ესმოდა, რას ეუბნებოდნენ.

– აბა, კოსტია, ახლა კი უნდა გადაწყვიტო, – ვითომდა შეშინებული სახით უთხრა სტეპან არკადიჩმა, – მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ახლა შეგიძლია შეაფასო მთელი მნიშვნელობა ამ ამბისა. მეკითხებიან: ნახმარი სანთლები ავანთოთ თუ ახალიო? განსხვავება ერთი თუმანია, – დასძინა მან და ძლივსღა შეიკავა ღიმილი, – მე გადავწყვიტე, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ არ დამეთანხმოს-მეთქი.

ლევინი მიხვდა, რომ ეს ხუმრობა იყო, მაგრამ გაღიმება ვერ შეძლო.

– მაშ, როგორ გადაწყვეტ? ნახმარი თუ ახალი? ასე დგას საკითხი.

– ჰო, ჰო! ახალი.

– მაშ, დიდად მოხარული ვარ. საკითხი გადაწყვეტილია, –

ღიმილით თქვა სტეპან არკადიჩმა, – მართლაცდა როგორ სულელდებიან ადამიანები ამ მდგომარეობაში, – უთხრა მან ჩირიკოვს, როცა ლევინმა დაბნეულად გადახედა მას და საცოლისაკენ მიიწია.

– არ დაგავიწყდეს, კიტი, პირველად შენ შედგი ფეხი ხალიჩაზე, – უთხრა გრაფინია ნორდსტონმა, რომელიც მიუახლოვდა მათ, – კარგი ვინმე კი ბრძანდებით, – მიმართა მან ლევინს.

– რა, ხომ არ გეშინია? – უთხრა კიტის მოხუცმა მამიდამ, მარია დმიტრიევნამ.

– ხომ არ შეგცივდა? გაფითრებული ხარ. მოიცა, დაღუნე თავი! – უთხრა კიტის დამ, ლვოვამ, მშვენიერი ფუნჩულა ხელები მოხარა და ღიმილით გაუსწორა თავზე ყვავილები.

დოლიც მივიდა მათთან, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო, თვალებზე ცრემლები მოადგა და არაბუნებრივად გაიცინა. კიტი, ისევე როგორც ლევინი, ისეთი თვალით უყურებდა ყველას, რომ ეტყობოდა, არაფერი გაეგებოდა მათი. ყველა კითხვაზე შეეძლო ეპასუხა მხოლოდ ბედნიერების ღიმილით, რომელიც ახლა ასე ბუნებრივი იყო მისთვის.

ამასობაში მღვდელმსახურნიც შეიმოსნენ და მღვდელი დიაკვნის თანხლებით ეკლესიის კარიბჭეში მდგარ საწიგნესთან გამოვიდა. მღვდელმა ლევინს მიმართა, რაღაც უთხრა, მაგრამ ლევინმა ვერ გაიგონა მისი ნათქვამი.

– მოჰკიდეთ ხელი საცოლეს და წაიყვანეთ, – უთხრა მეჯვარემ.

დიდხანს ვერ მიხვდა ლევინი, რას მოითხოვდნენ მისგან. კარგა ხანს უსწორებდნენ და უკვე გადაწყვიტეს თავი დაენებებინათ, რადგან ხან იმ ხელს არ ჰკიდებდა, რომელიც საჭირო იყო, ხან კი იმ ხელზე არ ჰკიდებდა, რომელზეც ეუბნებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, – როგორც იდგა, ისევე უნდა მდგარიყო და მარჯვენა ხელი მოეკიდა კიტის მარჯვენა ხელისთვის. როცა ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო, მღვდელი წინ გაუძღვა მათ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და საწიგნესთან შეჩერდა, ნათესავთა და ნაცნობთა ჯგუფი ზუზუნითა და შლეიფების შარიშურით უკან გაჰყვა მათ. ვიღაც დაიხარა და შლეიფი გაუსწორა დედოფალს. საყდარში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სანთლებიდან წვეთის ჩამოღვენთის ხმაც კი ისმოდა.

მოხუცმა მღვდელმა, რომელსაც შუაზე გაყოფილი ვერცხლისფრად მოელვარე ჭაღარა თმა ყურებზე ჰქონდა გადაწეული და ზედ კუნკულა ჰქონდა წამოდგმული, მოვერცხლილი, მძიმე შესამოსლიდან, ზურგზე რომ ოქროს ჯვარი ჰქონდა ამოქარგული, პატარა ბებრული ხელი გამოყო და საწიგნესთან რაღაცას დაუწყო ფურცვლა.

სტეპან არკადიჩი ფრთხილად მიუახლოვდა მღვდელს, რაღაც ჩასჩურჩულა, ლევინს თვალი ჩაუკრა და ისევ თავის ადგილას გაჩერდა.

მღვდელმა აანთო ყვავილებით შემკული ორი სანთელი, რომლებიც გვერდზე გადახრილი ეჭირა მარცხენა ხელში, ისე, რომ სანთლები ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად იღვენთებოდა, და შემდეგ ნეფე-დედოფლისაკენ იბრუნა პირი. სწორედ ის მღვდელი იყო, აღსარება რომ ათქმევინა ლევინს. მან მოქანცული, ნაღვლიანი თვალები ნეფე-დედოფალს მიაპყრო, ამოიოხრა, მარჯვენა ხელი გამოიღო შესამოსლიდან, ჯერ ნეფე დალოცა, მერე ასევე, მხოლოდ მეტი სიფრთხილითა და სინაზით, პირჯვარი გადასახა კიტის დახრილ თავს. შემდეგ სანთლები მიაწოდა მათ, საცეცხლური აიღო და ნელი ნაბიჯით განშორდა.

„ნუთუ ეს მართალია?“ – გაიფიქრა ლევინმა და საცოლეს გადახედა. იგი რამდენადმე ზემოდან დაჰყურებდა კიტის პროფილს და ტუჩებისა და წამწამების ოდნავ შესამჩნევ მოძრაობაზე მიხვდა, რომ კიტიმ იგრძნო ეს მზერა. კიტის არ მოუხედავს მისკენ, მხოლოდ მაღალი, ნაოჭიანი საყელო შეერხა და მის ვარდისფერ, პაწია ყურს მისწვდა. ლევინმა შენიშნა, რომ კიტის სუნთქვა შეეკრა და აუკანკალდა პატარა, გრძელ ხელთათმანში გამოკვართული ხელი, რომელშიც სანთელი ეჭირა.

პერანგის გამო ამტყდარი ფაციფუცი, დაგვიანება, ნაცნობებსა და ნათესავებთან საუბარი, მათი უკმაყოფილება, თავისი სასაცილო მდგომარეობა – ყველაფერი უეცრად გაქრა და ლევინს შიში და სიხარული დაეუფლა.

ლამაზი, წარმოსადეგი, მოვერცხლილ შესამოსელში გამოწყობილი მთავარდიაკვანი, შუაზე გადავარცხნილი დახვეული კულულებით, მხნედ წამოდგა წინ. მღვდლის პირდაპირ გაჩერდა და ჩვეული მოძრაობით ორი თითით ზევით

ასწია ოლარი.

„ა-კურთ-ხე- უფა-ლო!“ – ნელა, ერთიმეორეს მიყოლებით გაისმა საზეიმო ხმები და ჰაერი შეარხია.

„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“, – მშვიდი, კეთილხმოვანი გალობითვე უპასუხა მოხუცმა მღვდელმა, რომელიც ისევ რაღაცას ფურცლავდა საწიგნესთან და მთელი საყდარი, ხატებიდან ვიდრე თაღებამდე, მგალობელთა ხმებმა დაფარა, ჯერ ზევით აიწია, გაძლიერდა, წუთით შეჩერდა და შემდეგ წყნარად ჩაკვდა უხილავ მგალობელთა დასის სრული აკორდი.

როგორც ყოველთვის, ახლაც ლოცულობდნენ საიქიოსა და ცხონებისთვის, სინოდისთვის, ხელმწიფისთვის; ლოცულობდნენ ახალდაწინდულთათვისაც, – მონისათვის ღვთისა კონსტანტინესა და მხევლისა ეკატერინესათვის.

„რათა მოანიჭოს ამათ სიყვარული სრული, მშვიდობით, შემწეობით და სიმართლით, უფლისა მიმართ ვილოცოთ“, – და თითქოს მთავარდიაკვნის ხმით სუნთქავდა მთელი ეკლესია.

ლევინი ყურს უგდებდა ამ სიტყვებს და გაოცებული იყო.

„როგორ მიხვდნენ, რომ შემწეობა, სწორედ შემწეობაა საჭირო? – ფიქრობდა იგი, როცა ახლახან განცდილ შიშსა და ეჭვებს იხსენებდა, – რა ვიცი მე? აბა, რა შემიძლია ამ საშინელ საქმეში შემწეობის გარეშე? – ფიქრობდა იგი, – სწორედ რომ შემწეობაა ჩემთვის ახლა საჭირო“.

როცა დიაკვანმა ექტენია დაამთავრა, მღვდელი დაწინდულებს მიუბრუნდა წიგნით ხელში: „უფალო საუკუნეთაო, რომელი განყოფილთა შეკრებ ერთად და საკვირველითა სიყვარულითა შეჰკრავ განუხსნელად, – მშვიდად, გალობით კითხულობდა იგი, – რომელმან აკურთხა ისააკი და რებეკა და მკვიდრად შენისა აღთქმის გამოაჩინენ იგინი. ეგრეთვე აკურთხენ მონანიცა ესე შენნი კონსტანტინე და ეკატერინე, და განამტკიცენ ყოვლითა საქმითა კეთილითა, რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვავლენთ. მამისა და ძისა და წმინდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. „ა-მინ“, – კვლავ გაიფანტა ჰაერში უხილავი დასის ხმა.

„რომელი განყოფილთა შეკრებ ერთად და საკვირველითა სიყვარულითა შეჰკრავ განუხსნელად“, – რა ღრმააზროვანია ეს სიტყვები და როგორ შეესატყვისებიან იმას, რასაც ვგრძნობ ამ წუთში! – ფიქრობდა ლევინი, – ნეტავ კიტიც თუ იმასვე გრძნობს, რასაც მე?“

ლევინმა კიტისკენ მიიხედა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

მისი თვალების გამომეტყველებაზე ლევინი მიხვდა, რომ კიტიც იმასვე განიცდიდა, რასაც იგი, მაგრამ ეს არ იყო მართალი; კიტის თითქმის არ ესმოდა მღვდელმსახურების სიტყვები და არც უგდებდა ყურს. მას ძალა არ შესწევდა, ყური დაეგდო და გაეგო ეს სიტყვები: იმდენად ძლიერი იყო ის გრძნობა, რომლითაც სავსე იყო მთელი მისი არსება და რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეს გრძნობა იყო სიხარული, გამოწვეული სრული აცხადებით იმისა, რაც ამ თვე-ნახევრის განმავლობაში მის სულში ხდებოდა, რაც ტანჯავდა და ახარებდა უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში. იმ დღეს, როცა ყავისფერ კაბაში გამოწყობილი კიტი არბატზე მდგარი სახლის დარბაზში უსიტყვოდ მივიდა ლევინთან და მიენდო მას – იმ დღესა და იმ საათს მის სულში მოხდა სრული განხეთქილება მთელ განვლილ ცხოვრებასთან და დაიწყო სულ სხვა, ახალი, მისთვის სრულიად უცხო ცხოვრება. ყველა მისი სურვილი და იმედი მიმართული იყო ამ ერთი, მისთვის ჯერ კიდევ გამოუცნობი ადამიანისაკენ, რომელთანაც აკავშირებდა რაღაც გრძნობა, კიდევ უფრო გაუგებარი, ვიდრე თვით ეს ადამიანი, რომელიც ხან თავისკენ იზიდავდა, ხან პირიქით, ამავე დროს კი ისევ წინანდებურად განაგრძობდა ცხოვრებას. იგი ძველებურად ცხოვრობდა და აშინებდა ის გულგრილობა, რომელსაც განიცდიდა თავისი წარსულისადმი: ნივთებისადმი, ძველი ჩვევებისადმი, ადამიანებისადმი, რომელთაც უყვარდათ იგი და რომელნიც თვით კიტისაც უყვარდა, დედისადმი, რომელიც განაწყენებული იყო ამ გულგრილობით, და საყვარელი მამისადმი, რომელიც წინათ ყველაზე ნაზად უყვარდა ამქვეყნად... კიტის ხან აშინებდა ეს გულგრილობა, ხან ახარებდა ის, რამაც ამ გულგრილობამდე მიიყვანა. არც ფიქრი, არც რაიმეს წადილი აღარ შეეძლო კიტის ამ ადამიანთა ცხოვრების გარეშე; მაგრამ ეს ახალი ცხოვრება კიტისთვის ჯერ არ დამდგარიყო და არც შეეძლო ნათლად წარმოდგენა იმისა,

თუ რა იქნებოდა: ეს იყო მხოლოდ მოლოდინი – შიში და სიხარული ამ ახლისა და უცნობისა. და ახლა, საცაა ამ მოლოდინსაც, ამ უცნობლობასაც, ამ ძველი ცხოვრებიდან განდგომის სინანულსაც – ყოველივეს ბოლო მოეღებოდა და დაიწყებოდა ახალი. და ეს ახალი არ შეიძლებოდა საშიში არ ყოფილიყო, რადგან უცნობი იყო მისთვის, მაგრამ საშიში იქნებოდა ეს თუ არა, ეს ახალი უკვე აღსრულდა მის სულში ამ ექვსი კვირის წინ; ახლა მხოლოდ უნდა ეკურთხებინათ ის, რაც დიდი ხანია მოხდა.

მღვდელი ისევ საწიგნესკენ მიბრუნდა, ძლივს დაიჭირა ხელში კიტის პაწაწინა ბეჭედი და თითის წვერზე წამოაცვა. „დაიწინდების მონა ღვთისა კონსტანტინე და მხევალი ღვთისა ეკატერინე“ და როცა კიტის ვარდისფერ, პაწია, თავისი სინაზით შესაბრალის თითზე მღვდელმა დიდი ბეჭედი წამოაცვა, იგივე სიტყვები გაიმეორა.

დაწინდულებმა რამდენიმეჯერ სცადეს მიმხვდარიყვნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ყოველთვის ცდებოდნენ და მღვდელი ჩურჩულით უსწორებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გააკეთეს ის, რაც საჭირო იყო, მღვდელმა ბეჭდებით პირჯვარი გადასახა და კიტის ისევ დიდი ბეჭედი გადასცა, ლევინს კი პატარა; ისევ აერიათ, ორჯერ ხელიდან ხელში გადავიდა ბეჭედი, მაგრამ მაინც ვერ გააკეთეს ის, რაც საჭირო იყო.

დოლი, ჩირიკოვი და სტეპან არკადიჩი წინ წამოდგნენ დასახმარებლად. ნეფე-დედოფლის გარშემო ჩოჩქოლი შეიქნა, იღიმებოდნენ, ჩურჩულებდნენ, მაგრამ დაწინდულთა სახეზე მაინც არ შეცვლილა ის საზეიმო, გრძნობით აღსავსე გამომეტყველება; პირიქით, ამ აბნეულობის დროს მათ სახეებს უფრო სერიოზული, საზეიმო გამომეტყველება მიეცა და სტეპან არკადიჩს, რომელმაც ღიმილით წასჩურჩულა, ახლა ორივემ თქვენ-თქვენი ბეჭდები გაიკეთეთო, – ღიმილი უნებურად ბაგეზევე შეეყინა. იგრძნო, რომ ახლა ყოველგვარი ღიმილი შეურაცხყოფდა მათ.

„რამეთუ შენ ხარ, რომელმან დასაბამსა შექმენ მამაკაცი და დედაკაცი, – განაგრძო მღვდელმა ბეჭდების შეცვლის შემდეგ, – და შენმიერვე შეერთდებიან ცოლ-ქმარნი შესაწევნელად თავისად და ნათესავთა ზედა კაცთასა. შენ, ღმერთო ჭეშმარიტებისაო, გარდმოავლინე მადლით სამკვიდრებლით შენით მონათა ამათ შენთა ზედა აღთქმა იგი, რომელი აღუთქვა

მიცემად მამათა ჩვენთა და თვითეულსა ზედა ნათესავთა რჩეულთა შენთასა. ეგრეთვე მოიხილე მონათა ამათ შენთა ზედა კონსტანტინე და ეკატერინე და დაამტკიცენ წინდობა ამათი, სარწმუნოებით და ერთობით, ჭეშმარიტებით და სიყვარულით“.

ლევინი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ყველა მისი აზრი დაქორწინებაზე, ოცნება საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე, – ყველაფერი ბავშვობა იყო, რომ ის რაღაც, რომელიც დღემდე გაუგებარი იყო მისთვის, ახლა უფრო ნაკლებად გასაგები გახდა, თუმცა საცაა აღსრულდებოდა კიდეც; გულს სულ უფრო და უფრო მეტად ერეოდა შიში და თვალები ურჩი ცრემლებით ევსებოდა.

V

ეკლესიაში იყო მთელი მოსკოვი, ნათესავები და ნაცნობები, და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დაწინდვის წესებს ასრულებდნენ, გაჩირაღდნებულ ეკლესიაში, მორთულ-მოკაზმულ მანდილოსნებსა, ქალიშვილებსა და თეთრ ყელსახვევებში, ფრაკებსა და მუნდირებში გამოწყობილ მამაკაცთა შორის წუთითაც არ შეწყვეტილა დარბაისლური ხმადაბალი საუბარი, რომელსაც უმთავრესად მამაკაცები წამოიწყებდნენ ხოლმე, მაშინ, როცა ქალები მთელი გულისყურით აკვირდებოდნენ მღვდელმსახურების ყოველგვარ წვრილმანს, რაც ყოველთვის ასე იპყრობს მათ ყურადღებას.

დედოფლის ყველაზე ახლობელთა წრეში ტრიალებდა მისი ორი და: დოლი და უფროსი და, საზღვარგარეთიდან ჩამოსული მშვენიერი ლვოვა.

– ეს რა ამბავია, მარის ქორწილში ლილისფერი კაბა ჩაუცვამს, თითქოს შავებშიაო, – ამბობდა კორსუნსკაია.

– მისი სახის ფერისთვის ეს ერთადერთი ხსნაა... – პასუხობდა დრუბეცკაია, – მიკვირს, რატომ მაინცდამაინც საღამოს

დანიშნეს ჯვრისწერა. ეს ვაჭრები...

– უფრო ლამაზია. მეც საღამოს დავიწერე ჯვარი, – უთხრა კორსუნსკაიამ და ამოიოხრა, გაახსენდა, რა მშვენიერი იყო იმ დღეს, რა სასაცილოდ იყო შეყვარებული მისი ქმარი და როგორ შეიცვალა ახლა ყველაფერი.

– ამბობენ, ვინც ათჯერ მეტად ყოფილა მეჯვარედ, ცოლს ვეღარ შეირთავსო; თავის დასაზღვევად მინდოდა მეათეჯერაც ვყოფილიყავი, მაგრამ ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, – ეუბნებოდა გრაფი სინიავინი ლამაზ თავადის ასულ ჩარსკაიას, რომელსაც თვალი ეჭირა მასზე.

ჩარსკაიამ მხოლოდ ღიმილით უპასუხა. იგი უყურებდა კიტის და ფიქრობდა, თვითონაც კიტისავით როგორ და როდის დადგებოდა გრაფ სინიავინის გვერდით და როგორ გაახსენებდა მაშინვე დღევანდელ ხუმრობას.

შჩერბაცკი მოხუც ფრეილინას – ნიკოლაევას ეუბნებოდა, მინდა გვირგვინი დავადგა კიტის შინიონზე, რათა ბედნიერი იყოსო.

– რა საჭირო იყო შინიონი, – უპასუხა ნიკოლაევამ, რომელსაც გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ჯვარს დაიწერდა იმ მოხუც ქვრივზე, რომლის ხელში ჩაგდებაც განზრახული ჰქონდა, სრულიად სადა ქორწილს გამართავდა, – არ მიყვარს ეს ფასტი.[2]

სერგეი ივანოვიჩი დარია დმიტრიევნას ელაპარაკებოდა და ხუმრობით არწმუნებდა, ქორწინების შემდეგ გამგზავრება იმიტომ შემოიღეს, რომ ახალჯვარდაწერილები ასე თუ ისე ყოველთვის სირცხვილს გრძნობენო.

– თქვენს ძმას შეუძლია იამაყოს. კიტი საოცრად მშვენიერია. მგონი, თქვენ გშურთ კიდეც?

– მე ეს უკვე განცდილი მაქვს, დარია დმიტრიევნა, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა და მისმა სახემ უეცრად ნაღვლიანი, სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

სტეპან არკადიჩი უყვებოდა ცოლისდას თავის მოგონილ კალამბურს განქორწინების შესახებ.

– გვირგვინი უნდა გავუსწოროთ, – უპასუხა ლვოვამ, რომელიც ყურს არ უგდებდა სტეპან არკადიჩს.

– სამწუხაროა, რომ კიტი ასე ცუდად გამოიყურება, – ეუბნებოდა გრაფინია ნორდსტონი ლვოვას, – მაგრამ ლევინი მაინც მის ფრჩხილადაც არა ღირს. ხომ მართალია?

– არა, მე ლევინი ძალიან მომწონს. იმიტომ კი არა, რომ ჩემი მომავალი beau-trére[3] არის, – უპასუხა ლვოვამ, – ხედავ, რა კარგად უჭირავს თავი! მის მდგომარეობაში კი ძალიან ძნელია თავის დაჭერა ისე, რომ სასაცილო არ შეიქნე. ის არც სასაცილოა და არც მეტისმეტად დაძაბული, ეტყობა, ღელავს.

– მგონი, თქვენ კიდეც ელოდით ამას?

– თითქმის. კიტის ყოველთვის უყვარდა იგი.

– აბა, ვნახოთ, პირველად რომელი შედგამს ფეხს ხალიჩაზე. მე უკვე ვურჩიე კიტის.

– სულერთია, – უპასუხა ლვოვამ, – ჩვენ მაინც ყველანი მორჩილი ცოლები ვართ, ასე მოგვდგამს.

– მე განზრახ დავასწარი ვასილის. თქვენ დოლი?

დოლი მათ გვერდით იდგა, ყურს უგდებდა მათ საუბარს, მაგრამ პასუხი ვერ გასცა. იგი გულაჩუყებული იყო. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ახლა არაფრის თქმა არ შეეძლო ისე, რომ არ ატირებულიყო. იგი შეხაროდა კიტისა და ლევინს; შემდეგ თავისი ქორწინებაც გაახსენდა, სახეგაბრწყინებულ სტეპან არკადიჩს გადახედა და ყველაფერი გადაავიწყდა, ახლა მხოლოდ ის, თავისი პირველი, უმწიკვლო სიყვარული ახსოვდა. დოლიმ მარტო თავისი თავი კი არა, ყველა ახლობელი, ნაცნობი ქალი გაიხსენა; გაიხსენა მათი ერთადერთი ნეტარი დღე, როცა ისინიც კიტისავით გვირგვინქვეშ იდგნენ და გული სავსე ჰქონდათ სიყვარულით, იმედითა და შიშით იმის გამო, რომ ძველ ცხოვრებას ეთხოვებოდნენ და ახალ, იდუმალებით მოცულ ცხოვრებას იწყებდნენ. და მათ შორის დოლის თავისი საყვარელი ანაც გაახსენდა, რომლის შესახებაც დაწვრილებით ახლახან შეიტყო მომავალი განქორწინების ამბავი. ისიც ასეთი უმწიკვლო იდგა, ნარინჯის ყვავილებითა და მანდილით შემკული, ახლა კი?

– საშინელებაა, – ჩაილაპარაკა მან.

მარტო დები კი არა, მეგობრები და ნათესავებიც მღვდელმსახურების არც ერთ წვრილმანს არ ტოვებდნენ

უყურადღებოდ; უცხო ქალები, მაყურებელნი, გულისფანცქალით, სუნთქვაშეკრულნი შეჰყურებდნენ, რომ არ გამოჰპარვოდათ ნეფე-დედოფლის რაიმე მოძრაობა ან სახის გამომეტყველება და გულმოსულნი პასუხს არ აძლევდნენ, ზოგჯერ ყურსაც არ უგდებდნენ მამაკაცებს, რომელნიც გულგრილად უყურებდნენ ყოველივე ამას, ხუმრობდნენ ან სულ სხვა რამეზე საუბრობდნენ.

– ასეთი ნამტირალევი სახე რადა აქვს? ნეტავ ძალად ხომ არ ათხოვებენ?

– ძალად რატომ იქნება? ვერა ხედავ, რა ვაჟკაცია? თავადია თუ რა არის?

– ეს მისი დაა, თეთრი ატლასის კაბა რომ აცვია? გესმის, როგორ ღრიალებს დიაკვანი: „ხოლო ცოლსა მას, რათა ეშინოდეს ქმრისა“.

– ჩუდოველები არიან?

– სინოდისა.

– მსახურს ვკითხე, ახლავე მიჰყავს თავის მამულშიო, მითხრა. ამბობენ, ძალიან მდიდარიაო. იმიტომაც მიათხოვეს.

– არა, კარგი წყვილია.

– აი, მარია ვლასიევნა, თქვენ რომ დაობდით, კარნალინებს გვერდზე გახსნილს ატარებენო. აბა, იმ ელჩის ცოლს შეხედე, ამბობენ, ასე უნდაო... ასე და მერე ისე.

– რა მშვენიერია დედოფალი, მორთული კრავივით არის! რაც გინდა თქვით, მაინც ცოდოა.

ასეთი საუბარი იყო მაყურებელთა შორის, რომელთაც მოესწროთ ეკლესიის კარში შემოსვლა.

VI

როცა დაწინდვის ყველა წესი აღასრულეს, ეკლესიის მსახურმა

საწიგნეს წინ, შუა საყდარში, ვარდისფერი აბრეშუმი გაფინა, გუნდმა რომელიღაც მშვენიერი, რთული ფსალმუნის გალობა დაიწყო, რომელშიც ბანი და ტენორი ერთმანეთს გასძახოდნენ, მღვდელი ნეფე-დედოფლისაკენ მიბრუნდა და გაფენილ ვარდისფერ ქსოვილზე მიუთითა. რამდენჯერ უთხრეს მათ, ვინც პირველი დადგამს ხალიჩაზე ფეხს, ოჯახისთავი ის იქნებაო, რამდენი რამ გაუგონიათ ამის თაობაზე, მაგრამ არც კიტის და არც ლევინს ეს არ გახსენებიათ, როცა ხალიჩისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს. არ გაუგონიათ არც ხმამაღალი შენიშვნები და დავა იმის გამო, რომ ზოგის დაკვირვებით ლევინმა პირველმა შედგა ფეხი ხალიჩაზე, ზოგი კი ამტკიცებდა, ორივემ ერთად შედგაო.

ჩვეულებრივი შეკითხვების შემდეგ, თანახმა ხართ თუ არა შეუღლებისა და პირობა ხომ არა გაქვთ სხვისთვის მიცემულიო და პასუხებისა, რომლებიც თვით მათთვისაც უცნაურად ჟღერდა, დაიწყო ქორწინების წირვა. კიტი ყურს უგდებდა ლოცვის სიტყვებს, უნდოდა ჩასწვდომოდა მათ აზრს, მაგრამ ვერ შეძლო. ქორწინების წესის აღსრულებასთან ერთად მის სულში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ზეიმისა და ნათელი სიხარულის გრძნობა, რომელიც ყურადღების საშუალებას ართმევდა.

ლოცულობდნენ, „რათა მოანიჭოს ამათ უმანკოება და ნაყოფი მუცლისა სარგებელისა მარჯვე, რათა იხარებდნენ ესენი ხილვითა ძეთა და ასულთა თვისთა“. გაიხსენეს ისიც, რომ ღმერთმა ადამის გვერდიდან შექმნა ევა და რომ „ამისთვის დაუტევოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ და რომ „საიდუმლო ესე დიდ არს“. შესთხოვდნენ ღმერთს, მიეცა მათთვის ნაყოფიერება და კურთხევა, ვითარცა ისააკისა და რებეკასთვის, იოსებისა, მოსესა და სეფორასთვის, რომ ისინი შესწრებოდნენ შვილთაშვილებს. „ყოველივე ეს მშვენიერი იყო, – ფიქრობდა კიტი, როცა ყურს უგდებდა ამ სიტყვებს, – არც შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო“, – და გაბრწყინებულ სახეზე ეღვრებოდა სიხარულის ღიმილი, რომელიც უნებურად ყველა მის შემხედვარეს ედებოდა.

– თავზე დაადგით! – გაისმა აქეთ-იქიდან, როცა მღვდელმა გვირგვინები დაადგა მათ თავზე, შჩერბაცკის კი, რომელსაც სამი ღილით შეკრულ მაღალყელიან ხელთათმანში ხელები

უკანკალებდა, კვლავ მაღლა, კიტის თავზემოთ ეჭირა გვირგვინი.

– დამადგით! – ღიმილით წასჩურჩულა კიტიმაც.

ლევინმა გადახედა კიტის და განაცვიფრა იმ სიხარულმა, რომელსაც მისი სახე გაებრწყინებინა, და ეს გრძნობა უნებურად მასაც გადაედო. იმანაც ისეთივე სინათლე და სიხარული იგრძნო, როგორიც კიტიმ.

მათთვის სასიხარულო იყო მოციქულთა ეპისტოლეს მოსმენა, მოსმენა იმისა, თუ უკანასკნელ ჰანგზე როგორ დასჭექდა ხოლმე მთავარდიაკვანი, რასაც ასეთი მოუთმენლობით ელოდნენ გარეშე მაყურებელნი. სასიხარულო იყო ბრტყელი ბარძიმიდან წყალგარეული თბილი წითელი ღვინის შესმა; კიდევ უფრო სასიხარულო იყო, როცა მღვდელმა შესამოსელი უკან გადაიწია, მათი ორივე ხელი ცალ ხელში დაიჭირა და ნეფე-დედოფალი საწიგნეს გარს შემოატარა, მგალობელთა დასის ბანი კი ომახიანად გუგუნებდა: „ისაია, მხიარულ იყავ“. შჩერბაცკი და ჩირიკოვი, რომელთაც გვირგვინები ეჭირათ ხელში და ფეხები ებლანდებოდათ დედოფლის შლეიფში, ღიმილითა და რაღაც სიხარულით მიჰყვებოდნენ ჯვარდაწერილებს და ხან უკან რჩებოდნენ, ხან კი, როცა მღვდელი შეჩერდებოდა, ზედ ეხლებოდნენ ნეფე-დედოფალს. ეკლესიაში მყოფთ თითქოს ყველას გადაედო კიტის გულში ანთებული სიხარულის ნაპერწკალი; ლევინს ეჩვენებოდა, რომ მღვდელსაც და დიაკვანსაც მასავით გაღიმება უნდოდათ.

მღვდელმა ახალჯვარდაწერილებს თავიდან გვირგვინები მოხადა, უკანასკნელი ლოცვაც წაიკითხა და მიულოცა. ლევინმა კიტის გადახედა: აქამდე არასოდეს უნახავს კიტი ასეთი, – მშვენიერი იყო, სახეზე ანთებული ახალი ბედნიერების სხივით გაბრწყინებული. ლევინს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არ იცოდა, დამთავრდა თუ არა ჯვრისწერა. მღვდელმა გამოიყვანა ამ გასაჭირიდან, თავისებურად კეთილად გაუღიმა და ხმადაბლა უთხრა: „აკოცეთ ცოლს და თქვენც აკოცეთ ქმარს“. შემდეგ ხელიდან გამოართვა სანთლები.

ლევინმა ფრთხილად აკოცა კიტის გაღიმებულ ტუჩებში, ხელი გაუწოდა, რაღაც ახალი, უცნაური სიახლოვე იგრძნო და მასთან ერთად გამოვიდა ეკლესიიდან. არ სჯეროდა, არ შეეძლო

დაეჯერებინა, რომ ეს სიმართლე იყო. სჯეროდა მხოლოდ მაშინ, როცა მათი გაუბედავი და გაოცებული თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ, რადგან გრძნობდა, რომ ისინი უკვე ერთნი იყვნენ.

ვახშმის შემდეგ, იმავე ღამეს, ახალჯვარდაწერილნი სოფელში გაემგზავრნენ.

VII

უკვე სამი თვე იყო, რაც ვრონსკი და ანა ერთად მოგზაურობდნენ ევროპაში. მოიარეს ვენეცია, რომი, ნეაპოლი და ახლახან ჩამოვიდნენ იტალიის ერთ პატარა ქალაქში, სადაც განზრახული ჰქონდათ, რამდენიმე ხნით დაბინავებულიყვნენ.

ლამაზი ობერკელნერი, რომელსაც სქელი, პომადაწაცხებული თმა კისრიდან მოყოლებული შუაზე ჰქონდა გადაყოფილი, ტანთ კი ფრაკი და ბატისტისგულიანი პერანგი ეცვა, წინ წამოშვერილ ღიპზე ასხმული ბრელოკებით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა, ზიზღით თვალებს ჭუტავდა და მკაცრად პასუხობდა იქვე მდგარ ვიღაც ბატონს. მაგრამ, როცა შემოსასვლელის მეორე მხარეს, კიბეზე ფეხის ხმა შემოესმა, მოტრიალდა და როგორც კი დაინახა რუსი გრაფი, რომელსაც საუკეთესო ოთახები ეჭირა მათ სასტუმროში, მაშინვე მოკრძალებით ამოიღო ჯიბიდან ხელები, თავი დახარა და მოახსენა, შიკრიკი გახლდათ, პალაცოს დაქირავების საქმე უკვე გადაწყდა და მოურავი მზადაა, ხელი მოაწეროსო პირობას.

– ა, დიდად მოხარული ვარ! – უთხრა ვრონსკიმ, – ქალბატონი შინ არის თუ არა?

– სასეირნოდ გახლდათ, ახლა მობრძანდა, – უპასუხა კელნერმა.

ვრონსკიმ რბილი, ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცით მოიწმინდა გაოფლიანებული შუბლი და უკან გადავარცხნილი თმა, რომელიც ყურებამდე სწვდებოდა და ფარავდა მის ოდნავ გამელოტებულ თავს, მერე დაბნეულად

გადახედა იქვე მდგომ ბატონს, რომელიც მას მისჩერებოდა, და წასვლა დააპირა.

– ეს ბატონი რუსი გახლავთ და თქვენ გკითხულობდათ, – უთხრა ობერ-კელნერმა.

ვრონსკიმ, განაწყენებულმა იმით, რომ ნაცნობთ ვერსად გაექცევი და ამავე დროს იმის სურვილით, რაიმე გასართობი მაინც გამოენახა ამ ერთფეროვან ცხოვრებაში, ერთხელ კიდევ გადახედა უცნობ ბატონს, რომელიც უკვე განშორებოდა მათ, ახლა კი ისევ შეჩერებულიყო და ორივეს ერთდროულად გაუბრწყინდა თვალები.

– გოლენიშჩევ!

– ვრონსკი!

მართლაც ეს გახლდათ გოლენიშჩევი, ვრონსკის ამხანაგი პაჟთა კორპუსიდან. გოლენიშჩევი კორპუსში ლიბერალთა პარტიას ეკუთვნოდა, კორპუსიდან სამოქალაქო ჩინით გამოვიდა და არსად მსახურობდა. ამხანაგები სრულიად დასცილდნენ ერთიმეორეს და კორპუსიდან გამოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ.

ამ შეხვედრის დროს ვრონსკი მიხვდა, რომ გოლენიშჩევმა რაღაც მაღალგონივრული, ლიბერალური მოღვაწეობა აირჩია და ამიტომ განიზრახა ზიზღი გამოეხატა ვრონსკის მოღვაწეობისა და წოდებისადმი. ამიტომაც მაშინ ვრონსკიმ ისე ამაყად და ცივად მოიგერია გოლენიშჩევი, როგორც სჩვეოდა საერთოდ და რაც შემდეგს გულისხმობდა: „თქვენ შეგიძლიათ მოიწონოთ ან არ მოიწონოთ ჩემი ცხოვრება. ეს ჩემთვის სულერთია. თქვენ უნდა პატივი მცეთ, თუკი ჩემი ნაცნობობა გინდათ“. გოლენიშჩევიც აგდებულად შეხვდა ვრონსკის ტონს. ამ შეხვედრას კიდევ უფრო უნდა დაეშორებინა ისინი, მაგრამ ახლა, როგორც კი იცნეს ერთიმეორე, ორივეს სახე გაუბრწყინდა და ორივემ სიხარულით შესძახა. ვრონსკი არ ელოდა, რომ ასე გაახარებდა გოლენიშჩევის ნახვა. მაგრამ, ეტყობა, თვითონაც ვერ გრძნობდა, რამდენად მოწყენილი იყო. სულ გადაავიწყდა, უკანასკნელი შეხვედრის უსიამოვნო შთაბეჭდილება და სახეგაბრწყინებულმა გაუწოდა ხელი ყოფილ ამხანაგს. ასეთივე სიხარულმა შეცვალა გოლენიშჩევის წეღანდელი შეშფოთებული გამომეტყველებაც.

– ძალიან მოხარული ვარ შენთან შეხვედრისა! – უთხრა ვრონსკიმ, მეგობრულად გაუღიმა და თეთრი, მაგარი კბილები გამოაჩინა.

– მე კი ყური მოვკარი, ვრონსკიო და არ ვიცოდი, რომელი ვრონსკი იყო. ძალიან, ძალიან მოხარული ვარ!

– შევიდეთ სასტუმროში. მითხარი, რას აკეთებ?

– მე უკვე მეორე წელია აქა ვარ. ვმუშაობ.

– ა! – თანაგრძნობით უთხრა ვრონსკიმ, – შევიდეთ, რაღას ვუყურებთ.

და ვრონსკიმ, რუსების საერთო ჩვეულებისამებრ, ნაცვლად იმისა, სწორედ რუსულად ეთქვა ის, რისი დაფარვაც მსახურისაგან უნდოდა, ფრანგულად წამოიწყო საუბარი.

– შენ იცნობ კარენინას? ჩვენ ერთად ვმოგზაურობთ! მე მასთან მივდივარ, – ფრანგულად უთხრა მან და ყურადღებით შეხედა სახეში გოლენიშჩევს.

– ა, მე არც ვიცოდი (თუმცა მან იცოდა ეს), – გულგრილად მიუგო გოლენიშჩევმა, – დიდი ხანია ჩამოხვედი? – დაურთო მან.

– მე? მეოთხე დღეა, – უპასუხა ვრონსკიმ და ერთხელ კიდევ ყურადღებით შეხედა სახეში ამხანაგს.

„დიახ, წესიერი კაცია და საქმესაც ისე უყურებს, როგორც საჭიროა, – უთხრა თავის თავს ვრონსკიმ. მიხვდა, რასაც ნიშნავდა გოლენიშჩევის სახის გამომეტყველება და საუბრის სხვა საგანზე გადატანა, – შეიძლება გავაცნო ანას, იგი ისე უყურებს ამას, როგორც საჭიროა“.

ამ სამი თვის განმავლობაში, რომელიც ვრონსკიმ ანასთან ერთად საზღვარგარეთ გაატარა, ახალ ადამიანებთან შეხვედრისას ყოველთვის ეკითხებოდა თავს, როგორ შეხედავდა ეს ახალი პიროვნება მის ურთიერთობას ანასთან და უმეტესად ისეთ მამაკაცებს ხვდებოდა, რომლებსაც გაეგებოდათ ეს ისე, როგორც საჭირო იყო. მაგრამ, რომ გეკითხათ მისთვის ან იმათთვის, რომელნიც ისე უყურებდნენ ამას „როგორც საჭირო იყო“, რაში მდგომარეობდა ეს შეხედულება, ვრონსკი და თვით ისინიც დიდ გასაჭირში

ჩაცვივდებოდნენ.

არსებითად, მათ, ვისაც ვრონსკის აზრით, ისე ესმოდათ ეს, „როგორც საჭირო იყო“, სრულიად არ გაეგებოდათ ეს მდგომარეობა, მაგრამ ისე ეჭირათ თავი, როგორც შეეფერებათ ზრდილობიან ადამიანებს, როცა საქმე ისეთ რთულსა და ძნელად გადასაჭრელ საკითხებს ეხება, რითაც აღსავსეა ცხოვრება, – წესიერად ეჭირათ თავი და ერიდებოდნენ გადაკრულ სიტყვებსა და უსიამოვნო შეკითხვებს. ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს სავსებით ესმოდათ მათი მდგომარეობის აზრი და მნიშვნელობა, ესმოდათ და იწონებდნენ კიდეც, მაგრამ უადგილოდ და ზედმეტად მიაჩნდათ ყოველივე ამის ახსნა.

ვრონსკი მაშინვე მიხვდა, რომ გოლენიშჩევი ერთი ამათგანი იყო და ამიტომაც ერთიორად გაახარა მისმა შეხვედრამ. მართლაც, გოლენიშჩევს ისე ეჭირა თავი კარენინასთან, როცა წარუდგინეს, როგორც ამას თვით ვრონსკი ინატრებდა. ეტყობოდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე არიდებდა თავს ისეთ საუბარს, რომელსაც შეეძლო უხერხულობაში ჩაეყენებინა ისინი.

გოლენიშჩევი წინათ არ იცნობდა ანას და გაოცებული იყო მისი სილამაზით და კიდევ უფრო მეტად იმ უბრალოებით, რომლითაც ანა თავის მდგომარეობას ეგუებოდა. ანა გაწითლდა, როცა ვრონსკიმ გოლენიშჩევი შეიყვანა, და ეს ბავშვური სიწითლე, რომელიც მთლიანად მოედო მის გულღია, ლამაზ სახეს, მეტისმეტად მოეწონა გოლენიშჩევს. განსაკუთრებით მოეწონა, რომ ანამ მაშინვე, თითქოს განზრახ, რათა არავითარი გაუგებრობა არ მომხდარიყო უცხო ადამიანთან, ვრონსკის უბრალოდ ალექსეი უწოდა და უთხრა, გადავდივართ ახალდაქირავებულ სახლში, რომელსაც აქ პალაცოს ეძახიანო. ეს პირდაპირი და უბრალო დამოკიდებულება თავისი მდგომარეობისადმი მოეწონა გოლენიშჩევს. იგი იცნობდა ალექსეი ალექსანდროვიჩსაც და ვრონსკისაც და როცა ხედავდა, როგორი გულკეთილობა, სიხარული და ენერგია გამოსჭვიოდა ანას საქციელში, ეჩვენებოდა, რომ სავსებით ესმოდა მისი, სავსებით ესმოდა ის, რაც თვით ანასთვის სრულიად გაუგებარი იყო: სახელდობრ, როგორ შეეძლო ენერგიულად, მხიარულად და ბედნიერად ეგრძნო თავი მას შემდეგ, რაც გააუბედურა და მიატოვა ქმარიც,

შვილიც და დაკარგა პატიოსანი ქალის სახელი.

– ეს გზამკვლევშიც არის აღნიშნული, – თქვა გოლენიშჩევმა ვრონსკის მიერ დაქირავებულ პალაცოზე, – იქ არის მშვენიერი ტინტორეტო, მისი უკანასკნელი პერიოდის.

– იცით, რა? მშვენიერი ამინდია, წავიდეთ, ერთხელ კიდევ დავათვალიეროთ, – თქვა ვრონსკიმ და ანას მიუბრუნდა.

– ძალიან მიხარია, ახლავე წავალ, ქუდს დავიხურავ. თქვენ ამბობთ, ცხელაო? – თქვა ანამ, კარში შეჩერდა და კითხვით გადახედა ვრონსკის, სახეზე კი ისევ მოელვარე სიწითლემ გადაჰკრა.

ვრონსკი ანას გამოხედვაზე მიხვდა, რომ არ იცოდა, როგორი ურთიერთობა უნდოდა ჰქონოდა ვრონსკის გოლენიშჩევთან და თითქოს შიშობდა, იქნებ ისე არ მეჭირა თავი, როგორც ვრონსკის სურდაო.

ვრონსკიმ დიდხანს ვეღარ მოაცილა ანას სიყვარულით აღსავსე თვალი.

– არა, არც ისე ცხელა, – უთხრა მან.

ანას მოეჩვენა, რომ გაიგო ყველაფერი და რაც მთავარია, ვრონსკი კმაყოფილი იყო მისით, ერთხელ კიდევ გაუღიმა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს და ორივეს შეშფოთება გამოეხატა სახეზე, თითქოს გოლენიშჩევს, რომელიც, ეტყობა, ტკბებოდა ანას ყურებით, რაღაც უნდოდა ეთქვა მასზე და არ იცოდა, რა ეთქვა, ვრონსკისაც ეს სურდა და თან ეშინოდა კიდეც ამისი.

– მაშ, ასე, – დაიწყო ვრონსკიმ, რათა რაიმე საუბარი წამოეწყო, – მაშ, შენ აქ დასახლდი? მაშ, ისევ იმასვე საქმიანობ? – განაგრძო მან და გაიხსენა ვიღაცის ნათქვამი, გოლენიშჩევი რაღაცას წერსო.

– დიახ, მეორე ნაწილს ვწერ „ორი საწყისისას“, – უპასუხა გოლენიშჩევმა და ამ შეკითხვაზე სიამოვნებისაგან წამოწითლდა, – ესე იგი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჯერ არ ვწერ, მაგრამ ვემზადები, მასალებს ვაგროვებ. ეს ბევრად უფრო ვრცელი იქნება და თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ჩვენთან,

რუსეთში, არ უნდათ იმის გაგება, რომ ჩვენ ბიზანტიის მემკვიდრენი ვართ, – და დაიწყო გრძელი, ცხარე ახსნა-განმარტება.

ვრონსკი პირველად უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ არ იცნობდა პირველ სტატიას იმ ორი საწყისისა, რომელზეც ისე ელაპარაკებოდა ავტორი, როგორც უკვე ცნობილ საგანზე. მაგრამ შემდეგ, როცა გოლენიშჩევმა თავისი აზრების გამოთქმა დაიწყო, ვრონსკი, მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდა ამ ორ საწყისს, მაინც ყურადღებით უსმენდა, რადგან გოლენიშჩევი ასეთი გულფიცხი მღელვარებით ლაპარაკობდა თავის საყვარელ საგანზე. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ეგზნებოდა თვალები, მით უფრო აჩქარებით ესიტყვებოდა ვითომდა მოწინააღმდეგეთ და სახეზეც უფრო მეტი შეშფოთება და შეურაცხყოფა ეხატებოდა. ვრონსკის აგონდებოდა გოლენიშჩევი, გამხდარი, სიცოცხლით აღსავსე, გულკეთილი, კეთილშობილი ბიჭი, ყოველთვის პირველი მოწაფე კორპუსში და ვერაფრით მიმხვდარიყო, რა იყო მიზეზი მისი ასეთი გულფიცხობისა და არ მოსწონდა, რომ გოლენიშჩევი, კარგი წრის ადამიანი, ერთ ტაფაში იწვოდა ვიღაც მჯღაბნელებთან, რომელნიც ყოველთვის აღიზიანებდნენ და აბრაზებდნენ. განა ღირდა ამად? ეს არ მოსწონდა ვრონსკის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ გოლენიშჩევი უბედური ადამიანი იყო და ებრალებოდა, უბედობა, თითქმის სიგიჟეც კი იხატებოდა მის მოძრავ, საკმაოდ ლამაზ სახეზე, როცა ვერც კი შენიშნა ანას შემოსვლა და გაცხარებული კვლავ განაგრძობდა თავისი აზრების გამოთქმას.

როცა ოთახში შემოვიდა ქუდსა და წამოსასხამში გამოწყობილი ანა ქოლგით ხელში და გაჩერდა მათ გვერდით, ვრონსკის გულზე მოეშვა, თვალი მოაცილა გოლენიშჩევის სამდურავით აღსავსე თვალებს და სიყვარულით გადახედა თავის მშვენიერ, სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე მეგობარს. გოლენიშჩევი ძლივს გამოერკვა და პირველ ხანებში მჭმუნვარე და მოწყენილი იყო, მაგრამ ანამ, რომელიც ყველას ალერსიანად ექცეოდა (ასეთი შეიქნა უკანასკნელ ხანებში), მალე გამოაფხიზლა თავისი უბრალო და მხიარული ქცევით. მრავალ საგანზე სცადა მასთან საუბარი და ბოლოს ფერწერაზე ჩამოუგდო სიტყვა, რის შესახებაც ძალიან კარგად ლაპარაკობდა გოლენიშჩევი და ანაც ყურადღებით უსმენდა.

ისინი ფეხით მივიდნენ დაქირავებულ სახლამდე და დაათვალიერეს იგი.

– მე დიდად მახარებს ერთი რამ, – უთხრა ანამ გოლენიშჩევს, როცა უკვე შინ ბრუნდებოდნენ, – ალექსეის კარგი atelier ექნება, შენ აუცილებლად აირჩიე ის პატარა ოთახი, – რუსულად უთხრა ანამ ვრონსკის და შენობით მიმართა, რადგან უკვე მიხვდა, რომ მათ განმარტოებულ ცხოვრებაში გოლენიშჩევი შინაური კაცი გახდებოდა და მასთან არაფრის დამალვა არ იყო საჭირო.

– განა შენ ხატავ? – ჰკითხა გოლენიშჩევმა და სწრაფად მოტრიალდა ვრონსკისკენ.

– ჰო, დიდი ხნის წინ ვსწავლობდი და ახლაც მოვკიდე ხელი, – უპასუხა ვრონსკიმ და წამოწითლდა.

– მას დიდი ნიჭი აქვს, – მხიარული ღიმილით დასძინა ანამ, – თუმცა, რა თქმა უნდა, მე ამის მსაჯულად ვერ გამოვდგები, მაგრამ საქმის მცოდნენიც ამასვე ამბობენ.

VIII

ანა ამ თავისი გათავისუფლებისა და სწრაფი გამოჯანმრთელების პირველ პერიოდში შეუწყნარებელ ბედნიერებას გრძნობდა და სიცოცხლის სრულ სიხარულს განიცდიდა. ბედნიერებას ვერ უწამლავდა ქმრის უბედურების გახსენება. ეს მოგონება, ერთი მხრივ, იმდენად საზარელი იყო, რომ არ შეეძლო ამაზე ფიქრი; მეორე მხრივ, ქმრის უბედურებამ მას ისე დიდი ბედნიერება მიანიჭა, რომ სინანულს ვერ იგრძნობდა ამის გამო. გახსენება ყოველივე იმისა, რაც ავადმყოფობის შემდეგ შეემთხვა: ქმართან შერიგება, განხეთქილება, ცნობა იმის შესახებ, რომ ვრონსკი დაიჭრა, ვრონსკის მოსვლა, მზადება განქორწინებისთვის, ქმრის სახლიდან წამოსვლა, შვილთან გამოთხოვება – ყოველივე ეს ეჩვენებოდა ერთ საზარელ სიზმრად, რომლისგანაც ვრონსკისთან ერთად საზღვარგარეთ გამოფხიზლდა. გახსენება

ქმრისთვის მიყენებული ბოროტებისა მასში რაღაც ზიზღისმაგვარ გრძნობას აღვიძებდა, იმის მსგავსს, რასაც იგრძნობდა დასახრჩობად განწირული ადამიანი, რომელიც თავიდან იცილებს მასზე ჩაბღაუჭებულ ადამიანს. ეს ადამიანი უკვე დაიხრჩო. რაღა თქმა უნდა, ეს არ იყო კარგი, მაგრამ ეს ერთადერთი ხსნა იყო და სჯობდა, სულაც არ გაეხსენებინა ეს საშინელი წვრილმანები.

განხეთქილების პირველ წუთებში, როცა ანა თავის საქციელს ჩაუკვირდა, ერთმა დამამშვიდებელმა აზრმა გაუელვა და ახლაც, როცა წარსულს იხსენებდა, ისევ ის ერთადერთი მოსაზრება ახსენდებოდა: „მე ნამდვილად გავაუბედურე ის ადამიანი, – ფიქრობდა იგი, – მაგრამ მე არ მინდა ვისარგებლო მისი უბედურებით. მეც ვიტანჯები და კვლავაც დავიტანჯები: მე ვკარგავ იმას, რასაც ყველაზე ძლიერ ვუფრთხილდებოდი – ვკარგავ პატიოსანი ქალის სახელს და შვილს. მე ცუდი საქმე ჩავიდინე, ამიტომაც არ მინდა ბედნიერება და მუდამ დავიტანჯები ამ სირცხვილით და შვილთან განშორებით“. მაგრამ რარიგ გულწრფელადაც უნდა ნდომოდა ტანჯვა, მაინც არ იტანჯებოდა. სირცხვილს არ გრძნობდა. იმ ტაქტის წყალობით, რომელიც უხვად ჰქონდა მომადლებული ორივეს, საზღვარგარეთ ყოველთვის გაურბოდნენ რუს მანდილოსნებთან შეხვედრას, არასოდეს იგდებდნენ თავს ყალბ მდგომარეობაში და ყველგან ხვდებოდნენ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს სავსებით ესმოდათ მათი ურთიერთდამოკიდებულება და ესმოდათ უფრო უკეთ, ვიდრე თვით ანასა და ვრონსკის. პირველ ხანებში ანა საყვარელ ვაჟიშვილთან განშორებითაც კი არ იტანჯებოდა. გოგონა, ვრონსკის შვილი, ისეთი კარგი გახდა და ანაც ისე შეეთვისა ბავშვს მას შემდეგ, რაც მარტო ეს გოგონა დარჩა, რომ ვაჟიშვილი იშვიათადღა აგონდებოდა.

სიცოცხლის მოთხოვნილება, რომელიც იზრდებოდა გამოჯანმრთელებასთან ერთად, იმდენად ძლიერი იყო და ცხოვრების პირობებიც ისეთი ახალი და სასიამოვნო, რომ ანა შეუწყნარებელ ბედნიერებას განიცდიდა. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ვრონსკის, მით მეტად უძლიერდებოდა მისი სიყვარული. ანას უყვარდა ვრონსკი, უყვარდა თვით იგი, უყვარდა იმ სიყვარულისთვის, რომელსაც ანას მიმართ ამჟღავნებდა. ანას მარადჟამ სიამოვნებას ანიჭებდა შეგრძნება იმისა, რომ მთლიანად ფლობდა ვრონსკის და ყოველთვის

სიამოვნებას ჰგვრიდა მასთან სიახლოვე. ყოველი წვრილმანი ვრონსკის ხასიათისა, რომელსაც თანდათან ეცნობოდა, გამოუთქმელად საყვარელი იყო მისთვის. ვრონსკის გარეგნობა, რომელიც სულ გამოცვალა სამოქალაქო ტანისამოსმა, ანასთვის ისეთივე მომხიბვლელი იყო, როგორიც ახალგაზრდა მიჯნურისთვის. ყველაფერი, რასაც ვრონსკი ამბობდა, ფიქრობდა ან აკეთებდა, ანას განსაკუთრებით კეთილშობილური და დიადი ეჩვენებოდა. ეს აღტაცება ხშირად კიდეც აშინებდა. იგი ეძებდა და ვერ პოულობდა მასში ვერაფერს ისეთს, რაც მშვენიერი არ იყო. ანა ვერ ბედავდა იმის გამომჟღავნებას, თუ რა არარაობად გრძნობდა თავს ვრონსკის წინაშე. ეგონა, ეს რომ შეიტყოს, უფრო ადრე გაუცივდება გულიო, და ანას ახლა ისე არაფერი აშინებდა, როგორც მისი სიყვარულის დაკარგვა, თუმცა არავითარი საბაბი არ გააჩნდა ამისა. მაგრამ არ შეეძლო მადლიერი არ ყოფილიყო იმ დამოკიდებულების გამო, რომელსაც ვრონსკი იჩენდა მისდამი და არ ეჩვენებინა, როგორ აფასებდა ამას. ვრონსკიმ, რომელსაც ანას აზრით, ასეთი დიდი მოწოდება ჰქონდა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა, სადაც თვალსაჩინო როლი უნდა ეთამაშა, მსხვერპლად შესწირა ანას თავისი პატივმოყვარეობა და არასოდეს მცირეოდენი სინანულიც არ გამოუთქვამს ამის გამო. იგი წინანდელზე უფრო მეტ სიყვარულსა და მოკრძალებას იჩენდა ანასადმი და ერთი წუთითაც არ ივიწყებდა იმაზე ფიქრს, რომ ანას უხერხულობა არ ეგრძნო თავისი მდგომარეობის გამო. ვრონსკი, ასეთი ძლიერი ბუნების ადამიანი, ანასთან ურთიერთობის დროს არათუ არასოდეს ეწინააღმდეგებოდა მას, არც გააჩნდა საკუთარი სურვილი და თითქოს მხოლოდ იმის ფიქრში იყო, წინასწარ გამოეცნო, რა ეწადა ანას. ანასაც არ შეეძლო არ დაეფასებინა ეს, თუმცა სწორედ ეს დაძაბული ყურადღება და მზრუნველობა, რომლითაც გარემოცული იყო, ზოგჯერ უმძიმდა კიდეც.

ვრონსკი კი, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით აუცხადდა დიდი ხნის ნანატრი ოცნება, მაინც არ იყო სავსებით ბედნიერი. მან მალე იგრძნო, რომ მისი სურვილების ასრულებამ მხოლოდ მცირეოდენი არგუნა იმ უდიდესი ბედნიერებისგან, რასაც მოელოდა. სურვილთა ხორცშესხმამ ნათლად დაანახვა მარადიული შეცდომა იმ ადამიანისა, რომელიც ბედნიერებას სურვილთა ასრულებად წარმოიდგენს. პირველ ხანებში, მას

შემდეგ, რაც შეუერთდა ანას და სამოქალაქო ტანისამოსი ჩაიცვა, იგრძნო მთელი მშვენიერება თავისუფლებისა, რასაც წინათ მოკლებული იყო, იგრძნო მშვენიერება სიყვარულის თავისუფლებისა და კმაყოფილი იყო ამით, მაგრამ არა დიდი ხნით. მალე იგრძნო, რომ მის სულში კვლავ აღიძრა ახალი სურვილები და სევდა. თავისდა უნებურად ებღაუჭებოდა ყოველ წუთიერ ჟინს და ამას თავის სურვილად და მიზნად მიიჩნევდა. რაიმეთი ხომ უნდა შეევსო ეს თექვსმეტი საათი, რადგან საზღვარგარეთ სრული თავისუფლებით ცხოვრობდნენ და არა იმ საზოგადოებრივი ცხოვრებით, რასაც მიჰქონდა მათი დრო პეტერბურგში. ფიქრიც კი არ შეიძლებოდა უცოლშვილო კაცის სიამოვნებაზე, რითაც გატაცებული იყო ვრონსკი წინანდელი მოგზაურობის დროს, რადგან ერთმა ამგვარმა ცდამ – შემთხვევით შეხვედრილ ნაცნობთან გვიანმა ვახშმობამ, – ანას სრულიად მოულოდნელი და შეუფერებელი გულგატეხილობა გამოიწვია. ურთიერთობა ადგილობრივ ან რუს საზოგადოებასთან, მათი მდგომარეობის გაურკვევლობის გამო, აგრეთვე შეუძლებელი იყო. ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ უკვე ყველაფერი ნანახი ჰქონდა, ვრონსკისთვის, როგორც ჭკვიანი რუსი ადამიანისთვის, არ ჰქონდა ის აუწერელი მნიშვნელობა, რასაც ამას ინგლისელები ანიჭებენ ხოლმე.

და როგორც დამშეული ცხოველი პირს სტაცებს ყველაფერს, რაც კი მოხვდება, იმ იმედით, იქნებ საჭმელი იყოსო, ვრონსკიც ასევე სრულიად შეუცნობლად ხან პოლიტიკას ებღაუჭებოდა, ხან ახალ წიგნებს და ხან სურათებს.

რადგან ახალგაზრდობიდანვე ხატვის ნიჭი ჰქონდა და არ იცოდა, სად დაეხარჯა ფული, ვრონსკიმ ხელი მოჰკიდა გრავიურების შეგროვებას, ისევ მხატვრობაზე შეჩერდა, ხელი მიჰყო ხატვას და მასში ჩადო სურვილთა ის თავისუფალი მარაგი, რომელიც დაკმაყოფილებას მოითხოვდა.

მას ჰქონდა უნარი ხელოვნების გაგებისა, შეეძლო ზუსტად, გემოვნებით მიებაძა ხელოვნებისთვის, და იფიქრა, მაქვს სწორედ ის, რაც საჭიროა მხატვრისთვისო. რამდენიმე ხანს იყოყმანა, რა სახის მხატვრობა აერჩია: რელიგიური, ისტორიული თუ რეალისტური ჟანრი და შეუდგა ხატვას. იგი ყოველი სახის მხატვრობას იცნობდა და შეეძლო ერთითაც აღფრთოვანებულიყო და მეორითაც, მაგრამ წარმოდგენაც არ

ჰქონდა, რომ შესაძლებელია სულაც არ სცოდნოდა, რა და რა სახის მხატვრობა არსებობს, ისე, უშუალოდ აღფრთოვანებულიყო იმით, რაც მის სულში იყო და არ ეზრუნა იმაზე, მიეკუთვნებოდა თუ არა მისი ნახატი რომელიმე ცნობილ ჟანრს. და რადგან არ იცოდა ეს, რადგან მისი აღფრთოვანება გამოწვეული იყო არა უშუალოდ ცხოვრებით, არამედ რაღაც ხელოვნურად შექმნილი ცხოვრებით, სწრაფად და ადვილად განიცდიდა აღფრთოვანებასა და ასევე სწრაფად და იოლად აღწევდა იმას, რომ მისი ნახატი ძლიერ ჰგავდა ფერწერის იმ ჟანრს, რომლის მიბაძვაც განზრახული ჰქონდა.

ყველა სხვა ჟანრზე უფრო მას ფრანგული გრაციოზული და ეფექტური ფერწერა მოსწონდა და სწორედ ამგვარი სტილით შეუდგა ანას პორტრეტის ხატვას იტალიურ კოსტიუმში და ეს პორტრეტი მასაც და ყველას, ვინც კი ნახა, ძალიან კარგი ეჩვენებოდა.

IX

ეს ძველი, მიტოვებული პალაცო, მისი მაღალი, გამოძერწილი პლაფონები და ფრესკებით მოხატული კედლები, მოზაიკის იატაკი, მაღალ ფანჯრებზე ჩამოკიდებული ნაქსოვი, მძიმე ყვითელი ფარდები, კონსოლებსა და ბუხრებზე მდგარი ლარნაკები, ჩუქურთმიანი კარები და სურათებით მორთული ჩაბნელებული დარბაზები, მას შემდეგ, რაც აქ ანა და ვრონსკი გადმოსახლდნენ, ხელს უწყობდა ვრონსკის სასიამოვნო ცდუნებას, რომ იგი რუსი მემამულე და სამსახურიდან გამოსული ეგერმაისტერი კი არა, განათლებული ხელოვნების მოყვარული და მფარველია და თვითონაც ერთი თავმდაბალი მხატვარი, რომელმაც საყვარელი ქალის გულისთვის უარი თქვა საზოგადოებაზე, ნაცნობებსა და პატივმოყვარეობაზე.

ვრონსკის მიერ არჩეულ როლს პალაცოში გადასვლით სრული წარმატება ხვდა. გოლენიშჩევის მეშვეობით ზოგიერთ საინტერესო პიროვნებასაც გაეცნო და პირველ ხანებში მშვიდად გრძნობდა თავს. იგი იტალიელი ფერწერის პროფესორის ხელმძღვანელობით ეტიუდებს ხატავდა

ნატურიდან და გატაცებული იყო შუა საუკუნეების იტალიის ცხოვრებით. უკანასკნელ ხანებში ვრონსკი იმდენად გაიტაცა შუა საუკუნეების იტალიის ცხოვრებამ, რომ ქუდსა და მხრებზე გადაგდებულ პლედსაც ისე ატარებდა, როგორც შუა საუკუნეებში იცოდნენ, რაც ძლიერ შვენოდა.

– ჩვენ კი აქ ვცხოვრობთ და ვერაფერს ვიგებთ, – უთხრა ერთხელ ვრონსკიმ დილით მასთან მისულ გოლენიშჩევს, – შენ ნახე მიხაილოვის სურათი? – უთხრა მან, ახალმიღებული რუსული გაზეთი გაუწოდა და უჩვენა სტატია ამავე ქალაქში მცხოვრებ ერთ რუს მხატვარზე. მას უკვე დაემთავრებინა სურათი, რომლის შესახებაც დიდი ხანია ხმები დადიოდა და რომელიც წინასწარ იყო შესყიდული. სტატიაში საყვედურობდნენ მთავრობასა და აკადემიას იმის გამო, რომ ეს შესანიშნავი მხატვარი მოკლებული იყო ყოველგვარ წახალისებასა და დახმარებას.

– ვნახე, – უპასუხა გოლენიშჩევმა, – რა თქმა უნდა, ნიჭს მოკლებული არ არის, მაგრამ სრულიად ყალბი მიმართულება აქვს. ეს იგივე ივანოვის, შტრაუსისა და რენანისებური დამოკიდებულებაა ქრისტესა და რელიგიური მხატვრობისადმი.

– რას წარმოადგენს თვით სურათი? – იკითხა ანამ.

– ქრისტე პილატეს წინაშე. ქრისტე ებრაელად არის წარმოდგენილი ახალი სკოლის მთელი რეალიზმით, – და გოლენიშჩევმა, რომელიც სურათის შინაარსზე საუბარმა ერთ თავის საყვარელ თემასთან მიიყვანა, კვლავ განაგრძო, – ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიდიან ასეთ უხეშ შეცდომამდე. ქრისტემ უკვე პოვა თავისი გარკვეული გამოსახულება დიდებულ მოხუცთა ხელოვნებაში. ასე რომ, თუ მათ ღვთის კი არა, რევოლუციონერისა ან ბრძენის გამოხატვა უნდათ, მაშინ, დაე, ისევ ისტორიას მიმართონ, აიღონ სოკრატე, ფრანკლინი, შარლოტა კორდე, მხოლოდ ქრისტე კი არა. ისინი სწორედ იმ პიროვნებას ჰკიდებენ ხელს, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელოვნებისთვის, მერე კი...

– და მართალია, რომ ეს მიხაილოვი ასეთ სიღატაკეში ცხოვრობს? – იკითხა ვრონსკიმ, რომლის აზრით, მას, როგორც რუს მეცენატს, კარგი იქნებოდა მისი სურათი თუ ცუდი, მაინც დახმარება უნდა აღმოეჩინა მხატვრისთვის.

– არა მგონია. იგი შესანიშნავი პორტრეტისტია. თქვენ ნახეთ მის მიერ შესრულებული ვასილჩიკოვას პორტრეტი? მაგრამ, მგონი, ახლა ხელი აიღო პორტრეტების ხატვაზე და ამიტომაც შესაძლოა მართლაც გაჭირვებული იყოს. მე ვამბობ, რომ...

– არ შეიძლება ვთხოვოთ, რომ ანა არკადიევნას პორტრეტი დახატოს? – უთხრა ვრონსკიმ.

– რატომ ჩემი? – თქვა ანამ, – შენი სურათის შემდეგ მე არავის პორტრეტი აღარ მინდა. ისევ ჯობს ანი (ასე ეძახდა თავის გოგონას) დახატოს. აგერ ისიც, – დაუმატა და ფანჯრიდან გახედა ლამაზ იტალიელ ძიძას, რომელსაც ბაღში გამოეყვანა ბავშვი, და მაშინვე მალულად გადახედა ვრონსკისაც. ეს ლამაზი ძიძა, რომლის სახესაც ვრონსკი ერთი თავისი სურათისთვის ხატავდა, ერთადერთი იდუმალი დარდი იყო ანას ცხოვრებაში. ვრონსკი ძიძის სურათის ხატვის დროს აღტაცებული იყო მისი სილამაზითა და შუასაუკუნეობრიობით და ანა ვერ უტყდებოდა თავს, რომ აშინებდა ძიძაზე ეჭვიანობა და ამიტომაც განსაკუთრებით ეალერსებოდა და ანებივრებდა მასაც და მის პატარა ბიჭსაც.

ვრონსკიმაც ფანჯარაში გაიხედა, მერე ანას შეხედა და ისევ გოლენიშჩევს მიუბრუნდა.

– შენ იცნობ ამ მიხაილოვს?

– შევხვედრივარ. უცნაური და სრულიად გაუნათლებელი კაცია. ეს იცით, ერთი იმ ველურ, ახალ ადამიანთაგანია, რომლის მსგავსთაც ახლა ხშირად შეხვდებით; ერთი იმ თავისუფლად მოაზროვნეთაგანი, რომლებიც d’emblee[4] აღიზარდნენ ურწმუნოების, უარყოფისა და მატერიალიზმის გარემოცვაში. წინათ, – განაგრძობდა გოლენიშჩევი და ვერ ამჩნევდა ან არ უნდოდა შეემჩნია, რომ ანასაც და ვრონსკისაც რაღაცის თქმა უნდოდათ, – წინათ თავისუფალ მოაზროვნედ ის ადამიანი ითვლებოდა, რომელიც რელიგიის, კანონებისა და ზნეობრიობის გარემოცვაში აღიზარდა და ბრძოლითა და შრომით მიაღწია თავისუფალ აზროვნებამდე, ახლა კი გაჩნდნენ ახალი ტიპის თავისუფალი მოაზროვნენი, რომლებიც ისე აღიზარდნენ, რომ არც გაუგიათ, თუ არსებობდა ზნეობისა და სარწმუნოების კანონები და რომ იყვნენ ავტორიტეტები. ისინი პირდაპირ ყველაფრის უარყოფაში იზრდებიან, ესე იგი ველურდებიან. აი, ასეთია ისიც. იგი, მგონი, მოსკოველი

კამერლაქიის შვილია და არავითარი განათლება არა აქვს მიღებული. როცა აკადემიაში შევიდა და რეპუტაცია შეიქმნა, როგორც ჭკვიანმა ადამიანმა განათლების მიღებაც მოიწადინა და მიმართა ჟურნალებს, რასაც იგი განათლების წყაროდ მიიჩნევდა, და წარმოიდგინეთ, წინათ ვინმეს, მაგალითად, ფრანგს, განათლების მიღება რომ მოეწადინებინა, ჯერ ყველა კლასიკოსს შეისწავლიდა: ღვთისმეტყველებსაც, ტრაგიკოსებსაც, ისტორიკოსებსაც, ფილოსოფოსებსაც და თქვენ წარმოიდგინეთ ის გონებრივი შრომა, რაც საჭირო შეიქნებოდა მისთვის. ჩვენში კი ის პირდაპირ უარყოფის ლიტერატურას წააწყდა, უმალვე შეითვისა უარყოფის მეცნიერების მთელი ექსტრაქტი და მორჩა. უფრო მეტიც: ამ ოცი წლის წინ იგი ამ ლიტერატურაში კიდევ ნახავდა ავტორიტეტებთან, საუკუნეებით განმტკიცებულ შეხედულებებთან ბრძოლის ნიშანს და ამით მაინც შეიტყობდა, რომ არსებობდა რაღაც სხვა; ახლა კი პირდაპირ წააწყდა იმ ლიტერატურას, რომელიც კამათის ღირსადაც არ თვლის ძველ შეხედულებებს და პირდაპირ ამბობს: არაფერი არ არსებობს, évolution,[5] შერჩევა, არსებობისთვის ბრძოლა – აი, ყველაფერი. მე ჩემს სტატიაში...

– იცით რა, – უთხრა ანამ, რომელმაც უკვე რამდენიმეჯერ ფრთხილად გადახედა ვრონსკის და მიხვდა, რომ მას ამ მხატვრის განათლება კი არ აინტერესებდა, მხოლოდ ის აზრი ამოქმედებდა, როგორმე დახმარებოდა და პორტრეტი შეეკვეთა.

– იცით, რა? – ახლა უფრო გაბედულად შეაწყვეტინა ანამ საუბარი გოლენიშჩევს, – წავიდეთ მასთან!

გოლენიშჩევი გამოერკვა და სიამოვნებით დათანხმდა. რადგან მხატვარი შორეულ კვარტალში ცხოვრობდა, ეტლის დაქირავება გადაწყვიტეს.

ერთი საათის შემდეგ ანა, მის გვერდით მჯდომი გოლენიშჩევი და ვრონსკი, რომელიც ეტლის წინა ადგილზე მოთავსდა, შორეული კვარტალის ლამაზ, ახალ სახლს მიუახლოვდნენ. როცა მათ შესახვედრად გამოსული მეეზოვის ცოლისგან შეიტყვეს, მიხაილოვი მნახველებს თავის სტუდიაში იღებს, მაგრამ ახლა ბინაში, აქედან ორიოდე ნაბიჯზეაო, თავიანთი სადარბაზო ბარათები გაატანეს მეეზოვის ცოლს და სურათების დათვალიერების ნება სთხოვეს.

X

მხატვარი მიხაილოვი, როგორც ყოველთვის, ახლაც მუშაობდა, როცა გრაფ ვრონსკისა და გოლენიშჩევის სადარბაზო ბარათები მიუტანეს. დილით იგი სტუდიაში დიდ სურათზე მუშაობდა. შინ რომ დაბრუნდა, ცოლს წაეჩხუბა იმის გამო, რომ არ იცოდა, რანაირად მოქცეოდა დიასახლისს, რომელიც ფულს მოითხოვდა მათგან.

– ათასჯერ მითქვამს შენთვის, ახსნა-განმარტებას თავი დაანებე-მეთქი, ისედაც სულელი ხარ და იტალიურად რომ დაუწყებ ახსნა-განმარტებას, უფრო სულელი ხდები, – უთხრა მან დიდი ხნის ჩხუბის შემდეგ.

– შენც ნუ დააგვიანებ ფულის გადახდას, მე რა შუაში ვარ, ფული რომ მქონოდა...

– ღვთის გულისთვის, დამანებე თავი! – ცრემლნარევი ხმით წამოიძახა მიხაილოვმა, ყურებზე ხელები მიიფარა, ტიხარს იქით, თავის სამუშაო ოთახში გავიდა და კარი ჩაიკეტა. „ჩერჩეტი!“ – ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგიდას მიუჯდა, საქაღალდე გაშალა და მაშინვე გატაცებით შეუდგა დაწყებული სურათის ხატვას.

არასოდეს ისეთი გატაცებითა და წარმატებით არ მუშაობდა, როგორც მაშინ, როცა მათი ცხოვრება კარგად ვერ მიდიოდა და განსაკუთრებით მაშინ, როცა ცოლს წაეჩხუბებოდა. „აჰ, ნეტავ გადამკარგა სადმე!“ – ფიქრობდა და მუშაობას განაგრძობდა. იგი ხატავდა სურათს, რომელსაც უნდა წარმოედგინა განრისხებული ადამიანი. ეს სურათი ადრეც დახატა, მაგრამ არ მოსწონდა, „არა, ის უკეთესი იყო... სად არის ის სურათი?“ იგი მოღუშული გავიდა ცოლთან, არც შეუხედავს მისთვის და უფროს გოგონას ჰკითხა, სად არის ის ქაღალდი, მე რომ მოგეცითო. სურათი იპოვეს, მაგრამ სტეარინით გათხვრილი და დაღვენთილი აღმოჩნდა. სურათი მაინც წამოიღო, თავის მაგიდაზე დადო და თვალებმოჭუტვით შორიდან დაუწყო ყურება, უეცრად გაიღიმა და სიხარულით აიქნია ხელი.

– ასე, ასე! – ჩაილაპარაკა მან, მაშინვე ფანქარი აიღო და აჩქარებით შეუდგა ხატვას. სტეარინის ლაქა ახალ პოზას აძლევდა სურათზე გამოხატულ ადამიანს.

იგი ხატავდა ამ ახალ პოზას და უეცრად გაახსენდა ენერგიული

სახე და წინ წამოწეული ნიკაპი ვაჭრისა, რომლისგანაც სიგარებს ყიდულობდა ხოლმე და თავის სურათზეც სწორედ ეს სახე და წინ წამოწეული ნიკაპი გადაიტანა. მას სიხარულისაგან გაეცინა. უეცრად ამ უსიცოცხლო, გამოგონებულ ფიგურას სული ჩაედგა და ისეთი გახდა, რომლის შეცვლაც უკვე აღარ შეიძლებოდა. ფიგურა უკვე ცოცხლობდა და სავსებით ნათელი და გამოკვეთილი იყო. შეიძლებოდა სურათის შესწორება ამ ფიგურის მოთხოვნილებათა შესაბამისად, შეიძლებოდა და თითქმის საჭიროც იყო სხვანაირად განელაგებინა ფეხები, სრულიად შეეცვალა მარცხენა ხელის მდგომარეობა, უკან გადაეწია თმა, მაგრამ ამ შესწორებათა დროს, ფიგურას კი არ ცვლიდა, არამედ აცლიდა იმას, რაც ამ ფიგურას ფარავდა. თითქოს ხსნიდა იმ საფარველს, საიდანაც სავსებით ვერ მოჩანდა იგი; ყოველი ახალი ხაზი უფრო მკვეთრად აჩენდა ფიგურას, მთელ მის ენერგიას, აჩენდა სწორედ ისეთს, როგორიც უეცრად იხილა სტეარინის ლაქით. იგი უკვე სიფრთხილით ამთავრებდა ამ ფიგურას, როცა სადარბაზო ბარათები შეუტანეს.

– ახლავე, ახლავე!

წასვლისას ცოლთან შეიარა.

– კარგი, საშა, გეყოფა, ნუ მიჯავრდები! – უთხრა ცოლს და გაუბედავად, ალერსით გაუღიმა, – შენც დამნაშავე იყავი და მეც. ყველაფერს მოვაგვარებ, – და ცოლთან შერიგების შემდეგ ხავერდისსაყელოიანი მწვანე პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და სტუდიისაკენ გასწია. უკვე დავიწყებას მიეცა ის კარგად შესრულებული ფიგურა. ახლა მას ეტლით მოსული წარჩინებული რუსების სტუმრობა ახარებდა და აღელვებდა.

თავისი სურათის შესახებ, რომელიც ახლა მოლბერტზე იდგა, სულის სიღრმეში ერთი აზრი ჰქონდა, – რომ ამის მსგავსი არასოდეს არავის დაუხატავს. მას არ უფიქრია, ეს სურათი რაფაელის ყველა სურათზე უკეთესიაო, მაგრამ ის კი იცოდა, რომ რაც ამ სურათით სურდა გადმოეცა და რაც გადმოსცა, არასოდეს არავის გადმოუცია. ეს მტკიცედ იცოდა და იცოდა უკვე დიდი ხნის წინ, მას შემდეგ, რაც ამ სურათის ხატვას შეუდგა. მაგრამ სხვის აზრს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის და სულის სიღრმემდე აღელვებდა. ყოველი შენიშვნა, სრულიად უმნიშვნელოც კი, რომელიც უჩვენებდა, რომ მისი მსაჯულნი მცირედს მაინც

ხედავდნენ იმისას, რაც მხატვარმა დაინახა, სულის სიღრმემდე აღელვებდა. თავის მსაჯულთ ყოველთვის წარმოიდგენდა ისეთ ადამიანებად, რომელთაც უფრო ღრმა გაგება ჰქონდათ, ვიდრე თვით მას, და მათგან ყოველთვის ელოდა რაიმე ისეთს, რასაც თვითონ ვერ ხედავდა თავის სურათში; და ხშირად მნახველთა მსჯელობაში, ასე ეგონა, კიდეც პოულობდა ამას.

მიხაილოვი ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა თავისი სტუდიის კარს და მიუხედავად მღელვარებისა, გააოცა სადარბაზო კარის ჩრდილში მდგომი ანას ოდნავ განათებულმა ფიგურამ. ანა ყურს უგდებდა გატაცებით მოლაპარაკე გოლენიშჩევს და თან, ეტყობა, ცდილობდა თვალი შეევლო მხატვრისთვის, რომელიც უახლოვდებოდა მათ. მიხაილოვმა თვითონაც ვერ შენიშნა, მათთან მიახლოებისას როგორ აიტაცა, როგორ შთანთქა ეს შთაბეჭდილება, როგორც იმ სიგარების გამყიდველი ვაჭრის ნიკაპი, და როგორ გადამალა სადღაც, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ამოიღებდა. გოლენიშჩევის საუბრით მხატვარზე გულგატეხილ სტუმრებს კიდევ უფრო გაუტეხა გული მხატვრის გარეგნობამ. შუატანის, ჩასხმულმა მიხაილოვმა, თავისი ცუხცუხა სიარულით, მისმა ყავისფერმა ქუდმა, მუქ-მწვანე პალტომ და ვიწრო შარვალმა, როცა უკვე დიდი ხანია ფართო შარვლებს იცვამდნენ, განსაკუთრებით კი მისმა სრულიად ჩვეულებრივმა ფართო სახემ და გაუბედავმა გამომეტყველებამ, რასაც საკუთარი ღირსების დაცვის სურვილი ერწყმოდა, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე.

– უმორჩილესად გთხოვთ, – თქვა მან და შეეცადა, დაეფარა მღელვარება, წინკარში შევიდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

XI

სტუდიაში რომ შევიდნენ, მიხაილოვმა ერთხელ კიდევ გადახედა სტუმრებს და ახლა ვრონსკის სახის გამომეტყველება ჩაიბეჭდა მეხსიერებაში, განსაკუთრებით კი მისი ყვრიმალის ძვლები. მიუხედავად იმისა, რომ მისი

მხატვრული შეგრძნება განუწყვეტლივ მუშაობდა და მასალას აგროვებდა, მიუხედავად იმისა, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა მისი ნამუშევრის განსჯის წუთები, მით მეტ მღელვარებას გრძნობდა, მაინც სწრაფად, რაღაც შეუმჩნეველი ნიშნების მიხედვით ქმნიდა თავის წარმოდგენას ამ სამი პიროვნების შესახებ. ის (გოლენიშჩევი) აქაური რუსი იყო. მიხაილოვს არ ახსოვდა არც მისი გვარი და არც ის, თუ სად შეხვდა ან რა ელაპარაკა. ახსოვდა მხოლოდ მისი სახე და ისიც, რომ ეს სახე უკვე გადადებული ჰქონდა თავის წარმოსახვათა უზარმაზარ განყოფილებაში, სადაც ყველა ყალბმნიშვნელოვან, ღარიბი გამომეტყველების მქონე სახეებს ათავსებდა. გრძელი თმა და მეტისმეტად გადაშლილი შუბლი გარეგნულ მნიშვნელობას აძლევდა მის სახეს, რომელზეც ერთი, ბავშვურად შეშფოთებული გამომეტყველება იხატებოდა, რაც ცხვირის ვიწრო ძგიდესთან იყრიდა თავს. ვრონსკი და კარენინა, მიხაილოვის აზრით, წარჩინებული, მდიდარი რუსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც, როგორც ყველა მდიდარ რუსს, არაფერი გაეგებოდათ ხელოვნებისა, მაგრამ თავი ისე მოჰქონდათ, როგორც შეეფერებოდა ხელოვნების მოყვარულთ და შემფასებელთ. „ეტყობა, დაუთვალიერებიათ მთელი სიძველენი და ახლა ახლების სტუდიათა ნახვა განუზრახავთ, ყოფილან იმ შარლატან გერმანელთან, პრერაფაელიტ სულელ ინგლისელთან და შთაბეჭდილების შესავსებად ახლა ჩემთანაც მოსულან“, – ფიქრობდა მიხაილოვი. იგი კარგად იცნობდა დილეტანტების ამ მანერას (რაც უფრო ჭკვიანები იყვნენ ეს დილეტანტები, მით უარესი იყო), რომ ისინი იმ მიზნით ათვალიერებდნენ თანამედროვე მხატვართა სტუდიებს, რათა უფლება ჰქონოდათ, ეთქვათ, ხელოვნება დაეცა და რაც უფრო მეტს უყურებ ახლებს, მით ნათლად ხედავ, რა სწორუპოვარნი დარჩნენ ძველი დიდოსტატებიო. იგი ელოდა ყოველივე ამას, ამასვე ხედავდა მათ სახეზეც, როცა უყურებდა, როგორ გულგრილად და უყურადღებოდ საუბრობდნენ მანეკენებისა და ბიუსტების დათვალიერების დროს, როგორ თავისუფლად სეირნობდნენ იმის მოლოდინში, რომ ჩქარა აეხადა ფარდა თავისი სურათისთვის. მიუხედავად ამისა, როცა ეტიუდებს ფურცლავდა, ფარდას სწევდა და ზეწარს ხსნიდა თავის სურათს, მიხაილოვი უდიდეს მღელვარებას განიცდიდა და მართალია, მისი წარმოდგენით ყველა მდიდარი, წარჩინებული რუსი პირუტყვი და სულელი იყო, ვრონსკი და განსაკუთრებით ანა მაინც მოეწონა.

– აი, ხომ არ ინებებთ? – თქვა მან, თავისებური ცუხცუხა სიარულით განზე გადგა და სურათზე მიუთითა.

– ეს გახლავთ პილატეს შეგონება, სახარება მათესი, თავი XVII, – თქვა მან და იგრძნო, რომ მღელვარებისგან ტუჩები უთრთოდა. იგი მოსცილდა სურათს და მათ უკან გაჩერდა.

იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როცა მნახველნი მდუმარედ შეჰყურებდნენ სურათს, მიხაილოვიც უყურებდა თავის სურათს და უყურებდა სრულიად გულგრილი, უცხო თვალით. ამ რამდენიმე წამის განმავლობაში მას წინასწარ სჯეროდა, რომ უმაღლეს, სამართლიან განაჩენს სწორედ ეს მნახველები გამოიტანდნენ, რომელთაც ასე ჰგმობდა ამ ერთი წუთის წინ. მას გადაავიწყდა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა ამ სურათზე წინათ, სამი წლის განმავლობაში, როცა ხატავდა; დაავიწყდა ყველა ის ღირსება, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდა, – ისიც მათსავით გულგრილი, უცხო, ახალი თვალით შეჰყურებდა სურათს და კარგს ვერაფერს ხედავდა მასში. პირველ პლანზე ხედავდა პილატეს განაწყენებულ სახესა და ქრისტეს მშვიდ სახეს, მეორე პლანზე კი – პილატეს მსახურთა სახეებს და იოანეს სახეს, რომელიც დაკვირვებით მისჩერებოდა იმას, რაც იქ ხდებოდა. ყოველი სახე, რომლებიც ამდენი ძიების, შეცდომისა და შესწორების შემდეგ გამოიკვეთნენ მასში თავისი ხასიათით, ყოველი სახე, რომლებმაც ამდენი ტანჯვა და სიხარული განაცდევინეს, ყველა ეს სახე, რომლებიც ამდენჯერ შეცვალა საერთო ტონის დასაცავად, კოლორიტისა და ფერების სხვადასხვაობა, რაც ასე ძნელი მისაღწევი იყო, – ყველაფერი ეს ერთად ახლა, როცა მათი თვალით შეჰყურებდა სურათს, გაცვეთილად და ათასჯერ განმეორებულად ეჩვენა. მისთვის ყველაზე ძვირფასი სახე – ქრისტეს სახე, ცენტრი სურათისა, რის აღმოჩენამაც ასეთი აღტაცება მიანიჭა, დაკარგულად მოეჩვენა, როცა მათი თვალით შეხედა სურათს. იგი ხედავდა კარგად შესრულებულ (და არცთუ ისე კარგად შესრულებულს, – ახლა ნათლად ხედავდა არაერთ ნაკლოვანებას) ტიციანის, რაფაელისა და რუბენსის ქრისტეს განმეორებას, იმავე მეომრებს, იმავე პილატეს. ყოველივე ეს გაცვეთილი, ღარიბი, ძველი და ცუდად შესრულებულიც კი იყო – აჭრელებული და სუსტი. ისინი მართალნი იქნებიან, როცა მხატვრის თანდასწრებით თვალთმაქცურ, მოკრძალებულ ფრაზებს იტყვიან, მერე კი, მარტონი რომ დარჩებიან, შეიბრალებენ და დასცინებენ.

ეს დუმილი მეტად მძიმე ასატანი შეიქნა მისთვის (თუმცა ერთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა) და რათა ეს დუმილი დაერღვია და ეჩვენებინა მათთვის, რომ სულაც არ ღელავდა, თავს ძალა დაატანა და გოლენიშჩევს მიმართა: – მგონი, მე უკვე მქონდა სიამოვნება თქვენთან შეხვედრისა, – უთხრა და თან შეშფოთებული შეჰყურებდა ხან ანასა და ხან ვრონსკის, რომ მათი სახის გამომეტყველებიდან არც ერთი ხაზი არ გამორჩენოდა.

– როგორ არა! ჩვენ როსისთან შევხვდით ერთმანეთს. გახსოვთ, იმ საღამოს დეკლამაციით რომ გამოვიდა იტალიელი ქალიშვილი – ახალი რაშელი, – თავისუფლად წამოიწყო საუბარი გოლენიშჩევმა, ყოველგვარი სინანულის გარეშე მოსწყვიტა თვალი სურათს და მხატვარს მიუბრუნდა.

და როცა შენიშნა, რომ მიხაილოვი ელოდა, რას იტყოდნენ მისი სურათის შესახებ, თქვა: – თქვენი სურათი შესამჩნევად წასულა წინ მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე. და ახლაც, როგორც მაშინ, არაჩვეულებრივ გაოცებას იწვევს ჩემში პილატეს ფიგურა, ისე გესმის ამ კეთილი, კარგი, მაგრამ სულის სიღრმემდე ჩინოვნიკი ადამიანისა, რომელმაც თვითონაც არ უწყის, რას აკეთებს. მაგრამ მე მგონია...

მიხაილოვის მოძრავი სახე უცებ ერთიანად განათდა: თვალები გაუბრწყინდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იმდენად აღელვებული იყო, რომ ხმის ამოღება ვეღარ შეძლო და განგებ ჩაახველა. რაც უნდა მდაბალი ყოფილიყო მისი წარმოდგენა გოლენიშჩევის გემოვნებაზე, რაც უნდა უმნიშვნელო ყოფილიყო მისი სამართლიანი შენიშვნა პილატეს, როგორც ჩინოვნიკის, სახის გამომეტყველებაზე, რაც უნდა საწყენი ყოფილიყო მისთვის პირველი ასეთი უმნიშვნელო შენიშვნის გამოთქმა, მაშინ როცა მნიშვნელობაზე ჯერ არაფერი თქმულიყო, მიხაილოვი მაინც აღტაცებული იყო ამ შენიშვნით. ისიც იმასვე ფიქრობდა პილატეს ფიგურაზე, რაც გოლენიშჩევმა უთხრა. ის, რომ ეს მოსაზრება ერთი იმ მილიონთაგანი იყო, რომელიც, როგორც ეს მტკიცედ სწამდა მიხაილოვს, უეჭველი და ჭეშმარიტი იქნებოდა, ამას მაინც არ გაუნელებია მისთვის გოლენიშჩევის შენიშვნის მნიშვნელობა. მას შეუყვარდა გოლენიშჩევი ამ შენიშვნის გამო და იმ გულგატეხილობის შემდეგ უეცრად დიდი სიხარული იგრძნო. უეცრად მთელი სურათი გაცოცხლდა მის წინ. მიხაილოვი ისევ შეეცადა, ეთქვა,

რომ ისიც ამასვე ფიქრობდა პილატეს შესახებ, მაგრამ ტუჩები მაინც ჯიუტად უთრთოდა და ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა. ვრონსკი და ანაც რაღაცას ლაპარაკობდნენ დაბალი ხმით, ისე როგორც საერთოდ ლაპარაკობენ ხოლმე სურათების გამოფენაზე. ნაწილობრივ იმიტომ, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენონ მხატვარს, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ხმამაღლა არ თქვან სისულელე, რისი თქმაც ძალიან ადვილია ხელოვნებაზე ლაპარაკის დროს. მიხაილოვს ეჩვენებოდა, რომ სურათმა მათზეც მოახდინა შთაბეჭდილება. იგი მათთან მივიდა.

– რა საოცარია ქრისტეს გამომეტყველება! – თქვა ანამ. ყველაზე უფრო ანას ეს გამომეტყველება მოეწონა, თანაც გრძნობდა, რომ ეს იყო სურათის ცენტრი და ამიტომაც ამის შექება სასიამოვნო იქნებოდა მხატვრისთვის, – ჩანს, ქრისტეს ებრალება პილატე.

ესეც ერთი იმ მილიონ სწორ მოსაზრებათაგანი იყო, რომელიც შეეძლო შეემჩნია ყველას მის სურათსა და ქრისტეს ფიგურაში. ანამ თქვა, ქრისტეს ებრალება პილატეო. „ქრისტეს სახის გამომეტყველებაში სიბრალულიც უნდა ჩანდეს, რადგანაც მას აქვს სიყვარულის, ზეციური სიმშვიდისა და სიკვდილისთვის მზადყოფნის გამომეტყველება და შეცნობა სიტყვის ამაოებისა. რა თქმა უნდა, პილატეს ჩინოვნიკის გამომეტყველება ექნება, ქრისტეს კი სიბრალული ემჩნევა, რადგან ერთი განსახიერებაა ხორციელი ცხოვრებისა, მეორე – სულიერი ცხოვრებისა“, – ყოველივე ამან და ბევრმა სხვა მოსაზრებამაც გაუელვა თავში მიხაილოვს და სახე კვლავ აღტაცებამ გაუბრწყინა.

– მერე როგორ არის შესრულებული ეს ფიგურა, რამდენი ჰაერია. შეგიძლია გარშემო შემოუარო, – თქვა გოლენიშჩევმა, ეტყობა, ამ შენიშვნით უნდოდა ეჩვენებინა, რომ მას არ მოსწონს აზრი და შინაარსი ამ ფიგურისა.

– დიახ, საოცარი ოსტატობაა! – თქვა ვრონსკიმ, – როგორ არის გამოკვეთილი უკანა პლანზე განლაგებული ფიგურები! აი, მესმის ტექნიკა! – თქვა მან და გოლენიშჩევს მიუბრუნდა. ამით სიტყვა გადაუკრა წინანდელ საუბარზე, რომ იმედი არა აქვს, ოდესმე თუ მიაღწევს ამ ტექნიკას.

– დიახ, დიახ, საოცარია! – დაუდასტურეს გოლენიშჩევმა და ანამ. მიუხედავად აღტაცებისა, მიხაილოვს მაინც გულში მოხვდა ვრონსკის შენიშვნა ტექნიკის შესახებ, გაჯავრებით

გადახედა და უეცრად მოიღუშა. მას ხშირად სმენია სიტყვა „ტექნიკა“ და გარკვევით არც იცოდა, რას გულისხმობდნენ მასში. იცოდა, რომ ამ სიტყვაში გულისხმობდნენ შინაარსისაგან სრულიად დამოუკიდებელ წერისა და ხატვის მექანიკურ უნარს. ხშირად, როგორც ახლანდელ შექებაშიც, შეუმჩნევია, რომ ტექნიკა ეწინააღმდეგება შინაგან ღირსებათ, თითქოს შესაძლებელი იყო კარგად შესრულებულიყო ის, რაც ცუდი იყო. მან იცოდა, რომ ბევრი ყურადღება და სიფრთხილე არ იყო საჭირო იმისთვის, საბურვლის ახსნისას არ დაემახინჯებინა თვით ნაწარმოები და იმისთვისაც, რომ ყოველგვარი საბურველი შემოეხსნა; მაგრამ აქ ხატვის არავითარი ხელოვნება და ტექნიკა არ იყო. პატარა ბავშვს ან მის მზარეულ ქალს, რომ ისევე დაენახა ყველაფერი, როგორც მიხაილოვი ხედავდა, მაშინ ისიც ასევე შეძლებდა ქერქის შემოხსნას იმისთვის, რასაც ხედავდა; ხოლო ყველაზე გამოცდილი და დახელოვნებული მხატვარ-ტექნიკოსიც კი მარტო თავისი მექანიკური უნარით ვერ შეძლებდა რაიმეს დახატვას, თუ ჯერ შინაარსის საზღვრები არ გადაეხსნებოდა. გარდა ამისა, მიხაილოვი იმასაც ხედავდა, რომ, თუ ტექნიკაზე დაიწყებოდა საუბარი, მაშინ შეუძლებელი იყო მისი ქება. ყველაფერში, რასაც იგი ხატავდა, ან რაც დაეხატა, მრავალ თვალისმომჭრელ ნაკლს ხედავდა, რომელიც იმით იყო გამოწვეული, რომ სიფრთხილით ვერ ხსნიდა საბურველს, რისი შესწორებაც უკვე აღარ შეეძლო ისე, რომ არ გაეფუჭებინა მთელი ნაწარმოები და თითქმის ყველა ფიგურასა და სახეზე ხედავდა ამ ჯერ კიდევ სავსებით ჩამოუხსნელი საბურვლის ნაშთებს, რაც აფუჭებდა სურათს.

– ერთი რამ, რაც შეიძლება ითქვას, თუ თქვენ ამ შენიშვნის ნებას მომცემთ... – უთხრა გოლენიშჩევმა.

– აჰ, დიდად მოხარული ვიქნები, გთხოვთ, – უთხრა მიხაილოვმა და თვალთმაქცურად გაუღიმა.

– მინდოდა მეთქვა, რომ თქვენი ქრისტე უფრო კაც-ღმერთია, ვიდრე ღმერთკაცი. თუმცა მე ვიცი, რომ თქვენ სწორედ ეს გინდოდათ.

– მე არ შემეძლო დამეხატა ის ქრისტე, რომელიც ჩემს სულში არ იყო, – უთხრა მიხაილოვმა და მოიღუშა.

– ჰოდა, ასეთ შემთხვევაში, თუ ნებას მომცემთ, მოგახსენოთ

ჩემი აზრი... თქვენი სურათი იმდენად კარგია, რომ ჩემს შენიშვნას არ შეუძლია ავნოს რამე, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი პირადი აზრია. თქვენ სულ სხვა გაქვთ. თვით მოტივია სხვა. ავიღოთ თუნდაც ივანოვი. ჩემი აზრით, თუ ქრისტეს ისტორიულ პიროვნებამდე დავიყვანთ, მაშინ ივანოვისთვის უმჯობესი იქნებოდა, აერჩია რაიმე სხვა, ახალი, ხელუხლებელი ისტორიული თემა.

– მაგრამ თუ ეს არის უდიდესი თემა, რომელიც დგას ხელოვნების წინაშე?

– თუ მოვძებნით, სხვასაც აღმოვაჩენთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელოვნება ვერ იტანს დავასა და მსჯელობას. ივანოვის სურათს კი ვინც ნახავს, მორწმუნე იქნება თუ ურწმუნო, მაშინვე იკითხავს: ღმერთია ეს თუ არ არის ღმერთი? და ეს ანადგურებს შთაბეჭდილების მთლიანობას.

– რატომ? მე მგონი, განათლებული ადამიანისთვის ეს უკვე აღარ შეიძლება იყოს სადავო, – თქვა მიხაილოვმა.

გოლენიშჩევი არ დაეთანხმა, იგი ისევ თავის პირველ აზრს იცავდა, რომ ხელოვნებისთვის საჭიროა შთაბეჭდილების მთლიანობა და ამით დამარცხებული მიხაილოვი ღელავდა, მაგრამ არ შეეძლო რაიმე ეთქვა თავისი აზრის დასაცავად.

XII

ანამ და ვრონსკიმ უკვე რამდენჯერმე გადახედეს ერთმანეთს. წუხდნენ, რომ ბოლო აღარ უჩანდა მათი მეგობრის ჭკვიანურ, გაუთავებელ ყბედობას და ბოლოს, ვრონსკიმ მასპინძელს აღარ დაუცადა, თვითონვე გადაინაცვლა მეორე, უფრო პატარა სურათთან.

– აჰ, რა მშვენიერია, რა მშვენიერი! საოცარია! რა შესანიშნავია! – თითქმის ერთხმად შესძახეს მათ.

„ნეტავ რა მოეწონათ ასე?“ – გაიფიქრა მიხაილოვმა. მას გადაავიწყდა კიდეც ეს სამი წლის წინ შესრულებული სურათი.

დაავიწყდა ის ტანჯვა და სიხარული, რომელიც ამ სურათმა განაცდევინა, როცა რამდენიმე თვის განმავლობაში დღედაღამ მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, დაავიწყდა ისე, როგორც ავიწყდებოდა ყველა დამთავრებული სურათი, მას უკვე ამ სურათის შეხედვაც აღარ სიამოვნებდა და მხოლოდ იმიტომ გამოიტანა, რომ ელოდა ერთ ინგლისელს, რომელსაც სურათის ყიდვა უნდოდა.

– ეს ისე, დიდი ხნის ეტიუდია, – თქვა მან.

– რა კარგია! – თქვა გოლენიშჩევმაც, რომელიც, ეტყობა, გულწრფელად მოიხიბლა სურათის მშვენიერებით.

ტირიფის ჩრდილქვეშ ორი ბიჭი თევზაობდა. ერთ მათგანს, უფროსს, ის იყო ჩაეშვა წყალში ანკესი, ბუჩქებიდან გულმოდგინედ გამოჰქონდა ლივლივა და მთლიანად შთანთქმული იყო ამ საქმით; მეორე კი, უმცროსი, ბალახზე გაწოლილიყო, გაწეწილი, ქერათმიანი თავი ხელებზე დაეყრდნო და ფიქრმორეული ცისფერი თვალებით დაჰყურებდა წყალს. რაზე ფიქრობდა პატარა ბიჭი?

ამ სურათით აღტაცებამ მიხაილოვს კვლავ გაუღვიძა ძველი მღელვარება, მაგრამ მას არ უყვარდა, ეშინოდა წარსულისადმი ამ ფუჭი გრძნობისა და ამიტომაც, მართალია, მისთვის სასიამოვნო იყო ქების მოსმენა, მაინც ცდილობდა სხვა, მესამე სურათზე გადაეტანა მნახველთა ყურადღება.

მაგრამ ვრონსკიმ ჰკითხა, ხომ არ გაყიდით ამ სურათსო. მიხაილოვისთვის ახლა, როცა იგი აღელვებული იყო სტუმრების მოსვლით, მეტად უსიამოვნო იყო ფულზე ლაპარაკი.

– სწორედ გასაყიდად არის გამოტანილი, – უპასუხა მან და მოიღუშა.

სტუმრები რომ წავიდნენ, მიხაილოვი ქრისტესა და პილატეს სურათის წინ დაჯდა, გონებაში გაიმეორა ყოველივე მათ მიერ თქმული და ისიც, რაც არ თქმულა, მაგრამ იგულისხმებოდა. და სწორედ უცნაური იყო, რომ იმან, რასაც ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის სტუმრების აქ ყოფნისას, როცა მათი თვალით უყურებდა სურათს, ახლა მისთვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. ახლა ნამდვილად მხატვრის თვალით შეჰყურებდა თავის ნამუშევარს და იგრძნო, რომ მასში კვლავ აღდგა რწმენა

თავისი სურათის სრულყოფილებისა და მნიშვნელობისა, რაც აუცილებელი იყო იმ დაძაბულობისთვის, რომელიც გამორიცხავდა ყველა სხვა ინტერესს – მას მხოლოდ ამგვარ მდგომარეობაში შეეძლო მუშაობა.

ქრისტეს ფეხი რაკურსში მაინც ვერ იყო კარგი. მიხაილოვმა პალიტრა აიღო და მუშაობას შეუდგა. იგი ასწორებდა ქრისტეს ფეხს და თან სულ უკანა პლანზე გამოსახულ იოანეს ფიგურას შეჰყურებდა, რომელიც სტუმრებმა ვერ შენიშნეს, მაგრამ ჭეშმარიტ სრულყოფილებას წარმოადგენდა, – ამაში დარწმუნებული იყო. ფეხზე მდგარი მუშაობას რომ მორჩა, განიზრახა იოანეს ფიგურისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ იგრძნო, რომ საამისოდ მეტისმეტად აღელვებული იყო. მას ერთნაირად არ შეეძლო მუშაობა არც მაშინ, როცა მეტისმეტად გულგრილი იყო და არც მაშინ, როცა მეტისმეტად ღელავდა და ძალზე ნათლად ხედავდა ყველაფერს. მხოლოდ ერთი საფეხური იყო ამ გულგრილობიდან აღფრთოვანებისკენ, როცა მისთვის შესაძლებელი იყო მუშაობა. დღეს კი მეტისმეტად ღელავდა. უნდოდა დაეხურა სურათი, მაგრამ შეჩერდა, ზეწარი ხელით დაიჭირა და ნეტარების ღიმილით დიდხანს შეჰყურებდა იოანეს ფიგურას. ბოლოს, თითქოს გულდაწყვეტით ძლივსღა მოსწყვიტა სურათს თვალი, ზეწარი ჩამოუშვა და დაღლილმა, მაგრამ ბედნიერმა შინისკენ გასწია.

შინ დაბრუნებული ვრონსკი, ანა და გოლენიშჩევი ძალიან მხიარულად და გამოცოცხლებულად გრძნობდნენ თავს. ისინი ლაპარაკობდნენ მიხაილოვსა და მის სურათებზე. სიტყვა „ტალანტი“, რომელშიც გულისხმობდნენ თანდაყოლილ, გულისა და გონებისაგან დამოუკიდებელ, თითქმის ფიზიკურ უნარს და რომლითაც ნათლავდნენ ყველაფერს, რაც კი მხატვარს განეცადა, ხშირად მეორდებოდა მათ საუბარში, ეს სიტყვა მათთვის აუცილებელი იყო, რათა სახელი დაერქმიათ იმისათვის, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ, მაგრამ ლაპარაკი კი უნდოდათ. ამბობდნენ, რომ შეუძლებელია მისი ტალანტის უარყოფა, რომ განათლების უქონლობის გამო მისი ტალანტი ვერ განვითარდა, რაც ჩვენი რუსი მხატვრების საერთო უბედურებაა. მაგრამ ბიჭების სურათი კი გონებაში ჩარჩათ და რაზედაც უნდა დაეწყოთ ლაპარაკი, ისევ იმ სურათს უბრუნდებოდნენ.

– რა მშვენიერებაა! როგორ შეძლო ეს! და მერე როგორი

უბრალოებაა! თვითონაც არ ესმის, რამდენად კარგი სურათია. არა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ, უსათუოდ უნდა ვიყიდოთ, – ამბობდა ვრონსკი.

XIII

მიხაილოვმა მიჰყიდა ვრონსკის თავისი სურათი და ანას პორტრეტის დახატვაზეც დათანხმდა. დანიშნულ დღეს იგი მივიდა და შეუდგა მუშაობას.

მეხუთე სეანსის შემდეგ პორტრეტმა განაცვიფრა ყველა და განსაკუთრებით ვრონსკი, არა მარტო მსგავსებით, არამედ რაღაც განსაკუთრებული მშვენიერებით. „უნდა იცნობდე, უნდა გიყვარდეს ისე, როგორც მე მიყვარს, რათა დაინახო მასში ეს ყველაზე მომხიბვლელი სულიერი სილამაზე“, – ფიქრობდა ვრონსკი, თუმცა მხოლოდ ამ სურათით იგრძნო ანას ეს მომხიბვლელი სულიერი გამომეტყველება, მაგრამ ის იმდენად ჭეშმარიტი იყო, რომ მასაც და სხვებსაც ეჩვენებოდათ, თითქოს დიდი ხანია იცნობდნენ მას.

– მე რამდენი ხანია ვწვალობ და არაფერი გამომივიდა, – ამბობდა ვრონსკი თავისი პორტრეტის შესახებ, – მან კი ერთი შეხედა და დახატა კიდეც. აი, რას ნიშნავს ტექნიკა.

– ესეც იქნება, – ანუგეშებდა გოლენიშჩევი, რომლის აზრითაც ვრონსკის ტალანტიც ჰქონდა და განათლებაც, რაც მაღალ შეხედულებას უქმნის ადამიანს ხელოვნებაზე. გოლენიშჩევის რწმენას ვრონსკის ტალანტზე ხელს უწყობდა ისიც, რომ მასაც, მის აზრებსა და სტატიებს, ესაჭიროებოდა ვრონსკის თანაგრძნობა და ქება-დიდება და გრძნობდა, რომ ეს ერთმანეთის მხარდაჭერა და ქება ორივესთვის საჭირო იყო.

უცხო სახლში, განსაკუთრებით კი პალაცოში, ვრონსკისთან, მიხაილოვი სულ სხვა ადამიანი იყო, ვიდრე თავის სტუდიაში. მასში ჩანდა რაღაც მტრული მოწიწება, თითქოს შიშობდა, არ დაახლოებოდა იმ ადამიანებს, რომელთაც პატივს არ სცემდა. „თქვენო ბრწყინვალებავ“, – ასე მიმართავდა იგი ყოველთვის

ვრონსკის და მიუხედავად ანასა და ვრონსკის პატიჟისა, არასოდეს სადილად არ რჩებოდა და არც სხვა დროს მოდიოდა, თუ არა სეანსებისთვის. ანა სხვებზე ალერსიანად ექცეოდა მას და დიდად მადლობელი იყო თავისი პორტრეტისთვის. ვრონსკი გადამეტებულ თავაზიანობას იჩენდა მისდამი და ეტყობა, აინტერესებდა, რას იტყოდა მხატვარი მისი სურათის შესახებ. გოლენიშჩევი შემთხვევას არ უშვებდა, შთაენერგა მიხაილოვისთვის ნამდვილი შეხედულება ხელოვნებაზე. მაგრამ მიხაილოვი ერთნაირად გულგრილად ექცეოდა ყველას. ანა მის გამოხედვაზე გრძნობდა, რომ მიხაილოვს უყვარდა მისი ყურება, მაგრამ მასთან ლაპარაკს კი გაურბოდა. როცა ვრონსკი თავის მხატვრობაზე ესაუბრებოდა, იგი ჯიუტად დუმდა, ასევე ჯიუტად დუმდა მაშინაც, როცა ვრონსკის სურათი უჩვენეს და ეტყობა, ემძიმებოდა გოლენიშჩევთან ლაპარაკი და არც ედავებოდა მას.

საერთოდ, როცა მათ ახლოს გაიცნეს მიხაილოვი, ძალიან არ მოეწონათ მისი თავშეკავებული და უსიამოვნო, თითქოსდა მტრული დამოკიდებულება მათდამი. და ყველანი დიდად მოხარულნი დარჩნენ, როცა სეანსები დასრულდა, ხელში დარჩათ შესანიშნავი პორტრეტი, ხოლო მიხაილოვმა მათთან სიარული შეწყვიტა.

გოლენიშჩევმა პირველმა გამოთქვა ის აზრი, რომელიც ყველას უტრიალებდა თავში, სახელდობრ, რომ მიხაილოვს უბრალოდ შურდა ვრონსკისა.

– დავუშვათ, არ შურს, იმიტომ, რომ მას ტალანტი აქვს, მაგრამ მაინც სწყინს, რომ სამეფო კარზე მიღებული ადამიანი მდიდარი და თანაც გრაფი (მათ ხომ, ყველას, სძულთ ეს) ყოველგვარი განსაკუთრებული შრომის გარეშე იმასვე აკეთებს და შეიძლება მასზე უკეთაც, რასაც მხატვარმა მთელი სიცოცხლე შესწირა, მთავარია, განათლება, რომელიც მას არ გააჩნია.

ვრონსკი იცავდა მიხაილოვს, მაგრამ გულის სიღრმეში სჯეროდა ეს, რადგან სხვა, მდაბიო ფენის წარმომადგენელს მართლაც უნდა ჰქონოდა ეს შური.

ანას პორტრეტს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ნატურიდან გადაიღო ორივემ, უნდა დაენახვებინა ვრონსკისთვის ის განსხვავება, რომელიც მასა და მიხაილოვს შორის არსებობდა,

მაგრამ ვერ ხედავდა ამას. ეს კი იყო, რომ მიხაილოვის შემდეგ თავი მიანება ანას პორტრეტის ხატვას, რადგან გადაწყვიტა, რომ ეს ახლა ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ თავის სურათს კი, რომელიც შუა საუკუნეების ცხოვრებას შეეხებოდა, მაინც ხატავდა და თვითონაც, გოლენიშჩევიც და განსაკუთრებით ანა ფიქრობდნენ, რომ სურათი ძალიან კარგი იყო, რადგან იგი უფრო მეტად ჰგავდა სახელგანთქმულ სურათებს, ვიდრე მიხაილოვის სურათი.

მიხაილოვი კი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაიტაცა ანას პორტრეტის ხატვამ, მათზე მეტად იყო გახარებული სეანსების დამთავრებით: მისთვის უკვე საჭირო აღარ იყო, ესმინა გოლენიშჩევის მსჯელობა ხელოვნებაზე და შეეძლო დაევიწყებინა ვრონსკის მხატვრობაც. მან იცოდა, რომ არ შეიძლებოდა აეკრძალათ ვრონსკისთვის მხატვრობით გართობა. იცოდა, რომ მასაც და სხვა დილეტანტებსაც სრული უფლება ჰქონდათ ეხატათ ის, რასაც მოიწადინებდნენ, მაგრამ მისთვის მაინც უსიამოვნო იყო ეს. არ შეიძლება აუკრძალო ადამიანს სანთლისაგან გააკეთოს დიდი დედოფალა და კოცნოს მას. მაგრამ თუ თავისი დედოფალათი მივა, დაჯდება შეყვარებულის წინ და დაუწყებს ალერსს დედოფალას ისე, როგორც შეყვარებული ეალერსება თავის სატრფოს, მაშინ ეს უსიამოვნო იქნება შეყვარებულისთვის. ასეთივე უსიამოვნო გრძნობას განიცდიდა მიხაილოვი ვრონსკის სურათების ნახვისას. ეს მისთვის სასაცილოც იყო, საწყენიც, შესაბრალისიც და შეურაცხმყოფელიც.

ვრონსკის გატაცება მხატვრობითა და შუა საუკუნეებით დიდხანს არ გაგრძელებულა. მას იმდენი გემოვნება აღმოაჩნდა მხატვრობაში, რომ ვერ შეძლო თავისი სურათის დამთავრება. სურათის ხატვა შეწყდა. ბუნდოვნად იგრძნო, რომ ნაკლოვანებები, რომელიც ნაკლებშესამჩნევი იყო სურათის დაწყებისას, თავზარდამცემი შეიქნებოდა, თუ განაგრძობდა სურათის ხატვას. მასაც იგივე დაემართა, რაც გოლენიშჩევს, რომელმაც იგრძნო, რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი და თავს სულ იმით იტყუებდა, აზრი მომწიფებული არა მაქვს, გონებაში ვამუშავებ და მასალებს ვაგროვებო. მაგრამ გოლენიშჩევი ამან გააბოროტა და გააწამა, ვრონსკის კი არ შეეძლო თავის მოტყუება, ტანჯვა ამის გამო და მით უმეტეს, გაბოროტება. მან მისთვის ჩვეული ხასიათის სიმტკიცით მიატოვა მხატვრობა, ისე, რომ არც უცდია არავითარი ახსნა-განმარტება ან თავის

მართლება.

მაგრამ უამისოდ ცხოვრება მისი და ანასი, რომელიც გაოცებული იყო ვრონსკის გულგატეხილობით, იტალიის ამ ქალაქში მეტისმეტად მოსაწყენად ეჩვენა. პალაცო უეცრად შესამჩნევად ძველი და ჭუჭყიანი შეიქნა, უსიამოვნოდ ხვდებოდა თვალში ეს დალაქავებული ფარდები, დაბზარული იატაკი, ბათქაშგადაცლილი ლავგარდანები, და ისე მოსაწყენი გახდა სულ ერთი და იგივე გოლენიშჩევი, იტალიელი პროფესორი და გერმანელი მოგზაური, რომ აუცილებელი შეიქნა ცხოვრების შეცვლა. გადაწყვიტეს, წასულიყვნენ რუსეთში, სოფლად. პეტერბურგში ვრონსკის უნდოდა გამოყოფოდა ძმას, ანას კი განზრახული ჰქონდა ენახა თავისი ვაჟიშვილი. ზაფხული კი, როგორც გადაწყვიტეს, ვრონსკის დიდ საგვარეულო მამულში უნდა გაეტარებინათ.

XIV

მესამე თვე იყო, რაც ლევინმა ჯვარი დაიწერა. იგი ბედნიერი იყო, მაგრამ არა ისე, როგორი მოლოდინიც ჰქონდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა რაღაც ისეთს, რაც ანადგურებდა მის ძველ ოცნებებს ანდა ახალ, მოულოდნელ მომხიბვლელობას პოულობდა. ლევინი ბედნიერი იყო, მაგრამ ოჯახური ცხოვრების დაწყების შემდეგ იგი ყოველ ნაბიჯზე ხედავდა, რომ ეს სულაც არ იყო ის, რაც წარმოდგენილი ჰქონდა. ყოველ ნაბიჯზე განიცდიდა იმას, რასაც განიცდის ადამიანი, რომელიც ტკბება იმის ყურებით, თუ რა კარგად, რა მშვენივრად ლივლივებს ტბაზე ნავი და ამის შემდეგ თვითონ ჯდება ამ ნავში. ხედავს, რომ საკმარისი არ არის ნავში მხოლოდ უძრავად, გამართულად ჯდომა, არამედ უნდა მოისაზრო კიდეც, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყო, საით მიცურავ, არ უნდა დაივიწყო, რომ შენს ფეხქვეშ წყალია, საჭიროა ნიჩბების მოსმა, რაც შეუჩვეველი ხელებისთვის მტკივნეულია, რომ მხოლოდ შორიდან ყურებაა ადვილი, ამის გაკეთება კი, თუმცა ძალიან სასიხარულოა, მაგრამ მეტად ძნელია.

როცა ლევინი მარტოხელა იყო და უყურებდა სხვების ოჯახურ

ცხოვრებას, წვრილმანებზე ზრუნვას, ჩხუბსა და ეჭვიანობას, გულში მხოლოდ ზიზღით ეღიმებოდა ამაზე. ლევინის რწმენით, მის მომავალ ოჯახურ ცხოვრებაში არათუ არ იქნებოდა რაიმე ამის მსგავსი, არამედ, როგორც მას ეჩვენებოდა, მისი ოჯახური ცხოვრება გარეგნული ფორმითაც კი განსხვავებული უნდა ყოფილიყო სხვების ცხოვრებისაგან. და უეცრად ამის ნაცვლად მისი ცხოვრება ცოლთან არათუ განსაკუთრებულად მოეწყო, არამედ, პირიქით, მთლიანად აშენდა ამ უმნიშვნელო წვრილმანებზე, რომლებიც წინათ ასე ეზიზღებოდა და რომელთაც ახლა, მისდა უნებურად, რაღაც არაჩვეულებრივი გარდაუვალი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ლევინი ხედავდა, რომ ამ წვრილმანების მოგვარება სულაც არ იყო ისე ადვილი, როგორც წინათ ეჩვენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლევინი ფიქრობდა, ძალიან სწორი წარმოდგენა მაქვს ოჯახურ ცხოვრებაზეო, მასაც, როგორც ყველა მამაკაცს, ოჯახური ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც სიყვარულით ტკბობა, რასაც ვერაფერი გადაეღობება წინ და ვერ მოგწყვეტს ვერავითარ წვრილმანებზე ზრუნვა. ლევინის აზრით, მას ისევ ისე უნდა გაეგრძელებინა თავისი მუშაობა და ამ სიყვარულის ბედნიერებაში უნდა ეპოვა მოსვენება. ცოლი მხოლოდ საყვარელი არსება უნდა ყოფილიყო და მეტი არაფერი. მაგრამ მას, როგორც ყველა მამაკაცს, ავიწყდებოდა, რომ ცოლისთვისაც საჭირო იყო მუშაობა. და ლევინი გაკვირვებული იყო, თუ კიტის, ამ პოეტურ, მშვენიერ არსებას, როგორ შეეძლო მათი ერთად ცხოვრების არათუ პირველ კვირებში, არამედ პირველ დღეებშიც კი ეფიქრა, არ დავიწყებოდა და ეზრუნა სუფრებზე, ავეჯზე, სტუმრებისთვის საჭირო ლეიბებზე, ლანგრებზე, მზარეულზე, სადილზე, იმაზე, თუ როგორ მოართმევდნენ სადილს და ა. შ. ლევინი ჯერ კიდევ სასიძო იყო, რომ უკვე განაცვიფრა კიტის საქციელმა, როცა დაბეჯითებით უარი თქვა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე და სოფელში წამოსვლა გადაწყვიტა, თითქოს მან იცოდა რაღაც ისეთი, რაც საჭირო იყო და გარდა თავისი სიყვარულისა, კიდევ შეეძლო სხვა, გარეშე რამეზეც ეფიქრა. ამან შეურაცხყო მაშინ ლევინი და ახლაც ასევე შეურაცხყოფდა კიტის ზრუნვა წვრილმანებზე და ფუსფუსი. მაგრამ ლევინი ხედავდა, რომ კიტისთვის ეს საჭირო იყო. და ლევინს, რომელსაც უყვარდა კიტი, თუმცა ვერ გაეგო, რატომ მოსდიოდა ეს და დასცინოდა კიდეც კიტის ფაციფუცს, მაინც არ შეეძლო, არ დამტკბარიყო ამით. ლევინს ეცინებოდა, როცა უყურებდა, როგორ ალაგებდა

კიტი მოსკოვიდან ჩამოტანილ ავეჯს, როგორ ახლებურად რთავდა თავისსა და ლევინის ოთახს, ჰკიდებდა ფარდებს, ანაწილებდა ოთახებს მომავალი სტუმრებისთვის, დოლისთვის, უწყობდა ბინას თავის ახალ მოსამსახურე გოგოს, უკვეთდა სადილს მოხუც მზარეულს, ეკამათებოდა აგაფია მიხაილოვნას და ცდილობდა, ჩამოეშორებინა იგი საკუჭნაოსთვის. ლევინი ხედავდა, როგორ ეღიმებოდა მოხუც მზარეულს, როგორ ტკბებოდა იგი კიტის ყურებით, როცა მის უხერხულ და შეუძლებელ განკარგულებებს ისმენდა; ხედავდა, როგორ ფიქრიანად და ალერსიანად აქნევდა თავს აგაფია მიხაილოვნა, როცა ისმენდა ახალგაზრდა ქალბატონის განკარგულებებს საკუჭნაოს შესახებ; ხედავდა, რომ კიტი არაჩვეულებრივად საყვარელი იყო, როცა მიდიოდა მასთან და სიცილ-ტირილით შესჩიოდა, მოსამსახურე გოგო, მაშა, ისევ ქალიშვილად მთვლის და ამიტომაც არავინ არაფერს მიჯერებსო. ლევინისთვის ეს სასიამოვნო იყო, მაგრამ ეუცნაურებოდა და ფიქრობდა, უამისოდ უკეთესი იქნებოდაო.

ლევინისთვის უცხო იყო ის ახალი გრძნობა, რომელსაც კიტი განიცდიდა მას შემდეგ, რაც სახლში ბევრჯერ მონატრებია კომბოსტო ბურახით ანდა კანფეტი, მაგრამ არც ერთი შეეძლო ჰქონოდა და არც მეორე, ახლა კი შეეძლო შეეკვეთა, რასაც მოიწადინებდა, შეეძლო ეყიდა უამრავი კანფეტი, რამდენიც უნდოდა, იმდენი ფული დაეხარჯა და რომელსაც მოისურვებდა, ის ნამცხვარი შეეკვეთა.

კიტი ახლა სიხარულით ოცნებობდა, როდის ესტუმრებოდა დოლი თავისი ბავშვებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბავშვებისთვის ცალ-ცალკე შეუკვეთდა მათ საყვარელ ნამცხვარს, დოლი კი დააფასებდა ყველა მის ახალ მოწყობილობას. კიტიმ თვითონაც არ იცოდა, რატომ ან რისთვის მოსდიოდა ეს, მაგრამ დიასახლისობა უფრო და უფრო მეტად იზიდავდა. იგი ინსტინქტურად გრძნობდა გაზაფხულის მოახლოებას, იცოდა, რომ ავდრიანი დღეებიც დაუდგებოდა, როგორც შეეძლო, ისე იკეთებდა ბუდეს და ჩქარობდა, რათა ერთსა და იმავე დროს კიდეც ეკეთებინა ბუდე და კიდეც ესწავლა ბუდის კეთება.

კიტის ზრუნვა წვრილმანებზე, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა ლევინის იდეალს უმაღლეს ბედნიერებაზე, პირველ ხანებში ერთ-ერთი მიზეზი შეიქნა ლევინის გულის გატეხისა; და ეს

საყვარელი მზრუნველობაც, რომლის აზრიც გაუგებარი იყო მისთვის, მაგრამ მაინც შეუძლებელი იყო, არ ჰყვარებოდა, გახლდათ ის ახალი, რითაც იხიბლებოდა.

მეორე მიზეზი გულის გატეხისა და ახალი მოხიბვლისა იყო გაუთავებელი ჩხუბი. ლევინი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მასა და მის მეუღლეს შორის შესაძლებელია არსებობდეს სხვა დამოკიდებულება, თუ არა სინაზე, მოკრძალება და სიყვარული, და უეცრად პირველ დღეებშივე წაიჩხუბნენ ისე, რომ კიტიმ უთხრა, შენ მე არ გიყვარვარ, მხოლოდ შენი თავი გიყვარსო, ატირდა და ხელების ქნევა დაიწყო.

მათი პირველი ჩხუბი იმის გამო მოხდა, რომ ლევინი ახალ ხუტორში წავიდა და ნახევარი საათით დააგვიანა მოსვლა, რადგან მოკლე გზით განიზრახა წამოსვლა და გზა აერია. იგი მოდიოდა შინისკენ და მხოლოდ კიტიზე, მის სიყვარულსა და თავის ბედნიერებაზე ფიქრობდა და რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით მეტად უცხოველდებოდა კიტის სიყვარული. როცა ოთახში შეირბინა, თითქმის იმასვე და იმაზე მეტსაც განიცდიდა, რაც ადრე შჩერბაცკების სახლში განიცადა, როცა ხელის სათხოვნელად მივიდა. და უეცრად იხილა კიტი ისეთი მოღუშული, როგორიც წინათ არასოდეს უნახავს. ლევინს უნდოდა, ეკოცნა მისთვის, მაგრამ კიტიმ ხელი ჰკრა.

– რა დაგემართა?

– შენ მხიარულად გრძნობ თავს... – დაუწყო კიტიმ, თან ცდილობდა, რაც შეიძლება დამშვიდებული და გესლიანი ყოფილიყო.

და როგორც კი პირი გააღო, ერთბაშად გადმოანთხია უაზრო ეჭვიანობის საყვედურები, ყველაფერი, რაც ტანჯავდა იმ ნახევარი საათის განმავლობაში, რომელიც ფანჯარაზე უძრავად მჯდომმა გაატარა. ლევინი მხოლოდ ახლა მიხვდა ნათლად, რაც არ ესმოდა მაშინ, როცა ჯვრისწერის შემდეგ კიტი ეკლესიიდან გამოჰყავდა. მიხვდა, რომ კიტი არათუ უახლოესი ადამიანი იყო მისთვის, არამედ აღარც იცოდა, სად თავდებოდა კიტი და სად იწყებოდა ლევინი. ამას მიხვდა გაორების იმ მტანჯველი გრძნობით, რასაც ამ წუთს განიცდიდა. პირველ წუთს ლევინმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ კიტის არ შეეძლო მისი შეურაცხყოფა, რომ კიტი იგივე ლევინი იყო. პირველ წუთს ლევინმა იმის

მსგავსი გრძნობა განიცადა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელსაც მოულოდნელად ძლიერად ჩაარტყეს ზურგიდან, გაბრაზებულმა უკან მოიხედა, რომ ეპოვა დამნაშავე და სამაგიერო მიეზღო მისთვის და დარწმუნდა, რომ უნებურად თვითონვე ჩაარტყა თავის თავს, რომ ვერავის გაუბრაზდება და თვითონვე უნდა გადაიტანოს, დაიყუჩოს ტკივილი.

შემდგომში არასოდეს ასეთი ძალით აღარ უგრძნია ეს, მაგრამ ახლა კი დიდხანს გონს ვერ მოვიდა. ბუნებრივი გრძნობა მოითხოვდა, თავი ემართლებინა, დაენახვებინა კიტისთვის მისივე დანაშაული, მაგრამ ამის მტკიცება იმას ნიშნავდა, რომ უფრო გაებრაზებინა იგი, უფრო გაეღრმავებინა განხეთქილება, რომელიც იყო მიზეზი მთელი მწუხარებისა. ერთი, ჩვეულებრივი გრძნობა იმას ეუბნებოდა, რომ თავი ემართლებინა და მთელი დანაშაული კიტისთვის მოეხვია თავზე; მეორე, უფრო ძლიერი გრძნობა, იქით მოუწოდებდა, რომ მალე, რაც შეიძლება მალე მოესპო ეს განხეთქილება, აღარ მიეცა გაღრმავების საშუალება. მისთვის მტანჯველი იყო ასეთი უმართებულო დანაშაულის აღიარება, მაგრამ კიდევ უარესი იქნებოდა, თუ თავის მართლებას დაიწყებდა და ამით უფრო ატკენდა გულს კიტის. ისე, როგორც ნახევრად მღვიძარე ადამიანი იტანჯება ტკივილით, მასაც უნდოდა მოეგლიჯა, თავიდან მოეშორებინა ეს მტკივნეული ადგილი, მაგრამ გამოფხიზლებულმა იგრძნო, რომ ეს მტკივნეული ადგილი თვითონვე იყო. ახლა მხოლოდ იმას უნდა ცდილიყო, რომ მტკივან ადგილს როგორმე აეტანა ეს ტკივილი და ლევინიც შეეცადა ამას.

ისინი შერიგდნენ. კიტიმ იგრძნო თავისი დანაშაული, თუმცა არ აღიარა ეს, მეტი სიყვარულით ექცეოდა ქმარს და ორივემ სიყვარულის ახალი, გაორკეცებული ბედნიერება განიცადა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ეს უთანხმოებანი კვლავაც, ძალიან ხშირადაც განმეორებულიყო სრულიად მოულოდნელი, უმნიშვნელო საბაბის გამო. უთანხმოება კი ხშირად იმიტომ მოსდიოდათ, რომ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა იყო ერთისა ან მეორისთვის მნიშვნელოვანი და კიდევ იმიტომ, რომ პირველ ხანებში ორივენი ხშირად იყვნენ ხოლმე ცუდ გუნებაზე. თუ ერთი კარგ ხასიათზე იყო, მეორე კი არა, მაშინ მშვიდობიანობა არ ირღვეოდა, მაგრამ თუ ორივეს წაუხდებოდა გუნება, ისეთ გაუგებარ, უმნიშვნელო რამეზე მოუვიდოდათ ჩხუბი, რომ

შემდეგ ვეღარც კი იხსენებდნენ, რისთვის წაიჩხუბნენ; თუმცა, როცა ორივენი კარგ ხასიათზე იყვნენ, მაშინ სიცოცხლის სიხარული ორკეცდებოდა. მაგრამ ეს პირველი ხანა მაინც მძიმე ასატანი იყო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა დაძაბულობა, თითქოს აქეთ-იქით ეწეოდნენ იმ ჯაჭვს, რომლითაც შეერთებული იყვნენ. საერთოდ, თაფლობის თვე, ესე იგი ქორწინების პირველი თვე, რომლისგანაც ლევინი, როგორც სხვებისგან ჰქონდა გაგონილი, ძალიან ბევრს ელოდა, არათუ თაფლობის თვე იყო, არამედ მათ მეხსიერებაში ჩარჩა როგორც ყველაზე მძიმე, დამამცირებელი ხანა მათი ცხოვრებისა. შემდეგ ორივენი ერთნაირად ცდილობდნენ ამოეშალათ მეხსიერებიდან ამ არაჯანსაღი დროის ყველა მახინჯი, სამარცხვინო მოგონება, როცა ორივენი იშვიათად იყვნენ ნორმალურ ხასიათზე და იშვიათად ეკუთვნოდნენ საკუთარ თავს.

მხოლოდ ქორწინების მესამე თვეს, მოსკოვიდან დაბრუნების შემდგომ, სადაც ისინი ერთი თვით იყვნენ წასული, უფრო მშვიდი შეიქნა მათი ცხოვრება.

XV

კიტი და ლევინი ახალი ჩამოსული იყვნენ მოსკოვიდან და უხაროდათ განმარტოებით ყოფნა. ლევინი კაბინეტში საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა. კიტი კი, რომელსაც სწორედ ის მუქი სოსანისფერი კაბა ეცვა, რომელსაც ქორწინების პირველ დღეებში იცვამდა ხოლმე და რომელიც განსაკუთრებით სამახსოვრო და ძვირფასი იყო ლევინისთვის, ძველებურ ტყავის დივანზე იჯდა, სწორედ იმ დივანზე, რომელიც ყოველთვის იდგა ხოლმე ლევინის პაპისა და მამის კაბინეტში, და broderie anglaise[6]-ს ქარგავდა. ლევინი ფიქრობდა, წერდა და თან განუწყვეტელ სიხარულს გრძნობდა კიტის იქ ყოფნის გამო. ლევინს არ შეუწყვეტია მუშაობა არც თავის

მეურნეობაში, არც წიგნზე, რომელშიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო ახალი მეურნეობის საფუძვლები; მაგრამ როგორც წინათ მცირე და უმნიშვნელო ეჩვენებოდა თავისი მუშაობა და აზრები იმ წყვდიადთან შედარებით, რომელიც ფარავდა მის ცხოვრებას, ისევე უმნიშვნელოდ და მცირედ ეჩვენებოდა ეს აზრები ახლაც, ბედნიერების სხივით გაბრწყინებულ თავის მომავალ ცხოვრებასთან შედარებით. იგი განაგრძობდა მუშაობას და გრძნობდა, რომ მისი ყურადღების სიმძიმის ცენტრმა სხვა საგანზე გადაინაცვლა და ამის შედეგად სულ სხვაგვარად, უფრო ნათლად უყურებდა საქმეს. წინათ ეს საქმიანობა მისთვის ხსნა იყო ცხოვრებისაგან. წინათ გრძნობდა, რომ უამისოდ მისი ცხოვრება მეტად დუხჭირი იქნებოდა. ახლა კი ეს მუშაობა მისთვის აუცილებელი შეიქნა, რათა მისი ცხოვრება სულ ერთიანად გაბრწყინებული არ ყოფილიყო. მან კვლავ მოჰკიდა ხელი თავის ქაღალდებს, გადაიკითხა დაწერილი და ნასიამოვნებმა იგრძნო, რომ საქმე მუშაობად ღირდა. ეს ახალი და სასარგებლო საქმე იყო, ბევრი ძველი მოსაზრება ზედმეტად და უკიდურესად ეჩვენა, მაგრამ, როცა ეს ყველაფერი მეხსიერებაში გადაახალისა, ბევრი ხარვეზი მისთვის ნათელი გახდა. ამჟამად იგი ახალ თავს წერდა რუსეთში მიწათმოქმედების განვითარების არახელსაყრელი პირობების მიზეზთა შესახებ და ამტკიცებდა, რომ რუსეთის სიღარიბე გამოწვეულია არა მარტო საადგილმამულო საკუთრებათა არასწორი განაწილებითა და ყალბი მიმართულებით, არამედ უკანასკნელ ხანებში ამას ხელი შეუწყო რუსეთში დანერგილმა მიუღებელმა გარეგნულმა ცივილიზაციამ, განსაკუთრებით მიმოსვლის საშუალებებმა, რკინიგზებმა, რამაც გამოიწვია ცენტრალიზაცია ქალაქებში და ფუფუნების ზრდა, რის შედეგადაც, მიწათმოქმედების საზარალოდ, განვითარდა საფაბრიკო მრეწველობა, კრედიტი და მისი თანამგზავრი – საბირჟო თამაში. მისი აზრით, სახელმწიფოში სიმდიდრის ნორმალური განვითარების დროს ეს მოვლენები მხოლოდ მაშინ იჩენენ თავს, როცა მიწათმოქმედება სწორ, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ პირობებშია ჩაყენებული; რომ ქვეყნის სიმდიდრე თანაზომიერად უნდა იზრდებოდეს, ისე, რომ სიმდიდრის სხვა დარგებმა წინ არ გაუსწროს მიწათმოქმედებას: მიწათმოქმედების გარკვეულ მდგომარეობას უნდა შეესატყვისებოდეს მიმოსვლის საშუალებებიც, მაგრამ ჩვენში, მიწის არასწორი სარგებლობის პირობებში, რკინიგზების

არსებობა, რაც გამოწვეულია არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საჭიროებით, ჯერ ნაადრევი იყო და ნაცვლად იმისა, ხელი შეეწყო მიწათმოქმედებისთვის, რისი იმედიც ჰქონდათ, პირიქით, წინ გაუსწრო მიწათმოქმედებას, შეაჩერა იგი და გამოიწვია მრეწველობისა და კრედიტის განვითარება და ამიტომაც, ისე როგორც ცხოველში რომელიმე ორგანოს ნაადრევი და ცალმხრივი განვითარება ხელს უშლის ორგანიზმის საერთო განვითარებას, ასევე რუსეთის საერთო განვითარებისთვის კრედიტი, მიმოსვლის საშუალებები და საფაბრიკო საქმიანობის გაძლიერება, რაც უეჭველად საჭირო და დროულია ევროპისთვის, რუსეთისთვის მხოლოდ საზიანო აღმოჩნდა, ამან კი გვერდზე გადასწია მიწათმოქმედების მოწესრიგების მორიგი მთავარი საკითხი.

ამასობაში, სანამ ლევინი თავისას წერდა, კიტი იმაზე ფიქრობდა, თუ რა არაბუნებრივ ყურადღებას ამჟღავნებდა მისი ქმარი ახალგაზრდა თავად ჩარსკისადმი, რომელიც წამოსვლის წინადღეს ისე უტაქტოდ შესტრფოდა მას. „იგი ხომ ეჭვიანობს, – ფიქრობდა კიტი, – ღმერთო ჩემო! რა საყვარელია და რა სულელი! ჩემზე იეჭვიანოს! რომ იცოდეს, ჩემთვის ყველა ისინი იგივეა, რაც პეტრე მზარეული, – ფიქრობდა იგი და თან რაღაც უცხო, მისთვის უცნაური საკუთრების გრძნობით შეჰყურებდა ლევინის კეფასა და აწითლებულ კისერს, – თუმცა ცოდვაა მისი მოწყვეტა სამუშაოსგან (მაინც მოასწრებს!), მაგრამ მინდა სახეში შევხედო; ნეტავ გრძნობს თუ არა, რომ ვუყურებ? მინდა, რომ მოიხედოს... მინდა, რა ვქნა, მინდა!“ – და კიტიმ უფრო ფართოდ გაახილა თვალები, ამით უნდოდა გაეძლიერებინა თავისი თვალების ზემოქმედება.

– დიახ, ისინი შეიწოვენ მთელ წვენს და ყალბ ბრწყინვალებას აძლევენ, – ჩაილაპარაკა ლევინმა და რაკი იგრძნო, კიტი უყურებდა და უღიმოდა, წერა შეაჩერა და თვითონაც უკან მოიხედა.

– რაშია საქმე? – ღიმილით ჰკითხა მან და წამოდგა.

„მოიხედა“, – გაიფიქრა კიტიმ.

– არაფერი, მინდოდა, მოგეხედა, – უთხრა კიტიმ და სახეში შეაჩერდა, შეეცადა, გამოეცნო, ეწყინა თუ არა ქმარს, მუშაობა რომ შეაწყვეტინა.

– აი, რა კარგია, მარტონი რომ ვართ! უფრო სწორად, ჩემთვისაა კარგი, – თქვა ლევინმა და ბედნიერების ღიმილით სახეგაბრწყინებული კიტისთან მივიდა.

– მეც ისე კარგად ვარ! აღარსად არ წავალ, განსაკუთრებით მოსკოვში.

– მაინც რაზე ფიქრობდი?

– მე? მე ვფიქრობდი... არა, არა, წადი, დაწერე, ნუ გაცდები, – უთხრა კიტიმ და ტუჩები მოკუმა, – აი, ხომ ხედავ, მეც ახლა ეს ნახვრეტები უნდა ამოვჭრა.

კიტიმ მაკრატელი აიღო და ნახვრეტების ამოჭრას შეუდგა.

– არა, მითხარი, რაზე ფიქრობდი? – უთხრა ლევინმა და გვერდით მიუჯდა: იგი უყურებდა, როგორ ამოძრავებდა კიტი ხელში პატარა მაკრატელს.

– ჰო, რაზე ვფიქრობდი? მე ვფიქრობდი მოსკოვზე, შენს კეფაზე.

– რატომ მაინცდამაინც მე მარგუნა ბედმა ასეთი ბედნიერება? ეს არაბუნებრივია, მეტისმეტად კარგია, – თქვა ლევინმა და ხელზე აკოცა კიტის.

– მე კი პირიქით მგონია, რაც უფრო კარგია, მით ბუნებრივია ჩემთვის.

– შენ ნაწნავი გაქვს, – უთხრა ლევინმა და ფრთხილად მოატრიალა კიტის თავი თავისკენ, – ნაწნავი. ხედავ, აი, აქ... არა, არა, საქმეს ვაკეთებთ.

მუშაობა აღარ გაგრძელებულა და ისინი დამნაშავეებივით გასცილდნენ ერთმანეთს, როცა ოთახში კუზმა შემოვიდა და მოახსენა, ჩაი მზად გახლავთო.

– ქალაქიდან არ ჩამოსულან? – ჰკითხა ლევინმა კუზმას.

– ეს არის ჩამოვიდნენ, ახლა ალაგებენ.

– მალე მოდი, – მიაძახა კიტიმ ლევინს კაბინეტიდან გასვლისას, – თორემ უშენოდ წავიკითხავ წერილებს. მერე კი ერთად დავუკრათ ოთხი ხელით.

მარტოდ დარჩენილმა ლევინმა რვეულები ახალ, კიტის ნაყიდ

პორტფელში ჩაალაგა და შემდეგ ხელების ბანას შეუდგა ახალ პირსაბანთან, ახალი ელეგანტური ხელსაწყოებით, რომელნიც კიტისთან ერთად გაჩნდნენ აქ. ლევინი თავის ფიქრებს უღიმოდა და ამ ფიქრებზე უკმაყოფილოდ იქნევდა თავს; რაღაც სინანულის მსგავსი გრძნობა ტანჯავდა. რაღაც სამარცხვინო, განაზებული, როგორც თვითონ უწოდებდა, რაღაც კაპუისებური[7] იგრძნობოდა მის ახალ ცხოვრებაში. „არ ვარგა ასე ცხოვრება, – ფიქრობდა ლევინი, – აი, უკვე სამი თვე შესრულდება, მე კი თითქმის არაფერი გამიკეთებია. დღეს პირველად მოვკიდე სერიოზულად ხელი სამუშაოს და მერე რა გამოვიდა? დაწყებისთანავე მივატოვე. ჩემი ჩვეულებრივი სამუშაოც მიტოვებული მაქვს. მეურნეობაშიც თითქმის აღარ დავდივარ. ხან კიტის მარტო დატოვება მენანება, ხან ვხედავ, რომ მოწყენილია. მე კი ვფიქრობდი, ცოლის შერთვამდე ცხოვრება ნელ-ნელა, როგორმე ისე გაივლიდა, არაფრად ჩაითვლებოდა, ცოლის შერთვის შემდგომ კი დაიწყებოდა ნამდვილი ცხოვრება. ახლა კი, საცაა სამი თვე შესრულდება და მე არასოდეს ასე უქმად, ასე უსარგებლოდ არ გამიტარებია დრო. არა, ასე არ ვარგა, უნდა დავიწყო. რა თქმა უნდა, კიტი არ არის დამნაშავე. მას ვერაფერს ვუსაყვედურებ. მე მმართებდა უფრო მეტი სიმტკიცის გამოჩენა, უნდა შემომეფარგლა ჩემი მამაკაცური დამოუკიდებლობა, თორემ ასე შეიძლება შენც მიეჩვიო და ისიც მიაჩვიო... რა თქმა უნდა, კიტი არ არის დამნაშავე“, – ამბობდა თავისთვის ლევინი.

მაგრამ ძნელია, უკმაყოფილო ადამიანმა არ უსაყვედუროს სხვას, სწორედ იმას, ვინც ყველაზე ახლობელია მისთვის, იმის გამო, რითაც თვითონ არის უკმაყოფილო, და ლევინს ხანდახან ბუნდოვნად გაუელვებდა თავში, რომ თვით კიტი კი არა (იგი არც შეიძლებოდა დამნაშავე ყოფილიყო რამეში), დამნაშავე იყო კიტის აღზრდა, მეტისმეტად ზერელე და ფუქსავატური („ის სულელი ჩარსკი. კიტის, მე ვიცი, უნდოდა მისი შეჩერება, მაგრამ ვერ შეძლო“). „დიახ, მას არ გააჩნია რაიმე სერიოზული ინტერესი, გარდა თავისი სახლისა (ეს მართლაც ჰქონდა მას), თავისი ტუალეტის და broderie anglaise-ისა. მას არ გააჩნია ინტერესი არც ჩემი საქმიანობისადმი, არც მეურნეობისადმი, არც გლეხებისადმი, არც მუსიკისადმი, რაშიც საკმაოდ ძლიერია, და არც წიგნებისადმი. არაფერს აკეთებს და სავსებით კმაყოფილია“. ლევინი გულში ასე კიცხავდა კიტის და არ იცოდა, რომ კიტი ემზადებოდა თავისი მოღვაწეობის იმ

პერიოდისთვის, რომელსაც ელოდა, როცა ერთსა და იმავე დროს მეუღლეც იქნებოდა, ოჯახის დიასახლისიც, შვილების დედაც, აღმზრდელიცა და მომვლელიც. ლევინმა არ იცოდა, რომ კიტი ალღოთი უკვე გრძნობდა ამას, ემზადებოდა ამ მძიმე შრომისთვის და სულაც არ საყვედურობდა თავის თავს იმ უზრუნველი წუთებისა და სიყვარულის ბედნიერების გამო, რომლითაც სარგებლობდა ახლა, როცა სიხარულით იკეთებდა თავის მომავალ ბუდეს.

XVI

როცა ლევინი ზევით ავიდა, ცოლი ახალ ვერცხლის სამოვარსა და ახალნაყიდ ჩაის ჭურჭელს მისჯდომოდა, დაესვა პატარა მაგიდასთან მოხუცი აგაფია მიხაილოვნა, რომელსაც ჩაით სავსე ფინჯანი ედგა წინ და დოლის წერილს კითხულობდა, რომელთანაც განუწყვეტელი და ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა.

– ხედავთ, დამსვა თქვენმა ქალბატონმა, თავის გვერდით ჯდომა მიბრძანა, – უთხრა აგაფია მიხაილოვნამ და კიტის გულითადად გაუღიმა.

აგაფია მიხაილოვნას ამ სიტყვებზე ლევინი მიხვდა, რომ უკვე დასრულდა კიტისა და აგაფია მიხაილოვნას შორის ამ ბოლო ხანებში ატეხილი დრამა. მისთვის ნათელი შეიქნა, რომ მიუხედავად აგაფია მიხაილოვნას განაწყენებისა იმის გამო, რომ ახალმა დიასახლისმა ხელიდან გამოსტაცა მართვა-გამგეობის საჭე, კიტიმ მაინც გაიმარჯვა და თავი შეაყვარა.

– აი, შენი წერილიც წავიკითხე, – უთხრა კიტიმ და უცოდინარი ხელით ნაწერი წერილი გაუწოდა, – მგონი, ეს იმ ქალისგან უნდა იყოს, შენი ძმის... – უთხრა მან, – არ წამიკითხავს. ეს კი ჩემიანების წერილია, ესეც დოლის გამოუგზავნია. წარმოგიდგენია! დოლის სარმატსკებთან საბავშვო ბალზე წაუყვანია გრიშა და ტანია. ტანია მარკიზა ყოფილა.

მაგრამ ლევინი ყურს არ უგდებდა მას; აწითლებულმა მაშინვე ხელში აიღო მარია ნიკოლაევნას, მისი ძმის ყოფილი საყვარლის

წერილი და კითხვას შეუდგა. ეს უკვე მეორე წერილი იყო მარია ნიკოლაევნასაგან. პირველ წერილში იწერებოდა, რომ მისმა ძმამ უდანაშაულოდ გააგდო და ბოლოს გულის ამაჩუყებელი მიამიტობით დასძენდა, მართალია, ისევ სიღატაკეში ვცხოვრობ, მაგრამ არაფერი მინდა, არაფერს ვთხოულობ, მხოლოდ ის მიკლავს გულს, რომ ნიკოლაი დმიტრიევიჩი თავისი სუსტი ჯანმრთელობის გამო უჩემოდ დაიღუპებაო, და სთხოვდა ლევინს, თვალყური ედევნებინა ძმისთვის. ახლა კი სულ სხვას სწერდა. მარია ნიკოლაევნას უპოვია ნიკოლაი დმიტრიევიჩი, ისევ შეხვედრიან ერთმანეთს მოსკოვში და მასთან ერთად წასულა საგუბერნიო ქალაქში, სადაც სამსახური მიუღია ნიკოლაის, მაგრამ იქ ჩხუბი მოსვლია უფროსთან და ისევ გამობრუნებულან მოსკოვს; გზაში ისევ ავად შეიქნა, საეჭვოა, ადგება კიდევ თუ არაო, – იწერებოდა იგი. „სულ თქვენს ხსენებაშია და ფულიც სულ გამოგველია“.

– წაიკითხე. შენზე მწერს დოლი, – ღიმილით დაიწყო კიტიმ, მაგრამ უცებ შეჩერდა, როცა ქმრის შეცვლილი სახის გამომეტყველება შენიშნა.

– რა დაგემართა? რა მოხდა?

– ის ქალი მწერს, ჩემი ძმა, ნიკოლაი, სიკვდილის პირას ყოფილა. უნდა წავიდე.

კიტის უცებ შეეცვალა სახე. უმალვე გადაავიწყდა, ტანია, მარკიზაც და დოლიც.

– როდის წახვალ? – ჰკითხა მან.

– ხვალ.

– მეც შენთან ერთად წამოვალ, შეიძლება? – ჰკითხა კიტიმ.

– კიტი, ამას რას ამბობ? – საყვედურით თქვა ლევინმა.

– რატომ რას ვამბობ? – უთხრა შეურაცხყოფილმა კიტიმ იმის გამო, რომ ქმარმა იწყინა მისი ნათქვამი, ხალისით არ დათანხმდა მის წინადადებას, – რატომ არ უნდა წამოვიდე? მე შენ ხელს არ შეგიშლი; მე...

– მე იმიტომ, მივდივარ, რომ ძმა უკანასკნელ დღეშია, – უთხრა ლევინმა, – შენ რისთვის მოდიხარ?

– რისთვის მოვდივარ? იმისთვის, რისთვისაც შენ.

„და აი, ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვან წუთშიც კი იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მარტო მოწყენილი იქნება“, – გაიფიქრა ლევინმა და ამ მომიზეზებამ ასეთი მნიშვნელოვანი საქმის დროს გააგულისა.

– ეს შეუძლებელია, – მკაცრად თქვა მან.

აგაფია მიხაილოვნამ, რაკი დაინახა, საქმე ჩხუბამდე მიდიოდა, ჩუმად დადგა ფინჯანი და ოთახიდან გავიდა. კიტის არც შეუმჩნევია მისი გასვლა, ქმრის ბოლო სიტყვების ტონმა შეურაცხყო იგი განსაკუთრებით იმით, რომ ქმარს უთუოდ არ სჯეროდა ის, რაც კიტიმ თქვა.

– მე კი გეუბნები, რომ თუ შენ წახვალ, მეც შენთან ერთად წამოვალ, უსათუოდ წამოვალ-მეთქი, – სხაპასხუპით და გაცხარებით თქვა კიტიმ, – რატომ არის შეუძლებელი? რატომ ამბობ, შეუძლებელიაო?

– იმიტომ, რომ ღმერთმა იცის, სად მივდივარ, რანაირი გზები იქნება, რანაირი სასტუმროები. შენ კი უნდა დამაბრკოლო, – ეუბნებოდა ლევინი და ცდილობდა, მოთმინება არ დაეკარგა.

– სულაც არა. ჩემთვის არაფერი არ არის საჭირო. სადაც შენ გაჩერდები, მეც იქ ვიქნები...

– თუნდაც იმიტომ, რომ იქ იქნება ის ქალი, რომელსაც არ შეიძლება შენ დაუახლოვდე.

– მე არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე, ვინ იქნება ან რა იქნება იქ. მე ვიცი, რომ ჩემი ქმრის ძმა უკანასკნელ დღეშია, ქმარი მიდის მასთან და მეც მასთან ერთად მივდივარ, რათა...

– კიტი, ნუ გამიწყრები, მაგრამ აბა დაუფიქრდი, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საქმე ჩემთვის. იმის გაფიქრებაც კი გულს მტკენს, რომ შენ ახლაც საკუთარ თავზე ფიქრობ და არ გინდა მარტო დარჩენა. თუ შენთვის მოსაწყენი იქნება მარტო ყოფნა, მაშინ წადი მოსკოვში.

– აი, შენ ყოველთვის გინდა, ასეთი ცუდი, საძაგელი გრძნობები დამწამო, – თქვა კიტიმ და შეურაცხყოფისა და ბრაზისგან თვალებზე ცრემლი მოადგა, – მე არავითარი სხვა გრძნობა არა მაქვს... მე ვიცი, რომ ჩემი მოვალეობაა, ქმართან ერთად ვიყო მის მწუხარებაში, მაგრამ შენ გინდა, განზრახ მომიკლა გული, განზრახ არ გინდა, გამიგო.

– არა, ეს საშინელებაა! გადაიქცე რაღაც მონად! – შესძახა ბოლოს ლევინმა და ფეხზე წამოხტა, ვეღარ შეძლო თავის შეკავება. მაგრამ იმავე წამს იგრძნო, რომ მხოლოდ თავის თავსვე სცემდა.

– მაშ, რატომ შეირთე ცოლი? ყოფილიყავი თავისუფალი. რაღა საჭირო იყო, თუკი ეს სანანებლად გაგიხდებოდა? – თქვა კიტიმ, ზეწამოიჭრა და სასტუმრო ოთახში გაიქცა.

როცა ლევინი მასთან შევიდა, კიტი გულამოსკვნით ტიროდა.

ლევინმა ლაპარაკი დაუწყო, უნდოდა გამოენახა ისეთი სიტყვები, რომლებიც კი არ დააჯერებდნენ, არამედ დაამშვიდებდნენ მას. მაგრამ კიტი ყურს არ უგდებდა, არაფერში არ ეთანხმებოდა. ლევინი დაიხარა მისკენ, ხელი მოჰკიდა მის ხელს, რომელსაც არ ანებებდა კიტი, ხელზე აკოცა, მერე თმაზე, მერე ისევ ხელზე – კიტი მაინც ხმას არ იღებდა. მაგრამ, როცა ლევინმა ორივე ხელით სახე აუწია და უთხრა, „კიტიო“, კიტიც გონს მოვიდა, ისევ აუტყდა ტირილი და შეურიგდა ქმარს.

გადაწყვიტეს, ხვალ ერთად წასულიყვნენ. ლევინმა უთხრა ცოლს, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სარგებლობის მოტანის მიზნით გინდა წამოსვლაო, იმაზეც დაეთანხმა, რომ მარია ნიკოლაევნას იქ ყოფნა სამარცხვინო არ იქნებოდა. მაგრამ გულის სიღრმეში კი უკმაყოფილო იყო ცოლითაც და თავისი თავითაც. ცოლით უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ქმრის მარტო გაშვება, როცა ეს საჭირო იყო (და რა უცნაური იყო იმის ფიქრი, რომ ის, ლევინი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ არც სჯეროდა ის ბედნიერება, რომ კიტი მას შეიყვარებდა, ახლა უბედურად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ მეტისმეტად შეიყვარა კიტიმ!), თავისი თავით კი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე. გულის სიღრმეში კიდევ უფრო უკმაყოფილო იყო იმით, რომ კიტის არაფერი ესაქმებოდა იმ ქალთან, რომელიც მის ძმასთან ცხოვრობდა და შეძრწუნებული ფიქრობდა, რა უსიამოვნება შეიძლებოდა შეხვედროდა კიტის იმ ქალისაგან. მარტო ის, რომ მისი ცოლი, მისი კიტი, ერთ ოთახში იქნებოდა იმ გომბიოსთან ერთად, ამის გაფიქრებაც კი საშინელ ზიზღს ჰგვრიდა და ტანში აჟრჟოლებდა.

XVII

საგუბერნიო ქალაქის სასტუმრო, სადაც ნიკოლაი ლევინი იწვა, ერთი იმ სასტუმროთაგანი იყო, რომელსაც ახალი, სრულყოფილი ნიმუშის მიხედვით აწყობენ იმ საუკეთესო განზრახვით, რომ სამაგალითო იყოს სისუფთავით, კომფორტითა და ელეგანტურობითაც კი, მაგრამ იქ მიმსვლელი ხალხი არაჩვეულებრივი სისწრაფით აქცევს მას ბინძურ სამიკიტნოდ, რომელსაც კვლავ შერჩენია თანამედროვე გაუმჯობესებათა პრეტენზია და ამის გამო კიდევ უფრო ცუდად გამოიყურება, ვიდრე ძველებური, უბრალოდ ბინძური სასტუმრო. ხსენებული სასტუმროც უკვე ამ მდგომარეობამდე იყო მისული და ჭუჭყიან მუნდირში გამოწყობილმა სალდათმა, რომელიც შესასვლელთან პაპიროსს ეწეოდა და ეტყობოდა, კარისკაცი უნდა ყოფილიყო, თუჯის ჩაბნელებულმა, უსიამოვნო კიბემ, სადაც ორპირი ქარი უბერავდა, ჭუჭყიან ფრაკში გამოწყობილმა მოსამსახურემ, საერთო დარბაზმა, სადაც მაგიდას დამტვერილი სანთლის ყვავილების თაიგული ამკობდა, ამ ჭუჭყმა, მტვერმა და უსუფთაობამ და ამასთან, ამ სასტუმროს რაღაც ახალმა თანამედროვე რკინიგზისებურმა თვითკმაყოფილებით მოცულმა უზრუნველობამ მეტისმეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ლევინებზე მათი ახალგაზრდული ცხოვრების შემდგომ, განსაკუთრებით იმით, რომ ეს ყალბი შთაბეჭდილება, რომელიც მათზე ამ სასტუმრომ მოახდინა, არაფრით არ ეგუებოდა იმას, რაც მათ ელოდათ.

როგორც ყოველთვის, იმ კითხვის შემდეგ, რა ფასიანი ნომერი გნებავთო, აღმოჩნდა, რომ არ იყო: ერთი რკინიგზის რევიზორს ჰქონდა დაკავებული, მეორე მოსკოველ ადვოკატს, ხოლო მესამე სოფლიდან ჩამოსულ თავადის ქალ ასტაფიევას. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი ჭუჭყიანი ნომერი, რომლის გვერდითაც, როგორც ჰპირდებოდნენ, საღამოსთვის მეორე ოთახიც უნდა გათავისუფლებულიყო. ლევინი განაწყენებული იყო ცოლზე. აუცხადდა, რისი მოლოდინიც ჰქონდა. სწორედ იმ წუთს, როცა გულში მხოლოდ იმის შიში უტრიალებდა, როგორ დახვდებოდა ძმა, კიტიზე უნდა ეზრუნა და ნაცვლად იმისა, იმავე წუთს გაქცეულიყო ძმასთან, კიტი მათთვის განკუთვნილ ოთახში მიიყვანა.

– წადი, წადი, – უთხრა კიტიმ და გაუბედავად, დამნაშავის გამომეტყველებით შეხედა ქმარს.

ლევინი ხმაამოუღებლად გავიდა ოთახიდან და კარშივე შეეჩეხა მარია ნიკოლაევნას, რომელსაც შეეტყო მისი ჩამოსვლა, მაგრამ ოთახში შესვლა ვერ გაებედა. იგი ისეთივე იყო, როგორიც ლევინს მოსკოვში ჰყავდა ნანახი: იგივე შალის კაბა, გაშიშვლებული მკლავები და ყელი, იგივე კეთილი, არაფრისმთქმელი, ოდნავ შესუქებული ჩოფურა სახე.

– აბა, რა ამბავია? როგორ არის? რა დაემართა?

– ძალიან ცუდად ბრძანდება. ვეღარ დგება. სულ თქვენ გელოდებოდათ... თქვენ.... თქვენი მეუღლით ბრძანდებით...

ლევინი პირველად ვერ მიხვდა, რა აღელვებდა მარია ნიკოლაევნას, მაგრამ მან მაშინვე აუხსნა ყველაფერი.

– მე წავალ, სამზარეულოში წავალ, – თქვა მან, – იგი დიდად მოხარული იქნება. უკვე გაგებული აქვს, მას იცნობენ და კიდევ ახსოვთ საზღვარგარეთ.

ლევინი მიხვდა, რომ მარია ნიკოლაევნა მის მეუღლეს გულისხმობდა და არ იცოდა, რა პასუხი გაეცა.

– წავიდეთ! წავიდეთ! – უთხრა ლევინმა.

მაგრამ, როგორც კი წასვლა დააპირეს, მათი ნომრის კარი გაიღო და კიტიმ გამოიხედა. ლევინი სირცხვილისაგან გაწითლდა, გაწითლდა იმის გამოც, რომ სწყინდა ცოლის საქციელი, რომელმაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისიც და თავისი თავიც; მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაწითლდა მარია ნოკოლაევნა. იგი სულ მოიკუნტა. სახეზეც ისე აილეწა, რომ ატირებას აღარაფერი უკლდა, თან ორივე ხელი თავსაფრის ბოლოსთვის ჩაევლო, წითელი თითებით გრეხდა მას და არ იცოდა, რა ეთქვა ან რა გაეკეთებინა.

პირველად ლევინმა კიტის გამოხედვაში ხარბი ცნობისმოყვარეობა ამოიკითხა, როცა ამ გამოუცნობ, მისთვის საშინელ ქალს შეჰყურებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა.

– რა ამბავია? როგორ არის? – მიუბრუნდა კიტი ქმარს და შემდეგ მარია ნიკოლაევნას გადახედა.

– კი მაგრამ, დერეფანში ხომ არ შეიძლება საუბარი, – თქვა ლევინმა და წყენით გადახედა ვიღაც ვაჭბატონს, რომელმაც

სწორედ ამ დროს ფეხების ბაკუნით ჩაიარა, ისე, თითქოს თავის საქმეზე მიიჩქარისო.

– მაშ, შემოდით, – თქვა კიტიმ და გადახედა მარია ნიკოლაევნას, რომელსაც უკვე დაეძლია სიმორცხვე, მაგრამ როცა ქმრის შეშინებული სახე დაინახა, უმალ დაატანა, – ანდა წადით, წადით და გამოგზავნეთ ვინმე ჩემს წამოსაყვანად, – თქვა და ისევ თავის ნომერში შეტრიალდა. ლევინი ძმასთან წავიდა.

იგი არაფრით არ ელოდა იმას, რაც ძმასთან იხილა და იგრძნო. ეგონა, იხილავდა იმავე თვითმოტყუებას, რომელიც, როგორც გაგონილი ჰქონდა, ხშირად აქვთ ხოლმე ჭლექიანებს და რამაც ისე განაცვიფრა შემოდგომაზე, როცა ნიკოლაი მასთან იყო. იგი ელოდა, რომ უფრო გამოკვეთილად იხილავდა მოახლოებული სიკვდილის ფიზიკურ ნიშნებს, იხილავდა ძმას უფრო დასუსტებულსა და გამხდარს, მაგრამ ისე კი თითქმის იგივე მდგომარეობა იქნებოდა. იგი ელოდა, რომ იმავე სიბრალულსა და შიშს განიცდიდა საყვარელი ძმის დაკარგვის გამო, მხოლოდ უფრო ძლიერად, და ემზადებოდა საამისოდ, მაგრამ სულ სხვა იხილა.

პატარა ბინძურ ოთახში, სადაც კედლების შეღებილი პანოები ფურთხით იყო სავსე და თხელ ტიხარს იქიდან ლაპარაკის ხმა გამოდიოდა, სიბინძურის სულშემხუთავი სუნით გაჟღენთილ ჰაერში, კედლიდან გამოწეულ საწოლზე იწვა საბანგადაფარებული სხეული. ამ სხეულის ერთი ხელი საბნის ზევით იდო და ფოცხივით უზარმაზარი ხელის მტევანი რაღაც უცნაურად უერთდებოდა წვრილ, თავიდან ბოლომდე ერთნაირად გრძელ მკლავს. თავი გვერდზე მობრუნებული ედო ბალიშზე, ლევინი ხედავდა საფეთქლებთან ოფლით დანამულ შეთხელებულ თმასა და გადაჭიმულ, თითქმის გამჭვირვალე შუბლს.

„შეუძლებელია, ეს საზარელი სხეული ჩემი ძმა ნიკოლაი იყოს!“ – გაიფიქრა ლევინმა, მაგრამ, როცა ახლოს მივიდა და დაინახა მისი სახე, ეჭვის შეტანა უკვე შეუძლებელი შეიქნა. მიუხედავად იმისა, რომ სახე საოცრად შეცვლილი ჰქონდა, ლევინისთვის საკმარისი იყო, დაენახა, როგორ ნელა უტოკავდა ტუჩები შეწებებულ ულვაშს ქვემოთ, რომ მისთვის ნათელი შექმნილიყო საზარელი ჭეშმარიტება – ეს მკვდარი სხეული მისი ცოცხალი ძმა იყო.

ნიკოლაიმ მოელვარე თვალებით მკაცრად, საყვედურით შეხედა ძმას და ამ შემოხედვამ მაშინვე დაამყარა ცოცხალი ურთიერთობა ცოცხალ ადამიანებს შორის. ლევინმა ძმის თვალებში ამოიკითხა საყვედური და სინანული მისი ბედნიერების გამო.

როცა ლევინმა ხელი ჩამოართვა ძმას, ნიკოლაიმ გაიღიმა. სუსტი, ოდნავ შესამჩნევი იყო ეს ღიმილი, მაგრამ მიუხედავად ღიმილისა, მისი თვალების მკაცრი გამომეტყველება მაინც არ შეცვლილა.

– შენ არ ელოდი, რომ ასე დაგიხვდებოდი? – ძლივსღა თქვა ნიკოლაიმ.

– ჰო... არა, – სიტყვები აერია ლევინს, – რატომ ადრევე არ შემატყობინე შენი ამბავი, ესე იგი ჩემი ქორწინების დროს? მე ყველგან გეძებდი.

საჭირო იყო ეთქვა რამე, რათა არ გაჩუმებულიყო, მან კი არ იცოდა, რა ეთქვა, მით უმეტეს, რომ ნიკოლაი პასუხს არ აძლევდა, ისევ ისე თვალმოუშორებლად შეჰყურებდა ძმას და ეტყობოდა, თითოეული სიტყვის მნიშვნელობას სწვდებოდა. ლევინმა შეატყობინა ძმას, რომ მასთან ერთად მისი მეუღლეც ჩამოვიდა. ნიკოლაიმ კმაყოფილება გამოთქვა ამის გამო, მაგრამ მეშინია, ჩემი მდგომარეობით არ შევაშინოო, – უთხრა. სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ნიკოლაი შეირხა და ლაპარაკი წამოიწყო. ლევინი, როგორც მისი სახის გამომეტყველებაზეც კითხულობდა, ელოდა, რომ ძმა რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს იტყოდა. მაგრამ ნიკოლაიმ თავის ჯანმრთელობაზე დაიწყო საუბარი. ბრალს სდებდა ექიმებს, წუხდა, რომ აქ არ იყო მოსკოვის სახელგანთქმული ექიმი და ლევინი მიხვდა, ძმას კიდევ არ ჰქონდა დაკარგული იმედი.

როგორც კი დუმილი ჩამოვარდა, ლევინი მაშინვე წამოდგა, უნდოდა, თუნდ ერთი წუთით მაინც თავი დაეღწია ამ მტანჯველი გრძნობისთვის; წავალ, ცოლს შემოვიყვანო, – უთხრა ძმას.

– მაშ, კარგი, მე კი ვეტყვი, დაასუფთაონ აქაურობა. სიბინძურეა და, მგონი, სუნიც დგას. მაშა, დაალაგე აქაურობა, – ძლივს გასაგონად თქვა ავადმყოფმა, – და დაალაგებ თუ არა, მაშინვე წადი აქედან, – დასძინა მან და კითხვის გამომხატველი თვალით გადახედა ძმას.

ლევინმა არაფერი უპასუხა. დერეფანში გამოვიდა და შეჩერდა. მართალია, ძმას უთხრა, ცოლს შემოვიყვანო, მაგრამ ახლა, როცა გაიხსენა ყველაფერი, რაც განიცადა, გადაწყვიტა, პირიქით, როგორმე დაეთანხმებინა კიტი, არ შესულიყო ავადმყოფთან. „ისიც ჩემსავით რატომ უნდა იტანჯოს?“ – გაიფიქრა მან.

– რას იტყვი? როგორ არის? – იკითხა შეშინებულმა კიტიმ.

– ოჰ, ეს საშინელებაა, საშინელება! რატომ წამოხვედი? – უთხრა ლევინმა.

კიტი რამდენიმე ხანს გაჩუმებული იყო და მოკრძალებითა და სიბრალულით შეჰყურებდა ქმარს, შემდეგ მიუახლოვდა და ორივე ხელი იდაყვზე მოჰკიდა.

– კოსტია, მიმიყვანე მასთან, ორივეს უფრო შეგვიმსუბუქდება მწუხარება. – შენ მხოლოდ მიმიყვანე, გეთაყვა, მიმიყვანე, შენ კი წამოდი, – თქვა კიტიმ, – დამიჯერე, რომ ჩემთვის ბევრად მძიმეა, გიყურო შენ და არ ვნახო იგი. აქ შეიძლება სასარგებლოც ვიყო შენთვისაც და მისთვისაც. გეთაყვა, ნება მომეცი! – ისე ეხვეწებოდა იგი ქმარს, თითქოს ცხოვრების ბედნიერება ამაზე იყო დამოკიდებული.

მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა დათანხმებოდა და გამხნევებულს სულ გადაავიწყდა მარია ნიკოლაევნა და კიტისთან ერთად ისევ ძმისაკენ გასწია.

კიტი მსუბუქი ნაბიჯით მიჰყვებოდა ლევინს, სულ სახეში შეჰყურებდა ქმარს და თავისი თანაგრძნობისა და სიმამაცის გამომხატველ სახეს უჩვენებდა; იგი ავადმყოფის ოთახში შევიდა, აუჩქარებლად მობრუნდა და უხმოდ მიხურა კარი. ფრთხილი ნაბიჯით სწრაფად მიუახლოვდა ავადმყოფის სარეცელს, ისე გაჩერდა მასთან, რომ ავადმყოფს თავის მობრუნება არ დასჭირვებოდა, პატარა, ნორჩი ხელი სწრაფად მოჰკიდა ავადმყოფის ვეებერთელა ხელის ჩონჩხს, ხელი ჩამოართვა და მხოლოდ ქალთათვის დამახასიათებელი არაშეურაცხმყოფელი, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი, ჩუმი, გაცხოველებული საუბარი გააბა მასთან.

– ჩვენ სოდენში ვხვდებოდით, მაგრამ არ ვიცნობდით ერთმანეთს, – უთხრა კიტიმ, – თქვენ მაშინ ვერ იფიქრებდით, რომ მე თქვენი და გავხდებოდი.

– თქვენ მე ვეღარც მიცნობდით? – უთხრა ნიკოლაიმ, რომელსაც კიტის შემოსვლაზე სახე გაუბრწყინდა.

– არა, როგორ არა, გიცნობდით. რა კარგი ქენით, რომ შეგვატყობინეთ. დღე ისე არ გაივლიდა, კოსტიას არ ეხსენებინეთ და სულ წუხდა თქვენ გამო.

მაგრამ ავადმყოფის ამგვარი გამოცოცხლება დიდხანს არ გაგრძელებულა.

კიტის ჯერ კიდევ არ დაესრულებინა საუბარი, რომ ავადმყოფის სახეზე კვლავ იგივე სიმკაცრე და საყვედური აღიბეჭდა, – მომაკვდავი ადამიანის შური ცოცხლებისადმი.

– ვშიშობ, თქვენ აქ სავსებით კარგად ვერა გრძნობთ თავს, – თქვა კიტიმ, თვალი მოარიდა ავადმყოფის დაჟინებულ მზერას და ოთახში მიმოიხედა, – სხვა ოთახი უნდა ვთხოვოთ სასტუმროს პატრონს, – მიმართა კიტიმ ქმარს, – ჩვენც რომ უფრო ახლოს ვიყოთ.

XVIII

ლევინს არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა ძმისთვის, არ შეეძლო ბუნებრივი და მშვიდი ყოფილიყო მასთან ყოფნის დროს. როცა ავადმყოფთან შედიოდა, უნებურად თვალებზე ბინდი ეფინებოდა, ყურადღება ეფანტებოდა, ვერც ხედავდა და დაწვრილებით ვერც არჩევდა, რა მდგომარეობაში იყო ძმა. მხოლოდ საშინელ სუნს გრძნობდა, ხედავდა ჭუჭყსა და უწესრიგობას, ხედავდა, რომ იტანჯებოდა ავადმყოფი, ესმოდა მისი კვნესა და გრძნობდა, მისი შველა აღარაფრით შეიძლებოდა. აზრადაც არ მოსვლია, ჩაჰკვირვებოდა ავადმყოფის მდგომარეობის ყოველ წვრილმანს, ეფიქრა იმაზე, რანაირად იდო საბნის ქვეშ ეს გაძვალტყავებული სხეული, ეს მოხრილი, გამხდარი წვივები, თეძოები, ბეჭები და ხომ არ შეიძლებოდა, როგორმე უკეთესად დაეწვინა, გაეკეთებინა რამე ისეთი, რომ მთლად კარგად თუ არა, უკეთესად მაინც ეგრძნო თავი. მას ჟრუანტელი უვლიდა ტანში, როცა ამ წვრილმანებს

უფიქრდებოდა. იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, – ვერც სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა ავადმყოფს და ვერც ტანჯვას შეუმსუბუქებდა. მაგრამ შეგნება იმისა, რომ შეუძლებლად მიიჩნევდა ყოველგვარ შველას, საგრძნობი გამხდარიყო ავადმყოფისთვის და ეს აბრაზებდა მას. ლევინს ამის გამო კიდევ უფრო უმძიმდა იქ ყოფნა. ავადმყოფის ოთახში ყოფნა მისთვის სატანჯველად ქცეულიყო, მაგრამ იქ არყოფნაც უარესად ტანჯავდა. და იგი სულ იმიზეზებდა რაღაცას, ავადმყოფის ოთახიდან გადიოდა და ისევ მალე ბრუნდებოდა, რადგან მარტო ყოფნა არ შეეძლო.

კიტი კი სულაც არ ფიქრობდა, არ გრძნობდა და არ მოქმედებდა ასე. მას დანახვისთანავე შეებრალა ავადმყოფი. ამ სიბრალულს მის გულში სულაც არ გამოუწვევია ისეთი საშინელებისა და ზიზღის გრძნობა, რასაც მისი ქმარი განიცდიდა. მან იგრძნო, რომ საჭირო იყო მოქმედება, რათა დაწვრილებით შეეტყო ავადმყოფის მდგომარეობა და შემწეობა აღმოეჩინა მისთვის. და რადგან ოდნავადაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ უნდა დახმარებოდა, აღარც იმაში დაეჭვებულა, რომ ეს შესაძლებელი იყო, მაშინვე შეუდგა საქმეს. მისი ყურადღება უმალვე სწორედ იმ წვრილმანებმა მიიპყრო, რომლის ერთი გაფიქრებაც კი შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა მის ქმარს. მან კაცი გაგზავნა ექიმის მოსაყვანადაც და აფთიაქშიც, უბრძანა, მასთან ერთად ჩამოსულ მსახურსა და მარია ნიკოლაევნას დაეგავათ, გაეწმინდათ მტვერი, მოერეცხათ იატაკი; თვითონაც რაღაცას რეცხავდა, ასუფთავებდა, რაღაცას უფენდა ავადმყოფს საბნის ქვეშ. მისი განკარგულებით რაღაც შემოჰქონდათ და გამოჰქონდათ ავადმყოფის ოთახში. თვითონაც რამდენჯერმე გავიდა თავის ნომერში და ყურადღებაც არ მიუქცევია ვიღაც ბატონებისთვის, რომელნიც დერეფანში ხვდებოდნენ, მოჰქონდა ავადმყოფისთვის ზეწრები, ბალიშისპირები, პირსახოცები, პერანგები.

ლაქია, რომელსაც საერთო დარბაზში სადილი მიჰქონდა ინჟინრებისთვის, რამდენჯერმე გაბრაზებული გამოცხადდა კიტის დაძახებაზე, მაგრამ ვერ შეძლო, არ შეესრულებინა კიტის ბრძანება, რადგან ისე ალერსიანად და დაჟინებით ეუბნებოდა, რომ ვერაფრით თავს ვერ დააღწევდი. ლევინს არ მოსწონდა ყოველივე ეს; არ სჯეროდა, რომ ეს რაიმე შეღავათს მოუტანდა ავადმყოფს. ყველაზე უფრო კი იმისი ეშინოდა, რომ

ნიკოლაი არ გაბრაზებულიყო ამაზე. მაგრამ ავადმყოფი არ ბრაზობდა, თუმცა კი, ეტყობოდა, გულგრილად უყურებდა ყოველივე ამას. მხოლოდ ერცხვინებოდა, საერთოდ კი თითქმის დაინტერესებული იყო იმით, თუ რას გააკეთებდა კიტი. ლევინმა, რომელიც კიტიმ ექიმთან გაგზავნა, სწორედ იმ დროს შემოაღო კარი, როცა ავადმყოფს კიტის განკარგულებით თეთრეულს უცვლიდნენ. ზურგის გრძელი, თეთრი ჩონჩხი, ზევით ამოშვერილი უზარმაზარი ბეჭის ძვლებით, გამოშვერილი ნეკნები და მალები გაშიშვლებული იყო და მარია ნიკოლაევნამ ლაქიასთან ერთად ვერაფრით გაუყარა პერანგის სახელოში ავადმყოფის გრძელი, ჩამოკიდებული ხელი. კიტი, რომელმაც სწრაფად მიუხურა ლევინს კარი, არ იყურებოდა ავადმყოფისაკენ, მაგრამ მას ავადმყოფის კვნესა შემოესმა და სწრაფად გასწია მისკენ.

– ჩააცვით ჩქარა, – უთხრა მან.

– თქვენ ნუ მოდიხართ, – გაბრაზებით თქვა ავადმყოფმა, – მე თვითონ...

– რას ამბობთ? – ჰკითხა მარია ნიკოლაევნამ ავადმყოფს.

კიტიმ კი გაიგონა და მიხვდა, რომ ავადმყოფს რცხვენოდა, არ სიამოვნებდა მის წინაშე შიშველი ყოფნა.

– მე არ გიყურებთ, არ გიყურებთ! – უთხრა კიტიმ და გაუსწორა ხელი, – მარია ნიკოლაევნა, თქვენ იქითა მხრიდან მოუარეთ და გაასწორეთ, – დაუმატა მან.

– წადი, გეთაყვა, ჩემს ფუთაში პატარა შუშაა, – მიუბრუნდა კიტი ქმარს, – გვერდით უბეში. თუ შეიძლება, ის შუშა მომიტანე და მანამდე აქაც მიალაგებენ ყველაფერს.

როცა ლევინი შუშიანად ოთახში შებრუნდა, ავადმყოფი უკვე ლოგინში იწვა და მის ირგვლივ ყველაფერი სავსებით შეცვლილი იყო. მძიმე სუნი, ძმარნარევ სუნამოს სუნს შეეცვალა, რასაც ტუჩებწაშვერილი და ლოყებაწითლებული კიტი პატარა მილით ასხურებდა ირგვლივ. მტვერი აღარსად ჩანდა. საწოლის ქვეშ ხალიჩა იყო გაფენილი. მაგიდაზე ფაქიზად იყო მილაგებული შუშები, გრაფინები, საჭირო თეთრეული. იქვე იდო კიტის ხელსაქმეც broderie anglaise. მეორე მაგიდაზე, ავადმყოფის საწოლთან, ელაგა სასმელი, სანთელი და ფხვნილები. თვით ავადმყოფი, დაბანილი და

თმადავარცხნილი, სუფთა ზეწარზე, ამაღლებულ ბალიშზე იწვა, სუფთა პერანგით, რომლის თეთრი საყელოდან საოცრად წვრილი კისერი უჩანდა. სახეზე ახალი იმედის სხივი შემატებოდა და თვალმოუშორებლად შეჰყურებდა კიტის.

ლევინის მოყვანილი ექიმი, რომელიც სადღაც კლუბში იპოვა, ის არ აღმოჩნდა, რომელიც ადრე მკურნალობდა ნიკოლაის და რომლითაც უკმაყოფილო იყო. ახალმა ექიმმა სასინჯი მილი ამოიღო, გასინჯა ავადმყოფი, თავი გადააქნია, წამლები გამოუწერა, ჯერ დაწვრილებით ელაპარაკა, როგორ უნდა მიეღო წამლები, მერე იმაზე, როგორი დიეტა უნდა დაეცვა. ურჩია, ჩაეყლაპა უმი ან თოხლო კვერცხი და ესვა სელტერის წყალი გარკვეული ტემპერატურის ახალმოწველილი რძით. როცა ექიმი წავიდა, ავადმყოფმა რაღაც უთხრა ძმას, ლევინმა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები გაიგონა: „შენი კიტიო“, და როცა დაინახა, როგორი თვალით უყურებდა იგი კიტის, მიხვდა, რომ ნიკოლაი აქებდა მას. შემდეგ კატიასაც დაუძახა, ასე ეძახდა იგი კიტის.

– მე ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს! – უთხრა მან, – აი, თქვენთან რომ ვყოფილიყავი, უკვე დიდი ხნის გამოჯანსაღებული ვიქნებოდი. რა კარგია! – მან ხელი მოჰკიდა კიტის ხელს, ტუჩებთან მიიტანა, მერე თითქოს შეეშინდა, ვაითუ ეს არ ესიამოვნოსო, გადაიფიქრა, თავი ანება და მხოლოდ ხელით მიუალერსა მის ხელს. კიტიმ ორივე ხელი მოჰკიდა ამ ხელს და ჩამოართვა იგი.

– ახლა კი მარცხენა გვერდზე გადამაბრუნეთ და წადით დასაძინებლად, – თქვა მან.

ვერავინ გაიგონა ავადმყოფის ნათქვამი, მხოლოდ კიტი მიუხვდა, მიუხვდა იმიტომ, რომ განუწყვეტლივ გონებით ადევნებდა თვალს, რა სჭირდებოდა ავადმყოფს.

– მეორე გვერდზე უნდა გადაბრუნება, – უთხრა კიტიმ ქმარს, – ყოველთვის იმ გვერდზე სძინავს. შენ გადააბრუნე, უხერხულია მსახურის დაძახება. მე არ შემიძლია. თქვენ არ შეგიძლიათ? – მიუბრუნდა კიტი მარია ნიკოლაევნას.

– მეშინია, – უპასუხა მარია ნიკოლაევნამ.

მართალია, ლევინს აშინებდა ამ საზარელი სხეულის ხელის შემოხვევა, ხელის შეხება საბნის ქვეშ სწორედ იმ ადგილებისა,

რომელნიც არ უნდოდა სცოდნოდა, მაგრამ ცოლის გავლენით მანაც მიიღო თავისებური მტკიცე სახე, რასაც კარგად იცნობდა კიტი და ხელი მოხვია ავადმყოფს. მიუხედავად თავისი ღონისა, ლევინი გააოცა ამ ძალღონეგამოცლილი სხეულის უცნაურმა სიმძიმემ. სანამ ლევინს კისერზე ჰქონდა შემოხვეული ძმის ვეებერთელა გაძვალტყავებული ხელი და გვერდზე აბრუნებდა, კიტიმ სწრაფად, შეუმჩნევლად გადააბრუნა და შეასწორა ბალიში, მერე თავი გაუსწორა ავადმყოფს, უკან გადაუწია თხელი თმა, რომლებიც ისევ მიწებებოდნენ საფეთქლებზე.

ავადმყოფმა ხელი მოჰკიდა ლევინის ხელს, ლევინი გრძნობდა, რომ მას რაღაც უნდოდა გაეკეთებინა ამ ხელისთვის, სადღაც ეწეოდა მას. ლევინიც გარინდებული დანებდა. ავადმყოფმა ტუჩებთან მიიტანა ლევინის ხელი და აკოცა. ლევინი ქვითინისაგან აკანკალდა, ძალა აღარ ეყო რაიმეს სათქმელად და ოთახიდან გავიდა.

XIX

„ბრძენთა ბრძენთ დაუმალა და ბავშვებსა და უგუნურთ კი გაანდო“, – ასე ფიქრობდა ლევინი თავის მეუღლეზე, როცა იმ საღამოს ელაპარაკებოდა კიტის.

ლევინს იმიტომ კი არ ახსენდებოდა სახარების სიტყვები, რომ თავის თავს ბრძენთა ბრძენად მიიჩნევდა. იგი არ თვლიდა თავს ბრძენთა ბრძენად, მაგრამ არ შეეძლო, არ სცოდნოდა, რომ იგი უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე მისი მეუღლე ან აგაფია მიხაილოვნა, არ შეეძლო, არ სცოდნოდა, რომ როცა სიკვდილზე ფიქრობდა, მთელ სულსა და გულს აქსოვდა ამ ფიქრში. მან ისიც იცოდა, რომ ბევრ დიდმოაზროვნე მამაკაცს, რომელთა აზრებიც წაკითხული ჰქონდა, უფიქრია ამაზე, მაგრამ მათ ერთი მეასედიც არ სცოდნიათ იმისა, რაც ამის შესახებ მისმა მეუღლემ და აგაფია მიხაილოვნამ იცოდნენ. რაც უნდა დიდად განსხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისგან ეს ორი ქალი – აგაფია მიხაილოვნა და კატია, როგორც ეძახდა მას ნიკოლაი და ლევინისთვისაც ახლა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ასე

დაეძახა ცოლისთვის, ამაში მაინც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივემ კარგად იცოდა, რა იყო სიცოცხლე და რა – სიკვდილი, ისე, რომ ეჭვი არ ეპარებოდათ ამაში და თუმც პასუხს ვერ გასცემდნენ, ვერც გაიგებდნენ იმ კითხვებს, რომლებიც თავში უტრიალებდა ლევინს, მაგრამ არც ერთს არ ეპარებოდა ეჭვი ამ მოვლენის მნიშვნელობაში, სრულიად ერთნაირად უყურებდნენ ამას და იზიარებდნენ არა მარტო ერთმანეთის, არამედ მილიონობით ადამიანის შეხედულებებს. დამამტკიცებელი იმისა, რომ ორივემ მტკიცედ იცოდა, რას წარმოადგენდა სიკვდილი, ის იყო, რომ დაუეჭვებლად იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ მომაკვდავთათვის და არც აშინებდათ ეს. ლევინმა და სხვებმაც, თუმცა მათ ბევრი რამ შეეძლოთ ეთქვათ სიკვდილის შესახებ, ეტყობა, არ იცოდნენ ეს, იმიტომ, რომ ეშინოდათ და არც იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, როცა ადამიანი კვდებოდა. ლევინი ახლა მარტო რომ ყოფილიყო თავის ძმა ნიკოლაისთან, შეძრწუნებული დაუწყებდა ყურებას ძმას, კიდევ უფრო შეძრწუნებული დაელოდებოდა სიკვდილს და ამის მეტს ვერაფერს გააკეთებდა.

უფრო მეტი, მან ისიც კი არ იცოდა, რა ეთქვა ძმისთვის, როგორ შეეხედა ან რანაირად გაევლო მის ოთახში. გარეშე საგანზე ლაპარაკი შეურაცხმყოფლად ეჩვენებოდა და შეუძლებელიც იყო; სიკვდილზე ან რაიმე სამწუხარო საგანზე საუბარიც არ შეიძლებოდა; დუმილიც ასევე შეუძლებელი იყო. რომ ვუყურო, იფიქრებს, თითქოს მისი შესწავლა მინდა და მეშინია; არ ვუყურო და ეგონება, სხვა რამეზე ფიქრობსო, თითის წვერებზე გავიარო, ვაითუ ეწყინოს, ჩვეულებრივი ნაბიჯით სიარული კი მრცხვენიაო. კიტი კი, ეტყობა, არ ფიქრობდა და არც ჰქონდა დრო ეფიქრა თავის თავზე; იგი მხოლოდ ავადმყოფზე ფიქრობდა, იმიტომ, რომ რაღაც იცოდა და ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. კიტი თავის თავზეც ემუსაიფებოდა, ქორწილზეც, კიდეც უღიმოდა, კიდეც იბრალებდა, კიდეც უალერსებდა, აგონებდა გამოჯანმრთელების შემთხვევებს და ყველაფერი კარგად გამოსდიოდა; ალბათ, იცოდა რაღაც. კიტისა და აგაფია მიხაილოვნას მოქმედება რომ არ იყო ინსტინქტური, ცხოველური, არაგონივრული, ამას ამტკიცებდა ის, რომ გარდა ფიზიკური მოვლისა და ტანჯვის შემსუბუქებაზე ზრუნვისა, აგაფია მიხაილოვნაც და კიტიც მოითხოვდნენ მომაკვდავისთვის კიდევ რაღაც ისეთს, უფრო მნიშვნელოვანს,

ვიდრე ფიზიკური მოვლა იყო, მოითხოვდნენ რაღაც ისეთს, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ფიზიკურ პირობებთან. როცა ვიღაც გარდაცვლილ მოხუცზე ლაპარაკობდა, აგაფია მიხაილოვნამ თქვა: „რა გაეწყობა, მადლობა ღმერთს, აზიარეს კიდეც, ზეთიც უკურთხეს, ღმერთმა ყველას მისცეს ასეთი სიკვდილი“. კიტიც სწორედ ასევე იქცეოდა. გარდა იმისა, რომ ზრუნავდა თეთრეულზე, სასმელ-საჭმელსა და იმაზე, რომ ავადმყოფს ნაწოლები არ გასჩენოდა, პირველივე დღეს დაითანხმა იგი, აუცილებელია ზიარება და ზეთის კურთხევაო.

ღამით, როცა კიტი და ლევინი თავიანთ ნომერში დაბრუნდნენ დასაძინებლად, ლევინი თავჩაქინდრული ჩამოჯდა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა. მას არათუ არ შეეძლო ფიქრი ვახშამზე, დაძინებაზე ან იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, არამედ ცოლთან ლაპარაკსაც კი ვეღარ ახერხებდა: ესეც სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. კიტი კი, პირიქით, ჩვეულებრივზე უფრო საქმიანი იყო. ჩვეულებრივზე უფრო გამოცოცხლებულიც კი ჩანდა. მან უბრძანა მოეტანათ ვახშამი, თვითონვე ამოალაგა ნივთები, ლოგინის გაშლაშიც დაეხმარა მსახურს, სპარსული ფხვნილის მოფრქვევაც კი არ დავიწყებია ლოგინზე. მას ისეთივე აღგზნება და სწრაფი მოსაზრების უნარი დაუფლებოდა, რასაც განიცდიან ხოლმე მამაკაცები ომისა და ბრძოლის წინ, მათი სიცოცხლის სახიფათო, გადამწყვეტ წუთებში, როცა მამაკაცი ერთხელ და სამუდამოდ დაანახვებს ყველას თავის უნარს და იმას, რომ განვლილ ცხოვრებას მისთვის ფუჭად არ ჩაუვლია და სულ ამ წუთებისთვის ემზადებოდა.

კიტის ყველაფერი მარჯვედ გამოსდიოდა და ჯერ თორმეტი საათიც არ იყო, რომ უკვე ყველაფერი ამოლაგებული ჰქონდა, ყველაფერი ისე ლამაზად, ფაქიზად და რაღაც განსაკუთრებულად ელაგა, რომ ნომერი სახლს, კიტის ოთახებს დაემსგავსა: ლოგინი გაშლილი იყო, ჯაგრისები, სავარცხლები, სარკეები ყველაფერი თავის ადგილას ელაგა, პატარა ხელსახოცებიც დაფენილი იყო.

ლევინს ახლა მიუტევებელ ცოდვად ეჩვენებოდა ჭამა, ძილი, ლაპარაკი და გრძნობდა, რომ ყოველი მისი მოძრაობა უწესო იყო. კიტი კი ჯაგრისებს ალაგებდა, მაგრამ ყოველივე ამას ისე აკეთებდა, რომ ამაში არაფერი იყო შეურაცხმყოფელი.

ჭამა ვერც ერთმა ვერ შეძლო, კარგა ხანს დაძინებაც ვერ მოახერხეს და დიდხანს არც დაწოლილან დასაძინებლად.

– დიდად მოხარული ვარ, რომ სახვალიოდ ზეთის კურთხევაზე დავითანხმე, – ამბობდა კიტი, რომელიც კოფთის ამარა გასაშლელი სარკის წინ იჯდა და წმინდა სავარცხლით რბილ, სურნელოვან თმას ივარცხნიდა, – მე არასოდეს დავსწრებივარ ზეთის კურთხევას, მაგრამ ვიცი, დედამ მითხრა, რომ ამ დროს განკურნების ლოცვებს კითხულობენ.

– ნუთუ შენ ფიქრობ, რომ შესაძლებელია განკურნება? – უთხრა ლევინმა, იგი მისჩერებოდა კიტის მრგვალ კეფაზე გავლებულ ვიწრო ზოლს, რომელიც ყოველთვის იფარებოდა, როცა კიტი გადაივარცხნიდა თმას.

– მე ვკითხე ექიმს: სამ დღეზე მეტს ვერ იცოცხლებსო, მითხრა. მაგრამ განა მათ შეუძლიათ ამის ცოდნა? მე მაინც ძალიან მიხარია, რომ დავითანხმე, – თქვა კიტიმ და თმის ქვევიდან ალმაცერად ახედა ქმარს, – ყველაფერი შეიძლება მოხდეს, – დაუმატა მან და სახეზე ის განსაკუთრებული, თითქოს ეშმაკური გამომეტყველება აღებეჭდა, როგორიც ყოველთვის ჰქონდა ხოლმე, როცა სარწმუნოებაზე ლაპარაკობდა.

როცა კიტი და ლევინი ჯერ კიდევ საცოლე და საქმრო იყვნენ, ერთხელ მოუხდათ საუბარი სარწმუნოებაზე; მას შემდეგ არც ერთს აღარ წამოუწყია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ კიტი ყოველთვის დადიოდა ეკლესიაში, ისმენდა ლოცვებს, მშვიდი შეგნებით იმისა, რომ ასე იყო საჭირო. მართალია, ლევინს არ სწამდა ეს, მაგრამ კიტის მაინც მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი ქმარიც ისეთივე და კიდევ უფრო უკეთესი ქრისტიანი იყო, ვიდრე კიტი, რომ ყველაფერი, რასაც იგი სარწმუნოებაზე ამბობდა, ერთი მისი სასაცილო მამაკაცური საქციელთაგანი იყო, ისე როგორც broderie anglaise შესახებ იტყოდა ხოლმე: კეთილი ადამიანები ამოკემსავენ ამ ნახვრეტებს, შენ კი განზრახ ჭრიო, და ა. შ.

– მაგრამ ამ ქალმა, მარია ნიკოლაევნამ, ვერ შეძლო ყოველივე ამის მოწყობა, – უთხრა ლევინმა, – და... უნდა გამოგიტყდე, მე ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, რომ წამოხვედი. შენ ისეთი უმანკოება ხარ, რომ... – მან ხელი მოჰკიდა კიტის ხელს და კი არ უკოცნია (მას უწესობად მოეჩვენა კოცნა სიკვდილის ასეთი სიახლოვის დროს), არამედ დამნაშავის გამომეტყველებით მხოლოდ ხელი მოუჭირა ხელზე და შეხედა კიტის გაბრწყინებულ თვალებში.

– შენ მარტო ისე დაიტანჯებოდი, – უთხრა კიტიმ და ზევით ასწია ხელები, რომლებიც მის სიამოვნებისაგან შეფაკლულ ღაწვებს ფარავდნენ, ზევით აიკრიფა თმა და სარჭებით დაიმაგრა, – არა, – განაგრძო კიტიმ, – მან არ იცოდა... მე კი, საბედნიეროდ, ბევრი რამ ვისწავლე სოდენში.

– ნუთუ იქაც ასეთი ავადმყოფები იყვნენ?

– უარესი.

– ჩემთვის საშინელებაა იმის ფიქრი, რომ ვეღარ ვიხილავ მას ისეთს, როგორიც ახალგაზრდობაში იყო... შენ არ დაიჯერებ, რა შესანიშნავი ახალგაზრდა იყო, მაგრამ მაშინ არ მესმოდა მისი.

– მჯერა, მჯერა, მე ვგრძნობ, რომ ჩვენ შესანიშნავი მეგობრები ვიქნებოდით, – თქვა კიტიმ და თვითონვე შეაშინა თავისივე ნათქვამმა, ქმარს გადახედა და თვალები ცრემლებით აევსო.

– დიახ, ვიქნებოდით, – მწუხარედ ჩაილაპარაკა ლევინმა, – ეს სწორედ ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელზეც იტყვიან ხოლმე, საამქვეყნოდ არ არის გაჩენილიო.

– მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი ასეთი დღე მოგველის, უნდა დავიძინოთ, – თქვა კიტიმ და პაწაწინა საათზე დაიხედა.

XX

სიკვდილი

მეორე დღეს ავადმყოფი აზიარეს და ზეთი უკურთხეს. ამ წესების აღსრულების დროს ავადმყოფი ნიკოლაი ლევინი მხურვალედ ლოცულობდა, როცა იგი ფერადი ხელსახოცით გადაფარებულ ლომბერის მაგიდაზე დასვენებულ ხატს მისჩერებოდა, მის ფართო თვალებში ისეთი მხურვალე ვედრება და იმედი იხატებოდა, რომ ლევინისთვის მეტად მძიმე შეიქნა ამის ყურება. მან იცოდა, რომ ეს მხურვალე ვედრება და იმედი კიდევ უფრო მეტად გაუძნელებდა ძმას განშორებას ცხოვრებასთან, რომელიც ასე უყვარდა. ლევინი იცნობდა ძმას და იცოდა მისი ფიქრთა მსვლელობა; მან იცოდა,

მისი ურწმუნოება იმან კი არ წარმოშვა, რომ მისთვის რწმენის გარეშე უფრო იოლი იყო ცხოვრება, არამედ თანამედროვე მეცნიერების ახსნამ სამყაროს მოვლენათა შესახებ თანდათან გააძევა რწმენა და ამიტომაც მისი მობრუნება სარწმუნოებისაკენ არ იყო კანონიერი, რომ ეს იმავე აზროვნების გზით არ მომხდარა, ეს იყო დროებითი, ანგარებიანი მობრუნება განკურნების რაღაც გიჟური იმედით. ლევინმა ისიც იცოდა, რომ კიტიმ კიდევ უფრო გაუცხოველა ნიკოლაის ეს იმედი თავისი ნაამბობით იმ არაჩვეულებრივ განკურნებათა შესახებ, რომელიც მას გაგონილი ჰქონდა. ყოველივე ეს იცოდა ლევინმა და უზომოდ იტანჯებოდა, როცა შეჰყურებდა ძმის ვედრებითა და იმედით აღსავსე მზერას, ძვალ-ტყავად ქცეულ ხელის მტევანს, რომელსაც ძლივსღა სწევდა ზევით და იწერდა პირჯვარს ძალუმად დაძაბულ შუბლზე, როცა ხედავდა ამ წინ წამოწეულ მხრებსა და მოხიხინე დაცარიელებულ მკერდს, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო შეეხიზნა ის სიცოცხლე, რისთვისაც ევედრებოდა ავადმყოფი. ზიარების მიღების დროს ლევინიც ლოცულობდა და აკეთებდა იმას, რაც მას, ურწმუნო ადამიანს, ათასჯერ მაინც გაუკეთებია. იგი მიმართავდა ღმერთს და ეუბნებოდა: „თუ შენ მართლა არსებობ, გააკეთე ისე, რომ განიკურნოს ეს ადამიანი (ეს ხომ მრავალჯერ მომხდარა) და ამით იხსნი მასაც და მეც“.

მირონის ცხების შემდეგ უეცრად ავადმყოფმა ბევრად უკეთ იგრძნო თავი. მთელი ერთი საათის განმავლობაში ერთხელაც არ დაუხველებია, სულ იღიმებოდა, ხელებს უკოცნიდა კიტის, ცრემლმორეული მადლობას უხდიდა და ეუბნებოდა, კარგად ვარ, არსად არაფერი მტკივა და ვგრძნობ, მადა და ღონე მომემატაო. თვითონვე წამოიწია კიდეც ლოგინიდან, წვნიანი რომ მოუტანეს, კატლეტიც მოითხოვა... მართალია, ავადმყოფი უიმედო იყო და ერთი შეხედვითაც შეიძლებოდა თქმა, მისი განკურნება შეუძლებელიაო, მაგრამ კიტი და ლევინი ამ ერთი საათის განმავლობაში ერთსა და იმავე სიხარულსა და თან შიშს განიცდიდნენ იმის გამო, ვაითუ ვცდებითო.

– უკეთ არის? – დიახ, ბევრად უკეთ. – საოცარია, – არაფერია საოცარი. – მაინც უკეთ გრძნობს თავს, – ჩურჩულით იმეორებდნენ ისინი და უღიმოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს თავის მოტყუება დიდხანს არ გაგრძელებულა. ავადმყოფმა დამშვიდებით დაიძინა, მაგრამ ნახევარი საათის

შემდეგ ისევ გამოაღვიძა ხველამ და უცებ ყოველგვარი იმედი გაუქრათ ავადმყოფსაც და მის ირგვლივ მყოფთაც, წინანდელი იმედის მოგონების გარეშეც, ამ ტანჯვის თვალსაჩინოებამ, უეჭველია, ყოველგვარი იმედი გაუქრო ლევინსაც, კიტისაც და ავადმყოფსაც.

ავადმყოფს აღარ გახსენებია ის, რაც ასე სჯეროდა ამ ნახევარი საათის წინ, თითქოს რცხვენოდა კიდეც ამის გახსენება, მან სასუნთქებლად მოითხოვა იოდიანი შუშა, რომელსაც ზევიდან დაჩხვლეტილი ქაღალდი ჰქონდა გადაფარებული. ლევინმა შუშა მიაწოდა და ავადმყოფმა ახლა ლევინს მიაპყრო ისეთივე ცხოველი იმედით აღსავსე თვალები, როგორიც ზეთის კურთხევის დროს ჰქონდა, თითქოს მისგან მოითხოვდა ექიმის სიტყვების დადასტურებას, იოდის შესუნთქვა სასწაულებს ახდენსო.

– კატია არ არის აქ? – ხრინწიანი ხმით იკითხა ავადმყოფმა და მიიხედ-მოიხედა, როცა ლევინმა უხალისოდ დაადასტურა ექიმის სიტყვები, – არ არის, მაშ, შეიძლება თქმა... მე მისთვის გავითამაშე ეს კომედია. იგი ისეთი საყვარელია, მაგრამ ჩვენ კი, მე და შენ, ვეღარ მოვიტყუებთ თავს. აი, ეს მწამს, – თქვა მან, გაძვალტყავებული ხელები იოდის შუშას მოუჭირა და ცხვირთან მიიტანა.

საღამოს რვა საათზე, როცა ლევინი და კიტი თავიანთ ნომერში ჩაის სვამდნენ, მათთან ქოშინით შეიჭრა მარია ნიკოლაევნა, იგი გაფითრებული იყო და ტუჩები უთრთოდა.

– კვდება! – ჩურჩულით თქვა მან, – მეშინია, საცაა მოკვდება.

ორივე გაიქცა მასთან. ავადმყოფი ლოგინიდან წამოწეულიყო, ხელით ლოგინს დაჰყრდნობოდა, გრძელი ბეჭები მოეხარა და თავი ჩაექინდრა.

– რას გრძნობ? – ჩურჩულით ჰკითხა ლევინმა დუმილის შემდეგ.

– ვგრძნობ, რომ მივემგზავრები, – ძლივძლივობით, მაგრამ საოცრად მკაფიოდ, ნელ-ნელა თქვა ნიკოლაიმ. თავი არ აუწევია, მხოლოდ თვალები აღაპყრო ზევით, მაგრამ ძმის სახე მაინც ვერ დაინახა, – კატია, წადი, – თქვა ისევ ავადმყოფმა.

ლევინი წამოხტა, ჩურჩულით უბრძანა და აიძულა კიტი,

ოთახიდან გასულიყო.

– მივემგზავრები, – გაიმეორა კვლავ ავადმყოფმა.

– რატომ გგონია? – უთხრა ლევინმა, მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა რამე.

– იმიტომ, რომ მივემგზავრები, – თითქოს ეს სიტყვა შეუყვარდაო, ისე გაიმეორა ავადმყოფმა, – მოვიდა აღსასრული.

მარია ნიკოლაევნა ავადმყოფს მიუახლოვდა.

– დაწოლილიყავით, უფრო მოისვენებდით, – უთხრა მან.

– მალე მშვიდად დავწვები, – თქვა ავადმყოფმა, – მკვდარი, – დამცინავად და გაბრაზებით დასძინა მან, – თუმცა დამაწვინეთ, თუ გინდათ.

ლევინმა გულაღმა დააწვინა ძმა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა მის სახეს. მომაკვდავი თვალებდახუჭული იწვა, მხოლოდ შუბლზე ხანდახან შეუთამაშდებოდა კუნთი, როგორც ღრმა და დაძაბული ფიქრებით გათანგულ ადამიანს. ლევინი უნებურად მასთან ერთად ფიქრობდა, რა ხდებოდა ახლა მასში და ძალას ატანდა თავს, გაჰყოლოდა მის ფიქრებს. ავადმყოფის მკაცრ, დამშვიდებულ სახის გამომეტყველებასა და წარბებს ზემოთ კუნთის თამაშზე ამჩნევდა, რომ მომაკვდავისთვის ნათელი ეფინებოდა რაღაცას, ნათელი ეფინებოდა იმას, რაც ლევინისთვის კვლავ წყვდიადით მოცული რჩებოდა.

– დიახ, დიახ, ასე, – ნელა, სვენებ-სვენებით თქვა მომაკვდავმა, – მოიცათ, – და ისევ დადუმდა, – ასე! – უცბად დამშვიდებულად გააჭიანურა, თითქოს მისთვის ყოველივე გადაჭრილიაო, – ოჰ, ღმერთო ჩემო! – თქვა მან და მძიმედ ამოიოხრა.

მარია ნიკოლაევნამ ფეხები გაუსინჯა, – უცივდება, – წაიჩურჩულა მან.

დიდხანს, ძალიან დიდხანს, როგორც მოეჩვენა ლევინს, ავადმყოფი უძრავად იწვა. მაგრამ კვლავ ცოცხალი იყო, მხოლოდ ხანდახან ამოიოხრებდა ხოლმე. ლევინი უკვე მოიქანცა ამდენი ფიქრით, იგი გრძნობდა, რომ რაც უნდა ძალა დაეტანებინა თავისი თავისთვის, მისთვის მაინც გაუგებარი

დარჩებოდა, რად იყო ასე. იგი გრძნობდა, რომ დიდი ხანია დაშორდა მომაკვდავს, უკვე აღარ შეეძლო სიკვდილზე ფიქრი და უნებურად ის აზრი უტრიალებდა თავში, რა უნდა გაეკეთებინა ახლა, ამ წუთში: უნდა დაუხუჭო თვალები, ჩააცვა ტანისამოსი, შეუკვეთო კუბო. და საოცარი იყო ის, რომ სრულიად გულგრილად ფიქრობდა ამაზე, მწუხარებას აღარ გრძნობდა ძმის დაკარგვის გამო და აღარც სიბრალულს განიცდიდა. თუ რაიმე გრძნობა ჰქონდა ახლა ძმისადმი, ეს უფრო შური იყო იმის გამო, რომ მომაკვდავმა იცოდა რაღაც ისეთი, რაც კვლავ მიუწვდომელი რჩებოდა ლევინისთვის.

ლევინი კიდევ დიდხანს იჯდა ასე და ელოდა აღსასრულს, მაგრამ ეს აღსასრული აღარ მოდიოდა. კარი გაიღო და კარში კიტი გამოჩნდა. ლევინი წამოდგა, რათა შეეჩერებინა კიტი, მაგრამ სწორედ იმ დროს გაიგონა, როგორ შეირხა მომაკვდავი.

– ნუ წახვალ, – თქვა ნიკოლაიმ და ხელი გაუწოდა. ლევინმაც თავისი ხელი შეაშველა და გაბრაზებით აუქნია ხელი ცოლს, რათა ოთახიდან გასულიყო.

ლევინს ხელში ეჭირა მომაკვდავი ძმის ხელი და ასე იჯდა ნახევარი საათი, ერთი საათი, კიდევ ერთი საათი. ახლა იგი სულ აღარ ფიქრობდა სიკვდილზე. ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რას აკეთებდა კიტი, ვინ ცხოვრობდა მეზობელ ნომერში, საკუთარი სახლი ჰქონდა თუ არა ექიმს. მოუნდა ჭამა და ძილი. ფრთხილად გაითავისუფლა ხელი და ფეხები გაუსინჯა. ფეხები ცივი ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფი მაინც სუნთქავდა. ლევინმა ისევ დააპირა ფეხაკრეფით გასულიყო ოთახიდან, მაგრამ ავადმყოფი ისევ შეინძრა და უთხრა: – ნუ წახვალ.

ინათა. ავადმყოფის მდგომარეობა იგივე იყო. ლევინმა ნელ-ნელა გაითავისუფლა ხელი, ისე, რომ არ შეუხედავს ავადმყოფისთვის, თავის ოთახში გავიდა და დაიძინა. როცა გაიღვიძა, ნაცვლად იმისა, ძმის სიკვდილის ამბავი გაეგო, რისი მოლოდინიც ჰქონდა, შეიტყო, რომ ძმას ისევ წინანდელი მდგომარეობა დაუბრუნდა. ისევ ჯდებოდა ლოგინზე, ახველებდა, საჭმელიც მოითხოვა, ალაპარაკდა კიდეც, ისევ დაანება თავი სიკვდილზე ლაპარაკს, ისევ დაუბრუნდა გამოჯანმრთელების იმედი და წინანდელზე უფრო გაღიზიანებული და პირქუში შეიქნა. ვერავინ, ვერც ძმამ, ვერც კიტიმ, ვერ შეძლო მისი დამშვიდება. ყველას უბრაზდებოდა, ყველას უსიამოვნო სიტყვებს ეუბნებოდა, მათ

უსაყვედურებდა თავის ტანჯვას და მოითხოვდა, ცნობილი ექიმი ჩამოეყვანათ მოსკოვიდან. ყველა შეკითხვაზე, თავს როგორ გრძნობო, ერთნაირი გაბოროტებითა და საყვედურით პასუხობდა.

– საშინლად, აუტანლად ვიტანჯები!

ავადმყოფი სულ უფრო და უფრო წვალობდა, განსაკუთრებით აწუხებდა ნაწოლები, რომელთა განკურნება უკვე აღარ შეიძლებოდა, სულ უფრო და უფრო მეტად ბრაზობდა ირგვლივ მყოფებზე, საყვედურობდა ყველაფერზე და განსაკუთრებით იმის გამო, რომ არ ჩამოუყვანეს მოსკოვიდან ექიმი. კიტი ყოველნაირად ცდილობდა ავადმყოფის დახმარებას, დამშვიდებას; მაგრამ ყველაფერი ამაო იყო და ლევინი ხედავდა, რომ კიტი იტანჯებოდა ფიზიკურადაც და სულიერადაც, თუმცა არ ამჟღავნებდა ამას. გრძნობა სიკვდილისა, რომელიც ყველას აღუძრა ნიკოლაის სიცოცხლესთან გამოთხოვებამ იმ ღამეს, როცა ძმას მოუხმო, უკვე დაიმსხვრა. ყველამ იცოდა, რომ იგი აუცილებლად მალე მოკვდებოდა, რომ უკვე ნახევრად მკვდარი იყო. ყველას ერთი სურვილიღა ჰქონდა, რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო, თუმცა ყველა მალავდა ამას, – ასმევდნენ წამლებს, ეძებდნენ ექიმებს, ატყუებდნენ მასაც, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც. ყველაფერი ეს სიცრუე იყო, საზიზღარი, შეურაცხმყოფელი, ბილწი სიცრუე. და ამ სიცრუეს ყველაზე მტკივნეულად ლევინი განიცდიდა თავისი ხასიათისა და იმის გამო, რომ ყველაზე მეტად მას უყვარდა მომაკვდავი.

ლევინმა, რომელსაც დიდი ხანია უტრიალებდა თავში ის აზრი, სიკვდილის წინ მაინც შეერიგებინა ძმები, წერილი მისწერა სერგეი ივანოვიჩს და როცა პასუხი მიიღო მისგან, წერილი ავადმყოფსაც წაუკითხა. სერგეი ივანოვიჩი იწერებოდა, ჩამოსვლა არ შემიძლიაო და გულის ამაჩუყებელი სიტყვებით სთხოვდა ძმას პატიებას.

ავადმყოფმა არაფერი თქვა ამაზე.

– მაინც რა მივწერო? – ჰკითხა ლევინმა, – ვფიქრობ, აღარ უწყრები მას?

– არა, სულაც არა! – უპასუხა კითხვით განაწყენებულმა ნიკოლაიმ, – მისწერე, ექიმი გამოგზავნოს.

სამმა ტანჯვის დღემ კიდევ გაიარა. ავადმყოფი იმავე მდგომარეობაში იყო. მისი სიკვდილის მსურველი იყო ახლა ყველა, ვინც კი ხედავდა მას: სასტუმროს მოსამსახურენიც, სასტუმროს პატრონიც, მობინადრენიც, ექიმიც, მარია ნიკოლაევნაც, ლევინიც და კიტიც. მხოლოდ ავადმყოფი არ ამჟღავნებდა ამ გრძნობას, პირიქით, ბრაზობდა, რომ არ ჩამოუყვანეს ექიმი, ისევ სვამდა წამლებს და ლაპარაკობდა სიცოცხლეზე. მხოლოდ იშვიათად, როცა ოპიუმი წუთით შეუნელებდა ტანჯვას და თავდავიწყებას ეძლეოდა, ნახევრად მძინარე ლაპარაკობდა იმას, რასაც სხვებზე მეტად შეებოჭა მისი სული: „ოხ, ნეტავ მალე იქნებოდეს აღსასრული!“ ანდა: „როდის მოეღება ამას ბოლო!“.

ტანჯვა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, მაინც თავისას შვრებოდა და სასიკვდილოდ ამზადებდა ავადმყოფს. არ არსებობდა ისეთი მდგომარეობა, რომელშიც მოსვენება ეგრძნო, არ იყო არც ერთი წუთი, რომ ავადმყოფს თავდავიწყება ეგრძნო, არ იყო არც ერთი ასო სხეულისა, რომელიც არ ტოვებდა, არ ტანჯავდა ავადმყოფს. თვით მოგონებები, შთაბეჭდილებები და ფიქრიც კი ამ სხეულზე ისეთივე ზიზღს იწვევდა ავადმყოფში, როგორსაც თვით ეს სხეული. ადამიანების დანახვა, მათი საუბარი, საკუთარი მოგონებები – ყველაფერი სატანჯველად ქცეულიყო მისთვის. მის ირგვლივ მყოფებიც გრძნობდნენ ამას და შეუგნებლად უფლებას არ აძლევდნენ თავს, მისი თანდასწრებით თავისუფლად ემოძრავათ, ელაპარაკათ ან გამოეთქვათ თავისი სურვილი. ავადმყოფის მთელი სიცოცხლე ერთ ტანჯვის გრძნობად და ამ ტანჯვიდან თავის დაღწევის სურვილად ქცეულიყო.

ეტყობა, მასში უკვე მომხდარიყო ის გარდატეხა, რომელიც აიძულებდა, სიკვდილი საკუთარი სურვილის დაკმაყოფილებად და ბედნიერებად მიეღო. წინათ ყოველი სურვილი, გამოწვეული ტანჯვის ან რაიმეს ნაკლოვანებით, როგორიცაა შიმშილი, დაღლილობა, წყურვილი, სხეულის საშუალებით კმაყოფილდებოდა და ეს ნეტარებას ანიჭებდა; ახლა კი ეს ნაკლოვანება ან ტანჯვა ვეღარ კმაყოფილდებოდა და დაკმაყოფილების ყოველი სურვილი ახალ ტანჯვას იწვევდა. ამიტომაც ყველა მისი სურვილი ერთ სურვილად იქცა – როგორმე თავი დაეღწია ამ ტანჯვისა და საკუთარი სხეულისაგან, რომელიც ტანჯვის წყაროდ ქცეულიყო. მაგრამ

სიტყვები ვეღარ ეპოვა ამ გათავისუფლების სურვილის გამოსახატავად, ამიტომაც არაფერს ამბობდა ამაზე და ჩვეულებრივ იმ სურვილთა დაკმაყოფილებას მოითხოვდა, რომელთა აღსრულებაც უკვე შეუძლებელი იყო. „გადამაბრუნეთ მეორე გვერდზე“, იტყოდა იგი და იმავე წუთს მოითხოვდა ისევ წინანდებურად დაეწვინათ. „მომიტანეთ ბულიონი. წაიღეთ ბულიონი. მომიყევით რამე, რას გაჩუმებულხართ“. და როგორც კი დაიწყებდნენ ლაპარაკს, მაშინვე თვალებს დახუჭავდა და სახეზე მოქანცულობა, გულგრილობა და ზიზღი აღებეჭდებოდა.

ქალაქში ჩამოსვლის მეათე დღეს კიტი ავად გახდა. თავის ტკივილი და პირის ღებინება აუვარდა და მთელ დილას ლოგინიდან არ წამომდგარა.

ექიმმა უთხრა, ეს მოქანცულობისა და მღელვარების ბრალიაო და სულიერი სიმშვიდე ურჩია.

კიტი ნასადილევს მაინც წამოდგა და როგორც ყოველთვის, თავისი ხელსაქმით ავადმყოფისაკენ გასწია. ავადმყოფმა მკაცრად ახედა კიტის და ზიზღით გაიღიმა მის სიტყვებზე, ავად ვიყავიო. ამ დღეს ავადმყოფი სულ ცხვირს იხოცავდა და შესაბრალისად კვნესოდა.

– როგორ გრძნობთ თავს? – ჰკითხა მას კიტიმ.

– უარესად, – ძლივს თქვა ავადმყოფმა, – მტკივა!

– სად გტკივათ?

– ყველგან.

– აი, ნახეთ, დღეს გათავდება, – მართალია, მარია ნიკოლაევნამ ჩურჩულით თქვა ეს სიტყვები, მაგრამ როგორც ლევინმა შენიშნა, ავადმყოფს, რომელიც მეტისმეტად მგრძნობიარე გამხდარიყო, არ გამოჰპარვია ეს. ლევინმა ჩააჩუმა იგი და ავადმყოფს გადახედა. ნიკოლაიმ გაიგონა, მაგრამ ამ სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე. მისი გამოხედვა ისეთივე დაძაბული და საყვედურის გამომხატველი იყო.

– რატომ გგონიათ? – ჰკითხა ლევინმა, – როცა დერეფანში გამოჰყვა მარიას.

– ტანს იწიწკნის, – უთხრა მარია ნიკოლაევნამ.

– როგორ თუ იწიწკნის?

– აი, ასე, – უთხრა მან და თავისი შალის კაბის ნაკეცებს დაუწყო წიწკნა.

მართლაც, ლევინმა შენიშნა, რომ მთელი დღის განმავლობაში ავადმყოფი ტანს იწიწკნიდა, თითქოს უნდოდა მოეშორებინა რაღაც.

მარია ნიკოლაევნას წინასწარმეტყველება მართალი აღმოჩნდა. საღამოს ავადმყოფს ხელის აწევის თავიც აღარ ჰქონდა და გაშტერებული, უმოძრაოდ იყურებოდა წინ. მაშინაც კი, როცა ლევინი ან კიტი მისკენ იხრებოდნენ, ისე, რომ ავადმყოფს შესძლებოდა მათი დანახვა, მაინც ისევე განაგრძობდა ყურებას. კიტიმ მღვდლის მოსაყვანად გაგზავნა მსახური, რათა სულთმობრძავის ლოცვა წაეკითხა მომაკვდავისთვის.

ვიდრე მღვდელი ლოცვას კითხულობდა, მომაკვდავს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ედო; თვალები დახუჭული ჰქონდა. ლევინი, კიტი და მარია ნიკოლაევნა მომაკვდავის სარეცელთან იდგნენ. მღვდელს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა ლოცვა, რომ მომაკვდავი გაიჭიმა, ერთი ამოიოხრა და თვალები გაახილა. მღვდელმა ლოცვა დაამთავრა, გაცივებულ შუბლზე ჯვარი დაადო, შემდეგ ნელ-ნელა გაახვია ჯვარი ოლარში ორიოდე წუთს კიდევ იდგა გაჩუმებული და მერე მომაკვდავის გაცივებულ, უსისხლო, ვეებერთელა ხელს შეეხო.

– გათავდა, – თქვა მღვდელმა და წასვლა დააპირა, მაგრამ უეცრად მომაკვდავის შეწებებული ულვაში შეირხა და სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა გულის სიღრმიდან ამოსული, სრულიად გარკვევით ნათქვამი სიტყვები: – ჯერ არა... მალე იქნება.

და წუთის შემდეგ მომაკვდავს სახე გაუნათდა, ულვაშქვეშ ღიმილი აღებეჭდა და თავმოყრილი ქალები გულმოდგინედ შეუდგნენ ცხედრის მოვლას.

ძმის დანახვამ და სიკვდილის სიახლოვემ ლევინის სულში კვლავ განაახლა სიკვდილის იდუმალებისა და ამავე დროს სიკვდილის სიახლოვისა და გარდაუვალობის ის საშინელი გრძნობა, რომელიც განიცადა იმ შემოდგომის ღამეს, როცა ძმა

ესტუმრა. ეს გრძნობა ახლა წინანდელზე უფრო ძლიერი იყო; იგრძნო, რომ ახლა უფრო მეტად შეუძლებელი იყო, ჩასწვდომოდა სიკვდილის იდუმალებას და უფრო საშინლად ეჩვენა სიკვდილის გარდაუვალობა; მაგრამ ახლა, ცოლთან სიახლოვის წყალობით, ისეთ სასოწარკვეთილებაში აღარ აგდებდა ეს გრძნობა: მიუხედავად სიკვდილისა, გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო სიცოცხლე, სიყვარული. გრძნობდა, რომ სიყვარულმა იხსნა სასოწარკვეთილებისაგან და ამ სასოწარკვეთილების შიშით ეს სიყვარული უფრო ძლიერი და ფაქიზი ხდებოდა.

ის იყო ლევინის თვალწინ აღსრულდა იდუმალება სიკვდილისა, რომელიც კვლავ გამოუცნობი რჩებოდა მისთვის, რომ უკვე წარმოიშვა მეორე, ასევე გამოუცნობი მისწრაფება სიცოცხლისა და სიყვარულისაკენ.

ექიმმა დაადასტურა თავისი ეჭვი. კიტის ავადმყოფობის მიზეზი ფეხმძიმობა იყო.

XXI

იმ წუთიდან, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ბეტსისა და სტეპან არკადიჩთან ახსნა-განმარტების შედეგად მიხვდა, რომ მისგან მხოლოდ ერთს მოითხოვდნენ – ჩამოხსნოდა ცოლს, არ შეეწუხებინა თავისი იქ ყოფნით და რომ თვით ცოლიც ამის მსურველი იყო, იმდენად დაიბნა, რომ აღარაფრის გადაწყვეტის უნარი აღარ შესწევდა; თვითონაც აღარ იცოდა, რა სურდა ახლა და მთლიანად ჩაუვარდა ხელში იმათ, ვინც ასეთი სიამოვნებით მოჰკიდეს ხელი მის საქმეს, და ყველაფერზე თანხმობით პასუხობდა. მხოლოდ მაშინ, როცა ანა კვლავ წავიდა მისი სახლიდან და ინგლისელმა ქალმა მსახური გამოგზავნა საკითხავად, მარტო უნდა ვისადილო ხოლმე თუ თქვენთან ერთადო, ცხადლივ დაინახა თავისი მდგომარეობა და შეაძრწუნა ამან.

ყველაზე მძიმე ის იყო, რომ არაფრით არ შეეძლო დაეკავშირებინა და შეეთანხმებინა თავისი წარსული იმასთან,

რაც ახლა იყო. მას როდი ეუხერხულებოდა ის წარსული, როცა ბედნიერად ცხოვრობდა ცოლთან. გარდატეხა იმ ბედნიერი ცხოვრებიდან ცოლის ღალატის შეტყობამდე უკვე მტკივნეულად გადაიტანა; ეს მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ გასაგები იყო მისთვის. ცოლს რომ მაშინ მიეტოვებინა, როცა თავის დანაშაულში გამოუტყდა, ალექსეი ალექსანდროვიჩი გულმოკლული და უბედური იქნებოდა, მაგრამ აღარ ჩავარდებოდა იმ გამოუვალ, თანაც თავისთვისაც კი გაურკვეველ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა იყო. ახლა მას ვერაფრით შეეთანხმებინა თავისი ამასწინანდელი პატიება, შევრდომება და სიყვარული ავადმყოფი ცოლისა და სხვისი ბავშვისადმი იმასთან, რაც ახლა იყო, ესე იგი იმასთან, რომ თითქოს ყოველივე ამის ჯილდოდ მარტოდმარტო დარჩა, შერცხვენილი, ყველასთვის ზედმეტი, ყველასაგან განკიცხული და შეძულებული.

პირველ ორ დღეს ცოლის წასვლის შემდეგ ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩვეულებრივად იღებდა მთხოვნელებს, საქმეთა მმართველს, დადიოდა კომიტეტში, გამოდიოდა სადილზე სასადილო ოთახში. იგი ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს, რისთვის აკეთებდა ყოველივე ამას და ამ ორი დღის განმავლობაში მთელ თავის სულიერ ძალას იმას ახმარდა, რომ გარეგნულად სრულიად მშვიდი და გულგრილიც კი ყოფილიყო. როცა პასუხს აძლევდა კითხვაზე, რა უნდა ექნათ ანა არკადიევნას ნივთებისა და ოთახებისთვის. უდიდეს ძალას ატანდა თავს, რათა ჰქონოდა შესახედაობა იმ ადამიანისა, რომელსაც ეს ამბავი გაუთვალისწინებელი არ დარჩენია, რომ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც სცილდება ჩვეულებრივ მოვლენათა წყებას, და კიდეც აღწევდა მიზანს: არავის შეეძლო შეენიშნა მასში სასოწარკვეთილების რაიმე ნიშანი. მაგრამ ცოლის წასვლის მეორე დღეს, როცა კორნეიმ ანგარიში წარუდგინა მოდის მაღაზიიდან, სადაც ანას დავიწყებოდა ფულის გადახდა, და მოახსენა, ნოქარიც აქ გახლავთო, ალექსეი ალექსანდროვიჩმა უბრძანა, დაეძახათ ნოქრისთვის.

– მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ვბედავ თქვენს შეწუხებას. მაგრამ თუ თქვენ მიბრძანებთ, მივმართო მის აღმატებულებას, ხომ არ ინებებთ მათი მისამართი გვაცნობოთ.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ჩაფიქრდა, ასე მოეჩვენა ნოქარს, მერე უეცრად მოტრიალდა და მაგიდას მიუჯდა. თავით

ხელებს დაეყრდნო და დიდხანს იჯდა ასე, რამდენჯერმე სცადა დალაპარაკება, მაგრამ ისევ შეჩერდა.

კორნეიმ იგრძნო, რასაც განიცდიდა ბატონი და სთხოვა ნოქარს, სხვა დროს მოსულიყო. მარტოდ დარჩენილი ალექსეი ალექსანდროვიჩი მიხვდა, რომ აღარ შესწევდა ძალა ამ სიმტკიცისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად. მსახურს უბრძანა, გაესტუმრებინათ კარეტა, რომელიც ელოდებოდა, და არავინ მიეღოთ; იმ დღეს სადილადაც აღარ გამოსულა.

იგრძნო, რომ ძალა აღარ შესწევდა აეტანა ის საყოველთაო ზიზღი და გააფთრება, რომელსაც გარკვევით ამჩნევდა ამ ნოქარსაც, კორნეისაც და საერთოდ ყველას, ვისაც კი ამ ორი დღის განმავლობაში შეხვედროდა. იგრძნო, რომ ძალა აღარ შესწევდა აეცილებინა სიძულვილი ადამიანებისა, რადგან ეს სიძულვილი წარმოშვა არა იმან, რომ ცუდი ადამიანი იყო (მაშინ შეეცდებოდა უკეთესი ყოფილიყო), არამედ იმან, რომ სამარცხვინოდ და საზიზღრად უბედური იყო. მან იცოდა, ადამიანები შეუბრალებელნი იქნებოდნენ მისადმი სწორედ იმის გამო, რომ გული დაფლეთილი ჰქონდა. გრძნობდა, ეს ადამიანები ისევე გაანადგურებდნენ მას, როგორც ძაღლები მოახრჩობდნენ ხოლმე დაკბენილ, ტკივილისაგან აწკმუტუნებულ ძაღლს. იცოდა, რომ ერთადერთი გზა ჰქონდა ამ ადამიანებისაგან თავის დასაცავად – უნდა მოეხერხებინა თავისი ჭრილობების დამალვა და ამას ანგარიშმიუცემლად ცდილობდა კიდეც ამ ორი დღის განმავლობაში, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ ძალა აღარ შესწევდა, განეგრძო ეს უთანასწორო ბრძოლა.

მის სასოწარკვეთილებას კიდევ უფრო აძლიერებდა იმის შეგნება, რომ სავსებით მარტოდმარტო იყო თავის მწუხარებაში, მარტო პეტერბურგში კი არა, არსად ეგულებოდა ისეთი ადამიანი, ვისთვისაც შეეძლო გაეზიარებინა თავისი მწუხარება, ვინც შეიბრალებდა მას არა როგორც უმაღლეს მოხელეს და საზოგადოების წევრს, არამედ როგორც უბრალოდ ტანჯულ ადამიანს; მაგრამ ასეთი ადამიანი არსად ეგულებოდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ობლობაში გაიზარდა. ისინი ორი ძმანი იყვნენ. მამა სულ არ ახსოვდათ. დედა კი მაშინ გარდაიცვალა, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ათი წლისა იყო. ქონება მცირედი ჰქონდათ. მათი აღზრდა იკისრა ბიძამ, წარჩინებულმა მოხელემ და განსვენებული იმპერატორის

ოდესღაც საყვარელმა ადამიანმა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა მედლებით დაამთავრა გიმნაზიის კურსიც და უნივერსიტეტიც. ბიძის წყალობით მაშინვე თვალსაჩინო გზას დაადგა და ამ დღიდან მთელი სულითა და გულით მიეცა სამსახურებრივ პატივმოყვარეობას. არც გიმნაზიაში, არც უნივერსიტეტში და არც შემდგომ, სამსახურში, არავისთან ჰქონია მეგობრული ურთიერთობა. მისთვის სულიერად ყველაზე ახლობელი ადამიანი ძმა იყო, მაგრამ ისიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურობდა, სულ საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ალექსეი ალექსანდროვიჩის დაქორწინების შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდეც იქ.

ალექსეი ალექსანდროვიჩის გუბერნატორობის დროს ანას მამიდამ, გუბერნიის მდიდარმა ქალბატონმა, თავისი ძმისშვილი დაუახლოვა ამ არცთუ ახალგაზრდა კაცს, მაგრამ ახალგაზრდა გუბერნატორს, და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ ან ხელი უნდა ეთხოვა, ანდა სულ წასულიყო ქალაქიდან. ალექსეი ალექსანდროვიჩი დიდხანს ყოყმანობდა. რამდენი უდავო საბუთიც ჰქონდა ამ ნაბიჯს, იმდენ საწინააღმდეგოსაც ხედავდა ამაში, მაგრამ ხელჩასაჭიდი საბაბი ვერ მონახა იმისთვის, რათა შეეცვალა თავისი წესი: თავი შეეკავებინა ეჭვებისაგან; მაგრამ ანას მამიდამ ნაცნობის საშუალებით შთააგონა, რომ უკვე სახელი გაუტეხა ქალიშვილს და ახლა პატიოსნება მოითხოვს, ხელი სთხოვოს. ალექსეი ალექსანდროვიჩმაც ხელი სთხოვა თავის საცოლეს და ცოლს მიუძღვნა მთელი ის გრძნობა, რისი უნარიც შესწევდა.

ანასადმი განცდილმა გრძნობამ ამორეცხა მისი გულიდან ადამიანთა მიმართ გულითადი ურთიერთობის უკანასკნელი სურვილიც და ახლა მთელ თავის ნაცნობთა შორის არც ერთი ახლობელი ადამიანი აღარ ეგულებოდა. ნაცნობი ბევრი ჰყავდა, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა არავისთან ჰქონია. ალექსეი ალექსანდროვიჩს ბევრი ჰყავდა ისეთი, ვისი მოწვევაც შეეძლო სადილად, ანდა რომელთაც სთხოვდა მონაწილეობა მიეღოთ იმ საქმეში, რითაც დაინტერესებული იყო იგი, ეთხოვა პროტექცია ვინმე მაძიებლისთვის, ჰყავდა ისეთებიც, რომლებთანაც შეეძლო გულახდილად განესაჯა სხვა პირთა ანდა უმაღლესი მთავრობის მოქმედება; მაგრამ ამ ადამიანებთან ურთიერთობა ერთ მტკიცედ განსაზღვრულ, ადათებითა და ჩვეულებებით

შემოზღუდულ სფეროში იყო მომწყვდეული, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. მას ჰყავდა ერთი უნივერსიტეტის ამხანაგი, რომელსაც შემდეგ დაუახლოვდა და რომელთანაც შეეძლო პირად მწუხარებაზე საუბარი, მაგრამ ეს ამხანაგიც შორეულ სასწავლო ოლქში მსახურობდა მზრუნველის თანამდებობაზე. პეტერბურგში მყოფ პირთაგან მისთვის ყველაზე ახლობელი იყო კანცელარიის მმართველი და ექიმი.

მიხაილ ვასილევიჩ სლიუდინი, საქმეთა მმართველი, ერთი უბრალო, ჭკვიანი, კეთილი, ზნეობის დამცველი ადამიანი იყო და ალექსეი ალექსანდროვიჩს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მასთან; მაგრამ ხუთი წლის ერთად მუშაობამ მათ შორის ისეთი ზღვარი დადო, რაც ხელს უშლიდა, გული გადაეშალათ ერთმანეთისთვის.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხელი მოაწერა ქაღალდებს და დიდხანს მდუმარედ შეჰყურებდა მიხაილ ვასილევიჩს, რამდენჯერმე კიდეც სცადა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ვერ შეძლო. თუმცა, მომზადებული ჰქონდა სათქმელი, გაიგეთ ჩემი უბედურების ამბავიო, მაგრამ იმით გაათავა, რომ ჩვეულებრივ უთხრა, მაშ, ეს მომიმზადეთო, და გაისტუმრა.

მეორე ადამიანი იყო ექიმი, რომელიც აგრეთვე კარგად იყო განწყობილი ალექსეი ალექსანდროვიჩისადმი, მაგრამ ისინი უკვე დიდი ხანია უთქმელად შეთანხმდნენ, რომ ორივენი ჩაფლულნი იყვნენ საქმეებში და ორივესთვის დრო ძვირფასი იყო.

მეგობარ ქალებსა და მათ შორის თავის უპირველეს მეგობარზე – გრაფინია ლიდია ივანოვნაზე ალექსეი ალექსანდროვიჩს არც უფიქრია. ყველა ქალი, უბრალოდ როგორც ქალი, საშინელი და საძულველი იყო მისთვის.

XXII

ალექსეი ალექსანდროვიჩმა დაივიწყა გრაფინია ლიდია ივანოვნა, მაგრამ გრაფინიას არ დავიწყებია იგი. სწორედ ამ

მარტოობით გამოწვეული სასოწარკვეთის მძიმე წუთებში მივიდა იგი მასთან და ისე შევიდა კაბინეტში, რომ არც მოუხსენებიათ მისი მოსვლა. ალექსეი ალექსანდროვიჩი კვლავ იმავე მდგომარეობაში, ხელებზე დაყრდნობილი იჯდა.

– J’ai forcé la consigne,[8] – უთხრა გრაფინიამ, რომელიც აჩქარებული ნაბიჯით შევიდა მასთან კაბინეტში, თან მღელვარებისა და ჩქარი სიარულისაგან სულს ძლივსღა ითქვამდა, – მე ყველაფერი გავიგე! ალექსეი ალექსანდროვიჩ! ჩემო მეგობარო! – განაგრძო მან, ორივე ხელი ჩამოართვა და თავისი მშვენიერი, იდუმალებით სავსე თვალებით სახეში ჩააცქერდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი მოღუშული წამოდგა, ხელი გაითავისუფლა მისგან და სკამი მიუწია.

– ხომ არ ინებებთ, გრაფინია? მე არავის ვიღებ, იმიტომ, რომ შეუძლოდ ვარ, გრაფინია, – უთხრა მან და ტუჩები აუთრთოლდა.

– ჩემო მეგობარო! – გაიმეორა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, თან თვალს არ აშორებდა ალექსეი ალექსანდროვიჩს და უეცრად წარბები შუა ადგილიდან ზევით აზიდა, ისე, რომ შუბლზე სამკუთხედი გაუკეთდა; მისი ყვითელი, ულამაზო სახე კიდევ უფრო ულამაზო შეიქნა; მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩმა იგრძნო, რომ გრაფინიას ებრალებოდა იგი, მზად იყო, ატირებულიყო კიდეც და ამან გული მოულბო: მან ხელი სტაცა გრაფინიას ფუნჩულა ხელს და კოცნა დაუწყო.

– ჩემო მეგობარო! – თქვა გრაფინიამ, თან მღელვარებისაგან ხმა უწყდებოდა, – არ უნდა მისცეთ თავი მწუხარებას! ძალიან დიდია თქვენი მწუხარება, მაგრამ უნდა პოვოთ ნუგეში.

– მე გამანადგურეს, მომკლეს, აღარ ვარ ადამიანი! – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, ხელი გაუშვა გრაფინიას ხელს, მაგრამ მისი ცრემლით სავსე თვალებისთვის კი არ მოუშორებია თვალი, – ჩემი მდგომარეობა მით უფრო საზარელია, რომ ვერსად, საკუთარ თავშიც კი ვერ მიპოვია დასაყრდენი.

– თქვენ იპოვით იმ დასაყრდენს, ეძიეთ იგი არა ჩემში, თუმცა ჩემი თხოვნა იქნება, გჯეროდეთ ჩემი მეგობრობისა, – უთხრა ლიდია ივანოვნამ და ამოიოხრა, – ეს დასაყრდენი იქნება ჩვენთვის სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც მან

შთაგვინერგა. მისი ტვირთი მძიმე არ არის, – თქვა მან და სახეზე ის აღფრთოვანება აღებეჭდა, რომელსაც კარგად იცნობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – ის შეგეწევათ და დაგეხმარებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებში იხატებოდა გულის აჩუყება ამაღლებული გრძნობების წინაშე და ვლინდებოდა ის ახალი, აღტაცებული, პეტერბურგში ახლახან გავრცელებული მისტიკური განწყობილება, რომელსაც ზედმეტად მიიჩნევდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, მისთვის ახლა მაინც სასიამოვნო იყო ამის მოსმენა.

– მე ძალა აღარ შემწევს. მე განადგურებული ვარ. მე ვერ გავითვალისწინე ვერაფერი და ახლაც არაფერი მესმის.

– ჩემო მეგობარო, – იმეორებდა ლიდია ივანოვნა.

– მე იმას არ ვნანობ, რაც დავკარგე, რაც აღარ არის, – განაგრძობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი, – მაგრამ არ შემიძლია, სირცხვილი არ ვიგრძნო ადამიანების წინაშე იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ახლა ვიმყოფები. ეს ცუდია, მაგრამ არ შემიძლია, არ შემიძლია!

– თქვენ კი არ მიუტევეთ დიდბუნებოვნად, რითაც აღტაცებული ვარ მე და აღტაცებულია ყველა, არამედ მან, თქვენს გულში რომ სუფევს, – თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ და სასოებით აღაპყრო თვალნი, – და ამიტომაც არ უნდა გრცხვენოდეთ თქვენი საქციელისა!

ალექსეი ალექსანდროვიჩი მოიღუშა, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და თითები გაატკაცუნა.

– უნდა იცოდეთ ყოველი წვრილმანი, – წრიპინა ხმით დაიწყო მან, – ადამიანის შეძლებასაც აქვს თავისი საზღვარი, გრაფინია, და მე მივაღწიე ამ საზღვარს. მთელი დღევანდელი დღე განკარგულებათა გაცემისთვის უნდა მომენდომებინა, განკარგულებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ (მან ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „გამომდინარეობენ“) ჩემი ახალი მარტოხელა მდგომარეობიდან. მსახურები, გუვერნანტი, ანგარიშები... ამ წვრილმანებმა ცეცხლი მომიკიდა და ძალა აღარ მეყო ამის ასატანად. სადილზე... გუშინ კინაღამ მივატოვე სადილი. ვერ შევძელი იმის ატანა, თუ როგორ მიყურებდა ჩემი ვაჟიშვილი. მას არ უკითხავს ჩემთვის, რას ნიშნავს ყოველივე

ეს, მაგრამ უნდოდა ამის კითხვა და მე ვეღარ გავუძელი მის თვალებს. მას ეშინოდა შემოეხედა ჩემთვის, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა...

ალექსეი ალექსანდროვიჩს უნდოდა გაეხსენებინა ის ანგარიშიც, დილას რომ მიუტანეს, მაგრამ ხმა აუკანკალდა და შეჩერდა. ამ ცისფერ ქაღალდზე ჩამოწერილი ქუდისა და ბაფთების ანგარიშის გახსენება ისე არ შეეძლო, სიბრალული არ ეგრძნო საკუთარი თავისადმი.

– ჩემთვის გასაგებია, ჩემო მეგობარო, – უთხრა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, – ყველაფერი გასაგებია. ჩემში ვერ იპოვით ნუგეშსა და შემწეობას. მაგრამ მაინც მოვედი დასახმარებლად, თუკი ეს შესაძლებელია. მე რომ შემეძლოს, მოგაცილოთ ყველა ეს წვრილმანი, დამამცირებელი საზრუნავი... ჩემთვის გასაგებია, რომ აქ საჭიროა ქალის სიტყვა, ქალის თადარიგი. მომანდობთ ამას?

ალექსეი ალექსანდროვიჩმა ხმაამოუღებლად, მადლობით ჩამოართვა ხელი.

– ჩვენ ერთად ვიზრუნებთ სერიოჟაზე. მე ძლიერი არა ვარ პრაქტიკულ საქმიანობაში, მაგრამ მაინც მოვკიდებ ხელს, მე ვიქნები თქვენი ეკონომი ქალი. მადლობას ნუ მეტყვით. ამას მე კი არ ვაკეთებ...

– არ შემიძლია მადლობა არ გითხრათ.

– მაგრამ, ჩემო მეგობარო, ნუ მიეცემით იმ გრძნობას, რომელზეც მელაპარაკებოდით. განა სამარცხვინოდ უნდა მიგაჩნდეთ ის, რაც ქრისტიანის უმაღლეს ღირსებას წარმოადგენს: ვინც დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს. და თქვენ არ შეგიძლიათ მადლობა მითხრათ მე. თქვენ მისი მადლიერი უნდა იყოთ, მას უნდა სთხოვოთ შემწეობა. მხოლოდ მასში პოვებთ სიმშვიდეს, ნუგეშს, ხსნასა და სიყვარულს, – თქვა გრაფინიამ, თვალები აღაპყრო და როგორც ალექსეი ალექსანდროვიჩი მის დუმილზე მიხვდა, ლოცვა-ვედრებას მოჰყვა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი ყურს უგდებდა გრაფინიას და ეს სიტყვები, წინათ რომ ზედმეტად და უსიამოვნოდ თვლიდა, ახლა სანუგეშოდ და ბუნებრივად ეჩვენა. ალექსეი ალექსანდროვიჩს არ უყვარდა ეს ახალი, აღტაცებული

სულისკვეთება. იგი მორწმუნე ადამიანი იყო და სარწმუნოება უპირატესად პოლიტიკური თვალსაზრისით აინტერესებდა, ეს ახალი მოძღვრება კი, რომელიც უფლებას აძლევდა თავს ზოგიერთი ახალი განმარტება შემოეტანა, და სწორედ იმიტომ, რომ კარს უხსნიდა ანალიზსა და კამათს, პრინციპულად არასასიამოვნო იყო მისთვის. წინათ იგი სრულიად გულგრილად და მტრულადაც კი უყურებდა ამ ახალ მოძღვრებას და არასოდეს ეკამათებოდა ამ მოძღვრებით გატაცებულ გრაფინია ლიდია ივანოვნას, ყოველთვის ყურს წაუყრუებდა ხოლმე მის გამოწვევას. დღეს კი პირველად მოისმინა მისი სიტყვები სიამოვნებით და შინაგანადაც აღარ უგრძნია წინააღმდეგობა.

– მე დიდად, დიდად მადლობელი ვარ თქვენი. როგორც თქვენი საქმიანობისა, ისე თქვენი სიტყვების გამო, – უთხრა მან, როცა გრაფინიამ ლოცვა გაათავა.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი თავის მეგობარს.

– ახლა კი საქმეს უნდა შევუდგე, – ღიმილით თქვა მან რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ და სახიდან ცრემლები მოიწმინდა, – მე სერიოჟასთან მივდივარ. თქვენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოგმართავთ, – და გრაფინია წამოდგა, ოთახიდან გავიდა.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ სერიოჟას ოთახებისკენ გასწია, ცრემლით დაულბო ლოყები შეშინებულ ბავშვს და უთხრა, რომ მისი მამა წმინდანია და რომ დედა გარდაეცვალა.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ შეასრულა თავისი დაპირება. მართლაც იკისრა ალექსეი ალექსანდროვიჩის ოჯახის ყველა საზრუნავი და გაძღოლა სახლისა. მაგრამ გრაფინია არ აჭარბებდა, როცა ამბობდა, სუსტი ვარ პრაქტიკულ საქმიანობაშიო. საჭირო ხდებოდა ყველა მისი განკარგულების შეცვლა, რადგან შეუძლებელი იყო მათი შესრულება და ცვლიდა კიდეც ალექსეი ალექსანდროვიჩის პირისფარეში კორნეი, რომელიც ყველას შეუმჩნევლად განაგებდა კარენინის მთელ ოჯახს და ჩაცმის დროს ფრთხილად, აუღელვებლად მოახსენებდა ხოლმე ბატონს, რისი გაკეთებაც იყო საჭირო. მაგრამ ლიდია ივანოვნას დახმარება მაინც უაღრესად არსებითი იყო: მან ზნეობრივი დასაყრდენი მისცა ალექსეი

ალექსანდროვიჩს თავისი სიყვარულისა და პატივისცემის გამომჟღავნებით და განსაკუთრებით იმით, რომ, როგორც გრაფინია ინუგეშებდა თავს, ქრისტიანად მოაქცია იგი, ესე იგი გულგრილი და ზანტი მორწმუნე აქცია მხურვალე და მტკიცე დამცველად ქრისტიანული მოძღვრების იმ ახალი მიმდინარეობისა, რომელიც უკანასკნელ ხანებში გავრცელდა პეტერბურგში. ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის იოლი არ იყო ამაში დარწმუნება. იგი, ისე როგორც ლიდია ივანოვნა და სხვები, რომლებიც იზიარებდნენ ამ შეხედულებებს, სრულიად მოკლებული იყო წარმოსახვის სიღრმეს, იმ სულიერ უნარს, რომლის შემწეობითაც წარმოსახვით გამოწვეული წარმოდგენები იმდენად რეალური ხდება, რომ მოითხოვს სხვა წარმოდგენასა და სინამდვილესთან შესატყვისობას. იგი შეუძლებელსა და შეუსაბამოს არაფერს ხედავდა იმის წარმოდგენაში, რომ სიკვდილი, რომელიც არსებობდა ურწმუნოთათვის, არ არსებობდა მისთვის, – და რადგან მან სრულ რწმენას მიაღწია, რისი მსაჯულიც თვითონვე იყო, უკვე გათავისუფლდა ცოდვებისაგან და აქვე, ამ ქვეყანაზევე განიცდიდა სრულ ხსნას.

თუმცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ბუნდოვნად გრძნობდა, რამდენად უსუსური და მცდარი იყო მისი წარმოდგენა რწმენაზე;იცოდა, რომ მაშინ, როცა სულ არ ფიქრობდა, რომ მისი მიტევება უზენაესი ძალის ქმედება იყო და ისე ეძლეოდა ამ უშუალო გრძნობას, უფრო მეტ ნეტარებას განიცდიდა, ვიდრე ახლა, როცა ყოველ წუთს ფიქრობდა, ჩემს სულში ქრისტე სუფევს და ქაღალდზე ხელის მოწერისას მის ნებას ვასრულებო; მაგრამ ამგვარი დამცირების დროს მისთვის აუცილებელი იყო ასე ეფიქრა, რათა შეექმნა ასეთი, თუნდაც გამოგონილი სიმაღლე, საიდანაც იგი, ყველასგან შეძულებული, ზიზღით შეხედავდა ყველას და ისიც ისე ჩაებღაუჭებოდა თავის ფუჭ ხსნას, როგორც ნამდვილს.

XXIII

გრაფინია ლიდია ივანოვნა ჯერ ისევ სრულიად ნორჩი და

აღტაცებული ქალიშვილი ერთ მდიდარ, წარჩინებულ, მეტისმეტად გულკეთილსა და მეტისმეტად გარყვნილ, ქეიფებს გადაყოლილ გრაფს მიათხოვეს. ქმარმა მეორე თვესვე მიატოვა იგი და ლიდია ივანოვნას აღტაცებულსა და ნაზ სიყვარულს მხოლოდ დაცინვით პასუხობდა, მტრულადაც კი ეკიდებოდა, რაც ვერაფრით აეხსნა ხალხს, ვინც კი გრაფის კეთილი გულის ამბავი იცოდა და ლიდია ივანოვნას აღტაცებულ ბუნებაშიც ვერავითარ ნაკლს ვერ ხედავდა. მას შემდეგ, თუმცა ცოლ-ქმარი განქორწინებული არ ყოფილა, მაინც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ქმარი კვლავ იმავე გესლიანი დაცინვით უმასპინძლდებოდა ცოლს, რისი მიზეზის გაგებაც შეუძლებელი იყო.

გრაფინია ლიდია ივანოვნას უკვე დიდი ხანია აღარ უყვარდა ქმარი, მაგრამ მას შემდეგ ყოველთვის შეყვარებული იყო. ზოგჯერ რამდენიმე უყვარდა ერთდროულად, ქალებიცა და მამაკაცებიც: მას უყვარდა თითქმის ყველა ადამიანი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენდა რაიმეთი თავს. უყვარდა ყველა ახალი პრინცი და პრინცესა, რომელნიც სამეფო გვარს ენათესავებოდნენ, უყვარდა ერთი მიტროპოლიტი, ერთი ქორეპისკოპოსი და ერთი მღვდელი. უყვარდა ერთი ჟურნალისტი, სამი სლავი და კომისაროვი, უყვარდა ერთი მინისტრი, ერთი ექიმი, ერთი ინგლისელი მისიონერი და კარენინი. ყველა ეს სიყვარული, რომელიც ხან უფრო სუსტი იყო და ხან უფრო ძლიერი, ხელს არ უშლიდა გასძღოლოდა სამეფო კარისა და მაღალი საზოგადოების ყველაზე რთულ საქმეებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც კარენინს უბედურება დაატყდა თავს და გრაფინიამ თავის განსაკუთრებულ მფარველობაში აიყვანა, მას შემდეგ, რაც იკისრა მზრუნველობა კარენინის ოჯახის კეთილდღეობაზე, იგრძნო, რომ არც ერთი მისი სხვა სიყვარული ნამდვილი არ ყოფილა და ჭეშმარიტად მხოლოდ ერთი კარენინი უყვარდა. ეჩვენებოდა, რომ ახლა კარენინისადმი განცდილი გრძნობა ყველა წინათ განცდილ გრძნობაზე უფრო ძლიერი იყო. როცა აანალიზებდა თავის ძველ გრძნობებს და ამ ახალ გრძნობას ადარებდა, მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ არ შეუყვარდებოდა კომისაროვი, სიკვდილისაგან რომ არ ეხსნა ხელმწიფე. არ შეუყვარდებოდა რისტიჩ-კუჯიცკი, სლავური საკითხი რომ არ წამოჭრილიყო; კარენინი კი ნამდვილად უყვარდა, უყვარდა მისი მაღალი,

გამოუცნობი სული, უყვარდა მისი წვრილი ხმის გაჭიანურებული ინტონაციები. მისი მოღლილი გამოხედვა, მისი ხასიათი და რბილი, თეთრი ხელები ამობურცული ძარღვებით. მას არათუ ახარებდა მასთან შეხვედრა, არამედ ეძებდა კიდეც მის სახეზე იმ შთაბეჭდილების ნიშნებს, რასაც ალექსეი ალექსანდროვიჩზე ახდენდა. უნდოდა, არა მარტო თავისი ლაპარაკით, არამედ მთელი თავისი არსებით მოსწონებოდა კარენინს. ალექსეი ალექსანდროვიჩი იყო მიზეზი იმისა, რომ გრაფინია ახლა უფრო მეტ დროს ანდომებდა თავის ტუალეტს, ვიდრე ოდესმე. ხშირად იმაზეც კი უოცნებია, რა იქნებოდა, არ გავთხოვილიყავი და ალექსეი ალექსანდროვიჩიც თავისუფალი ყოფილიყოო. გრაფინია მღელვარებისაგან წითლდებოდა, როცა კარენინი ოთახში შემოდიოდა, იგი ვერ იკავებდა აღტაცების ღიმილს, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი რაიმე სასიამოვნოს ეტყოდა.

ეს რამდენიმე დღე გრაფინია ლიდია ივანოვნა მეტისმეტად აღელვებული იყო. შეიტყო, რომ ანა ვრონსკისთან ერთად პეტერბურგში იყო. როგორმე უნდა დაეხსნა ალექსეი ალექსანდროვიჩი მასთან შეხვედრისაგან, უნდა დაეფარა მისგან ეს მტანჯველი ამბავი, რომ ის საშინელი ქალი ამავე ქალაქში იმყოფებოდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მასთან შეხვედრა.

ლიდია ივანოვნა ნაცნობების შემწეობით იგებდა, რა ჰქონდათ განზრახული ამ საძაგელ ადამიანებს, როგორც უწოდებდა იგი ანასა და ვრონსკის, და ცდილობდა თავისი მეგობრის ყოველი ნაბიჯისთვის ეხელმძღვანელა, რათა არსად შეხვედროდა მათ. ვრონსკის მეგობარმა, ახალგაზრდა ადიუტანტმა, რომლის მეოხებითაც იღებდა ცნობებს და რომელსაც იმედი ჰქონდა, გრაფინია ლიდია ივანოვნას შემწეობით კონცესიას მივიღებო, განუცხადა გრაფინიას, მათ უკვე დაამთავრეს თავიანთი საქმეები და ხვალისთვის აპირებენ გამგზავრებასო. ლიდია ივანოვნა თითქმის დამშვიდდა კიდეც, რომ მეორე დღეს დილით მიუტანეს წერილი, რომლის ნაცნობმა ხელწერამ შეაძრწუნა იგი. ხელწერა ანა კარენინას ეკუთვნოდა. სქელი ქაღალდის მოგრძო კონვერტზე უზარმაზარი მონოგრამა იყო გამოხატული და წერილი საუცხოო სურნელს აფრქვევდა.

– ვინ მოიტანა?

– სასტუმროს კომისიონერმა.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ დიდხანს ვერ შეძლო დაჯდომა, რომ წაეკითხა წერილი. მღელვარებისაგან ქოშინი აუვარდა, რასაც საერთოდ უჩიოდა. და როცა დამშვიდდა, ფრანგულ ენაზე დაწერილი შემდეგი წერილი წაიკითხა: „Madame la Comtesse,[9] – ქრისტიანული გრძნობა, რითაც აღსავსეა თქვენი გული, ვგრძნობ, მიუტევებელ სითამამეს მანიჭებს და ვბედავ ამ წერილის მოწერას. მე უბედური ვარ შვილთან განშორების გამო. გემუდარებით, ნება დამრთოთ, რათა წასვლის წინ ერთხელ მაინც ვინახულო იგი. მაპატიეთ, რომ გაგახსენეთ ჩემი თავი. მოგმართავთ თქვენ და არა ალექსეი ალექსანდროვიჩს მხოლოდ იმის გამო, რომ არ მინდა, ჩემი მოგონებით ტანჯვა მივაყენო ამ სულგრძელ ადამიანს. მე ვიცი თქვენი მეგობრობის ამბავი და მჯერა, გამიგებთ. გამოგზავნით ჩემთან სერიოჟას თუ მე მივიდე მასთან განსაზღვრულ, დანიშნულ საათზე, ანდა ხომ არ შემატყობინებთ, როდის ან სად შემეძლება მისი ნახვა სახლის გარეთ? მე არ მოველი უარს, რადგან ვიცი სულგრძელობა იმ ადამიანისა, ვისზეც არის ეს დამოკიდებული. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ წყურვილი შვილის ნახვისა, რომელსაც განვიცდი, და ამიტომ ვერც იმ მადლობის გრძნობას წარმოიდგენთ, რომელსაც აღძრავს ჩემში თქვენი დახმარება.

ანა“.

ყველაფერმა გააბრაზა ამ წერილში გრაფინია ლიდია ივანოვნა. შინაარსმაც, ამ გადაკრულმა სიტყვებმაც მის სულგრძელობაზე და განსაკუთრებით კი, როგორც მას მოეჩვენა, წერილის მოურიდებელმა ტონმა.

– გადაეცით, რომ პასუხი არ იქნება, – უთხრა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, მაშინვე გახსნა ბიუვარი და ბარათი მისწერა ალექსეი ალექსანდროვიჩს, იმედი მაქვს, გინახულებთ პირველ საათისთვის სასახლეში, მილოცვაზეო.

„უნდა მოგელაპარაკოთ ერთ მნიშვნელოვან სამწუხარო საქმეზე. იქ შევთანხმდებით, სად მოვილაპარაკოთ. უმჯობესი იქნება, მოხვიდეთ ჩემთან. ვუბრძანებ თქვენი ჩაი მოამზადონ. შეხვედრა აუცილებელია. მაცხოვარი გვაკისრებს, ვიტვირთოთ ჯვარი და იგივე მაცხოვარი გვანიჭებს საამისო ძალას“, – დასძინა მან, რათა ოდნავ მაინც შეემზადებინა იგი.

გრაფინია ლიდია ივანოვნა ყოველდღე ჩვეულებრივ ორ-სამ

ბარათს უგზავნიდა ალექსეი ალექსანდროვიჩს. გრაფინიას უყვარდა მასთან ურთიერთობის ასეთი პროცესი, ამაში იხატებოდა ის იდუმალება და ელეგანტურობა, რაც აკლდა მის პირად ურთიერთობას ალექსეი ალექსადროვიჩთან.

XXIV

მილოცვა გათავდა. წამსვლელები დღევანდელი დღის ახალ ამბებზე, ახალმიღებულ ჯილდოებსა და წარჩინებულ მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანაზე ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს.

– კარგი იქნება, გრაფინია მარია ბორისოვნას სამხედრო სამინისტრო ჩააბარონ, თავადის ქალი ვატკოვსკაია კი შტაბის უფროსად დანიშნონ, – ეუბნებოდა ოქრომკედით მოქარგულ მუნდირში გამოწყობილი ჭაღარა მოხუცი მაღალი ტანის ლამაზ სეფექალს, რომელიც ახალ გადაყვან-გადმოყვანათა თაობაზე ეკითხებოდა.

– მე კი ადიუტანტად დამაყენონ, – ღიმილით უპასუხა სეფექალმა.

– თქვენ უკვე დანიშნული ხართ. თქვენ სასულიერო უწყება ჩაგბარდებათ და თანაშემწედ კარენინი გეყოლებათ.

– გამარჯობათ, თავადო, – უთხრა მოხუცმა და ხელი გაუწოდა მათთან მოსულ თავადს.

– რაო, რას ლაპარაკობდით კარენინზე? – იკითხა თავადმა.

– იმან და პუტიატოვმა ალექსანდრე ნეველის ორდენები მიიღეს.

– მე კი მეგონა, მას უკვე ჰქონდა ორდენი.

– არა. აბა, ერთი შეხედეთ, – თქვა მოხუცმა და მოქარგული ქუდით კარენინზე ანიშნა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს ერთ გავლენიან წევრთან ერთად კარში იდგა, ტანთ სასახლის მუნდირი ეცვა და ახალი წითელი ლენტი მხარზე ჰქონდა

გადაგდებული, – როგორ მოაქვს თავი, – დასძინა მოხუცმა და შეჩერდა, რათა ხელი ჩამოერთმია ათლეტური აგებულების ლამაზი კამერჰერისთვის.

– არა, უკვე მოხუცდა, – დასძინა კამერჰერმა.

– ბევრი დარდისაგან. ახლა სულ პროექტებს წერს. აღარ მოეშვება იმ უბედურს, სანამ ყველაფერს მუხლობრივ არ გადმოულაგებს.

– როგორ თუ მოხუცდა? Il fait des passions,[10] მე ვფიქრობ, ახლა გრაფინია ლიდია ივანოვნა ეჭვიანობს ცოლზე.

– აბა, რას ამბობთ! გეთაყვა, გრაფინია ლიდია ივანოვნაზე ცუდს ნურაფერს იტყვით.

– განა ეს ცუდია, კარენინი რომ უყვარს?

– მართალია, რომ კარენინა აქ არის?

– ესე იგი აქ, სასახლეში კი არა, პეტერბურგში. გუშინ შევხვდი მას ალექსეი ვრონსკისთან ერთად bras dessus, bras dessous,[11] მორსკაიაზე.

– C’est un homme qui n’a pas[12]... – დაიწყო კამერჰერმა, მაგრამ ისევ შეჩერდა, გზა დაუთმო და სალამი მისცა რომელიღაც სამეფო გვარის პირს.

ასე განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ ალექსეი ალექსანდროვიჩზე, კიცხავდნენ, დასცინოდნენ, ამასობაში კი კარენინი, რომელიც წინ გადასდგომოდა სახელმწიფო საბჭოს წევრს, ერთი წუთითაც არ წყვეტდა ლაპარაკს, რათა ხელიდან არ გაეშვა იგი და მუხლობრივად განუმარტავდა საფინანსო პროექტს.

თითქმის იმავე ხანებში, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ცოლმა მიატოვა, მას მოსამსახურე ადამიანისთვის მეტად სამწუხარო ამბავი შეემთხვა – ბოლო მოეღო მის სამსახურებრივ წინსვლას. მისი წინსვლა უკვე გათავდა და ყველანი ნათლად ხედავდნენ ამას, მხოლოდ თვითონ ალექსეი ალექსანდროვიჩი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყო, რომ მისი კარიერა დასრულდა. სტრემოვთან უთანხმოების, ცოლის გამო თავს დატეხილი უბედურებისა თუ უბრალოდ იმის გამო, რომ უკვე მიაღწია თავის განკუთვნილ ზღვარს, წელს ყველასთვის

ნათელი შეიქნა, რომ დასრულდა მისი სამსახურებრივი ასპარეზი. მას ჯერ კიდევ ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი, წევრი იყო მრავალი კომისიისა და კომიტეტისა, მაგრამ უკვე მიაჩნდათ ისეთ ადამიანად, რომელიც მთლიანად ამოიწურა და რომლისგანაც აღარაფერი იყო მოსალოდნელი. რაც უნდა ეთქვა, რა წინადადებაც უნდა წამოეყენებინა, ისე უსმენდნენ, თითქოს ის, რასაც ამბობდა, უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო ყველასთვის და საჭიროც აღარ იყო.

მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი ვერ გრძნობდა ამას და, პირიქით, რაკი ახლა უშუალოდ აღარ მონაწილეობდა სახელმწიფო საქმიანობაში, წინანდელზე უფრო ნათლად ხედავდა ნაკლსა და შეცდომებს სხვების მოღვაწეობაში და თავის მოვალეობად რაცხდა, მიეთითებინა ამ შეცდომათა გამოსწორების საშუალებებზე. მალე, ცოლთან განშორების შემდეგ, მან ხელი მოჰკიდა თავისი პირველი წერილის წერას ახალი სასამართლოს შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა უამრავი ჩანაწერიდან მმართველობის ყველა დარგში, რაც არავისთვის საჭირო არ იყო და რომლის დაწერაც მას არგუნა ბედმა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი არათუ ვერ ამჩნევდა თავის უიმედო მდგომარეობას სამსახურებრივ ასპარეზზე, არათუ წუხდა ამის გამო, არამედ, პირიქით, ახლა უფრო კმაყოფილი იყო თავისი მოღვაწეობით, ვიდრე ოდესმე.

„ხოლო ქორწინებული ჰზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა... უქორწინებელი იგი ჰზრუნავს უფლისასა, რაითა იყოს წმიდა ხორცითაცა და სულითაცა“, – ამბობს პავლე მოციქული და ალექსეი ალექსანდროვიჩი, რომელიც ახლა ყველა საქმიანობაში საღმრთო წერილით ხელმძღვანელობდა, ხშირად იგონებდა ამ სიტყვებს. იგი ფიქრობდა, რომ ცოლთან განშორების შემდეგ სწორედ ამ პროექტით წინანდელზე უფრო მეტ სამსახურს უწევდა ღმერთს.

აშკარა მოუთმენლობა საბჭოს წევრისა, რომელსაც უნდოდა როგორმე თავი დაეღწია მისგან, სულაც არ აკრთობდა ალექსეი ალექსანდროვიჩს; მან მხოლოდ მაშინ შეწყვიტა ლაპარაკი, როცა საბჭოს წევრმა ისარგებლა სამეფო გვარის ერთ-ერთი პირის გავლით და ხელიდან გაუსხლტა კარენინს.

მარტოდ დარჩენილმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავი ჩაღუნა; აზრები მოიკრიფა, მერე დაბნეულად მიმოიხედა და გასწია იმ კარისაკენ, სადაც იმედი ჰქონდა, ლიდია ივანოვნას შეხვდებოდა.

„როგორი ღონიერნი და ფიზიკურად ჯანმრთელნი არიან ყველანი, – გაიფიქრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, როცა თვალი მოჰკრა ძალ-ღონით სავსე, სურნელოვან ქილვაშებგადავარცხნილ კამერჰერს და ვიწრო მუნდირში გამოწკეპილ, კისერგაჟინჟღილებულ თავადს, რომელთა გვერდითაც უნდა ჩაევლო, – მართალი უთქვამთ, ყველაფერი ბოროტებაა ამქვეყნადო“, – გაიფიქრა მან და ერთხელ კიდევ გადახედა კამერჰერის კუნთებს.

ალექსეი ალექსანდროვიჩი აუჩქარებელი ნაბიჯით და თავისებური მოქანცული, ღირსებით სავსე სახით მიესალმა იმ ბატონებს, რომლებიც მასზე ლაპარაკობდნენ, კარისაკენ გაიხედა და თვალებით ძებნა დაუწყო გრაფინია ლიდია ივანოვნას.

– ა, ალექსეი ალექსანდროვიჩ! – უთხრა მოხუცმა, რომელსაც ბოროტად უელავდა თვალები, სწორედ იმ დროს, როცა კარენინმა გვერდით ჩაუარა მას და ცივად მიესალმა, – მე თქვენთვის ჯერ არ მომილოცავს, – უთხრა და ახალმიღებულ ლენტზე მიუთითა.

– მადლობას მოგახსენებთ, – უპასუხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – რა მშვენიერი დღეა დღეს, – დასძინა მან და თავისებურად გამოკვეთილად თქვა სიტყვა „მშვენიერი“.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა იცოდა, რომ დასცინოდნენ, მაგრამ მტრობის გარდა, სხვას არაფერს მოელოდა მათგან: უკვე შეჩვეული იყო ამას.

როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა კარში თვალი მოჰკრა გრაფინია ლიდია ივანოვნას კორსეტიდან ამოწეულ ყვითელ მხრებს, დაინახა მისი მშვენიერი, იდუმალებით სავსე თვალები, რომელნიც თავისკენ უხმობდნენ, გაიღიმა, ჯერ ისევ ჯანსაღი თეთრი კბილები გამოაჩინა და მისკენ გასწია.

ლიდია ივანოვნას დიდ შრომად უღირდა თავისი მორთულობა. ასე იყო ყოველთვის ამ უკანასკნელ ხანებში. მიზანი ამ მორთულობისა ახლა სულ საწინააღმდეგო იყო იმისა, რითაც

ხელმძღვანელობდა ამ ოცდაათი წლის წინ. მაშინ უნდოდა სამკაულებით შეემკო თავი და რაც უფრო მეტი იქნებოდა სამკაული, მით უკეთესი იყო; ახლა კი პირიქით: თავის წლებსა და გარეგნობასთან შედარებით იმდენად შეუსაბამოდ იყო მორთული, რომ მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, მეტისმეტად საზარელი არ ყოფილიყო წინააღმდეგობა ამ სამკაულებსა და მის გარეგნობას შორის. ალექსეი ალექსანდროვიჩთან კიდეც მიაღწია ამ მიზანს და მას მიმზიდველად ეჩვენებოდა გრაფინია. მის ირგვლივ აღმართულ მტრობისა და გესლის ზღვაში გრაფინია ერთადერთი კუნძული იყო არა მარტო მისადმი კეთილი განწყობისა, არამედ სიყვარულისაც.

ამ დამცინავ გამოხედვათა შორის მიმავალი ალექსეი ალექსანდროვიჩის სწრაფვა გრაფინიას სიყვარულით აღსავსე თვალებისაკენ ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორიც მცენარის სწრაფვა სინათლის სხივისაკენ.

– მოგილოცავთ, – უთხრა გრაფინიამ და თვალებით ლენტზე ანიშნა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა სიამოვნების ღიმილი შეიკავა, მხრები აიჩეჩა და თვალები დახუჭა, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, ამას არ შეუძლია სიხარული მომანიჭოსო. გრაფინია ლიდია ივანოვნამ კი იცოდა, ეს მისი მთავარი სიხარული რომ იყო, თუმცა ამაში არასოდეს გამოტყდებოდა.

– ჩვენი ანგელოზი რასა იქმს? – იკითხა გრაფინიამ სერიოჟას შესახებ.

– არ შემიძლია იმის თქმა, რომ სავსებით კმაყოფილი ვიყო მისი, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, თვალები გაახილა და წარბები ასწია, – არც სიტნიკოვია მისით კმაყოფილი (სიტნიკოვი პედაგოგი იყო, რომელსაც დავალებული ჰქონდა მაღალი საზოგადოებისთვის შესაფერი აღზრდა მიეცა სერიოჟასთვის). როგორც გეუბნებოდით, მას აქვს ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება იმ მთავარი საკითხისადმი, რომელიც უნდა აღელვებდეს ყოველი ადამიანის, ყოველი ბავშვის სულს, – დაიწყო ალექსეი ალექსანდროვიჩმა თავისი აზრების გამოთქმა; შვილის აღზრდა – ეს ერთადერთი საკითხი იყო, რითაც, თავისი სამსახურებრივი საქმიანობის გარდა, დაინტერესებული იყო.

როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი ლიდია ივანოვნას

დახმარებით კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იგრძნო, რომ მოვალე იყო ხელი მოეკიდა მის ამარა დარჩენილი შვილის აღზრდისთვის. ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელიც წინათ დაინტერესებული არასოდეს ყოფილა აღზრდის საკითხებით, რამდენიმე ხანი ამ საგნის თეორიულ შესწავლას მოანდომა. წაიკითხა რამდენიმე წიგნი ანთროპოლოგიის, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის შესახებ, წინასწარ შეადგინა გეგმა, როგორ უნდა აღეზარდა ვაჟიშვილი, ხელმძღვანელად პეტერბურგის საუკეთესო პედაგოგი მიიწვია და შეუდგა საქმეს, და ამ საქმით ყოველთვის დაინტერესებული იყო.

– კი მაგრამ, გულზე რაღას იტყვით? მე მასში მამის გულს ვხედავ და ასეთი გულის ბავშვი არ შეიძლება ცუდი იყოს, – აღტაცებით თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ.

– დიახ, შესაძლებელია... რაც შემეხება მე, ჩემს მოვალეობას ვასრულებ. მეტი არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

– თქვენ ჩემთან უნდა მოხვიდეთ, – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, – ერთ თქვენთვის მეტად სამწუხარო საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. მე არაფერს დავიშურებდი, რათა ამერიდებინა თქვენთვის ზოგიერთი მოგონება, მაგრამ სხვები როდი ფიქრობენ ასე. მე წერილი მივიღე მისგან. ის აქ, პეტერბურგში ყოფილა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი შეკრთა ცოლის ხსენებაზე, მაგრამ უმალვე გაუქვავდა სახე, რაც მის სრულ უმწეობას გამოხატავდა ამ საქმეში.

– მე ველოდი ამას, – თქვა მან.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ აღტაცებით შეხედა მას და თვალები სიხარულის ცრემლებით აუვსო იმის შეგნებამ, თუ რამდენად დიადი სულის პატრონი იყო ალექსეი ალექსანდროვიჩი.

XXV

როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი გრაფინია ლიდია ივანოვნას პატარა, ძველებური ფაიფურითა და კედლებზე ჩამოკიდებული პორტრეტებით მორთულ მყუდრო კაბინეტში შევიდა, დიასახლისი ჯერ კიდევ არ იყო იქ. იგი ტანისამოსს იცვლიდა.

მრგვალ მაგიდაზე სუფრა იყო გადაფარებული და ზედ ჩინური ჭურჭელი და სპირტით ასადუღებელი ვერცხლის ჩაიდანი იდგა. ალექსეი ალექსანდროვიჩმა დაბნეულად მოავლო თვალი კედლებზე ჩამოკიდებულ უამრავ ნაცნობ პორტრეტს, კაბინეტს რომ ამშვენებდა, მაგიდას მიუჯდა და იქვე მდებარე სახარება გადაშალა. იგი გრაფინიას ფარჩის კაბის შრიალმა გამოაფხიზლა.

– აი, ახლა კი დავსხდეთ დამშვიდებით, – თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, თან აღელვებული ღიმილით, აჩქარებით გაიარა მაგიდასა და დივანს შუა, – შევექცეთ ჩაის და თან ვისაუბროთ.

რამდენიმე შესამზადებელი სიტყვის შემდეგ მღელვარებისაგან სულშეკრულმა, აწითლებულმა გრაფინია ლიდია ივანოვნამ წერილი გადასცა ალექსეი ალექსანდროვიჩს.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა წერილი წაიკითხა და დიდხანს ხმა არ ამოუღია.

– მე ვფიქრობ, უფლება არა მაქვს უარის თქმისა, – გაუბედავად თქვა და თავი ასწია.

– ჩემო მეგობარო! თქვენ არავინ არ გინდათ ჩათვალოთ ბოროტად.

– პირიქით, ვხედავ, რომ ყველაფერი ბოროტებაა, მაგრამ სამართლიანია თუ არა ეს?..

ალექსეი ალექსანდროვიჩის სახეზე გაუბედაობა იხატებოდა, ჩანდა, რომ საჭირო იყო რჩევა, მხარის დაჭერა და ხელმძღვანელობა ამ მისთვის გაუგებარ საქმეში.

– არა, – შეაწყვეტინა გრაფინია ლიდია ივანოვნამ, – ყველაფერს საზღვარი აქვს. მე მესმის უზნეობა, – არცთუ ისე გულწრფელად დასძინა მან, რადგან არასოდეს შეეძლო გაეგო მიზეზი იმისა, თუ რას შეუძლია მიიყვანოს ქალი უზნეობამდე, – მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ეს შეუბრალებლობა და მერე

ვისადმი? თქვენდამი! როგორ გაბედა გაჩერება იმ ქალაქში, სადაც თქვენხართ? არა, სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია, და მეც ვსწავლობ, რათა მივწვდე თქვენს დიდსულოვნებას და სიმდაბლეს მისას.

– მერედა ვინ არის ამის გამკითხავი? – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელიც, ეტყობა, კმაყოფილი იყო თავისი როლით, – მე ყველაფერი ვაპატიე და ამიტომაც არ შემიძლია წავართვა მას სიყვარულის – შვილის სიყვარულის მოთხოვნილება...

– მაგრამ განა ეს არის სიყვარული, ჩემო მეგობარო? განა გულწრფელია ეს? ვთქვათ, თქვენ აპატიეთ, ახლაც აპატიებთ... მაგრამ განა ჩვენ გვაქვს უფლება ვიმოქმედოთ ამ ანგელოზის სულზე? მას ხომ უკვე მკვდარი ჰგონია დედა. მისთვის ლოცულობს და ავედრებს ღმერთს, მიუტევოს ცოდვები... და სჯობია კიდეც ასე. ახლა კი რა უნდა იფიქროს?

– მე ამაზე აღარ მიფიქრია, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, რომელიც, ეტყობა, ეთანხმებოდა მას.

გრაფინია ლიდია ივანოვნამ სახეზე ხელები აიფარა და დადუმდა. იგი ლოცულობდა.

– თუ თქვენ რჩევას მკითხავთ, – თქვა მან, როცა ლოცვას მორჩა და სახიდან ხელები მოიცილა, – არ გირჩევდით ამის გაკეთებას. განა მე არ ვხედავ, როგორ განაახლა ამან თქვენი იარები: მაგრამ დავუშვათ თქვენ, როგორც ყოველთვის, ახლაც ივიწყებთ საკუთარ თავს, მაგრამ რა შეუძლია გამოიწვიოს ამან? ახალი წამება თქვენი, ახალი ტანჯვა ბავშვისა. მას თვითონვე არ უნდა ესურვა ეს, თუ მასში დარჩენილია რაიმე ადამიანური. არა, მე თქვენ არავითარ შემთხვევაში არ გირჩევთ ამას და თუ ნებას მომცემთ, წერილს მივწერ მას.

ალექსეი ალექსანდროვიჩი დათანხმდა და გრაფინია ლიდია ივანოვნამ ფრანგულად მისწერა ანას შემდეგი წერილი: „მოწყალეო ქალბატონო, თქვენზე მოგონებას შეუძლია აღძრას თქვენს შვილში ისეთი კითხვები, რომელზედაც შეუძლებელია პასუხის გაცემა ისე, რომ ბავშვს გულში არ ჩაუნერგოს განკიცხვა იმისა, რაც წმიდათაწმიდა უნდა იყოს მისთვის, და ამიტომაც გთხოვთ, მიიღოთ თქვენი ქმრის უარი ქრისტიანული სიყვარულის სულისკვეთებით. უზენაესს ვთხოვ, მოწყალება მოიღოს თქვენზე.

გრაფინია ლიდია“.

ამ წერილმა მიაღწია იმ ფარულ მიზანს, რასაც გრაფინია ლიდია ივანოვნა თავის თავსაც კი უმალავდა. მან სულის სიღრმემდე შეურაცხყო ანა.

თავის მხრივ, ალექსეი ალექსანდროვიჩმა, როცა გრაფინია ლიდია ივანოვნასაგან დაბრუნდა, ვერ შეძლო ხელი მოეკიდა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისთვის და ვეღარ იგრძნო მორწმუნე, განსაცდელისაგან გადარჩენილი ადამიანის ის სულიერი სიმშვიდე, რომელსაც წინათ განიცდიდა.

მოგონებას ცოლზე, რომელიც ესოდენ დამნაშავე იყო ქმართან და რომლის მიმართაც ქმარი ასეთი წმინდა იყო, რასაც სამართლიანად ეუბნებოდა გრაფინია ლიდია ივანოვნაც, არ უნდა აეღელვებინა იგი, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩი მოუსვენრად იყო. მან ვერ შეძლო გაგება იმ წიგნისა, რომელსაც კითხულობდა, ვერ მოიშორა მტანჯველი მოგონებები ცოლთან წინანდელ ურთიერთობაზე. ვერ შეძლო დაევიწყებინა ის შეცდომები, რომლებიც, როგორც ახლა ეჩვენებოდა, ცოლის მიმართ ჩაიდინა, გახსენება იმისა, თუ როგორ მიიღო ანას აღსარება ღალატის შესახებ დოღიდან დაბრუნებისას (განსაკუთრებით ის, რომ მან მხოლოდ გარეგნული წესიერების დაცვა მოითხოვა და დუელში არ გამოიწვია მეტოქე), სინანულით უვსებდა გულს. ასეთივე ტანჯვას აღუძრავდა იმ წერილის გახსენებაც, რომელიც მისწერა ცოლს; განსაკუთრებით პატიება, რომელიც არავისთვის საჭირო არ იყო, და ზრუნვა სხვის ბავშვზე, სირცხვილისა და სინანულის ცეცხლს უკიდებდა გულზე.

და სწორედ ასეთივე სირცხვილსა და სინანულს გრძნობდა, როცა იგონებდა ანასთან გატარებულ მთელ თავის წარსულ ცხოვრებას, იმ უხერხულად ნათქვამ სიტყვებს, როცა მან ბევრი ყოყმანის შემდეგ ხელი სთხოვა ანას.

„მაგრამ მაინც რაში ვარ დამნაშავე?“ – ეუბნებოდა იგი თავის თავს და ეს კითხვა ყოველთვის აღძრავდა მეორე კითხვას, რომ იქნებ სხვაგვარად გრძნობენ, სხვაგვარად უყვართ, სხვაგვარად ირთავენ ცოლს სხვები – ეს ვრონსკები, ობლონსკები... ეს კუნთმაგარი კამერჰერები. და მას თვალწინ წარმოუდგა მთელი წყება სიცოცხლით სავსე, ძლიერი ადამიანებისა, რომელთაც არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი არაფერში და

რომელნიც, მისდა უნებურად, ყველგან და ყოველთვის იპყრობდნენ მის ცნობისმოყვარულ ყურადღებას. იგი თავიდან იცილებდა ამ ფიქრებს და ცდილობდა, დაერწმუნებინა თავი, რომ იგი ამქვეყნიური წუთიერი ცხოვრებისთვის არ ცოცხლობს, არამედ იღვწის მარადიული სიცოცხლისთვის და მისი სული სიმშვიდითა და სიცოცხლით არის აღსავსე. მაგრამ, როგორც ეჩვენებოდა, ის უმნიშვნელო შეცდომები, რომლებიც ამ წუთიერ, უმნიშვნელო სიცოცხლეში ჩაიდინა, ისე აწამებდა, თითქოს არც ყოფილიყოს ის მარადიული ხსნა, რომელიც იწამა. ეს ცდუნება დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე ალექსეი ალექსანდროვიჩის სულში კვლავ აღდგა ის სიმშვიდე და სიმაღლე, რომლის წყალობითაც შეეძლო დაევიწყებინა ის, რისი გახსენებაც აღარ უნდოდა.

XXVI

– რაო, კაპიტონიჩ? – უთხრა დაბადების დღის წინ სეირნობიდან დაბრუნებულმა, ლოყებაწითლებულმა, მხიარულმა სერიოჟამ და ნაოჭებიანი ხიფთანი გაუწოდა ტანმაღალ, მოხუც მეკარეს, რომელიც თავისი სიმაღლიდან ღიმილით დაჰყურებდა ბავშვს, – იყო დღეს ის ყბაახვეული მოხელე? მიიღო მამამ?

– მიიღო. როგორც კი მმართველი გამოვიდა, მაშინვე მოვახსენე, – უთხრა მეკარემ და მხიარულად ჩაუკრა თვალი, – მიბოძეთ, მე გაგხდით.

– სერიოჟა! – გადმოსძახა სლავმა გუვერნიორმა, რომელიც შიდა ოთახებისაკენ შესასვლელ კართან გაჩერდა, – თქვენ თვითონ გაიხადეთ.

სერიოჟამ, მართალია, გაიგონა გუვერნიორის სუსტი ხმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია: იგი მეკარესთან იდგა, ქამარში ჩაევლო მისთვის ხელი და სახეში შეჰყურებდა.

– მერე, გაუკეთა მამამ ყველაფერი, რაც საჭირო იყო?

მეკარემ თანხმობით დაუქნია თავი.

ყბაახვეული მოხელე, რომელიც უკვე მეშვიდეჯერ იყო ჩამოსული ალექსეი ალექსანდროვიჩთან რაღაცის სათხოვნელად, აინტერესებდა სერიოჟასაც და მეკარესაც. სერიოჟამ ერთხელ წინკარში ნახა იგი და გაიგონა, როგორ ეხვეწებოდა მეკარეს, მოეხსენებინა მის შესახებ ბატონისთვის, თორემ მეცა და ჩემს შვილებსაც სიკვდილი გველისო, ეუბნებოდა იგი.

ამის შემდეგ სერიოჟა მეორეჯერ შეხვდა წინკარში ამ მოხელეს და დაინტერესდა მისი საქმით.

– მერე, ძალიან იყო გახარებული? – ჰკითხა მან.

– გახარებული როგორ არ იქნებოდა? სულ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა აქედან.

– ხომ არაფერი მოუტანიათ? – ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა სერიოჟამ.

– დიახ, ბატონო, – თავის ქნევით და ჩურჩულით უთხრა მეკარემ, – გრაფინიასაგან გახლავთ.

სერიოჟა მაშინვე მიხვდა, რომ ის, რაზედაც მეკარე ეუბნებოდა, იყო გრაფინია ლიდია ივანოვნას საჩუქარი მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

– რას ამბობ, სად არის?

– მამასთან შეიტანა კორნეიმ. რაღაც კარგი რამ უნდა იყოს!

– რამხელაა? ამოდენა იქნება?

– უფრო პატარაა, მაგრამ კარგი.

– წიგნია?

– არა, რაღაც კარგი რამ არის. წადით, წადით, ვასილი ლუკიჩი გეძახით, – უთხრა მეკარემ, როცა გუვერნიორის ფეხის ხმა გაიგონა, ფრთხილად გაუსწორა ხელი, რომელზეც ნახევრად გახდილი ხელთათმანი ეცვა და რომელიც ქამარში ჩაევლო მისთვის, თვალი ჩაუკრა და თავით ვუნიჩზე ანიშნა.

– ახლავე, ვასილი ლუკიჩ! – უპასუხა სერიოჟამ და თავისებურად მხიარული, საყვარელი ღიმილით გაუღიმა, რაც ყოველთვის ინადირებდა წესრიგის მოყვარული ვასილი

ლუკიჩის გულს.

სერიოჟა იმდენად მხიარული, იმდენად ბედნიერი იყო, რომ არ შეეძლო არ გაეზიარებინა თავისი მეგობარი მეკარისთვის ის ოჯახური სიხარული, რომელიც შეიტყო საზაფხულო ბაღში სეირნობისას გრაფინია ლიდია ივანოვნას ძმისშვილისაგან. ეს სიხარული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა იმის გამო, რომ დაემთხვა მოხელის სიხარულსა და საჩუქრების მოტანის ამბავს. სერიოჟას ეჩვენებოდა, რომ დღევანდელ დღეს ყველა მხიარული და ბედნიერი უნდა ყოფილიყო.

– შენ იცი, მამამ ალექსანდრე ნეველის ორდენი მიიღო?

– როგორ არ ვიცი! იყვნენ კიდეც მოსალოცად.

– მერე გახარებულია?

– მეფის წყალობა ვის არ გაახარებს! ჩანს, დაიმსახურა, – მკაცრი, სერიოზული კილოთი დასძინა მეკარემ.

სერიოჟა ჩაფიქრდა, იგი დაკვირვებით შესცქეროდა მისთვის ზედმიწევნით ნაცნობ მეკარის სახეს, განსაკუთრებით კი ჭაღარა ქილვაშებს შუა ჩამოშვერილ ნიკაპს, რომელსაც სერიოჟას გარდა ვერავინ ამჩნევდა, რადგან ყოველთვის ქვევიდან შეჰყურებდა მეკარეს.

– შენი ქალიშვილი დიდი ხანია არ ყოფილა?

– სადაგ დღეს როგორ მოვა? იმათაც სწავლა აქვთ! თქვენც უნდა ისწავლოთ, ბატონო, წადით!

ოთახში შესულმა სერიოჟამ ნაცვლად იმისა, გაკვეთილების სწავლას შესდგომოდა, საჩუქარზე გაუბა საუბარი მასწავლებელს. ის საჩუქარი უსათუოდ მანქანა უნდა იყოს, თქვენ როგორ ფიქრობთო? – ჰკითხა.

ვასილი ლუკიჩი კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ სერიოჟას გრამატიკის გაკვეთილი უნდა მოემზადებინა მასწავლებლისთვის, რომელიც ორ საათზე მოვიდოდა.

– არა, თქვენ მხოლოდ ის მითხარით, ვასილი ლუკიჩ, – მოულოდნელად შეეკითხა სერიოჟა, როცა უკვე სამუშაო მაგიდასთან იჯდა წიგნით ხელში, – რომელი ორდენია ალექსანდრე ნეველზე დიდი? თქვენ იცით, მამამ ალექსანდრე ნეველი მიიღო?

ვასილი ლუკიჩმა უპასუხა, ალექსანდრე ნეველის ორდენზე დიდი ვლადიმირის ორდენიაო.

– უფრო დიდი?

– ყველაზე დიდია ანდრია პირველწოდებულის.

– ანდრიაზე უფრო დიდი?

– არ ვიცი.

– როგორ, თქვენც არ იცით? – და ხელებზე დაყრდნობილი სერიოჟა ფიქრებს მიეცა.

მისი ფიქრები მეტად რთული და ნაირფერი იყო. იგი ფიქრობდა, როგორ მიიღებდა მამა ვლადიმირსაც, ანდრიასაც და ამის გამო გაკვეთილის დროს უფრო კეთილი იქნებოდა და თვითონაც, როცა დიდი გაიზრდებოდა, მიიღებდა ყველა ორდენს და იმასაც, ანდრიაზე უფრო დიდს რომ გამოიგონებდნენ. გამოიგონებდნენ თუ არა, მაშინვე დაიმსახურებდა. კიდევ უფრო დიდს თუ გამოიგონებდნენ, იმასაც მაშინვე დაიმსახურებდა.

ასეთ ფიქრებში გაიარა დრომ და როცა მასწავლებელი მოვიდა, გაკვეთილი დროის, ადგილისა და ვითარების გარემოების შესახებ მზად არ ჰქონდა. მასწავლებელი არათუ უკმაყოფილო დარჩა, ეწყინა კიდეც. მასწავლებლის განაწყენებამ სერიოჟაზეც იმოქმედა. დამნაშავედ გრძნობდა თავს, რომ არ მოამზადა გაკვეთილი; მაგრამ, რაც უნდა მოეწადინებინა, მაინც არ შეეძლო ამის გაკეთება: სანამ მასწავლებელი უხსნიდა, სჯეროდა და თითქმის ესმოდა კიდეც, მაგრამ, როგორც კი მარტო დარჩებოდა, არაფრით არ შეეძლო გაეხსენებინა და დაეჯერებინა, რომ ისეთი პატარა და სავსებით გასაგები სიტყვა, როგორიცაა „უცებ“, ვითარებითი გარემოებაა. მაგრამ მაინც ნანობდა, რომ აწყენინა მასწავლებელს და ცდილობდა, როგორმე დაემშვიდებინა. მან ისეთი წუთი შეარჩია, როცა მასწავლებელი ხმაამოუღებლად ჩასცქეროდა წიგნს.

– მიხაილ ივანიჩ, როდის არის თქვენი დღეობა? – მოულოდნელად იკითხა მან.

– უკეთესი იქნებოდა, თქვენს საქმეზე გეფიქრათ, ხოლო დღეობებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გონიერი არსებობისთვის. დღეობაც ისეთივე დღეა, როგორიც სხვა

დღეები და იმ დღესაც ისეთივე შრომაა საჭირო.

სერიოჟამ ყურადღებით შეხედა მასწავლებელს, მის შეთხელებულ წვერს, სათვალეს, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო ქვევით ჩამოსწეოდა ცხვირზე, და ისე ჩაფიქრდა, რომ ახლა უკვე ნამდვილად აღარაფერი ესმოდა მისი, რასაც მასწავლებელი უხსნიდა და გრძნობდა, რომ არც მასწავლებელი ფიქრობდა იმაზე, რასაც ლაპარაკობდა, – ამას ლაპარაკის კილოზე ამჩნევდა. „რატომ შეუკრავს ყველას პირი, რომ ასე ერთნაირად, მოსაწყენად ილაპარაკონ იმაზე, რაც არავისთვის საჭირო არ არის. რატომ მაძულებს ასე თავს? რატომ არ ვუყვარვარ?“ – ეკითხებოდა თავის თავს დაღონებული სერიოჟა და პასუხს ვერ პოულობდა.

XXVII

მასწავლებლის შემდეგ მამის გაკვეთილი იყო. მის მოლოდინში სერიოჟა მაგიდას მიუჯდა და ისევ ფიქრებს მიეცა, თან ხელში პატარა ჯიბის დანას ათამაშებდა. მისი ერთ-ერთი საყვარელი გასართობი სეირნობის დროს დედის ძებნა იყო. მას არ სჯეროდა სიკვდილის, საერთოდ და განსაკუთრებით დედის სიკვდილის, მიუხედავად იმისა, რომ ლიდია ივანოვნამ უთხრა ეს და მამამაც დაუდასტურა. ამიტომ მას შემდეგაც, რაც უთხრეს, დედა მოკვდაო, სეირნობის დროს მაინც ეძებდა დედას. ყველა წარმოსადეგი ტანის, კოხტა, შავთმიანი ქალი დედა ეგონა. ასეთი ქალის დანახვაზე გული ისეთი სიყვარულით ევსებოდა, რომ სუნთქვა ეკვროდა და თვალები ცრემლებით ენამებოდა. და სერიოჟა ელოდა, რომ სადაცაა მიუახლოვდებოდა ეს ქალი, პირბადეს აიწევდა, სახეს მთლიანად გამოაჩენდა, გაიღიმებდა, გულში ჩაიკრავდა და სერიოჟა იგრძნობდა მის სურნელს, მისი ხელების სითბოს და ატირდებოდა ბედნიერებისაგან. ისე, როგორც ერთ საღამოს, დედას ფეხთით რომ მიუწვა. დედა უღიტინებდა, სერიოჟა კი ხითხითებდა და კბენდა მის თეთრ, ბეჭდებიან ხელს. შემდეგ, როცა გადიასაგან შემთხვევით შეიტყო, რომ დედა არ მომკვდარა და მამამ და ლიდია ივანოვნამ აუხსნეს, დედა

შენთვის მკვდარია, რადგან იგი ცუდი ქალიაო (რისი დაჯერებაც უკვე არასგზით არ შეეძლო, რადგან დედა უყვარდა), სერიოჟა ისევ ისე განაგრძობდა დედის ძებნას და ელოდა მას. დღესაც საზაფხულო ბაღში იყო ერთი ქალი სოსანისფერი პირბადით, რომელსაც გულის ფანცქალით შეჰყურებდა სერიოჟა. ეგონა, ეს ქალი, რომელიც მათკენ გამოჰყვა ბილიკს, დედა იყო. მაგრამ ამ ქალს აღარც კი მიუღწევია მათთან, სადღაც მიიმალა. სერიოჟა დღევანდელ დღეს უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე, გრძნობდა დედისადმი სიყვარულის მოზღვავებას და ახლა, ფიქრებით გატაცებულმა, მამის მოლოდინში, დანით დასერა მაგიდის მთელი კიდე, თან ანთებული თვალებით იყურებოდა წინ და დედაზე ფიქრობდა.

– მამა მოდის! – თავდავიწყებიდან გამოიყვანა იგი ვასილი ლუკიჩმა.

სერიოჟა წამოხტა, მამასთან მივიდა, ხელზე აკოცა და ყურადღებით შეაჩერდა, ალექსანდრე ნეველის ორდენის მიღებით გამოწვეულ სიხარულის ნიშნებს ეძებდა მამის სახეზე.

– კარგად ისეირნე? – ჰკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, სავარძელში ჩაჯდა, თავისკენ მიიწია ძველი აღთქმის წიგნი და გადაშალა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩს მრავალჯერ უთქვამს სერიოჟასთვის, ყველა ქრისტიანმა კარგად უნდა იცოდეს საღვთო წერილიო, თვითონაც ხშირად სჭირდებოდა ძველი აღთქმის წიგნში ჩახედვა, რაც შეუნიშნავი არ დარჩენია სერიოჟას.

– ჰო, ძალიან ვიმხიარულე, მამა, – უთხრა სერიოჟამ, ცალი გვერდით ჩამოჯდა სკამზე და ქანაობა დაუწყო სკამს, რაც აკრძალული ჰქონდა, – იქ ნადენკა ვნახე (ნადენკა იყო ლიდია ივანოვნას ძმისშვილი, რომელიც გრაფინიასთან იზრდებოდა). მან მითხრა, რომ თქვენ ახალი ვარსკვლავი მოგცეს. არ გიხარიათ, მამა?

– ჯერ ერთი, თუ შეიძლება, სკამს ნუ აქანავებ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – მეორეც, ძვირფასია არა საჩუქარი, არამედ შრომა. და ჩემი სურვილი იქნება, იცოდე ეს. აი, შენ თუ იშრომებ და ისწავლი იმისთვის, რომ ჯილდო მიიღო, მაშინ შრომა მძიმედ მოგეჩვენება; მაგრამ, როცა შენ შრომობ, – ამბობდა ალექსეი ალექსანდროვიჩი და აგონდებოდა, როგორ

იმხნევებდა თავს მოვალეობის შეგნებით ამდილანდელი მოსაწყენი შრომის დროს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი მოეწერა ას თვრამეტ ქაღალდზე, – და გიყვარს შრომა, – მაშინ ამ შრომაშივე პოვებ ჯილდოს.

სერიოჟას სიყვარულითა და სიხარულით გაბრწყინებულ თვალებში სხივი ჩაუქრა და მამის შემოხედვაზე თვალები ძირს დახარა. ეს იყო დიდი ხნის ნაცნობი კილო, ასე მიმართავდა ყოველთვის მამა და სერიოჟამაც უკვე ისწავლა ხასიათის შეწყობა. მამა ყოველთვის ელაპარაკებოდა – ასე გრძნობდა სერიოჟა – როგორც ვიღაც ოცნებით წარმოდგენილ ბიჭს, ისეთს, როგორიც წიგნებშია ხოლმე და რომელიც სრულიად არ ჰგავდა სერიოჟას. და ისიც მამასთან ყოფნის დროს ყოველთვის თვალთმაქცურად ცდილობდა დამსგავსებოდა ამ წიგნებში აღწერილ ბიჭს.

– იმედი მაქვს, შენ გესმის ეს? – უთხრა მამამ.

– დიახ, მამა, – უპასუხა სერიოჟამ და შეეცადა დამსგავსებოდა იმ წარმოდგენილ ბიჭს.

გაკვეთილად სერიოჟას ზეპირად უნდა ესწავლა რამდენიმე ტაეპი სახარებიდან და გაემეორებინა დასაწყისი ძველი აღთქმისა. ტაეპები სახარებიდან კარგად იცოდა, მაგრამ როცა ამას ამბობდა, მამის შუბლის ძვალს მიაჩერდა, რომელიც საფეთქელთან ისე იყო მოხრილი, რომ დაიბნა და ერთი ტაეპის დასასრული, რადგან ერთი და იმავე სიტყვით იწყებოდა, მეორე ტაეპის დასაწყისში გადაიტანა. ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის ცხადი იყო, რომ სერიოჟას არ ესმოდა ის, რასაც ამბობდა, და ამან გააბრაზა.

ალექსეი ალექსანდროვიჩი მოიღუშა და შეუდგა იმის ახსნას, რაც მრავალგზის ჰქონდა მოსმენილი სერიოჟას, მაგრამ ვერასოდეს დაიმახსოვრა, რადგან მეტად ნათლად ესმოდა – მსგავსად იმისა, რომ „უცებ“ ვითარებითი გარემოება იყო. სერიოჟა შეშინებული თვალებით შეჰყურებდა მამას და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: გამამეორებინებს იმას, რასაც მიხსნის, თუ არაო, როგორც იცოდა ზოგჯერ მამამ. და ეს აზრი ისე აშინებდა, რომ უკვე აღარაფერი ესმოდა. მაგრამ მამამ აღარ გაამეორებინა და ახლა ძველი აღთქმიდან ჰკითხა გაკვეთილი.

სერიოჟა კარგად მოჰყვა თვით ამბებს, მაგრამ როცა საჭირო შეიქნა იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ რა ცვლილებები

გამოიწვია ამ ამბებმა, აღარაფერი იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე დასჯილი იყო ამ გაკვეთილისთვის. იმ ადგილას კი, როცა უნდა ჩამოეთვალა წარღვნის წინადროინდელი პატრიარქები, სულ ვეღარაფერი თქვა, დაიბნა, მაგიდას დაუწყო ჭრა და სკამი ააქანავა. ამ პატრიარქთაგან სერიოჟას აღარავინ ახსოვდა გარდა ენოქისა, რომელიც ცოცხლად იქნა აღვლენილი ზეცად. წინათ ახსოვდა სახელები, მაგრამ ახლა სულ გადაავიწყდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ენოქი მისი საყვარელი პიროვნება იყო ძველი აღთქმის წიგნიდან და მის ცოცხლად აღვლენასთან დაკავშირებით თავში ერთმანეთს გადაეხლართა აუარებელი ფიქრი, რომლებმაც გაიტაცეს ახლაც, როცა გაშტერებული მისჩერებოდა მამის საათის ძეწკვსა და ნახევრად შეკრულ ჟილეტის ღილს.

სერიოჟას სრულებით არ სჯეროდა სიკვდილის, რაზეც ასე ხშირად ელაპარაკებოდნენ. არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო მომკვდარიყვნენ მისთვის საყვარელი ადამიანები და განსაკუთრებით არ სჯეროდა ის, რომ თვითონაც მოკვდებოდა. ეს მისთვის სრულიად შეუძლებელი და გაუგებარი იყო. მას კი ეუბნებოდნენ, ყველა მოკვდებაო; იმათაც ჰკითხა, რომელთა სიტყვაც ნამდვილად სჯეროდა და მათაც დაუდასტურეს; გადიაც, თუმცა უხალისოდ, მაგრამ ამასვე ამბობდა. მაგრამ ენოქი არ მომკვდარა, მაშასადამე, ყველანი როდი იხოცებიან. „მაშ, რატომ არ შეიძლება ყველამ დაიმსახუროს ღვთის წინაშე და ისინიც ცოცხლად იქნენ აღვლენილი ზეცად?“ – ფიქრობდა სერიოჟა. ცუდ ადამიანებს, ესე იგი იმათ, რომლებიც არ უყვარდა სერიოჟას, შეუძლიათ დაიხოცნონ, მაგრამ კარგები ყველანი შეიძლება ისეთნი იყვნენ, როგორიც ენოქი იყო.

– მაშ, რომელი პატრიარქები იყვნენ?

– ენოქი, ენოსი.

– ეს ხომ უკვე თქვი. ცუდია, სერიოჟა, ძალიან ცუდია. თუ არ გინდა გაიგო ის, რაც ყველაზე საჭიროა ქრისტიანისთვის, მაშ, რამ უნდა დაგაინტერესოს? – უთხრა მამამ და ფეხზე წამოდგა, – მე უკმაყოფილო ვარ შენით და პიოტრ იგნატიჩიც (ეს მთავარი პედაგოგი იყო) არ არის კმაყოფილი... ამისთვის უნდა დაისაჯო.

მამაც და პედაგოგიც ორივენი უკმაყოფილონი იყვნენ სერიოჟათი, და მართლაც იგი ძალიან ცუდად სწავლობდა.

მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ უნიჭო ბავშვი იყო. პირიქით, ბევრად უფრო ნიჭიერი იყო იმ ბავშვებზე, რომლებსაც მაგალითისთვის უსახელებდა მასწავლებელი. მამის აზრით, მას არ უნდოდა იმის სწავლა, რასაც ასწავლიდნენ. სინამდვილეში კი სერიოჟას არ შეეძლო ამის სწავლა. არ შეეძლო, რადგან მის სულში იყო უფრო საჭირო მოთხოვნილებები, ვიდრე ის, რასაც მამა და პედაგოგი ასწავლიდნენ. ეს მოთხოვნილებანი კი სრულიად საწინააღმდეგონი იყვნენ და სერიოჟა პირდაპირ ებრძოდა თავის აღმზრდელებს.

სერიოჟას ცხრა წელი შეუსრულდა, ჯერ სულ ბავშვი იყო, მაგრამ უკვე იცნობდა თავის სულს. ძვირფასი იყო იგი მისთვის და ისე უფრთხილდებოდა, როგორც ქუთუთო უფრთხილდება თვალის გუგას, და უსიყვარულოდ არავის შეუშვებდა შიგ. მისი აღმზრდელები ჩიოდნენ, სწავლა არ უნდაო; მისი სული კი სავსე იყო სწავლის წყურვილით და იგი სწავლობდა კაპიტონიჩთან, გადიასთან, ნადენკასთან, ვასილი ლუკიჩთან და არა მასწავლებლებთან. იმ წყალს, რომელსაც მამა და პედაგოგები თავიანთ წისქვილზე მოელოდნენ, დიდი ხანია უკვე გაეჟონა და სულ სხვა ადგილას აბრუნებდა ბორბალს.

მამამ დასაჯა სერიოჟა, აღარ გაუშვა ნადენკასთან, ლიდია ივანოვნას ძმისშვილთან; მაგრამ ეს დასჯა საბედნიერო აღმოჩნდა. ვასილი ლუკიჩი კარგ გუნებაზე იყო და უჩვენა სერიოჟას, როგორ უნდა გაეკეთებინა ქარის წისქვილი. მთელმა საღამომ მუშაობასა და იმის ოცნებაში გაიარა, თუ როგორ შეიძლებოდა ისეთი წისქვილის გაკეთება, რომ მასთან ერთად ეტრიალა: ჩაევლო ფრთებში ხელი ან მიბმულიყო ზედ და ეტრიალა. მთელი საღამოს განმავლობაში სერიოჟას არ გახსენებია დედა, მაგრამ ლოგინში რომ ჩაწვა, უეცრად გაახსენდა იგი და საკუთარი სიტყვებით ილოცა კიდეც, რომ ხვალ, მისი დაბადების დღისთვის, მოსულიყო დედა და მეტად აღარ დამალულიყო.

– ვასილი ლუკიჩ, იცით, დღეს რაზე ვლოცულობდი ზედმეტად?

– რომ უკეთ ისწავლო?

– არა.

– სათამაშოებზე?

– არა. ვერ გამოიცნობთ. კარგი რამეა, მაგრამ საიდუმლოა. როცა ამიხდება, მაშინ გეტყვით. ვერ გამოიცანით?

– ვერა. ვერ გამოვიცანი. თქვენ მითხარით, – ღიმილით უთხრა ვასილი ლუკიჩმა, რომელიც იშვიათად თუ გაიღიმებდა ხოლმე, – აბა, დაწექით. სანთელს ვაქრობ.

– ჩემთვის უსინათლოდაც ნათელია ის, რასაც ვხედავ და რაზედაც ვლოცულობდი. აი, კინაღამ წამომცდა საიდუმლო, – უთხრა სერიოჟამ და მხიარულად გაიცინა.

როცა სანთელი გაიტანეს, სერიოჟა ხედავდა, გრძნობდა დედის იქ ყოფნას. იგი მის საწოლთან იდგა და სიყვარულით აღსავსე თვალებით უალერსებდა, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა წისქვილები, ჯიბის დანა, ყველაფერი ერთმანეთში აირია და ჩაეძინა კიდეც.

XXVIII

პეტერბურგში ჩამოსული ვრონსკი და ანა ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში გაჩერდნენ. ვრონსკი ცალკე, ქვედა სართულში მოეწყო, ანა კი ბავშვით, ძიძითა და მოსამსახურე გოგოთი, ზევით, ოთხოთახიან ფართო განყოფილებაში.

ჩამოსვლის პირველივე დღეს ვრონსკი ძმასთან წავიდა. იქ დახვდა დედაც, რომელიც რაღაც საქმეების გამო მოსკოვიდან ჩამოსულიყო. დედა და რძალი ჩვეულებრივ დახვდნენ ვრონსკის; გამოჰკითხეს საზღვარგარეთ მოგზაურობის ამბავი, ილაპარაკეს საერთო ნაცნობებზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ანასა და მის ურთიერთობაზე. ძმამ კი, რომელიც მეორე დღეს დილით მოვიდა ვრონსკისთან, თვითონვე ჰკითხა ანას ამბავი და ვრონსკიმაც პირდაპირ უთხრა, ისე ვუყურებ კარენინასთან ჩემს ურთიერთობას, როგორც ნამდვილ ქორწინებასო; იმედი მაქვს, მალე მოვაგვარებ განქორწინების საქმეს, მანამდე კი ისევე მივიჩნევ მას ჩემს ცოლად, როგორც ყველა სხვას მიაჩნია თავისი ცოლი და სთხოვა, ასევე გადაეცი დედასა და რძალსო.

– თუ საზოგადოება არ მოიწონებს ამას, ეს ჩემთვის სულერთია,

– უთხრა ვრონსკიმ, – მაგრამ თუ ჩემიანებს სურთ, ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ ჩემთან, მაშინ ისეთივე ურთიერთობა უნდა იქონიონ ჩემს მეუღლესთანაც.

უფროსმა ძმამ, რომელიც ყოველთვის პატივს სცემდა უმცროსი ძმის აზრს, კარგად არ იცოდა, მართალი იყო თუ არა მისი ძმა, სანამ საზოგადოება არ გადაწყვეტდა ამ საკითხს, თვითონ კი, თავის მხრივ, არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო და ალექსეისთან ერთად ესტუმრა ანას.

ვრონსკი ძმის თანდასწრებით, ისე როგორც ყველასთან, თქვენობით ელაპარაკებოდა ანას და ისე ექცეოდა მას, როგორც კარგ ნაცნობს, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ ძმამ უკვე იცოდა მათი ურთიერთობის ამბავი; ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ანა ვრონსკის მამულში მიემგზავრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკი კარგად იცნობდა მაღალ საზოგადოებას, თავისი ახალი მდგომარეობის გამო მაინც საშინელ დაბნეულობას განიცდიდა. მას თითქოს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ მაღალი საზოგადოების კარი დახურული იყო მისთვისაც და ანასთვისაც; მაგრამ გონებაში წარმოიშვა რაღაც ბუნდოვანი მოსაზრებები, რომ ასე იყო მხოლოდ ძველად, ახლა კი, ასეთი სწრაფი პროგრესის დროს (იგი თავისდა შეუმჩნევლად ახლა მომხრე იყო ყოველგვარი პროგრესისა) საზოგადოების აზრი შეიცვალა და ჯერ გადაწყვეტილი არ იყო, მიიღებდა თუ არა მათ საზოგადოება. „რა თქმა უნდა, – ფიქრობდა იგი, – სამეფო კარის საზოგადოება აღარ მიიღებს ანას, მაგრამ ახლობელთ შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაიგონ ეს ისე, როგორც საჭიროა“.

შეგიძლია იჯდე ფეხმოკეცილი რამდენიმე საათს ერთსა და იმავე მდგომარეობაში, თუკი იცი, რომ ხელს არაფერი გიშლის შეცვალო შენი მდგომარეობა; მაგრამ თუ ადამიანმა იცის, რომ ასე ფეხმოკეცილი უნდა იჯდეს, მაშინ მისი სხეული კრუნჩხვას იწყებს და ფეხები თავისთავად გაიწევენ იქით, საითაც უნდათ, რომ გაიშალონ. სწორედ ასეთ გრძნობას განიცდიდა ვრონსკი საზოგადოების მიმართ. მართალია, გულში დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოება არ მიიღებდა მათ, მაგრამ მაინც უნდოდა, ეცადა, იქნებ გამოიცვალა საზოგადოება, იქნებ გაგვიღოს კარიო. მაგრამ სულ მალე მისთვის ნათელი შეიქნა, რომ, მართალია, პირადად მისთვის ღია იყო საზოგადოების კარი, მაგრამ ანასთვის კი – დაკეტილი, თითქოს

კატათაგვობანას თამაშიაო, მისთვის ზევით აწვდილი ხელები უმალვე ძირს ეშვებოდა ანას წინ.

პეტერბურგის მაღალი წრის ერთ-ერთი პირველი მანდილოსანი, რომელიც ინახულა ვრონსკიმ, იყო მისი ბიძაშვილი ბეტსი.

– ძლივს! – სიხარულით შეეგება იგი ვრონსკის, – ანა სადღაა? როგორ მიხარია! სად გაჩერდით? წარმოდგენილი მაქვს, თქვენი შესანიშნავი მოგზაურობის შემდეგ როგორ საშინლად მოგეჩვენებათ ჩვენი პეტერბურგი; წარმოდგენილი მაქვს თქვენი თაფლობის თვე რომში. განქორწინების საქმე როგორ არის? გააკეთეთ ყველაფერი?

ვრონსკიმ შენიშნა, როგორ ჩაქრა ბეტსის აღტაცება, როცა შეიტყო, რომ განქორწინება ჯერ კიდევ არა ჰქონდათ მიღებული.

– ვიცი, გამკიცხავენ, – უთხრა მან, – მაგრამ მე მაინც მოვალ ანასთან; დიახ, აუცილებლად მოვალ. თქვენ დიდხანს დარჩებით აქ?

და მართლაც ბეტსი იმავე დღეს მივიდა ანასთან, მაგრამ მისი ტონი ახლა სულ სხვა იყო, სულ აღარ ჰგავდა წინანდელს. ეტყობოდა, ამაყობდა თავისი გამბედაობით და უნდოდა, ანას დაეფასებინა ერთგულება მეგობრისა. მან მხოლოდ ათიოდე წუთი დაჰყო ანასთან, ილაპარაკა ახალ ამბებზე და წასვლისას უთხრა: – თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, როდის მიიღებთ განქორწინებას. დავუშვათ, მე არავითარი ყურადღება არ მივაქციე ამას, მაგრამ სხვები არ იტყვიან ასე, სანამ ჯვარს არ დაიწერთ. ეს კი ახლა ისე იოლია. Ca se fait.[13] მაშ, პარასკევს მიდიხართ? სამწუხაროა, რომ ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს.

ბეტსის ტონზე ვრონსკის შეეძლო მიმხვდარიყო, რა იყო მოსალოდნელი მაღალი წრის საზოგადოებისაგან. მაგრამ მაინც კიდევ სცადა ბედი საკუთარ ოჯახში. დედის იმედი არ ჰქონდა. იცოდა, რომ დედა, რომელიც პირველი გაცნობისას ასე აღტაცებული იყო ანათი, ახლა ულმობელი იქნებოდა მის მიმართ, რადგან იგი შეიქნა მიზეზი შვილის კარიერის დაღუპვისა. მაგრამ დიდ იმედს ამყარებდა ვარიაზე, ძმის მეუღლეზე, ეგონა, ის არ გაკიცხავდა ანას, უბრალოდ, გაბედულად მივიდოდა მასთან და თვითონაც მიიღებდა.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ვრონსკი მასთან მივიდა, რძალი მარტო დაუხვდა და პირდაპირ განუცხადა თავისი სურვილი.

– შენ იცი, ალექსეი, – უთხრა ვარიამ, როცა მოისმინა მისი ნათქვამი, – როგორ მიყვარხარ და როგორ მინდა ყველაფერი გავაკეთო შენთვის, მაგრამ მე ვდუმდი, რადგან ვიცოდი, არაფერი შემეძლო გამეკეთებინა შენთვის და ანა არკადიევნასთვის, – მან განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა, ანა არკადიევნასთვისო, – არ იფიქრო, გეთაყვა, რომ გკიცხავდეთ. არასოდეს; მის ადგილას შეიძლება მეც ასე მოვქცეულიყავი. მე არ მინდა და არც შემიძლია ჩავერიო წვრილმანებში, – უთხრა მან და გაუბედავად შეხედა ვრონსკის მოღუშულ სახეს, – მაგრამ პირდაპირ ვთქვათ ყველაფერი. შენ გინდა, მივიდე მასთან, ისიც მივიღო ჩემთან და ამით აღვუდგინო შელახული ღირსება საზოგადოებაში; მაგრამ გამიგე, რომ არ შემიძლია ამის გაკეთება. ქალიშვილები მეზრდებიან და ქმრის გულისთვის უნდა ვიცხოვრო მაღალ საზოგადოებაში. მე მაინც მოვალ ანა არკადიევნასთან; ის გამიგებს, რომ არ შემიძლია მისი მიღება. ანდა ისე უნდა მოეწყოს, რომ არ შეხვდეს იმათ, ვინც სხვანაირად უყურებს ამ ამბავს: ეს მასვე შეურაცხყოფს. მე არ შემიძლია მისი წამოყენება...

– არა მგონია, ის უფრო დაცემული იყოს, ვიდრე ასობით ის ქალი, რომელსაც თქვენ იღებთ! – შეაწყვეტინა კიდევ უფრო მოღუშულმა ვრონსკიმ და ხმაამოუღებლად წამოდგა, რაკი მიხვდა, რომ რძლის გადაწყვეტილება ურყევი იყო.

– ალექსეი! ნუ გამიწყრები, გეთაყვა, გამიგე, მე არა ვარ დამნაშავე, – თქვა ვარიამ და გაუბედავი ღიმილით შეხედა.

– არ გიწყრები, – ისევ ისე პირქუშად უთხრა ვრონსკიმ, – მაგრამ უფრო მეტად მტკივა გული. გული მტკივა იმიტომ, რომ ეს გაწყვეტს ჩემს მეგობრობას. შეიძლება არ გაწყვიტოს, მაგრამ შეასუსტებს მაინც. შენ ხომ გესმის, რომ ჩემთვისაც სხვანაირად შეუძლებელია.

და ვრონსკი ოთახიდან გავიდა.

მიხვდა, რომ ყოველგვარი შემდგომი ცდა ამაო იქნებოდა და ეს რამდენიმე დღე ისე უნდა გაეტარებინა პეტერბურგში, როგორც უცხო ქალაქში, უნდა მორიდებოდა ყოველგვარ ურთიერთობას მაღალ საზოგადოებასთან, რათა თავიდან აეცილებინა

უსიამოვნება და შეურაცხყოფა, რაც ასე ტანჯავდა მას. ერთი მთავარი უსიამოვნება პეტერბურგში ის იყო, რომ თითქმის ყველგან ხვდებოდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, ყველგან მისი სახელი ესმოდა. რაზედაც უნდა დაეწყოთ საუბარი, ბოლოს ალექსეი ალექსანდროვიჩზე უნდა ჩამოვარდნილიყო სიტყვა; არ შეიძლებოდა ისე წასულიყო სადმე, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩს არ შეხვედროდა. ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენებოდა ვრონსკის, ისე როგორც ეჩვენება ადამიანს, რომელსაც თითი სტკივა და ჰგონია, თითქოს განზრახ ყველაფერს ამ მტკივნეული თითით წამოედება ხოლმე.

პეტერბურგში ყოფნა კიდევ იმიტომ უმძიმდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ამჩნევდა ანას რაღაც ახალ, მისთვის გაუგებარ განწყობილებას. ხან თითქოს უყვარდა ვრონსკი, ხან გულგრილი ხდებოდა მისადმი, ხანაც გაღიზიანებული და გულდახურული იყო. მას რაღაც ტანჯავდა, რაღაცას უმალავდა, თითქოს ვერ ამჩნევდა იმ შეურაცხყოფას, რომელიც სიცოცხლეს უწამლავდა ვრონსკის და რომელიც მისთვის, მისი ფაქიზი გულისხმიერების გამო, კიდევ უფრო მტანჯველი უნდა ყოფილიყო.

XXIX

ანას რუსეთში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი შვილთან შეხვედრა იყო. იტალიიდან ჩამოსვლის დღიდანვე განუწყვეტლივ ამ შეხვედრაზე ფიქრობდა და ღელავდა. და რაც უფრო უახლოვდებოდა პეტერბურგს, მით მეტ სიხარულს გრძნობდა, მით უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა ეს შეხვედრა. არც ეკითხებოდა თავის თავს, როგორ უნდა მოეხერხებინა ეს. სრულიად ბუნებრივად, სრულიად უბრალოდ ეჩვენებოდა შვილის ნახვა, როცა იგი იმავე ქალაქში იქნებოდა; მაგრამ პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე მას ნათლად წარმოუდგა თავისი ახლანდელი მდგომარეობა საზოგადოებაში და მიხვდა, რომ ეს შეხვედრა არც ისე იოლად მოსახერხებელი იქნებოდა.

უკვე ორი დღე იყო, რაც ანა პეტერბურგში ცხოვრობდა. შვილზე

ფიქრი ერთი წუთითაც არ შორდებოდა, მაგრამ ნახვით კი ჯერ არ ენახა. გრძნობდა, რომ უფლება არ ჰქონდა, მისულიყო პირდაპირ სახლში, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდა ალექსეი ალექსანდროვიჩს. შეიძლება არც შეუშვან და შეურაცხყონ. ფიქრიც კი იმისა, რომ წერილი მიეწერა და ურთიერთობა გაება ქმართან, სატანჯველად ქცეულიყო მისთვის; მხოლოდ მაშინ შეეძლო დამშვიდებით ყოფნა, როცა ქმარზე არ ფიქრობდა. სეირნობის დროს რომ ენახა შვილი, გაეგო, სად ან როდის დადიოდა, ცოტა იყო მისთვის: ისე ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის, იმდენი რამ ჰქონდა შვილისთვის სათქმელი და ისე უნდოდა გადახვეოდა და დაეკოცნა იგი. სერიოჟას მოხუცი გადია იქნებ დახმარებოდა და ესწავლებინა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ გადია უკვე აღარ იმყოფებოდა ალექსეი ალექსანდროვიჩის სახლში. ამ ყოყმანსა და გადიის ძებნაში გაიარა ორმა დღემ.

მესამე დღეს, როგორც კი შეიტყო, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გრაფინია ლიდია ივანოვნასთან, გადაწყვიტა, მისთვის მიეწერა წერილი, რაც მეტად სამძიმო იყო და სადაც განზრახ წერდა, შვილის ნახვის ნება ქმრის დიდსულოვნებაზეა დამოკიდებულიო. იცოდა, თუ ამ წერილს ქმარს უჩვენებდნენ, იგი ისევ გააგრძელებდა დიდსულოვანი ადამიანის როლის თამაშს და უარს არ ეტყოდა შვილის ნახვაზე.

კომისიონერმა, რომელსაც წერილები დაჰქონდა ხოლმე, მეტად ულმობელი და მოულოდნელი პასუხი მოუტანა: პასუხი არ იქნებაო. ანას არასოდეს უგრძნია ისეთი დამცირება, როგორიც განიცადა იმ წუთს, როცა კომისიონერი დაიბარა და დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ იცდიდა და შემდეგ როგორ უთხრეს, არავითარი პასუხი არ იქნებაო. ანა შეურაცხყოფილად, დამცირებულად გრძნობდა თავს, მაგრამ ხედავდა, რომ თავისი თვალსაზრისით გრაფინია ლიდია ივანოვნა მართალი იყო. ანას მწუხარება მით უფრო ძლიერი იყო, რომ მარტო იყო ამ მწუხარებაში. მას არ შეეძლო და არც უნდოდა გაეზიარებინა თავისი მწუხარება ვრონსკისთვის. იცოდა, რომ ვრონსკის, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მთავარი მიზეზი ანას უბედურებისა, შვილთან შეხვედრის საკითხი სრულიად უმნიშვნელოდ მოეჩვენებოდა. იცოდა, რომ ვრონსკი ვერასოდეს ჩასწვდებოდა მისი მწუხარების მთელ სიღრმეს; იცოდა, რომ მის მიერ გულგრილად ნათქვამი ყოველი სიტყვა

ამ საკითხზე შეაძულებდა ვრონსკის. ამისა კი ყველაზე მეტად ეშინოდა მთელ ქვეყანაზე და ამიტომაც უმალავდა ყველაფერს, რაც კი შვილს შეეხებოდა.

ანა მთელი დღე სახლში იყო, ფიქრობდა და ეძებდა შვილის ნახვის საშუალებას და ბოლოს ისევ იმაზე შეჩერდა, რომ წერილი მიეწერა ქმრისთვის. გონებაში კიდეც შეთხზა, რა უნდა მიეწერა მისთვის. ამასობაში ლიდია ივანოვნას წერილიც მიუტანეს. გრაფინიას დუმილმა დაამშვიდა და დაიმორჩილა ანა, მაგრამ ამ წერილმა, ყველაფერმა, რაც ამ წერილის სტრიქონებს შუა ამოიკითხა, იმდენად ააღელვა, იმდენად აღმაშფოთებლად ეჩვენა ეს ბოროტება ამ სრულიად კანონიერ, შვილისადმი აღტაცებულ სიყვარულთან შედარებით, რომ აამხედრა სხვების წინააღმდეგ და თავის თავსაც უკვე აღარაფერში ადანაშაულებდა.

„ეს გულქვაობაა, თვალთმაქცობაა გრძნობისა, – ამბობდა ანა თავისთვის, – მათ მხოლოდ ის უნდათ, შეურაცხყოფა მომაყენონ და აწამონ ბავშვი და განა მე დავემორჩილები?! არავითარ შემთხვევაში! გრაფინია ჩემზე უარესია. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვცრუობ მაინც“, – და მაშინვე გადაწყვიტა, რომ ხვალ, სწორედ სერიოჟას დაბადების დღეს, პირდაპირ მივიდოდა ქმრის სახლში. მოისყიდიდა ხალხს, მოატყუებდა და რადაც უნდა დასჯდომოდა, ნახავდა შვილს, ბოლოს მოუღებდა იმ საძაგელ სიცრუეს, რომელიც თავს მოახვიეს საბრალო ბავშვს.

ანა სათამაშოების მაღაზიაში წავიდა, სათამაშოები იყიდა და მოქმედების გეგმაც შეადგინა. ხვალ დილით, 8 საათზე მივიდოდა შვილთან, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი, ალბათ, ჯერ კიდევ არ იქნებოდა ამდგარი. ხელში გამზადებული ექნებოდა ფული, რომელსაც მისცემდა მეკარესა და მსახურებს, რათა შეეშვათ იგი, პირბადეს არ აიხდიდა და ეტყოდა, სერიოჟას ნათლიამ გამომგზავნა მისალოცად და დავალებული მაქვს პირდაპირ მის საწოლთან დავაწყო სათამაშოებიო. მხოლოდ ის სიტყვები ვერ მოიფიქრა, შვილისთვის რომ უნდა ეთქვა. რამდენი იფიქრა ამაზე, მაინც ვერაფერი მოისაზრა.

მეორე დღეს, დილის რვა საათზე, ანა მარტო გადმოვიდა დაქირავებული ეტლიდან და თავისი ყოფილი სახლის დიდ სადარბაზოს კართან ზარი ჩამორეკა.

– წადი, ნახე, რა უნდა. ვიღაც ქალბატონია, – თქვან კაპიტონიჩმა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაუცმელი იყო და კალოშების ამარამ, პალტოწამოსხმულმა ფანჯრიდან გახედა კართან მდგარ პირბადიან მანდილოსანს.

მეკარის თანაშემწემ, ანასთვის უცნობმა ყმაწვილმა, კარი გააღო თუ არა, ანა მაშინვე შევიდა წინკარში, მუფთიდან სამმანეთიანი ქაღალდის ფული ამოიღო და სასწრაფოდ ხელში შეაჩეჩა მას.

– სერიოჟა... სერგეი ალექსეიჩი, – ჩაილაპარაკა ანამ და პირდაპირ წინ გასწია. მეკარის თანაშემწემ ფულს დახედა და მეორე შუშის კართან შეაჩერა ანა.

– თქვენ ვინ გნებავთ? – ჰკითხა მან.

ანას არ ესმოდა მისი სიტყვები და არც არაფერი უპასუხა.

კაპიტონიჩი, როცა უცნობ ქალს დაბნეულობა შენიშნა, თვითონვე გამოვიდა, მანდილოსანი კარში გამოატარა და ჰკითხა, რა გნებავთო.

– თავად სკოროდუმოვისაგან ვარ სერგეი ალექსეიჩთან გამოგზავნილი, – თქვა მან.

– ჯერ კიდევ არ აბრძანებულა, – უპასუხა მეკარემ და ყურადღებით შეათვალიერა მანდილოსანი.

ანას არაფრით არ ეგონა, რომ ასე ძლიერად იმოქმედებდა მასზე იმ სახლის დერეფანი, სადაც ცხრა წელი გაატარა და სადაც ყველაფერი ისევ ძველებურად იყო დატოვებული. ერთიმეორეს გადაება სასიხარულო თუ სამწუხარო მოგონებები და ერთი წამით გადაავიწყდა კიდეც, რისთვის იყო აქ მოსული.

– მოცდას ინებებთ? – უთხრა კაპიტონიჩმა და ქურქის გახდაში დაეხმარა.

ქურქის გახდის დროს კაპიტონიჩმა სახეში შეხედა მანდილოსანს... იცნო და მდუმარედ დახარა თავი მის წინაშე.

– მობრძანდით, თქვენო აღმატებულებავ, – უთხრა მან.

ანას უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ხმა აღარ დაემორჩილა; დამნაშავესავით ვედრებით შეხედა მოხუცს და ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით გასწია კიბისკენ. კაპიტონიჩიც გაეკიდა, უნდოდა წინ

გაესწრო ანასთვის და მთელი სხეულით წინ გადახრილი კალოშებით ედებოდა კიბეს.

– მასწავლებელია მასთან, შეიძლება ჩაუცმელი იყოს, მე მოვახსენებ.

ანა კი განაგრძობდა ნაცნობ კიბეზე ასვლას და არც ესმოდა, რას ეუბნებოდა მოხუცი.

– აქეთ, მარცხნივ მობრძანდით. მაპატიეთ, რომ უსუფთაობაა. ახლა სერიოჟა ამ ოთახში ბრძანდება, – ეუბნებოდა სუნთქვაშეკრული მეკარე, – ნება მიბოძეთ, მოითმინეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ მე შევიხედავ, – უთხრა კაპიტონიჩმა, წინ გაუსწრო ანას, მაღალი კარი მოხურა და მიიმალა. ანა შეჩერდა, დაელოდა, – სწორედ ახლა გაუღვიძია, – მოახსენა მეკარემ, რომელიც ისევ გამოვიდა კარიდან.

და სწორედ იმ წუთს, როცა მეკარე ამას ეუბნებოდა, ანამ ბავშვის მთქნარების ხმა გაიგონა. მარტო ამ მთქნარების ხმაზეც იცნო შვილი და ცოცხლად დაუდგა თვალწინ.

– გამატარე, გამატარე, მომეცალე, – უთხრა ანამ და მაღალი კარი შეაღო. საწოლი კარის მარჯვენა მხარეს იდგა, საწოლზე კი წამომჯდარიყო გულგაღეღილი, პერანგის ამარა ბიჭი. მთელი თავისი პატარა სხეულით წინ გადახრილიყო, იზმორებოდა და ის იყო ამთავრებდა მთქნარებას და იმ წუთს, როცა უნდა მოეკუმა პირი, ბაგეზე ნამძინარევი, ნეტარების გამომხატველი ღიმილი აღებეჭდა და ამ ღიმილით ნელ-ნელა გადაწვა ისევ უკან.

– სერიოჟა, – წაიჩურჩულა ანამ და ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს.

შვილთან განშორების შემდეგ, უფრო კი ამ უკანასკნელ ხანებში, როცა განსაკუთრებული სიძლიერით განიცდიდა შვილისადმი სიყვარულს, სერიოჟას წარმოიდგენდა ხოლმე ოთხი წლის ბიჭად, როგორიც ყველაზე მეტად უყვარდა. ახლა კი უკვე ისეთიც აღარ იყო, როგორიც დატოვა ანამ; კიდევ უფრო მეტად გადაცილებოდა ოთხი წლის ასაკს, გაზრდილიყო, გამხდარიყო. რა არის ეს! როგორი გამხდარი სახე აქვს; როგორი მოკლე თმა! გრძელი ხელები! როგორ გამოცვლილა მას შემდეგ, რაც ანამ მიატოვა! მაგრამ ნამდვილად ის იყო, თავის იგივე მოყვანილობა, იგივე ტუჩები, იგივე ფაფუკი კისერი და

განიერი მხრები.

– სერიოჟა! – თითქმის მის ყურთან გაიმეორა ანამ.

ბავშვმა ისევ წამოიწია იდაყვზე, თმააწეწილი თავი აქეთ-იქით მიატრიალა, თითქოს ეძებს რაღაცასო და თვალები გაახილა. რამდენიმე წამს გაჩუმებული, გაოცებული შეჰყურებდა მის წინ უძრავად გაჩერებულ დედას, მერე უცებ ნეტარებით გაიღიმა, ისევ დახუჭა ნამძინარევი თვალები და გადაწვა, მაგრამ უკან კი არა, დედის ხელებისაკენ.

– სერიოჟა! ჩემო საყვარელო ბიჭო! – ძლივსღა თქვა სუნთქვაშეკრულმა ანამ და ხელები მოხვია ბავშვის სათუთ სხეულს.

– დედა! – წამოიძახა სერიოჟამ და შეიფრთხიალა მის ხელებში, რათა სხეულის ყოველი ნაწილით შეხებოდა დედის ხელებს.

სერიოჟა, ნამძინარევი ღიმილით და კვლავ დახუჭული თვალებით, საწოლიდან გადმოიხარა, პატარა ფუნჩულა ხელებით მხრებზე მოეხვია დედას, გულში ჩაეკრა და შეაფრქვია ის საამური, ნამძინარევი სურნელება და სითბო, რომელიც მხოლოდ ბავშვებს აქვთ ხოლმე, თან სახით მის კისერსა და მხრებს ეკვროდა.

– მე ვიცოდი, – თქვა მან და თვალები გაახილა, – დღეს ჩემი დაბადების დღეა. მე ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ახლავე ავდგები, – და ამას რომ ამბობდა, ისევ ძილი ართმევდა თავს.

ანა ხარბად შეჰყურებდა შვილს; ხედავდა, როგორ გაზრდილიყო და შეცვლილიყო იგი მის არყოფნაში. ცნობდა და ვეღარ ცნობდა საბნიდან გამოყოფილ მის შიშველ, ახლა უკვე დიდ ფეხებს, ცნობდა მის გამხდარ ლოყებს, შეკრეჭილ, მოკლე თმის კულულებს კეფასთან, სადაც ასე ხშირად კოცნიდა ხოლმე. ანა ხელით ეხებოდა ყოველივე ამას და ხმას კი ვერ იღებდა, ცრემლები აბრჩობდა.

– რატომ ტირი, დედა? – იკითხა უკვე სრულიად გამოფხიზლებულმა სერიოჟამ, – რატომ ტირი, დედა? – ცრემლნარევი ხმით წამოიძახა მან.

– მე? აღარ ვიტირებ... სიხარულისაგან ვტირი. რამდენი ხანია აღარ მინახავხარ. აღარ ვიტირებ, აღარ, – უთხრა დედამ, ცრემლები ჩაყლაპა და სახე მიიბრუნა მისგან, – ახლა შენი

ჩაცმის დროა, – დასძინა ანამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, როგორც კი ოდნავ დამშვიდება შეძლო და საწოლთან სკამზე ჩამოჯდა, სადაც ბავშვის ტანისამოსი ელაგა, თან ხელიდან არ უშვებდა მის ხელს.

– როგორ იცვამ უჩემოდ? როგორ... – ანა შეეცადა უბრალოდ, მხიარულად დაეწყო ბავშვთან ლაპარაკი, მაგრამ ვერ შეძლო და ისევ მიიბრუნა პირი.

– ცივი წყლით უკვე აღარ ვიბან ხელ-პირს, მამამ ამიკრძალა. შენ ვასილი ლუკიჩი არ გინახავს? ახლა მოვა. შენ ჩემს ტანისამოსზე დამჯდარხარ! – და სერიოჟამ გადაიხარხარა.

ანამ შეხედა შვილს და გაიღიმა.

– დედა, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო! – წამოიძახა სერიოჟამ, ისევ მივარდა დედას და გადაეხვია. თითქოს ახლა, როცა მისი ღიმილი დაინახა, ნათლად წარმოიდგინაო ყველაფერი, რაც მოხდა, – ეს არ გინდა, – უთხრა და ქუდი მოხადა. ქუდი რომ მოხადა, ისევ გადაეხვია და კოცნა დაუწყო, თითქოს პირველად დაინახაო.

– რას ფიქრობდი ჩემზე? გეგონა, მოვკვდი?

– არასოდეს მჯეროდა.

– არ გჯეროდა, ჩემო მეგობარო?

– მე ვიცოდი, მე ვიცოდი! – თავის საყვარელ სიტყვებს იმეორებდა იგი. მან ხელი სტაცა დედის ხელს, რომელიც მის თმას უალერსებდა, ხელისგულით ტუჩებზე მიიკრა და კოცნა დაუწყო.

XXX

ამასობაში ვასილი ლუკიჩს, რომელიც პირველად ვერ მიხვდა, ვინ იყო ეს მანდილოსანი, შემდეგ კი ლაპარაკიდან გაიგო, რომ ეს სწორედ ის დედა იყო, რომელმაც ქმარი მიატოვა და რომელსაც არ იცნობდა, რადგან მისი წასვლის შემდეგ მოვიდა

ამ ოჯახში, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, შესულიყო სერიოჟასთან თუ მოეხსენებინა ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის. ბოლოს, რაკი გადაწყვიტა, ჩემი მოვალეობაა გარკვეულ დროს ავაყენო სერიოჟა და ჩემი საქმე არ არის, ვინ იქნება მასთან, დედა თუ სხვა ვინმე, მე მაინც უნდა შევასრულო ჩემი მოვალეობაო, ტანისამოსი ჩაიცვა, კართან მივიდა და შეაღო კარი.

მაგრამ დედა-შვილის ალერსმა, მათი ლაპარაკის ხმამ და იმან, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ, – ყოველივე ამან აიძულა შეეცვალა გადაწყვეტილება. თავი გადაიქნია, ამოიოხრა და ისევ გამოხურა კარი. „ათ წუთს კიდევ დავიცდი“, – ჩაილაპარაკა თავისთვის, ჩაახველა და ცრემლები მოიწმინდა.

შინამოსამსახურეთა შორის კი იმ დროს დიდი მღელვარება იყო. ყველამ შეიტყო, რომ ქალბატონი მოვიდა, რომ კაპიტონიჩმა შემოუშვა იგი და ალბატონი ახლა ბავშვის ოთახშია. ბატონი კი ჩვეულებრივ ცხრა საათზე ყოველთვის შედიოდა ხოლმე ბავშვთან. ყველა გრძნობდა, რომ ცოლ-ქმრის შეხვედრა არ შეიძლებოდა და როგორმე უნდა შეეშალათ ხელი ამისთვის. პირისფარეში კორნეი მეკარესთან ჩავიდა. ჰკითხა, ვინ და როგორ შემოუშვა იგი და როცა გაიგო, კაპიტონიჩმა მიიღო და მიაცილა იგი ბავშვის ოთახამდეო, საყვედური უთხრა მოხუცს. მეკარე ჯიუტად დუმდა, მაგრამ როცა კორნეიმ უთხრა, ამის გულისთვის აქედან გაგდების ღირსი ხარო, კაპიტონიჩი მივარდა, სახესთან ხელები აუქნია და უთხრა: – ჰო, შენ კი არ შემოუშვებდი, აი! ათი წელი ვემსახურე და წყალობის მეტი არაფერი მომაგონდება მისგან, ახლა კი მიდი და უთხარი: მიბრძანდით აქედანო! თორემ შენ ძალიან გესმის პოლიტიკა! ჰო, სწორედ შენ მარტო ის იცი, როგორ გაძარცვო ბატონი და როგორ მოიპარო ენოტის ქურქები!

– სალდათო! – ზიზღით უთხრა კორნეიმ და წინკარში შემოსულ გადიას მიუბრუნდა, – აი, თქვენ განსაჯეთ, მარია ეფიმოვნა. შემოუშვა, არავის არაფერი უთხრა, ალექსეი ალექსანდროვიჩი კი ახლა გამობრძანდება, ბავშვის ოთახში შევა.

– ეჰ, აირია ყველაფერი, აირია, – იმეორებდა გადია, – თქვენ, კორნეი ვასილევიჩ, რამენაირად შეაყოვნეთ ბატონი, მე კი გავიქცევი, როგორმე გამოვიყვან ქალბატონს.

როცა გადია ბავშვის ოთახში შევიდა, სერიოჟა უყვებოდა

დედას, როგორ სრიალებდნენ ის და ნადენკა გორაზე, როგორ დაეცნენ და სამჯერ ყირაზე გადავიდნენ. ანა ყურს უგდებდა მის ხმას, ხედავდა შვილის სახეს, ხედავდა, როგორ ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, ხელს ჰკიდებდა მის ხელს, მაგრამ ის კი არ ესმოდა, რას უყვებოდა. უნდა წავიდეს, უნდა მიატოვოს იგი, – მხოლოდ ამასღა ფიქრობდა და გრძნობდა ანა. მან გაიგონა ვასილი ლუკიჩის ფეხის ხმა, თუ როგორ მოვიდა იგი კართან და ჩაახველა, გადიის ფეხის ხმაც შემოესმა, მაგრამ გაქვავებულივით იჯდა, ძალა არ შესწევდა ეთქვა რამე ან ფეხზე წამომდგარიყო.

– ქალბატონო, ძვირფასო! – უთხრა გადიამ, რომელიც მიუახლოვდა ანას და კოცნა დაუწყო ხელებსა და მხრებზე, – ეს რა სიხარული მოუტანა ღმერთმა ჩვენს სერიოჟას. სულაც არ გამოცვლილხართ.

– ოჰ, საყვარელო გადია, არ ვიცოდი, რომ თქვენ სახლში იყავით, – უთხრა ანამ და წუთით გამოერკვა.

– მე აქ აღარა ვარ, ჩემს ქალიშვილთან გადავედი, მოსალოცად მოვედი, ანა არკადიევნა, ჩემო კარგო!

გადიას უცებ ტირილი აუვარდა და ისევ ხელებზე კოცნა დაუწყო ანას.

გაღიმებული, თვალებგაბრწყინებული სერიოჟა, რომელსაც ცალი ხელი გადიისთვის ჩაევლო, მეორე კი – დედისთვის, ხალიჩაზე ატყაპუნებდა გაშიშვლებულ ფუნჩულა ფეხებს. იგი აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხედავდა, როგორ ესიყვარულებოდა მისი საყვარელი გადია დედას.

– დედა, გადია ხშირად მოდის ჩემთან და როცა მოვა... – წამოიწყო სერიოჟამ, მაგრამ უცებ შეჩერდა, შენიშნა, რომ გადიამ რაღაც წასჩურჩულა დედას და დედას სახეზე შიში და რაღაც სირცხვილის მსგავსი გამოეხატა, რაც ასე არ უხდებოდა მას.

ანა ბავშვთან მივიდა.

– ჩემო საყვარელო! – უთხრა მან.

მან ვერ შეძლო ეთქვა მისთვის, მშვიდობითო, მაგრამ მისმა სახის გამომეტყველებამ თქვა და სერიოჟაც მიხვდა, – ძვირფასო, საყვარელო, კუტიკ! – პატარაობისას ასე ეძახდა

დედა სერიოჟას, – ხომ არ დაგავიწყდები? შენ... – მაგრამ მეტი ვერაფრის თქმა ვეღარ შეძლო.

შემდეგ რამდენი რამ აგონდებოდა, რაც შეეძლო ეთქვა შვილისთვის! ახლა კი არ იცოდა, რა ეთქვა და არც შეეძლო არაფრის თქმა. მაგრამ სერიოჟა მიხვდა ყველაფერს, რისი თქმაც უნდოდა დედას. მიხვდა, რომ დედას უყვარდა იგი, რომ დედა უბედური იყო. იმასაც კი მიხვდა, რა უჩურჩულა გადიამ, მან ყური მოჰკრა სიტყვებს: ყოველთვის ცხრა საათზეო, და მიხვდა, რომ ამას მამაზე ამბობდნენ, რომ დედისა და მამის შეხვედრა არ შეიძლებოდა. ამას მიხვდა, მაგრამ ერთი რამ ვერ გაიგო: რატომ გამოეხატა დედას სახეზე შიში და სირცხვილი? დედა დამნაშავე არ არის, რაღაცის კი ეშინია, რაღაცის რცხვენია. სერიოჟას უნდოდა შეჰკითხვოდა, რომ გაექარწყლებინა თავისი ეჭვი, მაგრამ ვერ გაბედა. ხედავდა, რომ დედა იტანჯებოდა და შეებრალა იგი.

ხმაამოუღებლივ ჩაეკრა დედას და ჩურჩულით უთხრა: – ჯერ არ წახვიდე, ის მალე არ მოვა.

დედამ მოიცილა სერიოჟა, რათა ნამდვილად გაეგო, მართლა იმას ფიქრობდა თუ არა, რასაც ამბობდა, და მის შეშინებულ სახეზე ამოიკითხა, რომ არამცთუ მამაზე ეუბნებოდა ამას, არამედ თითქოს იმასაც კითხულობდა, რა უნდა ეფიქრა ამის შემდეგ მამის შესახებ.

– სერიოჟა, ჩემო მეგობარო, – უთხრა დედამ, – გიყვარდეს იგი, იგი ჩემზე კარგი, ჩემზე კეთილია, მე დამნაშავე ვარ მის წინაშე. როცა გაიზრდები, შენ თვითონვე განსჯი ამას.

– შენზე უკეთესი არავინ არის! – სასოწარკვეთით წამოიძახა ცრემლმორეულმა ბავშვმა და მღელვარებისაგან აკანკალებული ხელებით მოეხვია დედას მხრებზე, მთელი ძალ-ღონით ჩაეკრა.

– ჩემო კარგო, ჩემო პატარა! – თქვა ანამ და ისიც ისევე უმწეოდ, ისევე ბავშვურად ატირდა, როგორც ტიროდა სერიოჟა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ვასილი ლუკიჩი შემოვიდა. მეორე კართან ფეხის ხმა გაისმა, გადიამ შიშით წასჩურჩულა ანას: – მოდის, – და ქუდი გაუწოდა.

სერიოჟა საწოლზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და

აქვითინდა. ანამ ხელები მოაცილა, ერთხელ კიდევ აკოცა ცრემლებისაგან დასველებულ სახეზე და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კარში. ალექსეი ალექსანდროვიჩი მისკენ მოდიოდა. ანა რომ დაინახა, შეჩერდა და თავი დახარა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლახან ეუბნებოდა სერიოჟას, მამა ჩემზე კარგი და კეთილიაო, ახლა, როცა წუთით თვალი შეავლო ქმარს, საშინელი ზიზღი, გაბოროტება და შური იგრძნო მისდამი შვილის გამო. ანამ საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე, ნაბიჯს მოუჩქარა და თითქმის სირბილით გავიდა ოთახიდან.

მან ვერც კი მოასწრო სათამაშოების ამოღება, უკანვე წამოიღო სათამაშოები, რომელიც ისეთივე სიყვარულითა და გულისტკივილით აარჩია წინადღეს მაღაზიაში.

XXXI

მართალია, ანას დიდი სურვილი ჰქონდა შვილის ნახვისა, მართალია, დიდხანს ფიქრობდა და ემზადებოდა ამისთვის, მაგრამ არაფრით არ ეგონა, რომ შვილთან შეხვედრა ასე ძლიერ იმოქმედებდა. სასტუმროში, თავის განმარტოებულ განყოფილებაში დაბრუნებისას, დიდხანს ვერ მოვიდა გონს, თუ რა უნდოდა აქ. „დიახ, დასრულდა ყველაფერი და მე კვლავ მარტო ვარ“, – ჩაილაპარაკა ანამ და ქუდიც არ მოუხდია, ისე ჩაეშვა ბუხრის გვერდით სავარძელში. გაშტერებული თვალები ფანჯრებს შუა მაგიდაზე მდგარ ბრინჯაოს საათს მიაპყრო და ფიქრებს მიეცა.

ოთახში საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი ფრანგი მოსამსახურე გოგო შემოვიდა და ტანისამოსის გამოცვლა შესთავაზა. ანამ გაოცებით შეხედა და უთხრა: – შემდეგ.

ლაქიამ ყავა შესთავაზა.

– შემდეგ, – უპასუხა ანამ.

იტალიელმა ძიძა-ქალმა, რომელსაც მოერთო პატარა გოგონა, ოთახში შემოიყვანა ბავშვი და მიჰგვარა ანას. ფუნთუშა,

კარგად ნაკვებმა გოგონამ, როგორც ყოველთვის, დედის დანახვაზე მაჯებთან ჩაკეცილი შიშველი ხელები შეატრიალა, ისე, რომ ხელისგულები ქვევით მოიქცია, უკბილო პირით გაიღიმა, თევზის ფარფლებივით ააფართქალა ხელები და ააშრიალა მოქარგული კაბის გახამებული ნაოჭები. არ შეიძლებოდა, არ გაგეღიმა, არ გეკოცნა გოგონასთვის, არ შეიძლებოდა, არ შეგეშველებინა თითი, რომელსაც მაშინვე ჩააფრინდა და აჭყლოპინებულმა მთელი სხეულით ტოკვა დაიწყო; არ შეიძლებოდა, არ მიგეშვირა ტუჩი, რომელიც ისე ჩაიდო პაწაწინა პირში, თითქოს კოცნისო. და ანამაც გააკეთა ყოველივე ეს, ხელშიაც აიყვანა, ახტუნავა კიდეც, აკოცა კიდეც ქორფა ლოყებსა და გაშიშვლებულ იდაყვებზე, მაგრამ ამ ბავშვის დანახვაზე უფრო ნათელი შეიქნა მისთვის, რომ გრძნობას, რომელსაც გოგონასადმი განიცდიდა, სიყვარულს ვერც კი დაარქმევდა იმასთან შედარებით, რასაც სერიოჟასადმი გრძნობდა. ყველაფრით საყვარელი იყო ეს გოგონა, მაგრამ მაინც რატომღაც არ ეკარებოდა გულს. მთელი თავისი დაუკმაყოფილებელი სიყვარულის ძალა მან პირველ ბავშვს შეალია, თუმცა საყვარელი ადამიანისაგან არ ჰყავდა იგი; გოგონა კი მეტად მძიმე პირობებში დაიბადა და მასზე იმის მეასედი ამაგიც არ დაუხარჯავს, რაც პირველ შვილზე. გარდა ამისა, გოგონა მხოლოდ მოლოდინი იყო, სერიოჟა კი უკვე დასრულებული ადამიანი; მასში უკვე ებრძოდა ერთმანეთს აზრი და გრძნობა; მას უკვე ესმოდა, უყვარდა, უკვე შეეძლო განესაჯა დედა – ამას ფიქრობდა ანა და მისი სიტყვები და გამოხედვა აგონდებოდა. ანა არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც სამუდამოდ ჩამოსცილდა მას და ამის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

ანამ ბავშვი ისევ ძიძას გადასცა, ძიძა გაისტუმრა და გახსნა მედალიონი, სადაც შენახული ჰქონდა სერიოჟას სურათი, როცა იგი თითქმის ამ გოგონას ხნისა იყო. ანა წამოდგა, ქუდი მოიხადა, მაგიდიდან ალბომი აიღო, სადაც შენახული ჰქონდა სხვადასხვა ასაკში გადაღებული სერიოჟას ფოტოსურათები. ანას უნდოდა ერთმანეთისთვის შეედარებინა სურათები და ალბომიდან მათ ამოკრეფას შეუდგა. ყველა ამოალაგა. დარჩა მხოლოდ ერთი, ბოლო დროს გადაღებული, ყველაზე საუკეთესო სურათი. თეთრხალათიანი სერიოჟა სკამზე იყო ჩამომჯდარი, თვალებით იღუშებოდა, ბაგე კი უღიმოდა. ეს მისი განსაკუთრებული საუკეთესო გამომეტყველება იყო. ანას

პატარა მოქნილი ხელები, რომლის თეთრი, თხელი თითები დღეს განსაკუთრებული სისწრაფით მოძრაობდნენ, რამდენჯერმე შეეხო სურათის კუთხეს, მაგრამ სურათი ხელიდან უსხლტებოდა. ქაღალდის საჭრელი დანა მაგიდაზე ვერ ნახა და იქვე გვერდით მდებარე სურათი აიღო (ეს იყო რომში გადაღებული ვრონსკის სურათი, მრგვალი ქუდითა და გრძელი თმით) და იმით ამოიღო შვილის სურათი. „ჰო, აი, ისიც!“ – თქვა ანამ, როცა ვრონსკის სურათს დახედა, და უცებ გაახსენდა, ვინც იყო მიზეზი მისი ახლანდელი მწუხარებისა. მთელი ამ დილის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია ვრონსკი. ახლა კი, როცა უეცრად დაინახა მისი ვაჟკაცური, კეთილშობილური და მისთვის ესოდენ ნაცნობი, საყვარელი სახე, მოულოდნელად შემოენთო მისდამი სიყვარული.

„სად არის? როგორ დამტოვა მარტო ჩემს მწუხარებასთან?“ – უცბად საყვედურით გაიფიქრა ანამ და გადაავიწყდა, რომ თვითონვე უმალავდა ყველაფერს, რაც კი შვილს შეეხებოდა. ანამ მსახური გაუგზავნა ვრონსკის, რათა ახლავე მოსულიყო. ანა ელოდა ვრონსკის და გულის ფანცქალით ფიქრობდა, როგორ ეტყოდა ყველაფერს და მისგანაც ელოდა სასიყვარულო სიტყვებს, რომლებიც დაამშვიდებდნენ მას. მსახური მოვიდა და მოახსენა, რომ ვრონსკის სტუმარი ჰყავს, ახლავე მოვა და ნაბრძანები აქვს, ჰკითხოს, შეუძლია თუ არა მიიღოს პეტერბურგში ჩამოსული თავადი იაშვინი. „მარტო არ მოდის, მას კი გუშინდელი სადილის შემდეგ აღარ ვუნახავვარ, – გაიფიქრა ანამ, – ისე კი არ მოვა, რომ შევძლო ყველაფრის თქმა, არამედ იაშვინთან ერთად გამოცხადდება“. და უეცრად თავში უცნაურმა აზრმა გაუელვა; „ვაითუ აღარ ვუყვარვარ?“

და როცა ამ უკანასკნელი ხნის ამბები გაიხსენა, მოეჩვენა, რომ ყველაფერი ამ საშინელ აზრს ადასტურებდა: ისიც, რომ გუშინ სახლში არ ისადილა, ისიც, რომ დაიჟინა, პეტერბურგში ცალ-ცალკე დავიქირაოთ ოთახებიო, ისიც, რომ ახლაც არ მოდიოდა მასთან მარტო, თითქოს გაურბოდა პირისპირ შეხვედრას.

„მაგრამ უნდა მითხრას ეს. მე უნდა ვიცოდე. ეს რომ მეცოდინება, მაშინ მე თვითონ ვიცი, რასაც ვიზამ“, – ამბობდა თავისთვის და ძალა არ შესწევდა, წარმოედგინა, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როცა დარწმუნდებოდა, ვრონსკის აღარ ვუყვარვარო. ანა ფიქრობდა, რომ ვრონსკის აღარ უყვარდა, გრძნობდა, რომ უკვე უახლოვდებოდა

სასოწარკვეთილება და ამის გამო მეტისმეტად აღელვებული იყო. მან დაურეკა მსახურ გოგოს და საპირფარეშო ოთახში გავიდა. ჩაცმის დროს უფრო მეტი დრო მოანდომა თავის ტუალეტს. ვიდრე ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში, თითქოს ვრონსკის, რომელსაც უკვე აღარ უყვარდა ანა, შეეძლო კვლავ შეეყვარებინა, რადგან ის კაბა ეცმეოდა და თმაც ისე ექნებოდა გაკეთებული, როგორც უფრო მეტად შვენოდა.

ანა ჯერ კიდევ არ იყო მზად, რომ ზარის ხმაც გაიგონა.

ანა რომ სასტუმროში გავიდა, ვრონსკის კი არა, იაშვინის მზერა შეეგება. ვრონსკი მისი შვილის სურათებს ათვალიერებდა, რომელიც მაგიდაზე დარჩენოდა ანას და არ ჩქარობდა შეეხედა მისთვის.

– ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, – უთხრა ანამ და თავისი პატარა ხელი უზარმაზარ ხელში ჩაუდო რატომღაც დარცხვენილ იაშვინს (რაც მეტად უცნაური იყო იაშვინის უშველებელი ტანისა და უხეში სახისთვის), შარშან დოღზე გავიცანით ერთმანეთი. მომეცით, – უთხრა ვრონსკის, სწრაფად გამოართვა ხელიდან შვილის სურათები, რომელთაც ათვალიერებდა ვრონსკი და რაღაც უცნაურად და აელვარებული თვალებით შეხედა მას, – წელს კარგი დოღი იყო? აქაური დოღის ნაცვლად მე რომში, კორსოზე ვნახე დოღი. თუმცა თქვენ არ გიყვართ საზღვარგარეთული ცხოვრება. მე თქვენც გიცნობთ და თქვენი გემოვნებაც ვიცი, თუმცა იშვიათად შევხვედრივართ ერთმანეთს.

– ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან საკმაოდ ცუდი გემოვნება მაქვს, – უთხრა იაშვინმა და მარცხენა ულვაში მოიკვნიტა.

რამდენიმე ხნის საუბრის შემდეგ, როცა იაშვინმა შენიშნა, რომ ვრონსკიმ საათზე დაიხედა, ჰკითხა ანას, დიდხანს დარჩებით თუ არა პეტერბურგშიო, მერე თავისი უზარმაზარი სხეულით წელში გაიმართა და ხელი ქუდისაკენ წაიღო.

– მგონი, მალე წავალთ, – უპასუხა ანამ და დაბნეულად გადახედა ვრონსკის.

– მაშ, ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს? – უთხრა იაშვინმა, ფეხზე წამოდგა და შემდეგ ვრონსკის მიმართა, – შენ სად სადილობ?

– სადილად ჩემთან მობრძანდით, – მტკიცე ხმით უთხრა ანამ,

თითქოს უწყრებოდა თავის თავს იმ შეკრთომის გამო, მაგრამ ახლაც წამოწითლდა, როგორც ყოველთვის, როცა თავის მდგომარეობას უცხო ადამიანის წინაშე ააშკარავებდა, – სადილი აქ კარგი არ არის, მაგრამ ერთმანეთს ხომ მაინც შეხვდებით. ალექსეის თავისი პოლკის ამხანაგებიდან არავინ ისე არ უყვარს, როგორც თქვენ.

– დიდად მოხარული ვარ, – ღიმილით უთხრა იაშვინმა და ამ ღიმილზე ვრონსკი მიხვდა, რომ იაშვინს ძალიან მოეწონა ანა.

იაშვინი გამოემშვიდობა ანას და ოთახიდან გავიდა, ვრონსკი უკან ჩამორჩა.

– შენც მიდიხარ? – უთხრა ანამ.

– დამაგვიანდა კიდეც, – უპასუხა ვრონსკიმ, – წადი! ახლავე დაგეწევი, – გასძახა იაშვინს.

ანამ ხელი მოჰკიდა მის ხელს, სახეში შეაჩერდა, გონებაში კი იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა ისეთი, რომ დაეკავებინა.

– მოიცა, რაღაც მინდა გითხრა, – და ანამ ხელი მოჰკიდა მის მოკლე ხელს და კისერთან მიიტანა, – ხომ არა უშავს რა, იაშვინი რომ სადილად მოვიწვიე?

– ძალიან კარგიც ქენი, – დამშვიდებული ღიმილით უთხრა ვრონსკიმ, მიჯრილი კბილები გამოაჩინა და ხელზე აკოცა ანას.

– ალექსეი, გული ხომ არ შეგცვლია ჩემზე? – უთხრა ანამ და ორივე ხელი ხელზე მოუჭირა, – ალექსეი, მე დავიტანჯე აქ, როდის წავალთ აქედან?

– მალე, მალე. შენ ვერ წარმოიდგენ, მეც როგორ მტანჯავს ჩვენი აქ ცხოვრება, – უთხრა მან და ხელის გათავისუფლება სცადა.

– მაშ, წადი, წადი, – წყენით უთხრა ანამ და სწრაფად გასცილდა.

XXXII

ვრონსკი შინ რომ დაბრუნდა, ანა ჯერ კიდევ არ იყო მოსული. როგორც უთხრეს, ვრონსკის წასვლისთანავე ანასთან ვიღაც მანდილოსანი მოვიდა და ორივენი ერთად წავიდნენ. ანა ისე წავიდა სადღაც, რომ მისთვის არაფერი უთქვამს და აქამდე არ დაბრუნებულა შინ, დილითაც იყო სადღაც და ვრონსკისთვის არაფერი უთქვამს ამის შესახებ – ყოველივე ამან და თანაც ანას უცნაურად აღგზნებულმა გამოხედვამ დღეს დილით, მისმა მტრულმა ტონმა, როცა იაშვინის თანდასწრებით თითქმის ხელიდან გამოსტაცა შვილის ფოტოსურათები, საგონებელში ჩააგდო ვრონსკი. გადაწყვიტა, აუცილებლად მოლაპარაკებოდა ანას. ვრონსკი სასტუმრო ოთახში ელოდა მას, მაგრამ ანა მარტო არ დაბრუნებულა. თან მოიყვანა თავისი მამიდა, შინაბერა თავადის ასული ობლონსკაია. ეს ის მანდილოსანი იყო, რომელიც ამ დილით ესტუმრა ანას და მასთან ერთად წავიდა საყიდლებისთვის. ანა თითქოს ვერ ამჩნევდა ვრონსკის შეწუხებულ და გაოცებულ სახეს და გახარებული უყვებოდა, რა იყიდა ამ დილით. ვრონსკი ხედავდა, რომ ანას რაღაც განსაკუთრებული ემართებოდა: მის აღგზნებულ თვალებში, როცა მან წუთით გადახედა ვრონსკის, დაძაბული ყურადღება ამოიკითხა. ხოლო მის საუბარსა და საქციელში იგივე ნერვიული სიჩქარე და სინარნარე იგრძნობოდა, რომელიც ასე ხიბლავდა ვრონსკის მათი დაახლოების პირველ ხანებში, ახლა კი შეშფოთებასა და შიშს იწვევდა.

სუფრა ოთხი კაცისთვის იყო გაშლილი. უკვე ემზადებოდნენ კიდეც პატარა სასადილო ოთახში გასასვლელად, როცა შემოვიდა ტუშკევიჩი, რომელიც ქალბატონ ბეტსის გამოეგზავნა ანასთან. ბეტსი ტვერსკაია ბოდიშს იხდიდა, რომ ვერ მოვიდა გამოსამშვიდობებლად. იგი შეუძლოდ იყო და სთხოვდა ანას, შვიდის ნახევრიდან ცხრა საათამდე მისულიყო მასთან. ვრონსკიმ ანას გადახედა, – დროის ასეთი განსაზღვრა ნათელყოფდა, რომ მიღებული იყო ზომები, რათა ანას არავინ შეხვედროდა, მაგრამ ანას თითქოს არც შეუნიშნავს ეს.

– დიდად სამწუხაროა, რომ სწორედ შვიდის ნახევრიდან ცხრა საათამდე არ შემიძლია მისვლა, – ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უთხრა ანამ.

– თავადის ქალს მეტისმეტად ეწყინება ეს.

– მეც დიდად ვნანობ.

– თქვენ. ალბათ, პატის მოსასმენად მიდიხართ? – უთხრა ტუშკევიჩმა.

– პატის? თქვენ კარგი გამახსენეთ. წავიდოდი, შესაძლო რომ იქნებოდეს ლოჟის შოვნა.

– მე შემიძლია გიშოვოთ, – უთხრა ტუშკევიჩმა.

– დიდი, დიდი მადლობელი ვიქნებოდი თქვენი, – უთხრა ანამ, – სადილად ჩვენთან დარჩენას ხომ არ ინებებდით?

ვრონსკიმ ოდნავ შესამჩნევად აიჩეჩა მხრები. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რას აპირებდა ანა. რატომ მოიყვანა ეს ბებერი თავადის ასული, რატომ დატოვა სადილად ტუშკევიჩი და რაც ყველაზე საკვირველი იყო, რატომ აგზავნიდა ტუშკევიჩს ლოჟის ასაღებად? განა შეიძლებოდა იმის ფიქრიც კი, რომ მის მდგომარეობაში შესაძლებელი იყო წასვლა პატის აბონემენტზე, სადაც იქნებოდა მთელი მისი ნაცნობი საზოგადოება? ვრონსკიმ სერიოზული სახით გადახედა ანას, ანამ კი ამ გამოხედვას იმავე გამომწვევი მხიარული თუ სასოწარკვეთილი გამოხედვით უპასუხა, რის მნიშვნელობასაც ვერ მიხვდა ვრონსკი. სადილზე ანა მეტისმეტად მხიარული იყო: თითქოს ეკეკლუცებოდა ტუშკევიჩსაც და იაშვინსაც. ნასადილევს, როცა სტუმრები წამოიშალნენ და ტუშკევიჩი ლოჟის საშოვნელად წავიდა, იაშვინი კი ქვევით ჩავიდა პაპიროსის მოსაწევად, ვრონსკიც იაშვინს გაჰყვა თავის ოთახში. რამდენიმე ხანს იქ დაჰყო, შემდეგ ისევ ზევით აირბინა. ანას უკვე ჩაეცვა თავისი ღია ფერის, ხავერდით მორთული გულამოღებული ფარჩის კაბა, რომელიც პარიზში შეაკერვინა, თავზეც ძვირფასი მაქმანები გაეკეთებინა, რომელიც გარს ევლებოდა სახეს და კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მის მოელვარე სილამაზეს.

– თქვენ მართლა მიდიხართ თეატრში? – ჰკითხა ვრონსკიმ, თან ცდილობდა სახეში არ შეეხედა მისთვის.

– რატომ მეკითხებით ასე შეშინებული? – უთხრა ანამ, კვლავ გაბრაზებულმა იმით, რომ სახეში არ უყურებდა ვრონსკი, – რატომაც არ უნდა წავიდე?

ანა თითქოს ვერ ხვდებოდა მისი სიტყვების მნიშვნელობას.

– რა თქმა უნდა, არავითარი მიზეზი არა გაქვთ, – უთხრა

ვრონსკიმ და მოიღუშა.

– სწორედ ამას გეუბნებოდით მეც, – უთხრა ანამ, რომელიც განზრახ არ ამჩნევდა მის ირონიულ ტონს და დამშვიდებით კეცავდა ხელში გრძელ, სურნელოვან ხელთათმანს.

– ანა, ღვთის გულისათვს! რა დაგემართათ? – უთხრა ვრონსკიმ, რომელიც ახლა ისევე ცდილობდა მის გამოფხიზლებას, როგორც ერთ დროს მისი ქმარი.

– მე არ მესმის, რას მეკითხებით?

– თქვენ იცით, რომ არ შეიძლება წასვლა!

– რატომ არ შეიძლება? მე მარტო არ წავალ, თავადის ასული ვარვარა ტანისამოსის გამოსაცვლელად წავიდა, ისიც ჩემთან ერთად წამოვა.

ვრონსკიმ გაოცებითა და სასოწარკვეთით აიჩეჩა მხრები.

– განა თქვენ არ იცით... – დაიწყო მან.

– არც მინდა ვიცოდე! – თითქმის წამოიყვირა ანამ, – არც მინდა... განა მე ვნანობ იმას, რაც ჩავიდინე? არა, არა და არა. საჭირო რომ იყოს ყველაფრის თავიდან გამეორება, ახლაც ისევე მოვიქცეოდი. ჩვენთვის, – ჩემთვისაც და თქვენთვისაც – მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ: გვიყვარს თუ არა ერთმანეთი. სხვა მოსაზრება ჩვენთვის არ არსებობს. რატომ ვცხოვრობთ აქ ცალ-ცალკე, რატომ ვერ ვნახულობთ ერთმანეთს? რატომ არ შემიძლია წასვლა? მე შენ მიყვარხარ და ჩემთვის სულერთია, – რუსულად უთხრა ანამ და ვრონსკისთვის ამოუცნობი, განსაკუთრებულად აელვარებული თვალებით შეხედა მას, – თუ შენ გული არ შეგცვლია ჩემზე, რატომ არ მიყურებ სახეში?

ვრონსკიმ შეხედა ანას. იგი ხედავდა ანას სახისა და მორთულობის მთელ სილამაზეს, რაც მუდამ ასე შვენოდა, მაგრამ ახლა სწორედ ეს მისი სილამაზე და ელეგანტურობა აღიზიანებდა.

– თქვენ იცით, რომ ჩემი გრძნობის შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ მე გთხოვთ, გემუდარებით, არ წახვიდეთ, – ისევ ფრანგულად უთხრა ვრონსკიმ, რომლის ხმაშიც უნაზესი ვედრება ისმოდა, მაგრამ თვალებში კი კვლავ იგივე

გულცივობა იხატებოდა.

ანას არ ესმოდა მისი სიტყვები, იგი მხოლოდ მის მკაცრ გამოხედვას ამჩნევდა და გაბრაზებით უპასუხა: – მე კი გთხოვთ, ამიხსნათ, რატომ არ უნდა წავიდე?

– იმიტომ, რომ ამას შეუძლია მოგაყენოთ ის... – ვრონსკის ენა დაება.

– არაფერი მესმის. იაშვინს n’est pas compromettant,[14] არც თავადის ასული ვარვარაა სხვაზე უარესი. აი, ისიც მოვიდა.

XXXIII

ვრონსკი პირველად იყო ნაწყენი ანაზე და თითქმის გაბოროტებულიც კი იმის გამო, რომ განზრახ არ უნდოდა გაეგო თავისი მდგომარეობა. ამ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ არ შეეძლო ეთქვა ანასთვის თავისი გულისწყრომის მიზეზი. პირდაპირ რომ ეთქვა, რასაც ფიქრობდა, მაშინ ასე უნდა ეთქვა: „ასეთი მორთულობით ყველასთვის ცნობილ თავადის ასულთან ერთად თეატრში წასვლა იმას ნიშნავს, რომ არა მარტო აღიარო დაღუპული ქალის მდგომარეობა, არამედ აამხედრო კიდეც საზოგადოება, ესე იგი სამუდამოდ ჩამოსცილდე მას“.

ვრონსკის არ შეეძლო ეთქვა ანასთვის ეს. „მაგრამ თვითონ როგორ ვერ ხვდება ამას, ნეტავ რა ემართება?!“ – ეკითხებოდა თავის თავს ვრონსკი. იგი გრძნობდა, ერთსა და იმავე დროს როგორ ეკარგებოდა პატივისცემა ანასადმი და როგორ იზრდებოდა შეგნება მისი სილამაზისა.

იგი მოღუშული დაბრუნდა თავის ნომერში, გვერდით მიუჯდა იაშვინს, რომელსაც გრძელი ფეხები სკამზე დაეწყო და კონიაკიან სელტერის წყალს მიირთმევდა; ვრონსკიმაც უბრძანა, მისთვისაც იგივე სასმელი მოეტანათ.

– შენ ლანკოვსკის ბედაურზე მელაპარაკებოდი. კარგი ცხენია და გირჩევ, იყიდო, – უთხრა იაშვინმა და ამხანაგის დაღვრემილ

სახეს გადახედა, – თუმცა გავა ცოტათი დაშვებული აქვს, მაგრამ ფეხებსა და თავს უკეთესს ვერ ინატრებ.

– ვფიქრობ, ვიყიდი, – უპასუხა ვრონსკიმ.

ცხენებზე ლაპარაკმა გაართო ვრონსკი, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია ანა. უნებურად ყურს უგდებდა ხოლმე ბუხარზე მდგარს საათს.

– ანა არკადიევნამ მიბრძანა მოგახსენოთ, რომ თეატრში წაბრძანდა.

იაშვინმა ერთი ჭიქა კონიაკი კიდევ ჩაასხა გაზიან წყალში, დალია, ფეხზე წამოდგა და ღილები შეიკრა.

– რაღას უყურებ? წავიდეთ, – უთხრა იაშვინმა, თან ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა ულვაშში და ამ ღიმილით აგრძნობინა, ესმოდა ვრონსკის დაღვრემის მიზეზი, მაგრამ მნიშვნელობას არ აძლევდა ამას.

– არ წამოვალ, – უხალისოდ უთხრა ვრონსკიმ.

– მე უნდა წავიდე, შევპირდი. აბა, ნახვამდის. მოსვლა თუ გინდოდეს, პარტერში მოდი, კრასინსკის სავარძელი აიღე, – ოთახიდან გასვლისას დასძინა იაშვინმა.

– არა, მე საქმე მაქვს.

„ცოლი გყავს, ათასი საზრუნავი გაქვს, უცოლო ხარ და კიდევ უარესი“, – გაიფიქრა იაშვინმა სასტუმროდან გასვლისას.

მარტოდ დარჩენილი ვრონსკი სკამიდან წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

„დღეს რა არის? მეოთხე აბონემენტია... ეგორი ცოლიანად იქ იქნება, დედაც, ალბათ, იქ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი პეტერბურგი იქ არის. აი, ახლა ანა შევიდა თეატრში, ქურქი გაიხადა და გამოვიდა საზოგადოებაში. ტუშკევიჩი, იაშვინი, თავადის ასული ვარვარა... – წარმოიდგინა მან, – მე რაღას ვშვრები? იქნებ მეშინია, ანდა ანას მფარველობა ტუშჩკევიჩს გადავაბარე? როგორც გინდა, თქვი და ეს სისულელეა, სისულელე... მერე რატომ მაყენებს ასეთ მდგომარეობაში?“ – თქვა მან და ხელი ჩაიქნია.

ამ მოძრაობით მაგიდას წამოედო, რომელზეც სელტერის წყალი

და გრაფინით კონიაკი იდგა, კინაღამ გადმოაგდო, უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და გაბრაზებულმა ფეხი ჰკრა მაგიდას, ზარი ჩამორეკა.

– თუ შენ ჩემთან სამსახური გინდა, – უთხრა ოთახში შემოსულ პირისფარეშს, – გახსოვდეს კიდეც შენი საქმე. მეორედ აღარ მოხდეს ეს. უნდა აალაგო.

პირისფარეში გრძნობდა, რომ უდანაშაულო იყო და თავის მართლება სცადა, მაგრამ როცა სახეში შეხედა ბატონს, მიხვდა, გაჩუმება სჯობიაო, საჩქაროდ დაიხარა ხალიჩისაკენ და აკრეფა დაუწყო დამსხვრეულსა და გადარჩენილ ჭიქებსა და ბოთლებს.

– ეს შენი საქმე არ არის, ასალაგებლად ლაქია გამოგზავნე, შენ კი ფრაკი მომიმზადე.

ცხრის ნახევარი იყო, როცა ვრონსკი თეატრში შევიდა. სპექტაკლი კარგა ხნის დაწყებული იყო. მოხუცმა კაპელდინერმა ქურქი გახადა ვრონსკის, იცნო იგი, თქვენო ბრწყინვალებაო, ასე მიმართა და შესთავაზა: ნომერს ნუ აიღებთ, უბრალოდ დაიძახეთ, „ფიოდორ“. გაკაშკაშებულ დერეფანში არავინ იყო, გარდა კაპელდინერისა და ორი ლაქიისა, რომელთაც ქურქები ჰქონდათ ხელზე გადაგდებული და კართან უგდებდნენ ყურს. მიხურული კარიდან ისმოდა ორკესტრის სტოკატოს სუსტი აკომპანემენტი და მომღერალი ქალის ხმა, რომელიც მკაფიოდ გამოთქვამდა მუსიკალურ ფრაზას. კარი გაიღო, ერთი კაპელდინერი გაძვრა შიგ და ფრაზამ, რომელიც დასასრულს უახლოვდებოდა, გააოცა ვრონსკი. მაგრამ კარი მაშინვე მიიხურა და ვრონსკიმ ვეღარ მოისმინა ფრაზისა და კადანსის დასასრული, თუმცა ტაშის გრიალზე მიხვდა, რომ კადანსი უკვე დასრულდა. ტაშის ცემა ჯერ კიდევ არ მინელებულიყო, როცა ვრონსკი ჭაღებითა და ბრინჯაოს აირშუქებით გაჩირაღდნებულ დარბაზში შევიდა. სცენაზე იდგა მხრებგაშიშვლებული, ბრილიანტებით გაბრწყინებული მომღერალი. იგი წელში იხრებოდა, თავს უკრავდა საზოგადოებას და ტენორის დახმარებით, რომელსაც ხელი მოეკიდა მისთვის, რამპის გადაღმიდან მოუხერხებლად გადმოყრილ თაიგულებს კრეფდა და მიიწევდა პომადით თმაგაპრიალებული ვიღაც ვაჟბატონისკენ, რომელიც რამპის გადაღმიდან გრძელი ხელებით რაღაც საჩუქრის გადაცემას ცდილობდა. მთელი საზოგადოება როგორც პარტერში, ისე

ლოჟებში, ვერ ისვენებდა, წინ მიიწევდა, ყვიროდა და ტაშს უკრავდა. ამაღლებულ ადგილას მდგარი კაპელმაისტერი ეხმარებოდა ამ ვაჟბატონს საჩუქრის გადაცემაში და თან ცალი ხელით თეთრ ყელსახვევს ისწორებდა. ვრონსკი შუაგულ პარტერში შევიდა, შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა. დღეს ჩვეულებრივზე უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამ ნაცნობ, ჩვეულ გარემოს, სცენას, ამ ხმაურსა და მთელ ამ ნაცნობ, უინტერესო, აჭრელებულ მაყურებელთა ბრბოს ხალხით გაჭედილ თეატრში.

როგორც ყოველთვის, ახლაც ისხდნენ ლოჟებში ვიღაც მანდილოსნები, ლოჟებს უკან ფეხზე იდგნენ ვიღაც ოფიცრები, იგივე აფერადებული უცნობი ქალები, მუნდირები და სერთუკები; იგივე ჭუჭყიანი ბრბო ქანდარაზე და მთელ ამ ბრბოში, ლოჟებსა და პარტერის პირველ რიგებში ორმოცამდე ნამდვილი ქალი და კაცი თუ იქნებოდა. ამ ოაზისებს ვრონსკიმ უმალ მიაპყრო ყურადღება და უმალვე დაამყარა მათთან ურთიერთობა.

როცა ვრონსკი დარბაზში შევიდა, მოქმედება დამთავრდა, ამიტომაც აღარ შესულა ძმის ლოჟაში, პირველ რიგამდე მივიდა და რამპის წინ გაჩერდა სერპუხოვსკოისთან, რომელსაც ფეხი მოეხარა, ქუსლით რამპაზე აკაკუნებდა და, როგორც კი შორიდანვე თვალი მოჰკრა ვრონსკის, მაშინვე ღიმილით მოიხმო იგი.

ვრონსკი ჯერ კიდევ ვერ ხედავდა ანას, განზრახ არ იყურებოდა მისკენ. მაგრამ იმის მიხედვით, საით იყურებოდა საზოგადოება, გრძნობდა, სად იყო ანა. მან შეუმჩნევლად მიმოიხედა, მაგრამ არ მოუძებნია იგი: იგი უფრო უარესს ელოდა და თვალებით ალექსეი ალექსანდროვიჩს ეძებდა. მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ალექსეი ალექსანდროვიჩი იმ დღეს თეატრში არ იყო.

– შენ აღარაფერი შეგრჩა სამხედრო პირისა! – უთხრა სერპუხოვსკოიმ, – დიპლომატს, არტისტს ან ვინმე ასეთს უფრო ჰგავხარ.

– დიახ, როგორც კი დავბრუნდი შინ, მაშინვე ფრაკი ჩავიცვი, – ღიმილით უპასუხა ვრონსკიმ, თან ნელა იღებდა დურბინდს ბუდიდან.

– გამოგიტყდები და გეტყვი, რომ აი, ეს კი მშურს შენი. როცა

საზღვარგარეთიდან ვბრუნდები და ვიცვამ ხოლმე ამას, – მან ხელი შეახო აქსელბანდებს, – მენანება ჩემი თავისუფლება.

სერპუხოვსკოიმ დიდი ხანია უკვე ხელი ჩაიქნია ვრონსკის სამსახურებრივ მოღვაწეობაზე, მაგრამ ძველებურად უყვარდა იგი და ახლაც განსაკუთრებული სიყვარულით ექცეოდა.

– სამწუხაროა, რომ პირველ მოქმედებაზე დაიგვიანე.

ვრონსკი ცალი ყურით უსმენდა მას და ბენუარის დათვალიერების შემდეგ ახლა ბელეტაჟზე გადაიტანა დურბინდი; ლოჟებიც შეათვალიერა, დოლბანდიანი მანდილოსნისა და მელოტი მოხუცის გვერდით, რომელიც მოძრავი დურბინდის მინებში გაბრაზებით ახამხამებდა თვალებს, ვრონსკიმ უცებ დაინახა მოღიმარი ანას ამაყი, გასაოცარი სილამაზის თავი, რომელსაც გარს შემორტყმოდა მაქმანების ჩარჩო. იგი მეხუთე ბენუარში იჯდა, მისგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით. ანა წინ იჯდა, თავი ოდნავ მიებრუნებინა იაშვინისაკენ და რაღაცას ელაპარაკებოდა. ლამაზ, განიერ მხრებზე ამაყად აზიდულმა თავმა, თვალებისა და მთელი სახის თავდაჭერილმა, აღტაცებულმა ელვარებამ, ვრონსკის მოაგონა ანა სწორედ ისეთი, როგორიც მოსკოვში ბალზე იხილა. მაგრამ ვრონსკი ახლა სულ სხვაგვარად განიცდიდა ამ სილამაზეს. მისდამი გრძნობაში არავითარი იდუმალება აღარ იყო და ამიტომაც, თუმცა წინანდელზე უფრო მეტად იზიდავდა ეს სილამაზე, ამავე დროს კიდეც შეურაცხყოფდა. ანა არ იყურებოდა მისკენ, მაგრამ ვრონსკი გრძნობდა, რომ მან უკვე შენიშნა იგი.

როცა ვრონსკიმ ხელმეორედ მიმართა იქით დურბინდი, დაინახა, რომ მეტისმეტად გაწითლებული თავადის ასული ვარვარა რაღაც არაბუნებრივად იცინოდა და სულ მეზობელი ლოჟისკენ იხედებოდა; ანა კი წითელ ხავერდზე ურტყამდა დაკეცილ მარაოს, იცქირებოდა სადღაც, მაგრამ ვერ ხედავდა და, ეტყობა, არც უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა მეზობელ ლოჟაში. იაშვინს ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც თამაშის წაგების დროს სჩვეოდა. სულ უფრო და უფრო ღრმად იდებდა პირში მარცხენა ულვაშს და მოღუშული უბღვერდა იმავე მეზობელ ლოჟას.

ამ ლოჟაში, მარცხნივ, კარტასოვები ისხდნენ. ვრონსკი იცნობდა მათ და იცოდა, რომ ისინი ანას ნაცნობებიც იყვნენ,

კარტასოვა, გამხდარი, ჩია ტანის ქალი, ანასკენ ზურგშექცეული იდგა ლოჟაში და ქმრის მოწოდებულ წამოსასხამს იხურავდა. გაფითრებულ სახეზე სიბრაზე ეხატებოდა და აღელვებული რაღაცას ლაპარაკობდა. კარტასოვი, მსუქანი, მელოტი კაცი, მალიმალ იყურებოდა ანასკენ და ცოლის დამშვიდებას ცდილობდა. ცოლი რომ გავიდა ლოჟიდან, იგი კიდევ დიდხანს აყოვნებდა, ცდილობდა დაეჭირა ანას გამოხედვა, ეტყობა, გამომშვიდობება უნდოდა. ანა კი, ალბათ, განზრახ არ ამჩნევდა ამას და უკან მიბრუნებული რაღაცას ეუბნებოდა მისკენ თავდახრილ იაშვინს. კარტასოვი გამოუმშვიდობებლად გავიდა და ლოჟა დაცარიელდა.

ვრონსკიმ ვერ გაიგო, სახელდობრ რა მოხდა ანასა და კარტასოვებს შორის, მაგრამ მიხვდა, რომ მოხდა რაღაც ანასთვის დამამცირებელი. ამას მიხვდა იმის მიხედვით, რაც დაინახა და ამოიკითხა ანას სახეზე, რომელსაც ასე კარგად იცნობდა. ანა უკანასკნელ ძალას იკრებდა, რათა ბოლომდე ჩაეტარებინა ნაკისრი როლი, და ახერხებდა კიდეც გარეგნული სიმშვიდის დაცვას. ვინც არ იცნობდა ანასა და მის წრეს, ვისაც არ ესმოდა მანდილოსანთა საყვედურების, გულისწყრომისა და გაკვირვების გამომხატველი საუბარი იმის გამო, რომ ანა ნებას აძლევს თავს ასე თვალში საცემად გამოჩნდეს საზოგადოებაში თავისი მაქმანებიანი მორთულობითა და თავისი მშვენიერებით, ისინი ტკბებოდნენ ანას სიმშვიდითა და სილამაზით და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ანა ახლა იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის სამარცხვინო ბოძთან მდგარი ადამიანი.

ვრონსკი, რომელიც გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ არ იცოდა, სახელდობრ რა, საშინლად ღელავდა ამის გამო და იმ იმედით, რომ შეეტყო რამე, ძმის ლოჟისაკენ გასწია. მან განზრახ ანას ლოჟის მოპირდაპირე პარტერის გასასვლელი აირჩია და გასვლისას თავისი პოლკის ყოფილ უფროსს დაეჯახა, რომელიც ვიღაც ორ ნაცნობს ელაპარაკებოდა. ვრონსკიმ გაიგონა, როგორ ახსენეს მათ კარენინები და შეამჩნია, რა აჩქარებით, ხმამაღლა თქვა პოლკის უფროსმა ვრონსკის სახელი და მნიშვნელოვნად გადახედა მოსაუბრეთ.

– ა, ვრონსკი! პოლკში როდის აპირებთ? ქეიფის გარეშე ვერ გაგიშვებთ. შენ ჩვენი ყველაზე მკვიდრი წევრი ხარ, – უთხრა პოლკის უფროსმა.

– სამწუხაროდ, ვეღარ მოვასწრებ, შემდეგი ჩამოსვლისთვის იყოს, – უთხრა ვრონსკიმ, საჩქაროდ აირბინა კიბე და ძმის ლოჟისკენ გასწია.

მოხუცი გრაფინია, ვრონსკის დედა, თავისი ფოლადისფერი კავებით ძმის ლოჟაში იყო. ვარიამ თავადის ასული სოროკინა დედასთან მიიყვანა, თვითონ ხელი გაუწოდა მაზლს და მაშინვე იმაზე დაუწყო ლაპარაკი, რაც ვრონსკის აინტერესებდა. ვრონსკის იშვიათად თუ უნახავს ვარია ასე აღელვებული.

– ჩემი აზრით, ეს სიმდაბლე და საძაგლობაა და madame კარტასოვას არავითარი უფლება არ ჰქონდა. Madame კარენინა... – დაიწყო მან.

– რა მოხდა? მე არაფერი ვიცი.

– როგორ, შენ არ გაგიგია?

– შენ ხომ იცი, რომ მე ყველაზე ბოლოს გავიგებ ამას.

– ნუთუ არსებობს ამ კარტასოვაზე უფრო ბოროტი არსება?

– მაინც რა ჩაიდინა ასეთი?

– მე ქმარმა მიამბო... მან შეურაცხყოფა მიაყენა კარენინას. მისმა ქმარმა ლოჟიდან ლაპარაკი დაუწყო კარენინას, კარტასოვამ კი ამის გამო ერთი ამბავი დააწია. მან, როგორც ამბობენ, ხმამაღლა წამოიძახა რაღაც შეურაცხმყოფელი სიტყვები და ლოჟიდან გავიდა.

– გრაფო, maman გიხმობთ, – უთხრა ვრონსკის სოროკინამ და ლოჟის კარიდან გამოიხედა.

– მე კი შენ გელოდები, – უთხრა დედამ და დამცინავად გაიღიმა, – შენ არსად აღარ ჩანხარ.

შვილი ხედავდა, რომ დედა ვეღარ იკავებდა სიხარულის ღიმილს.

– გამარჯობათ, maman, მე თქვენთან მოვდიოდი, – ცივად უთხრა ვრონსკიმ.

– რატომ არ მიდიხარ faire la cour á madame Karenine?[15] – დასძინა მან, როცა თავადის ასული სოროკინა განშორდა მათ, – Elle fait

sensation. On oublie la Pattie pour elle.[16]

– Maman, მე თქვენ გთხოვეთ, არაფერი გეთქვათ ჩემთვის ამის შესახებ, – უპასუხა ვრონსკიმ და შუბლი შეიკრა.

– მე იმას გეუბნები, რასაც ყველა ამბობს.

ვრონსკიმ აღარაფერი უპასუხა. რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა თავადის ასულ სოროკინას და ლოჟიდან გამოვიდა. კარში ძმა შემოხვდა.

– ა, ალექსეი! – უთხრა ძმამ, – რა საძაგლობაა! სულელი ქალია და მეტი არაფერი. მე ახლა მინდოდა მასთან შესვლა. ერთად წავიდეთ.

ვრონსკი ყურს არ უგდებდა ძმას. იგი ჩქარი ნაბიჯით ჩავიდა ქვევით: გრძნობდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ რა, ეს აღარ იცოდა. ნაწყენი იყო ანაზე იმის გამო, რომ ასეთ ყალბ მდგომარეობაში ჩააყენა თავისი თავიც და ისიც. ამასთან ერთად ებრალებოდა კიდეც იმ ტანჯვის გამო, რასაც ანა განიცდიდა და ყოველივე ეს აღელვებდა. იგი ქვევით, პარტერში ჩავიდა და პირდაპირ ანას ბენუარისაკენ გასწია. ბენუართან სტრემოვი იდგა და ელაპარაკებოდა ანას.

– ტენორები აღარ არიან. Le moule en est brisé.[17]

ვრონსკიმ თავი დახარა ანას წინაშე, შეჩერდა და შემდეგ სტრემოვს მიესალმა.

– თქვენ, მგონი, გვიან მოხვედით და ვერ მოისმინეთ საუკეთესო არიები, – უთხრა ვრონსკის ანამ და როგორც ვრონსკის მოეჩვენა, დაცინვით გადახედა.

– მე ცუდი შემფასებელი ვარ, – უპასუხა ვრონსკიმ და მკაცრად გადახედა.

– როგორც თავადი იაშვინი, – ღიმილით უთხრა ანამ, – იგი ამბობს, პატი მეტისმეტად ხმამაღლა მღერისო.

– გმადლობთ, – უთხრა ანამ ვრონსკის და მაღალყელიან ხელთათმანში გამოკვართული პატარა ხელით ჩამოართვა მოწოდებული აფიშა. და უცბად, სწორედ ამ წამს ანას ლამაზი სახე აუთრთოლდა. ანა წამოდგა და ლოჟის სიღრმეში მიიმალა.

ვრონსკიმ შენიშნა, რომ შემდეგ მოქმედებაზე ანას ლოჟა

ცარიელი იყო, კავატინის დროს თეატრის სიჩუმით მოცული დარბაზიდან გამოვიდა, რამაც მაყურებელთა აღშფოთება გამოიწვია, და შინ წავიდა.

ანა უკვე შინ იყო. როცა ვრონსკი მასთან შევიდა, მარტოდმარტო იჯდა იმავე მორთულობით, რომელიც თეატრში ეცვა. იქვე კედელთან მდგარ პირველივე სავარძელში იჯდა და გაშტერებით იყურებოდა წინ. ანამ შეხედა ვრონსკის და უმალვე წინანდელი მდგომარეობა მიიღო.

– ანა, – უთხრა ვრონსკიმ.

– შენ, შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე! – წამოიძახა ანამ და ფეხზე წამოდგა, მის ხმაში ცრემლნარევი სასოწარკვეთილება და გაბოროტება გაისმა.

– მე გთხოვდი, გევედრებოდი, არ წასულიყავი, ვიცოდი, რომ ეს შენთვის უსიამოვნო იქნებოდა...

– უსიამოვნო! – წამოიძახა ანამ, – ეს საშინელება იყო! რამდენ ხანსაც უნდა ვიცოცხლო, არ დამავიწყდება ეს. სამარცხვინოა შენ გვერდით ჯდომაო, მითხრა.

– ეს სულელი ქალის სიტყვებია, – უთხრა ვრონსკიმ, – მაგრამ რატომ უნდა ჩაიყენო თავი ასეთ მდგომარეობაში, რატომ უნდა გამოიწვიო...

– მე მძულს ეს შენი სიმშვიდე, შენ არ უნდა მიგეყვანე ამ მდგომარეობამდე. შენ რომ გიყვარდე...

– ანა! რა შუაშია აქ ჩემი სიყვარული...

– დიახ, შენ რომ ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ. ისე რომ იტანჯებოდე, როგორც მე ვიტანჯები... – უთხრა ანამ და შეშინებული შეაჩერდა ვრონსკის.

ვრონსკის ებრალებოდა ანა, მაგრამ მაინც სწყინდა ეს. იგი არწმუნებდა ანას თავის სიყვარულში, რადგან გრძნობდა, რომ ახლა მხოლოდ ამას შეეძლო ანას დამშვიდება, არ საყვედურობდა, მაგრამ გულში კი მაინც კიცხავდა.

და სიყვარულის ამ შეგონებით, რომელიც ისე გაცვეთილად ეჩვენებოდა ვრონსკის, რომ თქმაც კი ერცხვინებოდა, იმსჭვალებოდა ანა და თანდათან მშვიდდებოდა. ამის შემდეგ, მეორე დღეს, სავსებით შერიგებული ანა და ვრონსკი სოფელში

გაემგზავრნენ.

ნაწილი მეექვსე

I

დარია ალექსანდროვნა ბავშვებიანად ზაფხულს პოკროვსკოეში, თავის დასთან, კიტი ლევინასთან ატარებდა. მის მამულში სახლი სულ დაინგრა და კიტიმ და ლევინმა დაიყოლიეს დოლი, რომ ზაფხული მათთან გაეტარებინა. სტეპან არკადიჩსაც ძალიან მოეწონა საქმის ამგვარად წარმართვა. დიდად ვწუხვარ, რომ სამსახური ხელს მიშლის ოჯახთან ერთად სოფლად გავატარო ზაფხული, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნებოდაო, ამბობდა იგი და მოსკოვში დარჩენილი ხანდახან ერთი-ორი დღით თუ ჩავიდოდა სოფელში. გარდა ობლონსკებისა თავიანთი ბავშვებითა და გუვერნანტით, ამ ზაფხულს ლევინებთან სტუმრად იყო მოხუცი თავადის მეუღლეც, რომელიც მოვალეობად რაცხდა თვალყური ედევნებინა თავისი გამოუცდელი ქალიშვილისთვის, რომელიც ასეთ მდგომარეობაში იყო. გარდა ამისა, კიტის საზღვარგარეთელმა მეგობარმა ვარენკამ შეასრულა თავისი დაპირება, სწვეოდა კიტის, როცა იგი გათხოვდებოდა, და ისიც სტუმრად იყო თავის მეგობართან. ყველა ესენი ლევინის ცოლის ნათესავები და მეგობრები იყვნენ. და მართალია, ყველა უყვარდა ლევინს, მაგრამ მაინც ენანებოდა თავისი ლევინური სამყარო და წესრიგი, რომელიც შთანთქა „შჩერბაცკული ელემენტის“ მოზღვავებამ, როგორც ამბობდა თავის გულში. მის ნათესავთაგან ამ ზაფხულს სტუმრად იყო მხოლოდ სერგეი ივანოვიჩი და ისიც ლევინური

კი არა, კოზნიშევური ყალიბის ადამიანი, ასე რომ, ლევინური სული მთლიანად ნადგურდებოდა.

ლევინების დიდი ხნიდან დაცარიელებულ სახლში ახლა იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ თითქმის ყველა ოთახი დაკავებული იყო და მოხუცი თავადის მეუღლე ყოველდღე, სადილად დაჯდომის წინ, იძულებული იყო, გადაეთვალა ყველა და მეცამეტე შვილიშვილი, ბიჭი იქნებოდა ის თუ გოგონა, განსაკუთრებულ პატარა მაგიდასთან გადაესვა. კიტის, რომელიც გულმოდგინედ უძღვებოდა მეურნეობას, ბევრი საზრუნავი გაუჩნდა, უნდა მოემარაგებინა ქათმები, ინდაურები და იხვები, რომლებიც სტუმრებისა და ბავშვების საზაფხულო მადის გამო ბლომად სჭირდებოდათ.

მთელი ოჯახი სადილად იჯდა. დოლის ბავშვები გუვერნანტსა და ვარენკასთან ერთად გეგმებს აწყობდნენ, სად წასულიყვნენ სოკოსთვის. სერგეი ივანოვიჩმა, რომელსაც თავისი ჭკუისა და განსწავლულობის გამო ყველა სტუმარი განსაკუთრებულ პატივს სცემდა, რაც თითქმის თაყვანისცემამდე მიდიოდა, ყველა გააოცა იმით, რომ თვითონაც ჩაერია სოკოზე წამოწყებულ საუბარში.

– მეც წამიყვანეთ. ძალიან მიყვარს სოკოზე სიარული, – თქვა მან და ვარენკას გადახედა, – ჩემი აზრით, ეს საუკეთესო გასართობია.

– რატომაც არა, დიდად მოხარულნი ვიქნებით, – უპასუხა ვარენკამ და წამოწითლდა. კიტიმ მნიშვნელოვნად გადახედა დოლის. ჭკვიანი და სწავლული სერგეი ივანოვიჩის წინადადება, რომ ვარენკასთან ერთად წასულიყო სოკოზე, ადასტურებდა კიტის ერთგვარ ვარაუდს, რითაც ამ ბოლო ხანებში დიდად იყო დაინტერესებული. მან საჩქაროდ ლაპარაკი გაუბა დედას, რათა მისი მზერა არავის შეემჩნია. ნასადილევს სერგეი ივანოვიჩი ერთი ფინჯანი ყავით სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან იჯდა, ძმასთან წამოწყებულ საუბარს განაგრძობდა და თან ხშირად იყურებოდა კარისაკენ, საიდანაც სოკოზე მიმავალი ბავშვები უნდა გამოსულიყვნენ. ლევინი ძმის გვერდით ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

კიტი ქმრის გვერდით იდგა და, ეტყობოდა, ელოდა, როდის დამთავრდებოდა მისთვის უინტერესო საუბარი, რათა რაღაც ეთქვა ქმრისთვის.

– შენ ბევრ რამეში შეიცვალე ცოლის შერთვის შემდეგ, უფრო უკეთესი გახდი, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, თან ღიმილით გადახედა კიტის, ეტყობოდა, მასაც ნაკლებად აინტერესებდა დაწყებული საუბარი, – მაგრამ მაინც ერთგული დარჩი შენი გატაცებისა, დაიცვა უკიდურესად პარადოქსული თემები.

– კატია, შენთვის კარგი როდია ფეხზე დგომა, – უთხრა კიტის ქმარმა, სკამი მიუწია და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

– ჰო, თუმცა დროც აღარა მაქვს, – დასძინა სერგეი ივანოვიჩმა, როცა ეზოში გამოფენილი ბავშვები დაინახა.

ყველაზე წინ პირდაპირ მისკენ ჩორთით მორბოდა ტანია, რომელსაც ფეხთ გამოკვართული წინდები ეცვა და ხელში კალათსა და სერგეი ივანოვიჩის ქუდს აქნევდა.

მან თამამად მიირბინა სერგეი ივანოვიჩთან და გაბრწყინებული თვალებით, რომლებიც ისე ჰგავდა მამის მშვენიერ თვალებს, ქუდი გაუწოდა სერგეი ივანოვიჩს, თან ისეთი სახე მიიღო, ეტყობოდა, სურვილი ჰქონდა, თვითონვე დაეხურა ქუდი სერგეი ივანოვიჩისთვის და თავისი გამბედაობის შესარბილებლად გაუბედავად და ნაზად იღიმებოდა.

– ვარენკა იცდის, – უთხრა მან და თავისი ხელით ფრთხილად დაახურა ქუდი, რაკი სერგეი ივანოვიჩის ღიმილზე მიხვდა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

ვარენკა კარში იდგა, ტანთ ყვითელი ჩითის კაბა ეცვა და თავზე თეთრი ხილაბანდი ჰქონდა წაკრული.

– მოვდივარ, მოვდივარ, ვარვარა ანდრეევნა, – გასძახა სერგეი ივანოვიჩმა, ფინჯანში დარჩენილი ყავა გამოცალა და ჯიბეებში ცხვირსახოცი და სიგარების კოლოფი ჩაიდო.

– რა მშვენიერი რამ არის ჩემი ვარენკა, არა? – უთხრა კიტიმ ქმარს, როგორც კი სერგეი ივანოვიჩი წამოდგა. მან ისე თქვა ეს, რომ სერგეი ივანოვიჩსაც გაეგონა, – მერე როგორი სილამაზე, როგორი კეთილშობილური სილამაზე აქვს! ვარენკა! – გასძახა კიტიმ, – თქვენ წისქვილთან იქნებით ტყეში? ჩვენც მოვალთ.

– კიტი, შენ ყოველთვის გავიწყდება შენი მდგომარეობა, – უთხრა მოხუცმა თავადის მეუღლემ, რომელიც საჩქაროდ შემოვიდა ოთახში, – შენთვის არ შეიძლება ასეთი ყვირილი.

ვარენკამ გაიგონა კიტის ხმა, დედის საყვედური და მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა კიტის. სწრაფი მოძრაობა, გამოცოცხლებული, აწითლებული სახე – ყოველივე ამტკიცებდა, რომ მასში რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა. კიტიმ იცოდა, რა იყო ეს არაჩვეულებრივი და ყურადღებით ადევნებდა თვალს. მან ახლა მხოლოდ იმიტომ დაუძახა ვარენკას, რომ გონებით დაელოცა იგი იმ მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, რომელიც, როგორც ფიქრობდა კიტი, დღეს ნასადილევს უნდა აღსრულებულიყო ტყეში.

– ვარენკა, მე დიდად ბედნიერი ვიქნები, თუ მოხდება ერთი რამ, – ჩასჩურჩულა კიტიმ და აკოცა.

– თქვენც წამოხვალთ ჩვენთან ერთად? – უთხრა დარცხვენილმა ვარენკამ ლევინს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს კიტის ნათქვამი ვერ გაიგონა.

– მე მხოლოდ კალომდე წამოვალ და იქ დავრჩები.

– აბა, რა სახალისოა იქ წასვლა? – უთხრა კიტიმ.

– ახალი ფურგონები უნდა ვნახო და დავითვალო, – უთხრა ლევინმა, – შენ სად იქნები?

– ტერასაზე.

II

ტერასაზე თავი მოეყარა ქალთა საზოგადოებას. მათ საერთოდ უყვარდათ ხოლმე ნასადილევს ტერასაზე ყოფნა. დღეს კი საქმეც ჰქონდათ. ბავშვის პერანგების კერვისა და არტახების ქსოვის გარდა, რაშიც ჩაბმული იყო ყველა, დღეს იქ მურაბაც იხარშებოდა აგაფია მიხაილოვნასთვის ახალი მეთოდით, წყლის მიუმატებლად. კიტიმ შემოიღო ეს ახალი მეთოდი, რომელსაც მათ ოჯახში იყენებდნენ. აგაფია მიხაილოვნამ, რომელსაც წინათ მინდობილი ჰქონდა ეს საქმე და დარწმუნებული იყო, რომ ის, რაც ლევინების სახლში კეთდებოდა, არ შეიძლებოდა ცუდი ყოფილიყო, მაინც

დაუმატა წყალი ხენდროსა და მარწყვის მურაბას და თან ირწმუნებოდა, სხვაგვარად შეუძლებელიაო; მისი საქციელი გამომჟღავნდა და ახლა ყველას თანდასწრებით იხარშებოდა ჟოლოს მურაბა; უნდა დაერწმუნებინათ აგაფია მიხაილოვნა, რომ წყლის მიუმატებლად მურაბა უკეთესი გამოვიდოდა.

გაჯავრებული, სახეაწითლებული, თმააწეწილი აგაფია მიხაილოვნა იდაყვამდე დაკაპიწებული გამხდარი ხელებით სამურაბე ტაშტს ცეცხლზე არხევდა, დაღონებული დასჩერებოდა მურაბას და მთელი სულითა და გულით უნდოდა მურაბა გასქელებულიყო და არ მოხარშულიყო. თავადის მეუღლე გრძნობდა, რომ აგაფია მიხაილოვნას მთელი მრისხანება მიმართული იყო მისკენ, როგორც ჟოლოს მურაბის მოხარშვის მთავარი მრჩევლისაკენ, და ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს სულაც არ აინტერესებდა მურაბა და სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად კი ხშირად იყურებოდა ტაშტისაკენ.

– გოგოებისთვის სულ იაფფასიან საკაბეებს ვყიდულობ ხოლმე, – განაგრძობდა თავადის მეუღლე დაწყებულ საუბარს... – ახლა ქაფი ხომ არ მოვხადოთ, გეთაყვა? – დასძინა მან და აგაფია მიხაილოვნას მიმართა, – შენთვის სულაც არ არის საჭირო ამის გაკეთება, ცხელა კიდეც, – შეაჩერა მან კიტი.

– მე გავაკეთებ, – უთხრა დოლიმ, ფეხზე წამოდგა და კოვზით ფრთხილად მოურია აქაფებულ შაქარს, თან ხშირ-ხშირად უკაკუნებდა კოვზს ნაირფეროვანი, ყვითელ-მოვარდისფრო, სისხლისფრად დადუღებული ვაჟინით გათხუპნილ თეფშზე, რათა მოეცილებინა კოვზზე მიკრული ქაფი. „როგორ მოლოკავენ ამას ჩაიზე!“ – ფიქრობდა დოლი თავის ბავშვებზე და აგონდებოდა, ბავშვობისას როგორ აკვირვებდა, რომ დიდები არ შეექცეოდნენ ამ ყველაზე საუკეთესო საჭმელს – ქაფს.

– სტივა ამბობს, ბევრად უკეთესია ფულის მიცემაო, – განაგრძო დოლიმ დაწყებული საინტერესო საუბარი იმაზე, თუ როგორ სჯობდა მსახურთა დასაჩუქრება, – მაგრამ...

– ფული როგორ იქნება! – ერთხმად წამოიძახეს კიტიმ და თავადის მეუღლემ, – ისინი საჩუქარს აფასებენ.

– მე, მაგალითად, შარშან ჩვენს მატრიონა სემიონოვნას პოპლინი კი არა, რაღაც ამის მსგავსი რამ ვუყიდე, – თქვა

თავადის მეუღლემ.

– მახსოვს, თქვენს დღეობაზე სწორედ ის კაბა ეცვა.

– მშვენიერი სახე აქვს! უბრალო და კეთილშობილური. იმას რომ არ ჰქონოდა, მეც ვაპირებდი ისეთის შეკერვას. ისეთი იყო, ვარენკას რომ აქვს, კარგი და იაფფასიანი.

– ახლა, მგონი, მზად უნდა იყოს, – თქვა დოლიმ და კოვზით გასინჯა ვაჟინი.

– როცა წვეთ-წვეთადაა, მაშინ არის მზად. კიდევ მოხარშეთ, აგაფია მიხაილოვნა.

– ოჰ, ეს ბუზები! – გაბრაზებით თქვა აგაფია მიხაილოვნამ, – ისევ ისეთივე იქნება, – დასძინა მან.

– ოჰ, რა მშვენიერია, ნუ დააფრთხობთ! – მოულოდნელად წამოიძახა კიტიმ, როცა მოაჯირზე შემომჯდარი ბეღურა დაინახა, რომელსაც ჟოლოს ყლორტი გადმოებრუნებინა და კენკავდა.

– ჰო, მაგრამ, შორს დადექი მაყალისაგან, – უთხრა კიტის დედამ.

– A propos de ვარენკა,[18] – ფრანგულად თქვა კიტიმ, როგორც ლაპარაკობდნენ ყოველთვის, რათა აგაფია მიხაილოვნას არ გაეგო მათი ლაპარაკი. – თქვენ იცით, maman, რომ მე რატომღაც დღეს ველოდები გადაწყვეტილებას. ხომ ხვდებით, რა გადაწყვეტილებას? რა კარგი იქნებოდა!

– მართლაც, რა მოხერხებული მაჭანკალია! – თქვა დოლიმ, – როგორ ფრთხილად და მარჯვედ მაჭანკლობს...

– არა, maman, მითხარით, რას ფიქრობთ ამის შესახებ?

– რა უნდა ვიფიქრო, მას (იგი სერგეი ივანოვიჩს გულისხმობდა) ყოველთვის შეეძლო საუკეთესო საცოლე აერჩია რუსეთში; ახლა მართალია, ისეთი ახალგაზრდა აღარაა, მაგრამ მაინც ვიცი, ბევრი ახლაც არ იტყოდა უარს... ვარენკა ძალიან გულკეთილია, მაგრამ მას შეეძლო...

– არა, თქვენ მიხვდებით, დედა, ერთისთვისაც და მეორისთვისაც რატომ არ შეიძლება მოიფიქრო ამაზე უკეთესი რამ. პირველი ის, რომ ვარენკა მშვენიერია! – თქვა კიტიმ და

ერთი თითი მოხარა.

– ეს მართალია, სერგეი ივანოვიჩს ძალიან მოსწონს ვარენკა, – დაადასტურა დოლიმ.

– შემდეგ, სერგეი ივანოვიჩს ისეთი ადგილი უკავია საზოგადოებაში, რომ მისთვის სრულებით არ არის საჭირო ცოლის არც ქონება და არც მდგომარეობა. მას მხოლოდ ერთი რამ უნდა – კარგი, საყვარელი და მშვიდი ცოლი.

– ჰო, ვარენკასთან მართლაც შეიძლება მშვიდად ყოფნა, – დაუდასტურა დოლიმ.

– მესამე ის, რომ უყვარდეს სერგეი ივანოვიჩი. ესეც არის... ეს ისეთი კარგი იქნებოდა!.. ახლა ველი, რომ საცაა დაბრუნდებიან ტყიდან და გადაწყდება ყველაფერი. მაშინვე შევატყობ თვალებზე. და მერე როგორ გამახარებდა ეს! როგორ გგონია, დოლი?

– შენ ნუ ღელავ! შენთვის სულაც არ არის საჭირო ასეთი მღელვარება, – უთხრა დედამ.

– მე სულაც არ ვღელავ, დედა. მე მგონია, რომ სერგეი ივანოვიჩი დღეს უსათუოდ ხელს სთხოვს ვარენკას.

– აჰ, ეს ისეთი უცნაურია, როდის ან როგორ სთხოვს ხელს მამაკაცი... არსებობს რაღაც ზღვარი და უცებ გაირღვევა, – ფიქრიანი ღიმილით დასძინა დოლიმ და გაიხსენა თავისი წარსული სტეპან არკადიჩთან.

– დედა, თქვენ როგორ გთხოვათ მამამ ხელი? – ჰკითხა მოულოდნელად კიტიმ.

– არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, ძალიან უბრალოდ მოხდა, – უპასუხა თავადის მეუღლემ, მაგრამ სახე მაინც გაუბრწყინა ამის გახსენებამ.

– არა, მაინც როგორ მოხდა? თქვენ ხომ ადრევე გიყვარდათ იგი, სანამ ამის თქმის ნებას დაგრთავდნენ?

კიტის განსაკუთრებით მოსწონდა, რომ ახლა თანატოლივით შეეძლო ლაპარაკი დედასთან ქალის ცხოვრებაში ამ ყველაზე მთავარ საკითხზე.

– რა თქმა უნდა, მიყვარდა, იგი ჩამოდიოდა ხოლმე ჩვენთან

სოფელში.

– მაინც როგორ გადაწყდა, დედა?

– შენ, ალბათ, გგონია, რომ თქვენ რაღაც ახალი გამოიგონეთ? ეს სულ ერთი და იგივეა: გადაწყდა თვალებით, ღიმილით...

– რა კარგად თქვით ეს, დედა! სწორედ რომ თვალებითა და ღიმილით, – დაუდასტურა დოლიმ.

– მაინც რა სიტყვები გითხრა?

– შენ რა გითხრა კოსტიამ?

– მან ცარცით დამიწერა. ეს საოცარი იყო... ეს ახლა დიდი ხნის ამბავი მგონია! – თქვა კიტიმ და სამი ქალი ერთსა და იმავე საგანზე ჩაფიქრდა. კიტიმ პირველმა დაარღვია სიჩუმე. მას გაახსენდა გათხოვების წინა წელს გატარებული ზამთარი და თავისი გატაცება ვრონსკით.

– მხოლოდ... ვარენკას ძველი სიყვარული... – თქვა კიტიმ, რომელსაც აზრთა ბუნებრივმა მსვლელობამ გაახსენა ეს ამბავი, – მე მინდოდა, როგორმე ამეხსნა ეს სერგეი ივანოვიჩისთვის, მომემზადებინა საამისოდ. ისინი, მამაკაცები, ყველანი მეტისმეტად ეჭვიანები არიან ჩვენი წარსულისადმი, – დასძინა მან.

– ყველანი არა, – უთხრა დოლიმ, – შენ ამას შენი ქმრის მიხედვით სჯი. მას დღემდე აწვალებს ვრონსკის გახსენება, არა? ხომ მართალია?

– მართალია, – უპასუხა კიტიმ და ჩაფიქრებულმა თვალებით გაიღიმა.

– მხოლოდ მე არ ვიცი, – დედობრივი გრძნობით გამოექომაგა თავადის მეუღლე თავის ქალიშვილს, – რომელი წარსული აშფოთებს? ის, რომ ვრონსკი გეარშიყებოდა? ეს ხომ ყოველ ქალიშვილს შეიძლება შეემთხვეს.

– მაგრამ ჩვენ ხომ ამაზე არ ვლაპარაკობთ, – თქვა კიტიმ და წამოწითლდა.

– არა, მოიცა, – განაგრძო დედამ, – მერე ხომ შენ თვითონ არ მომეცი ნება, მოვლაპარაკებოდი ვრონსკის, გახსოვს?

– აჰ, დედა! – უთხრა კიტიმ და სახეზე ტანჯვა გამოეხატა.

– მოიცა, მათქმევინე... შენი ურთიერთობა ვერც წავიდოდა იმაზე შორს, რაც დასაშვები იყო. მაშინ მე თვითონ გამოვიწვევდი მას. თუმცა, ჩემო კარგო, შენ არაფრად გარგებს ასეთი მღელვარება. გეთაყვა, დაიხსომე ეს და მშვიდად იყავი.

– მე სრულიად დამშვიდებული ვარ, maman.

– რა საბედნიერო აღმოჩნდა მაშინ კიტისთვის, ანა რომ ჩამოვიდა, – თქვა დოლიმ, – და რა საბედისწერო შეიქნა ეს ანასთვის. სწორედ რომ შებრუნებით მოხდა, – დასძინა თავისივე აზრით გაოცებულმა დოლიმ, – მაშინ ისეთი ბედნიერი იყო, კიტი კი უბედურად თვლიდა თავს. როგორ უკუღმა შეტრიალდა ყველაფერი! მე ხშირად ვფიქრობ ხოლმე ანაზე.

– მეტი ვეღარაფერი ნახე საფიქრალი! საძაგელი, საზიზღარი, უგულო ქალი, – თქვა დედამ, რომელიც ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ კიტი ვრონსკის კი არა, ლევინს გაჰყვა.

– რა სახალისოა ამაზე ლაპარაკი, – წყენით თქვა კიტიმ, – მე ამაზე არ ვფიქრობ და არც მინდა ვიფიქრო... არც მინდა ვიფიქრო, – გაიმეორა მან და ყური მიუგდო ქმრის ნაცნობ ფეხის ხმას ტერასის კიბეზე.

– ამას რაზე ამბობ, არც მინდა ვიფიქროო? – იკითხა ლევინმა, როცა ტერასაზე ამოვიდა.

მაგრამ პასუხი არავინ გასცა და მასაც აღარ გაუმეორებია შეკითხვა.

– ვწუხვარ, რომ შემოვიჭერი თქვენს ქალურ სამეფოში, – თქვა და უკმაყოფილოდ მოავლო თვალი ყველას, იგრძნო, რომ ისინი ისეთ რამეზე ლაპარაკობდნენ, რასაც მისი თანდასწრებით არ იტყოდნენ.

ერთი წუთით მანაც იგრძნო, რომ იზიარებდა აგაფია მიხაილოვნას უკმაყოფილებას, მურაბას წყლის მიუმატებლად რომ ხარშავდნენ და საერთოდ უცხო შჩერბაცკული გავლენის გამოც, მაგრამ ლევინმა მაინც გაიღიმა და კიტისთან მივიდა.

– როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა კიტის და იმგვარი გამომეტყველებით შეხედა, როგორც ახლა ყველა უყურებდა

კიტის.

– არა მიშავს რა, ძალიან კარგად ვარ, – ღიმილით უთხრა კიტიმ, – შენი საქმეები როგორღაა?

– სამჯერ უფრო მეტი გადააქვს, ვიდრე ფორანს. მაშ, წავიდეთ ბავშვების მოსაყვანად? მე უკვე ვუბრძანე, შეაბან ცხენები.

– როგორ, შენ გინდა კიტიც ეტლით წაიყვანო? – საყვედურით უთხრა თავადის მეუღლემ.

– ეტლს ნელ-ნელა წავიყვანთ, ქალბატონო.

ლევინი არასოდეს ეუბნებოდა კიტის დედას maman-ს, როგორც ეძახიან ხოლმე სიძეები, და ეს არ სიამოვნებდა თავადის მეუღლეს. მაგრამ ლევინს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა თავადის მეუღლეს, მაინც არ შეეძლო შეებღალა გარდაცვლილი დედის ხსოვნა და დედა დაეძახა მისთვის.

– თქვენც წამოდით, ჩვენთან, maman, – უთხრა კიტიმ.

– არ მინდა ვუყურო ამ უგუნურებას.

– მაშ, მე ფეხით წამოვალ. ეს ხომ კარგია ჩემთვის, – კიტი წამოდგა, ქმართან მივიდა და ხელზე ხელი მოჰკიდა.

– კარგია, მაგრამ ყველაფერს ზომა აქვს, – უთხრა თავადის მეუღლემ.

– რას იტყვით, აგაფია მიხაილოვნა, მზად არის მურაბა? – ღიმილით უთხრა ლევინმა აგაფია მიხაილოვნას, უნდოდა, როგორმე გაემხიარულებინა იგი, – კარგია ახლებურად მურაბის მოხარშვა?

– კარგი უნდა იყოს. ჩვენებურად გადახარშულია.

– ასე უკეთესია, აგაფია მიხაილოვნა, აღარ ადუღდება, თორემ ყინული უკვე გაგვიდნა და შესანახი ადგილი აღარსად გვაქვს, – უთხრა კიტიმ, რომელიც მაშინვე მიუხვდა ქმარს განზრახვას და თვითონაც იმავე გრძნობით მიმართა მოხუცს, – სამაგიეროდ თქვენი მწნილები ისეთია, რომ დედა ამბობს, ასეთი არსად მიჭამიაო, – ღიმილით დასძინა მან და ხილაბანდი გაუსწორა.

აგაფია მიხაილოვნამ გაბრაზებით ახედა კიტის.

– თქვენ მე ნუ მამშვიდებთ, ქალბატონო. აი, მე დაგინახავთ თქვენ ამასთან ერთად და გული სიხარულით მევსება, – თქვა მან და ამ უხეშმა გამოთქმამ, „ამასთან“ და არა „ამათთანო“, გული აუჩვილა კიტის.

– წამოდით ჩვენთან ერთად სოკოზე, ადგილებს მიგვასწავლით.

აგაფია მიხაილოვნამ გაიღიმა და თავი გადააქნია, თითქოს ამბობდა: „სიამოვნებით გაგიწყრებოდი, მაგრამ რა ვქნა, არ შეიძლებაო“.

– გააკეთეთ, თუ შეიძლება, ჩემი რჩევის მიხედვით, – უთხრა მოხუცმა თავადის მეუღლემ, – მურაბას თავზე ქაღალდი დააფარეთ, რომით დაასველეთ და არასოდეს, ყინულიც რომ არ ჰქონდეს, ობს არ მოიკიდებს.

III

კიტის განსაკუთრებით ახარებდა ქმართან პირისპირ დარჩენა, რადგან შენიშნა, რა უკმაყოფილების ჩრდილმა გადაურბინა ლევინის სახეს, რომელზეც ასე ცოცხლად იხატებოდა ყოველივე, იმ წუთს, როცა ტერასაზე ამოვიდა და იკითხა, რაზე ლაპარაკობდითო, და პასუხი არავინ გასცა.

როცა ფეხით მიმავალი კიტი და ლევინი დაწინაურდნენ, გასცდნენ სახლს და გატკეპნილ, ჭვავის თავთავებითა და მარცვლებით მოფენილ მტვრიან გზაზე გავიდნენ, კიტი უფრო მეტი ძალით დაეყრდნო ლევინის ხელს, ზედ მიიკრა. ლევინს უკვე გადაავიწყდა ის წუთიერი უსიამოვნება და ახლა, როცა კიტის ფეხმძიმობაზე ფიქრი ერთი წუთითაც არ ტოვებდა, საყვარელ ქალთან ახლოს ყოფნით ახალ, სიხარულის მომგვრელ, ყოველგვარი ვნებისაგან განწმენდილ სიტკბოებას განიცდიდა. სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ლევინს უნდოდა გაეგონა მისი ხმა, ისე როგორც სურვილი ჰქონდა, დაენახა მისი თვალების გამომეტყველება, რომელიც ახლა,

ფეხმძიმობის გამო სრულიად გამოცვლილიყო. მის ხმაში, ისე როგორც მის გამოხედვაში, იგრძნობოდა ის სითბო და სერიოზულობა, როგორიც აქვთ ხოლმე ერთი, საყვარელი საქმით მუდამ გატაცებულ ადამიანებს.

– არ დაიღლები ასე? უფრო მეტად დამეყრდენი, – უთხრა ლევინმა.

– არა, მე ისე მიხარია შენთან განმარტოებით ყოფნა და გამოგიტყდები, მართალია, კარგად ვგრძნობ მათთან თავს, მაგრამ მაინც მენანება ჩვენი განმარტოებული ზამთრის საღამოები.

– ის კარგი იყო, ეს უკეთესია. ორივე კარგია, – თქვა ლევინმა და მისი ხელი გულზე მიიკრა.

– იცი, რაზე ვლაპარაკობდით, როცა შენ შემოხვედი?

– მურაბაზე?

– ჰო, მურაბაზეც და კიდევ იმაზე, თუ როგორ სთხოვენ ქალს ხელს.

– ა! – თქვა ლევინმა, რომელიც კიტის ხმას უფრო უგდებდა ყურს, ვიდრე იმას, თუ რას ამბობდა, და სულ ფიქრობდა გზაზე, რომელიც ახლა ტყეს მიჰყვებოდა, გვერდს უვლიდა იმ ადგილებს, სადაც შესაძლო იყო, ფეხი წაჰბორძიკებოდა კიტის.

– კიდევ, სერგეი ივანიჩსა და ვარენკაზე. შენ შენიშნე? მე ძალიან მინდა ეს მოხდეს, – განაგრძო კიტიმ, – შენ რას ფიქრობ ამაზე? – და მან სახეში შეხედა ლევინს.

– არ ვიცი, რა ვიფიქრო, – ღიმილით უპასუხა ლევინმა, – სერგეი ამ მხრივ ძალიან უცნაურია. მე ხომ მოგიყევი...

– ჰო, მას უყვარდა ერთი ქალიშვილი, რომელიც გარდაიცვალა...

– მე მაშინ ბავშვი ვიყავი; მხოლოდ სხვების გადმოცემით ვიცი. მახსოვს, მაშინ სერგეი ივანიჩი საოცრად კარგი ყმაწვილი იყო. მას შემდეგ თვალს ვადევნებ მის ურთიერთობას ქალებთან: იგი თავაზიანია მათთან, ზოგი მოსწონს კიდეც, მაგრამ გრძნობ, რომ ისინი მისთვის მხოლოდ ადამიანები არიან და არა ქალები.

– მაგრამ ახლა ვარენკასთან... მგონი, რაღაც უნდა იყოს...

– შესაძლებელია იყოს კიდეც... მაგრამ მას უნდა იცნობდე... იგი განსაკუთრებული, გასაოცარი ადამიანია... მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს. მეტისმეტად წმინდა და მაღალი სულის ადამიანია.

– როგორ? მერე განა ეს დაამცირებს მას?

– არა, მაგრამ იმდენად შეჩვეულია მხოლოდ სულიერი ცხოვრებით ცხოვრებას, რომ ვერ შეურიგდება სინამდვილეს, ვარენკა კი მაინც სინამდვილეა.

ლევინი ახლა უკვე მიეჩვია თავისი აზრის თამამად გამოთქმას, თავს ძალას აღარ ატანდა, ზუსტი სიტყვებით გამოეთქვა ყველაფერი. დარწმუნებული იყო, მისი ცოლი ასეთი სიყვარულით აღსავსე წუთებში მიუხვდებოდა, რისი თქმაც უნდოდა, და კიტიც მიუხვდა.

– კი მაგრამ, ვარენკაში არ არის ეს სინამდვილე ისე, როგორც ჩემში; ვიცი, რომ სერგეი ივანიჩი მე არასოდეს შემიყვარებდა. ვარენკა კი მთლად არაამქვეყნიური არსებაა.

– ოჰ, არა, შენ მას ძალიან უყვარხარ და ჩემთვის ისე სასიამოვნოა, ჩემიანებს რომ უყვარხარ...

– ჰო, იგი მეტისმეტად კეთილია ჩემდამი, მაგრამ...

– მაგრამ არა ისე, როგორც განსვენებული ნიკოლენკა... თქვენ შეგიყვარდათ ერთმანეთი, – დაამთავრა სათქმელი ლევინმა, – რატომ არ უნდა ვთქვათ? – დასძინა მან, – მე ზოგჯერ ვუსაყვედურებ ხოლმე ჩემს თავს: ყველაფერი იმით თავდება, რომ დავიწყებას მიეცემა. ოჰ, რა საოცარი, რა მშვენიერი ადამიანი იყო... ჰო, რაზე ვლაპარაკობდით? – რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა ლევინმა.

– შენ ფიქრობ, რომ მას არ შეუძლია სიყვარული? – თავის ენაზე გადმოთარგმნა კიტიმ ლევინის ნათქვამი.

– მე ის კი არ მითქვამს, სიყვარული არ შეუძლია-მეთქი, – ღიმილით უთხრა ლევინმა, – მაგრამ არ გააჩნია ის სისუსტე, რომელიც საჭიროა... მე ყოველთვის მშურდა მისი და ახლაც, როცა ასე ბედნიერი ვარ, მაინც მშურს.

– გშურს, რომ მას არ შეუძლია სიყვარული?

– მშურს, რომ იგი ჩემზე უკეთესია, – ღიმილით უთხრა

ლევინმა, – იგი თავისთვის როდი ცხოვრობს. მთელი მისი ცხოვრება მოვალეობის გრძნობას ექვემდებარება. ამიტომაც შეუძლია დამშვიდებული და კმაყოფილი იყოს.

– შენ კი? – დამცინავი, სიყვარულით აღსავსე ღიმილით უთხრა კიტიმ.

კიტი ვერაფრით გამოთქვამდა იმ აზრთა მსვლელობას, რამაც მასში ეს ღიმილი გამოიწვია; მაგრამ უკანასკნელი დასკვნა ის იყო, რომ მისი ქმარი, რომელიც აღტაცებული იყო ძმით და თავის თავს კი ამცირებდა მის წინაშე, გულწრფელი არ იყო. კიტიმ იცოდა, რომ ეს არაგულწრფელობა გამოწვეული იყო ძმის სიყვარულით, სირცხვილის გრძნობით, რომ იგი მეტისმეტად ბედნიერი იყო და განსაკუთრებით იმ სურვილით, რომ უფრო უკეთესი ყოფილიყო, სურვილით, რომელიც ყოველთვის ჰქონდა ლევინს, – კიტის მოსწონდა ეს მისი თვისება და ამიტომაც იღიმებოდა.

– შენ კი რა? შენ რითღა ხარ უკმაყოფილო? – იმავე ღიმილით ჰკითხა კიტიმ.

ლევინს უხაროდა, რომ კიტი ასეთ უნდობლობას აცხადებდა მისი უკმაყოფილების გამო და თავისდა უნებურად იწვევდა კიტის საიმისოდ, რომ გამოეთქვა ამ უნდობლობის მიზეზი.

– მე ბედნიერი ვარ, მაგრამ კმაყოფილი არა ვარ ჩემი თავით, – უთხრა მან.

– როგორ შეგიძლია უკმაყოფილო იყო, თუკი ბედნიერი ხარ?

– ესე იგი, როგორ გითხრა?.. მე არაფერი მინდა იმის გარდა, რომ, აი, შენ ფეხი არაფერს წამოჰკრა. ოჰ, როგორ შეიძლება ასე ხტუნვა! – შეწყვიტა ლევინმა ლაპარაკი და უსაყვედურა კიტის იმის გამო, რომ მეტისმეტად სწრაფად გადააბიჯა ბილიკზე დაგდებულ კუნძს, – მაგრამ, როცა ვუკვირდები საკუთარ თავს და ვადარებ სხვებს, განსაკუთრებით ჩემს ძმას, ვგრძნობ, რომ ცუდი ვარ.

– მერედა რითი ხარ ცუდი? – ისეთივე ღიმილით ეკითხებოდა კიტი, – განა შენ არაფერს აკეთებ სხვებისთვის? შენი ხუტორები, შენი მეურნეობა, შენი წიგნი?

– არა, მე ვგრძნობ, განსაკუთრებით ახლა, რომ შენ ხარ დამნაშავე, – უთხრა ლევინმა და მიიხუტა კიტის ხელი, – შენ

ხარ დამნაშავე, რომ ეს ასეა. ამას ისე, ზერელედ ვაკეთებ. მე რომ შემეძლოს, ისე შევიყვარო ეს საქმე, როგორც შენ მიყვარხარ... თორემ ამ უკანასკნელ ხანებში ისე ვაკეთებ ყველაფერს, თითქოს გაკვეთილად მოუციათო.

– მამაზე რაღას იტყვი? – ჰკითხა კიტიმ, – ისიც ცუდია იმის გამო, რომ საზოგადო საქმისთვის არაფერი გაუკეთებია?..

– მამა? არა, მაგრამ უნდა გქონდეს ისეთი უბრალოება, სიცხადე და გულკეთილობა, როგორიც მამაშენს აქვს. მე მაქვს თუ არა ეს? მე არაფერს ვაკეთებ და ვიტანჯები. ყველაფერი კი შენი ბრალია. როცა შენ არ იყავი და ჯერ კიდევ არ იყო ეს, – მან კიტის მუცელს დახედა და კიტიც მიუხვდა, – მთელ ჩემს ძალ-ღონეს ამ საქმეს ვახმარდი; ახლა კი აღარ შემიძლია და ამის გამო მრცხვენია; მე მართლაც ისე ვაკეთებ ამას, როგორც დავალებულ გაკვეთილს, ვთვალთმაქცობ...

– მაგრამ თანახმა იქნებოდი ახლა, რომ შენი მდგომარეობა სერგეი ივანიჩის მდგომარეობაზე გაგეცვალა? – უთხრა კიტიმ, – ისურვებდი, რომ გაგეკეთებინა ისე, როგორც სერგეი ივანიჩს უყვარს, და მეტი არაფერი?

– რასაკვირველია, არა! – უთხრა ლევინმა, – თუმცა მე იმდენად ბედნიერი ვარ, რომ აღარაფერი გამეგება. მაშ, შენ ფიქრობ, სერგეი ივანიჩი დღეს სთხოვს ხელს? – დასძინა მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

– მგონია და არც მგონია. მხოლოდ ძალიან კი მინდა. აი, მოიცა, – კიტი დაიხარა და გზის პირას გარეული გვირილა მოწყვიტა, – აბა, დაითვალე: სთხოვს ხელს თუ არ სთხოვს, – უთხრა მან და ყვავილი გაუწოდა.

– სთხოვს, არ სთხოვს, – ამბობდა ლევინი და წყვეტდა გვირილის თეთრ, წვრილად დაღარულ ფურცლებს.

– არა, არა! – ხელებში სწვდა კიტი და შეაჩერა. იგი მღელვარებით ადევნებდა თვალს ქმრის თითების მოძრაობას, – ორი ფურცელი მოწყვიტე ერთად.

– სამაგიეროდ ამ პატარას ნუღარ ჩავთვლით, – უთხრა ლევინმა და პატარა, ზრდადაუმთავრებელი ფურცელი მოწყვიტა, – აი, ეტლიც წამოგვეწია.

– ხომ არ დაღლილხარ, კიტი? – დაუძახა ეტლიდან თავადის

მეუღლემ.

– სულაც არა.

– გინდა, ჩაჯექი ეტლში და ნელა წავიყვანოთ, თუ ჭკვიანი ცხენებია.

მაგრამ ეტლში ჩაჯდომა აღარ ღირდა. ტყე უკვე ახლოს იყო და ყველანი ფეხით წავიდნენ.

IV

მეტისმეტად მომხიბვლელი იყო შავ თმაზე თეთრხილაბანდწაკრული ვარენკა, რომელიც ხალისითა და სიყვარულით ართობდა ბავშვებს და ეტყობოდა, აღელვებულიც იყო, რადგან ელოდა, სიყვარულს აუხსნიდა მამაკაცი, რომელიც მასაც მოსწონდა. სერგეი ივანოვიჩი გვერდით მიჰყვებოდა ვარენკას და სულ მისი ცქერით ტკბებოდა. უყურებდა და ახსენდებოდა ყველა საყვარელი სიტყვა, რაც კი მისგან გაეგონა, აგონდებოდა ყველაფერი, რაც კი მასზე კარგი სმენოდა და სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვარენკასადმი განცდილი გრძნობა იყო რაღაც განსაკუთრებული, დიდი ხნის წინათ და მხოლოდ ერთხელ, სიჭაბუკეში რომ განეცადა. ვარენკას სიახლოვით გამოწვეული სიხარულის გრძნობა სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა და ბოლოს იმ ზომამდე მიაღწია, რომ, როცა ვარენკას კალათში უზარმაზარ, ნაზ ღეროზე ამოზრდილ ნაპირებჩახეულ არყა სოკოს დებდა, თვალებში ჩახედა და როცა შენიშნა, შიშისა და სიხარულისაგან გამოწვეული მღელვარებით როგორ აუწითლდა ლოყები ვარენკას, თვითონაც დაიბნა და უსიტყვოდ გაუღიმა მეტისმეტად ბევრისმთქმელი ღიმილით.

„თუ ეს ასეა, – თქვა თავის გულში სერგეი ივანოვიჩმა, – უნდა ჩავუფიქრდე და გადავწყვიტო, პატარა ბიჭივით წუთიერ გატაცებას არ უნდა მივეცე“.

– ახლა წავალ და სხვებისაგან დამოუკიდებლად მარტო

შევაგროვებ სოკოს, თორემ ჩემი აღმოჩენანი უმნიშვნელონი რჩება, – თქვა მან და ტყის ნაპირიდან, სადაც აქა-იქ მდგარ ბებერ არყის ხეებს შორის ხავერდოვან ბალახზე დადიოდნენ, შუაგული ტყისაკენ გასწია. იქ თეთრ არყის ხეებს შუა მუქად მოჩანდა ვერხვები და ჩაშავებული თხილის ბუჩქები. როცა ორმოციოდე ნაბიჯი გაიარა და ერთიანად აყვავებულ, მოვარდისფრო-მოწითალო საყურეებიან კუნელის ბუჩქს ამოეფარა, დარწმუნდა, ვერავინ დამინახავსო და შეჩერდა. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ არყის ხეების თავზე ფუტკრების გუნდივით განუწყვეტლივ ბზუოდნენ ბუზები და ხანდახან ბავშვების ხმაც მოაღწევდა ხოლმე. უცებ ტყის ნაპირიდან ვარენკას დაბალი ხმა შემოესმა, გრიშას რომ უძახდა, და სერგეი ივანოვიჩს სიხარულის ღიმილმა გაუშუქა სახე. ამ ღიმილს რომ ჩაუფიქრდა, უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, სიგარა ამოიღო და დიდხანს ვერ მოუკიდა ასანთს არყის ხეზე. თეთრი ქერქის ნაზი კანი ფოსფორს ეწებებოდა და ცეცხლს აქრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ ასანთს მოეკიდა და სიგარის სურნელოვანი ბოლი მოცახცახე, ფართო სუფრასავით გადაეფინა არყის ხის დაზნექილ ტოტებს ქვემოთ წამოზრდილ ბუჩქს. სერგეი ივანოვიჩმა თვალი გააყოლა სიგარის ბოლს, ნელი ნაბიჯით გასწია წინ და თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდა.

„რატომაც არა? – ფიქრობდა იგი, – ეს რომ წუთიერი აფეთქება ან ვნება იყოს, მხოლოდ მე რომ განვიცდიდე ამ გატაცებას, ამ ორმხრივ გატაცებას (მე შემიძლია ვთქვა, ორმხრივს-მეთქი), მაგრამ ვგრძნობდე, რომ ეს ეწინააღმდეგება ჩემი ცხოვრების მთელ ხასიათს, ვგრძნობდე, რომ თუ ამ გატაცებას მივეცემი, ამით ვუღალატებ ჩემს მოწოდებასა და მოვალეობას... მაგრამ ასე არ არის. ერთი რამ, რაც შემიძლია ვთქვა ამის საწინააღმდეგოდ, ისაა, რომ როცა დავკარგე Marie, სიტყვა მივეცი ჩემს თავს, არ მეღალატა მისი ხსოვნისთვის. მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა ჩემი გრძნობების საწინააღმდეგოდ... ეს მართლაც მნიშვნელოვანია“, – ეუბნებოდა თავის თავს სერგეი ივანოვიჩი და ამასთან, გრძნობდა, რომ ეს მოსაზრება მისთვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი და მხოლოდ სხვების თვალში შებღალავდა მის პოეტურ როლს. „გარდა ამისა, რამდენიც უნდა ვეძიო, ვერაფერს ვნახავ ისეთს, რომელიც საწინააღმდეგო იქნებოდა ჩემი გრძნობისა, მე რომ მხოლოდ გონებით ამომერჩია, უკეთესს ვერაფერს ვიპოვიდი“.

რამდენი ქალი და ქალიშვილი გაიხსენა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოიგონა ისეთი, რომელშიც შერწყმული იქნებოდა ყველა, სწორედ ყველა ის თვისება, რომელიც ცივი გონებით მსჯელობის დროს უნატრია ეხილა თავის მეუღლეში. ვარენკას ჰქონდა ახალგაზრდული სინორჩე და სიმშვენიერე, მაგრამ არცთუ ბავშვი იყო და თუ უყვარდა იგი, უყვარდა შეგნებულად, ისე როგორც უნდა უყვარდეს ქალს. ეს ერთი. მეორე: იგი არათუ შორს იდგა მაღალი საზოგადოებისაგან, არამედ, ალბათ, ეზიზღებოდა კიდეც ეს მაღალი საზოგადოება, მაგრამ ამასთან, იცნობდა მას და ჰქონდა კარგი საზოგადოების ქალის ის თვისებები, რომლის გარეშეც სერგეი ივანოვიჩი ვერ წარმოიდგენდა თავის ცხოვრების მეგობარს. მესამე: იგი მორწმუნე იყო, მაგრამ ისე ბავშვივით შეუცნობლად მორწმუნე და კეთილი როდი იყო, როგორც, მაგალითად, კიტი, არამედ მისი ცხოვრება ამ სარწმუნოებრივ შეხედულებებს ემყარებოდა. წვრილმანებშიც კი სერგეი ივანოვიჩი ვარენკაში ხედავდა იმას, რასაც ისურვებდა თავისი მეუღლისთვის; იგი მარტოხელა და ღარიბი იყო, ასე რომ, ვერ მოჰყვებოდა თან მთელი ბრბო ნათესავებისა და ვერც მოახდენდა გავლენას ქმრის ოჯახზე, როგორც ამას კიტისთან ხედავდა, არამედ ყოველმხრივ დამოკიდებული იქნებოდა ქმარზე, რისი მსურველიც ყოველთვის იყო სერგეი ივანოვიჩი, როცა თავის მომავალ ოჯახურ ცხოვრებაზე ფიქრობდა. და ამ ქალიშვილს, რომელიც ყველა ამ თვისებას აერთიანებდა, უყვარდა იგი. სერგეი ივანოვიჩი თავმდაბალი ადამიანი იყო, მაგრამ არ შეეძლო, არ შეემჩნია ეს. და მასაც უყვარდა იგი. ერთი რამ, რაც ხელს უშლიდა, ეს ასაკი იყო. მაგრამ მისი ჯიში გამძლე იყო; არც ერთი ჭაღარა არ ერია თმაში, ორმოც წელზე მეტსაც არავინ აძლევდა და ისიც ახსოვდა, როგორ თქვა ერთხელ ვარენკამ, მხოლოდ რუსეთში ხდება, ორმოცდაათი წლის მამაკაცები თავს მოხუცად რომ თვლიან, საფრანგეთში ორმოცდაათი წლის კაცს თავისი თავი მიაჩნია, როგორც dans la force de lâge,[19] ხოლო ორმოცი წლისას – როგორც un jeune homme.[20] მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა წლებს, როცა გულით ისეთივე ახალგაზრდა იყო, როგორიც ამ ოცი წლის წინ? განა ახალგაზრდობა არ იყო ის გრძნობა, რომელსაც განიცდიდა ახლა, როცა მეორე მხრიდან კვლავ ტყის ნაპირას გასულმა, თვალი ჰკიდა მზის ალმაცერი სხივებით გაბრწყინებულ ვარენკას ყვითელი კაბითა და კალათით ხელში, როცა მან მსუბუქი ნაბიჯით ჩაუარა ბებერ არყის ხეს და როცა ვარენკას

ხილვით გამოწვეული ეს შთაბეჭდილება შეერწყა გასაოცარი სილამაზის სანახაობას – მზის ალმაცერი სხივებით განათებულ გადაყვითლებულ ქერის ყანასა და შორს ყანის გადაღმა აღმართულ ყვითლად დაწინწკლულ, ლურჯ შორეთში ჩაძირულ ბებერ ტყეს – სერგეი ივანოვიჩს სიხარულისაგან გული შეეკუმშა და სიყვარულის გრძნობამ შეიპყრო. იგრძნო, რომ უკვე გადაწყდა ყველაფერი. ვარენკა ის იყო სოკოს მოსაწყვეტად დაიხარა, მოხდენილად წამოდგა და მიიხედ-მოიხედა. სერგეი ივანოვიჩმა სიგარა გადააგდო და მტკიცე ნაბიჯით გასწია მისკენ.

V

„ვარვარა ანდრეევნა, მე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როცა შევქმენი იდეალი ქალისა, რომელსაც შევიყვარებდი და ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ჩემი მეუღლე მეწოდებინა მისთვის. მე ცხოვრების გრძელი გზა განვვლე და პირველად ვიპოვე თქვენში ის, რასაც ვეძებდი. მე თქვენ მიყვარხართ და გთხოვთ ცოლად გამომყვეთ“.

სერგეი ივანოვიჩი ამას ამბობდა თავის გულში, როცა ათიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული ვარენკასაგან. ვარენკა დაჩოქილი იყო, ხელებით უმალავდა გრიშას სოკოს და პატარა მაშას ეძახდა.

– აქეთ, პატარებო, აქეთ! აქ ბევრია! – თავისი სასიამოვნო ხმით ეძახდა იგი ბავშვებს.

სერგეი ივანოვიჩის დანახვაზე ვარენკა არ წამომდგარა ფეხზე, არც თავისი მდგომარეობა შეუცვლია; მაგრამ სერგეი ივანოვიჩი მიხვდა, რომ ქალი გრძნობდა მის მოახლოებას და უხაროდა.

– რა ქენით, იპოვეთ რამე? – ჰკითხა ვარენკამ და მისკენ მოიბრუნა თეთრხილაბადიანი ლამაზი სახე, რომელსაც ნაზი ღიმილი გადაჰფენოდა.

– ვერც ერთი ცალი, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა, – თქვენ?

ვარენკამ არაფერი უპასუხა; იგი გართული იყო ბავშვებით, რომელნიც გარს შემოერტყნენ მას.

– აი ესეც, აგერ ტოტთან, – უთხრა მან პატარა მაშას და უჩვენა პაწაწკინტელა მჭადა სოკო, რომელსაც გაყვითლებული ბალახებიდან ამოეყო მკვრივი ვარდისფერი ქუდი. და როცა მაშამ ორ თეთრ ნაწილად გაყოფილი მჭადა სოკო აიღო, ვარენკა წამოდგა, – ჩემს ბავშვობას მაგონებს, – დასძინა მან, ბავშვებს მოსცილდა და სერგეი ივანოვიჩის გვერდით გაჩერდა.

მათ უხმოდ გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. ვარენკა ხედავდა, რომ სერგეი ივანოვიჩს რაღაცის თქმა უნდოდა, იმასაც ხვდებოდა, რისი თქმაც უნდოდა და სიხარულის, მღელვარებისა და შიშისაგან გული ეკუმშებოდა. ისინი ისე შორს იყვნენ, რომ მათ ნათქვამს უკვე ვეღარავინ გაიგონებდა, მაგრამ სერგეი ივანოვიჩი მაინც არაფერს ამბობდა. ვარენკასთვის კი დუმილი უკეთესი იყო. დუმილის შემდეგ უფრო იოლი იქნებოდა იმის თქმა, რაც მათ სურდათ, ვიდრე სოკოებზე ლაპარაკის შემდეგ; მაგრამ ვარენკას, წინააღმდეგ თავისი სურვილისა, თითქოს უცაბედად წამოსცდა: – მაშ, თქვენ ვერაფერი იპოვეთ? თუმცა, შუაგულ ტყეში სოკო ყოველთვის ნაკლებია.

სერგეი ივანოვიჩმა ამოიოხრა და არაფერი უპასუხა.

ეწყინა, რომ ვარენკამ სოკოებზე დაუწყო ლაპარაკი. უნდოდა ისევ პირველ ნათქვამს დაბრუნებოდა, ვარენკამ თავისი ბავშვობა რომ გაიხსენა, მაგრამ, თითქოს თავისი სურვილის წინააღმდეგ, რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, ისევ უკანასკნელად ნათქვამ სიტყვებზე უპასუხა.

– გამიგონია, თეთრა-სოკო უფრო ტყის პირას იცისო, თუმცა მე ვერც ვარჩევ თეთრა-სოკოს.

რამდენიმე წუთმა კიდევ გაიარა, ისინი კიდევ უფრო დაშორდნენ ბავშვებს და სრულიად განმარტოვდნენ. ვარენკას ისე უცემდა გული, რომ თვითონვე ესმოდა საკუთარი გულის ცემა და გრძნობდა, რომ ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა და ხან კი ისევ წითლდებოდა.

მას შემდეგ, რაც მან მადამ შტალთან განიცადა, უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნდა ცოლობა ისეთი კაცისა, როგორიც კოზნიშევი იყო. გარდა ამისა, თითქმის დარწმუნებული იყო, რომ უყვარდა სერგეი ივანოვიჩი და ყოველივე ეს ახლა უნდა

გადაწყვეტილიყო. მას შიშით ევსებოდა გული. აშინებდა ისიც, რის თქმასაც ელოდა, და ისიც, ვაითუ, არ მითხრასო.

ან ახლა უნდა ითქვას, ან არასოდეს, ამას გრძნობდა სერგეი ივანოვიჩიც. ვარენკას გამოხედვა, აწითლებული სახე, ძირს დახრილი თვალები, ყველაფერი იმის მანიშნებელი იყო, რომ იგი გულის ფანცქალით ელოდა. სერგეი ივანოვიჩი ხედავდა ამას და ებრალებოდა ვარენკა. იგი იმასაც კი გრძნობდა, რომ არაფრის თქმა ახლა შეურაცხმყოფელი იქნებოდა ვარენკასთვის. გონებაში სწრაფად იმეორებდა ყველა თავის მოსაზრებას ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ; იმეორებდა იმ სიტყვებსაც, რომლითაც უნდა გამოეთქვა თავისი სურვილი, მაგრამ ნაცვლად ამ სიტყვებისა, რაღაც მოულოდნელი მოსაზრების გამო, უეცრად ჰკითხა: – რა განსხვავებაა თეთრა-სოკოსა და არყა სოკოს შორის?

ვარენკას მღელვარებისაგან ტუჩები უთრთოდა, როცა უპასუხა: – ქუდი თითქმის ერთნაირი აქვთ, მხოლოდ ფესვშია განსხვავება, – და როგორც კი ეს სიტყვები ითქვა, ორივე მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა, რომ ის, რაც უნდა თქმულიყო, აღარ ითქმებოდა, და მათი მღელვარება, რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია, თანდათან განელდა.

– არყა სოკოს ფესვები შავგვრემანი კაცის ორი დღის გაუპარსავ წვერს ჰგავს, – თქვა უკვე დამშვიდებულმა სერგეი ივანოვიჩმა.

– დიახ, ეს მართალია, – ღიმილით უპასუხა ვარენკამ და უეცრად მათი სეირნობის გეზიც შეიცვალა. ისინი ახლა ბავშვებს უახლოვდებოდნენ. ვარენკას გულიც სტკიოდა და რცხვენოდა კიდეც, მაგრამ ამავე დროს თითქოს რაღაც შვებასაც გრძნობდა.

როცა შინ დაბრუნდნენ და სერგეი ივანოვიჩი გონებაში კვლავ ჩაუფიქრდა ყველა თავის მოსაზრებას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი მსჯელობა სამართლიანი არ იყო; იგი ვერ უღალატებდა Marie-ს ხსოვნას.

– ნელა, ბავშვებო, ნელა, – თითქმის გაბრაზებით დაუძახა ლევინმა ბავშვებს, როცა ისინი სიხარულის ჟივილ-ხივილით გამოექანენ მათ შესაგებებლად და წინ ჩამოეფარა ცოლს, რათა დაეცვა იგი ბავშვებისაგან.

ბავშვების შემდეგ სერგეი ივანოვიჩი და ვარენკაც გამოვიდნენ

ტყიდან. კიტისთვის საჭირო აღარ იყო ეკითხა რამე ვარენკასთვის; მათ დამშვიდებულ და რამდენადმე დარცხვენილი სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ მისი გეგმა არ აცხადდა.

– აბა, როგორ არის საქმე? – ჰკითხა ქმარმა, როცა შინ ბრუნდებოდნენ.

– არ გამოდის, – უთხრა კიტიმ და ღიმილითა და ლაპარაკის კილოთი მამას დაემსგავსა, რაც ლევინს ხშირად სიამოვნებით შეუნიშნავს მისთვის.

– როგორ არ გამოდის?

– აი, ასე, – უთხრა მან, ხელი მოჰკიდა ქმრის ხელს და მხოლოდ ტუჩებით შეეხო, ისე, როგორც არქიელს ემთხვევიან ხოლმე ხელზე.

– რომელს არ გამოსდის? – სიცილით ჰკითხა ლევინმა.

– არც ერთს და არც მეორეს. საჭირო კია, აი, ასე...

– გლეხები მოდიან...

– არა, იმათ არ დაუნახავთ.

VI

ბავშვების ჩაის დროს უფროსები აივანზე ისხდნენ და ისე მუსაიფობდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო. თუმცა ყველამ, განსაკუთრებით კი სერგეი ივანოვიჩმა და ვარენკამ, ძალიან კარგად იცოდა, რომ მოხდა უარყოფითი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რამ. მათ, სერგეი ივანოვიჩსა და ვარენკას, ორივეს ერთნაირი გრძნობა დაუფლებოდა, იმის მსგავსი, რასაც განიცდის გამოცდაზე ჩაჭრილი მოწაფე, რომელიც იმავე კლასში დარჩა, ან სრულიად გამოირიცხა სასწავლებლიდან. ყველა იქ მყოფი თუმცა გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი, მაინც გაცხოველებულ საუბარს განაგრძობდნენ სულ სხვა საგანზე. ლევინსა და კიტის

განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი და ბედნიერები იყვნენ ამ საღამოს. და რომ ისინი ბედნიერები იყვნენ თავიანთი სიყვარულით, ეს რაღაც არასასიამოვნო ქარაგმა იყო იმათ მიმართ, რომელთაც იგივე სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს და დარცხვენილნი იყვნენ ამის გამო.

– დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: Alexandre არ ჩამოვა, – თქვა მოხუცმა თავადის მეუღლემ.

ამ საღამოს სტეპან არკადიჩს ელოდნენ მატარებლით და მოხუცი თავადიც იწერებოდა, შეიძლება მეც ჩამოვიდეო.

– და ვიცი, რატომაც არ ჩამოვა, – განაგრძო თავადის მეუღლემ, – ამბობს, ახალშეუღლებულნი პირველ ხანებში მარტონი უნდა იყვნენო.

– ჰოდა, ასე მიგვატოვა მამამ. აღარც გვინახავს იგი, – თქვა კიტიმ, – ან რაღა ახალშეუღლებულნი ვართ, უკვე მოვხუცდით.

– ის თუ არ ჩამოვიდა, მეც გამოგეთხოვებით, შვილებო, – თქვა თავადის მეუღლემ და ნაღვლიანად ამოიოხრა.

– თქვენ რატომ წახვალთ, დედა? – ერთხმად შესძახა ორივე ქალიშვილმა.

– აბა, იფიქრეთ, როგორ იქნება იგი? ახლა ხომ... – და უეცრად სრულიად მოულოდნელად მოხუც თავადის მეუღლეს ხმა აუთრთოლდა. ქალიშვილები გაჩუმდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

„Maman ყოველთვის გამონახავს სადარდებელს“, – თქვეს ამ გადახედვით. მათ არ იცოდნენ, რომ მართალია, თავადის მეუღლე კარგად გრძნობდა თავს ქალიშვილებთან, ისიც იცოდა, რომ მისი აქ ყოფნა საჭირო იყო, მაგრამ ისიც და მისი ქმარიც დიდად მოწყენილები იყვნენ მას შემდეგ, რაც უკანასკნელი საყვარელი ქალიშვილიც გაათხოვეს და ოჯახური ბუდე დაცარიელდა.

– რა გინდათ, აგაფია მიხაილოვნა? – ჰკითხა უცებ კიტიმ აგაფია მიხაილოვნას, რომელიც იქვე გაჩერებულიყო და რაღაც იდუმალი, მნიშვნელოვანი სახის გამომეტყველება ჰქონდა.

– ვახშმის შესახებ გეახელით.

– ჰოდა, ძალიან კარგი, – თქვა დოლიმ, – შენ ვახშმის თადარიგს

შეუდექი, მე კი გრიშას წავიყვან და გაკვეთილს გავამეორებინებ, თორემ დღეს არაფერი გაუკეთებია.

– გაკვეთილს მე გავამეორებინებ, დოლი, მე წავალ, – თქვა ლევინმა და წამოდგა.

გრიშას, რომელიც უკვე გიმნაზიაში შედიოდა, ამ ზაფხულს უნდა გაემეორებინა გაკვეთილები. დარია ალექსანდროვნამ, რომელიც ჯერ კიდევ მოსკოვში შვილთან ერთად სწავლობდა ლათინურ ენას, ლევინებთან ჩამოსვლის შემდეგ წესად დაიდო, დღეში ერთხელ გრიშასთან ერთად გაემეორებინა ყველაზე ძნელი გაკვეთილები. არითმეტიკასა და ლათინურ ენაში ლევინმა იკისრა შეეცვალა დოლი, მაგრამ დოლიმ, რომელმაც ერთხელ მოისმინა გაკვეთილები და შენიშნა, ლევინი ამას ისე არ აკეთებდა, როგორც მოსკოვში ამეორებინებდა მასწავლებელი, მორიდებით, რათა არ ეწყენინებინა ლევინისთვის, განუცხადა, საჭიროა წიგნის მიხედვით გავამეორებინო და უკეთესი იქნება თვითონ მოვკიდო ხელი ამ საქმესო. ლევინს ჯავრი მოსდიოდა სტეპან არკადიჩზე მისი უდარდელობის გამო, თვითონ რომ არ ერეოდა შვილის სწავლის საქმეში და ანდობდა ამ საქმეს დედას, რომელსაც არაფერი გაეგებოდა ამისა, ჯავრი მოსდიოდა თვით მასწავლებლებზეც, რომელნიც ასე ცუდად ასწავლიდნენ ბავშვებს; ცოლისდას კი დაჰპირდა, ისე ვასწავლი გრიშას, როგორც შენ გსურსო, და იგი ახლა თავისებურად კი არა, წიგნის მიხედვით ამეცადინებდა, ამიტომაც აღარ ეხალისებოდა და ხშირად ავიწყდებოდა გაკვეთილის დრო. ასე დაემართა დღესაც.

– არა, დოლი, მე წავალ, შენ დაჯექი, – უთხრა მან, – ჩვენ ყველაფერს წესიერად, წიგნის მიხედვით ვიმეცადინებთ. მხოლოდ აი, სტივა რომ ჩამოვა, სანადიროდ წავალთ და მაშინ გაგვიცდება გაკვეთილები.

და ლევინი გრიშასთან წავიდა.

ვარენკამაც იგივე უთხრა კიტის. იგი ლევინების ბედნიერ, კეთილმოწყობილ სახლშიც კი ახერხებდა სასარგებლო ყოფილიყო.

– ვახშამს მე შევუკვეთ, თქვენ იყავით, – უთხრა მან, წამოდგა და აგაფია მიხაილოვნას გაჰყვა.

– ჰო, ჰო, ალბათ, წიწილები ვერ იპოვეს. მაშინ ჩვენი... – თქვა კიტიმ.

– მე და აგაფია მიხაილოვნა გადავწყვეტთ ამას, – და ვარენკა აგაფია მიხაილოვნასთან ერთად თვალს მიეფარა.

– რა საყვარელი გოგონაა, – შენიშნა თავადის მეუღლემ.

– საყვარელი კი არა, maman, შესანიშნავია, ასეთებს ძნელად იპოვით.

– მაშ, თქვენ დღეს ელოდებით სტეპან არკადიჩს? – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, რომელსაც უთუოდ არ უნდოდა ვარენკაზე ლაპარაკის გაგრძელება, – იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ქვისლებს, ასე განსხვავებულნი რომ იყვნენ ერთმანეთისაგან, – ღიმილით შენიშნა მან, – ერთია სიცოცხლით სავსე, რომელიც მხოლოდ საზოგადოებაში გრძნობს თავს ისე, როგორც თევზი წყალში; მეორე კი ჩვენი კოსტია, სიცოცხლით სავსეც არის, სწრაფიც, გულისხმიერიც, მაგრამ, როგორც კი საზოგადოებაში მოხვდება, ან სულ გაირინდება, ანდა ისე უაზროდ აფართხალდება, როგორც თევზი რიყეზე.

– დიახ, მეტისმეტად არასერიოზულია, – მიმართა თავადის მეუღლემ სერგეი ივანოვიჩს, – მე სწორედ მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, მოლაპარაკებოდით, მისთვის (მან კიტიზე ანიშნა) შეუძლებელია აქ დარჩენა, უსათუოდ უნდა წამოვიდეს მოსკოვში, თქვენი ძმა კი ამბობს, ექიმებს გამოვიწერო...

– Maman, კოსტია ყველაფერს გააკეთებს, იგი ყველაფერზე თანახმაა, – თქვა კიტიმ, განაწყენებულმა, რომ დედა სერგეი ივანოვიჩს იხმობდა ამ საქმეში მსაჯულად.

შუა საუბარში იყვნენ, როცა ხეივანში ცხენის ფრუტუნისა და სილაზე ეტლის თვლების ხმაური გაისმა.

დოლიმ ვერც კი მოასწრო ფეხზე წამოდგომა, რათა ქმარს მიგებებოდა, რომ ქვევით, იმ ოთახის ფანჯრიდან, სადაც გრიშა სწავლობდა ხოლმე, ლევინი გადმოხტა და გრიშაც გადმოსვა.

– ეს სტივაა! – აივნის ქვევიდან ამოსძახა ლევინმა, – ჩვენ უკვე მოვათავეთ, დოლი, ნუ გეშინია, – დასძინა მან და პატარა ბიჭივით გაიქცა ხეივანში ეტლის შესაგებებლად.

– Is, ea, id, ejus, ejus, ejus,[21] – გაჰყვიროდა გრიშა და ხტუნვით

მირბოდა ხეივანში.

– კიდევ ვიღაც არის. ალბათ, მამაა! – დაიძახა ლევინმა და ხეივნის შესასვლელთან გაჩერდა, – კიტი, ხვეული კიბით ნუ ჩამოხვალ, გარშემო მოუარე.

მაგრამ ლევინი მოტყუვდა, როცა ეტლში მჯდომი კაცი მოხუცი თავადი ეგონა. ეტლი რომ მოახლოვდა, დაინახა, რომ სტეპან არკადიჩის გვერდით იჯდა არა მოხუცი თავადი, არამედ ვიღაც ლამაზი, ჩასუქებული ახალგაზრდა, შოტლანდიური ქუდით და უკან გადაგდებული გრძელი ლენტებით. ეს გახლდათ შჩერბაცკების შორეული ბიძაშვილი ვასენკა ვესლოვსკი – პეტერბურგისა და მოსკოვის ბრწყინვალე ახალგაზრდა, „უშესანიშნავესი ყმაწვილი და თავდავიწყებული მონადირე“, როგორც წარადგინა სტეპან არკადიჩმა.

ვესლოვსკის სულაც არაფრად ჩაუგდია, მოხუც თავადად რომ მიიჩნიეს და ეწყინათ, ის რომ არ აღმოჩნდა, მაინც მხიარულად მიესალმა ლევინს, ძველი ნაცნობობა გაახსენა, შემდეგ ხელი მოხვია გრიშას და ეტლში აიყვანა, თავზე გადაატარა პოინტერს, რომელიც სტეპან არკადიჩს წამოეყვანა.

ლევინი ეტლში აღარ ჩამჯდარა და ფეხით გაჰყვა უკან, მას ცოტა არ იყოს ეწყინა, რომ არ ჩამოვიდა მოხუცი თავადი, რომელიც, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად უყვარდა და რომ მის მაგივრად ჩამოვიდა ვასენკა ვესლოვსკი, სრულიად უცხო და ზედმეტი ადამიანი. კიდევ უფრო უცხოდ და ზედმეტად მოეჩვენა იგი ლევინს, როცა დაინახა, პარმაღთან, სადაც თავი მოეყარა ყველას – დიდსა თუ პატარას, როგორი განსაკუთრებული ალერსითა და მოკრძალებით აკოცა კიტის ხელზე.

– მე და თქვენი მეუღლე cousins[22] და ძველი ნაცნობები ვართ, – უთხრა ლევინს ვასენკა ვესლოვსკიმ და კვლავ ენერგიულად ჩამოართვა ხელი.

– აბა, რას იტყვი, გარეული ფრინველი თუ არის? – მიუბრუნდა ლევინს სტეპან არკადიჩი, რომელიც ძლივსღა ასწრებდა ყველასთვის ეთქვა რაღაც, – მე და ვასენკას სასტიკი განზრახვები გვაქვს. როგორ არა, maman, ისინი მას შემდეგ აღარ ყოფილან მოსკოვში... აჰა, ტანია, ესეც შენ. ამოიღე, გეთაყვა, უკან არის ეტლში, – ყველას ერთდროულად ესაუბრებოდა იგი, – როგორ მოკეთებულხარ, დოლენკა, – უთხრა ცოლს, ერთხელ

კიდევ აკოცა ხელზე და აღარ გაუშვა, ხელით მიუალერსა ხელზე.

ლევინი, რომელიც ამ ერთი წუთის წინ ისეთ მხიარულ გუნებაზე იყო, ახლა დაღონებული შეჰყურებდა ყველას და აღარ მოსწონდა ყოველივე ეს.

„ნეტავ ვის კოცნიდა გუშინ ამ ტუჩებით?“ – გაიფიქრა მან, როცა დაინახა, როგორ ეალერსებოდა ცოლს სტეპან არკადიჩი. მერე დოლის გახედა და ისიც აღარ მოეწონა.

„მას ხომ არა სჯერა მისი სიყვარული. მაშ, რაღა ახარებს ასე? საძაგლობაა!“ – ფიქრობდა ლევინი.

მერე ლევინმა თავადის მეუღლეს გადახედა, რომელიც ასე მოსწონდა ამ ერთი წუთის წინ, და აღარ მოეწონა მისი მანერა, როგორ მიეგება იგი ამ ლენტებიან ვასენკას, ისე, როგორც თავის სახლში იცოდა ხოლმე.

პარმაღზე გამოსული სერგეი ივანოვიჩიც კი არასასიამოვნოდ ეჩვენა. ისიც ისეთივე თვალთმაქცური გულითადობით მიეგება სტეპან არკადიჩს, თუმცა ლევინმა იცოდა, რომ მის ძმას არ უყვარდა ობლონსკი და არც პატივსა სცემდა.

ვარენკაც საძაგელი ეჩვენა იმით, თუ როგორი sainte nitouche[23] გამომეტყველებით ეცნობოდა ამ ვაჟბატონებს, იმ დროს, როცა გულში მხოლოდ გათხოვებაზე ფიქრობდა.

და ყველაზე საძაგელი იყო კიტი. ისიც ასევე დაემორჩილა მხიარულების ამ ტონს, რომელსაც ქმნიდა ეს ვაჟბატონი, დიდ დღესასწაულად რომ მიიჩნევდა თავის სოფლად ჩამოსვლას თავისთვისაც და სხვებისთვისაც; ყველაზე უფრო არასასიამოვნო იყო ის განსაკუთრებული ღიმილი, რითაც კიტიმ ვესლოვსკის ღიმილს უპასუხა.

ყველანი ხმამაღალი საუბრით წავიდნენ სახლისაკენ; და როგორც კი დასხდნენ, ლევინი მაშინვე შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

კიტიმ შენიშნა, რომ მის ქმარს რაღაც დაემართა. უნდოდა როგორმე გამოენახა ერთი წუთი მასთან ცალკე სალაპარაკოდ, მაგრამ ლევინი საჩქაროდ გაშორდა მას და უთხრა, კანტორაში მაქვს საქმეო. დიდი ხანია ლევინს თავისი სამეურნეო საქმეები ისე მნიშვნელოვნად აღარ მოსჩვენებია, როგორც დღეს. „ამათ

იქ სულ დღესასწაული აქვთ, – ფიქრობდა იგი, – აქ კი სადღესასწაულოდ არ იცდის საქმე, ურომლისოდაც შეუძლებელია ცხოვრება“.

VII

ლევინი მხოლოდ მაშინ დაბრუნდა შინ, როცა მსახური გაუგზავნეს, ვახშმად მოდიო. კიბეზე კიტი და აგაფია მიხაილოვნა იდგნენ და ბჭობდნენ, რომელი ღვინო მიეტანათ ვახშამზე.

– რატომ ქმნით ასეთი fuss[24]-ს? მიიტანეთ ის, რაც ჩვეულებრივ მიგაქვთ ხოლმე.

– არა, სტივა არა სვამს... კოსტია, მოიცადე, რა დაგემართა? – მიაძახა კიტიმ და შეეცადა, წამოსწეოდა ქმარს, მაგრამ ქმარმა არ შეიბრალა იგი, არ დაუცადა, ფართო ნაბიჯით გასწია სასადილოსაკენ, და მაშინვე ჩაება საერთო გაცხოველებულ საუბარში, რომელიც სტეპან არკადიჩსა და ვესლოვსკის წამოეწყოთ.

– მაშ, მივდივართ ხვალ სანადიროდ? – თქვა სტეპან არკადიჩმა.

– ძალიან გთხოვთ, წავიდეთ, – დაატანა ვესლოვსკიმ, მეორე სკამზე გადაჯდა და ქვეშ შემოიკეცა თავისი მსუქანი ფეხი.

– მე მოხარული ვარ, წავიდეთ. თქვენ წელს უკვე ინადირეთ? – ჰკითხა ლევინმა ვესლოვსკის, თან ყურადღებითა და თავისებური თვალთმაქცური სიამოვნებით შეათვალიერა ვესლოვსკის ფეხი. ქმრის ამ თვისებას კარგად იცნობდა კიტი და არ მოსწონდა, – არ ვიცი ლაინებს ვნახავთ თუ არა, ჩიბუხა კი ბევრია. მხოლოდ ადრიანად უნდა წავიდეთ. თქვენ ხომ არ დაიღლებით? შენ ხომ არ დაღლილხარ, სტივა?

– დაღლა რა სალაპარაკოა! განა დავღლილვარ ოდესმე? მოდი, სულ ნუ დავიძინებთ ამაღამ, სასეირნოდ წავიდეთ!

– მოდი, მართლაც ნუ დავიძინებთ! შესანიშნავი იქნება! – კვერი დაუკრა ვესლოვსკიმ.

– ო, ამაში დარწმუნებული ვარ. შეგიძლია არც შენ დაიძინო და არც სხვა მოასვენო, – უთხრა დოლიმ ქმარს ოდნავ შესამჩნევი ირონიით. ახლა თითქმის ყოველთვის ასე ელაპარაკებოდა ქმარს... – ჩემი აზრით, უკვე ძილის დროა... მე წავალ, ვახშამს აღარ დავუცდი.

– არა, დოლენკა, ცოტა ხანს მოიცადე, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და მის გვერდით გადაჯდა დიდ მაგიდასთან, სადაც ვახშამი უნდა გაეშალათ, – მე კიდევ ბევრი რამ მაქვს საამბობი.

– უფრო სწორად, არაფერი.

– შენ იცი, ვესლოვსკი იყო ანასთან. ახლაც მათთან აპირებს წასვლას. ისინი ხომ სულ სამოცდაათი ვერსით არიან დაშორებული თქვენგან. მეც აუცილებლად წავალ. ვესლოვსკი, მოდი აქ!

ვასენკა მანდილოსნებთან გადმოვიდა და კიტის გვერდით დაჯდა.

– ოჰ, გვიამბეთ, გეთაყვა, თქვენ იყავით ანასთან? როგორ არის? – მიუბრუნდა მას დარია ალექსანდროვნა.

ლევინი მაგიდის მეორე მხარეს დარჩა, რაღაცას ელაპარაკებოდა თავადის მეუღლესა და ვარენკას და თან უყურებდა, როგორი საიდუმლო, გაცხოველებული საუბარი გაიბა სტეპან არკადიჩის, დოლის, კიტისა და ვესლოვსკის შორის. ეს კიდევ არაფერი, რომ საიდუმლო ლაპარაკი გაიბა, ლევინი ცოლის სახეზე ხედავდა სერიოზული გრძნობის ნიშანს, როცა იგი თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა ვასენკას ლამაზ სახეს, რომელიც გამალებით ჰყვებოდა რაღაცას.

– ძალიან კარგად ცხოვრობენ, – ჰყვებოდა ვასენკა ანასა და ვრონსკის შესახებ, – მე, რა თქმა უნდა, ამის მსაჯულად ვერ გამოვდგები, მაგრამ მათ სახლში ისე გრძნობ თავს, როგორც საკუთარ ოჯახში.

– ნეტავ რას აპირებენ?

– ამ ზამთრისთვის, მგონი, მოსკოვში აპირებენ გამგზავრებას.

– რა კარგი იქნებოდა, ერთად ჩავსულიყავით მათთან! შენ როდის აპირებ წასვლას? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა ვასენკას.

– მე ივლისს მათთან გავატარებ.

– შენც ხომ წამოხვალ? – მიუბრუნდა სტეპან არკადიჩი ცოლს.

– მე დიდი ხანია ვაპირებდი წასვლას და აუცილებლად წამოვალ, – თქვა დოლიმ, – მე ვიცნობ ანას და მებრალება იგი. ანა შესანიშნავი ქალია. მე მარტო წავალ, როცა შენ აქ არ იქნები და ამით არავის შევაწუხებ. უშენოდ უკეთესიც იქნება.

– ჰოდა, ძალიან კარგი, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – შენ არ წამოხვალ, კიტი?

– მე? მე რატომ უნდა წამოვიდე? – უთხრა კიტიმ, სულ ერთიანად წამოწითლდა და ქმრისკენ გაიხედა.

– თქვენ იცნობთ ანა არკადიევნას? – ჰკითხა კიტის ვესლოვსკიმ, – მეტისმეტად მომხიბლავი ქალია.

– დიახ, ვიცნობ, – უპასუხა კიტიმ ვესლოვსკის, უფრო მეტად გაწითლდა, ფეხზე წამოდგა და ქმართან მივიდა.

– მაშ, შენ ხვალ წახვალ სანადიროდ? – ჰკითხა მან ქმარს.

ლევინის ეჭვიანობამ ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კიტის ასეთმა სიწითლემ გადაჰკრა სახეზე ვესლოვსკისთან საუბრის დროს, უმაღლეს საზღვარს მიაღწია. ახლა, როცა იგი კიტის სიტყვებს ისმენდა, უკვე თავისებურად ესმოდა ეს სიტყვები, თუმცა შემდეგ, როცა გაიხსენებდა ხოლმე ამას, უცნაურად ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა კი ნათლად ხედავდა, რომ კიტი მხოლოდ იმიტომ კითხულობდა სანადიროდ წასვლის ამბავს, რათა შეეტყო, მიანიჭებდა თუ არა ამ სიამოვნებას ვასენკა ვესლოვსკის, რომელიც, ლევინის აზრით, უკვე უყვარდა კიტის.

– დიახ, წავალ, – არაბუნებრივი, თავისი თავისთვისაც კი არასასიამოვნო ხმით უპასუხა ლევინმა.

– უკეთესი იქნება, ხვალინდელი დღე აქ გაატაროთ, თორემ დოლის თითქმის არ უნახავს ქმარი, ზეგ კი წადით, – უთხრა კიტიმ.

კიტის სიტყვების აზრს ლევინი უკვე ასე თარგმნიდა: „ნუ გამაშორებ მასთან. შენ წახვალ თუ არა, ეს ჩემთვის სულერთია. მაგრამ მომეცი საშუალება დავტკბე ამ მშვენიერი ახალგაზრდა კაცის საზოგადოებით“.

– ჰო, შენ თუ გინდა, ხვალ დავრჩებით აქ, – განსაკუთრებული

თავაზიანობით უთხრა ლევინმა.

ამასობაში ვასენკა, რომელმაც ეჭვითაც არ იცოდა, თავის იქ ყოფნით რა ტანჯვას აყენებდა სხვას, კიტის წამოდგომისთანავე თვითონაც წამოდგა მაგიდიდან, მოღიმარი, ალერსიანი მზერა გამოაყოლა მას და უკან გაჰყვა.

ლევინმა შენიშნა ეს მზერა. იგი გაფითრდა, წუთით სუნთქვაც კი შეეკრა. „როგორ აძლევს თავის თავს იმის უფლებას, რომ ასეთი თვალით შეხედოს ჩემს ცოლს!“ – ცეცხლი ედებოდა ლევინს.

– მაშ, ხვალ წავალთ? აუცილებლად წავიდეთ, – თქვა ვასენკამ, სკამზე ჩამოჯდა და თავისი ჩვეულებისამებრ ფეხი ისევ ქვეშ შემოიკეცა.

ლევინის ეჭვიანობა კიდევ უფრო შორს წავიდა. მან უკვე წარმოიდგინა თავი მოტყუებულ ქმრად, რომელიც მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ ცოლსა და მის საყვარელს, რომ ცხოვრების სათანადო პირობები შეუქმნას და სიამოვნება მიანიჭოს მათ... მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ალერსიანი, სტუმართმოყვარე ტონით ელაპარაკებოდა ვასენკას, ეკითხებოდა ნადირობის, იარაღისა და ჩექმის ამბავს და დათანხმდა კიდეც, ხვალ წასულიყვნენ სანადიროდ.

ლევინის საბედნიეროდ მოხუცმა თავადის მეუღლემ ბოლო მოუღო მის ტანჯვას, თვითონაც წამოდგა წასასვლელად და კიტისაც ურჩია, წასულიყო დასაძინებლად. მაგრამ ამანაც ვერ ჩაიარა ისე, რომ ლევინს ახალი ტანჯვა არ განეცადა. დიასახლისთან გამომშვიდობებისას ვასენკას უნდოდა ისევ ეკოცნა მისთვის ხელზე, მაგრამ აწითლებულმა კიტიმ გულუბრყვილო სიტლანქით, რისთვისაც შემდეგ საყვედური უთხრა დედამ, აარიდა მას ხელი და უთხრა: – ეს ჩვენთან მიღებული არ არის.

ლევინის თვალში კიტი დამნაშავე იყო, რომ ასეთი დამოკიდებულების უფლება მისცა ვესლოვსკის, კიდევ უფრო დამნაშავე იყო იმის გამო, რომ ასე უხერხულად გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება.

– აბა, როგორ შეიძლება ახლა ძილი! – განაცხადა სტეპან არკადიჩმა, როცა ვახშამზე რამდენიმე ჭიქა ღვინო გამოცალა და თავისებურ სასიამოვნო, პოეტურ გუნებაზე დადგა, – უყურე,

კიტი, – ეუბნებოდა იგი კიტის და ცაცხვების თავზე ამობურცულ მთვარეზე მიუთითებდა, – რა მშვენიერია! ვესლოვსკი, აი, ახლაა სერენადების დრო. შენ იცი, ვასენკას შესანიშნავი ხმა აქვს, გზაში ერთად ვმღეროდით. თან აქვს წამოღებული მშვენიერი რომანსები. ორი სულ ახალია. კარგი იყო, ვარვარა ანდრეევნასთან ერთად გვემღერა.

როცა ყველანი დაიშალნენ, სტეპან არკადიჩი და ვესლოვსკი კიდევ დიდხანს დასეირნობდნენ ხეივანში და ხმაშეწყობილად მღეროდნენ ახალ რომანსებს.

ლევინი მოღუშული იჯდა სავარძელში ცოლის საწოლ ოთახში, ყურს უგდებდა მათ სიმღერას და ჯიუტად დუმდა ცოლის შეკითხვაზე, რა დაგემართაო; მაგრამ ბოლოს, როცა თვით კიტიმ გაუბედავი ღიმილით ჰკითხა, იქნებ ვესლოვსკის საქციელში რაიმე არ მოგეწონაო, თავი ვეღარ შეიკავა და ყველაფერი უთხრა. და რაკი მისი ნათქვამი თვითონ მასვე შეურაცხყოფდა, კიდევ უფრო მეტად ბრაზობდა.

ლევინი კოპშეკრული იდგა კიტის წინ, თვალები საშინლად უელავდა, თან მთელი ძალ-ღონით ხელებს მკერდზე იჭერდა, თითქოს ამით ცდილობდა თავის შეკავებას. მისი სახე მკაცრი და შეუბრალებელი იყო, მაგრამ ამასთან, სახეზე ტანჯვაც ეხატებოდა და ამან შეაშფოთა კიტი. ლევინს ყბები უკანკალებდა, ხმა უწყდებოდა.

– გამიგე, მე არ ვეჭვიანობ... ეს საძაგელი სიტყვაა! არ შემიძლია ვიეჭვიანო და დავიჯერო, რომ... არ შემიძლია გითხრა, რასაც ვგრძნობ, მაგრამ ეს საშინელებაა... მე არ ვეჭვიანობ, მაგრამ შეურაცხყოფილი და დამცირებული ვარ, რომ ვიღაც ბედავს ასე იფიქროს, ასეთი თვალებით შემოგხედოს შენ...

– მაინც როგორი თვალებით? – ეუბნებოდა კიტი და ცდილობდა, რაც შეიძლება კეთილსინდისიერად გაეხსენებინა ამ საღამოს თქმული ყოველი სიტყვა, ყოველი საქციელი და მათი მნიშვნელობა.

კიტი გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა სწორედ იმ წუთს, როცა ვესლოვსკი უკან გამოჰყვა მას მაგიდის მეორე მხარეს, მაგრამ ამის გამჟღავნებას თავისი თავის წინაშეც ვერ ბედავდა. მით უმეტეს, ვერ გაუმხელდა ქმარს და ამით ვერ გააძლიერებდა მის ტანჯვას.

– ან რა ნახა ჩემში მომხიბვლელი, რას წარმოვადგენ მე?..

– აჰ! – წამოიძახა ლევინმა და თმაში იტაცა ხელი, – ნუღარ ამბობ მაინც... მაშასადამე, მომხიბვლელი რომ იყო, მაშინ...

– ოჰ, არა, კოსტია, დაიცადე, მომისმინე! – ეუბნებოდა კიტი და შეწუხებული თანაგრძნობით შეჰყურებდა, – აბა, რა შეგიძლია იფიქრო, როცა ჩემთვის არ არსებობს არავინ, არავინ, არავინ არ არსებობს.... შენ იქნებ გინდა, რომ აღარავინ დავინახო?

პირველად კიტისთვის შეურაცხმყოფელი იყო ლევინის ეჭვიანობა; სწყინდა, რომ ასეთი უმნიშვნელო, ასეთი მიამიტური გართობაც კი აკრძალული ჰქონდა; ახლა კი დიდი სიამოვნებით დათმობდა არა მარტო ამას, დათმობდა ყველაფერს, ოღონდაც დაემშვიდებინა ქმარი, ოღონდაც აერიდებინა მისთვის ეს ტანჯვა.

– შენ წარმოიდგინე, რა საშინელ, რა კომიკურ მდგომარეობაში ვარ, – სასოწარკვეთილი ჩურჩულით განაგრძობდა ლევინი, – ის ხომ ჩემს სახლშია, მაინცდამაინც უწესოც არაფერი ჩაუდენია, გარდა ამ მოურიდებლობისა და ფეხის შემოკეცვისა, ეს კი მას საუკეთესო ტონად მიაჩნია და ამიტომაც მეც თავაზიანი უნდა ვიყო მასთან.

– არა, კოსტია, შენ აჭარბებ, – ეუბნებოდა კიტი, გულში კი ხარობდა იმ ძლიერი სიყვარულით, რომელიც ქმრის ეჭვიანობაში იხატებოდა.

– ყველაზე საშინელი ის არის, რომ შენ, როგორც ყოველთვის, ახლაც ისეთი წმიდათაწმიდა ხარ ჩემთვის; როცა ასეთი ბედნიერები, ასეთი განსაკუთრებით ბედნიერები ვართ და უცებ ვიღაც საძაგელი... არა, საძაგელი კი არა, მას რატომ ვლანძღავ? მასთან რა მესაქმება! მაგრამ რისთვის იღუპება ჩემი და შენი ბედნიერება?

– იცი, მე მივხვდი რატომაც მოხდა ეს, – დაიწყო კიტიმ.

– რატომ? რატომ მოხდა?

– მე შევნიშნე, როგორ შემოგვყურებდი შენ, როცა ნავახშმევს ვსაუბრობდით.

– ჰო, მერე, მერე, – ეუბნებოდა შეშინებული ლევინი.

კიტიმ უამბო ლევინს, რაზედაც ლაპარაკობდნენ. და როცა ამას

უამბობდა, სუნთქვა ეკვროდა მღელვარებისაგან. ლევინი გაჩუმდა, შემდეგ კიტის გაფითრებულ, შეშინებულ სახეს დააცქერდა და უცებ თავში იტაცა ხელი.

– კატია, მე შენ დაგტანჯე! მაპატიე, ჩემო კარგო! ეს სიგიჟეა! კატია, მე ყოველმხრივ დამნაშავე ვარ. განა შეიძლებოდა ასეთი სისულელისთვის ასეთი ტანჯვა?

– არა, მე შენ მებრალები.

– მე? მე გებრალები? მე რა? მე გიჟი ვარ... შენ რისთვის იტანჯები? საშინელებაა იმის ფიქრი, რომ ყოველ უცხო ადამიანს შეუძლია დაარღვიოს ჩვენი ბედნიერება.

– აი, სწორედ ეს არის შეურაცხმყოფელი.

– არა, მე მას განზრახ დავტოვებ აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში და სულ ფიანდაზად გავეშლები, – ეუბნებოდა ლევინი და ხელებზე კოცნიდა, – აი, ნახე. ხვალ... ჰო, მართლა ხვალ ხომ მივდივართ.

VIII

მეორე დღეს მანდილოსნები ჯერ კიდევ არ ამდგარიყვნენ, რომ სადარბაზო კართან უკვე იდგნენ წასასვლელად გამზადებული ეტლები, ურიკები და საზიდრები; ლასკაც დილიდანვე მიხვდა, სანადიროდ მიდიანო, ხტუნვითა და წკმუტუნით გულშეჯერებული მეეტლის გვერდით იჯდა ურიკაზე და განაწყენებული შეჰყურებდა კარს, საიდანაც ჯერ არ გამოდიოდნენ მონადირენი. პირველი გამოვიდა ვასენკა ვესლოვსკი, მას ახლა დიდი ჩექმა ეცვა, რომელიც თითქმის შუამდე სწვდებოდა მსუქან ბარძაყებზე; მწვანე ხალათზე შემოჭერილი ჰქონდა ახალთახალი სავაზნე, რომელსაც ჯერ კიდევ ტყავის სუნი ასდიოდა, თავზე ისევ ის ლენტებიანი ქუდი ეხურა, ხელში კი უაშურმო, ახალთახალი ინგლისური თოფი ეჭირა. ლასკამ მაშინვე მისკენ ისკუპა, ხტუნვით მიესალმა, თავისებურად შეეკითხა, მალე გამოვლენ თუ არა ისინიო და რაკი მისგან პასუხი ვერ მიიღო, ისევ თავის

საგუშაგოს დაუბრუნდა. ისევ მოლოდინით გაინაბა, თავი გვერდზე მიაბრუნა და ცალი ყური აცქვიტა. ბოლოს ხმაურით გაიღო კარი და ხტუნვითა და ტრიალ-ტრიალით გამოვარდა სტეპან არკადიჩის ჭრელზოლებიანი პოინტერი კრაკი, მას გამოჰყვა თვით სტეპან არკადიჩიც, თოფითა და სიგარით პირში. „ტუბო, ტუბო, კრაკ“, – ალერსით ეძახდა სტეპან არკადიჩი ძაღლს, რომელიც მუცელსა და მკერდზე ატოტდებოდა და თათებით იაგდტაშს ებღაუჭებოდა. სტეპან არკადიჩი სანადიროდ იყო გამოწყობილი. დახეული შარვალი და მოკლე პალტო ეცვა. თავზეც რაღაც ძველი ქუდი ეხურა. მაგრამ ახალი სისტემის თოფი კი შესანიშნავი ჰქონდა. იაგდტაში და სავაზნეც თუმცა გაცვეთილი, მაგრამ საუკეთესო იყო.

ვასენკა ვესლოვსკისთვის აქამდე გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ნამდვილი მონადირის სიკოხტავე, – გეცვას ძველი ტანისამოსი, მაგრამ გქონდეს საუკეთესო ხარისხის სანადირო მოწყობილობა. ამას მხოლოდ ახლა მიხვდა, როცა უყურებდა ძველმანებში გამოწყობილ სტეპან არკადიჩის მოხდენილ, ნაპატიებ, დიდკაცურ შესახედაობას და გადაწყვიტა, შემდეგი ნადირობისთვის თვითონაც აუცილებლად ასე გამოწყობილიყო.

– აბა, ჩვენი მასპინძელი სადღაა? – იკითხა ვესლოვსკიმ.

– ხომ მოგეხსენებათ ახალგაზრდა ცოლი, – ღიმილით უთხრა სტეპან არკადიჩმა.

– და მერე ასეთი მშვენიერი.

– უკვე ჩაცმული იყო, ალბათ, ისევ ცოლთან შეირბინა.

სტეპან არკადიჩმა მართალი თქვა. ლევინმა ისევ შეირბინა ცოლთან, რათა ერთხელ კიდევ ეკითხა, აპატია თუ არა გუშინდელი დანაშაული და გარდა ამისა, ეთხოვა, ღვთის გულისთვის როგორმე ფრთხილად იყავიო. რაც მთავარია, ბავშვებისაგან შორს დაიჭირე თავი, ყოველთვის შეიძლება დაგეჯახონო. გარდა ამისა, ერთხელ კიდევ უნდა მიეღო დასტური ცოლისაგან, რომ არ ჯავრობდა, ორი დღით რომ მიდიოდა სახლიდან, და ისიც სთხოვა, ხვალ დილით ცხენოსნის ხელით ბარათი გამომიგზავნე, თუნდაც ორიოდე სიტყვა მომწერე, ოღონდ გავიგო, რომ კარგად ხარო.

კიტის, როგორც ყოველთვის, გული სწყდებოდა, ორი დღით რომ შორდებოდა ქმარს, მაგრამ როცა დაინახა სიცოცხლით სავსე ლევინი, რომელიც განსაკუთრებით დიდი და ძლიერი ჩანდა მონადირის ჩექმითა და თეთრი ხალათით, როცა დაინახა მისთვის გაუგებარი სიხარულით გაბრწყინებული მისი სახე, ამ სიხარულმა კიტისაც დაავიწყა წყენა და მხიარულად გამოემშვიდობა ქმარს.

– მაპატიეთ, ბატონებო, – თქვა მან, როცა პარმაღზე გამოვიდა, – საუზმე ჩაალაგეს? წაბლა რატომ შეგიბამთ მარჯვნივ? თუმცა სულერთია. ლასკა, წადი აქედან, ისევ შენს ადგილას დადექი.

– ნახირთან ერთად გაუშვი, – მიუბრუნდა იგი პარმაღთან მდგარ მენახირეს, დაკოდილ საქონელზე რომ ეკითხებოდა რაღაცას, – მაპატიეთ, აგერ კიდევ მოდის ერთი ავაზაკი.

ლევინი ისევ გადმოხტა ურიკიდან, რომელზეც ის იყო აპირებდა დაჯდომას, და გასწია ნარდად დაქირავებული ხუროსაკენ, რომელიც საჟენიანით ხელში უახლოვდებოდა პარმაღს.

– აი, გუშინ არ მოხვედი კანტორაში, დღეს კი უნდა დამაგვიანო, რაშია საქმე?

– თუ მიბრძანებთ, ერთ მოსახვევს კიდევ გავუკეთებ. სულ სამ საფეხურს მივუმატებ. მოვარგებ კიდეც კარგად, უფრო უკეთესიც იქნება.

– უნდა დაგეჯერებინა ჩემთვის, – წყენით უთხრა ლევინმა, – მე ხომ გითხარი, ჯერ ჩანები დაამაგრე და მერე საფეხურები ამოჭერი-მეთქი. ახლა ვეღარაფერს გამოასწორებ. გააკეთე ისე, როგორც გითხარი, – ახალი გამოჭერი.

საქმე ის იყო, რომ ხურომ გააფუჭა ახალასაგები ფლიგელის კიბე, კიბე ცალკე გამოჭრა, სიმაღლე კი არ გაითვალისწინა. როცა კიბე ფლიგელს მიადგეს, საფეხურები ძალიან დაქანებული აღმოჩნდა. ახლა ხუროს უნდოდა, კიბე ისევ ისე მიედგა და სამი საფეხური მიემატებინა.

– ბევრად უკეთესი იქნებოდა.

– აბა, რანაირად მიგიწვდება სამი საფეხურით?

– მაპატიეთ, – დამცინავი ღიმილით მოახსენა ხურომ, – კიბე

სწორედ ტახტის სიმაღლე გამოვა. მაშ, ასე, ქვევიდან დაიწყება, – დამაჯერებლად თქვა მან, – წავა, წავა და ზედ მიადგება.

– სამი საფეხური ხომ სიგრძესაც მიუმატებს... აბა, როგორღა მივა?

– ასე, ქვევიდან წავა და პირდაპირ ზედ მიადგება, – ჯიუტად იმეორებდა ხურო.

– ჭერსა და კედელთან მივა.

– მაპატიეთ, ხომ ქვევიდან წავა. წავა, წავა და ზედ მიადგება.

ლევინმა ზუმბა ამოიღო და მიწაზე დაუხატა კიბე.

– აი, ხომ ხედავ?

– როგორც მიბრძანებთ, – უპასუხა ხურომ, რომელსაც უცებ გაუბრწყინდა თვალები, ალბათ, ბოლოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე. – ასე რომ, ახალი უნდა გამოვჭრა.

– მაშ, ასე, ისე გააკეთე, როგორც გითხარი, – გასძახა ლევინმა, რომელიც უკვე ურიკაზე ჯდებოდა, – აბა, გასწი! ძაღლები დაიჭირე, ფილიპ!

ახლა როცა ლევინმა უკან მოიტოვა ყველა ოჯახური და სამეურნეო საზრუნავი, სიცოცხლისა და მოლოდინის ისეთ დიდ სიხარულს განიცდიდა, რომ ხმის ამოღებაც აღარ უნდოდა. გარდა ამისა, იგი იმ დაძაბულმა მღელვარებამ შეიპყრო, რომელსაც განიცდის ყველა მონადირე მოქმედების ადგილთან მიახლოებისას. ახლა მხოლოდღა ის აფიქრებდა, ნახავდა თუ არა რაიმეს კოლპენსკოეს ჭაობში, როგორი აღმოჩნდებოდა ლასკა კრაკთან შედარებით და როგორი მიზანი ექნებოდა დღეს.

„ვაითუ შევრცხვე ამ უცხო ადამიანთან? ვაითუ ვერ ვაჯობო ობლონსკის?“ – ასეთი აზრები უტრიალებდა თავში ლევინს.

ობლონსკიც ამგვარ გრძნობას განიცდიდა და არც ის იყო ლაპარაკის გუნებაზე. მარტო ვასენკა ვესლოვსკი აღარ ათავებდა მხიარულ ლაპარაკს. ახლა, როცა ლევინი ყურს უგდებდა მას, რცხვენოდა იმის გახსენება, თუ რა უსამართლო იყო გუშინ საღამოს ვასენკასადმი. იგი მართლაც კარგი ახალგაზრდა იყო: უბრალო, გულკეთილი და ძალიან მხიარული. ცოლის შერთვამდე რომ შეხვედროდა, უთუოდ

დაუახლოვდებოდა კიდეც. თუმცა ლევინს არცთუ მაინცდამაინც მოსწონდა მისი ასეთი მხიარული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და ერთგვარი ელეგანტური სითამამე. მას თითქოს დიდად მოჰქონდა თავი, რომ ჰქონდა გრძელი ფრჩხილები, ასეთი ქუდი და დანარჩენიც ყველაფერი ამის შესაფერისი, მაგრამ ყველაფერს აპატიებდა ლევინი იმისთვის, რომ გულკეთილი და წესიერი ადამიანი იყო. მოსწონდა თავისი კარგი აღზრდით, მოსწონდა იმითაც, რომ მშვენიერი გამოთქმით ლაპარაკობდა ფრანგულსა და ინგლისურს და კიდევ იმითაც, რომ მისი წრის ადამიანი იყო.

ვასენკას ძალიან მოეწონა მარცხენა გვერდით შებმული დონური ცხენი. აღტაცებული იყო ამ ცხენით: – რა კარგი იქნება ამით ტრამალებზე ჭენება, არა? ხომ მართალია? – ამბობდა იგი.

ამ ცხენით ჭენებაში ის რაღაც ისეთ ველურსა და პოეტურს წარმოიდგენდა, რისგანაც არაფერი გამოვიდოდა; მაგრამ ეს გულუბრყვილობა, შეერთებული მის სილამაზესთან, სასიამოვნო ღიმილსა და მოხდენილ მიხრა-მოხრასთან, მეტისმეტად მომხიბვლელი იყო. შეიძლება იმიტომ, რომ ლევინს მოსწონდა იგი, ან იქნებ სურდა გამოესყიდა გუშინდელი დანაშაული და ცდილობდა ყველაფერი კარგი დაენახა მასში, ახლა მისთვის სასიამოვნო იყო ვასენკასთან ყოფნა.

სამი ვერსი რომ გაიარეს, ვესლოვსკიმ უეცრად სიგარები და საფულე მოიკითხა და არ იცოდა, დაკარგა თუ მაგიდაზე დარჩა. საფულეში სამას სამოცდაათი მანეთი ფული ჰქონდა და ამიტომაც არ შეიძლებოდა მისი ასე მიტოვება.

– იცით რა, ლევინ, ამ დონური ცხენით ჭენებით მივალ სახლამდე. ეს შესანიშნავი იქნება. ჰა, რას იტყვით? – უთხრა მან ლევინს და გადმოსახტომად გაემზადა.

– არა, რატომ, – უპასუხა ლევინმა, რომელმაც უკვე გაითვალისწინა, რომ ვასენკა წონით ექვს ფუთამდე მაინც იქნებოდა, – მეეტლეს გავგზავნი.

მეეტლე ცხენით გაემგზავრა, ლევინმა კი თვითონ დაუწყო მართვა ეტლში შებმულ წყვილ ცხენს.

IX

– აბა, როგორია ჩვენი გეგმები? კარგად აგვიხსენი, – უთხრა სტეპან არკადიჩმა.

– გეგმა ასეთია: ახლა ჩვენ მივალთ გვოზდევამდე, გვოზდევს გამოღმა ლაინების ჭაობებია, გაღმა – ჩიბუხების საუცხოო ჭაობებია და ლაინებიც იცის. ახლა ცხელა. საღამოსთვის კი (იქამდე ოცი ვერსია) ჩავალთ და ნადირობასაც მოვასწრებთ; ღამეს იქ გავათევთ, სახვალიოდ კი უკვე დიდ ჭაობებში გავალთ.

– გზად ნუთუ არაფერი შეგვხვდება?

– შეგვხვდება, მაგრამ დაგვაგვიანებს და ცხელა კიდეც. არის ორი კარგი ადგილი, მაგრამ არ ვიცი, ვნახავთ თუ არა რამეს.

ლევინს თვითონაც უნდოდა შეევლო იმ ადგილებში, მაგრამ ეს ადგილები სახლთან ახლოს იყო და იქ ყოველთვის მოასწრებდა ნადირობას, თანაც მეტად პატარა იყო და სამი კაცი ვერ მოახერხებდა სროლას. ამიტომაც მართალი არ იყო, როცა ამბობდა, არ ვიცი, იქნება თუ არა რამეო. როცა ამ მომცრო ჭაობს გაუსწორდნენ, ლევინს უნდოდა გვერდი აევლო, მაგრამ სტეპან არკადიჩის ნადირობაში გამოცდილ თვალს არ გამოეპარა ჭანჭრობი, რომელიც გზიდანვე მოჩანდა.

– ხომ არ შევიაროთ? – თქვა მან და ჭაობზე მიუთითა.

– ლევინ, გეთაყვა! რა შესანიშნავია! – ეხვეწებოდა ვასენკა ვესლოვსკი და ლევინმაც ვეღარ მოახერხა უარის თქმა.

გაჩერება ვერც კი მოასწრეს, რომ ძაღლები უკვე ჭაობისაკენ გარბოდნენ და წინ უსწრებდნენ ერთიმეორეს.

– კრაკ! ლასკა!

ძაღლები უკანვე მობრუნდნენ.

– სამნი ვიწროდ ვიქნებით. მე აქ დაგიცდით, – თქვა ლევინმა იმ იმედით, რომ მაინც ვერაფერს იპოვიდნენ, გარდა პრანწიებისა, რომლებიც ძაღლებმა წამოაფრინეს და ახლა ზევიდან დაფარფატებდნენ ჭაობს, თან საცოდავად დასჩხაოდნენ.

– არა, ლევინ, წავიდეთ, ერთად წავიდეთ! – ეპატიჟებოდა ვესლოვსკი.

– არა, მართლაც ვიწროდ ვიქნებით. ლასკა, დაბრუნდი, ლასკა! თქვენ ხომ არ დაგჭირდებათ მეორე ძაღლი?

ლევინი ეტლთან დარჩა და შურით გააყოლა თვალი მონადირეებს. მათ გადაიარეს ჭყანტობი. გარდა ტყის ქათმებისა და პრანწიებისა, რომელთაგან ერთი ვასკენკამ მოკლა, ვერაფერი ნახეს.

– აი, ხომ ხედავთ, რომ ჭაობი არ მენანებოდა, – უთხრა ლევინმა, – მხოლოდ დრო დავკარგეთ.

– არა, მაინც სამხიარულოა. დაინახეთ? – ამბობდა ვასენკა ვესლოვსკი, რომელიც უხერხულად მიძვრებოდა ურიკაზე თოფითა და პრანწიით ხელში, – ხომ კარგად ვესროლე? ხომ მართალია? მალე მივალთ ნამდვილ სანადირო ადგილთან?

უეცრად ცხენები ადგილიდან მოწყდნენ, ლევინმა ვიღაცის თოფის ლულაზე დაარტყა თავი და გასროლის ხმაც გაისმა. სინამდვილეში თოფის ხმა უფრო ადრე გაისმა, მაგრამ ლევინს ასე მოეჩვენა; საქმე ის იყო, რომ ვასენკა ვესლოვსკიმ, როცა ჩახმახებს უშვებდა, ერთ კაუჭს ხელი დააჭირა, მეორე ჩახმახი კი არ დაუშვა. საფანტი მთლიანად მიწაში წავიდა, ისე, რომ არავინ დაუშავებია. სტეპან არკადიჩმა თავი გადააქნია და სიცილით უსაყვედურა ვესლოვსკის. ლევინს კი გამბედაობა აღარ ეყო საყვედურის სათქმელად. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყოველგვარ საყვედურს უკვე განვლილ საფრთხესა და მის შუბლზე წამომჯდარ კოპს დააბრალებდნენ; მეორეც – ვესლოვსკი ისე გულუბრყვილოდ იყო შეწუხებული და თან ისე გულიანად და აღტაცებით იცინოდა მათ შეშფოთებაზე, რომ არ შეიძლებოდა თვითონაც არ გასცინებოდა.

როცა მეორე ჭაობს მიუახლოვდნენ, რომელიც ბევრად უფრო დიდი იყო და ბევრ დროსაც წაართმევდათ, ლევინმა ურჩია, აღარ გადასულიყვნენ. მაგრამ ვესლოვსკიმ ისევ დაუწყო ხვეწნა და რადგან ჭაობი ვიწრო იყო, ლევინი, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელი, ისევ ეტლთან დარჩა.

გადმოხტომისთანავე კრაკი ამწვანებული ბურცობებისაკენ გაიქცა. ვასენკა ვესლოვსკი პირველი გაჰყვა ძაღლს და სტეპან არკადიჩმა ვერც მოასწრო მისვლა, რომ ერთი ლაინი უკვე წამოფრინდა, ვესლოვსკიმ ააცდინა და ლაინი გაუთიბავ მინდორში გადაჯდა. ეს ლაინი ვესლოვსკის დაუთმეს. კრაკმა ისევ იპოვა ფრინველი, ერთ ადგილას გაინაბა; ვესლოვსკიმ

მოკლა ლაინი და ეტლთან მივიდა.

– ახლა თქვენ წადით, მე ცხენებთან ვიქნები, – უთხრა მან ლევინს.

ლევინს უკვე მონადირეთათვის ჩვეული შური იპყრობდა. მან აღვირი ვესლოვსკის გადასცა და თვითონ ჭაობისაკენ გასწია.

ლასკამ, რომელიც დიდი ხანია საცოდავად წკმუტუნებდა და უჩიოდა უსამართლობას, პირდაპირ იმ საიმედო ბურცობებისაკენ გასწია, რომელსაც კარგად იცნობდა ლევინი და რომელსაც კრაკი არ ეტანებოდა.

– რატომ არ გააჩერებ ძაღლს? – დაუძახა სტეპან არკადიჩმა.

– არ დააფრთხობს, – უპასუხა ლევინმა და გახარებული საჩქაროდ უკან გაჰყვა ლასკას.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ნაცნობ ბურცობებს, მით მეტი გულმოდგინებით ეძებდა ლასკა. მხოლოდ ერთი წუთით გაიტაცა ჭაობის პატარა ჩიტმა. ერთხელ შემოუარა ბურცობებს, მეორედაც დააპირა, მაგრამ უცებ შეკრთა და გაინაბა.

– მოდი, მოდი, სტივა! – დაუძახა ლევინმა და იგრძნო, როგორ ძლიერ უძგერდა გული და როგორ ჩაესმა ყურში რაღაც ხმა, თითქოს რაზა ჩამოსწიესო; ყოველი ბგერა, რომელმაც უკვე დაკარგა მისთვის მანძილის საზომი, უწესრიგოდ, მაგრამ საოცრად მკაფიოდ ხვდებოდა მის დაძაბულ სმენას. სტეპან არკადიჩის ფეხის ხმა ისე ჩაესმოდა, როგორც ცხენების შორეული თქარათქური, გაიგონა, როგორ შრიალით ჩამოინგრა ფესვებთან ერთი ბურცობის კიდე, რომელზეც ფეხი დაადგა, და ეს ხმა ლაინის გაფრენად მიიღო, უკნიდან წყლის შხაპუნისმაგვარი რაღაც ესმოდა, მაგრამ ანგარიში ვერ მიეცა თავისთვის, რა უნდა ყოფილიყო.

ლევინი ძაღლისაკენ მიიწევდა და თან ფეხის დასადგმელ ადგილს ეძებდა.

– ეცი!

ლაინი კი არა, ჩიბუხა წამოფრინდა ძაღლის ცხვირწინ. ლევინმა თოფი მოიმარჯვა და სწორედ იმ დროს, როცა უმიზნებდა, ისეთი წყლის შხაპუნი შემოესმა და ამას ზედ დაერთო ვესლოვსკის ხმა, რომელიც უცნაურად, ხმამაღლა გაჰყვიროდა

რაღაცას. ლევინი ხედავდა, რომ უკანიდან უმიზნებდა თოფს ჩიბუხას, მაგრამ მაინც გაისროლა.

როცა დარწმუნდა, ავაცდინეო, უკან მოიხედა და დაინახა, ურიკაში შებმული ცხენები გზაზე კი არა, უკვე ჭაობში იდგნენ.

ვესლოვსკის უნდოდა დაენახა სროლა, ჭაობში შევიდა და ჩაფლული ეტლისაკენ გასწია.

– რატომ წამოხვედით? – უკმეხად უთხრა ვესლოვსკის, მეეტლეს დაუძახა და ცხენების გამოხსნას შეუდგა.

ლევინი ნაწყენი იყო, რომ ხელი შეუშალეს სროლაში, სწყინდა ისიც, რომ მისი ცხენები ჭაობში ჩაეფლნენ და, რაც მთავარია, სწყინდა, რომ არც ვესლოვსკი და არც სტეპან არკადიჩი არ შველოდნენ მასა და მეეტლეს ცხენების გამოყვანასა და გამოხსნაში, რადგან არც ერთსა და არც მეორეს მცირეოდენი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რანაირად იყვნენ საერთოდ ცხენები შებმული. ლევინი ხმაამოუღებლად მუშაობდა მეეტლესთან ერთად, ცხენებს ხსნიდა და პასუხს არ აძლევდა ვესლოვსკის, რომელიც ირწმუნებოდა, აქ სულ მშრალი იყოო. მაგრამ შემდეგ, როცა მუშაობაში გახურდა და დაინახა, როგორ გულმოდგინედ ეწეოდა ვესლოვსკი ურიკის თვლებს, ისე, რომ ერთი ფრთა მოაგლიჯა კიდეც, ლევინმა უსაყვედურა თავს, რომ გუშინდელი გრძნობის ზეგავლენით ასე გულცივად ექცეოდა ვესლოვსკის და შეეცადა, განსაკუთრებული თავაზიანობით გამოესწორებინა თავისი უკმეხობა. როცა ყველაფერი მოწესრიგდა და ეტლი უკვე გზაზე გამოიყვანეს, ლევინმა საუზმის ამოღება ბრძანა.

– Bonne appétit – bonne conscience! Ce poulet va tomber jusqu’au fond de mes bottes,[25] – ფრანგულ ოხუნჯობას იმეორებდა ვესლოვსკი, რომელიც ისევ გამხიარულდა და უკვე მეორე წიწილას ათავებდა, – ახლა კი ბოლო მოეღო ჩვენს გაჭირვებას; ყველაფერი საუცხოოდ ჩაივლის. მხოლოდ ჩემი დანაშაულის გამო მოვალე ვარ, კოფოზე დავჯდე. ხომ მართალია? რას იტყვით? არა, არა; მე ავტომედონტი ვარ. ნახეთ, როგორ მიგიყვანოთ! – ამბობდა იგი და ხელიდან არ უშვებდა სადავეს, როცა ლევინი ეხვეწებოდა, მეეტლე თავის ადგილას მიუშვიო, – არა, მე უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული და თავსაც მშვენივრად ვგრძნობ კოფოზე, – და დაძრა ცხენები.

ლევინს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, ვესლოვსკი ცხენებს

გააწვალებსო, განსაკუთრებით კი მარცხენა წაბლა ცხენს, რომელსაც თავს ვერ უჭერდა: მაგრამ ახლაც უნებურად ემორჩილებოდა მის მხიარულებას, ყურს უგდებდა რომანსებს, რომელთაც მთელი გზა მღეროდა ვესლოვსკი, ან ისმენდა მის ნაამბობს, შეჰყურებდა მას, როცა წარმოადგენდა, როგორ უნდა მართო four in hand[26] ინგლისურ ყაიდაზე; და ნასაუზმევს ყველანი მეტისმეტად გამხიარულებულნი მიადგნენ გვოზდევის ჭაობს.

X

ვასენკა ისე სწრაფად მიერეკებოდა ცხენებს, რომ მონადირენი ძალიან ადრე მივიდნენ ჭაობთან. ჯერ ისევ სიცხე იყო.

როცა მათ ნამდვილ ჭაობს, ნადირობის მთავარ მიზანს მიაღწიეს, ლევინი უნებურად ჩაფიქრდა, როგორ მოეცილებინა თავიდან ვასენკა, რათა უხიფათოდ ევლო. სტეპან არკადიჩსაც ეტყობოდა, იგივე უნდოდა და მის სახეზე ლევინი უკვე ხედავდა ერთგვარ ჩაფიქრებას, რომელიც ყოველთვის აქვს ხოლმე ნამდვილ მონადირეს ნადირობის დაწყების წინ, და მისთვის ჩვეულ რამდენიმე მიამიტურ ეშმაკობას.

– აბა, როგორ წავიდეთ? ჭაობი შესანიშნავია. აგერ ქორებსაც ვხედავ, – თქვა სტეპან არკადიჩმა და ორ დიდ ფრინველზე მიუთითა, რომელნიც თავს დასტრიალებდნენ ლელიანს, – საცა ქორია, იქ, უეჭველია, გარეული ფრინველიც იქნება.

– აი, ხომ ხედავთ, ბატონებო, – ცოტა არ იყოს, პირქუშად დაიწყო ლევინმა, ჩექმის ყელი ამოიწია და ფისტონები გაუსინჯა თოფს, – ხომ ხედავთ ამ ლელიანს? – მან მიუთითა მოშავო ბალახით აბიბინებულ პატარა კუნძულზე, რომელიც მდინარის მარჯვენა მხარეს, ნახევრად გათიბულ დიდ, ცვრიან ველზე გაჭიმულიყო, – ჭაობი სწორედ აქ, ჩვენ წინ იწყება. ხედავთ, უფრო მწვანე რომაა, აქედან მიემართება მარჯვნივ, სადაც ცხენები დადიან, იქ ბურცობებია და ლაინები იცის ხოლმე; მერე გარშემო უვლის ლელიანს და აღწევს იქ, იმ თხმელნარამდე და წისქვილამდეც კი. აი, იქ, ხედავთ, სადაც

უბეა, საუკეთესო ადგილია. იქ ერთხელ ჩვიდმეტი ჩიბუხა მოვკალი. ჩვენ გავიყოფით, თითო ძაღლით სხვადასხვა მხარეს წავალთ და წისქვილთან შევხვდებით ერთმანეთს.

– აბა, ვინ წავა მარჯვნივ და ვინ მარცხნივ? – იკითხა სტეპან არკადიჩმა, – მარჯვნივ უფრო განიერია და თქვენ ორნი იქ წადით, მე კი მარცხნივ გავყვები, – თითქოს სრულიად უდარდელად თქვა მან.

– ძალიან კარგი! ჩვენ მაგაზე მეტს დავხოცავთ. აბა, წავიდეთ, წავიდეთ! – კვერი დაუკრა ვასენკამაც.

ლევინს მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა დათანხმებოდა და მონადირენი დაშორდნენ ერთმანეთს.

ჭაობში შესვლისთანავე ორივე ძაღლმა ერთად დაიწყო ძებნა და ლელიანისკენ გაჰყვნენ. ლევინი იცნობდა ლასკას ამ ფრთხილსა და გაურკვეველ ძებნას; იგი ამ ადგილსაც იცნობდა და ელოდა, რომ ჩიბუხების გუნდი აფრინდებოდა.

– ვესლოვსკი, გვერდზე, გვერდზე იარეთ! – მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით უთხრა ლევინმა ამხანაგს, რომელიც ჭყაპაჭყუპით მისდევდა უკან და რომლის თოფის მიმართულებაც, კოლპენსკოეს ჭაობზე უცაბედი გასროლის შემდეგ, უნებლიეთ აინტერესებდა ლევინს.

– არა, მე თქვენ ხელს არ შეგიშლით, ჩემზე ნუ იფიქრებთ.

მაგრამ ლევინი უნებურად ფიქრობდა და აგონდებოდა კიტის სიტყვები, წამოსვლისას რომ უთხრა: ფრთხილად იყავით, ერთმანეთს არ ესროლოთო. სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ძაღლები ლელიანს, ერთმანეთს გვერდს უვლიდნენ და თითოეულს თავისი გეზი ჰქონდა; იმდენად ძლიერი იყო ჩიბუხას მოლოდინი, რომ ლევინს ლელიანში ჩაფლული თავისი ქუსლების ამოღების ხმაც ჩიბუხათა ყივილად ჩაესმოდა და უნებურად ხელს წაიღებდა ხოლმე თოფის კონდახისაკენ.

– ბუჰ! ბუჰ! – გაისმა სწორედ მის ყურთან. ეს ვასენკამ ესროლა იხვებს, თავს რომ დასტრიალებდნენ ჭაობს და ამ დროს ძალიან ახლოს გადაუარეს მონადირეებს. ლევინმა მოხედვაც კი ვერ მოასწრო, რომ ფრთების ტყლაშუნით აფრინდა ერთი ჩიბუხა, მეორე, მესამე და ასე ერთიმეორის მიყოლებით წამოფრინდა

რვა ჩიბუხა.

სტეპან არკადიჩმა სწორედ იმ დროს ჩამოაგდო ერთი, როცა ფრინველი მიხვევ-მოხვევით აპირებდა ფრენას, და ჩიბუხა მორგვივით ჩავარდა წუმპეში. ობლონსკიმ აუჩქარებლად ამოიღო მიზანში მეორე ჩიბუხაც, რომელიც ჯერ ისევ დაბლა დასტრიალებდა ლელიანს და გასროლის ხმასთან ერთად ეს ჩიბუხაც ჩამოვარდა; ჩანდა კიდეც, როგორ ხტებოდა გათიბული ლელიანიდან და აფართქალებდა დაუზიანებელ ფრთას, რომელსაც ქვევიდან თეთრი ფერი ჰქონდა.

ლევინი არ აღმოჩნდა ასეთი ბედნიერი: მან ძალიან ახლოდან ესროლა პირველ ჩიბუხას და ააცდინა, შემდეგ ისევ დაუმიზნა, როცა ფრინველმა ზევით-ზევით იწყო ასვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს იქვე ფეხებთან წამოუფრინდა მეორე ჩიბუხა, ამან მიიპყრო მისი ყურადღება და მეორედაც ააცდინა.

სანამ თოფებს გატენიდნენ, კიდევ წამოფრინდა ერთი ჩიბუხა და ვესლოვსკიმ, რომელსაც უკვე მოესწრო თოფის გატენა, ორჯერ კიდევ გაისროლა წყლის გასწვრივ წვრილი საფანტის ჯერი. სტეპან არკადიჩმა თავისი ჩიბუხები აკრიფა და გაბრწყინებული თვალებით გადახედა ლევინს.

– აბა, ახლა დავიშალოთ, – თქვა სტეპან არკადიჩმა, ძაღლს დაუსტვინა და თოფმომარჯვებულმა გასწია ერთ მხარეს, თან მარცხენა ფეხით კოჭლობდა. ლევინი და ვესლოვსკი მეორე მხარეს წავიდნენ.

ლევინს ყოველთვის ასე ემართებოდა, თუ პირველ გასროლას ააცდენდა, მერე ცხარობდა და გულმოსული მთელი დღე ცუდად ისროდა. ასე მოხდა დღესაც, ჩიბუხები ძალიან ბევრი აღმოჩნდა. ხან ძაღლი წამოაფრენდა, ხან ფეხქვეშ წამოუფრინდებოდა და ლევინს შეეძლო გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ რაც უფრო მეტს ისროდა, მით მეტად ირცხვენდა თავს ვესლოვსკისთან, რომელიც მიზანში თუ უმიზნოდ მხიარულად ისროდა, ვერაფერს კლავდა და სულაც არ წუხდა ამის გამო. ლევინი ჩქარობდა, თავს ვეღარ იკავებდა, სულ უფრო და უფრო ცხარობდა და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ ისროდა და იმედი აღარ ჰქონდა, თუ მოარტყამდა. ლასკაც თითქოს გრძნობდა ამას. ახლა იგი უფრო ზანტად ეძებდა და გაოცებით თუ საყვედურით იხედებოდა მონადირეებისაკენ, რომლებიც ერთიმეორეზე ცლიდნენ

თოფებს. მონადირეები დენთის ბოლში იყვნენ გახვეულნი, მაგრამ იაგდტაშის დიდ, განიერ ბადეში მხოლოდ სამი პატარა ჩიბუხა იდო. ამათგანაც ერთი ვესლოვსკიმ მოკლა, ერთი კი საერთო იყო. ჭაობის მეორე მხრიდან კი ისმოდა სტეპან არკადიჩის არცთუ ხშირი, მაგრამ, როგორც ლევინს ეჩვენებოდა, აუცდენელი გასროლის ხმა, რადგან თითოეული გასროლის შემდეგ ისმოდა მისი ხმა: „კრაკ, კრაკ, დაბრუნდი!“

ეს უფრო მეტად აღელვებდა ლევინს. ჩიბუხები განუწყვეტლივ დასტრიალებდნენ თავს ლელიანს. ყოველი მხრიდან განუწყვეტლივ ისმოდა წამოფრენის ხმა და ზევით ასულთა ყივილი; ადრე წამოფრენილი და ჰაერში მოტრიალე ჩიბუხები ცხვირწინ უსხდებოდნენ მონადირეებს. ორის ნაცვლად ახლა ათიოდე ქორი წივილით დასტრიალებდა ლელიანს.

ლევინმა და ვესლოვსკიმ ნახევარ ჭაობზე მეტი გაიარეს და მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ლელიანი ემიჯნებოდა გლეხების სათიბებს, რომლებიც ალაგ-ალაგ გაყოფილი იყო გატკეპნილი ბილიკებითა და გათიბული სვრელებით. ნახევარი ამ ზოლთაგან უკვე გათიბული იყო.

თუმცა ლევინს იმედი არ ჰქონდა, რომ გაუთიბავზე იმდენს ნახავდა, რამდენსაც გათიბულზე, მაგრამ ადრევე აღუთქვა სტეპან არკადიჩს, რომ აქ შეხვდებოდა და თავის თანამგზავრთან ერთად გაჰყვა ამ გათიბულ და გაუთიბავ ზოლებს.

– ეჰეი, მონადირეებო! – გასძახა მათ ერთმა გლეხთაგანმა; ისინი გამოხსნილ ფორანთან ისხდნენ, – მოდით, ერთად ვისამხროთ! ღვინო დავლიოთ!

ლევინმა მოიხედა.

– მოდი, არა უშავს რა! – მხიარულად გასძახა სახეაწითლებულმა, წვერიანმა გლეხმა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ზევით ასწია მომწვანო ბოთლი, რომელსაც ბრჭყვიალი გაჰქონდა მზეზე.

– Qu’est ce qu’ils disent?[27] – ჰკითხა ვესლოვსკიმ.

– არაყის დასალევად გვეპატიჟებიან. ალბათ, სათიბი გაიყვეს. მე დავლევდი, – ცოტა არ იყოს, ეშმაკურად უთხრა ლევინმა, იმ იმედით, რომ ვესლოვსკი არყით მოიხიბლებოდა და წავიდოდა

მათთან.

– რატომ გვეპატიჟებიან?

– ისე, დროს გასატარებლად. მიდით. თქვენთვის საინტერესოა.

– Allons c’est curieux.[28]

– წადით, წადით, თვითონვე მოძებნით გზას წისქვილისაკენ! – გასძახა ლევინმა, უკან მოიხედა და ნასიამოვნებმა დაინახა წელში მოხრილი ვესლოვსკი, რომელსაც წინ გაწვდილ ხელში თოფი ეჭირა, დაღლილი ფეხების ბორძიკით ამოდიოდა ჭაობიდან და გლეხებისაკენ მიიჩქაროდა.

– შენც მოდი! – უყვიროდნენ გლეხები ლევინს, – ნუ გეშინია! ღვეზელი მიირთვი.

ლევინს ძალიან უნდოდა არაყი და ერთი ლუკმა პური. დასუსტდა და გრძნობდა, რომ ძლივსღა ამოჰქონდა დაბლანდული ფეხები წუმპეებიდან; ერთი წუთით თითქოს შეყოყმანდა კიდეც, მაგრამ ამ დროს ძაღლი შეჩერდა, ლევინის დაღლილობაც მაშინვე გაქრა და ჭაობში მსუბუქად გასწია ძაღლისაკენ. ძაღლის ფეხებთან ჩიბუხა წამოფრინდა; ლევინმა ესროლა და მოკლა, ძაღლი მაინც არ იძვროდა ადგილიდან. „ეცი!“ და ძაღლის ფეხებთან მეორე ჩიბუხა წამოფრინდა. ლევინმა გაისროლა, მაგრამ უიღბლო დღე იყო; კიდევ ააცდინა და როცა მოკლული ფრინველის საძებნელად წავიდა, ისიც ვეღარ იპოვა. ლევინმა მთელი ლელიანი მოიარა, მაგრამ ლასკას არა სჯეროდა, რომ პატრონმა მართლა მოკლა, და როცა საძებნელად აგზავნიდა, ლასკა თავს იკატუნებდა, ვეძებო, მაგრამ არ ეძებდა.

ვასენკას გარეშეც, რომელსაც აბრალებდა ლევინი თავის ხელმოცარულობას, მაინც არ გამოსწორდა საქმე. ჩიბუხები აქაც ბევრი იყო, მაგრამ ლევინი ზედიზედ აცდენდა მიზანს.

მზის ალმაცერი სხივები ჯერ კიდევ მცხუნვარე იყო; ოფლისაგან მთლიანად დასველებული ტანისამოსი ზედ ეკვროდა ტანზე. წყლით გავსებულ მარცხენა ჩექმას ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა, თოფისწამლისაგან გაშავებულ სახეზე წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ოფლი. პირი გამომშრალი ჰქონდა. ცხვირში სულ დენთისა და წუმპის სუნი უტრიალებდა, ყურებში ჩიბუხების ფრთათა განუწყვეტელი ტყლაშუნის ხმა

ედგა; გული აჩქარებითა და ძლიერად უცემდა: მღელვარებისაგან ხელები უკანკალებდა; მოქანცული ფეხები ბურცობებსა და ჭანჭრობებში ეხლართებოდა და ბორძიკობდა, მაგრამ მაინც დადიოდა და ისროდა. ბოლოს, როცა კიდევ სამარცხვინოდ ააცდინა მიზანს, თოფი და ქუდი მიწაზე დაანარცხა და შეჩერდა.

– არა, გონს უნდა მოვიდე! – ჩაილაპარაკა მან. თოფი და ქუდი ისევ აიღო, ლასკას დაუძახა და ჭაობიდან გავიდა. მშრალზე რომ გამოვიდა, ბურცობზე ჩამოჯდა, ფეხთ გაიხადა, ჩექმიდან წყალი გადმოასხა, შემდეგ ჭაობთან მივიდა, დალია წყალი, რომელსაც ჟანგის გემო დაჰკრავდა, თოფის გახურებული ლულები წყალში ამოავლო და ხელ-პირი დაიბანა. გაგრილებულმა ისევ იმ ადგილისაკენ გასწია, სადაც ჩიბუხა ჩაჯდა, იმ მტკიცე განზრახვით, რომ აღარ აღელვებულიყო.

უნდოდა, დამშვიდებულიყო, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდიოდა. ფრინველი ჯერ კიდევ მიზანში არ ჰყავდა ამოღებული, რომ უკვე ჩახმახის კაუჭზე თითს აჭერდა. საქმე სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა.

ლევინს მხოლოდ ხუთი ჩიბუხა ჰქონდა იაგდტაშში, როცა ჭაობიდან იმ თხმელნარებთან გამოვიდა, სადაც სტეპან არკადიჩს უნდა შეხვედროდა.

სანამ სტეპან არკადიჩს დაინახავდა, ლევინმა უმალ მისი ძაღლი დაინახა. კრაკი თხმელის ზევით ამოწეული ფესვიდან გადმოხტა, სულ ერთიანად გაშავებული და ჭაობის შლამის სუნით აყროლებული, და გამარჯვებულივით დასუნა ლასკა. კრაკის შემდეგ თხმელის ჩეროში თვით სტეპან არკადიჩის წარმოსადეგი ფიგურაც გამოჩნდა. იგი აწითლებული, გაოფლიანებული და გულგაღეღილი მოდიოდა და ისევ ისე კოჭლობდა.

– აბა, როგორ არის საქმე? ბევრს კი ისროდით! – მხიარული ღიმილით უთხრა მან.

– შენ როგორღა გაქვს საქმე? – ჰკითხა ლევინმა, მაგრამ კითხვა აღარც იყო საჭირო, რადგან პირამდე სავსე იაგდტაშიც დაინახა.

მას თოთხმეტი ჩიბუხა მოეკლა.

– მშვენიერი ჭაობია. შენ, ალბათ, ვესლოვსკი გიშლიდა ხელს.

ორისთვის ერთი ძაღლით ნადირობა უხერხულია, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ამით შეანელა თავისი სიხარული.

XI

როცა ლევინი და სტეპან არკადიჩი გლეხის ქოხში მივიდნენ, სადაც ყოველთვის ჩერდებოდა ხოლმე ლევინი, ვესლოვსკი უკვე იქ დაუხვდათ. იგი შუაგულ ქოხში იჯდა, ორივე ხელით ჩასჭიდებოდა გრძელ სკამს, სალდათი კი, დიასახლისის ძმა, ორივე ხელით წუმპეში ამოსვრილ ჩექმას აძრობდა. ვესლოვსკი თავისებურად მხიარულად, გულიანად ხარხარებდა.

– მეც ახლა მოვედი. Ils ont éte charmants.[29] წარმოგიდგენია, კიდეც დამალევინეს, საჭმელიც მაჭამეს. რა გასაოცარი პური ჰქონდათ. Delicieux![30] არაყიც ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია ასეთი. ფულიც არაფრით არ აიღეს. სულ იმას მეუბნებოდნენ, არ დაგვძრახოთო.

– ფული რატომ უნდა აეღოთ? ისინი, მაშასადამე, გაგიმასპინძლდნენ. გასაყიდი არაყი ხომ არ ჰქონიათ? – თქვა სალდათმა, რომელმაც, როგორც იქნა, გააძრო დასველებული ჩექმა და გაშავებული წინდები.

მიუხედავად იმისა, რომ ქოხი გაეჭუჭყიანებინათ მონადირეთა ჩექმებსა და ძაღლებს, რომლებიც წამდაუწუმ ილოკავდნენ ტანს, თოფის წამლისა და ჭაობის სუნიც იდგა და არც დანა-ჩანგალი ჰქონიათ, მონადირეებმა ისე გემრიელად ივახშმეს და დალიეს ჩაი, როგორც მხოლოდ ნადირობის დროს ხდება ხოლმე. ნავახშმევს გასუფთავებულებმა და დაბანილებმა გასწიეს დაგვილ-დაწმენდილი სათივე ფარდულისაკენ, სადაც მეეტლეებს უკვე გაემზადებინათ საწოლები ბატონებისთვის.

დაბინდდა, მაგრამ ძილი არც ერთს არ ეკარებოდა.

დიდხანს ისაუბრეს სროლაზე, ძაღლებზე, ძველი ნადირობაც გაიხსენეს და შემდეგ საუბარი ყველასთვის საინტერესო თემაზე გადავიდა. ვასენკას სიტყვებზე, რომელმაც რამდენჯერმე უკვე გამოთქვა თავისი აღტაცება ამ მშვენიერი

ღამის გასათევი ადგილით, თივის სუნით, გატეხილი ფორნით (ფორანი გატეხილი ეგონა, რადგან წინა ნაწილი მოხსნილი ჰქონდა), გულკეთილი გლეხებით, რომლებიც არყით გაუმასპინძლდნენ, ძაღლებით, თავიანთი პატრონების ფეხთით რომ მოკუნტულიყვნენ, სტეპან არკადიჩმა შარშანდელი ნადირობა გაიხსენა და უამბო მათ, რა დიდებული ნადირობა გამართეს შარშან ზაფხულს მალტუსთან. მალტუსი ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით, რაც მან რკინიგზების გაყვანით შეიძინა. სტეპან არკადიჩი ჰყვებოდა, რა შესანიშნავად მოვლილი ჭაობები ჰქონდა შესყიდული ამ მალტუსს ტვერის გუბერნიაში, როგორი ეტლები დაახვედრეს მონადირეებს, როგორი კარავი და საუზმე გაშალეს ჭაობის პირას.

– ვერაფერი გამიგია შენი, – უთხრა ლევინმა და თივაზე წამოიწია, – როგორ არ გეზიზღება ეს ხალხი. ჩემთვის გასაგებია, რომ საუზმე ლაფიტით ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ნუთუ ზიზღს არა გგვრის სწორედ ეს ფუფუნება? ყველა ესენი, როგორც წინათ ჩვენი იჯარადარები, იმგვარად იგებენ ფულს, რომ ადამიანთა ზიზღს იმსახურებენ, მაგრამ არაფრად აგდებენ ამას და შემდეგ ამ უპატიოსნო შენაძენით ცდილობენ გამოისყიდონ ეს ზიზღი.

– სრული სიმართლეა! – კვერი დაუკრა ვასენკა ვესლოვსკიმაც, – სრული სიმართლე! რაღა თქმა უნდა, ობლონსკი ამას მხოლოდ bonhomie[31]-ის გამო სჩადის, სხვები კი ამბობენ, ობლონსკი ხომ დადისო...

– სულაც არა, – ლევინი გრძნობდა, რომ ობლონსკი იღიმებოდა, როცა ამას ამბობდა, – მე უბრალოდ რომელიმე ვაჭარზე ან მემამულეზე უფრო უპატიოსნოდ არ მიმაჩნია იგი. ამათაც და იმათაც ერთნაირი შრომითა და ჭკუით შეიძინეს ქონება.

– კი, მაგრამ როგორი შრომით? განა ის შრომაა, რომ შეისყიდო კონცესიები და მერე სხვას მიჰყიდო?

– რასაკვირველია, შრომაა. შრომაა იმ თვალსაზრისით, რომ თუ არ იქნებოდა ის ან სხვა იმის მსგავსი ვინმე, მაშინ გზებიც აღარ გვექნებოდა.

– მაგრამ ეს არ არის ისეთი შრომა, როგორიც გლეხის ან სწავლულის შრომაა.

– შეიძლება, მაგრამ შრომაა იმ თვალსაზრისით, რომ ეს საქმიანობა გვაძლევს შედეგს – გზას. შენი აზრით, გზები უსარგებლოა?

– არა. ეს სხვა საკითხია; მე მზად ვარ დაგეთანხმო იმაში, რომ გზები სასარგებლოა. მაგრამ ყოველგვარი შენაძენი, რომელიც არ შეესატყვისება მასზე დახარჯულ შრომას, უპატიოსნოა.

– მერედა ვინ განსაზღვრავს ამ შესატყვისობას?

– ეშმაკობით, უპატიოსნო გზით შეძენა, – თქვა ლევინმა, რომელიც გრძნობდა, რომ ვერ ახერხებდა მკაფიოდ გაემიჯნა ერთმანეთისაგან უპატიოსნო და პატიოსანი შრომა, – ისე, როგორც საბანკო კანტორების შეძენა, – განაგრძო მან, – ბოროტებაა. ამოდენა ქონების უშრომლად მოხვეჭამ, ისე როგორც ეს ხდებოდა ხოლმე იჯარა-შესყიდვის დროს, – მხოლოდ ფორმა შეცვალა. Le roi ést mort, vive le roi![32] მოისპო თუ არა იჯარა-შესყიდვა, მაშინვე გაჩნდნენ რკინიგზები, ბანკები: ეს იგივე უშრომლად ქონების შეძენაა.

– დიახ, შეიძლება ყოველივე ეს სიმართლეა და გონებამახვილურიც... დაწექი, კრაკ! – გასძახა სტეპან არკადიჩმა ძაღლს, რომელიც იქექებოდა და ტრიალებდა თივაზე; სტივა, ეტყობა, დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და მშვიდად, აუღელვებლად ლაპარაკობდა, – მაგრამ შენ ვერ განსაზღვრე, რა განსხვავებაა პატიოსანსა და უპატიოსნო შრომას შორის. ის, რომ მე მეტ ჯამაგირს ვიღებ, ვიდრე ჩემი მაგიდის უფროსი, რომელსაც ჩემზე უკეთ ესმის საქმე, ეს უპატიოსნობაა?

– არ ვიცი.

– მაშ, მე გეტყვი: ის, რომ შენი შრომისთვის მეურნეობაში ზედმეტს იღებ, ვთქვათ, ხუთი ათას მანეთს და ჩვენი მასპინძელი გლეხი კი, რაც უნდა იშრომოს, ორმოცდაათ მანეთზე მეტს ვერ მიიღებს, ისეთივე უპატიოსნობაა, როგორც ის, რომ მე ჩემი მაგიდის უფროსზე მეტს ვიღებ, მალტუსი კი უფრო მეტს, ვიდრე რომელიმე გზის ოსტატი. პირიქით, მე ვხედავ, რომ საზოგადოება ერთგვარად მტრულად არის განწყობილი ამ ხალხისადმი, რასაც არავითარი საფუძველი არა აქვს და, მე მგონია, ეს შურით არის გამოწვეული...

– არა, ეს უსამართლობაა, – თქვა ვესლოვსკიმ, – შური აქ არ

შეიძლება იყოს, მაგრამ ამ საქმეში არის რაღაც ბინძური.

– არა, ნება მომეცი, – განაგრძო ლევინმა, – შენ ამბობ, რომ უსამართლობაა, როცა მე ხუთი ათასს ვიღებ, გლეხი კი ორმოცდაათ მანეთს, მართალია, ეს უსამართლობაა და მეც ვგრძნობ ამას, მაგრამ...

– ეს მართლაც ასეა, რატომ არის, რომ ჩვენ ვჭამთ, ვსვამთ, ვნადირობთ და არაფერს ვაკეთებთ, ის კი სულ შრომობს და შრომობს? – თქვა ვასენკა ვესლოვსკიმ, რომელიც, ეტყობა, თავის სიცოცხლეში პირველად ჩაუფიქრდა ასე ნათლად ამას და ამიტომ სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა.

– ჰო, შენ ამას გრძნობ, მაგრამ რატომ არ აძლევ შენს მამულს?– უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელიც თითქოს განზრახ იწვევდა ლევინს.

ამ უკანასკნელ ხანებში ქვისლებს შორის რაღაც იდუმალი შუღლი ჩამოვარდა: თითქოს მას შემდეგ, რაც დებზე დაიწერეს ჯვარი, მათ შორის მეტოქეობა წარმოიშვა იმის გამო, ვინ უკეთ მოაწყობდა თავის ცხოვრებას. და ახლაც ეს შუღლი მჟღავნდებოდა ამ საუბარში, რომელიც უკვე პირადულ ელფერს იღებდა.

– მე არ ვაძლევ, იმიტომ, რომ ჩემგან არავინ მოითხოვს ამას, და რომ მინდოდეს კიდეც, ვერ მივცემდი, – უპასუხა ლევინმა, – არც არავინ არის ისეთი, რომ მივცე.

– მიეცი ამ გლეხს, უარს არ გეტყვის.

– ჰო, მერე როგორ მივცე? მასთან ერთად წავიდე და ნასყიდობის სიგელი შევადგინო?

– არ ვიცი, მაგრამ თუ შენ დარწმუნებული ხარ, რომ უფლება არა გაქვს...

– სულაც არა ვარ დარწმუნებული. პირიქით, მე ვგრძნობ, რომ არა მაქვს უფლება, მივცე, რომ მოვალე ვარ მიწისა და ოჯახის წინაშე.

– არა, მოიცადე: თუ შენ ფიქრობ, რომ ეს უთანასწორობა უსამართლობაა, რატომ არ მოქმედებ ისე...

– მე ვმოქმედებ მხოლოდ საწინააღმდეგოდ. მე არ ვცდილობ გავადიდო განსხვავება, რომელიც არსებობს ჩემსა და მათ

მდგომარეობას შორის.

– არა, მაპატიე, ეს პარადოქსია.

– ჰო, ეს რაღაც სოფისტური ახსნაა, – დაუდასტურა ვესლოვსკიმაც, – ა, მასპინძელო, – უთხრა მან გლეხს, რომელმაც ჭრიალით შემოაღო ფარდულის კარი, – რაო, კიდევ არ გძინავს?

– არა, რა დროს ძილია! მე მეგონა, ბატონებმა დაიძინეს-მეთქი და ლაპარაკი კი შემომესმა. კავი მინდა გავიტანო, ძაღლი ხომ არ მიკბენს? – დასძინა მან და ფრთხილად გაიარა შიშველი ფეხებით.

– შენ სადღა დაიძინებ?

– ღამის სამწყემსურში მივდივართ.

– ოჰ, რა ღამეა! – თქვა ვესლოვსკიმ, რომელმაც გაღებული კარის დიდი ჩარჩოდან მკრთალი სინათლით განათებული ქოხი და გამოხსნილი ურიკები დაინახა, – უსმინეთ, ქალები მღერიან და არცთუ ცუდად. ეს ვინ მღერის, მასპინძელო?

– შინაყმები არიან, აქვე, გვერდით.

– წავიდეთ გავისეირნოთ! მაინც ვერ დავიძინებთ, წავიდეთ, ობლონსკი!

– რომ შეიძლებოდეს ასე იწვე და წახვიდე კიდეც, – ზმორებით უპასუხა ობლონსკიმ, – წოლაც სასიამოვნოა.

– მაშ, მარტო მე წავალ, – ცოცხლად წამოხტა ვესლოვსკი და ფეხთ ჩაიცვა, – ნახვამდის, ბატონებო! თუ მხიარულება იქნება, დაგიძახებთ. თქვენ ნანადირევით გამიმასპინძლდით და არც მე დაგივიწყებთ.

– მშვენიერი ახალგაზრდაა, ხომ მართალია? – თქვა ობლონსკიმ, როცა ვესლოვსკი გავიდა და გლეხმაც კარი გაიხურა.

– კი, კარგი ახალგაზრდაა, – უპასუხა ლევინმა, რომელიც ისევ დაწყებულ საუბარზე ფიქრობდა. მისი აზრით, მან, რამდენადაც კი შეძლო, ნათლად გამოთქვა თავისი აზრი და გრძნობა, მაგრამ მაინც ორმა ჭკვიანმა და გულწრფელმა ადამიანმა ერთხმად უთხრა, სოფიზმით ინუგეშებ თავსო. ეს აშფოთებდა ლევინს.

– მაშ, ასე, ჩემო მეგობარო, ორში ერთი უნდა ამოირჩიო: ან უნდა აღიარო, რომ თანამედროვე საზოგადოების წესწყობილება სამართლიანია, და უნდა დაიცვა შენი უფლებები; ანდა უნდა შეურიგდე, რომ სარგებლობ უსამართლო უპირატესობით, როგორც მე და სიამოვნებით ისარგებლო ამით.

– არა, ეს რომ უსამართლო იყოს, მაშინ შენ ვერ შეძლებდი, სიამოვნებით გესარგებლა ამ სიკეთით. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ შევძლებდი ამას. მე, რაც მთავარია, უნდა ვიგრძნო, რომ დამნაშავე არა ვარ.

– მართლა, ხომ არ გავისეირნოთ? – შენიშნა სტეპან არკადიჩმა, რომელიც, ეტყობა, მოქანცა ამ დაძაბულმა აზროვნებამ, – მაინც ვერ დავიძინებ, მოდი, წავიდეთ!

ლევინს პასუხი არ გაუცია. იგი ჩააფიქრა საუბარში მათ მიერ თქმულმა სიტყვებმა, რომ მხოლოდ უარყოფითი თვალსაზრისით მოქმედებს სამართლიანად: „ნუთუ მხოლოდ უარყოფითად შეიძლება იყო სამართლიანი?“ – ეკითხებოდა თავის თავს.

– მაინც რა მძაფრი სუნი აქვს ამ ნედლ თივას, – თქვა სტეპან არკადიჩმა და წამოიწია, – ვერაფრით ვერ დავიძინე. ვასენკამ უკვე რაღაც წამოიწყო იქ. გესმის მისი სიცილი და სიმღერა? ხომ არ წავსულიყავით? მოდი, წავიდეთ!

– არა, მე არ წამოვალ! – უპასუხა ლევინმა.

– ნუთუ ამასაც შენი პრინციპის გამო აკეთებ? – ღიმილით უთხრა სტეპან არკადიჩმა და სიბნელეში ქუდს დაუწყო ძებნა.

– არა, ეს პრინციპი როდია, მაგრამ რატომ უნდა წამოვიდე?

– იცი, დიდ გასაჭირში იგდებ თავს, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, ქუდი იპოვა და წამოდგა.

– რატომ მეუბნები ამას?

– განა ვერ ვხედავ, როგორ გიჭირავს ცოლთან თავი? მე გავიგონე, როგორ წამოიჭრა თქვენ შორის დიდად მნიშვნელოვანი საკითხი – წასულიყავი თუ არა ორი დღით სანადიროდ. ყველაფერი ეს კარგია, როგორც იდილია, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე არ ივარგებს ასე. მამაკაცი

დამოუკიდებელი უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს თავისი მამაკაცური ინტერესები, მამაკაცი მამაკაცი უნდა იყოს! – უთხრა ობლონსკიმ და კარი გამოაღო.

– ესე იგი რა? გავიდე და შინაყმა გოგოებს ვეარშიყო? – ჰკითხა ლევინმა.

– რატომ არ უნდა წახვიდე, თუ ეს სასიამოვნო იქნება შენთვის. Ca ne tire pas à conséquence.[33] ჩემს ცოლს ამით არაფერი დააკლდება, მე კი ვიმხიარულებ, მთავარი ის არის, ოჯახის სიწმინდე დაიცვა, რომ ოჯახში არაფერი მოხდეს. ისე კი ხელები არ უნდა შეიკრა.

– შეიძლება, – უკმეხად უთხრა ლევინმა და გვერდზე გადაბრუნდა, – ხვალ ადრე უნდა გავიდეთ, მე არავის ვაღვიძებ და განთიადზე გავდივარ.

– Messieurs, vener vite![34] – გაისმა ვესლოვსკის ხმა, რომელიც უკან მობრუნებულიყო, – Chármante![35] ეს მე აღმოვაჩინე. Chármante. ნამდვილი გრეტხენია, ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი. მართლაც რომ მშვენიერია, – ისეთი კმაყოფილებით ჰყვებოდა ვესლოვსკი, თითქოს მისთვის იყო იგი შექმნილი და მადლობელი იყო მისი, ვინც შექმნა მისთვის ასეთი მშვენიერება.

ლევინმა თავი მოიმძინარა, ობლონსკიმ კი ფეხთ ჩაიცვა, სიგარა გააბოლა და ფარდულიდან გავიდა; მალე მათი ხმა მიწყდა.

ლევინმა დიდხანს ვერ დაიძინა. მას ესმოდა, როგორ ახრამუნებდნენ მისი ცხენები თივას, გაიგონა, როგორ ემზადებოდა მასპინძელი თავისი უფროსი ვაჟითურთ და როგორ წავიდა სამწყემსურში. ესმოდა, როგორ წვებოდა სალდათი დასაძინებლად ფარდულის მეორე გვერდზე ძმისშვილთან, მასპინძლის პატარა ბიჭთან; ესმოდა, როგორ უზიარებდა ბიჭი წვრილი ხმით ბიძას თავის შთაბეჭდილებებს ძაღლებზე, რომლებიც მას საშინელნი და უზარმაზარნი ეჩვენებოდნენ; შემდეგ ბიჭი ეკითხებოდა, ვინ უნდა დაიჭირონ ამ ძაღლებმაო, სალდათი კი ხრინწიანი, ნამძინარევი ხმით ეუბნებოდა, ხვალ მონადირეები ჭაობში გავლენ და თოფებს გაისვრიანო. და შემდეგ, რომ თავი აერიდებინა მისი შეკითხვისთვის, უთხრა: „დაიძინე, ვასკა, დაიძინე, თორემ იცი“... და ამის შემდეგ მალე თვითონაც ამოუშვა ხვრინვა და ყველაფერი მიყუჩდა; მხოლოდ ცხენების ხვიხვინი და

ჩიბუხების ჩხავილი ისმოდა: „ნუთუ მხოლოდ უარყოფითად? – იმეორებდა ლევინი, – მერე რა, მე დამნაშავე არა ვარ“, და ახლა ხვალინდელ დღეზე დაიწყო ფიქრი.

„ხვალ დილით ადრე უნდა გავიდე და არ უნდა ავღელდე. ჩიბუხა უამრავია. ლაინებიც არის. რომ დავბრუნდები, კიტის წერილი დამხვდება. ჰო, სტივა მართალს ამბობს: მე კიტისთან ისე არ მიჭირავს თავი, როგორც საჭიროა, გავქალაჩუნდი... მაგრამ რას იზამ, ისევ უარყოფითად გამოდის!“

ძილში ვესლოვსკისა და სტეპან არკადიჩის სიცილი და მხიარული ლაპარაკი შემოესმა. მან ერთი წუთით თვალი გაახილა: მთვარე ამოსულიყო და ღია ჭიშკარში მთვარის შუქით განათებული ვესლოვსკი და სტეპან არკადიჩი იდგნენ და ლაპარაკობდნენ. სტეპან არკადიჩი რაღაცას ამბობდა ქალიშვილის სინორჩეზე, ახალ ჩურჩაშემოცლილ თხილს ადარებდა. ვესლოვსკი კი თავისებურად გულიანად იმეორებდა: „შენ უფრო იმას ეცადე, საკუთარი გაიჩინო!“ ლევინმა მძინარმა წაილაპარაკა: – ბატონებო, ხვალ მზის სინათლეს უნდა დავასწროთ! – და ისევ დაიძინა.

XII

მეორე დღეს ლევინმა ალიონზე გაიღვიძა და ამხანაგების გაღვიძება სცადა. ვასენკა თავდაღმა იწვა, ცალი წინდიანი ფეხი გაეჭიმა და ისე მაგრად ეძინა, რომ პასუხიც ვერ მიიღო მისგან. ნახევრად მძინარე ობლონსკიმ კი უარი განუცხადა ასე ადრე წასვლაზე. თივის ბოლოს მორგვივით მოკუნტული ლასკაც კი უხალისოდ წამოდგა, ზანტად ჭიმავდა და ისწორებდა უკანა ფეხებს, ხან ერთსა და ხან მეორეს. ლევინმა ფეხთ ჩაიცვა, თოფი აიღო, ფრთხილად გამოაღო ფარდულის ჭრაჭუნა კარი და გარეთ გამოვიდა. მეეტლეებს ეტლებთან ეძინათ. ცხენები თვლემდნენ. მხოლოდ ერთი ცხენი ზანტად ჭამდა ქერს და ტუჩით ფანტავდა თივას გეჯაში. გარეთ ჯერ ისევ ბინდი იდგა.

– ასე ადრე რატომ ამდგარხარ, ჩემო გვრიტო? – მიმართა ლევინს ქოხიდან გამოსულმა მოხუცმა დიასახლისმა და ისე

გულითადად უთხრა ეს, როგორც ძველისძველ კარგ ნაცნობს.

– სანადიროდ მინდა წავიდე, დეიდა, აქედან გავალ თუ არა ჭაობზე?

– პირდაპირ უკანა ეზოთი. ჩვენს კალოებზე გაივლი, ჩემო კარგო, კანაფებზე გადახვალ და იქ ბილიკს ნახავ.

მოხუცმა, რომელიც ფრთხილად აბიჯებდა შიშველ, გარუჯულ ფეხებს, კალოზე გასასვლელი ღობის კარი გაუღო.

– ასე პირდაპირ მიადგები ჭაობს. ჩვენმა ბიჭებმა გუშინ საღამოს იქ საქონელი გარეკეს.

ლასკა მხიარულად გარბოდა წინ, ბილიკზე; ლევინიც ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან და წამდაუწუმ ცას შეჰყურებდა. უნდოდა, ჭაობთან მისვლამდე მზეს არ დაესწრო ამოსვლა. მაგრამ მზეც აღარ აყოვნებდა. ლევინი რომ გამოვიდა, მთვარე ჯერ ისევ ანათებდა, ახლა კი ვერცხლის წყალივით ბზინავდა; გარიჟრაჟის ციაგი, რომელიც წინათ არ შეიძლებოდა არ შეგემჩნიათ, ახლა საძებნელი იყო; უფრო ნათლად მოჩანდნენ შორეულ მინდორზე მქრქალი ლაქები. ეს იყო ჭვავის ძნები. სურნელოვან მაღალ კანაფზე დაყრილი ნამი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანდა სინათლეზე, ფეხებს უსველებდა და წელამდე სწვდებოდა. დილის გამჭვირვალე სიჩუმეში სულ უმნიშვნელო ჩქამიც კი ისმოდა. ტყვიასავით ჩაიზუზუნა ლევინის ყურთან ფუტკარმა. ლევინმა თვალი გააყოლა და მეორე და მესამე ფუტკარიც დაინახა. ის იყო გამოსულიყვნენ სკიდან და კანაფისაკენ მიფრინავდნენ, ჭაობის მიმართულებით. ბილიკმა პირდაპირ ჭაობთან გაიყვანა ლევინი. ჭაობის გამოცნობა შეიძლებოდა ზევით ავარდნილი ოხშივრით, რომელიც ზოგან სქლად იდგა, ზოგან კი უფრო გაფანტულიყო, ისე, რომ ისლის და წნორის ბუჩქები კუნძულებივით ირხეოდა ამ ოხშივარში. ჭაობისა და გზის ნაპირას ღამის მეხრე გლეხებსა და პატარა ბიჭებს ეძინათ და გამთენიისას ყველას ქურქები წაეფარებინა. მათ მახლობლად სამი დაფალმანდებული ცხენი დადიოდა. ერთი მათგანი ჯაჭვებს აჩხარუნებდა. ლასკა გვერდით მიჰყვებოდა პატრონს, წინ წასვლას იხვეწებოდა და უკან-უკან იხედებოდა. როცა გვერდით ჩაუარა მძინარე გლეხებს და პირველ ჭანჭრობს გაუთანასწორდა, ლევინმა ფისტონები მოსინჯა და ძაღლი გაუშვა. იმ სამი ცხენიდან ერთი მსუქანი ქურანი ცხენი ძაღლის

დანახვაზე გვერდზე გახტა, კუდი აბზიკა და დაიფრუტუნა. დანარჩენი ცხენებიც დაფრთხნენ, დაბორკილი ფეხები აატყაპუნეს, ჭაობიდან სკუპ-სკუპით მოხტოდნენ და როცა სქელი შლამიდან ფლოქვები ამოჰქონდათ, ტაშის ხმას გამოსცემდნენ, ლასკა შეჩერდა, დაცინვით გადახედა ცხენებს და მერე კითხვის გამომხატველი თვალით შეაჩერდა პატრონს. ლევინმა ხელი გადაუსვა ლასკას და დაუსტვინა ნიშნად იმისა, რომ უკვე შეიძლებოდა ნადირობის დაწყება.

ლასკა მხიარულად გაიქცა ჭანჭრობზე, რომელიც მის ფეხქვეშ ლივლივებდა.

ჭაობში შერბენისთანავე ფესვების, ჭაობის ბალახების, წუმპის ნაცნობ სუნსა და ცხენის ჩონჩორიკის უცხო სუნთან ერთად, ძაღლმა მაშინვე აიღო მთელ იმ მინდორზე მოდებული ფრინველის სუნი, სწორედ იმ ფრინველისა, ყველაზე მეტად რომ აღელვებდა. ალაგ-ალაგ ხავსსა და ჭაობის დუმფარების სუნზე უფრო ძლიერად სცემდა ეს სუნი, მაგრამ ჯერ ალღო ვერ აეღო, საით უფრო ძლიერი ან საით უფრო ნაკლები იყო იგი. გეზის ასაღებად ჯერ უნდა გასცლოდა ამ ადგილს და მერე ქარით აეღო გეში. ლასკა ვეღარ გრძნობდა საკუთარი ფეხების მოძრაობას და ისეთ დაძაბულ ნახტომებს აკეთებდა, რომ ყოველი ნახტომის დროს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა გაჩერება, მან ჯერ მარჯვნივ გაუხვია, გზა აუქცია აღმოსავლეთიდან მონაბერ განთიადის ნიავს და პირი ქარისკენ იბრუნა. გაფართოებული ნესტოებით ჰაერი შეისუნთქა და მაშინვე იგრძნო, რომ მარტო კვალი კი არა, თვით ისინი იყვნენ აქ, მის წინ და ერთი კი არა, ბევრი. ლასკამ სირბილი შეანელა. ისინი აქ იყვნენ, მაგრამ სახელდობრ სად, ჯერ ვერ განესაზღვრა. და ამ ადგილის მოსანახავად უკვე დაიწყო გარშემოვლა, მაგრამ უეცრად პატრონის ხმამ მიიქცია მისი ყურადღება. „ლასკა! აქა, აქა!“ – დაუძახა მან და მეორე მხარეს მიუთითა. ლასკა შეჩერდა, თითქოს ეკითხებოდა პატრონს, ისე არ სჯობია, როგორც მე ვაკეთებდიო, მაგრამ პატრონმა კიდევ გაიმეორა ბრძანება გაჯავრებული ხმით და მიუთითა წყლით დაფარულ ბელტნარზე, სადაც არ შეიძლებოდა რამე ყოფილიყო. ლასკამაც დაუჯერა, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ეძებსო, რომ ამით ესიამოვნებინა პატრონი, ბელტნარს შემოურბინა, მერე ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა და კვლავ მაშინვე იგრძნო მათი სუნი. ახლა, როცა პატრონი ხელს აღარ უშლიდა, ლასკამ იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა, არც კი

იყურებოდა ფეხებქვეშ, ისე მიფორთხავდა მაღალ ბელტებზე, წყალში ვარდებოდა, მაგრამ მოქნილი და ღონიერი ფეხებით ისევ ამოდიოდა წყლიდან და უვლიდა წრეს, რომელსაც ყველაფერი უნდა გამოერკვია მისთვის. ფრინველის სუნი სულ უფრო და უფრო ძლიერ, სულ უფრო გარკვეულად სცემდა და უეცრად მისთვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ ერთი მათგანი აქვე, ამ ბელტის იქით, მისგან ხუთი ნაბიჯის დაშორებით იჯდა და ლასკა შეჩერდა. მთელი სხეულით გაილურსა. მოკლე ფეხებზე დაცუცქულ ლასკას არაფერი არ შეეძლო დაენახა წინ, მაგრამ სუნით გრძნობდა, რომ ის აქვე, ხუთი ნაბიჯის დაშორებით იჯდა. ლასკა იდგა, სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობდა მის სიახლოვეს და ტკბებოდა მოლოდინით. კუდი ზევით ჰქონდა აბზეკილი და მხოლოდ კუდის წვერი თუ ერხეოდა. პირი ოდნავ გაეღო და ყურები დაეცქვიტა. ცალი ყური ჯერ კიდევ სირბილის დროს გადმოეკეცა, მძიმედ, ფრთხილად სუნთქავდა და კიდევ უფრო ფრთხილად იყურებოდა პატრონისაკენ, მხოლოდ თავით კი არა, თვალებით. ისიც თავისი ჩვეულებრივი იერით, მაგრამ ყოველთვის შიშის მომგვრელი თვალებით, ბელტებზე ბორძიკობდა და როგორც ლასკას ეჩვენებოდა, ძალიან ნელა მოდიოდა. ძაღლს ეჩვენებოდა, ნელა მოდისო, ლევინი კი მორბოდა.

ლევინმა შენიშნა ლასკას განსაკუთრებული ძებნა, როცა მთელი სხეულით მიწას ეკვროდა, თითქოს უკანა ფეხებით მიწას ფოცხავსო და პირი კი ოდნავ გაღებული ჰქონდა; მიხვდა, რომ ძაღლმა ლაინების სუნი აიღო და გულში ღმერთს ევედრებოდა, პირველ გასროლაზე მაინც არ მომეცაროს ხელიო; ასე მიირბინა ლასკასთან. ახლოს რომ მივიდა, ლევინმა ზემოდან დაინახა ის, რასაც ლასკა ცხვირით გრძნობდა. ბელტებშუა იჯდა ერთი ლაინი, თავი გვერდზე მიებრუნებინა და სმენად ქცეულიყო, შემდეგ ფრთები ოდნავ გაშალა, ისევ დაკეცა, უხერხულად მოიქნია ბოლო და ბელტს ამოეფარა. – ეცი, ეცი, – დაიყვირა ლევინმა და უკნიდან ფეხი წაჰკრა ლასკას.

„მე არ შემიძლია წასვლა, – ფიქრობდა ლასკა, – სად უნდა წავიდე? მე აქედან ვგრძნობ მათ, წინ თუ წავიწიე, ველარაფერს გავიგებ, სად არიან ან ვინ არიან!“ მაგრამ აი, ლევინმა კიდევ წაჰკრა მუხლი და აღელვებით წაიჩურჩულა: „ეცი, ლასოჩკა, ეცი!“

„კარგი, თუ ასე უნდა, მეც გავაკეთებ ამას, მაგრამ ახლა უკვე აღარ ვიქნები ჩემს თავზე პასუხისმგებელი“, – გაიფიქრა ლასკამ და მთელი ძალით გადახტა წინ. იგი ახლა აღარაფრის სუნს აღარ გრძნობდა, მხოლოდ ხედავდა და ესმოდა, ოღონდ აღარაფერი გაეგებოდა.

წინანდელი ადგილიდან ათი ნაბიჯის დაშორებით ხმამაღალი ყივილითა და მხოლოდ ლაინებისთვის დამახასიათებელი ფრთების ტყლაშუნით წამოფრინდა ერთი ლაინი და გასროლისთანავე თეთრი მკერდით მძიმედ ჩაეშვა სველ ჭაობში. მეორემაც აღარ დაიცადა და უძაღლოდ წამოფრინდა ლევინის უკან.

ლევინი რომ მისკენ მოტრიალდა, ლაინი უკვე შორს იყო, მაგრამ ტყვია მაინც მისწვდა. ოციოდე ნაბიჯზე გაფრინდა, მერე სოლივით აიწია ზევით, გასროლილი ბურთივით ტრიალ-ტრიალით წამოვიდა და მძიმედ დაეცა მშრალზე.

„აი, ეს კარგი საქმეა! – გაიფიქრა ლევინმა, როცა იაგდტაშში ჩააწყო ჯერ ისევ თბილი და მსუქანი ლაინები, – ა, ლასოჩკა, ხომ კარგი საქმეა?“

როცა ლევინმა თოფი გატენა და წინ გასწია, მართალია, მზე არ ჩანდა ღრუბლებიდან, მაგრამ უკვე ამოსულიყო, მთვარემ სულ დაკარგა ბრწყინვალება და ღრუბელივით კიაფობდა ცაზე; აღარც ერთი ვარსკვლავი აღარ მოჩანდა. ადრე ცვრისაგან ვერცხლისფრად გაბრწყინებული ჭანჭრობი ახლა ოქროსფრად ელვარებდა. ჭაობის წყალი ქარვისფერი გახდა. ჩასუქებულ ბალახს მოყვითალო მწვანე ფერი გადაჰკრავდა. ჭაობის ჩიტები რუს პირას ცვრით გაბრწყინებულ ბუჩქებში ფუთფუთებდნენ. ქორსაც გაეღვიძა, ზვინზე შემომჯდარიყო, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და უკმაყოფილოდ დაჰყურებდა ჭაობს. ჭილყვავები თავს დასტრიალებდნენ მინდორს და ფეხშიშველა ბიჭუნა უკვე მიერეკებოდა ცხენებს მოხუცისაკენ, რომელიც ის იყო გამომძვრალიყო ქურქიდან და იქექებოდა. თოფის კვამლი რძესავით თეთრად ეფინებოდა მწვანე ბალახს.

ერთმა პატარა ბიჭმა ლევინთან მოირბინა.

– ძია, გუშინ იხვები იყვნენ აქ! – დაუყვირა მან ლევინს და შორიახლო აედევნა.

და ლევინისთვის ორჯერ უფრო სასიამოვნო იყო, როცა

ზედიზედ მოკლა კიდევ სამი ჩიბუხა ამ ბიჭის თანდასწრებით, რომელიც, ეტყობა, თავის მოწონებას გამოხატავდა.

XIII

გამართლდა მონადირეთა გუმანი, თუ პირველი ნადირი ან ფრინველი არ წაგივიდა, ნადირობა იღბლიანი გექნებაო.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მშიერი და ბედნიერი ლევინი ბინაში დაბრუნდა. მან ოცდაათ ვერსამდე გაიარა და მოკლა ცხრამეტი ჭაობის ფრინველი და ერთი იხვი, რომელიც ქამარზე ჰქონდა ჩამოკიდებული, რადგან იაგდტაშში ვეღარ ჩაეტია. ამხანაგებს კარგა ხანია უკვე გაეღვიძათ, მოშივებოდათ და ესაუზმათ კიდეც.

– მოიცათ, მოიცათ, მე ვიცი, ცხრამეტია, – ამბობდა ლევინი და მეორეჯერ ითვლიდა ჩიბუხებსა და ლაინებს, რომელთაც უკვე აღარ შერჩენოდათ ის კოხტა იერი, როგორიც აფრენის დროს ჰქონდათ, ახლა სისხლშემხმარი ფრინველები მოკრუნჩხულიყვნენ და თავები გვერდზე მოღრეცოდათ.

ანგარიში უკვე გასწორებული იყო და ახლა სტეპან არკადიჩის შური სიამოვნებდა ლევინს. სასიამოვნო იყო ისიც, რომ ბინაში დაბრუნებულს კიტის გამოგზავნილი კაცი დახვდა ბარათით.

„მე სავსებით ჯანმრთელად და მხიარულად ვარ და თუ ჩემი შიში გაქვს, შეგიძლია წინანდელზე უფრო მეტად დამშვიდებული იყო. მე კიდევ ახალი მცველი გამომიჩნდა, მარია ვლასიევნა (ეს გახლდათ ბებიაქალი – ახალი თვალსაჩინო პიროვნება ლევინის ოჯახურ ცხოვრებაში). იგი ჩემს სანახავად ჩამოვიდა, მნახა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ, მაგრამ შენს მოსვლამდე აღარ გავუშვით. ყველანი ჯანმრთელად და მხიარულად ვგრძნობთ თავს და შენც, გეთაყვა, თუ კარგი ნადირობა შეგხვდათ, ნუ აჩქარდები და ერთი დღე კიდევ დარჩი“.

ეს ორი სიხარული – იღბლიანი ნადირობა და ცოლის წერილი – იმდენად დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ამის შემდეგ მომხდარი ორი პატარა უსიამოვნება ლევინმა იოლად გადაიტანა: ერთი ის იყო, რომ წაბლა ცხენი, ეტყობა, გუშინ მეტისმეტად გადაიღალა და პირს აღარაფერს აკარებდა, მოწყენილი იყო. მეეტლე ამბობდა, გადაიქანცაო.

– გუშინ ნამეტანი მოუვიდა, კონსტანტინ დმიტრიჩ, – ეუბნებოდა მეეტლე, – ათი ვერსი სულ ჭენებით გამოვატარეთ.

მეორე უსიამოვნება, რომელმაც ჯერ სულ მოუშხამა გუნება, მერე კი ბევრი იცინა, ის იყო, რომ კიტის მიერ ბლომად გამოტანებული ხორაგიდან, ერთი კვირის სამყოფი რომ ეგონათ, აღარაფერი დარჩენილიყო. ბინისკენ მიმავალი დაქანცულ-დამშეული ლევინი ისე საგულდაგულოდ ოცნებობდა ღვეზელებზე, რომ, როგორც კი სახლს მიუახლოვდა, მათი სუნი ეცა, ისე როგორც ლასკა აიღებდა ხოლმე ფრინველის გეშს, და პირშიც სულ ღვეზლის გემო უტრიალებდა. ამიტომაც ბინაში შესვლისთანავე მოტანა უბრძანა ფილიპს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არათუ ღვეზელი, წიწილებიც კი აღარ იყო.

– ჭამის მადას ხომ ნუღარ იტყვი, – სიცილით უთხრა სტეპან არკადიჩმა და ვასენკა ვესლოვსკიზე მიუთითა, – მეც არ ვუჩივი უმადობას, მაგრამ ეს საოცარია...

– მაშ, რა ვქნა! – თქვა ლევინმა და პირქუშად გადახედა ვესლოვსკის, – საქონლის ხორცი მაინც მომიტანე, ფილიპ!

– ხორციც მიირთვეს, ძვლები კი ძაღლებს გადავუგდე.

ლევინს ისე ეწყინა, რომ საყვედური ვეღარ დაფარა.

– ცოტა რამ მაინც დაგეტოვებინათ ჩემთვის! – და ლევინს ტირილი მოუნდა.

– ნანადირევი მაინც გამოშიგნე, – აკანკალებული ხმით უთხრა ფილიპს და თავს ძალა დაატანა, აღარ შეეხედა ვასენკასთვის, – ჭინჭარიც დაადე, ჩემთვის კი რძე სთხოვე სახლის პატრონს.

შემდეგ, როცა რძით დანაყრდა, შერცხვა იმის გამო, რომ ასე უსაყვედურა უცხო კაცს და სიცილით იგონებდა, როგორ იყო გაბოროტებული შიმშილისაგან.

საღამოს ცოტა კიდევ წაინადირეს; ამჯერად ვესლოვსკიმაც მოკლა რამდენიმე ფრინველი, ღამით კი შინ დაბრუნდნენ.

უკან დაბრუნებისასაც ისევე მხიარულად იყვნენ, როგორც სანადიროდ წასვლისას. ვესლოვსკი ხან მღეროდა, ხან იმას იგონებდა, როგორ ასიამოვნეს გლეხებმა, არაყი რომ დაალევინეს და უთხრეს, არ დაგვძრახოო, იმღამინდელი თხილის, შინაყმა გოგოებისა და გლეხის ამბავიც გაიხსენა, რომელმაც ჰკითხა ვესლოვსკის, ცოლიანი ხარ თუ არაო და, როცა გაიგო უცოლო იყო, უთხრა: შენ სხვის ცოლებზე ნუ აცეცებ თვალებს, იმას ეცადე, საკუთარი გაიჩინოო. ეს სიტყვები განსაკუთრებით აცინებდა ვესლოვსკის.

– საერთოდ, მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი მოგზაურობით. თქვენ რას იტყვით, ლევინ?

– მეც დიდად კმაყოფილი ვარ, – გულწრფელად უთხრა ლევინმა, მას განსაკუთრებით ახარებდა, რომ არათუ აღარ გრძნობდა იმ მტრულ დამოკიდებულებას ვასენკა ვესლოვსკისადმი, რომელსაც შინ განიცდიდა, არამედ პირიქით, მეგობრულად იყო განწყობილი.

XIV

მეორე დღეს, ათ საათზე, როცა ლევინმა მოიარა მთელი მეურნეობა, ვასენკას ოთახთან მივიდა და დაუკაკუნა.

– Entrez,[36] – გამოსძახა ვესლოვსკიმ, – მაპატიეთ, მხოლოდ ახლა გავათავე ჩემი ablutions,[37] – ღიმილით უთხრა ვასენკამ, რომელიც საცვლების ამარა იდგა მის წინ.

– ნუ მომერიდებით, გეთაყვა, – ლევინი ფანჯარასთან ჩამოჯდა, – კარგად გეძინათ?

– მკვდარივით. როგორი დღეა სანადიროდ?

– თქვენ რას მიირთმევთ ხოლმე, ჩაის თუ ყავას?

– არც ერთსა და არც მეორეს. მე საუზმეს გეახლებით. მართლაც

რომ მრცხვენია, მანდილოსნები, ალბათ, დიდი ხანია ადგნენ. არა? ახლა სწორედ კარგი იქნება გასეირნება. მაჩვენეთ თქვენი ცხენები.

ლევინმა და ვესლოვსკიმ ბაღში გაისეირნეს, საჯინიბო დაათვალიერეს, ივარჯიშეს კიდეც ერთად, შემდეგ ლევინი სტუმართან ერთად შინ დაბრუნდა და სასტუმრო ოთახში შევიდა.

– მშვენივრად ვინადირეთ და შთაბეჭდილებებიც აუარებელია! – თქვა ვესლოვსკიმ და მივიდა კიტისთან, რომელიც სამოვართან იჯდა, – რა სამწუხაროა, რომ ქალები მოკლებულნი არიან ამ სიამოვნებას!

„მერე რა, ხომ უნდა გამოელაპარაკოს ოჯახის დიასახლისს“, – თქვა თავისთვის ლევინმა. მას კვლავ რაღაც მოეჩვენა ვასენკას ღიმილში, მის გამარჯვებულ სახის გამომეტყველებაში, თუ როგორ მიმართა მან კიტის.

მარია ვლასიევნასა და სტეპან არკადიჩთან ერთად მაგიდის მეორე მხარეს მჯდარმა თავადის მეუღლემ თავისთან იხმო ლევინი და საუბარი დაუწყო კიტის მოსალოგინებლად მოსკოვში გადასვლასა და ბინის მომზადებაზე. ლევინისთვის, ისე როგორც ჯვრისწერის დროს, არასასიამოვნო იყო ყოველგვარი სამზადისი, რაც თავისი არარაობით შეურაცხყოფდა ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, ახლა კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო სამზადისი მომავალი მშობიარობისთვის, რომლის დროსაც როგორღაც თითებზე ითვლიდნენ. იგი ყოველთვის ცდილობდა, არ მოესმინა მათი საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეხვიათ მომავალი ბავშვი, ცდილობდა, ზურგი შეექცია და არ დაენახა რაღაც გრძელ-გრძელი არტახები, რომელთაც დაუსრულებლივ ქსოვდნენ, რაღაც ტილოს სამკუთხედები, რომელთაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დოლი და ა.შ. ვაჟიშვილის დაბადება (იგი დარწმუნებული იყო, ვაჟიშვილი იქნებოდა), რასაც აღუთქვამდნენ და მაინც არ სჯეროდა, რადგან მეტად არაჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა, ეჩვენებოდა, ერთი მხრივ, ისეთ უზარმაზარ და ამიტომაც შეუძლებელ ბედნიერებად, მეორე მხრივ კი იმდენად იდუმალებით მოცულ ამბად, რომ ფიქრი იმაზე, თუ რა იქნებოდა და ამის შედეგად მზადება ამისთვის, როგორც სრულიად ჩვეულებრივი საქმისთვის, რომელიც თვით ადამიანებმა შექმნეს, ლევინს

აღმაშფოთებლად და დამამცირებლად ეჩვენებოდა.

თავადის მეუღლეს არ ესმოდა ლევინის ეს გრძნობა და მის საქციელს დაუფიქრებლობითა და გულგრილობით ხსნიდა, ამიტომაც მოსვენებას არ აძლევდა. იგი სტეპან არკადიჩს ბინის მოძებნას ავალებდა და ამიტომ იხმო ლევინი.

– მე არ ვიცი, ქალბატონო, გააკეთეთ ისე, როგორც გენებოთ, – უთხრა მან.

– უნდა გადავწყვიტოთ, როდის გადახვალთ.

– მართალი გითხრათ, არ ვიცი. ვიცი, რომ მილიონობით ბავშვი იბადება უმოსკოვოდ, ექიმების გარეშე... რატომ არ...

– ჰო, თუ ასეა...

– თუმცა არა, როგორც კიტის უნდა.

– კიტისთან არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი. რაო, შენ გინდა, წინასწარ შევაშინო? წელს გაზაფხულზე მშობიარობას გადაჰყვა ნატალია გოლიცინა, იმიტომ, რომ ბებიაქალი არ ვარგოდა.

– როგორც თქვენ მეტყვით, ისე გავაკეთებ, – მოწყენით უთხრა ლევინმა.

თავადის მეუღლემ ლაპარაკი გაუბა ლევინს, მაგრამ იგი ყურს არ უგდებდა. მართალია, თავადის მეუღლესთან ლაპარაკი გუნებას უფუჭებდა, მაგრამ ამ ლაპარაკის გამო კი არა, უფრო იმიტომ მოიღუშა, რომ არ მოსწონდა ის, რასაც სამოვართან ხედავდა.

„არა, ეს შეუძლებელია“, – ფიქრობდა იგი და დროდადრო გადახედავდა ხოლმე, როგორ გადახრილიყო კიტისაკენ ვასენკა, თავისებური ლამაზი ღიმილით რომ ესაუბრებოდა და კიტიც აწითლებული და აღელვებული უსმენდა.

რაღაც იყო უკეთური ვასენკას პოზაში, მის გამოხედვაში, მის ღიმილში. ლევინი ამ რაღაც უკეთურს კიტის ღიმილსა და გამოხედვაშიც კი ამჩნევდა და მას კვლავ თვალთ დაუბნელდა. გუშინდელივით ახლაც უეცრად, შეუჩერებლივ იგრძნო, როგორ დაეშვა ბედნიერების, სიმშვიდისა და ღირსების მწვერვალიდან სასოწარკვეთილების, გაბოროტებისა და დამცირების უფსკრულში. ახლაც კვლავ შეზიზღდა ყველა და ყველაფერი.

– მაშ, ისე გააკეთეთ, ქალბატონო, როგორც გნებავთ, – უთხრა მან და ისევ გაიხედა კიტისაკენ.

– მძიმეა ქუდი მონომახისა! – ხუმრობით უთხრა სტეპან არკადიჩმა, რომელმაც, ეტყობა, მარტო თავადის მეუღლესთან საუბარზე კი არა, ამ მღელვარებაზეც გადაუკრა ლევინს სიტყვა, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩენია, – დღეს რა გვიან გამოხვედი, დოლი!

ყველანი ფეხზე წამოდგნენ დარია ალექსანდროვნას შესახვედრად. ვასენკაც წამოდგა და ისე, როგორც შეეფერებოდათ ახალი დროის ახალგაზრდებს, რომელთა საქციელშიც არ ჩანს განსაკუთრებული თავაზიანობა მანდილოსნისადმი, ოდნავი თავის დაკვრით მიესალმა დარია ალექსანდროვნას და ისევ სიცილით განაგრძო საუბარი კიტისთან.

– მაშამ გამაწვალა. მთელი ღამე ცუდად ეძინა და დღეს საშინლად ჟინიანობდა, – თქვა დოლიმ.

კიტი და ვასენკა გუშინდელივით ახლაც ანასა და იმის შესახებ ლაპარაკობდნენ, თუ როგორ შეიძლება დადგეს სიყვარული საზოგადოებრივ პირობებზე მაღლა. კიტის არ სიამოვნებდა ეს საუბარი, არც საუბრის შინაარსი, არც ტონი და განსაკუთრებით ღელავდა, რადგან იცოდა, როგორ იმოქმედებდა ყოველივე მის ქმარზე, მაგრამ იმდენად გულწრფელი და უდანაშაულო იყო, რომ არ შეეძლო შეეწყვიტა ეს საუბარი, არ შეეძლო დაემალა გარეგნული სიამოვნება, რასაც, ეტყობა, ანიჭებდა ამ ყმაწვილის ყურადღება. მას უნდოდა შეეწყვიტა საუბარი, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იცოდა, რომ ყოველი მისი საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ქმარს და ყველაფერს ცუდად გაიგებდა. და მართლაც, როცა კიტი შეეკითხა დოლის, რა დაემართა მაშასო, და ვასენკა კი იმის მოლოდინში, თუ როდის გათავდებოდა ეს მისთვის მოსაწყენი საუბარი, გულგრილად შეჰყურებდა დოლის, ეს შეკითხვა სიყალბედ და საზიზღარ ეშმაკობად მოეჩვენა ლევინს.

– რას იტყვით, არ წავიდეთ დღეს სოკოზე? – თქვა დოლიმ.

– წავიდეთ, გეთაყვა, მეც წამოვალ, – თქვა კიტიმ და წამოწითლდა. მას უნდოდა თავაზიანობისთვის ეკითხა ვასენკასთვის, თქვენც წამოხვალთ თუ არაო, მაგრამ აღარ ჰკითხა, – სად მიდიხარ, კოსტია? – დამნაშავესავით ჰკითხა მან

ქმარს, როცა ლევინმა მტკიცე ნაბიჯით ჩაიარა მათ გვერდით.

– მემანქანე უჩემოდ ჩამოსულა და მე ჯერ არ მინახავს, – უპასუხა მან, ისე, რომ არც შეუხედავს კიტისთვის.

ლევინი ქვევით ჩავიდა, მაგრამ კაბინეტიდან გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ყური მოჰკრა ცოლის ფეხის ხმას, რომელიც გაუფრთხილებელი სისწრაფით მოდიოდა მისკენ.

– რა გინდა? – უკმეხად ჰკითხა ლევინმა, – ჩვენ არა გვცალია.

– მაპატიეთ, – მიუბრუნდა კიტი გერმანელ მემანქანეს, – რამდენიმე სიტყვა მინდა ვუთხრა ქმარს.

გერმანელმა წასვლა დააპირა, მაგრამ ლევინმა უთხრა: – ნუ წუხდებით.

– მატარებელი სამზე გადის? – იკითხა გერმანელმა, – არ დამაგვიანდეს.

ლევინმა არაფერი უპასუხა მას და ცოლთან ერთად თვითონ გამოვიდა გარეთ.

– აბა, რა გინდოდათ გეთქვათ? – ფრანგულად შეეკითხა ლევინი. იგი სახეში არ უყურებდა კიტის, არ უნდოდა დაენახა, მის მდგომარეობაში მყოფს, როგორ უკანკალებდა მთელი სახე და რა საცოდავი, განადგურებული ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა.

– მე... მე მინდა გითხრა, რომ ასე შეუძლებელია ცხოვრება, რომ ეს ტანჯვაა... – ჩაილაპარაკა კიტიმ.

– ხალხი აქვე, სასადილო ოთახშია, – გაბრაზებით უთხრა ლევინმა, – სცენებს ნუ მიმართავთ.

– მაშ, აქეთ წავიდეთ!

ისინი გასასვლელ ოთახში იდგნენ. კიტის უნდოდა მეზობელ ოთახში შესულიყო, მაგრამ იქ ინგლისელი ქალი ამეცადინებდა ტანიას.

– მაშ, ბაღში ჩავიდეთ!

ბაღში წინ შემოეჩეხათ მებაღე, რომელიც ბილიკებს წმენდდა. მაგრამ ისინი უკვე აღარ ფიქრობდნენ იმაზე, რომ მებაღე ხედავდა კიტის ცრემლებსა და ლევინის აღელვებულ სახეს, არ

ფიქრობდნენ, რომ იმ ადამიანებს ჰგავდნენ, რომელნიც რაღაც უბედურებას გაურბიან, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ და გრძნობდნენ, რომ მათთვის საჭირო იყო განმარტოება, რათა ყველაფერი ეთქვათ, დაერწმუნებინათ ერთმანეთი, როგორმე თავი დაეღწიათ იმ წამებისთვის, რომელსაც ორივე განიცდიდა.

– ასე შეუძლებელია ცხოვრება! ეს წამებაა! მეც ვიტანჯები, შენც იტანჯები. რისთვის? – უთხრა კიტიმ, როცა ბოლოს ცაცხვების ხეივნის კუთხეში განმარტოებით მდგარ სკამამდე მიაღწიეს.

– შენ მხოლოდ ერთი რამ მითხარი: იყო თუ არა მის მოქცევაში რაღაც უწესო, უკეთური, დამამცირებელი და საშინელი? – ეუბნებოდა ლევინი და ისევ ისე მკერდთან მიტანილი მუშტებით იდგა მის წინაშე, როგორც იმ ღამეს.

– იყო, – აკანკალებული ხმით უთხრა კიტიმ, – მაგრამ, კოსტია, განა ვერ ხედავ, რომ მე დამნაშავე არა ვარ? მე დილიდანვე მინდოდა ისე დამეჭირა თავი, მაგრამ ეს ხალხი... რატომ ჩამოვიდა, რა ბედნიერები ვიყავით! – ეუბნებოდა კიტი და სულს ძლივსღა ითქვამდა ქვითინისაგან, რომელიც მთელ მის სავსე სხეულს ათრთოლებდა.

როცა ცოლ-ქმარმა გვერდით ჩაუარა განცვიფრებულ მებაღეს, მან დაინახა, რომ, მართალია, ცოლ-ქმარს არავინ მისდევდა უკან, არც არაფერი ჰქონდათ გასაქცევი და ამ სკამზედაც განსაკუთრებით სასიხარულოს ვერაფერს ნახავდნენ, ორივენი დამშვიდებული და გაბრწყინებული სახეებით ბრუნდებოდნენ შინ.

XV

ლევინმა ზევით ააცილა ცოლი და თვითონ დოლის ოთახებისაკენ გასწია. დარია ალექსანდროვნა თავის მხრივ მეტისმეტად განაწყენებული იყო დღევანდელ დღეს. იგი ოთახში მიდი-მოდიოდა და გაჯავრებით ელაპარაკებოდა კუთხეში მდგარ მტირალ გოგონას.

– ასე იდგები მთელი დღე კუთხეში, სადილადაც მარტო

ისადილებ, ვერც ერთ დედოფალას ვეღარ იხილავ, აღარც ახალ კაბას შეგიკერავ, – ეუბნებოდა იგი და აღარ იცოდა, როგორ დაესაჯა გოგონა.

– არა, საძაგელი ბავშვია, – მიუბრუნდა იგი ლევინს, – არ ვიცი, საიდან აქვს ასეთი საძაგელი მიდრეკილებანი?

– მაინც რა ჩაიდინა ისეთი? – საკმაოდ გულგრილად შეეკითხა ლევინი, რომელსაც თავის საქმეზე უნდოდა მოლაპარაკება და ამიტომაც ეწყინა, რომ უდროო დროს მოვიდა.

– ეს და გრიშა ჟოლოზე წავიდნენ და იქ... არც კი შემიძლია იმის თქმა, რაც ჩაიდინა. ათასჯერ შეგებრალება miss Elliot, ეს კი არაფერს უყურებს, უგულოა... Figurez vous, que la petite[38]...

და დარია ალექსანდროვნამ მაშას დანაშაული უამბო.

– ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. სულაც არ არის ცუდი მიდრეკილება. უბრალოდ ცელქობაა, – ამშვიდებდა ლევინი.

– შენ რაღაც უგუნებოდ ხარ! რატომ მოხვედი? – ჰკითხა დოლიმ, – რა ხდება იქ?

და ამ შეკითხვის ტონზე ლევინმა იგრძნო, რომ მისთვის იოლი იქნებოდა იმის თქმა, რაც განზრახული ჰქონდა.

– მე იქ არ ვყოფილვარ, ბაღში ვიყავი კიტისთან ერთად. ჩვენ უკვე მეორედ წავიჩხუბეთ მას შემდეგ, რაც სტივა ჩამოვიდა.

დოლი ჭკვიანი, თანაგრძნობის გამომხატველი თვალებით მისჩერებოდა ლევინს.

– აბა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ჰქონდა თუ არა... კიტის კი არა, იმ ვაჟბატონს ისეთი ტონი, რომელიც არასასიამოვნო, არასასიამოვნო კი არა, საშინელი და შეურაცხმყოფელია ქმრისთვის.

– როგორ გითხრა... დადექი, დადექი კუთხეში! – მიუბრუნდა იგი მაშას, რომელმაც დედის სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი შენიშნა და მობრუნება დააპირა, – მაღალი საზოგადოების აზრით იგი ისე იქცეოდა, როგორც უნდა იქცეოდეს საერთოდ ყველა ახალგაზრდა. Il fait la cour a une jeune et jolie femme;[39] მაღალი წრის ქმარმა კი მხოლოდ უნდა იამაყოს ამით.

– დიახ, დიახ, – პირქუშად შენიშნა ლევინმა. – შენ ხომ შენიშნე?

– მარტო მე კი არა, სტივამაც შენიშნა. ჩაის შემდეგ სტივამ პირდაპირ მითხრა, Je crois que ვესლოვსკი fait un petit brin de cour à კიტის.[40]

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა დამშვიდებული ვარ. მე მას სახლიდან გავაგდებ, – უთხრა ლევინმა.

– რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი? – წამოიძახა შეძრწუნებულმა დოლიმ, – რას ამბობ, კოსტია, გონს მოდი! – სიცილით უთხრა მან, – ახლა შეგიძლია წახვიდე ფანისთან, – მიუბრუნდა იგი მაშას, – არა, შენ თუ გინდა, მე ვეტყვი სტივას და წაიყვანს. ვეტყვით, რომ სტუმრებს ელოდები. საერთოდ ის ჩვენი სახლის შესაფერისი არ არის.

– არა, არა, მე თვითონ...

– შენ წაეჩხუბები...

– სულაც არა, ჩემთვის ეს დიდად სასიხარულო იქნება, – უთხრა ლევინმა, რომელსაც მართლაც სიხარულით უბრწყინავდა თვალები... – ამას კი აპატიე, დოლი! მეტს აღარ იზამს, – უთხრა ლევინმა პატარა დამნაშავეზე, რომელიც არ მიდიოდა ფანისთან, გაუბედავად იდგა დედის წინ, ქვეშქვეშ შეჰყურებდა და უნდოდა, როგორმე დაეჭირა დედის გამოხედვა.

დედამ შეხედა მას. გოგონამ ტირილი მორთო, თავი დედის კალთაში ჩამალა და დოლიმაც მიუალერსა მას თავისი გამხდარი, ნაზი ხელით.

„რა საერთოა ჩვენსა და იმათ შორის?“ – გაიფიქრა ლევინმა და ვესლოვსკის მოსაძებნად წავიდა.

წინკარში რომ გავიდა, ლევინმა ბრძანა, ეტლი შეებათ სადგურზე წასასვლელად.

– გუშინ რესორი გაუტყდა, – უპასუხა ლაქიამ.

– მაშ, ტარანტასი იყოს, მხოლოდ ჩქარა. სტუმარი სად არის?

– თავის ოთახში ბრძანდება.

ლევინი იმ დროს შევიდა ვასენკასთან, როცა იგი ჩემოდნიდან თავის ნივთებს ალაგებდა, ახალ რომანსებს გვერდზე აწყობდა და კრაგებს იზომებდა ცხენზე სასეირნოდ.

შეიძლება ლევინის სახეზე იხატებოდა განსაკუთრებული რაღაც, ან შეიძლება ვასენკამ იგრძნო, რომ მისი წამოწყებული ce petit brin de cour[41] შეუფერებელი იყო ამ სახლისთვის, მაგრამ ეს კი იყო, რომ იგი რამდენადმე შეაშფოთა ლევინის შემოსვლამ (რამდენადაც შეუძლია შეშფოთება მაღალი წრის ადამიანს).

– თქვენ კრაგებით ჯდებით ცხენზე?

– დიახ, ეს გაცილებით მოსახერხებელია, – უთხრა ვასენკამ, თავისი მსუქანი ფეხი სკამზე შემოდო, ქვედა დუგმა შეიკრა და მხიარულად, გულკეთილად გაუღიმა ლევინს.

ვასენკა უეჭველად კარგი ახალგაზრდა იყო, ლევინს შეებრალა იგი და, როგორც მასპინძელმა, სირცხვილი იგრძნო, როცა ვასენკას თვალებში რაღაც გაუბედაობა ამოიკითხა.

მაგიდაზე იდო ჯოხის ნატეხი, რომელიც ამ დილით ერთად გატეხეს ვარჯიშის დროს, როცა წყლით გაჟივებული ბარის[42] აწევა სცადეს. ლევინმა ხელში აიღო ჯოხი და გახლეჩილი ბოლოს მტვრევას შეუდგა, არ იცოდა, როგორ დაეწყო ლაპარაკი.

– მე მინდოდა... – და ლევინმა გაჩუმება დააპირა, მაგრამ გაახსენდა კიტი და ყველაფერი, რაც მოხდა, მტკიცედ შეხედა თვალებში ვასენკას და უთხრა, – მე ვუბრძანე, ცხენები შეაბან თქვენთვის.

– ესე იგი რა? – იკითხა გაოცებულმა ვასენკამ, – სად უნდა წავიდე?

– რკინიგზის სადგურზე, – უთხრა მოღუშულმა ლევინმა, თან ისევ ჯოხის ბოლოს აწვალებდა ხელში.

– თქვენ მიემგზავრებით, თუ მოხდა რაიმე ისეთი?

– მოხდა ის, რომ სტუმრებს ველოდები, – უთხრა ლევინმა. თან ღონიერი თითებით საჩქაროდ ამტვრევდა ჯოხის გახლეჩილ ბოლოს, – არც სტუმრებს ველოდები და არც არაფერი მომხდარა, მაგრამ მე გთხოვთ, წახვიდეთ აქედან. თქვენ შეგიძლიათ, როგორც გსურთ, ისე ახსნათ ჩემი არათავაზიანობა.

ვასენკა წელში გაიმართა.

– გთხოვთ, თქვენ ამიხსნათ... – ამაყად მიმართა მან ლევინს, როცა ბოლოს მიხვდა ყველაფერს.

– მე არ შემიძლია ახსნა, – ნელა, გარკვევით უთხრა ლევინმა, რომელიც ცდილობდა, დაემალა, როგორ უთრთოდა ყვრიმალის ძვლები, – და თქვენთვის უკეთესია, არც იკითხოთ, – და რადგან ახლეჩილი ბოლო მთლიანად აცლილი ჰქონდა ჯოხს, ლევინმა ხელი მოუჭირა მის მსხვილ ბოლოს, გადატეხა და მოხერხებულად დაიჭირა ჯოხის გადანატეხი, რომელიც ძირს ვარდებოდა.

ალბათ, ამ დაძაბულმა ხელებმა და კუნთებმა, რომელთაც დღეს დილით ვარჯიშის დროს თვითონ სინჯავდა ვესლოვსკი, ანთებულმა თვალებმა და აკანკალებულმა ყვრიმალის ძვლებმა სიტყვებზე უფრო მეტად დაარწმუნა იგი. ვასენკამ მხრები აიჩეჩა, მძულვარებით ჩაიცინა და თავი დახარა.

– შემიძლია თუ არა ვნახო ობლონსკი?

ამ მხრების აწევამ და ღიმილმა გააბრაზა ლევინი. „აბა, მეტი რა უნდა ქნას?“ – გაიფიქრა მან.

– ახლავე მე თვითონ გამოვგზავნი თქვენთან.

– ეს რა უაზრობაა! – ამბობდა სტეპან არკადიჩი, რომელმაც მეგობრისაგან შეიტყო, რომ სახლიდან აგდებდნენ. მან მოძებნა ლევინი, რომელიც ბაღში დასეირნობდა სტუმრის წასვლის მოლოდინში.

– Mais c’est ridicule![43] რა ბუზმა გიკბინა? Mais c’est du dernier ridicule![44] რა მოგეჩვენა, თუ ახალგაზრდა კაცი...

მაგრამ ის ადგილი, სადაც ბუზმა უკბინა, ეტყობა, კიდევ სტკიოდა ლევინს, რადგან, როცა სტეპან არკადიჩი შეეცადა ახსნას, ლევინი ისევ გაფითრდა და საჩქაროდ გააწყვეტინა ლაპარაკი: – გეთაყვა, ნუ დამიწყებ მიზეზების ახსნას! მე სხვაგვარად არ შემიძლია. ძალიან მრცხვენია შენიც და მისიც. მაგრამ მისთვის, მგონი, დიდი უბედურება არ იქნება აქედან წასვლა, ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის კი მეტად არასასიამოვნოა მისი აქ ყოფნა.

– მაგრამ ეს შეურაცხმყოფელია მისთვის. Et puis c’est ridicule.[45]

– ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელიც არის და მტანჯველიც! სრულიად უდანაშაულო ვარ და არ უნდა დავიტანჯო!

– ამას კი არ ველოდი შენგან. On peut étre jaloux mais à ce point, c’est

du dernier ridicule.[46]

ლევინი სასწრაფოდ მოტრიალდა, ხეივანში შევიდა და ისევ ბოლთის ცემა განაგრძო. მალე მან გაიგონა ტარანტასის ხმაური და ხეებს იქით თვალი მოჰკრა, როგორ იჯდა თივაზე (საუბედუროდ ტარანტასს დასაჯდომი სკამი არ ჰქონდა) ვასენკა თავისი შოტლანდიური ქუდით და როგორ ჯაყჯაყით გაიარა ხეივანი.

„ეს რაღა ამბავია?“ – გაიფიქრა ლევინმა, როცა სახლიდან მსახური გამოიქცა და შეაჩერა ტარანტასი. ეს მემანქანე იყო, რომელიც მთლად გადაავიწყდა ლევინს. მემანქანე ებოდიშებოდა ვასენკას და თან რაღაცას ეუბნებოდა; მერე ისიც აფოფხდა ტარანტასზე და ორივენი ერთად წავიდნენ.

სტეპან არკადიჩი და თავადის მეუღლე აღშფოთებულნი იყვნენ ლევინის საქციელით. თვითონ ლევინიც გრძნობდა, რომ არამცთუ მეტისმეტად ridicule,[47] არამედ ყოველმხრივ დამნაშავე და შერცხვენილი იყო, მაგრამ, როცა გაახსენდებოდა, რა ტანჯვა გადაიტანეს იმან და მისმა ცოლმა ამის გამო და როცა ეკითხებოდა თავის თავს, სხვა დროს როგორ მოიქცეოდიო, გრძნობდა, რომ მაშინაც ისევე მოიქცეოდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დღის ბოლოს ყველანი, გარდა თავადის მეუღლესი, რომელსაც ვერ ეპატიებინა ლევინისთვის ასეთი საქციელი, განსაკუთრებით მხიარულად გრძნობდნენ თავს, თითქოს დასჯილი ბავშვები არიან, ანდა უფროსები მძიმე ოფიციალური სტუმრობის შემდეგო, საღამოს, როცა თავადის მეუღლე იქ აღარ იყო, ისე ლაპარაკობდნენ ვასენკას გაგდებაზე, როგორც დიდი ხნის წინ მომხდარ ამბავზე. და დოლი, რომელსაც მამისაგან გამოყოლილი ჰქონდა უნარი, სასაცილოდ ეამბა ყველაფერი, სიცილით კლავდა ვარენკას, როცა მესამედ თუ მეოთხედ, ყოველთვის ახალ-ახალი იუმორისტული დამატებებით უყვებოდა, როგორ იკეთებდა იგი ახალ ბაფთებს სტუმრის გულის მოსაგებად და ის იყო აპირებდა სასტუმროში გამოსვლას, რომ უეცრად დანჯღრეული ეტლის ხმაური შემოესმა. და მერე ვინ იჯდა ამ ეტლში? თივაზე იჯდა თვით ვასენკა თავისი შოტლანდიური ქუდით, რომანსებითა და კრაგებით.

– კარეტა მაინც შეგება! არა, მერე კი გავიგონე, მოიცადეთო! ვიფიქრე, იქნებ შეიბრალეს-მეთქი, ერთიც ვნახოთ და, მიუსვეს

გვერდზე სქელ-სქელი გერმანელი და წაიყვანეს... ასე ამაოდ ჩამიარა ჩემმა ბაფთებმა!..

XVI

დარია ალექსანდროვნამ აღასრულა თავისი განზრახვა და გაემგზავრა ანასთან. ძალიან არ უნდოდა ეწყენინებინა დისთვის და უსიამოვნება მიეყენებინა მისი ქმრისთვის. მისთვის გასაგები იყო, რა სამართლიანად იქცეოდნენ ლევინები, როცა არ სურდათ რაიმე ურთიერთობა ჰქონოდათ ვრონსკისთან; მაგრამ თავის მოვალეობად მიაჩნდა, წასულიყო ანასთან და ამით ეჩვენებინა, რომ მართალია, ანას მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ დოლის გრძნობა ანასადმი მაინც უცვლელი დარჩა.

მისი მგზავრობა დამოკიდებული რომ არ ყოფილიყო ლევინებზე, დარია ალექსანდროვნამ სოფელში გაგზავნა კაცი ცხენების დასაქირავებლად, მაგრამ, როცა ეს ამბავი ლევინმა შეიტყო, საყვედური უთხრა დოლის: – რატომ ფიქრობ, რომ არ მსიამოვნებს შენი იქ წასვლა? თუნდაც არ მსიამოვნებდეს, კიდევ უფრო საწყენი იქნება, თუ ჩემი ცხენებით არ წახვალ, – უთხრა მან, – შენ ერთხელაც არ გითქვამს, რომ მართლაც აპირებდი წასვლას. სოფელში ცხენების დაქირავება, ჯერ ერთი, არასასიამოვნოა ჩემთვის და რაც მთავარია, ისინი შეგპირდებიან, მაგრამ არ წაგიყვანენ. მე ცხენები მყავს და თუ არ გინდა, მაწყენინო, ჩემი ცხენები წაიყვანე.

დარია ალექსანდროვნაც უნდა დათანხმებულიყო და დანიშნულ დღეს ლევინმა გაამზადა ცოლისდისთვის ოთხი ცხენი და ოთხიც მარქაფა, – ზოგი საჯდომი და ზოგი მუშა ცხენი, მეტისმეტად ულაზათო, მაგრამ ისეთი ცხენები, რომელთაც შეეძლოთ ერთ დღეში ჩაეყვანათ დარია ალექსანდროვნა. ახლა, როცა ცხენები საჭირო იყო თავადის მეუღლისა და ბებიაქალის გასამგზავრებლად, ლევინისთვის ძნელი იყო მისი გაშვება, მაგრამ სტუმართმოყვარეობა ნებას არ აძლევდა დარია ალექსანდროვნას სხვაგან დაექირავებინა ცხენები, გარდა ამისა, იცოდა, რომ ოცი მანეთი, რომელსაც ამ

გამგზავრებისთვის სთხოვდნენ, მნიშვნელოვანი თანხა იყო დარია ალექსანდროვნასთვის; ფულის საქმე კი მეტად ცუდად ჰქონდა დარია ალექსანდროვნას, რასაც ლევინები ისე განიცდიდნენ, როგორც საკუთარ ნაკლოვანებას.

ლევინის რჩევით დარია ალექსანდროვნა ჯერ კიდევ გათენებამდე გაუდგა გზას. გზა კარგი იყო, ეტლი მშვიდად მიდიოდა, ცხენები მხიარულად გარბოდნენ და კოფოზეც მეეტლის გარდა იჯდა კანტორის მუშაკი, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის ლაქიის მაგივრად გააყოლა ლევინმა. დარია ალექსანდროვნამ ჩათვლიმა და როცა გამოეღვიძა, უკვე მისულიყვნენ ფუნდუკში, სადაც ცხენები უნდა გამოეცვალათ.

დარია ალექსანდროვნამაც დალია ჩაი სწორედ იმ მდიდარ გლეხთან, რომელთანაც გაჩერდა ლევინი სვიაჟსკისთან გამგზავრებისას, გამოელაპარაკა დედაკაცებს ბავშვების შესახებ და მოხუცს გრაფ ვრონსკის ამბავი გამოჰკითხა, რომელსაც იგი ძლიერ აქებდა, და ათი საათისთვის ისევ განაგრძო გზა. შინ ბავშვებზე ზრუნვის გამო არასოდეს ჰქონია ფიქრის დრო. სამაგიეროდ, ახლა, ამ ოთხსაათიანი მგზავრობის დროს, აქამდე ჩაკეტილი აზრები ერთად აერივნენ თავში და იგი ჩაუფიქრდა მთელ თავის ცხოვრებას, ისე, როგორც წინათ არასოდეს ჩაფიქრებია, ყოველი მხრიდან განსაჯა იგი. დოლის თვითონვე ეუცნაურებოდა საკუთარი აზრები. ჯერ ბავშვებზე ფიქრობდა, რომლებზეც ზრუნვა თავადის მეუღლემ და უფრო კიტიმ იკისრა (მას კიტის იმედი უფრო ჰქონდა) და რომელთა გამო მაინც წუხდა დარია ალექსანდროვნა. „ვაითუ მაშამ ისევ დაიწყოს ცელქობა, გრიშას ცხენმა არ მიარტყას წიხლი, ლილის უფრო მეტად არ აეშალოს კუჭი“. შემდეგ აწმყოზე ფიქრი უახლოეს მომავალზე ფიქრმა შეცვალა. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ ამ ზამთრისთვის მოსკოვში ახალი ბინა უნდა დაექირავებინა, გამოეცვალა ავეჯი სასტუმრო ოთახში და უფროსი გოგონასთვის ქურქი შეეკერა. შემდეგ უფრო შორეული მომავლის საკითხები წამოიჭრა: თუ როგორ გამოიყვანდა ბავშვებს საზოგადოებაში. „გოგონებს კიდევ არა უშავთ რა, – ფიქრობდა იგი, – მაგრამ ვაჟებს?“

„კარგია, რომ ახლა მე ვამეცადინებ გრიშას, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფალი ვარ, შვილოსნობა აღარ მაწუხებს. სტივას იმედი, რა თქმა უნდა, არ უნდა მქონდეს. ისევ კეთილი ადამიანების შემწეობით თუ გამოვიყვან მათ საზოგადოებაში.

მაგრამ თუ ისევ დამეწყო შვილოსნობა“... და ახლა იმ აზრმა გაუელვა თავში, თუ რა უსამართლოდ არის ნათქვამი: ღმერთმა დასწყევლა დედაკაცი, წამებით შობე შვილებიო. „შობა კიდევ არაფერია, მაგრამ ორსულობა, აი, რა არის სატანჯველი“, – გაიფიქრა დოლიმ და გაახსენდა უკანასკნელი ფეხმძიმობა, მერე ამ ბავშვის სიკვდილი, გაახსენდა ყმაწვილ ქალთან საუბარი ფუნდუკში. როცა დარია ალექსანდროვნამ ჰკითხა, გყავს თუ არა შვილებიო, ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა კი მხიარულად უპასუხა: – მყავდა ერთი გოგო, მაგრამ ღმერთმა წამართვა, დიდმარხვაში დავასაფლავეთ.

– მერე, ძალიან გებრალება? – ჰკითხა დარია ალექსანდროვნამ.

– შესაბრალისი რა აქვს? მოხუც მამამთილს ისედაც ბევრი შვილიშვილი ჰყავს. წვალების მეტი არაფერია. არც მუშაობას დაგაცლის, არც არაფერს. ხელ-ფეხს გიბორკავს.

მიუხედავად იმ ახალგაზრდა ქალის სათნო გამომეტყველებისა, ეს პასუხი საძაგლობად ეჩვენა დარია ალექსანდროვნას, მაგრამ ახლა უნებურად გაახსენდა ეს სიტყვები. ამ ცინიკურ სიტყვებში სიმართლის ნატამალიც ერია.

„საერთოდ, – გაიფიქრა დარია ალექსანდროვნამ, როცა ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში თავის ცოლქმრულ ცხოვრებას ჩაუფიქრდა, – ორსულობა, გულისრევა, გონების დაჩლუნგება, გულგრილობა ყველაფრისადმი და, საერთოდ, ყველაფერი საძაგლობაა. კიტი ახალგაზრდა, მშვენიერი კიტიც კი ასე დაუშნოვდა. მე კი ორსულობის დროს ვიცი, რომ საძაგელი ვხდები. მშობიარობა, ტანჯვა, ის აუტანელი ტანჯვა, ის უკანასკნელი წუთი... შემდეგ ძუძუს წოვება, უძილოდ გატარებული ღამეები და აუტანელი ტკივილი“...

დარია ალექსანდროვნას მარტოოდენ იმის გახსენებაზეც კი გააკანკალა, თუ როგორ სტკიოდა დამსკდარი ძუძუსთავები, რაც თითქმის ყველა ბავშვზე ემართებოდა. „შემდეგ ბავშვების ავადმყოფობა, ეს მუდმივი შიში; მათი აღზრდა, ცუდი მიდრეკილებანი (მას გაახსენდა პატარა მაშას დანაშაული ჟოლოს გამო), მათი სწავლა, ლათინური ენა – ყოველივე ეს იმდენად მძიმეა და გაუგებარი, და ყველაზე უფრო საშინელია ამ ბავშვების სიკვდილი“. და კვლავ თვალწინ წარმოუდგა ხუნაგით გარდაცვლილი უკანასკნელი ძუძუთა ვაჟის სიკვდილი, რომლის საშინელი მოგონებაც მარადჟამს

ტანჯავდა დედის გულს, გაიხსენა მისი დაკრძალვა, როგორ გულგრილად შეჰყურებდა ყველა ამ პაწაწინა ვარდისფერ კუბოს და რაოდენ გულისწუხილს განიცდიდა თვითონ, როცა უცქეროდა ამ გაფითრებულ შუბლს, ხუჭუჭთმიან საფეთქლებს და ოდნავ გაღებულ პატარა პირს, რომელზეც გაოცება ეხატებოდა იმ წუთში, როცა ახურავდნენ კუბოს ვარდისფერ თავსახურს, რომელსაც სირმიანი ჯვარი ჰქონდა გაკეთებული.

„და მერე რა საჭიროა ყოველივე ეს? რა გამოვა აქედან? ის, რომ მე, რომელსაც არც ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, ხან ფეხმძიმედ ვარ, ხან ძუძუთა ბავშვი მყავს, ყოველთვის გულმოსული და მობუზღუნე, თვით გატანჯული და სხვების გამტანჯველი, ქმრისაგან შეძულებული, ასე გავატარებ ჩემს ცხოვრებას და გაიზრდებიან უბედური, ცუდად აღზრდილი, ღატაკი ბავშვები. ახლაც, ეს ზაფხული ლევინებთან რომ არ გაგვეტარებინა, არ ვიცი, როგორ ვიქნებოდით. თუმცა, კოსტია და კიტი იმდენად თავაზიანები არიან, რომ ამას ვერც კი ვამჩნევთ; მაგრამ ეს ხომ ასე ვერ გაგრძელდება. მათაც გაუჩნდებათ შვილები და ვეღარც ისინი დაგვეხმარებიან; ახლაც შევიწროებულნი არიან ჩვენგან. აბა, რით შეუძლია დახმარება მამას, რომელსაც თითქმის აღარაფერი დაუტოვებია თავისთვის? ასე რომ, ბავშვების გამოყვანა საზოგადოებაში მე თვითონ არ შემიძლია, თუ არა სხვების შემწეობით და თავის დამცირებით. ესეც იმ საუკეთესო შემთხვევაში, თუ ბავშვები აღარ დამეხოცებიან და როგორმე გავზრდი მათ. უკეთეს შემთხვევაში არამზადები მაინც არ გამოვლენ. აი, ყველაფერი, რაც შემიძლია ვინატრო და ყოველივე ამისთვის უნდა გადავიტანო ამდენი ტანჯვა და შრომა... მთელი ჩემი ცხოვრება დაღუპულია!“ და ისევ გაახსენდა იმ ახალგაზრდა ქალის ნათქვამი და ისევ საძაგლად ეჩვენა მისი სიტყვები, მაგრამ არ შეეძლო, არ ეღიარებინა, რომ ამ სიტყვებში უხეში სიმართლის ნატამალიც ერია.

– რაო, მიხაილა, კიდევ შორს არის? – ჰკითხა დარია ალექსანდროვნამ კანტორის მუშაკს, რათა თავიდან მოეშორებინა ეს საშინელი ფიქრები.

– ამბობენ, ამ სოფლიდან შვიდი ვერსიაო.

ეტლი სოფლის შარაგზიდან ხიდზე გადადიოდა. ხიდზე მხიარული ლაპარაკითა და ხუმრობა-სიცილით მიდიოდნენ

დედაკაცები, რომელთაც დაწნული კალათები ეკიდათ მხრებზე. დედაკაცები შეჩერდნენ და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს ეტლი. მისკენ მიმართული სახეები ყველა ჯანმრთელი და მხიარული ეჩვენა დარია ალექსანდროვნას, თითქოს ახელებდნენ ამ თავისი ცხოვრების სიხარულით. „ყველა ცხოვრობს, ყველა ტკბება ამ ცხოვრებით, – ისევ განაგრძო ფიქრი დარია ალექსანდროვნამ, როცა დედაკაცები თვალს მიეფარნენ. ეტლი მთაზე ავიდა, ისევ ჩორთით გასწიეს ცხენებმა და ძველმა ეტლმა სასიამოვნო რწევა იწყო რბილ რესორებზე, – მე კი ციხიდან გამოშვებულივით მხოლოდ ახლა, ერთი წუთით მოვედი გონს, როცა თავი დავაღწიე იმ სამყაროს, რომელიც მკლავს თავისი საზრუნავებით. ყველა ცხოვრობს: ეს დედაკაცებიც, ჩემი და ნატალიც, ვარენკაც, ანაც, რომელთანაც მივდივარ ახლა, მხოლოდ მე კი არა“.

„ისინი კი თავს ესხმიან ანას. რისთვის? განა მე იმაზე უკეთესი ვარ? მე ქმარი მაინც მყავს, რომელიც მიყვარს. ისე არ მიყვარს, როგორც მეწადა სიყვარული, მაგრამ მაინც მიყვარს, ანას კი არ უყვარდა თავისი ქმარი. აბა, რაშია დამნაშავე? მასაც უნდა ცხოვრება. ეს ჩვენ ღმერთმა მოგვანიჭა. ადვილი შესაძლებელია, მეც ასევე მოვქცეულიყავი და ახლაც არ ვიცი, კარგად მოვიქეცი თუ არა, როცა დავუჯერე ანას იმ საშინელ დროს, მოსკოვში რომ ჩამოვიდა ჩემთან. მე მაშინ უნდა მიმეტოვებინა ქმარი და თავიდან დამეწყო ცხოვრება. მაშინ შემეძლო შემეყვარებინა ვინმე და სხვასაც შევყვარებოდი ნამდვილი სიყვარულით. ახლა კი განა ეს უკეთესია? მე მას პატივს არ ვცემ. ის საჭიროა ჩემთვის, – ფიქრობდა დოლი ქმარზე, – და ამიტომაც ვითმენ. განა ეს უკეთესია? მაშინ კიდევ შეიძლებოდა მოვწონებოდი ვინმეს – კიდევ შერჩენილი მქონდა სილამაზე“, – განაგრძო ფიქრი დარია ალექსანდროვნამ და სარკეში ჩახედვა მოუნდა, ჩანთაში ჰქონდა საგზაო სარკე და უნდოდა ამოეღო, მაგრამ, როცა შეხედა მეეტლისა და კოფოზე მოქანავე კანტორის მუშაკის ზურგებს, იგრძნო, რომელიმე მათგანმა უკან რომ მოიხედოს, შევრცხვებიო, და სარკე აღარ ამოუღია.

მაგრამ სარკეში ჩაუხედავად იცოდა, რომ ახლაც არ იყო გვიან და გაახსენდა სერგეი ივანოვიჩი, რომელიც განსაკუთრებულ თავაზიანობას იჩენდა მის მიმართ, გაახსენდა სტივას მეგობარი, კეთილი ტუროვცინი, რომელიც მასთან ერთად უვლიდა ბავშვებს ქუნთრუშის დროს და უყვარდა დოლი. და იყო კიდევ ერთი, სრულიად ყმაწვილი კაცი, რომელიც, როგორც

ხუმრობით ეუბნებოდა ქმარი, ფიქრობდა, დოლი დებში ყველაზე უფრო ლამაზიაო. და დარია ალექსანდროვნამ წარმოიდგინა ყველაზე უფრო ვნებიანი და შეუძლებელი რომანები: „ანა ძალიან კარგად მოიქცა და მე არასოდეს გავკიცხავ მას. იგი ბედნიერია, ბედნიერებას ანიჭებს სხვასაც და ჩემსავით არ არის დავიწყებული. როგორც ყოველთვის, ალბათ, ახლაც ისეთივე ნორჩი, ჭკვიანი და ყველაფრისთვის გულგახსნილია“, – ფიქრობდა დარია ალექსანდროვნა და ეშმაკური ღიმილი უთრთოლებდა ბაგეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ანას რომანზე ფიქრობდა და ამის პარალელურად წარმოიდგენდა თავის ასეთივე რომანს ვინმე მამაკაცთან, რომელიც შეიყვარებდა მას. ისიც ანასავით ყველაფერში გამოუტყდება ქმარს. და იმის გაფიქრებაზე როგორ დაიბნეოდა, როგორ განცვიფრდებოდა სტეპან არკადიჩი, ღიმილს ვეღარ იკავებდა.

ამგვარი ოცნებებით დარია ალექსანდროვნა უკვე მიუახლოვდა მთავარი გზიდან გადასახვევს, რომელიც ვოზდვიჟენსკოეში მიდიოდა.

XVII

მეეტლემ ეტლი შეაჩერა და გაიხედა მარჯვნივ, ჭვავის ყანისკენ, სადაც ფორანთან გლეხები ისხდნენ. კანტორის მუშაკმა ჯერ გადმოხტომა სცადა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ბრძანების კილოთი გასძახა ერთ გლეხს და ხელის დაქნევით მოიხმო. სიარულის დროს მქროლავი ნიავი ჩადგა; გაოფლილი ცხენები გაბრაზებით იგერიებდნენ შემოხვეულ ბუზანკალს. მიწყდა ლითონის წკრიალის ხმა, რომელიც ისმოდა ფორანთან ცელების ლესვისას. ერთი გლეხთაგანი ფეხზე წამოდგა და ეტლისაკენ გამოემართა.

– ნეტავ რას მოზოზინებ! – გაბრაზებით დაუყვირა კანტორის მუშაკმა გლეხს, რომელიც ფრთხილად ადგამდა შიშველ ფეხებს გაუტკეპნავი გზის ხმელ კოლბოხებზე, – მოდი, რაღა!

თმახუჭუჭა მოხუცმა, რომელსაც თავზე ნორჩი ლაფანი წაეკრა

და კუზიანი ბეჭები ოფლისაგან ჰქონდა ჩაშავებული, ნაბიჯს მოუჩქარა. ეტლთან მივიდა და მზით გალანჯული ხელი ეტლის ფრთას ჩასჭიდა.

– ვოზდვიჟენსკოეში მიბრძანდებით, ბატონის სასახლეში? გრაფთან ხომ? – გაიმეორა მან, – აი, მოსახვევს გაივლი, მერე მარცხნივ გაუხვევ. პირდაპირ პრიშპექტით ზედ მიადგები. თქვენ ვინ გნებავთ? თვითონ გრაფი, ხომ?

– მერე და შინ არიან ისინი, ჩემო კარგო? – გაურკვევლად ჰკითხა დოლიმ, რადგან არ იცოდა, თუნდაც ამ გლეხისთვისაც კი როგორ ეკითხა ანა.

– შინ უნდა ბრძანდებოდნენ, – უპასუხა გლეხმა, მტვრიან გზაზე შიშველი ფეხი მოინაცვლა და ზედ ხუთივე თითიანად ტერფის მკაფიო კვალი დატოვა, – შინ უნდა ბრძანდებოდნენ, – ისევ გაიმეორა მოხუცმა, რომელსაც, ეტყობა, საუბრის გაბმა უნდოდა, – გუშინ კიდევ ეწვივნენ სტუმრები. სტუმრები ბლომად ჰყავთ... რა გინდა? – მიუბრუნდა იგი ახალგაზრდას, რომელიც ფორნიდან რაღაცას ეძახდა, – ჰო, კარგი, წეღან ყველამ აქ ჩაიარა ცხენებით, სამკალის სანახავად იყვნენ. ახლა შინ იქნებიან, თქვენ სადაურები იქნებით?

– ჩვენ შორიდანა ვართ, – უთხრა მეეტლემ და კოფოზე აფორთხდა, – მაშ, შორს აღარ არის?

– გეუბნები, აქვეა-მეთქი, გახვალ თუ არა... – ეუბნებოდა გლეხი და თან ეტლის ფრთაზე ხელს ათამაშებდა.

ერთი ჯან-ღონით სავსე, ჩასკვნილი ახალგაზრდაც მიუახლოვდა ეტლს.

– სამუშაო ხომ არაფერი გაქვთ? – იკითხა მან.

– არა, გეთაყვა!

– მაშ, ასე, როგორც გითხარი, მარცხნივ გაუხვევ და პირდაპირ ზედ მიადგები, – ეუბნებოდა გლეხი, ეტყობა, კიდევ უნდოდა ლაპარაკის გაბმა და უხალისოდ უშვებდა მგზავრებს.

ეტლი დაიძრა, მაგრამ როგორც კი მოუხვიეს, მაშინვე უკნიდან ყვირილი შემოესმათ.

– შეჩერდი! ჰეი, ჩემო კეთილო! შეჩერდი! – ყვიროდა ორივე ერთად.

მეეტლე შეჩერდა.

– აგერ თვითონაც მობრძანდებიან! – დაუყვირა გლეხმა, – ხედავ, რამდენი არიან! – ჩაილაპარაკა მან და დაანახვა გზაზე მომავალი ოთხი ცხენოსანი და ორიც შარაბანში მჯდომი.

ესენი იყვნენ ვრონსკი ჟოკეით, ცხენზე მჯდომი ანა და ვესლოვსკი, შარაბანში კი თავადის ქალი ვარვარა და სვიაჟსკი ისხდნენ. ყველანი სასეირნოდ, ახალმოტანილი სამკალი მანქანის სანახავად იყვნენ წამოსული.

ეტლი რომ შეჩერდა, ცხენოსნებმაც ნაბიჯით წამოიყვანეს ცხენები. ყველაზე წინ ანა მოდიოდა. გვერდით ვესლოვსკი მოჰყვებოდა. ანას ნელი ნაბიჯით მოჰყავდა დაბალი, კუნთმაგარი, ფაფარშეკრეჭილი, მოკლეკუდიანი ინგლისური ფაშატი. მისმა ლამაზმა თავმა, მაღალი ქუდიდან ჩამოშლილმა შავმა თმამ, სავსე მხრებმა, წერწეტა წელმა, შავმა საცხენოსნო კაბამ და მთლიანად მისმა დამშვიდებულმა, მოხდენილმა ცხენოსნობამ განაცვიფრა დოლი.

პირველად დოლის უწესოდ ეჩვენა ანას ცხენოსნობა. მანდილოსნის ცხენზე ჯდომა დარია ალექსანდროვნას წარმოდგენით ისეთი ახალგაზრდული, ქარაფშუტული კეკლუცობა იყო, რომელიც, მისი აზრით, სულ არ შეეფერებოდა ანას მდგომარეობას; მაგრამ ახლოდან რომ შეათვალიერა, მაშინვე შეურიგდა ამას. მიუხედავად ელეგანტურობისა, ანას პოზაშიც, ჩაცმულობაშიც, მიხრა-მოხრაშიც ისეთი უბრალოება, სიმშვიდე და ღირსება იხატებოდა, რომ არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამაზე ბუნებრივი.

ანას გვერდით კავალერიის ფიცხი ლურჯა ცხენით მოდიოდა ვასენკა ვესლოვსკი; მსუქანი ფეხები წინ წამოეწყო და, ეტყობოდა, ტკბებოდა საკუთარი თავით, ისევ ის ფრიალალენტებიანი ქუდი ეხურა და დარია ალექსანდროვნამ მხიარული ღიმილი ვეღარ შეიკავა, როცა შეიცნო იგი. მათ უკან მოდიოდა ვრონსკი. იგი წმინდა სისხლის ქურანა ცხენზე იჯდა, რომელიც, ეტყობა, ჭენებით გახურებულიყო და ახლა აღვირით აოკებდა.

უკან მოჰყვებოდათ ტანმორჩილი მხედარი ჟოკეის ტანისამოსით. სვიაჟსკი და თავადის ქალი ახალ შარაბანში შებმული ვეება შავრა ბედაურით ფეხდაფეხ მოსდევდნენ ცხენოსნებს.

უცებ ანას სიხარულის ღიმილმა გაუბრწყინა სახე, როცა ამ ძველი ეტლის კუთხეში მიყუჟულ ქალში დოლი შეიცნო. რაღაც წამოიძახა, უნაგირზე შეირხა და ცხენი გამოაჭენა. ეტლს რომ მიუახლოვდა, დაუხმარებლად ჩამოხტა ცხენიდან, საცხენოსნო კაბა ხელით აიკრიფა და დოლისკენ გაიქცა.

– ასეც ვიცოდი და ვერც ვბედავდი ამის ფიქრს, როგორ მიხარია! შენ ვერც წარმოიდგენ ჩემს სიხარულს! – ეუბნებოდა ანა, ხან გადაეხვეოდა და კოცნიდა დოლის, ხან ისევ მოსცილდებოდა და ღიმილით შეჰყურებდა.

– რა სასიხარულოა, ალექსეი! – დაიძახა ანამ და მიიხედა ვრონსკისაკენ, რომელიც ცხენიდან ჩამომხტარიყო და მათკენ მოდიოდა.

ვრონსკიმ ნაცრისფერი, მაღალი ქუდი მოიხადა და დოლისთან მივიდა.

– არ დაგვიჯერებთ, როგორ გაგვახარა თქვენმა ჩამოსვლამ! – განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოთქვა მან ეს სიტყვები, გაუღიმა და მაგარი, თეთრი კბილები გამოაჩინა.

ვასენკა ვესლოვსკი არ ჩამომხტარა, ქუდი მოიხადა და ლენტების მხიარული ფრიალით მიესალმა სტუმარს.

– ეს თავადის ქალი ვარვარაა, – უპასუხა ანამ დოლის შემკითხველ მზერაზე, როცა შარაბანი მიუახლოვდათ.

– ა! – თქვა დარია ალექსანდროვნამ და სახეზე მისდა უნებურად უკმაყოფილება გამოეხატა.

თავადის ქალი ვარვარა მისი ქმრის მამიდა იყო. დოლი დიდი ხანია იცნობდა მას და პატივს არ სცემდა. იცოდა, რომ თავადის ქალმა ვარვარამ მთელი თავისი ცხოვრება ასე, მდიდარ ნათესავებთან მესუფრეობაში გაატარა; მაგრამ ის ამბავი, რომ ახლა ვრონსკისთან, მისთვის სრულიად უცხო კაცთან, ცხოვრობდა, შეურაცხყოფდა დოლისაც, რადგან იგი მისი ქმრის ნათესავი იყო. ანას შეუნიშნავი არ დარჩენია დოლის სახის გამომეტყველება, დაიბნა და წამოწითლდა, საცხენოსნო კაბა ხელიდან გაუშვა და ფეხით წამოედო კაბას.

დარია ალექსანდროვნა გაჩერებულ შარაბანთან მივიდა და ცივად მიესალმა თავადის ქალ ვარვარას. სვიაჟსკიც ნაცნობი იყო. როგორ არის ჩემი უცნაური მეგობარი თავისი ახალგაზრდა

მეუღლითო, ჰკითხა მან დოლის, და როცა თვალი შეავლო უტოლფარდო ცხენებს და დაკერებულფრთებიან ეტლს, მანდილოსნებს შარაბანით წასვლა შესთავაზა.

– ცხენი ჭკვიანია და თავადის ასულიც მშვენივრად მართავს, – თქვა მან, – მე კი ამ ვეჰიკულით წავალ.

– არა, ისევ ისე მოეწყვეთ, როგორც იყავით, – უთხრა ანამ, რომელიც სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ, – ჩვენ ამ ეტლით წამოვალთ! – მან ხელი გამოსდო დოლის და წაიყვანა.

დარია ალექსანდროვნა განცვიფრებული შეჰყურებდა ამ ელეგანტურ ეკიპაჟს, რომლის მსგავსი ჯერ არ ენახა, ამ მშვენიერ ცხენებს, გარსშემოხვეულ ელეგანტურ, გაბრწყინებულ სახეებს. მაგრამ ყველაზე მეტად კი ის აკვირვებდა, თუ როგორ გამოცვლილიყო მისთვის ნაცნობი და საყვარელი ანა. სხვა, ნაკლებად ყურადღებიანი ქალი, რომელიც წინათ არ იცნობდა ანას, და რაც მთავარია, ვისი გონებაც არ შეუთრთოლებია იმ აზრებს, რასაც დარია ალექსანდროვნა მგზავრობის დროს ფიქრობდა, განსაკუთრებულს ვერაფერს შენიშნავდა მას. ახლა კი დოლი განაცვიფრა იმ წარმავალმა სილამაზემ, რომელიც მხოლოდ სიყვარულის წუთებში აქვთ ხოლმე ქალებს და რომელსაც ახლა ანას სახეზე ხედავდა. ყველაფერი მის სახეზე: გამოკვეთილი ფოსოები ლოყებსა და ნიკაპზე, ბაგეთა წყობა, ღიმილი, რომელიც თითქოს დაფრინავდა მისი სახის ირგვლივ, თვალთა ელვარება, მოძრაობის სინარნარე და სისწრაფე, ბგერათა სიუხვე ხმაში, მანერაც კი, როცა მან ვითომ გაბრაზებით, მაგრამ ამავე დროს ალერსით უპასუხა ვესლოვსკის თხოვნას, ნება მომეცით, შევჯდე თქვენს ფაშატზე და მარჯვენა ფეხით ჩორთი ვასწავლოო, – ყველაფერი განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო; თვით ანამაც თითქოს იცოდა ეს და ხარობდა ამით.

როცა ორივე მანდილოსანი ეტლში ჩაჯდა, მოულოდნელად ორივემ შეშფოთება იგრძნო. ანა დოლის დაკვირვებულმა, კითხვით აღსავსე გამომეტყველებამ შეაკრთო. დოლის კი, როცა სვიაჟსკიმ მის ეტლს ვეგიკული უწოდა, უნებურად სირცხვილი შემოენთო ამ ჭუჭყიანი ძველი ეტლის გამო, როცა ანა მასთან ერთად ჩაჯდა. მეეტლე ფილიპი და კანტორის მუშაკი თავისი შეკრთომის დასაფარავად დაფაცურდნენ, მანდილოსნებს ეტლში ჩასხდომა უშველეს. მეეტლე ფილიპმა კი მოიწყინა და წინასწარ მოემზადა საიმისოდ, რომ არ

დამორჩილებოდა ამ გარეგნულ უპირატესობას. მან ირონიულად გაიღიმა, როცა თვალი შეავლო ამ შავრა ბედაურს და გუნებაში გაიფიქრა, ეს შავრა ცხენი მხოლოდ თვალის ასახვევადაა კარგი, თორემ სიცხეში ორმოც ვერსსაც ვერ გაივლის შეუსვენებლადო.

ფორანთან მსხდარი გლეხები წამოდგნენ, ცნობისმოყვარეობით, მხიარულად შესცქეროდნენ სტუმართან შეხვედრას და თავიანთ შენიშვნებს ურთავდნენ.

– მათაც უხარიათ, დიდი ხანია აღარ უნახავთ ერთმანეთი, – თქვა ხუჭუჭთმიანმა მოხუცმა, ნორჩი ლაფნით რომ ჰქონდა თავი წაკრული.

– ეჰ, ბიძია გერასიმ რა კარგი იქნება, იმ შავრა ულაყით ძნები რომ გვაზიდვინა!

– შეხედე ერთი, ეს შარვლიანი ქალია თუ კაცი? – თქვა ერთმა მათგანმა და ვასენკა ვესლოვსკიზე მიუთითა, რომელიც ქალის უნაგირზე ჯდებოდა.

– არა, კაცია. ხედავ, როგორ მარდად შესკუპდა!

– აბა, ბიჭებო, მგონი, ძილს აღარ ვაპირებთ?

– რა დროს ძილია! – თქვა მოხუცმა და მზეს ცერად ახედა, – ხედავ, შუადღე გადავიდა! აიღე კავი და მომყევი!

XVIII

ანა შეჰყურებდა დოლის გამხდარ, გატანჯულ სახეს, მტვრით სავსე სახის ნაოჭებს და უნდოდა ეთქვა, რასაც ფიქრობდა, რომ დოლი გამხდარა, მაგრამ, როცა გაახსენდა, რომ თვითონ უფრო გამშვენიერდა და დოლის გამოხედვამაც აუწყა ეს, მხოლოდ ამოიოხრა და ისევ თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი.

– შენ მე მიყურებ, – უთხრა მან, – და ფიქრობ, შემიძლია თუ არა ვიყო ბედნიერი ჩემს მდგომარეობაში? ჰოდა, მერე რა! მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ მე... იმდენად ბედნიერი ვარ, რომ

არც მეპატიება. მე რაღაც საოცარი რამ შემემთხვა, როგორც სიზმარშია ხოლმე, როცა საშინელ შიშს განიცდი, იტანჯები, მერე უეცრად გამოგეღვიძება და იგრძნობ, რომ გაქრა ყოველგვარი შიში. მე გავიღვიძე. ბევრი ტანჯვა, ბევრი საშინელება გადავიტანე და ახლა უკვე დიდი ხანია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქა ვართ, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ! – გაუბედავი ღიმილით დასძინა ანამ და კითხვის თვალით გადახედა დოლის.

– მე დიდად მოხარული ვარ! – ღიმილით უთხრა დოლიმ და უნებურად უფრო ცივად გამოუვიდა ნათქვამი, ვიდრე თვითონ უნდოდა, – ძალიან მახარებს შენი კარგად ყოფნა. წერილი რატომ არ მომწერე?

– რატომ არ მოგწერე?.. იმიტომ, რომ ვერ გავბედე... შენ გავიწყდება ჩემი მდგომარეობა...

– მე? ვერ გამიბედე? შენ რომ იცოდე, როგორ... როგორ ვუყურებ... – დარია ალექსანდროვნას უნდოდა ეთქვა ის, რასაც ამ დილით ფიქრობდა, მაგრამ ამის თქმა რატომღაც ახლა უადგილოდ მოეჩვენა, – თუმცა ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ეს რა შენობებია? – შეეკითხა დოლი, შეეცადა სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი და მიუთითა წითელსა და მწვანე სახურავებზე, რომლებიც აკაციისა და იასამნის ცოცხალი ღობის გადაღმა მოჩანდნენ, – პატარა ქალაქივით არის.

მაგრამ ანამ პასუხი არ გასცა.

– არა, არა! როგორ უყურებ შენ ჩემს მდგომარეობას, რას ფიქრობ, რას? – ჰკითხა ანამ.

– ჩემი აზრით... – დაიწყო დარია ალექსანდროვნამ, მაგრამ ამ დროს მათ გვერდით ჩაუარა ვასენკა ვესლოვსკიმ, რომელსაც მარჯვენა ფეხის ჩორთით მოჰყავდა ანას ცხენი და თავისი მოკლე ჟაკეტით მძიმედ ეხეთქებოდა ქალის უნაგირის ბალიშს.

– მიეჩვია, ანა არკადიევნა! – დაუყვირა მან.

ანას არც გაუხედავს მისკენ, მაგრამ დარია ალექსანდროვნას ისევ მოეჩვენა, რომ უხერხული იქნებოდა ეტლში ამ გრძელი საუბრის წამოწყება და მოკლედ უთხრა თავისი აზრი.

– მე არაფერსაც არ ვფიქრობ, – უთხრა მან, – მე ყოველთვის მიყვარდი და თუ ადამიანი გიყვარს, გიყვარს მთლიანად,

როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც გინდა, რომ იყოს.

ანამ თვალი მოაცილა მეგობრის სახეს, თვალები მოჭუტა (ეს მისი ახალი ჩვეულება იყო, რასაც არ იცნობდა დოლი) და ჩაფიქრდა; უნდოდა ჩასწვდომოდა ამ სიტყვების აზრს. ეტყობა, ისე გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა, როგორც თვითონ უნდოდა და შეხედა დოლის.

– თუ შენ რაიმე ცოდვა გაქვს, ყველაფერი გეპატიება აქ ჩამოსვლისა და ამ სიტყვებისთვის!

დოლიმ დაინახა, რომ ანას ცრემლებით აევსო თვალები. მან უსიტყვოდ მოუჭირა ხელი ანას ხელს.

– მაინც რა შენობებია ეს? რამდენია! – წუთიერი სიჩუმის შემდეგ კვლავ გაიმეორა დოლიმ თავისი კითხვა.

– ეს შინამოსამსახურეთა სახლებია, ცხენსაშენები, საჯინიბოები, – უპასუხა ანამ, – აქედან კი პარკი იწყება: ყველაფერი ეს მიტოვებული იყო და ალექსეიმ განაახლა. ძალიან უყვარს ეს მამული და დიდად გატაცებულია მეურნეობით, რასაც სრულიად არ მოველოდი. ერთი სიტყვით, მდიდარი ბუნების ადამიანია! რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი მშვენივრად გამოსდის. არათუ არ სწყინდება, გატაცებულიც არის ამ საქმიანობით. რამდენადაც მე ვიცნობ, ყაირათიანი და შესანიშნავი მეურნეა, სიძუნწესაც კი იჩენს მეურნეობაში, მაგრამ მხოლოდ მეურნეობაში. იქ, სადაც საქმე ათი ათასებს ეხება, არც კი ითვლის, – იმგვარი ეშმაკური, მხიარული ღიმილით ეუბნებოდა ანა, როგორიც ხშირად ახასიათებთ ქალებს, როცა მათთვის საყვარელი ადამიანის იდუმალ, მხოლოდ მათთვის ცნობილ თვისებებზე ლაპარაკობენ, – აი, ამ დიდ შენობას ხომ ხედავ? ახალი საავადმყოფოა. ჩემი აზრით, ეს ასი ათასზე მეტი ჯდება. ეს არის ახლა მისი dada[48] და იცი, რატომ მოჰკიდა ამას ხელი? გლეხები ეხვეწებოდნენ, იაფად დაეთმო მათთვის სათიბი და, როგორც ჩანს, უარი თქვა და მე სიძუნწე ვუსაყვედურე. რაღა თქმა უნდა, მარტო ამიტომ არა, მაგრამ ყოველივე ამის გამო, ხელი მოჰკიდა ამ საავადმყოფოს, რათა, გესმის, ეჩვენებინა ჩემთვის, რომ არ არის ძუნწი. შეიძლება ეს c’est une petitesse,[49] მაგრამ ამის გულისთვის კიდევ უფრო მეტად მიყვარს. აი, ახლა კი სახლი გამოჩნდება. ეს პაპისეული სახლია და გარეგნულად არაფერია შეცვლილი.

– რა კარგია! – თქვა დოლიმ და უნებური გაოცებით მიაჩერდა მშვენიერ, სვეტებიან სახლს, ბაღის ბებერ ხეთა ნაირფეროვანი სიმწვანიდან რომ მოჩანდა.

– კარგია, ხომ მართალია? და ზევიდან, სახლიდან გადმოსახედიც შესანიშნავია.

ისინი მოკირწყლულ, ყვავილნარით მორთულ ეზოში შევიდნენ, სადაც ორი მუშა ყვავილების გაფხვიერებული კვლების გარშემო გაუთლელ ნაჩვრეტიან ქვებს აფენდა, და ეტლი დახურულ შესასვლელთან გაჩერდა.

– ა, ისინი უკვე მოსულან! – თქვა ანამ, როცა დაინახა ცხენები, რომელნიც ის იყო გაჰყავდათ პარმაღიდან, – ხომ მართლაც კარგია ეს ცხენი? ფაშატია. ჩემი საყვარელი ცხენია. მომიყვანეთ აქ და მომეცით შაქარი. გრაფი სად არის? – ჰკითხა მან საპარადოდ მორთულ ლაქიებს, რომლებიც გამოცვივდნენ სახლიდან, – აი, ისიც! – თქვა მან, როცა მათ შესაგებებლად გამოსული ვრონსკი და ვესლოვსკი დაინახა.

– თავადის ქალს სად მოათავსებთ? – ფრანგულად ჰკითხა ვრონსკიმ ანას და პასუხს არ დაუცადა, ხელმეორედ მიესალმა დარია ალექსანდროვნას და ახლა ხელზე აკოცა, – მე ვფიქრობ, დიდაივნიან ოთახში?

– ოჰ, არა, შორს იქნება! კუთხის ოთახში სჯობია, უფრო ხშირად შევხვდებით ერთმანეთს. აბა, წავიდეთ, – თქვა ანამ, როცა ლაქიის მოტანილი შაქარი შეაჭამა თავის საყვარელ ცხენს.

– Et vous oubliez votre devoir,[50] – უთხრა ანამ პარმაღზე გამოსულ ვესლოვსკის.

– Pardon, j’en ai tout plein les poclies,[51] – ღიმილით უპასუხა მან და ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

– Mais vous venez trop tard,[52] – უთხრა ანამ და ცხვირსახოცით გაიწმინდა ხელი, შაქრის მიცემის დროს რომ დაუსველა ცხენმა, შემდეგ დოლის მიუბრუნდა, – დიდი ხნით ჩამოხვედი? მხოლოდ ერთი დღით? ეს შეუძლებელია!

– ასე შევპირდი და ბავშვებიც... – უპასუხა დოლიმ დარცხვენილმა იმის გამო, რომ ეტლიდან უნდა გადმოეღო თავისი ჩანთა და თანაც გრძნობდა, რომ მეტისმეტად დამტვერიანებული ჰქონდა სახე.

– არა, დოლი, ჩემო კარგო... მაგრამ, ვნახოთ, წავიდეთ, წავიდეთ, – და ანამ მისთვის განკუთვნილ ოთახში წაიყვანა დოლი.

ეს არ იყო ის სადარბაზო ოთახი, რომელიც ვრონსკიმ შესთავაზა, არამედ ის, რომელზეც ანამ თქვა, დოლი გვაპატიებს ამასო. და ეს ოთახი, რომლის გამოც ბოდიშს იხდიდა ანა, ისე მდიდრულად იყო მორთული, როგორშიც არასოდეს უცხოვრია დოლის და რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო სასტუმროებს აგონებდა.

– ოჰ, ჩემო კარგო, რა ბედნიერი ვარ! – უთხრა ანამ და ერთი წუთით თავისი საცხენოსნო კაბით ჩამოჯდა დოლის გვერდით, – მიამბე თქვენზე. სტივა სულ მოკლე ხნით ვნახე, მაგრამ მას არც შეუძლია მიამბოს ბავშვებზე, როგორ არის ჩემი საყვარელი ტანია? ალბათ, უკვე დიდი გოგო იქნება?

– ჰო, ძალიან დიდი, – მოკლედ უპასუხა დარია ალექსანდროვნამ, გაოცებულმა, რომ ასე გულგრილად ლაპარაკობდა თავის შვილებზე, – ჩვენ მშვენივრად ვცხოვრობთ ლევინებთან, – დასძინა დოლიმ.

– აი, რომ მცოდნოდა, რომ შენ არ გძულდი... ყველანი ჩამოხვიდოდით ჩვენთან... სტივა ხომ ალექსეის ძველისძველი და დიდი მეგობარია, – დასძინა ანამ და უეცრად წამოწითლდა.

– კი, მაგრამ ჩვენ ისე კარგად ვართ... – შეკრთომით უპასუხა დოლიმ.

– ჰო, თუმცა მე სიხარულისაგან ვამბობ ამ სისულელეს. მაგრამ, ჩემო კარგო, როგორ გამახარა შენმა ჩამოსვლამ, – უთხრა ანამ და ერთხელ კიდევ აკოცა დოლის, – შენ ჯერ კიდევ არ გითქვამს, როგორ და რას ფიქრობ ჩემზე. მე კი მინდა, ყველაფერი ვიცოდე. მიხარია, რომ მიხილავ ისეთს, როგორიც სინამდვილეში ვარ. რაც მთავარია, არ მინდა იფიქრონ ჩემზე, თითქოს ამით რაღაცის დამტკიცება მინდა. მე არაფრის დამტკიცება არ მინდა, მხოლოდ მინდა, რომ ვიცხოვრო და არავის მივაყენო ბოროტება, გარდა საკუთარი თავისა. ამის უფლება კი მაქვს, ხომ მართალია? თუმცა, ეს გრძელი ამბავია და ყველაფერზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ. ახლა კი ტანისამოსის გამოსაცვლელად გავალ და შენც გამოგიგზავნი მოახლეს.

XIX

მარტოდ დარჩენილმა დარია ალექსანდროვნამ დიასახლისის თვალით მოათვალიერა თავისი ოთახი. ყველაფერი, რაც სახლთან მოახლოებისას და თვით სახლში შესვლისას იხილა და რასაც ახლა თავის ოთახში ხედავდა, სიჭარბის, სიკოხტავის და იმ ევროპული ფუფუნების შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც ინგლისურ რომანებში ჰქონდა ამოკითხული და ჯერ არასოდეს ეხილა რუსეთში და სოფლად. ყველაფერი ახალი იყო, ფრანგული შპალერიდან მთელ ოთახში გაფენილ ხალიჩამდე. საწოლი ზამბარებიანი იყო ბუმბულის ლეიბითა და განსაკუთრებული სასთუმლით, ყურთბალიშებსაც აბრეშუმის პირები ჰქონდა გადაკრული. მარმარილოს პირსაბანი, ტუალეტი, ტახტი, მაგიდები, ბუხრის თავზე მდგარი ბრინჯაოს საათი, ფარდები, პორტიერები – ყველაფერი ძვირფასი და ახალი იყო.

კოხტა ფრანგი მოახლეც, რომელმაც სამსახური შესთავაზა და რომელიც დოლიზე უფრო მოდურად იყო მორთულ-მოკაზმული, ისეთივე ახალი და ძვირფასი იყო, როგორიც მთელი ეს ოთახი. დარია ალექსანდროვნას სიამოვნებდა მისი თავაზიანობა და სიფაქიზე, მაგრამ უხერხულად გრძნობდა თავს მის წინაშე; ერცხვინებოდა თითქოსდა საუბედუროდ, შეცდომით წამოღებული დაკერებული კოფთის გამო; მას ახლა სწორედ იმ საკერებლიანი და დაკემსილი ადგილებისა რცხვენოდა, რომლის გამოც ასე ამაყობდა შინ. იქ გასაგები იყო, რომ ექვსი კოფთისთვის საჭირო იყო ოცდაოთხი არშინი ნანსუკი, არშინი სამოცდახუთ კაპიკად, რაც გაწყობისა და სხვა სამუშაოების გარდა, თხუთმეტ მანეთზე მეტს შეადგენდა. და ეს თხუთმეტი მანეთი მოგებული იყო. ახლა კი მოსამსახურის წინაშე არათუ სირცხვილს გრძნობდა, უხერხულიც კი იყო.

დარია ალექსანდროვნამ დიდი შვება იგრძნო, როცა ოთახში მისი ძველისძველი ნაცნობი ანუშკა შემოვიდა. კოხტა ფრანგ მოახლეს ქალბატონი ეძახდა, ანუშკა კი დარია ალექსანდროვნასთან დარჩა.

ანუშკა, ეტყობოდა, დიდად გახარებული იყო ქალბატონის ჩამოსვლით და შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. დოლიმ შენიშნა, რომ ანუშკას უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა ქალბატონის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით იმის თქმა უნდოდა, თუ როგორი მოსიყვარულე და ერთგული იყო გრაფი ანა

არკადიევნასი, მაგრამ, როგორც კი ანუშკა ამაზე დაიწყებდა ლაპარაკს, დოლი განზრახ მაშინვე ჩააჩუმებდა ხოლმე.

– მე ანა არკადიევნასთან ერთად გავიზარდე. ის ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ჩვენი საქმე არ არის ამის განსჯა. მას კი, მგონი, ისე უყვარს...

– გეთაყვა, თუ შეიძლება ეს მიეცით გასარეცხად, – აწყვეტინებდა დარია ალექსანდროვნა.

– ბატონი ბრძანდებით. პატარ-პატარა სარეცხზე ჩვენ ორი ქალი გვყავს განკუთვნილი, თეთრეულს კი სულ მანქანებით ვრეცხავთ. გრაფი თვითონ აწესრიგებს ყველაფერს. ისეთი ქმარია, რომ...

დოლის გაუხარდა, როცა ოთახში ანა შემოვიდა და თავისი მოსვლით ბოლო მოუღო ანუშკას ჭარტალს.

ანას სრულიად სადა ბატისტის კაბა ჩაეცვა. დოლიმ ყურადღებით შეათვალიერა ეს უბრალო კაბა. მან იცოდა, რას ნიშნავდა და რა ფასად ჯდებოდა ეს უბრალოება.

– ძველი ნაცნობია, – თქვა ანამ ანუშკაზე.

ანა ახლა უკვე აღარ კრთებოდა, სავსებით თავისუფალი და მშვიდი იყო. დოლი ხედავდა, რომ ანამ უკვე დააღწია თავი იმ შთაბეჭდილებას, რაც მასზე დოლის ჩამოსვლამ მოახდინა, მან უკვე დაიჭირა ის ზერელე, გულგრილი ტონი, რომლის დროსაც თითქოს დაკეტილი იყო კარი იმ განწყობილებისა, სადაც მისი გრძნობები და გულითადი ფიქრები იყო ჩაკეტილი.

– შენი გოგონა როგორ არის, ანა? – ჰკითხა დოლიმ.

– ანი (ასე ეძახდა იგი თავის შვილს, ანას)? კარგადაა. ძალიან მოიკეთა. ნახვა ხომ არ გინდა? წავიდეთ, გაჩვენებ, ძალიან ბევრი საზრუნავი იყო ამ ძიძების გამო, – დაიწყო ანამ მოყოლა, – იტალიელი ძიძა გვყავს. შესახედავად კარგია, მაგრამ ისეთი სულელია! გვინდოდა, გაგვეშვა, მაგრამ გოგონა ისე შეეჩვია, რომ ჯერჯერობით ვერ შევლევივართ.

– მაინც რა გადაწყვიტეთ?.. – დოლის უნდოდა ეკითხა, ვის გვარს ატარებს ბავშვიო, მაგრამ, როცა შენიშნა, როგორ მოეღუშა უცებ სახე ანას, შეცვალა თავისი კითხვის აზრი, – რა გადაწყვიტეთ? უკვე გააშვებინეთ ძუძუ?

მაგრამ ანა მიუხვდა.

– შენ ამის კითხვა არ გინდოდა, გინდოდა, გეკითხა, ვის გვარს ატარებს ბავშვი? ხომ მართალია? ეს ტანჯავს ალექსეის. მას არა აქვს გვარი. ესე იგი ის კარენინაა, – უთხრა ანამ და ისე მოწკურა თვალები, რომ მხოლოდ მისი წამწამებიღა ჩანდა, – თუმცა, – და მას უცებ გაუბრწყინდა სახე, – ყოველივე ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ. წავიდეთ, გაჩვენებ ბავშვს. Elle est trés gentille.[53] დაფოფხავს კიდეც.

ფუფუნება, მთელ სახლში რომ აოცებდა დოლის, კიდევ უფრო გასაოცარი იყო საბავშვო ოთახში. აქ იყო ინგლისიდან გამოწერილი ჭოჭინები, სიარულის შესასწავლი ხელსაწყოები, საგანგებოდ მოწყობილი ბილიარდის მსგავსი დივანი საფოფხავად, საქანელები, განსაკუთრებული ახალთახალი აბაზანები. ყველაფერი ეს ინგლისური, გამძლე და კარგი იყო, ალბათ, ძალიან ძვირფასიც. ოთახი დიდი, ძალიან მაღალი და ნათელი იყო.

როცა ისინი შევიდნენ, გოგონა პერანგის ამარა იჯდა პატარა სავარძელში და სადილობდა ბულიონით, რითაც მთლიანად დასველებული ჰქონდა გულმკერდი, გოგონას აჭმევდა და, როგორც ეტყობა, თვითონაც მასთან ერთად ჭამდა რუსი მოახლე, რომელიც საბავშვო ოთახში ძიძასა და გადიას ეხმარებოდა, არც ძიძა და არც გადია აქ არ იყვნენ. მეზობელი ოთახიდან ისმოდა მათი უცნაური ფრანგული – მათ მხოლოდ ამ ენაზე შეეძლოთ საუბარი და ახსნა-განმარტება.

ანას ხმის გაგონებისთანავე ოთახში ქერა კულულების რხევით შემოვიდა მაღალი, კოხტად ჩაცმული ინგლისელი ქალი, მას უსიამოვნო სახე და არცთუ მთლად წმინდა გამომეტყველება ჰქონდა. მან შემოსვლისთანავე თავის მართლება დაიწყო, თუმცა ანა არაფერში ადანაშაულებდა. ანას ყოველ სიტყვაზე ინგლისელი ქალი აჩქარებით, ზედიზედ იმეორებდა: „Yes, my Lady“.[54]

მიუხედავად სახის მკაცრი გამომეტყველებისა, რაც უცხო პირის დანახვამ გამოიწვია, დარია ალექსანდროვნას მაინც ძალიან მოეწონა ეს შავთვალწარბა, ლოყაწითელი გოგონა, რომელსაც მკვრივი, გადატკეცილი კანი და ვარდისფერი სხეული ჰქონდა. შეშურდა კიდეც მისი ჯანსაღი გამომეტყველება. მისი ფოფხვაც ძალიან მოეწონა. არც ერთი

მისი ბავშვი ასე არ დაფოფხავდა. მეტისმეტად საყვარელი იყო გოგონა, როცა ხალიჩაზე დასვეს და უკნიდან ამოუკეცეს კაბა. მან პატარა ნადირივით გადახედა უფროსებს თავისი შავი, მოელვარე თვალებით. ეტყობა, უხაროდა, რომ ტკბებოდნენ მისი ყურებით, გაღიმებულმა ფეხები გვერდზე დაიჭირა, ღონივრად დაეყრდნო ხელებს, სწრაფად გადაიტანა მთელი უკანა ნაწილი და მერე ისევ ხელებს დაეყრდნო.

მაგრამ საერთოდ საბავშვო ოთახი და განსაკუთრებით ეს ინგლისელი ქალი ძალიან არ მოეწონა დარია ალექსანდროვნას. ეს მხოლოდ იმით ახსნა, რომ ისეთ უკანონო ოჯახში, როგორიც ანასი იყო, კარგი არავინ წამოვიდოდა და ანამაც, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ცნობდა ადამიანებს, მაინც აიყვანა თავის ბავშვისთვის ასეთი უსიმპათიო და უღირსი ინგლისელი ქალი. გარდა ამისა, დოლი მაშინვე მიხვდა, რომ ანა, ძიძა, გადია და ბავშვი შეთვისებულნი არ იყვნენ ერთმანეთთან, რომ დედის შემოსვლა ბავშვთან უჩვეულო ამბავი იყო. ანას უნდოდა, სათამაშო მიეცა ბავშვისთვის, მაგრამ ვერ იპოვა.

ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ კითხვაზე, რამდენი კბილი აქვს ბავშვსო, ანას შეეშალა და სრულიად არაფერი იცოდა უკანასკნელი ორი კბილის შესახებ.

– ჩემთვის ზოგჯერ ძალიან მძიმეა, რომ ასე ზედმეტი ვარ აქ, – თქვა ანამ, როცა ბავშვის ოთახიდან გამოდიოდა და შლეიფი აიწია, რათა კართან მდგარ სათამაშოებს არ წამოსდებოდა, – ასე არ იყო პირველთან.

– მე მეგონა, პირიქით იქნებოდა, – გაუბედავად შენიშნა დარია ალექსანდროვნამ.

– ოჰ, არა! შენ ხომ იცი, მე ვნახე სერიოჟა! – თქვა ანამ და თვალები მოწკურა, თითქოს რაღაც შორეულს მისჩერებიაო, – თუმცა, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. არ დამიჯერებ, მე თითქოს დამშეული ადამიანი ვარ, რომელსაც უცებ ხვავრიელი სადილი მოუტანეს და არ იცის, პირველად რას წაავლოს ხელი. ეს სადილი შენა ხარ და ჩემი მომავალი საუბარი შენთან, რომელიც არავისთან არ შეიძლება მქონდეს; და აღარ ვიცი, პირველად რით დავიწყო. Mais je ne vous ferai grâce de rien.[55] ყველაფერი მინდა გითხრა. ჰო, ჯერ საჭიროა, ცოტა რამ გითხრა იმ საზოგადოებაზე, რომელსაც ჩვენთან შეხვდები, – დაიწყო მან, – მანდილოსნებიდან დავიწყებ. თავადის ასული ვარვარა.

შენ იცნობ მას და მე ვიცი შენი და სტივას აზრი მის შესახებ. სტივა ამბობს, მთელი მისი ცხოვრების აზრს ის წარმოადგენს, რომ დაამტკიცოს მისი უპირატესობა მეორე მამიდის, კატერინა პავლოვნას წინაშე; ეს სრული სიმართლეა. მაგრამ იგი კეთილი ადამიანია და მე დიდად მადლობელი ვარ მისი. პეტერბურგში იყო ისეთი წუთი, როცა ჩემთვის აუცილებელი შეიქნა un chaperon[56] და ასეთ კომპანიონად თავადის ასული ვარვარა გამომიჩნდა. არა, იგი მართლაც კეთილი ქალია. მან ბევრად შემიმსუბუქა მდგომარეობა. მე ვამჩნევ, რომ შენთვის გაუგებარია ჩემი მდგომარეობის მთელი სიმძიმე... იქ, პეტერბურგში, – დასძინა მან, – აქ სავსებით დამშვიდებული და ბედნიერი ვარ. მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ჯერ უნდა ჩამოგითვალო. სვიაჟსკი – თავად-აზნაურთა წინამძღოლია და ძალიან წესიერი კაცი, მაგრამ მასაც რაღაც უნდა ალექსეისგან. შენ ხომ გესმის, რომ ამ ქონებით, ახლა, როცა ჩვენ აქ დავსახლდით, ალექსეის შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს. შემდეგ ტუშკევიჩი. შენ ის გინახავს, ბეტსის ახლდა. ახლა იგი მიატოვეს და ჩვენთან ჩამოვიდა. იგი, როგორც ალექსეი ამბობს, ერთი იმათგანია, რომელნიც ძალიან სასიამოვნო არიან თუ მათ მივიღებთ ისეთად, როგორადაც უნდათ გვეჩვენონ. Il puis est comme il est faut,[57] როგორც ამბობს თავადის ასული ვარვარა. შემდეგ ვესლოვსკი... მას შენ იცნობ. ძალიან საყვარელი ყმაწვილია, – თქვა მან და ეშმაკურმა ღიმილმა შეუთამაშა ბაგე, – ეს რა უცნაური ამბავი შემთხვევია ლევინთან? ვესლოვსკიმ უამბო ალექსეის და ჩვენ არ დავუჯერეთ. Il est trés gentil et naif,[58] – იმავე ღიმილით დასძინა ანამ, – მამაკაცებს გართობა უნდათ, ალექსეისთვის საჭიროა საზოგადოება და ამიტომაც ვუფრთხილდები ამ საზოგადოებას. საჭიროა, ჩვენთან სიცოცხლე და მხიარულება იყოს, რომ ალექსეიმ ახალი აღარაფერი ისურვოს. შემდეგ შეხვდები მოურავს, გერმანელია, ძალიან კარგი ადამიანი და თავისი საქმეც იცის. ალექსეიც დიდად აფასებს მას. შემდეგ ექიმი, ახალგაზრდა კაცი, არცთუ მთლად ნიჰილისტი, მაგრამ, იცი, დანით ჭამს... მაგრამ ძალიან კარგი ექიმია. შემდეგ არქიტექტორი... Une petite cour.[59]

XX

– აი, თავადის ასულო, მოგიყვანეთ დოლი, თქვენ ისე გინდოდათ მისი ნახვა, – უთხრა ანამ, როცა დარია ალექსანდროვნასთან ერთად გამოვიდა ქვის დიდ ტერასაზე, სადაც ჩრდილში იჯდა თავადის ასული ვარვარა და გრაფ ალექსეი კირილოვიჩის სავარძლის გადასაფარებელს ქარგავდა, – დოლი ამბობს, სადილობამდე არაფერი მინდაო, მაგრამ თქვენ მაინც უბრძანეთ, საუზმე მოართვან, მე კი წავალ, ალექსეის მოვძებნი და ყველას აქ მოვიყვან.

თავადის ასულმა ვარვარამ ალერსიანად და, ცოტა არ იყოს, მფარველურად მიიღო დოლი და მაშინვე იმის ახსნა დაუწყო, რატომ გადმოსახლდა ანასთან, რომ მას ყოველთვის უფრო მეტად უყვარდა ანა, ვიდრე მის დას, და ახლა, როცა ყველამ მიატოვა იგი, ვარვარამ თავის მოვალეობად ჩათვალა, დაეხმაროს ამ გარდამავალ, მისთვის მძიმე პერიოდში.

– ქმარი განქორწინებაზე დაეთანხმება და მეც ისევ დავუბრუნდები ჩემს განმარტოებულ ცხოვრებას, ახლა კი აქ საჭირო ვარ და რაც უნდა მძიმე იყოს ეს ჩემთვის, ავასრულებ ჩემს მოვალეობას; სხვებივით არ მოვიქცევი. და რა კარგი ხარ, რა კარგად მოიქეცი, რომ ჩამოხვედი! ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც საუკეთესო ცოლსა და ქმარს შეშვენის; მათ ღმერთი განსჯის და არა ჩვენ. განა ასე არ იყვნენ ბირიუზოვსკი და ავენიევა... თვით ნიკანდროვიც, შემდეგ ვასილიევი მამონოვასთან, ლიზა ნეპტუნოვაც... მაშინ ხომ არავის არაფერი უთქვამს? და დასრულდა იმით, რომ ყველამ მიიღო ისინი. გარდა ამისა, c’est un intérieur si joli, si comme il faut. Tout-á-fait à l’anglaise. On se réunit le matin au breakfast et puis on sépare.[60] სადილობამდე ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა. სადილი შვიდ საათზეა. სტივა ძალიან კარგად მოიქცა, რომ გამოგგზავნა. მან კავშირი უნდა იქონიოს ამათთან. შენ იცი, მას თავისი დედისა და ძმის შემწეობით ყველაფერი შეუძლია გააკეთოს. მერე რამდენ სიკეთეს სჩადიან. მას არაფერი უთქვამს შენთვის თავის საავადმყოფოზე. Ce sera admirable,[61] – ყველაფერი პარიზიდან აქვს მიღებული.

მათი საუბარი შეწყვიტა ანამ, რომელსაც მამაკაცთა საზოგადოება საბილიარდოში ეპოვა და ახლა მათთან ერთად ისევ ტერასაზე დაბრუნდა. სადილობამდე კიდევ ბევრი დრო ჰქონდათ, ამინდიც შესანიშნავი იყო და ამიტომაც ბევრი

სხვადასხვა წინადადება შემოიტანეს დარჩენილი ორი საათის გასატარებლად. დროს გასატარებელი საშუალება კი მეტად ბევრი იყო ვოზდვიჟენსკოეში და ყველაფერი ეს სრულიად არ ჰგავდა იმას, რითაც პოკროვსკოეში ირთობდნენ თავს.

– Une partie de lawn tennis,[62] – შესთავაზა საზოგადოებას ვესლოვსკიმ და თავისებურად, ლამაზად გაიღიმა, – მე ისევ თქვენთან ერთად ვიქნები, ანა არკადიევნა.

– არა, სიცხეა, ჯობს ისევ ბაღში გავიდეთ. მერე ნავით გავისეირნოთ და მდინარის ნაპირები დავათვალიერებინოთ დარია ალექსანდროვნას, – წინადადება შემოიტანა ვრონსკიმ.

– მე ყველაფერზე თანახმა ვარ, – თქვა სვიაჟსკიმ.

– მე მგონია, დოლისთვის ყველაზე უფრო სასიამოვნო გასეირნება იქნება, ხომ მართალია? მერე კი ნავში ჩავსხდეთ, – თქვა ანამ.

ასეც გადაწყვიტეს. ვესლოვსკიმ და ტუშკევიჩმა საბანაო ადგილისაკენ გასწიეს და შეჰპირდნენ, ნავს იქ დაგახვედრებთ და დაგელოდებითო.

საზოგადოება წყვილ-წყვილად გაჰყვა ბილიკს. წინ ანა და სვიაჟსკი მიდიოდნენ, მათ შემდეგ კი დოლი და ვრონსკი. დოლი, ცოტა არ იყოს, შეაკრთო და შეაფიქრიანა ამ მისთვის სრულიად ახალმა წრემ. განყენებულად, თეორიულად არამცთუ ამართლებდა, იწონებდა კიდეც ანას საქციელს. შორიდან, როგორც ემართებათ ხშირად ზნეობის დამცველ უმწიკვლო ქალებს, რომელთაც მოჰბეზრებიათ ზნეობრივი ცხოვრების ერთფეროვნება, არათუ კიცხავდა ამ დანაშაულებრივ სიყვარულს, შურდა კიდეც ანას ბედი. და გარდა ყოველივე ამისა, გულწრფელად უყვარდა ანა. მაგრამ სინამდვილეში, როცა იხილა ანა მისთვის სრულიად ახალ, უცხო ადამიანთა გარემოში, უხერხულად იგრძნო თავი. განსაკუთრებით არ სიამოვნებდა თავადის ასულ ვარვარას დანახვა, რომელიც მზად იყო ყველაფერი ეპატიებინა მათთვის იმ კეთილმოწყობილი ცხოვრებისთვის, რითაც თვითონ სარგებლობდა.

საერთოდ, განყენებულად დოლი იწონებდა ანას საქციელს. მაგრამ მისთვის მაინც არ იყო სასიამოვნო იმ ადამიანის დანახვა, ვისი გულისთვისაც ჩაიდინა ანამ ეს დანაშაული.

გარდა ამისა, ვრონსკი არასოდეს მოსწონდა. იგი იცნობდა ვრონსკის როგორც მეტისმეტად გულზვიად ადამიანს, რომელსაც, გარდა თავისი სიმდიდრისა, არაფერი ჰქონდა საამაყო. მაგრამ აქ, თავის სახლში, ვრონსკი, წინააღმდეგ თავისი სურვილისა, უფრო მეტ პატივისცემას იწვევდა და ამიტომაც თავისუფლად ვერ გრძნობდა მასთან თავს. დოლი იმასვე განიცდიდა, რაც მოახლესთან განიცადა თავისი კოფთის გამო. როგორც მოახლესთან არა მარტო რცხვენოდა, არამედ ეუხერხულებოდა კიდეც თავისი დაკერებული კოფთის გამოჩენა, ასევე ვრონსკისთანაც კიდეც რცხვენოდა და უხერხულადაც გრძნობდა თავს.

დოლი შემკრთალი იყო და საუბრის საგანს ეძებდა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი გულზვიადი ადამიანისთვის სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო მისი სახლისა და ბაღის შექება, მაგრამ, რაკი მეტი სალაპარაკო ვერაფერი გამონახა, მაინც უთხრა, ძალიან მომეწონა თქვენი სახლიო.

– დიახ, ეს ძალიან ლამაზი, ძველებური, კარგ ყაიდაზე ნაშენები სახლია, – უთხრა მან.

– ძალიან მომეწონა პარმაღის წინა ეზო. ეს ასე იყო?

– ოჰ, არა, – უთხრა ვრონსკიმ და სიამოვნებით გაუბრწყინდა სახე, – თქვენ რომ ამ გაზაფხულზე გენახათ ეს ეზო!

და ვრონსკი ჯერ მორიდებით, შემდეგ კი უფრო და უფრო მეტი გატაცებით მოუყვა დოლის ბაღისა და სახლის მორთულობის სხვადასხვა წვრილმანს. ეტყობოდა, ვრონსკის, რომელმაც ასეთი დიდი შრომა შეალია კარ-მიდამოს გალამაზებას, დიდი სურვილი ჰქონდა თავი მოეწონებინა გარეშე ადამიანთან და გულწრფელად ახარებდა დარია ალექსანდროვნას ქება.

– თუ თქვენ გსურთ დაათვალიეროთ საავადმყოფო და არ დაღლილხართ, წავიდეთ, სულ ახლოსაა, – უთხრა დოლის და სახეში შეხედა, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლაც მოსაწყენი არ იყო მისთვის.

– შენ წამოხვალ, ანა? – მიმართა ვრონსკიმ ანას.

– წამოვალთ. ხომ წავიდეთ? – მიუბრუნდა იგი სვიაჟსკის, – Mais il ne faut pas laisser le pauvre ვესლოვსკი et ტუშკევიჩ se morfondre la dans le buteau,[63] უნდა შევუთვალოთ. დიახ, ეს

ძეგლია, რომელსაც დატოვებს აქ ალექსეი, – მიუბრუნდა ანა დოლის იმავე ეშმაკური, მცოდნე ადამიანის ღიმილით, როგორც წეღან საავადმყოფოზე ელაპარაკებოდა.

– ოჰ, ეს დიდი საქმეა! – თქვა სვიაჟსკიმ, მაგრამ წაქეზებად რომ არ მოსჩვენებოდა ვრონსკის, შენიშვნაც დააყოლა, – მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, გრაფო, – უთხრა მან, – თქვენ ასე ბევრს აკეთებთ ხალხისთვის სანიტარიული თვალსაზრისით და სკოლებს კი გულგრილად ეკიდებით.

– C’est devenu tellement commun les écoles,[64] – უთხრა ვრონსკიმ, – ალბათ, გამიგებთ, რომ მთლად ამის გამო არა, მაგრამ მე ამან გამიტაცა. საავადმყოფოსკენ აქეთ უნდა გადავუხვიოთ, – მიმართა მან დარია ალექსანდროვნას და ხეივნიდან გვერდით გასასვლელზე მიუთითა.

მანდილოსნებმა ქოლგები გაშალეს და გვერდით ბილიკზე გავიდნენ. რამდენჯერმე კიდევ მოუხვიეს, ალაყაფის კარიც გაიარეს და დარია ალექსანდროვნამ უკვე დაინახა ამაღლებულ ადგილზე მდგარი დიდი, წითელი, უცნაური ფორმის, თითქმის დამთავრებული შენობა. ჯერ ისევ შეუღებავი თუნუქის სახურავი თვალისმომჭრელად ელვარებდა კაშკაშა მზეზე. დამთავრებული შენობის გვერდით წამოწყებული იყო კიდევ ახალი, ხარაჩოებშემოვლებული შენობა და ხარაჩოზე მდგარი წინსაფრებაფარებული მუშები ერთმანეთზე აწყობდნენ აგურებს, მერე გოვზაკებით ლესავდნენ და შიმშათი ასწორებდნენ.

– რა სწრაფად მუშაობენ თქვენთან! – თქვა სვიაჟსკიმ, – უკანასკნელად რომ ვიყავი, სახურავი ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

– შემოდგომისთვის მზად იქნება. შიგნით თითქმის გაკეთებულია ყველაფერი, – უთხრა ანამ.

– ეს ახალი რაღა წამოგიწყიათ?

– ეს შენობა ექიმისა და აფთიაქისთვის არის განკუთვნილი, – უპასუხა ვრონსკიმ და როცა მისკენ მომავალი მოკლეპალტოიანი არქიტექტორი დაინახა, მანდილოსნებთან ბოდიში მოიხადა და მის შესახვედრად გასწია.

მან გვერდით ჩაუარა ორმოს, საიდანაც მუშები კირს იღებდნენ, მერე არქიტექტორთან გაჩერდა და რაღაცაზე გაცხარებით

დაუწყო ლაპარაკი.

– ფრონტონი მაინც დაბალი გამოდის, – უთხრა მან ანას, პასუხად მისი შეკითხვისა, რაშია საქმეო.

– ხომ ვამბობდი, საძირკვლის აწევაა-მეთქი საჭირო, – უთხრა ანამ.

– დიახ, ანა არკადიევნა, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, – უთხრა არქიტექტორმა, – მაგრამ ვეღარ გავითვალისწინეთ.

– დიახ, მე დიდად დაინტერესებული ვარ ამით, – უპასუხა ანამ სვიაჟსკის, რომელმაც გაკვირვება გამოთქვა, რომ ანამ ასე კარგად იცოდა არქიტექტურა, – საჭიროა ახალი შენობა შეესაბამებოდეს საავადმყოფოს, ეს კი შემდეგ მოიფიქრეს და უგეგმოდ დაიწყეს.

არქიტექტორთან ლაპარაკი დაამთავრა თუ არა, ვრონსკი ისევ მანდილოსნებს შეუერთდა და საავადმყოფოს შენობაში შეუძღვა მათ.

მართალია, გარედან მხოლოდ ახლა ამთავრებდნენ ლავგარდანებს და ქვემო სართულსაც ახლა ღებავდნენ, ზევით თითქმის მთლიანად დამთავრებული იყო ყველაფერი. თუჯის ფართო კიბე აიარეს და პირველ დიდ ოთახში შეჩერდნენ. ოთახის კედლები მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, უზარმაზარი, მთლიანი ფანჯრის მინები უკვე ჩაესვათ, მხოლოდ იატაკის პარკეტი არ იყო დამთავრებული და დურგლებმა, რომლებიც პარკეტის კვადრატებს აშალაშინებდნენ, თმაზე გადაჭერილი თასმები მოიხსნეს და ისე მიესალმნენ ბატონებს.

– ეს მისაღები ოთახია, – თქვა ვრონსკიმ, – აქ იქნება პიუპიტრი, მაგიდა, კარადა და მეტი არაფერი.

– აქეთ, აქეთ გავიდეთ! ფანჯარასთან ნუ მიხვალ, – თქვა ანამ და გასინჯა, გამშრალი იყო თუ არა საღებავი, – ალექსეი, საღებავი უკვე გამშრალა, – დასძინა მან.

მისაღები ოთახიდან დერეფანში გავიდნენ. აქ ვრონსკიმ უჩვენა მათ ახალი სისტემის ვენტილაცია, მარმარილოს აბაზანები და საწოლები, განსაკუთრებული ზამბარებით. შემდეგ დაათვალიერებინა პალატები, საკუჭნაო, თეთრეულისთვის განკუთვნილი ოთახი, ახალი მოწყობილობის ღუმელები,

ურიკები, რომლებიც სრულიად უხმაუროდ მოძრაობდნენ, – ამ ურიკებით შემოიტანენ დერეფანში საჭირო ნივთებსა და ბევრ სხვა რამეს. სვიაჟსკი ისე აფასებდა ყველაფერს, როგორც ადამიანი, რომელმაც იცის, რას ნიშნავს ყველა ახალი გაუმჯობესება. დოლი უბრალოდ განცვიფრებული იყო ყოველივე ამით, რაც დღემდე არასოდეს ენახა, უნდოდა ყველაფერი გაეგო და დაწვრილებით კითხულობდა ყველაფერს, რაც, ეტყობა, განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა ვრონსკის.

– დიახ, მე მგონი, რუსეთში ეს ერთადერთი სავსებით წესიერად მოწყობილი საავადმყოფო იქნება, – თქვა სვიაჟსკიმ.

– სამშობიარო განყოფილება არ გექნებათ? – ჰკითხა დოლიმ, – ეს ძალიან საჭიროა სოფელში. მე ხშირად...

მიუხედავად თავისი თავაზიანობისა, ვრონსკიმ მაინც შეაწყვეტინა ლაპარაკი დოლის.

– ეს სამშობიარო სახლი კი არა, საავადმყოფოა, რომელიც განკუთვნილია ყოველგვარი ავადმყოფობისთვის, გარდა გადამდები სნეულებისა... – თქვა მან, – აბა, ეს ნახეთ... – და მან დარია ალექსანდროვნასაკენ მიაგორა ახალგამოწერილი სავარძელი, რომელიც განკუთვნილი იყო ახალგამოჯანმრთელებულთათვის, – აი, შეხედეთ, – იგი სავარძელში ჩაჯდა და აამუშავა იგი, – ავადმყოფს არ შეუძლია სიარული, ჯერ ისევ სუსტად არის ან ფეხი სტკივა, მაგრამ მისთვის საჭიროა ჰაერი და ისიც დადის, დასეირნობს...

დარია ალექსანდროვნას ყველაფერი აინტერესებდა, ყველაფერი ძალიან მოსწონდა, მაგრამ ყველაზე მეტად მოსწონდა თვით ვრონსკი, რომელიც ასე ბუნებრივად, მიამიტურად იყო ამით გატაცებული. „დიახ, ძალიან საყვარელი და კარგი ადამიანია“, – გაიფიქრებდა ხოლმე ზოგჯერ დოლი და ყურს აღარ უგდებდა ვრონსკის, სახეში შეჰყურებდა, სწავლობდა მისი სახის გამომეტყველებას და შემდეგ ანაზე გადაჰქონდა ფიქრი. მას ახლა ისე მოსწონდა გახალისებული ვრონსკი, რომ მისთვის გასაგები შეიქნა, რატომაც შეიყვარა იგი ანამ.

XXI

– არა, მგონი, დოლი ისე დაიქანცა, რომ ცხენები აღარ აინტერესებს, – უთხრა ვრონსკიმ ანას, რომელმაც წინადადება შემოიტანა, წასულიყვნენ ცხენსაშენში, სადაც სვიაჟსკის ახალი კვიცის ნახვა უნდოდა, – თქვენ წადით, მე კი სახლამდე მივაცილებ თავადის მეუღლეს და თან ვიმუსაიფებთ, – თქვა მან, – თუ თქვენთვის სასიამოვნო იქნება, – მიუბრუნდა იგი დარია ალექსანდროვნას.

– ცხენების მე მაინც არაფერი გამეგება და დიდად მოხარული ვიქნები, – უპასუხა, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა დოლიმ.

იგი ვრონსკის სახეზე ამჩნევდა, რომ მას რაღაც უნდოდა მისგან. დოლი არ შემცდარა. როგორც კი პატარა ჭიშკარი გაიარეს და ისევ ბაღში შევიდნენ, ვრონსკიმ გაიხედა იქით, საითაც ანა წავიდა და როცა დარწმუნდა, ანა ვეღარ გაიგონებდა მის ნათქვამს და ვერც დაინახავდა მათ, დაიწყო: – თქვენ მიმიხვდით, რომ ლაპარაკი მინდოდა თქვენთან? – უთხრა ვრონსკიმ და მოღიმარი თვალებით შეხედა დოლის, – მე არ ვცდები, რომ თქვენ ანას მეგობარი ხართ, – მან ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცი ამოიღო და უკვე გამელოტებული თავი მოიწმინდა.

დარია ალექსანდროვნამ არაფერი უპასუხა და მხოლოდ შიშით გადახედა. ვრონსკისთან პირისპირ დარჩენილს მოულოდნელად რაღაც შიში დაეუფლა, აშინებდა მისი მოღიმარი თვალები და სახის მკაცრი გამომეტყველება.

ათასმა უცნაურმა აზრმა გაუელვა, როცა დაფიქრდა იმაზე, თუ რა უნდა ჰქონოდა მასთან მოსალაპარაკებელი ვრონსკის. „ალბათ, მთხოვს, სტუმრად ჩამოვიდე მასთან ბავშვებით. მე კი უარი უნდა ვუთხრა ამაზე. შეიძლება მითხრას, რომ მე მოსკოვში საზოგადოება შევუქმნა ანას... ანდა შეიძლება ვასენკა ვესლოვსკისა და ანას ურთიერთობაზე უნდა მომელაპარაკოს? შეიძლება კიტიზე მითხრას რამე, რომ დამნაშავედ გრძნობს თავს მის წინაშე?“ ყოველი უსიამოვნო შეკითხვა გაითვალისწინა, მაგრამ ვერ გამოიცნო ის, რაზედაც უნდოდა მასთან ლაპარაკი ვრონსკის.

– თქვენ ძალიან დიდი ზეგავლენა გაქვთ ანაზე. მას თქვენ ძალიან უყვარხართ, – უთხრა მან, – დამეხმარეთ.

დარია ალექსანდროვნა შეშინებული, გაოცებული შეჰყურებდა მის ენერგიულ სახეს, რომელსაც ხან მთლიანად, ხან ალაგ-ალაგ ანათებდა ცაცხვის ტოტებში ჩამოპარული მზე, ხან კი ისევ ჩრდილი ადგებოდა, და ელოდა, რას ეტყოდა შემდეგ, მაგრამ ვრონსკი მდუმარედ მიჰყვებოდა გვერდით და ხელჯოხს ღორღზე მოათამაშებდა.

– თუ თქვენ ჩვენთან ჩამოხვედით, თქვენ, ერთადერთი ქალი ანას ძველი მეგობრებიდან, – არაფერს ვამბობ თავადის ასულ ვარვარაზე, – ჩემთვის გასაგებია, რომ თქვენ იმიტომ კი არ ჩაიდინეთ ეს, თითქოს ნორმალურად მიგაჩნიათ ჩვენი მდგომარეობა, არამედ იმიტომ, რომ გესმით მთელი სიმძიმე ამ მდგომარეობისა, მაინც გიყვართ ანა და გინდათ დაეხმაროთ, ხომ სწორად გავიგე? – ჰკითხა მან და სახეში შეაჩერდა დოლის.

– ო, დიახ, – უპასუხა დარია ალექსანდროვნამ და ქოლგა დახურა, – მაგრამ...

– არა, – უნებურად შეაწყვეტინა ვრონსკიმ, დაავიწყდა, რომ ამით უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თანამოსაუბრეს და იმგვარად შეჩერდა ბილიკზე, რომ დოლიც იძულებული შეიქნა, შეჩერებულიყო, – არავინ ჩემზე მეტად, ჩემზე ძლიერად არ განიცდის ანას მდგომარეობის სიმძიმეს. და ეს გასაგებიცაა, თუ თქვენ მე პატივს დამდებთ და ჩამთვლით ისეთ ადამიანად, რომელსაც გული აქვს. მე ვარ მიზეზი ამ მდგომარეობისა და ამიტომაც ვგრძნობ ამას.

– ჩემთვის ეს გასაგებია, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ, რომელიც უნებურად ტკბებოდა იმით, თუ რა გულწრფელად, რა მტკიცედ ამბობდა ვრონსკი ამას, – და სწორედ იმიტომ, რომ თქვენი თავი მიგაჩნიათ ამის მიზეზად, ვშიშობ, არ აჭარბებდეთ, – უთხრა დოლიმ, – მე მესმის, რომ საზოგადოებაში მძიმეა ანას მდგომარეობა.

– საზოგადოება ჯოჯოხეთია მისთვის! – სწრაფად თქვა ვრონსკიმ და მოიღუშა, – შეუძლებელია წარმოიდგინოთ იმაზე საშინელი მორალური ტანჯვა, რომელიც მან პეტერბურგში ორი კვირის განმავლობაში განიცადა... და მე გთხოვოთ, დამიჯეროთ ეს.

– დიახ, მაგრამ აქ, სანამ არც ანას... და არც თქვენ არ გესაჭიროებათ ეს საზოგადოება...

– საზოგადოება! – ზიზღით თქვა ვრონსკიმ, – აბა, რა საჭიროებას შეადგენს ჩემთვის საზოგადოება?

– მანამდე – და ეს შეიძლება სულ ასე გაგრძელდეს – თქვენ ბედნიერნი და დამშვიდებულნი იქნებით. მე ვამჩნევ, რომ ანა ბედნიერია, სავსებით ბედნიერი, მან უკვე მოასწრო ჩემთვის ამის თქმა, – ღიმილით უთხრა დარია ალექსანდროვნამ; და უნებურად, როცა ამას ამბობდა, ეჭვი შეეპარა, ნამდვილად ბედნიერი იყო თუ არა ანა.

მაგრამ ვრონსკის, ეტყობოდა, სულაც არ ეპარებოდა ეჭვი ამაში.

– დიახ, დიახ, – თქვა მან, – მე ვიცი, რომ მას ხელმეორედ დაუბრუნდა სიცოცხლე ყველა იმ ტანჯვის შემდეგ, რაც გადაიტანა. იგი ბედნიერია. ბედნიერია აწმყოთი. მაგრამ მე?.. მე მაშინებს ის, რაც ჩვენ მოგველის... მაპატიეთ, თქვენ გავლა გინდათ?

– არა, სულერთია.

– მაშ, ჩამოვსხდეთ აქ.

დარია ალექსანდროვნა ხეივნის კუთხეში გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ვრონსკი მის წინ გაჩერდა.

– მე ვხედავ, რომ ანა ბედნიერია, – გაიმეორა მან და დარია ალექსანდროვნას კიდევ უფრო მეტად შეეპარა ეჭვი, ნამდვილად ბედნიერი იყო თუ არა ანა, – მაგრამ შეიძლება თუ არა გაგრძელდეს ასე? კარგად მოვიქეცით ჩვენ თუ ცუდად, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი ხვედრი უკვე გადაწყვეტილია, – თქვა მან და რუსულიდან ფრანგულ ენაზე გადავიდა, – და ჩვენ მთელი ჩვენი სიცოცხლით დაკავშირებული ვართ, დაკავშირებული ვართ ჩვენთვის ყველაზე წმინდა სიყვარულის ძაფებით. ჩვენ გვყავს ბავშვი, შეიძლება კიდევ გვეყოლოს შვილები, მაგრამ კანონი და ყველა პირობა ჩვენი მდგომარეობისა ისეთია, რომ თავს იჩენს ათასი კომპლიკაცია, რომელსაც ანა ახლა, როცა ის სულიერად ისვენებს ყველა იმ განვლილი ტანჯვისა და მწუხარების შემდეგ, ვერ ხედავს და არც უნდა დაინახოს. და ეს გასაგებიცაა. მაგრამ მე კი არ შემიძლია, არ დავინახო ეს. ჩემი გოგონა კანონით ჩემი შვილი კი არა, კარენინაა. მე არ მინდა ეს სიცრუე! – ენერგიული ჟესტით დასძინა მან და მოღუშულმა კითხვის გამომხატველი თვალით გადახედა დარია ალექსანდროვნას.

დოლის პასუხი არ გაუცია, იგი უხმოდ შეჰყურებდა მას და ისევ ვრონსკიმ განაგრძო.

– ხვალ კი დაიბადება ვაჟი, ჩემი ვაჟიშვილი, და ისიც კანონით კარენინი იქნება. იგი ვერ იქნება მემკვიდრე ვერც ჩემი სახელისა და ვერც ჩემი ქონებისა, და რაოდენ ბედნიერნიც უნდა ვიყოთ, რამდენი შვილიც უნდა გვყავდეს, კავშირი ჩემსა და მათ შორის მაინც არ არსებობს. ისინი კარენინები იქნებიან. თქვენ გესმით, რა მძიმე და რა საშინელი მდგომარეობაა?! მე ვცადე ამის შესახებ მელაპარაკა ანასთან. ეს აბრაზებს მას. ანას არ ესმის ეს და მეც არ შემიძლია ყველაფერი ვუთხრა. ახლა მეორე მხრივ განვსაჯოთ: მე ბედნიერი ვარ მისი სიყვარულით, მაგრამ ჩემთვის ხომ საჭიროა რაიმე საქმე. მე ვიპოვე ეს საქმე და ვამაყობ კიდეც ამ საქმიანობით. მე ეს საქმე უფრო კეთილშობილურად მიმაჩნია, ვიდრე საქმიანობა ჩემი ყოფილი ამხანაგებისა სასახლის კარზე ან სამსახურში. და მე, ამაში უკვე აღარ შეიძლება ეჭვის შეტანა, არაფრით არ გავცვლი ჩემს საქმეს მათ საქმეში. მე აქ ვცხოვრობ, ვმუშაობ, ბედნიერი და კმაყოფილი ვარ და ჩვენი ბედნიერებისთვის მეტი არაფერია საჭირო. მე მიყვარს ეს საქმე. Cela n’est pas un pis-aller,[65] პირიქით...

დარია ალექსანდროვნამ შენიშნა, რომ თავისი ახსნა-განმარტების ამ ადგილას ვრონსკი იბნეოდა და დოლი ვერ მიუხვდა, რისი თქმა უნდოდა. მაგრამ გრძნობდა, რაკი ვრონსკიმ ერთხელვე დაიწყო ლაპარაკი თავის გულითად ურთიერთობაზე, რაც არ შეეძლო გაეზიარებინა ანასთვის, უნდოდა ეთქვა, რომ სოფლად საქმიანობის საკითხი იმავ სანუკვარ აზრთა სამყაროში შედიოდა, სადაც ანასთან ურთიერთობის საკითხი იდგა.

– მაშ, ასე, მე განვაგრძობ, – თქვა მან, როცა ფიქრებიდან გამოერკვა, – მუშაობაში მთავარია გწამდეს, რომ შენი საქმე შენთან ერთად არ მოკვდება, რომ გეყოლება მემკვიდრეები, მე კი არა ვარ ამაში დარწმუნებული. თქვენ წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელმაც წინასწარ იცის, რომ მისი და მისი საყვარელი ქალის შვილები, თავისი კი არა, ვიღაც სხვისი იქნება, ვისაც ეზიზღება ისინი და არც უნდა ცნობდეს მათ. ეს ხომ საშინელებაა!

და ვრონსკი გაჩუმდა, ეტყობოდა, ძლიერ ღელავდა.

– დიახ, რასაკვირველია, ეს გასაგებია ჩემთვის. მაგრამ რა შეუძლია ანას? – ჰკითხა დარია ალექსანდროვნამ.

– დიახ, სწორედ ამას მივყავართ ჩემი საუბრის მიზანთან, – უპასუხა ვრონსკიმ და თავს ძალა დაატანა დამშვიდებულიყო, – ანას შეუძლია, ეს მასზეა დამოკიდებული... თუნდაც ხელმწიფეს რომ ვთხოვოთ შვილად აყვანა, ამისთვისაც კი აუცილებელია განქორწინება. ეს კი ანაზეა დამოკიდებული. ქმარი თანახმა იყო განქორწინებაზე. თქვენმა მეუღლემ მაშინ თითქმის სავსებით მოაგვარა ეს საკითხი. ახლაც ვიცი, უარს არ იტყოდა ამაზე. მხოლოდ წერილის მიწერაა საჭირო. მაშინ პირდაპირ განაცხადა, თუ ანა ამის სურვილს გამოთქვამდა, უარს არ იტყოდა. რაღა თქმა უნდა, – პირქუშად დასძინა მან, – ეს მისი ერთ-ერთი ფარისევლური სიმკაცრეა, რომელიც მხოლოდ ასეთ უგულო ადამიანებს შეუძლიათ. იცის, რა ტანჯვაა ანასთვის ქმრის ყოველი გახსენება და რაკი იცის ეს, წერილს თხოულობს მისგან. მე მესმის, რომ ეს მძიმეა ანასთვის. მაგრამ მიზეზი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა passer pardessus toules ces finesses de senument. Il y va du bonheur et de l’existence d’Anne et de ses enfants.[66] მე ჩემს თავზე არაფერს ვამბობ, თუმცა ჩემთვისაც მძიმეა, მეტისმეტად მძიმე, – თქვა მან და მის სახეზე ვიღაცისადმი მუქარა გამოიხატა იმის გამო, რომ მისთვის მძიმე იყო ეს, – მაშ, ასე, ქალბატონო, მე თქვენ უსინდისოდ გებღაუჭებით, როგორც ჩემს მხსნელ ღუზას. დამეხმარეთ, დაითანხმეთ ანა, მისწეროს წერილი და მოითხოვოს განქორწინება.

– დიახ, რასაკვირველია, – დასძინა ჩაფიქრებულმა დარია ალექსანდროვნამ და ცოცხლად გაიხსენა თავისი უკანასკნელი შეხვედრა ალექსეი ალექსანდროვიჩთან, – დიახ, რასაკვირველია, – უფრო მტკიცედ გაიმეორა მან, როცა ანა გაახსენდა.

– გამოიყენეთ თქვენი ზემოქმედება მასზე, გააკეთეთ ისე, რომ მისწეროს წერილი. მე არ მინდა და თითქმის არც შემიძლია, ველაპარაკო ანას ამის შესახებ.

– კარგი, მოველაპარაკები, მაგრამ თვითონ ანა რატომ არ ფიქრობს ამაზე? – თქვა დარია ალექსანდროვნამ და რატომღაც ამის თქმაზე ანას ახალი, უცნაური ჩვეულება გაახსენდა – თვალების მოწკურვა და ისიც გაახსენდა, რომ ანა მხოლოდ მაშინ შვრებოდა ამას, როცა საქმე მის სულიერ ამბებს

შეეხებოდა. „თითქოს თავის ცხოვრებას უყურებს ასე თვალმოწკურული, რათა ყველაფერი არ დაინახოს“, – გაიფიქრა დოლიმ, – დიახ, აუცილებლად მოველაპარაკები. ეს საჭიროა ჩემთვისაც და მისთვისაც, – უპასუხა დარია ალექსანდროვნამ, როცა ვრონსკიმ მადლიერების გრძნობით გადახედა მას.

ორივენი წამოდგნენ და სახლისკენ გაემართნენ.

XXII

შინ მობრუნებულ ანას დოლი უკვე სახლში დაუხვდა და ყურადღებით ჩააცქერდა დოლის სახეში, თითქოს უნდოდა ამოეკითხა, რა საუბარი ჰქონდა ვრონსკისთან, მაგრამ თქმით არაფერი უთხრა.

– მგონი, უკვე სადილობის დროა, – თქვა მან, – ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვნახეთ ერთმანეთი. საღამოს იმედი მაქვს, ახლა კი ტანისამოსის გამოსაცვლელად უნდა გავიდე. მე ვფიქრობ, შენც გამოიცვლი, თორემ მშენებლობაზე ყველანი გავმტვრიანდით.

დოლი თავის ოთახში გავიდა და სიცილი მოერია. მას აღარაფერი ჰქონდა გამოსაცვლელი. უკვე ჩაიცვა თავისი საუკეთესო კაბა, მაგრამ რითიმე მაინც რომ გამოეხატა სადილისთვის სამზადისი, მოახლეს სთხოვა, კაბა გაეწმინდა, სამაჯურები და ბაფთები გამოიცვალა და თავზე მაქმანები გაიკეთა.

– აი, ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემეძლო, – ღიმილით უთხრა ანას, რომელიც უკვე მესამე, კვლავ მეტისმეტად სადა კაბით შემოვიდა მასთან.

– ჩვენ აქ მეტისმეტად ვიცავთ წესრიგს, – უთხრა ანამ, თითქოს ბოდიშს იხდიდა თავისი მორთულობისთვის, – ალექსეი ძალიან კმაყოფილია შენი ჩამოსვლით. იშვიათად თუ ყოფილა რაიმეთი ასე კმაყოფილი. მას ნამდვილად შეუყვარდი! – დასძინა მან, – შენ ხომ არ დაღლილხარ?

სადილობამდე დრო აღარ რჩებოდათ სასაუბროდ. სასადილოში

უკვე ელოდნენ თავადის ასული ვარვარა და შავ სერთუკებში გამოწყობილი მამაკაცები. არქიტექტორს ფრაკი ეცვა. ვრონსკიმ ექიმი და მოურავი წარუდგინა სტუმარს, არქიტექტორი ჯერ კიდევ საავადმყოფოში გააცნო.

ჩასუქებულმა მსახურთუხუცესმა, რომელსაც ერთნაირად უპრიალებდა მრგვალი, გაპარსული სახე და თეთრი ჰალსტუხის გახამებული ბაფთა, მოახსენა, სადილი მზად გახლავთო, და მანდილოსნებიც წამოდგნენ. ვრონსკიმ სვიაჟსკის სთხოვა, ანასთვის გაეწოდებინა ხელი, თვითონ კი დოლის ეახლა. ვესლოვსკიმ ტუშკევიჩს დაასწრო და თავადის ასულ ვარვარას გაუწოდა ხელი, ისე, რომ ტუშკევიჩმა, ექიმმა, მოურავმა და არქიტექტორმა ცალ-ცალკე გასწიეს მაგიდისაკენ.

სასადილო ოთახი, სადილი, ჭურჭელი, მსახურნი; ღვინო, საჭმელი არათუ შეეფერებოდა სახლის საერთო ფუფუნების ტონს, არამედ მათში კიდევ უფრო მეტი ფუფუნება და სიახლე იხატებოდა. დარია ალექსანდროვნა აკვირდებოდა ამ მისთვის ახალ ფუფუნებას და როგორც დიასახლისს, თუმცა იმედი არ ჰქონდა, რაიმე გამოეყენებინა თავისი სახლისთვის, რადგან ამგვარი ფუფუნება მეტად შორს იყო მისი ცხოვრებისაგან, მაინც უნებურად ყოველ წვრილმანს აკვირდებოდა და ეკითხებოდა თავის თავს, ვინ და როგორ გააკეთაო ყოველივე ეს. ვასენკა ვესლოვსკი, მისი ქმარი, თვით სვიაჟსკი და ბევრი სხვაც, რომელთაც იცნობდა დოლი, არასოდეს ფიქრობდნენ ამაზე და სჯეროდათ ის, რაც ყოველ თავაზიან მასპინძელს სურს აგრძნობინოს თავის სტუმარს, თითქოს ყველაფერი, სწორედ ის, რაც ასე კარგად აქვს მოწყობილი, მას, მასპინძელს, არაფრად უღირს და თავისთავად გაკეთდა. დარია ალექსანდროვნამ კი იცოდა, რომ თავისთავად ბავშვის ფაფაც არ კეთდებოდა, რომ ამ რთულსა და მშვენიერ მოწყობილობას ვიღაცის განსაკუთრებული ყურადღება ეწირებოდა. და როცა შეამჩნია, როგორ გადახედა ალექსეი კირილიჩმა მაგიდას, როგორ ანიშნა რაღაც მსახურთუხუცესს და როგორ შესთავაზა, თევზისა და ბოსტნეულის წვენს მიირთმევთ თუ სუპსო, დარია ალექსანდროვნა მიხვდა, რომ ყოველივე ამაზე თვით მასპინძელი ზრუნავდა. ანა კი, ეტყობა, ამაზე ისევე ზრუნავდა, როგორც ვესლოვსკი. ანა, სვიაჟსკი, თავადის ქალი და ვესლოვსკი ერთნაირი სტუმრები იყვნენ ამ სახლისა და მხიარულად სარგებლობდნენ იმით, რაც მათთვის კეთდებოდა.

ანას დიასახლისობა სუფრაზე საუბრის წარმართვაში გამოიხატებოდა. და ამ საუბარს, რომელიც ესოდენ ძნელია დიასახლისისთვის ასეთ მცირე სუფრაზე ისეთი პირების თანდასწრებით, როგორიც იყვნენ მოურავი და არქიტექტორი, რომელნიც სულ სხვა სამყაროს ეკუთვნოდნენ, ცდილობდნენ დაემალათ მორიდება ამ შეუჩვეველი ფუფუნების წინაშე და დიდხანს ვერ ბედავდნენ საუბარში ჩარევას, ანა ჩინებულად წარმართავდა, როგორც ეს დარია ალექსანდროვნამაც შენიშნა, და მისთვის ჩვეული ტაქტით ბუნებრივად და სიამოვნებითაც კი ხელმძღვანელობდა.

საუბარი იმაზე ჩამოვარდა, როგორ სეირნობდნენ ტუშკევიჩი და ვესლოვსკი მარტონი ნავით და ტუშკევიჩი მოჰყვა ამასწინანდელ ნავთა შეჯიბრების ამბავს პეტერბურგის იახტკლუბში, მაგრამ ანა, რომელიც საუბრის დამთავრებას ელოდა, მაშინვე გამოელაპარაკა არქიტექტორს, რათა მისი დუმილი დაერღვია.

– ნიკოლაი ივანიჩი განცვიფრებული იყო, – თქვა მან სვიაჟსკის შესახებ, – რომ ასე წინ წავიდა ჩვენი მშენებლობა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად იყო ჩვენთან. მაგრამ მე თვითონაც ყოველდღე ვხედავ და მიკვირს, რომ ასე სწრაფად მიდის საქმე.

– მის ბრწყინვალებასთან მუშაობა კარგია! – ღიმილით მოახსენა არქიტექტორმა (მას შეგნებული ჰქონდა თავისი ღირსება და თავაზიანი და მშვიდი იყო), – საგუბერნიო სამმართველოს კი არ ჰგავს. იქ რამდენი ქაღალდი უნდა გადააჭრელო, აქ კი მოვახსენებ გრაფს, ვიმსჯელებთ და სამი სიტყვით მთავრდება ყველაფერი.

– ამერიკული ხერხია, – ღიმილით თქვა სვიაჟსკიმ.

– მართალი ბრძანებაა. იქ რაციონალურად აშენებენ სახლებს...

საუბარი იმაზე გადავიდა, თუ როგორ ბოროტად იყენებენ ხელისუფლებას შეერთებულ შტატებში, მაგრამ ანამ მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი, რათა ახლა მოურავი აელაპარაკებინა.

– გინახავს ოდესმე სამკალი მანქანები? – მიუბრუნდა იგი დარია ალექსანდროვნას, – შენ რომ შეგხვდით, სწორედ ამ მანქანების დასათვალიერებლად ვიყავით. მეც პირველად ვნახე.

– როგორ მუშაობენ ეს მანქანები? – შეეკითხა დოლი.

– სწორედ ისე, როგორც მაკრატელი. ფიცარი აქვთ და პატარა მაკრატლები. აი, ასე!

ანამ თავისი მშვენიერი, თეთრი, ბეჭდებით სავსე ხელით დანა და ჩანგალი აიღო და შეეცადა ეჩვენებინა დოლისთვის, როგორ მუშაობდა მანქანა. მან, ეტყობა, იცოდა, რომ მისი ახსნიდან არაფრის გაგება არ შეიძლებოდა; მაგრამ იცოდა, რომ სასიამოვნოდ ლაპარაკობდა, ლამაზი ხელებიც ჰქონდა, და ამიტომაც ისევ განაგრძობდა ახსნას.

– უფრო ჯიბის დანებია, – ხუმრობით უთხრა ვესლოვსკიმ, რომელიც თვალს არ აცილებდა ანას.

ანამ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, მაგრამ პასუხი არ გასცა.

– ხომ მართალია, კარლ ფიოდორიჩ, მაკრატლებივით არის? – მიუბრუნდა იგი მოურავს.

– O, ja, – უპასუხა გერმანელმა, – Es ist ein ganz einfaches Ding,[67] – და მანქანის მოწყობილობის ახსნას შეუდგა.

– სამწუხაროა, რომ ეს მანქანა არ ქსოვს. მე ვენის გამოფენაზე ვნახე, როგორ ქსოვდა მავთულებით, – თქვა სვიაჟსკიმ, – მაშინ უფრო სარგებლიანი იქნებოდა.

– Es kommt drauf an... Der Preis vom Draht muss ausgerechnet werden, [68] – და გერმანელი, რომელიც ძალად აალაპარაკეს, ახლა ვრონსკის მიუბრუნდა, – Das lässt sich ausrechnen, Erlaucht,[69] – გერმანელმა უკვე ჯიბისაკენ წაიღო ხელი, სადაც შენახული ჰქონდა ფანქარი და პატარა წიგნაკი, რომელშიც ანგარიშობდა ხოლმე ყველაფერს, მაგრამ გაახსენდა, რომ სუფრასთან იჯდა, ვრონსკის მკაცრი გამოხედვაც შენიშნა და თავი შეიკავა, – Zu complicirt, macht zu viel Klopot,[70] – დასძინა მან.

– Wünscht man Dochots, so hat man auch Klopots,[71] – თქვა ვასენკა ვესლოვსკიმ და დასცინა გერმანელს, – J’adore l’allemand[72], – იმგვარივე ღიმილით მიუბრუნდა იგი ანას.

– Cessez,[73] – ხუმრობითა და თანაც მკაცრად უთხრა ანამ.

– ჩვენ გვეგონა, ყანაში გნახავდით, ვასილ სიმონიჩ, – მიუბრუნდა ანა ექიმს, ავადმყოფური შესახედაობის კაცს, – თქვენ იყავით იქ?

– მე იქ ვიყავი, მაგრამ გავუჩინარდი, – სევდანარევი ხუმრობით მიუგო ექიმმა.

– მაშასადამე, ჩინებული სეირნობა გამოგივიდათ!

– დიდებული!

– ჰო, როგორ არის ის მოხუცი ქალი? ვიმედოვნებ, ტიფი არ აღმოაჩნდა?

– ტიფი შეიძლება არ იყოს, მაგრამ მძიმე მდგომარეობა აქვს.

– როგორ მენანება! – დასძინა ანამ, ამით ვალი მოიხადა შინამოსამსახურეთა წინაშე და შემდეგ თავისიანებს მიუბრუნდა.

– მაგრამ თქვენი ნათქვამის მიხედვით მაინც ძნელი იქნებოდა მანქანის აგება, ანა არკადიევნა, – ხუმრობით უთხრა სვიაჟსკიმ.

– არა, რატომ? – ღიმილით თქვა ანამ. ეს ღიმილი ცხადყოფდა, რომ მანქანის მოწყობილობათა ამ აღწერილობაში იყო რაღაც მეტისმეტად სასიამოვნო, რაც შეუნიშნავია არ დარჩენია სვიაჟსკის და რაც კარგად უწყოდა ანამაც. ახალგაზრდული სიკეკლუცის ამ ახალმა გამოვლინებამ უსიამოვნოდ იმოქმედა დოლიზე.

– სამაგიეროდ გასაოცარია ანა არკადიევნას ცოდნა არქიტექტურაში, – თქვა ტუშკევიჩმა.

– დიახაც. გუშინ ყური მოვკარი, ანა არკადიევნა ამბობდა, სტრობი და პლინთუსებიო, – თქვა ვესლოვსკიმ. – ხომ სწორად ვამბობ?

– გასაოცარი არაფერია, როცა ამდენს ხედავ და ამდენი გესმის, – თქვა ანამ, – თქვენ, ალბათ, ისიც არ იცით, რისგან აშენებენ სახლს?

დარია ალექსანდროვნა ამჩნევდა, რომ ანას არ მოსწონდა ვესლოვსკის სალაღობო ტონი, მაგრამ უნებლიეთ თვითონაც ემორჩილებოდა ამას.

ვრონსკი ამ შემთხვევაში სულაც არ იქცეოდა ისე, როგორც ლევინი. იგი, ეტყობა, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ვესლოვსკის ლაყბობას და პირიქით, უფრო აქეზებდა.

– აბა, მითხარით, ვესლოვსკი, რით აერთებენ ქვებს?

– რასაკვირველია, ცემენტით.

– ყოჩაღ! მერე რა არის ეს ცემენტი?

– რაღაც წასაგლესის... არა, საგოზავის მსგავსი რამ არის, – მიუგო ვესლოვსკიმ და ამით საერთო სიცილი გამოიწვია.

სუფრაზე მყოფთ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ საუბარი, მოწყენითა და მდუმარედ მჯდარი ექიმისა, არქიტექტორისა და მოურავის გარდა. ხან შეფერხდებოდა ეს საუბარი, ხან ისევ გრძელდებოდა, ხან რომელიმე მათგანის მტკივნეულ ადგილს შეეხებოდა. ერთხელ დარია ალექსანდროვნასაც გადაჰკრეს, რამაც ისე გააცხარა, რომ წამოწითლდა კიდეც და მხოლოდ შემდეგ გაიხსენა, ზედმეტი და უსიამოვნო ხომ არაფერი მითქვამსო. სვიაჟსკიმ ლევინზე ჩამოაგდო სიტყვა, გაიხსენა მისი უცნაური მსჯელობა, მანქანებს რუსული მეურნეობისთვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიაო.

– არა მაქვს ბედნიერება ვიცნობდე ბატონ ლევინს, – ღიმილით თქვა ვრონსკიმ, – მაგრამ მას, ალბათ, არასოდეს უნახავს ის მანქანები, რომელთაც ასე კიცხავს. ან თუ უნახავს და გამოუცდია, ვინ იცის, როგორ, ან უნახავს მხოლოდ რუსული მანქანები და არა საზღვარგარეთული. აბა, რა შეხედულებები შეიძლება ჰქონდეს?

– საერთოდ მას თურქული შეხედულებები აქვს, – ღიმილით თქვა ვესლოვსკიმ და ანასკენ შეტრიალდა.

– მე არ შემიძლია დავიცვა მისი შეხედულებები, – თქვა დარია ალექსანდროვნამ და წამოწითლდა, – მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ დიდად განათლებული ადამიანია და აქ რომ იყოს, თვითონ გაგცემდათ პასუხს. მე კი არ ვიცი, რა გითხრათ.

– მე იგი ძალიან მიყვარს და ჩვენ დიდი მეგობრები ვართ, – გულკეთილი ღიმილით დასძინა სვიაჟსკიმ, – Mais pardon il est un petit peu toqué[74]; მაგალითად, იგი ამტკიცებს, საჭირო არ არის არც ერობა და არც მომრიგებელი მოსამართლეო, და არც სურს მონაწილეობა.

– ეს ჩვენი რუსული გულგრილობაა, – თქვა ვრონსკიმ და გრაფინიდან წყალი დაასხა თხელ, მაღალფეხიან ჭიქაში, – არ ვიგრძნოთ მოვალეობანი, რომელსაც ჩვენი უფლებები

გვაკისრებს, და ამიტომაც უარვყოფთ.

– მე არ ვიცნობ სხვას, რომელიც უფრო მკაცრად უყურებდეს ყოველგვარი მოვალეობის შესრულებას, – თქვა დარია ალექსანდროვნამ, რომელიც გააბრაზა ვრონსკის ამ მედიდურმა ტონმა.

– მე, პირიქით, – განაგრძო ვრონსკიმ, რომელსაც რატომღაც მტკივნეულ ადგილზე მოხვდა ეს საუბარი, – მე კი, პირიქით, როგორც ხედავთ, დიდად მადლობელი ვარ იმ პატივისა, რომელიც დამდეს ნიკოლაი ივანიჩის მეოხებით (მან სვიაჟსკიზე მიუთითა) და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ ამირჩიეს. მე მიმაჩნია, რომ ყრილობაზე წასვლა ან გლეხის საქმის გარჩევა ცხენის თაობაზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ყველა სხვა საქმე, რისი გაკეთებაც კი შემიძლია. და დიდ პატივად ჩავთვლი, თუ ხმოსნადაც ამირჩევენ. მე მხოლოდ ამით შემიძლია სამაგიერო გადავიხადო იმ სარფისთვის, რითაც ვსარგებლობ როგორც მიწის მფლობელი. საუბედუროდ, ზოგს არ ესმის ის მნიშვნელობა, რომელიც უნდა ჰქონდეთ მსხვილ მიწათმფლობელებს სახელმწიფოში.

დარია ალექსანდროვნასთვის უცნაური იყო იმის მოსმენა, თუ როგორ დარწმუნებული იყო ვრონსკი თავის სამართლიანობაში საკუთარ სუფრასთან. მას გაახსენდა, რომ ლევინიც, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობდა, ასევე მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის მსჯელობაში საკუთარ სუფრასთან, მაგრამ დოლის უყვარდა ლევინი და ამიტომაც მის მხარეზე იყო.

– ასე რომ, გრაფო, შემდეგ ყრილობაზე შეგვიძლია თქვენი იმედი ვიქონიოთ? – უთხრა სვიაჟსკიმ, – მაგრამ უფრო ადრე უნდა გავემგზავროთ, რათა რვაში უკვე იქ ვიყოთ. თუ თქვენ პატივს დამდებთ და გამომივლით?

– მე კი თითქმის ვეთანხმები შენს beau-frère-ს, – თქვა ანამ, – მხოლოდ არა ისე, როგორც ის, – ღიმილით დასძინა მან, – ვშიშობ, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენ მეტისმეტად ბევრი საზოგადოებრივი მოვალეობა დაგვეკისრა. წინათ იმდენად ბევრი მოხელე იყო, რომ ყველა საქმისთვის მოხელე იყო საჭირო, ახლა კი ყველა საზოგადო მოღვაწეა. ექვსი თვეა, რაც ალექსეი აქ არის და უკვე ხუთი თუ ექვსი სხვადასხვა

საზოგადოებრივი დაწესებულების წევრია, – მეურვეობა, მოსამართლეობა, ხმოსნობა, ვექილობა და კიდევ რაღაც ცხენოსნობის შესახებ. Du train que cela va,[75] მთელი მისი დრო ამას მოუნდება. და მე ვშიშობ, საქმეთა ასეთი სიმრავლისას ეს მხოლოდ ფორმად რჩება. თქვენ რამდენ ადგილას ხართ წევრი, ნიკოლაი ივანიჩ? – მიუბრუნდა იგი სვიაჟსკის, – მგონი, ოცზე მეტ ადგილას?

ანა ხუმრობდა, მაგრამ მის ხმაში გაღიზიანებაც იგრძნობოდა. დარია ალექსანდროვნა ყურადღებით აკვირდებოდა ანასაც და ვრონსკისაც და მაშინვე შენიშნა ეს. ისიც შენიშნა, რომ ამის თქმაზე ვრონსკიმ მაშინვე სერიოზული და ჯიუტი გამომეტყველება მიიღო. დოლის არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, თავადის ასულმა ვარვარამ როგორ სწრაფად ჩამოაგდო სიტყვა პეტერბურგელ ნაცნობებზე, რათა საუბრის საგანი შეეცვალა, ისიც გაიხსენა, ბაღში ვრონსკიმ როგორ უადგილოდ დაიწყო ლაპარაკი თავის მოღვაწეობაზე და მიხვდა, რომ ამ საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკითხთან იყო დაკავშირებული უთანხმოება ანასა და ვრონსკის შორის.

სადილი, ღვინოები, ჭურჭელი, ყველაფერი ძალიან კარგი იყო, მაგრამ ყოველივე ეს ისეთი იყო, როგორიც უნახავს დარია ალექსანდროვნას დიდ წვეულებებსა და ბალებზე, რომელთაც უკვე გადაეჩვია, აქაც იგივე უპიროვნობა და დაძაბულობა იგრძნობოდა; და ამიტომ ჩვეულებრივ დღეს, ასეთ პატარა წრეში ყოველივე ამან უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დოლიზე.

ნასადილევს რამდენიმე ხანი ტერასაზე დაჰყვეს. შემდეგ Jawn tennis-ის თამაში დაიწყეს. მოთამაშენი ორ პარტიად გაიყვნენ და განლაგდნენ გულმოდგინედ გასწორებულ, გატკეპნილ კროკეტის მოედანზე, რომლის ორივე მხარეს მოვარაყებულ ბოძებზე ბადე იყო გადაჭიმული. დარია ალექსანდროვნამაც სცადა თამაში, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლო თამაშის გაგება და, როცა გაიგო, ისე მოიქანცა, რომ ისევ თავადის ასულ ვარვარას გვერდით დაჯდა და ყურება დაუწყო მოთამაშეებს. მისმა პარტნიორმა ტუშკევიჩმაც დაანება თავი თამაშს. დანარჩენებმა კი კიდევ დიდხანს გააგრძელეს თამაში. სვიაჟსკი და ვრონსკი ორივენი კარგად და სერიოზულად თამაშობდნენ. ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მოწოდებულ ბურთს, არ ჩქარობდნენ და არც აყოვნებდნენ, მაშინვე გარბოდნენ ბურთისაკენ,

ელოდებოდნენ ბურთის დაცემას, შემდეგ ზუსტად ურტყამდნენ ბურთს ჩოგანს და ბადის მეორე მხარეს აგდებდნენ. ვესლოვსკი სხვებზე უფრო ცუდად თამაშობდა, მეტისმეტად ცხარობდა, სამაგიეროდ თავისი მხიარულებით ამხნევებდა მოთამაშეებს. განუწყვეტლივ ისმოდა მისი ყვირილი და სიცილი. როგორც სხვა მამაკაცებმა, იმანაც, მანდილოსნების ნებართვით, სერთუკი გაიხადა და მისი წარმოსადეგი, მოხდენილი ტანი, პერანგის თეთრი სახელოები, აწითლებული, გაოფლიანებული სახე და აჩქარებული მოძრაობა დიდხანს რჩებოდა მეხსიერებაში ადამიანს.

იმ ღამეს, როცა დარია ალექსანდროვნა დასაძინებლად დაწვა, თვალებს დახუჭავდა თუ არა, თვალწინ წარმოუდგებოდა ვასენკა ვესლოვსკი, რომელიც კროკეტის მოედანზე აქეთ-იქით აწყდებოდა.

თამაშის დროს დარია ალექსანდროვნა მოწყენილი იყო. მას არ მოსწონდა ვასენკა ვესლოვსკისა და ანას თამამი დამოკიდებულება, რომელიც თამაშის დროსაც გრძელდებოდა, არ მოსწონდა ის საერთო არაბუნებრიობა მოზრდილებისა, როცა ისინი მარტო, ბავშვების გარეშე, თავს ირთობდნენ საბავშვო გასართობით. მაგრამ განწყობილება რომ არ გაეფუჭებინა სხვებისთვის, დასვენების შემდეგ ისევ მოთამაშეებს შეუერთდა და ისე აჩვენებდა თავს, ვითომც დიდად სიამოვნებდა ეს. მთელი ამ დღის განმავლობაში დოლი ისე გრძნობდა თავს, თითქოს თეატრში მასზე უკეთეს აქტიორებთან ერთად თამაშობდა და თავისი ცუდი თამაშით სულ აფუჭებდა საქმეს.

იგი იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ, თუ გაძლებდა, ორი დღით მაინც დარჩენილიყო, მაგრამ საღამოსვე, თამაშის დროს, გადაწყვიტა, ხვალვე წასულიყო. მტანჯველი, დედობრივი მზრუნველობა, რასაც ასე სიძულვილით იგონებდა გზაში, ახლა, უბავშვებოდ გატარებული ერთი დღის შემდეგ, სულ სხვანაირად წარმოუდგა და უკვე ენატრებოდა კიდეც.

და დარია ალექსანდროვნამ დიდი შვება იგრძნო, როცა საღამოს ჩაისა და ნავით სეირნობის შემდეგ მარტო შევიდა თავის ოთახში, კაბა გაიხადა და თხელი თმა დაივარცხნა.

ახლა იმის ფიქრიც აღარ სიამოვნებდა, რომ მალე ანა შემოვიდოდა. უნდოდა მარტო დარჩენილიყო თავის

ფიქრებთან.

XXIII

დოლი უკვე დაწოლას აპირებდა, როცა მასთან ანა შემოვიდა საღამური კოსტიუმით.

მთელი ამ დღის განმავლობაში ანამ რამდენჯერმე წამოიწყო ლაპარაკი თავის გულითად ამბებზე, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი რამდენიმე სიტყვას იტყოდა, მაშინვე ისევ ჩუმდებოდა: „შემდეგ, მარტონი რომ ვიქნებით, მაშინ ვილაპარაკოთ. მე იმდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი“, – ეუბნებოდა იგი.

ახლა ისინი მარტონი იყვნენ და ანამ არ იცოდა, რაზე დაეწყო ლაპარაკი. იგი ფანჯარასთან იჯდა, დოლის შესცქეროდა და იგონებდა თავისი გულითადი საუბრების თითქოსდა დაუშრეტელ მარაგს, მაგრამ ვეღარაფერს პოულობდა. ამ წუთში ანას ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო.

– კიტი როგორ არის? – თქვა ანამ, ღრმად ამოიოხრა და დამნაშავესავით შეხედა დოლის, – მართალი მითხარი, დოლი, ხომ არ მიწყრება?

– გიწყრება? არა, – ღიმილით უთხრა დარია ალექსანდროვნამ.

– ალბათ, ვძულვარ, ვეზიზღები?

– ო, არა! მაგრამ ხომ იცი, ასეთ რამეს ვერასოდეს აპატიებ.

– ჰო, ჰო, – თქვა ანამ და თვალი აარიდა დოლის, ღია ფანჯარაში გაიხედა, – მაგრამ მე არ ვყოფილვარ დამნაშავე, განა შეიძლებოდა, სხვაგვარად? აბა, შენ როგორ ფიქრობ? განა შეიძლებოდა, შენ სტივას ცოლი არ ყოფილიყავი?

– მართალი გითხრა, არ ვიცი. შენ ის მითხარი...

– ჰო, ჰო, მაგრამ ჩვენ ჯერ კიტიზე ლაპარაკი არ გაგვითავებია, ბედნიერია თუ არა კიტი? ამბობენ, ლევინი შესანიშნავი ადამიანიაო.

– შესანიშნავი? ეს კიდევ ცოტაა! მე არ ვიცნობ მასზე უკეთეს ადამიანს!

– ოჰ, როგორ მიხარია! ძალიან მიხარია! შესანიშნავი, ეს კიდევ ცოტაა! – გაიმეორა ანამ.

დოლიმ გაიღიმა.

– ახლა შენზე ვილაპარაკოთ. მე შენთვის ბევრი რამ მაქვს სათქმელი. მე ველაპარაკე... – დოლიმ არ იცოდა, რანაირად მოეხსენიებინა ვრონსკი. ეუხერხულებოდა ეთქვა გრაფი ან ალექსეი კირილიჩი.

– ალექსეის, – შეაშველა ანამ, – ვიცი, რომ თქვენ ილაპარაკეთ. მაგრამ მე მინდოდა პირდაპირ მეკითხა შენთვის, რას ფიქრობ ჩემზე, ჩემს ცხოვრებაზე?

– ასე უცებ როგორ გითხრა? მართლაც არ ვიცი, რა გითხრა!

– არა, მაინც მითხარი... ხომ ხედავ ჩემს ცხოვრებას. მაგრამ არ დაივიწყო, რომ შენ გვნახე ზაფხულში, როცა შენ ჩამოხვედი და ჩვენც მარტონი არა ვართ... მაგრამ ჩვენ ადრე გაზაფხულზე ჩამოვედით აქ. სრულიად მარტონი ვცხოვრობდით, შემდეგშიც ასე განმარტოებით ვიცხოვრებთ და ამაზე უკეთესს არც არაფერს ვინატრებ. მაგრამ შენ წარმოიდგინე ჩემი აქ ყოფნა მარტო, უიმისოდ და ეს ასე იქნება... ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ხშირად განმეორდება, რომ ის ნახევარჯერ შინ არ იქნება, – თქვა ანამ, ფეხზე წამოდგა და დოლისთან ახლოს გადაჯდა.

– რა თქმა უნდა, – შეაწყვეტინა მან დოლის, რომელსაც უნდოდა რაღაც ეთქვა, – რა თქმა უნდა, ძალად ვერ დავაკავებ და არც ვაკავებ. ახლა მალე დოღი იქნება, მისი ცხენებიც მონაწილეობენ და ისიც წავა. ძალიან მოხარული ვარ. მაგრამ, აბა, იფიქრე ჩემზე, წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა... მაგრამ არ ღირს ამაზე ლაპარაკი! – ანამ გაიღიმა, – მაშ რაზე გელაპარაკა ალექსეი?

– ალექსეიმ ის მითხრა, რაც მე თვითონაც მინდოდა მეთქვა შენთვის, ამიტომაც ჩემთვის იოლია მისი ვექილობა; მან მითხრა, რომ ხომ არ არის შესაძლებელი, ხომ არ შეიძლება... – დარია ალექსანდროვნას ენა დაება, – გამოსწორდეს, გაუმჯობესდეს შენი მდგომარეობა... შენ იცი, როგორ ვუყურებ მე ამას, მაგრამ მაინც, თუ შესაძლებელია, უნდა გათხოვდე...

– ესე იგი განქორწინება? – თქვა ანამ, – შენ იცი, რომ ერთადერთი ქალი, რომელმაც მინახულა პეტერბურგში, ბეტსი ტვერსკაია იყო. ხომ იცნობ მას? Au fond c’est la femme la plus depravée qui existe.[76] იგი ტუშკევიჩის საყვარელი იყო და საძაგლად ატყუებდა ქმარს. და მან მითხრა, არც მინდა გიცნობდე, სანამ არ გამოსწორდება შენი მდგომარეობაო. არ იფიქრო, მას შეგადარე... მე გიცნობ შენ, ჩემო კარგო, მაგრამ უნებურად გამახსენდა ეს... მაშ, რა გითხრა ალექსეიმ? – გაიმეორა ანამ.

– მითხრა, რომ იტანჯება შენ გამო და თავის გამოც. შეიძლება თქვა, ეს ეგოიზმიაო, მაგრამ კანონიერი და კეთილშობილური ეგოიზმია! პირველ ყოვლისა, მას უნდა კანონიერი იყოს მისი შვილი და იყოს შენი კანონიერი ქმარი. უფლება ჰქონდეს შენზე.

– რომელი მონა ცოლი შეიძლება იყოს იმ ზომამდე მონა, როგორიც მე ვარ ჩემი მდგომარეობის გამო? – ნაღვლიანად უთხრა ანამ.

– მთავარი, რაც მას სურს... ის არის, რომ შენ არ იტანჯებოდე.

– ეს შეუძლებელია! შემდეგ?

– შემდეგ, რაც ყველაზე მთავარია, უნდა, რომ თქვენს შვილებს გვარი ჰქონდეთ.

– რომელ შვილებს? – თქვა ანამ და თვალები მოჭუტა, ისე, რომ დოლისთვის არც შეუხედავს.

– ანის და სხვებს...

– ამ მხრივ შეუძლია დამშვიდებული იყოს, მე შვილები აღარ მეყოლება.

– როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ აღარ გეყოლება?..

– არ მეყოლება იმიტომ, რომ არ მინდა.

და მიუხედავად მთელი თავისი მღელვარებისა, ანას გაეღიმა, როცა დოლის სახეზე გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობა, გაოცება და შეძრწუნება ამოიკითხა.

– ექიმმა მითხრა, ჩემი ავადმყოფობის შემდეგ...

.....

– შეუძლებელია! – თქვა დოლიმ და თვალები გაუფართოვდა. დოლისთვის ეს იყო ერთ-ერთი იმ აღმოჩენათაგანი, რომლის შედეგები და დასკვნები იმდენად უზარმაზარია, რომ პირველ წუთებში მხოლოდ ერთს გრძნობ – ყველაფრის მოსაზრება შეუძლებელია და ამაზე კიდევ ბევრი და ბევრი უნდა იფიქრო.

ამ აღმოჩენამ უცებ აუხსნა, გასაგები გახადა მისთვის აქამდე გაუგებარი ოჯახები, სადაც თითო ან ორი ბავშვი ჰყავდათ, და ამან იმდენი ფიქრი, იმდენი მოსაზრება და საწინააღმდეგო გრძნობები აღუძრა, რომ ვეღარაფრის თქმა ვეღარ შეძლო და გაოცებული, თვალებგაფართოებული მისჩერებოდა ანას. ეს სწორედ ის იყო, რაზედაც დღეს გზაზე ოცნებობდა, მაგრამ ახლა, როცა გაიგო, ეს შესაძლებელი ყოფილაო, ამ ამბავმა შეაძრწუნა. დოლი გრძნობდა, რომ ეს მეტისმეტად მარტივი გადაწყვეტა იყო მეტისმეტად რთული საკითხისა.

– N’est ce pas immoral?[77] – მხოლოდ ესღა თქვა მან რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ.

– რატომ? აბა, დაფიქრდი, ორიდან ერთი უნდა ამოვირჩიო: ან ფეხმძიმედ, ესე იგი ავად უნდა ვიყო, ანდა მეგობარი, ამხანაგი უნდა ვიყო ჩემი ქმრისა, სულერთია, მაინც ქმრისა, – განზრახ ზერელედ და არასერიოზულად მიუგო ანამ.

– ჰო, მართალია, მართალი, – ეუბნებოდა დარია ალექსანდროვნა, როცა იმ არგუმენტებს ისმენდა, რომელთაც ადრე თვითონაც იმოწმებდა, მაგრამ ამ არგუმენტებში უკვე ვეღარ ნახულობდა წინანდელ დამაჯერებლობას.

– შენთვის, სხვებისთვის, – ეუბნებოდა ანა, რომელიც თითქოს ხვდებოდა მის ფიქრს, – კიდევ შეიძლება იყოს საეჭვო. მაგრამ ჩემთვის... შენ ხომ გესმის, რომ მე ცოლი არა ვარ; მას ვუყვარვარ მანამდე, სანამ შეუძლია ჩემი სიყვარული... მე რით შემიძლია მისი სიყვარულის შენარჩუნება? განა ამით?

და ანამ წინ გამოიშვირა თავისი თეთრი ხელები.

დარია ალექსანდროვნას გონებაში არაჩვეულებრივი სისწრაფით ირეოდა აზრები და მოგონებები, ისე, როგორც ხდება ხოლმე აღელვების წუთებში. „მე – ფიქრობდა დოლი, – ვერ მივიზიდე სტივა; და იგი სხვებთან წავიდა, მაგრამ იმ

პირველმაც, ვისი გულისთვისაც მიღალატა, ვერ დააკავა მარტოოდენ იმით, რომ ყოველთვის ლამაზი და მხიარული იყო. და მან ისიც მიატოვა და სხვა შეიყვარა. და ნუთუ ანა ამით მიიზიდავს და შეინარჩუნებს გრაფ ვრონსკის? თუ ვრონსკი ამას დაუწყებს ძებნას, მას შეუძლია უფრო მიმზიდველი, უფრო მხიარული მორთულობა და მანერები მონახოს. და რაც უნდა ლამაზი იყოს მისი სავსე სხეული, მისი ანთებული სახე და შავი თმა, მას შეუძლია უკეთესი მოძებნოს, როგორც ეძებს და პოულობს კიდეც ჩემი საძაგელი, საცოდავი და საყვარელი ქმარი“.

დოლიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ამოიოხრა. ანას არ გამოჰპარვია ეს ოხვრა, რაც გამომხატველი იყო იმისა, რომ დოლი არ ეთანხმებოდა, და ისევ განაგრძო. მას კიდევ ჰქონდა ისეთი ძლიერი არგუმენტები, რომელთა საწინააღმდეგოდაც უკვე აღარაფრის თქმა აღარ შეიძლებოდა. – შენ ამბობ, რომ ეს არ არის კარგი? მაგრამ ხომ უნდა განსაჯო, – განაგრძო ანამ, – შენ გავიწყდება ჩემი მდგომარეობა. აბა, როგორ შემიძლია ვისურვო შვილები? მე არაფერს ვამბობ ტანჯვაზე, მე ტანჯვისა არ მეშინია. მაგრამ, აბა, იფიქრე, ვინ იქნებიან ჩემი შვილები? უბედური ბავშვები, რომელთაც სხვისი გვარი უნდა ატარონ. დაბადებიდანვე ისეთ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებული, რომ უნდა რცხვენოდეთ დედისა, მამისა და თავისი დაბადებისა.

– ჰოდა, სწორედ ამისთვის არის საჭირო განქორწინება.

მაგრამ ანა ყურს არ უგდებდა დოლის. მას უნდოდა ჩამოეთვალა ყველა ის მოსაზრება, რითაც ბევრჯერ დაურწმუნებია საკუთარი თავი.

– რისთვის მაქვს ეს გონება, თუკი იმისთვისაც არ მოვიხმარ, რომ არ გავაჩინო ამქვეყნად უბედური ბავშვები?

ანამ დოლის გადახედა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა და ისევ განაგრძო: – მე ხომ ყოველთვის დამნაშავედ ვიგრძნობდი თავს იმ უბედური ბავშვების წინაშე, – თქვა მან, – თუ ისინი არ არსებობენ, ყოველ შემთხვევაში, უბედური მაინც აღარ იქნებიან. მაგრამ თუ ისინი უბედურები იქნებიან, ამაში მხოლოდ მე ვიქნები დამნაშავე.

ეს სწორედ ის მოსაზრებები იყო, რასაც დარია ალექსანდროვნაც ფიქრობდა, ახლა კი ყურს უგდებდა და ვერ გაეგო ეს. „როგორ

შეიძლება დამნაშავე იყო იმ არსების წინაშე, რომელიც ჯერ არ არსებობს?“ – ფიქრობდა იგი. და უცებ გონებაში გაუელვა ერთმა აზრმა: შეიძლებოდა თუ არა, რომელიმე შემთხვევაში, მისი საყვარელი შვილისთვის – გრიშასთვის უკეთესი ყოფილიყო არასოდეს გაჩენილიყო ამქვეყნად? და ეს იმდენად წარმოუდგენლად, იმდენად უცნაურად ეჩვენა, რომ თავი გააქნია, რათა გაეფანტა თავში მორიალე სულელური აზრები.

– არა, არ ვიცი, ეს არ არის კარგი, – მხოლოდ ესღა თქვა და სახეზე ზიზღი გამოეხატა.

– მართალია, მაგრამ არ დაივიწყო, ვინა ხარ შენ და ვინა ვარ მე... და გარდა ამისა, – დასძინა ანამ ისე, თითქოს მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრებანი დოლის მოსაზრებებზე უფრო მდიდარი იყო, მაინც დარწმუნდა, რომ ეს ცუდი იყო, – არ დაივიწყო მთავარი – მე ახლა არა ვარ ისეთ მდგომარეობაში, როგორც შენ. შენთვის ასე დგას საკითხი: გსურს თუ არა გყავდეს კიდევ შვილები, ჩემთვის კი: მსურს თუ არა საერთოდ მყავდეს შვილები. ეს დიდი განსხვავებაა. შენ ხომ გესმის, რომ ჩემს მდგომარეობაში არ შეიძლება მქონდეს ამგვარი სურვილი.

დარია ალექსანდროვნას აღარაფერი უთქვამს. იგრძნო, რომ ანა შორს დგას მისგან და მათ შორის უკვე არსებობს საკითხები, რაშიც ვერასოდეს შეთანხმდებიან და უმჯობესია, არც არაფერი თქვან ამაზე.

XXIV

– მაშ, მით უფრო უნდა იზრუნო შენი მდგომარეობის გამოსწორებაზე, თუკი შესაძლებელია, – უთხრა დოლიმ.

– დიახ, თუ შესაძლებელია, – თქვა ანამ მოულოდნელად სულ სხვა ჩუმი და სევდიანი ხმით.

– განა განქორწინება შეუძლებელია? მე მითხრეს, რომ შენი ქმარი თანახმაა.

– დოლი, მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი!

– მაშ, ნუ ვილაპარაკებთ! – საჩქაროდ დასძინა დოლიმ, რაკი ანას სახეზე ტანჯვა ამოიკითხა, – მხოლოდ მე ვამჩნევ, რომ შენ მეტისმეტად სევდიანი ხარ.

– მე? სულაც არა. მე ძალიან მხიარული და კმაყოფილი ვარ. შენ შეამჩნიე, je fais des passions.[78] ვესლოვსკი...

– ჰო, მართალი გითხრა, არ მომწონს ვესლოვსკის ტონი, – უთხრა დარია ალექსანდროვნამ, რომ საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა.

– ოჰ, სულაც არა! ეს მხოლოდ აღიზიანებს ალექსეის და მეტი არაფერი; იგი პატარა ბიჭია და მთლად ჩემს ხელთ არის; გესმის, როგორც მინდა, ისე ვატრიალებ. ის იგივეა, რაც შენი გრიშა... დოლი! – უცებ შეცვალა ანამ საუბარი, – შენ ამბობ, რომ მე სევდიანი ვარ. შენ არ შეგიძლია ამის გაგება. ეს შემზარავია. მე მინდა, სულ არ ვიფიქრო ამაზე.

– მაგრამ, მე მგონი, საჭიროა. უნდა გააკეთო ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია.

– მაგრამ რა არის შესაძლებელი? არაფერი. შენ მეუბნები, რომ ცოლად უნდა გავყვე ალექსეის და მე არ ვფიქრობ ამაზე? მე არ ვფიქრობ ამაზე? – გაიმეორა მან და გაწითლდა. ანა წამოდგა, წელში გაიმართა, ღრმად ამოიოხრა და მსუბუქი ნაბიჯით ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, მხოლოდ ხანდახან შეჩერდებოდა ხოლმე, – მე არ ვფიქრობ? არ არის არც ერთი დღე, არც ერთი საათი, რომ არ ვფიქრობდე, და არ ვსაყვედურობდე ჩემს თავს, რომ ამაზე ვფიქრობ... იმიტომ, რომ ამაზე ფიქრმა შეიძლება ჭკუაზე შემშალოს. ჭკუაზე შემშალოს, – გაიმეორა ანამ, – როცა ამაზე ვფიქრობ, უმორფოდ აღარ შემიძლია ძილი. მაგრამ კარგი. დამშვიდებით ვილაპარაკოთ. მეუბნებიან, განქორწინებაო. ჯერ ერთი, ის არ დამთანხმდება განქორწინებაზე. ის ახლა გრაფინია ლიდია ივანოვნას გავლენაშია მოქცეული.

დარია ალექსანდროვნა წელში გამართული იჯდა სკამზე და ტანჯული, თანაგრძნობის გამომხატველი თვალით შეჰყურებდა ანას, რომელიც ოთახში მიმოდიოდა.

– უნდა სცადო, – ჩუმი ხმით თქვა დოლიმ.

– ვთქვათ, ვცადე. რას ნიშნავს ეს? – თქვა მან, ალბათ, უკვე

ათასჯერ ნაფიქრი, ზეპირად დასწავლილი აზრი, – ეს იმას ნიშნავს, რომ მე, რომელსაც მეზიზღება იგი, დამნაშავედ ვაღიარო თავი, დიდსულოვნად მივიჩნიო იგი და თავი დავიმცირო მის წინაშე, წერილი მივწერო... მაგრამ, ვთქვათ, ძალა დავატანე თავს და გავაკეთე ეს. მე ან შეურაცხმყოფელ პასუხს მივიღებ ან თანხმობას: ვთქვათ, თანხმობა მივიღე... – ამას რომ ამბობდა ანა, ოთახის ბოლოს იდგა და იქ გაჩერდა, გაასწორა ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდა, – მე მივიღე თანხმობა, მაგრამ შვი... შვილი? ის ხომ არ დამითმობს შვილს? იგი ისე გაიზრდება, რომ ვეძულები მე, გაიზრდება მამასთან, რომელიც მივატოვე. შენ გესმის, რომ მე თითქმის ერთნაირად, მაგრამ საკუთარ თავზე უფრო ძლიერ მიყვარს ორი არსება – სერიოჟა და ალექსეი.

ანა ოთახის შუაგულისკენ წამოვიდა, დოლის წინ გაჩერდა და ხელები მკერდთან მიიტანა. თეთრ პენუარში მისი ტანი განსაკუთრებით დიდი და განიერი მოჩანდა. იგი თავჩაღუნული იდგა და გაბრწყინებული, წყლიანი თვალებით უყურებდა პატარა, მღელვარებისაგან აკანკალებულ, გამხდარ დოლის, რომელიც საცოდავად გამოიყურებოდა თავისი ძველი კოფთით და ღამის თავსაბურავით.

– მე მხოლოდ ეს ორი არსება მიყვარს და ერთი გამორიცხავს მეორეს. არ შემიძლია მათი შეერთება, ჩემთვის კი მხოლოდ ეს არის საჭირო, თუ ეს არ იქნება, მაშინ ყველაფერი სულერთია ჩემთვის. სულ, სულერთია. და როგორმე დასრულდება ყველაფერი. ამიტომაც არ შემიძლია, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი. ასე რომ, ნურაფერს მისაყვედურებ, ნურაფერში დამადანაშაულებ. შენ მთელი შენი სიწმინდით არ შეგიძლია გაიგო ყოველივე ის, რისთვისაც მე ვიტანჯები.

ანა დოლისთან მივიდა, გვერდით მიუჯდა, დამნაშავესავით ჩახედა თვალებში და ხელი მოჰკიდა ხელზე.

– რას ფიქრობ? რას ფიქრობ ჩემზე? ნუ შემიძულებ. მე არ დამიმსახურებია სიძულვილი, მე სწორედ რომ უბედური ვარ. თუკი ვინმეა უბედური, მე ვარ, – თქვა ანამ, სახე მოარიდა დოლის და ატირდა.

მარტო დარჩენილმა დოლიმ ილოცა და შემდეგ ლოგინში ჩაწვა. მას მთელი გულითა და სულით ებრალებოდა ანა იმ წუთებში, როცა ელაპარაკებოდა, ახლა კი აღარ შეეძლო ანაზე ფიქრი. მას

გაახსენდა სახლი, ბავშვები, რომელნიც სრულიად ახალი სიმშვენიერით გაბრწყინებულნი წარმოუდგნენ თვალწინ. ახლა ეს თავისი სამყარო იმდენად ძვირფასი და საყვარელი აღმოჩნდა მისთვის, რომ დაენანა, თუნდაც ერთი დღე უამისოდ გაეტარებინა და გადაწყვიტა, ხვალ აუცილებლად დაბრუნებულიყო შინ.

თავის კაბინეტში დაბრუნებულმა ანამ კი ჭიქა აიღო და ჩააწვეთა შიგ რამდენიმე წვეთი წამალი, რომელშიც დიდი რაოდენობით შედიოდა მორფი, დალია, რამდენიმე ხანს გაუნძრევლად იჯდა, შემდეგ კი დამშვიდებული და გამხიარულებული საწოლ ოთახში გავიდა.

როცა ანა საწოლ ოთახში შევიდა, ვრონსკიმ დაკვირვებით შეხედა სახეში, – იგი ეძებდა იმ საუბრის შედეგს, რომელიც იცოდა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მათ შორის, რაკი ანა ამდენ ხანს შეყოვნდა დოლის ოთახში, მაგრამ მის აღტაცებულ, თავშეკავებულ გამომეტყველებაში, რომელიც რაღაცას მალავდა მისგან, ვერაფერს ხედავდა, გარდა ჩვეული სილამაზისა, რომელიც მაინც ატყვევებდა მას. ხედავდა, რომ ანასაც შეგნებული ჰქონდა თავისი სილამაზე და სურვილი ჰქონდა, ამ სილამაზეს კვლავ გავლენა ჰქონოდა მასზე. ვრონსკის არ უნდოდა ეკითხა, რა ელაპარაკა დოლიმ, იმედი ჰქონდა, თვით ანა ეტყოდა რამეს, მაგრამ ანამ მხოლოდ ეს უთხრა: – მე მოხარული ვარ, რომ შენ მოგეწონა დოლი. ხომ მართლა მოგეწონა?

– მე ხომ დიდი ხანია ვიცნობ მას. იგი ძალიან კეთილია, mais excessivement terre-à-terre.[79] მაგრამ მე მაინც დიდად მესიამოვნა მისი ჩამოსვლა.

ვრონსკიმ ხელი მოჰკიდა ანას ხელს და კითხვის გამომხატველი თვალით ჩააცქერდა სახეში.

ანამ კი სულ სხვაგვარად გაიგო ეს და გაუღიმა.

მეორე დღეს დილით, მიუხედავად მასპინძლების დიდი თხოვნისა, დარია ალექსანდროვნა მაინც გაემზადა სამგზავროდ. ლევინის მეეტლე თავისი ძველი ხიფთანითა და ქუდით, ფრთებდამტვრეული ეტლით, რომელშიც სხვადასხვანაირი ცხენები ება, მოღუშული მიადგა ქვიშით მოფენილ, დახურულ სადარბაზო კარს.

თავადის ასულ ვარვარასა და მამაკაცებთან გამომშვიდობება სასიამოვნო არ იყო დარია ალექსანდროვნასთვის. ერთი დღით ერთად ყოფნის შემდეგ თვით დოლიმაც და მასპინძლებმაც გარკვევით დაინახეს, რომ ისინი შესაფერნი არ იყვნენ ერთმანეთისა და უმჯობესი იყო არც შეხვედროდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ანა იყო მოწყენილი. მან იცოდა, რომ დოლის წასვლის შემდეგ მის სულში აღარავინ შეარხევდა ამ შეხვედრით გაღვიძებულ გრძნობებს. მისთვის მტკივნეული იყო ამ გრძნობების გაღვიძება, მაგრამ იცოდა, რომ ეს მისი სულის საუკეთესო ნაწილი იყო და ეს ნაწილი მისი სულისა სწრაფად იფარებოდა მისი ამჟამინდელი ცხოვრებით.

გზაზე გავიდნენ თუ არა, დარია ალექსანდროვნამ სასიამოვნო შვება იგრძნო და უნდოდა მსახურთათვისაც ეკითხა, როგორ მოგეწონათო ვრონსკისთან ყოფნა, რომ უცებ თვით ფილიპმა წამოიწყო ამაზე საუბარი.

– მდიდრები კი არიან, მაგრამ ცხენებს ქერი სამ საწყაოზე მეტი არ მისცეს. მამლის ყივილამდე სულ ერთიანად მოასუფთავეს. სამი საწყაო რა არის? ყბის ერთი მოქნევაღაა. ახლა ქერი ორმოცდახუთი კაპიკი ღირს. ჩვენთან კი ჩამოსულების ცხენებს იმდენს აძლევენ, რამდენსაც მოერევიან.

– ძუნწი ბატონია, – დაუდასტურა კანტორის მუშაკმაც.

– იმათი ცხენები არ მოგეწონა? – ჰკითხა დოლიმ.

– ცხენები კარგი ჰყავთ, საკვებიც კარგია, მაგრამ რაღაც მოსაწყენი მეჩვენა, დარია ალექსანდროვნა, არ ვიცი, თქვენ როგორ მოგეწონათ, – უთხრა მან და თავისი კეთილი, ლამაზი სახე დარია ალექსანდროვნასაკენ მიაბრუნა.

– მეც არ მომეწონა. როგორ გგონია, საღამომდე ჩავალთ?

– უნდა ჩავიდეთ.

შინ დაბრუნებული დარია ალექსანდროვნა, რომელსაც მშვიდობით დაუხვდნენ ყველანი, და განსაკუთრებით საყვარელი ეჩვენა ყველა, დიდი ხალისით ჰყვებოდა თავისი მგზავრობის ამბავს, რა კარგად მიიღეს, როგორი ფუფუნებითა და გემოვნებით ცხოვრობენ ვრონსკები და როგორ მხიარულად ატარებენ დროს. და არავის ხმას არ აღებინებდა მათ წინააღმდეგ.

– უნდა იცნობდე ანასა და ვრონსკის, – მე ახლა იგი უკეთ გავიცანი, – რომ გაიგო, რამდენად კარგები და მგრძნობიარენი არიან, – ახლა სრულიად გულწრფელად ამბობდა დოლი და სულ აღარ ახსოვდა იქ განცდილი უკმაყოფილებისა და უხერხულობის გაურკვეველი გრძნობა.

XXV

ვრონსკიმ და ანამ კვლავ იმავე პირობებში გაატარეს სოფლად მთელი ზაფხული და ნაწილი შემოდგომისა, ისე, რომ არავითარი ზომები არ მიუღიათ განქორწინებისთვის. მათ შორის უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ არსად არ უნდა წასულიყვნენ; მაგრამ რაც უფრო მეტხანს ცხოვრობდნენ განმარტოებით, განსაკუთრებით კი შემოდგომით, როცა სტუმრები აღარ ჰყავდათ, მით უფრო ნათელი ხდებოდა ორივესთვის, რომ ვერ აიტანდნენ ამგვარ ცხოვრებას და საჭირო გახდებოდა მისი შეცვლა.

ცხოვრება თითქოს ისეთი ჰქონდათ, რომ უკეთესს ვეღარც ინატრებდნენ, არაფერი აკლდათ, ჯანმრთელად იყვნენ, ჰყავდათ ბავშვი და ორივეს თავისი საქმე ჰქონდა. ანა უსტუმრებოდაც დიდ ყურადღებას აქცევდა თავს. ძალიან ბევრს კითხულობდა რომანებსაც და სერიოზულ წიგნებსაც, რომლებიც კი მოდური იყვნენ. იწერდა ყველა იმ წიგნს, რომლებსაც ქებით იხსენიებდნენ მის მიერ მიღებულ საზღვარგარეთულ ჟურნალ-გაზეთებში და ისეთი გატაცებით კითხულობდა, როგორც მხოლოდ განმარტოების დროს კითხულობენ. გარდა ამისა, ყველაფერს, რაც კი ვრონსკის აინტერესებდა, ანა წიგნებითა და სპეციალური ჟურნალებით სწავლობდა, ისე, რომ ვრონსკი ხშირად მიმართავდა ანას აგრონომიული, არქიტექტურული და ზოგჯერ ცხენების მოშენებისა ან სპორტული საკითხების შესახებაც. ვრონსკის აოცებდა ანას ცოდნა, მეხსიერება, პირველად ეჭვიც ეპარებოდა ხოლმე და დადასტურებას მოითხოვდა და ანაც პოულობდა წიგნში იმ ადგილს, რის შესახებაც ეკითხებოდა იგი და უჩვენებდა.

ანა საავადმყოფოს მოწყობითაც იყო დაინტერესებული. იგი არათუ ეხმარებოდა, არამედ ბევრ რამეს თვითონვე აწყობდა და იგონებდა. მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი მაინც საკუთარი თავი იყო, თუ რამდენად ძვირფასი იყო იგი ვრონსკისთვის, რამდენად შეეძლო გაეწია ყოველივე იმის მაგივრობა, რაც ვრონსკიმ მისი გულისთვის მიატოვა. ვრონსკი აფასებდა ამას, რომ იგი შეიქმნა ანას სიცოცხლის ერთადერთი მიზანი, რომ ანას სურვილი ჰქონდა, არა მარტო მოსწონებოდა, არამედ სამსახურიც გაეწია მისთვის, მაგრამ ამასთან ერთად, აწამებდა ის სიყვარულის ქსელი, რომელშიც ანა მის გახვევას ცდილობდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, გრძნობდა, რომ უფრო და უფრო მეტად ეხვეოდა ამ ქსელში და მით უფრო დიდი სურვილი ჰქონდა, კი არ დაეღწია თავი ამ ქსელისგან, არამედ მოესინჯა, ხელს ხომ არ უშლიდა ეს მის თავისუფლებას. ვრონსკი სავსებით კმაყოფილი იქნებოდა თავისი ცხოვრებით, რომ არ ჰქონოდა სურვილი თავისუფლებისა, რომელიც უფრო და უფრო უძლიერდებოდა, რომ ანას არ გაემართა მისთვის სცენები ყოველთვის, როცა კი ქალაქში წასვლას დააპირებდა ყრილობაზე ან დოღზე. მის მიერ არჩეული როლი, როლი მდიდარი მიწათმფლობელისა, რომელიც მომავალში უნდა გამხდარიყო რუსეთის არისტოკრატიის ბირთვი, არათუ სავსებით მოსწონდა, არამედ ახლა, ექვსი თვის განმავლობაში სოფლად ცხოვრების შემდეგ, სულ უფრო და უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მისი საქმეებიც, რომლებიც სულ უფრო მეტად აინტერესებდა და იზიდავდა, მშვენივრად მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ფული იხარჯებოდა საავადმყოფოს მშენებლობაზე, მანქანებზე, შვეიცარიიდან გამოწერილ ძროხებსა და ბევრ სხვა რამეზე, ვრონსკი მაინც დარწმუნებული იყო, რომ ამით თავის ქონებას კი არ ფლანგავდა, არამედ უფრო და უფრო ზრდიდა. იქ, სადაც საქმე ეხებოდა შემოსავალს, ხეტყის, პურისა და მატყლის გაყიდვას, ბინების გაცემას, ვრონსკი კაჟივით მაგარი იყო და ფასს არ უკლებდა. დიდ სამეურნეო საქმეებში აქაც და სხვა მამულებშიც, ვრონსკი იმ სრულიად უბრალო ხერხებს მიმართავდა, სადაც საჭირო არ იყო რისკი და უაღრესად მომჭირნე და ანგარიშიანი იყო მეურნეობის ყოველ წვრილმანში. მიუხედავად გერმანელი მოურავის ეშმაკობისა და მოხერხებულობისა, რომელიც ცდილობდა ჩაეთრია ვრონსკი ყიდვა-გაყიდვის საქმეში და ისე უდგენდა ანგარიშს, რომ პირველად უფრო მეტი იყო საჭირო, მერე კი მოფიქრების

შემდეგ იგივე შეიძლება იაფადაც გამოსულიყო და სარგებელიც მაშინვე მიეცა, მაინც ვერ ჩაითრია. იგი მოუსმენდა მოურავს, გამოჰკითხავდა და მხოლოდ მაშინ ეთანხმებოდა, თუ გამოსაწერი ან მოსაწყობი იყო სრულიად ახალი, რუსეთისთვის ჯერ სავსებით უცნობი რამ, რასაც შეეძლო განცვიფრება გამოეწვია. გარდა ამისა, დიდ გასავალს იგი მხოლოდ მაშინ გადაწყვეტდა, როცა ზედმეტი ფული ჰქონდა. და თუ გაიღებდა ამ თანხას, ყოველგვარ წვრილმანს უკვირდებოდა და მოითხოვდა, რომ ამ ფულით შეძენილი ყველაზე საუკეთესო ყოფილიყო. ასე რომ, მისი საქმიანობიდან ნათლად ჩანდა, – მას კი არ გაუნიავებია თავისი ქონება, არამედ გაუზრდია კიდეც.

ოქტომბერში კაშინის გუბერნიაში, სადაც შედიოდა ვრონსკის, სვიაჟსკის, კოზნიშევის, ობლონსკის მამულები და მცირე ნაწილი ლევინის მამულებისა, დანიშნული იყო სათავადაზნაურო არჩევნები.

ეს არჩევნები მრავალი გარემოებისა და იმ პირთა გამო, რომელნიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, საზოგადოებრივ ყურადღებას იმსახურებდა. ამ არჩევნებზე ბევრს ლაპარაკობდნენ და დიდი სამზადისიც იყო. არჩევნებზე ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, საზღვარგარეთიდან ისინი, წინათ რომ არასოდეს დასწრებიან არჩევნებს.

ვრონსკი დიდი ხნის წინ შეჰპირდა სვიაჟსკის, რომ მონაწილეობას მიიღებდა არჩევნებში.

არჩევნების წინ სვიაჟსკიმ, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ვოზდვიჟენსკოეში, ვრონსკის გამოუარა.

ჯერ კიდევ წინადღეს ვრონსკისა და ანას ჩხუბი მოუვიდათ ამ ნავარაუდევი წასვლის გამო. სოფლად ყველაზე მძიმე და მოსაწყენი შემოდგომის დღეები იდგა და ამიტომაც საბრძოლველად გამზადებულმა ვრონსკიმ მკაცრად, ცივი გამომეტყველებით განუცხადა, რომ წასვლას აპირებდა. ადრე ასე არასოდეს ულაპარაკია ანასთან. მაგრამ, მისდა განსაცვიფრებლად, ანამ სრულიად დამშვიდებით მიიღო ეს. მხოლოდ ის ჰკითხა, როდის დაბრუნდებიო. ვრონსკიმ დაკვირვებით შეხედა ანას, ვერ გაეგო, რა იყო ამ სიმშვიდის მიზეზი. ანას გაეღიმა. ვრონსკი იცნობდა ანას ამ თავის თავში ჩაკეტვის უნარს და იცოდა, ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა

გულში რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა და არ უნდოდა გამჟღავნება. ვრონსკის ეშინოდა ამისა. მაგრამ იმდენად უნდოდა თავი აერიდებინა ამ სცენებისთვის, რომ არ შეიმჩნია და ნაწილობრივ გულწრფელადაც დაიჯერა ის, რისი დაჯერებაც ეწადა – ანას კეთილგონიერება.

– იმედი მაქვს, არ მოიწყენ?

– იმედი მაქვს, – უპასუხა ანამ, – გუშინ წიგნებით სავსე ყუთი მივიღე გოტიესაგან. არა, არ მომწყინდება.

„თვითონვე აირჩია ასეთი ტონი. მით უკეთესი, – გაიფიქრა ვრონსკიმ, – თორემ სულ ერთი და იგივე!“

ვრონსკი ისე წავიდა არჩევნებზე, რომ გულახდილ საუბარში არ გამოუწვევია ანა. ეს პირველი შემთხვევა იყო მათი ერთად ყოფნის განმავლობაში: ვრონსკი ისე განშორდა ანას, რომ ბოლომდე არ ათქმევინა ყველაფერი. ერთი მხრივ, ეს აწუხებდა ვრონსკის, მეორე მხრივ კი ფიქრობდა, ასე უკეთესიაო. „პირველ ხანებში იქნება რაღაც გაურკვეველი, იდუმალებით მოცული, მერე კი მიეჩვევა. ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი შემიძლია დავუთმო მას, მაგრამ ჩემს მამაკაცურ თავისუფლებას ვერ დავთმობ“, – ფიქრობდა იგი.

XXVI

სექტემბერში ლევინი მოსკოვში გადავიდა, რადგან კიტის უნდა მოელოგინებინა. მას უკვე მთელი თვე უსაქმოდ ჰქონდა გატარებული მოსკოვში, როცა სერგეი ივანოვიჩი, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული მომავალი არჩევნებით და მამულებიც ჰქონდა კაშინის გუბერნიაში, არჩევნებზე წასასვლელად მოემზადა. მან შესთავაზა წასვლა ძმასაც, რომელსაც კენჭი უნდა ეყარა სელეზნიოვის ოლქიდან. გარდა ამისა, ლევინს კაშინში მეტად საჭირო საქმე ჰქონდა თავისი საზღვარგარეთ მცხოვრები დის გამოისობით, მეურვეობისა და გამოსასყიდი თანხის მიღების თაობაზე.

ლევინს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა წასვლა, მაგრამ კიტიმ,

რომელიც ხედავდა მის მოწყენილობას მოსკოვში, წასვლა ურჩია და ქმრის ჩუმად შეუკვეთა მისთვის ოთხმოც მანეთად ღირებული სათავადაზნაურო მუნდირი და მუნდირში გადახდილი ოთხმოცი მანეთი შეიქნა მთავარი მიზეზი ლევინის კაშინში გამგზავრებისა.

უკვე მეექვსე დღე იყო, ლევინი კაშინში იმყოფებოდა, ყოველდღე ესწრებოდა კრებებს და ცდილობდა მოეგვარებინა დის საქმე, რომელიც ვერაფრით მოაწესრიგა. წინამძღოლები, ყველანი, არჩევნებით იყვნენ დაკავებულნი და შეუძლებელი გახდა მოწესრიგება მეურვეობაზე დამყარებული ასეთი უბრალო საქმისა. მეორე საქმეს – ფულის მიღებასაც სწორედ ასევე ეღობებოდა დაბრკოლებანი. ბევრი წვალებისა და ყადაღის მოხსნის შემდეგ, ფული უკვე გამზადებული იყო გასაცემად; მაგრამ ნოტარიუსმა, მეტად თავაზიანმა კაცმა, ვერ შეძლო ტალონის გაცემა, რადგან საჭირო იყო ხელმოწერა წინამძღოლისა, რომელიც თვითონ სესიაზე იმყოფებოდა, საქმე კი არავისთვის არ გადაებარებინა. ამ წვალებამ, ადგილიდან ადგილზე სიარულმა, საუბარმა მეტისმეტად კეთილ, კარგ ადამიანებთან, რომელთათვისაც სავსებით გასაგები იყო მთხოვნელის უსიამო მდგომარეობა, მაგრამ არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლოთ, მთელმა ამ დაძაბულობამ, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მეტად მტანჯველი გრძნობა აღუძრა ლევინს, მსგავსი იმ უსიამოვნო უძლურებისა, რომელსაც განიცდის სიზმარში მყოფი ადამიანი, როცა მისთვის ფიზიკური ძალის ხმარებაა საჭირო. იგი ხშირად განიცდიდა ამას, როცა თავის ზედმიწევნით გულკეთილ რწმუნებულს ელაპარაკებოდა. ამ რწმუნებულმა თითქოს გააკეთა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, არ დაიშურა თავისი გონების ძალა, რათა ლევინი ამ გასაჭირიდან გამოეყვანა. „აი, ესეც სცადეთ, – არაერთხელ უთხრა მან ლევინს, – წადით აქა და აქ“ და მთელ გეგმებს გადაუშლიდა, რათა როგორმე შემოევლოთ იმ საბედისწერო საწყისისთვის, რომელიც ხელს უშლიდა ყველაფერს. მერე მაშინვე დაუმატა: „თუმცა მაინც არ მოგვცემენ, მაგრამ სცადეთ“. და ლევინიც ცდას არ აკლებდა, დადიოდა. ყველანი კეთილნი და თავაზიანი იყვნენ, მაგრამ ერთხელ შემოვლილი დაბრკოლება ბოლოს ისევ აღიმართებოდა და გზას უჭრიდა. განსაკუთრებით საწყენი ის იყო, რომ ლევინს ვერაფრით გაეგო, ვის ებრძოდა, ვინ ნახულობდა სარგებელს იმით, რომ მის საქმეს ბოლო არ

ეღებოდა. ეს, ეტყობა, არავინ იცოდა, არ იცოდა თვით რწმუნებულმაც. ეს რომ სცოდნოდა ისე, როგორც იცოდა, რომ რკინიგზის სალაროსთან შეუძლებელია მისვლა, თუ რიგში არ ჩადექი, მაშინ საწყენი და გულდასაწყვეტი აღარაფერი ექნებოდა; მაგრამ რისთვის იყო საჭირო ეს წინააღმდეგობანი, რომელიც მის საქმეს ეღობებოდა, ვერავინ აუხსნა.

მაგრამ ლევინი დიდად გამოიცვალა ცოლის შერთვის შემდეგ; მომთმენი გახდა და, მართალია, ვერ გაეგო, რისთვის იყო ასე ყოველივე მოწყობილი, გულში მაინც ამბობდა, რადგან არ ვიცი, არც შემიძლია განვსაჯოო, ალბათ, ასეა საჭიროო და ცდილობდა, არ აღშფოთებულიყო.

ახლა, როცა ესწრებოდა და მონაწილეობდა არჩევნებში, ასევე ცდილობდა არ განესაჯა, არ ეკამათა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაეგო საქმის არსი, რომელსაც ასეთი სერიოზულობითა და გატაცებით აკეთებდნენ მისგან პატივსაცემი, პატიოსანი და კარგი ადამიანები. ცოლის შერთვის შემდეგ ლევინი იმდენ ახალსა და სერიოზულს ჩასწვდა, რომელიც წინათ, საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო, უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, რომ ახლაც იმედი ჰქონდა და ელოდა, რომ არჩევნების საქმეშიც რაიმე სერიოზულსა და მნიშვნელოვანს აღმოაჩენდა.

სერგეი ივანოვიჩმა აუხსნა აზრი და მნიშვნელობა იმ გადატრიალებისა, რომელიც ნავარაუდევი იყო ამ არჩევნებით. გუბერნიის წინამძღოლი სნეტკოვი, რომლის ხელშიც იყო კანონით მთელი რიგი მნიშვნელოვანი საზოგადო საქმეები – მეურვეობაც (რის გამოც იტანჯებოდა ახლა ლევინი), თავადაზნაურთა დიდძალი თანხებიც, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებიც, სამხედრო გიმნაზიაც, ახალი კანონით სახალხო განათლებაც და ბოლოს ერობაც, – ძველი ყაიდის მემამულე იყო, რომელმაც აუარებელი ქონება გაანიავა, ისე კი თავისთავად კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ სრულიად არ გაეგებოდა ახალი დროის მოთხოვნილებანი. იგი ყველაფერში მხარს უჭერდა თავადაზნაურობას, წინააღმდეგობას უწევდა სახალხო განათლების გავრცელებას და ერობას კი, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, წოდებრივ ხასიათს აძლევდა. საჭირო იყო მის ადგილზე დაეყენებინათ სრულიად ახალი, თანამედროვე, საქმიანი ადამიანი და საქმე ისე წარემართათ, რომ თავადაზნაურობისთვის, არა როგორც

თავადაზნაურობისთვის, არამედ როგორც ერობის ელემენტისთვის, მიეცათ ყველა ბოძებული უფლება, რათა მთლიანად ამოეწურათ თვითმმართველობის ყოველნაირი შესაძლებელი სარგებლიანობა. კაშინის მდიდარ გუბერნიაში, რომელიც ყოველთვის მოწინავედ ითვლებოდა, ახლა ისეთმა ძალებმა მოიყარეს თავი, რომ თუ აქ ისე წაიყვანდნენ საქმეს, როგორც საჭირო იყო, ეს, შესაძლოა, სამაგალითო გამხდარიყო სხვა გუბერნიებისთვის და მთელი რუსეთისთვისაც. და ამიტომაც ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. წინამძღოლად სნეტკოვის ადგილას განზრახული იყო დაეყენებინათ სვიაჟსკი ანდა, კიდევ უკეთესი, ნევედოვსკი, ყოფილი პროფესორი, დიდად ჭკვიანი ადამიანი და სერგეი ივანოვიჩის დიდი მეგობარი.

კრება გახსნა გუბერნატორმა, რომელმაც სიტყვით მიმართა თავადაზნაურობას, რომ მათ თანამდებობის პირნი აირჩიონ არა მიკერძოებით, არამედ დამსახურებისთვის, სამშობლოს საკეთილდღეოდ, მას იმედი აქვს, კაშინის კეთილშობილი თავადაზნაურობა, როგორც წინა არჩევნებში, ახლაც წმინდად აღასრულებს თავის მოვალეობას და გაამართლებს მონარქის დიდ ნდობას.

სიტყვის დამთავრების შემდეგ გუბერნატორი დარბაზიდან გავიდა და თავადაზნაურობა ხმაურითა და სიხარულით, ზოგი აღტაცებითაც კი, უკან გაჰყვა გუბერნატორს და გარს შემოეხვია სწორედ იმ დროს, როცა იგი ქურქს იცვამდა და მეგობრულად ელაპარაკებოდა გუბერნიის წინამძღოლს. ლევინიც, რომელსაც უნდოდა ყველაფერს დაჰკვირვებოდა და არაფერი გამორჩენოდა, იქვე იდგა და გაიგონა, როგორ თქვა გუბერნატორმა: „გეთაყვა, გადაეცით მარია ივანოვნას, ჩემი მეუღლე დიდად ნანობს, რომ თავშესაფარში უხდება წასვლა“. ამის შემდეგ გამხიარულებული თავადაზნაურობა ქურქებში გამოეწყო და ყველანი ტაძრისაკენ გაეშურნენ.

ტაძარში ლევინი სხვებთან ერთად ხელის აწევით იმეორებდა დეკანოზის სიტყვებს, საშინელი ფიცით ფიცულობდა, რომ შეასრულებდა ყოველივე იმას, რისი იმედიც გუბერნატორმა გამოთქვა. საეკლესიო წირვა-ლოცვა ყოველთვის მოქმედებდა ლევინზე და როცა ამბობდა სიტყვებს, „ვემთხვევი ჯვარსო“, და უყურებდა ამ ახალგაზრდა და მოხუცი ადამიანების გროვას, იმავე სიტყვებს რომ ღაღადებდა, გრძნობდა, ძალიან

აღელვებული იყო.

მეორე და მესამე დღეს სათავადაზნაურო თანხებისა და ქალთა გიმნაზიის საქმეებს განიხილავდნენ, რასაც, როგორც განმარტავდა სერგეი ივანოვიჩი, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, და საკუთარი საქმეებით გატაცებულ ლევინსაც ყურადღება აღარ მიუქცევია ამისთვის. მეოთხე დღეს ამოწმებდნენ საგუბერნიო თანხებს საგუბერნიო მაგიდასთან. და აქ პირველად შეეჯახნენ ერთმანეთს ძველი და ახალი პარტიები. კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა თანხების შემოწმება, მოახსენა კრებას, თანხებს არაფერი აკლიაო. გუბერნიის წინამძღოლი წამოდგა, მადლობა მოახსენა თავადაზნაურობას ნდობისთვის და ცრემლები მოერია. თავადაზნაურობა ხმამაღლა ესალმებოდა მას და ხელს ართმევდა. მაგრამ ამ დროს ერთმა თავადმა სერგეი ივანოვიჩის ჯგუფიდან განაცხადა, ყური მოვკარი, თითქოს კომისიას არ შეუმოწმებია თანხები, რადგან ეს გუბერნიის წინამძღოლის შეურაცხყოფად მიიჩნიაო. კომისიის ერთმა წევრმაც გაუფრთხილებლად დაადასტურა ეს. მაშინ ერთმა ტანდაბალმა, შესახედად მეტად ახალგაზრდა, მაგრამ მეტად გესლიანმა თავადმა განაცხადა, გუბერნიის წინამძღოლისთვის, ალბათ, სასიამოვნო იქნებოდა ჩაებარებინა თანხების ანგარიში, კომისიის წევრების გადამეტებული თავაზიანობა კი საშუალებას ართმევს ისიამოვნოს ამ ზნეობრივი თვითკმაყოფილებითო. მაშინ კომისიის წევრებმა უარყვეს თავიანთი განცხადება და სერგეი ივანოვიჩმა ლოგიკურად დაიწყო იმის მტკიცება, რომ კომისიის წევრები ვალდებულნი არიან აღიარონ, თანხები შემოწმებულია თუ არაო და დაწვრილებით განიხილა ეს დილემა. სერგეი ივანოვიჩს მოწინააღმდეგე პარტიიდან გამოეკამათა ერთი მოლაყბე, შემდეგ ილაპარაკა სვიაჟსკიმ და შემდეგ ისევ იმ გესლიანმა თავადმა. კამათი დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს უშედეგოდ დამთავრდა. ლევინი გაოცებული იყო, რომ ასე დიდხანს იკამათეს ამაზე. კიდევ უფრო დიდი იყო მისი გაოცება, როცა სერგეი ივანოვიჩს ჰკითხა, შენ გგონია, თანხები გაფლანგულიაო და სერგეი ივანოვიჩმა უპასუხა: – ოჰ, არა, პატიოსანი კაცია, მაგრამ უნდა შევარყიოთ ეს ძველებური ოჯახური მართვა თავადაზნაურთა საქმეებისა!

მეხუთე დღეს დანიშნული იყო მაზრის წინამძღოლთა არჩევნები. ამ დღემ საკმაოდ შფოთიანად ჩაიარა ზოგიერთი

მაზრისთვის. სელეზნიოვის მაზრაში წინამძღოლად კენჭის უყრელად ერთხმად აირჩიეს სვიაჟსკი და სვიაჟსკიმ იმ დღეს სადილი გამართა.

XXVII

მეექვსე დღეს დანიშნული იყო საგუბერნიო არჩევნები. დიდი თუ მცირე დარბაზები სავსე იყო სხვადასხვა მუნდირში გამოწყობილი თავადაზნაურობით. ბევრი განსაკუთრებით ამ დღისთვის იყო ჩამოსული. დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ დიდი ხნის უნახავი ნაცნობები, ზოგი ყირიმიდან, ზოგი პეტერბურგიდან, ზოგი საზღვარგარეთიდან. საგუბერნიო მაგიდასთან, რომლის ზემოთაც ხელმწიფის დიდი სურათი ეკიდა, კამათი მიმდინარეობდა.

თავადაზნაურობა დიდ და მცირე დარბაზებში ბანაკებად იყო დაყოფილი და იმის მიხედვით, როგორ მტრულად და უნდობლად უყურებდნენ ერთმანეთს, როგორ ხმადაბლა იწყებდნენ საუბარს უცხო პირის მოახლოებისას, ხოლო ზოგიერთი შორეულ დერეფნებშიც მიდიოდა და იქ ჩურჩულებდა, ჩანდა, რომ ყველა მხარეს თავისი საიდუმლო ჰქონდა. გარეგნული შესახედაობით მთელი თავადაზნაურობა მკაფიოდ იყოფოდა ორ პარტიად: ძველები და ახლები. ძველები უმთავრესად ძველებურად ბოლომდე შეკრულ მუნდირებში იყვნენ გამოწყობილი, დაშნებითა და ქუდებით ანდა განსაკუთრებული მუნდირები ეცვათ დამსახურების მიხედვით: ზოგს ფლოტის, ზოგს კავალერიის, ზოგსაც ფეხოსანი ჯარის. ძველ თავადაზნაურთა მუნდირები ძველებურად იყო შეკერილი, ზევით აწეული მხრებით. ეს მუნდირები პატარა და ვიწრო იყო წელში, თითქოს ისინი, ვისაც ეს მუნდირები ეცვათ, გაზრდილიყვნენ მას შემდეგ. ახლებს კი გახსნილი სათავადაზნაურო მუნდირები ეცვათ, წელში მოკლე და ბეჭებში განიერი, მუნდირებს ქვეშ კი თეთრი ჟილეტები მოუჩანდათ. ზოგს იუსტიციის სამინისტროს ნიშნებით

ამოქარგული შავსაყელოიანი მუნდირი ეცვა. ახალგაზრდებს ეკუთვნოდნენ სასახლის მუნდირებში გამოწყობილნიც, ალაგ-ალაგ რომ ალამაზებდნენ ბრბოს.

მაგრამ მოხუცებად და ახალგაზრდებად დაყოფა არ ემთხვეოდა პარტიებად დაყოფას. ზოგიერთი ახალგაზრდა, როგორც ეს ლევინმა შენიშნა, ძველების პარტიას ემხრობოდა, ზოგი კი – პირიქით, ზოგიერთი ძალიან მოხუცი თავადი სვიაჟსკის ეჩურჩულებოდა და, ეტყობოდა, თავგამოდებული დამცველი იყო ახალი პარტიისა.

ლევინი თავისიანებთან ერთად იდგა მცირე დარბაზში, სადაც საუზმობდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ, ყურადღებით უსმენდა და ძალას ატანდა გონებას, რათა გაეგო, რას ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ. ცენტრი აქ სერგეი ივანოვიჩი იყო, რომელსაც გარს შემოხვეოდნენ სხვებიც. იგი ახლა ყურს უგდებდა სვიაჟსკისა და ხლიუსტოვს, მეორე მაზრის წინამძღოლს, რომელიც მათ პარტიას ეკუთვნოდა. ხლიუსტოვი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ თავის მაზრასთან ერთად მისულიყო სნეტკოვთან, ეთხოვა მისთვის, თანხმობა გამოეცხადებინა კენჭის ყრაზე, რასაც ურჩევდა სვიაჟსკი და სერგეი ივანოვიჩიც იწონებდა მის გეგმას. ლევინისთვის გაუგებარი იყო, რატომ უნდა ეთხოვა მტრულად განწყობილ პარტიას კენჭის ყრა იმ წინამძღოლისთვის, რომლის გადაყენებაც უნდოდათ.

მათ მიუახლოვდა კამერჰერის მუნდირში გამოწყობილი სტეპან არკადიჩი, რომელსაც ის იყო ესაუზმა, დაელია კიდეც და ახლა არშიებიანი ბატისტის სურნელოვანი ცხვირსახოცით იწმენდდა პირს.

– ვიკავებთ პოზიციას, სერგეი ივანიჩ! – თქვა მან და ქილვაშები შეისწორა.

მან ყური მიუგდო საუბარს და მანაც სვიაჟსკის მოსაზრება დაადასტურა.

– საკმარისია ერთი მაზრა, სვიაჟსკი კი, როგორც ჩანს, უკვე ოპოზიციაშია, – გამოთქვა მან თავისი მოსაზრება, რომელიც ყველასთვის გასაგები იყო, გარდა ლევინისა.

– რაო, კოსტია, შენც გაუგე, მგონი, ამას გემო? – დასძინა მან, ლევინს მიუბრუნდა და მკლავში ხელი გამოსდო. ლევინი მოხარული იქნებოდა, გაეგო ამის გემო, მაგრამ ვერ

მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე და, როცა რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა მოსაუბრეთ, გამოუტყდა სტეპან არკადიჩს, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ უნდა ეთხოვათ გუბერნიის წინამძღოლისთვის.

– O, sancta simplicitas![80] – უთხრა სტეპან არკადიჩმა და მოკლედ და გარკვევით აუხსნა ლევინს, რაში იყო საქმე.

თუ ახლაც, როგორც წინა არჩევნებზე, ყველა მაზრა სთხოვდა გუბერნიის წინამძღოლს, მაშინ იგი სულ თეთრი კენჭებით იქნებოდა არჩეული. ეს საჭირო არ იყო. ახლა რვა მაზრა თანახმაა სთხოვოს: თუ ორი მაზრა უარს იტყვის ამაზე, მაშინ სნეტკოვს შეუძლია უარი განაცხადოს კენჭის ყრაზე. და მაშინ ძველ პარტიას შეუძლია თავისიანებიდან აირჩიოს ვინმე სხვა, რადგან ხმები დაკარგული გამოდის. მაგრამ თუ მხოლოდ სვიაჟსკის მაზრა იტყვის უარს, მაშინ სნეტკოვს უყრიან კენჭს. აირჩევენ კიდეც და განზრახ გადაუწყობენ კენჭებს, რათა მოწინააღმდეგე პარტიას ანგარიში აერიოს, მერე კი, როცა ჩვენების კანდიდატურას წამოაყენებენ, მერე იმას გადაუწყობენ კენჭებს.

ლევინმა გაიგო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიხვდა და უნდოდა რამდენიმე კითხვა კიდევ მიეცა, რომ უცებ ყველა ერთად ალაპარაკდა, ახმაურდა და დარბაზისაკენ დაიძრა.

– რაშია საქმე? რა ამბავია, ვინ? – მინდობილობა? ვის? რატომ უარყოფენ? – ეს მინდობილობა არ არის. ფლეროვს არ უშვებენ. მერე რა, პასუხისგებაში რომ არის? – მაშ, აღარავის დაუშვებენ! ეს საძაგლობაა! – კანონი ასეთია! – ესმოდა ლევინს აქეთ-იქიდან და სხვებთან ერთად, რომელნიც სადღაც მიიჩქაროდნენ და ეშინოდათ არაფერი გამოჰპარვოდათ, ისიც დიდი დარბაზისაკენ გაეშურა. ძლივს მიაღწია საგუბერნიო მაგიდასთან, სადაც გაცხარებით კამათობდნენ რაღაცაზე გუბერნიის წინამძღოლი, სვიაჟსკი და სხვა მოთავეები.

XXVIII

ლევინი საკმაოდ შორს იდგა. მის გვერდით მდგომი თავადი, რომელიც მძიმედ, ხიხინით სუნთქავდა და მეორეც, სქელძირიან ჩექმას რომ აჭრაჭუნებდა, ხელს უშლიდნენ მკაფიოდ გაეგონა ყველაფერი. შორიდან მხოლოდ წინამძღოლის სასიამოვნო ხმა ესმოდა, მერე იმ გესლიანი თავადის წრიპინი და ბოლოს სვიაჟსკის ხმა. რამდენადაც ლევინმა გაიგო, ისინი დაობდნენ კანონის მუხლის მნიშვნელობასა და იმაზე, თუ რას ნიშნავდა სიტყვები – „იმყოფებოდა გამოძიებაში“.

საზოგადოება შუაზე გაიყო, რათა გზა დაეთმო სერგეი ივანოვიჩისთვის, რომელიც მაგიდისაკენ მიდიოდა. სერგეი ივანოვიჩმა შეიცადა, სანამ ის გესლიანი თავადი ლაპარაკს დაამთავრებდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ ყველაზე სწორი იქნება კანონის მუხლის შემოწმება და სთხოვა მდივანს, მოეძებნა ეს მუხლი. მუხლში ნათქვამი იყო, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში კენჭი უნდა ეყაროსო.

სერგეი ივანოვიჩმა წაიკითხა ეს მუხლი და შემდეგ ამის განმარტებას შეუდგა. მაგრამ ამ დროს ლაპარაკი შეაწყვეტინა ერთმა მაღალმა, ჩასუქებულმა, ბეჭებში მოხრილმა თავადმა, რომელსაც ულვაში შეღებილი ჰქონდა და ვიწრო მუნდირის საყელო კეფაზე ებჯინებოდა. იგი მაგიდასთან მივიდა, ბეჭდიანი ხელი მაგიდაზე დაარტყა და დაიყვირა: – კენჭი ეყაროს! კენჭი ეყაროს! სალაპარაკო აღარაფერია! კენჭი უნდა ეყაროს!

ამ დროს სხვებიც ალაპარაკდნენ და მაღალი, ბეჭდიანი თავადი უფრო გაცხარდა და უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა რაღაცას, მაგრამ ძნელი იყო გარკვევა, რას ამბობდა.

იგი იმასვე ამბობდა, რაც სერგეი ივანოვიჩმა თქვა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მას სძულდა სერგეი ივანოვიჩი და მისი პარტია, და ეს სიძულვილი მთელ მის პარტიას გადაედო, რამაც ისეთივე გაბოროტება გამოიწვია მეორე მხრივ, თუმცა უფრო წესიერ ფარგლებში. აქეთ-იქიდან გაისმა ყვირილი, ერთ წუთში ყველაფერი აირია და გუბერნიის წინამძღოლი იძულებული შეიქნა, წესრიგისაკენ მოეწოდებინა.

– კენჭი ეყაროს, კენჭი! ვინც ნამდვილად თავადია, მისთვის გასაგებია ეს! ჩვენ აქ სისხლს ვანთხევთ!.. ხელმწიფის ნდობა... არ ჩაითვალოს წინამძღოლი, მოურავი ხომ არ არის... საქმე ეს

როდია... ნება მიბოძეთ, კენჭი ეყაროს... ეს საძაგლობაა!.. – ისმოდა გაბოროტებული, გააფთრებული ყვირილი ყოველი მხრიდან, ხოლო მათი გამოხედვა და გამომეტყველება კიდევ უფრო მეტ გაბოროტებას გამოხატავდა, ვიდრე ეს სიტყვები. მათ სახეზე შეურიგებელი სიძულვილი ეწერა. ლევინს სრულიად არ ესმოდა, რაში იყო საქმე და ვერ გამოეცნო, ასეთი აღელვებით რატომ იხილავდნენ საკითხს, ეყარათ თუ არა კენჭი ფლეროვზე გამოთქმული მოსაზრებისთვის. მას აღარ ახსოვდა ის სილოგიზმი, რომელიც შემდეგ სერგეი ივანოვიჩმა აუხსნა, – საერთო კეთილდღეობისთვის საჭირო იყო გუბერნიის წინამძღოლის გადაყენება, გადაყენებისთვის კი საჭირო იყო კენჭების უმრავლესობა, კენჭების სიმრავლისთვის კი ფლეროვისთვის ხმის უფლების მინიჭება, ამისთვის კი საჭირო იყო განმარტება, როგორ უნდა გაეგოთ კანონის ეს მუხლი.

– ერთ ხმას შეუძლია გადაწყვიტოს მთელი ეს საქმე. ამიტომაც, თუ გინდა, საზოგადო საქმეს ემსახურო, ყოველთვის სერიოზული უნდა იყო და არაფერი გამოგეპაროს, – დასძინა სერგეი ივანოვიჩმა.

მაგრამ ლევინს გადაავიწყდა ეს და მისთვის მეტად მძიმე ასატანი შეიქნა ასეთი არასასიამოვნო გაბოროტება ამ კეთილი, კარგი ადამიანებისა, რომელთაც პატივსა სცემდა. და თავი რომ დაეღწია ამ მძიმე გრძნობისთვის, აღარ დაელოდა კამათის დამთავრებას და გავიდა იმ დარბაზში, სადაც აღარავინ იყო, გარდა მსახურებისა, რომლებიც ბუფეტის წინ ტრიალებდნენ. როცა დაინახა, როგორი გულმოდგინებით წმენდდნენ ისინი ჭურჭელს, როგორ აწყობდნენ თეფშებსა და ჭიქებს მაგიდებზე, როცა დაინახა მათი დამშვიდებული, ცოცხალი გამომეტყველება, მოულოდნელად შვება იგრძნო, თითქოს აყროლებული ოთახიდან სუფთა ჰაერზე გამოვიდაო. დარბაზში ბოლთის ცემა დაიწყო და თან სიამოვნებით შეჰყურებდა მსახურებს: განსაკუთრებით მოეწონა ერთი ჭაღარაქილვაშებიანი მსახური, რომელიც ამრეზით უყურებდა სხვა ახალგაზრდა მსახურებს, მასხრად რომ იგდებდნენ მას; მოეწონა, როგორ ასწავლიდა მათ ხელსახოცის დაკეცვას. ლევინი, ის იყო, აპირებდა გამოლაპარაკებოდა ამ მოხუცს, როცა მისი ყურადღება მიიპყრო სათავადაზნაურო მეურვეობის მდივანმა, მოხუცმა კაცმა, რომელსაც ხელობად გაეხადა ზეპირად სცოდნოდა გუბერნიის ყველა თავადის სახელი და

მამის სახელი.

– მობრძანდით, კონსტანტინ დმიტრიჩ, – უთხრა მან ლევინს, – თქვენი ძმა გეძებთ. კენჭი უნდა უყარონ შეხედულებებს.

ლევინი დარბაზში შევიდა, მიიღო თეთრი კენჭი და სერგეი ივანოვიჩთან ერთად ისიც მიუახლოვდა მაგიდას, რომელთანაც მნიშვნელოვანი, ირონიული სახის გამომეტყველებით იდგა სვიაჟსკი, წვერი მუჭში ჩაებღუჯა და ყნოსავდა. სერგეი ივანოვიჩმა ხელი ჩაყო ყუთში, სადღაც ჩააგდო თავისი კენჭი, მერე ადგილი ლევინს დაუთმო და თვითონაც იქვე გაჩერდა, ლევინი ყუთთან მივიდა, მაგრამ სრულიად გადაავიწყდა, რაში იყო საქმე, და დაბნეულმა კითხვით მიმართა სერგეი ივანოვიჩს: „სად ჩავაგდო?“ მან ეს ჩუმად იკითხა, როცა მათ ახლოს რაღაცას ლაპარაკობდნენ, იმ იმედით, რომ მის კითხვას ვერავინ გაიგონებდა. მაგრამ მოლაპარაკენი უცებ ჩაჩუმდნენ და მისი ეს უადგილო კითხვა ყველამ გაიგონა. სერგეი ივანოვიჩი მოიღუშა.

– ეს თითოეულის რწმენაზეა დამოკიდებული, – მკაცრად მიუგო მან.

ზოგიერთმა გაიღიმა. ლევინი გაწითლდა, საჩქაროდ ჩაყო ხელი მაუდის ქვეშ და მარჯვენა მხარეს ჩააგდო კენჭი, რადგან მარჯვენა ხელში ეჭირა კენჭი და შემდეგ გაახსენდა, რომ მარცხენა ხელიც უნდა ჩაეყო, ჩაყო კიდეც, მაგრამ უკვე გვიანღა იყო და კიდევ უფრო დარცხვენილმა, სწრაფად გასწია სულ ბოლო რიგებისაკენ.

– ას ოცდაექვსი დადებითი, ორმოცდაექვსი უარყოფითი, – გაისმა მდივნის ხმა, რომელიც ასო რ-ს ვერ გამოთქვამდა, შემდეგ სიცილი გაისმა. ყუთში ღილი და ორი კაკალი იპოვეს. თავადი არჩევნებზე დაუშვეს, პირველმა პარტიამ გაიმარჯვა.

მაგრამ ძველი პარტია სულაც არ თვლიდა თავს დამარცხებულად. ლევინმა გაიგონა, რომ სნეტკოვს სთხოვდნენ, თანხმობა გამოეცხადებინა კენჭისყრაზე და დაინახა, როგორ შემოხვეოდა თავადაზნაურობა გუბერნიის წინამძღოლს, რომელიც რაღაცას ლაპარაკობდა. ლევინი უფრო ახლოს მივიდა. თავადაზნაურთა საპასუხოდ სნეტკოვი ლაპარაკობდა თავადაზნაურთა ნდობაზე, მათ სიყვარულზე, რისი ღირსიც არ იყო, რადგან მთელი მისი დამსახურება გამოიხატებოდა თავადაზნაურთა ერთგულებაში, რასაც

შეეწირა მისი თორმეტი წლის სამსახური. მან რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვები: „ვემსახურე, რამდენადაც კი შემწევდა ძალა, მთელი რწმენით და სიმართლით, ვაფასებ ამას და მადლობას გწირავთ“, – და უცებ ჩაჩუმდა, რადგან ცრემლები ახრჩობდა, და დარბაზიდან გავიდა. შეიძლება ეს ცრემლები მისადმი უსამართლო დამოკიდებულებით იყო გამოწვეული, ან შეიძლება ეს თავადაზნაურთა სიყვარულით მოსდიოდა, ანდა ამის მიზეზი იყო დაძაბული მდგომარეობა, რომელშიც იგი იმყოფებოდა, რადგან გრძნობდა, მტრებით იყო გარემოცული. მაგრამ მისი მღელვარება თავადაზნაურთა უმრავლესობას გადაედო და ლევინმა სიყვარული იგრძნო სნეტკოვისადმი.

კარში ლევინს გუბერნიის წინამძღოლი შეეჩეხა.

– მაპატიეთ, გეთაყვა! – როგორც უცნობს, ისე მიმართა ლევინს, მაგრამ შემდეგ იცნო და გაუბედავად გაუღიმა. ლევინს მოეჩვენა, რომ მას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მღელვარების გამო ვერ შეძლო. სახის გამომეტყველებამ და მთელმა მისმა გარეგნობამ: მუნდირმა, ჯვრებმა, სირმამოყოლებულმა თეთრმა შარვალმა, აჩქარებულმა ნაბიჯმა, ლევინს მოაგონა დამფრთხალი ნადირი, რომელიც გრძნობს, რომ მისი საქმე ცუდად არის. წინამძღოლის სახის ასეთმა გამომეტყველებამ განსაკუთრებით იმოქმედა ლევინზე, რადგან ჯერ კიდევ გუშინ, როცა სამეურვეო საქმის გამო სახლში ინახულა, მთელი თავისი დიდებით იხილა იგი, როგორც კეთილი, მეოჯახე ადამიანი: დიდი სახლი, ძველებური ავეჯი. არცთუ მთლად კოპწია და პეწიანი, მაგრამ პატივსაცემი მოხუცი ლაქიები, რომელთაც, ალბათ, ბატონყმობის დროიდან აღარ გამოუცვლიათ ბატონი, ჩასუქებული გულკეთილი მეუღლე, თავის ლამაზ შვილიშვილს – ქალიშვილის შვილს რომ ეალერსებოდა, ახალგაზრდა ვაჟიშვილი, მეექვსე კლასის გიმნაზიელი, მშობლებთან რომ ჩამოსულიყო და მისალმებისას ხელზე აკოცა მამას, თვით მასპინძლის ალერსიანი, შთამაგონებელი საუბარი და ქცევა – ყოველივე ამან უნებური თანაგრძნობა და პატივისცემა აგრძნობინა გუშინ, ახლა კი ლევინს შეებრალა მოხუცი და უნდოდა რაღაც სასიამოვნო ეთქვა მისთვის.

– ეტყობა, ისევ თქვენ იქნებით ჩვენი წინამძღოლი, – უთხრა მან.

– საეჭვოა, – უპასუხა წინამძღოლმა და შიშით მიმოიხედა, – მე

უკვე დავიქანცე, მოვხუცდი. არიან ჩემზე ღირსეულნი, ჩემზე ახალგაზრდები, დაე, ახლა იმათ იმსახურონ! – და წინამძღოლი გვერდით კარში მიიმალა.

დადგა ყველაზე საზეიმო წუთი. არჩევნები უნდა დაეწყოთ. ორივე პარტიის მოთავეები თითებზე ითვლიდნენ თეთრ და შავ კენჭებს.

ფლეროვზე კამათმა ახლა პარტიას არა მარტო შესძინა ერთი ხმა, არამედ დროც მოაგებინა, ისე, რომ მათ შეძლეს ჩამოეყვანათ კიდევ ორი მემამულე, რომელთაც ძველი პარტიის ოინების წყალობით ჩამორთმეული ჰქონდათ კენჭისყრის უფლება. ღვინის მოყვარული ორი მემამულე უგრძნობლად დაათვრეს სნეტკოვის დამქაშებმა, მესამეს კი არჩევნებზე ჩასაცმელი მუნდირი მოჰპარეს.

ეს ამბავი რომ შეიტყვეს, ახლა პარტიის მონაწილეებმა მოასწრეს ფლეროვზე კამათის დროს ეტლით გაეგზავნათ თავიანთი კაცი თავადის შესამოსად და ძალით დამთვრალი ორი თავადისგანაც ერთი მოიყვანეს კრებაზე.

– ერთი მოვიყვანე, წყალი გადავავლე, – ჩასჩურჩულა სვიაჟსკის თავადმა, რომელიც მის მოსაყვანად იყო გაგზავნილი, – არა უშავს რა, გამოდგება.

– ძალიან მთვრალი ხომ არ არის, ხომ არ წაიქცევა? – ჰკითხა სვიაჟსკიმ და თავი გადააქნია.

– არა, ყოჩაღადაა, ოღონდ აქ არ დაალევინონ კიდევ... ბუფეტში გავაფრთხილე, რომ არავითარი სასმელი არ მისცენ.

XXIX

ვიწრო დარბაზი, სადაც პაპიროსს ეწეოდნენ და საუზმობდნენ, სავსე იყო თავადაზნაურობით. მღელვარება თანდათან იზრდებოდა, ყველას სახეზე შეშფოთება იხატებოდა. განსაკუთრებით ღელავდნენ მოთავენი, რომელთაც ყოველი წვრილმანი და თითოეული კენჭის ანგარიში იცოდნენ. ესენი

იყვნენ მომავალი ბრძოლის მოთავენი. დანარჩენები კი, როგორც რიგითი მებრძოლები ბრძოლის წინ, მართალია, ემზადებოდნენ საბრძოლველად, მაგრამ მანამდე ყველა რაღაც გასართობს ეძებდა. ერთნი საუზმობდნენ, ფეხზე იდგნენ ან მაგიდებთან ისხდნენ; მეორენი პაპიროსის მოწევით ბოლთას სცემდნენ გრძელ დარბაზში და დიდი ხნის უნახავ მეგობრებს ებაასებოდნენ.

ლევინს არ უნდოდა საუზმე, პაპიროსსაც არ ეწეოდა; თავისიანებთან კი, ესე იგი სერგეი ივანოვიჩთან, სტეპან არკადიჩთან, სვიაჟსკისა და სხვებთან მისვლა არ უნდოდა, რადგან მათთან იდგა შტალმაისტერის მუნდირში გამოწყობილი ვრონსკი და რაღაცას გატაცებით ლაპარაკობდა. ლევინმა ჯერ კიდევ გუშინ შენიშნა ვრონსკი არჩევნებზე და ყოველნაირად ცდილობდა გვერდი აევლო, არ უნდოდა მასთან შეხვედრა. ლევინი ფანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა და თვალი მოავლო ჯგუფებს, ყური მიუგდო, რას ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ. მან განსაკუთრებით მოიწყინა, რადგან ყველა გამოცოცხლებული იყო, ყველას რაღაც საზრუნავი და საქმე გასჩენოდა, მხოლოდ ისა და მის გვერდით მჯდარი, ფლოტის მუნდირში გამოწყობილი ჩიფჩიფა მოხუცი იყვნენ უსაქმოდ და არც არაფერი აინტერესებდათ.

– ეს ისეთი გაიძვერაა! მე ვეუბნებოდი, ასე არ ვარგა-მეთქი! როგორ არა! სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლო შეკრება, – ენერგიულად ლაპარაკობდა ბეჭებში მოხრილი, ტანმორჩილი მემამულე, რომელსაც პომადაწასმული თმა მუნდირის მოქარგულ საყელომდე სწვდებოდა და იატაკზე მაგრად უბაკუნებდა ჩექმას, საგანგებოდ არჩევნების დღისთვის რომ ჩაეცვა. მერე მემამულემ ალმაცერად გადახედა ლევინს და სწრაფად შეტრიალდა.

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ბინძური საქმეა, – წვრილი ხმით თქვა ტანმორჩილმა მემამულემ.

ამის შემდეგ მთელი ჯგუფი მემამულეებისა, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ ჩასუქებულ გენერალს, საჩქაროდ წამოვიდა ლევინისაკენ. ეტყობა, ისეთ ადგილს ეძებდნენ მოსალაპარაკებლად, რომ არავის არაფერი გაეგონა.

– როგორ ბედავს იმის თქმას, თითქოს მე ვუბრძანე, მისთვის შარვალი მოეპარათ! მგონი, მაგან ლოთობაში მიფლანგა თავისი

შარვალი. მიმიფურთხებია მაგისთვისაც და მაგის თავადობისთვისაც. არ გაბედოს ამის თქმა, ეს უსინდისობაა!

– მოითმინეთ! ისინი ხომ ამ მუხლს ემყარებიან, – ლაპარაკობდნენ მეორე ჯგუფში, – ცოლიც აზნაურად უნდა იყოს ჩაწერილი.

– რა ეშმაკად მინდა მაგათი მუხლი. რაც სიმართლეა, იმას ვამბობ. იმიტომაც ვართ კეთილშობილი თავადები. ნდობა უნდა გვქონდეს.

– თქვენო ბრწყინვალებავ, წამობრძანდით, fine champagne.[81]

მეორე ჯგუფი ფეხდაფეხ დასდევდა ერთ მემამულეს, რომელიც ხმამაღლა გაჰყვიროდა რაღაცას: ეს ერთი იმ სამთაგანი იყო, რომელიც დაათვრეს.

– მე მარია სემიონოვნას ყოველთვის ვურჩევდი, იჯარით გაეცა მიწა, რადგან ისე ვერაფერს მოიგებს, – სასიამოვნო ხმით ლაპარაკობდა ჭაღარაულვაშიანი მემამულე, რომელსაც ძველი გენერალური შტაბის პოლკოვნიკის მუნდირი ეცვა. ეს სწორედ ის მემამულე იყო, რომელსაც ლევინი სვიაჟსკისთან შეხვდა. ლევინმა მაშინვე იცნო იგი. მემამულემაც მოიხედა მისკენ და მიესალმნენ ერთმანეთს.

– ძალიან სასიამოვნოა. როგორ არა! ძალიან კარგად მახსოვს შარშან ნიკოლაი ივანოვიჩთან, ჩვენს წინამძღოლთან შევხვდით.

– აბა, როგორ მიდის თქვენი მეურნეობა? – ჰკითხა ლევინმა.

– ისევ ისე. მაინც ზარალია, – მშვიდი ღიმილით, ისეთი მორჩილებითა და რწმენით მიუგო მან, თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო და ლევინის გვერდით გაჩერდა, – თქვენ როგორღა მოხვდით ჩვენს გუბერნიაში? ჩამოხვედით, რათა მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს coup d’état?[82] – თქვა მან მტკიცედ, მაგრამ ფრანგული სიტყვების ცუდი გამოთქმით, – მთელი რუსეთი აქ შეკრებილა: კამერჰერებით დაწყებული თითქმის მინისტრებამდე. – მან მყისვე მიუთითა სტეპან არკადიჩის წარმოსადეგ ტანადობაზე, რომელიც თეთრ შარვალსა და კამერჰერის მუნდირში გამოწყობილი გენერალთან ერთად დადიოდა.

– უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან ცუდად გამეგება

სათავადაზნაურო არჩევნების მნიშვნელობა, – უთხრა მას ლევინმა.

მემამულემ გამომცდელი თვალით გადახედა.

– რა არის აქ გასაგები? ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყოვლად დაკნინებული დაწესებულებაა, რომელიც მხოლოდ ინერციის ძალით მოძრაობს. შეხედეთ, მუნდირებიც კი მეტყველებს, რომ ეს არ არის თავადაზნაურთა შეკრებილობა, არამედ მომრიგებელ მოსამართლეთა, მუდმივ წევრთა და სხვების შეკრებილობაა.

– მაშ, რისთვის დადიხართ? – ჰკითხა ლევინმა.

– ერთი რომ ჩვევაა. მერეა და, ხელი უნდა შეუწყო კავშირს. ერთგვარად ეს ზნეობრივი მოვალეობაც არის. კიდევ იმიტომაც, რომ მართალი გითხრა, საკუთარი ინტერესიც მამოქმედებს. ჩემს სიძეს სურვილი აქვს კენჭი იყაროს, რათა მუდმივ წევრად იქნეს არჩეული. მდიდრები არ არიან, ამიტომ საჭიროა მისი გაყვანა. ეს ვაჟბატონები კი რად ჩამოდიან? – თქვა მან და მიუთითა იმ გესლიან ბატონზე, რომელმაც სიტყვა თქვა საგუბერნიო მაგიდასთან.

– ეს თავადაზნაურთა ახალი თაობაა.

– ახალია, მაგრამ თავადაზნაურობა არაა. ესენი მიწათმოქმედნი არიან, ჩვენ კი მემამულეები. ისინი, როგორც თავადაზნაურები, თვითონვე იკლავენ თავს.

– თქვენ ხომ თქვით, დრომოჭმული დაწესებულებაოო.

– დრომოჭმული დრომოჭმულია, მაგრამ მეტი პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ. ავიღოთ თუნდაც სნეტკოვი... კარგი ვართ თუ არა ვართ კარგი, ჩვენ მაინც ათასწლობით ვიზრდებოდით. ვთქვათ, თქვენ სახლის წინ ბაღის გაშენება მოინდომეთ, იმ ადგილას კი ასწლოვანი ხე დგას... მართალია, ეს ხე დაკოდილია, ბებერია, მაგრამ თქვენი ყვავილნარისთვის ამ ხეს არ მოჭრით, არამედ ყვავილნარს ისე დაგეგმავთ, რომ ამ ხითაც ისარგებლოთ. ასეთ ხეს ხომ ერთ წელიწადში ვერ გაზრდი?! – გაუბედავად თქვა ეს და მაშინვე შეცვალა საუბრის თემა, – როგორ არის თქვენი მეურნეობის საქმე?

– ვერ არის კარგად. ხუთი პროცენტია მოგება.

– ჰო, მერე თქვენს თავს აღარ ათვლით? თქვენც ხომ გაქვთ რაღაც ღირებულება? აი, მე ჩემს თავზე მოგახსენებთ: სანამ მეურნეობას მოვკიდებდი ხელს, სამი ათას მანეთს ვიღებდი სამსახურში. ახლა კი უფრო მეტს ვმუშაობ, ვიდრე სამსახურში, და თქვენსავით მეც ხუთ პროცენტს ვიღებ, ისიც თუ ღმერთმა ხელი მომიმართა. საკუთარი შრომა კი ტყუილად იკარგება.

– მაშ, რატომ აკეთებთ ამას, თუკი ნამდვილად ზარალი გაქვთ?

– მაინც ვაკეთებ, რა ვქნა? ჩვეულებაა! იცი, რომ ასე უნდა გააკეთო. უფრო მეტს გეტყვით, – უთხრა მან და ფანჯარას დაეყრდნო, – ჩემს შვილს სულ არ აინტერესებს მეურნეობა. ალბათ, სწავლული გამოვა. ასე რომ, არავინ იქნება ამ საქმის გამგრძელებელი, მაგრამ მაინც ვაკეთებ. აი, წელსაც ხეხილი ჩავყარე.

– დიახ, დიახ, – უთხრა ლევინმა, – ეს სრული სიმართლეა! მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ ჩემს მეურნეობას არავითარი ანგარიში არა აქვს, მაგრამ მაინც ვაკეთებ... რაღაც მოვალეობას ვგრძნობ მიწისადმი.

– აი, მე თქვენ გეტყვით, – განაგრძო მემამულემ, – ჩემი მეზობელი ვაჭარი იყო ჩემთან. დავათვალიერებინე მეურნეობა, ბაღი. „არა, სტეპან ვასილიჩ, მეუბნება, ყველაფერი წესრიგში გაქვთ, მაგრამ ბაღი თავმინებებულიაო“. ბაღი მე კარგად მაქვს მოვლილი. „ჩემი ჭკუით ამ ცაცხვს მოვჭრიდი. მათი მხოლოდ წვენია სასარგებლო. აქ ხომ ათასობით ცაცხვია, თითოდან ორი კარგი მორი გამოვა, მორებს ახლა ფასი აქვს! მე ცაცხვის თელეურებსაც მოვჭრიდი“.

– იმ ფულით კი საქონელს იყიდდა ან მიწას ჩაიგდებდა ხელში ჩალის ფასად და მერე გლეხებს იჯარით მისცემდა, – ღიმილით დაამთავრა ლევინმა, რომელსაც, ალბათ, ხშირად სმენია ამგვარი ანგარიში, – და ის შეიძენს კიდევაც ქონებას. მე და თქვენ კი, ღმერთმა ქნას, ჩვენი შევინარჩუნოთ და შვილებს დავუტოვოთ რამე.

– გავიგე, ცოლი შეგირთავთ? – უთხრა მემამულემ.

– დიახ, – ამაყად უპასუხა ლევინმა, – ჰო, ეს რაღაც უცნაურია, – განაგრძო მან, – ასე უანგარიშოდ ვცხოვრობთ, თითქოს ძველი დროის ვესტალები ვიყოთ, ცეცხლის სადარაჯოდ დაყენებული.

მემამულემ ჭაღარა ულვაშში ჩაიცინა.

– არიან ჩვენ შორისაც, აი, თუნდაც ჩვენი მეგობარი ნიკოლაი ივანოვიჩი, ან ახლა კიდევ გრაფი ვრონსკი დასახლდა, რომელთაც უნდათ, აგრონომიული მრეწველობა დანერგონ; მაგრამ ამას დღემდე, კაპიტალის განადგურების გარდა, არავითარი შედეგი არ მოუტანია.

– ჩვენ რატომ არ ვიქცევით ისე, როგორც ვაჭრები? რატომ მორებად არ ავჩეხთ ბაღს? – თქვა ისევ ლევინმა, რომელიც გააოცა ამ აზრმა.

– აი, როგორც თქვენ თქვით, ცეცხლს ვდარაჯობთ. ეს კი თავადაზნაურობის საქმე არ არის. და ჩვენი, თავადაზნაურობის, საქმე აქ, არჩევნებზე კი არა, იქ, საკუთარ კუთხეში კეთდება. არსებობს აგრეთვე წოდებრივი ინსტინქტი, რა უნდა გააკეთო, ან რა არ უნდა გააკეთო. აი, თუნდაც გლეხები, შეხედავ ზოგჯერ: კარგი გლეხია, ქირაობს მიწას, რამდენიც კი შეუძლია. რაც უნდა ცუდი მიწა იყოს, მაინც მოხნავს. ისიც უანგარიშოდ აკეთებს ამას. თუმცა ეს ნამდვილი ზარალია.

– სწორედ ასე ვართ ჩვენც, – თქვა ლევინმა, – ძალიან, ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა, – დასძინა მან, როცა თვალი მოჰკრა სვიაჟსკის, რომელიც მათკენ მოდიოდა.

– აი, ჩვენ პირველად ვნახეთ ერთმანეთი თქვენთან შეხვედრის შემდეგ, – თქვა მემამულემ, – და გავაბით საუბარი.

– რაო, გალანძღეთ ახალი წესრიგი? – ღიმილით უთხრა სვიაჟსკიმ.

– აღარც არაფერი დაგვიკლია.

– გული მოვიოხეთ.

XXX

სვიაჟსკიმ ხელი გამოსდო ლევინს და მასთან ერთად

თავისიანებისაკენ გასწია.

ახლა უკვე შეუძლებელი იყო ვრონსკისთვის გვერდის ავლა. იგი სერგეი ივანოვიჩსა და სტეპან არკადიჩთან ერთად იდგა და მათკენ მომავალ ლევინს შეჰყურებდა.

– ძალიან სასიამოვნოა. მგონი, მქონდა სიამოვნება შეგხვედროდით... თავადის ასულ შჩერბაცკაიასთან, – უთხრა მან და ხელი გაუწოდა ლევინს.

– დიახ, მე ძალიან კარგად მახსოვს ჩვენი შეხვედრა, – უთხრა ლევინმა და ჭარხალივით გაწითლდა, მაშინვე გვერდი შეაქცია და ძმას დაუწყო ლაპარაკი.

ვრონსკიმ ოდნავ გაიღიმა და ლაპარაკი განაგრძო სვიაჟსკისთან, ეტყობა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ჩარეულიყო ლევინთან საუბარში, მაგრამ ლევინი ძმასთან ლაპარაკის დროს ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე ვრონსკის და ფიქრობდა, რაზე გამოლაპარაკებოდა, რომ თავისი უხეშობა გამოესყიდა.

– ახლა ვისზეა საქმე? – იკითხა ლევინმა და სვიაჟსკისა და ვრონსკის გადახედა.

– სნეტკოვზე. საჭიროა, ან დათანხმდეს, ან უარი თქვას, – უპასუხა სვიაჟსკიმ.

– მერე რა ქნა? დათანხმდა თუ არა?

– სწორედ ეგ არის საქმე, რომ არც ეთანხმება და არც უარს ამბობს, – თქვა ვრონსკიმ.

– უარი რომ თქვას, მაშინ ვის უყრიან კენჭს? – იკითხა ლევინმა და ვრონსკის შეხედა.

– ვისაც სურვილი ექნება, – თქვა სვიაჟსკიმ.

– თქვენ გინდათ? – ჰკითხა ლევინმა.

– ოღონდაც მე არა, – უპასუხა შეშფოთებულმა სვიაჟსკიმ და შიშით გადახედა სერგეი ივანოვიჩის გვერდით მდგარ გესლიან ბატონს.

– მაშ, ვინ? ნევედოვსკი? – თქვა ლევინმა და იგრძნო, რომ დაიბნა.

მაგრამ ეს კიდევ უარესი აღმოჩნდა. ნეველოვსკი და სვიაჟსკი ორი კანდიდატი იყო.

– მე არავითარ შემთხვევაში, – უპასუხა გესლიანმა ბატონმა.

იგი თვით ნეველოვსკი გახლდათ. სვიაჟსკიმ გააცნო იგი ლევინს.

– რაო, შენც მოგხვდა? – თქვა სტეპან არკადიჩმა და თვალი ჩაუკრა ვრონსკის, – ესეც დოღივითაა, შეგიძლია სანაძლეოს ჩამოხვიდე.

– ჰო, ეს მართლაც გულზე გხვდება კაცს, – უპასუხა ვრონსკიმ, – ერთხელვე რომ ხელს მოჰკიდებ, გინდა, ბოლომდე მიჰყვე. ბრძოლაა! – თქვა ვრონსკიმ და მოიღუშა, ღონიერი ყვრიმალები მოკუმშა.

– მერე რა საქმის კაცია სვიაჟსკი! მისთვის ყველაფერი ნათელია!

– დიახ, მართალია! – დაბნეულად უპასუხა ვრონსკიმ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომლის დროსაც ვრონსკიმ, რაკი რაღაცისთვის უნდა შეეხედა, ლევინს ახედ-დახედა, დააკვირდა მის ფეხებს, მუნდირს, შემდეგ მის სახეს და, როცა მისკენ მომართულ ნაღვლიან თვალებს წააწყდა, რათა რაიმე ეთქვა მისთვის, უთხრა: – როგორ მოხდა, რომ თქვენ, მუდმივი სოფლის მცხოვრები, მომრიგებელ მოსამართლედ არა ხართ და მომრიგებელი მოსამართლის მუნდირი არ გაცვიათ?

– იმიტომ რომ, ჩემი აზრით, მომრიგებელი სასამართლო სულელური დაწესებულებაა, – მოწყენით უპასუხა ლევინმა, რომელიც სულ ეძებდა ვრონსკისთან გამოლაპარაკების საშუალებას, რათა გამოესყიდა ის უხეშობა, რომელიც პირველ შეხვედრაზე გამოამჟღავნა.

– მე ეს არ მიფიქრია, პირიქით, – მშვიდი გაოცებით დასძინა ვრონსკიმ.

– ეს სათამაშოა, – შეაწყვეტინა ლევინმა, – მომრიგებელი მოსამართლეები ჩვენთვის საჭირო არ არიან. რვა წლის განმავლობაში მე მათთან არც ერთი საქმე არ მქონია. რაც მქონდა, ისიც უკუღმა გადაწყვიტეს. მომრიგებელი მოსამართლე ჩემგან ორმოცი ვერსით არის დაშორებული.

ორმანეთიანი საქმისთვის უნდა გავგზავნო მასთან რწმუნებული, რაც თხუთმეტი მანეთი დამიჯდება.

და მან მოუთხრო, როგორ მოჰპარა გლეხმა მეწისქვილეს ფქვილი და როცა მეწისქვილემ ეს უთხრა, გლეხმა უჩივლა, ცილი დამწამაო. ყოველივე ეს უადგილო იყო და სულელური, და როცა ლევინი ლაპარაკობდა, თვითონვე გრძნობდა ამას.

– ო, ეს ისეთი ორიგინალია, – თავისებური ტკბილი ღიმილით შენიშნა სტეპან არკადიჩმა, – თუმცა წავიდეთ, მგონი, უკვე კენჭს უყრიან...

და ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

– ჩემთვის გაუგებარია, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, რომელსაც შეუნიშნავი არ დარჩენია ძმის უხერხული გამოსვლა, – მე არ მესმის, როგორ შეიძლება ამ ზომამდე მოკლებული იყო პოლიტიკურ ტაქტს. აი, რა არ გაგვაჩნია ჩვენ, რუსებს. გუბერნიის წინამძღოლი ჩვენი მოწინააღმდეგეა, შენ კი მას ami cochon[83] ექცევი და სთხოვ, კენჭი იყაროს. ანდა გრაფი ვრონსკი... მე მას ჩემს მეგობრად არ ვთვლი: სადილადაც მიმიწვია, მაგრამ არ მივსულვარ... მაგრამ მაინც ჩვენკენ არის და რატომ უნდა გადაიკიდო მტრად? მერე ნეველოვსკის ეკითხები, იყრი თუ არაო კენჭს. ასე არ იქცევიან!

– ოჰ, ვეღარაფერი გამიგია! ყოველივე ეს ხომ წვრილმანია! – ნაღვლიანად უპასუხა ლევინმა.

– ამბობ, წვრილმანიაო, მაგრამ როგორც კი ჩაერევი, ყველაფერს ურევ!

ლევინმა აღარაფერი უპასუხა და ისინი ერთად შევიდნენ დიდ დარბაზში.

გუბერნიის წინამძღოლმა, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, რაღაცას უმზადებდნენ და ყველას არც უთხოვია მისთვის კენჭისყრა, მაინც გადაწყვიტა, ეყარა კენჭი. დარბაზში ყველაფერი მიწყნარდა და მდივანმა მაღალი ხმით გამოაცხადა, კენჭს იყრის გუბერნიის წინამძღოლი, გვარდიის როტმისტრი მიხაილ სტეპანოვიჩ სნეტკოვიო.

მაზრის წინამძღოლებმა თეფშებით ხელში, რომელზეც კენჭები ეწყოთ, თავიანთი მაგიდებიდან საგუბერნიო მაგიდისაკენ გასწიეს და დაიწყო არჩევნები.

„მარჯვნივ ჩააგდე“, – ჩასჩურჩულა სტეპან არკადიჩმა ლევინს, როცა იგი თავის ძმასთან ერთად გუბერნიის წინამძღოლის შემდეგ მიუახლოვდა მაგიდას. მაგრამ ლევინს გადაავიწყდა ის ანგარიში, რომელიც წეღან აუხსნეს, და შეშინდა, ვაითუ სტეპან არკადიჩს ეშლება, „მარჯვნივ“ რომ მითხრაო. სნეტკოვი ხომ მტერი იყო. ყუთს რომ მიუახლოვდა, ლევინს მარჯვენა ხელში ეჭირა კენჭი, მაგრამ იფიქრა, იქნებ ვცდებიო და სწორედ ყუთის წინ გადაიტანა კენჭი მარცხენაში და, ალბათ, კენჭიც მარცხნივ ჩააგდო. ამ საქმის მცოდნე, რომელიც ყუთთან იდგა და იდაყვის მოძრაობაზეც კი ხვდებოდა, ვინ საით ჩააგდებდა კენჭს, უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა. მისთვის საჭირო აღარ იყო გონების დაძაბვა.

ყველაფერი მიწყნარდა და დაიწყო კენჭების თვლა. შემდეგ ერთი და იმავე ხმამ გამოაცხადა შავი და თეთრი კენჭების რაოდენობა.

წინამძღოლი უმრავლესობამ აირჩია.

ყველანი ერთად ახმაურდნენ და მიაწყდნენ კარს. სნეტკოვი დარბაზში შემოვიდა და თავადაზნაურობა გარს შემოეხვია მისალოცად.

– ახლა ხომ გათავდა? – ჰკითხა ლევინმა სერგეი ივანოვიჩს.

– მხოლოდ ახლა იწყება! – სერგეი ივანოვიჩის მაგივრად ღიმილით უპასუხა სვიაჟსკიმ, – წინამძღოლობის კანდიდატმა შეიძლება უფრო მეტი ხმა მიიღოს.

ლევინს სულ გადაავიწყდა ეს. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ აქ განსაკუთრებული გონების სიმახვილე იყო საჭირო, მაგრამ ახლა მოსაწყენი იყო გახსენება, რაში მდგომარეობდა ეს გონების სიმახვილე. საშინელი მოწყენილობა იგრძნო და სურვილი მოეძალა, როგორმე თავი დაეღწია ამ ბრბოსაგან.

რაკი არავინ აქცევდა ყურადღებას და როგორც ჩანდა, არც არავისთვის იყო საჭირო, ნელ-ნელა გასწია მცირე დარბაზისაკენ, სადაც საუზმობდნენ და ისევ დიდი შვება იგრძნო ლაქიების დანახვაზე. მოხუცმა ლაქიამ შესთავაზა, ხომ არაფერს მიირთმევთო და ლევინიც დათანხმდა. ერთი კატლეტი შეჭამა, მსახურსაც გამოელაპარაკა ძველ ბატონებზე და რადგანაც დარბაზში შესვლა არასასიამოვნო იყო, ქანდარისაკენ გასწია.

ქანდარა სავსე იყო მორთულ-მოკაზმული მანდილოსნებით, რომლებიც მოაჯირზე გადმომდგარიყვნენ და ცდილობდნენ, ქვევით თქმულისაგან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდათ. მანდილოსნების გვერდით ისხდნენ ან იდგნენ საგანგებოდ გამოწყობილი ვექილები, სათვალეებიანი გიმნაზიის მასწავლებლები და ოფიცრები. ყველგან არჩევნებზე ლაპარაკობდნენ, თუ როგორ გააწვალეს წინამძღოლი და რა საინტერესო იყო კამათი; ერთ ჯგუფში თავისი ძმის ქებაც მოისმინა. ერთი მანდილოსანი ეუბნებოდა ვექილს: – როგორ მიხარია, რომ მოვუსმინე კოზნიშევს. მარტო ეს ღირდა შიმშილად! რა დიდებულია! რა ნათელია და გასაგები ყველაფერი! აი, თქვენთან, სასამართლოში, ვერავინ ლაპარაკობს ასე. მხოლოდ ერთი მაიდელია და ისიც არ არის ასეთი მჭევრმეტყველი.

ლევინმა თავისუფალი ადგილი მოძებნა მოაჯირთან, გადაიხარა და ყური მიუგდო, რა ხდებოდა ქვევით.

მთელი თავადაზნაურობა ტიხრებს იქით თავ-თავის მაზრებში გაკრეფილიყო. შუაგულ დარბაზში იდგა მუნდირში გამოწყობილი კაცი, და წვრილი ხმით ხმამაღლა აცხადებდა.

– კენჭს იყრის გუბერნიის წინამძღოლობის კანდიდატი შტაბროტმისტრი ევგენი ივანიჩ აპუხტინი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გაისმა სუსტი, ბებრული ხმა: – უარს ამბობს.

– კენჭს იყრის კარის მრჩეველი პიოტრ პეტროვიჩ ბოლი, – გაისმოდა ისევ.

– უარს ამბობს, – გაისმა ახალგაზრდული წრიპინა ხმა.

შემდეგ კვლავ განმეორდა იგივე და ამას მოჰყვა იგივე „უარს ამბობს“. ასე გაგრძელდა თითქმის მთელი ერთი საათი. მოაჯირზე დაყრდნობილი ლევინი უყურებდა და უსმენდა ყოველივე ამას. ჯერ გაოცებული იყო და უნდოდა გაეგო, რას ნიშნავდა ეს; შემდეგ დარწმუნდა, რომ ვერ შეძლებდა ამის გაგებას და ისევ მოიწყინა. მერე გაიხსენა, რა მღელვარება და გაბოროტება ეხატებოდა ყველას სახეზე და გულზე ნაღველი შემოაწვა. გადაწყვიტა, წასულიყო აქედან და ქვევით ჩავიდა. ქანდარის დერეფანში თვალებამოლურჯებული, მოქანცული გიმნაზიელი შემოხვდა, ბოლთას რომ სცემდა დერეფანში.

კიბეზე ვიღაც წყვილი შეეჩეხა: ქალი აჩქარებით ამორბოდა მაღალქუსლიანი ტუფლებით, გვერდით პროკურორის ამხანაგი მოჰყვებოდა.

– ხომ გეუბნებოდით, არ დაგაგვიანდებათ-მეთქი, – უთხრა პროკურორმა მანდილოსანს სწორედ იმ დროს, როცა გვერდით მიმავალმა ლევინმა გზა დაუთმო ქალს.

კენჭს უყრიდნენ ნევედოვსკის, რომელიც ასე გადაჭრით ამბობდა უარს.

ლევინი დარბაზის კართან მივიდა: კარი დაკეტილი იყო. მდივანმა დააკაკუნა, კარი გაიღო და ლევინს წინ შემოეფეთა ორი სახეაწითლებული მემამულე.

– მეტი აღარ შემიძლია, – თქვა ერთმა სახეაწითლებულმა მემამულემ.

მემამულის შემდეგ გუბერნიის წინამძღოლის სახეც გამოჩნდა. საშინელი იყო მისი სახე უმწეობისა და შიშის გამო.

– ხომ გითხარი, არავინ გაუშვა-მეთქი! – დაუყვირა მან დარაჯს.

– მე შემოვუშვი, თქვენო ბრწყინვალებავ!

– ღმერთო ჩემო, – მძიმედ ამოიოხრა გუბერნიის წინამძღოლმა და თავჩაქინდრულმა გასწია დარბაზის შუაგულში მდგარი დიდი მაგიდისაკენ.

როგორც ნავარაუდევი იყო, ნევედოვსკის კენჭები გადაუწყვეს და აირჩიეს კიდეც გუბერნიის წინამძღოლად. ბევრი გახარებული იყო, ბევრი კმაყოფილი და ბედნიერი, ბევრი აღტაცებული, ბევრი კი უკმაყოფილო და უბედური. გუბერნიის წინამძღოლი სასოწარკვეთილი იყო, რის დაფარვასაც უკვე ვეღარ ახერხებდა. როცა ნევედოვსკი დარბაზიდან გავიდა, საზოგადოება გარს შემოეხვია და გაჰყვა უკან, ისე როგორც მიჰყვებოდა პირველ დღეს გუბერნატორს, რომელმაც გახსნა არჩევნები, ისე როგორც მიჰყვებოდა სნეტკოვსაც, როცა ის იყო არჩეული.

XXXI

ახალარჩეული გუბერნიის წინამძღოლი და ბევრი სხვაც გამარჯვებულთა პარტიიდან იმ დღეს ვრონსკისთან იყვნენ სადილად მიწვეული.

ვრონსკი იმიტომაც ჩამოვიდა არჩევნებზე, რომ მოწყენილი იყო სოფლად, თანაც უნდოდა გამოემჟღავნებინა ანას წინაშე თავისი უფლებები პირად თავისუფლებაზე და გარდა ამისა, არჩევნებზე მხარის დაჭერით სამაგიერო უნდა გადაეხადა სვიაჟსკისთვის იმ მზრუნველობის გამო, რომელიც გამოიჩინა ვრონსკისადმი ერობის არჩევნების დროს. უმთავრესად კი იმიტომ ჩამოვიდა, რომ მკაცრად აღესრულებინა ყველა ნაკისრი მოვალეობა, როგორც თავადსა და მიწათმფლობელს. მაგრამ არაფრით ელოდა, რომ არჩევნები ასე გაიტაცებდა, ასე მოხვდებოდა გულზე და ასე კარგად გაართმევდა თავს ამ საქმეს. იგი სრულიად ახალი კაცი იყო თავადაზნაურთა წრეში, მაგრამ ეჭვი არ იყო, უკვე ჰქონდა წარმატება და არც შემცდარა, როცა ფიქრობდა, რომ გავლენიან პირად ითვლებოდა თავადაზნაურთა შორის. ამ გავლენას ხელს უწყობდა ვრონსკის სიმდიდრე და წარჩინებულობა, მშვენიერი შენობა ქალაქში, ძველმა ნაცნობმა, შირიკოვმა რომ დაუთმო, რომელიც ფინანსურ საქმეს ხელმძღვანელობდა და მშვენიერი ბანკი დააარსა კაშინში; სოფლიდან ჩამოყვანილი ჩინებული მზარეული; მეგობრობა გუბერნატორთან, რომელიც ამხანაგი იყო ვრონსკისა, ისიც ისეთი ამხანაგი, რომელსაც მფარველობდა ვრონსკი, და ყველაზე მეტად კი უბრალო თანაბარი დამოკიდებულება ყველასთან, რამაც აიძულა თავადაზნაურთა უმრავლესობა შეეცვალა თავისი აზრი ვრონსკის პიროვნებაზე და ერწმუნა, რომ მისი ამპარტავნობა მოჩვენებითი იყო. ვრონსკი თვითონვე გრძნობდა, რომ გარდა იმ დამთხვეული ვაჟბატონისა, რომელსაც ცოლად გაჰყვა კიტი შჩერბაცკაია და რომელმაც à propos de bottes[84] გააფთრებული გაბოროტებით უამრავი სისულელე მიახალა, ყოველი ახალგაცნობილი თავადი მისი მომხრე ხდებოდა. იგი ნათლად ხედავდა და სხვებიც აღიარებდნენ, რომ ნეველოვსკის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ვრონსკიმაც. და ახლა, როცა თავის სუფრასთან იჯდა და ნეველოვსკის არჩევას ზეიმობდა, გამარჯვების სასიამოვნო გრძნობას განიცდიდა. თვით არჩევნებმა ისე იმოქმედა მასზე, რომ შემდეგი სამი წლის თავზე თუ ცოლიანი იქნებოდა, თვითონაც იყრიდა კენჭს, ისე როგორც ჟოკეის მიერ ჯილდოს

მიღებამ სურვილი აღუძრა თვითონაც მიეღო მონაწილეობა დოღში.

ახლაც ჟოკეის გამარჯვებას დღესასწაულობდა. ვრონსკი სუფრის თავში იჯდა. ხელმარჯვნივ ახალგაზრდა გუბერნატორი, მეფის ამალის გენერალი ეჯდა. იგი იყო ყველასთვის გუბერნიის ბატონ-პატრონი, რომელმაც საზეიმოდ გახსნა არჩევნები, სიტყვა წარმოთქვა და ამ სიტყვით, როგორც რწმუნდებოდა ვრონსკი, ბევრში მონური მორჩილება და პატივისცემა აღძრა; ვრონსკისთვის კი იგი კატკა მასლოვი იყო, როგორც ეძახდნენ პაჟთა კორპუსში, რომელიც ყოველთვის კრთებოდა მის წინაშე და რომლის mettre à son aise[85]-ს ცდილობდა ვრონსკი. მარცხნივ ნევედოვსკი ეჯდა თავისი ჭაბუკური, შეუდრეკელი და გესლიანი სახით. მას ვრონსკი უბრალოდ და პატივისცემით ეპყრობოდა.

სვიაჟსკიმ იოლად გადაიტანა მარცხი. ეს არც ყოფილა მისთვის მარცხი, როგორც სადღეგრძელოში უთხრა ნევედოვსკის: უკეთეს წინამძღოლს ვერც იპოვიდნენ იმ ახალი მიმართულებისთვის, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა თავადაზნაურობა. ამიტომაც ყველა პატიოსანი ადამიანი, როგორც მან თქვა, დღევანდელი წარმატების მხარეზე იყო და ზეიმობდა.

სტეპან არკადიჩიც მოხარული გახლდათ, რომ ასე ჩინებულად გაატარა დრო და ყველა კმაყოფილი იყო. ამ მშვენიერ სადილზე სტუმრები იხსენებდნენ ეპიზოდებს არჩევნებიდან. სვიაჟსკი სასაცილოდ იმეორებდა წინამძღოლის ცრემლნარევ სიტყვას და ეუბნებოდა ნევედოვსკის: თქვენი აღმატებულებისთვის საჭირო იქნება აირჩიოთ სხვა, ცრემლებზე უფრო რთული ხერხი თანხების შესამოწმებლადო. მეორე ოხუნჯი აზნაური ჰყვებოდა, გუბერნიის წინამძღოლმა როგორ გამოიწერა მეჯლისისთვის წინდებში გამოწყობილი ლაქიები და ახლა როგორ გაგზავნიან მათ უკან, თუკი გუბერნიის ახალი წინამძღოლი არ მოისურვებს მეჯლისის გამართვას წინდებიანი ლაქიებით.

სადილზე განუწყვეტლივ მიმართავდნენ ნევედოვსკის და ეუბნებოდნენ: „ჩვენო გუბერნიის წინამძღოლო“, „თქვენო აღმატებულებავ“.

ამას ისეთივე სიამოვნებით ეუბნებოდნენ, როგორც

ახალგაზრდა ქალს ეტყვიან madame და ქმრის გვარით მოიხსენიებენ. ნევედოვსკის თავი ისე ეჭირა, თითქოს გულგრილად უყურებდა კი არა, ეზიზღებოდა კიდეც ამგვარი მიმართვა. მაგრამ, ეტყობოდა, ბედნიერად გრძნობდა თავს და მაგრად ეჭირა ლაგამი, რათა ამ ახალი ლიბერალური წრისთვის შეუფერებელი აღტაცება არ გამოემჟღავნებინა.

სადილის შემდეგ გაგზავნილ იქნა რამდენიმე დეპეშა იმ პირებთან, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ არჩევნების შედეგებით. სტეპან არკადიჩმაც, რაკი მეტისმეტად მხიარულად გრძნობდა თავს, ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა დარია ალექსანდროვნას: „არჩეულ იქნა ნევედოვსკი, თორმეტი კენჭით. გილოცავ: გადაეცი“. მან ხმამაღლა უკარნახა ეს დეპეშა და დასძინა, უნდა გავახარო ისინიო. დარია ალექსანდროვნამ კი დეპეშა რომ მიიღო, მხოლოდ ამოიოხრა დეპეშაში გადახდილი მანეთისთვის და მიხვდა, რომ ეს ნასადილევს მოხდებოდა. იცოდა, სტივას ჩვეულებად ჰქონდა „faire jouer le télègraphe“.[86]

ყველაფერი, მშვენიერ სადილსა და ღვინოებთან ერთად, რომელიც რუსი ღვინის ვაჭრებისაგან კი არ იყო ნაყიდი, არამედ პირდაპირ საზღვარგარეთიდან გამოწერილი, ძალიან კეთილშობილური, უბრალო და მხიარული იყო. სვიაჟსკის მიერ შერჩეული ოცი კაცისაგან შემდგარი წრე, ყველა თანამოაზრე, ლიბერალი და ახალი მოღვაწე, ამასთან, პატიოსანი და გონებამახვილი ადამიანები იყვნენ. დალიეს სადღეგრძელოები ახალი გუბერნიის წინამძღოლისაც, გუბერნატორისაც, ბანკის დირექტორისაც, „ჩვენი საყვარელი მასპინძლისაც“ და ეს სადღეგრძელოები ათასნაირი ხუმრობით შეამკეს.

ვრონსკი კმაყოფილი იყო. არაფრით ელოდა ასეთ სასიამოვნო ტონს პროვინციაში.

ნასადილევს კიდევ უფრო გამხიარულდა ყველა. გუბერნატორმა სთხოვა ვრონსკის, დასწრებოდა ძმათა სასარგებლოდ გამართულ კონცერტს, რომელსაც მისი მეუღლე ხელმძღვანელობდა და რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა, გასცნობოდა ვრონსკის.

– მეჯლისიც გაიმართება, ჩვენს ლამაზმანებსაც გიჩვენებთ, ერთი სიტყვით, შესანიშნავი იქნება.

– Not in my line,[87] – უპასუხა ვრონსკიმ, რომელსაც ეს

გამოთქმა უყვარდა, მაგრამ გაიღიმა და დაჰპირდა მისვლას.

სწორედ იმ დროს, როცა სასადილოდან გამოვიდნენ და ყველამ პაპიროსი გააბოლა, ოთახში ვრონსკის კამერდინერი შემოვიდა და ლანგრით წერილი მიართვა ვრონსკის.

– ვოზდვიჟენსკოედან გახლავთ, შიკრიკის ხელით, – მნიშვნელოვანი გამომეტყველებით მოახსენა მან.

– საოცარია, როგორ ჰგავს პროკურორის ამხანაგ სვეტნიცკის, – ფრანგულად თქვა ერთმა სტუმართაგანმა კამერდინერის შესახებ სწორედ იმ დროს, როცა ვრონსკი მოღუშული კითხულობდა წერილს.

წერილი ანასგან იყო. ვრონსკიმ წაკითხვამდე იცოდა მისი შინაარსი. იმედი ჰქონდა, არჩევნები ხუთ დღეში დამთავრდებოდა და პარასკევს დაჰპირდა ჩასვლას, დღეს უკვე პარასკევი იყო და იცოდა, წერილში საყვედური იქნებოდა, რომ დროზე არ ჩავიდა. გუშინ საღამოს გაგზავნილი წერილი, ალბათ, ჯერ არ ჰქონდა მიღებული.

წერილი ემთხვეოდა ვრონსკის ვარაუდს, მაგრამ ფორმა მეტად მოულოდნელი და უსიამოვნო იყო. „ანი ძალიან ავად არის. ექიმი ამბობს, შეიძლება ანთება იყოსო. მე მარტო თავგზა მეკარგება. თავადის ასული ვარვარა ხელის შემშლელი უფროა, ვიდრე დამხმარე. გელოდებოდი გუშინწინ, გუშინ, დღეს კი გიგზავნი კაცს ამბის გასაგებად, თუ სადა ხარ ან რა დაგემართა? მე თვითონ ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ გადავიფიქრე, ვიცოდი, არ გესიამოვნებოდა. შემატყობინე პასუხი, რათა ვიცოდე, როგორ მოვიქცე“.

„ბავშვი ავად არის, თვითონ კი წამოსვლას აპირებდა. შვილი ავად ჰყავს და ასეთ გაბოროტებულ წერილს იწერება“.

ვრონსკი გააოცა წინააღმდეგობამ, რომელიც ამ გულუბრყვილო მხიარულებასა და იმ მწუხარე, მძიმე სიყვარულს შორის არსებობდა, რომელსაც კვლავ უნდა დაჰბრუნებოდა, მაგრამ წასვლა აუცილებელი იყო და ვრონსკიც იმავე ღამეს, პირველი მატარებლით გაემგზავრა შინ.

XXXII

ვრონსკის არჩევნებზე წასვლის წინ ანამ გადაწყვიტა, გულდამშვიდებით შეხვედროდა ამ განშორებას, რადგან იცოდა, რომ სცენები, რომლებიც ყოველ მის წასვლაზე მეორდებოდა, კიდევ უფრო უცივებდნენ ვრონსკის გულს: მაგრამ მისმა გულცივმა, მკაცრმა გამომეტყველებამ, როცა წასვლა განუცხადა, შეურაცხყო იგი და ვრონსკი ჯერ წასულიც არ იყო, რომ ანას უკვე დაეკარგა სიმშვიდე.

შემდეგ, მარტოდ დარჩენილი, როცა ამ გამოხედვას გაიხსენებდა, რომელშიც თავისუფლების სურვილი ეწერა, ყოველთვის ერთ დასკვნამდე მიდიოდა, რომ იგი დამცირებული იყო. „მას უფლება აქვს წავიდეს, როცა უნდა და სადაც უნდა. არა მარტო წავიდეს, მიმატოვოს კიდეც. მას ყოველნაირი უფლება აქვს, მე კი არავითარი. მაგრამ რაკი იცის ეს, აღარ უნდა მომქცეოდა ასე. მაინც რა ჩაიდინა ასეთი?.. გულცივად, მკაცრად შემომხედა. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილი და დადასტურებული არ არის, მაგრამ წინათ არ ყოფილა ასე და ეს გამოხედვა ბევრს ნიშნავს, – ფიქრობდა იგი, – ეს მომასწავებელია იმისა, რომ იწყება გულის გაცივება“.

და მართალია, ანა დარწმუნებული იყო, რომ იწყებოდა გულის გაცივება, მაგრამ მაინც ვერაფერი ეღონა, მაინც არ შეეძლო შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ვრონსკისადმი. ახლაც, ზუსტად ისევე, როგორც წინათ, მხოლოდ სიყვარულითა და თავისი მომხიბვლელობით შეეძლო მისი დაკავება. ახლაც, ისევე როგორც წინათ, დღისით წიგნების კითხვითა და ღამე მორფით შეეძლო ჩაეხშო საშინელი ფიქრები, რა დაემართებოდა მას, თუ ვრონსკის აღარ ეყვარებოდა. თუმცა იყო კიდევ ერთი საშუალება: არ დაეკავებინა იგი – ამისთვის ანას არაფერი სჭირდებოდა, გარდა მისი სიყვარულისა, – მის ახლოს ყოფილიყო, ჩაეყენებინა ისეთ მდგომარეობაში, რომ ვრონსკის ვეღარ მიეტოვებინა. ეს საშუალება იყო განქორწინება და ჯვრის დაწერა. და ახლა ანას უკვე სურდა განქორწინება. გადაწყვიტა, პირველივე შემთხვევაში, როგორც კი ვრონსკი ან სტივა რამეს ეტყოდნენ ამაზე, მაშინვე დათანხმებულიყო.

ასეთ ფიქრებში გაიარა ხუთმა დღემ, იმ ხუთმა დღემ, რომელიც ვრონსკის სხვაგან უნდა გაეტარებინა.

სეირნობა, საუბარი თავადის ასულ ვარვარასთან, საავადმყოფოს დათვალიერება და უმთავრესად კითხვა, გაუთავებელი კითხვა წიგნებისა – იყო ანას ერთადერთი გასართობი. მაგრამ მეექვსე დღეს, როცა მეეტლე ცარიელი ეტლით დაბრუნდა, იგრძნო, რომ უკვე არაფრით არ ძალუძს ჩაახშოს ფიქრი ვრონსკიზე, თუ რას აკეთებს იგი ქალაქში. სწორედ ამ დროს ბავშვიც შეუძლოდ შეიქნა. ანა შეუდგა მის მოვლას, მაგრამ მაინც ვერ გადააყოლა გული, მით უმეტეს, რომ ავადმყოფობა საშიში არ იყო. რანაირად არ ეცადა ანა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამ ბავშვის შეყვარება, თვალთმაქცობა სიყვარულში კი არ შეეძლო. იმ დღეს, იმ საღამოს მარტოდ დარჩენილ ანას ისეთი შიში დაეუფლა ვრონსკის გამო, რომ გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო ქალაქში. მაგრამ შემდეგ, როცა კარგად დაფიქრდა, ის წინააღმდეგობით აღსავსე წერილი დაწერა, რომელიც მიიღო ვრონსკიმ, და არც გადაუკითხავს, ისე გაგზავნა შიკრიკის ხელით. მეორე დილით ანამ ვრონსკის წერილი მიიღო და ინანა წერილის გაგზავნა. შეძრწუნებული ელოდა კვლავ იმავე მკაცრ გამოხედვას, წასვლისას რომ იხილა, მით უმეტეს, როცა შეიტყობდა, რომ ბავშვი სერიოზულად არ ყოფილა ავად. მაგრამ მაინც უხაროდა, რომ მისწერა წერილი. ახლა ანა დარწმუნებული იყო, რომ ვრონსკის უმძიმს მასთან ყოფნა, რომ სინანულით ტოვებს თავის თავისუფლებას, რათა დაუბრუნდეს მას. მაგრამ მაინც ახარებდა ვრონსკის ჩამოსვლა. დაე, უმძიმდეს, მაგრამ მაინც აქ იყოს, მასთან, რომ ანა ხედავდეს მას, იცოდეს ყოველი მისი ნაბიჯი.

ანა სასტუმრო ოთახში იჯდა, ლამპასთან, ტენის ახალ წიგნს კითხულობდა, თან გარეთ ქარის ხმაურს უგდებდა ყურს და ყოველ წუთს ეტლის მოსვლას ელოდა. რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ ყური მოჰკრა თვლების ხმაურს, მაგრამ მოტყუვდა; ბოლოს არათუ თვლების ხმაური, მეეტლის შეძახილიც გაიგონა, როცა ეტლი დახურულ სადარბაზო კართან შეჩერდა. თვით თავადის ასულმა ვარვარამაც, რომელიც პასიანსით ერთობოდა, დაადასტურა ეს.

წამოწითლებული ანა ფეხზე წამოდგა და ნაცვლად იმისა, ქვევით ჩასულიყო, როგორც ამას წინათ ჩავიდა ორჯერ, ადგილზევე შეჩერდა. მოულოდნელად სირცხვილი იგრძნო თავისი სიცრუის გამო და კიდევ უფრო მეტად შიში იმისა, თუ როგორ შეხვდებოდა ვრონსკი. შეურაცხყოფის გრძნობამ უკვე გაიარა, ახლა მხოლოდ მისი უკმაყოფილო გამომეტყველებისა

ეშინოდა. გაახსენდა, რომ ბავშვი მეორე დღეა, კარგად იყო. თითქოს ეწყინა კიდეც, რომ სწორედ მაშინ გახდა კარგად, როცა წერილი გაგზავნა. შემდეგ თვით ვრონსკი გაახსენდა, რომ იგი აქ იყო მთლიანად, ხელებით, თვალებით, გაიგონა კიდეც მისი ხმა, და ანას გადაავიწყდა ყველაფერი, გახარებული გაიქცა შესაგებებლად.

– ანი როგორ არის? – შიშით ჰკითხა ქვევიდან ვრონსკიმ, როცა დაინახა ანა, რომელიც მისკენ მორბოდა.

ვრონსკი სკამზე იჯდა და მსახური თბილ ფეხსაცმელს ხდიდა.

– არა უშავს, უკეთ არის.

– შენ როგორღა ხარ? – ჰკითხა ვრონსკიმ და ტანისამოსი გაიბერტყა.

ანამ ორივე ხელი მოჰკიდა მის ხელს, წელთან მიიტანა, თან თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა სახეში.

– დიდად მოხარული ვარ! – თქვა მან და ცივად შეხედა ანას, მის ვარცხნილობას, კაბას, რომელიც იცოდა, რომ მისი გულისთვის ჩაიცვა.

ყველაფერი ეს მოსწონდა ვრონსკის, მაგრამ უკვე მერამდენედ მოსწონდა! და მის სახეზე სწორედ ის მკაცრი გამომეტყველება აღიბეჭდა, რისიც ასე ეშინოდა ანას.

– მაშ, მე დიდად მოხარული ვარ! შენ ხომ კარგად ხარ? – უთხრა მან, დასველებული წვერი ცხვირსახოცით გაიწმინდა და ხელზე აკოცა.

„სულერთია, – ფიქრობდა ანა, – ოღონდაც აქ იყოს და როცა აქ იქნება, არ შეუძლია, ვერ გაბედავს, არ ვუყვარდე“.

საღამომ ბედნიერად და მხიარულად ჩაიარა თავადის ასულ ვარვარას თანდასწრებით, რომელმაც შესჩივლა ვრონსკის, შენს აქ არყოფნისას ანა მორფს იღებდაო.

– რა მექნა? ძილი არ მეკარებოდა... ფიქრები არ მაძინებდა. როცა აქ არის, არასოდეს ვიღებ მორფს, თითქმის არასოდეს!

ვრონსკიმ მოუთხრო არჩევნების ამბავი და ანამ შეძლო კითხვების საშუალებით ეთქმევინებინა ის, რაც ყველაზე მეტად ახალისებდა – ეთქმევინებინა მისი წარმატების ამბავი.

ანამ უამბო ყველაფერი, რაც ვრონსკის სახლის შესახებ აინტერესებდა. და მისი ნაამბობი მეტად სასიამოვნო იყო.

მაგრამ გვიან ღამით, როცა მარტონი დარჩნენ და ანამ იგრძნო, რომ კვლავ სავსებით დაეუფლა მას, შეეცადა გაექარწყლებინა წერილის მძიმე შთაბეჭდილება და უთხრა: – გამოტყდი, რომ შენთვის სასიამოვნო არ იყო წერილის მიღება და არ დაიჯერე, რაც წერილში ეწერა?

და როგორც კი ეს თქვა, მიხვდა, რომ მართალია, ახლა ვრონსკი მისი სიყვარულით იყო აღსავსე, მაგრამ მაინც ვერ ეპატიებინა ეს.

– ჰო, – უთხრა ვრონსკიმ, – ისეთი უცნაური წერილი იყო. ხან ანი იყო ავად, ხან შენ თვითონ აპირებდი ჩამოსვლას.

– ყველაფერი ეს სიმართლე იყო.

– მე არც შემპარვია ეჭვი.

– არა, შენ არ გჯერა ეს, შენ უკმაყოფილო ხარ, მე ვხედავ ამას.

– არც ერთი წუთით. მე მხოლოდ იმით ვარ უკმაყოფილო, რომ შენ არ გინდა გაითვალისწინო, რომ არსებობს მოვალეობა...

– მოვალეობა კონცერტზე წასვლისა...

– ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, – უთხრა ვრონსკიმ.

– რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ? – ჰკითხა ანამ.

– მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ შეიძლება გამოჩნდეს აუცილებელი საქმე. აი, ახლა ჩემთვის საჭირო იქნება მოსკოვში წასვლა სახლის თაობაზე... ოჰ, ანა, ასე რატომ ბრაზობ? განა არ იცი, რომ მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია?

– თუ ეს ასეა, – უეცრად შეცვლილი ხმით თქვა ანამ, – თუ შენ გიმძიმს ასეთი ცხოვრება... თუ შენ ასე ერთი დღით ჩამოხვალ და წახვალ, როგორც იქცევიან ხოლმე...

– ანა, ეს საშინელებაა. მე მზად ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე შემოგწირო...

მაგრამ ანა ყურს აღარ უგდებდა.

– თუ შენ წახვალ მოსკოვში, მაშინ მეც წამოვალ. მე აღარ

დავრჩები აქ. ჩვენ ან უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ან ერთად უნდა ვიყოთ.

– შენ ხომ იცი, რომ ეს ჩემი ერთადერთი სურვილია, მაგრამ ამისთვის...

– განქორწინებაა საჭირო? მე მივწერ მას წერილს. ვგრძნობ, რომ ამგვარი ცხოვრება აღარ შემიძლია... მაგრამ მოსკოვში კი წამოვალ შენთან ერთად!

– თითქოს მაშინებ ამით. არაფერი ისე არა მსურს, როგორც განუშორებლად შენთან ყოფნა, – ღიმილით უთხრა ვრონსკიმ.

მაგრამ, როცა ვრონსკი ამ უნაზეს სიტყვებს ამბობდა, მის თვალებში არათუ ცივმა, არამედ დევნილი და განრისხებული ადამიანის ბოროტმა მზერამ გაიელვა.

ანამ შენიშნა ეს და სწორად ამოიცნო კიდეც ამის მნიშვნელობა.

„თუ ეს ასეა, მაშინ ეს უბედურებაა!“ – ამბობდა ვრონსკის თვალები. თუმცა ეს მხოლოდ წუთიერი შთაბეჭდილება იყო, მაგრამ ანას აღარასოდეს დავიწყებია.

ანამ მისწერა ქმარს წერილი, განქორწინება მოითხოვა, თავადის ასულ ვარვარასაც გამოეთხოვა, რომელიც პეტერბურგში წასვლას აპირებდა, და ნოემბრის ბოლოს ვრონსკისთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. მოსკოვში ანა და ვრონსკი ერთად ცხოვრობდნენ, როგორც ცოლსა და ქმარს შეეფერება, ყოველდღე ელოდნენ ალექსეი ალექსანდროვიჩის პასუხს და მასთან ერთად განქორწინებას.

ნაწილი მეშვიდე

I

მესამე თვე იყო, რაც ლევინები მოსკოვში ცხოვრობდნენ. დიდი ხანია განვლო იმ ვადამ, როცა ამ საქმის მცოდნეთა უაღრესად ზუსტი ანგარიშით კიტის უნდა მოელოგინებინა; კიტი კი ისევ ფეხმძიმედ იყო და არაფერზე ემჩნეოდა, რომ ეს ვადა უფრო მოახლოებული იყო, ვიდრე ამ ორი თვის წინ. ექიმი, ბებიაქალი, დოლი, დედა და განსაკუთრებით ლევინი, რომელთაც შეძრწუნების გარეშე არ შეეძლოთ ფიქრი, თუ რა იყო მოსალოდნელი, უკვე მოთმინებას კარგავდნენ და შფოთავდნენ ამის გამო. მხოლოდ კიტი გრძნობდა თავს სრულიად მშვიდად და ბედნიერად.

კიტიმ ახლა ნათლად იგრძნო, რომ მასში ჩაისახა სიყვარულის ახალი გრძნობა მომავალი ბავშვისადმი, რომელიც ნაწილობრივ უკვე სინამდვილედ ქცეულიყო მისთვის და ნეტარებდა გრძნობით. იგი უკვე მთლიანად დედის ნაწილი აღარ იყო და ხანდახან თავისი დამოუკიდებელი სიცოცხლით ცოცხლობდა. ხშირად ეს მტკივნეულიც იყო კიტისთვის, მაგრამ ამასთან ერთად სიცილი უნდოდა ამ უცნაური ახალი სიხარულისაგან.

ყველა, ვინც უყვარდა კიტის, მის ახლოს ტრიალებდა. ყველანი ისეთი გულისხმიერნი იყვნენ, ისე ელოლიავებოდნენ და ყველაფერში იმდენ სიამოვნებას ხედავდა, ამაზე უკეთესს და სასიამოვნო ცხოვრებას ვეღარც ინატრებდა, რომ არ სცოდნოდა, ყოველივე ამას მალე უნდა მოღებოდა ბოლო. მხოლოდ ერთი რამ ჩრდილავდა ამ ცხოვრების მშვენიერებას: მისი ქმარი ისეთი აღარ იყო, როგორიც მას უყვარდა და როგორიც სოფელში ახსოვდა.

კიტის უყვარდა მისი მშვიდი, ალერსიანი და სტუმართმოყვარე ტონი სოფელში. ქალაქში კი ყოველთვის შეშფოთებული და გაჯავრებული იყო, თითქოს ეშინოდა, ვინმეს შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მისთვის და, რაც მთავარია, კიტისთვის. იქ, სოფელში, ლევინი, ეტყობა, გრძნობდა, რომ თავის ადგილას იყო, არსად ჩქარობდა, თითქოს ეშინოდა, არაფერი გამოჰპარვოდა, საქმე კი არაფერი ჰქონდა. და კიტის ებრალებოდა ქმარი. მან იცოდა, რომ სხვების თვალში ლევინი სულაც არ გამოიყურებოდა შესაბრალისად. პირიქით, როცა საზოგადოებაში უყურებდა მას, როგორც უყურებენ ხოლმე საყვარელ ადამიანს და ცდილობენ უცხო თვალით შეხედონ, რათა ამოიცნონ, რა შთაბეჭდილებას ახდენს სხვებზე, კიტი ხედავდა და ეს აღიზიანებდა კიდეც მის ეჭვიანობას, რომ

არათუ შესაბრალისი, ძალიან სასიამოვნოც კი იყო თავისი წესიერი ქცევით, რამდენადმე ძველებური, მოკრძალებული თავაზიანობით ქალებთან, თავისი წარმოსადეგობით, და როგორც კიტის ეჩვენებოდა, განსაკუთრებით მეტყველი სახით. მაგრამ კიტი გარეგნულად კი არა, შინაგანად ხედავდა ამას. ხედავდა, რომ აქ იგი არ იყო ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა, სხვანაირად ვერ განსაზღვრავდა მის მდგომარეობას და ზოგჯერ გულში კიდეც კიცხავდა, რომ არ შეეძლო ქალაქში ცხოვრება. ზოგჯერ კი თვითონაც აღიარებდა, ლევინისთვის მართლაც ძნელია აქ იმგვარად მოაწყოს თავისი ცხოვრება, რომ კმაყოფილი იყოსო.

მართლაც, რა უნდა ეკეთებინა აქ ლევინს? ბანქოს თამაში არ უყვარდა, კლუბში არ დადიოდა. ობლონსკისთანა მხიარულ მამაკაცებთან სიარული კიტიმ ახლა უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა... უნდა დაელიათ და დალევის შემდეგ კი სადღაც წასულიყვნენ. კიტის შეძრწუნების გარეშე არ შეეძლო იმაზე ფიქრი, სად დადიან ასეთ შემთხვევაში მამაკაცები. იაროს მაღალ საზოგადოებაში? მაგრამ ამას ხომ თან ახლავს სიამოვნება ახალგაზრდა ქალებთან დაახლოებისა! და კიტის არ შეეძლო ესურვა ეს. იჯდეს სახლში ცოლთან, სიდედრსა და ცოლისდასთან ერთად? მაგრამ რაც უნდა სასიამოვნო და სახალისო ყოფილიყო კიტისთვის ეს ერთი და იგივე საუბარი, ეს „მიეთმოეთი“, როგორც უწოდებდა დების საუბარს მოხუცი თავადი, იცოდა, რომ ლევინისთვის ეს მოსაწყენი იქნებოდა. მაშ, რაღა უნდა ეკეთებინა? განეგრძო თავისი წიგნის წერა? ლევინი კიდეც ცდილობდა ამას, დადიოდა ბიბლიოთეკაში, ამონაწერებსა და ცნობებს აგროვებდა წიგნისთვის. მაგრამ, როგორც კიტისაც ეუბნებოდა, რაც უფრო ნაკლებ საქმეს აკეთებდა, მით ცოტა დრო რჩებოდა. გარდა ამისა, როგორც შესჩიოდა კიტისაც, მეტისმეტად ბევრი ილაპარაკა თავის წიგნზე, ამიტომაც აზრები სულ ერთმანეთში აერია და ინტერესიც დაკარგა.

ერთადერთი სიკეთე ქალაქად ცხოვრებისა ის იყო, რომ აქ, ქალაქში, არასოდეს მოსდიოდათ ჩხუბი. შეიძლება იმიტომ, რომ ქალაქად ცხოვრების პირობები სულ სხვაგვარი იყო, ან შეიძლება იმიტომ, რომ ორივე ფრთხილი და კეთილგონიერი შეიქნა ამ მხრივ, მაგრამ მოსკოვში მათ აღარასოდეს ჰქონიათ უსიამოვნება ეჭვიანობის გამო, რისიც ასე ეშინოდა ორივეს ქალაქში გადმოსვლისას.

ამ მხრივ აქ ერთი, ორივესთვის ფრიად მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა, სახელდობრ, კიტის შეხვედრა ვრონსკისთან.

მოხუც თავადის მეუღლეს, მარია ბორისოვნას, კიტის ნათლიას, ყოველთვის უყვარდა კიტი და ახლა მისი ნახვა მოისურვა. კიტი, რომელიც თავისი მდგომარეობის გამო არსად დადიოდა, მამასთან ერთად ესტუმრა პატივსაცემ მოხუცს და იქ შეხვდა ვრონსკის.

ამ შეხვედრის დროს კიტის მხოლოდ ის შეეძლო ესაყვედურა თავისი თავისთვის, რომ ერთი წამით, როცა სამოქალაქო ტანსაცმელში მისთვის ოდესღაც ესოდენ ნაცნობი სახის ნაკვთები შეიცნო, სუნთქვა შეეკრა, სისხლი გულზე მოაწვა და იგრძნო, როგორ მოედო სახეზე სიწითლე. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მამა განზრახ ხმამაღლა გამოელაპარაკა ვრონსკის და ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა საუბარი, რომ კიტი უკვე სავსებით მზად იყო შეეხედა ვრონსკისთვის, დალაპარაკებოდა კიდეც, თუ ეს საჭირო იქნებოდა, სწორედ ისევე, როგორც ელაპარაკებოდა მარია ბორისოვნას და, რაც მთავარია, ისე, რომ ყოველი მისი ინტონაცია და ღიმილი მოსაწონი ყოფილიყო ქმრისთვის, რომლის აქ ყოფნასაც თითქოს უხილავად გრძნობდა ამ წუთში.

კიტი რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა ვრონსკის, მშვიდად გაიღიმა კიდეც, როცა ვრონსკიმ ხუმრობით არჩევნებს „ჩვენი პარლამენტი“ უწოდა (გაღიმება საჭირო იყო, რათა ეჩვენებინა, ხუმრობა მეც გავიგეო), მაგრამ მაშინვე თავადის ქალ მარია ბორისოვნასკენ მიბრუნდა და ერთხელაც აღარ შეუხედავს მისთვის, სანამ ვრონსკი გამოსამშვიდობებლად არ წამოდგა; მაშინ კი შეხედა კიტიმ, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ უზრდელობაა, არ შეხედო ადამიანს, როცა გემშვიდობება.

კიტი მადლიერი იყო მამისა, რომ არაფერი უთხრა ამ შეხვედრაზე. მაგრამ დარბაზობის შემდეგ, ჩვეულებრივი სეირნობის დროს, ისეთი განსაკუთრებული სიყვარულით ექცეოდა, რომ კიტი მიხვდა, მამა კმაყოფილი იყო მისით. კიტი თვითონაც კმაყოფილი იყო თავისი თავით. არაფრით ელოდა, რომ აღმოაჩნდებოდა იმდენი ძალა, დაეოკებინა სადღაც სულის სიღრმეში ჩარჩენილი მოგონებები ძველი გრძნობისა ვრონსკისადმი და არა მხოლოდ სხვის დასანახავად, არამედ ნამდვილად სრულიად გულგრილად და დამშვიდებით შეხვედროდა.

ლევინი კიტიზე უფრო მეტად გაწითლდა, როცა კიტიმ უთხრა, მარია ბორისოვნასთან ვრონსკის შევხვდიო. კიტისთვის ძალიან ძნელი იყო ამის მოყოლა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი შეიქნა დაწვრილებით აღწერა შეხვედრისა, რადგან ქმარი არაფერს ეკითხებოდა და მხოლოდ მოღუშული შესცქეროდა.

– ძლიერ ვნანობ, რომ შენ არ იყავი იქ... – უთხრა კიტიმ, – ოთახში კი არა... შენი თანდასწრებით ისეთი ბუნებრივი ვერ ვიქნებოდი... ახლა ბევრად, ბევრად მეტად ვწითლდები, – უთხრა კიტიმ და ისე გაწითლდა, რომ ატირებას აღარაფერი უკლდა, – ჭუჭრუტანიდან რომ გეყურებინა ჩემთვის...

მის ალალ-მართალ თვალებში ლევინმა დაინახა, რომ კიტი კმაყოფილი იყო თავისი თავით და მართალია, წითლდებოდა, მაგრამ ლევინი მაშინვე დამშვიდდა და ყველაფერი გამოჰკითხა ცოლს. კიტისაც სწორედ ეს უნდოდა. როცა ლევინმა ყველაფერი შეიტყო, ისიც კი, რომ პირველ წუთს კიტიმ ვერ შეძლო დაეფარა სიწითლე, შემდეგ კი ისე უბრალოდ, მშვიდად იგრძნო თავი, როგორც პირველად შეხვედრილ ადამიანთან, ლევინი სავსებით გამხიარულდა და უთხრა, დიდად მოხარული ვარ და ახლა უკვე აღარ მოვიქცევი ისე სულელურად, როგორც არჩევნების დროს მოვიქეციო. ახლა შევეცდები პირველი შეხვედრისთანავე მეგობრული დამოკიდებულება ვიქონიოო ვრონსკისთან.

– ძალიან ცუდია იმის ფიქრი, რომ არსებობს ადამიანი, თითქმის მტერი, რომელთანაც გიმძიმს შეხვედრა, – უთხრა ლევინმა, – მე დიდად, დიდად მოხარული ვარ!

II

– მაშ, შეიარე, გეთაყვა, ბოლებთან, – უთხრა კიტიმ ქმარს, როცა იგი თერთმეტი საათისთვის, სახლიდან წასვლის წინ, ცოლთან შევიდა, – მე ვიცი, რომ შენ კლუბში ისადილებ, მამამ ჩაგწერა ამ დილით. რა საქმე გაქვს?

– მე მხოლოდ კატავასოვთან მინდა მივიდე, – უპასუხა

ლევინმა.

– მერე ასე ადრე რატომ მიდიხარ?

– კატავასოვი შემპირდა, რომ გამაცნობს მეტროვს. მინდა მას მოველაპარაკო ჩემი ნაშრომის შესახებ. იგი ცნობილი პეტერბურგელი მეცნიერია, – უთხრა ლევინმა.

– ჰო, შენ, მგონი, მის სტატიას აქებდი? მერე სად აპირებ წასვლას?

– შეიძლება სასამართლოში შევიარო ჩემი დის საქმეზე.

– კონცერტზე არ წახვალ? – ჰკითხა კიტიმ.

– მარტო ხომ არ წავალ?

– არა, წადი; იქ რაღაც ახალს გადმოსცემენ... ეს შენ ძალიან გაინტერესებდა. მე აუცილებლად წავიდოდი...

– ყოველ შემთხვევაში, სადილის წინ შინ შემოვივლი, – უთხრა ლევინმა და საათზე დაიხედა.

– ბარემ სერთუკი ჩაიცვი, რომ იქიდან გრაფინია ბოლთანაც შეიარო.

– განა ეს აუცილებლად საჭიროა?

– ოჰ, ეს აუცილებელია! გრაფი იყო ჩვენთან. აბა, რა დიდი საქმეა? მიხვალ, დაჯდები, ხუთიოდე წუთს ილაპარაკებ ამინდზე, მერე ადგები და წამოხვალ.

– შენ არ დამიჯერებ, ისე გადავეჩვიე ამას, მრცხვენია კიდეც. აბა, რა არის ეს? მოვიდა უცხო კაცი, დაჯდა, იჯდა სრულიად უსაქმოდ, იმათაც ხელი შეუშალა, თვითონაც გუნება გაიფუჭა, მერე ადგა და წავიდა.

კიტიმ გაიცინა.

– ცოლის შერთვამდე ხომ დადიოდი სადარბაზოდ? – უთხრა კიტიმ.

– დავდიოდი, მაგრამ ყოველთვის მრცხვენოდა. ახლა კი ისე გადავეჩვიე, რომ, ღმერთმანი, ორი დღე უსადილოდ ყოფნა მირჩევნია სადარბაზოდ მისვლას. ისე მრცხვენია, სულ მგონია, რომ ეწყინებათ და მეტყვიან, რატომ მოხვედი უსაქმოდო?

– არა, არ ეწყინებათ, ამაზე მე ვიქნები პასუხისმგებელი, – უთხრა კიტიმ და სიცილით შეხედა სახეში, შემდეგ ხელი მოჰკიდა მის ხელს, – მაშ, მშვიდობით... შეიარე, გეთაყვა.

ლევინმა ცოლს ხელზე აკოცა და წასვლა დააპირა, მაგრამ კიტიმ ისევ შეაჩერა.

– კოსტია, შენ იცი, მხოლოდ ორმოცდაათი მანეთი მრჩება.

– მერე რა, ბანკში შევივლი და გამოვიტან. რამდენი გინდა? – უთხრა და სახეზე კიტისთვის ნაცნობი უსიამოვნება აღებეჭდა.

– არა, მოიცადე, – და კიტიმ ხელი მოჰკიდა ლევინს, – მოვილაპარაკოთ, მე მაწუხებს ეს. მგონი, ზედმეტს არაფერში ვხარჯავ, ფული კი მიდის. რაღაცას ისე არ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა.

– სულაც არა, – უთხრა ლევინმა, ჩაახველა და ქვეშ-ქვეშ გახედა ცოლს.

კიტი იცნობდა ამ ჩახველებას. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იგი მეტისმეტად უკმაყოფილო იყო, მაგრამ არა ცოლით, არამედ თავისი თავით. ლევინი მართლაც უკმაყოფილო იყო, იმიტომ კი არა, რომ ბევრი ფული დაეხარჯა, არამედ ამან გაახსენა ის, რაც თვითონაც ახსოვდა, რომ მოსაწესრიგებელი ჰქონდა და რის დავიწყებასაც ცდილობდა.

– მე ვუბრძანე სოკოლოვს ხორბალი გაყიდოს და წისქვილის ფულიც წინასწარ აიღოს. ყოველ შემთხვევაში, ფული გვექნება.

– არა, მაგრამ მე მეშინია, რომ საერთოდ ბევრი....

– სულაც არა, სულაც არა, – გაიმეორა ლევინმა, – აბა, მშვიდობით იყავი, ჩემო ძვირფასო.

– არა, მართლა, მე ზოგჯერ ვნანობ, რომ დავუჯერე დედას. რა კარგად ვიქნებოდით სოფელში! აქ კი ყველანი გავაწვალე და ფულიც ბევრი იხარჯება.

– სულაც არა, სულაც არა. მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე, ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, მეთქვას, სხვანაირად უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ისე, როგორც არის-მეთქი...

– მართლა? – უთხრა კიტიმ და თვალებში შეხედა ქმარს.

ლევინმა დაუფიქრებლად თქვა ეს სიტყვები, ეს მხოლოდ კიტის დასამშვიდებლად თქვა, მაგრამ ახლა, როცა შეხედა ცოლს, დაინახა მისი საყვარელი, ალალ-მართალი თვალები, რომელნიც კითხვით მისჩერებოდნენ, უკვე მთელი სულითა და გულით გაიმეორა იგივე. „მე მართლაც ვივიწყებ მას“, – გაიფიქრა ლევინმა და გაიხსენა ის, რაც სულ მალე ელოდათ.

– მალე იქნება? შენ როგორ გრძნობ? – ჩურჩულით უთხრა და ხელი მოჰკიდა ცოლის ორივე ხელს.

– მე იმდენი ვიფიქრე ამაზე, რომ აღარაფერს ვფიქრობ და არც ვიცი.

– მერე არ გეშინია?

კიტიმ დამცინავად ჩაიცინა.

– ოდნავადაც არა, – უთხრა მან.

– თუ რამე იყოს, კატავასოვთან ვიქნები.

– არა, არაფერიც არ იქნება, ნურც იფიქრებ ამაზე. მე მამასთან ერთად ბულვარში გავალ სასეირნოდ. დოლისთანაც შევივლით. სადილის წინ გელოდებით. ჰო, მართლა! შენ იცი, დოლის მდგომარეობა ნამდვილად აუტანელი ხდება. მთლად ვალებშია ჩაფლული და ფულიც არა აქვს. ჩვენ გუშინ ველაპარაკეთ დედას და არსენის (ასე ეძახდა იგი თავისი დის – ლვოვას ქმარს) და გადავწყვიტეთ, შენ და ის მიგისიოთ სტივას. ეს უკვე ნამდვილად აუტანელია. მამასთან არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი... მაგრამ შენ და ის რომ...

– მერე რა შეგვიძლია ჩვენ? – უთხრა ლევინმა.

– ყოველ შემთხვევაში, შენ იქნები არსენისთან და მოელაპარაკე: ის გეტყვის, რაც გადავწყვიტეთ.

– არსენის მე წინასწარ ვეთანხმები ყველაფერში. მაშ, შევივლი მასთან. მართლა, კონცერტზე თუ წავედი, ნატალისთან ერთად წავალ. აბა, კარგად იყავი.

პარმაღთან ლევინი შეაჩერა კუზმამ, მისმა მსახურმა, რომელიც ჯერ კიდევ ცოლის შერთვამდე ემსახურებოდა და ახლაც მის საქალაქო მეურნეობას განაგებდა.

– ტურფა (ეს იყო სოფლიდან ჩამოყვანილი ცხენი, რომელიც

მარცხნივ ება ხოლმე ეტლში) ხელახლა დავჭედეთ, მაგრამ მაინც კოჭლობს, – უთხრა მან, – როგორ მოვიქცეთ?

პირველ ხანებში ლევინს სოფლიდან ჩამოყვანილი ცხენები ჰყავდა მოსკოვში. უნდოდა ეს საქმე რაც შეიძლება კარგად მოეწყო და იაფადაც დასჯდომოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკუთარი ცხენები დაქირავებულზე ძვირი ჯდებოდა, მეეტლეს კი მაინც ქირაობდნენ.

– ბეითალთან გაგზავნე კაცი. იქნებ დაბეგვილი აქვს.

– მერე კატერინა ალექსანდროვნა რითი წაბრძანდება? – ჰკითხა კუზმამ.

ლევინს მოსკოვში ცხოვრების პირველ ხანებში აოცებდა, რომ ვოზდვიჟენკიდან სივცევ ვრაჟეკზე გადასასვლელად საჭირო იყო მძიმე კარეტაში ორი ღონიერი ცხენი შეებათ, თოვლიან გზაზე მეოთხედი ვერსი გაევლოთ, შემდეგ იქ ოთხი საათი გაეჩერებინათ კარეტა და ამაში ხუთი მანეთი გადაეხადათ. ახლა ეს უკვე ბუნებრივად ეჩვენებოდა.

– უთხარი მეეტლეს, ცხენები მოიყვანოს და ჩვენს კარეტაში შეაბას.

– ბატონი ბრძანდებით.

ლევინმა ქალაქის პირობების წყალობით ასე უბრალოდ და იოლად გადაწყვიტა ის, რაც სოფელში იმდენ პირად შრომასა და ყურადღებას მოითხოვდა. პარმაღზე გამოვიდა, მეეტლეს დაუძახა, ეტლში ჩაჯდა და ნიკიტსკაიასკენ წავიდა. გზაში აღარ უფიქრია ფულზე. პეტერბურგელი მეცნიერის გაცნობაზე ოცნებობდა, თუ რას ეტყოდა იგი თავის წიგნზე.

ლევინი მოსკოვში ცხოვრების პირველ ხანებში გააოცა სოფლის მცხოვრებისთვის უცნაურმა, უსარგებლო, მაგრამ აუცილებელმა ხარჯებმა, რომელსაც ყოველი მხრიდან მოითხოვდნენ. ახლა კი უკვე შეეჩვია ამას. ამ შემთხვევაში მასაც იგივე დაემართა, რაც, როგორც ამბობენ, ლოთებს ემართებათ ხოლმე: პირველი ჭიქა ყელში ეჩხირება, მეორეს არა უშავს რა, მესამის შემდეგ კი ჭიქები ჩიტუნებივით მიფრინავენ. როცა ლევინმა პირველი ასმანეთიანი ქაღალდის ფული დააბურდავა მეკარისა და ლაქიისთვის ლივრეის საყიდლად, უნებლიეთ გაიფიქრა, ეს ლივრეა არავისთვის

საჭირო არ არისო, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ გაიკვირვეს ეს კიტიმ და თავადის მეუღლემ, როცა ლევინმა თქვა, უამისოდაც იოლად წავალთო, მიხვდა, რომ ლივრეა აუცილებელი იყო და ეს ღირდა ორ დაქირავებულ მუშად მთელი ზაფხულის განმავლობაში, ესე იგი სამასამდე სამუშაო დღედ შობიდან აღებამდე, ისე, რომ ყოველდღე განთიადიდან დაღამებამდე თავაუღებლად ემუშავა, – და ეს ასმანეთიანი ჯერ კიდევ ყელში ეჩხირებოდა. მაგრამ შემდეგმა ასმანეთიანმა, რომელიც ნათესავებისთვის გამართული სადილის სანოვაგისთვის დაახურდავა, რაც ოცდარვა მანეთი დაუჯდა, მართალია, გაახსენა, რომ ოცდარვა მანეთი ღირდა ცხრა საწყაო ქერი, რომელიც ტანჯვა-წვალებით გათიბეს, შეკონეს, გალეწეს, გაანიავეს, დათესეს და ორმოში ჩაყარეს, მაგრამ უფრო იოლად შეელია. ახლა კი დახურდავებული ასმანეთიანები აღარ აღუძრავდნენ ასეთ მოსაზრებებს და პაწაწინა ჩიტებივით მიფრინავდნენ. უკვე დიდი ხანია აღარ ფიქრობდა იმაზე, შეესაბამებოდა თუ არა ფულზე დახარჯული შრომა იმ სიამოვნებას, რასაც ამ ფულით ნაყიდი საგანი ანიჭებდა. დაივიწყა ისიც, რომ არსებობს სამეურნეო ანგარიში, რომლის მიხედვით დადგენილია გარკვეული ფასი, რაზე ნაკლებადაც არ შეიძლება გაიყიდოს ხორბალი ან ჭვავი, რის ფასსაც დიდხანს არ უკლებდა, მერე კი საწყაო ორმოცდაათი კაპიკით ნაკლებად გაყიდა, ვიდრე ერთი თვის წინ აძლევდნენ. უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმ ანგარიშსაც, რომ ამგვარი ხარჯებით ერთ წელიწადსაც ვერ გაიტანდა თავს უვალოდ. მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო: ჰქონოდა ბანკში ფული და ყოველდღე სცოდნოდა, რითი უნდა ეყიდა ხვალ ძროხის ხორცი. ეს ანგარიში კი დღემდე დაცული იყო. ყოველთვის ჰქონდა ბანკში ფული, მაგრამ ეს ფული ახლა უკვე დაიხარჯა და აღარ იცოდა, საიდან ეშოვა. სწორედ ამან ააღელვა ლევინი ერთი წუთით, როცა კიტიმ ფული გაახსენა; მაგრამ ახლა დრო არ ჰქონდა ამის მოსაფიქრებლად. იგი მიდიოდა და ფიქრობდა კატავასოვსა და თავის მომავალ ნაცნობობაზე მეტროვთან.

III

ლევინი ამ ჩამოსვლაზეც ისევ დაუახლოვდა თავისი უნივერსიტეტის ამხანაგს, პროფესორ კატავასოვს, რომელსაც ცოლის შერთვის შემდეგ აღარც შეხვედრია. კატავასოვი სასიამოვნო იყო ლევინისთვის თავისი მსოფლმხედველობის გარკვეულობითა და უბრალოებით. ლევინი ფიქრობდა, რომ კატავასოვის მსოფლმხედველობის გარკვეულობა გამომდინარეობდა მისი ბუნების სიღარიბიდან; კატავასოვი კი ფიქრობდა, რომ ლევინის აზრების არათანამიმდევრულობა შედეგი იყო მისი გონების მოუწესრიგებლობისა; მაგრამ ლევინისთვის სასიამოვნო იყო კატავასოვის გარკვეულობა, კატავასოვს კი სიამოვნებდა ლევინის უდისციპლინო აზრთა სიჭარბე და ამიტომაც უყვარდათ ერთმანეთთან შეხვედრა და კამათი.

ლევინმა წაუკითხა კატავასოვს ზოგიერთი ადგილი თავისი თხზულებიდან და მას მოეწონა ეს ადგილები. გუშინ კატავასოვი საჯარო ლექციებზე შეხვდა ლევინს და უთხრა, მოსკოვში იმყოფება ცნობილი მეტროვი, რომლის სტატიაც ასე მოგეწონაო. მე გავაცანი შენი შრომა, დიდად დაინტერესდა ამით, ხვალ თერთმეტ საათზე ჩემთან მოვა და მოხარული იქნება შენი გაცნობისაო.

– სწორედ რომ გამოსწორების გზას ადგახართ, მეტად სასიამოვნოა, – უთხრა კატავასოვმა, რომელიც მცირე სასტუმროში შეეგება ლევინს. – მესმის ზარის ხმა და ვფიქრობ: ნუთუ დროზე მოვიდა-მეთქი... ხედავ, რა ქნეს ჩერნოგორიელებმა? ისინი ბუნებით მეომრები არიან.

– რა მოხდა? – ჰკითხა ლევინმა.

კატავასოვმა რამდენიმე სიტყვით გადასცა ლევინს უკანასკნელი ცნობები, კაბინეტში შეუძღვა და გააცნო დაბალი, ჩასხმული, მეტად სასიამოვნო გარეგნობის კაცი. ეს გახლდათ მეტროვი. მცირე ხანს ილაპარაკეს პოლიტიკაზე, თუ როგორ უყურებდნენ პეტერბურგის უმაღლეს წრეებში უკანასკნელ მოვლენებს. მეტროვმა გადასცა მათ სარწმუნო წყაროებისგან გაგებული სიტყვები, რომელიც თითქოსდა ამ შემთხვევის გამო ეთქვას ხელმწიფეს ერთ-ერთი მინისტრისთვის. კატავასოვსაც გაგებული ჰქონდა, იმასაც სარწმუნო წყაროებისგან, თითქოს ხელმწიფეს სრულიად საწინააღმდეგო რამ ეთქვას ამაზე.

ლევინი შეეცადა, მოეფიქრებინა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნებოდა ეთქვა ერთიცა და მეორეც და ამ საგანზე საუბარიც შეწყდა.

– აი, თითქმის მთელი წიგნი აქვს დაწერილი იმის შესახებ, თუ ბუნებრივ პირობებში როგორი უნდა იყოს მუშახელის დამოკიდებულება მიწისადმი, – თქვა კატავასოვმა, – მე არა ვარ ამის სპეციალისტი, მაგრამ, როგორც ბუნებისმეტყველს, მომეწონა, რომ კაცობრიობას განიხილავს არა ზოოლოგიური კანონების გარეშე, არამედ პირიქით, ხედავს, რომ კაცობრიობის განვითარება დამოკიდებულია გარემოზე და ამ დამოკიდებულებაში ეძებს განვითარების კანონებს.

– ეს ძალიან საინტერესოა, – თქვა მეტროვმა.

– სინამდვილეში მე მინდოდა დამეწერა სასოფლო-სამეურნეო წიგნი, მაგრამ ჩემდა უნებურად, როცა შევეხე სოფლის მეურნეობის მთავარ იარაღს – მუშახელს, სრულიად მოულოდნელ დასკვნამდე მივედი, – თქვა ლევინმა და გაწითლდა.

და ლევინმა ფრთხილად, თითქოს წინასწარ სინჯავს ნიადაგსო, გადაუშალა თავისი შეხედულებები. მან იცოდა, რომ მეტროვმა დაწერა სტატია საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოძღვრების წინააღმდეგ, მაგრამ მისი მშვიდი, გონიერი სახის გამომეტყველებაზე ვერ მიმხვდარიყო, რამდენად შეიძლებოდა ჰქონოდა იმედი მისი თანაგრძნობისა ამ თავისი ახალი შეხედულებებისადმი.

– მაგრამ რაში ხედავთ თქვენ რუსი მუშახელის განსაკუთრებულ თავისებურებას? – უთხრა მეტროვმა, – ასე ვთქვათ, მის ზოოლოგიურ თვისებებში თუ იმ პირობებში, რომელშიც იმყოფება?

ლევინი ხედავდა, რომ ამ კითხვაში გამოთქმული იყო ის აზრი, რომელსაც არ ეთანხმებოდა მეტროვი, მაგრამ მაინც განაგრძო თავისი აზრის გამოთქმა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ რუს მუშას აქვს სხვა ხალხებისაგან სრულიად განსხვავებული შეხედულება მიწის შესახებ და ამ დებულების დასამტკიცებლად მაშინვე დასძინა, რომ მისი აზრით, რუსი ხალხის ეს შეხედულება იქიდან გამომდინარეობს, რომ გრძნობს თავის მოწოდებას – დაასახლოს აღმოსავლეთის უზარმაზარი დაუსახლებელი სივრცეები.

– როცა ხალხის საერთო მოწოდების შესახებ აკეთებ დასკვნას, მეტისმეტად ადვილია შეცდომის დაშვება, – შეაწყვეტინა მეტროვმა ლევინს, – მუშახელის მდგომარეობა ყოველთვის დამოკიდებული იქნება მის ურთიერთობაზე მიწასა და კაპიტალთან.

მეტროვმა ბოლომდე აღარც ათქმევინა ლევინს თავისი აზრი და შეუდგა საკუთარი მოძღვრების თავისებურების გადმოცემას.

ლევინი ვერ მიხვდა, რაში მდგომარეობდა მეტროვის მოძღვრების თავისებურება, რადგან არც უცდია ამის გაგება: იგი ხედავდა, რომ როგორც სხვები, მეტროვიც, მიუხედავად თავისი სტატიისა, რომელშიც იგი უარყოფდა ეკონომისტების მოძღვრებას, მაინც რუსი მუშახელის მდგომარეობას აფასებდა მხოლოდ კაპიტალის, ხელფასისა და რენტის თვალსაზრისით. თუმცა მას უნდა სცოდნოდა, რომ აღმოსავლეთში, რუსეთის ყველაზე დიდ ნაწილში, რენტა ჯერ კიდევ ნულს უდრიდა და ოთხმოცმილიონიანი რუსი ხალხის ცხრა მეათედისთვის ხელფასი მხოლოდ საკუთარი თავის გამოკვებაში გამოიხატებოდა, რომ აქ კაპიტალი არსებობდა როგორც პირველყოფილი იარაღი და სხვა, – მაგრამ მაინც ამ თვალსაზრისით განიხილავდა ყოველ მუშას, თუმცა ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა ეკონომისტებს და ხელფასის შესახებ ჰქონდა საკუთარი ახალი თეორია, რომელიც გაუზიარა ლევინს.

ლევინი უხალისოდ უსმენდა და პირველად შეეკამათა კიდეც მეტროვს, უნდოდა, სიტყვა გაეწყვეტინებინა და ბოლომდე გამოეთქვა თავისი აზრი, რის შემდეგაც, მისი ფიქრით, უკვე ზედმეტი იქნებოდა შემდგომი განმარტებები. მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ორივენი იმდენად სხვადასხვანაირად უყურებდნენ საქმეს, რომ ვეღარასოდეს გაუგებდნენ ერთმანეთს, აღარ შეკამათებია და მხოლოდ ყურს უგდებდა. მიუხედავად იმისა, რომ ლევინისთვის ახლა სრულიად აღარ იყო საინტერესო მეტროვის ლაპარაკი, მაინც ერთგვარ სიამოვნებას განიცდიდა მისი მოსმენით. მისი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო, რომ ასეთი სწავლული ადამიანი ამგვარი ხალისით, ყურადღებითა და საქმის ცოდნის რწმენით უზიარებდა თავის აზრებს, ისე, რომ ზოგჯერ ერთი გადაკრული სიტყვით საკითხის მთელ მხარეს აცნობდა.

ამას ლევინი თავის ღირსებად მიიჩნევდა და არ იცოდა, რომ მეტროვმა თავისი შეხედულებები უკვე ყველა თავის

ახლობელს გაუზიარა, განსაკუთრებული ხალისით ელაპარაკებოდა ყოველ ახალგაცნობილს და, საერთოდ, ყველასთან სიამოვნებით ლაპარაკობდა ამ საინტერესო, მაგრამ ჯერ მისთვისაც გაურკვეველ საგანზე.

– ხომ არ ვიგვიანებთ? – თქვა კატავასოვმა, როგორც კი მეტროვმა თავისი შეხედულებების გადმოცემა დაამთავრა და საათს დახედა.

– ჰო, დღეს მოხალისეთა საზოგადოებაში სხდომაა დანიშნული სვინტიჩის ორმოცდაათი წლის იუბილეს აღსანიშნავად, – უპასუხა კატავასოვმა ლევინს შეკითხვაზე, – მე და პიოტრ ივანიჩი ვაპირებდით წასვლას. მე დაპირებული ვარ, მოხსენება წავიკითხო სვინტიჩის ზოოლოგიური შრომების შესახებ, წამოდი ჩვენთან ერთად, ძალიან საინტერესო იქნება.

– ჰო, მართლაც უკვე დროა, – თქვა მეტროვმა, – წამოდით ჩვენთან ერთად, იქიდან კი, თუ გნებავთ, ჩემთან წავიდეთ. მე ძალიან მინდოდა მომესმინა თქვენი შრომა.

– არა, არ ღირს. ჯერ დამთავრებული არა მაქვს. სხდომაზე კი სიამოვნებით წამოვალ.

– რაო, ბატონებო, არ გაგიგიათ, ცალკე შეხედულება წამოაყენა, – თქვა კატავასოვმა, რომელიც მეორე ოთახში ფრაკს იცვამდა და დაიწყო საუბარი უნივერსიტეტის საკითხზე.

უნივერსიტეტის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ ზამთარს მოსკოვში. სამმა მხცოვანმა პროფესორმა საბჭოში არ გაიზიარა ახალგაზრდების შეხედულება; ახალგაზრდებმა ცალკე წამოაყენეს თავიანთი შეხედულება. ერთნი ამბობდნენ, რომ ეს შეხედულება საშინელი იყო, მეორენი კი ამას სრულიად უბრალო და სამართლიან შეხედულებად თვლიდნენ, და პროფესორები ორ ჯგუფად გაიყვნენ.

ერთნი, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა კატავასოვიც, მოწინააღმდეგე მხარეში საზიზღარ მაბეზღარობას და სიცრუეს ხედავდნენ; მეორენი კი ამას ბავშვობად და ავტორიტეტებისადმი უპატივცემულობად თვლიდნენ. ლევინი, მართალია, უნივერსიტეტს არ ეკუთვნოდა, მაგრამ მოსკოვში ყოფნის დროს რამდენჯერმე მოუხდა საუბარი ამის შესახებ და უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული აზრი ამ საკითხზე; ისიც მონაწილეობდა ამ საუბარში, რომელიც

ქუჩაშიც გრძელდებოდა, სანამ სამივენი ძველი უნივერსიტეტის შენობამდე მივიდოდნენ.

სხდომა უკვე დაწყებული იყო. მაუდგადაფარებულ მაგიდასთან, რომელსაც მიუსხდნენ კატავასოვი და მეტროვი, ექვსი კაცი იჯდა და ერთი მათგანი, ხელნაწერზე დახრილი, რაღაცას კითხულობდა. ლევინმა მაგიდის ირგვლივ შემორიგებული სკამებიდან ერთი სკამი დაიკავა და ჩურჩულით ჰკითხა გვერდზე მჯდომ სტუდენტს, რას კითხულობენო. სტუდენტმა უკმაყოფილოდ გადახედა ლევინს და უპასუხა: – ბიოგრაფიას.

თუმცა ლევინს არ აინტერესებდა მეცნიერის ბიოგრაფია, მაინც უნებურად ყურს უგდებდა და ბევრი რამ ახალი და საინტერესო შეიტყო სახელგანთქმული მეცნიერის ცხოვრებიდან.

როცა წამკითხველმა დაასრულა, თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა. შემდეგ წაიკითხა ამ იუბილესთვის გამოგზავნილი პოეტ მენტის ლექსი და პოეტისადმი რამდენიმე სამადლობელი სიტყვა თქვა. შემდეგ კატავასოვმა მაღალი, მყვირალა ხმით წაიკითხა თავისი ჩანაწერი იუბილარის სამეცნიერო შრომების შესახებ.

როცა კატავასოვმა სიტყვა დაამთავრა, ლევინმა საათზე დაიხედა, უკვე მეორე საათი იყო და გაიფიქრა, რომ კონცერტამდე ვეღარ მოასწრებდა მეტროვისთვის თავისი თხზულების წაკითხვას, თუმცა ახლა თვითონაც აღარ ჰქონდა ამის სურვილი. მოხსენების დროსაც იგი მეტროვთან საუბარზე ფიქრობდა. ახლა მისთვის ნათელი იყო, რომ თუმცა მეტროვის აზრებსაც შეიძლება ჰქონდა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ არც მისი აზრები იყო მნიშვნელობას მოკლებული. ეს აზრები შეიძლება ნათელი გახდეს და მიაღწიოს მიზანს მხოლოდ მაშინ, თუ თითოეული მათგანი თავისი არჩეული გზით განაგრძობს დამოუკიდებელ მუშაობას, თორემ ამ შეხედულებათა გაზიარებით არაფერი გამოვა და არც შეიძლება გამოვიდეს. ლევინმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა მიწვევაზე და სხდომის დასასრულს მეტროვთან მივიდა. მეტროვმა გააცნო მას თავმჯდომარე, რომელსაც ახალ პოლიტიკურ ამბებზე ელაპარაკებოდა. შემდეგ მეტროვმა იგივე მოუთხრო თავმჯდომარეს, რაც წინათ ლევინს უამბო, ლევინმაც იგივე შენიშვნა გააკეთა, რომელიც ამ დილას თქვა, მაგრამ

მრავალფეროვნებისთვის გამოთქვა ახალი შეხედულებაც, რომელიც იქვე მოუვიდა თავში. ამის შემდეგ ისევ უნივერსიტეტის საკითხზე დაიწყო საუბარი. ლევინს უკვე მოსმენილი ჰქონდა ეს საუბარი, ამიტომ სასწრაფოდ უთხრა მეტროვს, სამწუხაროდ, არ შემიძლია ვისარგებლო თქვენი მიწვევითო, გამოემშვიდობა და ლვოვთან წავიდა.

IV

ლვოვმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა კიტის და ნატალი, – მთელი ცხოვრება გაატარა დედაქალაქებში და საზღვარგარეთ, სადაც აღიზარდა და შემდეგ დიპლომატად მსახურობდა.

გასულ წელს მან თავი დაანება დიპლომატიურ სამსახურს და მოსკოვში სასახლის უწყებაში დაიწყო სამსახური, არა რაიმე უსიამოვნების გამო (მას არასოდეს არავისთან მოსვლია უსიამოვნება), არამედ იმიტომ, რომ საუკეთესო აღზრდა მიეცა თავისი ორი ვაჟიშვილისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ლვოვი და ლევინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც შეხედულებებით, ისე ჩვეულებებით და ლვოვი უფროსიც იყო ლევინზე, მაინც ამ ზამთარს ისინი ძალიან დაახლოვდნენ და შეუყვარდათ ერთმანეთი.

ლვოვი შინ იყო და ლევინი მოუხსენებლად შევიდა მასთან.

ლვოვს საშინაო ქამრიანი სერთუკი და ნატის ფეხსაცმელი ეცვა, სავარძელში იჯდა, თვალებზე ლურჯმინიანი pince-nez ეკეთა და პიუპიტრზე მიყუდებულ წიგნს კითხულობდა, ლამაზი ხელით კი ფრთხილად განზე ეჭირა ნახევრად დაფერფლილი სიგარა.

ლევინის დანახვაზე ღიმილით გაუბრწყინდა მშვენიერი, დახვეწილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდული სახე, რომელსაც კიდევ უფრო კეთილშობილურ იერს აძლევდა ხუჭუჭი, ვერცხლისფრად მოელვარე თმა.

– ჩინებულია! მე სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან მსახურის

გამოგზავნას. კიტი როგორ არის? აქ დაჯექით, უფრო მოისვენებთ... – იგი წამოდგა და სარწეველა სავარძელი მიუწია ლევინს, – წაიკითხეთ უკანასკნელი ცირკულარი Jounral de St.-Pétersbourg-ში? ჩემი აზრით, მშვენიერია, – ოდნავ ფრანგული აქცენტით თქვა მან.

ლევინმა უამბო კატავასოვის ნათქვამი იმის შესახებ, თუ რას ლაპარაკობდნენ პეტერბურგში და პოლიტიკაზე საუბრის შემდეგ მეტროვის გაცნობისა და სხდომაზე წასვლის ამბავიც უთხრა. ლვოვი ამან ძალიან დააინტერესა.

– აი, მე მშურს თქვენი, რომ საშუალება გაქვთ იქონიოთ კავშირი ამ საინტერესო სწავლულ სამყაროსთან, – უთხრა მან და საუბარში, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა, მაშინვე გადავიდა ფრანგულ ენაზე, რომელიც უფრო მოსახერხებელი იყო მისთვის, – თუმცა მე დროც არა მაქვს საამისოდ. ჩემი სამსახური და ბავშვებთან მეცადინეობა ამის საშუალებას არ მაძლევს. და შემდეგ, მე არ მრცხვენია ამის თქმა, საამისოდ განათლებაც არა მაქვს საკმარისი.

– ეს კი არა მგონია, – ღიმილით უთხრა ლევინმა და, როგორც ყოველთვის, სიყვარული იგრძნო ლვოვისადმი, რომ ასეთი მდაბალი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე, არა იმიტომ, რომ სხვებისთვის მოეჩვენებინა თავი, ან თავმდაბალი ყოფილიყო, არამედ სრულიად გულწრფელად ამბობდა ამას.

– ოჰ, როგორ არა. მე ახლა ვგრძნობ, რამდენად მცირეა ჩემი განათლება, ბავშვების აღსაზრდელადაც კი საჭიროა ბევრი რამ გადავახალისო ჩემს მეხსიერებაში და ზოგი რამ კი ახლადაც შევისწავლო, იმიტომ, რომ გარდა მასწავლებლებისა, საჭიროა დამკვირვებელიც, ისევე როგორც თქვენს მეურნეობაშია საჭირო მუშები და ზედამხედველები. აი, ვკითხულობ, – და მან უჩვენა ბესლაევის გრამატიკა, რომელიც პიუპიტრზე ედო, – მიშას სთხოვენ და იმდენად რთულია... აბა, ერთი ამიხსენით! აქ ამბობს, რომ...

ლევინს უნდოდა აეხსნა, რომ ამის გაგება შეუძლებელია, რომ ეს უნდა ისწავლო, მაგრამ ლვოვი არ ეთანხმებოდა ამ აზრს.

– აი, თქვენ გეცინებათ ამაზე!

– პირიქით. ვერ წარმოიდგენთ, თქვენს ყურებაში როგორ ვსწავლობ იმას, რაც მომელის, სახელდობრ – შვილების

აღზრდას.

– სასწავლი დიდი არაფერია! – უთხრა ლვოვმა.

– მე მხოლოდ ის ვიცი, – თქვა ლევინმა, – რომ არ მინახავს თქვენს შვილებზე უკეთ აღზრდილი ბავშვები და არც ვისურვებდი თქვენს შვილებზე უკეთეს ბავშვებს.

ლვოვს, ეტყობა, თავის შეკავება უნდოდა, რომ არ გამოემჟღავნებინა სიხარული, მაგრამ სახე მაინც ღიმილმა გაუბრწყინა.

– ოღონდაც ჩემზე უკეთესები გამოვიდნენ, მე მხოლოდ ამას ვისურვებდი. თქვენ კიდევ არ იცით მთელი ის შრომა, – განაგრძო მან, – რომელიც საჭირო იყო ამგვარ ბავშვებთან. მათი აღზრდა საზღვარგარეთ ცხოვრების წყალობით სრულიად თავმინებებული იყო.

– ამას ყველაფერს აინაზღაურებთ. ისინი ხომ ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან. მთავარია, ზნეობრივი აღზრდა. აი, ამას ვსწავლობ მე, როცა თქვენს ბავშვებს ვუყურებ.

– თქვენ ამბობთ, ზნეობრივი აღზრდაო. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ეს! ეს არის დაძლიეთ ერთი სიძნელე, რომ მეორე იჩენს თავს და ისევ იწყება ბრძოლა! სარწმუნოებაში რომ არ იყოს დასაყრდენი – გახსოვთ, ჩვენ ვამბობდით ამას, – ვერც ერთი მამა საკუთარი ძალით, ამ დახმარების გარეშე, ვერ შეძლებდა შვილების აღზრდას.

ეს საუბარი, რომელიც ყოველთვის აინტერესებდა ლევინს, შეწყვიტა უკვე წასასვლელად გამოწყობილმა, სილამაზით განთქმული ნატალია ალექსანდროვნას შემოსვლამ.

– მე არ ვიცოდი, რომ თქვენ აქ იყავით, – უთხრა ნატალიმ, რომელიც სულაც არ ნანობდა, რომ შეწყვიტა მათი საუბარი, პირიქით, ძალიანაც ნასიამოვნები იყო და, ეტყობა, თავიც მოაბეზრა ამგვარმა საუბარმა.

და ცოლსა და ქმარს შორის დაიწყო მსჯელობა, როგორ გაატარებდნენ დღევანდელ დღეს. რადგან ქმარი სამსახურიდან ვიღაცის დასახვედრად უნდა წასულიყო, ცოლი კი წასასვლელი იყო კონცერტსა და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის კომიტეტის საჯარო სხდომაზე, – ამიტომ ბევრი რამ იყო გადასაწყვეტი და მოსაფიქრებელი. ლევინს, როგორც

შინაურ კაცს, მონაწილეობა უნდა მიეღო ამ გეგმებში. გადაწყვიტეს, ლევინი ნატალისთან ერთად წასულიყო კონცერტსა და საჯარო სხდომაზე, შემდეგ კი კარეტას გაუგზავნიდნენ არსენის კანტორაში, მერე ის შეივლიდა ცოლთან და მიიყვანდა კიტისთან. ანდა თუ ვერ დაამთავრებდა საქმეს, მაშინ კარეტას გამოუგზავნიდა და ლევინი წავიდოდა ნატალისთან ერთად.

– აი, როგორ მაქეზებს ლევინი, – უთხრა ლვოვმა ცოლს, – მარწმუნებს, შესანიშნავი ბავშვები გყავთო, როცა ვიცი, რამდენი ნაკლი აქვთ.

– მე ყოველთვის ვამბობ, რომ არსენი უკიდურესობამდე მიდის, – თქვა ცოლმა, – სრულყოფას თუ მოინდომებ, ვერასოდეს კმაყოფილი ვერ იქნები. მართალს ამბობს მამა, – როცა ჩვენ ვიზრდებოდით, მაშინ ერთი უკიდურესობა იყო: მშობლები ბელეტაჟში ცხოვრობდნენ, ბავშვები – ანტრესოლში; ახლა პირიქით: მშობლები – საკუჭნაოებში, ბავშვები – ბელეტაჟში. ახლა მშობლებს აღარა აქვთ საკუთარი ცხოვრება, – ყველაფერი ბავშვებისთვისაა.

– რას იზამ, თუკი ეს უფრო სასიამოვნოა! – თქვა ლვოვმა, თავისებურად ლამაზად გაიღიმა და ხელზე ხელი მოჰკიდა ცოლს, – ვინც არ გიცნობს, იფიქრებს, რომ დედა კი არა, დედინაცვალი ხარ!

– არა, უკიდურესობა არაფერში არ ვარგა, – მშვიდად უთხრა ნატალიმ და ქმრის ქაღალდის საჭრელი დანა მისთვის განკუთვნილ ადგილზე დადო, მაგიდაზე.

– აბა, მოდით აქ, სრულყოფილო ბავშვებო, – უთხრა ლვოვმა ოთახში შემოსულ ლამაზ ბიჭუნებს, რომლებიც ლევინს მიესალმნენ და მამასთან მივიდნენ, ეტყობოდათ, რაღაცის კითხვა უნდოდათ.

ლევინს სურვილი ჰქონდა, ესაუბრა ბავშვებთან, გაეგონა, რას ეტყოდნენ მამას, მაგრამ ნატალიმ დაუწყო ლაპარაკი, სწორედ ამ დროს ლვოვის ამხანაგიც შემოვიდა, – სამეფო კარის მუნდირში გამოწყობილი მახოტინი, რათა ერთად წასულიყვნენ ვიღაცის დასახვედრად. და დაიწყო გაუთავებელი ლაპარაკი ჰერცეგოვინაზე, თავადის ასულ კორზინსკაიაზე, სათათბიროსა და აპრაქსინას უეცარ სიკვდილზე.

ლევინს გადაავიწყდა კიდეც, რა ჰქონდა დავალებული და დერეფანში რომ გადიოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა.

– ჰო, კიტიმ დამავალა, მოგლაპარაკებოდით ობლონსკის თაობაზე, – უთხრა მან, როცა ლვოვი ცოლისა და მის გასაცილებლად გამოვიდა და კიბესთან შეჩერდა.

– დიახ, დიახ, maman-ს უნდა, რომ ჩვენ les beauxfréres[88] თავს დავესხით ობლონსკის, – ღიმილით თქვა მან და გაწითლდა, – რატომ მაინცდამაინც მე?

– მაშ, მე დავესხმები თავს, – ღიმილით უთხრა ნატალიმ, რომელიც ძაღლის ტყავის თეთრ როტონდაში გამოწყობილი ელოდა, როდის დაამთავრებდნენ საუბარს, – აბა, წავიდეთ!

V

დილის კონცერტზე უნდა მოესმინათ ორი მეტად საინტერესო ნაწარმოები.

ერთი გახლდათ ფანტაზია – ველად გაჭრილი მეფე ლირი, მეორე – ბახის ხსოვნისადმი მიძღვნილი კვარტეტი. ორივე ნაწარმოები ახალი იყო, ახლებურად შესრულებული და ლევინს სურდა საკუთარი აზრი ჰქონოდა მათზე. ცოლისდა თავის სავარძლამდე მიაცილა, თვითონ სვეტთან გაჩერდა და გადაწყვიტა, რაც შეიძლება ყურადღებითა და კეთილსინდისიერად მოესმინა. ცდილობდა ყურადღება არ გაჰფანტვოდა და არ გაფუჭებოდა შთაბეჭდილება თეთრჰალსტუხიანი კაპელმაისტერის ყურებით, რომელიც ხელების ქნევით ყოველთვის უსიამოვნოდ ფანტავდა მუსიკალურ ყურადღებას; ყურადღება არ მიექცია შლაპებში გამოწყობილი მანდილოსნებისთვის, რომელთაც თითქოს საგანგებოდ კონცერტისთვის აეხვიათ ყურები ბაფთებით; ყურადღებას არ აქცევდა იმ პირთ, რომელთაც არაფერი აინტერესებდათ, ან სულ სხვა რამით იყვნენ დაინტერესებულნი, ოღონდ მუსიკით არა. ლევინი ცდილობდა, არ შეხვედროდა მუსიკის მცოდნეთა და მოლაყბეთ.

თავდაბრილი იდგა და ისმენდა, მაგრამ რაც უფრო მეტხანს უგდებდა ყურს მეფე ლირის ფანტაზიას, მით უფრო ძნელი ხდებოდა გარკვეული აზრის გამოტანა. განუწყვეტლივ იწყებოდა და თითქოს ერთად იყრიდა თავს მუსიკალურად გამოხატული გრძნობები, მაგრამ უმალვე იშლებოდა მუსიკალურ გამოსახულებათა საწყისების ნაწყვეტებად, ზოგჯერ კი აღარაფერი რჩებოდა მისგან, გარდა კომპოზიტორის ჟინისა და დაუკავშირებელი, უაღრესად რთული მუსიკალური ბგერებისა. მაგრამ მუსიკალურ გამოხატულებათა ზოგჯერ მართლაც კარგი ნაწყვეტები არასასიამოვნოდ ჟღერდა, რადგან სრულიად მოულოდნელი იყო და არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. სიხარულიც, მწუხარებაც, სასოწარკვეთაც, სიყვარულიც, ზეიმიც ყოველგვარი უფლების გარეშე ჩნდებოდა, თითქოს შეშლილი ადამიანის გრძნობებიაო, და როგორც შეშლილი ადამიანის გრძნობები, ესენიც მოულოდნელად ქრებოდნენ.

ლევინი მთელი კონცერტის განმავლობაში იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდის სმენადახშული ადამიანი მოცეკვავეთა ყურებისას. პიესის დამთავრების შემდეგ იგი თითქმის გაოგნებული იყო და საშინელ მოქანცულობას გრძნობდა ყურადღების დაძაბვის გამო, რაც ვერაფრით ვერ იქნა ანაზღაურებული. ყოველი მხრიდან ხმამაღალი ტაშისცემა გაისმა. ყველანი წამოდგნენ, აიშალნენ, ალაპარაკდნენ. ლევინიც გაერია ხალხში, ვინმე ამ საქმის მცოდნე უნდოდა ენახა, რათა სხვების შთაბეჭდილებით მაინც გაერკვია თავისი გაუგებრობა და დიდად გაიხარა, როცა თვალი მოჰკრა ერთ სახელგანთქმულ მუსიკისმცოდნეს, რომელიც მის ნაცნობს – პესცოვს ელაპარაკებოდა.

– საოცარია, – ბოხი ხმით ამბობდა პესცოვი, – გამარჯობათ, კონსტანტინ დმიტრიჩ. განსაკუთრებით სახოვანი, გამოკვეთილი და, ასე ვთქვათ, ფერებით მდიდარია ის ადგილი, როცა თქვენ გრძნობთ კორდელიას მოახლოებას, სადაც ქალი, das ewig Weibliche[89] ებრძვის ბედისწერას. ხომ მართალია?

– რა შუაშია აქ კორდელია? – გაუბედავად იკითხა ლევინმა და სულ დაავიწყდა, რომ ფანტაზია ველად გაჭრილ მეფე ლირს გამოხატავდა.

– გამოდის კორდელია... აი! – უთხრა პესცოვმა და თითი დაჰკრა ატლასის ქაღალდზე დაბეჭდილ აფიშას, ხელში რომ

ეჭირა, და ლევინს გადასცა.

ლევინს მხოლოდ ახლა გაახსენდა ფანტაზიის სათაური და საჩქაროდ ჩაიკითხა აფიშის მეორე მხარეს დაბეჭდილი შექსპირის ლექსების რუსული თარგმანი.

– უამისოდ ვერაფერს გაიგებთ, – უთხრა პესცოვმა ლევინს, რადგან მისი თანამოსაუბრე უკვე წასულიყო და სხვას ვეღარავის გაუბამდა საუბარს.

ანტრაქტის დროს ლევინსა და პესცოვს შორის კამათი გაიბა მუსიკაში ვაგნერის მიმართულების ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. ლევინი ამტკიცებდა: ვაგნერისა და ყველა მისი მიმდევრის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდათ მუსიკა ხელოვნების სხვა სფეროებში გადაიყვანონ, ისევე როგორც ცდება პოეზია, როცა სურს აღწეროს სახის ნაკვთები, რაც ფერწერის საქმეაო. და ასეთი შეცდომის მაგალითად მოიყვანა მოქანდაკე, რომელსაც სურს კვარცხლბეკზე აღმართული პოეტის ფიგურის ირგვლივ მარმარილოსგან გამოკვეთოს პოეტურ სახეთა ჩრდილები. „ეს ჩრდილები იმდენად ნაკლებად სარწმუნოა, რომ კიბესაც კი ჩასჭიდებიან“, – თქვა ლევინმა. ეს ფრაზა მოეწონა, მაგრამ აღარ ახსოვდა, ხომ არ ჰქონდა ნათქვამი ეს სწორედ პესცოვისთვის და დაიბნა ამის თქმაზე.

პესცოვი კი ამტკიცებდა, ხელოვნება ერთია და მას შეუძლია უმაღლეს გამოხატულებას მიაღწიოს მხოლოდ ყოველი დარგის შერწყმითო.

კონცერტის მეორე ნომრის მოსმენა ლევინმა უკვე ვეღარ შეძლო, მის გვერდით მდგარი პესცოვი განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა, კიცხავდა პიესას გადაჭარბებული, გემოვნებას მოკლებული სისადავისთვის და ამას ფერწერაში პრერაფაელიტების სისადავეს ადარებდა. გამოსვლისას ლევინს კიდევ ბევრი ნაცნობი შეხვდა, რომელთაც ესაუბრა პოლიტიკაზე, მუსიკასა და საერთო ნაცნობებზე. სხვათა შორის, აქ ნახა გრაფი ბოლიც, რომელთანაც სადარბაზოდ მისვლა სულ გადაავიწყდა.

– მაშ, ახლა წადით, – უთხრა ნატალიმ, რომელსაც გაუზიარა ეს, – იქნებ აღარც მიგიღონ. შემდეგ კი შემოიარეთ ჩემთან სხდომაზე. კიდევ მომისწრებთ!

VI

– იქნებ არ იღებენ სტუმრებს? – იკითხა ლევინმა, როცა გრაფინია ბოლის სახლის წინკარში შევიდა.

– მობრძანდით, იღებენ, – უპასუხა მეკარემ და მარჯვედ გააძრო ქურქი.

„ძალიან საწყენია, – გაიფიქრა ლევინმა, ოხვრით გაიხადა ცალი ხელთათმანი და ქუდი შეისწორა, – აბა, რისთვის მივდივარ? რა უნდა ველაპარაკო?“

პირველი სასტუმრო გაიარა და კარშივე შეხვდა გრაფინია ბოლს, რომელიც მკაცრი და მზრუნველი იერით რაღაც განკარგულებას აძლევდა მსახურს. ლევინის დანახვაზე გრაფინიამ გაიღიმა და სთხოვა, გასულიყო მცირე სასტუმროში, საიდანაც ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. სასტუმროში სავარძლებში ისხდნენ გრაფინიას ორი ქალიშვილი და ლევინის ნაცნობი მოსკოველი პოლკოვნიკი. ლევინი მივიდა მათთან, მიესალმა და დივნის გვერდით ჩამოჯდა, ქუდი კი მუხლზე დაიდო.

– თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდება? კონცერტზე იყავით? ჩვენ ვერ შევძელით. დედა პანაშვიდზე იყო წასასვლელი.

– დიახ, გავიგე... რა უეცარი სიკვდილია! – თქვა ლევინმა.

შემოვიდა გრაფინია, დივანზე დაჯდა და მანაც ცოლისა და კონცერტის ამბავი ჰკითხა.

ლევინმა პასუხი გასცა და ისევ გაიმეორა თავისი ნათქვამი აპრაქსინას უეცარ სიკვდილზე.

– თუმცა იგი ყოველთვის უჩიოდა ჯანმრთელობას!

– იყავით გუშინ ოპერაში?

– დიახ, გახლდით.

– შესანიშნავი იყო ლუკა!

– დიახ, ძალიან კარგი იყო, – თქვა ლევინმა და რაკი მისთვის სავსებით სულერთი იყო, რას იფიქრებდნენ მასზე, იგივე გაიმეორა, რაც ასჯერ მაინც ჰქონდა გაგონილი ამ მომღერალი ქალის თავისებურებაზე. გრაფინია ბოლსაც ისე ეჭირა თავი, თითქოს უსმენდა. შემდეგ, როცა ლევინმა საკმარისად

ილაპარაკა და გაჩუმდა, ლაპარაკი წამოიწყო აქამდის მდუმარედ მჯდარმა პოლკოვნიკმა. მანაც ოპერასა და განათებაზე დაიწყო ლაპარაკი: ბოლოს სიტყვა ჩამოაგდო ტურინების მოსალოდნელი folle journee[90]-ს შესახებ. გაიცინა, ახმაურდა, წამოდგა და წავიდა. ლევინიც წამოდგა, მაგრამ გრაფინიას სახეზე შენიშნა, რომ მისთვის ჯერ ადრე იყო წასვლა. ორიოდე წუთით კიდევ საჭირო იყო იქ ყოფნა. ლევინი ისევ დაჯდა.

მაგრამ სულ იმაზე ფიქრობდა, რომ სისულელე იყო ეს დარბაზობა, სალაპარაკო საგანს ვერ პოულობდა და დუმდა.

– თქვენ არ მიბრძანდებით საჯარო სხდომაზე? ამბობენ, ძალიან საინტერესოაო, – წამოიწყო გრაფინიამ.

– არა, მე შევპირდი ჩემს belle-soeur[91]-ს, უნდა გავუარო წამოსაყვანად, – თქვა ლევინმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დედამ და ქალიშვილებმა ერთხელ კიდევ გადახედეს ერთმანეთს.

„ახლა კი, მგონი, უკვე წასვლის დროა“, – გაიფიქრა ლევინმა და წამოდგა. მანდილოსნებმა ხელი ჩამოართვეს და სთხოვეს, mille choses[92] გადაეცა მეუღლისთვის.

მეკარემ ქურქის ჩაცმისას ჰკითხა: – სად ინებეთ გაჩერება? – და მაშინვე ჩაწერა დიდ, ლამაზად აკინძულ წიგნში.

„რაღა თქმა უნდა, ჩემთვის სულერთია, მაგრამ მაინც მრცხვენია და ეს საშინელი სისულელეა“, – გაიფიქრა ლევინმა, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, რომ ყველა ამას აკეთებდა, და წავიდა კომიტეტის საჯარო სხდომაზე, სადაც უნდა მოეძებნა ცოლისდა და მასთან ერთად წასულიყო შინ.

კომიტეტის საჯარო სხდომაზე დიდძალი ხალხი იყო, თითქმის მთელ საზოგადოებას აქ მოეყარა თავი. ლევინი რომ მივიდა, ჯერ ისევ საერთო მიმოხილვას აკეთებდნენ. და როგორც ყველა ამბობდა, ძალიან საინტერესო იყო. მიმოხილვის დამთავრების შემდეგ საზოგადოება წამოიშალა და ლევინი შეხვდა სვიაჟსკის, რომელიც დღეს საღამოსთვის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში ეპატიჟებოდა, სადაც წაკითხული იქნებოდა შესანიშნავი მოხსენება. ნახა სტეპან არკადიჩიც, რომელიც ის იყო დაბრუნებულიყო დოღიდან, ბევრი სხვა ნაცნობიც და

კვლავ ილაპარაკა და მოისმინა ათასნაირი აზრი სხდომისა, ახალი პიესისა და პროცესის შესახებ. მაგრამ, ალბათ, ყურადღების მოდუნების შედეგად, რასაც თვითონაც გრძნობდა, ერთი შეცდომა დაუშვა და შემდეგ ეს შეცდომა რამდენჯერმე უსიამოვნოდ გაახსენდა. როცა ლაპარაკობდა, რა სასჯელი მოელოდა ერთ უცხოელს, რომელიც რუსეთში უნდა გაესამართლებინათ, თქვა, მართებული არ იქნება იგი უცხოეთში გადასახლებით დავსაჯოთო, – გაიმეორა იგივე ფრაზა, რაც გუშინ ერთი ნაცნობისაგან მოისმინა.

– ჩემი აზრით, მისი საზღვარგარეთ გადასახლება იგივეა, რომ ქარიყლაპია დასასჯელად წყალში გადავაგდოთ, – თქვა ლევინმა. მხოლოდ შემდეგ გაახსენდა, რომ ეს ნაცნობისაგან გაგონილი ფრაზა, თავისად რომ ასაღებდა, კრილოვის იგავ-არაკიდან იყო ამოღებული და მისი ნაცნობიც ამ აზრს გაზეთის ფურცლებიდან იმეორებდა.

ლევინი ცოლისდასთან ერთად შინ წავიდა და რაკი კიტი ჯანმრთელად და კარგად დაუხვდა, კლუბისაკენ გასწია.

VII

ლევინი სწორედ დროზე მივიდა კლუბში. სტუმრები და კლუბის წევრები უკვე იკრიბებოდნენ. ლევინი დიდი ხანი იყო, აღარ ყოფილა კლუბში, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტიდან გამოვიდა, ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა და დადიოდა მაღალ საზოგადოებაში. მას ახსოვდა კლუბი, მისი შიდა მოწყობილობა, გარეგნული წვრილმანები, მაგრამ სულ აღარ ახსოვდა კლუბში ადრე განცდილი შთაბეჭდილებები. მაგრამ როგორც კი მისი ეტლი კლუბის ფართო, ნახევრად მრგვალ ეზოში შევიდა, ეტლიდან ჩამოვიდა და გადააბიჯა პარმაღს, სადაც აშურმიანი მეკარე გამოეგება, უხმაუროდ გაუღო კარი და მიესალმა, როგორც კი დაინახა მეკარესთან დატოვებული კლუბის წევრების კალოშები და ქურქები, რომელთაც მოეფიქრებინათ, რომ უფრო იოლი იყო მათი აქ დატოვება, ვიდრე ზევით ატანა, როგორც კი გაიგონა იდუმალებით მოცული ზარის ხმა და მოფარდაგებულ, დამრეც კიბეზე

ასვლისას თვალი ჰკიდა ნაცნობ ქანდაკებას, ხოლო ზევით, კარში კი დაინახა კლუბის ლივრეაში გამოწყობილი უკვე მესამე ნაცნობი მოხუცი მეკარე, აუჩქარებლად რომ აღებდა კარს და თითოეულ სტუმარს ათვალიერებდა, – კვლავ ისეთივე სიმშვიდის, კმაყოფილებისა და წესიერების შთაბეჭდილება დაეუფლა, დიდი ხნის წინ კლუბში ყოფნით რომ განეცადა.

– თუ შეიძლება, გვიბოძეთ, ქუდი! – უთხრა მეკარემ ლევინს, რომელსაც დაავიწყდა კლუბის წესი, ქუდის მეკარესთან დატოვება, – კარგა ხანია აღარ ბრძანებულხართ. თავადმა გუშინვე ჩაგწერათ. თავადი სტეპან არკადიჩი ჯერ არ მობრძანებულა.

მეკარე იცნობდა არა მარტო ლევინს, არამედ ისიც იცოდა, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, იცოდა მთელი მისი ნათესაობა და მაშინვე ჩამოუთვალა ახლობლები.

ლევინმა გაიარა პირველი თეჯირებიანი დარბაზი, რომლის მარჯვნივ გადატიხრულ ოთახში ხილის გამყიდველი იჯდა, წინ გადაუსწრო ნელა მიმავალ მოხუცს და ახმაურებულ სასადილოში შევიდა.

მან ჩაუარა თითქმის მთლიანად დაკავებულ მაგიდებს და თვალი გადაავლო სტუმრებს. ხან იქ და ხან აქ ხედავდა სულ სხვადასხვაგვარ სახეებს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, შორეულ ნაცნობსა თუ ახლობელს. ვერც ერთ გაჯავრებულ ან ჩაფიქრებულ სახეს ვერ დაინახავდით. თითქოს ყველას ქუდთან ერთად მეკარესთან დაეტოვებინა თავისი გაჭირვება და საზრუნავი და ახლა ემზადებოდა, ნელა, აუჩქარებლად ესარგებლა ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობით. აქ იყვნენ სვიაჟსკი, შჩერბაცკი, ნეველოვსკი, მოხუცი თავადი, ვრონსკი, სერგეი ივანიჩი.

– აა! რატომ დაიგვიანე? – ღიმილით უთხრა თავადმა და არ შემობრუნებულა, ისე მხარს ზევით გაუწოდა ხელი, – კიტი როგორ არის? – დასძინა მან და ჟილეტის ღილ-კილოში გაჩრილი ხელსახოცი შეისწორა.

– არა უშავს, კარგად არის. დღეს სამივენი შინ სადილობენ.

– აა, მიეთმოეთი. ჰო, ჩვენთან ადგილი აღარ არის. აი, იმ მაგიდასთან მიდი და ჩქარა დაიკავე ადგილი, – უთხრა თავადმა, გვერდზე მობრუნდა და ფრთხილად ჩამოართვა

მსახურს თევზის წვნიანით სავსე თეფში.

– ლევინ, აქეთ მობრძანდი! – იქვე შორიახლოს გაისმა ვიღაცის ალერსიანი ხმა. ეს გახლდათ ტუროვცინი. იგი ვიღაც სამხედრო პირის გვერდით იჯდა, მათ გვერდით კი ორი შებრუნებული სკამი იდგა. ლევინი სიხარულით მივიდა მასთან. უყვარდა გულკეთილი, ქეიფების მოყვარული ტუროვცინი – მასთან დაკავშირებული იყო მოგონება კიტისთან სიყვარულის ახსნისა, – დღეს კი, იმ დაძაბული საუბრის შემდეგ, განსაკუთრებით სიამოვნებდა ტუროვცინის გულღია შესახედაობა.

– ეს თქვენთვის და ობლონსკისთვის არის. ისიც ახლავე მოვა.

სამხედრო პირი, რომელიც მეტისმეტად გაჭიმული იჯდა მაგიდასთან და თვალები სულ უცინოდა, პეტერბურგელი გაგინი იყო. ტუროვცინმა გააცნო იგი ლევინს.

– ობლონსკი ყოველთვის იგვიანებს.

– აგერ ისიც მოვიდა!

– შენც ახლა მოხვედი? – უთხრა ობლონსკიმ, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა მათკენ, – ძალიან კარგი! არაყი დალიე? მაშ, წავიდეთ!

ლევინი წამოდგა და ობლონსკისთან ერთად გასწია სასმელებითა და ნაირ-ნაირი კერძით სავსე დიდი მაგიდისაკენ. თითქოს ძნელი არ იყო ოციოდე სხვადასხვანაირი საუზმიდან შენი გემოვნების შესაფერისი რაიმეს ამორჩევა, მაგრამ სტეპან არკადიჩმა მაინც რაღაც განსაკუთრებული მოითხოვა და იქვე მდგომმა ლივრეაში გამოწყობილმა ლაქიამ მაშინვე მოართვა. ლევინმა და ობლონსკიმ თითო ჭიქა არაყი დალიეს და ისევ თავიანთ მაგიდას დაუბრუნდნენ.

ჯერ თევზის წვნიანიც არ დაემთავრებინათ, რომ გაგინს შამპანური მოართვეს და მან ლაქიას უბრძანა, ოთხივე ჭიქა შამპანურით აევსო. ლევინს უარი არ უთქვამს შეთავაზებულ სასმელზე და ერთი ბოთლი თვითონაც მოითხოვა. ლევინს მოშივდა და დიდი სიამოვნებით ჭამდა და სვამდა, და კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით მონაწილეობდა თანამოსაუბრეთა მხიარულ, უბრალო მუსაიფში. გაგინმა დაბალი ხმით უამბო მათ ახალი პეტერბურგული ანეკდოტი და ეს ანეკდოტი,

მართალია, უწესო და სულელური იყო, მაგრამ იმდენად სასაცილო აღმოჩნდა, რომ ლევინმა ხმამაღლა გადაიხარხარა ისე, რომ მეზობლად მსხდომებმა, ყველამ, მისკენ მოიხედეს.

– ეს სწორედ იმას ჰგავს: „მე ამისი მოთმენაც კი არ შემიძლიაო!“ შენ იცი? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა, – ოჰ, ეს შესანიშნავია! მოიტანე კიდევ ერთი ბოთლი, – უთხრა მან ლაქიას და დაიწყო მოყოლა.

– პიოტრ ილიჩ ვინოვსკი გთხოვთ, – შეაწყვეტინა სტეპან არკადიჩს მოხუცმა ლაქიამ და თხელი ჭიქებით შუშხუნა შამპანური მიართვა ლევინსა და სტეპან არკადიჩს. სტეპან არკადიჩმა ხელში აიღო ჭიქა და ღიმილით დაუქნია თავი მაგიდის ბოლოს მჯდარ მელოტ, წითელულვაშიან კაცს.

– ვინ არის ეს კაცი? – ჰკითხა ლევინმა.

– შენ მას ერთხელ შეხვდი ჩემთან, აღარ გახსოვს? კარგი კაცია.

ლევინიც ისევე მოიქცა, როგორც სტეპან არკადიჩი და მანაც ხელში აიღო ჭიქა.

სტეპან არკადიჩის ანეკდოტიც ძალიან სასაცილო გამოდგა. შემდეგ ლევინმა თავისი ანეკდოტი თქვა, რომელიც აგრეთვე ყველას მოეწონა. მერე ლაპარაკი ჩამოვარდა ცხენებზე, გუშინდელ დოღსა და ვრონსკის ცხენზე, თუ როგორ ყოჩაღად აიღო პირველი ჯილდო. ლევინმა ვერც კი შენიშნა, როგორ ჩაიარა სადილმა.

– აი, აგერ ისინიც! – წამოიძახა ნასადილევს სტეპან არკადიჩმა, სკამის ზურგზე გადაიხარა და ხელი გაუწოდა მისკენ მომავალ ვრონსკის, რომელსაც თან ახლდა ტანმაღალი გვარდიის პოლკოვნიკი. ვრონსკის სახეზეც იმავე კლუბის საერთო, მხიარული უზრუნველობა იხატებოდა. იგი მხიარულად დაეყრდნო მხარზე სტეპან არკადიჩს, რაღაც წასჩურჩულა და შემდეგ იმავე მხიარული ღიმილით გაუწოდა ხელი ლევინსაც.

– ძალიან სასიხარულოა თქვენთან შეხვედრა, – უთხრა მან ლევინს, – მე თქვენ მაშინ არჩევნებზე გეძებდით, მაგრამ მითხრეს, უკვე წავიდაო, – დასძინა მან.

– დიახ, იმავე დღეს წამოვედი. ჩვენ სწორედ ახლა ვლაპარაკობდით თქვენს ცხენზე. მოგილოცავთ, – უთხრა ლევინმა, – დიდი სისწრაფისთვის მიგიღწევიათ!

– თქვენც ხომ გყავთ ცხენები?

– არა, მამაჩემს ჰყავდა, მაგრამ მეც მახსოვს და ვიცი.

– შენ სად ისადილე? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– მეორე მაგიდაზე, სვეტებს იქით.

– მეორე საიმპერატორო ჯილდო მიულოცეს, – თქვა მაღალმა პოლკოვნიკმა, – ნეტავ მე ბანქოში მომცა ისეთი ბედი, როგორც მაგას ცხენებში აქვს.

– აბა, რატომ ვკარგავთ ძვირფას დროს. მე ინფერნალურში მივდივარ, – თქვა პოლკოვნიკმა და მაგიდიდან წამოდგა.

– ეს იაშვინია, – უპასუხა ვრონსკიმ ტუროვცინს შეკითხვაზე და მათ გვერდით გათავისუფლებულ სკამზე ჩამოჯდა. შეთავაზებული ჭიქა გამოცალა და თვითონაც მოითხოვა ერთი ბოთლი.

კლუბის საერთო შთაბეჭდილებისა თუ ღვინის ზეგავლენით ლევინმა საუბარი გაუბა ვრონსკის საქონლის საუკეთესო ჯიშების თაობაზე და დიდად გახარებული იყო, რომ არავითარ მტრობას აღარ გრძნობდა მისადმი. მან სხვათა შორის ისიც კი უთხრა, ცოლმა მიამბო, ქალბატონ მარია ბორისოვნასთან რომ შეგხვდათო.

– აა, ქალბატონი მარია ბორისოვნა შესანიშნავი ქალია, – თქვა სტეპან არკადიჩმა და მოჰყვა მასზე ანეკდოტი, რითაც ყველანი გააცინა. განსაკუთრებით ვრონსკიმ ისე გულწრფელად გადაიხარხარა, რომ ლევინმა სავსებით შერიგებულად იგრძნო მასთან თავი.

– ჰო, მოვრჩით თუ არა, – თქვა სტეპან არკადიჩმა და ღიმილით წამოდგა, – წავიდეთ!

VIII

ლევინი სუფრიდან წამოდგა, გაგინთან ერთად გაიარა მაღალთაღებიანი ოთახები და საბილიარდოსკენ გასწია.

სიარულის დროს გრძნობდა, რომ განსაკუთრებით ზუსტად და მსუბუქად იქნევდა ხელებს. დიდი დარბაზის გავლისას სიმამრს შეეჩეხა.

– რას იტყვი, როგორ მოგეწონა ჩვენი უქმად ყოფნის ტაძარი? – უთხრა თავადმა და ხელი გამოსდო, – წავიდეთ, გავიაროთ!

– მე თვითონაც მინდოდა გამევლო და დამეთვალიერებინა. საინტერესოა.

– ჰო, შენთვის საინტერესოა, მაგრამ მე კი ახლა სულ სხვანაირი ინტერესი მაქვს, ვიდრე შენ ხედავ ამ ბებრებს, – უთხრა თავადმა და მათკენ მომავალ კუზიან, ტუჩჩამოგდებულ მოხუცზე მიუთითა, რომელიც ძლივსღა ადგამდა რბილფეხსაცმლიან ფეხებს, – შენ გგონია, ისინი ასე ჩაჩანაკებად დაიბადნენ?

– როგორ თუ ჩაჩანაკებად?

– აი, შენ არც კი გაგიგონია ეს სახელი? ეს ჩვენი კლუბის ტერმინია. აი, ასეა ჩვენი საქმე. დადიხარ, დადიხარ კლუბში და ვერც კი გაიგებ, როგორ დაჩაჩანაკდები. შენ იცინი და ჩვენ კი დღე-დღეზე ველოდებით, როდის გადავიქცევით ჩაჩანაკებად. თავად ჩეჩენსკის ხომ იცნობ? – ჰკითხა თავადმა და ლევინი მისი სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ რაღაც სასაცილო ამბის თქმას აპირებდა.

– არა, არ ვიცნობ.

– როგორ არ იცნობ? თავად ჩეჩენსკის ყველა იცნობს. სულ ბილიარდს თამაშობს ხოლმე. ჰოდა, ამ სამი წლის წინ ჯერ კიდევ არ ითვლებოდა ჩაჩანაკად და ვაჟკაცობდა, სხვებს ეძახდა ჩაჩანაკებს. ერთხელ მოდის კლუბში და ჩვენი მეკარე, ხომ იცნობ ვასილის? მსუქანი რომ არის. დიდი ოხუნჯი ვინმეა. ჰოდა, იმას ეკითხება თავადი ჩეჩენსკი: „აბა, ვასილი, ვინ არის მოსული? ჩაჩანაკები აქ არიან?“ ის კი ეუბნება: თქვენ მესამე ხართო. აბა, ძმაო, ასე მოხდა ეს ამბავი!

ლევინმა თავადთან ერთად ასე შემოიარა მთელი ოთახები, თან გზადაგზა ემუსაიფებოდნენ და ესალმებოდნენ წინ შემოხვედრილ ნაცნობებს. გაიარეს დიდი დარბაზი, სადაც უკვე გაშლილი იყო მაგიდები და შეჩვეული პარტნიორები მცირე თანხაზე თამაშობდნენ. გაიარეს მეორე ოთახიც, სადაც

ჭადრაკის თამაშით იყვნენ გართულნი. აქ იჯდა სერგეი ივანოვიჩიც და ვიღაცას ელაპარაკებოდა. შეიხედეს საბილიარდოშიც, სადაც კუთხეში, დივანთან, თავი მოეყარათ გულშემატკივრებს. ჩუმად, უხმაუროდ შევიდნენ ჩაბნელებულ სამკითხველო დარბაზშიც; შუქფარიან ლამპასთან იჯდა გაჯავრებული სახის ახალგაზრდა და ერთიმეორეზე ფურცლავდა ჟურნალებს; აქვე იჯდა მელოტი გენერალიც, რომელიც მთელი გულისყურით კითხულობდა. იმ ოთახშიც შევიდნენ, თავადი ჭკვიანების ოთახს რომ ეძახდა. აქ იჯდა სამი თავადი, რომელთაც გაცხარებული საუბარი გაებათ უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებზე.

– წამობრძანდით, თავადო, მზად გახლავთ, – უთხრა თავადს ერთმა მისმა პარტნიორმა, რომელსაც აქ მოეძებნა იგი და თან გაიყოლა. ლევინი ჩამოჯდა, ყური მიუგდო მათ საუბარს, მაგრამ უცებ ამდილანდელი საუბარი გაახსენდა და საშინელი მოწყენილობა იგრძნო. საჩქაროდ წამოდგა და გაემართა ტუროვცინისა და ობლონსკის მოსაძებნად. მათთან უფრო მხიარულად გრძნობდა თავს.

ტუროვცინი საბილიარდოში მაღალ დივანზე იჯდა და ხელში სასმისი ეჭირა. სტეპან არკადიჩი ოთახის შორეულ კუთხეში, კართან, რაღაცას ელაპარაკებოდა ვრონსკის.

– თითქოს არ არის მოწყენილი, მაგრამ ეს გაურკვევლობა, ეს გამოუვალი მდგომარეობა... – ყური მოჰკრა ლევინმა და შეეცადა, საჩქაროდ აევლო გვერდი, მაგრამ სტეპან არკადიჩმა დაუძახა.

– ლევინ! – დაუძახა სტეპან არკადიჩმა და ლევინმა შენიშნა, რომ თვალები ცრემლიანი კი არა, დანამული ჰქონდა, როგორც იცოდა ხოლმე ყოველთვის, როცა ნასვამი იყო ან ძლიერ განიცდიდა რამეს. დღეს კი ერთიც იყო და მეორეც, – ლევინ, არ წახვიდე, – უთხრა მან და მაგრად მოუჭირა ხელი იდაყვზე. ეტყობა, არ უნდოდა მისი გაშვება.

– ეს ჩემი გულითადი და თითქმის საუკეთესო მეგობარია, – უთხრა მან ვრონსკის, – შენ კიდევ უფრო ახლობელი და ძვირფასი ხარ ჩემთვის. და მე მინდა და ვიცი, რომ თქვენ ორივე საუკეთესო მეგობრები და ახლობლები იქნებით, იმიტომ, რომ ორივე კარგი ადამიანები ხართ!

– ასე რომ, კოცნის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია! – კეთილად

გაიხუმრა ვრონსკიმ და ხელი გაუწოდა.

ლევინმაც მაშინვე შეაშველა ხელი და მაგრად ჩამოართვა.

– დიდად, დიდად მოხარული ვარ! – უთხრა ხელის ჩამორთმევისას.

– აბა, ერთი ბოთლი შამპანური მოგვართვით! – გასძახა სტეპან არკადიჩმა მსახურს.

მაგრამ მიუხედავად სტეპან არკადიჩისა და მათი სურვილისაც, ლევინსა და ვრონსკის მაინც არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან სალაპარაკო და ორივე გრძნობდა ამას.

– შენ იცი, ლევინი არ იცნობს ანას. აუცილებლად მინდა წავიყვანო. წავიდეთ, ლევინ!

– ნუთუ მართლა არ იცნობს? – გაიოცა ვრონსკიმ, – ანა დიდად მოხარული იქნება. მეც ახლავე წამოვიდოდი შინ, – დასძინა მან, – მაგრამ იაშვინის საქმე მაფიქრებს და მინდა აქ ვიყო, სანამ გაათავებდეს.

– რა, ცუდად აქვს საქმე?

– სულ აგებს, მხოლოდ მე შემიძლია მისი დაოკება.

– მაშ, მოდი, პირამიდა ვითამაშოთ! ითამაშებ, ლევინ? ჰოდა, ძალიან კარგი. დააწყვე! – მიუბრუნდა იგი მარკერს.

– დიდი ხანია მზად გახლავართ! – უპასუხა მარკერმა, რომელსაც სამკუთხედად დაეწყო ბურთები და გასართობად წითელ ბურთს აგორებდა.

– მაშ, დავიწყოთ!

ერთი ხელის შემდეგ ლევინი და ვრონსკი გაგინის მაგიდას შეუერთდნენ და ლევინი სტეპან არკადიჩის რჩევით ტუზს ჩავიდა. ვრონსკის განუწყვეტლივ გარს ეხვეოდნენ ნაცნობები. იგი ხან მაგიდასთან იჯდა, ხან საინფერნალოში გადიოდა იაშვინის დასახედად. ლევინი სასიამოვნო სიმშვიდეს გრძნობდა დილანდელი გონებრივი მოქანცულობის შემდეგ. გახარებული იყო, რომ ბოლო მოეღო მის მტრულ ურთიერთობას ვრონსკისთან და მთელი ამ ხნის განმავლობაში სიმშვიდის, წესიერებისა და კმაყოფილების სასიამოვნო გრძნობას განიცდიდა.

პარტია რომ დამთავრდა, სტეპან არკადიჩმა ხელი გამოსდო ლევინს.

– მაშ, წავიდეთ ანასთან? ახლავე წავიდეთ? ჰა? ანა შინ იქნება. დიდი ხანია შევპირდი, მოვიყვან-მეთქი ლევინს. ხომ არსად აპირებდი ამ საღამოს წასვლას?

– მაინცდამაინც არსად. სვიაჟსკის შევპირდი სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში მისვლას. წავიდეთ, თუ გინდა, – უთხრა ლევინმა.

– ძალიან კარგი, წავიდეთ! გაიგე, მოვიდა თუ არა ჩემი კარეტა, – მიუბრუნდა სტეპან არკადიჩი ლაქიას.

ლევინი მაგიდასთან მივიდა, გადაიხადა ტუზში წაგებული ორმოცი მანეთი, რაღაცნაირი საიდუმლო წესით გადასცა ფული კარში მდგარ მოხუც ლაქიას კლუბის ხარჯებისთვის, ხელების განსაკუთრებული ქნევით გაიარა დარბაზები და გასასვლელისაკენ გასწია.

IX

– კარეტა მოართვით ობლონსკის! – გაჯავრებული, როხროხა ხმით გასძახა მეკარემ: კარეტა სადარბაზო კართან გაჩერდა და ორივენი ჩასხდნენ შიგ. პირველ ხანებში, სანამ კარეტა კლუბის ჭიშკარს გასცდებოდა, ლევინი კვლავ იმავე, კლუბში განცდილი სიმშვიდის, სიამოვნების და ეჭვმიუტანელი წესიერების გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ, როგორც კი კარეტა ქუჩაში გავიდა, და იგრძნო, როგორ არახრახდა იგი უსწორმასწორო გზაზე, გაიგონა წინ შემოხვედრილი მეეტლის გაბრაზებული შეძახილი, თვალი ჰკიდა მკრთალი სინათლით განათებული სამიკიტნოსა და დუქნის წითელ აბრას, მაშინვე გაუქრა ეს შთაბეჭდილება, ჩაუფიქრდა თავის საქციელს და შეეკითხა თავის თავს, კარგად იქცეოდა თუ არა, ანასთან რომ მიდიოდა. რას იტყოდა კიტი? მაგრამ სტეპან არკადიჩმა დაფიქრების საშუალება არ მისცა და თითქოს მიუხვდაო ეჭვს, მაშინვე მის გაქარწყლებას შეეცადა.

– როგორ მიხარია, – უთხრა მან, – რომ გაიცნობ ანას. შენ იცი, დოლის დიდი ხანია უნდოდა ეს. ლვოვიც იყო მასთან და დადის კიდეც. მართალია, ჩემი დაა, – განაგრძო სტეპან არკადიჩმა, – მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავი ქალია. აი, შენ თვითონ ნახავ! მისი მდგომარეობა კი მეტისმეტად მძიმეა, განსაკუთრებით ახლა.

– რატომ მაინცდამაინც ახლა?

– ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მის ქმართან განქორწინების თაობაზე. ქმარი თანახმაა, მაგრამ იქმნება ერთი დაბრკოლება შვილის გამო და ეს საქმე, დიდი ხნის წინ რომ უნდა დამთავრებულიყო, მესამე თვეა გრძელდება. როგორც კი განქორწინებას მიიღებს, მაშინვე ცოლად გაჰყვება ვრონსკის. რა სისულელეა გარს შემოვლის ეს ძველებური ჩვეულება და „ისაია, მხიარულ იყავ“, რომელიც არავის სწამს და მხოლოდ ხელს უშლის ადამიანთა ბედნიერებას! – ჩაურთო სტეპან არკადიჩმა, – ჰოდა, მაშინ მათი მდგომარეობა ისევე გარკვეული იქნება, როგორც შენი და ჩემი.

– მაშ, რაღაშია დაბრკოლება? – ჰკითხა ლევინმა.

– ოჰ, ეს გრძელი და მოსაწყენი ამბავია! ეს ჩვენთან ჯერ კიდევ გაურკვეველია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ანა განქორწინებას ელოდება და უკვე მესამე თვეა ცხოვრობს აქ, მოსკოვში, სადაც მას ყველა იცნობს. არსად დადის, მანდილოსანთაგან არავინ ნახულობს, გარდა დოლისა, რადგან არ სურს, მოწყალების გამო ინახულონ. ის სულელი თავადის ასული ვარვარაც კი წავიდა, უწესოდ მიიჩნია მასთან ყოფნა. ასეთ მდგომარეობაში ვერც ერთი ქალი ვერ აღმოაჩენდა თავის თავში საამისო ძალას, მან კი, თვითონვე ნახავ, როგორ მოაწყო თავისი ცხოვრება, როგორ მშვიდად და ღირსეულად უჭირავს თავი. მარცხნივ, შესახვევში, ეკლესიის პირდაპირ! – გასძახა სტეპან არკადიჩმა და კარეტის სარკმლისაკენ გადაიხარა, – უჰ, რა სიცხეა! – თქვა მან და, მიუხედავად თორმეტი გრადუსი ყინვისა, ისედაც გახსნილი ქურქი კიდევ უფრო გადაიღეღა.

– მას ხომ ჰყავს გოგონა, ალბათ, მისი აღზრდითაა დაკავებული?

– შენ, მგონი, ყველა ქალი წარმოდგენილი გყავს მხოლოდ როგორც une couveuse[93], – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – უსათუოდ შვილების აღზრდით უნდა იყოს გართული. არა, იგი,

როგორც ვიცი, მშვენივრად ზრდის თავის გოგონას, მაგრამ სახლში ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. იგი, ჯერ ერთი, წერით არის გართული. მე უკვე ვგრძნობ, რომ ირონიულად იღიმები, მაგრამ სულ ტყუილად, იგი წერს საბავშვო წიგნს, მაგრამ არავის არაფერს ეუბნება ამის თაობაზე. მაგრამ მე წამიკითხა და ხელნაწერი ვორკუევს გადავეცი... ხომ იცი, გამომცემელი რომ არის.... თვითონაც მწერალია, მგონი. მან იცის ამისი ფასი და ამბობს, შესანიშნავიაო. შენ გგონია, რომ ეს არის ავტორი-ქალი? სულაც არა! პირველ ყოვლისა, იგი არის ქალი, რომელსაც გული აქვს. თუმცა შენ თვითონვე ნახავ! მასთან ცხოვრობს ინგლისელი გოგონა მთელი თავისი ოჯახით და ახლა ამით არის გატაცებული.

– ეს, ალბათ, ფილანთროპიის მსგავსი რამ არის!

– შენ გინდა ყველაფერს ცუდი თვალით შეხედო. ფილანთროპიის კი არა, ეს გრძნობის საქმეა. მათ, უფრო სწორად, ვრონსკის ჰყავდა ინგლისელი მწვრთნელი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ ლოთი. გადაჰყვა კიდეც ლოთობას. delirium bremens-ი[94] დაემართა და ოჯახი ღვთის ანაბარა მიატოვა. ანამ ინახულა ისინი, დაეხმარა, ჩაერია მათ საქმეში და ახლა მთელი ოჯახი მის კმაყოფაზეა, ისე კი არა, ქედმაღლურად, ფულით რომ ეხმარებიან. ბიჭებს თვითონ ამზადებენ რუსულად გიმნაზიისთვის. გოგონა კი თავისთან გადმოიყვანა. აი, შენ ნახავ მას!

კარეტა ეზოში შევიდა და სტეპან არკადიჩმა ძლიერად ჩამორეკა სადარბაზოს კართან, რომლის წინაც მარხილები იდგა.

არც უკითხავს მეკარესთვის, შინ იყვნენ თუ არა, პირდაპირ შევიდა წინკარში. ლევინიც უკან მიჰყვებოდა და სულ უფრო და უფრო მეტად ეპარებოდა ეჭვი თავის საქციელში. ვერ გარკვეულიყო, ცუდად იქცეოდა თუ კარგად. სარკეში რომ ჩაიხედა, შენიშნა, აწითლებული იყო, მაგრამ არ დაიჯერა თავისი სიმთვრალე და უკან გაჰყვა სტეპან არკადიჩს რბილი ხალიჩით მოფენილ ოდნავ განათებულ კიბეზე. ზევით რომ ავიდნენ, სტეპან არკადიჩმა ჰკითხა ლაქიას, რომელიც შინაურივით მიესალმა მას, ვინ არის ანა არკადიევნასთანო და პასუხად მიიღო, ვორკუევი ბრძანდებაო.

– სად არიან?

– კაბინეტში.

სტეპან არკადიჩმა ლევინთან ერთად გაიარა მუქი ხით მოპირკეთებული პატარა სასადილო ოთახი და რბილ ხალიჩაზე გავლით შევიდნენ ნახევრად ჩაბნელებულ კაბინეტში, რომელსაც მხოლოდ ერთი მუქი აბაჟურიანი ლამპა ანათებდა. მეორე ლამპა-რეფრაქტორი კედელზე იყო ჩამოკიდებული და ანათებდა მთელი ტანით წარმოჩენილ ქალის დიდ პორტრეტს, რამაც უნებურად მიიქცია ლევინის ყურადღება. ეს გახლდათ იტალიაში მიხაილოვის მიერ დახატული ანას პორტრეტი. სანამ სტეპან არკადიჩი ტრელაჟს იქით გავიდა და, სანამ იქ მამაკაცის ლაპარაკი ჩაჩუმდა, ლევინი მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ შუქმოსილი პორტრეტის ყურებით ტკბებოდა და თვალი ვეღარ მოეწყვიტა სურათისთვის. დაავიწყდა კიდეც, სად იყო ან რას ლაპარაკობდნენ მის გვერდით, თვალმოუცილებლად შეჰყურებდა ამ საკვირველ პორტრეტს. ეს სურათი კი არა, ცოცხალი უმშვენიერესი ქალი იყო: შავი, ხვეული თმა, შიშველი მხრები და მკლავები, ნაზი ბუსუსით დაფარული ბაგე, ოდნავ შესამჩნევი ფიქრიანი ღიმილი და ამასთან საოცრად ამაყი, ნაზი გამოხედვა, რამაც განაცვიფრა ლევინი. ქალი მხოლოდ იმიტომ არ იყო ცოცხალი, რომ უფრო ლამაზი იყო, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო.

– მე დიდად მოხარული ვარ! – უეცრად გაისმა მის გვერდით, ალბათ, მისადმი მიმართული სიტყვები და ლევინმა გაიგონა ხმა იმ ქალისა, ვისი პორტრეტის ყურებითაც ტკბებოდა. ანა მის შესაგებებლად გამოსულიყო და ლევინმა კაბინეტის მკრთალ სინათლეზე პორტრეტზე გამოსახული ქალი დაინახა. მას მუქი მოლივლივე ლურჯი კაბა ეცვა. იგი ახლა სულ სხვა მდგომარეობაში იყო, გამომეტყველებაც სულ სხვაგვარი ჰქონდა, მაგრამ ისეთივე ლამაზი იყო, როგორიც მხატვარს პორტრეტზე გამოეხატა. ახლა, სინამდვილეში, მას აღარ ჰქონდა ისეთი ბრწყინვალება, მაგრამ სამაგიეროდ მასში მოჩანდა რაღაც ახალი მომხიბვლელობა, რაც გამოსახული არ იყო პორტრეტზე.

X

ანა შესახვედრად გამოეგება და არც დაუფარავს მისი ნახვით გამოწვეული სიხარული. მან ისე მშვიდად გაუწოდა ლევინს თავისი პატარა, ენერგიული ხელი, ისე წარუდგინა ვორკუევი და მიუთითა ქერა, ლამაზ გოგონაზე, იქვე სამუშაოს რომ უჯდა და თავისი გაზრდილი უწოდა, რომ ლევინმა მაშინვე შეიცნო მასში მაღალი საზოგადოების ქალის მუდამ მშვიდი და ბუნებრივი საქციელი, მისთვის ესოდენ ნაცნობი და სასიამოვნო.

– დიდად მოხარული ვარ, – გაიმეორა ანამ და მის მიერ წარმოთქმულ ამ უბრალო სიტყვებს ლევინისთვის რატომღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა, – მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ და მიყვარხართ სტივასთან მეგობრობისა და თქვენი მეუღლის გამოისობით. მე თქვენს მეუღლეს სულ ცოტა ხნით ვიცნობდი, მაგრამ მან ჩემში მშვენიერი ყვავილის, სწორედ რომ ყვავილის შთაბეჭდილება დატოვა და იგი ახლა მალე დედაც იქნება!

ანა თავისუფლად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა და დროდადრო ლევინიდან ძმაზე გადაიტანდა ხოლმე მზერას. ლევინმა იგრძნო, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ისე მსუბუქად, უბრალოდ და სასიამოვნოდ იგრძნო თავი, თითქოს ანას ბავშვობიდანვე იცნობდა.

– მე და ივან პეტროვიჩი სწორედ მოსაწევად შემოვედით ალექსეის კაბინეტში, – თქვა მან სტეპან არკადიჩის შეკითხვის საპასუხოდ, შეიძლება თუ არა მოწევაო, და ანამ ნაცვლად იმისა, ეკითხა ლევინისთვის, ეწევით თუ არაო, მხოლოდ გადახედა მას, კუს ბაკნის პორტსიგარი თავისკენ მიიწია და პაპიროსი ამოიღო.

– დღეს როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა ანას ძმამ.

– არა მიშავს. როგორც ყოველთვის, ახლაც ნერვები მაწუხებს.

– მართლაც არაჩვეულებრივად კარგია, არა? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა, როცა შენიშნა, რომ ლევინი თვალს ვეღარ აშორებდა პორტრეტს.

– ამაზე უკეთესი პორტრეტი მე არ მინახავს!

– მსგავსებაც არაჩვეულებრივია, ხომ მართალია? – თქვა

ვორკუევმა.

ლევინმა პორტრეტიდან ორიგინალზე გადაიტანა მზერა.

განსაკუთრებულმა სხივმა გაუბრწყინა ანას სახე იმ წუთში, როცა იგრძნო, რომ ლევინი მას შეჰყურებდა. ლევინი გაწითლდა და მღელვარების დასაფარავად უნდოდა შეჰკითხვოდა ანას, რამდენი ხანია დარია ალექსანდროვნა აღარ გინახავთო, მაგრამ ამ დროს თვით ანამ წამოიწყო საუბარი.

– მე და ივან პეტროვიჩი ახლა სწორედ ვაშჩენკოვის უკანასკნელ სურათზე ვლაპარაკობდით. თქვენ ნახეთ?

– დიახ, ვნახე, – უპასუხა ლევინმა.

– მაგრამ მაპატიეთ, თქვენ, მგონი, რაღაცის თქმა გინდოდათ...

ლევინმა ჰკითხა, რამდენი ხანია დოლი აღარ გინახავთო.

– გუშინ იყო ჩემთან და ძალიან გაჯავრებულია გრიშას გიმნაზიის გამო. მგონი, ლათინურის მასწავლებელი უსამართლოდ მოქცევია.

– დიახ, ვნახე ეს სურათები. არცთუ ისე მომეწონა, – დაუბრუნდა ლევინი ანას მიერ წამოწყებულ საუბარს.

ლევინი ახლა სულ აღარ ლაპარაკობდა საქმისადმი ისეთი ხელოვნური მიდგომით, როგორც ამ დილას. ანასთან საუბარში მისთვის ყოველი სიტყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. მასთან საუბარიც სასიამოვნო იყო, მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნო იყო მისი მოსმენა.

ანა არა მარტო ბუნებრივად და ჭკვიანურად ლაპარაკობდა, არამედ ჭკვიანურადაც და დაუდევრადაც, – არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა საკუთარ აზრს, თავისი თანამოსაუბრის აზრს კი დიდად აფასებდა.

საუბარი ჩამოვარდა ხელოვნებაში ახალ მიმართულებაზე, ფრანგი მხატვრის მიერ შესრულებულ ბიბლიის ახალ ილუსტრაციაზე. ვორკუევი ბრალს სდებდა მხატვარს უხეშობამდე დაყვანილი რეალიზმის გამო. ლევინმა თქვა, ფრანგებმა პირობითობა ხელოვნებაში არნახულ სიმაღლემდე აიყვანეს, ამიტომაც განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევენ რეალიზმისაკენ შემობრუნებას, ისინი პოეზიას იმაში ხედავენ, რომ აღარ ტყუიანო.

არასოდეს არც ერთ მის მიერ ჭკვიანურად წარმოთქმულ ფრაზას არ მიუნიჭებია ლევინისთვის ისეთი სიამოვნება, როგორც ამას. ანას უეცრად ერთიანად გაუბრწყინდა სახე, როცა ჩაუფიქრდა ამ აზრს და გაიცინა.

– მე ვიცინი, – თქვა ანამ, – ისე, როგორც გაგეცინება მაშინ, როცა ძალიან მიმსგავსებულ პორტრეტს დაინახავ. ის, რაც თქვენ თქვით, სავსებით ახასიათებს დღევანდელ ფრანგულ ხელოვნებას, ფერწერას და თითქმის ლიტერატურასაც კი: Zola, Daudet, მაგრამ შეიძლება ეს ყოველთვის ასე ხდება – თავიანთ conceptions[95]-ს აგებენ გამოგონილი, პირობითად შექმნილი ფიგურებისაგან, შემდეგ კი, როცა ყველა combinasions[96] გაკეთებულია, ბეზრდებათ გამოგონილი ფიგურები და ხელს ჰკიდებენ უფრო ნატურალური, სამართლიანი ფიგურების შექმნას.

– აი, ეს სავსებით სამართლიანია! – შენიშნა ვორკუევმა.

– მაშ, თქვენს კლუბში იყავით? – მიუბრუნდა ანა ძმას.

„დიახ, დიახ, აი, ნამდვილი ქალი!“ – ფიქრობდა ლევინი და თვალს ვეღარ აცილებდა ანას ლამაზ, მეტყველ სახეს, რომელიც ახლა უეცრად სრულიად გამოიცვალა. ლევინს არ ესმოდა, რას ამბობდა ძმისკენ გადახრილი ანა, მაგრამ იგი განაცვიფრა ანას სახის გამომეტყველების შეცვლამ. მისი სახე, რომელიც ასეთი მშვენიერი იყო თავისი სიმშვიდით, ახლა საოცარ ცნობისმოყვარეობას, მრისხანებას და სიამაყეს გამოხატავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. ანამ თვალები მოჭუტა, თითქოს რაღაც ახსენდებაო.

– ჰო, დიახ, მაგრამ ეს არავისთვის საინტერესო არ არის, – თქვა ანამ და ინგლისელ გოგონას მიუბრუნდა.

– Please, order the tea in the drawing-room.[97]

გოგონა წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

– რა ქნა, ჩააბარა გამოცდა? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– მშვენივრად ჩააბარა. ძალიან ნიჭიერი გოგონაა და ხასიათითაც მეტისმეტად სათნოა.

– და ეს იმით დამთავრდება, რომ შენ საკუთარ შვილზე მეტად შეიყვარებ ამ გოგონას.

– აი, როგორ მსჯელობს მამაკაცი: სიყვარულში მეტნაკლებობა არ არსებობს. შვილი სხვა სიყვარულით მიყვარს, ეს გოგონა კიდევ სხვა სიყვარულით.

– მე ვეუბნები ანა არკადიევნას, – თქვა ვორკუევმა, – მას რომ რუსი ბავშვების სწავლების საქმისთვის დაეხარჯა მეასედი ამ ენერგიისა, რასაც ამ გოგონას ახმარს, დიდად სასარგებლო საქმეს გააკეთებდა.

– თქვენ როგორც გინდათ თქვით, მაგრამ ვერ შევძელი ეს. გრაფ ალექსეი კირილიჩმა ძალიან წამაქეზა ამ საქმეში (როცა ანა ამბობდა, გრაფ ალექსეი კირილიჩმაო, ვედრებით, მორცხვად გადახედა ლევინს და მანაც უნებურად მოკრძალებული, დამადასტურებელი გამოხედვით უპასუხა), რათა ხელი მომეკიდა სოფლის სკოლისთვის. რამდენჯერმე მივედი. ბავშვებიც ძალიან კარგები იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ მიმიზიდა ამ საქმემ. თქვენ ამბობთ, ენერგიაო. ენერგია სიყვარულზე უნდა იყოს დაფუძნებული. სიყვარული კი ასე იოლი როდია, ძალით ვერ მოიყვან. ეს გოგონა კი, თვითონაც არ ვიცი, რატომ შემიყვარდა ასე.

და ისევ ლევინს შეხედა. ანას ღიმილიცა და გამოხედვაც იმას ადასტურებდა, რომ იგი მხოლოდ ლევინისთვის ამბობდა ამას, რომ მისთვის ძვირფასი იყო ლევინის აზრი და ამასთან, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ გაუგებდნენ ერთმანეთს.

– ჩემთვის ეს სავსებით გასაგებია, – უპასუხა ლევინმა, – სკოლას და სხვა მის მსგავს დაწესებულებებს ვერასოდეს დაუდებ გულს. ჩემი აზრით, სწორედ ამის გამოა, რომ ფილანთროპიულ დაწესებულებებს არავითარი შედეგი არა აქვთ.

ანა ჯერ გაჩუმდა, მერე გაიღიმა.

– დიახ, დიახ, – დაუდასტურა მან, – მე ვერასოდეს შევძელი ეს. Je n’ai pas le coeur asseg lagre[98], რომ შევიყვარო მთელი თავშესაფარი საძაგელი გოგონებისა. Cela ne m’jamais réussi.[99] რამდენი ქალია, რომელთაც ამით შექმნეს position sociale.[100] მით უმეტეს ახლა, – ნაღვლიანი, ნდობით აღსავსე გამომეტყველებით დასძინა ანამ, თითქოს ძმას მიმართა ამ სიტყვებით, მაგრამ, ეტყობოდა, მხოლოდ ლევინის საყურადღებოდ ამბობდა, – ახლა, როცა ჩემთვის ასე საჭიროა რაიმე საქმე, ახლაც არ შემიძლია ამის გაკეთება, – და უეცრად

მოიღუშა (ლევინი მიხვდა, რომ ანა საკუთარ თავზე ბრაზობდა, ბრაზობდა იმიტომ, რომ ისევ საკუთარ თავზე დაიწყო ლაპარაკი). ანამ საუბრის თემა შეცვალა, – მე თქვენ შესახებ გავიგე, – მიმართა მან ლევინს, – რომ ცუდი მოქალაქე ხართ და გიცავდით, რამდენადაც შემეძლო.

– მაინც როგორ მიცავდით?

– ეს იმაზე იყო დამოკიდებული, როგორი იქნებოდა თავდასხმა. თუმცა ჩაის ხომ არ მიირთმევთ? – ანა წამოდგა და ხელში აიღო ტარსიკონის ყდაში ჩასმული წიგნი.

– მიბოძეთ, ანა არკადიევნა, – უთხრა ვორკუევმა და წიგნზე მიუთითა, – იგი სავსებით ღირსია ამისა.

– ოჰ, არა, ჯერ კიდევ დასამთავრებელია...

– მე ამასაც ვუთხარი, – მიმართა სტეპან არკადიჩმა დას და ლევინზე მიუთითა.

– ტყუილად გარჯილხარ. ჩემი წერა იმ მოჩუქურთმებულ კალათებს მაგონებს, ლიზა მერცალოვა რომ მომყიდდა ხოლმე სატუსაღოებიდან. იგი ამ საზოგადოებაში სატუსაღოებს განაგებდა, – აუხსნა მან ლევინს, – ის უბედურები კი მოთმინების სასწაულებს ახდენდნენ.

ლევინმა კიდევ ახალი თვისება შენიშნა ამ საოცრად მომხიბვლელ ქალს: ჭკუის, მომხიბვლელობისა და სილამაზის გარდა, გულწრფელიც იყო. იგი არ უმალავდა ლევინს თავისი მდგომარეობის მთელ სიმძიმეს. ამის თქმაზე ამოიოხრა და მისმა სახემაც უეცრად მკაცრი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გაუქვავდა სახე; ამან კიდევ უფრო მეტი მშვენიერება შესძინა მის სახეს, მაგრამ ეს ახალი გამომეტყველება იყო. ეს არ ყოფილა ბედნიერების სხივით გაბრწყინებული სახე, ირგვლივ რომ ყველას ბედნიერებას ჰფენდა, სახე, რომელიც მხატვარს პორტრეტზე გამოეხატა. ლევინმა ერთხელ კიდევ შეხედა პორტრეტს, შემდეგ ანას გადახედა, თუ როგორ გამოსდო ძმას ხელი და მასთან ერთად გაიარა მაღალი კარი. და ლევინმა, თავისდა განსაცვიფრებლად, სიყვარული და სიბრალული იგრძნო ანასადმი.

ანამ სთხოვა ლევინსა და ვორკუევს, სასტუმრო ოთახში გასულიყვნენ, თვითონ კი მარტო დარჩა ძმასთან

მოსალაპარაკებლად: „ნეტავ რაზე ელაპარაკება, განქორწინებაზე, ვრონსკიზე, რას აკეთებს იგი კლუბში, თუ ჩემზე?“ – ფიქრობდა ლევინი და ისე აღელვებდა იმაზე ფიქრი, თუ რაზე ელაპარაკებოდა ანა სტეპან არკადიჩს, რომ თითქმის ყურს არ უგდებდა ვორკუევს, რომელიც ანას ბავშვებისთვის დაწერილი რომანის ღირსებებზე ებაასებოდა.

ჩაიზეც კვლავ იგივე სასიამოვნო და შინაარსით აღსავსე საუბარი გრძელდებოდა, არათუ არ ყოფილა ისეთი წუთი, როცა საჭირო ხდებოდა საუბრისთვის საგნის გამონახვა, პირიქით, ვეღარ ასწრებდნენ ყველაფრის თქმას, საჭირო ხდებოდა თავის შეკავება, რათა სხვისი ნათქვამიც მოგესმინა. და ყველაფერს, რასაც ლაპარაკობდნენ, არა მარტო ანა, არამედ ვორკუევი და სტეპან არკადიჩიც, ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ანას ყურადღებისა და მისი შენიშვნების გამო. ასე ეჩვენებოდა ლევინს.

იგი ყურს უგდებდა ამ საინტერესო საუბარს და თან ტკბებოდა ანას სილამაზით, ჭკუით, განათლებით და ამავე დროს მისი უბრალოებითა და გულწრფელობით. ლევინი ყურს უგდებდა სხვებს, თვითონაც ლაპარაკობდა და სულ ერთთავად ანაზე, მის სულიერ ცხოვრებაზე ფიქრობდა, ცდილობდა გარკვეულიყო მის გრძნობებში. და თუ წინათ ასე მკაცრად კიცხავდა ანას, ახლა, რაღაც უცნაურ აზრთა მსვლელობის გამო, ამართლებდა, ებრალებოდა კიდეც და შიშობდა, რომ ვრონსკის სავსებით არ ესმოდა მისი. თერთმეტ საათზე, როცა სტეპან არკადიჩი წასასვლელად წამოდგა (ვორკუევი უფრო ადრე წავიდა), ლევინს მოეჩვენა, რომ სულ ახლახან მოვიდა და სინანულით წამოდგა.

– მშვიდობით, – უთხრა მას ანამ, ხელი გაუწოდა და დიდხანს აღარ მოუცილებია მისთვის სიყვარულით აღსავსე მზერა, – მე დიდად მოხარული ვარ, la glase est rompue![101]

ანამ ხელი გაუშვა ლევინის ხელს და თვალები მოჭუტა.

– გადაეცით თქვენს მეუღლეს, რომ წინანდელივით მიყვარს და თუ მას არ შეუძლია მაპატიოს ჩემი მდგომარეობა, მაშინ ვუსურვებდი, არასოდეს ეპატიებინა ეს ჩემთვის. პატიება რომ შეძლოს, თვითონაც უნდა განიცადოს ის, რაც მე განვიცადე, ამისაგან კი ღმერთმა დაიფაროს!..

– უეჭველად, დიახ, გადავცემ... – ეუბნებოდა ლევინი და

წითლდებოდა.

XI

„რა საოცარი, საყვარელი და საბრალო ქალია!“ – გაიფიქრა ლევინმა, როცა სტეპან არკადიჩთან ერთად გარეთ, სუსხიან ჰაერზე გამოვიდა.

– ახლა რას იტყვი? ხომ გეუბნებოდი! – უთხრა სტეპან არკადიჩმა, რაკი დაინახა, რომ ლევინი სავსებით დატყვევებული იყო.

– დიახ, – ფიქრიანად დასძინა ლევინმა, – არაჩვეულებრივი ქალია! მარტო ჭკვიანი კი არა, საოცრად გრძნობიერიც არის. მეტისმეტად შესაბრალისია!

– ახლა, ღმერთია მოწყალე, მალე მოგვარდება ყველაფერი, თუმცა წინასწარ არ ვარგა ლაპარაკი, – თქვა სტეპან არკადიჩმა და კარეტის კარი გამოაღო, – მშვიდობით, ჩვენ სხვადასხვა გზით მივდივართ.

ლევინი ისე მივიდა სახლამდე, წუთითაც არ შეუწყვეტია ანაზე ფიქრი. იგონებდა იმ უბრალო საუბარს მასთან, თვალწინ ედგა მისი სახის გამომეტყველების ყოველი წვრილმანი, სულ უფრო და უფრო მეტად განიცდიდა მის მდგომარეობას და ებრალებოდა.

სახლში კუზმამ მოახსენა, კატერინა ალექსანდროვნა კარგად ბრძანდებაო, სულ ახლახან წავიდნენო მისი დები და ამასთან, ორი წერილიც გადასცა. ლევინმა იქვე, წინკარში გადაიკითხა წერილები, რათა შემდეგ არ დავიწყებოდა წაკითხვა. ერთი – სოკოლოვის, მოურავის წერილი იყო. იტყობინებოდა, ხორბლის გაყიდვა შეუძლებელია, მხოლოდ ხუთმანეთ-ნახევარს იძლევიან, სხვა ფული კი არსაიდან გვაქვს ასაღებიო. მეორე წერილი დისგან იყო. და საყვედურობდა, რომ მისი საქმე ჯერ კიდევ მოუგვარებელი ჰქონდა.

„მაშ, უნდა გავყიდო ხუთმანეთ-ნახევრად, რაკი მეტს არ

იძლევიან!“ – იმავე წამს სულ იოლად გადაჭრა ლევინმა პირველი საკითხი, წინათ ესოდენ ძნელი რომ ეჩვენებოდა. „საოცარია, რომ აქ სულ მოუცლელი ვარ!“ – გაიფიქრა ლევინმა მეორე წერილზე. დამნაშავედ გრძნობდა თავს დის წინაშე, რომ აქამდე ვერ შეუსრულა თხოვნა. „დღესაც ვერ წავედი სასამართლოში, მაგრამ დღეს ნამდვილად არ მეცალა!“ გადაწყვიტა, ხვალისთვის აუცილებლად გაეკეთებინა ეს საქმე და ცოლისაკენ გასწია. ცოლთან რომ მიდიოდა, გონებაში ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო დღევანდელ დღეს. მთელი დღე ლაპარაკში გავიდა, ყურს უგდებდა სხვებს და თვითონაც მონაწილეობდა. და მთელი ეს ლაპარაკი ისეთ საგანს შეეხებოდა, რითაც იგი, სოფელში მარტო რომ ყოფილიყო, არასოდეს დაინტერესდებოდა, აქ კი ძალიან საინტერესოც იყო. ყველა საუბარი სასიამოვნოდ გაახსენდა. მხოლოდ ორ შემთხვევაში არ მოეჩვენა მთლად კარგად: ერთი, როცა ქარიყლაპიაზე წამოიწყო საუბარი და მეორე – რაღაც სხვაგვარი რამ იგრძნობოდა ანასადმი სიბრალულში.

ცოლი მოწყენილი და ნაღვლიანი დაუხვდა. დების სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. მაგრამ შემდეგ მას უცადეს, უცადეს და ყველამ მოიწყინა. დები წავიდნენ, კიტი კი მარტო დარჩა.

– შენ როგორღა გაატარე დღე? – ჰკითხა კიტიმ და საეჭვოდ აციმციმებულ თვალებში შეხედა. მაგრამ ხელი რომ არ შეეშალა და ყველაფერი ეთქმევინებინა, თავისი ყურადღება დაფარა და მოწონების ღიმილით ისმენდა ლევინის საუბარს, თუ როგორ გაატარა დღევანდელი საღამო.

– ჰო, დიდად გამახარა ვრონსკისთან შეხვედრამ. ძალიან თავისუფლად, უბრალოდ ვგრძნობდი მასთან თავს. ახლა კი, იცი, ვეცდები, აღარასოდეს შევხვდე, რათა ბოლო მოეღოს ამ უხერხულობას, – უთხრა და მაშინვე გაახსენდა, რომ ვრონსკისთან შეხვედრას უფრთხოდა და იმავე საღამოს ანასთან წავიდა, – და ლევინი გაწითლდა, – აი, ჩვენ ვამბობთ ხოლმე, ხალხი გალოთდაო; მე აღარ ვიცი, რომელი უფრო მეტს სვამს, ხალხი თუ ჩვენი წოდება. ხალხი მარტო დღესასწაულებზე სვამს, ჩვენ კი...

მაგრამ კიტისთვის სულ არ იყო საინტერესო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ სვამს ხალხი. მან შენიშნა, რომ ლევინი გაწითლდა და უნდოდა, გაეგო მიზეზი ამ გაწითლებისა.

– მერე სადღა წახვედი?

– სტივა ძალიან შემეხვეწა, მივსულიყავით ანა არკადიევნასთან, – და ამის თქმაზე კიდევ უფრო მეტად გაწითლდა. ეჭვი იმისა, კარგად მოიქცა თუ არა ანასთან წასვლით, საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი. ახლა უკვე იცოდა, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინა.

ანას სახელის გაგონებაზე კიტის თვალები გაუფართოვდა და უცნაურად გაუბრწყინდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, აღელვება დაფარა და მოატყუა ქმარი.

– აჰა, – მხოლოდ ეს თქვა კიტიმ.

– შენ, ალბათ, არ გამიწყრები ამისთვის. სტივამ მთხოვა, დოლისაც უნდოდა ეს, – განაგრძო ლევინმა.

– ოჰ, არა, – უთხრა კიტიმ, მაგრამ ლევინი მის თვალებში ხედავდა, რომ ძალას ატანდა თავს და მისგან კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი.

– ძალიან საყვარელი, ძალიან, ძალიან შესაბრალისი და კარგი ქალია, – უთხრა ლევინმა, როცა მოუყვა კიტის, როგორ ცხოვრობდა ანა და ისიც გადასცა, რაც ანამ დაავალა.

– ჰო, რა თქმა უნდა, ძალიან შესაბრალისია, – თქვა კიტიმ, როცა ლევინმა დაასრულა საუბარი, – წერილი ვისგან მიიღე?

ლევინმა უთხრა, ვისგან იყო წერილები, დაიჯერა მისი მშვიდი ტონი და ტანისამოსის გამოსაცვლელად გავიდა.

ოთახში შემობრუნებულ ლევინს კიტი იმავე სავარძელში დაუხვდა. როცა ლევინი მასთან მივიდა, კიტიმ შეხედა ქმარს და აქვითინდა.

– რა დაგემართა, რა? – ეკითხებოდა ლევინი, თუმცა წინასწარ იცოდა, რაც დაემართა.

– შენ უკვე შეგიყვარდა ის საძაგელი ქალი, მოგაჯადოვა. მე ეს შენს თვალებში ამოვიკითხე. ჰო, ჰო! მერე რა მოჰყვება ამას? შენ კლუბში იყავი, ღვინო დალიე, მერე ბანქო ითამაშე და შემდეგ წახვედი... მერე ვისთან? არა, წავიდეთ... მე ხვალვე მივდივარ აქედან!

ლევინმა დიდხანს ვერ შეძლო ცოლის დამშვიდება. ბოლოს

მხოლოდ იმით დაამშვიდა, რომ აღიარა, ღვინომ და სიბრალულმა თავგზა ამირია, დავემორჩილე ანას მაცდურ გავლენას, ამიერიდან კი ყოველთვის ვეცდები, თავი ავარიდოო. ერთი, რასაც გულწრფელად აღიარებდა, ის იყო, რომ მართლაც თავგზა აუბნია ამდენ ხანს მოსკოვში უქმად ყოფნამ, მხოლოდ ლაპარაკმა და ჭამა-სმაზე ფიქრმა. კიტიმ და ლევინმა ღამის სამ საათამდე ილაპარაკეს. მხოლოდ სამ საათზე შერიგდნენ ისე, რომ შეძლეს დაძინება.

XII

სტუმრების გაცილების შემდეგ ანა აღარ დამჯდარა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. თუმცა შეუგნებლად, მაგრამ მთელი საღამოს განმავლობაში ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, სიყვარულის გრძნობა აღეძრა ლევინში (ამ უკანასკნელ ხანებში ანა მართლაც ასე ექცეოდა ყველა ახალგაზრდა მამაკაცს). იცოდა, რომ მიაღწია კიდეც ამას, რამდენადაც შესაძლებელი იყო ეს პატიოსან, ცოლიან მამაკაცთან, ისიც ერთი საღამოს განმავლობაში და მართალია, ძალიან მოეწონა კიდეც ლევინი (მიუხედავად იმისა, რომ ვრონსკი და ლევინი სრულიად განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისაგან, მას, როგორც ქალს, შეუნიშნავი არ დარჩენია რაღაც ის საერთო, რის გამო კიტიმ შეიყვარა ერთიც და მეორეც), მაგრამ როგორც კი ლევინი ოთახიდან გავიდა, ანამაც შეწყვიტა მასზე ფიქრი.

მხოლოდ ერთი ფიქრი, სხვადასხვა სახით მოვლინებული, ვერ მოეცილებინა თავიდან: „თუკი მე ასეთი გავლენა მაქვს სხვებზე, თუნდაც ამ ცოლიან, ოჯახის მოყვარულ მამაკაცზე, მაშ, რატომ არის იგი ასეთი გულცივი ჩემთან? არა, გულცივი არ არის, ვუყვარვარ, მე ეს ვიცი... მაგრამ ახლა რაღაც ახალი გვაშორებს ერთმანეთს. რატომ არ მოვიდა შინ მთელი საღამოს განმავლობაში? სტივასთვის უთქვამს, თითქოს არ შეუძლია იაშვინის მიტოვება, თვალყური უნდა ადევნოს მის თამაშს. რა ასეთი ბავშვი ნახა იაშვინი? მაგრამ, ვთქვათ, ეს მართალია. იგი არასოდეს ტყუის. მაგრამ ამ სიმართლეში კიდევ სხვა რაღაც არის. იგი ყოველთვის ცდილობს დამანახვოს, რომ სხვა

მოვალეობაც აკისრია. მე ეს ვიცი. ვეთანხმები ამაში. მაგრამ რატომ სჭირდება ამის მტკიცება? მას უნდა დამიმტკიცოს, რომ ჩემმა სიყვარულმა არ უნდა შებოჭოს მისი თავისუფლება. მე არ მჭირდება ამის მტკიცება. მე სიყვარული მინდა! მას უნდა ესმოდეს, რამდენად მძიმეა ჩემი ცხოვრება აქ, მოსკოვში. განა ეს ცხოვრებაა? მე კი არ ვცხოვრობ, ველოდები, როდის მოეღება ბოლო ამ საქმეს, რომელიც სულ ჭიანურდება და ჭიანურდება. პასუხი ჯერაც არ არის. სტივაც ამბობს, აღარ შემიძლია წასვლა ალექსეი ალექსანდროვიჩთანო, მეც აღარ შემიძლია წერილის მიწერა. მე არაფრის გაკეთება, არაფრის წამოწყება ან შეცვლა არ შემიძლია. ძლივძლივობითღა ვიკავებ თავს, ველოდები და ათასნაირ თავშესაქცევს ვიგონებ – ინგლისელის ოჯახი, წერა, წიგნების კითხვა – ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა, ეს იგივე მორფია. მას უნდა ვებრალებოდე!“ – ამბობდა ანა და გრძნობდა, როგორ ევსებოდა თვალები საკუთარი თავის სიბრალულით გამოწვეული ცრემლებით.

ანამ ვრონსკის აჩქარებული ზარის ხმა გაიგონა და სასწრაფოდ შეიმშრალა ცრემლები და არათუ შეიმშრალა ცრემლები, ლამპასაც მიუჯდა, წიგნი გადაშალა და მშვიდი იერი მიიღო. საჭირო იყო ეჩვენებინა, რომ მხოლოდ უკმაყოფილოა მისით, რადგან დაპირება არ შეასრულა და დროზე არ მოვიდა შინ. მაგრამ არასგზით არ უნდა აჩვენოს თავისი მწუხარება და, მით უმეტეს, სიბრალული საკუთარი თავისადმი. ანას შეეძლო შეებრალებინა საკუთარი თავი, მაგრამ ვრონსკის არ უნდა ეგრძნო მისადმი სიბრალული. ანას არ უნდოდა ბრძოლა და სწორედ ამას უსაყვედურებდა კიდეც ვრონსკის, რომ იგი მსურველი იყო ამ ბრძოლისა, მაგრამ თავისდა უნებურად თვითონაც ებმებოდა ბრძოლაში.

– შენ ხომ არ მოგიწყენია? – ჰკითხა ვრონსკიმ და ხალისიანად, მხიარულად შევიდა ანასთან, – რა საშინელი გატაცებაა ეს ბანქოს თამაში!

– არა, არ მომიწყენია და დიდი ხანია კიდეც შევეჩვიე ამას, რომ აღარ მოვიწყინო. სტივა და ლევინი იყვნენ აქ.

– ჰო, ისინი აპირებდნენ შენთან მოსვლას. როგორ მოგეწონა ლევინი? – ჰკითხა ვრონსკიმ და ანას გვერდით ჩამოჯდა.

– ძალიან მომეწონა. სულ ახლახან წავიდნენ. იაშვინმა რა ქნა?

– ჩვიდმეტი ათასი ჰქონდა მოგებული. ვეუბნებოდი, დაანებე-

მეთქი თავი, თითქოს დავითანხმე კიდეც, მაგრამ ისევ მიბრუნდა და ახლა წაგებას არის.

– მაშ, რისთვისღა დარჩი? – უთხრა ანამ და უცებ ახედა ვრონსკის. მისი სახის გამომეტყველება ცივი და მტრული ეჩვენა, – შენ ხომ უთხარი სტივას, იმისთვის ვრჩები, რომ იაშვინი წამოვიყვანოო. ხომ მაინც მიატოვე?

– ჯერ ერთი, სტივასთვის არ მითხოვია, გადმოეცა ეს შენთვის, მეორეც – მე არასოდეს ვამბობ ტყუილს. რაც მთავარია, მინდოდა დარჩენა და დავრჩი, – უთხრა ვრონსკიმ და მოიღუშა, – ანა, რისთვის? რის გულისთვის სჩადიხარ ამას? – უთხრა ვრონსკიმ წუთიერი დუმილის შემდეგ მისკენ გადაიხარა და ხელი გაუწოდა იმ იმედით, რომ ანა თავის ხელს შეაგებებდა.

ანა გაახარა ამ ნაზმა გამოწვევამ. მაგრამ რაღაც უცნარმა, ბოროტმა ძალამ ნება არ მისცა დამორჩილებოდა ამ გატაცებას, თითქოს ბრძოლის პირობები დამორჩილების უფლებას არ აძლევსო.

– რა თქმა უნდა, დარჩენა გინდოდა და დარჩი კიდეც. შენ ყველაფერს აკეთებ, რასაც მოისურვებ, მაგრამ რატომ მეუბნები მე ამას, რისთვის? – ეუბნებოდა ანა და სულ უფრო და უფრო მეტად ემჩნეოდა გაგულისება, – განა ვინმე გედავება შენს უფლებებს? შენ გინდა უფლებამოსილი იყო და დაე იყავი!

ვრონსკიმ ხელი მოკუმა, განერიდა ანას და მისმა სახემ წინანდელზე უფრო შეუპოვარი გამომეტყველება მიიღო.

– შენთვის ეს მხოლოდ სიჯიუტის საქმეა, – უთხრა ანამ, რომელიც თვალს არ აშორებდა ვრონსკის და უცებ გამოუნახა სახელი იმას, რაც ვრონსკის სახეზე იხატებოდა და რაც ასე აბრაზებდა, – სწორედ რომ სიჯიუტის. შენთვის საკითხი ასე დგას: იქნები თუ არა ჩემთან გამარჯვებული, მე კი... – ანას ისევ შეებრალა თავისი თავი და ლამის ატირდა, – შენ რომ იცოდე, რას ნიშნავს ეს ჩემთვის?! როცა მე ვგრძნობ, როგორც ამ წუთში, შენს მტრულ, სწორედ რომ მტრულ დამოკიდებულებას. რომ იცოდე, რას ნიშნავს ეს ჩემთვის! რომ იცოდე, ასეთ წუთებში რა ახლოს ვარ უბედურებასთან, როგორ მეშინია საკუთარი თავის! – და ანამ სახე მიიბრუნა, ცრემლები დამალა.

– რისი გულისთვის ვაკეთებთ ამას? – უთხრა ვრონსკიმ, რომელიც შეაძრწუნა ანას სახეზე გამოხატულმა

სასოწარკვეთილებამ, ისევ გადაიხარა მისკენ, ხელი მოჰკიდა მის ხელს და აკოცა, – რისთვის? განა მე სხვაგან ვეძებ გართობას? განა არ გავურბივარ ქალთა საზოგადოებას?

– ესღა გვაკლია! – თქვა ანამ.

– მითხარი, როგორ მოვიქცე, რომ შენ მშვიდად იყო? მე მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ბედნიერი იყო! – ეუბნებოდა ვრონსკი, რომელსაც გული აუჩუყა ანას სასოწარკვეთილებამ, – ანა, რას არ ჩავიდენდი იმისთვის, რომ ამერიდებინა შენთვის ის მწუხარება, რომელსაც ახლა განიცდი! – უთხრა მან.

– არაფერია, არაფერი! – ეუბნებოდა ანა, – მე თვითონაც არ ვიცი; განმარტოებული ცხოვრება თუ ნერვები... მაგრამ ნუღარაფერს ვიტყვით ამაზე. როგორ ჩატარდა დოღი? შენ არ გიამბია ჩემთვის, – ეკითხებოდა ანა და ცდილობდა, დაემალა ზეიმი გამარჯვებისა, რომელიც კვლავ მის მხარეზე იყო.

ვრონსკიმ ვახშამი მოითხოვა და დაწვრილებით მოუყვა დოღის ამბებს, მაგრამ მის ტონში, გამოხედვაში, რომელიც სულ უფრო გულცივი ხდებოდა, ანა ამჩნევდა, რომ ვრონსკიმ არ აპატია ეს გამარჯვება, რომ ის სიჯიუტე, ანა რომ ებრძოდა, კვლავ მყარდებოდა მასში. ახლა იგი წინანდელზე უფრო გულცივი იყო, თითქოს ნანობდა კიდეც, რომ ანას დაემორჩილა. და ანას გაახსენდა ის სიტყვები, გამარჯვება რომ მოუპოვა: „მე ახლოს ვარ საშინელ უბედურებასთან და მეშინია ჩემი თავის!“ და მიხვდა, რომ ეს იარაღი მეტად სახიფათო იყო, მეორეჯერ აღარ შეიძლებოდა მისი გამოყენება. მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რომ მათი შემაკავშირებელი სიყვარულის გვერდით ისადგურებდა ბოროტი სული რაღაც ბრძოლისა, რომელიც ვერ განედევნა მისგან და უფრო მეტად საკუთარი გულიდან.

XIII

არ არსებობს ისეთი პირობები, ადამიანი რომ არ შეეგუოს, მით

უმეტეს, თუ ხედავს, რომ მის ირგვლივ მყოფნი, ყველანი, ასე ცხოვრობენ. ამ სამი თვის წინ ლევინი არც დაიჯერებდა, რომ შეეძლო მშვიდად დაეძინა იმგვარ პირობებში, როგორშიც დღეს იმყოფებოდა; რომ იცხოვრებდა ამგვარი უმიზნო, უაზრო ცხოვრებით, მით უმეტეს, როცა ეს ცხოვრება მის სახსრებს აღემატებოდა, რომ ამ ლოთობის შემდეგ (სხვას ვერაფერს უწოდებდა კლუბში მომხდარ ამბავს) შეუსაბამო, გაუგებარი, მეგობრული ურთიერთობის შემდეგ იმ ადამიანთან, რომელიც ოდესღაც მის ცოლს უყვარდა და მით უმეტეს, კიდევ უფრო გაუგებარი სტუმრობისა იმ ქალთან, რომელსაც სხვას ვერაფერს უწოდებდა, თუ არა დაღუპულ ადამიანს, და ბოლოს ამ ქალით გატაცებისა და ცოლის განაწყენების შემდეგ იგი მშვიდად დაძინებას შეძლებდა. მაგრამ დაღლილობის, უძილოდ გატარებული ღამისა და ღვინის გამო ლევინს მშვიდად და გულიანად ჩაეძინა.

ხუთ საათზე ლევინი კარის ჭრიალმა გამოაღვიძა. იგი ლოგინზე წამოჯდა და მიიხედ-მოიხედა. კიტი მის გვერდით საწოლში აღარ იყო. ტიხარს იქით კი სინათლე ირხეოდა და კიტის ნაბიჯის ხმაც ისმოდა.

– რა მოხდა?.. რა ამბავია?.. – წამოიძახა ნამძინარევმა ლევინმა, – კიტი, რა დაგემართა?

– არაფერი! – უპასუხა მან და სანთლით ხელში ტიხრიდან გამოვიდა, – თითქოს ცუდად შევიქენი, – უთხრა კიტიმ და რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

– როგორ? დაიწყო, დაიწყო? – ჰკითხა შეშინებულმა ლევინმა, – უნდა გავგზავნოთ კაცი! – და საჩქაროდ წამოდგა ტანისამოსის ჩასაცმელად.

– არა, არა, – ღიმილით უთხრა კიტიმ და ხელით შეაჩერა, – ისეთი არაფერია. მხოლოდ ოდნავ ცუდად შევიქენი, ახლა კი გამიარა, – და კიტი საწოლთან მივიდა, სანთელი ჩააქრო, დაწვა და მიყუჩდა. თუმცა ლევინს საეჭვოდ მოეჩვენა ეს სიჩუმე, მისი შეკავებული სუნთქვა და ყველაზე მეტად კი ის სინაზე და აღგზნება, რომელიც კიტის სახეზე იხატებოდა, როცა იგი ტიხრიდან გამოვიდა და უთხრა, არაფერიაო, მაგრამ ისე უნდოდა ძილი, რომ იმ წუთშივე ჩაეძინა. ლევინს მხოლოდ შემდეგ გაახსენდა ის შეკავებული სუნთქვა და ყველაფერს

მიხვდა, რაც კიტის ძვირფას, საყვარელ არსებაში ხდებოდა, როცა იგი გაუნძრევლად იწვა მის გვერდით და ელოდა უდიდეს მოვლენას ქალის ცხოვრებაში. შვიდ საათზე ლევინი მხარზე ხელის შეხებამ და ჩურჩულმა გამოაღვიძა. კიტის არ უნდოდა, გაეღვიძებინა ქმარი, მასში თითქოს ერთმანეთს ებრძოდა სიბრალული და სურვილი მასთან ლაპარაკისა.

– კოსტია, შენ არ შეგეშინდეს. არაფერია, მაგრამ, მგონი... უნდა გავგზავნოთ მსახური ლიზავეტა პეტროვნას მოსაყვანად.

სანთელი ისევ ანთებული იყო. კიტი საწოლზე იჯდა და ხელში საქსოვი ეჭირა, რომელსაც ამ უკანასკნელ დღეებში ქსოვდა.

– არ შეგეშინდეს, გეთაყვა, არაფერია. მე ოდნავადაც არ მეშინია, – თქვა კიტიმ ლევინის შეშინებული სახის დანახვაზე და ჯერ გულზე მიიკრა მისი ხელი, მერე ტუჩებთან მიიტანა.

ლევინი საჩქაროდ წამოხტა, თავგზააბნეულმა გადაიცვა ხალათი და შეჩერდა, თვალი ვეღარ მოაცილა კიტის. უნდოდა, წასულიყო, მაგრამ თვალი ვეღარ მოსწყვიტა კიტის თვალებს, განა მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარდა მისი სახე, მისი გამომეტყველება, მისი გამოხედვა – მას არასოდეს უნახავს კიტი ასეთი. ამ წუთში, კიტის რომ უყურებდა, რა საძაგელი ეჩვენა თავისი თავი, როცა გუშინდელი წყენა გაიხსენა! კიტის აწითლებული სახე, რომელსაც გარს შემოჰფენოდა საღამური თავსაბურიდან ჩამოშლილი ფაფუკი თმა, სიხარულითა და სიმტკიცის რწმენით იყო განათებული.

მართალია, კიტის ხასიათში არაფერი იყო არაბუნებრივი და პირობითი, მაგრამ ლევინი მაინც განაცვიფრა იმ წუთში ხილულმა, როცა მის წინაშე მოიხსნა ყველა საფარი და კიტის თვალებში მისი სულის ნამდვილმა არსმა გამოანათა. ამ უბრალოებაში უფრო ნათლად ხედავდა მას, სწორედ იმას, რაც ლევინს უყვარდა. კიტი ღიმილით შესცქეროდა, მაგრამ უეცრად წარბები შეჭმუხნა, თავი ზევით ასწია, საჩქაროდ მივიდა ქმართან, ხელზე ხელი მოჰკიდა, მთლად ზედ მიეკრა და ცხელი სუნთქვა შეაფრქვია. კიტი იტანჯებოდა და თითქოს შესჩიოდა თავის ტანჯვას. პირველ წუთს, როგორც საერთოდ სჩვეოდა ლევინს, მოეჩვენა, რომ თვითონ იყო დამნაშავე. მაგრამ კიტის თვალებში სიყვარული იხატებოდა და ეუბნებოდა, რომ კი არ საყვედურობს, უყვარს კიდეც ამ ტანჯვისთვის. „მაშ, ვინაა დამნაშავე თუ არა მე?“ – უნებურად გაიფიქრა ლევინმა და

შეეცადა მოეძებნა დამნაშავე და დაესაჯა, მაგრამ დამნაშავე არ ჩანდა. კიტი იტანჯებოდა, უჩიოდა თავის ტანჯვას და თან ზეიმობდა ამ ტანჯვით, ხარობდა და უყვარდა. ლევინი ხედავდა, რომ მის სულში რაღაც მშვენიერი ხდებოდა, მაგრამ რა? – ამის გაგება არ ძალუძდა, ეს მის შესაძლებლობას აღემატებოდა, – მე უკვე გავგზავნე მსახური დედასთან, შენ კი საჩქაროდ წადი ლიზავეტა პეტროვნასთან... კოსტია... არაფერია, გამიარა, – კიტი მოსცილდა ქმარს და ზარი ჩამორეკა.

– ახლა კი წადი, პაშა მოვა. მე არა მიშავს რა.

და განცვიფრებულმა ლევინმა დაინახა, რომ კიტიმ ისევ იმ ღამით მოტანილი საქსოვი აიღო და ქსოვა განაგრძო. ოთახიდან რომ გამოდიოდა, გაიგონა, მეორე კარიდან როგორ შემოვიდა მოახლე. ლევინი კართან გაჩერდა და ყური მიუგდო, როგორ დაწვრილებით განკარგულებებს იძლეოდა კიტი და თვითონაც ეხმარებოდა საწოლის გაწევაში.

ლევინმა ტანისამოსი ჩაიცვა და სანამ ცხენებს შეაბამდნენ, რაკი მეეტლე ჯერ არ იყო მოსული, ისევ საწოლ ოთახში შეირბინა. ეჩვენებოდა, რომ კი არ მიდიოდა, მიფრინავდა კიტისაკენ. ორი მოახლე მზრუნველი სახით რაღაცას ადგილს უნაცვლებდა საწოლ ოთახში. კიტი ოთახში დადიოდა და ქსოვდა, გამალებით იღებდა თვლებს, თან განკარგულებებს იძლეოდა.

– მე ახლა ექიმთან წავალ, ლიზავეტა პეტროვნას მოსაყვანად უკვე გავგზავნე მსახური, მაგრამ მეც შევივლი. კიდევ ხომ არაფერი გინდა? ჰო, დოლის არ შევატყობინოთ?

კიტიმ შეხედა, მაგრამ ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა მის ლაპარაკს.

– ჰო, ჰო, წადი, წადი! – საჩქაროდ თქვა მან, შეიჭმუხნა და ხელი ჩაიქნია.

ლევინი უკვე სასტუმრო ოთახში გადიოდა, როცა საწოლი ოთახიდან საცოდავი კვნესა შემოესმა, მაგრამ კვნესა მაშინვე მიწყდა. ლევინი შეჩერდა და დიდხანს ვერ მიხვდა, რა ხდებოდა.

„ჰო, ეს კიტი იყო!“ – ჩაილაპარაკა თავისთვის, თმაში იტაცა ხელი და ქვევით ჩაირბინა.

– ღმერთო, შენ მიშველე, შემინდე, შემეწიე! – იმეორებდა უნებურად ენაზე მომდგარ სიტყვებს. და ლევინი, ეს ურწმუნო ადამიანი, მარტო სიტყვით როდი ამბობდა ამას. იცოდა, რომ ახლა, ამ წუთში, ვერც მისი დაეჭვება, ვერც გონების ძალა, ვერც ურწმუნოება ხელს ვერ შეუშლიდა, მიემართა ღმერთისთვის. ახლა ყოველივე ფერფლივით გაქრა მისი სულიდან. მაშ, ვიღასთვის უნდა მიემართა, თუ არა მისთვის, ვის ხელშიც იყო მისი სიცოცხლე, მისი სული და სიყვარული?

ცხენები ჯერ კიდევ არ იყო მზად, მაგრამ, რადგან ლევინი ფიზიკური ძალის მეტისმეტ დაძაბულობას გრძნობდა და მთელი მისი ყურადღება იქით იყო მიმართული, რომ ერთი წუთიც არ დაეკარგა უქმად, ცხენებს აღარ დაუცადა, ფეხით გაუდგა გზას და კუზმას უბრძანა, ცხენებით წამოსწეოდა.

მოსახვევში ღამის მეეტლე შემოხვდა, რომელსაც აჩქარებით მიჰყავდა ცხენები. პატარა მარხილში თავშალმოხვეული, ხავერდის სალოპში გამოხვეული ლიზავეტა პეტროვნა იჯდა. „მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!“ – აღტაცებით ჩაილაპარაკა ლევინმა, როცა შეიცნო ლიზავეტა პეტროვნას პატარა, ქერა სახე, რომელსაც ახლა განსაკუთრებით სერიოზული და მკაცრი გამომეტყველება მისცემოდა. მეეტლე არ შეუჩერებია, უკან გამობრუნდა და ფეხით აედევნა ეტლს.

– მაშ, ორი საათიი იქნება? მეტი არა? – ჰკითხა ლიზავეტა პეტროვნამ, – პიოტრ დმიტრიჩს შინ მიუსწრებთ, ოღონდ ნუ ააჩქარებთ. ჰო, ოპიუმიც წამოიღეთ აფთიაქიდან.

– მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი შეიძლება კეთილად დამთავრდეს? ღმერთო, შენ მიშველე, შენ შემეწიე! – ჩაილაპარაკა ლევინმა, როცა ალაყაფიდან გამოსული თავისი ცხენი დაინახა. მარხილზე შეხტა, კუზმას გვერდით ჩამოჯდა და ექიმთან წასვლა უბრძანა.

XIV

ექიმი ჯერ არ ამდგარიყო, მსახურმა კი უთხრა, გვიან მოისვენა,

გაღვიძება არ უბრძანებია და მალე აბრძანდებაო. მსახური ლამპის შუშას წმენდდა და ეტყობოდა, დიდად გართული იყო თავისი საქმით. ლევინი ჯერ განაცვიფრა მსახურის ყურადღებამ ლამპის შუშისადმი და გულგრილობამ ყოველივე იმისადმი, რაც ლევინის გულში ხდებოდა. მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ, მაშინვე მიხხდა, რომ არავინ იცის და არც მოვალეა იცოდეს მისი გრძნობები და ამიტომ მით უფრო საჭიროა მშვიდი, მოფიქრებული და შეუპოვარი მოქმედება, რათა გაარღვიოს გულგრილობის კედელი და თავის მიზანს მიაღწიოს. „არ უნდა ავჩქარდე, არც არაფერი გამომეპაროს!“ – ეუბნებოდა თავის თავს ლევინი. იგი ფიზიკური ძალის სულ უფრო და უფრო მეტ მოზღვავებას გრძნობდა და უფრო მეტი ყურადღებით ფიქრობდა იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

როცა შეიტყო, ექიმი ჯერ არ ამდგარაო, გონებაში წარმოსახული ათასნაირი გეგმიდან ერთზე შეჩერდა: კუზმას წერილით გავგზავნი მეორე ექიმთან, მე კი აფთიაქში წავალ ოპიუმისთვის, ხოლო როცა კუზმა დაბრუნდება, თუ ექიმი კიდევ არ იქნება ამდგარი, მოვისყიდი მსახურს, ანდა მსახური თუ ვერ დავითანხმე, ძალით შევალ და რადაც უნდა დამიჯდეს, ექიმს გავაღვიძებო.

აფთიაქში გამხდარმა პროვიზორმა, რომელიც ისევე გულგრილად ახვევდა ობლატით ფხვნილებს იქვე მდგარი მეეტლისთვის, როგორც მსახური წმენდდა ლამპის შუშას, უარი უთხრა ოპიუმზე. ლევინი შეეცადა არ აჩქარებულიყო, არც აღელვებულიყო. მან დაუსახელა ექიმისა და ბებიაქალის გვარი და აუხსნა, რისთვისაც სჭირდებოდა ოპიუმი. მაშინ პროვიზორი გერმანულად შეეკითხა ვიღაცას, მივცე თუ არაო და როცა ტიხარს იქიდან თანხმობა მიიღო, წამლის შუშა ამოიღო, შემდეგ ნელა გადმოასხა პატარა შუშაში, იარლიყი მიაკრა, დაბეჭდა, ყური არ ათხოვა ლევინის თხოვნას, ნუ აკეთებ ამასო, და შეხვევაც მოიწადინა. ეს კი ვეღარ მოითმინა ლევინმა, ხელიდან გამოსტაცა შუშა და დიდ მინის კარში გავარდა. ექიმი კიდევ არ ამდგარიყო და მსახურმა, რომელიც ახლა ხალიჩის დაფენით იყო გართული, უარი უთხრა გაღვიძებაზე. მაშინ ლევინმა აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ათმანეთიანი ქაღალდის ფული, გაუწოდა და უთხრა, თან ლაპარაკის დროს ცდილობდა არც აჩქარებულიყო, არც დრო დაეკარგა, რომ პიოტრ დმიტრიჩი (რა დიდებული და მნიშვნელოვანი იყო მისთვის ახლა ეს პიოტრ დმიტრიჩი,

რომელიც წინათ ესოდენ უმნიშვნელო არსებად ეჩვენებოდა) დაჰპირდა, რა დროც უნდა იყოს, წამოგყვებითო და, ალბათ, არც გაუწყრებოდა მსახურს გაღვიძებისთვის.

ლაქია დათანხმდა, ზევით ავიდა და ლევინი მისაღებ ოთახში შეიპატიჟა.

ლევინს ესმოდა, კარს იქით როგორ ახველებდა ექიმი, დადიოდა, პირს იბანდა და რაღაცას ლაპარაკობდა.

სამმა წუთმა გაიარა. ლევინს მოეჩვენა, ერთ საათზე მეტი გავიდაო. ვეღარ შეძლო ლოდინი.

– პიოტრ დმიტრიჩ, პიოტრ დმიტრიჩ! – ვედრებით შესძახა ღია კარიდან, – ღვთის გულისთვის, მაპატიეთ. მიმიღეთ ისე, როგორც ხართ. უკვე ორ საათზე მეტია, გელოდებით.

– ახლავე, ახლავე! – გამოსძახა ექიმმა და გაოცებულმა ლევინმა გაიგონა, რომ ექიმი ამ სიტყვებს ღიმილით ამბობდა.

– მხოლოდ ერთი წუთით...

– ახლავე.

კიდევ ორმა წუთმა გაიარა, სანამ ექიმი ფეხსაცმელს ჩაიცვამდა და კიდევ ორმა წუთმა, სანამ ტანისამოსს ჩაიცვამდა და თმას დაივარცხნიდა.

– პიოტრ დმიტრიჩ! – საცოდავი ხმით დაიწყო ლევინმა, მაგრამ ამ დროს თვით ექიმიც გამოვიდა ჩაცმული და თმადავარცხნილი. „სინდისი აღარა აქვს ამ ხალხს, – გაიფიქრა ლევინმა, – ეს თმას ივარცხნის, ამასობაში კი ჩვენ ვიღუპებით!“

– დილა მშვიდობისა! – უთხრა ექიმმა და ხელი გაუწოდა, ისე, თითქოს აღიზიანებსო თავისი სიმშვიდით, – ნუ ჩქარობთ. აბა, რაშია საქმე?

ლევინი შეეცადა, რაც შეიძლება, ზუსტად და დაწვრილებით აეწერა ცოლის მდგომარეობა, ისეთი წვრილმანებიც კი, რაც საჭირო არ იყო, თან ხშირ-ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თხრობას და სთხოვდა, აუცილებლად ახლავე გაჰყოლოდა.

– ნუ ჩქარობთ, თქვენ ხომ არ იცით, რაშია საქმე! მე, ალბათ, არცა ვარ საჭირო, მაგრამ დაგპირდით და მოვალ კიდეც. საჩქარო არაფერია. თქვენ აქ დაბრძანდით. ყავას ხომ არ

მიირთმევთ, გეთაყვა?

ლევინმა ისეთი თვალით შეხედა ექიმს, თითქოს ეკითხებოდა, ხომ არ დამცინითო, მაგრამ ექიმს სულაც არ უფიქრია დაცინვა.

– ვიცი-ით, ვიცი-ით, – ღიმილით უთხრა ექიმმა, – მე თვითონაც ცოლშვილიანი კაცი ვარ; ჩვენ, ქმრები, ყველაზე საცოდავები ვართ ამ დროს. მე ერთი პაციენტი მყავს და მისი ქმარი ყოველთვის საჯინიბოში გარბის ხოლმე ასეთ წუთებში.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, პიოტრ დმიტრიჩ, შეიძლება კარგად დამთავრდეს ყველაფერი?

– ყველაფერი იმის მომასწავებელია, რომ ბოლო კეთილი იქნება!

– მაშ, თქვენ ახლავე წამოხვალთ? – ჰკითხა ლევინმა და გაბოროტებით გადახედა მსახურს, რომელმაც ყავა შემოიტანა.

– დაახლოებით ერთი საათის შემდეგ.

– არა, ღვთის გულისთვის!

– მაშ, ყავის დალევა მაინც დამაცადეთ!

ექიმი ყავის სმას შეუდგა. ორივენი გაჩუმდნენ.

– მართლაც მაგრად ურტყამენ თურქები. წაიკითხეთ გუშინდელი დეპეშა? – ჰკითხა ექიმმა, თან ფუნთუშას ილუკმებოდა.

– არა, არ შემიძლია! – წამოიძახა ლევინმა და წამოხტა, – მაგ თხუთმეტ წუთში ჩვენთან იქნებით?

– ნახევარ საათში.

– პატიოსან სიტყვას იძლევით?

ლევინი რომ დაბრუნდა, თავადის მეუღლე ახალი მოსული იყო და ორივენი ერთად მიუახლოვდნენ საწოლი ოთახის კარს. ქალბატონ შჩერბაცკაიას თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და ხელები უკანკალებდა. როგორც კი ლევინი დაინახა, გადაეხვია და ატირდა.

– აბა, რას გვეტყვით, გეთაყვა, ლიზავეტა პეტროვნა? – ჰკითხა მან და ხელი წაავლო ლიზავეტა პეტროვნას, რომელიც

გაბრწყინებული, საქმიანი სახით გამოეგება მათ.

– ყველაფერი კარგად არის, – უპასუხა ლიზავეტა პეტროვნამ, – როგორმე დაითანხმეთ, დაწვეს, უფრო იოლი იქნება.

იმ წუთიდან, რაც ლევინმა გაიღვიძა და მიხვდა, რაშიც იყო საქმე, შეემზადა საიმისოდ, რათა აღარაფერზე ეფიქრა, ჩაეხშო ყოველი აზრი და გრძნობა და კი არ აეღელვებინა, არამედ პირიქით, დაემშვიდებინა, გაემხნევებინა ცოლი, რათა მოთმინებით გადაეტანა ყოველივე, რაც იყო მოსალოდნელი. იმის გაფიქრების ნებასაც არ აძლევდა თავს, თუ რა იქნებოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე. და როცა სხვებისაგან გაიგო, რომ ეს ხუთ საათზე მეტხანს არ გაგრძელდებოდა, გონებაში გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე გაეძლო ხუთი საათი და ეს შესაძლებლადაც მიაჩნდა. მაგრამ, როცა ექიმისაგან დაბრუნდა და კვლავ იხილა კიტის ტანჯვა, იგი უფრო ხშირად იმეორებდა: „ღმერთო, შენ შემინდე, ღმერთო, შენ შემეწიე!“ – თან ოხრავდა და ზევით სწევდა თავს; გრძნობდა, რომ ვეღარ გაუძლებდა ამას, ან ატირდებოდა, ან გაიქცეოდა სადმე. ამდენი ტანჯვა გადაიტანა და მხოლოდ ერთმა საათმა განვლო.

მაგრამ ამ ერთი საათის შემდეგ გაიარა კიდევ ერთმა, ორმა, სამმა და მთელმა ხუთმა საათმა, რასაც იგი თავის მოთმინების საზღვრად მიიჩნევდა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა და ისიც ითმენდა, რადგან მეტი გზა არ ჰქონდა და ყოველ წუთს ფიქრობდა, რომ მიაღწია მოთმინების უკანასკნელ საზღვარს, რომ საცაა გული გაუსკდება სიბრალულისაგან.

მაგრამ გადიოდა წუთები, საათები, კიდევ საათები და კიდევ უფრო იზრდებოდა, უკანასკნელ ზღვარს აღწევდა ლევინის ტანჯვა და მწუხარება.

ლევინისთვის უკვე აღარ არსებობდა ცხოვრების ჩვეულებრივი პირობები, ურომლისოდაც შეუძლებელია რაიმეს წარმოდგენა. მან დაკარგა დროის განცდა. ზოგჯერ წუთები, – ის წუთები, როცა კიტი თავისთან უხმობდა, ოფლიან ხელს ჰკიდებდა მის ხელს, ხან არაჩვეულებრივი ძალით უჭერდა, ხან კი თავიდან იცილებდა, ლევინს საათებად ეჩვენებოდა, ხან კი საათები წუთებივით მიქროდა. როცა ლიზავეტა პეტროვნამ სთხოვა, სანთელი აენთო თეჯირს იქით და გაიგო, რომ უკვე საღამოს ხუთი საათი იყო, გაოცდა. სად იყო ამ ხნის განმავლობაში, ისევე გაუგებარი იყო მისთვის, როგორც ის, თუ როდის რა

მოხდა. იგი ხედავდა კიტის ანთებულ, ხან კი გაოგნებულ და გატანჯულ სახეს, რომელიც ზოგჯერ უღიმოდა და ამშვიდებდა მას. ხედავდა სახეაწითლებულ თავადის მეუღლეს, რომელსაც ჭაღარა თმის კულულები ჩამოშლოდა, ტუჩებს იკვნეტდა და ცდილობდა ცრემლების შეკავებას. ხედავდა დოლისაც, ექიმსაც, რომელიც ზედიზედ ეწეოდა მსხვილ-მსხვილ პაპიროსებს, ლიზავეტა პეტროვნასაც, თავისი მტკიცე, შეუპოვარი და გამამხნევებელი სახით, მოხუც თავადსაც, მოღუშული ბოლთას რომ სცემდა სასტუმრო ოთახში. მაგრამ, როდის მოდიოდნენ ან მიდიოდნენ ისინი, ან სად იყვნენ, ეს არ ახსოვდა. თავადის მეუღლე ხან ექიმთან ერთად იყო საწოლ ოთახში, ხან კაბინეტში, სადაც სუფრა გაეშალათ. ზოგჯერ თავადის მეუღლე კი არა, დოლი იყო იქ. ლევინს ახსოვდა, რომ სადღაც გაგზავნეს. ერთხელ მაგიდისა და დივნის გადმოტანა სთხოვეს. ლევინმა გულმოდგინედ გააკეთა ყველაფერი. ეგონა, კიტისთვის იყო საჭირო. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე თავისთვის იწყობდა ღამის გასათევს. შემდეგ ექიმთან შეგზავნეს კაბინეტში რაღაცის სათქმელად. ექიმმა უპასუხა და იმაზე ჩამოუგდო საუბარი, რა არეულობა იყო სახელმწიფო სათათბიროში. შემდეგ თავადის მეუღლის საწოლ ოთახში გაგზავნეს, რათა იქიდან ოქროთი მოჭედილი ვერცხლის ხატი წამოეღო. იგი თავადის მეუღლის მოხუც მოახლესთან ერთად ავიდა კარადაზე ხატის ჩამოსაღებად და ლამპრის გამო. ლევინმა მოიტანა ხატი, სასთუმალთან დაუსვენა კიტის, გულმოდგინედ ჩამალა ბალიშებში. მაგრამ როდის, სად, როგორ ან რატომ ხდებოდა ყოველივე ეს, ლევინს არ ესმოდა. არ იცოდა, რატომ მოჰკიდა თავადის მეუღლემ ხელი, რატომ შეხედა სიბრალულით და სთხოვა, დამშვიდებულიყო, დოლიც ეუბნებოდა, შეჭამე რამეო და ოთახიდან გამოჰყავდა, ექიმიც კი სერიოზული თანაგრძნობით მისჩერებოდა და ურჩევდა, წვეთები მიიღეო.

მან იცოდა და გრძნობდა მხოლოდ იმას, რომ ის, რაც ახლა ხდებოდა, მსგავსი იყო იმისა, რაც ამ ერთი წლის წინ საგუბერნიო ქალაქის სასტუმროში აღსრულდა, როცა მისი ძმა ნიკოლაი სასიკვდილო სარეცელზე იწვა. თუმცა ის მწუხარება იყო, ეს კი – სიხარული. მაგრამ ის მწუხარებაც და ეს სიხარულიც ერთნაირად იდგნენ ჩვეულებრივი ცხოვრების პირობების მიღმა, თითქოს ამ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც იყო ჭუჭრუტანები, საიდანაც ჩანდა რაღაც უმაღლესი. ერთნაირად

მძიმე და მტანჯველი იყო ის, რაც უნდა მომხდარიყო, და ამ უმაღლესის ჭვრეტისას ერთნაირად მაღლდებოდა სული იმ მწვერვალამდე, რასაც გონება ვერ მისწვდომოდა.

„ღმერთო, შენ შემინდე და შემეწიე!“ – განუწყვეტლივ იმეორებდა ლევინი და მიუხედავად იმისა, რომ დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, გრძნობდა, რომ ახლაც ისეთივე ნდობით, ისევე უბრალოდ მიმართავდა ღმერთს, როგორც ბავშვობისას ან სიჭაბუკის ჟამს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლევინს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული გუნება-განწყობილება ჰქონდა. ერთი – როცა კიტისთან არ იყო და უყურებდა ექიმს, რომელიც პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და სავსე საფერფლის კიდეზე აქრობდა, უყურებდა დოლის, თავადს, რომელნიც საუბრობდნენ სადილზე, პოლიტიკაზე, მარია პეტროვნას ავადმყოფობაზე, როცა ლევინს ერთი წუთით სრულიად ავიწყდებოდა ყველაფერი და ისე გრძნობდა თავს, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო; მეორე – როცა კიტისთან იყო, მის სასთუმალთან იდგა, სიბრალულისაგან გული გასკდომას ლამობდა, მაგრამ არ სკდებოდა და განუწყვეტლივ ევედრებოდა ღმერთს. ყოველთვის, როცა ამ თავდავიწყებიდან გამოიყვანდა საწოლი ოთახიდან გამოსული კივილის ხმა, კვლავ იმავე უცნაურ ცდუნებას განიცდიდა, იმ პირველ წუთს რომ განიცადა. გაიგონებდა თუ არა კივილს, წამოვარდებოდა და გარბოდა თავის გასამართლებლად, მაგრამ გზაში ისევ გაახსენდებოდა, რომ დამნაშავე არ იყო და უნდოდა მიშველებოდა, როგორმე დაეცვა კიტი. მაგრამ კიტის რომ შეხედავდა, კვლავ რწმუნდებოდა, რომ შველა შეუძლებელი იყო, კვლავ ის საშინელება ეუფლებოდა და იმეორებდა: „ღმერთო, შენ მიშველე, შემეწიე!“ და რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, ეს ორივე გუნება-განწყობილება მით უფრო უძლიერდებოდა: როცა კიტის არ ხედავდა, უფრო დამშვიდებული იყო, თითქოს ავიწყდებოდა კიდეც, მისი თანდასწრებით კი უფრო აუტანელი ხდებოდა კიტის ტანჯვა და უძლურების გრძნობა ყოველივე ამის წინაშე. იგი წამოიჭრებოდა, უნდოდა გაქცეულიყო სადმე და ისევ კიტისთან გარბოდა.

ზოგჯერ, როცა კიტი ისევ და ისევ თავისთან იხმობდა, ლევინი კიტის სდებდა ბრალს. მაგრამ დაინახავდა თუ არა მის

მორჩილ, მოღიმარ სახეს, გაიგონებდა მის ნათქვამს: მე შენ გაგაწამეო, ღმერთს ადანაშაულებდა, ღმერთის გახსენებაზე ისევ ლოცვა-ვედრებას იწყებდა და მიტევებას სთხოვდა.

XV

ლევინმა არ იცოდა, ადრე იყო თუ გვიან. სანთლები უკვე ჩაიღვენთა. დოლი ის იყო შევიდა კაბინეტში და ექიმს დაწოლა შესთავაზა. ლევინი ყურს უგდებდა ექიმის ნაამბობს ვიღაც შარლატან მაგნეტიზიორზე და თან მისი პაპიროსის ფერფლს შეჰყურებდა. ეს სწორედ შესვენების წუთები იყო და ლევინს აღარაფერი ახსოვდა. სულ აღარ ფიქრობდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ახლა. ყურს უგდებდა ექიმს და ესმოდა კიდეც მისი ნაამბობი. უეცრად საშინელი კივილი გაისმა. იმდენად საზარელი იყო ეს კივილი, რომ ლევინი აღარც წამომხტარა და სულთქმაშეკრული კითხვის გამომხატველი თვალით მიაჩერდა ექიმს. ექიმმა თავი გვერდზე გადახარა, ყური მიუგდო ამ ხმას და მოწონებით გაიღიმა. ყველაფერი იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ ახლა უკვე აღარაფერი აოცებდა ლევინს. ალბათ, ასეა საჭიროო, – გაიფიქრა და ისევ განაგრძო ჯდომა. ვინ იკივლა? ლევინი წამოხტა, ფეხაკრეფით შეირბინა საწოლ ოთახში, გვერდი აუარა ლიზავეტა პეტროვნას, თავადის მეუღლეს და თავის ადგილას, კიტის სასთუმალთან გაჩერდა. კივილი შეწყდა, მაგრამ რაღაც შეიცვალა. სახელდობრ რა – ამას ვერ ხედავდა, არ ესმოდა და არც უნდოდა, რომ დაენახა და გაეგო. ამას იგი ლიზავეტა პეტროვნას სახეზე ხედავდა: ლიზავეტა პეტროვნას სახე მკაცრი და ფერმკრთალი იყო და ისეთივე სიმტკიცეს გამოხატავდა, თუმცა ნიკაპი კი უკანკალებდა და თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა კიტის. კიტის ანთებული, გატანჯული, გაოფლიანებული სახე, თმის კულული რომ მისწებებოდა ზედ, ლევინისაკენ იყო მიმართული, მის გამოხედვას ეძებდა. ზევით აწეული ხელები მის ხელებს დაეძებდნენ. კიტიმ ოფლიანი ხელი წაავლო ლევინის გაყინულ ხელს და სახეზე მიიკრა.

– არ წახვიდე, არ წახვიდე! მე არ მეშინია, არ მეშინია! –

აჩქარებით ლაპარაკობდა იგი, – დედა, მომაშორე საყურე, ხელს მიშლის. შენ ხომ არ გეშინია? მალე იქნება, მალე, ლიზავეტა პეტროვნა...

კიტი ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა და გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ უეცრად სახე დაემანჭა და თავიდან მოიშორა ქმარი.

– არა, ეს საშინელებაა! მე მოვკვდები, მოვკვდები! წადი, წადი! – დაიყვირა მან და ისევ ისეთივე საზარელი კივილი გაისმა.

ლევინმა თავზე ხელი იტაცა და ოთახიდან გაიჭრა.

– არაფერია, არაფერი, ყველაფერი კარგად მიდის, – მიაძახა დოლიმ.

მაგრამ, რაც უნდა ეთქვათ მისთვის, ახლა უკვე იცოდა, რომ ყველაფერი დაიღუპა. იგი მეორე ოთახში თავით კარს მიეყრდნო და ესმოდა ვიღაცის აქამდე გაუგონარი ღრიალი, ყვირილი და იცოდა, რომ ყვიროდა ის, ვინც წინათ კიტი იყო. ბავშვი უკვე დიდი ხანია აღარ უნდოდა, ახლა სძულდა კიდეც ეს ბავშვი, მისი სიცოცხლეც აღარ სურდა, ოღონდაც მალე მოღებოდა ბოლო ამ საშინელ ტანჯვას.

– ექიმო! რა არის ეს? რა არის? ღმერთო ჩემო! – უთხრა მან და ხელი ჩაავლო ოთახში შემოსულ ექიმს.

– თავდება! – თქვა ექიმმა და ექიმის სახე, როცა ამ სიტყვას ამბობდა, ისეთი სერიოზული იყო, რომ ლევინმა ისე გაიგო თავდება, როგორც კვდებაო.

ლევინი ისევ საწოლ ოთახში შევარდა. მას უკვე აღარ ესმოდა, რას აკეთებდა. პირველი, რაც დაინახა, ეს იყო ლიზავეტა პეტროვნას სახე. მისი სახე ახლა უფრო მოღუშული და მკაცრი იყო. კიტის სახე უკვე აღარ ჩანდა. იმ ადგილას, სადაც წინათ კიტის სახე იყო, ჩანდა რაღაც საშინელება, ამას ამტკიცებდა დაძაბულობაც და იქიდან ამოსული ხმაც. ლევინი თავის საწოლს მიეყრდნო და იგრძნო, რომ საცაა გული გაუსკდებოდა. საზარელი კივილი არ შეწყვეტილა, კიდევ უფრო საშინელი გახდა და უცებ დაცხრა, თითქოს უკანასკნელ საზღვარს მიაღწიაო. ლევინი ყურებს არ უჯერებდა, მაგრამ ეჭვის შეტანა უკვე შეუძლებელი იყო. კივილი შეწყდა და შეიქნა ფაციფუცი, შრიალი, აჩქარებული სუნთქვა და გაისმა კიტის სუსტი, სიცოცხლით სავსე ბედნიერი ხმა: „გათავდა!“

ლევინმა თავი აიღო. კიტის უღონოდ ეწყო ხელები საბანზე და საოცრად მშვიდი და ბედნიერი, ხმაამოუღებლად მისჩერებოდა მას, ცდილობდა გაღიმებას, მაგრამ ვერ ახერხებდა.

და უცებ, თვალის დახამხამებაში, იმ იდუმალებით მოცული, საზარელი და არაამქვეყნიური სამყაროს შემდეგ, სადაც ლევინმა ოცდაორი საათი გაატარა, კვლავ დაუბრუნდა წინანდელ, ჩვეულ სამყაროს, რომელიც ახლა ისეთი ბედნიერების სხივით ბრწყინავდა, რომ ლევინმა ვეღარ გაუძლო. დაძაბული სიმები ერთიანად ჩაწყდა. ქვითინი და სიხარულის ცრემლები, რასაც არაფრით ელოდა, ისეთი ძალით მიაწვა, რომ მთელი სხეული აუთრთოლდა და დიდხანს ხმის ამოღებაც ვერ შეძლო.

იგი მუხლებზე დაეცა კიტის საწოლის წინ, ტუჩებთან მიიტანა მისი ხელი და კოცნა დაუწყო. და ეს ხელიც თითების სუსტი მოძრაობით პასუხობდა კოცნას. ამასობაში იქ, კიტის ფეხთით, ლიზავეტა პეტროვნას მარჯვე ხელებში სინათლის ალივით ირხეოდა სიცოცხლე ადამიანური არსებისა, რომელიც წინათ არასოდეს ყოფილა და რომელიც ისევე, იმავე უფლებით, თავისი თავისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი ცხოვრებით იცხოვრებდა და გაამრავლებდა თავის მსგავსთ.

– ცოცხალია! ცოცხალი! თანაც ბიჭია! ნუ წუხხართ! – გაიგონა ლევინმა ლიზავეტა პეტროვნას ხმა, რომელიც აკანკალებულ ხელებს უტყაპუნებდა ბავშვს.

– მართლა, დედა? – გაისმა კიტის ხმა.

პასუხად მხოლოდ თავადის მეუღლის შეკავებული ქვითინი გაისმა.

და ამ დუმილში, თითქოს დედის შეკითხვის პასუხად, გაისმა სულ სხვა ხმა, რომელიც არ ჰგავდა ოთახში თავშეკავებით მოლაპარაკეთა ხმას. ეს იყო გაბედული, შეუპოვარი ყვირილი საიდანღაც მოვლენილი ახალი არსებისა.

წინათ, ლევინისთვის რომ ეთქვათ, კიტი მოკვდა, თვითონ შენც მასთან ერთად მოკვდი, თქვენი შვილები ანგელოზებია და ღმერთი აქ თქვენ წინაშე დგასო, ლევინს არაფერი გაუკვირდებოდა; მაგრამ ახლა, როცა სინამდვილეს დაუბრუნდა, გონების დიდი დაძაბვა იყო საჭირო იმის დასაჯერებლად, რომ კიტი ცოცხალი და კარგად იყო, და ეს

არსება, რომელიც ასე საშინლად წიოდა, მისი ვაჟიშვილი იყო. კიტი ცოცხალი იყო, დასრულდა ტანჯვა. ლევინი გამოუთქმელ ბედნიერებას განიცდიდა. მაგრამ ბავშვი? საიდან, როგორ მოვიდა, ვინ არის იგი?.. ამის გაგება მას არ შეეძლო, ვერ შესჩვეოდა ამ აზრს. ეს უკვე მეტისმეტ, გადაჭარბებულ ბედნიერებად მიაჩნდა, და ამას კიდევ დიდხანს ვერ შეეჩვია.

XVI

ათი საათისთვის მოხუც თავადს, სერგეი ივანოვიჩსა და სტეპან არკადიჩს ლევინთან მოეყარათ თავი და მელოგინეზე ლაპარაკის შემდეგ ახლა სხვა ამბებზე ლაპარაკობდნენ. ლევინი ყურს უგდებდა მათ და ამ ლაპარაკზე უნებურად ახსენდებოდა წარსული, ის, რაც დღევანდელ დილამდე ხდებოდა, აგონდებოდა თავისი თავიც, რა მდგომარეობაში იყო გუშინ. თითქოს ას წელს გაევლო მას შემდეგ. იგი რაღაც მიუწვდომელ სიმაღლეზე გრძნობდა თავს და ყოველნაირად ცდილობდა დაშვებულიყო ამ სიმაღლიდან, რათა ამით შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მოსაუბრეთათვის. იგი ელაპარაკებოდა მათ და თან განუწყვეტლივ ფიქრობდა ცოლზე, მისი ახლანდელი მდგომარეობის წვრილმანებზე, ფიქრობდა თავის ვაჟიშვილზე და ცდილობდა, შესჩვეოდა იმ აზრს, რომ იგი ცოცხალი არსება იყო. მთელი ქალთა სამყარო, რომელსაც ცოლის შერთვის შემდეგ მისთვის ახალი, გამოუცნობი მნიშვნელობა მიენიჭა, ახლა ისე ამაღლდა მის წარმოდგენაში, რომ ფიქრითაც კი ვეღარ სწვდებოდა. იგი ისმენდა საუბარს კლუბში გუშინდელი სადილის შესახებ და ფიქრობდა: „ნეტავ როგორ არის ახლა კიტი, დაიძინა თუ არა? როგორ გრძნობს თავს? რას ფიქრობს? ხომ არ ტირის ჩემი ვაჟიშვილი დმიტრი?“ და შუა საუბრის, შუა წინადადების დროს წამოხტა და ოთახიდან გავიდა.

– შემატყობინე, შეიძლება თუ არა ნახვა, – უთხრა თავადმა.

– კარგი, ახლავე შეგატყობინებთ, – უპასუხა ლევინმა და შეუჩერებლივ გასწია კიტისაკენ.

კიტის არ ეძინა, ხმადაბლა ემუსაიფებოდა დედას, გეგმებს აწყობდა მომავალ ნათლობაზე.

მორთულ, თმადავარცხნილ კიტის თავზე ლამაზი, რაღაც ცისფრით მორთული თავსაბურავი ეხურა და გულაღმა იწვა ლოგინზე. ხელები საბნის ზევით ელაგა; მან მაშინვე თვალი შეაგება ოთახში შემოსულ ლევინს და თვალებითვე მიიხმო იგი. მისი ისედაც ნათელი გამოხედვა, კიდევ უფრო ნათლდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდა ქმარი. მის სახეზე იგივე გარდატეხა იხატებოდა მიწიერიდან არაამქვეყნიურისაკენ, როგორიც მიცვალებულებს აქვთ ხოლმე; მხოლოდ იქ გამომშვიდობებაა, აქ კი შეხვედრა. ლევინს კვლავ ისეთივე მღელვარება შემოენთო გულზე, როგორიც გუშინ, მშობიარობის წუთებში იგრძნო. კიტიმ ხელი მოჰკიდა მის ხელს და ჰკითხა, გეძინა თუ არაო. ლევინმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა, თვითონვე იგრძნო თავისი სისუსტე და პირი მიიბრუნა მისგან.

– მე უკვე ყველაფერი დამავიწყდა, კოსტია! – უთხრა მან ქმარს, – და ახლა ისე კარგად ვგრძნობ თავს.

იგი სახეში შეჰყურებდა ლევინს, მაგრამ უეცრად შეეცვალა გამომეტყველება.

– მომეცით აქ, – წამოიძახა კიტიმ, როცა ბავშვის ტირილი გაიგონა, – მომეცით, ლიზავეტა პეტროვნა, კოსტიაც ნახავს.

– მაშ, კარგი, მამამაც ნახოს, – თქვა ლიზავეტა პეტროვნამ და ზევით ასწია, ახლოს მიუტანა რაღაც წითელი, უცნაური, მოძრავი არსება, – მოიცა, მოვირთოთ, – და ლიზავეტა პეტროვნამ ეს წითელი მოძრავი არსება საწოლზე დააწვინა, ჯერ გაშალა, მერე ისევ შეახვია, თან ცალი თითით სწვდა, აბრუნებდა და რაღაცას აყრიდა ზედ.

ლევინი უყურებდა ამ პაწაწინა საცოდავ არსებას და ძალას ატანდა თავს, რომ აღმოეჩინა გულში რაიმე ნიშანი მამობრივი გრძნობისა. იგი მხოლოდ ზიზღს გრძნობდა მისდამი. მაგრამ, როცა გააშიშვლეს ბავშვი და გამოჩნდა მისი პაწაწინა ხელები, პატარა, ვარდისფერი ფეხები პაწია თითებით, რომელზეც უკვე გარკვევით გამოირჩეოდა ცერი, დაინახა, როგორ ზამბარასავით სწევდა ზევით ლიზავეტა პეტროვნა ამ მოძრავ ხელებს და აცმევდა პერანგს, ისე შეებრალა ეს პატარა არსება და ისეთი შიში იგრძნო, რაიმე არ ეტკინათ მისთვის, რომ ხელები

დაუჭირა ლიზავეტა პეტროვნას.

ლიზავეტა პეტროვნამ გაიცინა.

– ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ!

როცა ბავშვი გამოაწყვეს და მაგრად გამოკრულ დედოფალას დაამსგავსეს, ლიზავეტა პეტროვნამ გადმოაბრუნა და, თითქოს ამაყობს თავისი ნახელავითო, შორიდან დაანახვა მამას, რათა მთელი თავისი მშვენიერებით ეხილა იგი.

კიტიც თვალმოუშორებლივ შესცქეროდა ბავშვს.

– მომეცით, მომეცით, – თქვა მან და ლოგინიდან წამოწევა სცადა.

– რას შვრებით, კატერინა ალექსანდროვნა, როგორ შეიძლება! დაიცადეთ, მე თვითონ მოგცემთ. აბა, ჯერ მამიკომ გვნახოს, როგორი ყოჩაღები ვართ.

და ლიზავეტა პეტროვნამ ცალი ხელით ასწია ბავშვი (მეორე ხელის მხოლოდ თითი ჰქონდა მიდებული ბავშვის მოქანავე კეფასთან). ეს უცნაური, მოძრავი წითელი არსება, სახვევში მალავდა თავს, მაგრამ მას უკვე ჰქონდა ცხვირი, თვალები, რომლებიც როგორღაც ალმაცერად იყურებოდნენ, და ცმაცუნა ტუჩები.

– მშვენიერი ბავშვია! – თქვა ლიზავეტა პეტროვნამ.

ლევინმა ნაღვლიანად ამოიოხრა. ეს მშვენიერი ბავშვი მხოლოდ ზიზღისა და სიბრალულის გრძნობას იწვევდა მასში. ეს სულაც არ ჰგავდა იმ გრძნობას, რომელსაც ელოდა.

ლევინმა თვალი მოარიდა, სანამ ლიზავეტა პეტროვნა ბავშვს მიუჩვეველ ძუძუს უდებდა პირში.

მაგრამ უეცრად ლევინს სიცილი შემოესმა და ზევით ასწია თავი. ეს კიტი იცინოდა, ბავშვმა უკვე ძუძუ ჩაიდო პირში.

– კარგი, გეყოფა, გეყოფა! – ეუბნებოდა ლიზავეტა პეტროვნა, მაგრამ კიტი არ ანებებდა და ბავშვმა მის მკლავზე ჩაიძინა.

– აბა, ახლა შეხედე, – უთხრა კიტიმ და ისე მიატრიალა ბავშვი, რომ ლევინს დაენახა. პატარა ბებრული სახე უცებ კიდევ უფრო დაემანჭა და ბავშვმა ცხვირი დააცემინა.

ლევინმა გაიღიმა, გული აუჩვილდა, ძლივსღა შეიკავა ცრემლები, ცოლს აკოცა და ჩაბნელებული ოთახიდან გავიდა.

ამ პატარა არსებისადმი განცდილი გრძნობა, სულ არ ჰგავდა იმას, რისი მოლოდინიც ჰქონდა. არაფერი კარგი და სასიხარულო არ იყო ამ გრძნობაში. პირიქით, ეს ახალი, მტანჯველი შიშის, ახალი გულისტკივილის შეცნობა იყო და პირველ ხანებში ისე იტანჯებოდა, ისე ძლიერი იყო შიში, ამ უმწეო არსებას არაფერი მოუვიდესო, რომ ვეღარც ამჩნევდა იმ უაზრო სიხარულის უცნაურ გრძნობას და სიამაყესაც კი, ბავშვის ცხვირის დაცემინებით რომ განიცადა.

XVII

სტეპან არკადიჩის საქმეები ძალიან ცუდად მიდიოდა.

ტყეში აღებული ფულის ორი მესამედი უკვე დაეხარჯა, უკანასკნელი მესამედიც თითქმის სულ წინასწარ გამოართვა ვაჭარს ათი პროცენტის გამოკლებით. ვაჭარი უკვე აღარ იძლეოდა ფულს, მით უმეტეს, რომ დარია ალექსანდროვნამ ამ ზამთარს პირველად განაცხადა უფლება თავის საკუთრებაზე და უარი თქვა ხელი მოეწერა კონტრაქტზე ტყის უკანასკნელ მესამედში მიღებულ ფულზე. მთელი ჯამაგირი საოჯახო ხარჯებს და გამოუსულველ წვრილმან ვალებს უნდებოდა. ფული სრულებით არ ჰქონდათ.

სტეპან არკადიჩის აზრით ეს არასასიამოვნო, უხერხული იყო და არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. ამის მიზეზი კი, ასე ესმოდა სტეპან არკადიჩს, ის იყო, რომ მეტად მცირე ჯამაგირს იღებდა. მისი ადგილი, ეტყობა, ძალიან კარგი იყო ამ ხუთი წლის წინ, მაგრამ ახლა მდგომარეობა სულ შეიცვალა. პეტროვი, ბანკის დირექტორი, თორმეტი ათასს იღებდა; სვეტნიცკი – საზოგადოების წევრი – ჩვიდმეტი ათასს; მიტინმა ბანკის დაარსებით ორმოცდაათი ათასი მიიღო. „ეტყობა, დავიძინე და ყველამ დამივიწყა“, – ფიქრობდა თავის თავზე. ისიც გამოფხიზლდა, დაიწყო თვალყურის დევნება, დაკვირვება, ზამთრის ბოლოს აღმოაჩინა კიდეც ძალიან კარგი

ადგილი და იერიშიც მიიტანა ჯერ მოსკოვიდან, დეიდების, ბიძებისა და მეგობრების შემწეობით, შემდეგ კი, როცა საქმე მომწიფდა, გაზაფხულზე, თვითონვე გაემგზავრა პეტერბურგს. ეს ერთი იმ ადგილთაგანი იყო, ათასიდან ორმოცდაათი ათასამდე წლიური ხელფასით, რომელიც ახლა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე წინათ თბილი, ქრთამიანი ადგილი. ეს გახლდათ სამხრეთის რკინიგზებისა და საბანკო დაწესებულებების ურთიერთსაკრედიტო ბალანსის გაერთიანებული სააგენტოს კომისიის წევრის ადგილი. ეს ადგილი, როგორც სხვა ამის მსგავსი ადგილები, ისეთ დიდ ცოდნასა და საქმიანობის უნარს მოითხოვდა, როგორიც ძნელია გაერთიანდეს ერთ ადამიანში. და რადგანაც ძნელი იყო ისეთი ადამიანის გამონახვა, რომელშიც ყველა ეს თვისება იქნებოდა თავმოყრილი, ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იყო, ეს ადგილი ვინმე პატიოსან ადამიანს დაეკავებინა, ვიდრე უპატიოსნოს. სტეპან არკადიჩი კი ნამდვილად პატიოსანი ადამიანი იყო, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას აქვს მოსკოვში, როცა ამბობენ: პატიოსანი მოღვაწე, პატიოსანი მწერალი, პატიოსანი ჟურნალი, პატიოსანი დაწესებულება, პატიოსანი მიმართულება და რაც არა მარტო იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ან დაწესებულება უპატიოსნო არ არის, არამედ ეს ნიშანია იმისა, რომ მათ, საჭიროების შემთხვევაში, უნარი აქვთ, მთავრობასაც გაჰკრან კლანჭი. სტეპან არკადიჩი მოსკოვში იმ წრეში ტრიალებდა, სადაც შემოღებულ იქნა ეს სიტყვა და იქ პატიოსან ადამიანად ითვლებოდა, ამიტომაც მას სხვებზე მეტი უფლება ჰქონდა, მიეღო ეს ადგილი.

ეს ადგილი წლიურად შვიდი ათასიდან ათი ათასამდე შემოსავალს იძლეოდა და სტეპან არკადიჩს ისე შეეძლო ამ ადგილის დაკავება, რომ თავისი სახაზინო ადგილიც არ მიეტოვებინა. ამ ადგილის მიღება დამოკიდებული იყო ორ სამინისტროზე, ერთ მანდილოსანსა და ორ ებრაელზე; და ეს ხალხი, თუმცა ისინი უკვე მომზადებული იყვნენ საამისოდ, პეტერბურგში უნდა ენახა. გარდა ამისა, სტეპან არკადიჩი შეჰპირდა თავის დას, ანას, რომ საბოლოო პასუხს გაიგებდა კარენინისაგან განქორწინების თაობაზე. სთხოვა დოლის ორმოცდაათი მანეთი და გაემგზავრა პეტერბურგს.

სტეპან არკადიჩი კარენინის კაბინეტში იჯდა, ყურს უგდებდა მის პროექტს რუსეთში ფინანსების ცუდი მდგომარეობის მიზეზთა შესახებ და ელოდა იმ წუთს, როცა ლაპარაკს

დაამთავრებდა, რათა საუბარი წამოეწყო თავის საქმესა და ანაზე.

– დიახ, ეს სავსებით სწორია, – უთხრა მან, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩმა მოიხსნა pince-nez, ურომლისოდაც უკვე აღარ შეეძლო კითხვა, და კითხვით გადახედა ყოფილ ცოლისძმას, – ეს სავსებით სწორია წვრილმანებში, მაგრამ პრინციპი ჩვენი დროისა მაინც თავისუფლებაა.

– დიახ, მაგრამ მე სხვა პრინციპი წამოვაყენე, რომელიც მოიცავს თავისუფლების პრინციპსაც, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, ხაზგასმით თქვა სიტყვა „მოიცავს“ და ისევ გაიკეთა pince-nez, რათა წაეკითხა მსმენელისთვის ის ადგილი, სადაც სწორედ ეს იყო ნათქვამი.

მან გადაფურცლა ლამაზად ნაწერი ფართოარშიებიანი ხელნაწერი და ხელმეორედ წაიკითხა ამის დამადასტურებელი ადგილი.

– მე წინააღმდეგი ვარ პროტექციონისტული სისტემისა, არა კერძო პირთა სასარგებლოდ, არამედ საერთო კეთილდღეობისთვის, ერთნაირად როგორც მაღალი, ისე დაბალი კლასებისთვის, – ამბობდა იგი და pince-nez-ს ზევიდან გადმოჰყურებდა სტეპან არკადიჩს, – მაგრამ ისინი ვერ იგებენ ამას, ისინი მხოლოდ პირადი ინტერესებით არიან გატაცებულნი და მხოლოდ ფრაზებით სულდგმულობენ.

სტეპან არკადიჩმა იცოდა, რომ როცა კარენინი ლაპარაკს დაიწყებდა იმაზე, თუ რას ფიქრობენ და რას აკეთებენ ისინი, სწორედ ისინი, რომელთაც არ სურთ მისი პროექტის მიღება და არიან მიზეზნი ყოველგვარი ბოროტებისა რუსეთში, მაშინ უკვე ახლოს იყო დასასრული; ამიტომაც ახლა სიამოვნებით თქვა უარი თავისუფლების პრინციპზე და სავსებით დაეთანხმა მას. ალექსეი ალექსანდროვიჩი გაჩუმდა და ჩაფიქრებულმა თავის ხელნაწერს დაუწყო ფურცვლა.

– ჰო, მართლა, – წამოიწყო სტეპან არკადიჩმა, – მინდოდა მეთხოვა შენთვის, თუ სადმე შეგხვდეს პომორსკი, რამდენიმე სიტყვა უთხარი იმის შესახებ, რომ მე ძალიან მინდა მივიღო ადგილი კომისიის წევრისა სამხრეთის რკინიგზების ურთიერთსაკრედიტო ბალანსის გაერთიანებულ სააგენტოში, რომელიც ახლა იხსნება.

სტეპან არკადიჩს ისე ჰქონდა გულში ჩავარდნილი ეს ადგილი, იმდენად მიჩვეული იყო, რომ სწრაფად და შეუცდომლად თქვა ეს სახელწოდება.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გამოჰკითხა, რა საქმიანობას ეწეოდა ეს ახალი კომისია და შემდეგ ჩაფიქრდა. იგი იმაზე ფიქრობდა, ამ კომისიის საქმიანობა რამენაირად ხომ არ ეწინააღმდეგება ჩემს პროექტებსო. მაგრამ, რადგან ამ ახალი დაწესებულების საქმიანობა მეტად რთული იყო და მისი პროექტებიც ფართო არეს მოიცავდა, უცბად ვერ შეძლო ამის მოსაზრება, pince-nez მოიხსნა და უთხრა: – უეჭველად, შემიძლია ვუთხრა, მაგრამ რატომ მოიწადინე მაინცდამაინც ეს ადგილი?

– ჯამაგირი კარგია, ცხრა ათას მანეთამდე, ჩემი სახსრები კი...

– ცხრა ათასი, – გაიმეორა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და მოიღუშა. ამ მაღალმა ციფრმა გაახსენა, რომ ამ მხრივ სტეპან არკადიჩის მოსალოდნელი საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა მთავარ აზრს მისი პროექტისას, რომელიც ყოველთვის ეკონომიას მოითხოვდა.

– ჩემი აზრით, და მე წერილიც დავწერე ამის შესახებ, ჩვენს დროში ასეთი უზარმაზარი ჯამაგირები ნიშანია იმისა, რომ ჩვენ მმართველობას აქვს მავნე ეკონომიკური assiette.[102]

– მაშ, როგორ გინდა? – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – ვთქვათ, ბანკის დირექტორი იღებს ათი ათას მანეთს – ხომ არის ღირსი ამისა? ან ინჟინერი – ოცი ათასს. ცოცხალი საქმეა, რას იზამ!

– ჩემი აზრით, ჯამაგირი საქონლის ფასია და იგი უნდა ექვემდებარებოდეს მოთხოვნილებისა და მიწოდების კანონს. და თუ ჯამაგირები არ ექვემდებარება ამ კანონს, როცა, მაგალითად, მე ვხედავ, რომ ინსტიტუტიდან გამოდის ორი ინჟინერი, საქმის ერთნაირი მცოდნე, ერთნაირი უნარის მქონე და ერთი იღებს ორმოცი ათასს, მეორე კი მხოლოდ ორი ათასით კმაყოფილდება; ანდა საზოგადოება ბანკის დირექტორად აყენებს და უზარმაზარ ჯამაგირს უნიშნავს სამართლის მცოდნეთ, ჰუსარებს, რომელთაც არავითარი განსაკუთრებული სპეციალური განათლება არა აქვთ, მაშინ მე დავასკვნი, რომ ჯამაგირი ინიშნება არა მოთხოვნილებისა და მიწოდების შესაბამისად, არამედ მიკერძოებით. და სწორედ აქ არის ბოროტმოქმედება, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანია და

ვნებს სახელმწიფო სამსახურს. მე ვფიქრობ...

სტეპან არკადიჩმა სიტყვა გააწყვეტინა.

– კი მაგრამ, დამეთანხმე, რომ იხსნება ახალი, უეჭველად სასარგებლო დაწესებულება. რას იზამ, ცოცხალი საქმეა! განსაკუთრებით მოითხოვენ, რომ საქმე პატიოსნად წარიმართოს, – ხაზგასმით თქვა სტეპან არკადიჩმა.

მაგრამ პატიოსნების მოსკოვური მნიშვნელობა გაუგებარი იყო ალექსეი ალექსანდროვიჩისთვის.

– პატიოსნება მხოლოდ უარყოფითი თვისებაა, – თქვა მან.

– მაგრამ შენ მაინც დიდად დამავალებ, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – თუ რამდენიმე სიტყვას შემაწევ პომორსკისთან, ისე, სხვათა შორის, საუბარში...

– მაგრამ ეს, მგონი, უფრო ბოლგარინოვზეა დამოკიდებული, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ბოლგარინოვი, თავის მხრივ, სავსებით თანახმაა, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და წამოწითლდა.

სტეპან არკადიჩი ბოლგარინოვის ხსენებაზე იმიტომ წამოწითლდა, რომ სწორედ დღეს დილით იყო ებრაელ ბოლგარინოვთან და ამ დარბაზობამ მეტად არასასიამოვნო მოგონება დაუტოვა. სტეპან არკადიჩი დარწმუნებული იყო, რომ საქმე, რომლის საკეთილდღეოდაც უნდა ემსახურა, ახალი, ცოცხალი და პატიოსანი საქმე იყო, მაგრამ დღეს დილით, როცა ბოლგარინოვმა, ალბათ, განზრახ, სხვა მთხოვნელებთან ერთად ორი საათი ალოდინა მისაღებ ოთახში, მოულოდნელად უხერხულობა იგრძნო.

ალბათ, ეუხერხულებოდა, რომ იგი, რიურიკის შთამომავალი, თავადი ობლონსკი, ორი საათი მისაღებ ოთახში უცდიდა ურიას, რომ პირველად თავის სიცოცხლეში აღარ მისდია წინაპართა მაგალითს, ემსახურა სახელმწიფოსთვის და გამოვიდა ახალ ასპარეზზე. მაგრამ ეს კი იყო, რომ მეტისმეტ უხერხულობას გრძნობდა. ამ ორი საათის განმავლობაში, ბოლგარინოვის მოლოდინში, სტეპან არკადიჩი მხნედ მიმოდიოდა მისაღებ ოთახში, ქილვაშებს ისწორებდა, ესაუბრებოდა სხვა მთხოვნელებსაც და თხზავდა კალამბურს იმის შესახებ, თუ როგორ ელოდა ორი საათი ურიას და

ყოველნაირად ცდილობდა დაეფარა ეს გრძნობა სხვებისა და თავისი თავის წინაშეც კი.

მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში უხერხულობას განიცდიდა და განაწყენებული იყო, თვითონაც არ იცოდა, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ არაფერი გამოდიოდა მისი კალამბურიდან: „საქმე ურიამდე მივიდა და ურიამაც აურია“. ან შეიძლება სხვა იყო ამის მიზეზი. ბოლოს, როცა ბოლგარინოვმა, რომელიც, ალბათ, ზეიმობდა კიდეც მისი დამცირებით, განსაკუთრებული პატივით მიიღო და თითქმის უარით გამოისტუმრა, სტეპან არკადიჩი შეეცადა, რაც შეიძლება მალე მიეცა ეს დავიწყებისთვის. და ახლა, როგორც კი გაახსენდა ეს, მაშინვე წამოწითლდა.

XVIII

– ახლა მე კიდევ ერთი საქმე მაქვს და შენ იცი, რა საქმეც არის ეს. ანას შესახებ, – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა სტეპან არკადიჩმა, როცა თავი დააღწია ამ უსიამოვნო შთაბეჭდილებას.

როგორც კი ობლონსკიმ ანას სახელი ახსენა, ალექსეი ალექსანდროვიჩს მაშინვე შეეცვალა სახე: ნაცვლად წინანდელი გამოცოცხლებისა, სახეზე მოქანცულობა გამოეხატა და თითქოს გაქვავდა.

– სახელდობრ, რა გნებავთ ჩემგან? – უთხრა მან, სავარძელზე შეტრიალდა და pince-nez გაატკაცუნა.

– გადაწყვეტილება, ალექსეი ალექსანდროვიჩ, რაიმე გადაწყვეტილება. მე ახლა მოგმართავ შენ („არა როგორც შეურაცხყოფილ ქმარს“, უნდოდა ეთქვა სტეპან არკადიჩს, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ ამით საქმე გავაფუჭოო და შეცვალა ეს სიტყვები), არა როგორც სახელმწიფო მოღვაწეს (რაც უადგილოდ გამოვიდა), არამედ როგორც უბრალოდ ადამიანს, ქრისტიანსა და გულკეთილ ადამიანს. შენ უნდა შეიბრალო იგი, – უთხრა მან.

– მაინც რაში უნდა შევიბრალო? – დაბალი ხმით იკითხა

კარენინმა.

– დიახ, უნდა შეიბრალო. შენ რომ ჩემსავით გენახა იგი, – მე მთელი ზამთარი მასთან გავატარე, – უთუოდ შეგებრალებოდა. მისი მდგომარეობა საშინელია, სწორედ რომ საშინელი.

– მე მგონია, – კიდევ უფრო წვრილი, თითქმის წრიპინა ხმით თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ანა არკადიევნას აქვს ყველაფერი ის, რაც თვითონ მოიწადინა.

– აჰ, ალექსეი ალექსანდროვიჩ, ღვთის გულისათვის, ნუ შევქმნით რეკრიმინაციებს! რაც იყო, იყო და ახლა შენ იცი, რაც მას სურს და რასაც ელოდება – განქორწინებას.

– მე ვფიქრობდი, ანა არკადიევნა უარს ამბობდა განქორწინებაზე იმ შემთხვევაში, თუ მე შვილის დატოვების უფლებას მოვითხოვდი. ასეც ვუპასუხე და ვფიქრობდი, ამით დამთავრდა ეს საქმე. და იგი დამთავრებულადაც მიმაჩნია, – წვრილი ხმით წამოიძახა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ოღონდაც, ღვთის გულისთვის, ნუ აღელდები, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ხელი მუხლზე დაადო, – საქმე არ დამთავრებულა. თუ შენ ამ საქმის რეკაპიტულირების უფლებას მომცემ, საქმე ასე იყო: როცა თქვენ ერთმანეთს დაშორდით, შენ დიადი იყავ, როგორიც შეიძლება იყოს სულგრძელი ადამიანი; შენ მას ყველაფერი მიეცი: თავისუფლება და განქორწინებაც კი. ანამაც დააფასა ეს. არა, შენ ტყუილად ნუ გგონია, სწორედ რომ დააფასა. იმდენად დააფასა, რომ პირველ ხანებში, რაკი გრძნობდა თავის დანაშაულს შენ წინაშე, აღარც უფიქრია ყველაფერზე. ანამ უარი თქვა ყოველივეზე. მაგრამ სინამდვილემ და დრომ დაანახვა, რომ მისი მდგომარეობა შემაძრწუნებელია, აუტანელი.

– ანა არკადიევნას ცხოვრება არ შეიძლება საინტერესო იყოს ჩემთვის, – შეაწყვეტინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და წარბები შეყარა.

– ნება მომეცი, არ დაგიჯერო, – სიტყვა შეაპარა სტეპან არკადიჩმა, – მისი მდგომარეობა შემაძრწუნებელია და ეს არ შეიძლება ვინმესთვის სასარგებლო იყოს. დაიმსახურაო, იტყვი შენ, მან თვითონაც იცის ეს და არც გთხოვს არაფერს. პირდაპირ ამბობს, რომ ვერ ბედავს ვერაფრის თხოვნას. მაგრამ მე და

ჩვენ, ყველა მისი ნათესავი, რომელთაც გვიყვარს იგი, გთხოვთ, გევედრებით ამას. რისთვის იტანჯება იგი? ვისთვის არის საჭირო მისი ტანჯვა?

– მოითმინეთ, თქვენ მგონი ბრალდებულის მდგომარეობაში მაყენებთ, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ოჰ, არა, სულაც არა, გამიგე, – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ისევ ხელზე მოჰკიდა ხელი, თითქოს იცოდა, რომ ხელის შეხებით მოულბობდა გულს, – მე მხოლოდ იმას გეუბნები, რომ მისი მდგომარეობა შემაძრწუნებელია, შენ შეგიძლია ამის შემსუბუქება და შენც არაფერს დაკარგავ ამით. მე ისე გავაკეთებ ყველაფერს, რომ ვერც გაიგებ. შენ ხომ დამპირდი?

– დაპირება ადრე იყო მიცემული და მე ვფიქრობდი, რომ შვილის საკითხმა გადაწყვიტა საქმე. გარდა ამისა, იმედი მქონდა, ანა არკადიევნას აღმოაჩნდებოდა იმდენი სულგრძელობა... – ათრთოლებული ტუჩებით ძლივსღა თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და გაფითრდა.

– ანაც სწორედ შენს სულგრძელობას ანდობს ყველაფერს. ის მხოლოდ ერთს გთხოვს, ერთს გევედრება – გამოიყვანო ამ აუტანელი მდგომარეობიდან. იგი უკვე აღარ გთხოვს შვილს. ალექსეი ალექსანდროვიჩ, შენ გულკეთილი ადამიანი ხარ. ერთი წუთით წარმოიდგინე მისი მდგომარეობა. განქორწინების საკითხი ახლა მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. შენ რომ ადრე არ შეჰპირებოდი, ანაც შეურიგდებოდა თავის მდგომარეობას, იცხოვრებდა სოფელში. მაგრამ შენ შეჰპირდი, იმანაც წერილი მოგწერა და გადმოსახლდა მოსკოვში. აგერ მეექვსე თვეა, მოსკოვში ცხოვრობს, სადაც ყოველი შეხვედრა დანასავით უსერავს გულს და ყოველდღე ელოდება გადაწყვეტილებას. ეს ხომ იგივეა, სიკვდილმისჯილი ექვსი თვე იყოლიო ყულფგამობმული და ჰპირდებოდე, შეიძლება სიკვდილით დაგსაჯონ, შეიძლება შეგიწყალონო. შეიბრალე იგი და შემდეგ მე ვკისრულობ ყველაფრის მოწყობას... Vos scrupules[103]...

– მე ამაზე არ ვლაპარაკობ... – ზიზღით შეაწყვეტინა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – შესაძლოა მე ისეთ რამეს დავპირდი, რისი დაპირების უფლებაც არ მქონდა.

– მაშ, შენ უარს ამბობ იმაზე, რასაც დაჰპირდი?

– მე არასოდეს მითქვამს უარი იმაზე, რისი შესრულებაც შესაძლებელია და მე მოვითხოვ მომცეთ მოსაფიქრებელი დრო, თუ რამდენად შესაძლებელია დანაპირების აღსრულება.

– არა, ალექსეი ალექსანდროვიჩ! – წამოიძახა სტეპან არკადიჩმა და ფეხზე წამოდგა, – მე არ მინდა დავიჯერო ეს! იგი იმდენად უბედურია, რამდენადაც შეიძლება უბედური იყოს ქალი და შენ არ შეგიძლია უარი თქვა ასეთ...

– რამდენადაც შესაძლებელი იქნება დაპირებულის აღსრულება. Vous probessez d'être un libre penseur,[104] მაგრამ მე, როგორც მორწმუნე ადამიანი, არ შემიძლია ასეთ მნიშვნელოვან საქმეში წინ აღვუდგე ქრისტიანულ კანონს.

– მაგრამ ქრისტიანულ საზოგადოებაში და ჩვენთანაც, რამდენადაც ვიცი, განქორწინება ნებადართულია, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – განქორწინება ნებადართულია ჩვენი ეკლესიის მიერაც და ჩვენ ვხედავთ...

– დაშვებულია, მაგრამ არა ამ აზრით.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ, მე შენ ვეღარ გცნობ, – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა ობლონსკიმ, – განა შენ არ იყავი (და განა ჩვენ არ დავაფასეთ ეს?), რომ აპატიე ყველაფერი და ქრისტიანული რწმენით შთაგონებული, მზად იყავი მსხვერპლად შეგეწირა ყველაფერი? შენ თვითონვე არ თქვი: პერანგი რომ წაგართვან, ხალათიც თან გააყოლეო, ახლა კი...

– მე გთხოვთ, – წრიპინა ხმით წამოიძახა მთლად გაფითრებულმა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, მოულოდნელად წამოდგა ფეხზე და ნიკაპი აუკანკალდა, – გთხოვთ შეწყვიტოთ, შეწყვიტოთ ეს ლაპარაკი...

– ოჰ, არა, მაპატიე, მაპატიე, თუ გაწყენინე! – დარცხვენით გაიღიმა სტეპან არკადიჩმა და ხელი გაუწოდა, – მე მხოლოდ როგორც მოციქულმა, გადმოგეცი ყველაფერი, რაც დავალებული მქონდა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმაც გაუწოდა ხელი, ჩაფიქრდა და უთხრა: – მე უნდა მოვიფიქრო, მოვძებნო სათანადო მითითებანი. ზეგისთვის საბოლოო პასუხს გეტყვით, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა. ეტყობოდა, რაღაც მოიფიქრა.

XIX

სტეპან არკადიჩი წასვლას აპირებდა, როცა ოთახში კორნეი შემოვიდა და მოახსენა: – სერგეი ალექსეიჩი მობრძანდება!

– რომელი სერგეი ალექსეიჩი? – უნდოდა ეკითხა სტეპან არკადიჩს, მაგრამ მაშინვე გაახსენდა.

– აჰ, სერიოჟა! – თქვა მან, – „სერგეი ალექსეიჩი!“ მე ვიფიქრე დეპარტამენტის დირექტორია-მეთქი. „ანამ მთხოვა კიდეც მისი ნახვა“, – გაახსენდა სტეპან არკადიჩს.

და გაიხსენა, როგორი გაუბედავი, საცოდავი გამომეტყველებით უთხრა ანამ გამომშვიდობებისას: „შენ მაინც ნახავ მას. დაწვრილებით გამიგე, სად არის, ვინ არის მასთან და სტივა... თუ ეს შესაძლებელია?“ სტეპან არკადიჩი მიხვდა, რას ნიშნავდა „თუ ეს შესაძლებელია“, – ესე იგი თუ შეიძლება მოხდეს განქორწინება ისე, რომ შვილი ანას მისცენ... ახლა სტეპან არკადიჩი ხედავდა, რომ ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, მაგრამ მაინც უხაროდა დისწულის ნახვა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა გაახსენა ცოლისძმას, რომ სერიოჟას არაფერს ეუბნებიან დედაზე და სთხოვა, ერთი სიტყვითაც არ ეხსენებინა დედა.

– იგი ძალიან ავად გახდა იმ შეხვედრის შემდეგ, რომელიც ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, – უთხრა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – კინაღამ ხელიდან გამოგვეცალა. მაგრამ გონივრულმა მკურნალობამ, ზაფხულში ზღვაზე ბანაობამ გამოაკეთა და ახლა ექიმების რჩევით სკოლაში მივაბარე. მართლაც ამხანაგების ზეგავლენამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ახლა სავსებით ჯანმრთელად არის და კარგადაც სწავლობს.

– უყურე ერთი, რა ყოჩაღი ბიჭი გამხდარა! მართლაც, სერიოჟა კი არა, ნამდვილი სერგეი ალექსეიჩია! – ღიმილით თქვა სტეპან არკადიჩმა, როცა დაინახა ოთახში ლაღად შემოსული ლამაზი ბიჭი, ცისფერ კურტაკსა და გრძელ შარვალში გამოწყობილი. ბიჭს ჯანმრთელი, მხიარული გამომეტყველება ჰქონდა. იგი უცხოსავით მიესალმა ბიძას, მერე იცნო, გაწითლდა და თითქოს რაღაცით შეურაცხყოფილი და განაწყენებული, მაშინვე შეტრიალდა, მამასთან მივიდა და სკოლაში ნიშნების ბარათი გადასცა.

– ჰო, ეს ძალიან კარგია! – უთხრა მამამ, – შეგიძლია წახვიდე.

– გამხდარა და გაზრდილა. ახლა ბავშვი კი არა, ნამდვილი ბიჭია. სწორედ ეს მიყვარს! – თქვა სტეპან არკადიჩმა, – მე აღარ გახსოვარ?

– მახსოვხართ, mon oncle,[105] – უპასუხა მან, შეხედა ბიძას და მაშინვე დახარა თვალები.

ბიძამ თავისთან მიიხმო ბიჭი და ხელზე ხელი მოჰკიდა.

– აბა, რას იტყვი, როგორ მიდის საქმე? – უთხრა სტეპან არკადიჩმა. უნდოდა გამოსაუბრებოდა, მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა.

ბიჭი გაწითლდა, არაფერი უპასუხა. ფრთხილად შეეცადა ხელის გათავისუფლებას და როგორც კი სტეპან არკადიჩმა ხელი გაუშვა, ჯერ მამას გადახედა კითხვის თვალით, მერე კი გალიიდან გამოშვებული ჩიტივით, სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ერთმა წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც სერიოჟამ უკანასკნელად ნახა დედა. ამის შემდეგ აღარაფერი სმენია დედაზე. ამავე წელს სკოლაშიც მიაბარეს, სადაც გაიცნო და შეიყვარა ამხანაგები. დავიწყებას მიეცა ის ოცნებები და მოგონებები, რამაც დედის წასვლის შემდეგ ავად გახადა, და როცა კვლავ ესტუმრებოდნენ, ცდილობდა თავიდან მოეცილებინა, რადგან ამას სამარცხვინოდ მიიჩნევდა. ეს მხოლოდ გოგოს შეეფერებოდა და არა ბიჭსა და ამხანაგს. იცოდა, რომ დედას და მამას უთანხმოება ჰქონდათ, იცოდა, რომ თვითონ მამასთან დარჩენა არგუნა ბედმა და ცდილობდა, შეჰგუებოდა ამას.

ახლა დანახვა ბიძისა, რომელიც ასე ძლიერ ჰგავდა დედას, არ ესიამოვნა, რადგან ამან სწორედ ის მოგონებები აუშალა, სამარცხვინოდ რომ მიაჩნდა. არ ესიამოვნა იმიტომაც, რომ კაბინეტის კართან ლოდინისას ყურმოკრულმა სიტყვებმა და განსაკუთრებით მამისა და ბიძის სახის გამომეტყველებამ, ნათლად დაანახვა, რომ მათ შორის დედაზე იყო საუბარი. და რათა არ გაეკიცხა მამა, რომელთანაც ცხოვრობდა და რომელზედაც იყო დამოკიდებული და, რაც მთავარია, არ დამორჩილებოდა იმ დამამცირებელ გრძნობებს, სერიოჟა შეეცადა არ შეეხედა ბიძისთვის, მისი სიმშვიდის დასარღვევად რომ ჩამოსულიყო, და არ ეფიქრა იმაზე, რასაც მასთან შეხვედრა აგონებდა.

მის შემდეგ კაბინეტიდან გამოსულმა სტეპან არკადიჩმა კიბეზე დაინახა სერიოჟა, დაუძახა და ჰკითხა, სკოლაში დასვენების დროს რითი ირთობო თავს, ახლა, მამის დაუსწრებლად, ბიჭი თამამად გამოელაპარაკა ბიძას.

– ჩვენ ახლა რკინიგზას ვაკეთებთ, – უპასუხა ბიძას შეკითხვაზე, – და ეს იცით, როგორ ხდება? ორნი გრძელ სკამზე ჩამოსხდებიან. ერთიც ფეხით დადგება იმავე სკამზე. მერე დანარჩენები გადაებმებიან ხელით ან ქამრით და ასე შემოირბენენ მთელ დარბაზებს. კარს წინასწარ ვაღებთ, მაგრამ კონდუქტორად ყოფნა მაინც ძალიან ძნელია.

– ეს რომელიც ფეხზე დგას? – ღიმილით ჰკითხა სტეპან არკადიჩმა.

– დიახ. აქ საჭიროა გამბედაობაც, სიმარჯვეც, განსაკუთრებით მაშინ, როცა უეცრად უნდა შეაჩერო ან როცა დაეცემა ვინმე.

– ჰო, ეს უკვე სახუმარო საქმე არ არის! – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ნაღვლიანად შეხედა მის გამოცოცხლებულ თვალებს, დედას რომ მიუგავდა და რომლებიც ახლა არცთუ ისე ბავშვურად და გულუბრყვილოდ გამოიყურებოდნენ. და მართალია, შეჰპირდა ალექსეი ალექსანდროვიჩს, არაფერს ეტყოდა დედაზე, მაინც ვეღარ მოითმინა.

– შენ გახსოვს დედა? – მოულოდნელად ჰკითხა მან.

– არა, არ მახსოვს, – მაშინვე უპასუხა სერიოჟამ, ჭარხალივით გაწითლდა და თვალები დახარა. ამის მეტი ვერავითარი პასუხი ვეღარ მიიღო მისგან სტეპან არკადიჩმა.

ნახევარი საათის შემდეგ სლავმა გუვერნიორმა კიბეზე იპოვა თავისი აღსაზრდელი და კარგა ხანს ვერ მიხვდა, გაბრაზებული იყო თუ ატირებული.

– რა მოხდა, ალბათ, წაიქეცით და იტკინეთ რამე? – უთხრა გუვერნიორმა, – ხომ გითხარით, ეს სახიფათო თამაშია-მეთქი. დირექტორსაც უნდა ვუთხრა.

– თუ ვიტკენდი რამეს, ამას ვერავინ შეიტყობდა. მართალს გეუბნებით!

– მაშ, რაღა მოხდა?

– დამანებეთ თავი! მახსოვს, არ მახსოვს, რა იმის საქმეა? რატომ

უნდა მახსოვდეს? დამანებეთ თავი! – მიმართა მან არა გუვერნიორს, არამედ მთელ ქვეყანას.

XX

სტეპან არკადიჩს, როგორც ყოველთვის, ახლაც უქმად არ გაუტარებია პეტერბურგში დრო. გარდა დის განქორწინებისა და თავისი სამსახურის საქმისა, პეტერბურგში, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მისთვის საჭირო იყო ცოტაოდენი გადახალისება მოსკოვური ჭაობის შემდეგ.

მოსკოვი, მიუხედავად თავისი cafés chantans-ისა და ომნიბუსებისა, მაინც დაგუბებული ჭაობი იყო. ამას ყოველთვის გრძნობდა სტეპან არკადიჩი. მოსკოვში, განსაკუთრებით ოჯახთან ახლოს ყოფნის გამო, გრძნობდა, რომ სულით ეცემოდა. თუ ხანგრძლივად ჩარჩებოდა მოსკოვში, იქამდე მიდიოდა, რომ უკვე უჩიოდა უგუნებობას, აწუხებდა ცოლის საყვედურები, ბავშვების ჯანმრთელობა და მათი აღზრდა, წვრილმანი სამსახურებრივი ინტერესები; ვალებზე ფიქრიც კი აწუხებდა. მაგრამ საკმარისი იყო, რამდენიმე ხნით ჩამოსულიყო პეტერბურგში, ეცხოვრა იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდა და სადაც ცხოვრობდნენ, ნამდვილად ცხოვრობდნენ და არ იყინებოდნენ ისე, როგორც მოსკოვში, რომ ეს ფიქრები უმალვე გამქრალიყო, დამდნარიყო, ისე, როგორც დნება ცვილი ცეცხლის ახლოს.

ცოლი?.. სწორედ ახლახან ელაპარაკა თავად ჩეჩენსკის. მას ჰყავდა ცოლიც და მოზრდილი შვილებიც, რომლებიც უკვე პაჟთა კორპუსში სწავლობდნენ, და ჰქონდა მეორე, არაკანონიერი ოჯახიც, სადაც აგრეთვე ჰყავდა შვილები. მართალია, პირველი ოჯახიც კარგი ჰქონდა, მაგრამ თავად ჩეჩენსკი მეორე ოჯახში უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს... უფროსი ვაჟიშვილი დაჰყავდა კიდეც თავის მეორე ოჯახში და, როგორც არწმუნებდა სტეპან არკადიჩს, ეს სასარგებლო იყო მისი ვაჟიშვილის განვითარებისთვის. რას იტყოდნენ ამაზე მოსკოვში?

ბავშვები?.. პეტერბურგში ბავშვები არაფერში უშლიდნენ ხელს მამებს. ბავშვები სასწავლებელში იზრდებოდნენ და იქ არ იყო მოსკოვში გავრცელებული ის უცნაური აზრი, – მაგალითად, ლვოვის – რომ შვილებს ფუფუნებაში უნდა ეცხოვრათ, მშობლები კი სულ ზრუნვასა და შრომაში უნდა ყოფილიყვნენ. აქ ესმოდათ, რომ ადამიანი ვალდებულია თავისი თავისთვის იცხოვროს, ისე, როგორც შეჰფერის განათლებულ ადამიანს.

სამსახური?.. სამსახური აქ არ წარმოადგენდა იმ ულმობელ, უსასოო უღელს, მოსკოვში რომ ეწეოდნენ. აქ სამსახურს თავისებური ინტერესი ჰქონდა: შეხვედრები, ურთიერთპატივისცემა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ათასნაირი ხუმრობა – და ადამიანიც უცებ იქმნიდა კარიერას, როგორც, მაგალითად, ბრიანცევი, გუშინ რომ შეხვდა სტეპან არკადიჩს და ახლა პეტერბურგში უპირველეს წარჩინებულ პირად ითვლებოდა. ამგვარ სამსახურს ჰქონდა ინტერესი!

განსაკუთრებით ამშვიდებდა სტეპან არკადიჩს პეტერბურგული შეხედულება ფულის საკითხზე. ბარტნიანსკი იმ train[106]-ის წყალობით, რომელსაც ეწეოდა, ყოველწლიურად ორმოცდაათი ათას მანეთს ხარჯავდა: მან გუშინ შესანიშნავი სიტყვა უთხრა სტეპან არკადიჩს ამის შესახებ.

სადილის წინ საუბარში სტეპან არკადიჩმა უთხრა ბარტნიანსკის: – შენ მგონი ახლოს ხარ მორდვინსკისთან. შეგიძლია დიდი პატივი დამდო და რამდენიმე სიტყვა შემაწიო. არის ადგილი, რომელიც მინდა მივიღო – სააგენტოს წევრისა.

– ჰო, მაინც ვერ დავიმახსოვრებ... ოღონდ რაში გეხალისება ამ ურიებთან რკინიგზის საქმეების წარმოება? როგორც გინდა თქვი, მაინც საძაგლობაა!..

სტეპან არკადიჩს არ უთქვამს მისთვის, ეს ცოცხალი საქმეაო, ბარტნიანსკი მაინც ვერ გაიგებდა ამას.

– ფული მჭირდება, აბა, რითი ვიცხოვრო?

– მაინც ხომ ცხოვრობ?

– ვცხოვრობ, მაგრამ ვალები მაქვს.

– რას მეუბნები? ბევრი გაქვს? – თანაგრძნობით უთხრა ბარტნიანსკიმ.

– ძალიან ბევრი, ოცი ათასამდე.

ბარტიანსკიმ მხიარულად გადაიხარხარა.

– აი, ბედნიერი კაცი! – თქვა მან, – მე მილიონ-ნახევარი ვალი მაქვს, აღარაფერი გამაჩნია და როგორც ხედავ, მაინც ვცხოვრობ!

და სტეპან არკადიჩი მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც ხედავდა, რომ ეს სიმართლე იყო. ჟივახოვს სამასი ათასი ვალი ჰქონდა. ერთი გროშიც არ ებადა და მაინც ცხოვრობდა, და მერე როგორ ცხოვრობდა! გრაფი კრივცოვი დიდი ხანია უკვე ყველამ გამოიტირა, ის კი ორ საყვარელს ინახავდა. პეტროვსკიმ ხუთი მილიონი გაფლანგა, მაგრამ მაინც ძველებურად ცხოვრობდა, ფინანსებსაც განაგებდა და ოცი ათას მანეთს ჯამაგირს იღებდა. მაგრამ, გარდა ამისა, პეტერბურგი ფიზიკურადაც სასიამოვნოდ მოქმედებდა სტეპან არკადიჩზე, აახალგაზრდავებდა. მოსკოვში ხშირად შეხედავდა ხოლმე თავის ჭაღარას, იძინებდა სადილის შემდეგ, იზმორებოდა, ნელი ნაბიჯით ადიოდა კიბეზე, მძიმედ სუნთქავდა. მოწყენილი იყო ახალგაზრდა ქალებთან, არ ცეკვავდა ბალებზე. პეტერბურგში კი ათ წელს მაინც ჩამოიბერტყავდა ხოლმე მხრებიდან.

პეტერბურგში იგი იმავეს განიცდიდა, რასაც ეუბნებოდა გუშინ სამოცი წლის მოხუცი თავადი პიოტრ ობლონსკი, რომელიც ახლახან ჩამოსულიყო საზღვარგარეთიდან.

– ჩვენ აქ არ ვიცით ცხოვრება, – ეუბნებოდა იგი, – არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მე ეს ზაფხული ბადენში გავატარე და, მართალი გითხრა, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სრულიად ახალგაზრდა კაცი. დავინახავდი ახალგაზრდა ქალს და მაშინვე ამეშლებოდა ფიქრები. ისადილებ, ცოტას დალევ და გრძნობ, ძალა და მხნეობა რომ გემატება. ჩამოვედი რუსეთში – საჭირო იყო ცოლთან წასვლა, მერე ისიც სოფელში და დამიჯერებ თუ არა, ორი კვირის შემდეგ უკვე ხალათი ჩავიცვი, სადილის წინ აღარ ვიცვლიდი ტანისამოსს. ახალგაზრდა ქალები ხომ სულაც არ გამხსენებია! უკვე ნამდვილი ბებერი გავხდი. ისღა დამრჩენოდა, სულის ცხონებაზე დამეწყო ფიქრი. წავედი პარიზში და ისევ გამოვკეთდი.

სტეპან არკადიჩი სწორედ ისეთივე განსხვავებას გრძნობდა, როგორსაც პიოტრ ობლონსკი. მოსკოვში იმდენად მოეშვებოდა ხოლმე, დიდხანს რომ ეცხოვრა, იმასაც სულის საცხონებლად გაუხდებოდა საქმე. პეტერბურგში კვლავ ისე გრძნობდა თავს,

როგორც ახალგაზრდა კაცს შეშვენოდა.

ბეტსი ტვერსკაიასა და სტეპან არკადიჩს შორის უკვე დიდი ხანია მეტად უცნაური ურთიერთობა დამყარდა. სტეპან არკადიჩი ყოველთვის ეხუმრებოდა და ეარშიყებოდა, მეტისმეტად უწესო სიტყვებსაც ეუბნებოდა, ასევე ხუმრობით, რადგან იცოდა, რომ ეს ყველაზე მეტად მოსწონდა ბეტსის. კარენინთან საუბრის მეორე დღეს სტეპან არკადიჩი ბეტსისთან მივიდა. იგი იმდენად ახალგაზრდად გრძნობდა თავს და ამ სახუმარო არშიყობაში უნებურად ისე შორს შეტოპა, რომ აღარც იცოდა, როგორ დაეხია უკან, რადგან საუბედუროდ, არათუ არ მოსწონდა ბეტსი, ეზიზღებოდა კიდეც. ასე რომ, სტეპან არკადიჩი დიდად გაახარა ქალბატონ მიაგკაიას მოსვლამ, რამაც ბოლო მოუღო მათ განმარტოებას.

– აჰ, თქვენც აქა ხართ? – თქვა ქალბატონმა მიაგკაიამ სტეპან არკადიჩის დანახვაზე, – როგორ არის თქვენი საბრალო და? თქვენ მე ასე ნუ მიყურებთ, – დასძინა მან, – მას შემდეგ, რაც ყველანი თავს დაესხნენ, ისინიც კი, ვინც მასზე ათასჯერ უარესები არიან, მე მაინც მიმაჩნია, რომ მშვენივრად მოიქცა. ვერ მიპატიებია ვრონსკისთვის, რომ არ შემატყობინა ანას პეტერბურგში ყოფნა. მე მივიდოდი მასთან და მასთან ერთად ვივლიდი ყველგან. გეთაყვა, გადაეცით მას ჩემი სიყვარული. აბა, მომიყევით, როგორ არის?

– დიახ, მისი მდგომარეობა მძიმეა. იგი... – დაიწყო სტეპან არკადიჩმა, რომელმაც თავისი გულწრფელობის გამო სიმართლედ მიიღო ქალბატონ მიაგკაიას სიტყვები, მომიყევით, როგორ არისო თქვენი და. მაგრამ ქალბატონმა მიაგკაიამ, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა, მაშინვე შეაწყვეტინა სტეპან არკადიჩს და ისევ თვითონ განაგრძო.

– მან გააკეთა ის, რასაც ჩემ გარდა, ყველანი აკეთებენ, მაგრამ მალავენ. მან კი არ ინდომა მოტყუება და მშვენივრადაც მოიქცა. კიდევ უფრო უკეთესად მოიქცა, რომ მიატოვა თქვენი ჭკუანაკლები სიძე. მასზე ყველა ამბობდა, ჭკვიანია, ჭკვიანიო, მხოლოდ მე ერთი ვამბობდი, სულელია-მეთქი. ახლა, როცა დაუკავშირდა ლიდია ივანოვნასა და Landau-ს, ყველა ამბობს, ჭკუანაკლებიაო და მე მოხარული ვიქნებოდი, არ დავთანხმებოდი სხვებს, მაგრამ ამჯერად შეუძლებელია.

– ჰო, ამიხსენით, გეთაყვა, – უთხრა სტეპან არკადიჩმა, – რას

ნიშნავს ეს? გუშინ ალექსეი ალექსანდროვიჩთან ვიყავი ჩემი დის საქმეზე და საბოლოო პასუხი მოვითხოვე. პასუხი არ მომცა და მითხრა, მოვიფიქრებო, დღეს დილით კი პასუხის ნაცვლად გრაფინია ლიდია ივანოვნასგან მოწვევის ბარათი მივიღე ამ საღამოსთვის.

– ჰო, ჰო, სწორედ ასეა! – სიხარულით თქვა ქალბატონმა მიაგკაიამ, – ისინი შეეკითხებიან Landau-ს, რას იტყვის ამის შესახებ.

– როგორ თუ შეეკითხებიან Landau-ს? რისთვის? რას წარმოადგენს ეს Landau?

– როგორ? თქვენ არ იცით Jules Landau, le fameux Jules Landau, le clair voyant?[107] ისიც ისეთივე ჭკუანაკლებია, მაგრამ მასზეა დამოკიდებული თქვენი დის ბედი. აი, რა იცის პროვინციაში ცხოვრებამ, თქვენ არაფერი იცით ამის შესახებ. Landau პარიზის მაღაზიაში commis[108] იყო. ერთხელ ექიმთან მივიდა. ექიმის მისაღებ ოთახში ჩაეძინა და ძილში უცნაური რჩევა მისცა ავადმყოფებს. მისი რჩევა მართლაც საოცარი იყო. შემდეგ იური მელედინსკის – ხომ იცნობთ, ავადმყოფი რომ არის? – ცოლმა შეიტყო ამ Landau-ს შესახებ და წაიყვანა თავის ქმართან. ის მკურნალობს მის ქმარს და, ჩემი აზრით, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია მისთვის, რადგან ავადმყოფი ისევ ისეა დაუძლურებული, მაგრამ მათ მაინც სჯერათ მისი და დაჰყავთ მასთან. ასე ჩამოიყვანეს რუსეთში. აქაც ყველანი დაესივნენ და იმანაც ყველას დაუწყო მკურნალობა, გრაფინია ბეზზუბოვა მოარჩინა და იმანაც ისე შეიყვარა იგი, რომ იშვილა.

– როგორ თუ იშვილა?

– ისე, იშვილა. ამიერიდან ის Landau კი აღარ არის, არამედ გრაფი ბეზზუბოვია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ლიდია – მე იგი ძალიან მიყვარს, თუმცა მთლად გონიერი არ არის – რა თქმა უნდა, მაშინვე ეცა ამ Landau-ს და ახლა უამისოდ არც ისა და არც ალექსეი ალექსანდროვიჩი არაფერს გადაწყვეტენ. ამიტომაც თქვენი დის ბედი Landau-ს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გრაფ ბეზზუბოვის ხელშია.

XXI

ბარტნიანსკისთან ჩინებული სადილისა და ბლომად კონიაკის შემდეგ სტეპან არკადიჩი დანიშნულ დროზე ცოტა დაგვიანებით გამოცხადდა ლიდია ივანოვნასთან.

– ვინ არის კიდევ გრაფინიასთან? ფრანგი? – ჰკითხა სტეპან არკადიჩმა მეკარეს, როცა თვალი მოჰკრა ალექსეი ალექსანდროვიჩის ნაცნობ პალტოს და მეორე უცნაურ, სასაცილო შესაკრავებიან პალტოს.

– ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი და გრაფი ბეზზუბოვი, – მკაცრად მიუგო მეკარემ.

„ქალბატონმა მიაგკაიამ სწორად გამოიცნო, – გაიფიქრა სტეპან არკადიჩმა, როცა კიბეზე ადიოდა, – უცნაურია! თუმცა კი კარგი იქნებოდა გრაფინიასთან დაახლოება. დიდი გავლენა აქვს. მან რომ რამდენიმე სიტყვა უთხრას პომორსკის, საქმე უკვე გაჩარხული იქნება“.

გარეთ ჯერ ისევ სინათლე იყო, მაგრამ გრაფინია ლიდია ივანოვნას ფარდებჩამოშვებულ პატარა სასტუმროში უკვე ლამპები ენთო.

მრგვალ მაგიდასთან, ლამპის გვერდით, ისხდნენ გრაფინია და ალექსეი ალექსანდროვიჩი და რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობდნენ. ოთახის მეორე მხარეს იდგა დაბალი ტანის გამხდარი კაცი და კედლებზე ჩამოკიდებულ პორტრეტებს ათვალიერებდა; მას ქალური მენჯები და მუხლებში გაღუნული ფეხები ჰქონდა, მეტისმეტად ფერმკრთალი და ლამაზი იყო, მშვენიერი მოელვარე თვალები ჰქონდა და გრძელი, სერთუკის საყელოზე დაფენილი თმა. სტეპან არკადიჩი გრაფინიასა და ალექსეი ალექსანდროვიჩს მიესალმა და უნებურად ერთხელ კიდევ გადახედა მისთვის უცნობ პირს.

– Monsieur Landau, – მოწიწებითა და ფრთხილად უთხრა გრაფინიამ, რითაც დიდად განაცვიფრა სტეპან არკადიჩი. გრაფინიამ გააცნო ისინი ერთმანეთს.

Landau-მ საჩქაროდ მოიხედა, ღიმილით მიუახლოვდა სტეპან არკადიჩს, გაუწოდა თავისი გაშეშებული, ოფლიანი ხელი, მერე სწრაფადვე გასცილდა და ისევ პორტრეტების დათვალიერება განაგრძო. გრაფინიამ და ალექსეი ალექსანდროვიჩმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

– დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, განსაკუთრებით დღეს, – უთხრა გრაფინიამ და ალექსეი ალექსანდროვიჩის გვერდით, სკამზე მიუთითა.

– მე თქვენ გაგაცანით იგი როგორც Landau, – ხმადაბლა განაგრძო გრაფინიამ, ჯერ ფრანგს გახედა და იმავე წამს ალექსეი ალექსანდროვიჩზე გადაიტანა მზერა, – სინამდვილეში კი, ალბათ, როგორც თქვენ უკვე იცით, იგი გრაფი ბეზზუბოვია. მხოლოდ არ უყვარს ეს ტიტული.

– დიახ, გავიგე, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა, – ამბობენ, რომ მან სავსებით განკურნა გრაფინია ბეზზუბოვა.

– დღეს ჩემთან იყო გრაფინია. ისეთი შესაბრალისია! – მიმართა გრაფინია ლიდია ივანოვნამ ალექსეი ალექსანდროვიჩს, – მისთვის საშინელია ეს განშორება! მეტისმეტად განიცდის!

– ის კი დანამდვილებით მიდის? – ჰკითხა ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– დიახ, პარიზს მიემგზავრება. გუშინ გაიგონა ხმა, – თქვა ლიდია ივანოვნამ და სტეპან არკადიჩს გადახედა.

– აჰ, ხმა, – გაიმეორა ობლონსკიმ. იგრძნო, რომ დიდი სიფრთხილე მართებდა ამ საზოგადოებაში, სადაც ხდებოდა ან უნდა მომხდარიყო განსაკუთრებული, მისთვის ჯერ სრულიად უცნობი რაღაც.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, რის შემდეგაც გრაფინია ლიდია ივანოვნამ, თითქოს ახლა იწყებს მთავარ საგანზე საუბარსო, ნაზი ღიმილით მიმართა ობლონსკის.

– მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ და დიდად მოხარული ვარ თქვენი ახლოს გაცნობის. Les amis de nos amis sont nos amis.[109] მაგრამ იმისთვის, რომ მეგობარი იყო, უნდა შეგეძლოს ჩაიხედო მეგობრის სულში და მე ვშიშობ, რომ თქვენ ასე არ იქცევით ალექსეი ალექსანდროვიჩის მიმართ. თქვენ, ალბათ, მიმიხვდით, რაზედაც გეუბნებით, – თქვა მან და თავისი მშვენიერი, ფიქრიანი თვალები მიაპყრო სტეპან არკადიჩს.

– ნაწილობრივ ჩემთვის გასაგებია, გრაფინია, რომ მდგომარეობა ალექსეი ალექსანდროვიჩისა... – დაიწყო ობლონსკიმ, რომელიც კარგად ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე და ამიტომაც აღარ დაამთავრა თავისი აზრი.

– ცვლილება არა გარეგნული მდგომარეობის მხრივ, – მკაცრად თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ და თან სიყვარულით აღსავსე მზერა გააყოლა ალექსეი ალექსანდროვიჩს, რომელიც ფეხზე წამოდგა და Landau-სთან მივიდა, – მას გული შეეცვალა, ახალი გული ჩაედგა, და მე ვშიშობ, რომ თქვენ სავსებით ვერ ჩაუფიქრდით იმ ცვლილებას, რომელიც მასში მოხდა.

– თუმცა ზოგადად მე შემიძლია წარმოვიდგინო ეს გარდატეხა. ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით და ახლაც... – უთხრა სტეპან არკადიჩმა და ნაზი გამოხედვით უპასუხა გრაფინიას შემოხედვას, თან იმას ფიქრობდა, იმ ორი მინისტრიდან, რომელი უფრო ახლოს იქნება გრაფინიასთანო, რათა სცოდნოდა, რომელზე ეთხოვა მისთვის.

– იმ ცვლილებას, რომელიც მასში მოხდა, არ შეუძლია შეცვალოს მისი სიყვარული მოყვასისადმი; პირიქით, მან უფრო უნდა გააძლიეროს ეს სიყვარული. მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენ ვერ გამიგეთ, რისი თქმა მსურდა. ჩაის ხომ არ მიირთმევთ? – უთხრა გრაფინიამ და თვალით ლაქიაზე ანიშნა, რომელმაც სწორედ ამ დროს ლანგრით შემოიტანა ჩაი.

– სრულიადაც არა, გრაფინია. რა თქმა უნდა, მისი უბედურება...

– დიახ, უბედურება, რომელიც უმაღლეს ბედნიერებად იქცა, როცა მას ახალი გული ჩაედგა, აღვსილი მისით, – გრაფინიამ სიყვარულით შეხედა სტეპან არკადიჩს.

„მე მგონია, შეიძლება ვთხოვო გრაფინიას, ორივესთან შემაწიოს რამდენიმე სიტყვა“, – გაიფიქრა სტეპან არკადიჩმა.

– ო, რასაკვირველია, გრაფინია, – უთხრა მან, – მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს ცვლილებები იმდენად ინტიმურია, რომ არავისთვის, ყველაზე უახლოესი ადამიანისთვისაც კი არ არის სასიამოვნო ამაზე ლაპარაკი.

– პირიქით! ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ და დავეხმაროთ ერთიმეორეს.

– დიახ, უეჭველია, მაგრამ ზოგჯერ იმდენად განსხვავდებიან ეს შეხედულებანი და ამასთან... – ღიმილით შენიშნა სტეპან არკადიჩმა.

– განსხვავება არ შეიძლება იყოს უწმინდესი ჭეშმარიტების საქმეში.

– ო, დიახ, რასაკვირველია, მაგრამ... – და შემკრთალი სტეპან არკადიჩი ჩაჩუმდა. იგი მიხვდა, რომ საუბარი სარწმუნოებას შეეხებოდა.

– მე მგონი, ის ახლა დაიძინებს, – მრავალმნიშვნელოვანი ჩურჩულით თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, როცა გრაფინია ლიდია ივანოვნას მიუახლოვდა.

სტეპან არკადიჩმა მიიხედა. Landau ფანჯარასთან იჯდა, სავარძლის სახელურსა და ზურგს მიყრდნობოდა და თავი ჩაექინდრა. როცა შენიშნა, ყველა მისკენ იყურებოდა, თავი ასწია და ბავშვურად გულუბრყვილოდ გაიღიმა.

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, – თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ და მსუბუქი მოძრაობით სკამი მიუწია ალექსეი ალექსანდროვიჩს, – შენიშნული მაქვს... – გრაფინიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ლაქია შემოვიდა წერილით. ლიდია ივანოვნამ საჩქაროდ გადაიკითხა წერილი, ბოდიში მოიხადა, სასწრაფოდ დაწერა პასუხი, გადასცა ლაქიას და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა, – შემინიშნავს, – განაგრძო მან დაწყებული საუბარი, – რომ მოსკოველები, განსაკუთრებით მამაკაცები, მეტად გულგრილნი არიან სარწმუნოებისადმი.

– ოჰ, არა, გრაფინია, მე მგონია, მოსკოველებს მეტად მტკიცე მორწმუნეთა რეპუტაცია აქვთ, – უპასუხა სტეპან არკადიჩმა.

– დიახ, მაგრამ, სამწუხაროდ, მე რამდენადაც ვიცი, თქვენ უფრო იმ გულგრილთა რიცხვს ეკუთვნით, – თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა და თავისებური მოღლილი ღიმილით გაიღიმა.

– გულგრილობა როგორ იქნება! – შენიშნა ლიდია ივანოვნამ.

– მე ამ საკითხში გულგრილი კი არა, თითქოს უფრო მოლოდინში ვარ, – თავისებური ღიმილით თქვა სტეპან არკადიჩმა, – არა მგონია, რომ ჩემთვის უკვე დადგა დრო ამგვარ საკითხებზე ჩაფიქრებისა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ლიდია ივანოვნამ ერთმანეთს გადახედეს.

– ჩვენ არ ძალგვიძს ვიცოდეთ, დაგვიდგა თუ არა ამის დრო, – მკაცრად თქვა ალექსეი ალექსანდროვიჩმა, – ჩვენ არც უნდა ვიფიქროთ, მზად ვართ თუ არა ამისთვის. მადლის

გარდმოვლენა ადამიანთა მოსაზრებებს როდი ემორჩილება. ზოგჯერ იგი მორწმუნეთ კი არა, უმეცართ გარდმოევლინება, როგორც სავლეს.

– არა, მე მგონი, ჯერ არა, – თქვა ლიდია ივანოვნამ, – რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრანგს აკვირდებოდა.

Landau წამოდგა და მივიდა მათთან.

– ნებას მომცემთ, მოგისმინოთ? – ჰკითხა მან.

– დიახ, რა თქმა უნდა. მე არ მინდოდა ხელი შემეშალა თქვენთვის, – უთხრა ლიდია ივანოვნამ და ალერსიანად შეხედა, – დაბრძანდით ჩვენთან.

– მხოლოდ თვალები არ უნდა დახუჭო, რათა არ დაკარგო სინათლე, – განაგრძო ალექსეი ალექსანდროვიჩმა.

– ოჰ, თქვენ რომ იცოდეთ, ის ბედნიერება, რომელსაც განვიცდით ჩვენ, როცა ვგრძნობთ მის მარადიულ სუფევას ჩვენს სულში, – თქვა გრაფინია ლიდია ივანოვნამ და ნეტარებით გაიღიმა.

– მაგრამ ზოგჯერ ადამიანი უძლურია, ავიდეს ამ სიმაღლემდე, – თქვა სტეპან არკადიჩმა და იგრძნო, რომ გულწრფელი არ იყო, როცა სარწმუნოების სიმაღლეზე ლაპარაკობდა, მაგრამ ვერ ბედავდა, ეღიარებინა თავისი თავისუფალი აზრები ამ ქალის წინაშე, რომლის ერთი სიტყვა პომორსკისთან საკმარისი იქნებოდა სასურველი ადგილის მისაღებად.

– ესე იგი თქვენ გინდათ თქვათ, რომ ცოდვები უშლიან ხელს? – უთხრა ლიდია ივანოვნამ, – მაგრამ ეს ყალბი შეხედულებაა. მორწმუნისთვის აღარ არსებობს ცოდვები, მისთვის უკვე გამოსყიდულია ცოდვები. Pardon, – დასძინა მან, როცა თვალი მოჰკრა ლაქიას, რომელმაც ახლა სხვა წერილი შემოიტანა. გრაფინიამ წერილი გადაიკითხა და სიტყვიერად მოახსენა: „გადაეცით ხვალ მობრძანდეს დიდი თავადის მეუღლესთან“. მორწმუნისთვის არ არსებობს ცოდვა, – განაგრძო მან საუბარი.

– დიახ, მაგრამ სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარი არს, – თქვა სტეპან არკადიჩმა, რომელსაც კატეხიზმოდან გაახსენდა ეს ფრაზა და ღიმილით შეეცადა თავისი აზრის დაცვას.

– ეს ხომ იაკობ მოციქულის ეპისტოლედან არის, – თითქმის

საყვედურით მიმართა ალექსეი ალექსანდროვიჩმა ლიდია ივანოვნას. ეტყობოდა, ამ საკითხზე ადრეც ბევრჯერ ჰქონდათ საუბარი, – რამდენი ზიანი მოუტანა სარწმუნოებას ამ ადგილის ყალბმა განმარტებამ. არაფერი ისე არ აუყრის ადამიანს გულს სარწმუნოებაზე, როგორც ამგვარი განმარტება. „მე არა მაქვს საქმე და ამიტომაც არ შემიძლია ვირწმუნო“. ეს არსად არ არის ნათქვამი. აქ სრულიად საწინააღმდეგო აზრია.

– იღვწოდეთ ღვთისთვის და შრომითა და მარხულობითა იხსენით სული თქვენი, – ზიზღით თქვა ლიდია ივანოვნამ, – ეს უმეცარი ცნებებია ჩვენი ბერებისა და არსად არ არის ნათქვამი. ეს ბევრად უფრო მარტივი და იოლია, – დასძინა მან და ისეთივე გამამხნევებელი ღიმილით გაუღიმა ობლონსკის, როგორც სასახლის კარზე გამოუცდელ, ახალი გარემოთი დარცხვენილ სეფექალებს გაუღიმებდა ხოლმე.

– Vous comprenez l’anglais?[110] – შეეკითხა ლიდია ივანოვნა და როცა თანხმობა მიიღო, წამოდგა და თაროზე რაღაც წიგნს დაუწყო ძებნა.

– მე მინდა წავიკითხო „Safe and Happy“[111] „Under the wing“[112], – თქვა მან და კითხვის თვალით გადახედა კარენინს. შემდეგ, როცა წიგნი იპოვა, ისევ თავის ადგილას დაჯდა და გადაშალა, – სულ მოკლედ არის ნათქვამი. აქ აღწერილია ის უმაღლესი ყველა ამქვეყნიურზე ამაღლებული ბედნიერება, რომელიც ეუფლება ადამიანის სულს რწმენის მოპოვების შემდეგ. მორწმუნე ადამიანი არ შეიძლება უბედური იყოს, რადგან იგი მარტო არ არის. აი, თქვენ ნახავთ, – და იგი უკვე მოემზადა წასაკითხად, მაგრამ ამ დროს ოთახში ისევ ლაქია შემოვიდა, – ბოროზდინაა? უთხარით, ხვალ ორი საათისთვის მოვიდეს. დიახ, – თქვა მან, წიგნში გადაშლილ ადგილზე თითი ჩადო, ამოიოხრა და წინ მიაპყრო თავისი მშვენიერი, ფიქრიანი თვალები, – აი, როგორ მოქმედებს ნამდვილი რწმენა. თქვენ იცნობთ მარი სანინას? იცით, რა უბედურება დაატყდა თავს? ერთადერთი ბავშვი ხელიდან გამოეცალა. იგი სასოწარკვეთილი იყო, მაგრამ რა მოხდა შემდეგ? მან იპოვა ეს მეგობარი და ახლა მადლობას სწირავს ღმერთს შვილის სიკვდილისთვის. აი, რას ნიშნავს რწმენით მოპოვებული ბედნიერება!

– ოჰ, დიახ, ეს ძალიან... – თქვა სტეპან არკადიჩმა. იგი კმაყოფილი იყო, რომ ახლა კითხვას დაიწყებდნენ და

საშუალებას მისცემდნენ გონს მოსულიყო. „არა, დღეს, როგორც ჩანს, არაფრის თხოვნა არ ღირს, – გაიფიქრა მან, – ოღონდაც როგორმე უვნებლად დავაღწიო თავი აქედან“.

– თქვენთვის მოსაწყენი იქნება, – მიმართა გრაფინია ლიდია ივანოვნამ Landau-ს, თქვენ ინგლისური არ იცით, მაგრამ ეს ძალიან მოკლეა.

– ოჰ, მე მივხვდები, – იმგვარივე ღიმილით უპასუხა Landau-მ და თვალები დახუჭა.

ალექსეი ალექსანდროვიჩმა და ლიდია ივანოვნამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და კითხვაც დაიწყო.

XXII

სტეპან არკადიჩს მართლაც რომ თავბრუ დაახვია აქ მოსმენილმა მისთვის სრულიად ახალმა და უცნაურმა ფრაზებმა. პეტერბურგის ცხოვრების სირთულე საერთოდ აფხიზლებდა ხოლმე სტეპან არკადიჩს, ავიწყებდა მოსკოვის მოდუნებულ ცხოვრებას; მაგრამ ეს სირთულე უყვარდა და გასაგებიც იყო მისთვის ახლობელ, ნაცნობ გარემოში. ამ უცხო გარემომ კი საგონებელში ჩააგდო, თავგზა აუბნია და ვეღარაფერი გაიგო. იგი ყურს უგდებდა გრაფინია ლიდია ივანოვნას და გრძნობდა, როგორ მისჩერებოდნენ Landau-ს ლამაზი, გულუბრყვილო თუ ცბიერი თვალები – ამაში ვერ გარკვეულიყო, – და გრძნობდა, თანდათან როგორ უმძიმდებოდა თავი.

გონებაში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა: „მარი სანინას უხარია შვილის სიკვდილი... ახლა კარგი იქნებოდა პაპიროსის მოწევა... სულის ხსნისთვის საჭიროა მხოლოდ რწმენა, ბერებმა არ იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს, გრაფინია ლიდია ივანოვნამ კი იცის... რატომ მაქვს თავი ასე დამძიმებული? კონიაკის ბრალია თუ იმის, რომ ყოველივე ეს მეტისმეტად უცნაურია? ჯერჯეროობით უწესო, მგონი, არაფერი ჩამიდენია.

მაგრამ ახლა მაინც უკვე აღარ შეიძლება რაიმეს თხოვნა გრაფინიასთვის. ამბობენ, გაიძულებენ, ილოცოო. ნეტავ მე არ დამატანონ ძალა. ეს უკვე მეტისმეტი სისულელე იქნება. ამას რა აბდაუბდას კითხულობს, კარგად კი გამოთქვამს. Landau – ბეზზუბოვი. რატომ არის ბეზზუბოვი?“ უცებ სტეპან არკადიჩმა იგრძნო, რომ ქვედა ყბა ქვევით ჩამოეწია და საცაა, დაამთქნარებდა. მან ქილვაშები გაისწორა, მთქნარება დამალა და შეიშმუშნა. მაგრამ ამის შემდეგ იგრძნო, რომ უკვე ეძინა და საცაა ხვრინვასაც ამოუშვებდა. იგი სწორედ მაშინ გამოფხიზლდა, როცა გრაფინია ლიდია ივანოვნამ თქვა: „მას სძინავს“...

შეშინებულმა სტეპან არკადიჩმა თვალი გაახილა. იგრძნო, რომ დამნაშავე იყო და დანაშაულში მხილებულიც, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, რაკი გაიგო, რომ სიტყვები „მას სძინავს“ მას კი არა, Landau-ს შეეხებოდა. ფრანგსაც ისევე ჩაეძინა, როგორც სტეპან არკადიჩს. მაგრამ სტეპან არკადიჩის ძილი, როგორც ფიქრობდა სტეპან არკადიჩი, შეურაცხყოფდა მათ (თუმცა იგი ამასაც აღარ ფიქრობდა, იმდენად უცნაურად ეჩვენებოდა ყველაფერი), Landau-ს ჩაძინებამ კი მეტისმეტად გაახარა ორივე, განსაკუთრებით გრაფინია ლიდია ივანოვნა.

– Mon ami,[113] – თქვა ლიდია ივანოვნამ, ფრთხილად აიწია ფარჩის კაბის კალთები, რათა ხმაური არ გამოეწვია და ამ აღტაცების დროს კარენინს უკვე ალექსეი ალექსანდროვიჩი კი არა, mon ami უწოდა, – donnez lui la main. Vous voyez[114] სსს! – გააჩუმა მან ლაქია, რომელიც ისევ შემობრუნდა ოთახში, – ნურავის ნუღარ მიიღებთ.

ფრანგს ეძინა, ან შეიძლება ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ეძინა, თავი სავარძლის ზურგზე ჰქონდა მიყრდნობილი და მუხლზე დადებულ ოფლიან ხელს ოდნავ ამოძრავებდა, თითქოს რაღაცის დაჭერას ლამობსო. ალექსეი ალექსანდროვიჩიც წამოდგა, უნდოდა, ფრთხილად მიახლოებოდა, მაგრამ მაგიდას წამოედო, მივიდა მასთან და თავისი ხელი ხელში ჩაუდო ფრანგს. სტეფან არკადიჩიც წამოდგა, ფართოდ გაახილა თვალები, რათა გამოფხიზლებულიყო, თუ მართლა ეძინა, და ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. მაგრამ ყოველივე ეს სინამდვილეში ხდებოდა და გრძნობდა, როგორ უმძიმდებოდა თავში რაღაც.

– Que la personne qui est arrivèe la dernière, celle qui demande, qu’elle

sorte! Qu’elle sorte![115] – თქვა ფრანგმა ისე, რომ თვალები არ გაუხელია.

–Vous m’exeuserez, mais vous voyez, Révenez vers dix heures, encore mieux demain?[116]

– Qu’elle sorte! – მოუთმენლად გაიმეორა ფრანგმა.

– C’est moi, n’est se pas?[117]

და როცა დასტური მიიღო, აღარც ის გახსენებია, რომ რაღაც უნდა ეთხოვა ლიდია ივანოვნასთვის, თავისი დის საქმეც გადაავიწყდა, თითის წვერებზე გამოვიდა ოთახიდან და მაშინვე გავარდა ქუჩაში. მხოლოდ ერთი სურვილიღა ჰქონდა: რაც შეიძლება მალე დაეღწია თავი ამ თითქოსდა მოწამლული სახლისგან, მერე კი დიდხანს ელაპარაკებოდა და ეხუმრებოდა მეეტლეს, რათა როგორმე მალე მოსულიყო გონს.

ფრანგულ თეატრში, სადაც უკანასკნელ აქტს მიუსწრო, და შემდეგ, შამპანურს რომ სვამდა, ცოტა სული მოითქვა მისთვის ჩვეულ გარემოში, მაგრამ იმ საღამოს მაინც ძალიან უგუნებოდ იყო.

შინ დაბრუნებულს პიოტრ ობლონსკისთან, პეტერბურგში იგი მის ბინაში ცხოვრობდა, ბეტსის წერილი დახვდა. დიდი სურვილი მაქვს დავამთავრო დაწყებული საუბარი და ხვალისთვის გელოდებიო, წერდა ბეტსი. ის იყო, ჩაიკითხა წერილი და მოიღუშა, რომ ქვევიდან მსახურთა მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი ამოჰქონდათ ქვევიდან.

სტეპან არკადიჩმა გარეთ გამოიხედა, რათა გაეგო, რაში იყო საქმე. ეს გახლდათ გაახალგაზრდავებული პიოტრ ობლონსკი. იგი იმდენად მთვრალი იყო, რომ კიბეზე ვეღარ ამოდიოდა, მაგრამ როგორც კი სტეპან არკადიჩი დაინახა, მაშინვე უბრძანა მსახურთ, ფეხზე დაეყენებინათ. მერე აღარ მოსცილდა, ოთახში შეჰყვა და დაუწყო მოყოლა, როგორ გაატარა დღევანდელი დღე და ამასობაში ჩაეძინა კიდეც.

სტეპან არკადიჩი სულიერად განადგურებული იყო, რაც იშვიათად დამართვია. დიდხანს ვერ შეძლო დაძინება. ყველაფერი, რაც კი აგონდებოდა, საძაგელი ეჩვენებოდა, მაგრამ ყველაზე საძაგლად და თითქმის სამარცხვინოდაც კი

აგონდებოდა ლიდია ივანოვნასთან გატარებული საღამო.

მეორე დღეს ალექსეი ალექსანდროვიჩისაგან უკვე გარკვეული უარი მიიღო განქორწინებაზე და მიხვდა, რომ ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა ფრანგის ნათქვამს გუშინდელი ნამდვილი თუ თვალთმაქცური ძილის დროს.

XXIII

იმისთვის, რომ ოჯახურ ცხოვრებაში რაიმე წამოიწყო, აუცილებელია ან სრული განხეთქილება ცოლ-ქმარს შორის, ან თანაზიარი სიყვარული. როცა ცოლ-ქმრის ურთიერთობა გაურკვეველია და მათ შორის არ არის არც ერთი და არც მეორე, შეუძლებელი ხდება რაიმეს წამოწყება.

მრავალი ოჯახი წლობით რჩება ერთსა და იმავე ადგილზე, რაც დიდი ხანია მობეზრებული აქვს ცოლსაც და ქმარსაც, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის არ არის არც სრული განხეთქილება და არც თანხმობა.

ვრონსკისთვისაც და ანასთვისაც უკვე აუტანელი შეიქნა ცხოვრება მოსკოვში, მტვერსა და სიცხეში, როცა მზე გაზაფხულივით კი აღარ ანათებდა, არამედ ზაფხულივით აცხუნებდა, როცა ბულვარის ხეები დიდი ხანია ფოთლებით შეიმოსა და ეს ფოთლები მტვრით დაიფარა. მაგრამ მაინც არ გადადიოდნენ ვოზდვიჟენსკოეში, როგორც ეს დიდი ხნის წინათ ჰქონდათ გადაწყვეტილი, კვლავ განაგრძობდნენ მოსკოვში ცხოვრებას, რაც უკვე მობეზრებული ჰქონდა ერთსაც და მეორესაც, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მათ შორის არ იყო თანხმობა.

მათ გამთიშველ გულისწყრომას არ ჰქონია არავითარი გარეგნული მიზეზი, მაგრამ ამისი ახსნა-განმარტების ყოველი ცდა არათუ ახშობდა, კიდევ უფრო აძლიერებდა ამ გულისწყრომას. ეს იყო რაღაც შინაგანი წყრომა, რომელსაც ანასთვის საფუძვლად ედო ვრონსკის გულის გაცივება, ვრონსკისთვის კი სინანული, რომ ანას გულისთვის ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, ანა კი, ნაცვლად იმისა, რომ

შეუმსუბუქოს ეს მდგომარეობა, კიდევ უფრო ამძიმებს. არც ერთი და არც მეორე არ ამხელდა ამის მიზეზს, მაგრამ ორივენი დამნაშავედ თვლიდნენ ერთიმეორეს და ყოველ წუთს ცდილობდნენ ამის დამტკიცებას.

ანასთვის ვრონსკი მთელი თავისი ჩვევებით, აზრებით, სურვილებით, სულიერი და ფიზიკური აღნაგობით განსახიერება იყო მხოლოდ ერთი – ქალებისადმი სიყვარულის გრძნობისა. და ეს სიყვარული, რომელიც, ანას აზრით, მხოლოდ მისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, განელდა მასში; მაშასადამე, ასე ფიქრობდა ანა, ნაწილი თავისი სიყვარულისა, უნდა გადაეტანა სხვა ქალებზე ან სხვა ქალზე – და ანა ეჭვმა შეიპყრო. იგი ეჭვიანობდა არა ვინმე ქალზე, არამედ მის სიყვარულზე, რომ ვრონსკის ისე ძლიერად აღარ უყვარდა. მას ჯერ კიდევ ვერ ეპოვა საგანი ეჭვიანობისა და ეძებდა მას. ოდნავ გადაკრული სიტყვა საკმარისი იყო, რომ ანას ხან ერთზე აეღო ეჭვი, ხან მეორეზე. იგი ეჭვიანობდა უზნეო ქალებზე, რომელთაც უცოლშვილო ამხანაგებთან ურთიერთობის წყალობით ადვილად შეეძლო გადაჰყროდა, ეჭვიანობდა მაღალი საზოგადოების ქალებზეც, რომელთაც შესაძლო იყო შეხვედროდა. ანდა წარმოიდგენდა ვინმე ქალიშვილს, რომლის ცოლად შერთვასაც აპირებდა ვრონსკი ანასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ. ეს უკანასკნელი ეჭვი ყველაზე მეტად ტანჯავდა. მით უმეტეს, რომ გულახდილობის წუთში ვრონსკის გაუფრთხილებლად წამოცდა, დედას იმდენად არ ესმის ჩემი, რომ თავს ნებას აძლევს მითხრას, ცოლად შეირთეო თავადის ასული სოროკინა.

და ამ ეჭვებით გულდაკოდილი ანა ყოველთვის ეძებდა საბაბს თავისი გაგულისების გასამჟღავნებლად. ყველაფერს, რაც კი მძიმე იყო მის ცხოვრებაში, ვრონსკის სდებდა ბრალად. ის მტანჯველი მოლოდინი, რომელიც მარტოდმარტომ გადაიტანა მოსკოვში, ისიც, რომ ალექსეი ალექსანდროვიჩი არ ჩქარობდა და არ აძლევდა გადაწყვეტილ პასუხს, მისი განმარტოებული ცხოვრება – ყველაფერში ვრონსკი იყო დამნაშავე. მას რომ ჰყვარებოდა ანა, მაშინ მისთვის გასაგები იქნებოდა, რამდენად მძიმე იყო ანას ცხოვრება და იხსნიდა ამ მდგომარეობისგან. ანა რომ მოსკოვში ცხოვრობდა და არა სოფლად, ამაშიც ვრონსკი იყო დამნაშავე. მან ვერ შეძლო სოფელში ცხოვრება ისე, როგორც ანას ეწადა. მისთვის აუცილებელი შეიქნა საზოგადოება და ამან ჩააყენა ანა იმ საშინელ მდგომარეობაში,

რომლის გაგებაც არ სურდა მას. იგივე ვრონსკი იყო დამნაშავე იმაშიც, რომ ანა სამუდამოდ განშორდა თავის შვილს.

ანას ვერ ამშვიდებდა სიყვარულის ის წუთებიც, რომელიც ახლა უკვე იშვიათად დგებოდა მათ შორის. მის ალერსში იგი ხედავდა აჩრდილს იმ სიმშვიდისა და თავისი თავისადმი რწმენისა, რომელიც წინათ არ შეუნიშნავს, და ესეც აგულისებდა.

საღამო იყო. ანა მარტოდმარტო ელოდა, როდის დაბრუნდებოდა ვრონსკი უცოლშვილოთა სადილიდან. ამ მოლოდინში ბოლთას სცემდა ვრონსკის კაბინეტში (ამ ოთახში ყველაზე ნაკლებად ისმოდა ქუჩის ხმაური) და დაწვრილებით იხსენებდა გუშინდელ ჩხუბში ნათქვამ სიტყვებს. გაიხსენა ყველა მის მიერ ნათქვამი შეურაცხმყოფელი სიტყვა და ბოლოს იმ საუბრამდე მივიდა, რომელიც შეიქნა საბაბი ამ ჩხუბისა. დიდხანს ვერც დაიჯერა, რომ ეს უწყინარი საუბარი გახდა მიზეზი ამ განხეთქილებისა. სინამდვილეში კი ეს მართლაც ასე მოხდა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ვრონსკიმ სასაცილოდ აიგდო ქალთა გიმნაზიები, ზედმეტად ჩათვალა, ანა კი შეედავა. ვრონსკი საერთოდ აგდებულად უყურებდა ქალთა განათლების საქმეს და თქვა, რომ ინგლისელი ქალიშვილი განა, რომელსაც მფარველობდა ანა, სულაც არ საჭიროებსო ფიზიკის ცოდნას.

ამან გააბრაზა ანა. ამაში დაინახა ზიზღი თავისი საქმიანობისადმი და მოიფიქრა ისეთი სიტყვები, რომელნიც სამაგიეროს მიუზღავდნენ ვრონსკის ამ გულისტკენისთვის.

– არც ველოდი თქვენგან, რომ გახსოვართ მე, გახსოვთ ჩემი გრძნობები, ისე, როგორც უნდა ახსოვდეს ეს მოსიყვარულე ადამიანს, მაგრამ იმედი მქონდა, რომ უბრალო თავაზიანობას მაინც გამოიჩენდით, – უთხრა მან.

და ვრონსკი მართლაც გაწითლდა ბრაზისაგან და რაღაც არასასიამოვნო უთხრა. ანას აღარ ახსოვდა, რა უპასუხა, მაგრამ შემდეგ ვრონსკიმ, ალბათ, იმ განზრახვით, რომ გული მოეკლა ანასთვის, უთხრა: – მე მართლაც არ მაინტერესებს თქვენი გატაცება ამ გოგონათი, რადგან ვხედავ, რომ იგი არაბუნებრივია.

ამ შეუბრალებლობამ, რამაც დაანგრია ანას მიერ ასეთი წამებით შექმნილი სამყარო, რათა როგორმე გადაეტანა თავისი

მძიმე ცხოვრება, მისმა უსამართლობამ, რომ ბრალს სდებდა თვალთმაქცობასა და არაბუნებრიობაში, მოთმინება დააკარგვინა ანას.

– დიდად ვნანობ, რომ თქვენთვის გასაგებია და ბუნებრივი მარტოოდენ უხეში და მატერიალური, – უთხრა მან და ოთახიდან გავიდა.

გუშინ საღამოს, როცა ვრონსკი ანასთან შევიდა, აღარაფერი უთქვამთ ამ ჩხუბზე, მაგრამ ორივე გრძნობდა, რომ ჩხუბს უკვალოდ არ ჩაუვლია.

დღეს კი ვრონსკი მთელი დღე არ მოსულა სახლში და ამ ჩხუბის გამო ანა ისეთ სიმარტოვეს, ისეთ სიმძიმეს განიცდიდა, რომ მზად იყო, ყველაფერი დაევიწყებინა, ეპატიებინა და შერიგებოდა. ცდილობდა, დაედანაშაულებინა თავი და გაემართლებინა ვრონსკი.

„მე თვითონ ვარ დამნაშავე. აუტანელი შევიქენი, ჩემს ეჭვიანობასაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია. შევურიგდები, წავალ სოფელში და იქ უფრო მშვიდად ვიქნები“, – ამბობდა ანა.

„არაბუნებრივი“, – გაახსენდა უცებ მისი ნათქვამი, რომელმაც ყველაზე მეტად შეურაცხყო არა სიტყვით, არამედ იმის სურვილით, რომ როგორმე გული მოეკლა ანასთვის.

„მე ვიცი, რისი თქმა უნდოდა. მას უნდოდა ეთქვა: არაბუნებრივია გიყვარდეს სხვისი შვილი, მაშინ როცა საკუთარი შვილი არ გიყვარსო. რა ესმის მას შვილის სიყვარულისა? რას გაიგებს ჩემს სიყვარულს სერიოჟასადმი, რომელიც მსხვერპლად შევწირე მას? მხოლოდ ის უნდოდა, რომ გული მოეკლა ჩემთვის! არა, სხვა ქალი უყვარს, სხვანაირად შეუძლებელია!“

ანამ შენიშნა, რომ ამ თავის დამშვიდების ცდაში ისევ რამდენჯერმე გავლილ წრეს მიადგა, ისევ წინანდელი გაგულისება იგრძნო და საშინლად გაბრაზდა საკუთარ თავზე. „ნუთუ შეუძლებელია? ნუთუ არ შემიძლია ვიკისრო დანაშაული? – თქვა მან და ისევ თავიდან დაიწყო, – ვრონსკი მართალია, პატიოსანია, მე მას ვუყვარვარ, მეც მიყვარს, დღე-დღეზე განქორწინებასაც მივიღებთ. მეტი რაღაა საჭირო? საჭიროა სიმშვიდე, ნდობა და ამას უსათუოდ შევასრულებ.

დიახ, ახლა, როგორც კი მოვა, ვეტყვი, რომ მე ვიყავი დამნაშავე, თუმცა მე არ ვყოფილვარ დამნაშავე, და წავალთ სოფელში“.

და რათა მეტი აღარ ეფიქრა და ისევ იმ გულისწყრომას არ შეეპყრო, ზარი ჩამორეკა, მსახურთ ზანდუკების შემოტანა უბრძანა, რათა სოფელში წასასვლელად ბარგი ჩაელაგებინათ.

ათ საათზე ვრონსკიც მოვიდა.

XXIV

– რაო, მხიარულად გაატარე დრო? – ჰკითხა ანამ და დამნაშავის გამომეტყველებითა და მშვიდი იერით შეეგება ვრონსკის.

– როგორც ყოველთვის, – უპასუხა ვრონსკიმ, რომელიც ერთი შეხედვითვე მიხვდა, რომ ანა კარგ ხასიათზე იყო. იგი უკვე შესჩვეოდა ამ უეცარ ცვლილებებს და დღეს განსაკუთრებით გაახარა ამან, რადგან თვითონაც მეტისმეტად კარგ გუნებაზე იყო.

– ამას რას ვხედავ! აი, ეს კარგია! – უთხრა ვრონსკიმ და დერეფანში ზანდუკებზე მიუთითა.

– ჰო, უნდა წავიდეთ. დღეს სასეირნოდ ვიყავი და ისე კარგი იყო, რომ სოფელში ყოფნა მომენატრა. შენ ხომ არაფერი შეგიშლის ხელს?

– მეც მხოლოდ ამას ვნატრობ. ახლავე გამოვალ და მოვილაპარაკოთ. მხოლოდ ტანისამოსს გამოვიცვლი, უბრძანე, ჩაი მოიტანონ.

და ვრონსკი კაბინეტში შევიდა.

რაღაც შეურაცხმყოფელი იგრძნობოდა მის სიტყვებში, როცა თქვა: აი, ეს კარგიაო, ასე ეუბნებიან, ბავშვებს, როცა თავს დაანებებენ ჭირვეულობას. კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო ის წინააღმდეგობა, რომელიც ანას დანაშაულებრივ ტონსა და ვრონსკის თავდაჯერებულ ტონში იგრძნობოდა. და ერთი წუთით ანას კვლავ ბრძოლის სურვილი მოერია, მაგრამ ძალა

დაატანა თავს, ჩაახშო ეს სურვილი და კვლავ ისეთივე მხიარული დაუხვდა ვრონსკის.

როცა ვრონსკი მასთან შემოვიდა, ანა მოუყვა, ნაწილობრივ წინასწარ მომზადებული სიტყვებით, როგორ გაატარა დღევანდელი დღე და თავისი გეგმებიც გაუზიარა გამგზავრების შესახებ.

– იცი, მე თითქოს შთამაგონა რაღაცამ, – ეუბნებოდა ანა, – რატომ უნდა ველოდოთ აქ განქორწინებას? განა სულერთი არ არის, სოფელში ვიქნებით თუ აქ? მე აღარ შემიძლია მეტი ლოდინი. არც მინდა იმის იმედი ვიქონიო და არაფრის გაგონება აღარ მინდა განქორწინებაზე. მე გადავწყვიტე, რომ ამას არავითარი გავლენა აღარ ექნება ჩემს ცხოვრებაზე. შენც ხომ მეთანხმები?

– ო, რა თქმა უნდა, – უპასუხა მან და შეშფოთებით შეხედა ანას აღელვებულ სახეს.

– რას აკეთებდით იქ, ვინ იყვნენ? – ჰკითხა ანამ ცოტა ხნის შემდეგ.

ვრონსკიმ დაუსახელა სტუმრები.

– სადილი მშვენიერი იყო, ნავების შეჯიბრება და ყველაფერი საკმაოდ კარგი, მაგრამ მოსკოვში ხომ არ შეუძლიათ ისე, თუ რაიმე არ იქნა ridicule.[118] მოვიდა ერთი მანდილოსანი, შვეციის დედოფლის მასწავლებელი ცურვაში, და გვიჩვენა თავისი ხელოვნება.

– როგორ? იცურავა? – უთხრა ანამ და წარბი შეიკრა.

– რაღაცნაირი წითელი costume de natation[119] ეცვა, ბებერი, საძაგელი ქალი იყო. მაშ, როდის მივდივართ?

– რა სულელური ფანტაზიაა! მერე, იყო რამე განსაკუთრებული მის ცურვაში? – უთხრა ანამ და უპასუხოდ დატოვა მისი შეკითხვა.

– განსაკუთრებული არაფერი. ხომ გეუბნები, საშინელი სისულელე იყო-მეთქი. მაშ, შენ როდის ფიქრობ წასვლას?

ანამ თავი გააქნია, თითქოს უნდა რაღაც უსიამოვნო აზრი განდევნოსო.

– როდის წავიდეთ? რაც ადრე წავალთ, მით უკეთესი იქნება. ხვალ ვერ მოვასწრებთ. ზეგ წავიდეთ.

– ჰო, არა, მოიცა. ზეგ კვირაა. მე maman უნდა ვინახულო. – თქვა ვრონსკიმ და შეკრთა, რადგან, როგორც კი დედა ახსენა, მაშინვე იგრძნო ანას დაჟინებული, ეჭვიანი შემოხედვა. მისმა შეკრთომამ დაადასტურა ანას ეჭვი. იგი უცებ წამოენთო სახეზე და განერიდა ვრონსკის. ახლა შვეციის დედოფლის მასწავლებელი კი არა, თავადის ასული სოროკინა დაუდგა თვალწინ, რომელიც მოსკოვის მახლობლად სოფელში ცხოვრობდა გრაფინია ვრონსკაიასთან ერთად.

– შენ ხომ შეგიძლია ხვალ წახვიდე იქ? – უთხრა ანამ.

– ოჰ, არა! ფულსა და მინდობილობას, რისთვისაც მივდივარ იქ, ხვალ ვერ მივიღებ, – უპასუხა ვრონსკიმ.

– თუ ასეა, მაშინ ჩვენ სულ აღარ წავალთ სოფელში!

– მერედა რატომ?

– ამაზე გვიან მე არ შემიძლია წასვლა. ან ორშაბათს, ან არასოდეს!

– მერე რატომ? – თითქოს გაოცებით იკითხა ვრონსკიმ, – ამას ხომ არავითარი აზრი არა აქვს!

– შენთვის არა აქვს აზრი, რადგან არასოდეს ფიქრობ ჩემზე. შენ არ გინდა გაიგო ჩემი ცხოვრება. ერთადერთი, რაც მე აქ მაკავებდა, განა იყო. და გუშინ ამაზეც თქვი, თვალთმაქცობაო, შენ ხომ მითხარი გუშინ, რომ მე არ მიყვარს საკუთარი შვილი და ვთვალთმაქცობ, თითქოს ეს ინგლისელი გოგონა მიყვარდეს, რომ ეს არაბუნებრივია. მე მსურს ვიცოდე, რანაირი ცხოვრება შეიძლება იყოს აქ ჩემთვის ბუნებრივი!

ერთი წამით ანა თითქოს გამოერკვა და შეაძრწუნა იმან, რომ კვლავ უღალატა თავის განზრახვას. მართალია, იცოდა, რომ ამით ღუპავდა თავის თავს, მაგრამ მაინც ვერ შეძლო თავის შეკავება, არ შეეძლო არ ეჩვენებინა ვრონსკისთვის, რამდენად უსამართლო იყო, არ შეეძლო დამორჩილებოდა მას.

– მე არასოდეს მითქვამს ეს. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ არ თანავუგრძნობ ამ უსაფუძვლო სიყვარულს.

– ასე რომ ტრაბახობ შენი პირდაპირობით, რატომ არ ამბობ

სიმართლეს?

– მე არასოდეს ვტრაბახობ და არც არასოდეს ვცრუობ, – ჩუმი ხმით უთხრა ვრონსკიმ და შეიკავა გაბრაზება, – დიდად სამწუხაროა, თუ შენ პატივს არ სცემ...

– პატივისცემა იმისთვის არის მოგონილი, რომ დაფაროს ცარიელი ადგილი, სადაც სიყვარული უნდა იყოს, და თუ აღარ გიყვარვარ, უკეთესი იქნება, პირდაპირ მითხრა ეს.

– არა, ეს უკვე აუტანელი ხდება! – წამოიძახა ვრონსკიმ და სკამიდან წამოდგა, ანას წინ შეჩერდა და ნელა თქვა, – რატომ ცდილობ, დამაკარგვინო მოთმინება? – ისე უთხრა, თითქოს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ თავს იკავებდა, – მოთმინებასაც აქვს საზღვარი!

– ამით რა გინდათ თქვათ? – წამოიძახა ანამ და შეძრწუნებულმა დაინახა, როგორი აშკარა სიძულვილი იხატებოდა ვრონსკის სახეზე, განსაკუთრებით კი მის მრისხანე, შეუბრალებელ გამოხედვაში.

– მე მინდა გითხრათ, – დაიწყო მან, მაგრამ შეჩერდა, – მე მინდა გკითხოთ თქვენ, რა გინდათ ჩემგან?

– რა უნდა მინდოდეს? მხოლოდ ერთი რამ შემიძლია მინდოდეს, როგორც ფიქრობთ თქვენ, რომ არ მიმატოვოთ, – უთხრა ანამ, რომელიც მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა ვრონსკის, – მაგრამ მე ეს არ მინდა, ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მე სიყვარული მინდა, სიყვარულს კი ვერ ვხედავ. ჩანს, დასრულდა ყველაფერი!

ანა კარისკენ გაემართა.

– მოიცა! მოიცა! – უთხრა ვრონსკიმ, ისე, რომ მისი მოღუშული წარბები არ გახსნილა, მაგრამ ხელი კი მოჰკიდა ხელზე, – რაშია საქმე? მე გითხარი, რომ წასვლა სამი დღით უნდა გადავდოთ, შენ ამაზე მიპასუხე, რომ ვცრუობ, რომ უპატიოსნო ადამიანი ვარ.

– დიახ, და ვიმეორებ კიდეც, ადამიანი, რომელიც მაყვედრის, რომ ჩემთვის გაწირა ყველაფერი, – თქვა ანამ და ჯერ კიდევ წინანდელ ჩხუბში ნათქვამი სიტყვები გაიხსენა, – უფრო უარესია, ვიდრე უპატიოსნო ადამიანი, ეს ის ადამიანია, რომელსაც გული არა აქვს.

– არა, მოთმინებასაც აქვს საზღვარი! – წამოიძახა ვრონსკიმ და სწრაფად გაუშვა ხელი მის ხელს.

„მე მას ვძულვარ, ეს უკვე ნათლად ჩანს“, – გაიფიქრა ანამ და ჩუმად, უკანმოუხედავად, არეული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

„სხვა ქალი უყვარს, ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს ახლა, – ეუბნებოდა ანა თავის თავს, როცა თავის ოთახში შევიდა, – მე სიყვარული მინდა, სიყვარულს კი ვერ ვხედავ. მაშასადამე, დასრულდა ყველაფერი, – გაიმეორა ის სიტყვები, რომლებიც ვრონსკის უთხრა, – და უნდა დასრულდეს კიდეც“.

„მაგრამ როგორ უნდა დასრულდეს?“ – შეეკითხა ანა თავის თავს და სარკის წინ სავარძელში ჩაჯდა.

ფიქრი იმის შესახებ, სად წავიდოდა, – მამიდასთან, რომელთანაც აღიზარდა, დოლისთან თუ უბრალოდ მარტოდმარტო გაემგზავრებოდა საზღვარგარეთ, ფიქრი იმაზე, რას აკეთებდა ახლა იგი თავის კაბინეტში, უკანასკნელია ეს ჩხუბი თუ კიდევ მოსალოდნელია შერიგება, ფიქრი იმაზე, თუ რას იტყვიან მასზე მისი პეტერბურგელი ძველი ნაცნობები, როგორ შეხედავს ამას ალექსეი ალექსანდროვიჩი და ბევრი სხვა, ფიქრი იმაზე, რა იქნებოდა ამ განხეთქილების შემდეგ, – თავში უტრიალებდა, მაგრამ მთელი სულითა და გულით არ ეძლეოდა ამ ფიქრებს. მის სულში რაღაც გაურკვეველი აზრი ტრიალებდა, ამ აზრით იყო დაინტერესებული და ვერ გაეცნობიერებინა, რაში მდგომარეობდა ეს აზრი. როცა მან ხელმეორედ გაიხსენა ალექსეი ალექსანდროვიჩი, მოაგონდა თავისი ავადმყოფობაც მშობიარობის შემდეგ, მოაგონდა ის გრძნობაც, რომელსაც მაშინ ვერ იცილებდა. „რატომ არ მოვკვდი?“ – გაიხსენა მაშინ ნათქვამი სიტყვები და მაშინდელი გრძნობაც, და მისთვის უცებ ნათელი შეიქნა, რა იმალებოდა მის სულში. დიახ, ეს იყო ის აზრი, რომელიც ყველაფერს გადაწყვეტდა. „დიახ, მე უნდა მოვკვდე!“..

„ალექსეი ალექსანდროვიჩის სირცხვილსა და თავის მოჭრას, სერიოჟას შერცხვენას, ჩემს საშინელ სირცხვილსაც – ყველაფერს სიკვდილი გამოისყიდის. უნდა მოვკვდე და ისიც ინანებს, შემიბრალებს, კვლავ ვეყვარები და დაიტანჯება ჩემი გულისთვის“. ანა სავარძელში იჯდა, ბაგეზე ღიმილი შერჩენოდა, რომელშიც საკუთარი თავისადმი სიბრალული

იხატებოდა, ხან წაიძრობდა, ხან ისევ გაიკეთებდა ბეჭედს მარცხენა ხელის თითზე და ცოცხლად წარმოიდგენდა, რას იგრძნობდა ვრონსკი მისი სიკვდილის შემდეგ.

მოახლოებულმა ფეხის ხმამ, მისმა ფეხის ხმამ გამოაფხიზლა ანა ამ ფიქრებიდან. არც მოუხედავს მისკენ და ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ბეჭდებით იყო გართული.

ვრონსკი მივიდა ანასთან, ხელზე ხელი მოჰკიდა და ჩუმად უთხრა: – ანა, წავიდეთ ზეგ, თუ შენ ასე გინდა, მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

ანა ხმას არ იღებდა.

– რას იტყვი? – ჰკითხა ვრონსკიმ.

– შენ თვითონვე იცი, – უთხრა მან და სწორედ იმ წუთს ძალა აღარ ეყო თავი შეეკავებინა და აქვითინდა.

– მიმატოვე, მიმატოვე! – ამბობდა ანა და თან ქვითინებდა, – მე ხვალვე წავალ, კიდევ მეტსაც ვიზამ. ვინ ვარ მე? ერთი უზნეო ქალი, რომელიც ქვასავით ჩამოგეკიდა კისერზე. მე არ მინდა, არ მინდა, დაგტანჯო. მე გაგათავისუფლებ. შენ აღარ გიყვარვარ, შენ სხვა გიყვარს!

ვრონსკი ემუდარებოდა ანას, დაწყნარებულიყო, არწმუნებდა, რომ ოდნავი საფუძველიც არა აქვს მის ეჭვიანობას, რომ მას ყოველთვის უყვარდა და მუდამ ეყვარება ანა, რომ მას ახლა წინანდელზე მეტად უყვარს იგი.

– ანა, რატომ იწამებ ასე თავს და რატომ მაწამებ მეც? – ეუბნებოდა ვრონსკი და ხელებს უკოცნიდა. მის სახეზე ახლა სიყვარული იხატებოდა და ანას ეჩვენებოდა, რომ ყურით ისმენდა მის ცრემლნარევ ხმას და ხელებზეც გრძნობდა ამ ცრემლების სითბოს, და ანას ცხარე ეჭვიანობა უეცრად გაშმაგებულმა ვნებამ და სიყვარულმა შეცვალა: გადაეხვია ვრონსკის და კოცნით დაუფარა თავი, კისერი, ხელები.

XXV

ანამ იგრძნო, რომ ისინი უკვე ნამდვილად შერიგდნენ და დილიდანვე გამალებით შეუდგა სამგზავრო სამზადისს. თუმცა ჯერ გადაწყვეტილიც არ ჰქონდათ, ორშაბათს წავიდოდნენ თუ სამშაბათს, რადგან გუშინ ორივე დათმობაზე წავიდა, მაგრამ ანა ნამდვილად ემზადებოდა წასასვლელად და გრძნობდა, რომ ახლა მისთვის სავსებით სულერთი იყო, ერთი დღით ადრე წავიდოდნენ თუ გვიან. ანა თავის ოთახში ღია ზანდუკთან იდგა და ნივთებს ალაგებდა, როცა მასთან ჩვეულებრივზე ადრე გამოვიდა უკვე წასასვლელად გამზადებული ვრონსკი.

– მე ახლა maman-თან მივდივარ, მას შეუძლია ეგოროვის ხელით გამომიგზავნოს ფული, ხვალისთვის კი უკვე მზად ვიქნები წასასვლელად, – უთხრა მან.

მართალია, ანა კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ აგარაკზე დედასთან წასვლის გახსენება მაინც გულზე მოხვდა.

– არა, მე თვითონაც ვერ მოვასწრებ, – უთხრა მან და მაშინვე გაიფიქრა, „მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა საქმის იმგვარად მოწყობა, როგორც მე მინდოდა“. არა, როგორც შენ გინდოდეს, ისე გააკეთე. სასადილოში გადი და მეც ახლავე გამოვალ, მხოლოდ ეს უსარგებლო ნივთები მინდა გადავარჩიო, – უთხრა ანამ და კიდევ რაღაც გადასცა ანუშკას, რომელსაც გროვად ეჭირა ხელში რაღაც ნაჭრები.

როცა ანა სასადილოში შევიდა, ვრონსკი უკვე ბიფშტექსს შეექცეოდა.

– შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მომაბეზრა თავი ამ ოთახებმა, – თქვა ანამ და ვრონსკის გვერდით ყავას მიუჯდა, – არაფერია ამაზე საძაგელი, როგორც ეს chambres garnies![120] არავითარი გრძნობა, არავითარი სული არ არის მათში. ეს საათები, ფარდები და, რაც მთავარია, ეს შპალერი – საშინელებაა. მე ახლა ისე მეჩვენება ვოზდვიჟენსკოე, როგორც აღთქმული ქვეყანა. ჯერ არ აგზავნი ცხენებს?

– არა, ცხენებს ჩვენ შემდეგ გამოგზავნიან. შენ სადმე ხომ არ აპირებ წასვლას?

– ვილსონთან მინდოდა მივსულიყავი. კაბა მინდა წავუღო. მაშ, ნამდვილად ხვალ მივდივართ? – მხიარულად თქვა მან, მაგრამ უეცრად შეეცვალა სახე.

ოთახში ვრონსკის პირისფარეში შემოვიდა და ხელის მოწერა სთხოვა პეტერბურგიდან მიღებულ დეპეშაზე. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა დეპეშაში, მაგრამ ვრონსკის თითქოს უნდოდა რაღაც დაემალა მისთვის, ხელწერა კაბინეტშიაო, უპასუხა პირისფარეშს და მაშინვე ანას მიუბრუნდა.

– ხვალისთვის აუცილებლად მოვათავებ ყველაფერს.

– ვისგან არის დეპეშა? – ჰკითხა ანამ, რომელიც ყურს არ უგდებდა ვრონსკის.

– სტივასაგან, – უხალისოდ უპასუხა ვრონსკიმ.

– მერე რატომ მე არ მაჩვენე? რა საიდუმლო შეიძლება არსებობდეს ჩემსა და სტივას შორის?

ვრონსკიმ უკანვე მოაბრუნა მსახური და დეპეშის მოტანა უბრძანა.

– მე არ მინდოდა მეჩვენებინა შენთვის იმიტომ, რომ სტივას განსაკუთრებით უყვარს დეპეშების გზავნა; რა საჭირო იყო დეპეშის გამოგზავნა, როცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია?

– განქორწინების შესახებ იწერება?

– ჰო, ჯერჯერობით ვერაფერს გავხდიო, იტყობინება. ამ დღეებში დამპირდა გადაწყვეტილ პასუხსო. აი, წაიკითხე.

ანამ აკანკალებული ხელებით გამოართვა ვრონსკის დეპეშა და სწორედ ის ამოიკითხა, რაც ვრონსკიმ უთხრა. ბოლოში მიწერილი იყო: იმედი ნაკლები მაქვს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ შესაძლებელსა და შეუძლებელსო.

– მე გუშინ ვთქვი, რომ ჩემთვის სავსებით სულერთია, როდის მივიღებ განქორწინებას, ან მივიღებ თუ არა, – თქვა ანამ და გაწითლდა, – სულაც არ იყო საჭირო ჩემთვის ამის დამალვა. „ასევე შეუძლია დამიმალოს და, ალბათ, მიმალავს კიდეც თავის მიმოწერას ქალებთან“, – გაიფიქრა ანამ.

– დღეს დილით იაშვინი აპირებდა აქ მოსვლას ვოიტოვთან ერთად, – თქვა ვრონსკიმ, – როგორც ჩანს, ყველაფერი მოუგო პევცოვს, იმაზე მეტიც კი, რისი გადახდაც შეუძლია – სამოცი ათას მანეთამდე.

– არა, – თქვა ანამ, გაბრაზებულმა იმით, რომ ვრონსკი ამ საუბრის გადატანით აშკარად უჩვენებდა, რომ ანა გულმოსული იყო, – რატომ გგონია, თითქოს მე იმდენად დაინტერესებული ვარ ამით, რომ საჭიროა, დამიმალო კიდეც? მე გითხარი, არ მინდა-მეთქი ვიფიქრო ამაზე და ჩემი სურვილი იქნებოდა, შენც ასევე ნაკლებად ყოფილიყავი დაინტერესებული ამით, როგორც მე.

– მე დაინტერესებული ვარ იმიტომ, რომ გარკვეულობა მიყვარს, – უთხრა ვრონსკიმ.

– გარკვეულობა არა ფორმალურად, არამედ სიყვარულში, – თქვა ანამ, რომელსაც სულ უფრო მეტად აღიზიანებდა არა მისი სიტყვები, არამედ მისი საუბრის ცივი, მშვიდი ტონი, – რისთვის გჭირდება შენ ეს?

„ღმერთო ჩემო, ისევ სიყვარულზე მელაპარაკება!“ – გაიფიქრა ვრონსკიმ და მოიღუშა.

– შენ ხომ იცი რისთვისაც, – შენთვის და ბავშვებისთვის, რომლებიც გვეყოლება, – უთხრა მან.

– ბავშვები არ გვეყოლება.

– ეს ძალიან სამწუხაროა, – უთხრა ვრონსკიმ.

– შენ ეს ბავშვებისთვის გინდა, ჩემზე კი არ ფიქრობ, – უთხრა ანამ, – რომელსაც სულ გადაავიწყდა და არც გაუგონია მისი ნათქვამი, შენთვის და ბავშვებისთვისო.

ბავშვების საკითხი დიდი ხანია საკამათო გამხდარიყო მათთვის და ეს განსაკუთრებით აბრაზებდა ანას. ვრონსკის სურვილს, ჰყოლოდათ ბავშვები, ანა იმით ხსნიდა, რომ იგი არ უფრთხილდებოდა მის სილამაზეს.

– ოჰ, მე ხომ გითხარი, შენთვის-მეთქი. ყველაზე მეტად შენთვის მსურს ეს, – გაიმეორა მან და ისე მოიღუშა, თითქოს რაღაც ეტკინაო, – დარწმუნებული ვარ, შენი გაგულისების მთავარი მიზეზი შენი მდგომარეობის გაურკვევლობაა.

„ჰო, უკვე აღარ თვალთმაქცობს და ახლა გარკვევით ჩანს, როგორ ვძულვარ“, – გაიფიქრა ანამ, რომელიც ყურს არ უგდებდა მის სიტყვებს და შეძრწუნებული შეჰყურებდა იმ გულცივსა და სასტიკ მსაჯულს, მისი თვალებიდან რომ

იყურებოდა და აგულისებდა.

– მიზეზი ეგ არ არის, – უპასუხა ანამ, – ჩემთვის გაუგებარიც კია, როგორ შეიძლება ჩემი გაგულისების მიზეზი იყოს ის, რომ მე სავსებით შენს ხელში ვარ. ეს სადაური გაურკვევლობაა? პირიქით.

– ძალიან ვნანობ, რომ შენ არ გსურს ამის გაგება, – შეაწყვეტინა ვრონსკიმ და დაუოკებელი სურვილი იგრძნო, ბოლომდე ეთქვა თავისი აზრი, – ეს გაურკვევლობა იმაში მდგომარეობს, რომ შენ გგონია, თითქოს მე თავისუფალი ვარ.

– ამ მხრივ შეგიძლია სავსებით დამშვიდებული იყო, – უთხრა ანამ, გვერდი შეაქცია და ყავის სმას შეუდგა.

მან ფინჯანი აიღო და პირთან მიიტანა, რამდენჯერმე მოსვა ყავა, მერე ვრონსკის გადახედა და მისი სახის გამომეტყველებაზე აშკარად მიხვდა, რომ მას სიძულვილს ჰგვრიდა მისი ხელიც, ჟესტიც და ის ხმაც, ანას ტუჩები რომ გამოსცემდნენ.

– ჩემთვის სავსებით სულერთია, რას ფიქრობს დედაშენი და როგორ აპირებს შენს დაქორწინებას, – უთხრა და აკანკალებული ხელით დადგა ფინჯანი.

– ჩვენ ხომ ამაზე არ ვლაპარაკობთ.

– არა, სწორედ ამაზე ვლაპარაკობთ. და დამერწმუნე, უგულო ქალი, ბებერი იქნება თუ ახალგაზრდა, შენი დედა თუ სხვა ვინმე, ჩემთვის სრულებით არ არის საინტერესო და არც მინდა ვიცნობდე.

– ანა, მე გთხოვ, უპატივცემულოდ ნუ მოიხსენიებ ჩემს დედას.

– ქალს, რომელსაც გულმა არ უკარნახა, რაში მდგომარეობს მისი შვილის ბედნიერება და სახელი, გული არ გააჩნია.

– მე ვიმეორებ ჩემს თხოვნას, – უპატივცემულოდ ნუ მოიხსენიებ დედაჩემს, რომელსაც მე პატივს ვცემ! – ხმას აუწია ვრონსკიმ და მკაცრად გადახედა ანას.

ანას პასუხი არ გაუცია. იგი დაჟინებით შეჰყურებდა მას, მის სახეს, ხელებს და დაწვრილებით ახსენდებოდა გუშინდელი შერიგების სცენა და ვნებიანი ალერსი. „აი, სწორედ ასეთი ალერსით ასაჩუქრებდა და მომავალში უნდა დაასაჩუქროს

სხვა ქალები“, – ფიქრობდა ანა.

– შენ არ გიყვარს დედა, ეს მხოლოდ ფრაზებია, ფრაზები და ფრაზები! – თქვა ანამ და ზიზღით შეხედა.

– თუ ასეა, მაშინ საჭიროა...

– საჭიროა გადავწყვიტოთ და მე გადავწყვიტე კიდეც, – თქვა ანამ და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში იაშვინი შემოვიდა. ანა მიესალმა მას და შეჩერდა.

ანამ არ იცოდა, თუ ამ წუთში, როცა მის სულში ქარიშხალი ტრიალებდა, როცა გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება სავსებით უნდა შეცვლილიყო, რასაც შესაძლოა საზარელი ბოლო მოჰყოლოდა მისთვის, რა საჭირო იყო თვალთმაქცობა ამ უცხო ადამიანის წინაშე, რომელიც ადრე თუ მალე ყველაფერს შეიტყობდა; მაგრამ მან მაშინვე დააცხრო შინაგანი ქარიშხალი, ისევ დაჯდა და სტუმართან საუბარი გაიბა.

– როგორ არის თქვენი საქმეები? მიიღეთ ვალი? – ჰკითხა ანამ იაშვინს.

– არა უშავს რა! ვალს, მგონი, მთლიანად ვერ მივიღებ, ოთხშაბათისთვის კი უნდა წავიდე. თქვენ როდის აპირებთ? – თქვა იაშვინმა და თვალების ჭუტვით გადახედა ვრონსკის, ეტყობა, მიხვდა, ანა და ვრონსკი რაღაცაზე რომ წაიჩხუბნენ.

– მგონი, ზეგისთვის, – უთხრა ვრონსკიმ.

– თქვენ, მგონი, უკვე დიდი ხანია წასასვლელად ემზადებით.

– მაგრამ ახლა კი დანამდვილებით მივდივართ, – თქვა ანამ და პირდაპირ თვალებში შეხედა ვრონსკის ისე, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, რომ მას იმედიც არ ჰქონოდა შერიგებისა.

– ნუთუ არ გებრალებათ ის უბედური პევცოვი? – განაგრძო ანამ იაშვინთან საუბარი.

– არასოდეს შევკითხივარ ჩემს თავს, ანა არკადიევნა, მებრალება თუ არა იგი. მთელი ჩემი ქონება აქ არის, – და მან გვერდით ჯიბეზე უჩვენა, – ახლა მე მდიდარი კაცი ვარ; დღეს წავალ კლუბში და შეიძლება იქიდან ღატაკი გამოვიდე. ვინც ჩემთან ჯდება, იმასაც ხომ უნდა, მე გამიშვას შიშველ-ტიტველი, მე იმას ვფიქრობ, ის გავუშვა პერანგის ამარა. ჰოდა, ვიბრძვით და ამაშია მთელი სიამოვნება.

– მაგრამ თქვენ რომ ცოლიანი იყოთ, – უთხრა ანამ, – რა მდგომარეობაში იქნებოდა თქვენი ცოლი?

იაშვინმა გაიცინა.

– ჩანს, ამიტომაც არ შევირთე ცოლი და არც არასოდეს მიფიქრია ცოლის შერთვა.

– ჰელსინგფორსზე რას იტყვი? – ჩაერია საუბარში ვრონსკი და გადახედა მოღიმარ ანას.

ვრონსკის შემოხედვას ანამ ისევ იმ ცივი, მკაცრი გამომეტყველებით უპასუხა, თითქოს ეუბნებოდა: მე არ დამვიწყებია, ყველაფერი ისევ ისეაო.

– ნუთუ თქვენ შეყვარებული იყავით? – მიმართა მან იაშვინს.

– ო, ღმერთო ჩემო! მერე რამდენჯერ! მაგრამ, გესმით, ზოგს შეუძლია ჩაუჯდეს კარტს, ოღონდ ისე, რომ ყოველთვის შეუძლია წამოდგეს, როცა დრო მოვა rendez-vous,[121] მე კი შემიძლია, შეყვარებული ვიყო მხოლოდ ისე, რომ საღამოს ბანქოს თამაშზე არ დამაგვიანდეს. ასეც ვახერხებ.

– არა, მე მაგაზე კი არა, ნამდვილ სიყვარულზე გეკითხებით, – ანას უნდოდა ეთქვა ჰელსინგფორსზეო, მაგრამ არ უნდოდა ვრონსკის ნათქვამი გაემეორებინა.

მოვიდა ვოიტოვიც, რომელსაც კვიცი უნდა ეყიდა ვრონსკისაგან. ანა წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

სახლიდან გასვლის წინ ვრონსკი ანასთან შევიდა. ანას უნდოდა ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს მაგიდაზე რაღაცას ეძებდა, მაგრამ შერცხვა ასეთი თვალთმაქცობისა და პირდაპირ ცივად შეხედა ვრონსკის სახეში.

– რა გნებავთ? – ფრანგულად ჰკითხა მან ვრონსკის.

– გამბეტის ატესტატი მინდა ავიღო, უკვე გავყიდე, – ისეთი ტონით უპასუხა მან, რომელიც სიტყვებზე უფრო ცხადად ამბობდა, ახსნა-განმარტებისთვის არ მცალია და ამას არც ექნება რამე შედეგიო.

„მე არაფერში დამნაშავე არა ვარ მის წინაშე, – ფიქრობდა ვრონსკი, – თუ მას საკუთარი თავის დასჯა სწადია, tant pis pour elle“.[122] მაგრამ, როცა ოთახიდან გამოდიოდა, მოეჩვენა, რომ

ანამ რაღაც უთხრა და უეცრად გული შეეკუმშა ანას სიბრალულით.

– რა მითხარი, ანა? – ჰკითხა მან.

– არაფერი, – ისევ ცივად და მშვიდად უპასუხა ანამ.

„თუ არაფერი, მაშ „tant pis“, – გაიფიქრა ვრონსკიმ, ისიც ისევე ცივად მიტრიალდა და გავიდა. ოთახიდან გასვლისას სარკეში თვალი მოჰკრა ანას სახეს, იგი გაფითრებული იყო და ტუჩები უთრთოდა. ვრონსკის უნდოდა, შეჩერებულიყო, სანუგეშო სიტყვები ეთქვა მისთვის, მაგრამ სანამ მოიფიქრებდა, რა ეთქვა, ფეხებმა უნებურად უკვე გამოიყვანეს ოთახიდან. მთელი ეს დღე ვრონსკიმ გარეთ გაატარა და გვიან საღამოს, როცა შინ დაბრუნდა, მოახლემ მოახსენა, ანა არკადიევნას თავი სტკივა და გთხოვთ, ნუ შემოხვალთო ჩემს ოთახში.

XXVI

არასოდეს მომხდარა, რომ მთელ დღეს ჩხუბში გაევლოს. დღეს პირველად მოხდა. და ეს ჩხუბიც არ ყოფილა. ეს ნამდვილი აღიარება იყო სრული გულის გაცივებისა. განა შეიძლებოდა ისე შეეხედა ანასთვის, როგორც მან შეხედა, როცა ოთახში შემოვიდა ატესტატის ასაღებად, შეეხედა მისთვის, დაენახა, რომ საცაა გული გაუსკდებოდა სასოწარკვეთილებისაგან და ისე უსიტყვოდ გაევლო, გულცივად, მშვიდად? მას არამცთუ აღარ უყვარდა, სძულდა კიდეც ანა, იმიტომ, რომ სხვა ქალი უყვარდა – ეს უკვე ნათელი იყო.

და ანა იხსენებდა მის მიერ ნათქვამ სასტიკ სიტყვებს, იგონებდა იმ სიტყვებსაც, რომლებიც, ცხადია, უნდოდა და შეეძლო კიდეც ეთქვა მისთვის. და სულ უფრო და უფრო ეკარგებოდა სიმშვიდე.

„მე თქვენ არ გაკავებთ, – შეეძლო ეთქვა მას, – შეგიძლიათ წახვიდეთ, სადაც გინდათ. თქვენ არ ინდომეთ თქვენს ქმართან განქორწინება, ალბათ, იმიტომ, რომ ისევ დაბრუნებოდით მას. დაუბრუნდით. ფული თუ გჭირდებათ,

მოგცემთ. რამდენი გნებავთ?“

გონებაში ანამ უკვე უთხრა თავის თავს ყველაზე უფრო მკაცრი სიტყვები, რომლებიც კი შეეძლო ეთქვა უხეშ ადამიანს და მან არ აპატია ეს სიტყვები, თითქოს ვრონსკის მართლაც ეთქვას ეს.

„და განა გუშინ არ მეფიცებოდა სიყვარულს, ეს ალალ-მართალი და პატიოსანი ადამიანი? განა მე ბევრჯერ ტყუილუბრალოდ არ განვიცადე ეს სასოწარკვეთილება?“ – ამბობდა ანა შემდეგ.

მთელი ეს დღე, გარდა იმ ორი საათისა, რომელიც ვილსონთან დაჰყო, ანამ სულ ამ ეჭვებში გაატარა – გათავდა ყველაფერი, თუ კიდევ არის იმედი შერიგებისა, ახლავე უნდა წავიდეს აქედან, თუ ერთხელ კიდევ უნდა ნახოს იგი. ანა მთელი დღის განმავლობაში ელოდა ვრონსკის, საღამოს კი, როცა თავის ოთახში გავიდა, უბრძანა მსახურს, ეთქვა ვრონსკისთვის, რომ თავი სტკივა, გულში კი ჩაუთქვა: „თუ მიუხედავად მსახურის სიტყვებისა, მაინც შემოვა ჩემთან, მაშინ ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კიდევ ვუყვარვარ. თუ არ შემოვა, ეს ნიშანი იქნება იმისა, რომ ყველაფერი გათავდა და მაშინ გადავწყვეტ, როგორ ვიმოქმედო!“

იმ საღამოს ანამ გაიგონა, როგორ გაჩერდა კართან მისი ეტლი. გაიგონა მისი ზარის ხმა, მისი ნაბიჯების ხმა და ლაპარაკი მოახლესთან, მან დაიჯერა ის, რაც მოახლემ უთხრა, მეტი აღარაფრის გაგება აღარ ინდომა და თავისი ოთახისაკენ გასწია. ასე რომ, ყველაფერი გათავდა.

და ანას ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ სიკვდილი, როგორც ერთადერთი საშუალება მის გულში სიყვარულის აღსადგენად, მის დასასჯელად და გამარჯვების მოსაპოვებლად იმ ბრძოლაში, რომელსაც ანას გულში დასადგურებული ბოროტი სული ეწეოდა ვრონსკისთან.

ახლა მისთვის სულერთი იყო ყველაფერი: წავიდოდნენ თუ არ წავიდოდნენ ვოზდვიჟენსკოეში, მიიღებდა თუ არა ქმრისაგან განქორწინებას, – არაფერი აღარ არის საჭირო. საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ – მისი დასჯა.

როცა ანამ ოპიუმის ჩვეულებრივი დოზა დაისხა და გაიფიქრა, საკმარისია მთელი ეს შუშა გამოვცალო, რომ მოვკვდეო, ისე იოლად, ისე უბრალოდ მოეჩვენა ეს, რომ კვლავ სიამოვნებით გაჰყვა ამ ფიქრებს, როგორ დაიტანჯებოდა ვრონსკი, როგორ

ინანებდა და ეყვარებოდა მისი ხსოვნა მაშინ, როცა უკვე გვიან იქნებოდა. ანა თვალებგახელილი იწვა ლოგინში და შეჰყურებდა ოთახის ჭერის გამოძერწილ ლავგარდანს, რომელსაც ერთი ჩამწვარი სანთელიღა ანათებდა, შეჰყურებდა ლავგარდანის ნაწილზე დაფენილ თეჯირის ჩრდილს და ცოცხლად უდგებოდა თვალწინ, რას იგრძნობდა ვრონსკი, როცა იგი უკვე აღარ იქნებოდა, როცა ანა მისთვის მხოლოდ მოგონებად იქცეოდა. „როგორ შევძელი მეთქვა მისთვის ასეთი მკაცრი სიტყვები? – იტყვის იგი, – როგორ შევძელი გამოსვლა ოთახიდან ისე, რომ არაფერი მეთქვა მისთვის. ახლა კი ის აღარ არის. იგი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. იგი იქ არის“. უცებ თეჯირის ჩრდილი შეირხა, მთელ ლავგარდანსა და ჭერს მოედო, მეორე მხრიდან სხვა ჩრდილებიც წამოიშალნენ მის შესახვედრად; წამით ჩრდილები თავქვე დაეშვნენ, შემდეგ ახალი სისწრაფით წამოიშალნენ, შეირხნენ, ისევ შეუერთდნენ ერთმანეთს და ყველაფერი ბნელმა დაფარა. „სიკვდილი!“ – გაიფიქრა ანამ და ისეთი საშინელება იგრძნო, რომ დიდხანს გონს ვეღარ მოვიდა, სად იყო; აკანკალებული ხელებით დიდხანს ვერ მოძებნა ასანთი, რათა მეორე სანთელი აენთო ნაცვლად ჩამწვარი და ჩამქრალი სანთლისა. „არა, ყველაფერს დავთმობ, ოღონდაც ვიცოცხლო! მე ხომ მიყვარს იგი. მასაც ხომ ვუყვარვარ! ეს იყო და გაივლის“, – ამბობდა ანა და გრძნობდა, როგორ ჩამოსდიოდა ლოყებზე სიხარულის ცრემლები, რომელიც სიცოცხლის დაბრუნებამ გამოიწვია. და თავი რომ დაეღწია ამ შიშისაგან, საჩქაროდ გასწია ვრონსკის კაბინეტისაკენ.

ვრონსკის ღრმა ძილით ეძინა თავის კაბინეტში. ანა მიუახლოვდა, ზევიდან გაანათა მისი სახე და დიდხანს დასცქეროდა მძინარეს. ახლა, როცა ეძინა, ისე ძლიერ უყვარდა იგი, რომ ვეღარ შეძლო სიყვარულის ცრემლების შეკავება. მაგრამ იცოდა, თუ გაიღვიძებდა, ისევ ისე ცივად, ისევ ისეთი თვალით შეხედავდა მას, თითქოს უდანაშაულო იყო მის წინაშე და ანას, სანამ სიყვარულზე ეტყოდა რამეს, ჯერ უნდა დაემტკიცებინა მისთვის, რამდენად დამნაშავე იყო მის წინაშე. ანამ აღარ გააღვიძა ვრონსკი, ისევ თავის ოთახში დაბრუნდა, მეორეჯერ დალია ოპიუმი და მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა, ისე, რომ ნახევრად ძილმღვიძარე განუწყვეტლივ გრძნობდა თავის მწუხარებას.

დილით იმ საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა, რომელიც

რამდენჯერმე ესიზმრა ჯერ კიდევ ვრონსკისთან შეერთებამდე. წვერგაწეწილი მოხუცი, დახრილი რაღაცას აკეთებდა და თან უაზრო ფრანგულ სიტყვებს იმეორებდა და ანა, როგორც ყოველთვის ამ სიზმრის დროს (და სწორედ ეს იყო საშინელი), გრძნობდა, რომ მოხუცი ყურადღებას არ აქცევდა მას, თავის საშინელ საქმეს განაგრძობდა მის თავს ზემოთ, და ანას ცივ ოფლში გაწუწულს გამოეღვიძა.

ლოგინიდან რომ წამოდგა, თითქოს ბურანში გაახსენდა გუშინდელი დღე.

„იყო ჩხუბი. მოხდა ის, რაც უკვე რამდენჯერმე განმეორდა. მე ვუთხარი, თავი მტკივა-მეთქი და ისიც აღარ შემოვიდა. ხვალ მივდივართ, უნდა ვინახულო იგი და მოვემზადო სამგზავროდ“, – უთხრა თავის თავს ანამ. და როცა შეიტყო, ვრონსკი კაბინეტში იყო, მისკენ გაეშურა. სასტუმრო ოთახში გავლისას ყური მოჰკრა, რომ კართან ეტლი გაჩერდა, ფანჯრიდან გაიხედა, დაინახა ახალგაზრდა ქალიშვილი სოსანისფერი ქუდით, რომელსაც თავი გამოეყო კარეტიდან და რაღაცას ეუბნებოდა ლაქიას, ზარს რომ რეკავდა. დერეფანში რაღაც საუბრის შემდეგ ვიღაც ზევით ამოვიდა და სასტუმროს გვერდით ვრონსკის ფეხის ხმა გაისმა. მან სწრაფი ნაბიჯით ჩაირბინა კიბე. ანა ისევ ფანჯარასთან მივიდა. აი, ვრონსკი თავშიშველი გავიდა პარმაღზე და კარეტასთან მივიდა. სოსანისფერქუდიანმა ქალიშვილმა მას პაკეტი გადასცა, ვრონსკიმ ღიმილით უთხრა რაღაც. კარეტა წავიდა და მან ისევ სწრაფად ამოირბინა კიბე.

ბურუსი, რომელიც ანას სულში იდგა, სწრაფად გაიფანტა. გუშინდელმა გრძნობამ ახალი ტკივილით დაუსერა ნატკენი გული. ახლა მისთვის გაუგებარი იყო, როგორ დაიმცირა თავი ისე, რომ მთელი გუშინდელი დღე მასთან, მის სახლში გაატარა. ანა კაბინეტში შევიდა მასთან, რათა განეცხადებინა თავისი გადაწყვეტილება.

– სოროკინა და მისი ქალიშვილი იყვნენ ჩემთან და ფული და ქაღალდები მომიტანეს maman-ისგან. გუშინ ვერ მივიღე. დღეს უკეთ ხარ, თავი აღარ გტკივა? – მშვიდად უთხრა მან, განზრახ არ უნდოდა დაენახა და გაეგო მისი სახის ნაღვლიანი, თან მოზეიმე გამომეტყველება.

ანა შუა ოთახში იდგა და ხმაამოუღებლად, დაჟინებით

შეჰყურებდა მას. ვრონსკიმ ახედა ანას, წამით მოიღუშა და მერე ისევ წერილის კითხვა განაგრძო. ანა მობრუნდა და ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. მას კიდევ შეეძლო მოებრუნებინა ანა, მაგრამ ანა უკვე კარამდის მივიდა, ის კი ხმას არ იღებდა, მხოლოდ ისმოდა გადაფურცლული ქაღალდის შრიალი.

– ჰო, მართლა, – თქვა ვრონსკიმ სწორედ იმ დროს, როცა ანა უკვე კართან იყო, – ჩვენ ხვალ ნამდვილად მივდივართ? ხომ მართალია?

– თქვენ კი, მაგრამ მე არა! – უთხრა ანამ და მისკენ მოტრიალდა.

– ანა, ამგვარად ცხოვრება შეუძლებელია...

– თქვენ კი, მაგრამ მე არა! – გაიმეორა ანამ.

– ეს უკვე აუტანელი ხდება!

– თქვენ... თქვენ ინანებთ ამას, – უთხრა ანამ და ოთახიდან გავიდა.

ვრონსკი შეაშინა იმ სასოწარკვეთილებამ, რომელიც ამ სიტყვების წარმოთქმისას ანას სახეზე იხატებოდა. ზეწამოიჭრა, უნდოდა გამოჰკიდებოდა ანას, მაგრამ გონს რომ მოვიდა, ისევ თავის ადგილას დაჯდა, კბილი კბილს დააჭირა და მოიღუშა. ეს, როგორც მას ეჩვენებოდა, უწესო მუქარა, აბრაზებდა ვრონსკის. „მე ყველაფერი ვცადე, – გაიფიქრა მან, – მხოლოდ ერთიღა დამრჩენია, არ მივაქციო ყურადღება“. და იგი ქალაქში გასასვლელად მოემზადა. მერე კი ისევ დედასთან უნდა წასულიყო, რათა მას ხელი მოეწერა მინდობილობაზე.

ანას ესმოდა მისი ნაბიჯების ხმა კაბინეტსა და სასადილო ოთახში, მაგრამ ვრონსკი არ მობრუნებულა მისი ოთახისაკენ, მხოლოდ უბრძანა მსახურთ, უიმისოდ გაეტანებინათ კვიცი ვოიტოვისთვის. შემდეგ ანამ გაიგონა, როგორ მოართვეს ეტლი, როგორ გაიღო კარი და იგი გარეთ გავიდა. მაგრამ აი, ისევ შეტრიალდა წინკარში და ვიღაცამ ზევით ამოირბინა. ეს მისი პირისფარეში იყო, რომელმაც ზევით ამოირბინა დავიწყებული ხელთათმანებისთვის. ანა ფანჯარასთან მივიდა და დაინახა, როგორ გამოართვა ხელთათმანები კამერდინერს, ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს მისთვის, მერე მხარზე ხელი შეახო მეეტლეს და რაღაც უთხრა. შემდეგ ეტლში ჩაჯდა,

თავისებურად შემოიდო ფეხი ფეხზე, ხელთათმანები ჩაიცვა და ერთხელაც არ მოუხედავს ფანჯრისაკენ, ისე მიიმალა ეტლი კუთხის იქით, მოსახვევში.

XXVII

„წავიდა! მორჩა!“ – ჩაილაპარაკა ანამ, რომელიც ფანჯარასთან იდგა; და ამის პასუხად შთაბეჭდილება იმ წყვდიადისა, სანთლის ჩაქრობისას რომ იხილა და ის საშინელი სიზმარი თითქოს ერთმანეთს შეერწყა და საზარელი სიცივით აევსო გული.

„არა, ეს შეუძლებელია!“ – წამოიძახა მან, ოთახი გაიარა და მაგრად ჩამორეკა ზარი. მისთვის ახლა ისე საშინელი იყო მარტო დარჩენა, რომ მსახურის შემოსვლას ვეღარ დაუცადა და თვითონვე გასწია შესაგებებლად.

– გამიგეთ, სად წავიდა გრაფი, – უთხრა მან.

მსახურმა უპასუხა, გრაფი საჯინიბოში წავიდაო.

– მიბრძანა, მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ წასვლა გნებავთ სადმე, ეტლი ახლავე უკან მობრუნდება.

– კარგი. დაიცადე, ახლავე ბარათს დავწერ და ამ ბარათით სასწრაფოდ აფრინეთ მიხაილი საჯინიბოში.

ანა დაჯდა და დაწერა: „მე დამნაშავე ვარ. დაბრუნდი შინ, უნდა მოგელაპარაკო. ღვთის გულისთვის, მოდი, მეშინია“.

წერილი დალუქა და მსახურს გადასცა.

ანას ახლა ეშინოდა მარტო ყოფნის, მსახურთან ერთად ისიც გავიდა ოთახიდან და საბავშვო ოთახისკენ გასწია.

„რა არის ეს, ეს სხვა არის, ეს ის არ არის! სად არის მისი ცისფერი თვალები, მისი სიყვარული, გაუბედავი ღიმილი“. ეს იყო პირველი აზრი, როცა მან თავისი ფუნჩულა, ლოყაწითელი, შავკულულებიანი გოგონა დაინახა ნაცვლად სერიოჟასი, რომელსაც თავისი არეული ფიქრების გამო ელოდა, რომ

იხილავდა საბავშვო ოთახში. გოგონა მაგიდასთან იჯდა, ჯიუტად, ძლიერად უტყაპუნებდა გრაფინის თავსახურს მაგიდაზე და უაზროდ შეჰყურებდა დედას თავისი კუნაპეტივით შავი თვალებით. მან პასუხი გასცა ინგლისელ ქალს, სავსებით ჯანმრთელად ვარ და ხვალ მივემგზავრებითო სოფელში, გვერდით მიუჯდა ბავშვს, გრაფინის სახურავი დაუტრიალა წინ. მაგრამ ბავშვის ხმამაღალმა, წკრიალა სიცილმა, მისმა წარბების მოძრაობამ ისე ცხოვლად გაახსენა ვრონსკი, რომ ძლივსღა შეიკავა ქვითინი, საჩქაროდ წამოდგა და ოთახიდან გავიდა. „ნუთუ ყველაფერი გათავდა? არა, ეს შეუძლებელია! – ფიქრობდა ანა, – ის ისევ დაბრუნდება. მაგრამ რანაირად ამიხსნის იმ ღიმილს, იმ სიხარულს, რომელიც მასთან საუბრის შემდეგ იგრძნო? რომ არ ამიხსნას კიდეც, მე მაინც დავუჯერებ. რომ არ დავუჯერო, მაშინ მხოლოდ ერთი რამ მრჩება, – ეს კი არ მინდა!“

ანამ საათს შეხედა. თორმეტმა წუთმა გაიარა. „ახლა იგი უკვე მიიღებდა ბარათს და უკან ბრუნდება. ცოტა ხანი კიდევ, ათი წუთი... მაგრამ რა უნდა ვქნა, რომ არ მოვიდეს? არა, ეს შეუძლებელია. ოღონდ ნამტირალევი თვალებით არ უნდა მნახოს. წავალ, პირს დავიბან. ჰო, ჰო, დავივარცხნე თუ არა დღეს თმა?“ – შეეკითხა ანა თავის თავს და ვეღარ გაიხსენა. ხელი გადაისვა თმაზე. „ჰო, დამივარცხნია, მაგრამ როდის“. ნამდვილად დავარცხნილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, როდის დაივარცხნა. „ვინ არის ეს?“ – ფიქრობდა ანა, როცა სარკეში უყურებდა თავის ანთებულ სახეს, უცნაურად მოელვარე თვალებს, რომელნიც შიშით შეჰყურებდნენ მას. „ჰო, ეს მე ვარ“, უცებ მიხვდა ანა, თავით ფეხებამდე შეათვალიერა თავისი თავი სარკეში, უეცრად მისი კოცნა იგრძნო და შეკრთა, მხრები შეიშმუშნა. შემდეგ ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა საკუთარ ხელს.

„რა მემართება, ჭკუიდან ხომ არ ვიშლები“, – და ანამ საწოლი ოთახისაკენ გასწია, სადაც ანუშკა ოთახს ალაგებდა.

– ანუშკა, – უთხრა ანამ, მის წინ გაჩერდა, სახეში მიაჩერდა და თვითონაც არ იცოდა, რა უნდა ეთქვა მისთვის.

– დარია ალექსანდროვნასთან გინდოდათ წასვლა, – უპასუხა მოახლემ, თითქოს მიუხვდაო ფიქრს.

– დარია ალექსანდროვნასთან? ჰო, წავალ.

„თხუთმეტი წუთი აქედან. თხუთმეტი იქიდან. ახლა იგი უკვე მოდის, საცაა მოვა კიდეც, – ანამ საათი ამოიღო და დახედა, – მაგრამ როგორ შეძლო მან წასვლა, ასეთ მდგომარეობაში ჩემი დატოვება? როგორ შეუძლია იცხოვროს ისე, რომ არ შემირიგდეს?“ ანა ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში ყურება დაიწყო. მისი ანგარიშით ვრონსკი ახლა უკვე დაბრუნებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ, შესაძლოა, ანგარიში აერია და მან ხელმეორედ გაიხსენა, როდის წავიდა და ისევ დაიწყო წუთების თვლა.

სწორედ იმ დროს, როცა ანა საათთან მივიდა თავისი საათის შესამოწმებლად, სადარბაზო კართან ვიღაცის ეტლი შეჩერდა. ანამ ფანჯარაში გაიხედა და დაინახა ვრონსკის ეტლი, მაგრამ კიბეზე არავინ ამოდიოდა, ქვევიდან კი ლაპარაკის ხმა ისმოდა. ეს ანას მიერ გაგზავნილი მსახური მოვიდა ეტლით. ანა თვითონვე ჩავიდა ქვევით.

– გრაფს ვეღარ მივუსწარით. ნიჟეგოროდის გზით წაბრძანებულა.

– რაო? რას ამბობ?.. – მიუბრუნდა იგი ლოყებაწითლებულ მხიარულ მიხაილს, რომელიც უკანვე აძლევდა ბარათს.

„ჰო, მას ხომ არ მიუღია ეს წერილი“, – გაიხსენა ანამ.

– წადი ამ წერილით სოფელში, გრაფინია ვრონსკაიასთან, ხომ იცი? და მაშინვე მომიტანე პასუხი, – უთხრა მან მსახურს.

„მაგრამ მე, მე რაღას გავაკეთებ – გაიფიქრა ანამ, – ჰო, მართლა, მე დოლისთან წავალ, თორემ ჭკუიდან შევიშლები, ჰო, მე შემიძლია დეპეშაც გავუგზავნო“, და მან დაწერა დეპეშა.

„ჩემთვის აუცილებელია მოლაპარაკება, ახლავე წამოდით“.

დეპეშა გაგზავნა და ტანისამოსის გამოსაცვლელად გავიდა. ტანისამოსი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და ერთხელ კიდევ ჩახედა თვალებში ჩასუქებულ, გულდამშვიდებულ ანუშკას. აშკარა თანაგრძნობა იხატებოდა მის წვრილ, კეთილ, ნაცრისფერ თვალებში.

– ანუშკა, ჩემო კარგო, რა ვქნა? – ქვითინით უთხრა ანამ და უმწეოდ დაეშვა სავარძელზე.

– ასე რა გაწუხებთ, ანა არკადიევნა? ხდება ხოლმე ასე, თქვენ

წაბრძანდით, გულს გადააყოლებთ, – უთხრა მოახლემ.

– ჰო, წავალ, – გამოერკვა ანა და ფეხზე წამოდგა, – ჩემს არყოფნაში დეპეშა თუ მოვიდეს, დარია ალექსანდროვნასთან გამომიგზავნეთ... არა, მე თვითონ დავბრუნდები.

„ჰო, არ უნდა ვიფიქრო, რამე უნდა ვიღონო, უნდა წავიდე. რაც მთავარია, უნდა წავიდე ამ სახლიდან“, – თქვა ანამ და შეძრწუნებულმა ყური მიუგდო, რა საშინელება ბობოქრობდა მის გულში, საჩქაროდ გარეთ გამოვიდა და ეტლში ჩაჯდა.

– საით მიბრძანებთ? – ჰკითხა პიოტრმა, სანამ კოფოზე დაჯდებოდა.

– ზნამენკაზე, ობლონსკებთან.

XXVIII

ნათელი დღე იდგა, მთელი დილა ცრიდა წვრილი წვიმა და მხოლოდ ის იყო, გამოიდარა. რკინის სახურავები, ტროტუარის ფილაქანი, ქვაფენილის კენჭები, ეტლების ტყავი და ბორბლები, სპილენძი თუ თუნუქი – ყველაფერი ბზინავდა მაისის მზეზე. სამი საათი იყო, ის დრო, როცა ქუჩები ყველაზე უფრო გამოცოცხლებულია.

ანა ეტლის კუთხეში იჯდა; ლურჯა ცხენები სწრაფად მიაქროლებდნენ ეტლს და იგი ოდნავ ირწეოდა მოქნილ რესორებზე. თვლების განუწყვეტელ ხმაურში, სუფთა ჰაერზე, როცა ასე სწრაფად იცვლებოდა შთაბეჭდილებები, ანამ ერთხელ კიდევ გაიხსენა უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები და ახლა თავისი მდგომარეობა სულ სხვაგვარად წარმოუდგა, ვიდრე შინ ეჩვენებოდა. სიკვდილზე ფიქრიც აღარ იყო ისე საშინელი, აღარც ისე მკაფიოდ ხედავდა სიკვდილს და აღარც გარდაუვალად მიაჩნდა. ახლა საყვედურობდა თავის თავს, რომ ასეთ დამცირებამდე მივიდა: „მე მას ვემუდარები, მაპატიოს. მთლიანად დავემორჩილე მას. დამნაშავედ ვაღიარე თავი. რატომ? განა უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია?“ – და პასუხი აღარ გაუცია ამ კითხვაზე, როგორ იცხოვრებდა

უიმისოდ, ახლა ფირნიშების კითხვა დაიწყო: „კანტორა და საწყობი“. „კბილის ექიმი“. „ჰო, მე ყველაფერში გამოვუტყდები დოლის. მას არ უყვარს ვრონსკი. მართალია, შემრცხვება, გული მეტკინება, მაგრამ მაინც ყველაფერს ვეტყვი. მე დოლის ვუყვარვარ და დავიჯერებ მის რჩევას. მე არ დავემორჩილები ვრონსკის. უფლებას არ მივცემ, აღზრდა დამიწყოს. „ფილიპინოვის კალაჩები“. ამბობენ, გამზადებული ცომი მიაქვთო პეტერბურგში. მოსკოვის წყალი ძალიან კარგია. მიტიშჩინის ჭები და ბლინები ხომ“... და ანას გაახსენდა, წინათ, დიდი ხნის წინ, როცა ისევ ჩვიდმეტი წლისა იყო, მამიდასთან ერთად როგორ გაემგზავრა სამების ეკლესიაში. „ცხენებითაც კი ვიარეთ, ნუთუ ის მე ვიყავი, წითელხელება გოგო? რამდენი რამ, რაც მაშინ მშვენიერი და მიუღწეველი მეჩვენებოდა, არარაობად იქცა ჩემთვის, ხოლო ის, რაც მაშინ იყო, ახლა სამუდამოდ მიუღწეველია. განა დავიჯერებდი მაშინ, რომ ასე დავიმცირებდი თავს? როგორ კმაყოფილებას, როგორ სიამაყეს იგრძნობს იგი, როცა ჩემს ბარათს მიიღებს! მაგრამ მე დავუმტკიცებ, რომ... რა საძაგელი სუნი აქვს ამ საღებავს! რატომ აშენებენ და ღებავენ ყველაფერს? „მოდები და მორთულობანი“, – კითხულობდა იგი. ვიღაც კაცმა თავი დაუკრა. ანუშკას ქმარი იყო. „ჩვენი პარაზიტები!“ – გაახსენდა, როგორ ეძახდა მათ ვრონსკი, – ჩვენი! რატომ ჩვენი? საშინელებაა, რომ ძირფესვიანად ვერ ამოგლეჯ წარსულს! ამოგლეჯა შეუძლებელია. მაგრამ მისი ხსოვნის წაშლა კი შეიძლება. და წავშლი კიდეც!“ – და გაიხსენა თავისი წარსული ალექსეი ალექსანდროვიჩთან, გაიხსენა, როგორ წაშალა იგი თავის მეხსიერებაში. „დოლი იფიქრებს, რომ მე უკვე მეორე ქმარს ვანებებ თავს და ამიტომ, ალბათ, მართალიც არა ვარ. განა მე მინდა, მართალი ვიყო! მე ეს არ შემიძლია!“ – თქვა და ტირილი მოუნდა, მაგრამ მაშინვე იმაზე გადაიტანა ფიქრი, თუ რაზე იღიმებოდა ასე ის ორი გოგონა: „ალბათ, სიყვარულზე! მათ არ იციან, რა უსიხარულო და რა დამამცირებელია ეს... ბულვარი და ბავშვები. სამი ბიჭი გარბის. ცხენოსნობას თამაშობენ. სერიოჟა! მე ყველაფერს დავკარგავ, თუ ის არ დაბრუნდება!.. შეიძლება მატარებელზე დაუგვიანდა და ახლა უკვე შინ არის! ისევ მოგინდა თავის დამცირება? – უსაყვედურა თავის თავს, – არა, მივალ დოლისთან და გულახდილად ვეტყვი: მე უბედური ვარ, ღირსი ვარ ამისა, დამნაშავე ვარ, მაგრამ მაინც უბედური ვარ და დამეხმარე-მეთქი. ეს ცხენები!.. როგორ მეზიზღება ჩემი თავი ამ ეტლში, – ყველაფერი მისია.

მაგრამ ამიერიდან აღარ ვიხილავ მათ!“..

კიბეზე რომ ადიოდა, იმაზე ფიქრობდა, რა სიტყვებით გამოუტყდებოდა დოლის ყველაფერში და განზრახ იწამლავდა გულს.

– არის ვინმე? – იკითხა წინკარში.

– კატერინა ალექსანდროვნა ლევინა გახლავთ! – უპასუხა ლაქიამ.

„კიტი, სწორედ ის კიტი, ვრონსკის რომ უყვარდა! – გაიფიქრა ანამ, – სწორედ ის, რომელსაც სიყვარულით იხსენიებდა ხოლმე. ალბათ, წუხს, ცოლად რომ არ შეირთო. მე კი, ალბათ, ზიზღით მიხსენიებს და ნანობს, რატომ დააკავშირა ჩემთან თავისი ცხოვრება“.

დები ბავშვის კვებაზე თათბირობდნენ, როცა ანა მივიდა. დოლი მარტო გამოეგება სტუმარს, რომელმაც სწორედ ამ დროს შეუშალა ხელი მათ საუბარს.

– შენ კიდევ არ წასულხარ? მე თვითონაც ვაპირებდი შენთან მოსვლას, – უთხრა მან, – სწორედ დღეს მივიღე სტივას წერილი.

– ჩვენც მივიღეთ დეპეშა, – უპასუხა ანამ და კიტის მოსაძებნად ოთახში მიმოიხედა.

– იწერება, ვერ გავიგე, სახელდობრ, რა სურსო ალექსეი ალექსანდროვიჩს, მაგრამ უპასუხოდ მაინც არ წამოვალო.

– მე მეგონა, შენთან ვიღაც იყო. შეიძლება წავიკითხო წერილი?

– ჰო, კიტი არის ჩემთან, – უპასუხა შემცბარმა დოლიმ, – ბავშვის ოთახში დარჩა. ძალიან ავად იყო.

– ჰო, მეც გავიგე. შეიძლება წავიკითხო წერილი?

– ახლავე მოგიტან. მას უარი არ უთქვამს, პირიქით, სტივას დიდი იმედი აქვს, – უთხრა დოლიმ და კარში შეჩერდა.

– მე აღარც იმედი მაქვს, აღარც სურვილი, – უპასუხა ანამ.

„რა არის ეს? კიტის დამამცირებლად მიაჩნია ჩემთან შეხვედრა? – ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი ანა, – შეიძლება მართალიც არის. მაგრამ მართალიც რომ იყოს, მას, კიტის, რომელსაც

უყვარდა ვრონსკი, არ უნდა ეგრძნობინებინა ეს ჩემთვის. ვიცი, რომ ჩემს მდგომარეობაში მე არც ერთი წესიერი ქალი არ მიმიღებს; ვიცი, რომ იმ პირველი წუთებიდანვე ყველაფერი მსხვერპლად შევწირე მას! და აი, ჯილდოც ამისთვის! ოჰ, როგორ მძულს იგი! ან რატომ მოვედი აქ? უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, კიდევ უფრო მიმძიმს აქ ყოფნა! – მეორე ოთახიდან დების საუბარი შემოესმა, – აბა, რა შემიძლია ვუთხრა ახლა დოლის? დავამშვიდო კიტი, რომ უბედური ვარ და მფარველობა ვითხოვო მისგან? არა, დოლი მაინც ვერ გაიგებს ამას. არც არაფერი მაქვს მისთვის სათქმელი. ოღონდ კარგი იყო, მენახა კიტი, მეჩვენებინა, როგორ მძულს ყველა და ყველაფერი, რამდენად სულერთია ახლა ჩემთვის ყოველივე“.

დოლიმ წერილი შემოიტანა. ანამ წაიკითხა და ხმაამოუღებლად დაუბრუნა.

– მე უკვე ვიცოდი ყველაფერი, – უთხრა მან, – და ეს სრულებით აღარ მაინტერესებს.

– მერედა რატომ? მე პირიქით, იმედი მაქვს, – უთხრა დოლიმ და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა ანას, არასოდეს ენახა ასე უცნაურად აღგზნებული, – შენ როდის მიდიხარ? – ჰკითხა მან.

ანა თვალებმოჭუტული იყურებოდა წინ და პასუხს არ აძლევდა.

– რატომ მემალება კიტი? – უთხრა ანამ, კარს გახედა და გაწითლდა.

– ოჰ, რას ამბობ! ბავშვს აწოვებდა. ვერაფრით ვერ მოაწესრიგა ეს საქმე. მე ვურჩიე... იგი დიდად მოხარულია... ახლავე გამოვა, – უხსნიდა შემკრთალი დოლი, ვერ ახერხებდა ტყუილის თქმას, – აგერ ისიც!

ანას მოსვლა რომ შეიტყო, კიტიმ არ ინდომა გამოსვლა. დოლიმ, როგორც იქნა, დაიყოლია. კიტიმაც ძალ-ღონე მოიკრიბა, ოთახში შემოვიდა, აწითლებული მიუახლოვდა ანას და გაუწოდა ხელი.

– დიდად მოხარული ვარ, – აკანკალებული ხმით უთხრა მან.

კიტის აკრთობდა შინაგანი ბრძოლა, მის გულში რომ ხდებოდა. ერთმანეთს ებრძოდა მტრობა ამ უზნეო ქალისადმი და პატიების სურვილი. მაგრამ როგორც კი დაინახა ანას ლამაზი,

სიმპათიური სახე, მაშინვე გაუქრა მტრობა.

– არც გამიკვირდებოდა, თუ არ ინდომებდით ჩემთან შეხვედრას. მე უკვე შევეჩვიე ყველაფერს! თქვენ ავად იყავით! დიახ, გამოცვლილხართ, – უთხრა ანამ.

კიტი გრძნობდა, რომ ანა მტრული თვალით უყურებდა. იგი იმით ხსნიდა ამ მტრობას, რომ ანა, რომელიც წინათ მფარველობდა კიტის, ახლა უხერხულობას განიცდიდა მის წინაშე და კიტის შეებრალა იგი.

ილაპარაკეს ავადმყოფობაზე, ბავშვზე, სტივაზე, მაგრამ ანას, როგორც ჩანდა, არაფერი აინტერესებდა.

– მე გამოსამშვიდობებლად მოვედი შენთან, – თქვა ანამ და ფეხზე წამოდგა.

– როდის აპირებთ წასვლას?

მაგრამ ანამ კვლავ პასუხი არ გასცა დოლის და კიტის მიუბრუნდა: – დიახ, დიდად მოხარული ვარ, რომ გნახეთ, – ღიმილით უთხრა ანამ, – მე იმდენი რამ მომისმენია თქვენზე ყველასგან, თვით თქვენი მეუღლისგანაც კი... თქვენი მეუღლე ჩემთან იყო და მე ძალიან მომეწონა, – ეტყობა, არცთუ კეთილი განზრახვით დასძინა მან, – ახლა სად არის?

– სოფელში წავიდა, – უპასუხა კიტიმ და გაწითლდა.

– გადაეცით ჩემგან სალამი, აუცილებლად გადაეცით!

– აუცილებლად გადავცემ, – გულუბრყვილოდ გაიმეორა კიტიმ და თანაგრძნობით შეხედა თვალებში.

– მაშ, მშვიდობით, დოლი! – და ანამ გადაკოცნა დოლი, ხელი ჩამოართვა კიტის და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

– კვლავ ისეთივე მომხიბვლელია! ძალიან კარგია! – თქვა კიტიმ, როცა მარტო დარჩა დასთან, – მაგრამ რაღაც არის მასში შესაბრალისი! მეტისმეტად შესაბრალისი!

– არა, დღეს რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა მასში, – უთხრა დოლიმ, – წინკარში რომ ვაცილებდი, მომეჩვენა, თითქოს ტირილი უნდოდა.

XXIX

ეტლში რომ ჩაჯდა ანა, კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე იყო, ვიდრე მაშინ, როცა სახლიდან გამოდიოდა. ადრინდელ ტანჯვას ახლა შეურაცხყოფისა და განკიცხვის გრძნობა დაემატა, რაც აშკარად იგრძნო კიტისთან შეხვედრისას.

– საით მიბრძანებთ? შინ წავიდეთ? – ჰკითხა პიოტრმა.

– ჰო, შინ წავიდეთ, – უპასუხა ანამ, რომელიც ახლა აღარც ფიქრობდა, სად უნდა წასულიყო.

„ისინი ისე მიყურებდნენ, როგორც რაღაც საზარელს, გაუგებარსა და დიდად საინტერესოს. ნეტავ ეს კაცი რას ელაპარაკება მეორეს ასე გაცხარებით? – გაიფიქრა ანამ, როცა ქუჩაში ფეხით მიმავალ ორ კაცს მოჰკრა თვალი, – განა შეიძლება, სხვას უთხრა, რასაც შენ გრძნობ? აი, მეც მინდოდა, ყველაფერი მეთქვა დოლისთვის, მაგრამ კარგად მოვიქეცი, რომ არ ვუთხარი. როგორ გაახარებდა ჩემი უბედურება! იგი დაფარავდა ამას, მაგრამ მთავარი გრძნობა იქნებოდა სიხარული, რომ მე დავისაჯე იმ სიამოვნებისთვის, რომელიც შურდა ჩემთვის. კიტი ხომ კიდევ უფრო გაიხარებდა ამით! როგორ ნათლად ვხედავ ყველაფერს, რაც მასში ხდება. იცის, რომ ჩვეულებრივზე ალერსიანი ვიყავი მის ქმართან. ეჭვიანობს ჩემზე და ვძულვარ, ვეზიზღები კიდეც. მის თვალში მე უზნეო ქალი ვარ. უზნეო რომ ვყოფილიყავი, შემეძლო, თავი შემეყვარებინა მისი ქმრისთვის... თუ მოვინდომებდი ამას. თუმცა მინდოდა კიდეც. აი, ეს კი კმაყოფილია თავისი თავით, – გაიფიქრა ანამ, როცა ჩაუარა ვიღაც სახელაჟღაჟა, ჩასუქებულმა ვაჟბატონმა, რომელმაც ნაცნობად მიიღო ანა, ზევით ასწია პრიალა ქუდი და პრიალა მელოტი გამოაჩინა, შემდეგ მიხვდა თავის შეცდომას. – მას ეგონა, რომ მიცნობდა, ის კი ისევე ნაკლებად მიცნობს, როგორც ყველა სხვა, ვინც უნდა იყოს. მე თვითონაც არ ვიცნობ ჩემს თავს. მე ვიცი ჩემი სურვილები, როგორც იტყვიან, ხოლმე ფრანგები. აი, მათ ეს ჭუჭყიანი ნაყინი უნდათ. ეს დანამდვილებით იციან“, – გაიფიქრა ანამ, როცა თვალი მოჰკრა ორ ბიჭს, რომელთაც ნაყინის გამყიდველი გაეჩერებინათ; იმასაც ძირს ჩამოეღო გეჯა და ტილოთი იწმენდდა ოფლიან სახეს. „ყველას გვინდა ტკბილი და გემრიელი. თუ კანფეტი არ იქნება, ჭუჭყიანი ნაყინი მაინც. კიტიც ასეა: ვრონსკი თუ არა, ლევინი მაინც! და მას შურს ჩემი, ვეჯავრები. და ყველას გვძულს ერთმანეთი: მე – კიტი, კიტის –

მე. აი, ეს მართალია! ტიუტკინი, coifeur... Je me fais coiffer par[123] ტიუტკინი... ეს უნდა ვუთხრა, როცა მოვა, – გაიფიქრა ანამ და გაიღიმა. მაგრამ იმავე წუთს გაახსენდა, რომ აღარავინ ჰყავდა, ვისაც მოუყვებოდა რაიმე სასაცილოს, – თუმცა არც არაფერია სასაცილო და სამხიარულო. ყველაფერი საძაგლობაა! მწუხრის ზარებს რეკავენ და ეს ვაჭარი ისე გულმოდგინედ იწერს პირჯვარს, თითქოს ეშინია, ხელიდან არაფერი გაუვარდეს. რა საჭიროა ეკლესიები, ეს ზარების რეკვა, ეს სიცრუე? მხოლოდ იმისთვის, რომ დავმალოთ, როგორ გვძულს ყველას ერთმანეთი. როგორც ამ მეეტლეებს, ასე გაბოროტებით რომ ილანძღებიან. იაშვინი ამბობს: მე მინდა ის პერანგის ამარა გავუშვა, მას კი სურს, მე დამტოვოს შიშველ-ტიტველიო. აი, ეს არის სიმართლე!“

ამ ფიქრებში ისე გაერთო, რომ აღარც ახსოვდა, რა აწუხებდა, როცა თავისი სახლის პარმაღს მიუახლოვდა და შესაგებებლად გამოსული მეკარე დაინახა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, წერილი და დეპეშა რომ ჰქონდა გაგზავნილი.

– პასუხი არის? – იკითხა ანამ.

– ახლავე ვნახავ, – უპასუხა მეკარემ, მაგიდას გადახედა. დეპეშის თხელი, კვადრატული კონვერტი აიღო და გაუწოდა ანას.

„ათ საათზე ადრე ჩამოსვლა არ შემიძლია. ვრონსკი“, – ამოიკითხა ანამ.

– გაგზავნილი მსახური ხომ არ დაბრუნებულა?

– ჯერ არ გხლებიათ, – უპასუხა მეკარემ.

„მაშ, თუ ასეა, მაშინ მე ვიცი, რასაც მოვიმოქმედებ, – თქვა ანამ და იგრძნო, როგორი მრისხანებისა და შურისგების სურვილით აღენთო გული. და მან სწრაფად აირბინა კიბე, – მე თვითონ წავალ მასთან, ყველაფერს ვეტყვი, სანამ სამუდამოდ წავიდოდე ამ სახლიდან. არასოდეს არავინ მძულებია ისე, როგორც ეს კაცი!“, – ფიქრობდა ანა და როცა ტანისამოსის ჩამოსაკიდზე ვრონსკის ქუდი დაინახა, ზიზღისაგან გააჟრჟოლა. ანამ ვერ მოისაზრა, რომ ეს დეპეშა მხოლოდ მისი დეპეშის პასუხი იყო, რომ ვრონსკის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მისი ბარათი. იგი წარმოიდგენდა ვრონსკის, რომელიც ახლა მშვიდად ემუსაიფებოდა დედასა და

სოროკინას და ხარობდა ანას ტანჯვით. „ჰო, საჩქაროდ უნდა წავიდე აქედან!“ – უთხრა ანამ თავის თავს, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, სად წავიდოდა. უნდოდა ჩქარა გაქცეოდა თავის გრძნობებს, ამ საზარელ სახლში რომ განიცდიდა. ამ სახლის მსახურებიც, კედლებიც, ავეჯიც – ყველაფერი სიმძიმედ აწვებოდა გულზე.

„ჰო, რკინიგზის სადგურზე წავალ, ანდა იქ უნდა წავიდე და ვამხილო ყველაფერში“. ანამ გაზეთებში მატარებლების მიმოსვლის განრიგი მოძებნა. საღამოს, რვა საათსა და ორ წუთზე გადიოდა მატარებელი. „ჰო, მივასწრებ!“ მსახურს უბრძანა, ეტლში სხვა ცხენები შეება, თვითონ კი საგზაო ჩანთაში იმ ნივთების ჩალაგებას შეუდგა, რომელნიც აუცილებელი იქნებოდა მისთვის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში. იცოდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა ამ სახლში. სხვა გეგმებთან ერთად, რომლებიც ახლა მის თავში ირეოდნენ, ისიც გადაწყვიტა, რომ მას შემდეგ, რაც სადგურში ან გრაფინიას სახლში მოხდებოდა, ნიჟეგოროდის გზით წასულიყო და პირველივე ქალაქში დარჩენილიყო.

გამზადებული სადილი მაგიდაზე იდგა. ანა მაგიდასთან მივიდა, პურსა და ყველს დასუნა და რაკი დარწმუნდა, ყოველგვარი საჭმლის სუნი ზიზღს ჰგვრიდა, მსახურს ეტლის გამოყვანა უბრძანა და თვითონაც გარეთ გამოვიდა. ქუჩაზე უკვე სახლის ჩრდილი გაწოლილიყო. ნათელი, ჯერ ისევ მზით გამთბარი საღამო იდგა. ანას სიძულვილს ჰგვრიდა ყველა – ანუშკაც, ბარგით რომ აცილებდა, პიოტრიც, რომელიც ბარგს ალაგებდა ეტლში, მეეტლეც, რომელიც რაღაცაზე გულმოსული იყო – ყველანი აღიზიანებდნენ თავიანთი ლაპარაკითა და მოქმედებით.

– შენ მე აღარ მჭირდები, პიოტრ!

– მერე ბილეთს ვინ აგიღებთ?

– მაშ, როგორც გინდოდეს, ჩემთვის სულერთია, – უკმაყოფილოდ უთხრა ანამ.

პიოტრი კოფოზე ახტა, დოინჯი შემოიწყო და მეეტლეს სადგურზე წასვლა უბრძანა.

XXX

„ჰო, აი, ახლა კი ისევ ნათელია ჩემთვის ყველაფერი“, – თქვა თავისთვის ანამ, როგორც კი ეტლი დაიძრა და ხმაურითა და რწევით გაჰყვა წვრილი ქვით მოკირწყლულ ქუჩას; ისევ ერთიმეორის მიყოლებით წამოიშალნენ შთაბეჭდილებები.

„ჰო, უკანასკნელად რაზე ვფიქრობდი ასე კარგად? – შეეცადა გახსენებას ანა, – ტიუტკინი, coifeur? არა, ეს არა! ჰო, იმაზე ვფიქრობდი, რას ამბობდა იაშვინი: არსებობისთვის ბრძოლა და ერთმანეთის სიძულვილი – აი, ერთადერთი რამ, რაც ადამიანებს აკავშირებს. არა, სულ ტყუილად ირჯებით, – გონებაში მიმართა ოთხცხენიან ეტლში მჯდარ კამპანიას, ეტყობა, ქალაქგარეთ რომ მიდიოდნენ დროის გასატარებლად, – ვერც ეგ ძაღლი გიშველით, თან რომ მიგყავთ. საკუთარ თავს ვერსად გაექცევით!“ მერე თვითონაც იქით გააყოლა თვალი, საითაც პიოტრი იყურებოდა და დაინახა საშინლად მთვრალი ფაბრიკის მუშა, ფეხზე რომ ძლივს იდგა და სადღაც მიჰყავდა პოლიციელს. „აი, ამას უფრო მალე მიუგნია სიამოვნებისთვის, – გაიფიქრა ანამ. – ჩვენ, გრაფ ვრონსკისთან ერთად, ვერ ვიპოვეთ ეს სიამოვნება, თუმცა დიდი მოლოდინი კი გვქონდა!“ და ანა პირველად ახლა შეეცადა, იმ შუქზე, რომელიც ახლა ნათელს ჰფენდა მისთვის ყველაფერს, დაენახა თავისი ურთიერთობა ვრონსკისთან. ადრე ყოველთვის გაურბოდა ამაზე ფიქრს. „რას ეძიებდა იგი ჩემში? სიყვარულს იმდენად არა, რამდენადაც თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას“. და ანამ გაიხსენა მისი სიტყვები, მისი გამომეტყველება მათი ურთიერთობის პირველ ხანებში, ერთგულ მეძებარ ძაღლს რომ აგონებდა. ყველაფერი ახლა ამის დამამტკიცებელი იყო. „დიახ, იგი თავისი პატივმოყვარეობის გამარჯვებას ზეიმობდა. რასაკვირველია, ვუყვარდი კიდეც, მაგრამ უდიდესი ნაწილი ამ წარმატებით გამოწვეული სიამაყე იყო. თავს იწონებდა ჩემით. ახლა უკვე გაიარა ამან. საამაყო არაფერია. ახლა ამაყობს კი არა, რცხვენია კიდეც. უკვე ყველაფერი მიიღო ჩემგან, რაც უნდოდა და საჭირო აღარ ვარ მისთვის. უკვე მობეზრდა ეს და ჩემთან ურთიერთობაში ცდილობს პატიოსნებას არ უღალატოს. გუშინ წამოსცდა კიდეც – განქორწინება უნდა, რათა ჯვარი დაიწეროს ჩემზე და უკან დასახევი გზა აღარ დარჩეს. სიყვარულით კი ვუყვარვარ, მაგრამ როგორ! The zest is gone.[124] ამას კი სურვილი აქვს, ყველა გააკვირვოს და დიდად კმაყოფილია თავისი თავით, – გაიფიქრა

ანამ, როცა მანეჟის ცხენზე ამხედრებული, სახეაჟინჟღილებული მოურავი დაინახა, – ჰო, ვეღარ უპოვია ჩემში ის სიამოვნება. მე თუ მივატოვებ, სულის სიღრმეში მოხარულიც იქნება!“

ეს უკვე გუმანი აღარ იყო, ამას უკვე ნათლად ხედავდა იმ თვალისმომჭრელ სინათლეზე, რომელიც ახლა ნათელს ჰფენდა მთელი მისი ცხოვრების აზრსა და ადამიანთა ურთიერთობას.

„ჩემი სიყვარული სულ უფრო და უფრო თავმოთნე და ვნებიანი ხდება, მისი სიყვარული კი სულ ქრება და ქრება. აი, რატომ ვცილდებით ერთმანეთს, – განაგრძობდა ანა ფიქრს, – და ამას აღარაფერი ეშველება. ჩემთვის ყველაფერი ის არის და მე მოვითხოვ, სულ უფრო მეტად დამემორჩილოს, მას კი სულ უფრო და უფრო მეტი სურვილი ებადება ჩემგან წასვლისა. შეერთებამდე ჩვენ მართლაც მივისწრაფოდით ერთმანეთისაკენ, ახლა თავშეუკავებლად მივიწევთ სხვადასხვა მხარეს და ამის შეცვლა უკვე შეუძლებელია. იგი მეუბნება, რომ მე გადამეტებულად ეჭვიანი ვარ. მეც მითქვამს ჩემი თავისთვის, გადამეტებულად ეჭვიანი ვარ-მეთქი, მაგრამ ეს მართალი არ არის. მე კი არ ვეჭვიანობ, მე უკმაყოფილო ვარ, მაგრამ... – და ანას უცებ ისეთმა აზრმა გაუელვა, რომ პირი გააღო და მღელვარებისაგან ადგილი იცვალა ეტლში, – მე რომ შემეძლოს, სხვა რამ ვიყო მისთვის და არა საყვარელი, რომელსაც გატაცებით სწყურია მხოლოდ და მხოლოდ მისი ალერსი. მაგრამ არ მინდა და არც შემიძლია, სხვა რამ ვიყო მისთვის. ამ სურვილით კი მე ზიზღს ვიწვევ მასში, მე ეს მაბოროტებს და არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს. განა არ ვიცი, რომ არ მომატყუებს, განა არ ვიცი, რომ არავითარი განზრახვა არა აქვს სოროკინას მიმართ, რომ არ უყვარს კიტი, რომ არ მიღალატებს? ყოველივე ეს ვიცი, მაგრამ არავითარ შეღავათს არ მაძლევს. თუ არ ვეყვარები და მხოლოდ მოვალეობის გამო კეთილი და ალერსიანი იქნება ჩემთან, მაგრამ არ იქნება ის, რაც მე მინდა – ეს ათასჯერ უარესია, ვიდრე ბოროტება! ეს ჯოჯოხეთია! და ეს ნამდვილად ასეა. მას უკვე დიდი ხანია, აღარ ვუყვარვარ. სადაც სიყვარული თავდება, იქ სიძულვილი იწყება. ეს ქუჩები სულ უცხოა ჩემთვის. რაღაც ბორცვებია და სულ სახლები, სახლები... სახლებში კი სულ ადამიანები, ადამიანები... რამდენი არიან, ბოლო აღარ უჩანს და ყველას სძულს ერთიმეორე... აბა, ახლა მოვიფიქრებ, რა არის ჩემთვის საჭირო, რომ ბედნიერი ვიყო?

ჰო! მე ვიღებ განქორწინებას, ალექსეი ალექსანდროვიჩი მაძლევს სერიოჟას და მე ცოლად მივყვები ვრონსკის“. ალექსეი ალექსანდროვიჩის გახსენებაზე საოცარი სიცხადით დაუდგა თვალწინ მისი მშვიდი, მიმქრალი თვალები, თეთრ ხელებზე ამობერილი ლურჯი ძარღვები, მისი ინტონაციები და თითების ტკაცუნი, გაიხსენა ის გრძნობა, რომელიც არსებობდა მათ შორის, რომ ამ გრძნობასაც სიყვარული ერქვა და ზიზღისაგან გააჟრჟოლა. „ჰო, მე მივიღებ განქორწინებას მისგან და გავხდები ვრონსკის ცოლი. მერე რა იქნება, განა კიტი აღარ შემომხედავს ისე, როგორც დღეს მიყურებდა? არა, ეს მაინც ასე იქნება! განა სერიოჟა აღარ შემეკითხება და აღარ იფიქრებს ჩემს ორ ქმარზე? ან რა ახალი გრძნობა უნდა გამოვიგონო ჩემსა და ვრონსკის შორის? განა შესაძლებელია ისეთი რამ, რომ ბედნიერება კი არა, ტანჯვა აღარ იყოს? არა და არა! – ახლა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უპასუხა ანამ თავის თავს, – შეუძლებელია! ჩვენი ცხოვრება ერთმანეთისაგან ითიშება, მე მის უბედურებას ვქმნი, ის – ჩემსას, გამოცვლა კი ჩემი ან მისი აღარ შეიძლება. ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ არაფერი შველის ამას. ჰო, აგერ მათხოვარი ქალი ბავშვით. იგი ფიქრობს, რომ შესაბრალისია. განა ჩვენ ყველანი იმიტომ არა ვართ გაჩენილი ქვეყანაზე, რომ გვძულდეს ერთმანეთი და დავტანჯოთ საკუთარი თავიც და სხვებიც? გიმნაზიელები მოდიან, იცინიან. სერიოჟა? – გაახსენდა ანას, – მეც მეგონა, რომ მიყვარდა იგი და გულს მიჩუყებდა ეს სიყვარული. მაგრამ ხომ ვცხოვრობდი უიმისოდ, ხომ გავცვალე მისი სიყვარული სხვა სიყვარულზე და არც ვნანობდი, სანამ კმაყოფილი ვიყავი ამ სიყვარულით?“ – და ანამ ზიზღით გაიხსენა ის, რასაც ეს სხვა სიყვარული ეწოდებოდა. უხაროდა, რომ ასე ნათლად ხედავდა თავის და სხვების ცხოვრებას, – ასე ვარ მეც, პიოტრიც, მეეტლე ფიოდორიც, აგერ ის ვაჭარიც, ყველა ისინი, ვინც ვოლგაზე ცხოვრობენ, საითაც ეპატიჟება ეს განცხადება. და ასე იქნება ყველგან და ყოველთვის!“ – ამას ფიქრობდა ანა, როცა ნიჟეგოროდის სადგურის დაბალ შენობას მიუახლოვდნენ და სადგურის მეარტელენი გამოეგებნენ.

– ობირალოვკამდე გვიბრძანებთ? – უთხრა პიოტრმა.

ანას სულ გადაავიწყდა, სად მიდიოდა, ან რა უნდოდა და თავს ძალა დაატანა, მიმხვდარიყო, რას ეკითხებოდნენ.

– დიახ, – უპასუხა ანამ, ფულიანი ქისა გადასცა, ხელში პატარა,

წითელი ჩანთა აიღო და ეტლიდან გადმოვიდა.

ანა ხალხის ბრბოს შეერია და პირველი კლასის დარბაზისაკენ გაემართა; გზაში თანდათან დაწვრილებით გაიხსენა თავისი მდგომარეობა, გაიხსენა ის გადაწყვეტილებანი, რომელთა შორისაც მერყეობდა და კვლავ ხან იმედი და ხან სასოწარკვეთა უმწვავებდა ძველ იარებს და უწამლავდა ტანჯულ, საშინლად მთრთოლარე გულს. მატარებლის მოლოდინში ანა ვარსკვლავისებურ დივანზე ჩამოჯდა და ზიზღით ათვალიერებდა შემსვლელ-გამომსვლელთ (ყველა ისინი სძულდა ანას), და ხან იმაზე ფიქრობდა, როგორ მივიდოდა სადგურში, როგორ გაუგზავნიდა წერილს ან რას მისწერდა, ხან კი წარმოიდგენდა, ვრონსკი (რომელსაც არ ესმოდა ანას ტანჯვა), როგორ შესჩიოდა დედას თავის გასაჭირს, როგორ შევიდოდა ანა და რას ეტყოდა; ხან კი იმის ფიქრი გაუელვებდა, თუ როგორ შეიძლებოდა კვლავ ბედნიერად წარმართულიყო მისი ცხოვრება, როგორ მტანჯველად უყვარდა და თან სძულდა ვრონსკი და რა საშინლად უძგერდა გული.

XXXI

ზარის ხმა გაისმა. ჩაიარეს ვიღაც ახალგაზრდებმა, მახინჯებმა, თავხედებმა, თან ჩქარობდნენ და თან უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, რა შთაბეჭდილებას ახდენდნენ სხვებზე. დარბაზი გადაჭრა პიოტრიც თავისი ლივრეითა და შტიბლეტებით, ბრიყვული, ცხოველური სახით მიეახლა ანას, რომ ვაგონამდე მიეცილებინა. ახმაურებული მამაკაცები ჩაჩუმდნენ, როცა ბაქანზე ანამ ჩაიარა და რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს. ცხადია, რაღაც სისაძაგლეს იტყოდნენ. ანა მაღალსაფეხურიანი კიბით ვაგონში ავიდა და მარტო ჩამოჯდა ზამბარებიან, ოდესღაც თეთრ დივანზე. საგზაო ჩანთა შეირხა დივნის ზამბარებზე და მერე ძირს დაეშვა. ფანჯარასთან მდგარმა პიოტრმა ნიშნად გამოთხოვებისა სულელურად გაიღიმა და ზევით ასწია თავისი მოსირმული ქუდი. თავხედმა კონდუქტორმა კარი გაიჯახუნა და ააჩხაკუნა რაზა. მახინჯმა, ტურნიურიანმა მანდილოსანმა (ანამ გონებაში გააშიშვლა იგი და შეაძრწუნა მისმა სიმახინჯემ) და გოგონამ, რომელიც

არაბუნებრივად იცინოდა, ქვევით ჩაირბინეს.

– კატერინა ანდრეევნას აქვს, ყველაფერი მასთან არის, ma tante[125], – დაუყვირა გოგონამ.

„გოგონა მახინჯია და მაინც იპრანჭება“, – გაიფიქრა ანამ და რათა არავინ დაენახა, მოპირდაპირე ფანჯარასთან გადაჯდა. ფანჯრის წინ ჭუჭყიანმა, მახინჯმა გლეხმა ჩაიარა. თავზე ქუდი ეხურა და ქუდიდან გაწეწილი თმა მოუჩანდა, მერე ვაგონის თვლებისაკენ დაიხარა. „საიდანღაც მეცნობა ეს საძაგელი გლეხი!“ – გაიფიქრა ანამ, სიზმარი გაახსენდა და შიშისაგან აკანკალებულმა მოპირდაპირე კარისკენ გასწია. კონდუქტორმა კარი გამოაღო და ვიღაც ცოლ-ქმარი გამოატარა.

– თქვენ გასვლა გნებავთ?

ანამ პასუხი არ გასცა. ვერც კონდუქტორმა და ვერც შემოსულებმა პირბადეში ვერ შენიშნეს, რა საშინელება იხატებოდა მის სახეზე. ანა ისევ თავის კუთხეს დაუბრუნდა და დივანზე ჩამოჯდა. ცოლ-ქმარიც მის პირდაპირ ჩამოჯდა და ყურადღებით დაუწყეს თვალთვალი მის კაბას. ცოლიც და ქმარიც საძაგელი ეჩვენა ანას. ქმარმა ჰკითხა, ნებას მომცემთ, პაპიროსი მოვწიოო. ცხადია, არა იმიტომ, რომ პაპიროსის მოწევა უნდოდა, მასთან გამოლაპარაკება სურდა. თანხმობა რომ მიიღო, ფრანგულად გადაულაპარაკა ცოლს: პაპიროსი კი არა, გამოლაპარაკება მინდოდაო. ცოლიც და ქმარიც თვალთმაქცობდნენ, რაღაც სისულელეებს ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ანას გაეგონა. ანა ნათლად ხედავდა, როგორ მოჰბეზრებოდათ მათ ერთმანეთი, როგორ სძულდათ ერთიმეორე. მართლაც, შეუძლებელი იყო, არ შეგძულებოდა ასეთი საბრალო მახინჯები.

გაისმა მეორე ზარის ხმა და ამას მოჰყვა ბარგის გადატან-გადმოტანა, ხმაური, ყვირილი და სიცილი. ანასთვის მეტისმეტად ნათელი იყო, რომ არავის არაფერი ჰქონდა სასიხარულო და ეს სიცილი თითქმის ფიზიკურ ტკივილს იწვევდა მასში. უნდოდა, ყურებში თითი დაეცო, რომ არ გაეგონა ეს ხმა. ბოლოს მესამე ზარიც ჩამოჰკრეს. გაისმა სტვენა, ორთქლმავლის კივილი, გაიჟღრიალა ჯაჭვმა და ქმარმაც გადაიწერა პირჯვარი. „საინტერესოა, რას გულისხმობს ამ პირჯვრის გადაწერაში?“ – გაიფიქრა ანამ და გაბოროტებით გადახედა. ანა ფანჯრიდან უყურებდა ბაქანზე მდგარ

გამცილებლებს, რომლებიც თითქოს უკან მისრიალებდნენ. ვაგონმა, რომელშიც ანა იჯდა, თანაზომიერი რხევით ჩაუარა ბაქანს, ქვის კედელს, დისკოს და სხვა ვაგონებს, გაზეთილი, სრიალა ბორბლები მსუბუქად აწკარუნდნენ ლიანდაგზე, ფანჯრები ჩამავალი მზის კაშკაშა სხივებმა გაანათა და ნიავმა ვაგონის ფარდები შეათამაშა. ანას სულ გადაავიწყდა თავისი თანამგზავრები, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა და მატარებლის მსუბუქ რხევაზე ისევ ფიქრი განაგრძო.

„ჰო, რაზე შევჩერდი? იმაზე, რომ არ შემიძლია მოვიფიქრო ისეთი მდგომარეობა, როცა ცხოვრება ტანჯვა არ იქნება, რომ ჩვენ ყველანი საწვალებლად ვართ გაჩენილი. ყველამ ვიცით ეს და ათასნაირ საშუალებას ვეძებთ თავის მოსატყუებლად. მაგრამ რა უნდა ქნა, როცა ასე ცხადად ხედავ სიმართლეს?“

– ადამიანს იმიტომ აქვს გონება, რომ თავი დააღწიოს იმას, რაც აწუხებს, – ენამოჩლექით, ფრანგულად თქვა მანდილოსანმა, ეტყობა, კმაყოფილი იყო თავისი ფრაზით.

ამ სიტყვებმა თითქოს პასუხი გასცა ანას ფიქრებს.

„თავი დააღწიო იმას, რაც გაწუხებს“, – გაიმეორა ანამ და გადახედა ლოყებღაჟღაჟა ქმარსა და გამხდარ ცოლს. ეს ავადმყოფი ქალი, ეტყობა, ცდილობდა უცნაურ ქალად მოსჩვენებოდა ქმარს და ქმარიც ატყუებდა, უმტკიცებდა ამგვარ შეხედულებას. ანა თითქოს ხედავდა მთელ მათ ცხოვრებას, მათი სულის ყოველ კუნჭულს, როცა მათზე გადაიტანა ეს შუქი, მაგრამ ვერაფერი ნახა იქ საინტერესო და ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

„დიახ, ძალიან მაწუხებს და გონებაც იმისთვის მაქვს, რომ თავი დავაღწიო ამას. მაშასადამე, უნდა მოვიცილო თავიდან. რატომ არ უნდა ჩააქრო სანთელი, როცა აღარაფერი გაქვს დასანახავი, როცა ზიზღს გგვრის ყველაფერი, რასაც ხედავ? მაგრამ როგორ დავაღწიო თავი? რატომ გაირბინა კონდუქტორმა ხარიხაზე? რატომ ყვირიან ის ახალგაზრდები მეორე ვაგონში? რატომ ლაპარაკობენ, რატომ იცინიან? ყველაფერი ეს სიცრუეა, თავის მოტყუება, ყველაფერი ბოროტებაა!“.

როცა მატარებელი სადგურს მიუახლოვდა, ანა სხვა მგზავრებთან ერთად სადგურზე გადმოვიდა, ცდილობდა, გარიდებოდა ხალხს, რადგან კეთროვანებივით სძულდა ყველა

და განცალკევებით გაჩერდა ბაქანზე. შეეცადა, გაეხსენებინა, რატომ ჩამოვიდა აქ ან რა უნდა გაეკეთებინა. ყველაფერი, რაც წინათ შესაძლებლად მიაჩნდა, ახლა მეტისმეტად ძნელად მოსაფიქრებელი გამხდარიყო, განსაკუთრებით ამ საძაგელი ხალხის ხმაურში, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. ხან მეარტელეები მოირბენდნენ და თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ, ხან ახალგაზრდები უთვალთვალებდნენ და ხმამაღალი ლაპარაკითა და ფეხების ბაკუნით ჩაუვლიდნენ გვერდით, ხით დაგებულ ბაქანზე, ხან წინ შემოხვედრილები ვერ უქცევდნენ გზას. როცა გაიხსენა, რომ ისევ გზის გაგრძელებას აპირებდა, თუ პასუხი არ დახვდებოდა, ერთ-ერთი მეარტელე შეაჩერა და ჰკითხა, ხომ არ არის აქ მეეტლე გრაფ ვრონსკისთვის გადასაცემი ბარათითო.

– გრაფი ვრონსკი? მათგან სწორედ ახლა იყვნენ აქ. თავადის ქალ სოროკინასა და მის ქალიშვილს დახვდნენ. თვითონ მეეტლე როგორია?

სწორედ ამ დროს, როცა ანა მეარტელეს ელაპარაკებოდა, მასთან გამოცხადდა ძეწკვებით მორთულ ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი მეეტლე – მიხაილი, მხიარული და სახეაწითლებული. ეტყობა, ამაყობდა, რომ ასე კარგად შეასრულა ქალბატონის დავალება და წერილი გადასცა ანას. ანამ წერილი გახსნა და ჯერ წაკითხულიც არ ჰქონდა, რომ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

„დიდად ვწუხვარ, რომ წერილმა ვერ მომისწრო. ათ საათზე შინ ვიქნები“, აჩქარებული ხელით წერდა ვრონსკი.

„მაშ, ასე! მეც ამას ველოდი!“ – ბოროტი ჩაცინებით უთხრა ანამ თავის თავს.

– კარგი, წადი სახლში, – ხმადაბლა უთხრა მიხაილს. ხმადაბლა იმიტომ ლაპარაკობდა, რომ აჩქარებული გულისცემა სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. „არა, ასე ვერ დაგატანჯვინებ თავს!“ – გაიფიქრა ანამ და მუქარით მიმართა არა ვრონსკის, არა საკუთარ თავს, არამედ იმას, ვინც აიძულებდა ამგვარად დატანჯულიყო და სადგურის წინ, ბაქანზე ჩაიარა.

ბაქანზე მოსეირნე ორმა მოსამსახურე გოგომ ანას ცქერაში უკან მოაბრუნა თავი და ხმამაღლა შენიშნეს რაღაც მის მორთულობაზე. ნამდვილიაო, – თქვეს ანას მაქმანებზე. ყმაწვილკაცები კვლავ მოსვენებას არ აძლევდნენ,

არაბუნებრივი სიცილითა და ხმაურით ჩაუარეს და სახეში ჩააცქერდნენ. სადგურის უფროსმა გვერდით ჩაუარა და ჰკითხა, მიბრძანდებით თუ არაო... ბურახის გამყიდველი ბიჭი თვალმოუშორებლად შესცქეროდა. „ღმერთო ჩემო, სად წავიდე?“ – ფიქრობდა ანა და სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა ბაქანზე. ბაქნის ბოლოს შეჩერდა. მანდილოსნები და ბავშვები, რომლებიც ვიღაც სათვალიან ბატონს დაუხვდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, მაგრამ როგორც კი ანამ მათ გვერდით ჩაიარა, ჩაჩუმდნენ და თვალთვალი დაუწყეს. ანამ ნაბიჯს აუჩქარა. გასცილდა მათ და ბაქნის ბოლოს შეჩერდა. საბარგო მატარებელი შემოდიოდა. ბაქანი აძაგძაგდა და ანას მოეჩვენა, რომ ისევ მიდიოდა.

უცებ ვრონსკისთან შეხვედრის პირველ დღეს მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი კაცი გაახსენდა და მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა. სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯით ჩაიარა კიბე, წყალსაქაჩავიდან მატარებლის ლიანდაგისაკენ რომ ჩადიოდა, და თითქმის მის წინ მიმავალი მატარებლის გვერდით გაჩერდა. იგი ვაგონის ქვეშ, ხრახნებს, ჯაჭვებს და თუჯის მაღალ თვლებს მისჩერებოდა, ცდილობდა თვალით მოეზომა შუა ადგილი წინა და უკანა თვლებს შორის და შეერჩია ის წუთი, როცა ის ადგილი მის პირდაპირ იქნებოდა.

„იქ! – ეუბნებოდა ანა თავის თავს და ნახშირარეული ქვიშით დაფარულ განძელებს შორის მატარებლის ჩრდილს დაჰყურებდა, – იქ, იმ შუაგულ ადგილას, და მე დავსჯი მას, თავს დავაღწევ ყველას და საკუთარ თავს!“

უნდოდა მოესწრო და ქვეშ შევარდნოდა პირველ ვაგონს, რომელიც უკვე გაუსწორდა, მაგრამ წითელმა ჩანთამ, ხელიდან რომ უნდა მოეხსნა, შეაყოვნა და დააგვიანა. ვაგონის შუაგულმა უკვე ჩაუქროლა. შემდეგ ვაგონს უნდა დალოდებოდა. იგი იმავე გრძნობამ შეიპყრო, რაც ბანაობისას განუცდია, წყალში შესასვლელად რომ ემზადებოდა, და პირჯვარი გადაიწერა. პირჯვრის გადაწერის ამ ჩვეულმა მოძრაობამ ბავშვობისა და ქალიშვილობის ათასნაირი მოგონება წამოუშალა და უცებ გაიფანტა წყვდიადი, რომელიც ყველაფერს ფარავდა მის სულში, წამით ცხოვრება ამ განვლილმა სიხარულმა გაანათა. მაგრამ მაინც თვალს არ აცილებდა მეორე ვაგონის თვლებს, მისკენ რომ მოისწრაფოდნენ. და სწორედ იმ წუთს, როცა ვაგონის

შუაგული გაუთანასწორდა, წითელი ხელჩანთა გადააგდო, თავი მხრებში ჩამალა და ვაგონის ქვეშ შევარდა, ხელებზე დაეცა და მსუბუქი მოძრაობით, თითქოს მაშინვე წამოდგომას აპირებსო, მუხლებზე დაეშვა. და იმავე წამს შეაძრწუნა იმან, რასაც სჩადიოდა. „სადა ვარ? რას ჩავდივარ? რისთვის?“ და წამოდგომა დააპირა, უკან გადმოიწია, მაგრამ რაღაც უზარმაზარი, დაუნდობელი მოხვდა თავში და ზურგით გადაათრია. „ღმერთო, შემინდე ყოველივე!“ – თქვა ანამ, რაკი იგრძნო, რომ ბრძოლა შეუძლებელი იყო. გლეხი რაღაცას ლაპარაკობდა თავისთვის და რკინაზე აკაკუნებდა. და სანთელმა, რომლის შუქზეც იგი კითხულობდა ძრწოლით, სიცრუით, მწუხარებითა და ბოროტებით აღსავსე წიგნს, ერთი წამით უფრო ძლიერად გაიელვა, ვიდრე ოდესმე, და სინათლე მოჰფინა ყოველივეს, რაც წინათ წყვდიადით იყო მისთვის მოცული, მერე გაიტკაცუნა, აციმციმდა და საუკუნოდ ჩაქრა.

ნაწილი მერვე

I

თითქმის ორმა თვემ გაიარა. უკვე მცხუნვარე შუა ზაფხული იდგა, სერგეი ივანოვიჩი კი მხოლოდ ახლა აპირებდა მოსკოვიდან გასვლას.

ამ ხნის განმავლობაში სერგეი ივანოვიჩის ცხოვრებაში ბევრი საგულისხმო რამ მოხდა. ერთი წლის წინ უკვე დასრულდა მისი წიგნი, ექვსი წლის შრომის ნაყოფი, სათაურით: „სახელმწიფოებრივ საფუძველთა და ფორმათა მიმოხილვის ცდა ევროპასა და რუსეთში“. ზოგიერთი განყოფილება ამ წიგნიდან და შესავალი უკვე დაბეჭდილი იყო პერიოდულ

გამოცემებში, წიგნის სხვა თავებიც სერგეი ივანოვიჩს უკვე წაკითხული ჰქონდა თავის წრეში. ასე რომ, აზრი ამ თხზულებისა არ შეიძლებოდა სრულიად ახალი ყოფილიყო საზოგადოებისთვის. მაგრამ სერგეი ივანოვიჩი მაინც ელოდა, რომ წიგნის გამოქვეყნება დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე და თუ გადატრიალებას არ მოახდენდა მეცნიერებაში, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ მღელვარებას მაინც გამოიწვევდა სწავლულთა სამყაროში.

გულდასმით სწორების შემდეგ წიგნი შარშან გამოიცა და გაეგზავნა წიგნის გამყიდველებს.

სერგეი ივანოვიჩი არავის არაფერს ეკითხებოდა წიგნის თაობაზე, უხალისოდ, ვითომდა გულგრილად პასუხობდა მეგობრების შეკითხვას, როგორ იყიდებოდა მისი წიგნი, არც წიგნის მოვაჭრეთ ეკითხებოდა, როგორ საღდებაო და დაძაბული, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, როგორი იქნებოდა პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ეს წიგნი მოახდენდა საზოგადოებასა და ლიტერატურაზე.

მაგრამ გაიარა ერთმა კვირამ, მეორემ, მესამემ, საზოგადოებაში კი არავითარი შთაბეჭდილება არ შეინიშნებოდა. მისი მეგობრები, სპეციალისტები და სწავლულები, უეჭველად თავაზიანობის გამო, ხანდახან ჩამოუგდებდნენ ხოლმე წიგნზე სიტყვას. დანარჩენი ნაცნობები, რომელნიც დაინტერესებული არ იყვნენ მეცნიერული შინაარსის წიგნებით, სულაც არაფერს ეუბნებოდნენ. საზოგადოებაში კი, რომელიც, მით უმეტეს ახლა, სრულიად სხვა რამით იყო გატაცებული, სრული გულგრილობა იყო გამეფებული. ლიტერატურაშიც მთელი ერთი თვის განმავლობაში არაფერი თქმულა წიგნზე.

სერგეი ივანოვიჩმა ზუსტად გამოიანგარიშა, რამდენი დრო იყო საჭირო რეცენზიის დასაწერად, მაგრამ გაიარა ერთმა თვემ, მეორემაც, დუმილი კი მაინც არ დარღვეულა.

მხოლოდ „სევერნი ჟუკში“, ერთ სახუმარო ფელეტონში, სადაც ლაპარაკი იყო მომღერალ დრაბანტიზე, რომელმაც სრულიად დაკარგა ხმა, რამდენიმე დამცინავი სიტყვით მოიხსენიეს კოზნიშევის წიგნიც, რაც მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ეს წიგნი დიდი ხანია საყოველთაოდ გაკიცხული და ყბადაღებული იყო.

ბოლოს, მესამე თვეს, სერიოზულ ჟურნალში დაიბეჭდა კრიტიკული სტატია. სერგეი ივანოვიჩი ამ სტატიის ავტორსაც

იცნობდა, ერთხელ გოლუბცოვთან შეხვდა.

სტატიის ავტორი, მეტად ახალგაზრდა, ავადმყოფი ფელეტონისტი, როგორც მწერალი ძალიან გაბედული იყო, მაგრამ ძალიან გაუნათლებელი და მხდალი პირად ურთიერთობაში.

მიუხედავად იმისა, რომ სერგეი ივანოვიჩს ნამდვილად სძულდა ავტორი, მაინც სრული პატივისცემით შეუდგა სტატიის კითხვას. სტატია საშინელი იყო.

ეტყობოდა, ფელეტონისტს იმგვარად გაეგო მთელი წიგნი, როგორადაც შეუძლებელი იყო გაგება, მაგრამ ისე მოხერხებულად შეერჩია ამონაწერები, რომ მათთვის, ვისაც წიგნი წაკითხული არ ჰქონდა (წიგნი კი, ეტყობა, არავის ჰქონდა წაკითხული), სავსებით ნათელი ხდებოდა, რომ ეს წიგნი სხვა არა იყო რა, თუ არა გროვა მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ისიც უადგილოდ ხმარებულისა (რასაც კითხვის ნიშნები მიუთითებდნენ) და რომ წიგნის ავტორი სრულიად უვიცი ადამიანი იყო. ყოველივე ეს იმდენად გონებამახვილურად იყო ნათქვამი, რომ თვით სერგეი ივანოვიჩიც არ იტყოდა უარს ასეთ გონებამახვილობაზე. სწორედ ეს იყო კიდეც საშინელი.

მიუხედავად იმისა, რომ სერგეი ივანოვიჩმა სრული კეთილსინდისიერებით შეამოწმა რეცენზენტის მოსაზრებათა სისწორე, ერთი წუთითაც არ შეჩერებულა იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, რომელიც მასხრად აეგდოთ წერილში, – მეტისმეტად აშკარად ჩანდა, რომ ყოველივე ეს განზრახ იყო შერჩეული და უნებურად მაშინვე შეეცადა, დაწვრილებით გაეხსენებინა თავისი შეხვედრა და საუბარი სტატიის ავტორთან.

„ხომ არაფერი ვაწყენინე?“ – ეკითხებოდა თავის თავს სერგეი ივანოვიჩი.

და გაიხსენა, მასთან შეხვედრისას როგორ გაუსწორა ამ ახალგაზრდას გამოთქმა ერთი სიტყვისა, რომელიც ააშკარავებდა მის უვიცობას და სერგეი ივანოვიჩისთვის ნათელი შეიქნა აზრი ამ სტატიისა.

ამის შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა წიგნის თაობაზე როგორც ბეჭდვით ორგანოებში, ისე პირად საუბრებში და

სერგეი ივანოვიჩისთვის ნათელი გახდა, რომ უკვალოდ ჩაიარა ასეთი რუდუნებითა და სიყვარულით შექმნილმა მისმა ექვსი წლის შრომის ნაყოფმა.

სერგეი ივანოვიჩის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა იმის გამო, რომ ამ წიგნის დამთავრების შემდეგ აღარ ჰქონდა კაბინეტური სამუშაო, რაც წინათ დროის უმეტეს ნაწილს ართმევდა.

სერგეი ივანოვიჩი განათლებული, ჭკვიანი, ჯანმრთელი და საქმიანი ადამიანი იყო და აღარ იცოდა, რაში გამოეყენებინა ეს თავისი ქმედითობა. მისი დროის ერთი ნაწილი ლაპარაკში იხარჯებოდა. ლაპარაკობდა სასტუმრო დარბაზებში, ყრილობებზე, კრებებზე, კომიტეტებში და ყველგან, სადაც კი ლაპარაკი შეიძლებოდა. მაგრამ სერგეი ივანოვიჩი, როგორც ქალაქის ძველი მკვიდრი, თავს ნებას ვერ მისცემდა, მთლიანად ლაპარაკს გადაჰყოლოდა, როგორც აკეთებდა ამას მისი გამოუცდელი ძმა მოსკოვში ყოფნისას. ამიტომაც კიდევ ბევრი თავისუფალი დრო და გონებრივი ძალა რჩებოდა.

მისდა საბედნიეროდ, წიგნის წარუმატებლობით გამოწვეულ ამ მისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში, სლავურმა საკითხმა, ადრე რომ მხოლოდ ბჟუტავდა საზოგადოებაში, მთლიანად შეცვალა სხვადასხვა სახის სარწმუნოება, ამერიკელი მეგობრების, სამარის შიმშილობის, გამოფენებისა და სპირიტიზმის საკითხი და სერგეი ივანოვიჩიც, რომელიც ერთი იმათგანი იყო, რომელიც ხელს უწყობდა სლავური საკითხის გაღვივებას, მთელი გატაცებით ჩაება ამ საქმეში.

იმ წრეში, რომელსაც სერგეი ივანოვიჩი ეკუთვნოდა, იმ ხანებში სხვა არაფერზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ, თუ არა სლავურ საკითხსა და სერბეთის ომზე. ყველაფერი, რასაც ჩვეულებრივ დროის მოსაკლავად აკეთებენ უქმად მყოფი ადამიანები, ახლა სლავთა სასარგებლოდ კეთდებოდა. ბალები, კონცერტები, სადილები, სადღეგრძელოები, ქალთა მორთულობანი, ლუდი, ტრაქტირები, – ყველაფერში სლავებისადმი თანაგრძნობა იხატებოდა.

ბევრ რამეს, რასაც ამ შემთხვევის გამო წერდნენ და ლაპარაკობდნენ, არ ეთანხმებოდა სერგეი ივანოვიჩი. იგი ხედავდა, რომ ბევრმა მხოლოდ ანგარებისა და განდიდების სურვილით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. მისთვის ნათელი იყო

ისიც, რომ გაზეთები ბევრ ისეთ რამეს ბეჭდავდნენ, რაც საჭირო არ იყო და აჭარბებდნენ კიდეც, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ყურადღება მიეპყროთ და სხვებზე მეტად ეყვირათ. იგი ხედავდა, რომ ამ საყოველთაო აღმავლობის დროს ზევით ამოტივტივდნენ და სხვებზე მეტს გაჰყვიროდნენ ხელმოცარული, შეურაცხყოფილი ადამიანები: უარმიო სარდლები, სამინისტროების გარეშე დარჩენილი მინისტრები, უჟურნალო ჟურნალისტები, უპარტიზანებო მეთაურები. სერგეი ივანოვიჩი იმასაც გრძნობდა, რომ ბევრი რამ ამაში ფუქსავატური და სასაცილო იყო, მაგრამ ხედავდა და აღიარებდა იმ საერთო, მზარდ ენთუზიაზმს, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების ყველა კლასს, ამაში აღარ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა და შეუძლებელი იყო, თანაგრძნობა არ გაგეწია. ერთმორწმუნე, მოძმე სლავთა ხოცვა-ჟლეტამ გამოიწვია თანაგრძნობა ტანჯულებისადმი და აღშფოთება მჩაგვრელების მიმართ. და გმირობამ სერბებისა და ჩერნოგორიელებისა, რომელნიც დიადი საქმისთვის იბრძოდნენ, მთელ ხალხში წარმოშვა სურვილი, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დახმარებოდნენ თანამოძმეებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, იყო მეორე მოვლენაც, რომელიც ახარებდა სერგეი ივანოვიჩს: ეს გახლდათ საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა. საზოგადოება გარკვევით გამოთქვამდა თავის სურვილს. ხალხის სულმა გამოსავალი პოვა, როგორც ამბობდა სერგეი ივანოვიჩი, და რაც უფრო ებმებოდა ამ საქმეში, მით ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ეს ისეთი საქმე იყო, რომელსაც მომავალში დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა და მთელ ეპოქას შექმნიდა.

მან მთლიანად შესწირა თავი ამ დიდი საქმის სამსახურს და გადაავიწყდა კიდეც თავისი წიგნი.

იგი ყოველთვის მოუცლელი იყო, ისე, რომ ვეღარც ასწრებდა პასუხი გაეცა ყველა წერილსა და თხოვნაზე.

ასე გაატარა მუშაობაში მთელი გაზაფხული და ნაწილი ზაფხულისა და მხოლოდ ივლისში მოახერხა სოფელში ძმასთან წასვლა.

სერგეი ივანოვიჩი ორი კვირით მიდიოდა დასასვენებლად, რათა ამ წმიდათაწმიდა ადგილას, სოფლის მყუდროებაში დამტკბარიყო ხალხის საერთო სულიერი აღმავლობით, რაც

სავსებით სჯეროდა მასაც და სატახტო ქალაქისა და ქალაქის ყველა მცხოვრებს. მასთან ერთად მიემგზავრებოდა კატავასოვიც, რომელიც დიდი ხანია ემზადებოდა, აღესრულებინა ლევინისთვის მიცემული პირობა და ჩასულიყო მასთან სოფელში.

II

სერგეი ივანოვიჩი და კატავასოვი ის იყო, მიუახლოვდნენ კურსკის რკინიგზის სადგურს, სადაც დღეს განსაკუთრებით ბლომად ირეოდა ხალხი და გადმოვიდნენ კარეტიდან, რათა შეეთვალიერებინათ მათ უკან ბარგით მომავალი ლაქია, რომ ამ დროს სადგურს მოხალისეებით სავსე ოთხი ეტლი მოადგა. მათ წინ შეეგებნენ მანდილოსნები თაიგულებით და მოზღვავებულ ხალხთან ერთად შევიდნენ სადგურში.

ერთ-ერთი მანდილოსანი, რომელიც მოხალისეების გასაცილებლად გამოსულიყო, დარბაზიდან გამოსვლისას გამოელაპარაკა სერგეი ივანოვიჩს.

– თქვენც გასაცილებლად მოხვედით? – ფრანგულად ჰკითხა მან.

– არა, თავადის ქალო, მე თვითონ მივდივარ ძმასთან, დასასვენებლად. თქვენ სულ აცილებთ? – ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– სხვაგვარად შეუძლებელია! – უპასუხა ქალმა, – მართალია, რომ ჩვენგან უკვე რვაასი კაცია წასული? მალვინსკი არ მიჯერებდა.

– რვაასზე მეტიც. თუ იმათაც ჩავთვლით, რომელნიც პირდაპირ მოსკოვიდან არ წასულან, ათასზე მეტიც იქნება, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა.

– აი, ხომ ხედავთ, მეც ამას ვამბობდი! – სიხარულით ჩამოართვა სიტყვა თავადის ქალმა, – ისიც ხომ მართალია, რომ შეწირულებამ უკვე მილიონამდე მიაღწია.

– უფრო მეტსაც, ქალბატონო.

– დღევანდელი დეპეშა როგორია? ისევ დაამარცხეს თურქები.

– დიახ, წავიკითხე, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა. ისინი ლაპარაკობდნენ უკანასკნელ დეპეშაზე, რომელიც იუწყებოდა, რომ სამი დღის განმავლობაში ყველა პუნქტზე ზედიზედ ამარცხებდნენ თურქებს და ხვალისთვის მოსალოდნელი იყო გადამწყვეტი ბრძოლა.

– ჰო, მართლა, ერთი მშვენიერი ყმაწვილი თხოულობს მოხალისედ წასვლას. არ ვიცი, რატომ გაუძნელეს საქმე. მინდოდა მეთხოვა თქვენთვის. მე ვიცნობ მას. თუ შეიძლება, გეთაყვა, დამიწერეთ ბარათი. იგი გრაფინია ლიდია ივანოვნას გამოგზავნილია.

სერგეი ივანოვიჩმა დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, რაც თავადის ქალმა იცოდა ამ ახალგაზრდის შესახებ, შემდეგ პირველი კლასის დარბაზში გავიდა, წერილი მისწერა იმ პირს, რომელზეც დამოკიდებული იყო ეს და ბარათი თავადის ქალს გადასცა.

– იცით, გრაფი ვრონსკი, თქვენ ხომ იცნობთ მას... ამავე მატარებლით მიემგზავრება... – რაღაც მხიარული, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით უთხრა თავადის ქალს, როცა სერგეი ივანოვიჩმა კვლავ მოძებნა იგი და ბარათი გადასცა.

– მეც გავიგე, რომ მიდის, მაგრამ არ ვიცოდი, როდის მიდიოდა. ამ მატარებელს მიჰყვება?

– მე დავინახე. აქ არის. მხოლოდ დედა აცილებს. ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაზე უკეთესია, რისი გაკეთებაც კი მას შეეძლო.

– ო, დიახ, რა თქმა უნდა.

სწორედ იმ დროს, როცა ისინი ამას ლაპარაკობდნენ, ბრბო ხმაურით მიაწყდა მათ გვერდით სასადილო მაგიდას. მათაც იქით წაიწიეს და გაიგონეს ვიღაც მამაკაცის ხმამაღალი ლაპარაკი, რომელიც ჭიქით ხელში სიტყვით მიმართავდა მოხალისეებს. „ემსახურეთ სარწმუნოებას, კაცობრიობას, დაეხმარეთ თქვენს მოძმეთ, – ამბობდა იგი და უფრო და უფრო უწევდა ხმას, – ამ დიადი საქმისთვის გლოცავთ დედამოსკოვი. ჟ ი ვ ი ო!“[126] – მაღალი ცრემლნარევი ხმით დაამთავრა მან.

ყველამ ერთხმად შესძახა: ჟივიო! და კიდევ ახალი ბრბო შემოიჭრა დარბაზში და ლამის წააქცია თავადის ქალი.

– ოჰ! ქალბატონო, როგორ მოგწონთ! – მიმართა ქალს სიხარულის ღიმილით სახეგაბრწყინებულმა სტეპან არკადიჩმა, რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდა შუაგულ ბრბოში, – მეტისმეტად კარგად, გულთბილად მიმართა, ხომ მართალია? გაუმარჯოს! სერგეი ივანოვიჩიც აქ არის! თქვენც რომ გეთქვათ რამდენიმე სიტყვა, გაგემხნევებინათ; თქვენ ისე გეხერხებათ, – ნაზი, ფრთხილი და პატივისცემის გამომხატველი ღიმილით დასძინა მან და ხელზე ხელი მოჰკიდა სერგეი ივანოვიჩს.

– არა, მე ახლა მივდივარ.

– სად მიდიხართ?

– სოფელში, ძმასთან, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა.

– მაშ, თქვენ ჩემს მეუღლესაც ნახავთ. წერილი მივწერე, მაგრამ თქვენ უფრო ადრე ინახულებთ. თუ შეიძლება, გადაეცით, რომ მნახეთ, და რომ all right.[127] თვითონვე მიხვდება. თუ შეიძლება, ისიც უთხარით, რომ მე უკვე დანიშნული ვარ კომისიის წევრად შეერთებულ... თუმცა თვითონვე გაიგებს! ხომ მოგეხსენებათ, les petites miséres de la vie humaine,[128] – თითქოს ბოდიშის მოხდით მიუბრუნდა იგი თავადის ქალს, – მიაგკაია, ლიზა კი არა, ბიბიში მაინც აგზავნის ათას თოფსა და თორმეტ მოწყალების დას. თქვენთვის არ მითქვამს ეს?

– სამწუხაროა, რომ მიდიხართ. ხვალ ჩვენ სადილს ვუმართავთ ორ მოხალისეს – პეტერბურგელ დიმერ-ბარტნიანსკის და ჩვენს ვესლოვსკის, გრიშას. ორივენი მიდიან. ვესლოვსკიმ სულ ახლახან შეირთო ცოლი. აი, მესმის ყოჩაღი ყმაწვილი! ხომ მართალია, თავადის ქალო! – მიუბრუნდა იგი ქალს.

თავადის ქალმა პასუხი არ გასცა და კოზნიშევს გადახედა. მაგრამ ის, რომ სერგეი ივანოვიჩსა და თავადის ქალს თითქოს მისი თავიდან მოცილება უნდოდათ, სულაც არ აშფოთებდა სტეპან არკადიჩს. იგი ღიმილით შეჰყურებდა ხან თავადის ქალის ქუდის ფრთას, ხან აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა და როგორც კი თვალი მოჰკრა ქალს, რომელმაც ყულაბით ჩაიარა მათ გვერდით, მაშინვე მოუხმო და ხუთმანეთიანი ქაღალდის ფული ჩაუგდო.

– დამშვიდებით არ შემიძლია ვუყურო ამ ყულაბებს, სანამ კი ფული მაქვს ჯიბეში, – თქვა მან, – დღევანდელი დეპეშა როგორია? ყოჩაღ, ჩერნოგორიელებო!

– რას მეუბნებით! – წამოიძახა მან, როცა თავადის ქალმა უთხრა, ვრონსკი ამ მატარებლით მიემგზავრებაო. წამით სტეპან არკადიჩს თითქოს მწუხარება გამოეხატა სახეზე, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, როცა იგი ტანის ოდნავი რხევითა და ქილვაშების სწორებით შევიდა იმ ოთახში, სადაც ვრონსკი იმყოფებოდა, სულ გადაავიწყდა თავისი სასოწარკვეთილი ქვითინი დის ცხედართან და ახლა მხოლოდ ისე უყურებდა ვრონსკის, როგორც გმირსა და ძველ მეგობარს.

– მიუხედავად მთელი მისი ნაკლოვანებებისა, არ შეგიძლია სიმართლე არ თქვა, – მიმართა თავადის ქალმა სერგეი ივანოვიჩს, როგორც კი სტეპან არკადიჩი მოსცილდა მათ, – აი, ნამდვილი რუსული, სლავური ბუნების ადამიანი! მხოლოდ ვშიშობ, ვრონსკისთვის სასიამოვნო არ იქნება მისი ნახვა. როგორც გნებავთ თქვით და მე მაინც მაღელვებს ამ ადამიანის ბედი. გამოესაუბრეთ მას გზაში, – უთხრა თავადის ქალმა.

– დიახ, შეიძლება, თუ შემთხვევა მომეცა.

– მე არასოდეს მყვარებია იგი, მაგრამ მისმა საქციელმა ბევრი რამ გამოისყიდა. თვითონაც მიდის და კიდევ მთელი ესკადრონი მიჰყავს თავისი ხარჯით.

– დიახ, გავიგე.

ზარის ხმა გაისმა. ყველანი კარებს მიაწყდნენ.

– აი, ისიც! – თქვა თავადის ქალმა და მიუთითა ვრონსკიზე, რომელსაც ტანთ გრძელი პალტო ეცვა, თავზე ფართოფარფლებიანი შავი ქუდი ეხურა და ხელგაყრილი მიჰყვებოდა დედას. გვერდით ობლონსკი მისდევდა და რაღაცაზე გაცხოველებით ელაპარაკებოდა.

ვრონსკი მოღუშული იყურებოდა წინ, თითქოს არც ესმოდა, რას ელაპარაკებოდა სტეპან არკადიჩი.

ეტყობა, სტეპან არკადიჩის მითითებით, ვრონსკიმ იქით გაიხედა, საითაც თავადის ქალი და სერგეი ივანოვიჩი იდგნენ და ხმაამოუღებლივ ოდნავ ასწია ქუდი. დამწუხრებული, მობერებული სახე თითქოს გაქვავებოდა.

ბაქანზე რომ გავიდნენ, ვრონსკიმ უხმოდ გაატარა დედა წინ და თვითონაც ვაგონში მიიმალა.

„ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, – გაისმა ბაქანზე და ამას მოჰყვა შეძახილები: „ვაშა და ჟივიო!“ ერთი მაღალი, მკერდჩავარდნილი, ძალიან ახალგაზრდა მოხალისე განსაკუთრებით შესამჩნევად უხდიდა მადლობას გამცილებლებს და ჩალის ქუდსა და თაიგულს იქნევდა. მის უკან თავი გამოეყოთ ორ ოფიცერსა და ერთ ხანში შესულ, გრძელწვერა მამაკაცს, რომელსაც გაქონილი ქუდი ეხურა თავზე. ისინიც მადლობას უხდიდნენ გამცილებლებს.

III

სერგეი ივანოვიჩი გამოემშვიდობა თავადის ქალს და კატავასოვთან ერთად, რომელიც ის იყო შეუერთდა მათ, ხალხით გაჭედილ ვაგონში ავიდა. მატარებელი დაიძრა.

ცარიცინის სადგურზე ისევ შეეგებნენ „იდიდეს“ სიმღერით ახალგაზრდები. მოხალისეებიც ისევ ესალმებოდნენ, თავს ყოფდნენ ვაგონებიდან. სერგეი ივანოვიჩი ყურადღებას არ აქცევდა მათ. იმდენჯერ ჰქონია საქმე მოხალისეებთან და იმდენად ნაცნობი იყო მისთვის მათი საერთო ტიპი, რომ უკვე აღარ აინტერესებდა. კატავასოვი კი, რომელსაც თავისი მეცნიერული მუშაობის გამო შემთხვევა არასოდეს ჰქონია დაჰკვირვებოდა მოხალისეებს, დიდად დაინტერესებული იყო ამით და სულ ეკითხებოდა სერგეი ივანოვიჩს.

სერგეი ივანოვიჩმა ურჩია, გადასულიყო მეორე კლასის ვაგონში და თვითონვე გამოლაპარაკებოდა მათ... შემდეგ სადგურზე კატავასოვმა აღასრულა ეს რჩევა.

პირველ გაჩერებაზევე გადავიდა მეორე კლასის ვაგონში და გაიცნო მოხალისეები. ისინი ვაგონის კუთხეში ისხდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და, ეტყობოდათ, გრძნობდნენ, რომ მგზავრებისა და ვაგონში შემოსული კატავასოვის ყურადღება მათკენ იყო მიმართული. ყველაზე მეტს მაღალი, მკერდჩავარდნილი ახალგაზრდა გაჰყვიროდა, ეტყობა,

მთვრალი იყო და რაღაც ამბავს ჰყვებოდა, მათ უწყებაში რომ მომხდარიყო. მის პირდაპირ იჯდა ხანში შესული ოფიცერი, რომელსაც ავსტრიული გვარდიელთა მუნდირის სამხედრო სათბური ეცვა. იგი ღიმილით უსმენდა ახალგაზრდას და დროდადრო შეაჩერებდა ხოლმე. მესამე, არტილერისტთა მუნდირში გამოწყობილი, მათ გვერდით, ჩემოდანზე იჯდა. მეოთხეს ეძინა.

კატავასოვი გამოელაპარკა ახალგაზრდას და შეიტყო, რომ იგი მდიდარი მოსკოველი ვაჭარი იყო, რომელსაც ოცდაორ წლამდე მოესწრო მთელი ქონების გაფლანგვა. იგი არ მოეწონა კატავასოვს: მეტისმეტად გააზიზებული, განებივრებული და ფიზიკურად სუსტი იყო. ეტყობა, სჯეროდა, განსაკუთრებით ახლა, ნაღვინევზე, რომ გმირულ საქმეს სჩადიოდა და მეტისმეტად არასასიამოვნოდ იწონებდა ამით თავს.

მეორემ, გადამდგარმა ოფიცერმაც, უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ეტყობოდა, ყველაფერი გამოეცადა ცხოვრებაში. რკინიგზაზეც ემსახურა, მოურავადაც იყო ნამყოფი, თვითონაც დაეარსებინა რაღაც ფაბრიკები, ლაპარაკობდა ყველაფერზე, ყოველგვარი საჭიროების გარეშე და უადგილოდ ხმარობდა მეცნიერულ სიტყვებს.

მესამე, არტილერისტი, პირიქით, ძალიან მოეწონა. თავმდაბალი, ჩუმი ადამიანი ჩანდა, რომელიც, ალბათ, ქედს იხრიდა გადამდგარი გვარდიელის ცოდნასა და ვაჭრის გმირული თავგანწირვის წინაშე და თავის თავზე აღარაფერს ამბობდა. როცა კატავასოვმა ჰკითხა, რამ გაფიქრებინა სერბეთში წასვლაო, მორცხვად უპასუხა: – რას იზამ, ყველა მიდის. უნდა დაეხმარო სერბებს, ცოდონი არიან.

– ჰო, განსაკუთრებით არტილერისტები ძალიან აკლიათ, – უთხრა კატავასოვმა.

– მე ხომ დიდხანს არ მიმსახურია არტილერიაში. შეიძლება ფეხოსნად ან კავალერიაში გამამწესონ.

– რატომ ფეხოსნად, როცა არტილერისტები ყველაზე მეტად სჭირდებათ? – უთხრა კატავასოვმა, რომელმაც არტილერისტის წლოვანების მიხედვით ივარაუდა, რომ მას კარგი ჩინი უნდა ჰქონოდა.

– მე დიდხანს არ მიმსახურია არტილერიაში. იუნკერი ვიყავი,

როცა გადავდექი, – უთხრა მან და დაიწყო მოყოლა, რატომ ვერ ჩააბარა გამოცდები.

ყოველივე ამან უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა კატავასოვზე და როცა მოხალისენი სადგურზე ჩავიდნენ დასალევად, მოისურვა ვინმესთან საუბარში შეემოწმებინა თავისი უსიამო შთაბეჭდილებები. ერთი სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილი მოხუცი მგზავრი თავიდანვე ყურს უგდებდა კატავასოვისა და მოხალისეების საუბარს და როცა კატავასოვი პირისპირ დარჩა ამ მოხუცთან, გამოელაპარაკა: – დიახ, სულ სხვაგვარია იქ წამსვლელთა მდგომარეობა, – გაურკვევლად უთხრა კატავასოვმა. ამით უნდოდა გამოეთქვა თავისი აზრი და ისიც გაეგო, რას ფიქრობდა მოხუცი.

მოხუცი სამხედრო პირი იყო. მონაწილეობდა კიდეც ორ კამპანიაში და იცოდა, რას ნიშნავდა სამხედრო პირი. ამიტომ არ მოსწონდა ამ ვაჟბატონების არც შესახედაობა, არც საუბარი და არც ის, ასე გაბედულად რომ წრუპავდნენ მათარას. ცუდ სამხედროებად თვლიდა მათ. გარდა ამისა, მოხუცი სამაზრო ქალაქის მცხოვრები იყო და უნდოდა ეამბა, როგორ წავიდა მათი ქალაქიდან ერთი სალდათი, ქურდი და ლოთი, რომელსაც აღარავინ იღებდა სამუშაოზე. მაგრამ გამოცდილებით იცოდა, რომ საზოგადოების დღევანდელი განწყობილების მიხედვით სახიფათო იყო საერთო აზრის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, მით უმეტეს, სახიფათო იყო მოხალისეთა გაკიცხვა და ისიც ასევე ამოწმებდა კატავასოვს.

– რას იზამთ, ხალხია საჭირო, – უთხრა მან, თან თვალები უცინოდა.

საუბარი დაიწყეს უკანასკნელ საომარ მოქმედებათა შესახებ და ორივემ ერთმანეთს დაუმალა თავისი გაოცება, თუ სახელდობრ ვისთან იყო მოსალოდნელი ბრძოლა, როცა თურქები, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ყველა პუნქტზე დამარცხებული იყვნენ და ორივე ისე დაშორდა ერთმანეთს, რომ არ გაუმჟღავნებია თავისი მოსაზრება.

ვაგონში რომ დაბრუნდა, კატავასოვმა რატომღაც იცრუა და ისე მოუყვა სერგეი ივანოვიჩს თავისი შთაბეჭდილებები მოხალისეებზე, თითქოს ისინი ჩინებული ყმაწვილები ყოფილიყვნენ.

ქალაქში, დიდ სადგურზე, კვლავ სიმღერითა და შეძახილებით

შეეგებნენ მოხალისეებს. აქაც გამოჩნდნენ შეწირულობათა შემკრები ქალები და კაცები ყულაბებით ხელში. აქაც თაიგულებით დახვდნენ მოხალისეებს გუბერნიის მანდილოსნები და უკან გაჰყვნენ მათ ბუფეტისაკენ, მაგრამ ყოველივე ეს გაცილებით სუსტი და მცირერიცხოვანი იყო მოსკოვთან შედარებით.

IV

როცა მატარებელი საგუბერნიო ქალაქში გაჩერდა, სერგეი ივანოვიჩი ბუფეტში არ შესულა, ბაქანზე ჩამოვიდა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

პირველად ვრონსკის განყოფილებას ჩაუარა და შენიშნა, ფანჯრის ფარდები ჩამოშვებული იყო. მეორე გავლისას კი ფანჯარასთან მოხუცი გრაფინია დაინახა. მან თავისთან მიიხმო კოზნიშევი.

– აი, მეც მოვდივარ, კურსკამდე უნდა გავაცილო იგი, – უთხრა გრაფინიამ.

– დიახ, გავიგე, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა და ფანჯარასთან გაჩერდა, ვაგონში გადაიხედა, – ეს დიდებული საქციელია, – დასძინა მან, როცა შენიშნა, რომ ვრონსკი არ იყო განყოფილებაში.

– დიახ, მეტი რაღა დარჩენია თავისი უბედურების შემდეგ.

– რა შემაძრწუნებელი ამბავია! – თქვა სერგეი ივანოვიჩმა.

– აჰ, რა გადავიტანე! შემოდით ვაგონში... აჰ, რა გადავიტანე! – გაიმეორა მან, როცა სერგეი ივანოვიჩი ვაგონში შევიდა და მის გვერდით დივანზე ჩამოჯდა, – ამის წარმოდგენა შეუძლებელია! ექვსი კვირის განმავლობაში არავის დალაპარაკებია და ჭამითაც მხოლოდ მაშინ შეჭამდა რამეს, როცა მე დავუწყებდი ხვეწნას. არც ერთი წუთით არ შეიძლებოდა მისი მარტო დატოვება. დავუმალეთ ყველაფერი, რითაც თავის მოკვლა შეეძლო. ჩვენ ქვედა სართულზე

ვცხოვრობდით, მაგრამ მაინც არ შეგვეძლო მშვიდად ყოფნა. თქვენ ხომ იცით, რომ მან ერთხელ უკვე სცადა თავის მოკვლა მის გამო, – თქვა გრაფინიამ და ამის გახსენებაზე მოხუცმა მანდილოსანმა წარბები შეკრა, – დიახ, მან ისე დაასრულა თავისი ცხოვრება, როგორც მოსალოდნელი იყო ასეთი ქალისაგან. სიკვდილიც კი საზიზღარი და სულმდაბლური აირჩია.

– ამას ჩვენ ვერ განვსჯით, გრაფინია, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და ამოიოხრა, – მაგრამ წარმოდგენილი მაქვს, თქვენთვის რა მძიმე ასატანი იქნებოდა ეს.

– ოჰ, ნუღარ მეტყვით! მე ჩემს მამულში ვცხოვრობდი. ალექსეიც ჩემთან იყო. მოუტანეს წერილი. იმანაც პასუხი დაწერა და გაუგზავნა. ჩვენ არ ვიცოდით, თუ ისიც იქვე სადგურზე იყო. საღამოს ის იყო გავედი ჩემს ოთახში, რომ ჩემი მერი მეუბნება, სადგურზე ვიღაც ქალი მატარებლის ქვეშ ჩავარდაო. თითქოს რაღაცამ დამკრა თავში! მაშინვე მივხვდი, ის იქნებოდა. პირველი, რაც წამოვიძახე, ის იყო, ალექსეის არაფერი უთხრათ-მეთქი. მაგრამ უკვე ეთქვათ მისთვის. მისი მეეტლეც იქ იყო და ყველაფერი თავისი თვალით ენახა. როცა მის ოთახში შევირბინე, ალექსეი უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, – საზარელი სანახავი იყო. ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, მაშინვე იქით გაექანა. მე არ ვიცი, რა მოხდა იქ, მაგრამ ალექსეი კი ისე ჩამოიტანეს იქიდან, როგორც მკვდარი. მე უკვე ვეღარ ვიცანი შვილი. Prostration compléte,[129] – თქვა ექიმმა. ამის შემდეგ კი თითქმის ნამდვილი სიშმაგე დაეწყო, – ოჰ, რა სათქმელია! – თქვა გრაფინიამ და ხელი ჩაიქნია, – საშინელი დროა! არა, როგორც გინდათ თქვით და საძაგელი ქალი იყო. აბა, რა არის ეს უგვანი ვნებები! ყველაფერი იმისთვის უნდათ, რომ რაღაც განსაკუთრებული დაამტკიცონ. ჰოდა, დაამტკიცა კიდეც. თვითონაც დაიღუპა და ორი შესანიშნავი ადამიანი – თავისი ქმარი და ჩემი უბედური შვილიც დაღუპა.

– მისი ქმარი როგორღაა? – ჰკითხა სერგეი ივანოვიჩმა.

– ქმარმა წაიყვანა მისი გოგონა. პირველად ალიოშა ყველაფერზე თანახმა იყო. ახლა კი საშინლად იტანჯება იმის გამო, რომ თავისი შვილი უცხო კაცს მისცა, მაგრამ სიტყვის უკან დაბრუნება აღარ შეუძლია. კარენინი დაკრძალვაზე ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენ ვცდილობდით, არ შეხვედროდა

ალიოშას. ქმრისთვის მაინც უფრო იოლი ასატანია ეს. იგი თითქმის გათავისუფლდა კიდეც ამით. ჩემი საცოდავი შვილი კი მთელი სულითა და გულით მას მიენდო. ყველაფერი მიატოვა მისი გულისთვის, – კარიერაც, დედაც, მაგრამ მან მაინც არ დაინდო და განზრახ სულ მოუღო ბოლო. არა, როგორც გინდათ თქვით, და თვით მისი სიკვდილი – საძაგელი, ურწმუნო ქალის სიკვდილია. ღმერთო, ნუ მიწყენ, მაგრამ არ შემიძლია არ მძულდეს მისი ხსოვნა, როცა ჩემი შვილის დაღუპვას ვუყურებ.

– ახლა როგორ არის იგი?

– პირდაპირ ღმერთმა გვიშველა, ომი რომ დაიწყო. მე მოხუცი ადამიანი ვარ, ამისი არაფერი გამეგება, მას კი ღმერთმა გამოუგზავნა ეს ომი. რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც დედისთვის, ეს საშინელებაა; რაც მთავარია, იმასაც ამბობენ, რომ ce n’est pas très bien vu à Petersbourg.[130] მაგრამ რას იზამ! მხოლოდ ამას შეეძლო მისი გამხნევება... იაშვინმა, მისმა მეგობარმა, ყველაფერი წააგო და სერბეთში წასვლა გადაწყვიტა. ალიოშაც ინახულა და ისიც დაითანხმა. ახლა იგი დაინტერესებულია ამით. თუ შეიძლება, გამოესაუბრეთ ალიოშას, მინდა, როგორმე გაერთოს. მეტისმეტად მოწყენილია. საუბედუროდ კბილებიც ახლა ასტკივდა. თქვენი ნახვა ძალიან გაუხარდება: გეთაყვა, ისაუბრეთ მასთან, იგი ამ მხარეს დადის.

სერგეი ივანოვიჩმა უპასუხა, რომ დიდად მოხარული იქნებოდა ამისა, და ვაგონის მხარეს გადავიდა.

V

ბაქანზე დაზვინული ტომრების ალმაცერად გადახრილ ჩრდილში ვრონსკი თავისი გრძელი პალტოთი და სახეზე ჩამოწეული ქუდით ისე დადიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თითქოს გალიაში მომწყვდეული ნადირიაო, ოციოდე ნაბიჯს გაივლიდა და სწრაფად უკანვე ბრუნდებოდა. სერგეი ივანოვიჩს, როცა ვრონსკის მიუახლოვდა, მოეჩვენა, თითქოს

ვრონსკიმ უკვე შეამჩნია იგი და განზრახ აარიდა თვალი. მაგრამ ეს მისთვის სავსებით სულერთი იყო. ვრონსკისთან იგი ყოველგვარ პირად ანგარიშებზე მაღლა იდგა.

ამ წუთში სერგეი ივანოვიჩის თვალწინ ვრონსკი დიადი საქმის მნიშვნელოვანი მონაწილე იყო და თავის მოვალეობად მიაჩნდა შეექო და წაეხალისებინა იგი. სერგეი ივანოვიჩი მიუახლოვდა ვრონსკის.

ვრონსკი შეჩერდა, სახეში ჩააცქერდა. იცნო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შესახვედრად და ღონივრად ჩამოართვა ხელი.

– შეიძლება, თქვენთვის სასურველი არ იყოს ჩემთან შეხვედრა, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, – მაგრამ იქნებ შემიძლია დაგეხმაროთ რამეში?

– შეუძლებელია ვინმესთან ისე ნაკლებად არასასიამოვნო იყოს შეხვედრა, ვიდრე თქვენთან, – უთხრა ვრონსკიმ, – მაპატიეთ, მაგრამ ცხოვრებაში ჩემთვის აღარაფერია სასიამოვნო.

– ჩემთვის გასაგებია ეს და მინდოდა ჩემი სამსახური შემომეთავაზებინა თქვენთვის, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და სახეში ჩააცქერდა ვრონსკის, რომელსაც ცხადად ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა, – ხომ არ გინდათ, წერილი გაგატანოთ რისტიჩთან ან მილანთან.

– ო, არა! – იმგვარად უპასუხა ვრონსკიმ, თითქოს ძლივს ჩასწვდა მისი ნათქვამის აზრს, – თუ თქვენთვის სულერთია, ვიაროთ ბაქანზე. ვაგონში ისეთი შეხუთული ჰაერია. წერილი? არა, გმადლობთ. სიკვდილისთვის რეკომენდაცია არ არის საჭირო. სულერთია, თურქებთან იქნება თუ... – უთხრა მან და მხოლოდ ტუჩებით გაიღიმა. თვალებში კი კვლავ ისეთივე რისხვა და მწუხარება ეხატებოდა.

– დიახ, მაგრამ შესაძლოა წინასწარ მომზადებულ ადამიანთან უფრო იოლი შეიქნეს ურთიერთობის დამყარება, რადგან ეს აუცილებელია. თუმცა, როგორც გინდოდეთ. მე დიდად გამიხარდა, როცა თქვენი გადაწყვეტილება შევიტყვე. იმდენნაირად ესხმიან თავს მოხალისეებს, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენა ხართ, უსათუოდ აამაღლებს საზოგადოებრივ აზრს მათზე.

– მე, როგორც ადამიანი, – თქვა ვრონსკიმ, – იმით ვარ კარგი,

რომ ცხოვრება არაფრად მიღირს. რაც შეეხება ფიზიკურ ენერგიას, ეს ჩემში საკმაოდ არის, რათა შევიჭრა მათ რაზმში, გავანადგურო ისინი ან თავი შევაკლა, – ეს მე ვიცი. მოხარული ვარ, რომ აღმოვაჩინე ისეთი რამ, რასაც შემიძლია შევწირო ჩემი სიცოცხლე, რომელიც ჩემთვის სრულებით არ არის საჭირო და თავიც მომაბეზრა. ვინმეს მაინც გამოადგება, – და მან მოუთმენლად შეათამაშა ყვრიმალის ძვალი. დაუსრულებელი, მტანჯველი კბილის ტკივილი ნებას არ აძლევდა, იმგვარი გამომეტყველებით ეთქვა ეს, როგორც უნდოდა.

– თქვენ ხელმეორედ აღდგებით, მე გიწინასწარმეტყველებთ ამას, – აღელვებით უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, გული ატკინა მისმა მწუხარებამ, – მოძმეთა გათავისუფლება მონობისაგან იმგვარი მიზანია, რისთვისაც ღირს სიკვდილიც და სიცოცხლეც. ღმერთს ვთხოვ, მოგანიჭოთ წარმატება და სულიერი სიმშვიდე! – დასძინა მან და ხელი გაუწოდა.

ვრონსკიმ ღონივრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.

– დიახ, როგორც იარაღი, შეიძლება კიდევ გამოსადეგი ვიყო, მაგრამ როგორც ადამიანი კი განადგურებული ვარ, – ნელა, სვენებ-სვენებით თქვა მან.

ჯანმრთელი კბილის შეუნელებელი ტკივილი ნერწყვით უვსებდა პირს და ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა. იგი გაჩუმდა და მიაჩერდა ტენდერის თვლებს, რომლებიც ნელა მიცურავდნენ ლიანდაგზე.

და უეცრად სრულიად სხვა, ტკივილმა კი არა, მტანჯველმა უხერხულობამ აიძულა ერთი წამით დაევიწყებინა კბილის ტკივილი. ტენდერისა და ლიანდაგების დანახვამ, საუბარმა იმ ნაცნობთან, რომელსაც აღარ შეხვედრია თავისი უბედურების შემდეგ, ვრონსკის უცებ გაახსენა ანა, ესე იგი ის, რაც გადარჩენილიყო მისგან, როცა ვრონსკი გიჟივით შევარდა რკინიგზის სადგურის ყაზარმაში: მაგიდაზე უცხო ხალხის წინაშე უსირცხვილოდ გამოტილიყო გასისხლიანებული სხეული, რომელიც ჯერ კიდევ სავსე იყო ახლახან ჩამქრალი სიცოცხლით; უკან გადაეგდო დაუზიანებელი, თმით დამძიმებული თავი, საფეთქლებთან ჩამოშლილი კულულებით, მშვენიერ სახეზე, ნახევრად გაღებულ ვარდისფერ ტუჩებზე რაღაც უცნაური, საბრალო გამომეტყველება შეჰყინვოდა, საშინელი, ღიად დარჩენილი

თვალები კი თითქოს ცხადად ეუბნებოდნენ იმ საზარელ სიტყვებს, რომელიც ანამ ჩხუბის დროს უთხრა, რომ ვრონსკი ინანებდა ამას.

და ვრონსკი შეეცადა გაეხსენებინა ანა ისეთი, როგორიც იხილა მაშინ, როცა პირველად შეხვდა ისევ რკინიგზის სადგურზე – იდუმალებით მოცული, მშვენიერი, სიყვარულით აღსავსე, მაძიებელი და მიმნიჭებელი ბედნიერებისა, და არა ისეთი შეუბრალებელი და შურისმაძიებელი, როგორიც უკანასკნელ წუთს ახსოვდა. ცდილობდა, გაეხსენებინა მასთან გატარებული საუკეთესო წუთები, მაგრამ ეს წუთები სამუდამოდ მოწამლული იყო მისთვის. მას ახსოვდა ანა გამარჯვებული, რომელმაც აღასრულა თავისი არავისთვის საჭირო მუქარა და წარუხოცელი მონანიება. ვრონსკი უკვე აღარ გრძნობდა კბილის ტკივილს და ქვითინისაგან სახე ეღრიჯებოდა.

მან ხმაამოუღებლად ორჯერ ჩაიარა ტომრების გვერდით და როცა სავსებით დაეუფლა თავს, მშვიდად მიუბრუნდა სერგეი ივანოვიჩს: – გუშინდელს აქეთ ხომ არ მიგიღიათ დეპეშა? დიახ, მესამეჯერ დაამარცხეს, მაგრამ ხვალისთვის მოსალოდნელია გადამწყვეტი ბრძოლა.

შემდეგ ილაპარაკეს მილანის მეფედ გამოცხადებაზე და იმ დიდად მნიშვნელოვან შედეგებზე, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა ამას. მხოლოდ მეორე ზარის შემდეგ გაშორდნენ ერთმანეთს და თავ-თავიანთი ვაგონებისაკენ გასწიეს.

VI

სერგეი ივანოვიჩმა არ იცოდა, როდის მოახერხებდა მოსკოვიდან გასვლას და ამიტომაც დეპეშით არ შეუტყობინებია ძმისთვის, რათა გამოეგზავნა ვინმე მის დასახვედრად. ლევინი შინ არ იყო, როცა დღის თორმეტ საათზე კატავასოვი და სერგეი ივანოვიჩი სადგურზე დაქირავებული ტარანტასით, ზანგებივით მტვრით გაშავებულნი პოკროვსკოეს სახლის პარმაღს მიუახლოვდნენ. კიტი აივანზე იჯდა მამასა და დასთან ერთად, მან მაშინვე იცნო მაზლი და

მის შესაგებებლად ქვევით ჩაირბინა.

– როგორ არ გრცხვენიათ, რომ არ შეგვატყობინეთ, – უთხრა კიტიმ სერგეი ივანოვიჩს, ხელი გაუწოდა და შუბლი მიუშვირა საკოცნელად.

– ჩვენ მშვენივრად ვიმგზავრეთ და არც თქვენ შეგაწუხეთ, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა, – ისე ვარ დამტვერილი, რომ ხელის მოკიდებისაც მეშინია. ძალიან მოუცლელი ვიყავი, არ ვიცოდი, როდის დავაღწევდი თავს. თქვენ ისევ ძველებურად ხართ, – ღიმილით დასძინა მან, – ჩუმი ბედნიერებით ტკბებით თქვენს მყუდრო საგუბარში, რომელსაც არაფერი აშფოთებს. აი, ჩვენმა მეგობარმა ფიოდორ ვასილიჩმაც, როგორც იქნა, მოახერხა ჩამოსვლა.

– მაგრამ მე ზანგი არ გეგონოთ, ხელ-პირს დავიბან და ადამიანს დავემსგავსები, – თავისებურად გაიხუმრა კატავასოვმა, ხელი გაუწოდა, გაიღიმა და სახის სიშავის გამო მეტისმეტად თეთრი კბილები გამოაჩინა.

– კოსტია დიდად მოხარული იქნება. ხუტორშია წასული. საცაა მოვა კიდეც.

– ისევ მეურნეობით არის გატაცებული. აი, მართლაც რომ საგუბარშია, – თქვა კატავასოვმა, – ჩვენ კი ქალაქში სერბეთის ომის მეტი აღარაფერი გვახსოვს. საინტერესოა, რა აზრისაა ჩემი მეგობარი ამ საკითხზე. ალბათ, სხვებისგან სრულიად განსხვავებულად უყურებს ამას?

– დიახ, ისე, ჩვეულებრივად, როგორც ყველა, – უპასუხა თითქოს შეცბუნებულმა კიტიმ და გადახედა სერგეი ივანოვიჩს, – მაშ, მე მსახურს გავგზავნი კოსტიასთან. ჩვენთან მამაა სტუმრად. ახლახან ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან.

კიტიმ განკარგულება გასცა, კაცი გაეგზავნათ ლევინის დასაძახებლად, დამტვერიანებული სტუმრები კი ხელ-პირის დასაბანად წაეყვანათ, ერთი – კაბინეტში, მეორე – დოლის დიდ ოთახში და საუზმეც მოემზადებინათ სტუმრებისთვის, თვითონ, რაკი უკვე უფლება ჰქონდა სწრაფი მოძრაობისა, რასაც მოკლებული იყო ფეხმძიმობის დროს, აივანზე აირბინა.

– სერგეი ივანოვიჩი და პროფესორი კატავასოვი, – თქვა მან.

– ოჰ, ამ სიცხეში ძალიან გაუჭირდება კაცს მასთან! – შენიშნა

თავადმა.

– არა, მამა, მეტად სასიამოვნო კაცია და კოსტიასაც ძალიან უყვარს, – ისეთი ღიმილით უთხრა კიტიმ, თითქოს რაღაცას სთხოვსო მამას, რაკი თავადის სახეზე დამცინავი გამომეტყველება შენიშნა.

– მე ხომ არაფერი მითქვამს.

– შენ წადი, გეთაყვა, მათთან, – მიუბრუნდა კიტი დას, – როგორმე გაართე. სტივას შეხვედრიან სადგურში, კარგად ყოფილა. მე კი მიტიასთან გავიქცევი, თითქოს განგებ, ჩაის შემდეგ აღარ მიწოვებია. ახლა გაღვიძებული იქნება და, ალბათ, ტირის კიდეც, – კიტიმ რძის მოწოლა იგრძნო და ჩქარი ნაბიჯით გასწია ბავშვის ოთახისაკენ.

მართლაც, მან არათუ გამოიცნო (მისი კავშირი ბავშვთან ჯერ კიდევ არ იყო გაწყვეტილი), არამედ სინამდვილეში მიხვდა, რაკი რძის მოწოლა იგრძნო, რომ ბავშვი მშიერი იყო.

სანამ ბავშვის ოთახს მიუახლოვდებოდა, კიტიმ უკვე იცოდა, რომ ბავშვი ტიროდა. ბავშვი მართლაც ტიროდა. კიტიმ გაიგონა მისი ხმა და ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ, რაც უფრო ჩქარა მიდიოდა, მით ხმამაღლა გაჰყვიროდა ბავშვი. ხმა კარგი და ჯანსაღი ჰქონდა, ოღონდ დამშეული და მოუთმენელი.

– დიდი ხანია, გადია, დიდი ხანია? – აჩქარებით ეუბნებოდა კიტი, როცა სკამზე ჯდებოდა და ძუძუს მოსაწოვებლად ემზადებოდა, – მომეცით ჩქარა. ოჰ, გადია, რანაირი ხართ, მერე შეუკარით ქუდი.

ბავშვს ქანცი ელეოდა ყვირილისაგან.

– უი, დედა, როგორ იქნება! – უთხრა აგაფია მიხაილოვნამ, რომელიც თითქმის ყოველთვის ბავშვის ოთახში იყო, – ჯერ უნდა გამოაწყო, როგორც წესი და რიგია. აღუ, აღუ! – თავს დასძახოდა იგი ბავშვს და ყურადღებას არ აქცევდა დედას.

გადიამ დედას მოჰგვარა ბავშვი. აგაფია მიხაილოვნაც სიყვარულისაგან განაზებული იერით უკან გამოჰყვა ბავშვს.

– მცნობს, მცნობს, მიცნო, კატერინა ალექსანდროვნა, ღმერთს გეფიცებით! – ბავშვზე უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა აგაფია მიხაილოვნა.

მაგრამ კიტის არ ესმოდა მისი ლაპარაკი. მისი მოუთმენლობაც თანდათან იზრდებოდა ბავშვის მოუთმენლობასთან ერთად.

ამ მოუთმენლობის გამო დიდხანს ვერ მოგვარდა საქმე, ბავშვი ვერ აგნებდა ძუძუს და ბრაზობდა.

ბოლოს სასოწარკვეთილი, სულშემხუთავი ყვირილისა და სლოკინის შემდეგ საქმე მოგვარდა და დედა-შვილმა ორივემ ერთად იგრძნო შვება, ორივენი მიყუჩდა.

– ესეც, საწყალი, სულ ოფლშია გაწუწული, – თქვა კიტიმ და ხელი გადაუსვა ბავშვს, – რატომ ფიქრობთ, რომ გცნობთ? – დასძინა მან და დახედა ბავშვს, მის თვალებს, რომლებიც, როგორც მას ეჩვენებოდა, ეშმაკურად შემოჰყურებდნენ ჩამოჩაჩული ქუდიდან, მის ძუძუს წოვისაგან დაბერილ ლოყებს და წითელგულიან პატარა ხელს, რომელსაც აქეთ-იქით აქნევდა.

– შეუძლებელია! ცნობა რომ იცოდეს, პირველად მე მიცნობდა, – თქვა კიტიმ აგაფია მიხაილოვნას მტკიცებაზე და გაიღიმა.

იგი იღიმებოდა იმის გამო, რომ, თუმცა ეუბნებოდა აგაფია მიხაილოვნას, შეუძლებელია გიცნოთო, მაგრამ გულში კი დარწმუნებული იყო, რომ იგი არათუ აგაფია მიხაილოვნას ცნობდა, არამედ იცოდა და ესმოდა ყველაფერი, ბევრი რამ ისეთიც, რაც არავინ იცოდა და რაც მან, დედამ, მხოლოდ მისი შემწეობით გაიგო და შეიცნო. აგაფია მიხაილოვნასთვის, გადიასთვის, პაპისა და თვით მამისთვისაც კი მიტია მხოლოდ ცოცხალი არსება იყო, რომელიც მატერიალურ მზრუნველობას მოითხოვდა. დედის თვალში კი იგი უკვე დიდი ხანია, ზნეობრივად ჩამოყალიბებული არსება იყო, რომელთანაც სულიერი ურთიერთობა ჰქონდა გაბმული.

– აი, გაიღვიძებს და ღვთის მადლით თქვენ თვითონვე ნახავთ. აი, როგორც კი ასე გავაკეთებ, მაშინვე გაუბრწყინდება სახე ჩემს ჩიტუნიას. ისე გაუბრწყინდება, თითქოს მზემ გამოიხედაო, – ამბობდა აგაფია მიხაილოვნა.

– ჰო, კარგი, კარგი, მერე ვნახოთ, – ჩურჩულით თქვა კიტიმ. – ახლა კი წადით, იძინებს.

VII

აგაფია მიხაილოვნა ფეხის წვერებზე გავიდა ოთახიდან. გადიამ ფეხები ჩამოუშვა და ბავშვის საწოლზე ჩამოფარებული მარმაშის ფარდიდან ბუზები გამორეკა. ფანჯარას მოაშორა კრაზანა, ხმაურით რომ ეხეთქებოდა მინას, მერე ჩამოჯდა და დამჭკნარი არყის ხის ტოტით უნიავებდა დედა-შვილს.

– სიცხეს ნუღარ იტყვი! ერთი ნამი მაინც გადმოეგდო ამ დალოცვილს, – თქვა მან.

– ს-ს-ს… – მხოლოდ ესღა უპასუხა კიტიმ, რომელიც ოდნავ არხევდა ბავშვს და ფრთხილად იკრავდა გულში მიტიას ფუნჩულა ხელს, მაჯაზე თითქოს ძაფი რომ ჰქონდა გადაჭერილი, თვალებს კი ხან დახუჭავდა, ხან გაახელდა. ამ ხელს მშვიდად ვერ უყურებდა კიტი, უნდოდა ეკოცნა, მაგრამ ვერ ბედავდა, ვაითუ გავაღვიძოო. ბოლოს სულ შეწყვიტა ხელმა ქანაობა და თვალები მილულა, მხოლოდ ხანდახან, ძუძუს წოვებაში გართული, ისევ ასწევდა გრძელ, აპრეხილ წამწამებს და შეხედავდა დედას თავისი წყლიანი თვალებით, რომლებიც ოთახის სიბნელეში შავად მოჩანდნენ. გადიამაც შეწყვიტა ტოტის ქნევა და ჩათვლიმა. ზევიდან მოხუცი თავადის რიხიანი ხმა და კატავასოვის ხარხარი შემოესმა.

„როგორც ჩანს, უჩემოდ გაუბამთ საუბარი, – გაიფიქრა კიტიმ, – მაინც გულსატკენია, კოსტია რომ არ არის. ალბათ, ისევ საფუტკრეში წავიდა. თუმცა საწყენია, რომ ხშირად არის იქ, მაგრამ მაინც მიხარია. ერთობა ამით. ახლა უფრო მხიარული და უკეთესი შეიქნა, ვიდრე გაზაფხულზე იყო. თორემ ისე იყო დაღვრემილი და ისე იტანჯებოდა, რომ ვშიშობდი კიდეც მის გამო. მერე როგორი სასაცილოა!“ – ღიმილით წაიჩურჩულა კიტიმ.

მან იცოდა, რაც ტანჯავდა მის ქმარს, – თავისი ურწმუნოება. კიტისთვის რომ გეკითხათ, როგორ გგონია, წაწყდება თუ არა შენი ქმარი საიქიოში, თუ მომავალშიც არ ირწმუნებს ღმერთსო, იძულებული იქნებოდა, დასთანხმებოდა, რომ წაწყდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უბედურად არ მიიჩნევდა თავს ამის გამო. კიტი, რომელსაც სჯეროდა, რომ ურწმუნოთათვის ხსნა არ არსებობს და რომელსაც ყველაზე მეტად ამქვეყნად თავისი ქმრის სული უყვარდა, ღიმილით ფიქრობდა მის ურწმუნოებაზე და გულში ამბობდა, რომ იგი

სასაცილო იყო.

„რაში სჭირდება, მთელი წლის განმავლობაში სულ რაღაც ფილოსოფიას რომ კითხულობს? – ფიქრობდა იგი, – თუ ეს ყველაფერი იმ წიგნებში წერია, მაშინ გაიგებდა კიდეც და თუ იმ წიგნებში სიმართლე არ წერია, რისთვისღა კითხულობს? ხომ თვითონვე ამბობს, მინდა ვირწმუნოო. მაშ, რატომ არა სწამს? ალბათ, იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს. ბევრს იმიტომ ფიქრობს, რომ მარტოა, სულ მარტო. ჩვენთან არ შეუძლია ყველაფრის თქმა, მე მგონია, ეს სტუმრები სასიამოვნო იქნებიან მისთვის, განსაკუთრებით კატავასოვი. კოსტიას უყვარს მასთან სჯა-ბაასი, – ფიქრობდა კიტი და მერე იმაზე გადაიტანა ფიქრი, თუ სად უფრო მოხერხებული იქნებოდა კატავასოვის დაწვენა – ცალკე თუ სერგეი ივანოვიჩთან ერთად. და აქ ისეთმა აზრმა გაუელვა თავში, რომ აღელვებისაგან შეხტა კიდეც, მიტიაც კი შეაშინა და მან მკაცრად ახედა დედას. „მრეცხავს, მგონი, ჯერ არ მოუტანია თეთრეული, სტუმრებისთვის განკუთვნილი კი სულ ნახმარია. თუ არ გავაფრთხილე აგაფია მიხაილოვნა, ნახმარ თეთრეულს დაუფენს სერგეი ივანოვიჩს“, – და ამის გაფიქრებაზეც კი სისხლი აუვარდა თავში.

„ჰო, უნდა ვუთხრა!“ – გადაწყვიტა და ისევ ძველ ფიქრებს დაუბრუნდა, გაახსენდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და საგულისხმო ბოლომდე მოუფიქრებელი დარჩა და შეეცადა გახსენებას, „ჰო, კოსტია ურწმუნოა“, – ისევ ღიმილით გაიხსენა მან.

„ჰო, ურწმუნო! დეე, ყოველთვის ასეთი იყოს და არა ისეთი, როგორიც მადამ შტალი იყო ან როგორიც მე მინდოდა ვყოფილიყავი საზღვარგარეთ. არა, თვალთმაქცობა მას არ შეუძლია!“

და კიტის ცოცხლად დაუდგა თვალწინ სულ ახლახან გამოვლენილი ნიშანი მისი გულკეთილობისა. ორი კვირის წინ დოლიმ მონანიების წერილი მიიღო სტეპან არკადიჩისაგან. იგი ევედრებოდა ცოლს, ეხსნა მისი პატიოსნება და გაეყიდა თავისი მამული სტეპან არკადიჩის ვალების დასაფარავად. დოლი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მას სძულდა ქმარი, ეზიზღებოდა, ეცოდებოდა, გადაწყვიტა, გაშორებოდა, უარი ეთქვა მის თხოვნაზე, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დათანხმდა, გაეყიდა ნაწილი თავისი მამულისა. კიტიმ

ღიმილით გაიხსენა, როგორი დაბნეული და დარცხვენილი იყო მისი ქმარი, რამდენჯერ სცადა ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ ყოველთვის უხერხულად გამოსდიოდა, ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო ისეთ საშუალებას, დახმარებოდა დოლის ისე, რომ ამის გამო შეურაცხყოფა არ ეგრძნო, – კიტის შესთავაზა მიეცა დოლისთვის თავისი მამულის ნაწილი, რაც ადრე ვერ მოისაზრა კიტიმ.

„აბა, სადაური ურწმუნოა ასეთი გულის პატრონი? სულ იმის შიშშია, არავის აწყენინოს, თუნდაც ბავშვსაც კი! ყველაფერი სხვისთვის უნდა, თავისი თავისთვის კი არაფერი. სერგეი ივანოვიჩიც ასე ფიქრობს, რომ კოსტია მოვალეა, მისი მოურავი იყოს. ასეა მისი დაც. ახლა დოლიც დააწვა კისერზე თავისი ბავშვებიანად. ანდა ეს გლეხები, ყოველდღე რომ დადიან მასთან, თითქოს კოსტიას მოვალეობას შეადგენდეს მათი სამსახური“.

„ოჰ, ნეტავ შენც ისეთი გამოხვიდოდე, როგორიც შენი მამაა? მეტს არ ვისურვებ!“ – ჩაილაპარაკა კიტიმ, მიტია გადიას გადასცა და ტუჩებით შეეხო მის ლოყას.

VIII

იმ წუთიდან, როცა ლევინმა თავისი საყვარელი, მომაკვდავი ძმა იხილა, პირველად შეხედა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს იმ ახალი, როგორც თვითონ ამბობდა, მრწამსით, რომელმაც მისდა შეუმჩნევლად, ოცდან ოცდათოთხმეტი წლის პერიოდში შეცვალა მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის რწმენა და შეაძრწუნა არა იმდენად სიკვდილმა, არამედ სიცოცხლემ, თუ ოდნავი წარმოდგენაც არ ექნებოდა, საიდან, რისთვის ან როგორ მოვიდა ეს სიცოცხლე და რას წარმოადგენდა იგი. ორგანიზმი, ორგანიზმის დაშლა, მატერიის მარადისობა, ძალთა შენარჩუნების კანონი, განვითარება – აი, ის სიტყვები, რომელთაც მისი ადრინდელი რწმენა შეცვალეს. ეს სიტყვები და მათთან დაკავშირებული ცნებები ძალიან კარგი იყო გონებრივი თვალსაზრისით, მაგრამ ცხოვრებისთვის სრულიად უმაქნისი, და ლევინმა უცებ იგრძნო თავი იმ კაცის

მდგომარეობაში, რომელმაც თბილი ქურქი მარმაშის ტანსაცმელში გაცვალა და ყინვაში გამოსულმა, პირველად, მარტო მსჯელობით კი არა, მთელი არსებით შეიგრძნო რომ იგი, როგორც შიშველი ადამიანი, ნამდვილად განწირულია დასაღუპავად.

ამ წუთიდან ლევინს აღარ მოსცილებია შიში თავისი უმეცრებისა, თუმცა ანგარიშმიუცემლად ისევ ძველებურად განაგრძობდა ცხოვრებას.

გარდა ამისა, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ის, რასაც თავის მრწამსს უწოდებდა, მარტო უცოდინარობას კი არა, აზრთა იმგვარ წყობას გულისხმობდა, რომლის დროსაც შეუძლებელი იყო ცოდნა იმისა, რაც მისთვის საჭირო იყო.

ცოლის შერთვის პირველ ხანებში ახალმა სიხარულმა და მანამდე უცნობ მოვალეობათა შეგრძნებამ ერთიანად ჩაახშო ეს აზრები. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, ცოლის მშობიარობისა და მოსკოვში უქმად გატარებული ცხოვრების შემდგომ, ლევინის წინაშე სულ უფრო ხშირად და სულ უფრო დაჟინებით წამოიჭრებოდა ხოლმე ეს საკითხი და გადაწყვეტას მოითხოვდა.

ეს საკითხი მისთვის შემდეგში მდგომარეობდა: „თუ მე უარვყოფ იმ პასუხებს, რომელსაც ქრისტიანობა იძლევა ჩემს ცხოვრებაზე, მაშინ რომელი პასუხები უნდა ვაღიარო?“ და იგი თავისი მრწამსის მთელ არსენალში ვერ პოულობდა არათუ პასუხს, არამედ პასუხისმაგვარსაც კი.

იგი ჰგავდა იმ კაცს, რომელიც საჭმელს სათამაშოების ან საჭურვლის მაღაზიაში ეძებდა.

შეუცნობლად, თავისდა უნებურად, ყოველ წიგნში, ყოველ ადამიანში, ყოველ საუბარში ამ საკითხისადმი დამოკიდებულებასა და მის გადაწყვეტას ეძებდა.

ამასთან, ყველაზე მეტად ის აოცებდა და აგულისებდა, რომ უმეტესობა მისი წრისა და ასაკის ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი რწმენა მასავით ახალი მრწამსით შეეცვალათ, ვერავითარ უბედურებას ვერ ხედავდნენ ამაში და სრულიად კმაყოფილნი და დამშვიდებულნი იყვნენ. ასე რომ, ამ მთავარი კითხვის გარდა, ლევინს სხვა კითხვებიც აწუხებდა: გულწრფელნი იყვნენ თუ არა ეს ადამიანები? ხომ არ

თვალთმაქცობდნენ, ან იქნებ სხვაგვარად, ლევინზე უფრო ნათლად ესმოდათ ის პასუხები, რომელთაც მეცნიერება იძლევა ამ მისთვის საინტერესო საკითხზე? და იგი გულმოდგინედ სწავლობდა ამ ადამიანთა შეხედულებებსაც და წიგნებსაც, რომელნიც ამის პასუხს იძლეოდნენ.

ერთი რამ, რაც ამ დაინტერესების შემდეგ აღმოაჩინა, ის იყო, რომ იგი ცდებოდა, როცა სიჭაბუკის წლებში, უნივერსიტეტში ყოფნისას, ფიქრობდა, რელიგიამ უკვე მოჭამა თავისი დრო და აღარც არსებობსო. ყველა მისი ახლობელი კარგი ადამიანი მორწმუნე იყო: მოხუცი თავადიც, ლვოვიც, აგრე რომ შეუყვარდა, სერგეი ივანოვიჩიც, ქალებიც – ყველანი მორწმუნენი იყვნენ. მის ცოლსაც ისევე სწამდა, როგორც სწამდა ლევინს ადრე ბავშვობაში. მორწმუნე იყო რუსი ხალხის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი, ხალხისა, რომლის ცხოვრება მასში უდიდეს პატივისცემას იწვევდა.

მეორე, რაშიც მრავალი წიგნის წაკითხვის შემდეგ დარწმუნდა, ის იყო, რომ ადამიანები, რომლებიც მის მსგავს შეხედულებებს იზიარებდნენ, სხვას არაფერს გულისხმობდნენ ამ საკითხის მიღმა და ყოველგვარი ახსნის გარეშე უარყოფდნენ ამ საკითხებს, ურომლისოდაც ლევინს შეუძლებლად მიაჩნდა სიცოცხლე, და ცდილობდნენ გადაეწყვიტათ სრულიად სხვა საკითხები, რომლებიც სულ არ აინტერესებდა ლევინს. მაგალითად, ორგანიზმის განვითარება, სულის მექანიკური ახსნა და ა. შ.

გარდა ამისა, ცოლის მშობიარობის დროს ლევინს უცნაური რამ დაემართა, – მან, ურწმუნო ადამიანმა, ლოცვა დაიწყო და იმ წუთში, როცა ლოცულობდა, სჯეროდა კიდეც ეს. მაგრამ გაიარა ამ წუთმა და ლევინმა ვერ შეძლო თავის ცხოვრებაში ადგილი მოენახა მაშინდელი განცდისთვის.

არ შეეძლო, ეღიარებინა, რომ მაშინ მიაგნო ჭეშმარიტებას და ახლა კი ცდებოდა, რადგან, როგორც კი მშვიდად დაიწყებდა ამაზე ფიქრს, ყველაფერი ნამსხვრევებად იქცეოდა. არც იმის აღიარება შეეძლო, რომ მაშინ ცდებოდა, რადგან მეტად ძვირად უღირდა მაშინდელი სულიერი განწყობილება, და თუ ამას სისუსტედ ჩათვლიდა, ამით შებილწავდა იმ წუთებს. იგი იტანჯებოდა საკუთარ თავთან ბრძოლაში და მთელ თავის სულიერ ძალას ძაბავდა, რათა როგორმე დაეღწია თავი აქედან.

IX

ეს აზრები ხან უფრო მოეძალებოდა, ხან უფრო ნაკლებ აწუხებდა, მაგრამ არასოდეს ტოვებდა. ლევინი კითხულობდა, ფიქრობდა და რაც უფრო მეტს კითხულობდა და ფიქრობდა, მით შორდებოდა სასურველ მიზანს.

უკანასკნელ ხანს, მოსკოვსა და სოფელში ყოფნის დროსაც, რაკი დარწმუნდა, რომ მატერიალისტებთან ამის პასუხს ვერ იპოვიდა, ხელმეორედ გადაიკითხა პლატონი, სპინოზა, კანტი, შელინგი, ჰეგელი, შოპენჰაუერი – ყველა ის ფილოსოფოსი, რომლებიც არამატერიალისტურად განმარტავდნენ ცხოვრებას.

ეს აზრები ნაყოფიერი ეჩვენებოდა, როცა კითხულობდა ან თვითონვე იგონებდა სხვა მოძღვრებათა უარყოფას, განსაკუთრებით მატერიალისტური მოძღვრების საწინააღმდეგოდ. მაგრამ როგორც კი წაიკითხავდა და თვითონვე შეეცდებოდა საკითხის გადაწყვეტას, ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდა. თუ იგი გაჰყვებოდა იმ ბუნდოვანი სიტყვების ახსნას, როგორიცაა: სული, თავისუფლება, სუბსტანცია და განზრახ ჩაებმებოდა ამ სიტყვათა მახეში, რომელთაც უგებდნენ ფილოსოფოსები ან თვითონ უგებდა თავის თავს, თითქოს იწყებდა რაღაცის გაგებას. მაგრამ საკმარისი იყო დაევიწყებინა აზრთა ეს ხელოვნური სვლა და ცხოვრებაში დაჰბრუნებოდა იმას, რასაც შეეძლო მისი დაკმაყოფილება ამ საკითხზე ფიქრისას, რომ უეცრად ეს ხელოვნური შენობა მუყაოს ხუხულასავით დანგრეულიყო და მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ ეს შენობა აგებული იყო მხოლოდ სიტყვათა გადასმ-გადმოსმით და გვერდს უვლიდა რაღაც მნიშვნელოვანს, რომელიც უფრო საჭირო იყო ცხოვრებაში, ვიდრე გონება.

ერთხანს, შოპენჰაუერის კითხვისას, იქ, სადაც შოპენჰაუერი ნებაზე ლაპარაკობს, ლევინმა ნების ადგილას სიყვარული ჩასვა და ეს ახალი ფილოსოფია ერთი-ორი დღე ანუგეშებდა, სანამ ახალი თვალით შეხედავდა. მაგრამ, როცა ცხოვრებიდან შეხედა ამას, ესეც ისევე დაინგრა და ისეთივე მარმაშის ტანსაცმელი აღმოჩნდა, რომელიც არ ათბობდა.

სერგეი ივანოვიჩმა ძმას ურჩია ხომიაკოვის საღვთისმეტყელო თხზულებანი წაეკითხა. ლევინმა წაიკითხა ხომიაკოვის თხზულებათა მეორე ტომი და მართალია, არ მოეწონა მისი

პოლემიკური, ელეგანტური და გონებამახვილური ტონი, მაგრამ განაცვიფრა მისმა მოძღვრებამ ეკლესიაზე. ჯერ იმ აზრმა განაცვიფრა, რომ ადამიანი მოკლებულია ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა წვდომის უნარს, სამაგიეროდ ამ ჭეშმარიტებათა წვდომა მინიჭებული აქვს სიყვარულით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობას – ეკლესიას. ლევინი გაახარა იმ აზრმა, თუ რამდენად იოლია ირწმუნო არსებული, დღესაც ცოცხალი ეკლესია, გამაერთიანებელი ყველა მორწმუნე ადამიანისა, რომელთაც სათავეში უდგას ღმერთი და ამიტომაც წმინდაა და უცოდველი და ამის საშუალებით ირწმუნო ღმერთი, ქმნილება, ცოდვა და მადლი, ვიდრე დაიწყო შორეული, იდუმალებით მოცული ღმერთიდან, ქმნილებათაგან და ასე შემდეგ. მაგრამ შემდეგ, როცა წაიკითხა, კათოლიკე მწერლის მიერ დაწერილი ეკლესიის ისტორია და მართლმადიდებელი ავტორის მიერ დაწერილი ეკლესიის ისტორია, დაინახა, რომ ეს ორი წმინდა ეკლესია არსებითად უარყოფს ერთიმეორეს და გული გაუტყდა ხომიაკოვის მოძღვრებაზე. ეს შენობაც ისეთივე ფერფლად იქცა, როგორც სხვა ფილოსოფიური შენობები.

ასეთ მღელვარებაში გაატარა მთელი გაზაფხული და საშინელი წუთები განიცადა.

„შეუძლებელია სიცოცხლე იმის გარეშე, თუ არ მეცოდინება, რას წარმოვადგენ და რატომ ვარ ამქვეყნად. რაკი ამის ცოდნა არ ძალმიძს, მაშასადამე, არც სიცოცხლე შემიძლია“, – ეუბნებოდა ლევინი თავის თავს.

„დროისა და მატერიის უსასრულობაში, უსასრულო სივრცეში გამოიყოფა ბუშტი – ორგანიზმი. ეს ბუშტი ერთ ხანს მოათევს, მერე კი გასკდება, – აი, ეს ბუშტი ვარ მე!“

ეს იყო მტანჯველი სიცრუე, მაგრამ ეს გახლდათ ადამიანთა აზრის საუკუნეობრივი შრომის ერთადერთი ბოლოდროინდელი შედეგი ამ მიმართულებით.

ეს იყო უკანასკნელი მრწამსი, რომელზეც აიგო ადამიანის აზრის ძიებანი თითქმის ყველა დარგში. ეს იყო გაბატონებული მრწამსი და ლევინმაც უნებლიეთ, თვითონაც არ იცოდა, როდის და როგორ, ყველა სხვა ახსნიდან, როგორც ყველაზე ნათელი, სწორედ ეს შეითვისა.

მაგრამ ეს არათუ არ იყო ჭეშმარიტება, ეს იყო სასტიკი დაცინვა

რაღაც ბოროტი ძალისა, ბოროტი, საძაგელი და იმგვარი ძალისა, რომელსაც არ უნდა დამორჩილებოდი.

საჭირო იყო თავის დაღწევა ამ ძალისაგან და ეს თავის დაღწევა თითოეულის ხელთ იყო. ბოლო უნდა მოღებოდა ამ დამოკიდებულებას ბოროტ ძალასთან და არსებობდა მხოლოდ ერთი საშუალება – სიკვდილი.

და ეს ბედნიერი ოჯახის პატრონი, ჯანმრთელი ადამიანი, რამდენჯერმე ისე ახლოს იყო თვითმკვლელობასთან, რომ თოკიც კი გადამალა, რათა თავი არ ჩამოეხრჩო, და ეშინოდა თოფით სიარულისა, რომ ტყვიით არ მოეკლა თავი.

მაგრამ ლევინს არც ტყვია უსვრია, არც თავი ჩამოუხრჩვია, კვლავ განაგრძობდა ცხოვრებას.

X

როცა ლევინი ფიქრობდა, რას წარმოვადგენ ან რისთვის ვცხოვრობო, პასუხს ვერ პოულობდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, მაგრამ როცა არ ეკითხებოდა თავის თავს ამას, მაშინ თითქოს იცოდა კიდეც, რას წარმოადგენდა და რისთვის ცხოვრობდა, რადგან მტკიცედ და გარკვეულად ცხოვრობდა და მოქმედებდა. ამ უკანასკნელ ხანებში კი მისი ცხოვრება წინანდელზე ბევრად უფრო მტკიცე და გარკვეული შეიქნა.

ივნისის ბოლოს, როცა სოფელში დაბრუნდა, დაუბრუნდა თავის ჩვეულ საქმიანობასაც. სოფლის მეურნეობა, ურთიერთობა გლეხებსა და მეზობლებთან, საოჯახო მეურნეობა, ძმისა და დის საქმეები, რაც კვლავ მის ხელთ იყო, ურთიერთობა ცოლთან, ნათესავებთან, ზრუნვა ბავშვზე, ახალი ნადირობა ფუტკარზე, რამაც ძლიერ გაიტაცა ამ გაზაფხულზე, – ყოველივე ამაში იხარჯებოდა მისი დრო.

ეს საქმიანობა იმიტომ კი არ აინტერესებდა, რომ რაღაც საერთო შეხედულებებით ამართლებდა ამას თავისი თავის წინაშე, როგორც ამას წინათ სჩადიოდა, ახლა პირიქით, ერთი მხრივ გულგატეხილი იყო ადრეულ წამოწყებათა მარცხით, რაც

საერთო კეთილდღეობისთვის იყო გამიზნული, მეორე მხრივ კი მეტისმეტად დატვირთული იყო თავისი აზრებით და უამრავი საქმით, ყოველი მხრიდან რომ ატყდებოდა თავს. ამიტომაც სულ მიატოვა ფიქრი ყოველგვარ საერთო კეთილდღეობაზე და ამ საქმით მხოლოდ იმიტომ იყო დაინტერესებული, რომ, მისი აზრით, ვალდებული იყო გაეკეთებინა ის, რასაც აკეთებდა და სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო.

წინათ (ეს თითქმის ბავშვობიდან დაეწყო და მიჰყვებოდა სრულ დავაჟკაცებამდე), როცა ცდილობდა გაეკეთებინა რაიმე ისეთი, რაც სარგებლობას მოუტანდა ყველას, კაცობრიობას, რუსეთს და მთელ სოფელს, ლევინი ამჩნევდა, რომ ფიქრი ამაზე სასიამოვნო იყო, თვით მოქმედება კი ყოველთვის აბნეული გამოუდიოდა; არ ჰქონდა იმის რწმენა, რომ ეს საქმე აუცილებელი იყო, თვით მოქმედებაც, წინათ რომ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, სულ კნინდებოდა, კნინდებოდა და ბოლოს სულ არარაობად იქცეოდა. ახლა კი, ცოლის შერთვის შემდეგ, როცა სულ უფრო და უფრო შემოისაზღვრა საკუთარი ცხოვრებით, მართალია, თავის საქმიანობაზე ფიქრი არავითარ სიხარულს აღარ ანიჭებდა, მაგრამ სჯეროდა, რომ ეს საქმე აუცილებელი იყო, საქმეც წინანდელზე უფრო უმართლებდა და სულ იზრდებოდა და იზრდებოდა.

ახლა იგი, თითქოს წინააღმდეგ თავისი სურვილისა, გუთანივით სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მიწაში, ისე, რომ ვეღარც დააღწევდა თავს ამას, სანამ ბოლომდე არ გაიტანდა კვალს.

უდავო იყო, რომ მის ოჯახსაც ისევე უნდა ეცხოვრა, როგორც ცხოვრობდა მისი მამა და პაპა, ესე იგი უნდა შეენარჩუნებინა იგივე განათლება და ბავშვებისთვისაც იგივე აღზრდა მიეცა. ეს ისევე აუცილებელი იყო, როგორც სადილობა მშიერი ადამიანისთვის. ამისთვის კი, ისევე როგორც სადილის გაკეთება, საჭირო იყო, პოკროვსკოეში ისე წარემართა სამეურნეო მანქანა, რომ შემოსავალი ჰქონოდა. ისევე როგორც აუცილებელია ვალის გასტუმრება, საჭირო იყო, საგვარეულო მიწები იმგვარ მდგომარეობაში ჰქონოდა, რომ მისი შვილი, მემკვიდრეობას რომ ჩაიბარებდა, ისეთივე მადლიერი ყოფილიყო მამისა, როგორც მადლიერი იყო ლევინი თავისი პაპისა ყოველივე იმისთვის, რაც მან ააშენა და დარგო.

ამისთვის კი საჭირო იყო, არ გაეცა მიწა იჯარით, თვითონვე დაემუშავებინა, მოეშენებინა საქონელი, გაეპატივებინა მინდვრები, გაეშენებინა ტყე.

შეუძლებელი იყო, არ გასძღოლოდა დისა და სერგეი ივანოვიჩის საქმეს, არ გაეკეთებინა საქმე გლეხებისთვის, რომელნიც რჩევის საკითხავად მოდიოდნენ და უკვე მიჩვეულნი იყვნენ ამას, ისევე როგორც შეუძლებელია ხელში აყვანილი ბავშვის გადაგდება. საჭირო იყო ეზრუნა ცოლისდასა და მის ბავშვებზე, რომელნიც მისი მოწვევით ჩამოვიდნენ, საჭირო იყო ზრუნვა ცოლსა და შვილზე და შეუძლებელი იყო თავისი დროის მცირე ნაწილი მაინც არ გაეტარებინა მათთან.

ყოველივე ეს – გარეულ ფრინველებზე ნადირობასა და ფუტკრებზე ახალწამოწყებულ ნადირობასთან ერთად – ავსებდა ლევინის ცხოვრებას, რომელსაც არავითარი აზრი აღარ ჰქონდა მისთვის, როცა ჩაუფიქრდებოდა.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ ლევინმა მტკიცედ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა, ასევე მტკიცედ იცოდა ისიც, როგორ უნდა ეკეთებინა და რომელი საქმე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

იცოდა, რომ მუშახელი რაც შეიძლება იაფად უნდა დაექირავებინა, მაგრამ არ შეიძლებოდა მათ ხელში ჩასაგდებად წინასწარ ფულის მიცემა და იმაზე იაფად დაქირავება, რაც ღირდა, თუმცა ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. ჩალის მიყიდვა გლეხებისთვის, როცა საქონლის საკვები გამოელეოდათ, შეიძლებოდა, თუმცა ებრალებოდა გლეხები, მაგრამ ფუნდუკები და სასადილოები კი უნდა მოესპო, თუმცა ეს კარგ შემოსავალს იძლეოდა. ტყის გაკაფვისთვის რაც შეიძლება მკაცრად უნდა დაეჯარიმებინა გლეხები, მაგრამ ტყეში გარეკილ საქონელზე არ შეიძლებოდა ჯარიმის აღება, თუმცა ამაზე ბრაზობდნენ ყარაულები და აღარც გლეხებს ჰქონდათ შიში, მაგრამ დაჭერილი საქონელი მაინც უნდა გაეშვა.

პეტრესთვის, ყოველთვიურად ათ პროცენტს რომ უხდიდა მევახშეს, უნდა მიეცა სესხი თავის გამოსახსნელად, მაგრამ არ შეიძლებოდა ურჩი გადამხდელებისთვის ღალის პატიება ან ვადის გადაწევა. არ შეიძლებოდა, პასუხი არ მოეთხოვა მოურავისთვის, რომ მინდორი დროზე არ გათიბა და ბალახი ტყუილუბრალოდ წაახდინა, მაგრამ გაუთიბავი უნდა

დაეტოვებინა ოთხმოცი დესეტინა მიწა, რომელზეც ახლა ტყე ჰქონდა გაშენებული. არ შეიძლებოდა ეპატიებინა მუშისთვის გახურებული მუშაობის დროს სახლში წასვლა იმის გამო, რომ მამა გარდაეცვალა, რაც უნდა შეჰბრალებოდა იგი, ანგარიშიც ნაკლები უნდა გაესწორებინა იმ დაკარგული თვეებისთვის; მაგრამ შეუძლებელი იყო, ყოველთვიური ულუფა არ მიეცა დავრდომილ შინაყმათათვის, რომელნიც აღარაფერში იყვნენ გამოსადეგნი.

ასევე იცოდა ისიც, რომ შინ დაბრუნებულს პირველად ცოლი უნდა მოენახულებინა, რომელიც ვერ გრძნობდა თავს კარგად, გლეხებს კი, რომლებიც სამი საათობით უცდიდნენ, შეიძლებოდა კიდევ მოეცადათ; ისიც იცოდა, რომ მიუხედავად დიდი სიამოვნებისა, ფუტკრების გუნდის ჩასმისას რომ განიცდიდა, უნდა მოეკლო ეს სიამოვნება, ფუტკრების ჩასმა მოხუცისთვის მიენდო და თვითონ გასულიყო გლეხებთან, რჩევის საკითხავად რომ ჩამოსულიყვნენ და საფუტკრეში ეპოვათ ლევინი.

კარგად იქცეოდა თუ ცუდად, ლევინმა ეს არ იცოდა და ახლა არათუ არ შეეცდებოდა ამის მტკიცებას, ამაზე ლაპარაკსა და ფიქრსაც კი გაურბოდა.

მსჯელობა აეჭვიანებდა და ხელს უშლიდა დაენახა, რა უნდა გაეკეთებინა და რა არა. როცა არ ფიქრობდა და ისე ცხოვრობდა, ყოველთვის გრძნობდა სულში მოუსყიდველი მსაჯულის არსებობას, რომელიც წყვეტდა, რომელი იყო კარგი და რომელი ცუდი ორი შესაძლებელი საქციელისგან. და როგორც კი არ მოიქცეოდა ისე, როგორც საჭირო იყო, მაშინვე გრძნობდა ამას.

ასე ცხოვრობდა ლევინი; არ იცოდა და ვერც ხედავდა შესაძლებლობას, გაეგო, რას წარმოადგენდა და რისთვის ცხოვრობდა ამქვეყნად და ეს არცოდნა იმ ზომამდე აწვალებდა, რომ თვითმკვლელობისაც კი ეშინოდა, ამავე დროს მტკიცედ მიჰყვებოდა თავის მიერ გაკვალულ, გარკვეულ გზას ცხოვრებაში.

XI

ის დღე, როცა სერგეი ივანოვიჩი პოკროვსკოეში ჩამოვიდა, ლევინისთვის ერთი ამგვარი ყველაზე მძიმე დღე იყო.

გახურებული მუშაობის ალო იდგა. როცა მთელ ხალხში თავს იჩენს ხოლმე ისეთი დაძაბულობა და თავგანწირვა შრომაში, რომელიც ცხოვრების ვერც ერთ სხვა პირობებში ვერ გამოვლინდება და დიდადაც იქნებოდა დაფასებული, ამ თვისების მქონე ხალხს რომ სცოდნოდა ამის ფასი, ეს რომ ყოველწლიურად არ გამეორებულიყო და შედეგი ამ საერთო დაძაბულობისა ასეთი უბრალო არ ყოფილიყო.

ჭვავისა და ქერის გათიბვა და მომკა, მოზიდვა, საძოვრების გათიბვა, მიწის გადაბრუნება, თესლის გალეწვა, საშემოდგომო ხორბლის დათესვა – თითქოს უბრალო და ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ ყოველივე ეს რომ მოასწრო, საჭიროა მთელმა სოფელმა დიდით პატარამდე სამჯერ უფრო მეტი იშრომოს იმ სამი-ოთხი კვირის განმავლობაში, ისე, რომ წუთითაც მოსვენება არ იცოდეს, ბურახით, ხახვითა და შავი პურით გამოიკვებოს, ღამით მომკას და ზიდოს ძნები და დღე-ღამეში ძილისთვის მხოლოდ ორი-სამი საათი გაიმეტოს. და ეს ყოველწლიურად მეორდება მთელ რუსეთში.

ლევინმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სოფლად, ხალხთან ახლო ურთიერთობაში გაატარა და ყოველთვის გრძნობდა, რომ მუშაობისას ამ ალოზე ეს საერთო-სახალხო აღტყინება მასაც ედებოდა.

დილიდანვე ჯერ სათესლე ჭვავი გაატანინა მინდორში, მერე ქერი დაათვალიერა, როგორ დგამდნენ ძნებად და შინ იმ დროს დაბრუნდა, როცა ცოლი და ცოლისდა დგებოდნენ. მათთან ერთად დალია ყავა და შემდეგ ფეხით წავიდა ხუტორში, სადაც თესლის დასამზადებლად ახალდადგმული სალეწი მანქანა უნდა აემუშავებინათ.

მთელი ამ დღის განმავლობაში, მოურავთან, გლეხებთან ლაპარაკისას და სახლშიც, ცოლს, დოლის, ბავშვებსა და სიმამრს რომ ესაუბრებოდა, სულ ერთსა და იმავეს ფიქრობდა, რაც სამეურნეო საქმიანობასთან ერთად მთლიანად ნთქავდა მის ყურადღებას და ყველაფერში ამ მისთვის საინტერესო საკითხთან დამოკიდებულებას ეძებდა: „რას წარმოვადგენ? სად ვარ? ან რატომ ვარ აქ?“

ლევინი ახალგადახურული საცეხვის ჩრდილში იდგა, საცეხვს გარშემოვლებულ ახალმოწნულ თხილის ღობესთან, რომელსაც სურნელოვანი ფოთოლი ჯერ კიდევ არ გასცვივნოდა და სიმაღლით ახალგათლილ ვერხვის ფანებს სწვდებოდა, ხან კარში იყურებოდა, სადაც კალოდან ამდგარი მშრალი, მწარე მტვერი ირეოდა, ხან კალოზე მცხუნვარე მზით განათებულ ბალახსა და საბძლიდან გამოტანილ ნედლ ჩალას უყურებდა, ხან ჭრელთავა, თეთრგულა მერცხლებს გახედავდა, ხმაურით რომ დაფრინავდნენ სახურავქვეშ და კარიდან შემოჭრილ შუქზე ფრთების ფარფატით ჩერდებოდნენ, ხან კი ჩამობნელებულ, მტვრიან საცეხველში მოფუსფუსე ხალხს უყურებდა და თავში უცნაური ფიქრები უტრიალებდა.

„რისთვის კეთდება ყოველივე ეს? – ფიქრობდა იგი, – რატომ ვდგავარ აქ და ვაიძულებ ამ ხალხს, იშრომოს? რატომ წვალობენ და ცდილობენ დამანახვონ თავიანთი გულმოდგინება? რატომ იკლავს მუშაობით თავს ეს ჩემი ნაცნობი დედაბერი, მატრიონა? (მე ვუექიმე, როცა ხანძრის დროს ჭერიდან ჩამოვარდნილი კოჭი დაეცა), – ფიქრობდა იგი და შეჰყურებდა გამხდარ დედაბერს, ფიწლით რომ აბრუნებდა გასალეწ თავთავს და ძლივს ადგამდა მზით გარუჯულ შიშველ ფეხებს უსწორმასწორო, გაქვავებულ კალოზე, – მაშინ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ, ან ათი წლის შემდეგ, მაინც ჩაფლავენ მიწაში და აღარაფერი დარჩება არც მისგან და არც იმ კოპწია, წითელთავსაფრიანი ქალისაგან, ასე მარჯვედ რომ არჩევს თავთავს ნამჯისაგან. მაგასაც დამარხავენ, ამ ცხენსაც სულ მალე ჩაფლავენ მიწაში, – ფიქრობდა ლევინი და შეჰყურებდა ნესტოებდაბერილ ცხენს, ძლივს რომ მიათრევდა მუცელს და ქშენით მიათრევდა მისკენ დახრილ ბორბლებს, – მაგასაც დამარხავენ, ამ ფიოდორსაც, ძნებს რომ აწოდებს, დამარხავენ თავისი ხუჭუჭა, ბზით გავსებული წვერითა და ბეჭებზე გადახეული თეთრი ხალათით. ეგ კი ძნებსა შლის, რაღაც ბრძანებებს იძლევა და უყვირის დედაკაცებს, თან მარჯვედ ასწორებს ღვედს ქნევარა ბორბალზე. და, რაც მთავარია, მარტო მაგათ კი არა, მეც დამმარხავენ და აღარაფერი დარჩება ჩემგან. მერე რატომ?“

ამას ფიქრობდა და თან საათს დასცქეროდა, უნდოდა გაეგო, რამდენს გალეწავდნენ ერთ საათში. მისთვის საჭირო იყო ამის ცოდნა, რათა ამის მიხედვით მიეცა დღიური დავალება.

„საცაა ერთი საათი შესრულდება, ამათ კი მხოლოდ ახლა დაიწყეს მესამე ზვინი“, – გაიფიქრა ლევინმა, მიმწოდებელთან მივიდა და დაუყვირა, უფრო ცოტ-ცოტა მიეწოდებინა.

– ბევრ-ბევრს აწოდებ, ფიოდორ, ხედავ, იჭედება, კარგად ვერ მიდის. გაასწორე!

ოფლიან სახეზე მიწებებული მტვრისგან სახეჩაშავებულმა ფიოდორმა რაღაც დაუყვირა პასუხად, მაგრამ მაინც ისე ვერ აკეთებდა საქმეს, როგორც ლევინს უნდოდა.

ლევინი მანქანასთან მივიდა, ფიოდორი იქით გასწია და თვითონ დაიწყო ძნების მიწოდება.

თითქმის გლეხების სადილობამდე იმუშავა მათთან, მერე ფიოდორთან ერთად გამოვიდა საცეხვიდან, კალოზე სათესლედ გამზადებულ ჭვავის ყვითელ ზვინთან შეჩერდა და ლაპარაკი გაუბა მას.

ფიოდორი შორეული სოფლიდან იყო, სწორედ იმ სოფლიდან, სადაც წინათ ლევინს მიწები ჰქონდა გაცემული საარტელო სისტემის საფუძველზე. ახლა ეს მიწები მის შინაყმას ჰქონდა ქირით აღებული.

ლევინი ამ მიწებზე ელაპარაკებოდა ფიოდორს და ეკითხებოდა, მომავალი წლისთვის ხომ არ აიღებსო ამ მიწას იქაური შეძლებული, გამრჯე გლეხი.

– ძვირია, კონსტანტინ დმიტრიჩ, პლატონი ვერაფერს მოიგებს, – უპასუხა ფიოდორმა, თან გაოფლილი უბიდან თავთავებს იცილებდა.

– კირილოვი როგორღა იგებს?

– მიტიუხა (გლეხი ზიზღით ასე იხსენიებდა შინაყმას), კონსტანტინ დმიტრიჩ, როგორ არ მოიგებს, ყველას სისხლს ამოსწოვს და თავისას მაინც გაინაღდებს! მაგას ქრისტიანი არ შეებრალება! ძია ფოკანიჩი კი (ასე მოიხსენია მოხუცი პლატონი) განა ადამიანს ტყავს გააძრობს? ზოგს სესხად მისცემს, ზოგს აპატიებს და აღარაფერი დარჩება. ისიც ხომ ადამიანია!

– მერედა რატომ აპატიებს?

– ეტყობა, ადამიანები სხვადასხვანაირები არიან. ერთნი

მხოლოდ თავიანთი თავისთვის ცხოვრობენ, თუნდაც მიტიუხა, მხოლოდ იმის ცდაში არიან, როგორმე მუცელი ამოივსონ. ფოკანიჩი კი სამართლიანი კაცია. თავის სულის საცხონებლად ცხოვრობს, ღმერთს არ ივიწყებს!

– რანაირად არ ივიწყებს ღმერთს? როგორ ცხოვრობს თავისი სულის საცხონებლად? – თითქმის წამოიყვირა ლევინმა.

– გასაგებია როგორც: სამართლიანად, ღვთისნიერად, ადამიანები ხომ სხვადასხვანაირნი არიან. აი, თუნდაც თქვენ. თქვენც არ აწყენინებთ ადამიანს.

– ჰო, კარგი, მშვიდობით! – თქვა ლევინმა, რომელიც მღელვარებისაგან სულს ვეღარ ითქვამდა, მოტრიალდა, ხელში აიღო თავისი ჯოხი და ჩქარი ნაბიჯით წავიდა შინისკენ. გლეხის სიტყვებზე, ფოკანიჩი თავისი სულისთვის ცხოვრობს, ღვთითა და სიმართლითო, რაღაც გაურკვეველი, მაგრამ მნიშვნელოვანი აზრები, აქამდე თითქოს სადღაც რომ იყვნენ ჩაკეტილნი, ერთბაშად მიაწყდნენ, ერთი მიზნისაკენ წარიმართნენ, თავში აერივნენ და დააბრმავეს თავიანთი სინათლით.

XII

ლევინი ფართო ნაბიჯით მიჰყვებოდა შარაგზას და ყურს უგდებდა არა იმდენად თავის აზრებს (მას ჯერ კიდევ არ შეეძლო, გარკვეულიყო თავის აზრებში), არამედ იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც დღემდე არასოდეს განუცდია.

გლეხების ნათქვამმა სიტყვებმა ელექტრონაპერწკალივით დაურბინა მის სულს და ერთბაშად უცვალა სახე, ერთად შეკონა გათიშული, სუსტი, ცალკეული აზრები, მარად რომ აწვალებდნენ მას. ეს აზრები, თავისდა უნებურად, მაშინვე უტრიალებდნენ გონებაში, როცა მიწის გაცემაზე ელაპარაკებოდა გლეხებს.

ლევინი რაღაც ახალს გრძნობდა თავის სულში და ნეტარებდა ამით, თუმცა ჯერ ვერ გარკვეულიყო, რას წარმოადგენდა ეს

ახალი.

„შენთვის კი არა, ღმერთისთვის უნდა იცხოვრო! რომელი ღმერთისთვის? განა შეიძლება ვინმემ თქვას ამაზე უაზრო რამ, რაც მან თქვა, რომ არ უნდა იცხოვრო საკუთარი საჭიროებისთვის, ესე იგი არ უნდა იცხოვრო იმისთვის, რაც შენ გესმის, რაც გიტაცებს, რაც გინდა, არამედ უნდა იცხოვრო რაღაც გაუგებრისთვის, ღმერთისთვის, რომლის გაგება ან განსაზღვრა არავის ძალუძს. მერე რა? განა მე ვერ გავიგე ფიოდორის სიტყვები? განა დავეჭვდი მის სიმართლეში? სულელურად, გაურკვევლად, ანდა სიცრუედ მეჩვენა ეს სიტყვები?

არა, მე გავიგე და გავიგე სწორად, ისე, როგორც მას ესმის, გავიგე უფრო სრულად და ნათლად, ვიდრე რაიმე გამიგია ცხოვრებაში, ამაში არასოდეს დავეჭვებულვარ და არც შემიძლია დაეჭვება. და განა მარტო მე, ყველას, მთელ ქვეყანას ესმის ეს კარგად და ამაში არასოდეს არავინ დაეჭვებულა, ყველა ეთანხმება.

ფიოდორი ამბობს, შინაყმა კირილოვი თავისი მუცლისთვის ცხოვრობსო. ეს გასაგებია და გონივრული. ჩვენ, ყველას, როგორც გონიერ არსებათ, არ შეგვიძლია სხვაგვარად ვიცხოვროთ, თუ არა საკუთარი მუცლისთვის. და ამ დროს იგივე ფიოდორი ამბობს, ცუდიაო საკუთარი მუცლისთვის ცხოვრება, კაცმა სიმართლისთვის, ღმერთისთვის უნდა იცხოვროსო. და მე უცებ ჩავხვდი ამ გადაკრული სიტყვების აზრს. მეც და მილიონობით სხვა ადამიანებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთი საუკუნის წინ და ცხოვრობენ ახლა, გლეხები, სულით ღატაკნი და ბრძენნი, რომელნიც ფიქრობდნენ და წერდნენ ამაზე, თავიანთი გაუგებარი ენით ამასვე ამბობდნენ. ჩვენ, ყველანი, მხოლოდ ამაში ვეთანხმებით ერთმანეთს: რისთვის უნდა იცხოვრო და რა არის კარგი. მეც, სხვებთან ერთად, მაქვს ერთი უეჭველი, გარკვეული ცოდნა და ეს ცოდნა არ შეიძლება აიხსნას გონებით, რადგან გონების გარეშე დგას, მას არა აქვს არავითარი გარკვეული მიზეზი და ამიტომ არც შეიძლება ჰქონდეს არავითარი შედეგი.

თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე. თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი, ჯილდო, – ესეც აღარ არის სიკეთე. ასე რომ, სიკეთე მიზეზ-შედეგთა ჯაჭვის გარეშე დგას.

სწორედ ეს ვიცი მე და ვიცით ჩვენ, ყველამ.

მე კი სასწაულებს ვეძებდი და ვნანობდი, რომ ვერ ვიხილე სასწაული, რომელიც დამარწმუნებდა. აი, ეს სასწაულიც ერთადერთი შესაძლებელი და მარადჟამს არსებული, რომელიც ყოველმხრივ გარს მარტყია და მე კი ვერ ვამჩნევდი!

განა რა სასწაული შეიძლება იყოს ამაზე დიდი?

ნუთუ მე უკვე მივაგენი ყოველივე ამის ახსნას, ნუთუ უკვე დასრულდა ჩემი ტანჯვა?“ – ფიქრობდა ლევინი და მტვრიან გზაზე მიაბიჯებდა, ვერ ამჩნევდა ვერც სიცხეს, ვერც მოქანცულობას, გრძნობდა, რომ ბოლო ეღებოდა მის ხანგრძლივ ტანჯვას. ეს გრძნობა იმდენად სიხარულის მომგვრელი იყო, რომ დაუჯერებელიც ეჩვენებოდა. სულთქმა ეკვროდა მღელვარებისაგან და ვეღარ შეძლო გზის გაგრძელება, ტყისკენ გადაუხვია და ვერხვის ჩრდილში გაუთიბავ ბალახზე დაეშვა. გაოფლიანებულმა თავიდან ქუდი მოიხადა და ტყის დაცვარულ, ქორფა ბალახზე წამოწვა, იდაყვებით დაეყრდნო.

„დიახ, გონს უნდა მოვიდე, უნდა მოვისაზრო, – ფიქრობდა იგი და გაშტერებით მისჩერებოდა მის წინ აღმართულ გაუთელავ ბალახს, თვალყურს ადევნებდა, როგორ მიცოცავდა ჭანგას ღეროზე მწვანე მუმლი, ღიღმანჭელას ფოთოლი რომ ეღობებოდა წინ, – ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, – თქვა ლევინმა და ღიღმანჭელას ფოთოლი შეატრიალა, ხელი რომ არ შეეშალა მუმლისთვის და მეორე ბალახის ღერო გადაღუნა, რათა ახლა ამ ბალახზე გადასულიყო, – რა მახარებს? განა რა აღმოვაჩინე?

წინათ ვამბობდი, რომ ჩემს სხეულში, ამ ბალახისა და მუმლის სხეულში (აი, მან არ ისურვა მეორე ბალახზე გადასვლა, ფრთები შეისწორა და გაფრინდა), თანახმად ფიზიკური, ქიმიური და ფიზიოლოგიური კანონებისა, ხდება მატერიის ცვლა. ყველა ჩვენგანში, ისე როგორც ვერხვები, ღრუბლებში, ნისლის ლაქებში ხდება განვითარება. განვითარება რისგან? რისკენ არის მიმართული? უსასრულო განვითარება და ბრძოლა? უსასრულობაში! მე მიკვირდა, რომ მიუხედავად ჩემი გონების უდიდესი დაძაბვისა ამ მიმართულებით, მაინც ვერ აღმოვაჩინე სიცოცხლის აზრი, ჩემს გულისწადილთა აზრი ჩემთვის იმდენად ნათელია, რომ მუდამ ამ მისწრაფებათა მიხედვით ვცხოვრობდი და გამიკვირდა და გამიხარდა, როცა

გლეხმა ამიხსნა: ღმერთისთვის, სულისთვის უნდა იცხოვროო.

მე არაფერი აღმომიჩენია. მხოლოდ ის გავიგე, რაც ვიცი. მე შევიცანი ის ძალა, რომელმაც არა მარტო წარსულში მომანიჭა სიცოცხლე, არამედ ახლაც მანიჭებს. მე გავთავისუფლდი სიცრუისაგან და ვცანი, ვინ ყოფილა ჩემი მეუფე!“

და გონებაში მოკლედ გაიმეორა საკუთარ აზრთა მსვლელობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რომლის დასაწყისში იყო სრულიად გარკვეული და ჩვეულებრივი აზრი სიკვდილზე, როცა თავისი საყვარელი ძმა მომაკვდავი იხილა, უიმედო სენით შეპყრობილი.

პირველად მაშინ მიხვდა ნათლად, რომ ყოველი ადამიანი და თვით ისიც არაფერს უნდა ელოდეს წინ, გარდა ტანჯვისა, სიკვდილისა და სამუდამო დავიწყებისა, და გადაწყვიტა, რომ შეუძლებელია ამგვარად სიცოცხლე, ან უნდა ახსნას თავისი სიცოცხლე, რომ იგი არ წარმოადგენს ბოროტ დაცინვას ეშმაკეულისა, ან თავი უნდა მოიკლას.

მაგრამ ვერ აასრულა ვერც ერთი და ვერც მეორე, კვლავ განაგრძობდა ცხოვრებას, აზროვნებდა, გრძნობდა. სწორედ ამ ხანებში ცოლიც შეირთო, მრავალი სიხარული განიცადა და ბედნიერადაც კი გრძნობდა თავს, როცა არ ფიქრობდა თავისი სიცოცხლის მნიშვნელობაზე.

რას ნიშნავდა ეს? ეს იმას ნიშნავდა, რომ კარგად ცხოვრობდა, მაგრამ ცუდად ფიქრობდა.

იგი ცხოვრობდა შეუცნობლად ამისა, იმ სულიერ ჭეშმარიტებათა მეოხებით, დედის რძესთან ერთად რომ ჰქონდა შეწოვილი, ფიქრით კი არათუ ცნობდა იმ ჭეშმარიტებათ, არამედ გულმოდგინედ ცდილობდა, გვერდი აევლო მათთვის.

ახლა მისთვის ნათელი შეიქნა, რომ შეეძლო ეცხოვრა მხოლოდ იმ რწმენათა შემწეობით, რომელთა შორისაც აღიზარდა.

„რა ვიქნებოდი მე? როგორ გავატარებდი ჩემს ცხოვრებას, რომ არ მქონოდა ეს რწმენა, არ მცოდნოდა, რომ უნდა ვიცხოვრო ღმერთისთვის და არა საკუთარი საჭიროებისთვის? მე მძარცველი, ცბიერი და მკვლელი გავხდებოდი. აღარაფერი დამრჩებოდა იმისაგან, რაც ჩემი სიცოცხლის მთავარ სიხარულს

შეადგენს“, და ლევინი წარმოსახვის უდიდესი ძალისხმევით ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა ის მხეცური არსება, რომელიც იქნებოდა თვითონ, თუ არ ეცოდინებოდა, რისთვის ცოცხლობს.

„მე ვეძებდი პასუხს ჩემს კითხვაზე. მაგრამ ამ კითხვაზე არ შეეძლო პასუხი მოეცა ჩემს გონებას, იგი არ შეესაბამება კითხვას, პასუხი თვით ცხოვრებამ მომცა იმით, რომ შემაგნებინა, რა არის კარგი და რა – ცუდი. ეს ცოდნა მე არაფრით შემიძენია, იგი მონიჭებული მაქვს ისე, როგორც მრავალი სხვა რამ. მონიჭებული მაქვს იმიტომ, რომ არსაიდან შემეძლოს მისი მიღება.

საიდან მოვიდა ეს? განა გონებამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი და არ აბრჩობდე მას? ეს ბავშვობაში მითხრეს და მეც სიხარულით დავიჯერე, რადგან მითხრეს ის, რაც სულში მქონდა. მერე ვინ აღმოაჩინა ეს? ეს გონებას არ აღმოუჩენია. გონებამ აღმოაჩინა ბრძოლა არსებობისთვის და ის კანონი, რომელიც მოითხოვს, დაახრჩო ყველა, ვინც ხელს უშლის შენი სურვილების დაკმაყოფილებას. ეს გონებამ დაასკვნა. ხოლო მოყვასის სიყვარული არ შეეძლო აღმოეჩინა გონებას, იმიტომ, რომ ეს არაგონივრულია“.

„დიახ, სიამაყე“, – თქვა თავისთვის ლევინმა და ახლა გულდაღმა წაწვა, შეეცადა ბალახის ღეროები ისე გამოენასკვა ყულფად, რომ არ გადამტყდარიყო.

„და არა მარტო ჭკუის სიამაყე, არამედ სისულელეც ჭკუისა და, რაც მთავარია, თვალთმაქცობა, სწორედ რომ თვალთმაქცობა ჭკუისა. სწორედ თაღლითობა ჭკუისა“, – გაიმეორა მან.

XIII

და ლევინს გაახსენდა, ამას წინათ რა შეემთხვათ დოლისა და მის ბავშვებს. მარტოდ დარჩენილი ბავშვები სანთელზე წვავდნენ ჟოლოს და შადრევანივით ისხამდნენ პირში რძეს.

დედამ სწორედ ამ დროს მიუსწრო ბავშვებს და ლევინის თანდასწრებით დაუწყო შეგონება, რამდენ შრომად უღირთ უფროსებს ის, რასაც ისინი ანადგურებენ, რომ ეს შრომა მათთვისაა დახარჯული და, თუ ისინი ფინჯნებს დაამსხვრევენ, ვეღარაფრით დალევენ ჩაის, ხოლო თუ რძეს დაღვრიან, საჭმელი აღარ ექნებათ და შიმშილით დაიხოცებიან.

და ლევინი გააოცა ბავშვების სიმშვიდემ და უნდობლობამ, როცა ისინი დედის სიტყვებს ისმენდნენ. მხოლოდ ის სწყინდათ, რომ ბოლო მოეღო ამ თავშესაქცევ თამაშს და ერთი სიტყვაც არ სჯეროდათ დედის ნათქვამიდან. არ შეეძლოთ ამის დაჯერება, რადგან ვერ წარმოედგინათ ყოველივე ის, რაც მათთვის კეთდებოდა, და ამიტომაც არ სჯეროდათ, რომ ანადგურებდნენ სწორედ იმას, რითაც ცხოვრობდნენ.

„ყველაფერი ეს თავისთავად მოდის, – ფიქრობდნენ ბავშვები, – არაფერი საინტერესო და მნიშვნელოვანი არ არის ამაში. ყოველთვის ასე ყოფილა და ასე იქნება. მუდამ ერთი და იგივე მეორდება. ამაზე ფიქრი ჩვენ არ გვჭირდება, ყველაფერი მზამზარეულად მოვა. ჩვენ კი გვინდა რამე საკუთარი და ახალი გამოვიგონოთ. და აი, მოვიგონეთ კიდეც: ფინჯანში ჩავყარეთ ჟოლო და სანთელზე შევწვით, რძეს კი შადრევანივით ვასხამთ ერთმანეთს პირში, ეს სახალისოა და ახალი, ბევრად სჯობია კიდეც ფინჯნიდან დალევას.

„განა ამასვე არ ვაკეთებთ ჩვენ, ამასვე არ ვაკეთებდი მე, როცა გონებით მინდოდა ჩავწვდომოდი ბუნების ძალთა მნიშვნელობას და ადამიანის სიცოცხლის აზრს?“ – განაგრძობდა ფიქრს ლევინი.

„და განა ამასვე არ აკეთებენ ყველა ის ფილოსოფიური თეორიები, როცა ადამიანი უცნაური, არაბუნებრივი გზით მიჰყავთ იმის ცოდნამდე, რაც უკვე იცის და იმდენად კარგად იცის, რომ უამისოდ ვერც შეძლებდა სიცოცხლეს? განა ყოველი ფილოსოფოსის თეორიის განვითარებაში ნათლად არ ჩანს, რომ მან წინასწარვე იცის და ისევე დაბეჯითებით იცის, როგორც ფიოდორმა, და შეიძლება ისე ნათლად არცა აქვს წარმოდგენილი სიცოცხლის მთავარი აზრი და მხოლოდ რაღაც საეჭვო გონებრივი გზით სურს დაუბრუნდეს იმას, რაც ყველასთვის ცნობილია?

აბა, მიუშვით ბავშვები მარტო, თვითონვე შეიძინონ, გააკეთონ

ჭურჭელი, მოწველონ რძე და ა.შ. განა მაშინ იცელქებდნენ? შიმშილით დაიხოცებოდნენ. აბა, მიგვიშვით ჩვენც ჩვენი ვნებებით, ჩვენი აზრებით, ისე, რომ წარმოდგენა არ გვქონდეს ერთარსება ღმერთსა და შემოქმედზე! ანდა ისე, რომ არ ვიცოდეთ სიკეთის არსებობა და არ შეგვეძლოს ახსნა ზნეობრივი ბოროტებისა!

აბა, ააშენეთ რაიმე ამ ცნებათა გარეშე!

ჩვენ მხოლოდ ვანგრევთ, იმიტომ, რომ სულიერად მაძღარნი ვართ! სწორედ რომ ბავშვებივით ვართ!

საიდან გვაქვს მეც და იმ გლეხსაც ის საერთო სიხარულის მომნიჭებელი ცოდნა, რომელიც მაძლევს სულიერ სიმშვიდეს? საიდან მოვიტანე ეს?

მე აღვიზარდე ღმერთის ღრმა რწმენით, აღვიზარდე ქრისტიანად და მთელი ჩემი ცხოვრება გამსჭვალულია იმ სათნოებით, რაც ქრისტიანობამ მომანიჭა, აღსავსე ვარ ამ სათნოებით და ამით ვცოცხლობ; მე კი იმ ბავშვივით არ მესმის ეს და ვანგრევ, უფრო სწორად, მინდა დავანგრიო ის, რითაც ვცოცხლობ. მაგრამ როგორც კი დადგება ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წუთი, მსგავსად იმ ბავშვებისა, რომელთაც შიათ და სცივათ, მივდივარ მასთან და არანაკლებ იმ ბავშვებისა, რომელთაც დედა უწყრებათ ბავშვური ცელქობისთვის, ვგრძნობ, რომ ჩემი ბავშვური ოინები მაპატიეს.

დიახ, ის, რაც მე ვიცი, გონებით კი არ ვიცი, მონიჭებული მაქვს, ზეშთაგონებული, ეს მე გულით ვიცი, რადგან მწამს ის მთავარი, რასაც ეკლესია აღიარებს“.

„ეკლესია, ეკლესია!“ – გაიმეორა ლევინმა, გვერდი იცვალა, იდაყვს დაეყრდნო და გაიხედა შორს, მდინარის მეორე მხარეს, საიდანაც ნახირს მოერეკებოდნენ მდინარისაკენ.

„მაგრამ შემიძლია თუ არა ვირწმუნო ყოველივე ის, რასაც ეკლესია აღიარებს?“ – ფიქრობდა ლევინი, თავის თავს ცდიდა და იგონებდა ყველაფერს, რასაც მისი ახლანდელი სიმშვიდის დარღვევა შეეძლო. განზრახ გაიხსენა ეკლესიის ის მოძღვრებანი, ყოველთვის ყველაზე მეტად რომ ეუცნაურებოდნენ და ცდუნებისაკენ უბიძგებდნენ. „ქმნილება? მე რითი ვხსნიდი არსებობას? არსებობით?

არაფრით? ეშმაკი და ცოდვა? რითი ვხსნიდი ბოროტებას? ხსნას?..

მაგრამ მე არაფერი, არაფერი ვიცი და არც შემიძლია ვიცოდე, თუ არა ის, რაც მითხრეს, ისე როგორც ყველას“.

ახლა ეჩვენებოდა, რომ საეკლესიო მოძღვრებათაგან არც ერთი არ ყოფილა ისეთი, რომელსაც შეეძლო დაერღვია მთავარი – რწმენა ღმერთისა და სიკეთისა, როგორც ადამიანის ერთადერთი დანიშნულებისა.

ყოველ საეკლესიო მოძღვრებაში საჭიროებათა ნაცვლად შეგვიძლია ჩავსვათ რწმენა სიკეთის სამსახურისა და ეს არათუ დაარღვევდა ამას, არამედ აუცილებელიც იქნებოდა იმ მთავარი, დედამიწაზე მარად გამოვლენილი სასწაულის აღსასრულებლად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველას, მილიონობით სხვადასხვა ჯურის ადამიანთან ერთად, ბრძენსაც და ღვთის გლახასაც, დიდსაც და პატარასაც, – ყველას, გლეხსაც, ლვოვსაც, კიტისაც, მეფესაც და მათხოვარსაც დაუეჭვებლად სჯეროდეს ერთი და იგივე და შექმნას იმგვარი სულიერი ცხოვრება, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე და რასაც ნამდვილად ვაფასებთ.

ლევინი ახლა გულაღმა იწვა და მაღალ, უღრუბლო ცას შეჰყურებდა. „განა მე არ ვიცი, რომ ეს უსაზღვრო სივრცეა და არა მრგვალი ცის კამარა? მაგრამ რანაირადაც უნდა მოვჭუტო თვალი, რანაირადაც უნდა დავძაბო მხედველობა, მაინც ისე მეჩვენება, როგორც მრგვალი, შემოზღუდული ცის თაღი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ნათელია ამ სივრცის უსასრულობა და მე უეჭველად უფრო მართალი ვარ, როცა მტკიცედ შემოფარგლულ ცისფერ თაღს ვხედავ, ვიდრე მაშინ, როცა ძალას ვატან თავს და მინდა იმის იქით დავინახო რაღაც“.

ლევინმა თითქოს უკვე თავი ანება ფიქრს და მხოლოდ ყურს უგდებდა იმ იდუმალ ხმებს, სიხარულით და გატაცებით რომ ხმიანობდნენ მასში.

„ნუთუ ეს არის რწმენა? – ფიქრობდა და ეშინოდა, დაეჯერებინა ეს ბედნიერება, – გმადლობ შენ, უფალო! – თქვა მან, ყელში მობჯენილი ქვითინი შეიკავა და ორივე ხელით მოიწმინდა ცრემლით სავსე თვალები.

XIV

ლევინი წინ იყურებოდა და ხედავდა ნახირს, მერე თავისი ეტლიც დაინახა, რომელშიც ყორანა ცხენი ება, დაინახა მეეტლეც, ნახირთან რომ მივიდა და რაღაც უთხრა მწყემსს. მერე სულ ახლოს მოესმა ეტლის თვლების ხმაური და ფრუტუნი მაძღარი ცხენისა. მაგრამ იმდენად იყო გართული თავის ფიქრებში, რომ არც უფიქრია, რატომ გამოგზავნეს მასთან მეეტლე.

ეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მეეტლე სულ ახლოს მივიდა მასთან და დაუძახა: – ქალბატონმა გამომგზავნა. თქვენი ძმა და კიდევ ვიღაც ბატონი ჩამობრძანდნენ.

ლევინი ეტლში ჩაჯდა და სადავეებს მოჰკიდა ხელი.

დიდხანს ვერ მოვიდა გონს, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო, ისე შეჰყურებდა გამაძღარ ცხენს, რომელსაც ოფლი გამოსვლოდა ბარძაყებშუა და კისერზე, სადაც სადავე ეხახუნებოდა, შეჰყურებდა მის გვერდით მჯდომ მეეტლე ივანს და აგონდებოდა, რომ ძმა ელოდა, რომ ცოლი, ალბათ, უკვე წუხდა მისი დაგვიანების გამო და ცდილობდა, გამოეცნო, ვინ უნდა ყოფილიყო ძმასთან ერთად ჩამოსული სტუმარი. ახლა ძმაც, ცოლიც და უცნობი სტუმარიც სულ სხვანაირად ჰყავდა წარმოდგენილი, ვიდრე წინათ. ეგონა, მისი ურთიერთობა ყველასთან ახლა სრულიად შეიცვლებოდა.

„ძმასთან წინანდელივით უცხოდ აღარ ვიგრძნობ თავს, აღარ ვიკამათებთ, აღარც კიტისთან მექნება უთანხმოება, სტუმრებთანაც, ვინც უნდა იყოს იგი, ალერსიანი და კეთილი ვიქნები, ხალხსაც, ივანსაც, სულ სხვანაირად მოვექცევი“.

ლევინს მაგრად ეჭირა დაჭიმული სადავე ფიცხი ცხენისა, მოუთმენლობისაგან რომ ფრუტუნებდა და აჩქარებას ითხოვდა, თან მალიმალ გადახედავდა ხოლმე მის გვერდით მჯდომ ივანს, რომელმაც აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა უსაქმოდ დარჩენილი ხელებით და წარამარა ისწორებდა ხალათს. ლევინი ეძებდა მიზეზს ივანთან გამოსალაპარაკებლად. უნდოდა ეთქვა, მოსართავი ძალიან მაღლა მოგიჭერიაო, მაგრამ ეს საყვედურს ემგვანებოდა, მას კი ალერსიანი საუბარი უნდოდა, მაგრამ სხვა არაფერი აგონდებოდა.

– მარჯვნივ დაუჭირეთ თავი, თორემ აქეთ კუნძია, – უთხრა მეეტლემ და სადავე გაუსწორა.

– თუ შეიძლება, ხელს ნუ ჰკიდებ და ნუ მასწავლი! – თქვა მეეტლის ჩარევით გულმოსულმა ლევინმა. ახლაც ისევე გააბრაზა სხვისმა ჩარევამ, როგორც ყოველთვის, და ეწყინა, რომ ასეთი მცდარი აღმოჩნდა მისი წარმოდგენა, თითქოს სულიერ განწყობილებას შეეძლო მაშინვე შეეცვალა მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან.

სახლამდე მეოთხედი ვერსიღა დარჩენოდა, როცა ლევინმა თვალი მოჰკრა გრიშასა და ტანიას, რომელნიც მის შესაგებებლად გამორბოდნენ.

– ძია კოსტია! დედაც მოდის, პაპაც, სერგეი ივანიჩიც და კიდევ ვიღაც კაცი, – უთხრეს ბავშვებმა, როცა ეტლზე ამოცოცდნენ.

– ვინ კაცია?

– მეტისმეტად საშინელი ვიღაცაა! ხელებით აი, ასე აკეთებს, – თქვა ტანიამ, ეტლში წამოდგა და გასცინა კატავასოვს.

– მოხუცია თუ ახალგაზრდა? – სიცილით ჰკითხა ლევინმა, რომელსაც ტანიას ხელების ქნევაზე ვიღაც გაახსენდა.

„ნეტავ ვინმე არასასიამოვნო არ იქნებოდეს!“ – გაიფიქრა გულში.

გზიდან გადაუხვიეს თუ არა, ლევინმა თვალი მოჰკრა მათ შესახვედრად წამოსულთ და უმალვე იცნო ჭილისქუდიანი კატავასოვი, რომელიც მართლაც ისე იქნევდა ხელებს, როგორც ტანიამ წარმოადგინა.

კატავასოვს ძალიან უყვარდა ლაპარაკი ფილოსოფიაზე, რის შესახებაც ბუნებისმეტყველებიდან ჰქონდა წარმოდგენა, საკუთრივ ფილოსოფია კი არასოდეს შეუსწავლია. უკანასკნელ ხანს მოსკოვში ლევინი ხშირად კამათობდა ხოლმე მასთან.

კატავასოვის დანახვაზე მაშინვე გაახსენდა ერთი ასეთი საუბართაგანი, რომელზეც კატავასოვი უეჭველია ფიქრობდა, მე გავიმარჯვეო.

„არა, არაფრის გულისთვის აღარ ვიკამათებ და ისე ზერელედ აღარ გამოვთქვამ აზრებს“, – გაიფიქრა ლევინმა.

ლევინი ეტლიდან გადმოვიდა, ძმასა და კატავასოვს მიესალმა და ცოლის ამბავი იკითხა.

– კიტიმ მიტია კოლოკში წაიყვანა (ასე ეძახდნენ სახლის მახლობლად მდებარე ტყეს). უნდა იქ მოასვენოს, თორემ სახლში ძალიან ცხელა, – უთხრა დოლიმ.

ლევინი ყოველთვის უშლიდა ცოლს ტყეში ბავშვის წაყვანას, რადგან სახიფათოდ მიაჩნდა. ახლაც ეწყინა ეს.

– დაქრის მასთან ერთად ხან იქ, ხან აქ, – ღიმილით თქვა თავადმა, – მე ვურჩიე, საყინულესთან მიიყვანე-მეთქი.

– კიტის საფუტკრეში უნდოდა წამოსვლა. ეგონა, იქ იქნებოდი. ჩვენც ყველანი იქ მივდივართ, – უთხრა დოლიმ.

– აბა, რას საქმიანობ? – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა, სხვებს ჩამორჩა და გვერდით გაჰყვა ძმას.

– განსაკუთრებულს არაფერს. როგორც ყოველთვის, მეურნეობას ვეწევი, – უპასუხა ლევინმა, – შენ რა, დიდი ხნით ჩამოხვედი? ჩვენ უკვე რამდენი ხანია გელით...

– მხოლოდ ორიოდე კვირით. ძალიან ბევრი საქმე მაქვს მოსკოვში.

ამ სიტყვებზე ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. ლევინმა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და დღეს კი განსაკუთრებით უნდოდა, მეგობრული, რაც მთავარია, უბრალო ურთიერთობა ჰქონოდა ძმასთან, იგრძნო, რომ მისთვის უხერხული იყო ძმის შეხედვა. მან თვალები დახარა და არ იცოდა, რა ეთქვა.

გონებაში გადასინჯა, რა საგანზე უფრო ესიამოვნებოდა საუბარი ძმას, რა აიძულებდა მოშვებოდა სერბეთის ომსა და სლავთა საკითხზე ლაპარაკს, რაზედაც გადაუკრა სიტყვა, როცა უთხრა, მოსკოვში აუარებელი საქმე მაქვსო, და ისევ წიგნზე ჩამოუგდო სიტყვა.

– ჰო, იყო თუ არა რეცენზია შენს წიგნზე? – ჰკითხა მან.

სერგეი ივანოვიჩს გაეცინა ამ განზრახ მიცემულ შეკითხვაზე.

– ახლა არავის არ სცალია ამისთვის, ყველაზე მეტად კი მე, – თქვა მან, – შეხედეთ, დარია ალექსანდროვნა, წვიმა იქნება, –

დასძინა მან და ქოლგით ვერხვებს კენწეროებს ზემოთ გამოჩენილი თეთრი ღრუბლები დაანახვა.

და ეს სიტყვები საკმარისი იყო, ძმებს შორის ისევ ის არამტრული, მაგრამ გულგრილი ურთიერთობა დამყარებულიყო, რომელსაც ასე გაურბოდა ლევინი.

ლევინი კატავასოვთან მივიდა.

– რა კარგი ქენით, რომ მოიფიქრეთ ჩამოსვლა, – უთხრა ლევინმა.

– დიდი ხანია ვაპირებდი. ახლა ვისაუბროთ, ვნახოთ. სპენსერი წაიკითხეთ?

– არა, ბოლომდე არ ჩამიკითხავს, – უთხრა ლევინმა, – თუმცა, მე უკვე აღარც მჭირდება იგი.

– როგორ თუ აღარ გჭირდება? ეს საინტერესოა. რატომ არ წაიკითხე?

– ესე იგი დავრწმუნდი, რომ ჩემთვის საინტერესო საკითხთა გადაწყვეტას ვერც სპენსერთან ვნახავ და ვერც მის მსგავს ავტორებთან. ახლა...

მაგრამ კატავასოვის დამშვიდებულმა და მხიარულმა იერმა ისე გააოცა ლევინი და ისე დაენანა თავისი განწყობილება, რომელიც, ცხადია, გააფუჭა ამ სიტყვებით, რომ მაშინვე შეწყვიტა საუბარი და გაიხსენა თავისი განზრახვა.

– თუმცა შემდეგ ვილაპარაკოთ. საფუტკრეში თუ მივდივართ, მაშინ აქეთ, ამ ბილიკს უნდა გავყვეთ, – მიმართა მან ყველას.

როცა სტუმრები ვიწრო ბილიკით მიუახლოვდნენ გაუთიბავ მინდორს, რომლის ცალი მხარე მთლიანად იასამფერათი იყო დაფარული, ალაგ-ალაგ ხარისძირას მუქი მწვანე მაღალი ბუჩქები რომ შერეოდა, ლევინმა სტუმრები ახალწამოზრდილი ვერხვების გრილ ჩეროში დასხა სკამებსა და მორებზე, საგანგებოდ რომ ჰქონდა მომზადებული იმ სტუმრებისთვის, რომელთაც ფუტკრებისა ეშინოდათ, თვითონ კი საფუტკრეში შევიდა ბავშვებისა და უფროსებისთვის პურის, კიტრისა და ახალი თაფლის გამოსატანად.

ლევინი ცდილობდა, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, თავი აერიდებინა სწრაფი მოძრაობისთვის და ყურს უგდებდა

თითოეული ფუტკრის ხმას, რომელნიც ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად ჩაუფრენდნენ ხოლმე ბზუილით, და ვიწრო ბილიკით უახლოვდებოდა ქოხს. უკვე დერეფანში იყო შესული, რომ ბზუილი ატეხა მის წვერებში გახლართულმა ფუტკარმა. ლევინმა ფრთხილად მოიცილა ფუტკარი, დაჩრდილულ დერეფანში შევიდა და მაშინვე ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდებული ბადე, სახეზე აიფარა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და შემოღობილ საფუტკრეში შევიდა, სადაც გათიბულ მინდორზე მწკრივად იდგნენ ლევინისთვის ნაცნობი ძველი სკები, თითოეულს თავისი ისტორია რომ ჰქონდა. ღობის გასწვრივ კი ახალი, წელს ნაყარი სკები იყო ჩამწკრივებული. სკების წინ თვალისმომჭრელად ირეოდნენ ფუტკრები. ერთ ადგილას შეგროვილიყვნენ უქმად მყოფი მამლები, მათ შორის კი სულ ერთი და იმავე მიმართულებით – ტყისაკენ, აყვავებული ცაცხვებისაკენ და იქიდან ისევ უკან – სკებისაკენ – დაფრინავდნენ მუშა ფუტკრები, საშოვარით დატვირთულნი თუ საშოვარზე მიმავალნი.

განუწყვეტლივ ჩაესმოდა ყურში ფუტკრების განუწყვეტელი ზუზუნი, ხან საქმით გართული მუშა ფუტკრებისა, სწრაფად რომ ჩაუფრენდნენ ხოლმე გვერდით, ხან მამალი ფუტკრებისა, სკების წინ რომ ტრიალებდნენ, ხან კი ესმოდა მოდარაჯე ფუტკრების შეშფოთებული ბზუილი, მტრისგან რომ იცავდნენ თავიანთ ავლადიდებას და კბენას უპირებდნენ. ღობის მეორე მხარეს მოხუცი ლატანს რანდავდა და ვერ ხედავდა ლევინს. მასაც აღარ დაუძახია და შუაგულ საფუტკრეში შეჩერდა.

უხაროდა, რომ მარტო ყოფნის შესაძლებლობა მიეცა, რათა გამოფხიზლებულიყო სინამდვილისაგან, რომელსაც უკვე მოესწრო მისი განწყობილების გაფუჭება.

გაიხსენა, რომ უკვე მოასწრო გასწყრომოდა ივანს, გულცივობა გამოამჟღავნა ძმასთან და ქარაფშუტული საუბარი გაბა კატავასოვთან.

„ნუთუ ეს მხოლოდ წუთიერი განწყობილება იყო და ისე გაივლის, რომ არავითარ კვალს არ დატოვებს?“ – გაიფიქრა მან.

და იმავე წუთს ისევ დაუბრუნდა თავის განწყობილებას და გახარებულმა იგრძნო, რომ მასში რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი მოხდა. სინამდვილე მხოლოდ დროებით ჩამოეფარა მის მიერ აღმოჩენილ სულიერ სიმშვიდეს, თვით

სიმშვიდე კი კვლავ ხელშეუხებელი იყო მასში.

სწორედ ისევე, როგორც ეს ფუტკრები, ბზუილით რომ დასტრიალებდნენ თავს, ემუქრებოდნენ და აფხიზლებდნენ, უკარგავდნენ ფიზიკურ სიმშვიდეს, აიძულებდნენ მოკუნტულიყო და თავი დაეღწია მათგან, სწორედ ასევე, ეტლში ჩაჯდომის წუთიდანვე გარს შემოჯარულმა საზრუნავებმა კვლავ დაუკარგა სულიერი თავისუფლება, მაგრამ ეს მხოლოდ მანამდე გაგრძელდა, სანამ ლევინი მათ შორის იმყოფებოდა, ისევე როგორც, მიუხედავად ფუტკრების შემოტევისა, ფიზიკური ძალა ხელშეუხებელი იყო მასში, ასევე ხელშეუხებელი იყო ის სულიერი ძალაც, რომელიც ახლა კვლავ შეიგრძნო.

XV

– იცი, კოსტია, ვისთან ერთად უმგზავრია სერგეი ივანოვიჩს? – უთხრა დოლიმ ლევინს, როცა ბავშვებს კიტრები და თაფლი გაუნაწილა, – ვრონსკისთან ერთად, სერბეთში მიდის თურმე.

– თვითონაც მიდის და მთელი ესკადრონიც მიჰყავს თავისი ხარჯით, – დაურთო კატავასოვმა.

– ეს სწორედ შეშვენის მას, – თქვა ლევინმა, – განა კიდევ მიდიან მოხალისეები? – დასძინა მან და სერგეი ივანოვიჩს გადახედა.

სერგეი ივანოვიჩს პასუხი არ გაუცია, დანის ბლაგვი პირით ფრთხილად ამოჰყავდა თეთრი ფიჭით სავსე თასიდან ჩამონაჟონ თაფლში მოფართხალე ჯერ ისევ ცოცხალი ფუტკარი.

– მიდიან და მერე როგორ! ერთი გენახათ, გუშინ რა ამბავი იყო სადგურზე! – თქვა კატავასოვმა, თან კიტრს ახრამუნებდა.

– ეს როგორ უნდა გავიგოთ? სერგეი ივანოვიჩ, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, სად მიდიან ეს მოხალისეები, ვისთან აპირებენ ბრძოლას? – იკითხა მოხუცმა თავადმა, ეტყობა, ჯერ ისევ ლევინის მოსვლამდე დაწყებულ საუბარს განაგრძობდა.

– თურქებთან, – მშვიდი ღიმილით უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა, დანის წვერით ამოიყვანა თაფლისაგან გაშავებული ფუტკარი, უმწეოდ რომ ასავსავებდა ფეხებს, და ვერხვის ფოთოლზე დასვა.

– მერედა ვინ გამოუცხადა თურქებს ომი, ივან ივანიჩ როგოზოვმა და გრაფინია ლიდია ივანოვნამ მადამ შტალთან ერთად?

– ომი არავის გამოუცხადებია, მაგრამ ხალხი თანაუგრძნობს მოძმეთა ტანჯვას და ცდილობს დაეხმაროს, – უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა.

– თავადი დახმარებაზე კი არა, ომზე ლაპარაკობს, – თქვა ლევინმა, გამოექომაგა სიმამრს, – თავადი ამბობს, რომ კერძო პირთ არ შეუძლიათ ომში მონაწილეობა მთავრობის უნებართვოდ.

– კოსტია, შეხედე, ეს ფუტკარია? ნამდვილად გვიკბენს! – უთხრა დოლიმ და ხელი აუქნია კრაზანას.

– ეს ფუტკარი კი არა, კრაზანაა, – უთხრა ლევინმა.

– აბა, გვითხარით, როგორია თქვენი თეორია? – ღიმილით უთხრა კატავასოვმა ლევინს, ეტყობა, მისი კამათში გამოწვევა უნდოდა, – რატომ არა აქვთ კერძო პირებს უფლება?

– ჩემი თეორია ასეთია: ომი, ერთი მხრივ, იმდენად მხეცური, საზარელი და ულმობელი რამ არის, რომ არც ერთ ადამიანს, აღარაფერს ვიტყვი ქრისტიანზე, არ შეუძლია თავის თავზე აიღოს ომის დაწყების პასუხისმგებლობა. ეს შეუძლია მხოლოდ მთავრობას, რომელიც საამისოდ არის მოწოდებული, ისიც მაშინ, როცა ომი აუცილებელია. მეორე მხრივ, ამას ადასტურებს მეცნიერებაც და ადამიანის საღი აზროვნებაც, სახელმწიფო საქმეებში, განსაკუთრებით ომის საქმეებში, მოქალაქენი უარს ამბობენ თავიანთ პირად სურვილებზე.

სერგეი ივანოვიჩი და კატავასოვი, რომელთაც მზად ჰქონდათ ამის პასუხი, ერთდროულად ალაპარაკდნენ.

– სწორედ ეს არის, ჩემო ბატონო, საქმე, რომ არის შემთხვევები, როცა მთავრობა არაფრად აგდებს მოქალაქეთა ნება-სურვილს და მაშინ საზოგადოება მოვალეა, თვითონ გამოავლინოს თავისი სურვილები, – თქვა კატავასოვმა.

მაგრამ სერგეი ივანოვიჩს, ეტყობა, არ მოეწონა ეს პასუხი. კატავასოვის სიტყვებზე მოიღუშა და თვითონ სულ სხვანაირად ახსნა ეს.

– შენ ტყუილად აყენებ ასე საკითხს. აქ არავითარი ომის გამოცხადება არ არის. ეს უბრალოდ გამოვლენაა ადამიანური, ქრისტიანული გრძნობისა. ჟლეტენ ჩვენს მოძმეთ, თვისტომსა და ერთმორწმუნე ხალხს. ანდა დავუშვათ, მოძმეთ და ერთმორწმუნეთ კი არა, ხოცავენ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს. ეს იწვევს აღშფოთების გრძნობას და რუსი ხალხიც ისწრაფვის დასახმარებლად, რათა ბოლო მოუღოს ამ საშინელებას. აბა, წარმოიდგინე, მიდიხარ ქუჩაში და ხედავ, მთვრალი კაცები როგორ სცემენ ქალს ან ბავშვს. მე მგონია, არ დაიწყებ გამოკითხვას, გამოუცხადეს თუ არა ომი ამ კაცს, პირდაპირ მივარდები და დაიცავ შეურაცხყოფილს.

– მაგრამ არ მოვკლავ, – უთხრა ლევინმა.

– არა, მოკლავ კიდეც.

– არ ვიცი. ეს რომ დამენახა, ჩემს უშუალო გრძნობას მივენდობოდი. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ასეთი უშუალო გრძნობა სლავთა დამონებისადმი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

– შეიძლება შენთვის არ არსებობს, მაგრამ სხვებს კი აქვთ ეს გრძნობა, – უთხრა სერგეი ივანოვიჩმა და უკმაყოფილოდ მოიღუშა, – ხალხში დღესაც ცოცხლობს თქმულება მართლმადიდებელ ხალხზე, ურჯულო აგარიანელთა უღელქვეშ რომ იტანჯებოდა. ხალხმა დაინახა მოძმეთა ტანჯვა და ხმა აღიმაღლა.

– შეიძლება, – ორჭოფულად უპასუხა ლევინმა, – მაგრამ მე ვერ ვხედავ ამას. ხალხი მე ვარ და მე ეს არ მიგრძნია.

– ასე ვარ მეც, – თქვა თავადმა, – მე ვიყავი საზღვარგარეთ, ვკითხულობდი გაზეთებს და გამოგიტყდებით, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბულგარელები ამ საშინელებას ჩაიდენდნენ, ვერაფრით მივხვდი, ყველა რუსს ასე უცებ როგორ შეუყვარდა თავისი მოძმე სლავები, როცა მე ვერავითარ სიყვარულს ვერ ვგრძნობ მათდამი? ძალიან შემაწუხა ამან, ვფიქრობდი, ან მე ვარ სულით მახინჯი, ან კარლსბადი მოქმედებს ჩემზე ამგვარად-მეთქი. მაგრამ ჩამოვედი აქ და დავმშვიდდი,

დავინახე, რომ ჩემ გარდა კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ რუსეთით და არა მოძმე სლავებით. ასევეა ჩვენი კონსტანტინეც.

– აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პირად შეხედულებებს, როცა მთელმა რუსეთმა, მთელმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება-სურვილი.

– დიახ, მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ ვხედავ ამას. ხალხმა სრულიად არაფერი იცის ამის შესახებ, – უთხრა თავადმა.

– არა, მამა... როგორ არ იცის? გახსოვთ კვირას, ეკლესიაში, – თქვა დოლიმ, რომელიც ყურს უგდებდა ამ საუბარს, – თუ შეიძლება ხელსახოცი მომაწოდეთ, – მიმართა მან მოხუცს, რომელიც ღიმილით შესცქეროდა ბავშვებს, – შეუძლებელია, რომ ყველა...

– მერედა რა მოხდა კვირას ეკლესიაში? მღვდელს უბრძანეს წაეკითხა. იმანაც წაიკითხა. ხალხს არაფერი გაუგია, მხოლოდ ოხრავდნენ, როგორც ყოველი ქადაგების დროს, – განაგრძო თავადმა, – მერე გამოუცხადეს, ეკლესია ფულს აგროვებს სულის საცხონებელი საქმისთვისო, იმათაც ამოიღეს თითო გროში და მისცეს, მაგრამ რისთვის მისცეს, თვითონაც არ იციან.

– შეუძლებელია, ხალხმა არ იცოდეს. ხალხს მუდამ აქვს საკუთარი ბედისწერის შეცნობის უნარი და ისეთ წუთებში, როგორიც დღეს არის, ხალხში ყოველთვის იღვიძებს ეს გრძნობა, – დაბეჯითებით თქვა სერგეი ივანოვიჩმა და მოხუც მეფუტკრეს გადახედა.

ლამაზი მოხუცი, რომელსაც შავი, ჭაღარაშერეული წვერი და ვერცხლისფერი თმა ჰქონდა, უძრავად იდგა, ხელში თაფლით სავსე თასი ეჭირა და თავისი სიმაღლიდან მშვიდად და ალერსიანად დაჰყურებდა ბატონებს, ეტყობოდა, არაფერი გაეგებოდა მათი საუბრისა და არც ჰქონდა გაგების სურვილი.

– ეს სწორედ ასე გახლავთ, – თქვა მან სერგეი ივანოვიჩის სიტყვების პასუხად და მნიშვნელოვნად დააქნია თავი.

– აბა, ჰკითხეთ ამას, მან არც არაფერი იცის და არც ფიქრობს, – თქვა ლევინმა, – გაგიგონია, მიხაილიჩ, რამე ომის შესახებ? – ჰკითხა მან მოხუცს, – აი, ეკლესიაში რომ წაიკითხეს? რას ფიქრობ ამაზე? უნდა ვიბრძოლოთ ქრისტიანების დასაცავად?

– ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ? იმპერატორი ალექსანდრ ნიკოლაევიჩი ფიქრობს ჩვენ მაგივრად და ის მოიფიქრებს კიდეც ყველაფერს. ის ჩვენზე უკეთ ხედავს. პური ხომ არ მოგართვათ კიდევ? – მიმართა მან დარია ალექსანდროვნას და გრიშაზე მიუთითა, რომელსაც პურის ყუაღა ეჭირა ხელში.

– ჩემთვის საჭირო არ არის კითხვა, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა, – მე მინახავს და დღესაც ვხედავ ასობით, ათასობით ადამიანს, რომელთაც მიატოვეს ყველაფერი, რათა ემსახურონ სამართლიან საქმეს. ისინი რუსეთის ყოველი კუთხიდან მოდიან და პირდაპირ, მკაფიოდ გამოთქვამენ თავიანთ აზრსა და მიზანს. მათ უკანასკნელი გროშები მოაქვთ ან თვითონვე მიდიან ომში და პირდაპირ ამბობენ, რისთვისაც მიდიან. აბა, რას ნიშნავს ეს?

– ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, – თქვა ლევინმა, რომელიც უკვე იწყებდა გაცხარებას, – რომ ოთხმოცმილიონიან ხალხში, ყოველთვის მოიძებნება ასობით კი არა, ათიათასობით ადამიანი, რომელთაც დაკარგული აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, თავზე ხელაღებული ადამიანები, რომელნიც ყოველთვის მზად არიან წავიდნენ – პუგაჩოვის ბრბო იქნება ეს, ხივა თუ სერბეთი...

– მე შენ ასობით ადამიანსა და თავზე ხელაღებულზე კი არ გელაპარაკები, არამედ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებზე! – ისეთი გაცხარებით უპასუხა სერგეი ივანოვიჩმა, თითქოს თავის უკანასკნელ მონაპოვარს იცავსო, – რაც შეეხება შეწირულებას, აქ უკვე მთელი ხალხი გამოხატავს თავის ნება-სურვილს.

– ეს სიტყვა, „ხალხი“ მეტად გაურკვეველია, – თქვა ლევინმა, – შეიძლება მხოლოდ თემის გადამწერლებმა, მასწავლებლებმა და ათასი გლეხიდან ერთმა იცოდეს, რაშია საქმე. დანარჩენი ოთხმოცი მილიონი კი, როგორც მიხაილიჩი, არათუ არ გამოთქვამს თავის ნება-სურვილს, ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს, რაზე უნდა გამოთქვას ეს ნება-სურვილი. აბა, რა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეს ხალხის ნება-სურვილია?

XVI

დიალექტიკაში გამოცდილ სერგეი ივანოვიჩს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია და საუბარი მაშინვე სხვა სფეროზე გადაიტანა.

– ჰო, თუ შენ გინდა, არითმეტიკული გზით გაიგო ხალხის სული, რა თქმა უნდა, ამის მიღწევა მეტისმეტად ძნელია. ჩვენში არ არის შემოღებული ხმის მიცემა და არც შეიძლება იქნეს შემოღებული, იმიტომ, რომ ეს არ გამოხატავს ხალხის ნებას. მაგრამ ამისთვის არსებობს სხვა გზები. ეს ჰაერში იგრძნობა, ამას გული გრძნობს. აღარაფერს ვამბობ იმ წყალქვეშა დინებებზე, ხალხის დამდგარ ზღვაში რომ დაიძრა და ნათელი გახდა ყველა წინასწარგანზრახვას მოკლებული ადამიანისთვის. შეხედე საზოგადოებას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ყველა სხვადასხვა ჯურის პარტია ინტელიგენციისა, წინათ ერთმანეთში ესოდენ მტრულად რომ იყვნენ განწყობილნი, გაერთმთლიანდა, ბოლო მოეღო ყოველგვარ უთანხმოებას, ყველა საზოგადოებრივი ორგანო ერთსა და იმავეს იმეორებს, ყველამ იგრძნო სტიქიური ძალა, რომელმაც მოიცვა ყველაფერი და ერთი მიმართულებით გააქანა.

– ჰო, ყველა გაზეთი ერთსა და იმავეს იმეორებს, – თქვა თავადმა, – ეს მართალია. და იმდენად ერთსა და იმავეს, რომ გეგონება, ბაყაყები აყიყინდნენო წვიმის მოლოდინში. მათი წყალობით ვეღარაფერს გაიგონებ.

– ბაყაყები არიან თუ არ არიან, – გაზეთებს მე არ გამოვცემ და არც დავიწყებ მის დაცვას. მე ვამბობ მხოლოდ თანამოაზრეობაზე ინტელიგენციის წრეში, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა ძმის მისამართით.

ლევინს უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ მოხუცმა თავადმა დაასწრო: – ჰო, ამ თანამოაზრეობაზე კიდევ შეიძლება სხვა რამეც ითქვას. აი, მე მყავს სიძე, სტეპან არკადიჩი, – თქვენ იცნობთ მას. ის ახლა ინიშნება კომიტეტში, სახელი არ მახსოვს კარგად, ოღონდ საქმე იქ არაფერია გასაკეთებელი, – რა ვუყოთ, დოლი, ეს საიდუმლო არ არის! – ჯამაგირი კი რვა ათასი მანეთია. აბა, ერთი, სცადეთ და ჰკითხეთ, მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა მის სამსახურს. იგი დაგიმტკიცებს, ეს ყველაზე უფრო საჭიროაო. იგი სამართლიანი ადამიანია, მაგრამ შეუძლებელია არ ირწმუნო რვა ათასის ხათრით.

– მართლა, მან დამავალა გადმომეცა დარია ალექსანდროვნასთვის, რომ უკვე დაინიშნა იმ ადგილზე, – უკმაყოფილოდ თქვა სერგეი ივანოვიჩმა, რომელსაც უადგილოდ ეჩვენა თავადის საუბარი.

– ასეა გაზეთების თანამოაზრეობაც, მე მითხრეს, როგორც კი ომი დაიწყება, მათი შემოსავალი ორკეცდებაო. აბა, ისინი როგორ არ იტყვიან, რომ ხალხისა და სლავების ბედი... და ყოველივე ეს კი...

– მე ბევრი გაზეთი არ მიყვარს, მაგრამ ეს უსამართლობაა, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა.

– მე მხოლოდ ერთ პირობას წამოვაყენებდი, – განაგრძო თავადმა. – ამას შესანიშნავად წერდა Alphonse Karr[131] პრუსიის ომის დაწყებამდე: „თქვენ ფიქრობთ, რომ ომი გარდაუვალია? კეთილი. დაე, ყველაზე წინ, განსაკუთრებულ მოწინავე ლეგიონებში იერიშზე, შეტევაზე გადავიდნენ ისინი, ვინც ომს ქადაგებენ!“

– კარგი სანახავნი კი იქნებოდნენ რედაქტორები! – თქვა კატავასოვმა და ხმამაღლა გადაიხარხარა, როცა თავისი ნაცნობი რედაქტორები წარმოიდგინა ამ რჩეულ ლეგიონებში.

– მერე, რა გამოვა, მაშინვე გაიქცევიან, – შენიშნა დოლიმ, – მხოლოდ ხელს შეუშლიან.

– თუ გაიქცევიან, ზურგიდან უნდა დაუშინო ტყვია ან კაზაკები დაუყენო მათრახებით, – თქვა თავადმა.

– მაპატიეთ, თავადო, მაგრამ ეს ხუმრობაა და არცთუ კარგი ხუმრობა, – თქვა სერგეი ივანოვიჩმა.

– არა მგონია, ეს ხუმრობა იყოს, ეს... – უნდოდა ეთქვა ლევინს, მაგრამ სერგეი ივანოვიჩმა აღარ დააცადა.

– საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია მისთვის შესაფერი საქმე აკეთოს, – თქვა მან, – მოაზროვნე ადამიანებიც თავიანთ საქმეს აკეთებენ, გამოხატავენ საზოგადოების აზრს. ეს ერთსულოვნება და სრული გამოხატვა საზოგადოებრივი აზრისა პრესის დამსახურებაა და ამავე დროს ეს სასიხარულო მოვლენაა. ამ ოცი წლის წინ ჩვენ, ალბათ, დავდუმდებოდით, ახლა კი გვესმის ხმა რუსი ხალხისა, რომელიც მზად არის, აღდგეს, როგორც ერთი კაცი, და თავი გასწიროს დაჩაგრული

მოძმისთვის. ეს დიდებული ნაბიჯია და საწინდარია დიდი ძალისა.

– არა მარტო თავი გასწიროს, არამედ გაჟლიტოს თურქები, – გაუბედავად შენიშნა ლევინმა, – ხალხი მსხვერპლს სწირავს და მზად არის გაიღოს მსხვერპლი თავისი სულისთვის და არა მკვლელობისთვის, – დასძინა მან და უნებურად დაუკავშირა ეს საუბარი იმ აზრებს, რითაც თვით იყო გატაცებული.

– როგორ თუ სულისთვის? ეს იცით, ბუნებისმეტყველისთვის ძნელად გასაგები გამოთქმაა. რას წარმოადგენს სული? – ღიმილით ჰკითხა კატავასოვმა.

– ოჰ, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ!

– ღმერთს გეფიცებით, ოდნავი წარმოდგენაც არა მაქვს, – ხმამაღალი სიცილით დასძინა კატავასოვმა.

– „მე მოვიტანე ქვეყნად მახვილი და არა მშვიდობა“, ამბობს ქრისტე, – შენიშნა თავის მხრივ სერგეი ივანოვიჩმა, ისე უბრალოდ, თითქოს ყველაზე გასაგები ადგილი მოიშველიაო სახარებიდან. სწორედ ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად აშფოთებდა ლევინს.

– ეს ასეა, – ისევ გაიმეორა მოხუცმა, რომელიც მათ გვერდით იდგა და პასუხი გასცა შემთხვევით მისკენ მიმართულ მზერას.

– არა, ბატონებო, დამარცხებული ხართ, სავსებით დამარცხებული! – მხიარულად წამოიძახა კატავასოვმა.

ლევინი ბრაზისაგან წამოწითლდა, არა იმიტომ, რომ დამარცხდა, არამედ იმიტომ, რომ თავი ვერ შეიკავა და მაინც ჩაება კამათში.

„არა, მე არ შემიძლია მათთან კამათი, – გაიფიქრა მან, – ეგენი გაუვალი ჯავშნით არიან შემოსილი, მე კი შიშველი ვარ“.

იგი ხედავდა, რომ ძმისა და კატავასოვის დარწმუნება შეუძლებელი იყო; კიდევ უფრო შეუძლებელი იყო თვით დათანხმებოდა მათ. მათი ქადაგება სწორედ ის ჭკუის სიამაყე იყო, რამაც კინაღამ დაღუპა ლევინი. მას არ შეეძლო დასთანხმებოდა, რომ ათეულ ადამიანს და მათ შორის მის ძმას უფლება ჰქონდათ ეთქვათ სატახტო ქალაქში ჩამოსულ ასეულ ლაქლაქა მოხალისეთა ნათქვამის საფუძველზე, რომ ისინი,

გაზეთებთან ერთად, გამოხატავენ ხალხის ნება-სურვილსა და აზრს, ამასთან, ისეთ აზრს, რომელიც შურისძიებასა და მკვლელობაში გამოიხატება: არ შეეძლო დასთანხმებოდა, რადგან ვერ ხედავდა ამ აზრთა გამოხატულებას ხალხში, რომელთა შორისაც იგი ცხოვრობდა, ვერ ხედავდა ამ აზრებს თავის თავში (მას არ შეეძლო სხვანაირად წარმოედგინა თავი, თუ არა როგორც ერთი წარმომადგენელი იმ ადამიანებისა, რუს ხალხს რომ ქმნიან) და რაც მთავარია, არ შეეძლო დასთანხმებოდა, რადგან მან ხალხთან ერთად არ იცოდა, რაში მდგომარეობდა ეს კეთილდღეობა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, რომ ამ კეთილდღეობის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მკაცრად შესრულდებოდა სიკეთის ის კანონი, რომელიც ნათელი იყო ყველა ადამიანისთვის, ამიტომაც არ შეეძლო ესურვა და ექადაგა ომი რაღაც საერთო მიზნებისთვის, როგორიც უნდა ყოფილიყო ეს მიზნები. იგი ლაპარაკობდა მიხაილიჩთან, ხალხთან ერთად, რომელიც გამოთქვამდა თავის აზრს თქმულებაში ვარიაგთა მოწოდების შესახებ: „იმთავრეთ და იუფლეთ ჩვენზე. ჩვენ სიხარულით აღგითქვამთ სრულ მორჩილებას. ჩვენს თავზე ვკისრულობთ მთელ შრომას, ყოველგვარ დამცირებასა და მსხვერპლს, მაგრამ განსჯა და გადაწყვეტა ჩვენს ხელთ არ არის“. ახლა კი ხალხი, სერგეი ივანოვიჩის სიტყვით, უარს ამბობდა ამ უფლებებზე, ასე ძვირად რომ უღირდა.

მას კიდევ უნდოდა ეთქვა, რომ თუ საზოგადოებრივი შეხედულება უცოდველი მსაჯულია, მაშინ რევოლუცია, კომუნა, რატომ არ არის ისეთივე კანონიერი, როგორიც მოძრაობა სლავთა სასარგებლოდ? მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ აზრები იყო, რომელთაც არაფრის გადაწყვეტა არ შეეძლოთ. ერთი კი ნათელი იყო – კამათი აღიზიანებდა სერგეი ივანოვიჩს და ამიტომაც სისულელე იყო კამათის წამოწყება. ლევინიც ჩაჩუმდა და სტუმრების ყურადღება იმაზე გადაიტანა, რომ ღრუბლები იკრიბებოდა და კარგი იქნებოდა, თუ წვიმას გაასწრებდნენ და მალე წავიდოდნენ შინ.

XVII

თავადი და სერგეი ივანოვიჩი ეტლში ჩასხდნენ, დანარჩენმა საზოგადოებამ კი ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ.

მაგრამ დიდი, შავი ღრუბელი ისე სწრაფად მოიწევდა, რომ საჭირო შეიქნა კიდევ უფრო აეჩქარებინათ ნაბიჯი, რათა წვიმის დაწყებამდე მიესწროთ შინ. დაბლა ჩამოწოლილი, ჭვარტლიანი, კვამლივით შავი ღრუბლები უჩვეულო სისწრაფით მიქროდნენ ცაზე. სახლამდე ორასიოდე ნაბიჯი უკლდათ, რომ ქარიც ამოვარდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კოკისპირული წვიმა. ბავშვები შიშისა და სიხარულის ჟივილ-ხივილით გარბოდნენ წინ, დარია ალექსანდროვნა ძლივსღა ებრძოდა ფეხებზე შემოტმასნილ კაბას, კი არ მიდიოდა, უკვე გარბოდა და თან თვალს არ აცილებდა ბავშვებს. მამაკაცებიც ხელით ჩასჭიდებოდნენ ქუდებს და აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ შინისაკენ. თითქმის უკვე მიაღწიეს პარმაღს, რომ წვიმის მსხვილი წვეთი რკინის ღარის კიდეს დაეცა და ზედ გაიფანტა. ბავშვებმა და მათ შემდეგ დიდებმაც მხიარული ლაპარაკით შეაფარეს თავი სახლს.

– კატერინა ალექსანდროვნა სად არის? – ჰკითხა ლევინმა აგაფია მიხაილოვნას, რომელიც დერეფანში შემოეგება მათ თავშლებითა და პლედებით.

– ჩვენ გვეგონა, თქვენთან იყო, – უპასუხა მან

– მიტია სადღაა?

– კოლოკში უნდა იყოს, გადიაც მათთან არის.

ლევინმა ხელიდან გამოსტაცა პლედები და კოლოკისაკენ გაიქცა.

ამ მცირე დროის განმავლობაში ღრუბლის შუა ნაწილი უკვე იმდენად ჩამოეფარა მზეს და ისეთი სიბნელე ჩამოწვა, თითქოს მზე დაბნელდაო. ქარი დაჟინებით ებრძოდა და წინ არ უშვებდა ლევინს, ყვავილებსა და ფოთლებს გლეჯდა ცაცხვებიდან, საზარლად აშიშვლებდა არყის ხეების თეთრ ტოტებს და ყველაფერს ერთი მიმართულებით ხრიდა: აკაციებს, ყვავილებს, დუმფარებს, ბალახსა და ხის კენწეროებს. ბაღში მომუშავე გოგოებმა ჟივილ-ხივილით შეაფარეს თავი საჯალაბოს. კოკისპირული წვიმის თეთრი ფარდა უკვე

ჩამოეფარა შორეულ ტყეს, ლევინმა მახლობელი მინდვრის შუაგულამდე მიაღწია და სწრაფად მიიწევდა კოლოკისაკენ. ჰაერში უკვე იგრძნობოდა სინესტე წვიმისა, რომელიც წვრილ-წვრილ წვეთებად იშლებოდა.

ლევინი წინ წახრილი გარბოდა და ებრძოდა ქარს, ხელიდან რომ სტაცებდა პლედებს. მიუახლოვდა კიდეც კოლოკს, აგერ მუხის იქით შენიშნა კიდეც რაღაც თეთრი, რომ უეცრად ყველაფერი აფეთქდა, მიწას ერთიანად მოედო ცეცხლი და ცის კამარა თითქოს თავზე ჩამოექცა. ლევინმა ძლივსღა გაახილა დაბრმავებული თვალები და წვიმის სქელი ფარდის იქით, რომელიც აცილებდა ახლა კოლოკისაგან, ყველაზე პირველად შუა ტყეში მდგარი ნაცნობი მუხის მწვანე კენწერო დაინახა, რომელსაც საოცრად შესცვლოდა მდგომარეობა. „ნუთუ შუაზე გაიპო?“ – ძლივსღა მოასწრო ლევინმა ამის გაფიქრება, რომ მუხის კენწერო მომეტებული სისწრაფით დაეშვა ძირს, სხვა ხეებს ამოეფარა და ლევინმა გაიგონა, როგორი ხმაურით დაიტანა ამ უზარმაზარმა ხემ სხვა ხეები.

ელვა, ჭექა-ქუხილი, სიცივე, რომელმაც ერთბაშად დაუარა ტანში, ერთ მთლიან საშინელების გრძნობად გადაიქცა ლევინისთვის.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ოღონდაც ისინი გადაარჩინე! – თქვა მან.

და თუმცა მაშინვე გაიფიქრა, რა უაზრობა იყო მისი თხოვნა, ისინი არ დაეტანა უკვე ძირს დაცემულ მუხას, მაგრამ მაინც იმეორებდა ამ სიტყვებს, იცოდა, რომ ახლა უაზრო ლოცვა-ვედრებაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებდა.

როგორც იქნა, მიაღწია იმ ადგილამდე, სადაც ჩვეულებრივ ჰყავდათ ხოლმე ბავშვი, მაგრამ იქ არავინ დაუხვდა.

ისინი ტყის მეორე მხარეს, ბებერი ცაცხვის ქვეშ იდგნენ და ეძახდნენ მას. ორი მუქტანსაცმლიანი ქალი (წინათ მათ ღია ფერის კაბები ეცვათ) ზევიდან გადაფარებოდნენ რაღაცას. ესენი იყვნენ კიტი და გადია. წვიმას უკვე გადაეღო და კვლავ ნათელი ეფინებოდა არემარეს, როცა ლევინმა მათთან მიირბინა. გადიას კაბის ბოლო მშრალი ჰქონდა, კიტი კი სულ ერთიანად გაწუწულიყო და ტანზე ეკვროდა სველი ტანისამოსი. მართალია, წვიმას უკვე გადაეღო, მაგრამ ისინი მაინც ისევე იდგნენ, როგორც კოკისპირული წვიმის დროს –

ორივე ზედ გადაფარებოდა მწვანექოლგიან ბავშვის საწოლს.

– ცოცხლები ხართ? კარგად ხართ? მადლობა ღმერთს! – თქვა ლევინმა, როცა დამდგარ ნიაღვარში წყლით სავსე წაღების ტყაპატყუპით მიირბინა მათთან. კიტის აწითლებული, სველი სახე ქმრისაკენ მიებრუნებინა და გაუბედავად უღიმოდა წვიმისაგან ფორმაშეცვლილი ქუდის ქვემოდან.

– აბა, როგორ არა გრცხვენია! ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ასეთი გაუფრთხილებლობა?! – წყრომით მიმართა ლევინმა ცოლს.

– ღმერთმანი, მე არა ვარ დამნაშავე. ის იყო, ვაპირებდით წამოსვლას, მაგრამ ბავშვი გაჭირვეულდა. საფენები უნდა გამოგვეცვალა. როგორც კი... – დაიწყო თავის მართლება კიტიმ.

მიტია უვნებელი იყო, სულ არ დასველებულიყო და ისევ განაგრძობდა ძილს.

– მაშ, მადლობა ღმერთს! მე აღარც კი მესმის, რას ვამბობ!

შეაგროვეს სველი საფენები, გადიამ საწოლიდან ამოიყვანა ბავშვი და ხელით წამოიყვანა.

ლევინი გვერდით მიჰყვებოდა ცოლს, დამნაშავედ გრძნობდა თავს, რომ გაუწყრა და გადიასაგან მალულად ხელს ხელზე უჭერდა კიტის.

XVIII

მთელი დღის განმავლობაში, ათასნაირ საუბარში თითქოს ლევინის გონების მხოლოდ გარეგანი მხარე მონაწილეობდა; იგი განუწყვეტელ სიხარულს გრძნობდა, რომ ასე სავსე ჰქონდა გული, გულგატეხილიც იყო, რადგან ვერ შეეგრძნო ის ცვლილებები, რისი მოლოდინიც ჰქონდა.

წვიმამ ისე დაასველა ყველაფერი, რომ სასეირნოდ გასვლა აღარ შეიძლებოდა. ამასთან, საავდრო ღრუბლები აღარ შორდებოდნენ ჰორიზონტს, ხან აქ გადაივლიდნენ გრგვინვით,

ხან იქ და შავად ფერავდნენ ცისკიდურს. დღის დანარჩენი ნაწილი მთელმა საზოგადოებამ შინ გაატარა: კამათი აღარ წამოუწყიათ. პირიქით, ნასადილევს ყველანი შესანიშნავ გუნებაზე დადგნენ.

კატავასოვმა ჯერ ბევრი აცინა მანდილოსნები თავისი ორიგინალური ხუმრობით, პირველი გაცნობისას ასე რომ ხიბლავდა ყველას, შემდეგ სერგეი ივანოვიჩის თხოვნით მოჰყვა თავის მეტად საინტერესო დაკვირვებას დედალ და მამალ ოთახის ბუზებზე და მათ ცხოვრებაზე, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათითა და ფიზიონომიითაც კი. სერგეი ივანოვიჩიც მხიარულ გუნებაზე იყო და ჩაიზე ძმის თხოვნით გამოთქვა თავისი შეხედულებანი აღმოსავლეთის საკითხზე და ისე უბრალოდ და კარგად ილაპარაკა, რომ ყველა სიამოვნებით უსმენდა.

ოღონდ კიტიმ ვეღარ მოისმინა ბოლომდე, მიტიას დასაბანად დაუძახეს.

კიტის წასვლის შემდეგ არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ ლევინიც გაიწვიეს საბავშვო ოთახში.

ლევინსაც ბოლომდე აღარ დაულევია ჩაი, სინანულით მიატოვა საინტერესო საუბარი და შეწუხებულმა, რატომ გამომიძახესო, რადგან ეს მხოლოდ მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს ხდებოდა, ბავშვის ოთახისაკენ გასწია.

მართალია, ბოლომდე ვეღარ მოისმინა სერგეი ივანოვიჩის გეგმა, თუ ახალგათავისუფლებული ორმოცმილიონიანი სლავი ხალხი რუსეთთან ერთად როგორ დაიწყებდა ახალ ეპოქას ისტორიაში, რამაც ძალიან დააინტერესა, როგორც მისთვის სრულიად ახალმა საკითხმა, ისიც აინტერესებდა და აღელვებდა, თუ რატომ უძახდნენ, მაგრამ მაინც, როგორც კი სასტუმროდან გამოვიდა და მარტო დარჩა, მყისვე დილანდელი ფიქრები გაახსენდა და ყველა ეს მოსაზრება, თუ რა მნიშვნელობა ექნება სლავურ ელემენტს მთელი მსოფლიოს ისტორიისთვის, იმდენად უმნიშვნელო ეჩვენა იმასთან შედარებით, რაც მის სულში ხდებოდა, რომ წუთით ყველაფერი გადაივიწყა და კვლავ ამ დილით განცდილ განწყობილებას დაუბრუნდა.

ახლა წინანდელივით თავიდან აღარ გაუხსენებია აზრთა მთელი მსვლელობა (ეს საჭირო აღარ იყო მისთვის). იგი მაშინვე

გაიმსჭვალა ამ აზრებთან დაკავშირებული გრძნობით, რომელიც უკვე დაუფლებოდა და მისთვის ნათელი გახდა, რომ ეს გრძნობა მის სულში წინანდელზე უფრო ძლიერი და გარკვეული იყო. მისთვის საჭირო აღარ იყო ის წინასწარ მოფიქრებული სიმშვიდე ამ გრძნობის აღსადგენად. ახლა, პირიქით, სიხარულისა და სიმშვიდის გრძნობა წინანდელზე უფრო სწრაფად ედებოდა მის სულს, რომ აზრი ვეღარ ეწეოდა გრძნობას.

ლევინი ტერასაზე გავიდა, ახედა ჩამობნელებულ ცას, რომელზეც ორი ვარსკვლავი ციმციმებდა, და უცებ გაახსენდა: „ჰო, როცა მე შევყურებდი ცის თაღს და ვფიქრობდი, რომ ჩემთვის ხილული ცის თაღი ჭეშმარიტად ცის თაღია, ამის გაფიქრებაზე რაღაც ბოლომდე ვერ მოვისაზრე, რაღაც დავუმალე საკუთარ თავს, – გაიფიქრა მან, – მაგრამ რაც უნდა იყოს იქ, კამათი არ შეიძლება. საკმარისია, დავუფიქრდე და ყველაფერი ნათელი გახდება“.

ლევინი უკვე საბავშვო ოთახში შედიოდა, როცა გაახსენდა, რა იყო ის, რაც საკუთარ თავს დაუმალა: „თუ ღვთის არსებობის მთავარ დამამტკიცებელ საბუთს სიკეთის არსებობის აღმოჩენა წარმოადგენს, მაშინ რატომ განისაზღვრება ეს აღმოჩენა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიით? რა ურთიერთობა აქვს ამ აღმოჩენასთან ბუდას, მაჰმადიანურ სარწმუნოებას, რომლებიც ასევე ღაღადებენ და იღვწიან სიკეთისთვის?“

ლევინს მოეჩვენა, რომ უკვე მზად ჰქონდა პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ ჩამოყალიბება ვეღარ მოასწრო, რადგან უკვე შევიდა საბავშვო ოთახში.

კიტი მკლავებდაკაპიწებული იდგა ბავშვის აბაზანასთან, რომელშიც უკვე ჭყუმპალაობდა ბავშვი. როგორც კი ქმრის ფეხის ხმა გაიგონა, თავი მიიბრუნა მისკენ და ღიმილით მიიხმო. კიტის ცალი ხელით აბაზანაში გულაღმა მწოლიარე ფუნჩულა ბავშვის თავი ეჭირა, მეორე ხელით კი თანაბრად ჭიმავდა კუნთებს და ბავშვს ღრუბელს აწურავდა.

– აი, შეხედე, შეხედე, – უთხრა მან, როცა ლევინი მივიდა მათთან, – აგაფია მიხაილოვნა მართალია, უკვე ცნობს.

საქმე ის იყო, რომ მიტია იმ დღიდან, როგორც ჩანდა, უკვე ნამდვილად ცნობდა ყველა თავისიანს.

როგორც კი ლევინი აბაზანასთან მივიდა, მაშინვე ჩაატარეს საამისო ცდა და ცდამ სრული წარმატებით ჩაიარა. ბავშვისაკენ დაიხარა მოსამსახურე გოგო, რომელსაც საგანგებოდ გამოუხმეს სამზარეულოდან, ბავშვი მოიღუშა და უარის ნიშნად თავი გააქნია. დაიხარა მისკენ კიტი და ბავშვს სახე ღიმილმა გაუნათა, ხელები ღრუბელს ჩასჭიდა, ტუჩები მოკუმა და ისეთი კმაყოფილი, უცნაური ხმა გამოსცა, რომ არათუ კიტი და გადია, ლევინიც კი მოულოდნელად აღფრთოვანდა.

ბავშვი ამოიყვანეს აბაზანიდან, წყალი გადაავლეს, ზეწარში გაახვიეს, გაამშრალეს და ყურთასმენის წამღები ყვირილის შემდეგ გადასცეს დედას.

– მოხარული ვარ, რომ უკვე იწყებ მის სიყვარულს, – უთხრა კიტიმ ქმარს, როცა ბავშვთან ერთად მშვიდად დაჯდა ჩვეულ ადგილას, – ძალიან მახარებს ეს, თორემ უკვე ვბრაზობდი ამაზე. შენ ამბობდი, არავითარი გრძნობა არა მაქვსო ბავშვის მიმართ.

– არა, მე ეგ არ მითქვამს, გრძნობა არა მაქვს-მეთქი. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ გული გამიტყდა.

– როგორ შეიძლება გული გაგიტეხოს ამან?

– შვილზე კი არა, საკუთარ გრძნობაზე გამიტყდა გული. უფრო მეტს მოველოდი. მეგონა, სიურპრიზივით მთელ ჩემს არსებას მოიცავდა რაღაც ახალი, სასიამოვნო გრძნობა. უცებ კი, ნაცვლად ამისა, ზიზღი, სიბრალული...

კიტი ყურადღებით უსმენდა, თან თითებზე იკეთებდა ბეჭდებს, ბავშვის ბანაობის დროს რომ მოეხსნა.

– და, რაც მთავარია, უფრო ძლიერი იყო შიში და სიბრალული, ვიდრე სიამოვნება. დღეს კი, წვიმის დროს, იმ შიშის შემდეგ, ვიგრძენი, რამდენად ძლიერ მყვარებია.

კიტის სახე გაუნათა ღიმილმა.

– ძალიან შეგეშინდა? – ჰკითხა მან, – მეც ძალიან შემეშინდა, მაგრამ ახლა, როცა გაიარა ყველაფერმა, კიდევ უფრო მეტად მეშინია. უნდა წავიდე იმ მუხის სანახავად. რა კარგი ადამიანია კატავასოვი! და საერთოდ მთელმა დღემ ისე სასიამოვნოდ გაიარა. შენც სერგეი ივანოვიჩთან ისეთი კარგი ხარ, როცა მოინდომებ... ჰო, შენც წადი მათთან, თორემ აბაზანის შემდეგ

აქ ყოველთვის ცხელა და ორთქლი დგება.

XIX

როგორც კი ლევინი ბავშვის ოთახიდან გამოვიდა და მარტო დარჩა, მაშინვე ის აზრი გაახსენდა, ბოლომდე რომ არ იყო მისთვის გარკვეული.

ნაცვლად იმისა, სასტუმრო ოთახში შესულიყო, საიდანაც საუბრის ხმა გამოდიოდა, ტერასაზე შეჩერდა, ხელით მოაჯირს დაეყრდნო და ცას ახედა.

ცა სულ ჩამობნელებულიყო და სამხრეთით, საითაც იყურებოდა ლევინი, ღრუბლები აღარ ჩანდა, – მოპირდაპირე მხარეს მოეყარათ თავი. სწორედ იქიდან ანათებდა ელვა და ისმოდა შორეული ქუხილის ხმა. ლევინი ყურს უგდებდა, დროდადრო როგორ ჩამოდიოდა ცაცხვის ტოტებიდან წვიმის წვეთები და შესცქეროდა ვარსკვლავთა ნაცნობ სამკუთხედს, რომელსაც შუაში მიუყვებოდა თეთრად განათებული ირმის ნახტომი თავისი განშტოებებით. ყოველ გაელვებაზე არათუ ირმის ნახტომი, მოკაშკაშე ვარსკვლავებიც იკარგებოდნენ, მაგრამ როგორც კი ელვა გაქრებოდა, თითქოს ვიღაცის მარჯვე ხელმა გადმოისროლაო, ისევ ძველ ადგილას აღმოჩნდებოდნენ.

„მაშ, რაღა მაწუხებს?“ – თქვა თავისთვის ლევინმა, რომელიც წინასწარ გრძნობდა, რომ გადაწყვეტა მისი ეჭვებისა უკვე გამზადებული იყო მის სულში, თუმცა ეს გადაწყვეტა ჯერ კიდევ უცნობი იყო მისთვის.

„დიახ, ერთი უეჭველი, ცხადი გამოვლინება ღმერთის არსებობისა ის სიკეთის კანონებია, რომელნიც აღმოჩენასავით მოევლინენ ქვეყანას, რომელთა არსებობას ვგრძნობ ჩემში და რომელთა აღიარებითაც არათუ ვუერთდები, არამედ იძულებული ვარ, შევუერთდე სხვებს, ეკლესიად წოდებულ ერთ მთლიან მორწმუნეთა საზოგადოებას რომ ქმნიან. მერე ებრაელები, მაჰმადიანები, კონფუციელები, ბუდისტები – რას წარმოადგენენ ისინი? – სწორედ ის საკითხი დაუყენა ლევინმა თავის თავს, ყველაზე სახიფათოდ რომ ეჩვენებოდა, – ნუთუ ეს

ასობით მილიონი ადამიანი მოკლებულია იმ საუკეთესო სიკეთეს, ურომლისოდაც აზრი არა აქვს სიცოცხლეს? – ლევინი ჩაფიქრდა, თუმცა მაშინვე გაასწორა შეკითხვა, – მაგრამ რატომ ვკითხულობ ამას? – უთხრა მან თავის თავს, – მე ვკითხულობ კაცობრიობის სხვადასხვა სარწმუნოების დამოკიდებულებას ღვთაებისადმი. მე ვკითხულობ ღმერთის გამოვლინებას მთელი სამყაროსთვის ყველა ამ ნისლოვანი ლაქით. ამას რატომ ჩავდივარ? პირადად ჩემთვის, ჩემი გულისთვის ნათელია უეჭველი ცოდნა იმისა, რაც მიუწვდომელია გონებისთვის, მე კი დაჟინებით მოვითხოვ ჩემი გონებითა და სიტყვებით გამოვთქვა ეს ცოდნა. განა არ ვიცი, რომ ვარსკვლავები არ დადიან? – შეეკითხა ლევინი თავის თავს და ახედა მოკაშკაშე პლანეტას, რომელსაც უკვე შეეცვალა ადგილი არყის ხის მაღალი რტოს ზემოთ, – მაგრამ როცა ვუყურებ ვარსკვლავთა მოძრაობას, არ შემიძლია წარმოვიდგინო დედამიწის ბრუნვა და მართალი ვარ, როცა ვამბობ, ვარსკვლავები დადიან-მეთქი.

და განა ასტრონომებს შეეძლოთ გაეგოთ ან გამოეანგარიშებინათ რაიმე, თუ მხედველობაში მიიღებდნენ დედამიწის ყოველ რთულსა და სხვადასხვანაირ მოძრაობას? ყველა მათი საოცარი დასკვნა ციურ სხეულთა მანძილების, წონისა და მოძრაობის შესახებ ემყარება მნათობთა ხილულ მოძრაობას უძრავად გაჩერებული დედამიწის ირგვლივ, იმ მოძრაობას, რომელსაც ახლა მე ვუყურებ. და ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში მილიონი ადამიანისთვის, იყო, მარად ასე იქნება და მუდამ შეიძლება შემოწმდეს. და ისევე, როგორც ამაო და მერყევი იქნებოდა ასტრონომთა დასკვნები, თუ ისინი არ დაემყარებოდნენ ხილული ცის დამოკიდებულებას ერთი მერიდიანის და ერთი ჰორიზონტის მიმართ, ასევე ამაო და მერყევი იქნება ჩემი დასკვნებიც, თუ ისინი დამყარებულნი არ იქნებიან სიკეთის იმ გაგებაზე, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება, რომელიც მე დამანახვა ქრისტიანობამ და შეიძლება ყოველთვის შემოწმდეს ჩემს სულში. საკითხი სხვა სარწმუნოებათა და იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ღვთაებასთან, მე არ შემიძლია გადავჭრა და არცა მაქვს ამის უფლება“.

– შენ ჯერ არ წასულხარ? – მოესმა უცებ კიტის ხმა, – რომელიც იმავე გზით მიდიოდა სასტუმრო ოთახისაკენ, – შენ რა, ხომ არაფერი გეწყინა? – უთხრა მან და ვარსკვლავთა სინათლეზე

ყურადღებით ჩახედა სახეში.

მაგრამ კიტი მაინც ვერ დაინახავდა ლევინის სახეს, ელვას რომ არ გაენათებინა და არ დაეფარა ვარსკვლავები. ელვის შუქზე კიტიმ მთლიანად დაინახა ქმრის სახე და რაკი დარწმუნდა, მშვიდი და მხიარულიაო, გაუღიმა ქმარს.

„მას ესმის, – ფიქრობდა ლევინი, – იცის, რაზედაც ვფიქრობ. ვუთხრა თუ არა? ჰო, ვეტყვი“... – მაგრამ სწორედ იმ წუთს, როცა ლევინმა ამის თქმა დააპირა, კიტიმაც წამოიწყო ლაპარაკი.

– იცი, რას გეტყვი, კოსტია! – უთხრა მან, – დამავალე და შეიარე კუთხის ოთახში. ნახე, როგორ მოაწყვეს ყველაფერი სერგეი ივანოვიჩისთვის. ჩემთვის უხერხულია. დაუდგეს თუ არა ახალი პირსაბანი?

– კარგი, აუცილებლად წავალ, – უთხრა ლევინმა და აკოცა ცოლს.

„არა, საჭირო არ არის ამის თქმა, – გაიფიქრა ლევინმა, როცა კიტიმ მის წინ ჩაიარა, – ეს საიდუმლო მხოლოდ ჩემთვისაა საჭირო და მნიშვნელოვანი და ამის გამოთქმა არც შეიძლება სიტყვებით. ამ ახალ გრძნობას არ გამოვუცვლივარ, არ გავუბედნიერებივარ, უეცრად არ გავუსხივოსნებივარ ისე, როგორც ოცნებით მქონდა წარმოდგენილი – ისევე როგორც შვილისადმი გრძნობას, აქაც არ ყოფილა არავითარი სიურპრიზი. მე არ ვიცი, რა არის ეს, – რწმენაა თუ არ არის რწმენა – მაგრამ ეს გრძნობა შეუმჩნევლად, ტანჯვა-წამებით შემოიჭრა ჩემში და მტკიცედ დაისადგურა ჩემს სულში.

ისევ ისე გავუწყრები მეეტლე ივანს, ისევ ისე ვიკამათებ, უადგილოდ გამოვთქვამ ჩემს აზრებს, ის, რაც წმიდათაწმიდაა ჩემს სულში, ისევ ისე გაუგებარი იქნება სხვებისთვის, თვით ჩემი ცოლისთვისაც კი, ისევ ვუსაყვედურებ მას ჩემი შიშისთვის და შემდეგ ვინანებ ამას; გონებით კვლავ გაუგებარი იქნება, რატომ ვლოცულობ, მაგრამ მაინც ვილოცებ – და ჩემი ცხოვრება ახლა, მთელი ჩემი ცხოვრება, დამოუკიდებლად იმისა, რა შეიძლება დამემართოს, ჩემი ცხოვრების ყოველი წუთი არათუ უაზრო არ იქნება, როგორც წინათ იყო, არამედ ექნება ეჭვმიუტანელი აზრი იმ სიკეთისა, რომელიც ვალდებული ვარ მიზნად დავუსახო ჩემს ცხოვრებას!“

დასასრული

[1] (ზოოლ.) იგივე მელანთევზი.

[2] (ფრანგ. Faste) გადაჭარბებული ბრწყინვალება.

[3] (ფრანგ.) სიძე.

[4] (ფრანგ.) ერთბაშად.

[5] (ფრანგ.) ევოლუცია.

[6] (ფრანგ.) ქარგვის ინგლისური ტექნიკა.

[7] გადმოცემის თანახმად, პუნიკური ომების დროს გამოსაზამთრებლად ქალაქ კაპუაში ჰანიბალის შეჩერებამ მისი ჯარი სულიერად და ფიზიკურად გააზარმაცა და მას შემდეგ დამკვიდრდა გამოთქმა „კაპუის განცხრომანი“; „კაპუისებური“ ტოლსტოის ნეოლოგიზმია; აღნიშნავს გაზარმაცებას, განაზებას, განცხრომას მიცემას.

[8] (ფრანგ.) მე დავარღვიე თქვენი განკარგულება.

[9] (ფრანგ.) გრაფინია.

[10] (ფრანგ.) მას წარმატებები აქვს.

[11] (ფრანგ.) ხელიხელგაყრილს.

[12] (ფრანგ.).ეს ისეთი პიროვნებაა, რომელსაც არ გააჩნია...

[13] (ფრანგ.) ეს ჩვეულებრივი ამბავია.

[14] (ფრანგ.) არ შეუძლია სახელი გამიტეხოს.

[15] (ფრანგ.) კარენინასთან საარშიყოდ?

[16] (ფრანგ.) იგი სენსაციას ახდენს. მის გამო პატისაც კი ივიწყებენ.

[17] (ფრანგ.) ისინი გადაშენდნენ.

[18] (ფრანგ.) მართლა, ვარენკას შესახებ.

[19] (ფრანგ.) აყვავების წლებში მყოფი.

[20] (ფრანგ.) ახალგაზრდა კაცი.

[21] (ლათ.) ის, იგი, იმის, იმას.

[22] (ფრანგ.) ბიძაშვილები.

[23] (ფრანგ.) ღვთისმოსავი.

[24] (ფრანგ.) ალიაქოთს.

[25] (ფრანგ.) ვისაც სინდისი წმინდა აქვს, მადაც კარგი აქვს, სიტყვასიტყვით: ეს წიწილა ჩემი ფეხსაცმლის ლანჩებამდე ატანს.

[26] (ინგლ.) ოთხცხენიანი ეტლი.

[27] (ფრანგ.) რას ამბობენ?

[28] (ფრანგ.) წავიდეთ, ეს საინტერესოა.

[29] (ფრანგ.) მომხიბვლელნი იყვნენ.

[30] (ფრანგ.) მშვენიერია!

[31] გულკეთილობა (ფრანგ.).

[32] (ფრანგ.) მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

[33] (ფრანგ.) ამაში სამარცხვინო არაფერია.

[34] (ფრანგ.) ბატონებო, მოდით ჩქარა!

[35] (ფრანგ.) წარმტაცია!

[36] (ფრანგ.) მობრძანდით.

[37] (ფრანგ.) გადავლება (აბაზანის მიღება).

[38] (ფრანგ.) წარმოიდგინეთ, რომ გოგონა.

[39] (ფრანგ.) იგი ეარშიყება ახალგაზრდა, ლამაზ ქალს.

[40] (ფრანგ.) მე მგონი, ვესლოვსკი ცოტათი ეარშიყება კიტის.

[41] (ფრანგ.) პატარა არშიყობა.

[42] (ფრანგ. Barre) ძელი ან წყლისგან გაჟივებული კასრები.

[43] (ფრანგ.) ეს ხომ სასაცილოა!

[44] (ფრანგ.) ეს ხომ მეტისმეტად სასაცილოა.

[45] (ფრანგ.) გარდა ამისა, ეს სასაცილოა.

[46] (ფრანგ.) შეიძლება იყო ეჭვიანი, მაგრამ ამ ზომამდე – ეს მეტისმეტად სასაცილოა.

[47] (ფრანგ.) სასაცილო.

[48] (ფრანგ.) საყვარელი საქმე.

[49] (ფრანგ.) წვრილმანია.

[50] (ფრანგ.) თქვენ გავიწყდებათ თქვენი მოვალეობა.

[51] (ფრანგ.) მაპატიეთ, მე ამით სავსე მაქვს ჯიბეები.

[52] (ფრანგ.) მაგრამ თქვენ მეტისმეტად გვიან ცხადდებით.

[53] (ფრანგ.) ძალიან საყვარელია.

[54] (ინგლ.) დიახ, ქალბატონო.

[55] (ფრანგ.) მაგრამ სრულებითაც არ დაგინდობ.

[56] (ფრანგ.) კომპანიონი ქალი.

[57] (ფრანგ.) და ამასთან ერთად წესიერიცაა.

[58] (ფრანგ.) იგი ძალიან საყვარელი და გულმართალია.

[59] (ფრანგ.) ეს არის ჩვენი პატარა სასახლე.

[60] (ფრანგ.) აქ ისეთი კარგი და წესიერი გარემოა. სავსებით ინგლისურად, დილის საუზმეზე ხვდებიან ერთმანეთს, მერე კი შორდებიან.

[61] (ფრანგ.) ეს საუცხოო რამ იქნება.

[62] (ფრანგ.) ჩოგბურთის პარტია.

[63] (ფრანგ.) მაგრამ ხომ არ შეიძლება საწყალ ვესლოვსკის და ტუშკევიჩს ნავში ამდენი ცდით გული გადაელიოთ.

[64] (ფრანგ.) სკოლები მეტისმეტად ჩვეულებრივ საქმედ იქცა.

[65] (ფრანგ.) და ეს იმიტომ კი არა, რომ უკეთესი არ გამაჩნია.

[66] (ფრანგ.) გადალახოს ეს ნაზი გრძნობები. საქმე ანას და მისი შვილების ბედნიერებასა და ბედს ეხება.

[67] (გერმ.) ო, დიახ, ეს სრულიად უბრალო რამ არის.

[68] (გერმ.) საქმე ის არის... უნდა გამოვითვალოთ მავთულების ფასი.

[69] (გერმ.) ამის გამოანგარიშება შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ.

[70] (გერმ.) მეტისმეტად რთულია, მეტად ბევრ ზრუნვას მოითხოვს.

[71] (გერმ.) (გერმ.) ვისაც შემოსავალი უნდა, მას საზრუნავიც ექნება.

[72] (გერმ.) (გერმ.) დიდ პატივს ვცემ გერმანულ ენას.

[73] (გერმ.) შეწყვიტეთ.

[74] (ფრანგ.) მაგრამ, მაპატიეთ და, მას აქვს ზოგი რამ უცნაურობა.

[75] (ფრანგ.) ამგვარი ცხოვრების მეოხებით.

[76] (ფრანგ.) სინამდვილეში ეს უგარყვნილესი ქალია.

[77] განა ეს გარყვნილება არ არის? (ფრანგ.).

[78] (ფრანგ.) მე მაქვს წარმატება.

[79] (ფრანგ.) მაგრამ მეტისმეტად პროზაულია.

[80] (ლათ.) ჰოი, წმინდა უბრალოებავ!

[81] (ფრანგ.) შამპანური დავლიოთ.

[82] (ფრანგ.) სახელმწიფო გადატრიალებაში?

[83] (ფრანგ.) ძმაბიჭურად.

[84] (ფრანგ.) სრულიად უადგილოდ.

[85] (ფრანგ.) გამხნევებას.

[86] (ფრანგ.) ტელეგრაფით ბოროტად სარგებლობა.

[87] (ინგლ.) ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

[88] (ფრანგ.) ქვისლები.

[89] (გერმ.) მარადიული ქალურობა.

[90] (ფრანგ.) გიჟური დღე.

[91] (ფრანგ.) ცოლისდას.

[92] (ფრანგ.) ათასი სალამი.

[93] (ფრანგ.) კრუხი.

[94] (ლათ.) თეთრი ცხელება.

[95] (ინგლ.) კონცეფცია.

[96] (ფრანგ.) კომბინაცია.

[97] (ინგლ.) გეთაყვა, უბრძანეთ, ჩაი სასტუმროში მოგვართვან.

[98] (ფრანგ.) მე იმდენად ფართო გული არა მაქვს.

[99] (ფრანგ.) ეს არასოდეს მეხერხებოდა.

[100] (ფრანგ.) საზოგადოებრივი მდგომარეობა.

[101] (ფრანგ.) რომ ყინული გატყდა.

[102] (ფრანგ.) პოლიტიკა.

[103] ... (ფრანგ.) თქვენი კეთილსინდისიერება.

[104] (ფრანგ.) შენ თავისუფლად მოაზროვნე კაცის სახელი გაქვს.

[105] (ფრანგ.) ბიძა.

[106] (ფრანგ.) ცხოვრების ნირი.

[107] (ფრანგ.) ჟიულ ლანდო, ცნობილი ჟიულ ლანდო; ნათელმხილველი.

[108] (ფრანგ.) ნოქარი.

[109] (ფრანგ.) ჩვენი მეგობრების მეგობრები ჩვენი მეგობრებია.

[110] (ფრანგ.) თქვენ გესმით ინგლისური?

[111] (ინგლ.) „უვნებელი და ბედნიერი“.

[112] (ინგლ.) ფრთებქვეშ.

[113] (ფრანგ.) ჩემო მეგობარო.

[114] (ფრანგ.) მიეცით მას ხელი. ხომ ხედავთ?

[115] (ფრანგ.) დეე, ის, ვინც უკანასკნელად მოვიდა, ვისაც რაღაცის კითხვა სწადია, დეე, გავიდეს. გავიდეს!

[116] (ფრანგ.) მაპატიეთ, მაგრამ ხომ ხედავთ… მოდით ათი საათისათვის, ან უკეთესი იქნება, ხვალ.

[117] (ფრანგ.) ეს მე ვარ. ხომ ასეა?

[118] (ფრანგ.) სასაცილო.

[119] (ფრანგ.) საბანაო კოსტიუმი.

[120] (ფრანგ.) ავეჯით გაწყობილი ოთახები.

[121] (ფრანგ.) პაემნისა.

[122] (ფრანგ.) მით უარესი მისთვის.

[123] (ფრანგ.) პარიკმახერი... მე თმას მივარცხნის.

[124] (ინგლ.) ცეცხლი ჩაუქრა.

[125] (ფრანგ.) მამიდა.

[126] (სერბ.) გაუმარჯოს, ვაშა.

[127] (ინგლ.) ყველაფერი რიგზეა.

[128] (ფრანგ.) ადამიანის ცხოვრების მცირე უსიამოვნებანი.

[129] (ფრანგ.) სრული პროსტრაცია.

[130] (ფრანგ.) პეტერბურგში ამას ათვალწუნებით უყურებენ.

[131] (გერმ.) ალფონს კარი.